

ვენერიკი იბსენი



დრამები

ორ ტომად

„სერვანტისის საზოგადოება“

ვენიციის იტალიელი



დრამები

ტომი



თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა

გამომცემლობა „ირმისა“
1994

84.4 Hop7-6
ი 328

გამომცემლობა „ირმისა“ მკითხველს სთავაზობს დიდი ნორვეგიელი მწერლის, მსოფლიო დრამატურგიული ხელოვნების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ჟენრიკ იბსენის (1828-1906) შედეერთა ორტომეულს.

საბამომცემლო საბჭო:

ჯემალ აჯიაშვილი, შადიმან ბიწაძე, ბაჩანა ბრეგვაძე,
პარმენ მარგველაშვილი, ვაჟა შუბითიძე, როსტომ ჩხეიძე,
თამაზ ჩხენკელი.

გამომცემლობა „ირმისა“ მადლობას უხდის ბატონ
ასლან აბაშიძეს დიდსულმოვანი დახმარებისთვის.

The „Irmisa“ Publishers extend their thanks to
Mr. Aslan Abashidze for his magnanimous help.

პ

პ

კეისარი
და
გალილეელი

მსოფლიო დრამა ორ ნაწილად

I


ცეზარის ბანდოშილება

დრაგა ხუთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

იმპერატორი კონსტანციუსი.
იმპერატორის მეუღლე ევსებია.
ელენე, იმპერატორის და.
გალუსი, იმპერატორის ბიძაშვილი.
იულიანე, გალუსის უმცროსი ძმა.
მემნონი, ეთიოპელი მონა, იმპერატორის სხეულის მცველი.
პოტამონი, ოქრომჭედელი.
ფოკიონი, მღებავი.
ენაპიოსი, დალაქი.
ხილით მოვაქრე.
სასახლის გვარდიის რაზმის უფროსი.
ჭარისკაცი.
ფერ-უმარილით გათხიპნილი ქალი.
დამბლადაცემული.
ბრმა მათხოვარი.
აგათონი, კაბადოკიელი მევენახის შვილი.
ლიბანიოსი, სოფისტი და რიტორი.
გრიგოლ ნაზიანზელი.
ბახილი კეხარიელი.
ხალუხტიუს პერუზიელი.
ეკვილიუსი, ღმრთისმეტყველების მასწავლებელი.
მაქსიმე, მისტიკოსი.
ევფერიოსი, სახლთუხუცესი.
ლეონტიუსი, კვესტორი.
შირა, მხევალი.
დეცენციუსი, ტრიბუნი.
ხინტულა, მეჭინბეთუხუცესი.
ორიბახიოსი, ექიმი.
ფლორენციუსი, მხედართმთავარი.
ხევერუსი, მხედართმთავარი.
ლაიპსონი, ასისტავი
ვარონი, ასისტავი
შაეროსი, მერროშე
ჭარისკაცები, შლოცველები, მათხოვრები, წარმართი მათურებლები, სასახლის კარის დიდებულები, მღვდლები, ფილოსოფიური ხელოვნების მოწაფეები, მოცეკვავე ქალები, მხახურები, კვესტორის ამალა, გალიელი მეომრები. მოჩვენებები და ხმები.
პირველი მოქმედება მიმდინარეობს კონსტანტინოპოლში, მეორე — ათენში, მესამე — ეფესში, მეოთხე — გალიაში, ლიუტეციის მახლობლად, მეხუთე — ვიენაში.

მოქმედების დრო — 351-361 წწ.



პირველი მოქმედება

პასეკის ღამე კონსტანტინოპოლში. სცენა წარმოადგენს საიმპერატორო სასახლის წინ მდებარე ღია მოედანს. ირგვლივ ხეები, ბუჩქები და პირქვედამხობილი ქანდაკებებია; სიღრმეში — სანთლებით გაჩახჩახებული სასახლის კარის ეკლესია; მარჯვნივ — მარმარილოს ბალიუსტრადა, საიდანაც წყლის პირას ეშვება კიბე; კიპარისებს შორის ბოსფორისა და აზიური ნაპირის ხედი იშლება.

ეკლესიაში წირვა მიმდინარეობს. სტოვის საფეხურებზე — სასახლის გვარდიის რაზმი დგას; ეკლესიაში გუნდ-გუნდად შედიან მლოცველები. კარიბქესთან მათხოვრების, საყურების და ბრმების ბრბოა. წარმართი მკურნალები, ხილით მოვაკრე და წყლის გამყიდველნი მოედანზე შეჩვენულან.

გუნდი (ეკლესიაში გალობს):

დიდება ჯვარს და მაცხოვარს ჩვენსას

აწ და მარადის!

შეირყა ბქენი ჯოჯოხეთისა

კაცთა მზარავი!

მშვილობა სუფევს ყოველთა ზელა;

არ ძრწის არავინ.

ქერთხუელ იყის უფლის ტარივი,

ძე კუმარიტი არსთა გამრივის!

პოტამონი (მარცხნიდან მიიკვლევს გზას, ხელში ქალაღის ფარანი უკირავს, რომელსაც მსუბუქად გაჰკრავს ერთ-ერთ ჭარისკაცს და ეუბნება). ეი, ძმობილო, როდის მოვლიან იმპერატორს?

ჭარისკაცი. არ ვიცი.

ფოკიონი (ბრბოისკენ იბრუნებს პირს). იმპერატორსო? ვინ იკითხა იმპერატორი? ასე, შუალამისას გამობრძანდება სასახლიდან; ზუსტად შუალამის წინ. თვითონ მემონონმა მითხრა.

ევნაპიოსი (აქოშინებული შემოვარდება და ხილით მოვაკრეს მუჭლუგუნით მიაგდებს განზე). გზა, გზა, წარმართო ძაღლო!

მოვაკრე. ეგ სადაური ზრდილობაა, ჩემო ბატონო?

პოტამონი. ამ ღორს ვერ უყურებთ, კიდეც რომ ჰყვირის?

ევნაპიოსი. უ, შე ძაღლის შვილო!

ფოკიონი. და მერე ვის წინაშე, კეთილშობილი ქრისტიანის, თვით ჩვენი დიდი იმპერატორის ერთმორწმუნის წინაშე ჰყვირის. **ევნაპიოსი** (ხლით მოვაქრეს ფეხს გამოჰკრავს და წააქევეს). წუშპეშია შენი ადგილი!

ფოკიონი (ჩოხს ურტყამს წაქეულს). ესეც შენ... ესეც შენ... ესეც შენ! **ევნაპიოსი** (წიხლებით შესდგება მოვაქრეს). ეს კიდე ჩემგან!.. ჩემგან!.. ჩემგან!.. მაგ ბილწ ტყავს გაგაძრობ, იცოდე!

ხლით მოვაქრე გაქევეით შევლის თავს.

ფოკიონი (განზრახ ლაპარაკობს ხმაშალა, რომ სასახლის გვარდიელთა რაზმის უფროსმა გაიგონოს). კარგი იქნება, თუ ამ ამბავს ვინმე მიიტანს ჩვენი ღვთივეურთხეული იმპერატორის ყურამდე. აკი ამას წინათ გერისხავედა, მონათლული მოქალაქეები ისე მშვიდობიანად მეზობლობთ წარმართებს, თითქოს ერთმანეთისაგან არაფერი არა გყოფდეთო...

პოტამონი. მოედნებზე გამოკრულ ბრძანებას ხომ არ გულისხმობ? მეც წაეიკითხე. ჩემი აზრით, როგორც ბაჯალლო ოქრო განსხვავდება ყალბისაგან, ისე...

ევნაპიოსი. მე თუ მკითხავ, ყველას ერთი და იმავე საზომით ვერ მიუდგები. მაგრამ, მადლობა უფალს, ჩვენს შორისაც მოიძებნებიან კეშმარიტად გულმოდგინე მართლმორწმუნენი.

ფოკიონი. არც ისეთი გულმოდგინენი, როგორიც უნდა იყვნენ, ჩემო საყვარელო ძმანო! აბა შეხედეთ, რა თავხედურად იქცევიან ეს ღვთისმგმობნი! თქვენ გგონიათ, ყველა ამ გარეწარს ხელზე ჯვრისა და თევზის ნიშანი აზის?

პოტამონი. მართლაცდა, შეხედეთ, რა მატლებივით ფუთფუთებენ ზედ კარის ეკლესიის წინ!..

ფოკიონი. თანაც, ამ წმიდა ლამეს!..

ევნაპიოსი. გზას ულობავენ კეშმარიტ ქრისტიანებს!..

ფერ-უშარილით გათხიპნილი ქალი (ბრბოში). ვინ არიან კეშმარიტი ქრისტიანები, დონატისტები?

ფოკიონი. რაო? დონატისტებიო? შენ დონატისტი ხარ?

ევნაპიოსი. რა თქმა უნდა. შენ კი არა?

ფოკიონი. მე? მე? გაგიხმეს ენა!

პოტამონი (პირჯვარს იწერს). კირმა წაგიღოს!

ფოკიონი. დონატისტი! ფუტურო ხე! დამპალი ლეში!

პოტამონი. აგრეა, აგრე!

ფოკიონი. სატანის კოცონის მუგუზალი!

პოტამონი. მიდი, მიდი, მისცხე! ჩემო საყვარელო ძმაო!

ფოკიონი (ხელს აკრავს პოტამონს). ხმა, კრინტი! გამეცალე! კარგად გიცანი: მანიქეველი პოტამონი არა ხარ ?

ევნაპიოსი. მანიქეველიო? წყეული მწვალებელი! ფუჰ, ფუჰ!

პოტამონი (ფარხიან ხელს გაიშვრს). ერიპა! ეს ხომ ანტიოქიელი მღებავი ფოკიონია! კაენიტი!

ევანგიოსი. ვაი, მე უბედურს, რა მინდა ამ სიკრუის მსახურთა შორის?

ფოკიონი. ვაიმე, სატანის შვილობილს არ გამოვესარჩლე? ევანგიოსი (სილას გააწნავს). ესეც შენი გამოსარჩლების საზღაური! ფოკიონი (ხურდას უბრუნებს). უ, შე ქოფაკო! პოტამონი. ღმერთმა შეგაჩვენოთ ორივენი!

იმართება მუშტი-კრივი და ცემა-ტყეპა, რაც თავშეყრილ ბრბოში გულიან სიცილს იწვევს.

რა ზმის უფროსი (ქარისკაცებს უუვირის). იმპერატორი მობრძანდება! მოჩხუბრებს აშველებენ და ისინი დანარჩენ მლოცველებთან ერთად სწრაფად შედიან ეკლესიაში.

გუნდი (გალობს):

მშვილობა სუფევს ყოველთა ზედა
არ ძრწის არავინ
შეირა ბქეჩი ჯოჯოხეთისა,
კაცთა მზარაუი!..

მოედანზე მარცხნიდან შემოდის საზეიმო პროცესია. წინ მღვდლები მოუძღვიან საცეცხლურებით; მათ მოჰყვებიან სხეულის მცველნი და მემამხალენი, დიდებულები და სასახლის გვარდია. პროცესიის შუაში მოაბიჯებს იმპერატორი კონსტანციუსი, ოცდაათობმეტი წლის წარმოსადეგი, ზეიადი გარეგნობის კაცი: უწვეროა, შავი ხეკუქი თმა და პირქუში, იკვნეული გამოხედვა აქვს. გვერდით მოჰყვება დედოფალი ევსებია, ფერმკრთალი, გამხდარი, ნატიფნაკეთებიანი ქალი; ასაკით ქმრის ტოლი ჩანს. მათ უკან მოსდევს იულიანე, ჭერ კიდევ ნორჩი, ცხრაშვილიანი წლის უმაწვილი კაცი; შავთვალწარბა და შეთმთან, ახლად წვერ-ულვაშ შეღერებულ ქაბუკს ცოცხალი, მკვირცხლი თვალები და ქორული გამოხედვა აქვს. იულიანეს, დიდებულთა ახალგაზრდა ასულებისა და დარბაისელი მატრონების ასაბიის თანხლებით, ფეხდაფეხ მოჰყვება ელენე, ტანსავეს, უჩვეულოდ ლამაზი ქალწული, ოცდახუთი წლისა. სულ ბოლოს მოდიან კარისკაცები და სხეულის მცველნი. ამალაში ურევია შემნონი, მდიდრულად ჩაცმული ეთიოპიელი გოლიათი.

კონსტანციუსი (უცებ შედგება, იულიანეს მიუბრუნდება და უკმეზად ეკითხება). კი მაგრამ, გალუსი სადღაა?

იულიანე. გალუსი?.. რაში გაგახსენდა?..

კონსტანციუსი. მითხარი, რატომ დაგება ენა?

იულიანე. მეუფეო...

ევსებია (ხელს ჩასკიდებს იმპერატორს). წავიდეთ, წავიდეთ!

კონსტანციუსი. გული შემღვრევა... მაინც რა შეთქმულებას აწყობთ?

იულიანე. ჩვენ?

კონსტანციუსი. დიას, თქვენ, ორივენი.

ევსებია. წავიდეთ-მეთქი, არ გესმის?

კონსტანციუსი. ბნელი საქმეა, ბნელი... რაო, რა პასუხი გაგცათ მისანმა?

იულიანე. მისანმა? ვფიცავ მაცხოვარს!..

კონსტანციუსი. თუ ცილი დაგწამეს, დარწმუნებული ბრძანდებოდე. ცილისმწამებელს კოცონზე დაწვა არ ასცდება. (იულიანეს ხელს გამოსდებს და განზე გაიყვანს). ო, იულიანე, მოდი, მხარში ამოკუდრეთ ერთმანეთს... ძვირფასო ძმაო.

იულიანე. ყველაფერი შენს ხელთაა, მოწყალეო მეუფე!

კონსტანციუსი. ჩემს ხელთ?..

იულიანე. მათგან ბოძებული წყალობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

კონსტანციუსი. ჩემს ხელთ?.. მაინც რა გაიფიქრე ჩემს ხელებზე?

იულიანე (იხრება და ხელებზე ეამბორება). იმპერატორს თეთრი და ცივი ხელები აქვს.

კონსტანციუსი. მაშ, როგორი ხელები უნდა მქონდეს? მითხარი, რა გაიფიქრე? აი, ხომ ხედავ, ისევ დაგება ენა.

იულიანე (ხელახლა ეამბორება ხელზე). ამ მთვარის შუქზე ისინი ვარდის ფურცლებსა ჰგვანან.

კონსტანციუსი. კარგი, კარგი, გეყოფა, იულიანე.

ევსებია. წაეიდეთ, დროა.

კონსტანციუსი. უფლის წინაშე წარდგომის დროა! მე, მე უნდა წარვდგე! ილოცე ჩემთვის, იულიანე! ისინი მაზიარებენ!.. ვხედავ... ნაკურთხი ღვინო შუშხუნებს, შხეფებს ისვრის წმიდა ბარძიშში. გველის თვალივით ბრწყინავს. (წაშოიყვირებს). სისხლიანი თვალები!.. ო-ო, იესო ქრისტე. შემავედრე მამაზეციერს!

ევსებია. იმპერატორი ცუდადაა!

ელენე. სად არის კესარიოსი? ექიმი, ჩქარა, ექიმი... იმპერატორის ექიმს უხმეთ!

ევსებია (ანიშნებს მომიახლოვდიო). მემნონ, აქ მოდი, მემნონ!

იულიანე (ხმადაბლა). მეუფეო, მოწყალება მოილე და აქედან სადმე შორს გამგზავნე.

კონსტანციუსი. მაინც სად? ყველაზე მეტად საით მიგიწევს გული?

იულიანე. ეგვიპტისკენ. თუ შენი ნება იქნება, ყველას ისევ ეგვიპტე მირჩევნია. იცი, რამდენი ხალხი მიდის და უდაბნოში მარტოდ ყოფნას ირჩევს?

კონსტანციუსი. მარტოდ ყოფნას?.. სიმარტოვეში ბევრს ფიქრობენ და ტვინს იჭყლებენ! მე კი ტვინის ჰყლეთას გიკრძალავ, გესმის?

იულიანე. კეთილი, ჯანდაბას ყოველგვარი ტვინის ჰყლეთა, შენ ოღონდ ნება დამრთე... აქ დღითიღღე მემატება კმუნვა და სიმძიმილი. უამური ფიქრები მიწეწენ სულს. ცხრა დღე არ გამიხდია ძაძა; ცხრა ღამე თვითგვემით ვცდილობდი ხორცის მოკვლინებას. მერედა, რა გამოვიდა? ვერც კმუნვა გავიქარვე და ვერც უამური ფიქრებს დავალწიე თავი.

კონსტანციუსი. მეტი გულმოდგინება გმართებს, იულიანე, სატანა მძლავრობს თვითეული ჩვენგანის სულში, ეკივოლიუსს მოეთათბირე...

მემნონი (იმპერატორს). უკვე დროა...

კონსტანციუსი. არა, არა, არ მინდა...

მემნონი (ხელს ჩასკიდებს). მიბრძანდი, მოწყალეო ხელმწიფევი, მიბრძანდი...

კონსტანციუსი (გასწორდება და ღირსებით წარმოსთქვამს). მაშ, უფლის სახელში შევდგათ ფეხი!

მემნონი (ხმადაბლა). შემდეგ კი ნურც იმას დაივიწყებ...

კონსტანციუსი (იულიანეს). გალუსს დამიძახონ!

იულიანე იმპერატორის ზურგს უკან ვედრების ნიშნად დაიკრევს გულხელს და დედოფალს მიაჩერდება.

ევსებია (ჩუმად, სხაპასუხით). ნუ გეშინია!..

კონსტანციუსი (იულიანეს). აქ დარჩი, შენ რომ იზრახავ, იმნაირი ზრახვებით ეკლესიაში არ შედიან. საკურთხეველის წინაშე სულ ჩემს სიკვდილზე ლოცულობ. ამნაირი ცოდვით ნუ დაიმძიმებ სულს, ჩემო საყვარელო ძმავ!

პროკესია ეკლესიასაკენ მიემართება, მთხოვრები, საყარები და ბრძები კიბის საფეხურებზე გარს შემოეხვევიან იმპერატორს.

დავრდომილი. ო, მძლეთამძლეო მეუფევი, ყოვლის მპყრობელო! ნება მიბოძე, შენი სამოსის კალთას შევეხო, რათა განვიკურნო.

ბრმა. მირონცხებულო, ილოცე ჩემთვის, რათა თვალი ამეხილოს.

კონსტანციუსი. ნუ გეშინით, შეილნო! მემნონ, ვერცხლი უბოძე ამათ... შევიდეთ, შევიდეთ!

პროკესია ეკლესიაში შედის. კარი იხურება და ბრბო თანდათან იშლება, იულიანე მარტო რჩება ერთ ხეივანში.

იულიანე (ეკლესიას მისჩერებია). ნეტა რაში დასჭირდა გალუსი? როგორ დავიჭერო, რომ ამ წმიდა ღამეს ბოროტს იზრახავს?.. ო, რომ ვიკოდე!.. (შემობრუნდება და წასასვლელად გამზადებულ ბრმას შეეჩებება). ფრთხილად, თვალები სადა გაქვს, ძმობილო?

ბრმა. ბრმა ვარ, ბატონო.

იულიანე. ჭერ კიდევ ბრმა ხარ? ნუთუ იმ მოციმციმე ვარსკვლავსაც ვერ ხედავ? ფუ, შე მკირედ მორწმუნევი, შენა! კი მაგრამ, აკი მირონცხებულმა აღგიტქვა, ვილოცებ, რომ მზერა დაგიბრუნდესო.

ბრმა. ვინა ხარ, შენს უსინათლო ძმას რომ დამცინი?

იულიანე. შენი ძმა ცრურწმენასა და სიბრძავეში (ხელმარცხნივ აპირებს გახვევას).

ხმა (ბუჩქებიდან, ჩუმად). იულიანე, იულიანე!

იულიანე (წამოიძახებს). ა!

ხმა (უფრო ახლოდან). იულიანე!

იულიანე. სდექ! უიარალო არ გეგონო! ფრთხილად!

ჰაბუკი (ბუჩქებიდან გამოდის; ღარიბულად ჩაცმულს ხელში ჭოხი უქირავს). ჩუმად, მე ვარ...

იულიანე. შეჩერდი, ფეხი არ მოიკვალო!

ჰაბუკი. ვერ მიცანი? ავათონი ვარ...

- იულიანე. აგათონიო? რას ამბობ? აგათონი პატარა ბიჭი იყო...
- კაბუკი. ექვსი წლის წინათ... მე კი მაშინვე გიცანი (უახლოვდება).
- იულიანე. აგათონი! მაცხოვრის წმიდა ჯვარს ვფიცავ, მგონი, მართლა აგათონია!
- აგათონი. კარგად დამაკვირდი.
- იულიანე (ეხვევა და ჰკოცნის) ჩემი ძმა, ჩემი მეგობარი! ვინა მყავდა შენი ფასი! კი მაგრამ, აქ საიდან გაჩნდი? რამ გამოგატარა ამოდენა გზა? სად კაპადოკია და სად კონსტანტინოპოლი?
- აგათონი. ორი დღის წინ ხომალდს ჩამოვყევი ეფესიდან. რომ იცოდე, რამდენს გეძებდი ამ ორი დღის განმავლობაში ამაოდ! სასახლის მცველებმა ახლოსაც არ გამოიკარეს...
- იულიანე. ჩემი სახელი ხომ არავეისთან წამოგტდენია? ან ხომ არავეისთვის გითქვამს, რომ მე მეძებლი?
- აგათონი. არა, შენი სახელის ხსენება ვერ გავბედე, რადგან ვიცოდი, რომ...
- იულიანე. ძალიან კარგი, არავეის არაფერი არ უნდა უთხრა, გარდა იმისა, რაც აუცილებელია. ერთი აქ მოდი, აგათონ, მთვარის შუქზე კარგად შეგხედო... როგორ გაზრდილხარ, დავაეკაცე-ბულხარ...
- აგათონი. შენ კი ვერა რამ გაგცრიცა, გაგაფერმკრთალა?
- იულიანე. სასახლის ჰაერი მწყენს. შენს მტერს აქ ყოფნა, დაილოცოს მაკელა... რა სიმალღეზეა! კაპადოკიის ვერც ერთი ქალაქი ვერ შეედრება სიმალლით... მერედა, რა მაცოცხლებელი ნიავე უბერავს ტავრიის თოვლიანი მთებიდან?.. და-ლილი იქნები, აგათონ.
- აგათონი. შენც არ მომიკვდე.
- იულიანე. მაინც ჩამოვსხდეთ. აქ სიწყნარეა და ხელსაც არავენ გვიშლის. აქეთ, აქეთ, უფრო ახლოს! აი, ასე! (ბალუსტრადასთან მღვარ მერხზე გვერდით მოისვაშს). „განა შეიძლება კეთილი რამ გამოვიდეს კაპადოკიიდან?“ — ასე ამბობენ აქ, მაგრამ კაპადოკიიდან შეიძლება ჩამოგვიდნენ მეგობრები! რა შეედრება ამას? (დღახანს მისჩრება). არა, მაინც რა დამემართა, რომ მაშინვე ვერ გიცანი?.. ეჰ, შენ ჩემო ძვირფასო ძმაო! ხომ ასეა? ხომ იგივე ხარ, რაც ბავშვობაში იყავი?
- აგათონი (მუხლს იყრის მის წინაშე). დღესაც ისევე მუხლმოყრილი ვარ შენს წინაშე, როგორც მაშინ.
- იულიანე. არა, არა, არა!
- აგათონი. ნება მიბოძე, ასევე დავრჩე.
- იულიანე. ეჰ, ჩემო აგათონ, ღმერთსა სცოდავ და დამცინი, რაკი მუხლს იყრი ჩემს წინაშე. რომ იცოდე, რამდენი ცოდვის სიმძიმე მაწევს კისრად! ეკივოლუსი, ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, პირდაპირ შეძრწუნებულია ჩემს გამო. აი, ის მოგიყვებოდა, რასაც მოგიყვებოდა, აგათონ... როგორ გა-გზრდია და გაგსქელებია თმა? როგორ დაგხვევია და

დაგხუქუქებია?... მარდონიოსი რაღასა იქმს? ალბათ, კიდეც გაქალარავედა.

აგათონი. თოვლივით გათეთრდა.

იულიანე. როგორ გვიხსნიდა ჰომეროსს! ამ საქმეში, ღმერთმანი, ტოლი არ ჰყავდა... გმირები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკი-ნებოდნენ ერთმანეთს, მათ თავს ზემოთ კი ელვასავით დაჰქროდნენ ოლიმპოს მკვიდრნი! ყველაფერს ისე ცხადად ვხედავდი...

აგათონი. მაშინ სულ სახელის მოხვეჭასა და გმრობაზე ოცნებობდი.

იულიანე. ნეტავი იმ დროს... რა შეედრება კაპადოკიაში გატარებულ იმ ექვს წელიწადს? ან, იქნებ, წლები მაშინ უფრო ზანტად მიიზღაზნებოდნენ, ვიდრე ამჟამად? როცა გაიხსენებ, რამდენი რამე დაიტიეს იმ წლებმა, შეიძლება კიდეც ირწმუნო, რომ ეს მართლაც ასეა... ჰო, მართლაც ბედნიერი დრო იყო. მე და შენ წიგნებს ჩაკვირკიტებდით, გალუსი კი თავის სპარსულ ულაყს დააგვლევებდა. ღრუბლის ჩრდილივით გადაუქროლებდა თვალუწვდენ ტრამალს... ჰო მართლა, ერთი ეს მითხარი, ეკლესიის საქმე როგორაა?

აგათონი. რომელი ეკლესიის? წმიდა მამის საფლავზე რომ წამოიწყეთ?

იულიანე. დიხს, მე და გალუსი რომ ვაშენებდით, გალუსმა თავისი ფრთა დაასრულა, მე კი ვერ იქნა და საქმეს ვერასდიდებით ვერ მოვაბი თავი, მერე მაინც თუ გამოვიდა რამე?

აგათონი. არაფერიც არ გამოვიდა. ხალხმა თქვა, ასე არაფერი აშენდებაო.

იულიანე (ჩაფიქრებით). რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ახლა კი ვიცი, რატომ არაფერი არ გამოვიდა. იცი, რას გეტყვი, აგათონ? მამა ცრუ წმიდანი იყო.

აგათონი. წმიდა მამა?

იულიანე. უნდა მოგახსენო, რომ არასოდეს უმარტვილია. მასზე შეთხზული ლეგენდა წმინდა წყლის სიცრუე გახლავს. ეკივოლიუსმა, თავისი ღრმა განსწავლულობის წყალობით, სიტყვა-სიტყვით აღადგინა ქეშმარიტება, გაარკვია. რა როგორ იყო. მე კი ამ თემაზე ამას წინათ პატარა თხზულებაც დაწერე, რომელსაც, ჩემო აგათონ, აუდიტორიებში ქებით იხსენიებს ზოგიერთი ფილოსოფოსი... ღმერთმა არიდოს ჩემს გულს ფუჭი პატივმოყვარეობა! ბოროტსა და მაკდურ სულს იმდენი დახლართული გზა აქვს... კაცმა არ იცის... გალუსს უნდა გამოსვლოდა, მე კი არა... ამ ნაგებობაზე რომ ვფიქრობ, კაენის მსხვერპლი მახსენდება...

აგათონი. იულიანე!

იულიანე. ღმერთი ვერ მამჩნევს, აგათონ!

აგათონი. ასე ნუ ლაპარაკობ. განა სული ღვთისა არ მძლავრობდა შენში, როცა ჭერ კიდეც ბავშვმა წარმართობის წყვდიადს

გამომტაცე და ქეშმარიტების მარადიული ნათელი ამინთე თვალწინ?

იულიანე. ახლა სიზმარი მგონია ეს.

აგათონი. და მაინც, რა მადლიანია ეს ქეშმარიტება.

იულიანე (პირქუშად). ნეტავი უკან დამაბრუნებინა ის დრო!.. რას ანთებდა მაშინ ჩემს სულში სიტყვის ცეცხლი? ჰაერში თითქოს ღვთაებრივი საგალობელი ირხეოდა... დედამიწიდან აღიოდა და ცის თავანს უწევდა კიბე... (სივრცეს შიშველობს მზერას). დაინახე, დაინახე?

აგათონი. ვინ? რა?

იულიანე. ვარსკვლავი ჩამოვარდა. იქ, იმ ორ კიპარისს მიღმა. (ერთხანს ღუმს და უცებ შეცვლილი ხმით ამბობს). ხომ არ მიაძვნიხარ შენთვის, რა სიზმარი უნახავს ღვთაებებს ჩემი დაბადების წინა ღამეს?

აგათონი. არ მახსოვს.

იულიანე. თუმცა როგორ გიამბობდი, მეც მხოლოდ ამას წინათ გავიგე.

აგათონი. მაინც რა უნახავს ასეთი?

იულიანე. რა და, ვითომ აქილეესი შვა...

აგათონი (სწრაფად). შენ ჯერ კიდევ გჯერა სიზმრებისა?

იულიანე. რად მეკითხები?

აგათონი. რად და... ყური მიგდე, სწორედ ამან მაიძულა გადმომეღაბა ზღვა.

იულიანე. ესე იგი, რალაც საგანგებო საქმემ ჩამოგიყვანა? მე კი იმასაც ვერ მივხვდი, რომ მეკითხა შენთვის...

აგათონი. დიახ, ძალზე უცნაური ამბავია. აი, რატომ არ ვჩქარობ, რატომ ვყოყმანობ და ვშფოთავ. თავდაპირველად ბევრი რამის გაგება მაინტერესებს... აქაურობაზე... პირადად შენზე... იმპერატორზე.

იულიანე (დაინებით უყურებს). მართალი მითხარი, აგათონ, ვის ელაპარაკე აქ, ჩემთან შეხვედრამდე?

აგათონი. არავის.

იულიანე. როდის ჩამოხვედი?

აგათონი. აქი გითხარი, ორი დღის წინათ-მეთქი.

იულიანე. და ახლავე გინდა ყველაფერი გაიგო? რაში გაინტერესებს იმპერატორის ამბავი? ვინმემ დაგაუღალა? (უხვევა). ო, მომიტყევე, მომიტყევე, აგათონ, ჩემო ძვირფასო ძმაო.

აგათონი. მოსატყევებელი რა გჭირს?

იულიანე (წამოღება და აყურადებს). სსუ... არა, არაფერია, ჩიტმა შეიფრთხილა ბუჩქებში... მე ბედნიერი ვარ აქ. რატომ არ გჯერა ჩემი? ან კი რატომაც არ უნდა ვიყო ბედნიერი? ყველა ჩემიანი აქა მყავს, გარს მახვევია! ესე იგი, მე მინდა ვთქვა, ყველა ის, ვინც მაცხოვარმა მოწყალედ შეივრდომა თავისი ძმლავრი მარჯვენის ქვეშ.

- აგათონი.** იმპერატორი ხომ მამის მაგივრობას გიწევს?
- იულიანე.** იმპერატორი უსაზღვროდ ბრძენია და კეთილი.
- აგათონი** (თვითონაც დგება). იულიანე, ხალხში ხმა დადის, თითქოს შენ იმპერატორის მომავალი შემკვიდრე ხარ, მართალია თუ არა ეს?
- იულიანე** (სწრაფად). მეტს ნულარაფერს იტყვი, ამაზე ლაპარაკიც კი საშიშია. ნურც გამაგონებ ამ ბრძიულ მითქმა-მოთქმას... მაინც რას მოითხოვ ჩემგან? ერთ სიტყვასაც ვერ მათქმევინებ, სანამ თვითონვე არ მეტყვი, რამ ჩამოგიყვანა კონსტანტინოპოლს.
- აგათონი.** საღმრთო საქმემ.
- იულიანე.** თუ მაცხოვარი და თვით შენი საკუთარი ცხონებაც რამედ გიჩანს, შინ დაბრუნდი (ბალუსტრადაზე დაყრდნობილი აუურადებს სივრცეს). ჩემად ილაპარაკე, ვილაც გვიახლოვდება ნაევით (სხვა მხარეს მიჰყავს). მაინც რამ ჩამოგიყვანა? წმინდა ჯვრის ნამსხვრევების ამბორის ყოფა მოგინდა? იცი, რად იქცა კონსტანტინოპოლი ამ უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე? უღვთო ბაბილონად... ნუთუ არაფერი გსმენია? არც ის იცი, რომ ლიბანიოსი აქაა?
- აგათონი.** რას იზამ, იულიანე, ლიბანიოსის სახელიც არ გამიგონია.
- იულიანე.** ეჰ, შე კაპადოკიელი განდევილო! ნეტა იმ კუთხეს, სადამდისაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ლიბანიოსის ხმასა და სწაელას!
- აგათონი.** ა-ა! მაშ, ეს ერთ-ერთი წარმართი ცრუმოდღვარია?
- იულიანე.** ყველაზე საშიში წარმართთა შორის.
- აგათონი.** ედესია პერგამოსელზე უფრო საშიში?
- იულიანე.** რა შედარებაა? ვილას ახსოვს დღეს ეს მიხრწნილი ბერიკაცი?
- აგათონი.** ნუთუ იმ იღუმალეებით მოცულ მაქსიმეზეც უფრო საშიში?
- იულიანე.** მაქსიმეზეო? თუ ღმერთი გწამს, ნუ მიხსენებ ამ ტაკიმასხარას. ან კი დანამდვილებით ვინ რა იცის მაქსიმეზე?
- აგათონი.** თურმე ამტკიცებს, სამ წელიწადს გამოუღვიძებლად მეძინა მღვიმეში, იორდანეს გადაღმაო.
- იულიანე.** ეკივოლიუსი ცრუპენტელად თვლის და, მგონი, არც სცდება. არა, არა, აგათონ, ლიბანიოსი ყველაზე საშიშია. ჩვენი ცოდვილი მიწა თითქოს ტკივილით იგრიხება ამ ღვთის რისხვად მოვლენილი შოლტის ქვეშ. მის მოვლინებას წინ უსწრებდა ნიშები და სასწაულები. ქალაქში მძვინვარებდა შავი ჭირი. ნოემბერში კი სენის მძვინვარება თითქოს დაცხრა, მაგრამ ახლა სხვა უბედურება დაგვატყდა თავს: თითქოს ყოველ ლამე ცეცხლის წვიმა მოლიოდა ციდან. მართალს მოგახსენებ, აგათონ. მე თვითონ ვხედავდი, როგორ სწყდებოდნენ ვარსკვლავები თავიანთ ორბიტებს, დედამიწისკენ მოფრინავდნენ და გზაშივე იფერფლებოდნენ... მერე კი ეს

სოფისტი და რიტორიკ მოგვევლინა. აქ ყველა მკვერმეტყველების მოძღვართა მეფედა თვლის, და, ალბათ, არცა სცდებიან. ხომ გუბნები, საშინელია-მეთქი. ქაბუტებიცა და უფრო მოწითულნიც ბუზებივით ეხვევიან გარს. ის მახეს უგებს და ატყვევებს მათ სულებს, და ისინიც ძალაუხებურად ფეხდაფეხ მისდევენ ყველგან. ურწმუნოება თაფლივით ტკბილად მოწვეთავს მის ბაგეთაგან... იმ მომწესხველი სიმღერების მსგავსად, ტროელებსა და აქაველებზე რომ მღეროდნენ ჩვენი წინაპრები...

აგათონი (შეძრწუნებული). და შენ მას უსმენდი, იულიანე?

იულიანე (წაბარბალებდა). მე?.. ღმერთმა დამიფაროს! თუ ამნაირი მითქმა-მოთქმა ოდესმე მოაღწევს შენს ყურამდე, არ დაიჭერო! არ დაიჭერო, თითქოს მე ღამ-ღამობით, ან გადაცმული მივიპარებოდი, რათა ლიბანიოსისათვის მესმინა. მარტო მისი სიახლოვეც კი თავზარსა მცემს. ეგეც არ იყოს, იმპერატორმა სასტიკად ამიკრძალა, ხოლო ეკივოლიუსმა კიდევ უფრო მკაცრი ყადაღა დამადო... ყოველი მორწმუნე, რომელიც ამ სოფისტს დაუახლოვდება, განდგომილი და ღვთისმგმობი ხდება. ეს კიდევ რაა? მისი სიტყვა ხელი-ხელ საგოგმანები მარგალიტით ტრიალებს ხალხში და თვით იმპერატორის სასახლემდეც კი აღწევს. მისი ღვთისმგმობლობა, მისი წინააღმდეგომელი საბუთები, მისი მკრეხელობით სავსე ლექსები მოძალადეებივით იკრებიან ჩემს ლოცვებში. ყოველივე ეს, ერთად აღებული, იმ ფრთოსან ურჩხულებს მაგონებენ, ოდესღაც ვაგლახად რომ ბილწავდნენ ზღვასა და ხმელზე მოხეტიალე ღვთისმოსავი გმირის სუფრას. ხანდახან ძრწოლა მიპყრობს იმის გამო, რომ რწმენისა და ღვთის სიტყვის საზრდო აუტანელი მეჩვენება... (უჩვეულო აჯახებით). ეჰ, იმპერატორის ძალაუფლება რომ მომცა, ვერცხლის სინით მოგართმევდი ლიბანიოსის თავს!

აგათონი. კი მაგრამ, იმპერატორი როგორ ითმენს მთელს ამ სიბილწეს? ეს ეკადრება ჩვენს ღვთისმოსავ, ღრმად მორწმუნე იმპერატორს?..

იულიანე. იმპერატორი? სახელი და ღიღება მის რწმენას და ღვთისმოსაობას! მაგრამ იმპერატორს სხვა საფიქრალი არ გააჩნია, სპარსელებთან ამ უბადრუკი ომის გარდა. ყველას ეს აკერია პირზე. ვინ ფიქრობს იმ ომზე, რომელსაც გოლგოთის მთავრის წინააღმდეგ აჩაღებენ ურწმუნონი? ეჰ, ჩემო ძვირფასო აგათონ, ახლა ყველაფერი სულ სხვაგვარადაა, ვიდრე ამ ორი წლის წინ იყო. მაშინ მისტიკოს შაქსიმეს ორ ძმას სიცოცხლის ფასად დაუჯდა თავიანთი ცრუმოძღვრების გავრცელება. შენ ვერ წარმოიდგენ, რა გავლენიანი მფარველები ჰყავს ლიბანიოსს. დროდარო ქალაქიდან აძევებენ ხოლმე ხან ერთსა და ხან მეორე გაცილებით ნაკლებად საშიშ ცრუბრძენს. ლიბანიოსს კი უბატონოდ ვინ ჰკადრებს რასმე? რამდენი ვთხოვე, რამდენი ვევედრე ეკივოლიუსს და იმპერატორსაც, აქედან გავაძევოთ-მეთქი, ვერ იქნა და ვერც ერთი ვერ დავიყოლიე. არადა, რა აზრი აქვს

დანარჩენების გაძევებას? მარტო ეს ერთი კაცი ყველას წყალს გვიმღვრევს და ჰაერს გვიწამლავს. ოჰ, ჩემო მაცხოვარო, ნეტა შეძმელო, გავეპქე და გავეცალო მთელს ამ წარმართულ სიბილწეს! გინდ აქ მიცხოვრია და გინდ ლომის ბუნაგში!

აგათონი (აგზნებით). იულიანე... რა სთქვი შენ ახლა?

იულიანე. დიახ, დიახ, მხოლოდ სასწაულს თუ შეუძლია გვიხსნას.

აგათონი. მაშ, მისმინე! სასწაული უკვე აღსრულდა!

იულიანე. რას გულისხმობ?

აგათონი. ყური მიგდე, იულიანე! მე უკვე ექვიც აღარ შეპარება იმაში, რომ სწორედ შენ გეხება საქმე, კონსტანტინოპოლში ერთმა უცნაურმა ხილვამ ჩამომიყვანა.

იულიანე. ხილვამ?

აგათონი. წმინდა გამოცხადებამ...

იულიანე. ო, მითხარი, ღვთის გულისათვის, ჩქარა მითხარი!.. სსუ... ჩუმაღ! ვილაცა მოდის... შენ აქ დარჩი და ხმა არ გაიღო...

ორივე ბალუსტრადასთან რჩება. ხეივანში, მარცხენა მხრიდან გამოჩნდება შუახნის ლამაზი, ტანადი კაცი, ფილოსოფოსის მოკლე მოსასხამი მოუსხამს; გვერდით მოკეცილებიან მოწაფეები, ყველას მოძღვარივით აცვია და შუბლს სუროს გვირგვინები უშკობს; ხელში წიგნები, პაპირუსის გრაგნილები და პერგამენტები უჭირავთ. შორიდანვე მოისმის მათი ზოჩხოცი.

ფილოსოფოსი. წყალში არაფერი ჩაგივარდეს, ჩემო ძვირფასო გრიგოლ! გახსოვდეს, რაც ხელში მიჭირავს, თვით ოქროზედაც ძვირფასია.

იულიანე (როცა ფილოსოფოსი გაუსწორდება). თუ ნებას მომცემთ, ერთი რამ მინდა გკითხოთ: ვანა ამქვეყნად მოიძებნება რაიმე ნივთიერი, ოქროზე ძვირფასი რომ იყოს?

ფილოსოფოსი. თუ შეგიძლია, მთელი შენი სიცოცხლის ნაყოფი დაკარგო და ოქროთი შეიძინო?

იულიანე. მართალს ბრძანებ. მაგრამ თუ ასეა, როგორღა ენდობი მუხანათ ტალღებს?

ფილოსოფოსი. კაცთა კეთილგანწყობა უფრო მუხანათურია.

იულიანე. ბრძნულ სიტყვას ამბობ!.. საით გაგიწევია მთელი შენი საუნჯითურთ?

ფილოსოფოსი. ათენში. (წასვლას აპირებს).

იულიანე (ძლივს იკავებს სიცილს). ათენში? როგორც ჩანს, შენი სიმდიდრის პატრონი არ ყოფილხარ, მდიდარო კაცო.

ფილოსოფოსი (ჩერდება). როგორ?

იულიანე. რომელი ბერძენი ჩაიყვანს ბუებს ათენში?

ფილოსოფოსი. ჩემი ბუები ეკლესიის ნათელს ვერ ეგუებიან იმპერატორის ქალაქში. (ერთ მოწაფეთაგანს). ხელი მომეცი, სალუსტიუს! (ძირს ჩასვლას აპირებს).

სალუსტიუსი (კბეზე უკვე სანახევროდ ჩასული, ხმადაბლა). ღმერთებსა ვფიცავ, ის არის!

ფილოსოფოსი. ვინ ის?

საქუსტიუსი. მიწამ მიყოს პირი, თუ ვტყუოდე! ვიცნობ...
ეკივოლიუსთან მინახავს.

ფილოსოფოსი. ა! (შეუმჩნეველად, მაგრამ დაეინებოთ უყურებს იულიანეს და შემდეგ ნაბიჯს გადადგამს მისკენ). შენ ახლა გაილიმე, რატომ?

იულიანე. ეკლესიის ნათელს რომ უჩიოდი, მე გავიფიქრე, ერთ-ერთი აქაური აუდიტორიის მეფუფური ბრწყინვალეობა უფრო მეტად ხომ არ სჭირს თვალს-მეთქი?

ფილოსოფოსი. შური ვერ თავსდება მოკლე მოსასხამის ქვეშ.

იულიანე. რაც ვერ თავსდება. გარეთაა გამოჩრილი.

ფილოსოფოსი. ენა კი კარგად გიჭირს, კეთილშობილო გალილე-ველო.

იულიანე. რატომ მაინცდამაინც გალილეველი? განა რა მიგავს გალილეველს?

ფილოსოფოსი. კარისკაცის ტანსაცმელი.

იულიანე. მე სულთ ფილოსოფოსი გახლავარ და ჩემს ტანსაც-მელსაც საკმაოდ უხეში სარჩული აქვს გამოკრული. მაგრამ ერთი ეს მითხარი, მაინც რას დაეძებ ათენში?

ფილოსოფოსი. რას ეძებდა პონტიუს პილატე?

იულიანე. ე! განა ქვეშარიტება იქ არ არის, სადაცაა ლიბანიოსი?

ფილოსოფოსი (დაეინებოთ უყურებს). კმ!.. ლიბანიოსი, — რა თქმა უნდა. მაგრამ ლიბანიოსი მალე დადუმდება. ლიბანიოსს ბრძოლის თავი აღარა აქვს, ჩემო მეუფევე!

იულიანე. ბრძოლის თავი აღარა აქვს?.. ვის? — ყოველისმმუსკრელს და ყოველისმძლეველს?

ფილოსოფოსი. ლიბანიოსს მობეზრდა თავისი სწორის ლოდინი.

იულიანე. ახლა კი ხუმრობ, ძმობილო, განა ამქვეყნად მოიძებნება ლიბანიოსის ტოლი და სწორი?

ფილოსოფოსი. მოიძებნება.

იულიანე. ვინ? სად? აბა, დამისახელე!

ფილოსოფოსი. საშიშია.

იულიანე. რატომ?

ფილოსოფოსი. შენ ხომ კარისკაცი ხარ?

იულიანე. ასეც რომ იყოს, მერე რა?

ფილოსოფოსი. რა და, თავად თუ გეყოფა გამბედაობა, რომ პატივი მიაგო იმპერატორის მემკვიდრეს?

იულიანე (გაოგნებული). ა!..

ფილოსოფოსი (სწრაფად). თუ გამცემ, ყველაფერს უარვეყოფ.

იულიანე. არავის გაცემას არ ვაპირებ, დარწმუნებული ბრძანდებოდე. შენ ამბობ, იმპერატორის მემკვიდრესო! არ ვიცი, ვის გულისხმობ... იმპერატორს ჯერ არავინ დაუსახელებია... მაგრამ რა საჭიროა ეს ხუმრობა? რატომ ჩამოაგდე ლიბანიოსის ტოლსწორზე სიტყვა?

ფილოსოფოსი. მართალია თუ არა, რომ იმპერატორის სასახლეში ცხოვრობს კაბუკი, ვისაც ხან ძალით, ხან მუქარით, ხან

შეგონებით სასტიკად უკრძალავენ ფილოსოფოსებთან ურთიერთობას და მათ სკოლებს სიახლოვეს არ აკარებენ?

იულიანე (სწრაფად). მხოლოდ იმიტომ, რომ მტკიცედ დაიცვან მისი რწმენის სიწმინდე.

ფილოსოფოსი (ილიმება). განა ამ კაბუეს ასე ნაკლები რწმენა აქვს თავისი რწმენის? ან რა იცის თავის რწმენაზე? რა იცის მეომარმა თავის ფარზე, სანამ ბრძოლაში არ გამოცდის?

იულიანე. სწორია, სწორი, მაგრამ იცი რა?.. ეს მოსიყვარულე ნათესავეები და მასწავლებლები...

ფილოსოფოსი. ყოველივე ეს მხოლოდ ფუჭი სიტყვებია, ჩემო მეუფე! თუ გნებავს, მე მოგახსენებ, რაშია საქმე. იმპერატორის, დიახ, მხოლოდ იმპერატორის გულისთვისაა, რომ მის ახალგაზრდა ნათესავს სიახლოვეს არ აკარებენ სიბრძნის მეგობრებს. იმპერატორს სიტყვის ფლობის ღვთიური ნიჭი არ უბოძა არსთა გამრიგებ. იმპერატორი ყველა სხვა მხრივ დიდია და დიდსულოვანი; მაგრამ იმის გაფიქრებაც კი ზარავს, რომ მისი მემკვიდრე შეიძლება ქვეყნის ჯავარი და სიბრძნის ქეშმარიტი ლამპარი გახდეს.

იულიანე (ერთიანად დაბნული). როგორა ბედავ...

ფილოსოფოსი. მესმის, მესმის, რატომაც მრისხავ შენი მბრძანებლის გამო, მაგრამ...

იულიანე. არა, არა, პირიქით, ესე იგი... იცი, მე საკმაოდ კარგად ვიცნობ ამ კაბუეს და ძალიან მინდოდა, გამეგო... (შემობრუნდება). ცოტა გაგვეცალე, ავათონ. მინდა ამ კაცს მარტოდ-მარტო ველაპარაკო. (ჩამდენიზე ნაბიჯით განზე გადაგება უსწობთან ერთად). შენ სთქვი, — სიბრძნის ლამპარიო!.. მაგრამ რა იცი, ან, საერთოდ, ვინ რა იცის, რა კაცია ეს იულიანე?

ფილოსოფოსი. ღრუბელი როგორ დაჩრდილავს სირიუსს ხალხის თვალში? ონავარი ქარი აქა-იქ მაინც გაგლეჯს ამ მრუმე რიდეს, და ეს საკმარისია, რომ...

იულიანე. თუ შეიძლება, ცოტა უფრო გასაგებად ილაპარაკე.

ფილოსოფოსი. სასახლე და ეკლესია. — აი, ორმაგი გალია, სადაც ჩაკეტილი ჰყავთ კაბუეკი. მაგრამ გალია ყრუდ როდია დახშული. დროდადრო თითო-ორთა სიტყვა მაინც დასცდება ხოლმე; და მაშინ ქვემძრომი და ქვემეთრევი კარისკაცები... მომიტევე, ჩემო მეუფე! — დიახ, კარისკაცები აიტაცებენ ამ სიტყვას და ცდილობენ, ხალხის სასაცილოდ, ქვეყანას მოჰფინონ იგი. მაგრამ მისი ღრმა და ფარული აზრი არ ესმით ამ ვაებატონებს... ერთხელაც გთხოვ, მომიტეო! — უმეტესობას მაინც არ ესმის.

იულიანე. არავის, შეიძლება თამამად ითქვას, — არავის!

ფილოსოფოსი. მაგრამ შენ კი, გეტყობა, გესმის, და, სხვათა შორის. — ჩვენც... დიახ, აი, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო სიბრძნის ლამპარი! აკი ამბობენ, რომ ჭერ კიდევ ბავშვობაში, კაპადოკიაში, თავის ძმასთან — გალუსთან პაექრობისას

ოლიმპიელ ღმერთებს დაუქირა მხარი გალილეელის წინა-
აღმდეგ და დაიცვა კიდეც ისინი.

იულიანე. ეს მხოლოდ ხუმრობა იყო... მკვერმეტყველებაში
ვარჯიში.

ფილოსოფოსი. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა მრავალმხრივი ნიჭი
აღმოაჩინა მარდონიოსმა მასში! შეძმდეგ კიეკივოლიოსმაც! რა
დახვეწილი ხელოვნებით თხზავდა სიტყვებს ჯერ კიდევ
ბავშვობაში! რანაირი სილამაზე, სინატიფე და სიკისკასე
იგრძნობოდა მისი აზრების მსუბუქ თამაშში!

იულიანე. შენც ასე ფიქრობ?

ფილოსოფოსი. დიახ. აი, ვინ იქნებოდა ჩვენი ღირსეული მეტოქე,
თანაბრად საშიში და სასურველი... მაგრამ რა აკლია, რა
უშლის ხელს იმაში, რომ ესოდენ საპატიო მიზანს მიაღწიოს?
— მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ: აუცილებლად უნდა
გაიაროს იგივე სკოლა, რომელიც განვლო პაულემ, მაგრამ
იმდენად უვნებელი გამოვიდა იქიდან, რომ შეძმდეგ შესძლო
გალილეელებს მიმხრობოდა და უფრო მეტად გაბრწყინვე-
ბულიყო თავისი სიბრძნითა და მკვერმეტყველებით, ვიდრე
ეკლესიის ყველა მწათობი, ერთად აღებული. ეკივოლიუსი
თავის მოწაფის რწმენის გამო ძრწის: მე ხომ ვიცი, ყველაფერი
მისი ბრალია. მაგრამ ნუთუ ამ უალრესად კეთილსინდისიერ
კაცს დაავიწყდა, რომ სიკაბუტეში თვითონვე ხარბად ეწაფე-
ბოდა იმ წყაროს, რომელსაც ახლა თავის შეგირდს უკრძა-
ლავს? განა ჩვენი წყალობით არ დაეუფლა იმ იარაღს,
რომელსაც ახლა ესოდენ დახვეწილი ხელოვნებით იყენებს
ჩვენსავე წინააღმდეგ?

იულიანე. მართალს ბრძანებ.

ფილოსოფოსი. მაგრამ რა არის თვით ეკივოლიუსის ნიჭიერება
იმ სამეფო გვარის ჭაბუკის მრავალმხრივ ნიჭთან შედარებით,
რომელიც თუ მითქმა-მოთქმას ვერწმუნებით, — ჯერ კიდევ
უასაკო ყრმა იყო, როცა კაპადოკიაში, სიკედილით დასჯილ
გალილეელთა საფლავებთან იქადაგა მოძღვრება, ჩემს მიერ
მცდარად მიჩნეული და, მაშასადამე, მომავლის არმქონეც,
მაგრამ მის მიერ ისეთი შთაგონებითა და შთამბეჭდავი ძალით
გადმოცემული, რომ თუ ხალხში საკმარის გავრცელებულ
გადმოცემას ვენდობით, — მრავალი უმანკო სული, თავისი
მრავალი თანამოასაკე მოაქცია და დაიმოწაფა. ო, ეკივოლი-
უსი, მრავალი სხვა ბრძენმოძღვრის მსგავსად, უფრო მური-
ანია, ვიდრე გულმოდგინე. აი, რატომაა, რომ ლიბანიოსი
ელოდა, ელოდა, მაგრამ მოლოდინი გაუტრუვდა.

იულიანე (ხელში ხელს სტაცებს). ღვთის გულისათვის, მითხარი, რას
ამბობდა ლიბანიოსი?

ფილოსოფოსი. ყოველივე იმას, რაც ეს-ესაა მოისმინე. მეტიც, ის
ამბობდა: შეხედეთ ამ სამეფო გვარის გალილეელს; სულის
ძალოვანებით ის აქილევსია!

იულიანე. აქილევსი! (ხმადალა). დედაჩემის სიზმარი!

ფილოსოფოსი. აუდიტორიები, რომელთა კარიც ყველასათვის ღიაა, ბრძოლების ასპარეზად არის ქცეული. მზიანი ღლისა და სიხარულის ბრწყინვალეობა ნათელსა ჰქვენს ამ ბრძოლასაც და მებრძოლებსაც. სტვენით მიჰქრიან სიტყვის ისრები, მახვილგონიერების ორღესული სატყვეები ნაპერწკლებს ყრიან, ხოლო ღრუბლებიდან ბრძოლის ველს ღიმილით დაჰმზერენ ღმერთები...

იულიანე. განვედ ჩემგან მთელი შენი წარმართული სიბრძნით...

ფილოსოფოსი. და გმირები ხელიხელგადახვეულნი უბრუნდებიან თავიანთ ბანაკს, წითლად შეფაქლული ღაწვეებით, ძარღვებში შმაგად მბორგავი სისხლით, ცოდნის ნადავლით, მწვანე გვირგვინებით დადაფნულნი. მაგრამ სადაა აქილევსი? არსადა ჩანს. აქილევსი მრისხანებს!

იულიანე. აქილევსი უბედურია!.. მაგრამ შემძლია თუ არა ვირწმუნო ყოველივე ეს?.. მითხარი... თავბრუ მეხვევა... მართლა ამას ამბობდა ლიბანიოსი?

ფილოსოფოსი. კი მაგრამ, როგორ გგონია, რისთვის ჩამოვიდა ლიბანიოსი კონსტანტინოპოლში, თუ არა იმისთვის, რომ ერთი ღირსეული ქაბუჯის მეგობრობა მოეხვეჭა?

იულიანე (დაძაბული). სიმართლე მითხარი! არა, არა, შეუძლებელია ეს სიმართლე იყოს! როგორ შეეუთანხმოთ ეს იმ გმობასა და მწარე დაცინვას, რომლებიც?.. კაცს არ დასცინიან, როცა მისი მეგობრობის მოხვეჭა სურთ.

ფილოსოფოსი. ეს სულ გალილეელთა ხრიკებია; სწორედ ისინი ცდილობენ სიძულვილისა და ზიზღის კედელი აღმართონ ამ ორ მებრძოლს შორის.

იულიანე. კი მაგრამ, იმას ხომ ვერ უარყოფ, რომ ლიბანიოსი...

ფილოსოფოსი. მთელი ჩემი არსებით უარყოფ.

იულიანე. განა მას არ ეკუთვნის ის გესლიანი სათრეველი ლექსები?

ფილოსოფოსი. მას? არც ერთი. ყველა უკლებლივ. სასახლის კარისაგან იღებს დასაბამს, თუმცა ლიბანიოსის სახელით კი ვრცელდება ხალხში.

იულიანე. რას ამბობ?

ფილოსოფოსი. იმას, რაც მზადა ვარ, ყველას წინაშე ფიცით დავადასტურო... აი, შენ საკმაოდ ბასრი ენა გაქვს და ვინ იცის, იქნებ შენ თვითონ...

იულიანე. მე?.. აბა, ამას ვინ დაიჭერებს? ესე იგი, ლიბანიოსს არ დაუწერია ეს ლექსები... არც ერთი მას არ ეკუთვნის?

ფილოსოფოსი. არც ერთი.

იულიანე. არც ის სათრეველი ლექსი გვერდმოქცეულ ატლანტზე?

ფილოსოფოსი. არა-მეთქი!

იულიანე. არც ის ბრყვეული და უკიდურესად თავხედური ლექსი კარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილ მაიმუნზე?

ფილოსოფოსი. ჰა-ჰა-ჰა! ის აუდიტორიაში კი არა, ეკლესიაშია შეთხზული. არა გჭერა? გეუბნები, თვით ეკივოლიუსია მისი... იულიანე. ეკივოლიუსი?

ფილოსოფოსი. დიახ, ეკივოლიუსი, რომელსაც სურს შუღლი ჩამოაგდოს თავის მტერსა და თავის მოწაფეს შორის...

იულიანე (მუშტებსა კუმშავს). ა, თუ ეს მართლა ასეა!..

ფილოსოფოსი. ეს მოტყუებული და შეცდომაში შეყვანილი ჰაბუკო უფრო უკეთ რომ გვიცნობდეს სიბრძნის მეგობრებს, ალბათ, ესოდენ მკაცრსა და სასტიკ ზომებს აღარ მიმართავდა ჩვენს წინააღმდეგ.

იულიანე. რას ამბობ?

ფილოსოფოსი. ახლა უკვე გვიანია. კარგად ბრძანდებოდე, მეუფე! (წასვლას აპირებს).

იულიანე (ხელს წაავლებს). ძმაო და მეგობარო, ვინა ხარ შენ?

ფილოსოფოსი. კაცი, რომელიც კმუნავს და წუხს, რაკილა ხედავს, რომ ილუპება ღვთაებრივი საწყისი.

იულიანე. რას უწოდებ შენ ღვთაებრივ საწყისს?

ფილოსოფოსი. ხელთუქმნელს — წარმავალში.

იულიანე. ესეც გაუგებარია ჩემთვის.

ფილოსოფოსი. არსებობს მთელი სამყარო, საოცარი სამყარო, რომელსაც ვერ ამჩნევს გალილეველთა თვალი. ამ სამყაროში სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა დღესასწაული ჭანდაკებებს შორის, წმიდა საგალობელთა გალობით, ხელში მუშხუნა ღვინით სავსე თასებითა და ვარდის გვირგვინებით შემკული შუბლებით. თავბრუდამხვევ სიმალღეზე ცისარტყე-ლასავით გადარკალულია ურიცხვი ხიდი სულიდან სულისა-კენ, ვიდრე სივრცის უსასრულობაში მიკარგულ ოდნავლა მბეჭუტავ ალამდე. და მე ვიცი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ დიადი, მზის სხივებით წარღვნილი და წალეკილი სამყაროს მბრძანებელი.

იულიანე (შიშით). დიახ, მარადიული ნეტარების დაკარგვის ფასად.

ფილოსოფოსი. რა არის ნეტარება? სულის შერწყმა პირველსა-წყისთან.

იულიანე. დიახ, ცნობიერ სიცოცხლეში, ჩემი ჰემმარიტი „მე“-ს შერწყმა...

ფილოსოფოსი. შეერთება წვიმის წვეთისა — ზღვასთან, დამპალი ნემოსი — დედამიწასთან, რომელმაც ასაზრდოვა იგი.

იულიანე. ო, ნეტა იმდენი ცოდნა მომცა, ისე შემთავარაღა სიბრძნით, რომ შენ შეგერკინო.

ფილოსოფოსი. ეგ იარაღი შენ თვითონვე უნდა გამოჰედო, ჰაბუკო! ფილოსოფიური სკოლა — აი, გონებისა და ნიჭიერების საწვრთნელი არენა და ასპარეზი.

იულიანე (უკან დაიხვეს). ა!..

ფილოსოფოსი. აბა, დააკვირდი ამ სიცოცხლით სავსე ჰაბუკებს. მათ შორის გალილეველებიც არიან. ღვთაებრივ საკითხთა

მიმართ სხვადასხვანაირი დამოკიდებულება განხეთქილების წყაროდ როდი იქცევა ჩვენთვის... კარგად ბრძანდებოდე! თქვენ, გალილეველებმა განდევნეთ და გააძევეთ ქეშმარიტება. მაშ, შეხედე, რა ქედუხრელად ვეგებებით ბედისწერის დარტყმებს! რა ამაყად გვიქირავს მალა მწვანე გვირგვინით დადაფნული შუბლი! რა უტეხად მივაბიჯებთ თქვენგან დევნილნი და ჰელიოსის მოლოდინში ვცდილობთ სიმღერებით შევიმოკლოთ ღამე, (კიბით ეშვება დაბლა, სადაც მისი მოწაფეები უძლიან, შედგე ისმის, როგორ შორდება ნაპირს მათი ნავი).

იულიანე (დიღანს გაჰყურებს წყალს). ნეტა ვინ იყო, ეს იღუმალებით მოცული კაცი?

აგათონი (უახლოვდება). მომისმინე, იულიანე...

იულიანე (ძალზე აღუვებული). მან გამიგო!.. და თვით ლიბანიოსი... დიდი, უებრო ლიბანიოსი!.. წარმოგიდგენია, აგათონ, თვით ლიბანიოსი ამბობდა თურმე, რომ... ო, რა ბასრი მზერა აქვთ ამ წარმართებს!

აგათონი. ეს სულ მაცთურის ხრიკებია, მენდე.

იულიანე (ყურადღებას არ აქცევს). აქ, ამ ხალხში ცხოვრებას მე ნამდვილად ველარ გავუძლებ. აი, თურმე ვის ეკუთვნის ეს ამზრზენი ლექსები! აქ მე დამცინიან და ზურგს უკან მასხრად მიგდებენ. არავის არა სწამს ის, რასაც ველოლიავეები, სულით დავატარებ. ყველა ცდილობს გამოაჩაგროს ჩემს ხმას, ჩემს მიხრა-მოხრას, ჩემს სიტყვებს. თვით ეკივოლიუსიც... ო, მე ვგრძნობ, რომ ქრისტეც ხელს მალებს; აქ მე ავი და ბორბოტი ვხდები.

აგათონი. მაგრამ თუ იცი, რომ სწორედ შენზე გადმოდის მადლი?

იულიანე (ბოლთას სცემს ბალუსტრადის გასწვრივ). მე ვარ ის, ვისთან შერკინებაცა სურს ლიბანიოსს. რა უცნაური სურვილია! ლიბანიოსი თავის სწორადა მთვლის და მელის კიდევ!

აგათონი. უსმინე და დაემორჩილე: შენ გელის ქრისტე!

იულიანე. რას გულისხმობ, ჩემო მეგობარო?

აგათონი. ხილვას, რომელმაც კონსტანტინოპოლში ჩამომიყვანა...

იულიანე. ჰო, მართლა, ხილვა... კინალამ დამაიწიწყდა... შენ ისიც კი თქვი, გამოცხადებო... მითხარი, ჩქარა მითხარი!

აგათონი. ეს ჩვენში, კაპადოკიაში მოხდა, ამ ერთი თვის თუ ცოტა მეტი ხნის წინათ. ხალხში ხმა დაიჩხა, წარმართებმა ღამლა-მობით კვლავ განაახლეს თავიანთი ფარული თავყრილობები კიბელეს ტაძარშიო...

იულიანე. თავგასულები!.. აქი სასტიკად აკრძალული იყო...

აგათონი. აღშფოთებამ შეიპყრო ყველა მორწმუნე. ხელისუფლებმა ბრძანეს, ტაძარი მიწასთან გაგვესწორებინა, და ჩვენ ნამსხვრევებად ვაქციეთ წარმართთა მაცთური კერპები. მაგრამ ბევრი ჩვენგანი, უფრო გულმოდგინე და ღვთის სულით აღძრული, ამასაც არ დასჯერდა. ფსალმუნების გალობითა და ბაირალების ფრიალით მოვედეთ ქალაქს. და, როგორც ღვთის რისხვის მაცნენი, თავს დავატყდით უღმერთოებს; წავართვით

სარჩო-საბადებელი, ცეცხლს მივეცი მათი სახლ-კარი. მრავალი წარმართთაგანი ცეცხლში დაიღუპა, უფრო მეტს ქუჩებში გაავლეთ მუსრი, როცა ცდილობდნენ გაქცევით გადაერჩინათ თავი. ო, ეს იყო ქვეშარიტად საღმრთო საქმე, უფლის სადიდებლად აღსრულებული.

იულიანე. კი, მაგრამ, შენი ხილვა, აგათონ?

აგათონი. მთელი სამი დღე-ღამის მანძილზე მძინვარებდა ჩვენში შურისგების სული. მაგრამ შემდეგ ხრწნაღმა სხეულმა ველარ გაუძლო. მხარი ველარ აუბა სულის გულმოდგინებას, და ჩვენც შევწყვიტეთ დევნა... ჩემს სარეცელზე ვიწევი; აღარც ძილის თავი მქონდა და აღარც ღვიძილისა. ასე მეგონა, თითქოს სულ მთლად ცარიელი ვიყავი, თითქოს ჩემმა სულმა მიმატოვა. ცეცხლი მეკიდა, გეგონებოდა თონეში ვდგავარო, თმებს ვიგლეჯდი, ვტიროდი, ვლოცულობდი, ვგალობდი... ახლაც არ ვიცი, რა მემართებოდა... უცებ, ჩემს წინ, კედელზე თვალისმომკრელად იფეთქა შუქმა, და მის ნათელში თვალწინ წარმომიდგა გრძელმოსასხამიანი კაცი. თავს სხივების დიადება უმჯობდა, ხელში ყვარაჩენი ეჭირა, და თავისი თვინიერი მზერა მომაპყრო.

იულიანე. შენი თვალითა ნახე?

აგათონი. ასე მითხრა: „აღსდექ, აგათონ, მოძებნე ტახტის მემკვიდრე და უბრძანე მას, ხაროში ჩავიდეს და ლომებს შეერკინოს!“

იულიანე. ლომებს შეერკინოს?! რა უცნაურია?... უცნაურზე უცნაური... ო-ო, ასე რომ იყოს... იმ უცნობ კაცთან შეხვედრა... გამოცხადება... ღმერთის მაცნე, ჩემთან გამოგზავნილი... ნუთუ მე ღვთის რჩეული ვარ?

აგათონი. ქვეშარიტად!

იულიანე. ლომებს შეერკინოსო... დიახ, მე ვხედავ... ასეა, ჩემო აგათონ! ასეთია ნება უფლისა, და მე, უწინარეს ყოვლისა, ლიბანიოსთან შეხვედრას უნდა ვეცადო...

აგათონი. არა, არა, ჭერ ბოლომდე მათქმევიენ!

იულიანე. ფარულად დავეუფლო მის ხელოვნებას, შევიძინო მისი ცოდნა და მათივე საკუთარი იარაღით განვგმირო ურწმუნონი... პავლესავით შევმუსრო, ჩავქოლო, პავლესავით ვძლიო ისინი და ძლევა მოვუპოვო უფლის საქმეს!

აგათონი. არა, არა, ეგ როდია ხილვის ნამდვილი აზრი.

იულიანე. როგორ შეიძლება ამაში ეკვის შეტანა? განა სწორედ ლიბანიოსი არ არის უდაბნოს მძლავრი ლომი, მისი სკოლა კი — ხარო?

აგათონი. გეუბნები, არა-მეთქი! დასასრულ, ხილვამ დასძინა: „აუწყე რჩეულს, რომ საიმპერატორო ქალაქის მტვერი ჩამოიბერტყოს ფეხიდან და აღარასოდეს შევლოს მისი ბჭენი!“

იულიანე. დარწმუნებული ხარ, აგათონ?

აგათონი. დიახ, მთელი ჩემი არსებით.

იულიანე. ესე იგი, აქ არა. მაგრამ, აბა, სად უნდა შევერკინო
ლომებს? ვინ მეტყვის, ვინ?

ხეივანში მარცხენა მხრიდან გამოჩნდება გალუსი, ლამაზი, ტანალი,
ოცდახუთი წლის ყმაწვილი კაცი; ჭერა, ხუჭუჭი თმა აქვს; თავიდან ფეხამდი
იარალშია ჩაშვადარი.

იულიანე (ეგებება). გალუს!

გალუსი. კარგს რას მეტყვი? (აგათონზე ანიშნებს). ეს ვინაა?

იულიანე. აგათონი.

გალუსი. რომელი აგათონი? ყველა შენი ნაცნობი როგორაა?..
თუმცა, რა ღმერთი გამიწყრა, ეს ხომ კაპადოკიელია?
დავაეკაცებულხარ...

იულიანე. იმპერატორმა გიკითხა, გალუს!

გალუსი (დაძაბულად). ამ შუალამისას?

იულიანე. დიახ, დიახ. უნდა მოგელაპარაკოს... ძალიან გაბრაზე-
ბული ჩანდა.

გალუსი. რაზე შეატყე? რა თქვა?

იულიანე. ვერ გავიგე. აინტერესებდა, რა გიპასუხებთ მისანმაო.

გალუსი. ა-ა!

იულიანე. ნურაფერს დამიმალავ. მაინც რას ეხება საქმე?

გალუსი. სიკვდილს ან გაძევებას.

აგათონი. ღმერთო დიდებულო!

იულიანე. გული მიგრძნობდა... თუმცა არა, დედოფალი მშვიდად
იყო. მაგრამ მითხარი, მითხარი! რალას უყურებ?

გალუსი. რა უნდა გითხრა? ხომ არა გგონია, შენზე მეტი ვიცი?
თუ იმპერატორმა მისანზე ჩამოაგდო სიტყვა, მაშასადამე, ან
მაცნე დაიჭირებს, ან ვილაცამ გამცა...

იულიანე. მაცნე?.. ხომ არ გაგიჟდი, რამ გაგაბედვინა?

გალუსი. ასე ცხოვრება აღარ შემეძლო! ყოველდღე შიში,
უნდობლობა, უიმედობა!.. რაც უნდა, ის მიყოს... ამას
ყველაფერი მირჩევნია...

იულიანე (განზე გაჰყავს, ხმადაბლა). ფრთხილად იყავი, გალუს!.. მაინც
რა მაცნეზე ლაპარაკობ?

გალუსი. აბილოსში გავგზავნე, ოსირისის ქურუმებს რომ
შეჰკითხოვოდა...

იულიანე. ა-ა!.. მისნებს? ამნაირი წარმართობისთვის...

გალუსი. წარმართობას კიდევ რა უშავს... მაგრამ ახლა ამასაც
გეტყვი: მაცნეს დავავალე, ეკითხა, თუ რა შედეგით დასრულ-
დებოდა სპარსეთის ომი...

იულიანე. გაგიჟებულხარ და ეგაა!.. მაგრამ სახეზე გეტყობა,
გალუს... კიდევ რა აკითხვინე?

გალუსი. მეტი არაფერი...

იულიანე. არა, არა. ერთი ძლევამოსილი კაცის ყოფნა-არყოფნის
ამბავიც გაინტერესებდა, ხომ?

გალუსი. ასეც რომ იყოს, მერე რა?... ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ამაზე მნიშვნელოვანი არ არის რა...

იულიანე (ხელს სტაცებს). ჩუმაღ! ხომ არ გაგიჟდი?..

გალუსი. გამეცა! შენ თუ გინდა, ფეხებში ჩაუვარდი, ძალივით ელაქუცე და კული უქნე! მე კი ამის ატანა აღარ შემიძლია! მზადა ვარ, ყველა მოედანზე, ქვეყნის გასაგონად ვიყვირო!.. (აგათონს უყვირის). ეჭვი, კაპადოკიელო, შენი თვალთ თუ ნახე მკვლელი?

იულიანე. გალუს! ძმაო!

აგათონი. მკვლელი?

გალუსი. დიახ, პორფიროსანი მკვლელი... მამაჩემის, ჩემი დედი-ნაცვლის, ჩემი უფროსი ძმის მკვლელი...

იულიანე. იცოდე, თავსაც დაილუპავ და მეც დამლუპავ!

გალუსი. თერთმეტი თავი — ერთ ღამეს, თერთმეტი გვამი... მთელი ჩვენი საგვარეულო... მაგრამ მერწმუნე, სინდისი არ აძლევს მოსვენებას, დღედაღამ მოფუთფუთე მატლებივით ღრღნის და ხრავს მის სულს!..

იულიანე (აგათონს). ყურს ნუ უგდებ! გაგვეცა, წადი!

გალუსი (იულიანეს მხარში სტაცებს ხელს). სდექ! ეგრე რამ გაგაფითრა, ან რად კანკალებ? შენ თვითონ ხომ არ გამეცი?

იულიანე. მე? შენმა ლეიძლმა ძმამ?

გალუსი. რა ძმა, რის ძმა! ჩვენს გვარში ვინ გადაურჩენია ძმობას? გამოტყდი, მალულად მითვალთვალედი?.. აბა, ვის რა უნდა გაეგო? შენ გგონია, არ ვიცი, რას ჩურჩულებენ აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე? იმპერატორი თავის მემკვიდრედ გირჩევს.

იულიანე. არასოდეს! გეფიცები, ჩემო ძვირფასო გალუს, არასოდეს ეს არ მოხდება! არ მინდა, არ შემიძლია, გესმის? მე ამირჩია ყოველსმკვლელმა... მერწმუნე, გალუს, ჩემი გზა უკვე ცნობილია, და ეს არ არის მემკვიდრის გზა... ო, ციურ მოლაშქრეთა მეუფეო, რას ვაქნევ მე იმპერატორის ტახტს?

გალუსი. ჰა-ჰა-ჰა! კარგად კი გაითამაშე, შე ტაკიმასხარავ!

იულიანე. დამცინე, დამცინე, რა გენაღვლება? შენ ხომ არ იცი, რა მოხდა. შენ კი არა, თვითონაც თავგზა მებნევეა... ო, აგათონ!.. ამ თავს რომ მირონცხება ელოდეს, რა იქნებოდა ეს, თუ არა განდგომილება და მომაკვდინებელი ცოდვა? უფლის წმიდა ზეთი გამლვალე ტყვიასავით დამიძღულრავდა თავს!

გალუსი. ო, მაშინ ჩვენი ესოდენ მალა აღზევებული ნათესავი თვით იულიუს კეისარზედაც უფრო მელოტი იქნებოდა.

იულიანე. ნუ სცოდავ!.. მიაგე კეისარს კეისრისა...

გალუსი. მამაჩემის სისხლი... შენი დედ-მამის სისხლი!..

იულიანე. ეჰ, რა ვიცი თ ჩვენ ამ საშინელებაზე? მაშინ ხომ სულ პატარები ვიყავით. მთავარი ცოდვა ჯარისკაცებს, მეამბოხეებს, ბოროტ მრჩეველებს აწევთ კისრად!

გალუსი (სიცილით). მემკვიდრე ვარჩიშობს!

იულიანე (ერემლოზი). ოჰ, ნეტა მომკლან, ან შენს ნაცვლად განმდევნონ, გალუს! აქ ჩემს სულს მხოლოდ წარწყმედა ელის. ჩემი ვალია ყველა მივეუტევო, მაგრამ ვაი რომ არ შემიძლია? ბოროტება დღითიდღე იზრდება ჩემში. სიძულვილი და შურისგების სურვილი სულ იმას ჩამჩინებენ, რომ...

გალუსი (ეკლესიისკენ იყურება, სწრაფად). მოდის, მოდის!

იულიანე. გონებას მოუხმე, ძვირფასო ძმაო!.. ეჰ, ეკივოლიუს!

ამასობაში ეკლესიის კარი იღება და ხალხი მოედანზე გამოფინება. ვინ მოდის, ვინ კი სამეფო პროცესიის საყურებლად რჩება. გამოსულთა შორისაა ეკივოლიუსიც, საძვლელო შესამოსელი მოსავს.

ეკივოლიუსი (მარცხნივ გახვევას აპირებს). ა, ეს შენა ხარ, იულიანე? ისევ შავი დღე მაყარეს შენი გულისთვის.

იულიანე. ეჰ, ჩემი გადამკიდე, სულ შავ დღეში ხარ.

ეკივოლიუსი. ქრისტე შემოგწყრა, შვილო ჩემო! შენი ქედმაღლობის გამო შემოგწყრა! სიყვარული აკლია შენს სულს... ეგ შენი ფუქი ცუდმედიდობა...

იულიანე. ვიცი, ვიცი, ეკივოლიუს, რამდენჯერ გითქვამს.

ეკივოლიუსი. მე ეს-ესაა ვილოცე იმისთვის, რომ წრფელ გზაზე მოგაქციოს უფალმა. მაგრამ ყოვლად მოწყალე მაცხოვარმა არ შეიწყნარა ჩემი ლოცვა, თითქოს ყურიც არ მათხოვა, — საშუალება მისცა ამაობას და დაბნეულობას, შეპარულიყვნენ ჩემს აზრებში...

იულიანე. მაშ, ჩემთვის ილოცე? ო, რა მოსიყვარულე გული გაქვს ეკივოლიუს, — ჩვენთვის, უტყვი ცხოველებისთვისაც კი ლოცულობ ხოლმე... როცა კარისკაცის სამოსი გეაცვია ტანთ.

ეკივოლიუსი. რას ამბობ, რას, შვილო ჩემო?

იულიანე. ეკივოლიუს, რამ დაგაწერინა ის ამაზრზენი ლექსი?

ეკივოლიუსი. მე? გეფიცები ყველა წმიდას!..

იულიანე. თვალებზე გეტყობა, რომ ცრუობ. დანამდვილებით ვიცი, რომ შენ დაწერე, მაგრამ კვლავ გეკითხები, რა ჯანდაბამ დაგაწერინა... ან რა გულმა მოგცა, რომ ლიბანიოსის კუთვნილად გაგესაღებინა?

ეკივოლიუსი. კეთილი, ჩემო ძვირფასო, რაკილა დანამდვილებით იცი...

იულიანე. ო, ეკივოლიუს! სიცრუე, სიყალბე, თვალთმაქცობა!..

ეკივოლიუსი. ხომ ხედავ, ჩემო ძვირფასო, რა გულმხურვალედ მიყვარხარ! არაფერს დავიშურებ იმისი სულის სახსნელად, ვისაც ერთ მშვენიერ დღეს თვითონ უფალი სცხებს მირონს... ღიახ, მე ვცრუობდი და გატყუებდი, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შენს სულზე მეზრუნა, რადგანაც მწამდა, რომ მრავალმოწყალე უფალი კეთილმოსურნე თვალთ დაჰმზერს ჩემს საქმეს და თავისი მძლეობა მარჯვენივით აკურთხებს მას...

იულიანე. მე კი... ნამდვილი ბრმა ვარ, ბრმა!.. ნება მიბოძე, მაგ ფიცისგამტეხ ხელზე გემთხოვიო...

ეკივოლიუსი. იმპერატორი!..

იმპერატორი კონსტანციუსი თავისი ამაღლის თანხლებით გამოდის ეკლესიიდან. აგათონი ჭერ კიდევ წინა სცენის განმავლობაში ხელმარჯვნივ მიეფარა ბუნჯებს.

კონსტანციუსი. ო, ეს ციური ნეტარება, ზეგარდმო რომ მელვრება სულში!

ევსებია. ხომ უკეთ გრძნობ თავს, ჩემო კონსტანციუს?

კონსტანციუსი. დიახ, დიახ. ჩემი თვალით ვიხილე, როგორ მომეფართქუნა მკერდზე ცოცხალი მტრედი და თან წაიღო ჩემი ცოდვების სიმძიმე... ახლა კი შემძლია გავბედო, მემონ!

მემონი (ხმადალა). ნულარ დააყოვნებ, მბრძანებელო!

კონსტანციუსი. აი, ისინიც, ორივენი აქ არიან! (გალუსსა და იულიანეს უახლოვდება).

გალუსი (ხელს უნებურად ხმლისკენ აპარებს და შეშინებული ყვირის). ნუ გამწირავ!

კონსტანციუსი (ხელეგაშლილი). გალუს! ძმარ! (ეხვევა და ჰკოცნის). აი, პასეჟის ღამის მოციმციმე ვარსკვლავების შუქზე მე ვირჩევ იმას, ვინც სათნო-უჩანს ჩემს გულს!.. ქელი მოიდრიკეთ, თაყვანი ეცით ცეზარ გალუსს!

ყველა სახტად რჩება; ზოგს უნებურად წამოძახილი აღმოხდება.

ევსებია (წამოიძახებს). კონსტანციუს!

გალუსი (გაოგნებული). ცეზარი!

იულიანე ა! (თითქოს აღტაცებული მიეარდება და იმპერატორის ხელს წაეპოტინება).

კონსტანციუსი (ხელის აქნევით იშორებს). არ მომეკარო! რა გინდა?.. გალუსი შენზე უფროსია! რისი იმედი უნდა გქონოდა? შენივე პატივმოყვარეობით დაბრმავებული უაზრო ხმებს და მითქმა-მოთქმას ხომ არ?.. შორს, შორს!..

გალუსი. მე... მე — ცეზარი ვარ!

კონსტანციუსი. დიახ, ჩემი მემკვიდრე! სამი დღის შემდეგ აზიურ ლაშქარს შეუერთდები... აკი სპარსეთის ომი მოსვენებას არ გაძლევს...

გალუსი. ჩემო მრავალმოწყალე მბრძანებელო!..

კონსტანციუსი. საქმით გადამიხადე მადლობა, ძვირფასო გალუს! მეფე საპორი ეფერატის დასავლეთით დგას. ვიცი, რა ძვირფასია შენთვის ჩემი კეთილდღეობა. — მაშ, შემუსრე საპორი! (იულიანეს მიუბრუნდება, ხელისგულებში მოიქცევს მის თავს და ჰკოცნის). იულიანე, ასე იყო საჭირო, ჩემო ძვირფასო ძმარ და მეგობარო.

იულიანე. კურთხეულ იყოს იმპერატორის ნება!

კონსტანციუსი. მოვეშვათ ამ ლოცვა-კურთხევას. თუმცა, მომისმინე, არც შენ დამიტოვებინარ უყურადღებოდ. ახლა კი შემძლია თავისუფლად ვისუნთქო კონსტანტინოპოლში...

იულიანე. დიდება ქრისტეს და იმპერატორს!
 კონსტანციუსი. შენ უკვე იცი? ვინ გითხრა?
 იულიანე. რა, მეუფეო?
 კონსტანციუსი. ლიბანიოსის განდევნის ამბავი.
 იულიანე. ლიბანიოსი განდევნილ იქნა?
 კონსტანციუსი. დიახ, ათენში გადაეასახლე.
 იულიანე. ა!
 კონსტანციუსი. აი, აგერ დგას ხომალდი, რომლითაც ამალამე
 უნდა გაემგზავროს!
 იულიანე (თავითვის). მაშასადამე, ეს თვით ლიბანიოსი იყო?
 კონსტანციუსი. შენ ხომ დიდი ხანია ნატრობდი ამას. აქამდე
 სურვილი ვერ შეგისრულე. ახლა კი... დაე, ეს ერთგვარი
 საზღაური იყოს შენთვის, ჩემო იულიანე...
 იულიანე (ხელში ხელს სტაყებს). მეუფეო, თუ შეიძლება, ერთი
 მოწყალეზაც მოიღე!
 კონსტანციუსი. მთხოვე, რაც გნებავს!
 იულიანე. პერგამოსში გამიშვი, ხომ იცი, ვინ ასწავლის იქ? —
 მოხუცი ედესია.
 კონსტანციუსი. უცნაური სურვილია, წარმართებთან გაშვებას
 მთხოვე?
 იულიანე. ედესია საშიში არ არის; კეთილშობილი ბერიკაცია და,
 ეგეც არ იყოს, ცალი ფეხი სამარეში უდგია უკვე.
 კონსტანციუსი. კი, მაგრამ, რაში გჭირდება, ძმაო?
 იულიანე. მინდა ლომებთან ბრძოლის ხელოვნება ვისწავლო
 მისგან.
 კონსტანციუსი. მესმის შენი საღმრთო მიზანი. მაგრამ არ გეშინია?
 გრძნობ კია შენში საკმარის ძალას?...
 იულიანე. უფალმა ღმერთმა ხმამალა მიხმო. დანიელისა არ იყოს,
 მეც მშვიდად და სიხარულით ჩავალ ლომების ხაროში.
 კონსტანციუსი. იულიანე!
 იულიანე. ამალამ, შენდა შეუტყობლად. უფლის საკურგლად
 მოგვევლინე. ო, გამიშვი, ნება მიბოძე, წარმართობისაგან
 გავწმინდო მთელი ქვეყანა!
 გალუსი (ხმადალა, იმპერატორს). გაუშვი, მეუფეო! უფრო მნიშვნე-
 ლოვან საქმეებში აღარ ჩაერევა.
 ევსებია. გვედრები, კონსტანციუს, წინ ნუ აღუდგები ესოდენ
 დაუოკებელ სწრაფვას!
 ეკივოლიუსი (ჩუბად). ჩვენო მბრძანებელო, გაუშვი, წავიდეს
 პერგამოსში. შეეკება, რომ აქ მისი დაურება შეეძლო,
 თუმცა ამას რალა მნიშვნელობა აქვს ახლან?...
 კონსტანციუსი. განა შემიძლია უარი გითხრა ესოდენ მნიშვნე-
 ლოვან წამს? წადი, იულიანე, ღმერთი იყოს შენი მფარველი!
 იულიანე (ხელეზს უკოცნის). ო, გმადლობ... გმადლობ...

კონსტანციუსი. ახლა კი სადღესასწაულო სუფრას მიეუსხდეთ. ჩემმა მზარეულმა ახალი სამარხეო კერძები გამოიგონა — ქიოსურ ღვინოში მოხარშული კობრი და... მოკლედ, წავიდეთ!.. შენ. როგორც ცეზარი, ფეხდაფეხ უნდა მომყვე, გალუს!

პროცესია გზას გაუღებმა.

გალუსი (ჩუმად, ელენეს). რა განსაკვირებელი ცვლილებაა, ელენე! ელენე. ო, გალუს, ჩვენი სასოების მზე ამობრწყინდა!

გალუსი. არც კი მჭერა. ნეტა ვის უნდა ვუმაღლოდე?

ელენე. სსუ!

გალუსი. შენ, ძვირფასო! შენ თუ არა, მაშ, ვის?

ელენე. მემნონის ლაკედემონურ ქოთაკს.

გალუსი. ვის?

ელენე. მემნონის ქოთაკს-მეთქი... ამას წინათ, იულიანემ წიხლი ამოჰკრა, ჰოდა, აი, შურისძიებამაც არ დაახანა.

კონსტანციუსი (ღედოფალს). რას გაჩუმებულხარ, ევსებია?

ევსებია (ჩუმად, ცრემლს იწმენდს). ო, კონსტანციუს... ვისზე შეაჩერე შენი არჩევანი?

კონსტანციუსი. თერთმეტი აჩრდილი მოითხოვდა ამას.

ევსებია. ვაი ჩვენი ბრალი! შენ გგონია, ეს დაამშვიდებთ?

კონსტანციუსი (ყვირის). ეჭვი, მუსიკა! რას გაჩუმებულან ეს გაიძვერები? დაუკარიოთ! დაუკარიოთ-მეთქი!

იულიანეს გარდა ყველა მარცხნივ მიემართება. ბუჩქებიდან გამოდის აგათონი.

იულიანე. გალუსი მისი მემკვიდრეა! მე კი თავისუფალი ვარ, თავისუფალი!

აგათონი. რა გასაოცრად მართლდება განგების ნება!

იულიანე. გაიგონე, რაც აქ მოხდა?

აგათონი, დიახ, ყველაფერი მესმოდა...

იულიანე. მაშ, ასე, აგათონ, ხვალვე ათენისაკენ გაეწევე.

აგათონი. ათენისაკენ?.. აკი პერგამოსშიო?

იულიანე. სსუ!.. არ იცი?.. ცბიერები უნდა ვიყოთ, როგორც გველები, თავდაპირველად — პერგამოსში, იქიდან კი — ათენში!..

აგათონი. მშვიდობით, ჩემო მეგობარო და მბრძანებელო.

იულიანე. ჩემთან ხომ არ წამოხვალ. აგათონ?

აგათონი. არ შემიძლია; შინ უნდა დავბრუნდე. პატარა ძმა მყავს სარჩენი.

იულიანე (ბალუსტრადასთან). აი, მათ უკვე აფრა აღმართეს. ბედნიერ მგზავრობას გისურვებ, ფრთოსანო ლომო! მალე აქილევსიც უკან მოგყვება... (ყრდ წამოიყვირებს). ა!

აგათონი. რა მოხდა?

იულიანე. ვარსკვლავი ჩამოვარდა.

მორე მოქმედება

ათენი. პორტიკებითა და კოლონადებით გარშემორტყმული და ქანდაკებებითა და შადრვენით შემკული მოედანი. მოედნის მარცხენა კუთხეს ვიწრო ქუჩა ემიჭნება. მზის ჩასვლის დროა.

ბასილი კესარიელი, მოხდენილი გარეგნობის ყმაწვილი კაცი, მოედნის კუთხეში მიმჭდარა და წიგნს კითხულობს. უმაღლესი ფილოსოფიური სკოლის სხვა მოწაფეები, მათ შორის, გრიგოლ ნაზიანზელიც, ჩვეუ-ჩვეუად სეირნობენ სვეტებს შორის. ხალხის ბრბო ღრიანცელით გადასკრის მოედანს და ხელმარჩენივ მიემუქრება. შორიდან ყვირილი ისმის.

ბასილი (კითხვას თავს ანებებს). რას მოასწავებს ეს ველური ყიჟინი? **გრიგოლი**. ხომალდი ჩამოვიდა ეფესიდან.

ბასილი. ახალი მოწაფეები ჩამოიყვანა?

გრიგოლი. დიახ.

ბასილი (დგება). ესე იგი, ამაღამ ღრეობა იქნება. წავიდეთ, გრიგოლ, გავეცალოთ ამ უხამს სანახაობას.

გრიგოლი (მარცხნივ ანიშნებს). შენი აზრით, ეს უფრო სასიამოვნო სანახაურია?

ბასილი. იულიანე... სახელაუწილი... ვარდების გვირგვინით შუბ-ლშემკული...

გრიგოლი. თან ლოთი-ფოთების მთელი ჯგრო ახლავს. შეხედე რა გამოთაყვანებული თვალები აქვთ. ყური მიუგდე, თუ გაარჩევ მათ უთავბოლო ლულლულს. მთელი დღე ლიკონის დუქანში ეყარნენ და ენას ძლივს იბრუნებენ პირში.

ბასილი. მათ შორის ბევრი ჩვენგანია, გრიგოლ, ბევრი ქრისტიანი...

გრიგოლი. ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები. აკი ქრისტიანად თელიდა თავს ლამპონიც, ზეთით მოვაჭრე ზენონის ქალიშვილს რომ ახადა ნამუსი. ისევე როგორც ილარიონ აგრიგენტელი და მისი ორი სხვა ამუსონიც, რომლებმაც ისეთი უგვანი საქმე ჩაიდინეს, რომ თქმაც კი მკრეხელობაა!..

იულიანეს ხმა (მოედნის მარცხენა კუთხიდან მოისმის). ეპეი, თქვენ, კაპადოკიელი კასტორ და პოლექს!

ბასილი. დაგვინახა! მე წავედი. როცა ასე გამტყვერალია, ვერ ვიტან.

გრიგოლი. მე კი დავრჩები; სწორედ ახლა სკირდება მეგობარი.

ბასილი ხელმარჩენივ გადის, იმავე წამს, ვიწრო ქუჩიდან, სხვა მოწაფეების თანხლებით, გამოდის იულიანე. თმა აბურძგვია, მხრებზე, დანარჩენების მსგავსად მოკლე მოსასხამი მოუსხამს. მის თანმხლებთა შორისაა სალუსტიუს პერუზიელიც.

მოწაფეები (ყვირიან). დიდება ათენის მნათობს! დიდება სიბრძნისა და მქვერმეტყველების მეგობარს!

იულიანე. სულ ტყუილად მელაქუცებით! ერთ სტრიქონსაც ველარ ელირსებით ჩემგან!

ხალუსტიუსი. როცა ჩვენი ბელადი დუმს, ყველაფერი ცარიელდება და უდაბური ხდება, როგორც ქუჩა, ჭერ კიდევ დილაუთენია, ღამეული ღრეობის შემდეგ.

იულიანე. თუ გართობაა, რალაც ახალი უნდა მოვიგონოთ. მოდიოთ, მსაჯულობანა ვითამაშოთ!

ბრბო. დიახ. დიახ! მთავარი იულიანე მსაჯული იყოს!

იულიანე. შორს ჩვენგან მთავრები, მეგობრებო...

ხალუსტიუსი. მსაჯულის სავარძელზე დაბრძანდი, შეუდარებელო!

იულიანე. მსაჯულობა რა ჩემი საქმეა? აი, ვინ გვეკირდება! ვინ შეედრება კანონებისა და სჯულის ცოდნაში გრიგოლ ნაზიანზელს?

ხალუსტიუსი. მართალია!

იულიანე. მაშ, მსაჯულად დაგვიდექ, ბრძენო გრიგოლ, მე კი მოპასუხე ვიქნები.

გრიგოლი. გვედრები, მეგობარო, თავი გამანებე.

იულიანე. მსაჯულის კათედრაზე, მსაჯულის კათედრაზე-მეთქი! აი, ასე! დაბრძანდი! (დანარჩენებს). მაინც რაში მელდება ბრალი?

ხმები. რაში? შენ თვითონ ამოირჩიე!

ხალუსტიუსი. თუ შეიძლება, რალაც გალილეური, როგორც ჩვენ, უღმერთონი, ვამბობთ ხოლმე.

იულიანე. კეთილი, იყოს რალაც გალილეური... ჰო, მოვიგონე: მე გადავწყვიტე, გადასახადი აღარ ვუხადო იმპერატორს.

ხმები. ჰა-ჰა-ჰა! დიდებულია, დიდებული!

იულიანე. და, აი, ხელებშეკრული, კინწისკვრით მიმართიეს სამსჯავროში...

ხალუსტიუსი (გრიგოლს). ბრმა მსაჯულო, მე მართლმსაჯულების სიბრძავეს ვგულისხმობ, — შეხედე ამ თავხედს: მან გადაწყვიტა. გადასახადი აღარ უხადოს იმპერატორს.

იულიანე. ნება მიბოძე, ორიოდ სიტყვა მეც დაეავდო სასწორის პინაზე: მე ბერძენი მოქალაქე ვარ, რამდენი უნდა უხადოს ბერძენმა მოქალაქემ იმპერატორს?

გრიგოლი. იმდენი, რამდენსაც იმპერატორი მოითხოვს.

იულიანე. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მაინც რამდენი? მოპასუხე, თითქოს იმპერატორი თავად ესწრებოდეს სამსჯავროს, — რისი მოთხოვნის უფლება აქვს იმპერატორს?

გრიგოლი. ყველაფრის.

იულიანე. აი, პასუხიც ამასა ჰქვია!.. თითქოს იმპერატორი ჩვენს გვერდით იყოს! მაგრამ, აი, სად მარხია ძალღის თავი! საღმრთო წერილი ბრძანებს: „მიაგე კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა!“

გრიგოლი. მერე რა?

იულიანე. ერთი ეს მითხარი, ბრძენო მსაჯულო, მთელი ჩემი ავლადიდებიდან მაინც რა ეკუთვნის ღმერთს?

გრიგოლი. ყველაფერი.

იულიანე. კი მაგრამ, იქიდან, რაც ღმერთს ეკუთვნის, რამდენი შემოძლია მიეცე კეისარს?

გრიგოლი. მეგობრებო, შეეწყვიტოთ ეს თამაში.

მოწაფეები (სიცილ-ხარხარით). არა, არა, უპასუხე!

იულიანე. მაშ, ასე, ღმერთის კუთვნილიდან რამდენის მოთხოვნას გაბედავს კეისარი?

გრიგოლი. გიპასუხებთ. ეს იმპერატორის გმობაცაა და ღმერთის-მგმობლობაც. გამატარეთ!

ხმები. არ გაუშვათ!

იულიანე. ფეხსაც ვერ მოიცვლი!.. როგორ? უბადრუკო მსაჯულო, იმპერატორის საქმე წააგე და ახლა პასუხისათვის თავის არიდებას, გაქცევას ცდილობ? კი, მაგრამ, მაინც სად გარბინარ? სკითებთან? მომიახლოვდი!.. მიპასუხეთ, იმპერატორისა და სიბრძნის მომავალ მსახურნო: ხომ აპირებდა, იმპერატორის ძალაუფლებას გარიდებოდა?

მოწაფეები. დიახ, დიახ!

იულიანე. მერედა, რა სასჯელს იმსახურებს ამნაირი დანაშაულისათვის?

ხმები. სიკვდილს! ღვინით სავსე კასრში ჩაეახრჩოთ!

იულიანე. მოდით, კარგად აეწონ-დაეწონოთ და ისე განვსაჯოთ საქმე, თითქოს თვით იმპერატორი გვესწრებოდეს. სადაა იმპერატორის ძალაუფლების ზღვარი?

ხმები. იმპერატორის ძალაუფლება უსაზღვროა!

იულიანე. მეც ასე მგონია, მაგრამ განა შლეგი არ არის, მეგობრებო, ის, ვინც ცდილობს, გაქცევით დააღწიოს თავი უსაზღვროებას?

მოწაფეები. დიახ, დიახ, კაპადოკიელი შლეგია!

იულიანე. კი მაგრამ, რა არის სიშლეგე? როგორ განმარტავდნენ ამ მღვთმარებობას ჩვენი წინაპრები? რას გეასწავლიდნენ ეგვიპტელი ქურუმები? რას გვეუბნებიან მისტიკოსი მაქსიმე და სხვა აღმოსავლელი ბრძენ-მოძღვარნი? ისინი გვეუბნებიან, რომ სიშლეგის წყალობით, ცათა იღუმალი, ფარული სიბრძნე საცნაური ხდება ჩვენთვის. ამრიგად, იმპერატორის წინააღმდეგ რომ აღიძვრის, ეს ჩვენი გრიგოლი ციურ ძალთა მოდასედ გვევლინება!.. მაშ, ღვინო დაუსხით კაპადოკიელს, დიდება ჩვენს ღიდ გრიგოლს!.. ძეგლი უნდა ავეუგოთ მის სიბრძნეს, ძეგლი!

მოწაფეები (სიცილ-ხარხარითა და მხიარული ყიყინით). დიდება კაპადოკიელს! დიდება მის მსჯავრს!

სოფისტი ლიბანიოსი მოწაფეების თანხლებით გადმოსქრის მოედანს.

ლიბანიოსი. ოჰო! როგორც ჩანს, ჩემი ძმა იულიანე უკვე სახალხოდ ქადაგებს სიბრძნეს!

იულიანე. უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი — სიშლეგეს-თქო!..
სიბრძნეს აქ რა უნდა?

ლიბანიოსი. როგორ თუ რა უნდა?

იულიანე. როგორ და, ჭერ თუ არ გადასახლებულა, უკვე აპირებს
გადასახლებას. აკი შენც პირეოსში მიგეჩქარება? ხომ მარ-
თაღს ვამბობ?

ლიბანიოსი. მე, ძმაო, ჩემო? პირეოსში რა მესაქმება?

იულიანე. ესე იგი, სიბრძნის მოძღვართა შორის მხოლოდ
ლიბანიოსმა არ იცის, რომ ეს-ესაა ხომალდი ჩამოვიდა
ევესიდან.

ლიბანიოსი. ან ამ ხომალდთან რა მესაქმება, ჩემო ძვირფასო?

იულიანე. იცოდე, ცოდნის ნერგებითაა დატვირთული...

ლიბანიოსი (ზიზლით). ევესური ცოდნის ნერგებით...

იულიანე. განა ოქრო ყველგან თანაბრად არ იწონის, ევესშიაც
და ათენშიაც?

ლიბანიოსი. ოქროო?.. ჰა-ჰა-ჰა! ნუ გეშინია, ოქროს ნერგებს
მაქსიმე ხელიდან არ გაუშვებს... ვინ, რა ხალხი ჩამოდის
სასწავლებლად ევესიდან? ვაქრების უტვინო მემკვიდრეები,
ხელოსნების მუტრუჟი შვილები. ოქროო, შენ ამბობ, იული-
ანე? მაგრამ, აბა, ერთი მეც მკითხე; სად ჯანდაბაშია ოქრო?
თუმცა მე ვერ შემაკრთობს ოქროს უქონლობა და ბაჯალო
ოქროს ცინცხალ მონეტებს მოვკერი თქვენდა სახმარად, ჩემო
ახალგაზრდა მეგობრებო. ან იქნებ, არ შეიძლება, სრულფა-
სოვან ოქროს მონეტას შევადაროთ ცხოვრებაში ეგზომ
საქირო ცოდნა, როცა ის კეთილგონივრული და მომხიბლავი
ფორმითაა გადმოცემული? თუ თქვენც ამავე აზრისა ხართ,
მაშინ მისმინეთ. წელან აქ ითქვა, რომ ზოგ-ზოგიერთმა უკვე
მიაშურა პირეოსს. ვინ არიან ეს სულწასულნი? ღმერთმა
დამიფაროს იმისგან, რომ მათი სახელების ჩამოთვლას მოვუყვე,
მაგრამ თვითონ კი ფილოსოფოსებსა და სიბრძნის მასწავ-
ლებლებს უწოდებენ თავიანთ თავს. მაშ, აზრით გადავიდეთ
პირეოსში! რა ხდება იქ ახლა, როცა მე აქ, თქვენს შორის
ვდგავარ, ყურადღებად ქცეულ მოწაფეთა და თანამოაზრეთა
მეგობრულ წრეში? ხალხს, რომელიც სიბრძნის მეგობრებად
და მასწავლებლებად ასალებს თავს, ნავსადგურში მოუყრია
თავი, არის ერთი ყვირილი, ჯგლეთა და შეხლა-შემოხლა,
იგინებიან და მუჭლუგუნებით უმასპინძლებიან ერთმანეთს,
ალარც სინიდისი ახსოვს ვინმეს, ალარც ზრდილობა და
წესიერება. და მერე რისი გულისთვის? იქნებ სხვებს
დავასწროთ, უკეთ ჩაცმული ახალგაზრდები ჩაევიდოთ ხელში
და ამ ნანატრი ნადავლით დავბრუნდეთ შინ, რათა შემდეგ
უფრო მეტი ფული დავციცლოთ მათ შრომლებსაო... ვაი
სირცხვილო!.. რა მწარე სინანული და იმედგაცრუება ელით,
როცა სულ მალე დარწმუნდებიან, რომ ამ ჭაბუკების სწავლის
საფასური ჰა-ჰა-ჰა! მათ გასამასპინძლებლად გამართული
ნადიმის ხარკებსაც კი ვერ დაფარავს. მაშ, დაიხსომეთ,

ქაბუკებო, გაკვეთილად გამოგადგებათ, რაოდენ ბლაღავს ფილოსოფოსის ღირსებას და რა მწირია საზღაური ყველა იმ საუნჯის მოხვეჭისა და ხელში ჩაგდებას სურვილისა, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ქვემარტებასთან.

იულიანე. ო, ლიბანიოს, თვალდახუკულმა რომ გისმინოს, ღმერთმანი, შეიძლება იფიქროს კაცმა, ნამდვილად სიზმარში ვარ და აგერ, ჩვენს შორის მკვდრეთით აღმდგარ დიოგენესა ვხედავო.

ლიბანიოსი. შენი ბაგენი მეფურად უხენი და უშურველნი არიან, ჩემო ძვირფასო.

იულიანე. არ დაიჭრო... მაგრამ, რა ვქნა, მაინც უნდა გაგაწყვეტინო სიტყვა. ამჭერად ერთ-ერთ მენს თანამომძმეს ნამდვილად აღარ მოუწევს იწენიოს იმედგაცრუების მთელი სიმწარე.

ლიბანიოსი. ჩემი ძვირფასი მეგობარი ხუმრობის გუნებაზეა.

იულიანე. შენს მეგობარს შეუძლია დაგარწმუნოს, რომ ხომალდს მეფისნაცვალ მილონის ორი ვაჟიშვილი ჩამოაყვია.

ლიბანიოსი (ხელს სტაცებს). რას ამბობ?

იულიანე. დიოგენეს იმ მიმდევარს, რომელიც ამ ქაბუკებს ჩაიგდებს ხელში, სამათხოვროდ აღარ ექნება საქმე.

ლიბანიოსი. მეფისნაცვალ მილონის ვაჟიშვილები? იმ კეთილშობილი მილონისა, იმპერატორს შვიდი სპარსული ულაყი და თვალ-მარგალიტით მოოკვილი უნაგირი რომ მიაართვა ძღვნად?..

იულიანე. ბევრის აზრით, მილონს შეეძლო უფრო მდიდრული ძღვენიც გამოეგზავნა.

ლიბანიოსი. მართალია, მართალი. მილონს უნდა გამოეგზავნა ლექსები, დახვეწილი ხელოვნებით შეთხზული სიტყვა ან ეპისტოლე. მეფისნაცვალ მალაღნიჭიერი კაცია, მთელი მისი საგვარეულო ნიჭიერია.

იულიანე. განსაკუთრებით ეს ორი ქაბუკი.

ლიბანიოსი. უყოყმანოდ ვიზიარებ შენს აზრს. ღმერთებო, თქვენ შეეწიეთ, რომ მამის გულუხვობისა და კეთილმოწყალების სანაცვლოდ, კარგ ხელში მოხვდნენ! მართალი ხარ, რას გერჩი, იულიანე: ხომალდს ბაჭალო ოქრო ჩამოუტანია ეფესიდან. მაგრამ შე რა ვქნა, რა მომასვენებს? ამ ქაბუკების კეთილდღეობა ხუმრობა საქმე როდია, და ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ხელში მოხვდებიან თავდაპირველად. ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, თუ თქვენც ამავე აზრისა ხართ, გზისმაჩვენებელი ხელი გაუწოდოთ ამ ორ უცხოელს, ეუშველოთ იმაში, რომ რაც შეიძლება უკეთესი მასწავლებელი ამოირჩიონ, უკეთ დაბინავენ და...

სალუსტიუსი. მე მზადა ვარ!

მოწაფეები. პირეოსში! პირეოსში!

სალუსტიუსი. ტახებივით ვიბრძოლებთ მილონის ვაჟიშვილების გულისთვის.

იულიანესა და გრიგოლის გარდა ყველა მარჯვნივ მიემართება.

იულიანე (მზერით აცილებს მიმავალთ). შეხედე, ფანების ჯოგით არ აკუნტრუშდნენ? წინასწარ ყლაპავენ ნერწყვს გემრიელი ვახშმის მოლოდინში. (გრიგოლს მიუბრუნდება). თუკი ახლა საერთოდ შეუძლიათ ლოცვა, მხოლოდ იმას შესთხოვენ ღმერთს, კარგად დაგვიცარიელე მუსკლები, რათა ხვალ დილით, საუზმეზედაც მაგრად ამოვიყროთო.

გრიგოლი. იულიანე...

იულიანე. კარგად დამაკვირდი, — ფხიზელი ვარ.

გრიგოლი. ვიცი. ზომიერება არ გაკლია და მაინც მათსავით ცხოვრობ.

იულიანე. რატომაც არა. განა მე და შენ ვიცი, როდის იქუხებს, როდის დაგვეცემა მენი? მაშ, რატომაც არ უნდა დავტკბეთ ამ მზიანი დღის ბრწყინვალეობით? არ დაგაიწყდეს, რომ მთელი ჩემი სიყრმე და სიკაბუჯე ოქროთი მოვარაყებულ გალიაში გაეატარე, დამნაშავე მონასავით გამომწყვდეულმა. ჰოდა, ჩვეულებად, მეტიც, მოთხოვნილებად მექცა იმის მოლოდინი, თუ როდის დამსჯიან, შემრისხავენ, შემაჩვენებენ. ან ჩემს ახლანდელ მდგომარეობას აღარ იკითხავენ?.. იმპერატორის ეს სამარისებური სიჩუმე... ეს საბედისწერო დუმილი... პერგამოსი მისი ნებართვის გარეშე დავტოვე; იმპერატორს ხმა არ ამოუღია. თვითნებურად გავემგზავრე ნიკომედიაში; ერთხანს იქ ვცხოვრობდი და ნიკოკლესთან და სხვებთან ვსწავლობდი; იმპერატორმა არც ეს შეიმჩნია; ათენში ჩამოვედი და ლიბანიოსს დავუახლოვედი, რომელთანაც ყოველგვარი ურთიერთობა სასტიკად ამიკრძალა, — იმპერატორი კი დღემდე დუმს. რა ახსნა მოუქებნო ამას?

გრიგოლი. ყველაფერს სიყვარულის თვალთ შეხედე, იულიანე.

იულიანე. ეჰ, შენ რა იცი?.. მე მძულს, მეზიზღება ეს გარეგანი ძალა, საშინელი, როცა მოქმედებს და კიდევ უფრო საშინელი, როცა უქმდება.

გრიგოლი. გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, ჩემო მეგობარო: მხოლოდ ეს იყო მიზეზი, რამაც ამ უცნაურ გზაზე დაგაყენა?

იულიანე. რას უწოდებ შენ უცნაურ გზას?

გრიგოლი. შენზე ამბობენ, დამღამობით ელევსინის წარმართულ მისტერებსა სწავლობსო; მართალია თუ არა ეს?

იულიანე. მოცლილი ხალხის ყბელობაა! მენდე, ბერს ვერაფერს გამოიტან ენიგმებს დახარბებულ ამ მეოცნებეთა ზმანებებიდან. ასე, რომ, მოვეშვათ ამას.

გრიგოლი. ესე იგი, მაინც მართალია! ეჰ, იულიანე, იულიანე, რა შენი საკადრისია ეს უგვანი ქცევა?

იულიანე. მე მინდა ვიცხოვრო, გრიგოლ, ხოლო აქ ცხოვრება, სიბრძნის ამ სკოლაში ყოფნა, ცხოვრებად არ მიმაჩნია. ოჰ, ეს ლიბანიოსი... ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, რომ ოდესღაც ასე გულმხურვალედ მიყვარდა და თავყანს ვცემდი.

თავდაპირველად, ცხროიანივით ვცახცახებდი ამ კაცის წინაშე და ლამის ლმერთის დარად ვსახავდი! ხელებს ვუჯოცნიდი და ჩემს დიდ ძმას ვუწოდებდი მას!

გრიგოლი. დიახ, ყველა ქრისტიანი იმ აზრისა იყო, რომ შენ ნამეტანს აქარბებდი.

იულიანე. აქ რომ ჩამოვედი, ალტაცებისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, წინასწარ ვგარძნობდი, რა უღმობელი ბრძოლა უნდა გამართულიყო ჩვენ ორს შორის, საერო და საღმრთო ქვეშაობებს შორის... მერედა, რა გამოვიდა? ლიბანიოსს სერიოზულად არც არასდროს მოუნდომებია ამ ბრძოლის გამართვა; მეტიც, საერთოდ არა სურს არავითარი ბრძოლა. მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს, — პირადი გამორჩენა. პირდაპირ გეტყვი, გრიგოლ, ლიბანიოსი სულაც არ არის დიდი კაცი.

გრიგოლი. რა ვიცი, მთელი განათლებული საბერძნეთი კი მის სიდიადეს გაპყვირის.

იულიანე. და მაინც, კვლავ გიმეორებ, დიდი კაცი არ არის-მეთქი. მე მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ ვიგარძენი მისი სიდიადე: იმ ღამეს, კონსტანტინოპოლში, ლიბანიოსს არნახული უსამართლობა დაატყდა თავს, და მისი სული სავეს იყო საღმრთო რისხვით. მაგრამ აქ? რაღასი მოწმე არა იყოფილვარ! ლიბანიოსი დიდი სწავლულია, მაგრამ არა დიდი ადამიანი. ხარბია, პატივმოყვარე, შურით გულამოკმული. შენ გგონია, შეურიგდებოდა იმ დიდებს, რომელიც, რა თქმა უნდა, უპირატესად ჩემი კეთილმოსურნე მეგობრების წყალობით, — შეიძლება წილად მხედომოდა? მიდი ლიბანიოსთან, ყველა სიქველეს და მათ ნიშნებს დაწვრილებით ჩამოგიტვლის; ყველა სათითაოდ აქვს აღწერსული, როგორც წიგნები — თავის წიგნთსაცავში. მაგრამ ერთ სიქველეში მაინც თუ იწვრთნის და იწაფავს თავს? შეესაბამება თუ არა მისი ცხოვრება მისსავ მოძღვრებას? ლიბანიოსი — სოკრატესა და პლატონის მიმდევარი... ჰა-ჰა-ჰა! განა თვით თავისი განადევნის დღემდე არ ეპირფერებოდა იმპერატორს? განა ასევე არ მეპირფერებოდა მეც, კონსტანტინოპოლში ჩვენი შეხვედრისას? შემდეგ კი ასე უგერგილოდ ცდილობდა გაემასხარებინა და სასაცილო სახით წარმოედგინა იგივე შეხვედრა. ახლა ის წერილს წერილზე უგზავნის გალუსს, ცეზარ გალუსს, იმპერატორის მემკვიდრეს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს სპარსელებთან ომში, თუმცა დღემდე ეს წარმატებები საკმაოდ უბადრუკი იყო; დიახ, წერილს წერილზე უგზავნის, მიუხედავად იმისა, რომ ცეზარი არც დიდი განსწავლულობით გამოირჩევა და არც მკვერამეტყველებით. და ამ ლიბანიოსს ბერძნები კვლავ ფილოსოფოსთა მეფედა თვლიან! არ უარყოფ, რომ ეს ჩემს აღშფოთებას იწვევს. მართალი გითხრა, მაინც მეგონა, რომ ბერძნებს შეეძლოთ უფრო ღირსეულ კაცზე შეეჩერებინათ თავიანთი არჩევანი, ცოტა მეტი ყურადღებით რომ დაჰკვირვებოდნენ სიბრძნისა და მკვერამეტყვე-

ლების თაყვანისმცემელთა და მსახურთ, რომლებიც ამ ბოლო დროს...

ბასილი (მარჯვენა მხრიდან შემოდის). წერილები! წერილები კაპადოკიიდან

გრიგოლი ჩემიც?

ბასილი. აი, დედაშენის წერილი.

გრიგოლი. ჩემი ღვთისმოსავი დედა! (წერილს ხსნის და კითხულობს). იულიანე (ბასილს). შენი დის წერილია?

ბასილი (რომელსაც ხელში გახსნილი წერილი უჭირავს). დიახ, მაკრინესი. გაუგონარსა და ფრიად სამწუხარო ამბებს მაცნობებს.

იულიანე. მაინც?

ბასილი. უწინარეს ყოვლისა. საქმე ეხება შენს ძვირფას ძმას. ანტიოქიაში სასტიკი ხელით უჭირავს მმართველობის სადავენო.

იულიანე. დიახ, გალუსი მკაცრია... მაკრინე იწერება — სასტიკი ხელითო?

ბასილი (თვალს შეაღებს). სისხლიანითო, — ასე მწერს.

იულიანე. ა-ა! ასეც ვიცოდი! ნეტავი იმპერატორს იმ ხელიდან წასულ ქვრივზე — კონსტანტაზე არ დაეჭორწინებინა!

გრიგოლი (კითხულობს). ამაზე დიდი ბოროტება იქნება?

იულიანე. რა მოხდა, ძმაო?

გრიგოლი (ბასილს). მაკრინე არაფერს იწერება, რა ხდება ანტიოქიაში?

ბასილი. გარკვევით — არაფერს. მაინც რა ამბავია, — რატომ გაფითრდი?

გრიგოლი. შენ ხომ იცნობდი კლეონ ალექსანდრიელს? რა კეთილშობილი კაცი იყო...

ბასილი. როგორ არა... რა მოუვიდა?

გრიგოლი. მოაშთეს, ბასილ!

ბასილი. მოაშთეს?... რას მეუბნები?

გრიგოლი. მე გეუბნები — მოაშთეს-მეთქი! განუსჯელად და განუკითხავად!

იულიანე. კი მაგრამ, ვინ?

გრიგოლი. ვინ, ვინ? როგორ გითხრა — ვინ? დედაჩემი მწერს: კლეონის ავხორც სიდედრს სიძის სიყვარული ჩაუვარდა გულში, მაგრამ რაკი ვერ იქნა და საწადელს ვერ ეწია, უკანა კარით შეიპარა სასახლეშიო...

იულიანე. რომელ სასახლეში?

გრიგოლი. დედაჩემი მხოლოდ ერთი სიტყვითა მწერს, — სასახლეშიო.

იულიანე. მერე?

გრიგოლი. მხოლოდ ის იციან, რომ იქ ერთი ფრიად გავლენიანი ქალბატონისათვის უძვირფასესი სამკაული მიუერთმევია, რათა სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ მისი სიძისთვის...

იულიანე. კი მაგრამ, თავისას ხომ ვერ მიაღწია?

გრიგოლი. არა, მიაღწია, იულიანე.

იულიანე. ო, იესო!

ბასილი. ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას!.. მერე კლეონი?..

გრიგოლი. სასიკვდილო განაჩენი ჰონორატუსს გადაუგზავნეს. ამ სუსტი ნებისყოფის კაცმა ვერ შესძლო ურჩობა გაეწია ზემოდან მიღებული ბრძანებისათვის. კლეონი დილეგში ჩააგდეს და მერე დღეს, დილაუთენია, სიკვდილით დასაჯეს, ისე, რომ ერთი სიტყვაც არ ათქმევინეს თავის გასამართლებლადო, — ასე მწერს დედაჩემი.

იულიანე (გაფითრებული, ხმადაბლა). დაწვით ეს საშინელი წერილები! დაწვით, თორემ ყველანი დავიღუპებით!

ბასილი. ასე აშკარა ძალადობა და, თანაც, ამხელა ქალაქში. ვაი ჩვენი ბრალი! სად ვცხოვრობთ, სად?

იულიანე. დიახ, თქვენ უფლება გაქვთ იკითხოთ, სად ვცხოვრობთო! ქრისტიანი — მკვლელი, ქრისტეს მხევალი — მძეავი, ქრისტიანი...

გრიგოლი. ტირილი და თავში ცემა ვერას გვიშველის. თქვი, რას აპირებ?

იულიანე. მე?.. ჩემი ფეხი აღარ იქნება ელევსინში, ახლოს აღარ გავეკარები წარმართებს და გულმხურვალე მადლს შეეწირავ უფალ ღმერთს ჩემსას, რომ ძალაუფლების საცთურისაგან დამიხსნა.

გრიგოლი. კეთილი და პატიოსანი... კი მაგრამ, მერე?

იულიანე. არ მესმის შენი...

გრიგოლი. მაშ, მომისმინე... ხომ არ გგონია, რომ კლეონის მკვლევლობით დამთავრდა ყველაფერი! ეს გაუგონარი და სამარცხვინო ბოროტმოქმედება შავი ჭირით მოედო მთელს ანტიოქიას. თავი წამოყო ყოველივე ბოროტმა და უკეთურმა და თავისი სოროებიდან გამოცოცდა, ბუნაგებიდან გამოძვრა. დედაჩემი მწერს, თითქოს სიბილწის საზარელმა უფსკრულმა დაალო ხახა ჩვენს წინაშეო. ცოლები ქმრებს ასმენენ, შვილები მამებს ყიდიან, სამღვდელონი — თავიანთ სამწყსოს.

იულიანე. არც ამით დამთავრდება საქმე. სიბილწე ყველას მოგვედება და ყველას გაგვხრწნის, გრიგოლ... სად გავიქცე, სად გადავიქარგო?

გრიგოლი. შენი ადგილი სამყაროს კიპზეა, იულიანე!

იულიანე. რას მოითხოვ ჩემგან?

გრიგოლი. შენა ხარ ამ სისხლისმსმელი ცეზარის ძმა, აღსდექ და ამხილე, აკი ქრისტიანად ასალებს თავს. სახეში მიახალე მისი სისხლიანი საქმენი, დაეც. დაამხე, ტალახსა და მტკვერში ათრიე, სინიდისის ქენჯნას მიეც საჯიჯნად!

იულიანე (შეძრწუნებული უკან იხეხს). ხომ არ გაგიჟდი? რა განგიზრახავს?

გრიგოლი. გიყვარს შენი ძმა? გინდა, რომ იხსნა?

იულიანე. მიყვარს. ამქვეყნად მისი ფასი არავენ მყავდა!

გრიგოლი. გყავდა?

იულიანე. დიახ, სანამ მხოლოდ ჩემი ძმა იყო, ახლა კი... ის ცეზარია! გრიგოლ... ბასილი... ჩემო ძვირფასო ძმებო. მეშინია, ვძრწი და ვკანკალებ... ცეზარ გალუსის წინაშე ვკანკალებ, გესმით? როგორ გავებდავ, რომ წინ აღვუდგე, როცა თვით ჩემი არსებობაც კი ბუქარად უჩანს?

გრიგოლი. რისთვის ჩამოხვედი ათენში? აკი მთელ ქვეყანას ბუქ-ნალარით ამცნე, უფლისწული იულიანე კონსტანტინო-პოლს ტოვებს ცრუ რწმენასთან საბრძოლველად და წარმართული სიბილწისაგან ქრისტიანული ქვეშაპირების დასაცავად! მერედა, ასე იცავ ჩვენს რწმენას?

იულიანე. კი მაგრამ, აქ როდი უნდა გაიმართოს ბრძოლა.

გრიგოლი. დიახ, აქ არა... არც ენა უნდა აღიძვას ენის წინააღმდეგ, არც წიგნი — წიგნის წინააღმდეგ, და ვერც მქვერმეტყველების სკოლაში სიტყვების თამაშით უშველი საქმეს! არა, იულიანე, შენ აღჭურვილი უნდა გამოხვიდე ცხოვრების ასპარეზზე საბრძოლველად, და თუ საჭირო შეიქნა, თავიც დასდო!

იულიანე. მესმის, მესმის!

გრიგოლი. კი მაგრამ, ლიბანიოსით გესმის! აკი დასცინი: ყველა სიქველეს სათითაოდ ჩამოგითვლის, მათ ნიშან-თვისებებს წვრილ-წვრილად ჩამოგიმარცვლავს. მაგრამ მისი სიტყვა სხვაა და საქმე, კი სხვაო!.. ის, რაც შენია, ღმერთისაცაა? მაინც რამდენი ეკუთვნის ღმერთს? რამდენი შეიძლება მოითხოვოს იმპერატორმა?

იულიანე. აკი შენ თვითონვე თქვი, ეს გმობააო?..

გრიგოლი. კი მაგრამ, ვისი? ღვთისა თუ იმპერატორისა?

იულიანე (სწრაფად). კეთილი, მაშ, ერთად მივიღივართ?

გრიგოლი (თავს აჩილებს). მე ჩემი ვიწრო ასპარეზი მაქვს: ახლობლებზე უნდა ვიზრუნო. ამის მეტს ვერც ჩემი ძალა გასწვდება და ვერც უნარი.

იულიანე (პასუხის გაცემას აპირებს, მაგრამ უცებ მარჯვნივ შებრუნდება, რალაცას მიაყურადებს და წაპოიძახებს). ბაკქანალია!

ბასილი. იულიანე!

იულიანე. ბაკქანალია, მეგობრებო, ბაკქანალია!

გრიგოლი ერთხანს უყურებს, მერე კი ხელმარცხნივ მიდის და სვეტებს შორის უჩინარდება. მარჯვენა მხრიდან კი მოედანზე გამაყრუებელი ყივინით შემოიჭრება მოწაფეების ბრბო; მათ შორის ახლად ჩამოსულებიც არიან.

ბასილი (იულიანეს უახლოვდება). მომისმინე, იულიანე...

იულიანე. შეხედე, შეხედე, თავიანთი ახალი მეგობრები აბანოში წაუყვანიათ... ზეთით დაუზელიათ თმები... ხედავ, როგორ იქნევენ და ქვაფენილს უბაგუნებენ ჯოხებს?.. რას იტყვი, პერიკლე? მე მეჩვენება შენი მრისხანე ლანდი...

ბასილი. წავიდეთ, წავიდეთ.

იულიანე. შეხედე იმ კაცს, ტიტლიკანა რომ მოათრევენ. აგერ, მოცეკვავე ქალებიც! ხედავ?...
ბასილი. ფუჰ, ფუჰ! ნუ უყურებ!.. დასწყევლოს ღმერთმა!

ამასობაში კიდევ ლამდება. ბრბო მოედანზე, შადრევნის ირგვლივ ქუჩდება. მოაქვთ ღვინო და ხილი. მორთულ-მოკაზმული ქალიშვილები ჩირაღდნების შუქზე სკვავენ.

იულიანე (ხანმოკლე ღმობიის შემდეგ). მითხარი, ბასილი, რატომ იყო წარმართული ცოდვა ესოდენ მშვენიერი?

ბასილი. სცდები, მეგობარო, მასზე მშვენიერი სიმღერები და თქმულებები შეთხზეს, თვით წარმართული ცოდვა კი არ ყოფილა მშვენიერი.

იულიანე. რას მეუბნები? განა მშვენიერი არ იყო ალკიბიადე, როცა ღვინით გახელებული, ჰაბუკი ღმერთის მსგავსად, ღამ-ღამობით გრიგალივით დაუვლიდა ათენის ქუჩებს? განა მშვენიერი არ იყო მისი სიმამაგე, როცა თავხედურად მუსრავდა ჰერმებს? როცა კარზე უბრაახუნებდა მოქალაქეებს და ყვირილით იწვევდა ქუჩაში მათ ცოლებს და ქალიშვილებს, ფერმიხდილები რომ მიყუყულიყვნენ კუთხეში, მაგრამ გულში მაინც მხოლოდ ერთსა ნატრობდნენ?

ბასილი. ო, გვევდრები, მომისმინე!.. აი, რას გეტყვი...

იულიანე. განა მშვენიერი არ იყო ინახად მქდარი სოკრატე? ან პლატონი და სიხარულით მთერალი დანარჩენი მეინახენიც? ხოლო ამასთანავე სჩადიოდნენ ისეთ რამესაც, რომ თვით ამ ღორისშვილ ქრისტიანებსაც კი ყალუზე დაუდგებოდათ თმები და პირჯერისწერას მოჰყვებოდნენ. ღმერთო, ბოროტი გვა-შორეო. გაიხსენე ოიდიპოსი, მედეა, ლედა...

ბასილი. ყოველივე ეს მხოლოდ პოეზიაა. შენ ერთმანეთში ურევ პოეტურ გამონაგონს და სინამდვილეს.

იულიანე. კი მაგრამ, განა პოეტების მიერ გამოგონილი გმირები, მათი სული და ნება იმავე კანონებს და პირობითობებს არ ემორჩილებიან, რასაც ჰმორჩილებენ თვით უფლის მიერ ხატად თვისად შექმნილი კაცნი? მაგრამ ჩახედე ჩვენს საღმრთო წერილს, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმასაც. განა მშვენიერი იყო ცოდვა სოდომსა და გომორში? განა იაპვე ცეცხლით არ სჯიდა იმას, რის წინაშეც უკან არ იხევდა სოკრატე?... ო, ამ შმაგი ცხოვრების ფერხულში ჩაბმულს ხშირად მიფიქრია, ჭეშმარიტება მშვენიერების მტერი ხომ არ არის-მეთქი?

ბასილი. ქვეყანა იქცევა, შენ კი დამდგარხარ და მშვენიერებაზე ოხრავ. ან, იქნება დაგავიწყდა, რაც ახლახან მოისმინე?

იულიანე (ყურებს თითებით იცობს). ამ საშინელების გაგონებაც არ მინდა! ჩამოვიბერტყოთ ანტიოქიის მტკერი... ერთი ეს მითხარი, კიდევ რასა გწერს მაკრინე? წერილში კიდევ იყო რაღაცა... თუ არა ვცდები, ერთი ისეთი ამბავი ახსენე...

ბასილი. ყოვლად უჩვეულო ამბავი.

იულიანე. დიახ, დიახ, მაინც რა?..

ბასილი. ჩემი და მაქსიმე ეფესელზე მწერს...

იულიანე (სწრაფად). მისტიკოსზე?

ბასილი. დიახ, ამ იღუმალებით მოცულ კაცზე. ახლა თურმე კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე, ამჯერად — ეფესში და გარშემო ყველაფერი აამტუტა. ან ოინბაზია, ან უკეთური კავშირითაა მეკრული ბოროტ სულთან. თვით ქრისტიანებსაც კი ღმერთმა იცის როგორ და რატომ. — უცნაური ძალით იზიდავს თურმე მისი მისნობა და გრძნეულება.

იულიანე. მერე, მერე?.. გევედრები!..

ბასილი. წერილში მეტი არაფერია ნათქვამი. მაკრინე მხოლოდ დასძენს, მაქსიმეს დაბრუნება ლეთის რისხვის ნიშანიაო. მისი აზრით, სასტიკი გამოცდა მოგველის ჩვენი ცოდვებისათვის.

იულიანე. დიახ, დიახ!.. იცი რას გეტყვი, ბასილი, შენი და, უთუოდ, იშვიათი ქალია.

ბასილი. კეშმარიტად.

იულიანე. ყოველთვის, როცა მისი წერილების შინაარსს მაცნობ, მე წარმომიდგება რაღაც უჩვეულოდ მთლიანი, სავსე და სრული, რასაც დიდი ხანია ვნატრობ. მითხარი, კვლავინდებურად აპირებს ზურგი აქციოს ამ სოფელს და მონაზვნად აღიკვეცოს?

ბასილი. მისი გადაწყვეტილება ურყევია.

იულიანე. მართლა? კი მაგრამ, როგორც ეტყობა, ყოველი სიკეთითაა შემკული... ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი მემკვიდრე. ქალის კვალობაზე უჩვეულოდ განათლებული.. იცი, ბასილი, ერთი სული მაქვს, როდისა ვნახავ... რა უნდა უდაბნოში?

ბასილი. ხომ გითხარი, საქმრო დაეღუპა-მეთქი, მაგრამ მაკრინე მას მომავალ სიცოცხლეში თავის მეუღლედ სახავს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს მისი ზრახვაც, გულისთქმაც, სწრაფვაც, და რომელსც უმანკოდ უნდა წარუდგეს სულით და ხორციით.

იულიანე. უცნაურია, მაინც რამდენს იზიდავს ჩვენს დროში სიმარტოვე, უდაბნო, უდაბურება. თუ წერილს მისწერ, ნუ დაიზარებ და აცნობე, რომ მე...

ბასილი. უკვე იცის, იულიანე. მაგრამ არ სჯერა...

იულიანე. რატომ? რას იწერება?

ბასილი. გევედრები... ნუ მათქმევინებ...

იულიანე. თუ გიყვარვარ, ნუ დამიძალავ მის სიტყვებს.

ბასილი (წერილს უწვდის). რახან არ მეშვები, აი, აქედან წაიკითხე.

იულიანე (კითხულობს). „ყოველთვის, როცა შენს მეგობარზე, იმპერატორის ახალგაზრდა ნათესავზე მწერ, ისეთი სიხარულით მევსება გული...“ ო, ბასილი, იყავ ჩემი თვალი და შენ განაგრძე!

ბასილი (კითხულობს). „როცა წაეიკითხე, რა მიამიტური თვითრწმენით სავსე ჩამოვიდა ათენში, ჩემს თვალწინ გაცოცხლდა

ძველი აღთქმის ერთი სურათი. დიახ, მე მწამს, — ესაა ახალი დავითი, რომელმაც უნდა შემეუსროს წარმართობის გოლიათი. დე, სული ღმრთისა გადმოვიდეს მასზე, როგორც ამ ბრძოლაში, ისე მთელს მის სიცოცხლეშიც“.

იულიანე (ხელში სწვდება). საკმარისია!.. ისიც?.. თქვენ რა შეთქმულებივით ერთსა და იმავეს მოითხოვთ ჩემგან? განა ოდესმე აღვითქვით, ძალაუფლების ლომებს შევებრძოლები-მეთქი?

ბასილი. კი, მაგრამ რას ნიშნავს ეს უცნაური მოლოდინი? რატომაა, რომ ყველა მორწმუნე მხოლოდ შენ შემოგცქერის სასოებით?

იულიანე (ერთი-ორჯერ გაივლ-გამოივლის სვეტებს შორის, შეჩერდება და წერილისკენ გაიწვდის ხელს). მოიტა, ერთიც ჩაეხედო (კითხულობს). „დე, სული ღმრთისა გადმოვიდეს მასზე, როგორც ამ ბრძოლაში, ისე მთელს მის სიცოცხლეშიც“. ეპ, ბასილ, ნეტა შემეძლოს!.. მაგრამ, რა ვქნა, სულ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს დედალოსივით ცასა და დედამიწას შუა ვიყო გამოკიდებული. თავბრუდამხვევი სიმაღლე და უფსკრულის უძირკე სიღრმე... რას უნდა მოასწავებდეს ეს ხმები, აღმო-საველითიდან და დასავლეთიდან რომ მიხმობდეს ქრისტიანობის სახსნელად და გადასარჩენად? სადაა ეს ქრისტიანობა, რომელიც უნდა ვიხსნათ? სად ვეძიოთ, იმპერატორისა თუ ცეზარის სასახლეში? მე მგონი, თვით მათი საქმენი ლაღდებენ: არა, არა! იქნებ, მორკმულთა და ამა ქვეყნის ძლიერთა შორის? ეს გარყვნილი და გაზულუქებული კარისკაცები, ეს კაცობის შემარცხენელნი, ფაშვებზე რომ შემოუწყვიტოთ კოტიტა ხელები და ქოშინით კითხულობენ: „რისგან შეიქმნა ძე ღმრთისა? — არაფრისაგან?“ ან. იქნებ, იმ სწაელულთა და განათლებულთა შორის, რომლებმაც ჩვენსავით, წარმართული წყაროებიდან შეიწოვეს და შეისისწლხორცეს სიბრძნე და მშვენიერება? განა მათი უმრავლესობა არიოზის მწვა-ლებლობისაკენ არ იხრება, რომელსაც ასე სწყალობს თვით იმპერატორი? ან, თუნდაც. ამ ჩამოხეულსა და ჩამოძონძილ ბრბოში, რომელიც ასე მძვინვარებს ტაძრების წინააღმდეგ და მუსრს ავლებს და დედაბუდიანად სპობს წარმართებს? და ყოველივე ამას სჩადის ქრისტეს სახელით! ჰა-ჰა-ჰა! შემდეგ კი მკვლელები თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს მოკლულთა ქონების გაყოფისას... ჰკითხე მაკრინეს, უდაბნოში ხომ არ ვეძიოთ ქრისტიანობა, ცალ ფეხზე დაყუდებულ მესვეტეთა შორის? ან ქალაქებში? იქნებ, იმ კონსტანტინოპოლით მეფუნთუშეთა შორის, რომლებიც ამას წინათ მუშტი-კრივით ცდილობდნენ გადაეწყვიტათ საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის წმიდა სამება — სამი პირი თუ სამი ჰიპოსტასი? რომელ მათგანს აირჩევდა ქრისტე თავის მოწაფედ, ხელახლა რომ მოვლენოდა ამ ცოდვილ მიწას? დიოგენეს ფარანი აიღე ხელში, ბასილი! გაანათე ეს განუქვრეტელი უკუნეთი. სად არის ქრისტიანობა?

ბასილი. პასუხი ეძებე იქ. სადაც მას პოულობდნენ სულიერი სიმწირის ყველა ეპოქაში.

იულიანე. ნუ დახშავ შენი ცოდნის საუნჯეს! თუ შეგიძლია დააცხრე ჩემი წყურვილი! სად უნდა ვეძიო. რომ ვპოვო?

ბასილი. საღმრთო წერილში.

იულიანე. კვლავ იგივე. ერთი და იგივე სასოწარმკვეთი პასუხი: წიგნები... მხოლოდ წიგნები! ლიბანიოსთან მივალ და სულ ამას ჩამჩიჩინებს: წიგნები, წიგნებო! თქვენთან მოვალ და იგივე მესმის: წიგნები, წიგნები, წიგნები! პურის ნაცვლად — ქვები! არ მინდა წიგნები, მე მინდა ცხოვრება, სულთან სიახლოვე, მასთან შერწყმა! განა სავლეს წიგნებით აეხილა თვალი? განა მის შესახვედრად ზეცით არ იფეთქა ნათელმა? განა არ შეაჩერა ხილვამ, არ ჩამოესმა მგრგვინავი ხმა?

ბასილი. შენ გავიწყდება ის ხილვა და ხმა, რასაც გვაუწყებს აგათონ მაკელონელი!

იულიანე. ეს იყო იდუმალი ხმა, მისნის ძახილი, მაგრამ მისი წვდომა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ნუთუ მე ვარ ის ლეთიერჩეული? ხმა წინასწარმეტყველებდა სამეფოს მემკვიდრის მოვლინებას. რომელი სამეფოსიას?... ათასი ეკეი აღძვრის კაცს... მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, — ათენში როდია ლომების ხარო. მამ სადაა, სად? სავლესავით, ლამის წყვილადში მეც ხელის ფათურით, ალაღბედზე მივიკვლევ გზას. თუ ქრისტე რაიმეს მოითხოვს ჩემგან, დაე, უფრო ნათლად და გარკვევით მამცნოს! შიგ ღია ქრილობაში მატაკოს თითი!..

ბასილი. მაგრამ საღმრთო წერილში ხომ ნათქვამია...

იულიანე. ვიცი, ვიცი, რაც არის ნათქვამი. მაგრამ ყველა ეს წერილი ხორცშესხმული ქეშმარიტება როდია ჩემთვის. ნუთუ სული არ გეხუთება და, გემბანზე მყოფივით, გული არ გერევა, ნიავეც რომ არსით იძვრის და მაინც ასე გამუდმებით ირყევი ცხოვრებას, საღმრთო წერილს, წარმართულ სიბრძნესა და მშვენიერებას შორის? უნდა მოგვეცეს ახალი გამოცხადება, ან გამოცხადდეს რალაც ახალი. დიან! უკვე დროა!.. გამოცხადება! ოჰ, ბასილი, შენ რომ შეგეძლოს ლმერთს შემავედრო და ჩემთვის გამოითხოვო იგი! მაშინ მზად ვარ, თუნდაც ჭვარს ვეცვა, ჭვარცმულმა დავლიო სული! ო, თავბრუ მესხმის, რა ნეტარებაა ამაზე ფიქრი!.. ეკლის გვირგვინი ჩემს შუბლზე... (ორივე ხელს იტაცებს თავზე, ვარდის გვირგვინს მოიგლეჯს, ერთხანს ჩაფიქრებული დასქერის და ხმადაბლა ამბობს). მე კი, აი, რა მადგას თავზე. სულ დამავიწყდა. (გვირგვინს განზე მოისვრის). მხოლოდ ერთი რამ ვისწავლე ათენში.

ბასილი. რა, იულიანე?

იულიანე. ძველი მშვენიერება უკვე აღარ არის მშვენიერება, და აღარც ახალი ქეშმარიტებაა ქეშმარიტი.

ბელმარცხნივ, სვეტებს შორის სწრაფი ნაბიჯით გამოდის ლიბანიოსი.

ლიბანიოსი (შორიდანვე). ხომ წამოეგო, ბოლოს მაინც ხომ წამოეგო ანკეს!

იულიანე. ვინ? მე მეგონა, ორივე უკვე ხელში გყავდა.

ლიბანიოსი. ვინ ორივე?

იულიანე. მილონის ვაჟიშვილები.

ლიბანიოსი. ჰო-ო! თუმცა ისინიც... მაგრამ ის კი მართლა ხელში გყავს, ველარსად წაგვიყვია, იულიანე!

იულიანე. ა-ა! ალბათ, ერთ-ერთი ბრძენი, შენი მეტოქე!

ლიბანიოსი. ყოველგვარი სიბრძნის მოსისხლე მტერი.

იულიანე. აღარ იტყვი, ვინ?

ლიბანიოსი. შენ რა, მართლა არ იცი? არაფერი გაგიგია მაქსიმეზე?

იულიანე. მაქსიმეზე? ღვთის გულისათვის...

ლიბანიოსი. აი, სანამდის მივიდა ეს დამთხვეული მეოცნებე... ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, სრულ სიგიჟემდე.

იულიანე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უზენაეს სიბრძნემდე.

ლიბანიოსი. რაც გინდა, ის დაარქვი. მაგრამ ახლა მოქმედების დროა, ხელიდან არ უნდა გავუშვათ ესოდენ ძვირფასი წაპი. შენ, ჩვენო სათაყვანებლო იულიანე, სწორედ შენა ხარ ის კაცი, ვინც ჩვენ გვქირდება. შენ ბრძანდები იმპერატორის ახლო ნათესაევი. სიბრძნის ყველა ქეშმარიტი მოყვარე, აქაც და ნიკომედიაშიც. შენ ერთს შემოგცქერის სასოებით...

იულიანე. მომისმინე, ღვთაებრივო ლიბანიოს. გულთმისანი ხომ არ გგონივარ?..

ლიბანიოსი. ჰო, კარგი. გეტყვი: მაქსიმემ ეს-ესაა სახალხოდ გამოაცხადა თავისი მოძღვრების ფარული არსი.

იულიანე. შენ ამას დანაშაულად უთვლი?

ლიბანიოსი. მან განაცხადა, სულები და აჩრდილები მმორჩილებენო.

იულიანე (მოსასხამში სტაცებს ხელს). ლიბანიოს!

ლიბანიოსი. ხომალდზე ყველას მისი გრძნეულება აკერია პირზე, ხოლო აქ (წერილს იღებს) ჩემი ღირსეული თანამოძმე ევსევი დაწვრილებით ამიწერს საქმეს.

იულიანე. სულები და აჩრდილებიო?!

ლიბანიოსი. ამას წინათ, ეფესში, მრავალრიცხოვანი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების თანდასწრებით, მაქსიმე არ შეუშინდა აკრძალვას და ქეკატეს ტაძარში, ქალღმერთის ქანდაკების წინაშე, თავისი გრძნეული ხელოვნებით არნახული სასწაული უჩვენა ხალხს. ევსევი მწერს. მეც იქ ვიყავი და ყველაფერი ჩემი თვალითა ვნახეო. ტაძარში ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. მაქსიმემ რაღაც უცნაური შელოცვა წარმოსთქვა. მერე ჰიმნი იმღერა, რომელიც ვერავინ გაიგო, და, აი, ქალღმერთის ხელში მარმარილოს ჩირაღდანს უცებ აენტო...

ბასილი. სატანის კერძი!

იულიანე (სუნთქვაშეკრული). მერე?

ლიბანიოსი. ...და რძისფერი შუქის ციაგში მთელმა კრებულმა თავისი თვალით იხილა, როგორ გაცოცხლდა ქალღმერთის სახე და ხალხს გაუღიმა.

იულიანე. მერე, მერე?

ლიბანიოსი. უმრავლესობას თავზარი დაეცა. ყველა კარს მიაწყდა. ბევრი მათგანი შემდეგ ავად გახდა, ლოგინად ჩაეარდა და ბოდვა დააწყებინა. ის კი — დაიჭერებ, იულიანე? თითქოს აინუნშიაც არ აგდებს. რა ბედი ეწია კონსტანტინოპოლში მის ორ ძმას, ქედს არ იხრის ბედისწერის წინაშე, თამამად მიაბიჯებს მოლიპულ გზაზე და ყველგან საცთურსა თესავს.

იულიანე. საცთურს? შენ ამ გზას საცთურის გზას უწოდებ? განა მას არ უერთდება სიბრძნის ყველა ვიწრო ბილიკი? მიაღწიო სულის სულთან შერწყმას...

ბასილი. ო, ჩემო ძვირფასო ძმაო, ძვე შეცთომილო...

ლიბანიოსი. მე კი გეტყვი, ეს უარესია, ვიდრე საცთური. რა არის ჰეკატე? რანი არიან, საერთოდ, ღმერთები ნათელმოსილი გონებისათვის? მადლობა ღმერთს, იმ ბრმა მომღერლის დროში როდი ვცხოვრობთ! მაქსიმეს ცოტა მეტი განათლება არ აწყენდა. განა პლატონმაც და მის კვალდაკვალ ბევრმა ჩვენგანმაც ნათელი არ მოჰქინა ამ იღუმალეზას? განა ხალხს არ აცთუებდნენ ის, ვინც დღეს, ჩვენს დროში, ცდილობს კვლავ იღუმალეზის ბურუსითა თუ მისტიკური ბოდვით დაჩრდილოს და დააბნელოს ესოდენ დიდებული გონების შუქით გაბრწყინებული და, თამამად შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელი რუდუნებით აგებული ცნებებისა და განმარტებების ნათელი ტაძარი, რომელსაც ჩვენ, სიბრძნისმოყვარენი, ჩვენი ფილოსოფიური სკოლა...

იულიანე (აგზნებით). მშვიდობით, ბასილი! ჩემს გზაზე ცეცხლის ალს მოვკარი თვალი.

ბასილი (ხელს სტაცებს). ფეხსაც ვერ მოიცივლი! არ გაგიშვებ!

იულიანე (თავს ითავისუფლებს). ვინ დამიჭერს?.. წინ ნუ აღუდგები გარდუვალს!

ლიბანიოსი. აი, სიგიჟე! სად მიხვალ, მეგობარო, ძმაო, მოყვასო?

იულიანე. სადაც ინთებიან ჩირალდნები და ღიმილს გვაფრქვევენ ქანდაკებები!

ლიბანიოსი. და ეს შენ, იულიანე... ჩვენო სიამაყე, ჩვენო სასოება! ჩვენო ჭავარო. შენ უნდა ისწრაფოდე, სიცრუით დაბანგულ ეფესოში, რომ იქ ოინბაზის სათამაშოდ იქცე? მაშ, იცოდე, როგორც კი ასე დაიმდაბლებ თავს და დაეცემი, სამუდამოდ გამოეთხოვები შენს ღიღებას და სწავლულისა და მქვერმეტყველის ღირსეულ სახელს, რომელიც ამ წლებს მანძილზე მოიხვეჭე პერგამოსსა და ნიკომედიაში, უპირატესად კი აქ, ათენის უმაღლეს სკოლებში...

იულიანე. ოჰ, ეს თქვენი სკოლები! აქ დარჩი და წიგნებს მიხედე! ახლა მე შენ მიჩვენე კაცი, რომელსაც სანთლით ვეძებდი. (სწრაფი ნაბიჯით მიდის მარცხნივ და სვეტებს შორის უჩინარდება).

ლიბანიოსი (ერთხანს მდუმარედ უყურებს). ეს სამეფო გვარის ქაბუკი საშიშია მეცნიერებისათვის.

ბასილი (თითქოს თავისთვის). იულიანე ცოტა უფრო მეტი რამისთვისაა საშიშია.

მესამე მოქმედება

ეფესი. იულიანეს პალატი სანთლებითაა გაჩაჩახებული. ხელმარჯვნივ შემოსასვლელი კარია. ცოტა უფრო შორს, სიღრმეში, შედარებით მომცრო, ფარდებჩამოფარებული კარი. კიდევ ერთი, მარცხენა კარი მოსასვენებელ დარბაზში გადის. შუა კედელი თაღს მოგვაგონებს, რომლის მიღმაც პატარა, ქანდაკებებით შემკული შიდა ეზო ჩანს.

მსახურები სუფრასა შლიან და სარეცლებზე ბალიშებს აწყობენ. ვახშობის დროა. სახლთუხუცესი ევფერიოსი შემოსასვლელ კართან დგას და გრიგოლ ნაზიანზელსა და ბასილი კესარიელს თავაზიანად ეპატივება, შემობრძანდითო.

ევფერიოსი. დიახ, დიახ, დამერწმუნეთ, მართლა ასეა.

გრიგოლი. შეუძლებელია. ხომ არ დაგვეცინი?

ბასილი. ხუმრობ, მეგობარო. როგორ შეიძლება, რომ შენი ბატონი გველოდეს? კაციშვილს არ გაუგია ათენიდან ჩვენი წამოსვლა; გზაში არსად შევჩერებულვართ და ისე სწრაფად მოვცურავდით, რომ ღრუბლებსა და წეროების გუნდებს უკან ვიტოვებდით.

ევფერიოსი. აბა. შეხედეთ, ეს სუფრა სტუმრებისთვისაა გაშლილი; თვითონ ხილისა და პურის მეტს არაფერს გეახლებათ.

გრიგოლი. რალა გვეთქმის; ყველაფერი, რასაც ვხედავთ და ვისმენთ, შენს სიტყვებს ადასტურებს. მწვეანე ფოთლებითა და ყვავილებით შემკული ფიალები, გაჩაჩახებული სანთლები, ხილით დაზვიანული სინები. ნელსაკმეველთა სურნელება. მუსიკოსები...

ევფერიოსი. დღეს დილაუთენია მიხმო; ძალიან გახარებული ჩანდა, ბოლთას სცემდა და კმაყოფილებით იფშენებდა ხელებს. „მეფური სუფრა გაშალე. — შითხრა მან, — ამ საღამოს ორ მეგობარს მოველი ათენიდან“. (მარცხენა კარს შეავლებს თვალს, უცებ დუმდება და მოწინებით გადგება განზე).

ბასილი. მოდის.

ევფერიოსი დასტურის ნიშნად ხრის თავს და შემდეგ მსახურებს ანიშნებს, გავეშორდითო; ისინიც მარჯვნივ, წინკარში გადიან; ევფერიოსი უკან მისდევთ. იმედროულად, მარცხენა კარიდან სწრაფი ნაბიჯით შემოდის იულიანე, ეტყობა ძალზე გახარებულია, ღელავს.

იულიანე (სტუმრებთან მიღის და გულმხურვალედ ესალმება). აი, ისინიც!
აი, ისინიც! გმადლობთ, გმადლობთ, რომ თქვენმა სულმა უკან
მოიტოვა თქვენი სხეული!

გრიგოლი. იულიანე!

ბასილი. ძმაო და მეგობარო!

იულიანე. მე, როგორც მოლოდინით გულგადაღებულ მიჭნურს,
ერთი სული მქონდა, როდის ჩამოგართმევდით ხელს. ქვემეთ-
რევა კარისკაცებმა, ზოგ-ზოგიერთის საამებლად, მაიმუნი
შემარქვეს... ნეტავი მაიმუნივით მართლა ოთხი ხელი მომცა,
რომ ერთად ჩამოგართვათ ოთხივე!

გრიგოლი. კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს? შენი მსახურები მუსიკოსთა
თანხლებით გვხვდებიან კართან, აბანოში წაყვანას, ზეთით
დაზულასა და თავზე ვარდის გვირგვინების დადმას გვიპირ-
ჩებენ...

იულიანე. წუხელ ორივენი სიზმარში გნახეთ. მოგეხსენებათ, ახლა
საესე მთვარეა, ხოლო ჩემი სული ამ დროს უჩვეულოდ
მგრძნობიარე ხდება. ჩემს მაგიდას ვუჯექი წიგნთსაცავში და
ვთვლემდი... ბოლოს კი კითხვით, წერით და ფიქრით
დაღლილ-დაქანცულს ჩამეძინა. უცებ, მთელი სახლი, ჩემო
მეგობრებო, თითქოს ქარიშხლის შემობერვამ შეაზანზარა!
ფარდები აფრიალდა და ჩემს თვალწინ გადაიშალა ზღვის
უსასრულო სივრცე. ანაზღეულად, მომაჯადოებელი სიმღერა
შემომესმა... ორი უცხო ფრინველი გალობდა... ორივეს ქალის
სახე ჰქონდა. გვერდი-გვერდ მოისწრაფოდნენ ნაპირისაკენ.
მერე ნელ-ნელა დაეშენენ დაბლა; ბუმბული მთლიანად
დასცივდათ, თანდათან ღრუბლის ფაფუკი ქულასავით გაქრა,
და რძისფრად მოციაგე ნათელში თქვენი ძვირფასი სახეები
დამიდგა თვალწინ.

გრიგოლი. დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი მართლა ასე
მოხდა?

იულიანე. მითხარით, ჩემზე ფიქრობდით?.. წუხელის მახსენებდით?

ბასილი. დიახ... გემბანზე...

იულიანე. მაინც რა დროს?

გრიგოლი. შენ როდისღა ნახე შენი სიზმარი?

იულიანე. შუალამე, ასე, ერთი საათის გადასული იქნებოდა.

გრიგოლი (ბასილს გადახედავს). სასწაულია და ეს არის!

იულიანე (ხელებს იფშენებს და აქეთ-იქით დაღის). ხედავთ! ჰა-ჰა-ჰა!
ხედავთ?

ბასილი (თვალს არ აშორებს). ო, ესე იგი, მართალია.

იულიანე. რა?.. მითხარი, რაა მართალი?

ბასილი. რასაც შენს ღამეულ გრძნეულებაზე ამბობენ.

იულიანე. ეჰ, რას არ იტყვის ხალხის ენა! თუმცა, რას ამბობენ
ჩემზე? გავიგე, თითქოს ათას რამესა მწამებენ. თუ ზოგ-ზო-
გიერთს ვერწმუნებით, მთელს იმპერიაში იშვიათად თუ
ლაპარაკობენ ვინმეზე იმდენს, რამდენსაც ჩემზე.

გრიგოლი. დღესდღეობით, მართლაც ასეა.

იულიანე. კი მაგრამ, ლიბანიოსი რას ამბობს ამაზე? ვერასოდეს ვერ იტანდა, როცა ხალხს სხვისი სახელი ეყერა პირზე და არა მისი. ან საერთოდ, რას ამბობენ ჩვენი დაუვიწყარი ათენელი მეგობრები? ალბათ იციან, რომ შერისხული ვარ. აღარც იმპერატორი მწყალობს და აღარც მისი სასახლის კარი.

გრიგოლი. მართლა? დროდადრო კი ვიგებ სასახლის ამბებს, მაგრამ ჩემს ძმას კესარიოსს ამის თაობაზე არაფერი მოუწერია.

იულიანე. მაშ, რითი უნდა ავხსნა, ჩემო ძვირფასო გრიგოლ, რომ ყველას თავის მოვალეობად მიაჩნია, თვალყური ადევნოს ჩემს თითოეულ ნაბიჯს? აგერ, ახლახან ცეზარმა გალუსმა თავისი სულიერი მოძღვარი აეციუსი გამოგზავნა, რათა გაეგო, მტკიცედ ვადგავარ თუ არა ქეშმარიტ რწმენას.

ბასილი. მერე?

იულიანე. უნდა მოგახსენოთ, რომ უმიზეზოდ არასოდეს არ ვაკლდები ცისკრის წირვას. ეგეც არ იყოს, დიდ პატივს ვცემ წმიდა მოწამეთ: მართლაცდა, რა ნებისყოფა უნდა ჰქონდეს კაცს, რომ რწმენის გულისთვის დაითმინოს ამდენი ტანჯვა და უდრტივნიველად შეეგებოს თვით სიკვდილსაც. საერთოდ, მე მგონია, აეციუსი კმაყოფილი დარჩა ჩემით.

ბასილი (ხელს წაავლებს). იულიანე... თუ ჩვენი მეგობრობა გწამს, გულახდილად გვითხარი შენი ამბავი.

იულიანე. მე უბედნიერესი კაცი ვარ მოკვდავთა შორის, ჩემო მეგობრებო. ხოლო მაქსიმე... ზედმიწევნით ამართლებს თავის სახელს. დიახ, მაქსიმეზე დიდი კაცი ჯერ არ დაბადებულა ამქვეყნად.

გრიგოლი (წასვლას აპირებს). ჩვენ მხოლოდ შენი ნახვა გვინდოდა, იულიანე.

იულიანე. კი მაგრამ, სად გაგონილა, რომ ამის გამო ძმა მოიმღუროს ძმამ? თქვენ შიში გიპყრობთ და უკან იხევთ ყოველივე იღუმალის წინაშე. საკვირველია, ღმერთმანი! თუმცა, მეც უკან მოუხედავად გაერბოდი ხოლმე, სანამ თვალი არ ამეხილა და უშუალოდ სულით არ ჩაეწვდი სიცოცხლის დვრიტას.

ბასილი. რას უწოდებ შენ სიცოცხლის დვრიტას?

იულიანე. ეგ მაქსიმეს ჰკითხე. მის სულში მწიფდება ახალი გამოცხადება.

ბასილი. და შენ ეზიარე მას?

იულიანე. თითქმის. ბევრი აღარაფერი მიკლია... მაქსიმემ აღმითქვა, რომ სწორედ ამაღამ...

გრიგოლი. მაქსიმე მეოცნებეა, ანდა უღვთოდ გატყუებს შენ!..

იულიანე. კი მაგრამ, როგორ აძლევ შენს თავს იმის უფლებას, რომ მისტერიებზე ასე ხელალებით იმსჯელო?.. მათ ფარულ არსს შენი განსწავლულობით ვერ მოიხელთებ, ჩემო გრიგოლ.

საშინელია დიდების სასუფეველისაკენ მიმავალი გზა. ელევ-
სინელ მეოცნებებს სწორი გეზი ჰქონდათ აღებული და იქნებ
კიდევაც დასდგომოდნენ ქემპარიტ კვალს, მაქსიმე კი უკვე
დაადგა. და, მისი შემწეობით, — მეც... წყვილიდით მოსულ
ხევს მივყვებოდი. ხელმარცხნივ კონკეი და ჭაობი იდგა. ასე
მეგონა, რომ ესაა მდინარე, რომელსაც დინება დაავიწყდა.
ღამის მყუდროებას დროდადრო საზარელი ყვირილი, ერთმა-
ნეთში უთავბოლოდ აღუფხული ხმების გზიასი არღვევდა,
აქა-იქ წამით იელვებდა ცისფერი ალი, თითქოს მხოლოდ
იმიტომ, რომ წყვილიადისათვის საზარელ ურჩხულთა ლანდები
გამოეტაცა... მე კი მაინც წინ მივიწვედი. ძრწოლით სავესე,
სიკვილივით გაფითრებული... მაგრამ ვიმძლავრე, გაუუძელი...
მერე კი... მერე, ჩემო ძვირფასო, ამ ჩემი სულად ქცეული
ხორციით თამამად შეგვლე სამოთხის ბეჭენი; ანგელოსები
შემომეგებნენ ძღვეის ჰიმნით და მე ვიხილე სამყაროული
შუაყეცხლის ყოვლისწამლეკი ნათელი...

გრიგოლი. წყუელიმც იყოს მაქსიმე! ღმერთმა შეაჩვენოს უღმერთო,
ოინბაზი, სატანის კერძი!

იულიანე. ნუ სკოდავ, ნუ სკოდავ! მაქსიმე აღმერთებს თავის
წინამორბედთ, თაყვანს სცემს თავის ორსავე დიდ ძმას: სინელ
სჯულმდებელსაც და ნაზარეველ წინასწარმხედსაც... თუ იცი,
როგორ გადმოვიდა ჩემზე შემეცნებისა და ცნობადის სული?...
ერთ ღამეს, ლოცვითა და მარხვით დაღლილ-დაქანცულმა
ანაზდეულად ვიგარძენი. როგორ ამიტაცეს და თითქოს
სიერცესა და დროს გამარიდეს. გარშემო ყველაფერი მზის
სხივებს წაელეკა. და მე მარტო ვიდექი ხომალდზე, რომელსაც
დაღლილი ფრთებივით უმწეოდ დაემეა აფრები და ნელა
ირწეოდა ბერძნული ზღვის სარკესავით მოლაპლაპე. გლუვ
ტალღებზე. წყლიდან აქა-იქ, შორს გაწოლილი ნისლის
მსუბუქი ფთილებივით ამოჩრდილდებოდნენ კუნძულები და ხო-
მალდი თითქოს თვლემდა ზღვის მოციხფრო-მომწვანო ზე-
დაპირზე. მერე ეს ზედაპირი სულ უფრო და უფრო
გამკვირვალე გახდა, უფრო მსუბუქი, უფრო ჰაეროვანი,
ბოლოს კი სულაც გაქრა, სივრცეში გაითქვიფა. გაუჩინარდა
და ჩემი ხომალდი დარჩა ასე. საზარელი უფსკრულის თავზე
თითქოს ჰაერში გამოკიდული. აღარსად ჩანდა მზის ერთი
სხივიც. აღარც სიმწვანის ნატამალი... ყოველმხრივ გადაქი-
მულიყო მხოლოდ ზღვის უსიცოცხლო, შავად მოთიმთიმე,
გულშემზარავად შიშველი ფსკერი. სამაგიეროდ ზევით,
უსასრულოდ გაშლილ გუმბათოვან სივრცეში, სადაც მე უწინ
მხოლოდ სიკარიელე მეგულეობდა, ძალუმად ბობოქრობდა
სიცოცხლე. ახალ-ახალ. უჩვეულო და უხილავ ფორმებს
იღებდა. და ღუმეილი ბადებდა ღვთაებრივ ბგერებს. სწორედ
მაშინ ავივსე შემეცნების დიადი, ცხოველმყოფელი და
ძძლეთამძლე სულით.

გრიგოლი. რომელ შემეცნებას გულისხმობ?

იულიანე. არსებული არ არის და არარსებული არის.

ბასილი. ო, შენ მალე მთლიანად გაიხლართები და დაიღუპები კიდეც ამ ბაღში, შუქ-ჩრდილის ამ საბედისწერო წნულში.

იულიანე. მე?.. განა სასწაული კვლავაც არ ხდება? განა წინასწარმეტყველება და ვარსკვლავიერ სივრცეში უჩვეულო მოვლენათა არნახული სიმრავლე კვლავინდებურად არ იუწყება, რომ განგების ნება რალაც დიადის აღსრულებად მიხმობს? თუმცა, რა არის ეს დიადი, ჯერ კიდევ არ გაცხადებულა!

გრიგოლი. ნუ ენდობი ამ იღუმალ ნიშნებს. შენ არ შეგიძლია იცოდე, ვის მიერია ისინი.

იულიანე. რას ნუ ვენდობი, — სიკეთის მაუწყებელ ნიშნებს? ნუ ვენდობი იმას, რაც თითქმის უკვე ახდა? (მოძიახლოვითო, ანიშნებს სტუმრებს და ხმადაბლა ეუბნება მათ). შემძლია გაცნობოთ, მეგობრებო, რომ ახლოვდება დიადი გარდატეხის წამი. მალე მე და ცეზარი გალუსი ძალაუფლებას გავიყოფთ და მსოფლიო იმპერიის მბრძანებლებად მოგვევლინებით. გალუსი — როგორც იმპერატორი, მე კი... აბა, რა გითხრათ? რა სახელი უნდა უწოდო იმას, რაც ჯერ კიდევ არ დაბადებულა? მაშ, ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე, სანამ არ მოიწევა ჯამი. მაგრამ, აი, ცეზარზე კი, ჩემის აზრით, შეგიძლია ვილაპარაკოთ. ალბათ, თქვენამდეც მოაღწია ხმამ იმ ხილვის შესახებ, რის გამოც დილეგში ჩააგდეს და სასტიკად აწამეს სიღონელი მოქალაქე აპოლინარიოსი.

ბასილი. არა, არა, არაფერი არ გავგივიტა...

იულიანე. როგორც თვით აპოლინარიოსს უამბნია ნაცნობებისთვის, შუალამისას ვილაცამ დაეკაკუნა თურმე კარზე. ამდგარა, გარეთ გამოსულა და ერთი უცნაური არსება დაუნახავს, — კარგად ვერ გაურჩევია, კაცი იყო თუ ქალი, — რომელსაც უთქვამს, სამეფო პორტირი გაამზადეო, სწორედ ისეთი, ტახტზე ახლად ასული მბრძანებლები რომ ატარებენ. აპოლინარიოსი შეუყოყმანებულა. ემანდ ხიფათს არ გადაეყუაროო. და მოჩვენებაც გამქრალა. მაგრამ ჰაერში ერთხელ კიდევ გაისმა თურმე: „წადი, წადი, აპოლინარიოს, და სასწრაფოდ გაამზადე სამეფო პორტირი!“

გრიგოლი. მერედა, სწორედ ეს სასიკეთო ნიშანი ავიხდა, როგორც წელან თქვი?

იულიანე (ნელა იხრება მისკენ). აპოლინარიოსის ხილვიდან ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ ბეთანიაში გარდაიცვალა ცეზარის მეუღლე. კონსტანტინა ყოველთვის გალუსის ბოროტი სული იყო. ამიტომაც უნდა მომკვდარიყო, განგების ნებით წინასწარ დადგენილი გადატრიალების აღსასრულებლად. კონსტანტინას სიკვდილიდან სამი კვირის შემდეგ ანტიოქიაში ჩავიდნენ იმპერატორის მიერ წარგზავნილი ელჩები ტრიბუნ სკუდილას მეთაურობით. რათა იმპერატორის სახელით პატივი მიეგოთ ალუსისათვის და რომში მიეწვიათ იგი. ცეზარის მგზავრობას არიუმფალურ მსვლელობას ადარებენ. კონსტანტინო-

პოლის ჰიპოდრომზე გალუსმა მორბენალთა ასპარეზობა გამართა და ხალხის ალტაცებულ ყოველში ამაყად წამოიძაროა. რათა იმპერატორის ჩვეულებისამებრ — თუმცა ჭერ ქოლვე ცუხარად იწოდება, გვირგვინით შეემკო ასპარეზობაზე. გამარჯვებული კორაქსი. აი, რა სასწაულებრივად განადიდებდა უფალი ღმერთი ხელახლა ჩვენს გვარს, რომელიც კინალამ გადაეგო ცოდვათა სიმძიმისა და შინააშლილობების შედეგად.

გრიგოლი. საოცარია. ათენში სულ სხვანაირი ხმები დადიოდა.

იულიანე. ჩემი ცნობები უტყუარია. სასწრაფოდ უნდა დავუკვეთოთ სამეფო პორფირი, გრიგოლ! მაშ, რას მიბრძანებ, კვლავაც ექვის თვლით ვუყურო იმას, რაც მაქსიმემ მიწინასწარმეტყველა, როგორც უახლოესი მომავალი? ამაღამ უკანასკნელი ფარდა უნდა აეხსნას საიდუმლოს, სწორედ აქ, ამ ადგილას გამოცხადდება დაფარული. დარჩით ჩემთან, ძვირფასო მეგობრებო, ნუ მიმატრკევებთ; ერთად გავატაროთ ეს მრავლისაღმთქმელი, შიშითა და მტანჯველი მოლოდინით აღსავსე ღამე. მოვა მაქსიმე, და თქვენ მოწმენი გახდებით...

ბასილი. ღმერთმა დაგვიფაროს!

გრიგოლი. შეუძლებელია. შინ, კაპადოკიაში მიგვეჩქარება!

იულიანე. კი მაგრამ, ასე ნაუტბათეად რამ აგაკვრევინათ გუდანაბადი და აქ გადმოგაგდოთ საბერძნეთიდან?

ბასილი. დედაჩემი დაქერივდა, იულიანე!

გრიგოლი. მამაჩემიც დაუძღურდა, დაჩაჩანაკდა; არაფრის თავი აღარა აქვს. მხარში ამომდგომი სჭირდება.

იულიანე. გათენებამდე მაინც დარჩით, კარგად მოგასვენებთ...

გრიგოლი. ვერ დავრჩებით. ჩვენი თანამგზავრები დილაუთენია აპირებენ წასვლას.

იულიანე. დილაუთენია? მაგრამ გარწმუნებთ, შეიძლებოდა შუალამემდე გათენებულიყო თქვენთვის ახალი დილა.

ბასილი. იულიანე, ნუ გამაყოლებ შენს დარდს; მითხარი, ვთქვათ და, მაქსიმემ ყველა საიდუმლო აგისხნა, მაშინ...

იულიანე. თუ გახსოვს, რას წერს სტრაბონი იმ მდინარეზე, ლიბიის მთებში რომ იღებს დასაბამს? გზადაგზა ურიცხვ შენაკადს იერთებს, იზრდება, ივსება, წყალუბვი ხდება და, ბოლოს, როცა ვეებერთელა მდინარედ იქცევა უდაბნოს ქვიშაში იკარგება და, ამრიგად, თვითონვე იმარხავს თავს მიწის წიაღში, რომელმაც შვა და თავისი ბარაქიანი ძუძუ აწოვა მას.

ბასილი. სიკვდილი ხომ არ გენატრება, იულიანე?

იულიანე. ის, რასაც თქვენ მონური მორჩილებით ცდილობთ მიაღწიოთ სიკვდილის შემდეგ, სხვა არა არის რა, თუ არა დიადი საიდუმლოს საბოლოო მიზანი, რომელიც ყველა ჩვენი ნათელმოსილი ძმის მიერ მიწიერ სიცოცხლეშივე უნდა იქნეს მიღწეული... მაქსიმე თავისი მოწაფეებითურთ მიელტვის აღორძინებას... დაკარგული მსგავსების აღდგენას ღმერთსა და კაცს შორის. რა გაეკვებთ, ძმებო? რა გაცბუნებთ, რა

გაძრწუნებთ, თითქოს რაღაც წარმოუდგენლად ბუნდოვანისა და გაურკვეველის წინაშე იდგეთ? მე ვიცი ის, რაც ვიცი. კაცთა მოდგმის ერთი მსწრაფლწარმავალი თაობიდან მეორეში გადადის ერთი და იგივე უკვდავი სული, რომლითაც ყოველთვის ხელახლა აღდგება და აღორძინდება პირველი კაცი-წმიდა ადამი. ეს სული მძლავრობდა სჯულმდებელ მოსეში; ამ სულმა დაიმორჩილა მთელი სამყარო, როცა განსხეულდა ალექსანდრე მაკედონელში; მანვე თითქმის სრულქმნილების ზღვარს მიაღწია იესო ნაზარეტელში. მაგრამ იცი რა, ბასილი... (ხელში ხელს ჩასკიდებს). თვითველ მათგანს აკლია ის, რაც აღმეთქვა მე. - წმინდა, უბიწო სასძლო!

ბასილი (ხელს გამოსტაცებს). იულიანე!

გრიგოლი. ღვთისმგმობო, აი, სადამდის მიგიყვანა შენმა ქედმაღლობამ.

ბასილი. გრიგოლ, ხომ ხედავ, ავადაა, კკუაზე შესცდა!

იულიანე. რატომ მიყურებთ ეგეთი ზიზღნარევი ეპკით? ან, იქნებ ჩემი გაღეული და გაძვალტყავებული სხეული ჩემსავე წინააღმდეგ მეტყველებს? ჰა-ჰა-ჰა! მე გეუბნებით, რომ ეს ტლანქი და უხეში ხორციელი მოდგმა უნდა გადაეგოს. მოძვეალი მოდგმა უფრო სულის მიერ ჩაისახება, ვიდრე ხორცის მიერ... პირველი კაცი ადამი აპოლონის ქანდაკებებივით პარმონიული იყო. შემდეგ კი ეს პარმონია დაკარგულ იქნა. განა მოსე ენაბრგენილი არ იყო? განა სხვებს არ ეჭირათ მისი დაუძღურებული ხელები, რათა ისინი უფლის მიმართ ვედრებით მალლა აპყრობილნი დარჩენილიყვნენ? განა ალექსანდრე მაკედონელს მაგარი სასმელები და სხვა მისთანანი არ სჭირდებოდა? ანდა იესო ნაზარეტელი განა უძღური არ იყო ხორციით? აკი ქარის მძვინვარებისას ნავში ჩასთვლიმა და ჩაეძინა, მაშინ როდესაც სხვები ფხიზლობდნენ? აკი წელში გასწყვიტა ჯერის სიმძიმემ, ჯერისა, რომელიც სვიმონ კვირიელმა ბუმბულივით ასწია და ციმციმ წაიღო? და არც ის ორი ავაზაკი წაუქცევია თავიანთი ჯერების სიმძიმეს... თქვენ მორწმუნეებად მოგაქვთ თავი, მაგრამ ისე ნაკლებად გწამთ სასწაულებრივის გამოცხადება! ცოტაც, ცოტაც კიდევ მოითმინეთ და დაინახავთ... სულ მალე ვიპოვი სასძლოს... და ჩვენ ხელიხელჩაკიდებულნი გავწევთ აღმოსავლეთისაკენ, სადაც იბადება ჰელიოსი... სიმარტოვისკენ გავწევთ. ეფფრატის ნაპირებზე მოვძებნით და ვიპოვით კიდევ წალკოტს, სადაც დავიმალებით, როგორც იმალება ღვთაება... და იქ, ო, ნეტარებაე!... სწორედ იქ, ჩვენგან მიიღებს დასაბამს და მთელს დედამიწას მოეფინება ახალი მოდგმა, მშვენიერებითა და პარმონიით მოსილი მოდგმა. დიახ, მე გეუბნებით თქვენ, საღმრთო წერილის ყურმოქრილო მონებო, სწორედ იქ დაეფუძნება სულის სამეფო!

ბასილი. ვაი ჩემს დღეს და მოსწრებას! ეს რა მესმის, რა მეყურება? ნუთუ ის იულიანე ხარ, სამი წლის წინათ კონსტანტინოპოლიდან რომ წამოხვედი?

იულიანე. მაშინ მე ისეთივე ბრმა ვიყავი, როგორც თქვენა ხართ ახლა! მხოლოდ ერთი, ერთადერთი გზა ვიცოდი, რომელიც მთავრდებოდა სწავლით.

გრიგოლი. კი მაგრამ, ის თუ იცი, სად მთავრდება ეგ შენი გზა?

იულიანე. იქ, სადაც გზა და მიზანი — ერთია. უკანასკნელად გვედრებით, ძვირფასო ძმებო, დარჩით ჩემთან. წუხანდელი ჩვენება... და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ გვიმოწმებს იღუმალ კავშირს ჩვენს შორის. რომ იცოდე, რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი, ჩემო ბასილ! შენ ხომ ძველი გვარის თავკაცი ხარ და, ვინ იცის, იქნებ სწორედ შენი და შენი სახლეულის წყალობით უნდა აღსრულდეს ის სასწაული, მე რომ აღმეთქვა?

ბასილი. ღმერთმა ნუ ქნას! სანამ პირში სული მიდგას, არავის მივცემ იმის ნებას, რომ შენს სიშლეგეში, შენს ბორგნეულ ბოდვაში ჩაითრიო.

იულიანე. ეკ, რა აზრი აქვს შენს ნებართვას? მე ვხედავ ხელს, რომელიც რალაც საიღუმლოს წერს კედელზე და მალე ამ საიღუმლოსაც ამოვიკითხავ.

გრიგოლი. წავიდეთ, ბასილ!

იულიანე (ხელავს იწვლის მათკენ). ჩემო მეგობრებო, ჩემო ძვირფასო ძმებო!

გრიგოლი. დღეის იქით, ჩვენ შორის უფსკრულია. (მიდის და ბასილიც თან მიჰყავს, ორივენი მარჯვნივ გადიან).

იულიანე (ერთხანს უხმოდ უყურებს მიმავალს). არ გინდათ და ვინ გაიქერთ? წადით! რა იცით თქვენ, ორმა ჭკუის კოლოფმა? რა გამოიტანეთ სიბრძნის ქალაქიდან? შენ, ჩემო უდრეკო და ქედუხრელო გრიგოლ... და შენც, ჩემო ბასილ. ქალიშვილს რომ უფრო ჰგავხარ, ვიდრე მამაკაცს... თქვენ მხოლოდ ორი, ორადორი ქუჩა იცით ათენში; ერთი სკოლის გზა, მეორე — ეკლესიისა. მაგრამ მესამე გზა, ელევსინის გზა კი, სხვებზე რომ აღარათფერი ვთქვათ, სრულიად უცნობია თქვენთვის... ა!..

მარჯვნივ, კარზე ჩამოფარებული ფარდა გადაიწევა და აღმოსავლურად გამოწყობილ ორ მსახურს დარბაზში შემოაქვს რალაც მალალი, გულმოდგინედ შეფუთვნილი საგანი, რომელსაც კუთხეში, მაგიდის უკან დგამენ. ცოტა ხნის შემდეგ, იმავე კარიდან შემოდის მისტიკოსი მაქსიმე, გამხდარი, საშუალო ტანის კაცი; შავგვრემანი სახე და არწივისებური გამოხედვა აქვს; თმა-წვეკაში ხშირი ქალარა გამორევია, მხოლოდ დაფანჩულ წარბებსა და სქელ უღვაშებში არ ურევია არც ერთი თეთრი, გრძელი, შავი მოსასხამი მოუსხამს და თავზე წვეტიანი ქუდი ახურავს, თეთრი კვერთხი უჭირავს ხელში. იულიანესკენ არც გაიხედავს, ისე მიდის შეფუთვნილ საგანთან, მის წინ ჩერდება, მსახურებს ანიშნებს, გაგვეცალეთო, და ისინიც უხმოდ გადიან.

იულიანე (ხმადაბლა). როგორც იქნა!

მაქსიმე საბურავს აცლის მსახურების შემოტანილ საგანს; გამოჩნდება მალალ სამფეხზე დადგმული ბრინჯაოს კანდელი; შემდეგ კი ვერცხლის პატარა კურკელს

იღებს, საიდანაც ზეთს ასხამს კანდელში, რომელიც დაუყოვნებლივ ინთება ნათელი, მოწითალო ალით.

(დაძაბული მოლოდინით). უკვე დროა?

მაქსიმე (იულიანეს არ უუარებს). წმინდა ხარ თუ არა სულით და ხორციით?

იულიანე. ვიმარხულე და ზეთი ვიცხე.

მაქსიმე. მაშ, შეიძლება დავიწყოთ ღამის ზეიმი. (ნიშანს აძლევს).

შიდა ეზოში გამოჩნდებიან მოცეკვავე ქალები და მუსიკოსები. მთელი შემდგომი სენა მუსიკისა და ცეკვის თანხლებით მიმდინარეობს.

იულიანე. მაქსიმე... რა არის ეს?

მაქსიმე. ვარდების გვირგვინით შეიმკე შუბლი! სვი შუშხუნა ღვინო და მშვენიერ სხეულთა თამაშის ჰერეტიით დატკბი!

იულიანე. და შენ გინდა, ვნებათა ამ მორევში...

მაქსიმე. ყველაფერი შენზე ჰკიდია. ცოდვა მხოლოდ ისაა, რასაც შენი მხერა აღიქვამს ცოდვად.

იულიანე. ვარდების გვირგვინი! შუშხუნა ღვინო! (მაგიდასთან მდგარ ინახზე გაიშობება, საესე თასს დასცლის, მერე გვერდზე მოისვრის და წამოიძახებს). რა იყო ღვინოში?

მაქსიმე. პრომეთეს ცეცხლის ნაპერწკალი! (მაგიდის მეორე მხარეს მდგარ ინახზე წამოწეება).

იულიანე. ჩემმა გრძნობებმა თითქოს ადგილები გაუცვალეს ერთიმეორეს: მე მესმის სინათლე და ვხედავ ბგერებს.

მაქსიმე. ღვინო ვაზის სულია. განთავისუფლებული მოხალისე ტყვე. ლოგოსი პანში!

მოცეკვავე ქალების გუნდი.

ასწი და გადაკარ თახი,
სავსე ბახუსის სისხლით!
გასკუმლე — ჟრ დასღუნ ფასი,
მიიწონილე — მისხლით!

იულიანე (სევას). დიახ, დიახ, თრობა სილაღეა, სიუხვე, თავისუფლება, თუ შეგიძლია განმიმარტო ეს ნეტარება?

მაქსიმე. თრობა — ესაა შენი სულის შერწყმა ბუნების სულთან.

იულიანე. სულზე უტკბესი, მაცთური, გამაოგნებელი გამოცანა!.. რა მოხდა? რატომ გაიცინე?

მაქსიმე. მე?

იულიანე. მხარმარცხნივ ვილაცის ჩურჩული მესმის. ან, იქნებ, ეს ბალიშის აბრეშუმისპირი შრიალებს? (გაფითრებული წამოსახტომად წამოიწეეს). მაქსიმე, ჩვენ მარტო არა ვართ?

მაქსიმე (ხმაალა). ხუთნი ვუსხედვართ სუფრას.

იულიანე. ა-ა! სულებთან ერთად ვნადიმობთ?

მაქსიმე. აჩრდილებთან ერთად.

იულიანე. მითხარი, ვინ არიან ჩემი სტუმრები?

მაქსიმე. მოითმინე, მაგის ღროც მოვა!.. გესმის?

იულიანე. რა არის ეს?... თითქოს გრიგალი შემოიკრა და შლეგივით
შეაზანზარა სახლი...

მაქსიმე (ყვირილით). იულიანე! იულიანე! იულიანე!

იულიანე. რა იყო? მითხარი, რა ხდება აქ?

მაქსიმე. დროა! რალაც უნდა გახარო!

იულიანე (ინახიდან წამოიკრება და კედელს მიაწელება). ა!..

მაგიდაზე მღვარი სანთლები ძლივსა ბეურთავენ, ბრინჯაოს კანდელი კი
მოციხრო ალით აბრიალებდა.

მაქსიმე. ალს, ალს უყურე!

იულიანე. ამას?

მაქსიმე. დიახ, დიახ!

მოცეკვავე ქალები ხ გუნდი

(ეზოდან ყრუდ მოისმის მათი სიმღერა).

კვარიით უნდა იწოდეს

ხიჭბუყე და ხიყრმეც

სად გვიხირობს, ნეტა ვიცოდე,

ენების უძირო სიღრმე!

იულიანე (თვალს ვერ აშორებს ცისფერ ალს). მაქსიმე! მაქსიმე!

მაქსიმე (ჩუმად). ხედავ?

იულიანე. დიახ!

მაქსიმე. მაინც რას ხედავ?

იულიანე. სხივოსან სახეს სინათლის წრეში.

მაქსიმე. კაცია თუ ქალი?

იულიანე. არ ვიცი.

მაქსიმე. დაელაპარაკე.

იულიანე. ვერ ვბედავ.

მაქსიმე. ნუ გეშინია!

იულიანე (უახლოვდება). რისთვის მოვედი ამქვეყნად?

ხმა (სინათლის წრიდან). სულის სამსახურად.

მაქსიმე. გასაუბობს?

იულიანე. დიახ.

მაქსიმე. სხვაც ჰკითხე.

იულიანე. რა მიწერია ბედად?

ხმა. სამეფოს დაფუძნება.

იულიანე. რომელი სამეფოსი?

ხმა. სამეფოსი.

იულიანე. რა გზით?

ხმა. თავისუფლების გზით.

იულიანე. უფრო ნათლად, თუ შეიძლება! რა არის ეს თავისუფ-
ლების გზა?

ხმა. აუცილებლობის გზა.

იულიანე. რა ძალით?

ხმა. ნებისყოფის ძალით.

იულიანე. რა შემიძლია ვისურვო?

ხმა. რაც უნდა გსურდეს.

იულიანე. ფერი ეცვლება... ქრება... უჩინარდება! (ახლოს მიდის).
მითხარი, მითხარი, რა უნდა?..

ხმა (საწყალობლად). იულიანე!

სინათლის წრე ქრება, მაგიდაზე მდგარი სანთლები კი კვლავ ძველებურად
ჩახჩახებენ. ხანმოკლე პაუზა.

მაქსიმე (თავს წამოსწევს). გაქრა?

იულიანე. გაქრა.

მაქსიმე. ახლა ხომ გესმის?

იულიანე. კიდევ უფრო ნაკლებ, ვიდრე ოდესმე... პირაშემული
უფსკრულის კიდესთან ვდგავარ, სინათლესა და სიბნელეს,
შუქსა და ჩრდილს შუა. (ხელახლა ეგვება ინახზე). ნეტა რომელი
სამეფო იგულისხმება?

მაქსიმე. არსებობს სამი სამეფო.

იულიანე. სამი?

მაქსიმე. ჭერ ერთი, ის, რომელიც ცნობადის ხეზე იყო დაფუძნე-
ბული, მეორეც, ის, რომელიც ეფუძნებოდა ჭერის ხეს...

იულიანე. მესამე?

მაქსიმე. და ბოლოს, მესამე — ესაა დიადი საიდუმლოს სამეფო,
რომელიც ერთდროულად უნდა დაეფუძნოს როგორც ცნო-
ბადის, ისე ჭერის ხესაც, ვინაიდან მას სძულს და, იმავედრო-
ულად, კიდევ უყვარს როგორც ერთი, ისე მეორეც, ვინაიდან
მისი მასულდგმლებელი წყაროს სათავე თანაბრად ძვეს
აღამის წალკორშიც და გოლგოთის წიაღშიაც.

იულიანე. და ეს სამეფო დაეფუძნება?

მაქსიმე. დაეფუძნება. ჩემი გამოთვლების მიხედვით...

იულიანე (მკვეთრად აწყვეტივნებს). ისევ ვილაციის ჩურჩული მესმის.
ვინ არიან ჩემი სტუმრები?

მაქსიმე. სამი ქეაკუთხედი აუცილებლობის კირთების ქვეშ.

იულიანე. ვინ, მაინც ვინ?

მაქსიმე. უარყოფის სამი დიდი მეოხი.

იულიანე. დამისახელე!

მაქსიმე. არ შემიძლია, მე მათ არ ვიცნობ... მაგრამ შემიძლია
გიჩვენო ისინი...

იულიანე. მაშ, მიჩვენე! ახლავე, გესმის?

მაქსიმე. ფრთხილად!..

იულიანე. ახლავე-მეთქი! მე მინდა სამივე ვიხილო და რიგრიგობით
ველაპარაკო მათ.

მაქსიმე. რაც არის, არის... შენს თავს დააბრალე! (კევრთხს აიჭნევს
და მბრძანებლური ხმით წარმოსთქვამს). მიიღე შენი სახე და
გამოგვეცხადე, პირველო სამსხვერპლო ტარიგო არჩევისა!

იულიანე. ა!

მაქსიმე (მოსასხამით იფარავს სახეს). რას ხედავ?

იულიანე (ყრულ). აგერ იქ... ინახად წევს კუთხეში. ნამდვილი ჰერაკლეა... უზარმაზარი... ლამაზი... არა... (ენის ბორძიკით). თუ შეგიძლია, მითხარი რამე.

ხმა. რისი გაგება გსურს?

იულიანე. რა იყო შენი სიცოცხლის საქმე?

ხმა. ჩემი ცოდვა.

იულიანე. რატომა სცოდნე?

ხმა. რატომ არ გახდი ჩემი ძმა?

იულიანე. მიუკიბ-მოუკიბავად, თუ შეიძლება. რატომა სცოდნე?

ხმა. რატომ გავხდი ის, რაცა ვარ?

იულიანე. კი მაგრამ, მაინც რა გსურდა, როცა გახდი ის რაც ხარ?

ხმა. ის, რაც უნდა მესურვა.

იულიანე. რად უნდა გესურვა?

ხმა. იმიტომ, რომ მე — მე ვიყავი.

იულიანე. რა სიტყვაძენწი ხარ!

მაქსიმე (კვლავ მოსასხამში თავჩარგული). In vino veritas.

იულიანე. სწორია, მაქსიმე, სწორი! (ღვინით საესე ფიალას თავს წაუქცევს ცარიელი ინახის წინ). იბანავე ღვინის სურნელში, ჩემო ფერმიხდილო სტუმარო! დაიცხრე შენი წყურვილი!.. შეხედე, შეხედე! ღვინის სურნელი სამსხვერპლო კვამლივით მიიწევს მაღლა!

ხმა. სამსხვერპლო კვამლი ყოველთვის როდი მიიწევს მაღლა.

იულიანე. ეგ რა წითელი ნაჭრილობევი გატყვია შუბლზე?.. ნუ, ნუ, თმებით ნუ იფარავ!.. რა არის ეს?

ხმა. ბეჭელი.

იულიანე. ჰმ... კარგი, მოვეშვით ამას... რა იყო შენი ცოდვის ნაყოფი?

ხმა. ის, რაც ყველაზე დიადია.

იულიანე. რას უწოდებ შენ ყველაზე დიადს?

ხმა. სიცოცხლეს.

იულიანე. რა არის სიცოცხლის ძირი?

ხმა. სიკვდილი.

იულიანე. სიკვდილისა?

ხმა (აშოიობრებს და დაღუძლება). საკითხავი, აი, ეს არის!..

იულიანე. გაქრა!

მაქსიმე (თავს აიღებს) გაქრა?

იულიანე. დიახ.

მაქსიმე. იცანი?

იულიანე. დიახ.

მაქსიმე. მაინც ვინ არის?

იულიანე. კაენი.

მაქსიმე. მაშ, ასე, აი, გზა, რომლითაც!.. მეტს ნულარას მკითხავ!
იულიანე (ხელს ჩაიქნევს). მეორეც გამოიხმე, მაქსიმე!

მაქსიმე. არა; არა, არ შემიძლია!

იულიანე. მეორეც-მეთქი, ვის ვეუბნები? აკი შემომფიცე, ზოგ-
ზოგი რამის დაფარული არსის წედრომაში დაგეხმარებო! მაშ,
მეორეც გამოიხმე, გესმის? მინდა ჩემი თვალით ვიხილო და
პირადად გავიცნო ჩემი სტუმრები.

მაქსიმე. გახსოვდეს, ეს შენ მოისურვე და არა მე. (ვერთხს აიქნევს).
მოვედ! გამოგვეცხადე, მონავ მნდომელო და საკუთარი ნების
მქონევ, მომდევნო სამყაროული გადატრიალების მეოხო!

იულიანე (ერთხანს დაძაბული მისჩერებია ცარიელ სივრცეს, მერე უეცრად
ხელს აიქნევს, თითქოს მის გვერდით მოკალათებული ვილაცის მოგერიებას
აპირებსო და ყრულ წამოიძახებს). არ მომეკარო!

მაქსიმე (პირს იბრუნებს). ხედავ?

იულიანე. დიახ.

მაქსიმე. რანაირია?

იულიანე. ეღალწვერა, ჩამოძონძილი, ყელზე თოკშებმული კაცი...
დაელაპარაკე, მაქსიმე!

მაქსიმე. შენ თვითონ უნდა ელაპარაკო.

იულიანე. რა იყავი სიცოცხლეში?

ხმა (იულიანეს ახლოს). სამყაროული ეტლის მეთორმეტე ბორბალი.

იულიანე. მეთორმეტე? მეხუთესაც კი ზედმეტად თვლიან.

ხმა. სად მივიდოდა ეტლი უჩემოდ?

იულიანე. შენი შემწეობით სადღა მივიდა?

ხმა. დიდების კარად.

იულიანე. რატომ შეუწყე ხელი?

ხმა. იმიტომ, რომ ასე მსურდა.

იულიანე. რა გსურდა?

ხმა. რაც უნდა მესურვა.

იულიანე. ვინ აგირჩია?

ხმა. პატრონმა...

იულიანე. მერედა, როცა აგირჩია, წინასწარ თუ კვრეტდა
მომავალს?

ხმა. საკითხავი, აი, ეს არის!..

ხანმოკლე ღუმილი.

მაქსიმე. რატომ გაჩუმდი?

იულიანე. გაქრა!

მაქსიმე (მოტრიალდება და თავს აიღებს) იცანი?

იულიანე. დიახ.

მაქსიმე. რა ერქვა სიცოცხლეში.

იულიანე. იუდა ისკარიოტელი.

მაქსიმე (წამოვარდება). უფსკრული უკან აბრუნებს ყვაილებს; ღამე
თვითონ გასცემს თავისსავე თავს!

იულიანე (უყვირის). მესამე!

მაქსიმე. ნება შენია! (კვერთხს აიქნევს). გამოგვეცხადე, მესამე ქვაკუთხედო! მოვედ, მესამე დიადო სულო. აუცილებლობის კირთების ქვეშ თავისუფლებას ზიარებულა! (კვლავ პირქვე ემხოზა ინახზე და სახეს ბალიშში ჩარგავს).

იულიანე. არავინ არ ჩანს.

მაქსიმე. და მაინც აქ არის! (კვლავ აიქნევს კვერთხს). სოლომონის ბეჭდით, სამკუთხედის თვლით გიბრძანებ, მოვედ! (იულიანეს). არც ახლა ჩანს?

იულიანე. არა... არა!

მაქსიმე (ხელახლა აიქნევს კვერთხს). მოვედ! რაღას უყურებ?! (უცებ ხმა ჩაუწყდება, მერე კი ყვირილით წამოვარდება ინახიდან). ა-ა! ელვამ გააპო ბნელი! ვხედავ... ყველაფერი ამაოა!

იულიანე (ყვირის). რატომ?... მითხარი, რატომ?

მაქსიმე. მესამე ჭერ კიდევ არ ჩასულა აჩრდილთა სამეფოში.

იულიანე. ესე იგი. ცოცხალია?

მაქსიმე. დიახ, ცოცხალია.

იულიანე. და, თანაც, აქ არის?... აკი ასე სთქვი!..

მაქსიმე. ან იქ, ან იქ; ან კიდევ — ჭერარშობილთა შორის...

იულიანე (მივარდება). სტყუი! მაბრეყებ!.. აქ არის!.. აქ არისო, ასე არა სთქვი?..

მაქსიმე. ხელი გამიშვი!

იულიანე. მაშასადამე, ან მე, ან შენ! მაინც რომელი ჩვენგანი?

მაქსიმე. გამიშვი, იულიანე!

იულიანე. რომელი ჩვენგანი-მეთქი?! სთქვი, ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული!

მაქსიმე. შენ ჩემზე მეთი იცი... რა გვაუწყა ხმამ სინათლის წრიდან?

იულიანე. სინათლის წრიდან? (წამოიძახებს). სამეფო! სამეფო! მე უნდა დავაფუძნო სამეფო?!

მაქსიმე. მესამე სამეფო!..

იულიანე. არა, არა და არა! განვედ, მაცთურო! უარგყოფ შენც და შენს საქმესაც!

მაქსიმე. აუცილებლობას უარყოფ?

იულიანე. ჭანდაბამდისაც გზა კქონია, რად უნდა ვემსახურო აუცილებლობას? მე თავისუფალი კაცი ვარ, თავისუფალი, თავისუფალი!

კარის იქით ყვირილი მოისმის. მოცეკვავე ქალები და მუსიკოსები გარბიან.

მაქსიმე. (კარს აუვარდება). რა ამბავია?

იულიანე. ვიდაც უცხო ხალხი სახლში შემოვარდნას ლამობს...

მაქსიმე. შენს მსახურებს ერეკებიან... მოკვლას გვიპირებენ.

იულიანე. ნუ გეშინია, ბუზსაც ვერავინ აგვიფრენს.

სახლთუბუცები ევფერიოსი (მარჯნიდან შემობის). ჩემო მბრძანებელო!

იულიანე. რა ამბავია, ვინ ყვირის?

ევფერიოსი. ვილაც უცნობებმა ალყა შემოარტყეს სახლს; ყველა შემოსასვლელთან მცველები დააყენეს; ლამის ძალით შემოგვივარდნენ... აი, ისინიც, მბრძანებელო! აი, ისინიც!

მარჯნიდან, დიდი და მდიდრული ამაღის თანხლებით შემოდის კვესტორი ლეონტიუსი.

ლეონტიუსი. მომიტევე! რამდენი გიძახე, ჩემო მეუფე!

იულიანე (ნაბიჭით უკან იხევს). ამას ვის ვხედავ?

ლეონტიუსი. შენმა მსახურებმა არასდიდებით არ შემომიშვეს... საშური საქმე მქონდა და იძულებული გავხდი...

იულიანე. რა ქარმა გადმოგაგდო ეფესში, ჩემო ძვირფასო ლეონტიუს?

ლეონტიუსი. არც დღე დამისვენია და არც ღამე; იმპერატორის დაეალებით, მართლაც ქარივით მოვისწრაფოდი შენსკენ...

იულიანე (ფერი ეცვლება). იმპერატორის დაეალებით? რა ხელი აქვს ჩემთან იმპერატორს? ღმერთმანი, არაფერი დამიშავებია. ავადა ვარ, ავად, ლეონტიუს. აი, ეს კაცი (მაქსიმეზე ანიშნებს) ექიმი, ჩემს გასასინჯად მოვიდა.

ლეონტიუსი. მომიტევე, მოწყალეო მეუფევე...

იულიანე. რატომ მივარდებიან შინ? რა ნებას იმპერატორს?

ლეონტიუსი. იმპერატორს ნებას, სასიხარულო, თავბრუდამხვევი, გამაოგნებელი ამბავი გაუწყოს!..

იულიანე. გემუდარები, მითხარი, რა ამბავია ჩემს თავს?

ლეონტიუსი (მუხლს მოუყრის). სკებენდიერო მეუფევე ჩემო... გულწრფელად ეხარობ როგორც შენი, ისე ჩემი საკუთარი ბედნიერებით და მოგესალმები, როგორც ცეზარს!

ლეონტიუსის ამაღა. დიდება ცეზარ იულიანეს!

მაქსიმე. ცეზარს?

იულიანე (ყვირილთ მიაწყება კედელს). როგორც ცეზარს?! ადექი, ლეონტიუს! სრულ ქკუაზე ხარ?

ლეონტიუსი. მე მხოლოდ იმპერატორის ნებას გაუწყებ.

იულიანე. მე... მე ცეზარი ვარ?... მერე გალუსი?

ლეონტიუსი. ო, ნულარ მკითხავ!

იულიანე. სადაა გალუსი? გაფიცებ, მითხარი, რა მოუვიდა?..

ლეონტიუსი (წამოღება). ცეზარი გალუსი... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს... თავის უძვირფასეს მეუღლეს შეუერთდა...

იულიანე. მოკვდა, მოკვდა! გალუსი მოკვდა! თავისი საზეიმო მსვლელობისას უწია სიკვდილმა!.. კი მაგრამ, როდის?.. სად?..

ლეონტიუსი. ო, უძვირფასესო მეუფევე ჩემო, შემბრალებ.

გრიგოლ ნაზიანზელი (კართან დაყენებულ მცველებს უყვირის). საქმე მაქვს! გამატარეთ! გამატარეთ-მეთქი. იულიანე!

იულიანე. გრიგოლ, ძმაო... მაინც დაბრუნდი?

გრიგოლი. ქალაქში მეხივით გავარდა ახალი ამბავი... მართალია? იულიანე. ეგ მეხი თითქოს მე დამეცა. აღარც კი ვიცი, რას ვერწმუნო, ბედნიერებას თუ უბედურებას?

გრიგოლი. მაცხოვრის ჩვენის, იესო ქრისტეს სახელით, განაძე შენგან მაცთური!

იულიანე. ეს კაცი იმპერატორის მაცნეა, გრიგოლ!

გრიგოლი. შენი ძმის სისხლიან გვამს გადააბიჯებ?

იულიანე. სისხლიან გვამს?..

გრიგოლი. არ იცი? ცეზარი გალუსი მოკლეს!

იულიანე (ხელი ხელს შემოჰკრავს). მოკლეს?

ლევონტიუსი. ვინ არის ეს თავხედი?

იულიანე. მოკლეს, მოკლეს! (ლევონტიუსს) მართალია?

ლევონტიუსი. ცეზარმა გალუსმა დაიმსახურა თავისი ხვედრი.

იულიანე. მოკლეს?! ვინ მოკლა?

ლევონტიუსი. ის, რაც მოხდა. აუცილებელი იყო, ჩემო მეუფევე! ცეზარი გალუსი ბოროტად იყენებდა თავის ძალაუფლებას. აწიოკებდა და მიწასთან გასწორებას უქადდა მთელს აღმოსავლეთს. მისი ქცევა კონსტანტინოპოლშიაც და სხვაგანაც აშკარად ამხელდა მის ზრახვებს.

იულიანე. მე მის დანაშაულს როდი ვკითხულობ, სხვა რამის გაგება მაინტერესებს.

ლევონტიუსი. ნება მიბოძე, დავზოგო ძმის სიყვარულით მფეთქავი შენი გული.

იულიანე. ძმის სიყვარულით მფეთქავი ჩემი გული, ალბათ, გაუძლებს იმას, რასაც გაუძლო მამის სიყვარულით აღსავეს ჩემმა გულმა. ვინ მოკლა გალუსი?

ლევონტიუსი. ტრიბუნი სკუდილა, რომელიც თან ახლდა ცეზარს, იძულებული შეიქნა. ბრძანება გაეცა, რომ სიკვდილით დაესაჯათ იგი.

იულიანე. სად? რომში ხომ არა?

ლევონტიუსი. არა. მეუფეო, რომში კი არა, რომის გზაზე... ილირიის ქალაქ პოლეში.

იულიანე (თავს დაბლა ხრის). იმპერატორი დიდია და სამართლიანი!.. უკანასკნელი თავის გვარში, გრიგოლ! დიახ. დიდია იმპერატორი კონსტანციუსი!..

ლევონტიუსი (თავისი ამაღის ერთ-ერთ წვერს პორფირს ჩამოართმევს). ჩემო მეუფევე. პატივი დაგვდე და შეიმოსე...

იულიანე. პორფირი!.. თვალით არ დამანახოთ!.. სწორედ ისაა, რომელიც მას ეცვა პოლეში?

ლევონტიუსი. ეს-ესაა ჩამოიტანეს სიდონიდან.

იულიანე (სწრაფად გადახედავს მაქსიმეს). პორფირი... სიდონიდან ჩამოიტანეს?

მაქსიმე. აპოლინარიოსის ხილვა!

გრიგოლი. იულიანე! იულიანე!

ლეონტიუსი. შენი მძლეთამძლე ნათესავი გიგზავნის. იმპერატორი უშვილოა და იმედი აქვს, რომ შენ მოუშუშებ ამ უკურნებელ იარას. მოუთმენლად მიგელის რომში. შემდეგ კი, როგორც ცეზარი, მისი უზენაესი ნება-სურვილით, გალიას გაემგზავრები. საზღვარზე მცხოვრებმა ალემანებმა ჩენუსი გადმოლახეს და ცეცხლითა და მახვილით აოხრებენ ჩენს მიწა-წყალს. იმპერატორს მტკიცედ სწამს შენი ბედის ვარსკვლავისა და იმედი აქვს, რომ მუსრს გააველებ ბარბაროსებს. ამას წინათ, უცნაური სიზმარი ნახა და მისი უკანასკნელი სიტყვები ჩემი აქ წამოსვლის წინ ის იყო, რომ შენ შესძლებ განამტკიცო სამეფო.

იულიანე. სამეფო?.. ხმა სინათლის წრიდან, მაქსიმე!

მაქსიმე. ერთი ნიშანი მეორის წინააღმდეგ!

ლეონტიუსი. რას ბრძანებ. ჩემო მეუფე?

იულიანე. რაღაც ამგვარი მეც მეუწყა, მაგრამ ეს...

გრიგოლი. უარი სთქვი, იულიანე! მათ სურთ წარწყმედის ფრთები მიგამაგრონ მხრებზე.

ლეონტიუსი. ვინა ხარ, იმპერატორის ნებას რომ ეურჩები?

გრიგოლი. გრიგოლი მქვია, ნაზიანზელი ეპისკოპოსის შვილი გახლავართ... რაც გინდათ, ის მიქენით.

იულიანე. ეს ჩემი ძმაა და მეგობარი. უბატონოდ ხმას ვერვინ გასცემს!

ამასობაში, წინა ეზოში უკვე დიდძალ ხალხს მოუყრია თავი.

ბასილი (გაჰირვებით იკაფავს გზას ბრბოში). უარყავ პორფირი, იულიანე!

იულიანე. შენც აქა ხარ, ჩემო ერთგულო ბასილ?

ბასილი. უარყავ, ღვთის გულისათვის. უარყავ-მეთქი!

იულიანე. რა გაშინებს?

ბასილი. თავზარდამცემი მომავალი.

იულიანე. მე დავაფუძნებ სამეფოს.

ბასილი. ქრისტეს სამეფოს?

იულიანე. დიად სამეფოს კეისრისას.

ბასილი. განა კეისრის სამეფო გედგა თვალწინ, როცა ჭერ კიდევ ყრმა კაპადოკიელ მოწამეთა საფლავებიდან ქადაგებდი შენს მოძღვრებას? განა კეისრის სამეფოს დასაფუძნებლად დაუტევე კონსტანტინოპოლი? განა კეისრის სამეფო...

იულიანე. ყველაფერი ნისლივით გაქრა. განქარდა... უკან დარჩა მთელი ეს შლეგური ბოღვა.

ბასილი. გერჩია, წისქვილის დოლაბი შეგება ყელზე და ზღვის უფსკრულში დანთქმულიყავი. ვიდრე უკან მოგეტოვებინა ეს „ბოღვა“... ნუთუ ვერ ხედავ, რომ ამ საქმეში მაცთუაის ხელი ურევია? სწორედ ის გიწყობს და გილაგებს ფერხთით ამა ქვეყნის ყველა სამეფოს და დიდებას მათსას...

მაქსიმე. ერთი ნიშანი მეორის წინააღმდეგ. იულიანე!

იულიანე. ერთი სიტყვა მაქვს შენთან. ლეონტიუს! (ხელს ჩასკიდებს და ორივენი განზე გადაგებთან). სად მიგყავარ?

ლეონტიუსი. რომში, მბრძანებელო!

იულიანე. არა, მაგას როდი გეკითხები. სად მიგყავარ, რას მიმზადებ — ბედნიერებას და ძალაუფლებას თუ წამებით სიკედელს?

ლეონტიუსი. ამნაირი უნდობლობა, ჩემო მეუფეე...

იულიანე. გალუსის ცხედარი ჭერ კიდევ არ გაციებულა.

ლეონტიუსი. მე შემოდლია გაგიფანტო ყველა ეპკი. (ქალღს იღებს). აი, იმპერატორის წერილი; მაგრამ მერჩია ცალკე გადმომეცა...

იულიანე. წერილი?.. რას მწერს?.. (წერილს ხსნის და კითხულობს). ა!.. ელენე!.. ო, ლეონტიუს! ელენეს... ელენეს მრთავენ!

ლეონტიუსი. იმპერატორი უძვირფასეს საუნჯეს გიძღვნის, ჩემო მეუფეე! თავის საყვარელ დას გაძღვეს ცოლად. დას, რომლის ხელსაც ამაოდ სთხოვდა ცეზარი გალუსი...

იულიანე. ელენე!.. მიუწვდომელი ჩემს ხელთაა!.. მაგრამ თვითონ ელენე, ლეონტიუს?..

ლეონტიუსი. გამომშვიდობებისას იმპერატორმა ხელი ჩასკიდა და ჩემთან მოიყვანა. ქალწულურმა კდემამ შეუფაკლა მშვენიერი ღაწვები, თვალები დახარა და მითხრა: „ჩემი სალაში გადაეცი ძვირფას ნათესავს და უთხარი, რომ ყოველთვის მხოლოდ ის იყო ჩემი“...

იულიანე. მერე, ლეონტიუს, მერე?..

ლეონტიუსი. აქ დადუმდა უბიწო და კდემამოსილი ქალწული.

იულიანე. უბიწო ქალწული!.. სასწაულია, აბა, რა არის? ყველაფრის ასე ახდენა!.. (ხმაღალა). მომართვით პორფირი!

მაქსიმე. უკვე აირჩიე?

იულიანე. დიახ, მაქსიმე!

მაქსიმე. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ნიშანი მეორეს ეწინააღმდეგება?

იულიანე. მე ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ!.. ბრმა ყოფილხარ, ნათელმხილველო!.. პორფირი მომართვით-მეთქი!

კვეტორი ლეონტიუსი პორფირს მოასხამს.

ბასილი. აღსრულდა!

მაქსიმე (ხელაყრობილი ბუბუბუბებს). ძღვეა და ნათელი მსურველს!

ლეონტიუსი. ახლა კი მეფისნაცვლის სასახლისაკენ გავსწიოთ! ხალხს სურს მიესალმოს თავის ცეზარს!

იულიანე. ცეზარი თავისი აღზევების უამსაც იმადვე რჩება, რაც იყო, — ღარიბ ფილოსოფოსად, რომელიც ყველაფერს უნდა უმადლოდეს მხოლოდ იმპერატორის გულმონყალებას... მაშ, ასე, მეფისნაცვლის სასახლეში, ჩემო ძვირფასო!

ყველანი, გრიგოლის და ბასილის გარდა, ბრბოის ყიენში გადიან წინა ეზოდან.

ბასილი. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით,
გრიგოლ!

გრიგოლი. აი, ჩემი ხელი.

მეოთხე მონათხიზება

გალია. ლუტეციის შემოგარენი. ცეზარის საგარეუბნო სასახლის „თერმების“ ვრცელი დარბაზი. წინ, შუა კედელში დატანებულია შემოსასვლელი კარი. მარჯვნივ მუორე, შედარებით მომცრო კარია, ხელმარცხნივ — ფარდებჩამოფარებული სარკმელი. მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, მარგალიტების დიადემით შუბლშემკული ელენე სავარძელში ზის და სარკმელში იყურება. გვერდით მისი მოახლე მირა უდგას, რომელსაც ფარდა უკირავს ხელით.

ელენე. მეორედ მოსვლაა სწორედ! მთელი ქალაქი მათ შესახვედრად გამოფენილა!... სსუ... მირა! ბუკ-ნალარისა და დაფლაფების ხმა არ გესმის?

მირა. დიახ, ქალბატონო... მგონი, მესმის...

ელენე. სტყუი! ამ ღრიანცელში რას გააჩქევ? (წამობტება). ო, ეს მტანჯველი მოლოდინი! არც კი იცი, გამარჯვებული ბრუნდება თუ ბრძოლის ველიდან გამოქცეული!

მირა. ნუ ლელავთ, ქალბატონო! როდის დაბრუნებულა დამარცხებული?

ელენე. დიახ, უწინ... ხანმოკლე შეტაკებების შემდეგ. მაგრამ ამჯერად, მირა?! ეს საშინელი, არნახული ბრძოლა! და, თანაც, ეს ურთიერთგამომპრისხველი ცნობები. ცეზარი რომ გამარჯვებული ბრუნდებოდეს, რაში დასკირდებოდა, წინასწარ შემოეთვალა უხუცესთათვის. გიკრძალავთ საზეიმო შეხვედრის მოწყობას ქალაქის კარიბჭესთან?

მირა. ხომ იცი, ქალბატონო, რომ შენი ძლევამოსილი მეუფე არაფრად აგდებს ამ ზარ-ზეიმს?

ელენე. დაეუშვათ, რომ მართლაც ავრეა. მაგრამ, ვთქვათ, და, ბრძოლა წააგო. — რომში ხომ უკვე შეიტყობდნენ ამას. და განა მაშინ იმპერატორი გამოგზავნიდა ელჩებს, რომლებსაც დღეს უნდა ველოდეთ. თუკი ვერწმუნებით მაცნეს, ესოდენ ძვირფასი საჩუქრები რომ მომართვა?... ა. ეფერიოს! რა ამბავია?

ეფერიოსი (შემოდის). ქალბატონო, ყოვლად შეუძლებელია რამის გაგება...

ელენე. შეუძლებელია?... რალაცას მატყუებ! ჭარისკაცებმა მაინც ხომ უნდა იცოდნენ?..

ეფერიოსი. ჭერჭერობით მხოლოდ ბარბაროსთა მაშველი ძალები შემოდიან. ბატაეები და სხვები... მათ კი არაფერი არ იციან.

ელენე (ხელებს იბტვივს). რა შევცოდე ღმერთს? სულზე უტკბესო
მაცხოვარო ჩვენო! აკი დღედაღამ ელოცულობდი შენს
მიმართ?... (მოაყურადებს და წამოიკვივებს). აა... იულიანე! მისი
ხმაა!.. ჩემი სიცოცხლე!.. იულიანე!

იულიანე (სწრაფად შემოდის ბტვერში ამოგანგული აბჯრით). ელენე!
ევფერიოსი. მეუფეო!

იულიანე (გულში იყრავს ელენეს). ელენე!.. ყველა კარი ჩარაზეთ,
ევფერიოს!

ელენე. დავილუპეთ?... დამარცხდი?

ევფერიოსი. მეუფეო!

იულიანე. ორმაგი დაცვა დააყენეთ ყველა შემოსასვლელთან!
არაფინ შემოუშვან!.. მოიცა! იმპერატორის ელჩები უკვე აქ
არიაან?

ევფერიოსი. არა, მეუფეო, მაგრამ წუთი-წუთზე მოველით.

იულიანე. წადი! (მოახლეს). მარტო დაგეტოვებ.

ევფერიოსი და მირა გადიან.

ელენე (სავარძელში ეშვება). ესე იგი, ჩვენი აღსასრულის დღე დადგა!

იულიანე (ფარდებს გაღასწევს). ვნახოთ, ვინ იცის!... ოლონდ სიფ-
რთხილვია საჭირო... როგორც ქუხს, ყოველთვის ისე როდი
წვიმს...

ელენე. ამნაირი მარცხის შემდეგ?..

იულიანე. მარცხისაო?! რას ამბობ, ჩემო ძვირფასო?

ელენე. განა ალემანებმა არ დაგამარცხეს?

იულიანე. რაღა დავემარცხებინეთ, ცოცხალი თავით ველარ მნა-
ხავდი...

ელენე (წამოვარდება). კი მაგრამ, ღმერთო დიდებულო, აბა, რა
მოხდა?

იულიანე (ჩუმად). უფრო უარესი, ელენე — ბრწყინვალე გამარ-
ჯვება!..

ელენე. გამარჯვება? შენ ამბობ, ბრწყინვალე გამარჯვებაო?...
გაიმარჯვე და მაინც...

იულიანე. შენ ჩემი მღვთმარეობა არ გესმის. შენ მხოლოდ
ცეზარის უბადრუკობის გარეგან ოქროთი მოვარაყებულ
მხარეს იცნობ.

ელენე. იულიანე!

იულიანე. იქნებ, ისიც მისაყვედურო, რატომ დამიმალეო?... რა
მექნა? ჩემი ღირსება და მოვალეობა... მაგრამ ამას რას ვხედავ?
რა მოგივიდა?

ელენე. მაინც?..

იულიანე. ასე რამ შეგცვალა ამ რამდენიმე თვის მანძილზე?
მითხარი, ავად იყავი?

ელენე. არა, არა, მაგრამ...

იულიანე. დიახ, უთუოდ ავად იყავი! როგორც ჩანს, ახლაც შეუძლოდა ხარ... რა ციებ-ცხელებიანივით გიფეთქავს ძარღვები საფეთქლებზე?.. როგორ ამოგლამებია თვალები?

ელენე. ეგ არაფერი, ჩემო ძვირფასო... საშიში არაფერი მქირს. ნუ, ნუ მიყურებ, იულიანე! მხოლოდ შენმა დარდმა და უძილობამ, მხოლოდ გულმხურვალე ლოცვამ ჩვენი ჭვარცმული შაცხოვრის მიმართ...

იულიანე. თავს გაუფრთხილდი, ჩემო ძვირფასო. კაცმა არ იცის, რა ყრია ამ გაუთავებელ ლოცვა-ვედრებაში...

ელენე. გრცხვენოდეს! ღმერთს ნუ სცოდავ, იულიანე!.. მაგრამ შენს საქმეებზე მელაპარაკე. გემუდარები, ნურაფერს დამიმალავ.

იულიანე. რა უნდა დაგიმალო? დედოფლის სიკვდილის შემდეგ, ჩემს ყოველ ნაბიჯს აქ, გალიაში, სასახლის კარზე სულ უფრო და უფრო უკუღმართად განმარტავენ. თუ ალემანების წინააღმდეგ ფრთხილად ემოქმედებ, იქ უნიათობასა და სიმბდალეს მწამებენ. დასცინიან ფილოსოფოსს, რომელიც ვერ იქნა და ვერ შეეჩვია აბჯრის ტარებას. თუ ბარბაროსები ეძლიე, მაშინ ამბობენ, რომ მეტის გაკეთება შემეძლო.

ელენე. კი მაგრამ, მოლაშქრეთა შორის ხომ იმდენი მეგობარი გაყავს?..

იულიანე. მაინც ვინ გეგულება მთელს ლაშქარში ჩემს მეგობრად? მე პირადად ვერავის დავასახელებ, ჩემო ძვირფასო. ერთადერთი ისევე ის პერუზიელი მხედარია — სალუსტიუსი, რომელსაც მილანში, ჩვენი ქორწილის დროს, ერთი პატარა, საცხებით სამართლიანი თხოვნაც ვერ შევეუსრულე. მან დიდსულოვნად დაივიწყა ყველაფერი, ბანაკში გამომეცხადა, გამახსენა, როგორ ვმეგობრობდი ათენში და მთხოვა, ნება მიბოძე შენთან ერთად გავიზიარო სალაშქრო ცხოვრების ყველა გაჭირვება და განსაცდელიო. მაგრამ სალუსტიუსს ძალდაც არ აგდებენ იმპერატორის სასახლეში. ის ხომ ერთი მათთაგანია, ვისაც იქ წარმართებად თვლიან. ასე რომ, სალუსტიუსი გინდ ყოფილა და გინდ არა... დანარჩენები? მაინც ვინი იმედი შეიძლება მქონდეს? იქნებ, მხედართმთავარ არბეციუსისა, ბელის ანაბარა რომ მიმატოვა, როცა სენონების მიერ აღყაშემორტყმული აღმოჩნდი? ან, იქნებ, ამ გადაღრმობებული სევერუსისა, რომელმაც იცის, რომ არაფრის თავი აღარა აქვს, მაგრამ მაინც ვერასდიდებით ვერ შეჰგუებია ჩემს მიერ დანერგილ საომარ წესებს? ხომ არ გგონია, რომ პრეტორიანელთა სარდალს ფლორენციუსს მაინც შემიძლია ვენდო? ამ ხარბსა და გაუმაძღარ კაცს თავისი გამორჩენისა და დაწინაურების მეტი სხვა საზრუნავი არ გააჩნია.

ელენე. აჰ, იულიანე!

იულიანე (დაბაზში ბოლოსა სცემს). ნეტა მათი მზაკერული ხრიკები მამხილებინა! ყოველ კვირა, მალულად აგზავნიან დამსმენებს რომში, ყველაფერი, რასაც მე აქ ვაკეთებ, დამახინჯებული სახით გადაეცემა სასახლის კარს. შენ წარმოიდგინე, ელენე,

თვით კერძების ნუსხაც კი, რომელსაც განუხრელად უნდა მისდიოს ჩემმა მზარეულმა, იმპერატორის მიერაა გამოგზავნილი, და მე ერთი შესწორების შეტანაც არ შემიძლია მასში. ვერც რას მიუვამატებ და ვერც გამოვაკლებ.

ელენე. და ყოველივე ამას ჩუმაღ, უდრტვინველად ითმენდი?

იულიანე. ყველამ ყველაფერი იცის, შენს გარდა. ერთხმად დასკინიან და მასხრად იგდებენ ცეზარის უმწეობასა და უსუსურობას... არა, მეტის ატანა აღარ შემიძლია! ყელში ამომივიდა, გესმის?

ელენე. კი მაგრამ, ეს სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა? მითხარი, გადაქარბებული ხომ არ არის, რასაც ამბობენ?

იულიანე. გადაქარბებული რა უნდა იყოს?.. სსუ! რა არის ეს! (კარს აყურადებს). არა, არა, რალაც მომეჩვენა... თამამად შემიძლია მოგახსენო, რომ ამ რამდენიმე თვის მანძილზე მე შევძელი თითქმის შეუძლებელი, ათასგვარი დაბრკოლების მიუხედავად, რომლებსაც ჩემს საკუთარ ბანაკშივე მიწყობდნენ, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, აღმოსავლეთ საზღვრებს იქით გადავრეკე ბარბაროსები. მეფე კნოდომარმა, რომელსაც ზურგს უფარავდა რენუსი, მთელ თავის ძალებს არგენტორატში მოუყარა თავი. კნოდომარს მიემხრო ხუთი მეფე და ათი მთავარი, მაგრამ სანამ იმის თადარიგს დაიქერდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მდინარე გადაელახა და სამშვიდობოს გასულიყო, მის წინააღმდეგ დავძარი ჩემი ლაშქარი.

ელენე. ჩემო დევგპირო!

იულიანე. ლუპიცინუსმა შუბოსნებითა და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ლაშქრით ჩრდილოეთიდან უყელა მეტერს. ვეტერანთა ლეგიონები, სევერუსის სარდლობით, სულ უფრო და უფრო მეტად ავიწროებდნენ და აღმოსავლეთით, რენუსისაკენ ერეკებოდნენ ბარბაროსებს. ბატავები, ჩვენი ერთგული მოკავშირის ბაინაბაულის წინამძღოლობით, მხარს უმაგრებდნენ ჩვენს ლეგიონებს. საფრთხის მოახლოება რომ იგრძნო, კნოდომარმა სცადა სამხრეთისაკენ გაქრილიყო, რათა კუნძულებზე გადაეყვანა და, ამრიგად, გადაერჩინა თავისი ლაშქარი. მაგრამ მე დავასწარი და ფლორენციუსის მეთაურობით ვაფრინე პეტრორიანელები და ცხენოსანი რაზმები, რათა მტრისთვის მოექრათ გზა. მე მიმძიმს ამის ხმამალლა თქმა, მაგრამ დაბეჯითებით ვიცი, ელენე: ლალატმა და შურმა ლამის აქაც ხელიდან გამოძაცალა გამარჯვების ნაყოფი. რომაელთა ცხენოსანი რაზმები ყოველი ფეხის ნაბიჯზე უკან იხევდნენ ბარბაროსების წინაშე, რომლებიც მიწას ეკვროდნენ და ცხენებსაც და მხედრებსაც სეტყვასავით აყრიდნენ ისრებს. მე უკვე მეგონა, რომ ბრძოლა წაუვა.

ელენე. მაგრამ ხომ დავიფარა არსთა გამრიგებ?

იულიანე. სასომიხდილმა ხელი დაეტაცე დროშას, მხნედ შევუძახე საიმპერატორო გვარდიას, სახელდახელოდ წარმოვთქვი სიტყვა, რომელიც ღმერთმანი უფრო განათლებულ მსმენელთა

ღირსი იყო, და როგორც კი ჭარისკაცებმა მოწონების ყიყინა დასცეს, პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლაში ჩავები.

ელენე. ო, იულიანე, მე შენ არ გიყვარვარ!

იულიანე. იმ წუთში შენზე საფიქრალად არ მეცალა. სიკვდილს ენატრობდი. სხვა გამოსავალი არსად ჩანდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბოლოს მაინც გაგვიღიმა ბედმა. ჩვენი შუბლები თითქოს ელვის ნაპერწკლებს ყრიდნენ და თავზარსა სცემდნენ მტერს, დავინახე, როგორ იბრუნა პირი კნოდომარმა, და ამ ძალგულოვანმა მეომარმა კურდღელივით მოკაურცხლა. კნოდომარს უკან მიჰყვნენ მისი ძმა ვესტრალპი, მეფეები ჰორტარი და სუომარი და სხვაე მრავალი, ვინც ჩვენს ხმალს გადაურჩა.

ელენე. ო, მე ვხედავ, ყველაფერს თვალნათლივ ვხედავ! იდიდე, ჩვენო მაცხოვარო! ეს შენ კვლავ მოავლინე სიკვდილის ანგელოსნი, ოდესღაც მულვიის ხიდზე მუსრი რომ გააველეს მტერს.

იულიანე. არასოდეს გამოგონია ესოდენ სასოწარკვეთილი ყვირილი, არც ისეთი საშინელი იარები მინახავს, ფეხით რომ ექელავდით, როცა დაცემულთა გვაძებზე გადავდიოდით. ბოლოს მდინარის ტალღებმა დააგვირგვინა ყველაფერი: შიგ ჩაცვივებულები ერთმანეთს ებლაუჭებოდნენ. თავ-პირს ჰკაწრავდნენ, ღმუოდნენ, იგინებოდნენ და, ბოლოს, ერთად იძირებოდნენ. მტრის თავკაცთა უმრავლესობა ტყვედ ვიგდეთ ხელთ, თვით კნოდომარი კი ლაქაშებში შეიძალა თავის გადასარჩენად. ვერც ერთ მის თანამებრძოლს სიტყვა ვერ დაუვადენინეთ. არც ერთმა არ გასცა ბელადი. მაშინ ჩვენებმა სეტყვასავით დაუშინეს ისრები მეფის სამალავს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, თვითონვე დაგვნებდა.

ელენე. და, ამნაირი გამარჯვების მიუხედავად, მაინცა ლელავ?...

იულიანე (ნაწყვიტ-ნაწყვიტ). გამარჯვების შემდეგ, იმავე საღამოს, მოხდა რაღაც გაუგებარი... ისე, სრულიად უმნიშვნელო... კაცმა რომ თქვას, არც კია ყურადღების ღირსი...

ელენე. სრულიად უმნიშვნელო?..

იულიანე. მე მირჩევნია, ასე ვიფიქრო... ათენში ხშირად ვმსჯელობდით ნემზიდაზე... ჩემი გამარჯვება თავებრუდამხვევი იყო, ელენე... თითქოს წონასწორობა დაკვარგე... არც კი ვიცი, რა მომივიდა...

ელენე. სთქვი! ნუ მაშინებ!

იულიანე. გუბნები, სრულიად უმნიშვნელო რამ მოხდა-მეთქი. მთელი ლაშქრის წინაშე ბრძანება გავეცი, დატყვევებული კნოდომარი გამოეყვანათ, ბრძოლის დაწყების წინ მემუქრებოდა, ხელში თუ ჩამივარდი, ცოცხლად გაგაძრობ ტყავსო. ახლა კი თვითონვე მოდიოდა ჩემსკენ, მაგრამ ვაი ამ მოსვლას, ძლივს მოათრევედა ფეხებს და მთელი სხეული ვერხვის ფოთოლივით უცახცახებდა. უბედურებით გასავათებული და ღონემიხილი, ბარბაროსთა ჩვეულებისამებრ, ჩემს წინაშე

განერთხა მიწას, მუხლებზე მომეხვია და მდულარე ცრემლების ფრქვევით შეწყალების თხოვნა დამიწყო...

ელენე. მთელი თავისი გოლიათური სხეულით თრთოდა? ო, რა თვალნათლივ ვხედავ, შენს წინაშე, მიწაზე განრთხმულს!.. ხომ იქავე გააფრთხობინე სული, ჩემო ძვირფასო?!

იულიანე. არა, ხელი არ მომიბრუნდა. შეეპირდი, სიცოცხლეს გაჩუქებ და რომში ტყვედ გაგზავნი-მეთქი.

ელენე. არც აწამე?

იულიანე. სიბრძნისთვის უცხოა სისასტიკე და გულმხეცობა... და სწორედ აქ... არ ვიცი, რა მოხდა... სიხარულით გაგიყვებულ ბარბაროსს საზარელი ყვირილი აღმოხდა მკერდიდან, ზეცის მიმართ აღაჰყრო შებორკილი ხელები და დამტკრეული ბერძნულით შეჰბღავლა: „დიდება იულიანეს, უძლეველ იმპერატორს!“

ელენე. ა!..

იულიანე. ჩემმა ამაღამ გადახარხარებაც ვერ მოასწრო, ბარბაროსის ყოჩინმა ელვასავით დაუარა ჭარისკაცთა რიგებს და მეწინავეებმა ერთხმად აიტაცეს: „გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!“ ამ შეძახილმა ტალღასავით გადაუბრინა მთელს ლაშქარს, თით უკანასკნელ რიგებამდე, თითქოს ციკლოპმა მთა მოგლიჯა და ზღვაში ისროლაო... მომიტევე ეს წარმართული შედარება, ჩემო ძვირფასო...

ელენე. იმპერატორი იულიანე! ასე თქვა: იმპერატორი იულიანეო?

იულიანე. რა უნდა სკოდნოდა ამ გაუთლელ ალემანს კონსტანციუსზე, რომელიც თავის დღეში თვალთ არ უნახავს? ამიტომ მე, მისი მძლეველი, ვეგონე იმპერატორი...

ელენე. კი მაგრამ, ჭარისკაცები?..

იულიანე. ყველას სასტიკი საყვედური გამოვუცხადე. მშვენიერად ვხედავდი, რომ ფლორენციუსი, სევერუსი და ზოგიერთი სხვაც ჩუმად იდგნენ, შიშისგან ფერმიხდილნი და სიმწრით იკვნეტდნენ ჩარბებს.

ელენე. დიახ, ისინი, მაგრამ არა ჭარისკაცები.

იულიანე. ამის შემდეგ ერთ ღამესაც არ გაველო, რომ ჩემმა იღუმალმა მტრებმა უკვე მოასწრეს ყველაფერი დამახინჩებულად წარმოედგინათ: ვითომც ცეზარს კნოდომარისთვის ებრძანებინოს, იმპერატორად გამოამაცხადე და სანაცვლოდ სიცოცხლეს გაჩუქებო... და, აი, ამ სახით მიუვიდა ეს ამბავი სასახლის კარს.

ელენე. დარწმუნებული ხარ? კი მაგრამ, ვინ დაგასმენდა?

იულიანე. ვინ, ვინ? მე თვითონ დაეჭექი და ყველაფერი სასწრაფოდ მიეწერე იმპერატორს, მაგრამ...

ელენე. მერედა რა გიპასუხა?

- იულიანე.** პასუხის ღირსი ვინ გაგხადა?... ხომ იცი, რას ნიშნავს ეს საბედისწერო დუმბილი. ყოველთვის, როცა აპირებს ვინმეს სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს.
- ელენე.** მე კი მგონია, რომ სცდები... რა თქმა უნდა, სცდები. აი ნახავ, ელჩები სულ მალე გაახლებენ იმის საბუთს, რომ...
- იულიანე.** მე უკვე ხელთა მაქვს ეს საბუთი, ელენე! ჩემმა ხალხმა საიდუმლო წერილები წაართვა იმპერატორის მაცნეებს... აგერ, აქა მაქვს (მკერდზე ანიშნებს).
- ელენე.** ო, ღმერთო ჩემო! მაჩვენე...
- იულიანე.** მერე, მერე (ბოლთას სცემს). აი, რითი მიხდის ჩემი თავდადებული სამსახურის სანაცვლოს. მე ისეთი მუშტი ამოვცხე აღმანებს, რომ კაი ხანს ველარ გაბედავენ აქეთ გამოხედვას, მაშინ როდესაც თვითონ მარცხს მარცხზე განიცდის ღუნაის პირას, და აზიაშიც, როგორც ჩანს, ვერაფერს ვაკლებთ სპარსელებს. იმპერიის ყველა საზღვრიდან ჩვენი მარცხისა და შერცხვენის ამბები მოგვდის, გამონაკლისი მხოლოდ ეს ერთი—რენუსის საზღვარია, სადაც ლაშქარს სათავეში ჩაუყენეს ფილოსოფოსი, რომელსაც ძალით შეაჩიჩეს ხმალი. მიუხედავად ამისა, კვლავ ძველებურად დამცინიან სასახლის კარზე. თვით ამ დიადი გამარჯვების შემდეგაც კი ჩემზე სახელდახელოდ შეთხზეს სატირა, სადაც ვიქტორინუსის სახელით მამასხრებენ. ამას ბოლო უნდა მოელოს!
- ელენე.** დიახ, გეთანხმები!
- იულიანე.** რალა ფასი აქვს ყოველივე ამის შემდეგ ცეზარის ღირსებას?
- ელენე.** მართალი ხარ, იულიანე, ამის ატანა არ შეიძლება.
- იულიანე** (ჩერდება). ელენე, ყოველთვის ჩემთან იქნები?
- ელენე** (ჩუმად). სანამ პირში სული მიდგას...
- იულიანე.** მაშინ რას ვაკლავთ თავს ამ უმაღურ საქმეს? წავილდეთ, გავეცალოთ... რამდენი ხანია მარტო ყოფნა მენატრება... რა სჯობია სიმშვიდეს და სიმყუდროვეს?
- ელენე.** რას ამბობ?... მარტო ყოფნა?
- იულიანე.** შენთან ერთად, ჩემო ძვირფასო, შენთან და ჩემს საყვარელ წიგნებთან, რომლებსთვისაც აქ საერთოდ აღარ მცალია და მხოლოდ ჩემს უძილო ღამეებში თუ ვფურცლავ ხოლმე.
- ელენე** (ახელ-დახედავს). აჰ... ასე?
- იულიანე.** მაშ, როგორ?
- ელენე.** ჰო, რა თქმა უნდა: მაშ, როგორ?
- იულიანე.** დიახ, დიახ, მე გეკითხები, — მაშ, როგორ-მეთქი?
- ელენე** (უახლოვდება). იულიანე... როგორ მოგესალმა ბარბაროსების მეფე?
- იულიანე** (უნებურად გაიწევს განზე). ელენე!

- ელენე** (ხელახლა უახლოვდება). რა სიტყვა აიტაცეს ჯარისკაცებმა? **იულიანე**. ხომ არ გაგიჟდი?... იქნებ გარეთ ვილაცა დგას და ყური კარზე აქვს მოკრული.
- ელენე**. მერედა მოყურადებისა გეშინია? ხომ აშკარაა, რომ ღმერთი გწყალობს?... განა ბედი არ გიღიმოდა ყველა ბრძოლაში?... მე ვხედავ შენსკენ მოწოდების ნიშნად გამოწვეილ მარჯვენას მაცხოვრისას, ვხედავ ანგელოსს, ცეცხლის-მფრქვეველი ხმალი რომ უკირავს ხელში, რომლითაც გზა გაუკაფა მამაჩემს, როცა მან მაქსენციუსს გადაუძახა ტიბერისში!
- იულიანე**. რასა მთხოვ, ქვეყნის მპყრობელს ავეუმბოხდე?
- ელენე**. მხოლოდ იმათ, ვინც თქვენს შორის დგას. ო, გამოდი, რისხვად დაატყდი თავზე შენს მტრებს და ბოლო მოუღე ამ უსიხარულო და უბადრუკ ყოფას! გალია — უდაბნოა! აქ მე ვკვები, იულიანე! სახლი მენატრება, მზე, რომი, საბერძნეთი!
- იულიანე**. სახლი, შენი ძმა...
- ელენე** (ხმადაბლა). კონსტანციუსს ცალი ფეხი სამარეში უდგას უკვე.
- იულიანე**. ელენე!
- ელენე**. მეტის გაძღება აღარ შემიძლია... დრო გადის, ევსებიას მოკვდა. მისი დაცარიელებული ტახტი დიდებასა და პატივს მიქადის, მე კი ამ უდაბნოში ვბერდები.
- იულიანე**. რა დროს შენი სიბერეა! გაზაფხულივით ახალგაზრდა ხარ და ლამაზი!
- ელენე**. არა, არა! დრო გადის, მეტის მოთმინებისა და ატანის თავი არა მაქვს... სიცოცხლე ხელში მადნება!
- იულიანე** (ვენებინად უყურებს). რა მომხიბლავი ხარ, მომნუსხველი, თავბრუდამხვევი!
- ელენე** (ჩაეკონება). მართლა, იულიანე?
- იულიანე** (ეხვევა). შენა ხარ ერთადერთი ქალი ამქვეყნად, რომელიც მე მიყვარს; ერთადერთი, რომელსაც მე ვუყვარვარ.
- ელენე**. მე შენზე უფროსი ვარ. არ მინდა, კიდევ უფრო ხნიერი გავხდე. როცა ყველაფერი დამთავრდება, მე...
- იულიანე** (გაეცლება). სსუ! ამის გაგონებაც არ მინდა!
- ელენე** (უკან მისდევს). კონსტანციუსი ნელ-ნელა, დღითი-დღე კვდება. მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკილია... იულიანე, ჩემო ძვირფასო... ჯარისკაცები მხარს გიჭერენ...
- იულიანე**. ჩუმაღ, ჩუმაღ!
- ელენე**. ერთი ხმამალა რომ შეუძახო, სული გასძვრება. მაშ, რაღაა საკოკმანო? რაღას უყურებ? არა, სისხლის ღვრას როდი გთხოვ! ღმერთმა დაგვიფაროს! შეშინებაც საკმარისია. შიში თავის მძლავრ ხელს მოხვევს, გულში ჩაიკრავს და უმტკივნეულოდ მოუღებ ბოლოს მის ტანჯვას.

იულიანე. შენ გაეიწყდება უხილავი მცველი, თავისი ფრთებით რომ იფარავს მირონცხებულს!

ელენე. მაცხოვარი გულმოწყალე! ღვთისმოსავს ბევრ რასმე მიუტყეებს, იულიანე... მე შენთანა ვარ. ახლავე ბრძანებას გავცემ, შენთვის ილოცონ. კურთხეულ იყოს ყველა წმიდა! კურთხეულ იყვენენ მოწამენი! მერწმუნე, დროთა განმავლობაში ყველაფერს გამოვისყიდით. მაჩუქე ალემანები! მე მათ ქრისტეს სჯულზე მოვაქცევ. მღვდლებს გავგზავნი მათ სოფლებში და ისინი ქედს მოიხრიან ჯერის მოწყალების წინაშე!

იულიანე. ალემანები ქედუხრელი ხალხია!

ელენე. მაშინ სიკვდილი მაინც მოახრევეინებთ ქედს! საკმევლის ტბილი კვამლივით ავა მალა, ჩვენი მაცხოვრის კარად, მათი თბილი სისხლის სურნელოვანი ოხშივარი! ჩვენ კიდევ უფრო მეტ ბრწყინვალებას შევმატებთ მის დიდებას; ჩვენი წყალობით, ახალი ძალით უგალობებენ ოსანას კაცთა გამოსახსნელად ჯვარცმულსა და სისხლდათხეულს! მე თვითონ შევეუერთებ ჩემს ხმას. მაჩუქე ალემანთა ქალები! თუ ქედს არ მოიხრიან, მსხვერპლად შევწირავ! და მაშინ, ჩემო სიცოცხლე... კვლავ მიხილავ, ახალგაზრდული მშვენებით გასხივოსნებულს! მაჩუქე ალემანთა ქალები, ჩემო ძვირფასო... ეს ხომ არ იქნება მკვლელობა, არამედ — საშუალება, სასწაულთმოქმედი საშუალება... ქალწულთა სისხლის აბაზანა...

იულიანე. ღმერთს ნუ სცოდავ, ელენე!

ელენე. განა დანაშაულად შემერაცხება, რომ შენი გულისთვის ვცოდო?

იულიანე. ო, ჩემო მშვენიერო, ჩემო ერთადერთო!

ელენე (ხელებს უკონის). ო, ჩემო მბრძანებელო, ღვთისა და კაცთა წინაშე! ამჯერად მაინც ნუ დაიხვე უკან! ჩემო გმირო, ჩემო იმპერატორო! ვხედავ, უკვე განიხვნენ კარნი ცათანი. დაე, მღვდელმსახურთა ადიდონ ქრისტე, ჩემი ქალები სალოცავად შეგროვდებიან (ცისკენ აღაპყრობს ხელებს). ო, მძლეთამძლეო! უფალო ჩვენო საბაოთ... მადლი და წყალობა მოიღე შენი მარჯვენიო!..

იულიანე (კარს შეაღებს თვალს). ელენე!

ელენე. ა!..

ევფერიოსი (კარშივე). მეუფეო, იმპერატორის ელჩი...

იულიანე. უკვე მობრძანდა?

ევფერიოსი. დიახ, ჩემო მეუფევე.

იულიანე. ვინ? რომელია?

ევფერიოსი. ტრიბუნი დეცენციუსი.

ელენე. მართლა? კეთილშობილი დეცენციუსი?

იულიანე. ვის ელაპარაკა?

ევფერიოსი. ჯერჯერობით, არავის, მეუფეო, ეს-ესაა შემოდგა ფეხი. იულიანე. ახლავე უხმე... თუმცა, მოიცა... მხედართმთავრებიცა და სარდლებიც დაუყოვნებლივ მებალონ.

ევფერიოსი. კეთილი, მბრძანებლო (იმავე კარიდან გადის).

იულიანე. სულ მალე ყველაფერი გაირკვევა, ჩემო ძვირფასო...

ელენე (ჩუმად). რაც არ უნდა მოხდეს, ნუ დაივიწყებ, რომ ყოველთვის შეიძლება ჭარისკაცების იმედი გქონდეს.

იულიანე. კმ... იმედი... ნეტა ვიცოდე, საერთოდ, შემიძლია თუ არა, ვისიმე იმედი მქონდეს?!

ღარბაზში შემოდის ტრიბუნი დეცენციუსი

ელენე (ვეგებება). მოგესალმები, კეთილშობილო დეცენციუს! რომაული სახე... და, რაც მთავარია, ეს სახე... ო, რა მშობლიურ, რა ცხოველმყოფელ ნათელსა ჰფენს იგი ამ პირქუშსა და სტუმართმოძულე მხარეს!

დეცენციუსი. იმპერატორი იზიარებს შენს კმუნვასა და სასოებას, დედოფლის სწორო! იმედი გვაქვს, დიდხანს აღარ მოგიწევს ამ პირქუშ გალიაში ტყვეობა.

ელენე. რას მიბრძანებ, სიხარულის ძვირფასო მაცნევ? ნუთუ იმპერატორს კვლავინდებურად ვუყვარვარ? კვლავინდებურად ფიქრობს და ზრუნავს ჩემზე?... ისე, ჯანმრთელობას ხომ არ უჩივის?

იულიანე. შენ წადი, მარტო დაგვტოვე, ჩემო ძვირფასო.

დეცენციუსი. იმპერატორის ჯანმრთელობას არავითარი გაუარესება არ ეტყობა.

ელენე. მადლობა ღმერთს! ასეც ვიცოდი! აქ კი რას აღარ ამბობდნენ, ესაო, ისაო... კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა! გულითადი მადლობა გადაეცი, ჩემო ძვირფასო დეცენციუს! შენიც დიდი მადლობელი ვარ, რა მდიდრული ძღვენი გვაახლე, რომ წინასწარ გეუწყებინა შენი მობრძანება! ქეშმარიტად მეფური... არა, მეფური კი არა, ძმური საჩუქარია! ორი კუპრივით შავი ნუბიელი... ნეტა გაჩვენა, იულიანე... და მარგალიტის დიადემა! უკვე გავიკეთე... ახლა ხილს აღარ იკითხავ? ჩემი საყვარელი დამასკური ატმები ოქროს სინით!... ერთი სული მაქვს, როდის ჩავიტკბარუნებ პირს! აჰ, ხილი, ხილი! ხილის სურვილი მკლავს გალიაში.

იულიანე. საზეიმო სუფრით დავასრულებთ ღღევანდელ ღღეს; ახლა კი საქმეები გველის, შენ წადი, ჩემო ძვირფასო.

ელენე. მივდივარ, მივდივარ... პირდაპირ ეკლესიაში, რათა ვილოცო ჩემი ძვირფასი ძმისა და ჩვენი სასოებისთვის (მარჯვნივ გადის).

იულიანე (ხანმოკლე ღუმლის შემდეგ). შენი პირით მითელის რამეს თუ წერილს მიგზავნის?

დეცენციუსი. წერილს (გრაგნილს აწვდის).

იულიანე (კითხულობს, ძლივს იკავებს ირონიულ ღიმილს და ხელს უწყდის). სხვა?
დეცენციუსი. სულ ეგაა, ჩემო მეუფევე.

იულიანე. მართლა? იმპერატორი ამ სიშორეს მხოლოდ იმიტომ აგზავნის თავის მეგობარს, რომ... (ხმაშმა იცინის და ბოლოს ცემას მოჰყვება დარბაზში). ალემანების მეფემ კნოდომარმა, თუ ჩამოგისწრო რომში?

დეცენციუსი. დიახ, ჩემო მეუფევე.

იულიანე. მერედა, როგორ გადის ფონს უცხო ქვეყანაში თავისი დამტკრეული ბერძნულით? ნამდვილი ხეპრეა, დეცენციუს! კინალამ სიცილით დახოცა ჩემი ჭარისკაცები. შენ წარმოიდგინე, ისეთ საყველბურო სიტყვებსაც კი ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან, როგორიცაა იმპერატორი და ცეზარი.

დეცენციუსი (მხრებს იჩეჩავს). ბარბაროსს რა მოეკითხება?

იულიანე. მართლაცდა, რა მოეკითხება?... მაგრამ იმპერატორი თუ მაინც სწყალობს?

დეცენციუსი. კნოდომარმა შენი ქირი წაიღო, ჩემო მეუფევე.

იულიანე (შეღვება). კნოდომარი მოკვდა?

დეცენციუსი. დიახ, დაქირავებულ მოლაშქრეთა ბანაკში, ცელიუმის ბორცვზე.

იულიანე. ჰმ... მოკვდა?... ალბათ, რომის ჰაერმა აწყინა.

დეცენციუსი. ალემანების მეფე სამშობლოს დარღმა გადაიყოლა, ჩემო მეუფევე... სამშობლოსა და თავისუფლების დარღმა.

იულიანე. ამ დარღზე მძიმე არაფერია, დეცენციუს... დიახ, დიახ, საკუთარი გამოცდილებით ვიცი... არ უნდა გამეგზავნა რომში. ნეტავი აქვე მომეკვლევინებინა.

დეცენციუსი. რა გულმოწყალე ხარ, ჩემო მეუფევე.

იულიანე. ჰმ!.. სამშობლოს დარღმა?! მაშ, ასე!.. (სინტულას, რომელიც მარჯვენა კარიდან შემოდის). აა, ეს შენა ხარ, ბებერო ფავნო? ნულარ მაცთუნებ! (დეცენციუსს) არგენტორატის ბრძოლის შემდეგ საშველს აღარ მაძლევს, სულ ტრიუმფალურ ეტლსა და თეთრ ცხენებზე მეჩიჩინება. (სინტულას). ეს იქნებოდა ფაეტონის სრბოლა ჰელიოსის შმაგი ცხენებით... ხომ არ დაგავიწყდა?... მე მინდოდა მეთქვა. შენი წარმართობა ხომ არ დაგავიწყდა-მეთქი?... მომიტევე, დეცენციუს, რომ ამ სიტყვებით შეურაცხყოფ შენს ღვთისმოსავ სმენას.

დეცენციუსი. ცეზარი კი არ შეურაცხყოფს, არამედ უღიტიანებს თავის მსახურის სმენას.

იულიანე. დიახ, დიახ. მიუტევე ცეზარს მისი უწყინარი ხუმრობა... ღმერთმანი, არც კი ვიცი, სხვა რა ვიფიქრო... აა, აი, ისინიც!

დარბაზში შემოდინ მხედართმთავარი სევერუსი, პრეტორიანელთა მეთაური ფლორენციუსი და სხვა სარდლები, აგრეთვე ცეზარის კარისკაცები. (შემოსულებს ეგვება).

მოგესალმებით, ძვირფასო ძმებო, თანამებრძოლნო და მეგობრებო! ნუ შემრისხავთ იმის გამო, რომ გზიდანვე გიხმეთ

და ისიც კი არ გაცალეთ, რომ ტალახი და ქუქკი ჩამოგერეცხათ და სული მაინც მოგეთქვათ ამ დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, მაგრამ...

ფლორენციუსი. ალბათ, რაღაც საგანგებო მიზნით გვიხმე, ჩემო მეუფევ-

იულიანე. დიახ, დიახ, მართალი ხარ... აბა, თუ მეტყვი, რა აკლდა ცეზარის ბედნიერებას?

ფლორენციუსი. რა უნდა ჰკლებოდა ცეზარის ბედნიერებას?

იულიანე. როგორც ჩანს, არაფერი. (დუენციუსს). ლაშქარი მოითხოვდა, რომ ტრიუმფით შემოვსულიყავი ქალაქში. დიახ, ყველა ერთხმად მთხოვდა, რომ ჩემი ლეგიონების თანხლებით შემოვგრიალებულიყავი ლუტეციაში და ჩემს ტრიუმფალურ ეტლზე გამობმულნი შემომეთრია ბარბაროსთა ხელებშეკრული თავკაცნი, ხოლო მათ უკან—ოცივე დამორჩილებული ტომის ქალებისა და მონების ჯოგი... (ალარ ამთავრებს). გიხაროდეთ, ჩემო მამაცო თანამებრძოლნო! აი, დღეს, ძვირფასი საჩუქრებით მოსალოცად გეეწვია რომიდან ტრიბუნი დუენციუსი, იმპერატორის უახლოესი მრჩეველი და მეგობარი.

ფლორენციუსი. აა! ცეზარის ბედნიერებას მართლაც აღარაფერი ჰკლებია.

სევერუსი (ჩუმად უჩურჩულებს ფლორენციუსს) მოდი ახლა და გაიგე რამე. იმპერატორი უწინდებურად სწყალობს.

ფლორენციუსი. ო, იმპერატორის ეს გაუთავებელი ორკოფობა და ყოყმანი!

იულიანე. რა მოხდა? განცვიფრებისაგან თითქოს ყველას ენა მუცელში ჩაგივარდათ!.. ხედავ, ჩემო ძვირფასო დუენციუს, ამათ ჰგონიათ, რომ იმპერატორი მეტისმეტ მოწყალებას იჩენს ჩემს მიმართ.

ფლორენციუსი. ეს რამ აფიქრებინა ჩვენს ძვირფას ცეზარს?

სევერუსი. მეტისმეტ მოწყალებას, ჩემო მეუფევ? როგორ გეკადრება? განა იმპერატორმა არ იცის თავისი წყალობის ზომა?

ფლორენციუსი. მართალია, ეს განსაცვიფრებელი და იშვიათი პატივი...

სევერუსი. ჩემის აზრით, უადრესად განსაცვიფრებელი და იშვიათი...

ფლორენციუსი. და, რაც მთავარია, ყოველივე ეს ეპკმეუვეალი სიტხადით გვიდასტურებს იმას, რომ ჩვენი ძლევაშემაღლი იმპერატორისათვის სრულიად უცხოა ყოველგვარი შური...

სევერუსი. ჩემის აზრით, შეუძლებელია ამაზე სრული და ამომწურავი დასტური...

ფლორენციუსი. სამაგიეროდ, ამ რამდენიმე წლის მანძილზე ცეზარმაც ბევრი რამ გააკეთა გალიაში.

იულიანე. რას ბრძანებ, ეს იყო მხოლოდ თვლემის, მცონარების, გულისგამაწვრილებელი უმოქმედობის წლები, ძვირფასო

მეგობრებო! არაფერი მე არ გამიკეთებია! გულწრფელად ვალიარებ — არაფერი!

ფლორენციუსი. როგორ? შენი თავმდაბლობა ყოველივე ამას არაფრად თვლის? შენ გგონია, აღარ გვახსოვს, რას წარმოადგენდა თუნდაც ლაშქარი, როდესაც შენ ჩაიბარე? თავაშვებულსა და აღვირახსნილ ურდოს...

სევერუსი. რომლისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი შინაგანი მთლიანობა, მწყობრი წესრიგი და დისციპლინა...

იულიანე. აქარბებ, სევერუს!

ფლორენციუსი. განა სწორედ ამ აღვირახსნილი ურდოთი არ გაილაშქრე ალემანებზე და სწორედ ამ ბრბოთი არ დაამარცხე ისინი? ბრბოთი, რომელიც შენი მცდელობითა და ძალისხმევით ესოდენ ძლევამოსილ ლაშქრად აქციე? განა ხელახლა არ წაართვი აგრიპას კოლონია ბარბაროსებს?

იულიანე. ეჰ, შენ ყველაფერს მეგობრის კეთილმოსურნე თვალით უცქერი, ჩემო ფლორენციუს! ან, იქნებ, ყველაფერი მართლაც ასეა? იქნებ მართლაც განვდევენე ბარბაროსები რენუსის კუნძულებიდან? იქნებ ნახევრად დანგრეული ტრეს-ტაბერნე მართლაც მიუვალ ციხე-ბურჯად ვაქციე. სახელმწიფოს საიმედოდ და საკეთილდღეოდ? იქნებ მართლა ასეა ეს?

ფლორენციუსი. როგორ, მეუფეო? განა შეიძლება ეჭვის თვალით უცქერდე შენს ესოდენ დიად საქმესა და ღვაწლს?

იულიანე. არა, მართალი გითხრათ, ხანდახან მეც მგონია, რომ... არგენტორატის ბრძოლა! განა პირადად არ ვმონაწილეობდი მასში? სულ ცოდეილო, ისიც კი მეჩვენება, რომ მე თვითონ დავამარცხე კნოდომარი! გამარჯვების შემდეგ კი, სიზმარში ხომ არ მიჩაბავს, ფლორენციუს, ან იქნებ ცხადში აღვადგინე ტრაიანეს სიმაგრე, როცა გერმანელების სამფლობელოში შევიჭერი?

ფლორენციუსი. ჩემო მეუფე, რომელი შლეგი შეგეცილება ამ გამარჯვებისა და სიმაგრის აღდგენის პატივს?

სევერუსი (ღეყენციუსს). მადლობას ვწირავ ჩემს გამჩენს, რომ სიბერის წლებში ესოდენ ძლევამოსილი წინამძღოლის ხელქვეითობა მარჯუნა წილად.

ფლორენციუსი (თვითონაც ტრიბუნს მიმართავს). იმის გაფიქრებაზეც კი ტანში მზარავს, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა შედეგად ალემანების თავდასხმას, ცეზარის სიბრძნე და სიმაჟავე რომ არა.

დანარჩენი სარდლები (ერთად შეგუფულნი წამოიწვევენ წინ). დიახ. ცეზარი ბრძენია და დიადი!

კარისკაცები (ტაშისყვრით). სწორუპოვარია, უბადლოა ჩვენი ცეზარი!

იულიანე (ხან ღეყენციუსს გადახედავს, ხან დანარჩენებს და, ბოლოს, ხმაშლდა გადაიხარხარებს). როგორ აბრმავებს მეგობრობა ხალხს,

დეცენციუს! როგორ აბრმავებს! (დანარჩენებს მიუბრუნდება და ხელს დაკრავს გრაგნილს, რომელიც მეორე ხელში უჭირავს). აი, აქ კი სულ სხვა რამეა ნათქვამი. უსმინეთ და ცოდნის ცხოველმყოფელი ნამივით შეისრუტეთ ყოველი სიტყვა. ესაა იმპერატორის მიმართვა იმპერატორის ყველა მეფისნაცვლისადმი, — დიდებულმა დეცენციუსმა ასლი გვაახლა, — და აქ ნათქვამია, რომ მე არაფერი გამიკეთებია გალიაში, ყოველივე ეს სიზმარი ყოფილა თურმე, როგორც ახლახან მოგახსენეთ. აი, საკუთრივ იმპერატორის სიტყვები: „საფრთხე, რომელიც სახელმწიფოს ემუქრებოდა, თავიდან აცილებულ იქნა იმპერატორის შორსმკვრეტელობისა და წინდახედულების შედეგად!“

ფლორენციუსი. სახელმწიფოს მთელი კეთილდღეობა მხოლოდ იმპერატორის სიბრძნისა და შორსმკვრეტელობის შედეგია.

იულიანე. რა თქმა უნდა. აქ ნათქვამია, რომ რენუსზე იბრძოდა და გაიმარჯვა იმპერატორმა; გათელილი, დამცირებული, შეწყალების მთხოვნელი ალემანთა მეფე ფეხზე წამოაყენა და სიცოცხლე აჩუქა იმპერატორმა. ჩემი სახელი ერთხელაც არ იხსენიება ამ გრაგნილში... არც შენი, ფლორენციუს, არც შენი, სევერუს, არგენტორიტის ბრძოლის აღწერისას... მოიცა, სად არის?... ჰო, აი, ისიც!.. დიახ, არგენტორატის ბრძოლის აღწერისას ნათქვამია, რომ ბრძოლის გეგმა შეადგინა იმპერატორმა; თვით იმპერატორი ისეთი თავგანწირვით იბრძოდა თურმე მეწინავეთა რიგებში, რომ — წარმოგიდგენიათ? ხმალიც კი დაბლაგვებია. იმპერატორის ომახიანმა ყიჟინამ თავზარი დასცა ბარბაროსებს და უწესრიგოდ უკუაქცია ისინი... წაიკითხეთ, წაიკითხეთ-მეთქი, თქვენ გეუბნებით!

სევერუსი. ჩვენ შენი სიტყვებიც გვეყოფა, ცეზარ!

იულიანე. რალა აზრი აქვს ყოველივე ამის შემდეგ თქვენს მაცდურ სიტყვებს, მეგობრებო? თქვენ გინდათ, ჩემდამი უსაზღვრო სიყვარულის წყალობით ნამდვილ პარაზიტად მაქციოთ; ჩემი დიდებული ნათესავის სუფრიდან დაცვნილი ნამცეცებითა მკვებოთ!.. რას იტყვი ამაზე, დეცენციუს? ხომ ხედავ, იძულებული ვარ ჩემს საკუთარ ბანაკში თვალი ფხიზლად მექიროს ჩემს მომხრეებზე, თორემ მათი ბრმა ერთგულებიდან ერთი ნაბიჯილა ამბოხებამდე.

ფლორენციუსი (სასწრაფოდ მიმართავს ტრიბუნს). რა უკუღმართად უნდა გაეგოთ ჩემი სიტყვები, რომ...

სევერუსი (ასვე) ჩემს სიცოცხლეში აზრადაც არ მომივიდოდა...

იულიანე. ასე, ჩემო ძვირფასო თანამებრძოლნო! დავიცხროთ ზეობა და ქედმაღლობა! მე გკითხეთ, რა აკლია ცეზარის ბედნიერებას-მეთქი? ახლა თქვენ იცით. სიმართლის შეგნება, — აი, რა აკლდა ჩემს ბედნიერებას. შენს ვერცხლის მუზარადს, ჩემო მამაცო ფლორენციუს, აღარ დაედება ტრიუმფალური მსვლელობისას ადენილი მტკერი. იმპერატო-

რი ჩვენს მაგივრად შევიდა ტრიუმფით რომში და თელის, რომ ყოველგვარი ზეიმი ზედმეტია აქ, ლუტეციაში. წადი, სინტულა, და განკარგულემა გაეცი, რომ ნაევარადევი მსვლელობა გაუქმებულ იქნეს. იმპერატორი თელის, რომ მისი ჭარისკაცებისათვის ბრძოლისა და მგზავრობის შემდეგ დასვენება უფრო სასარგებლოა. მას ნებაეს, რომ ლაშქარი ქალაქგარეთ, ბანაკებში დარჩეს.

სინტულა გადის

მე ხომ ოდესღაც ფილოსოფოსი ვიყავი? ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ ათენსა და ეფესში. მაგრამ როგორ აღუნებს და აქნებს ფუფუნება ადამიანის სულს! კინალამ ვულალატე საბრძენს! მადლობა ღმერთს, იმპერატორმა დროზე გამომათხიზლა. ჩემი გულითადი მადლობა გადაეცი, დეცენციუს! რამე ხომ არა გაქვს კიდევ სათქმელი?

დეცენციუსი. ერთსაც მოგახსენებ. იმ ხმებიდან, რომლებმაც იმპერატორის ყურს მიაღწია და იქიდანაც, რაც თვითონ შენ არგენტორატის ბრძოლის თაობაზე მისწერე.— შეიძლება დავასკვნათ, რომ გალიის დაშოშმინებისა და დამორჩილების საქმე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

იულიანე. რა თქმა უნდა. იმპერატორმა ნაწილობრივ თავისი სიმამაცის, ნაწილობრივ კი დიდსულოვნებისა და თვინიერების წყალობით...

დეცენციუსი. იმპერიის რენუსისპირა საზღვრებზე სრული მშვიდობა სუფევს.

იულიანე. იმპერატორის, მხოლოდ და მხოლოდ იმპერატორის წყალობით!

დეცენციუსი. დუნაის საზღვრებზე კი, პირიქით, შავადაა საქმე; აზიაში — უფრო უარესად; მეფე საპორი თანდათანობით გვაევიწროვებს და დაეინებით მოიწევს წინ.

იულიანე. თავგასული!.. როგორც გავიგეთ, ამ ზაფხულს იმპერატორს ნება არ დაურთავს თავისი მხედართმთავრებისათვის, გაენადგურებინათ იგი.

დეცენციუსი. გამოზაფხულს იმპერატორი თვითონვე აპირებს მის განადგურებას (გრაგნილს ამოიღებს). აი, მისი ბრძანება, ჩემო მეუფე!

იულიანე. ენახოთ, ენახოთ! (კითხულობს). ა!.. (ხელახლა უბრუნდება წაკითხულს; ეტობა, ძალიან ღელავს, შემდეგ თავს აიღებს და ამბობს). ამრიგად, იმპერატორი ბრძანებს, რომ... კეთილი და პატიოსანი, ჩემო ძვირფასო დეცენციუს, იმპერატორის ნება-სურვილი შესრულებული იქნება.

დეცენციუსი. კი მაგრამ, აუცილებელია, რომ დღესვე შესრულდეს.

იულიანე. რა თქმა უნდა, დღესვე!.. სინტულა! სადა ხარ?.. კო, მართლა... დააბრუნეთ!

ერთ-ერთი კარისკაცი გადის. იულიანე ფანჯრის რაფას ეყრდნობა და ერთხელ კიდევ კოხულობს გრაგნილს.

ფლორენციუსი (ხმადაბლა — ტრიბუნს). გვევდრები, ცუდად ნუ ჩამომართმევ ჩემს წელანდელ სიტყვებს. პატივს რომ მივაგებდი ცეზარს, რა თქმა უნდა, სულაც არ მინდოდა, რომ...

სევერუსი (ასევე ხმადაბლა — ტრიბუნს). არასოდეს შემპარვია ექვი იმაში, რომ მხოლოდ იმპერატორის ბრძნული წინამძღოლობით...

კარისკაცი (მეორე მხრიდან). ვევედრები შენს მეუფებას, სიტყვა შემაწიოს სასახლის კარზე, რომ ამ წყეული თანამდებობიდან გამათავისუფლონ... რა თქმა უნდა, ცეზარი იმპერატორის ახლო ნათესაეია, მაგრამ...

მეორე კარისკაცი. რა თქმა უნდა, მე შემეძლო შენთვის მეცნობებინა ბევრი ისეთი რამ, სამწუხაროდ, თანაბრად რომ მოწმობს როგორც ცეზარის უსაზღვრო პატივმოყვარეობას, ისე მის უაღრესად თავხედურ ზრახვებსაც...

იულიანე. დღესვე!.. აი, რას გეტყვი, დეცენციუს! არაფერს ისე არ ვნატრობ, როგორც ესოდენ პასუხსაგები მოვალეობისაგან განთავისუფლებას...

დეცენციუსი. აუცილებლად მოვახსენებ იმპერატორს.

იულიანე. ღმერთია მოწმე, რომ არასოდეს... მაგრამ, აი, სინტულაც. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია... (ტრიბუნს). როგორ, მიღიხარ?

დეცენციუსი. შენს მხედართმთავრებს უნდა მოველაპარაკო, ჩემო მეუფე!

იულიანე. უჩემოდ?

დეცენციუსი. იმპერატორმა მიბრძანა, ზედმეტად არ შემეწუხებინა მისი ძვირფასი ნათესაეი. (დანარჩენების თანხლებით გადის. მხოლოდ სინტულა რჩება კართან).

იულიანე (ერთხანს უხმოდ უყურებს). სინტულა!

სინტულა. გისმენ, ჩემო მეუფე!

იულიანე. მომიახლოვდი!.. არა, მართლა პატიოსან კაცს ჰგავხარ. მომიტევე, არასოდეს არ მიფიქრია, რომ შენი სახით ასეთი ერთგული ქვეშევრდომი მყავდა.

სინტულა. ახლა ვინღა მოგახსენა ჩემი ერთგულების ამბავი?

იულიანე (გრაგნილს უჩვენებს). აი, ამ გრაგნილმა, აქ ნათქვამია, რომ შენ უნდა დამტოვო.

სინტულა. მე, მეუფეო?

იულიანე. იმპერატორი გალიის ლაშქრის დათხოვნას აპირებს, სინტულა!

სინტულა. დათხოვნას აპირებს?

იულიანე. მაშ, რა დავარქვა ამას? იმპერატორს მაშველი ძალები სჭირდება როგორც დუნაისპირეთში, ისე აზიაშიც, სპარსელების წინააღმდეგ. ჩვენი მოკავშირეების — ბატავებისა და

პერულების ლაშქარი დაუყოვნებლივ უნდა დაიძრას, რათა გაზაფხულის დამდეგს უკვე აზიაში იყოს.

სინტულა. კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია, ჩემო მეუფევე? შენ საზვიამო ფიცი მიეცი ჩვენს მოკავშირეებს, რომ მათ არასდიდებით არ გაიწვევდნენ საომრად ალკებს გადაღმა.

იულიანე. საქმეც სწორედ ეგაა, სინტულა. იმპერატორი იწერება, რომ მე წინდაუხედავად და მის დაუკითხავად დავდე ეს ფიცი. მაიძულებენ სიტყვა გაეტეხო; უნდათ გამაშავონ მთელი ლაშქრის თვალში და თავს დამატებონ ბარბაროსების აღვირახსნილი რისხვა... შეიძლება სასიკვდილოდაც კი გამიმეტონ!

სინტულა. ეგ არ მოხდება, ჩემო მეუფევე! რომაული ლეგიონები მკერდით აღდგებიან შენს დასაცავად!

იულიანე. რომაული ლეგიონები? ჰმ... რა მიამიტი კაცი ყოფილხარ, ჩემო სინტულა. ნაბრძანებია თვითთელი ლეგიონიდანაც გამოჰყონ სამ-სამი ასეული, რომლებმაც უმოკლესი გზებით უნდა იარონ იმპერატორის ლაშქართან შესაერთებლად.

სინტულა. ა!.. ეს ხომ...

იულიანე. ყველაფერი გულდასმით გათვლილია, არა? უნდათ ჩემს წინააღმდეგ აღძრან ყველა შენაერთი, რათა მით უფრო სწრაფად განმიაჩარაღონ.

სინტულა. უნდა მოგახსენო, მეუფეო, რომ არც ერთი შენი მხედართმთავარი არ დათანხმდება ამას.

იულიანე. ჩემს მხედართმთავრებს არც მოელოთ ამნაირი ცდუნების საშიშროება. მხოლოდ შენ განდობენ ამას.

სინტულა. მე, მეუფეო?

იულიანე. აქ ასე წერია. იმპერატორი შენ გავალებს, მოახდინო ყველა საჭირო განკარგულება და შემდეგ ლაშქრის რჩეული ნაწილებითურთ დაიძრა რომისაკენ.

სინტულა. მე გავალებს? მაშინ როდესაც აქ არიან ისეთი მხედართმთავრები, როგორიცაა ფლორენციუსი, ბებერი სევერუსი და სხვები...

იულიანე. შენი შეცოდებების ნუსხაში არც ერთი გამარჯვება არ მოიძებნება, სინტულა.

სინტულა. რას იზამ, ჩემთვის არასოდეს მოუციათ თავის გამოჩენის საშუალება...

იულიანე. მე მართალი არ ვიყავი შენს მიმართ. მადლობას მოგახსენებ ერთგულებისთვის.

სინტულა. უსაზღვროა იმპერატორის გულმოწყალება. მეუფეო, ნება მიბოძე ჩახედო...

იულიანე. რას უნდა ჩახედო? განა შენ ამის კაცი ხარ, სინტულა?

სინტულა. ღმერთო, მიშველე! როგორ იქნება, იმპერატორის ბრძანებას არ დავემორჩილო?

იულიანე. სინტულა, რა გული მოგცემს, რომ განაიარალო შენი ცეზარი?

სინტულა. ცეზარი არასოდეს სათანადოდ არ მათვასებდა. ცეზარი ვერ იტანდა იმას, რომ იძულებული იყო იმპერატორის მიერ შერჩეული მსახურები ჰყოლოდა გვერდით.

იულიანე. იმპერატორი დიადია და ბრძენი, კაცის ცნობაში არ მოტყუვდებო.

სინტულა. მეუფეო, ერთი სული მაქვს, როდის აღვასრულებ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას... მოწყალება მოილე და მიჩვენე იმპერატორის ბრძანება.

მირა (შეშოთებული შემობრბის მარჯვენა კარიდან). ღმერთო გვიშველე!

იულიანე. რა მოხდა, მირა?

მირა. ცა დაგვეშო და დაგვიტანა!.. ჩემი ძვირფასი ქალბატონი...

იულიანე. შენი ქალბატონი?.. რა მოუვიდა?

მირა. ან ავადაა, ან შეიშალა... გვიშველეთ, გვიშველეთ!

იულიანე. ელენე ავადაა?.. ექიმი! ჩქარა! სინტულა, ორიბასიოსს უხმონ!

სინტულა შუა კარიდან გადის. იულიანე ხელმარჯვნივ აპირებს გასვლას, მაგრამ გზაშივე შეეჩხვება მოახლეებით გარშემორტყმულ ელენეს, რომელსაც თმები და ტანსაცმელი ასჩეჩია, სახე შეშლილს მიუგავს.

ელენე. ამომამძრეთ, სავარცხელი ამომამძრეთ-მეთქი! ვის ვეუბნები?.. მწვავს, მდაგავს!.. თმებზე ცეცხლი მიკილია!.. ვიწვი, ვიწვი!..

იულიანე. ელენე!.. რა დაგემართა?

ელენე. რატომ არავინ მშველის?.. ნემსების ჩხვლეთით მიპირებთ მოკვლას?

იულიანე. ელენე, ჩემო ძვირფასო!... რა ამბავია შენს თავს?

ელენე. მირა, მირა! მომაშორეთ ეს გომბიოები, მირა!

ორიბასიოსი (შუა კარიდან შემოდის). ეს რა საშინელება მითხრეს?.. მართალია?.. ა!..

იულიანე. ელენე, ჩემო სიყვარულო, ჩემო სულისდგამე!..

ელენე. თავიდან მომწყდი!.. მაცხოვარო, შენ შემეწიე! (მოახლეების ხელებზე გადაესვენება).

იულიანე. გონება დაკარგა... რა არის ეს, ორიბასიოს? დააკვირდი, რამხელა თვალები აქვს...

ორიბასიოსი (მირას). ხომ არაფერი მიუერთმევია ქალბატონს?.. იქნებ რამე შექამა, ან დალია?

იულიანე. ა!.. შენის აზრით...

ორიბასიოსი. მიპასუხეთ, ქალებო, ხომ არაფერი მიგირთმევიათ ქალბატონისთვის?..

მირა. ჩვენ?.. არა... ღმერთმანი, არაფერი... თვითონ...

ორიბასიოსი. რა თვითონ? აღარ იტყვიო?

მირა. თვითონვე შექამა... მგონი, ორიოდ ატამი... აბა, რა ვიცი?

იულიანე. ატამი? ის ხომ არა, დღეს რომ...

მირა. დიახ... არა... დიახ... არ ვიცი, მეუფეო! იქ ორი ნუბიელი იყო...
 იულიანე. გვიშველე, ორიბასიოს!
 ორიბასიოსი. ეშიშობ, რომ...
 იულიანე. არა, არა, არა!
 ორიბასიოსი. ჩუმაღ, მოწყალეო მეუფეე, ჩუმაღ... მგონი, გონს
 მოღის!

ელენე (ჩურჩულით). რატომ ჩავიდა მზე? რა უცნაურია ეს სიბნელე!..
 იულიანე. ელენე!.. მომისმინე, ელენე!.. გონება მოიკრიბე!
 ორიბასიოსი. ქალბატონო...
 იულიანე. აი, ექიმი, ელენე!.. (ხელს ჩასკიდებს). არა, აქ, — ჩემს
 გვერდით!

ელენე (ხელს გამოსტაცებს) ფუჰ! ისევ ის!
 იულიანე. ვერ მხედავს. აქა ვარ, ელენე, შენთან!
 ელენე. სულ ჩემთან უნდა იყო?.. მეზიზღები!..
 იულიანე. რაო, რას ამბობს?
 ორიბასიოსი. აქეთ გამობრძანდი, მეუფეე!
 ელენე. რა სიჩუქება... მან არც კი იცის... ო, ჩემო ძვირფასო გალუს!
 იულიანე. გალუს?..
 ორიბასიოსი. მობრძანდი, მობრძანდი, მეუფეო, არ შეგფერის...
 ელენე. რა სქელი თმა გაქვს, ხუჭუქა კეფაზე ჭიუტად ჩახვეული...
 აჰ, შენი მოკლე, მორგვივით სქელი კისერი.
 იულიანე. დალახეროს ღმერთმა!
 ორიბასიოსი. ბოდავს...
 იულიანე. მესმის, მესმის. სიმართლე უნდა გავიგოთ, ორიბასიოს!
 ელენე (ჩუმი სიცილით). ახლა ისევ ჩააცივდება სიმართლეს, ისევ
 მოჰყვება ჰემარტიტების ჩხრეკას... თითები მელნით მოთხვრი-
 ლი, თმები — წიგნების მტვრით საესე... ჰუჭუჩიანი, დაუბა-
 ნელი... ფუჰ! რა საშინლად ყარს!

მირა. მეუფეო, ხომ არ მიბრძანებ, რომ...
 იულიანე. მოწყდი აქედან!
 ელენე. არა გრცხვენია? ამას როგორ დაამარცხებინე თავი,
 ჯან-ლონითა და სიცოცხლით საესე ბარბაროსო? ქალსაც კი
 ვერ დაამარცხებს. ო, როგორ მძულს, როგორ მეზიზღება ეს
 უნიათო სიქველე!

იულიანე. მომშორდით ყველა! გამოდი, ორიბასიოს! მე თვითონ
 მოეუვლი ქალბატონს!

ელენე. რატომ მიბრაზდები, ჩემო ღვთისდარო? გალუსი ხომ
 მოკვდა... აღარ არის... თავი მოჰკვეთეს!.. აი, დარტყმაც ეს
 იყო! ნუ ექვიანობ, ჩემო ერთადერთო, ჩემო პირველო და
 უკანასკნელო! ჯოჯობეთის გენაში ჩააგდე გალუსი... მხოლოდ
 შენ ერთს გაღმერთებ, მხოლოდ შენ ერთს, შენ ერთს...
 იულიანე. ნუ მოხვალ, ნუ, ორიბასიოს!

ელენე. მღვდელიც თან მიაყოლე! ამის შემდეგ მისი დანახვაც აღარ მინდა. ხომ იცი, რა ტკბილია ჩვენი საიდუმლო? ო, ჩემი დღეების სევდავ, ჩემი ღამეების შმაგო სიხარულო! ეს ხომ შენ იყავი, თვითონ შენ... შენივე მსახურის სახით... სამლოცველოში... დიახ, დიახ, ეს შენ იყავი... ბნელში, მრუმე ჰაერში, საკმევლის მსუბუქ ნისლში... იმ ღამეს, როცა მომავალი ცეზარი ჩემს მკერდქვეშ...

იულიანე (ყვირილთ მიაწყდება კედელს). ა!..

ელენე (ხელახს უწვლის). ჩემო მეუფევ და მბრძანებელო! ჩემო, ჩემო ... (უგონოდ ვეება ძირს).

მოახლები მისცვივდებიან და თავზე დაჰფუსფუსებენ.

იულიანე (ერთხანს უძრავად დგას, მერე მუშტს მალა შემართავს და წამოიძახებს). გალილეველო!

მოახლებს ხელმარჯვნივ გააქვთ ელენე. იმავე წამს, შუა კარიდან ოთახში სწრაფი ნაბიჯით შემოდის სალუსტიუსი.

სალუსტიუსი. ქალბატონი უგონოდაა!.. როგორც ჩანს მაინც...

იულიანე (ექიმს ხელს ჩასქილებს და განზე გააყავს!) — სიმართლე მითხარი! თუ იცოდი დღევანდელ დღემდე, რომ... ხომ გესმის, რას გეკითხები? დიახ, თუ იცოდი, რომ... ქალბატონი...

ორიბასიოსი. ისევე, როგორც ყველამ, ჩემო მეუფევ!

იულიანე. მერედა, რატომ არ მითხარი, ორიბასიოს?

ორიბასიოსი. როგორ, მეუფეო?

იულიანე. როგორ გაბედე, ჩემთვის დაგემალა?..

ორიბასიოსი. მეუფეო, არაეინ არ იცოდა მხოლოდ ერთი რამ...

იულიანე. მაინც?..

ორიბასიოსი. რომ ეს ამბავი უცნობი იყო თვით ცეზარისთვის (წასვლას აპირებს).

იულიანე. საით?

ორიბასიოსი. რაც ჩემს ხელთაა, ყველაფერი უნდა მოვსინჯო...

იულიანე. მე მგონია, შენი ხელოვნება ვეღარ უშველის.

ორიბასიოსი. კი მაგრამ, ხომ შეიძლება...

იულიანე. ველარაფერს უშველის-მეთქი!

ორიბასიოსი (ნაბიჯით უკან იხევს). მეუფეო, ჩემი მოვალეობა მიკრძალავს, ამჯერად... დაგემორჩილო...

იულიანე. კმ... ასე გესმის ჩემი სიტყვები? კეთილი, წადი! მოსინჯე ყველაფერი, რასაც შენი ხელოვნება... გადაარჩინე იმპერატორის და. თორემ რალა ეშველება, მისი უნაზესი სიყვარული რაიმე უბედურების წყარო რომ შეიქნეს? ხომ იცი, რომ ის ატმები იმპერატორის მოძღვნილია?

ორიბასიოსი. ა!..

იულიანე. წადი, წადი! რალას უყურებ? წადი და მოსინჯე ყველაფერი, რასაც შენი ხელოვნება...

ორიბასიოსი (მოწიწებით იხრება). მე გგონია, ჩემი ხელოვნება უძლეურია, ჩემო მეუფევე! (ხელმარჯვნივ გაღის).

იულიანე. აა, შენ აქა ხარ, სალუსტიუს? რას იტყვი? ბედისწერის ტალღები მგონი კვლავ შთანთქმას უქადის ჩემს გვარს.

სალუსტიუსი. კი მაგრამ, იქნებ გადაარჩენა მაინც შეიძლებოდეს?...
ორიბასიოსს...

იულიანე (მტკიანად). ის მოკვდება...

სალუსტიუსი. ო, ნეტავი ხმის ამოღება გამაბედვინა! ნეტა შემძლოს მივაკვლიო იმ იდუმალ ძაფებს, რომლებითაც მოქსოვილია ეს საბედისწერო ბადე!

იულიანე. დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო, ადრე თუ გვიან ყველაფერი გამოაშკარავდება, და მაშინ...

დეცენციუსი (შუა კარიდან შეგონის). რა პირით უნდა შევხედო ცეზარს?... კემშარიტად გონება მიუწვდომელნი არიან გზანი უფლისანი! ნეტავი ამას არ მოვსწრებოდი... რომ იცოდეთ, რა ცუცხლი ტრიალებს ახლა ჩემს გულში. უბედურების მაცნე ვყოფილვარ!

იულიანე. დიახ, შენ სრული უფლება გაქვს. ორჯერ გაიმეორე ეს, კეთილშობილო დეცენციუს! სად ვიპოვო სიტყვა, რომ რაც შეიძლება სათუთად, სათანადო სიფრთხილით მივაწვდინო ეს საშინელი ამბავი იმპერატორის ძმურ სმენას?

დეცენციუსი. ვაი ჩვენს ღღეს და მოსწრებას! ბედი არ გინდა? რალა მაინცდამაინც ჩემი ელჩობისას მოხდა? მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაო, რომ იტყვიან, ესაა სწორედ!

იულიანე. დიახ, დიახ, ეს სრულიად მოულოდნელად ამოვარდნილი, ბედისწერის მიერ თავს დატეხილი ქარიშხალი, სწორედ იმ დროს, როცა ხომალდი ის-ის იყო, უნდა მისდგომოდა ამდენი ხნის ნანატრ მყუდრო ნავსადგურს. ოჰ, ეს... მწუხარება, მეცა და შენც მქვერმეტყველების ნიქს გვიმძაფრებს, დეცენციუს, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, — საქმე! ის ორი ნუბიელი დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმროთ და დაეკითხოთ.

დეცენციუსი. ნუბიელები, ჩემო მეუფევე? ნუთუ გგონია, ჩემს მრისხანებას იმდენის ატანა შეეძლო, რომ ამ ორ უკეთურ მონას თუნდაც ერთი წუთით უფრო მეტხანს...

იულიანე. როგორ?... ხომ არ?..

დეცენციუსი. გნებავეს წინდაუხედავი მიწოდე, გნებავეს სულმოკლე, მაგრამ ჩემს თანაგრძნობას იმპერატორისა და მისი დამწუხრებული სახლელის მიმართ თანაგრძნობა არ ეთქმოდა, ამ უბედურებაში სიმშვიდის შენარჩუნება და გონების კარნახით ქცევა რომ შემძლებოდა.

იულიანე. ესე იგი, ორივე მონა მოაკვლევინე?

დეცენციუსი. განა სამგზის არ იმსახურებდნენ სიკვდილს თავიანთი დაუდევრობისა და უგულისყურობის გამო? თანაც, ეს იყო ორი ველური წარმართი. ჩემო მეუფევე! სულერთია, მათი

მოწმობა მაინც არაფერს მოგვცემდა. ვერც ვერაფერს ვათქმევინებდით, გარდა იმისა, რომ გაუფრთხილებლად მიატოვეს ეს დიდებული ძღვენი გალერეაში, სადაც მასზე ყველას მიუწვდებოდა ხელი...

იულიანე. აჰა! აი, თურმე რა ყოფილა, დეცენციუს!

დეცენციუსი. მე არავის არა ვდებ ბრალს. მაგრამ გაფრთხილებ, ჩემო ძვირფასო ცეზარ, არასაიმედო მსახურებითა ხარ გარშემორტყმული. შენი სასახლის კარზე — რა სამწუხარო გაუგებრობაა! — როგორც ჩანს, ივარაუდეს, რომ იმპერატორის ბრძანებებსა თუ განკარგულებებში, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობითაა გამოწვეული, ერთგვარი უნდობლობა გამოსკვივის, თუ რა ვიცი, კიდეც რა ეუწოდო ამას, მაშინ როდესაც სინამდვილეში...

სინტულა (უკან ბრუნდება). მეუფეო, შენ ისეთი რამ დამავალე, რომ მისი შესრულება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

იულიანე. მე კი არა, იმპერატორმა დაგავალა ჩემო სინტულა!

სინტულა. გამათავისუფლე ამ მოვალეობისაგან, მეუფეო, მაგისი თავი არა მაქვს.

დეცენციუსი. რა მოხდა?

სინტულა. ბანაკში ამბოხებაა. ჩვენი ლეგიონებიცა და მოკავშირეთა მამული ძალებიც ერთად იყრიან თავს...

დეცენციუსი. იმპერატორის ნებას ეურჩებიან?

სინტულა. გაჰყვირიან, რაც ცეზარმა აღგვითქვა, ყველაფერი ისე უნდა დარჩესო.

იულიანე. გესმით, როგორ ღრიალებენ?

სინტულა. სასახლისაკენ მოისწრაფიან...

დეცენციუსი. არავინ შემოუშვათ...

სალუსტიუსი (სარკმელთან). გვიანდაა; მთელი მოედანი უკვე ჯარისკაცებით აივსო; რალაცას გაჰყვირიან, იმუქრებიან...

დეცენციუსი. ცეზარის ძვირფასი სიცოცხლე საფრთხეშია! სადაა ფლორენციუსი?

სინტულა. გაიქცა.

დეცენციუსი. უ, ეგ არამზადა!.. სევერუსი?..

სინტულა. რა ვიცი, ავადა ვარო... ბრძანება გასცა, ჩემს მამულში წამიყვანეთო.

იულიანე. მე თვითონ მოველაპარაკები მეამბოხეებს.

დეცენციუსი. ფეხი არ მოიცივალო, მეუფეო!

იულიანე. კიდეც ხომ არაფერს მიბრძანებ?

დეცენციუსი. ეს ჩემი მოვალეობაა, მოწყალეო მეუფეო, მე მხოლოდ იმპერატორის ნებას ვასრულებ... მისი ძვირფასი ნათესავის სიცოცხლე- ცეზარი ჩემი ტყვეა!..

სალუსტიუსი. ა!..

იულიანე. აი, ხომ ხედავთ, ბოლოს მაინც ყველაფერი გამოაშკარავდა.

დეცენციუსი. სასახლის გვარდიას უხმე, სინტულა!.. ცეზარს უენებლად ჩაიყვან რომში!

იულიანე. რომში?

სინტულა. რას ამბობ, ძვირფასო დეცენციუს?

დეცენციუსი. რომში-მეთქი!

იულიანე. გალუსივით, არა? (ფანჯარას მივარდება და ყვირის). მიშველეთ, მიშველეთ!

სალუსტიუსი. გაიქეცი, ცეზარ! გაიქეცი!

ფანჯრის იქით ველური ღრიალი ისმის. ფანჯარაში მოძვრებიან რომაული ლეგიონების, ბატეთა მამველი ძალებისა და სხვა მოკავშირეთა რაზმების ჭარისკაცები. იმავდროულად, კოლევ ერთი ბრბო შუა კარიდან შემოიჭრება დარბაზში. მათ წინ მოუძღვით მედროშე მავროსი, ჭარისკაცებს უკან მოსდევენ ქალები, ზოგიერთ მათგანს ბავშვი აუტაცებია ხელში.

ხმები ჭარისკაცების ბრბოდან. ცეზარ! ცეზარ!

სხვები. რატომ გაგეყიდე. ცეზარ?!

დანარჩენები. სიკვდილი მოლაღატეს!

იულიანე (ხელებგაშლილი მიეჭანება ჭარისკაცებისაკენ). ძვირფასო ძმებო და თანამებრძოლო... მიხსენით ჩემი მტრებისგან!

დეცენციუსი. ა!.. რა არის ეს?..

ველური ღრიალი: „ძირს ცეზარი! სიკვდილი ცეზარს!“

იულიანე. გარს შემომერტყით!.. ხმლები იშისვლეთ!

მავროსი. შიშველი ხმლები როგორღა უნდა ვიშიშვლოთ?

ქალები. აჩხეთ! თავი გააგდებინეთ!

იულიანე. მადლობელი ვარ, დროულად რომ გამოცხადდით!.. მავროს, ჩემო ძვირფასო მავროს! შენი იმედი კი შეიძლება მქონდეს!

ბატავი. როგორა ბედავ, ქვეყნის დასალიერს რომ გვაგზავნი? განა ეს შემოგვეფიცე?

დანარჩენ მოკავშირეთა ჭარისკაცები. ფეხსაც არ მოვიცვლით! რატომ უნდა ვიომოთ ალპებს გადაღმა?

იულიანე. არა, არ წავეალ რომში! მე თვითონ არ წავეალ! მათ უნდათ მომკლან, ისევე, როგორც ჩემი ძმა გალუსი მოკლეს!

მავროსი. რას ამბობ, მეუფევე?

იულიანე. ხელი არ ახლოთ კეთილშობილ დეცენციუსს. ის უდანაშაულოა.

ასისტავი ლაიპსონი. სწორია; დამნაშავე ცეზარია!

იულიანე. აა, ეს შენა ხარ ლაიპსონ? ჩემო მამაცო მეგობარო! ნამდვილი ღმრთივით იბრძოდი არგენტორატთან?

ლაიპსონი. ცეზარს ეს ახსოვს?

ასისტავი ვარონი. თავისი დაპირება კი აღარ ახსოვს!

იულიანე. მგონი, უშიშარი ვარონის ხმა მესმის!.. დიახ, აი, ისიც! ვხედავ, ჭრილობა შეგხორცებია... შენისთანა კაცზე ყველაფერი ალალია, მე კი ნებას არ მაძლევენ, რომ მხედართმთავრობა მოგანიჭო.

ვარონი. მართლა?..

იულიანე. იმპერატორის ძვირს ნუ გამაგონებ. რა ვუყოთ, რომ ჩემს თხოვნაზე უარი მითხრა. იმპერატორი არც ერთ თქვენგანს არ იცნობს ისე კარგად, როგორც მე გიცნობთ.

დეცენციუსი. ჭარისკაცებო, მომისმინეთ!

ჭარისკაცები. არც იმპერატორთან და არც მის ელჩთან არაფერი გვესაქმება!

დანარჩენები (მუქარით მოიწევენ წინ). კეთილინებოს და თვითონ ცეზარმა გვიპასუხოს!

იულიანე. ვინ ჰკითხავს რამეს თქვენს უბედურ ცეზარს, ჩემო მეგობრებო?.. რომში მიპირებენ წაყვანას. იმის ნებასაც არ მაძლევენ, რომ ჩემი საკუთარი საქმეები მოვიგვარო. ყადაღას ადებენ ჩემს წილ სამხედრო ნადავლს. მე მინდოდა თვითთელი ჭარისკაცი ოქროს ხუთ-ხუთი და ვერცხლის თითო სესტერციით დამესაჩუქრებინა.

ჭარისკაცები. და ამის ნებას არ გაძლევენ?

სხვები. ვინ უბედავს უარის თქმას ჩვენს ძვირფას ცეზარს?

მავროსი. ხედავთ, როგორ ექცევიან ცეზარს, ჭარისკაცების მამას?

ლაიპსონი. ცეზარს, რომელიც ჩვენი მეგობარი უფროა, ვიდრე მბრძანებელი! ასე არ არის?

ხმები, ასეა, ასე!

ვარონი. განა გამარჯვებულ ცეზარს იმის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რომ მხედართმთავრებად ვინც უნდა, ის დანიშნოს?

მავროსი. განა სხვებისგან უნდა ითხოვდეს იმის ნებართვას, რომ თავისი წილი ნადავლი ისე მოიხმაროს, როგორც თვითონ ეპრიანება?

ხმები. აბა, აბა! შენ ეგა თქვი და!..

იულიანე. კი მაგრამ, რად გინდათ ყოველივე ეს? დედამიწის მთელი სიკეთეც რომ დაგიხვავოთ, მერედა, თქვენ რა, თუკი ქვეყნის დასალიერს გაგრეკავენ, სადაც, ვინ იცის, რას გიმზადებთ ბედი?

ჭარისკაცები. არსადაც არ წავალთ!

იულიანე. ნუ მიყურებთ, — სირცხვილით ვიწვი! მზადა ვარ, ცრემლის მდინარეები ვღვარო, როცა დაეფიქრდები, რომ სულ რაღაც ორი-სამი თვის შემდეგ ათასგვარი სნეულების, შიმშილის, სისხლისმსმელი მტრების მსხვერპლი გახდებით...

ჭარისკაცები (გარს ერტყმან). ცეზარ, ჩვენო მწყალობელო, ცეზარ!

იულიანე. თქვენი უმწეო ცოლ-შვილი კი, რომლებიც ღვთისანაბარა უნდა დაჰყაროთ!.. ვინ დაიცავს მომავალ ქვერვ-ობლებს შურისმაძიებელი ალემანების თავდასხმისაგან?

ქალები (ქვითინით). ცეზარ, ცეზარ, ნუ გაგვეწირავ, ნუ მიგვატოვებ...
იულიანე (ყრებლებს იწმენდს). რას წარმოადგენს ცეზარი? რა შეუძლია ყოფილ ცეზარს?

ლაიპსონი. მისწერე იმპერატორს, აუხსენი...

იულიანე. კმ... იმპერატორს!.. იმპერატორი ავადაა, სულითაც და ხორციითაც, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნვით გამოსავათებული და გამოფიტული. ასე არაა, დეცენციუს?

დეცენციუსი. რა თქმა უნდა, მაგრამ...

იულიანე. გულმა რეჩხი მიყო, როცა გავიგე, რომ... (ხელს ათმევს ახლო მდგომთ). ილოცეთ მისი სულისათვის. იესო ქრისტეს მოსავენო! მსხვერპლი შესწირეთ და მისი ჭანმრთელობისათვის ევედრეთ ღმერთებს, მამა-პაპათა სჯულზე მდგარნო!.. თქვენ, ალბათ, იცით, რომ იმპერატორი ტრიუმფით შევიდა რომში!

მავროსი. იმპერატორი?

ვარონი. როგორ? დუნაიზე დამარცხების შემდეგ?

იულიანე. დუნაისპირეთიდან დაბრუნებული ჩვენს ნაცვლად შევიდა ტრიუმფით რომში...

დეცენციუსი (მუქარით). დაფიქრდი, ცეზარ!..

იულიანე. დიახ, მართალს ბრძანებს ტრიბუნი, — დაფიქრდით, როგორ უნდა დაებინდა და დაებნელებინა სნეულებას იმპერატორის გონება, რომ დამარცხებულს ტრიუმფი მოეწყო რომში? ო, ჩემი მრავალნაციადი და ნატანჯი ნათესავი! რომში, კონსტანტინეს ტრიუმფალური თალის ქვეშ რომ ვადიოდა, ქედმაღლობით ცნობამიხდილმა ისე დიდ ვინმედ წარმოიდგინა თავი, რომ წელში მოიხარა და უნაგირის კებს დაასკდა შუბლით!

მავროსი. რალა იმპერატორი და რალა მამლაყინწა ალაყაფქვეშ!
ქარისკაცები ხარხარებენ.

ხმები. ესეც შენი იმპერატორი!

ვარონი. ვის უნდა დავემორჩილოთ, ვის?

ლაიპსონი. ძირს იმპერატორი!

მავროსი. (იულიანეს). მეუფეო, მმართველობის სადავე აიღე ხელში!

დეცენციუსი. ეს ამბოხებაა!..

ხმები. აიღე, მმართველობის სადავე აიღე ხელში!

იულიანე. უგუნურებო! ეს ეკადრება რომაელებს?! ან იქნებ, გინდათ, ბარბაროს ალემანებს მიჰბაძოთ? რაო, რა იყვირა კნოდომარმა არგენტორატთან? მიპასუხე, ჩემო ძვირფასო მავროს... რა იყვირა?

მავროსი. რა და: გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!

იულიანე. უჰ! ჩუმად, ჩუმად!.. რაო, რა სთქვი?

მავროსი. გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!

უკან მდგომნი. რა ამბავია? რა ხდება?

ვარონი. ცეზარ იულიანეს იმპერატორად აცხადებენ!

ჯარისკაცები (ყვირიან). გაუმარჯოს იმპერატორს! გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!

ყვირილი არ ცხრება; პირიქით, სულ უფრო ძლიერდება და სასახლის გარეთაც გადაინაცვლებს. ყველანი ერთხმად ყვირიან და ყაყავენ. იულიანე დიღხანს ველარ აწყნარებს ბრბოს.

იულიანე. გევედრებით... გემუდარებით!.. ძმებო, მეგობრებო, თანამებრძოლო!.. შეხედეთ, ჩემს მოცახცახე ხელებს ვიწვდი თქვენსკენ... ნუ გეძინია, დეცენციუს!.. ამასაც მოვესწარი. არა რა უნდა გისაყვედუროთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო? მხოლოდ სასოწარკვეთილებამ შეგიტყუათ ასე შორს!.. რაო, ასე გსურთ? კეთილი! რა გაეწყობა?.. სინტულა, ახლავე აქ გამოცხადდნენ ჩემი სარდლები! (დეცენციუსს) შენ კი შეგიძლია მოახსენო კონსტანციუსს, რომ მე იძულებული ვიყავი... (ვარონს მიუბრუნდება) წადი, მხედართმთავარო, და ამ მოულოდნელი გადატრიალების ამბავი აუწყე ბანაკს. მე თვითონ დაუყოვნებლივ ვაცნობებ რომს.

სალუსტიუსი. მეუფეო, ჯარისკაცები შენს ნახვას თხოულობენ!

მავროსი. ოქროს გვირგვინით, იმპერატორო!

იულიანე. ამნაირი სამკაული არასოდეს არა მქონია.

მავროსი. მაშინ ეს გამოგადგება! (ჩაქვს მოიხსნის ყელიდან და გვირგვინით რამდენჯერმე შემოავლებს თავზე იულიანეს).

ყვირილი მოედანდიდან. იმპერატორი!.. დაგვენახოს!.. იმპერატორი!

ჯარისკაცები. ფარზე ავიტაცოთ, ფარზე!

ახლო მდგომნი ფართო აიტაცებენ იულიანეს, რომელსაც აღტაცების ყივინით ესალმება ბრბო.

იულიანე. ხმა ღვთისა, ხმა ერისაო!.. მე ქედს ვიხრი გარდუვალის წინაშე და სიტყვას ვიძლევი, რომ შევასრულებ ჩემს დანაპირებს...

ღვთიონერები. ოქროს ხუთ-ხუთი და ვერცხლის თითო სესტერცია!

ბატავები. ალპებს გადაღმა არ გაგვზავნი!

იულიანე. ჩვენ აქ დავრჩებით და ვინაში დავბანაკდებით. ესაა ყველაზე უკეთ გამაგრებული ქალაქი მთელს გალიაში და, ეგეც არ იყოს, სურსათ-სანოვავითაა სავსე. განზრახული მაქვს, აქ დაველოდო, სანამ არ შევიტყობ, მოიწონებს თუ არა ათასგვარი საზრუნავით დათრგუნვილი ჩემი ძვირფასი ნათესავი იმას, რაც სახელმწიფოს საკეთილდღეოდ გადავწყვიტეთ...

სალუსტიუსი. მოწონებისა რა მოგახსენო მეუფეო!..

იულიანე (ხელეზს აღაპყობს). დაე, ღეთებრიგმა სიბრძნებ გაანათ-
ლოს და სასიკეთოდ წარმართოს მისი დაბინდული გონება!..
ღმერთმა ხელი მოგვიმართოს!..
მირა და დანარჩენი მხვევლები (ყარს იქით კიეიან). მოკვდა!
მოკვდა! მოკვდა!

მეხუთე მოქმედება

კიენა. საეკლესიო აკლამა. მარცხნივ ზიგზაგოვანი ასასვლელი ჩანს. უფრო
ღრმად, კლდეში გამოკვეთილი საფეხურები ეკლესიის დაკეტილ კარამდე უწევს.
წინ, ხელმარჩენივ, მიწისქვეშეთში ჩასასვლელია. აკლამას მკრთალად ანათებს
კედელზე დაკიდებული კანდელი.

წვერმოშვებული, ტალახსა და მტკვერში ამოგანგლული იულიანე ნახევრად
ბნელში ღვას და მარჩენა ჩასასვლელს ჩასტკერის. ეკლესიის ჩაკეტილ კარს შიღმა
ყრუდ მოისმის საეკლესიო გაღობა.

იულიანე (ვილაც დაბლა მყოფს ელაპარაკება). არავითარი ნიშანი არ
ჩანს?

ხმა (მიწისქვეშეთიდან). არავითარი.

იულიანე. არც სასიკეთო და არც ავისმაუწყებელი? არც კარგი
და არც ცუდი?

ხმა. არც კარგი და არც ცუდი.

იულიანე. ესე იგი. არავითარი.

ხმა. ცოტაც მოითმინე.

იულიანე. აგერ უკვე ხუთი ღღე-ღამეა, ვითმენ და ვიციდი, შენ
კი მხოლოდ სამი ღღე-ღამე მთხოვე. გეუბნები, აღარ
ვაპირებ... (თავს ასასვლელისკენ მიაბრუნებს, მიაყურადებს და ხმადაბლა
ჩამძახის ქვეშეთ). ჭერჭერობით ნურაფერს იტყვი!

სალუსტიუსი (მარჩენიდან ეშვება საფეხურებზე). მეუფეო!

იულიანე. აა, ეს შენა ხარ, სალუსტიუს? აქ რამ მოგიყვანა?

სალუსტიუსი. რა სიბნელეა... ძლივს დაგინახე.

იულიანე. რაზე გარჩილხარ?

სალუსტიუსი. მინდა გემსახურო და, თუ შეეძელი, ზემოთ,
ცოცხლების სამყაროში დაგაბრუნო.

იულიანე. რას მეტყვი ახალს?

სალუსტიუსი. ჭარისკაცები ღრტვინავენ; როგორც ჩანს, მოთმი-
ნების ფიალა ავესოთ.

იულიანე. ახლა იქ, ზემოთ, ალბათ, მზე ანათებს.

სალუსტიუსი. დიახ, მეუფევი!

იულიანე. მთელი ცა ცეცხლივით მოელვარე ფერებით ლივლივებს.
ალბათ, უკვე შუადღეა. ცხელა. კედლების გასწვრივ ჰაერი

თითქოს ცახცახებს და ნახევრად დამშრალი მდინარე ძლივს მოიკვლევს გზას ქათქათა ლოდებს შორის... საოცარი ცხოვრება, საოცნებო სამყარო!

სალუსტიუსი. მაშ, დაუბრუნდი, მეუფეო, დაუბრუნდი ამ სამყაროს! კატაკომბებში ამდენხანს ყოფნას, იცოდე, ცუდად ჩამოგართმევენ.

იულიანე. როგორ თუ ცუდად ჩამოგართმევენ?

სალუსტიუსი. გაებედო და მოგახსენო?

იულიანე. უნდა გაებედო და მოვალეცა ხარ, მომახსენო. რაო, მაინც რას ამბობენ?

სალუსტიუსი. ბევრს ჰგონია, რომ ამ მიწისქვეშეთში მწუხარებამ კი არა, სინანულმა ჩამოგიყვანა.

იულიანე. ჰგონიათ, რომ მე მოვკალი?

სალუსტიუსი. მათ ერთგვარად ამართლებს ამ იღუმალეებით მოცული საქმის ზოგიერთი გარემოება...

იულიანე. ელენე არავის არ მოუკლავს. სალუსტიუსს. ის მეტი-მეტად წმინდა და უმანკო იყო საიმისოდ, რომ ამ ცოდვილ ქვეყნად ეცხოვრა. ამიტომაც ყოველამ ზეცით ევლინებოდა ანგელოსი სამლოცველოში და იღუმალ უხმობდა მას. ხომ მართალია? ან, იქნებ, არ იცი, რომ ლუტეციელმა ლეთისმსახურებმა სწორედ ამით ახსნეს მისი სიკვდილი? ლეთისმსახურებმა კი ჩვენზე გაცილებით მეტი იციან. განა მისი დაკრძალვისას სამგლოვიარო პროცესია თავისებურ ტრიუმფალურ მსვლელობათ არ გადაიქცა? გახსოვს, როგორ გამოეფინენ ვიწრო ქალები ქალაქის გაღაგანს გარეთ კუბოს შესახვედრად? როგორ იქნევენ მწვანე რტოებს, ხალიჩებს უფენდენ გზაზე და საგალობლებით მიაცილებდნენ ქრისტეს სასძლოს, მიმავალს თავისი ღვთაებრივი სასიძოს ზეციური საეანისაკენ? რას იცინი?

სალუსტიუსი. მე, მეუფეო?

იულიანე. მას აქეთ დღედღამ საქორწინო ჰიმნები ჩამესმის ყურში. აი, ახლაც... გესმის?... გესმის?... დიდებით ამაღლდა იგი ზეცად. დიახ, ის იყო ქეშმარიტი ქრისტიანი. მტკიცედ იცავდა აღთქმას... განუხრელად მიაგებდა კეისარს კეისარისას, ხოლო მას... მეორეს... თუმცა, რა დროს ესაა? შენ ხომ არ ზიარებიხარ ქრისტიანული მოძღვრების წმიდათა-წმიდა საიდუმლოს, სალუსტიუს... რა არის-მეთქი ახალი, შენ გეკითხები.

სალუსტიუსი. ყველაზე მთავარი ისაა, რომ იმპერატორი დაუყოვნებლივ გადაიხვეწა ანტიოქიას, როგორც კი შეიტყო, რა მოხდა ლუტეციაში.

იულიანე. ეგ უკვე ვიცი. კონსტანციუსი, მისი აზრით, ალბათ, უკვე ხედავდა, როგორ მივადექით რომის კარიბჭეს.

- სალუსტიუსი. თავიანთი აზრით, ამასვე ხელავედნენ შენი მეგობრებიც, რომლებმაც ესოდენ სახიფათო საქმეში უყოყმანოდ დაგიკვირეს მხარი.
- იულიანე. არახელსაყრელი დროა, სალუსტიუს. ან. იქნებ, არ იცი, რომ ლუტეციიდან წამოსვლის წინ, ჩემი ფარი, ასპარეზობისას, ნამსხვრევებად იქცა და აქეთ-იქით მიმოიფანტა; სამკლავურილა შემრჩა ხელში. ალბათ, არც ის იცი, რომ ცხენზე შეჯდომისას, მსახურს, რომელმაც ხელი შემომამშველა, ანაზდეულად დაუსხლტა ფეხი.
- სალუსტიუსი. მერე რა, მაინც ხომ მოახტი ცხენს?
- იულიანე. მაგრამ კაცი კი დაეცა.
- სალუსტიუსი. უკეთესებიც დაეცემიან, თუკი ცეზარი უფრო მეტხანს დააყოვნებს.
- იულიანე. იმპერატორი სულს ლაფავს.
- სალუსტიუსი. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ცოცხალია. წერილები, რომლებითაც აუწყებდი, რომ თავი იმპერატორად გამოაცხადე...
- იულიანე. უფრო სწორად, მე ვწერდი, რომ ძალით გამომაცხადეს... დიახ, მე მაიძულეს; მეტი გზა აღარა მქონდა.
- სალუსტიუსი. იმპერატორისათვის მიუღებელი იქნება ამნაირი თავის მართლება. როგორც კი აღმოსავლეთ პროვინციებში საკმაო ძალებს მოუყრის თავს, გალიაზე გამოილაშქრებს.
- იულიანე. რა იცი?
- სალუსტიუსი. შემთხვევით გავიგე, მეუფეო! გევედრები, დამიჯერე...
- იულიანე. კარგი, კარგი; თუ ყველაფერი გამართლდა, მე თვითონ შეევეგებები კონსტანციუსს, მაგრამ არა ხმლით ხელში...
- სალუსტიუსი. არა? ესე იგი, დაუთმობ?
- იულიანე. იმპერატორი სულს ლაფავს.
- სალუსტიუსი. ო, ეს ფუჭი იმედი! (მუხს მოიყრის იულიანეს წინაშე) მაშ, ახლავე მომკალი, ჩემო მეუფე!
- იულიანე. რაო?..
- სალუსტიუსი. აქვე გამათავე. ცეზარ! მირჩევნია, შენ მომისწრაფო სიკოცხლე, ვიდრე იმპერატორმა.
- იულიანე. აღქი, ძმაო და მეგობარო!
- სალუსტიუსი. არა, არა, ნება მიბოძე, ასე დაჩოქილი გამოგიტყდე, ცეზარ! ჩემო ძვირფასო მეუფეო, იძულებული ვარ, ყველაფერი დაუფარავად მოგახსენო!... როდესაც შენი ბანაკი მოვძებნე რენუსის პირას... საბერძნეთში ჩვენი მეგობრობა გაგახსენე და ნებართვა გთხოვე. შენთან ერთად გამეზიარებინა ჯარისკაცის ხიფათით სავსე ცხოვრების მთელი სიმძიმე. — მე მაშინ შენთან მოგზავნილი ვიყავი, ჩემო მეუფე. იმპერატორის მსტოვარი გახლდი...
- იულიანე. შენ?..

სალუსტიუსი. ცოტა უფრო ადრე, ჩემი სული შენდამი რისხვით იყო საეხე, — ხომ ვახსოვს, რა უბრალო რამეზე დავემდურეთ ერთმანეთს მილანში? ჩემთვის კი ეს მაშინ სრულიადაც არ იყო უბრალო რამე, — იმედი მქონდა, ცეზარის დახმარებით კვლავ შეეძლებდი ფეხზე დადგომას. სწორედ ამით ისარგებლეს იმხანად რომში. საიმედო კაცად მცნეს და გალიაში გამოგზავნეს, რათა თვალყური შედევენებინა შენი ყოველი ნაბიჯისათვის.

იულიანე. და შენც დათანხმდი?.. კაცის სული ბნელია, ბნელი!

სალუსტიუსი. მე გავკოტრდი, აღარაფერი მებადა, ცეზარ! და მე მეგონა, რომ საბოლოოდ მაქციე ზურგი. დიახ, დიახ, ჩემო მეუფე, მე გამყიდველი გავხდი... მხოლოდ პირველ თვეებში, შემდეგ კი არა. შენი გულითადობა, დიდსულოვნება, მოწყალება, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინე... მე მართლაც იმად ვიქეც, რადაც თავს ვასალებდი: შენს ერთგულ თანამზრახველად, და ჩემი საიდუმლო დასმენებით ვცდილობდი თვალი ამეხვია იმათთვის, ვინც აქ გამოგზავნა.

იულიანე. მაშ, ეს შენი წერილები იყო? ო, სალუსტიუს!..

სალუსტიუსი. მათში არაფერი იყო ისეთი, შენთვის რომ ევნო, ჩემო მეუფე! არ ვიცი ჩემს გარდა, ვინ რას გადასცემდა სასახლის კარზე; ვიცი მხოლოდ ის, თუ რარიგად მტანჯავდა ჩემი იძულებითი ღუმილი, ჩემი უკეთური ქცევა შენს მიმართ. ის წერილი, რომელიც შენს ბანაკში თითქოს ვილაც უცნობი პირის მისამართით იყო გამოგზავნილი და რომში იმპერატორის ტრიუმფით შესვლას იუწყებოდა... ერთ დილას შენი კარვის ქვეშ შემოცურებული იპოვე, როცა უკვე ლუტეციაში გამოსამგზავრებლად ემზადებოდი... ხომ იპოვე, ჩემო მეუფე?

იულიანე. დიახ, დიახ.

სალუსტიუსი. ის ჩემს სახელზე იყო გამოგზავნილი, მაგრამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, იმდენი მოვახერხე, რომ შენამდე მოეღწია. პირში თქმას ვერ ვბედავდი. მინდოდა, მაგრამ არ შემიძლო. დაუსრულებლად ვაქიანურებდი აღიარებას. მიმიძიდა ჩემი სამარცხვინო საქციელის გამომელავენება. დამსაჯე, მეუფეო, შენს ფერხთით მუხლმოყრილი გვევდრები!

იულიანე. ადექი, შენ ჩემთვის კიდევ უფრო ძვირფასი გახდი, სიკეთის მადლით მონადირებული, თვით ჩემდა და შენდა უნებურად! ადექი, ჩემო სულიერო მეგობარო, უბატონოდ ხმას ვერვინ გავცემს!

სალუსტიუსი. უმჯობესია, სიცოცხლე მომისწრათო, — სულერთია, მალე მაინც ველარ დამიცავ. შენ ამბობ: იმპერატორი სულს ლაფავსო... (ღაბა) მეუფეო, მე ღუმილის აღთქმა მაქვს დადებული, მაგრამ ახლა კი გაგიმელავენებ საიდუმლოს. იმპერატორის მიხრწნილების იმედი არ უნდა გქონდეს. კონსტანციუსი ახალ ცოლს ირთავს.

იულიანე. ა!.. რა სიგიჟეა? ეგ რამ გაფიქრებინა?

სალუსტიუსი. იმპერატორი ახალ ცოლს ირთავს, მეუფეო! (ქალაღებს აწვდის). წაიკითხე, წაიკითხე. ცეზარ, ეს წერილები ყოველგვარ ექვს გაგიფანტავენ!

იულიანე (ხელს დასტაყებს ქალაღებს და კითხულობს). კმ.. მზის შუქსა და ნათელსა ვფიქრავ!..

სალუსტიუსი. ოჰ, ნეტავი უფრო ადრე გამებედა ამისი თქმა...

იულიანე (კითხვას განგრძობს). ცოლს ირთავს... კონსტანციუსი... ეს კაცის ლანდი... ფაუსტინას... რაო? ამ სიცოცხლით საესე ყმაწვილ ქალს, რომელსაც ჭერ ცხრამეტიც არ შესრულებია?... აა! გასაგებია... პატივმოყვარე და გულზეავი მშობლების ასულს!.. მაშასადამე, გულმზურვალე ქრისტიანს, არა? (ქალაღებს კეცავს). მართალი ხარ, სალუსტიუს, იმპერატორის მიხრწნილების იმედი არ უნდა მქონდეს. მართალია, მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკილია, მაგრამ რა?... სამაგიეროდ ფაუსტინაა ღვთისმოსავი... ერთ მშვენიერ ღღეს მახარებელი ანგელოსი მოვეღინება ზეცით, ანდა... ჰა-ჰა-ჰა! ერთის სიტყვით, ასე თუ ისე, გამოჩეკენ პატარა ცეზარს და...

სალუსტიუსი. დაყოვნება დაღუპვას ნიშნავს.

იულიანე. მაშასადამე, ყოველივე ეს ღიღხანს ფარულად მზადღებოდა, სალუსტიუს! თუ ასეა, ყველაფერი ნათელი ხღება. ეღენე... ესე იგი, ეღენე დაღუპა არა მისმა გრძელმა ენამ, როგორც აქამღე მეგონა, არამედ...

სალუსტიუსი. არა, არა ჩემო მეუფე!

იულიანე. ეინ იცის, რამღენს ფიქრობღენ. რას აღარ ვარაუღობღენ... ჩხრეკღენ, შიშობღენ... საღაა შენი სამართალი, ღმერთო?... და აი, საკიროდ მიიჩნიეს ეღენეს თავიღან მოშორება.

სალუსტიუსი. მართალს ბრძანებ. რომის არჩევანი თავდაპირველად ჩემზე შეჩერდა. ო, მეუფეო, იმეღია ექვს არ შეიტან იმაში, რომ მე შორს დავიკირე. არ შემიღლია, ხელსაყრელი შემთხვევა არ მომეცემა-მეთქი... მერე თვითონვე დამარწმუნეს, რომ ეს საზარელი ჩანაფიქრი უარყოფილ იქნა... მაგრამ ბოლოს მაინც...

იულიანე. ისინი არ შეჩერღებიან, უკან არ დაიხვევენ საფლაღვი მოლოარე ორი გვამის წინაშე... კონსტანციუსი ცოლს ირთავს... აი, რატომ დასკირდათ ჩემი განიარაღება ლუღეციაში!

სალუსტიუსი. მხოლოდ ერთ რამეს შეუღლია შენი გაღარჩენა, მეუფეო: თვითონვე უნდა დაასწრო, სანამ იმპერატორი ძალას მოიკრებღეს.

იულიანე. კი მაგრამ, მე რომ ყველაფერზე უარი ვთქვა და განვმარტოვღე, რათა მთელის არსებით მივეცე სიბრძნის სამსახურს, რისი საშუაღებაც აქ არა მქონდა? შეურიღღებიან ახალი მბრძანებღები ჩემს ამნაირ ყოფას? თუ მხოლოდ ის

გარემოება, რომ მე ცოცხალი ვარ, დამოკლეს ხმალივით მოსვენებას არ მისცემს მათ?

სალუსტიუსი. გალუსს, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, სწორედ მომავალი დედოფლის ნათესავეები ეხვივნენ გარს.

იულიანე. ტრიბუნი სკუდილა! დამერწმუნე, ჩემო მეგობარო, მე არაფერი დამეიწყუნია! და ამ სისხლისმსმელი იმპერატორის წინაშე უნდა დავიხიო უკან? დაინდო ის, ვინც ამდენი წლის მანძილზე ჩემი მშობლებისა და ახლობლების ცხედრებზე დააბიჯებდა?

სალუსტიუსი. დაინდობ და სამი თვეც არ გაივლის, რომ ახლა უკვე შენი მომხრეების ცხედრებს გაიგებს ფეხქვეშ სათელად.

იულიანე. დიახ, დიახ, ცამდე მართალი ხარ, თითქოს რაღაც ზეგარდმო ძალა მაიძულებს, მის წინააღმდეგ გავილაშქრო. და თუ ბოლოს და ბოლოს გადავწყვეტ, ჩემი გულისთვის როდი ვიქმ ამას. განა საქმე ასიათასობით ადამიანის კეთილდღეობას არ ეხება? ასიათასობით სიცოცხლეს? და განა ჩემი ნება იყო, ამ უკიდურესობამდე არ მიმეყვანა საქმე? ჩვენ ორს შორის შენ უფრო დამნაშავე ხარ, სალუსტიუს, ვიდრე მე, რად დუმდი ამდენ ხანს?

სალუსტიუსი. რომში სამიწიანი ფიცი ჩამომართვეს, რომ პირში წყალს ჩავიგუებდლი.

იულიანე. ფიცი? აჰ, აი, თურმე რა?.. კი მაგრამ, შენი წინაპრების ღმერთები დაიფიცე?

სალუსტიუსი. დიახ, მეუფეო, ზევსი და აპოლონი.

იულიანე. და მაინც გატეხე ფიცი?

სალუსტიუსი. მე სიცოცხლე მინდა.

იულიანე. კი მაგრამ, ღმერთები?

სალუსტიუსი. ღმერთები... ღმერთები შორს არიან.

იულიანე. დიახ, თქვენი ღმერთები შორს არიან: ისინი არავის შეაჩერებენ, არავის ხელ-ფეხს არ შეუჯრავენ; მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებენ ადამიანს. რა ბედნიერი ხალხი იყო ელინები, — არავინ ზღუდავდა მათ თავისუფლებას!.. შენ მეუბნები, შურისმაძიებელი იმპერატორი შენი მომხრეების სისხლს დაღვრისო! მერედა, ვის ეპარება ექვი ამაში? განა დაინდეს კნოდომარი? განა ამ საცოდავ ტყვეს სიცოცხლის ფასად არ დაუსვეს ერთი ენობრივი შეცდომა? მე ხომ ვიცი, სალუსტიუს, რომ ის მოკლეს. სამშობლოს დარღვა გადაიყოლაო? წმინდა წყლის სიკრუეა. მაშ, ჩვენ რაღასი იმედი უნდა გექონდეს? ვინ იცის, რა უკულმართად დაუხატა სასახლის კარს, როგორ დაამახინჯა დეცენციუსმა ის, რაც ლუტეციაში მოხდა?

სალუსტიუსი. ამას ყველაზე უკეთ ის მოწმობს, რომ იმპერატორი თავიქედმოგლეჯილი გაიქცა ანტიოქიაში.

იულიანე. კი მაგრამ, განა მე ჭარისკაცების მამა არა ვარ, სალუსტიუს?

სალუსტიუსი. ჭარისკაცების მამა, მათი ცოლ-შვილის მწე და მფარველი.

იულიანე. ვინ იცის, რა ბედი ელის სახელმწიფოს, თუკი ახლა შევეყოყმანდები? მიხრწნილი იმპერატორი, ხოლო შემდეგ არასრულწლოვანი ყრმა იმპერიის ტახტზე. შინააშლილობები და შეთქმულებები, გაუთავებელი ბრძოლები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად... ამას წინათ უცნაური სიზმარი ენახე. მომიახლოვდა ერთი კაცი, თავს სხივოსანი შარავანდელი ედგა; მკაცრად შემომხედა და მითხრა: „ამოირჩიე!“ შემდეგ ჩემი ჩვენება გაუჩინარდა, დილის ნისლივით გაქრა. აქამდე სულ სხვანაირად ვხსნიდი ჩემს სიზმარს, მაგრამ ახლა, როცა იმპერატორის მომავალი ქორწინების ამბავი გავიგე... დიახ, კეშმარიტად უკვე დროა, ამოვირჩიო, სანამ უბედურება თავს არ დასტეხია ქვეყანას! არა, ჩემს თავზე როდი ვფიქრობ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, არჩევანზე უარს ხომ ვერ ვიტყვი, სალუსტიუს? განა თვით ჩემი მოვალეობა იმპერატორის წინაშე არ მაიძულებს თავი დავიცვა? რა უფლება მაქვს გულხელდაკრეფილი დაველოდო მოგზავნილ მკვლელებს, რომლებსაც შიშით თავზარდაცემული კონსტანციუსი აუცილებლად მოისყიდის, რომ ჩემი თავი მოაკვლევინოს? ვინ გამამართლებს, თუ ბედუკულობათ იმპერატორს იმის საშუალებას მივცემ, რომ თავისი ისედაც ცოდვებით დამძიმებული სული ახალი სისხლიანი ცოდვით დაიმძიმოს? განა მისთვისვე არ აჯობებს, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი, თვითონვე დაითმინოს უსამართლობა, ვიდრე სხვა მოაკვდინოს თავისი უსამართლობით? ამიტომ, თუკი, საერთოდ, შეიძლება უსამართლობა ვუწოდოთ იმას, რასაც მე ვუპირებ იმპერატორს, ეს უსამართლობა, მე მგონია, ერთგვარად შერბილებული იქნება იმით, რომ ხელს შეუშლის ჩემს ძვირფას ნათესავს, თვითონვე მომექცეს უსამართლოდ. ჩემის აზრით, პლატონიკა და მარკუს ავრელიუსიც, სოფიის ეს გვარგვიროსანი სასიძო, მხარს დამიჭერდნენ ამ საქმეში. ასეა თუ ისე, ეს ამოცანა ყოვლად უღირსი როდია სიბრძნის მოყვარეთათვის, ჩემო ძვირფასო სალუსტიუს... ეჰ, ნეტა ახლა ლიბანიოსი მყავდეს გვერდით!..

სალუსტიუსი. მეუფეთ. შენ თვითონვე მიალწიე სიბრძნის მწვერვალს, ასე რომ...

იულიანე. მართალია; მაგრამ მაინც სიამოვნებით მოვისმენდი ზოგიერთის აზრს. არა, იმიტომ კი არა, რომ ვყოყმანობ. ერთი წუთითაც არ გაივლო გულში! არც იმიტომ, თითქოს წარმატებაში ეკვი შეპარებოდეს. მომავლის მათუწყებელი ნიშნები, რომლებზედაც მე მოგახსენე, სულაც არაა საშიში. ხომ შევინარჩუნე სამკლაური ხელში, მაშინ როდესაც ფარის

ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოიფანტა? ამიტომაც, ჩემის აზრით, სრული საფუძველი მაქვს ვივარაუდო, რომ უთუოდ შევინარჩუნებ იმას, რასაც ამჟამად ვაპირებ ხელი მივყო. მაინც ხომ მოვახტი ცხენს, მიუხედავად იმისა, რომ კაცს, რომელიც ხელს მაშველებდა, ფეხი დაუსხლტა და წაიქცა? ჩემის აზრით, ეს მოასწავებს კონსტანციუსის დამხობას, კონსტანციუსისა, რომელსაც უნდა ვუმალოდე ჩემს აღზევებას. ერთის სიტყვით, ჩემო ძვირფასო სალუსტიუს, მე ვაპირებ დაეწერო თხზულება, რომელიც მთლიანად გაამართლებს ყველაფერს...

სალუსტიუსი. კეთილად და პატიოსანად. მაგრამ ჭარისკაცები რომ დრტინავენ, მოწყალეო მეუფე? მათ სურთ თავიანთი თვალით გიხილონ და შენი პირით მოისმინონ, რა ბედი ელით. **იულიანე.** წადი და დაამშვიდე ისინი... უთხარი, ცეზარი მალე გამოვა-თქო.

სალუსტიუსი. მეუფეო, მათ ცეზარის ნახვა კი არა სწყურიათ, არამედ იმპერატორისა.

იულიანე. იმპერატორიც არ დაახანებს.

სალუსტიუსი. დიახ, ის მოვა... მართალია ხელცარიელი, მაგრამ ათასობით სიცოცხლის და ბედ-იღბლის ხელში მპყრობელი.

იულიანე. ზუსტად ისევე, როგორც საქონლის გაცვლა-გამოცვლისას, სალუსტიუს? ათასობით სიცოცხლე — ათასობით სიკვდილის წილ!

სალუსტიუსი. აქეთ კია შენს მტრებს იმის უფლება, რომ იცოცხლონ?!

იულიანე. რა ბედნიერი ხარ შენ, ვისი ღმერთებიც შორს არიან! ო, ნების ეს საბრძოლო მზადყოფნა!..

ხმა (მიწისქვეშეთიდან). იულიანე! იულიანე!

სალუსტიუსი. ა!.. რა არის ეს?

იულიანე. წადი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ნულარ აყოვნებ!

ხმა. ჩაახშე საეკლესიო გალობა, იულიანე!

სალუსტიუსი. ისევ ვილაციის ხმა ისმის!.. ესე იგი მართალს ამბობენ!..

იულიანე. რაო, მაინც რას ამბობენ?

სალუსტიუსი. რომ შენ აქა ხარ ჩაკეტილი იმ უცნაურ კაცთან, მისანსა თუ ჭადოქართან ერთად, რომელიც ღამით გეწვია.

იულიანე. პა-პა-პა! აი, თურმე, რას ამბობენ! წადი, წადი!

სალუსტიუსი. გაფიცებ, მეუფეო, მოეში ამ საბედისწერო ზმანებებს. წამო, მზის გულზე ავიდეთ!

ხმა (უფრო ახლოდან). ყველაფერი ამაოა.

იულიანე (მარჯვენა ჩასასვლელთან). არავითარი ნიშანი, ძმაო ჩემო?

ხმა. სიჩუმე და სიცარიელე.

იულიანე. ო, მაქსიმე!

სალუსტიუსი. მაქსიმე?

იულიანე. წადი-მეთქი, ვის ვეუბნები? თუ ხრწნილების ამ სავანიდან ამოვალ, იცოდე, იმპერატორად ამოვალ!

სალუსტიუსი. გვედრები, მითხარი, რას ეძებ აქ. ამ სიბნელეში?

იულიანე. სინათლეს. წადი, წადი-მეთქი!

სალუსტიუსი. თუ ცეზარი დიდხანს დააყოვნებს, ვშიშობ, რომ გზა ჩახერგილი დახვდება (ხელმარცხნივ გადის).

ცოტა ხნის შემდეგ, მიწისქვეშეთიდან საფეხურებს ამოკვევდა მაქსიმე, შუბლი თეთრი სახვევით გაუკრავს, როგორც ქურუმებს — მსხვერპლშეწირვისას. ხელში გრძელი, გასისხლიანებული სამსხვერპლო დანა უჭირავს.

იულიანე. რას იტყვი, მაქსიმე?

მაქსიმე. ყველაფერი ამოა-მეთქი, ხომ მოგახსენე. რატომ არ ჩაახშე საეკლესიო გალობა? ყველაფერი წყალში ჩამიყარა. სულებს ლაპარაკი სურდათ, მაგრამ ვერ შესძლეს.

იულიანე. წყედიადი, მდუმარება, უდაბურება... მეტიც მოთმენა აღარ შემიძლია! მაინც რას მიჩჩევ?

მაქსიმე. ხელის ფათურით გაპყევი გზას, იმპერატორო, სინათლე გეძებს.

იულიანე. დიახ, დიახ, მეც ასე მგონია. ნეტავი არ დამებარებინე; სულ ტყუილად გამოგიყენე ამსიგრძე გზას. იცი, რა მითხრეს ახლახან?

მაქსიმე. მე არ მაინტერესებს, რა გითხრეს ახლახან. შენი ბედი შენს ხელთაა.

იულიანე. (შეშფოთებული წრიალებს), მართლაცდა, ვინ არის ეს კონსტანციუსი?... ეს მოირების კერძი, თავისივე ცოდვების წერა, ყოფილი აღმამიანის ეს ნანგრევები?!

მაქსიმე. საფლავის ძეგლი დაუდგი, იმპერატორო იულიანე, საფლავის ძეგლი!

იულიანე. როგორ მეპყრობოდა მთელი ამ ხნის მანძილზე, ან რას ჰგავდა იმისი ქცევა, თუ არა დამსხვრეულ ხომალდს... უსაქოდ და უთიანქნებოდ შთენილს... რომელსაც ხან მარცხნივ მიაქანებდა ეკვიანობის შმაგი დინება, ხანაც მარჯვნივ გასტყორცნიდა სინანულის მძვინვარე ქარიშხალი!.. გველივით მიიკლაკნებოდა ტახტისაკენ. შიშისაგან საკუთარ პორტირში შემალული, საიდანაც წვეთავდა მამაჩემის სისხლი! ან იქნებ, დედაჩემისაც! ვინ იცის? მთელი ჩემი საგვარეულო უნდა ამომწყდარიყო, რომ თვითონ მორკმით მქდარიყო ტახტზე! თუმცა არა! არა მთელი საგვარეულო!.. ხომ დაგვინდო მე და გალუსი? დიახ, ორიოდ სიცოცხლე უნდა დაენდო, რომ ერთგვარად მაინც გამოესყიდა თავისი ცოდვები. შემდეგ კი კვლავ აიტაცა ეკვიანობის შმაგმა გრიგალმა. სინანულის მტანჯველმა გრძნობამ აღიარებინა გალუსი ცეზარად და შიშის არანაკლებ მტანჯველმა გრძნობამ გამოატანინა სასიკვდილო განაჩენი ცეზარისათვის. ახლა ჩემსას აღარ იკითხავ? იქნებ მას უნდა ვუმაღლოდე ამ ძალღუმადურ სიცოცხლეს,

რომელიც დღემდე შემინარჩუნა? არა! მას უნდოდა, ერთი ძმისათვის მეორეც მიეყოლებინა უკან. ჭერ გალუსი, მერე კი... ყოველ ღამე მეღვიძებოდა შიშისაგან თავზარდაცემულს, ცხროიანივით ვცახცახებდი და ჭირის ოფლს მასხამდა, ვაითუ ხვალინდელი დღე უკანასკნელად მითენდება-მეთქი.

მაქსიმე. განა მარტო კონსტანციუსი და სიკვდილი გაშინებდა ყველაზე მეტად? აბა, გაიხსენე?!

იულიანე. მართალი ხარ. მღვდლები!.. მთელი ჩემი სიყმე და სიკბაბუკე ეს იყო განუწყვეტელი ძრწოლა კეისრისა და ქრისტეს წინაწე. ო, რა საშინელია იღუმალებით მოცული ეს უღმობელი ღმერთკაცი! სადაც უნდა წავსულიყავი, დიადი და მრისხანე ღმერთი გზას მილობავდა თავისი უპირობო და უწყალო აღთქმით!

მაქსიმე. მერედა, ამ აღთქმას შენს გულში ჰქონდა ფესვი გადგმული?

იულიანე. არა, ის ყოველთვის ჩემს გარეთ იყო... ის ხმობდა: შენ მოვალე ხარ! ჩემს სულში ბობოქრობდა შმაგი, მძინვარე, ყველა სხვა გრძობის წამლეკი სიძულვილი ჩემი მშობლების ვერაგი მკვლელის მიმართ, მისი აღთქმა კი მიბრძანებდა: „გიყვარდეს მტერი შენი!“ ჩემი სული ხარბად მიელტვოდა მშვენიერებას, სურდა დანთქმულიყო გარდასული ბერძნული ყოფის, იავარქმნილი სინამდვილის შორეული ხიბლის წიაღში, ქრისტიანული აღთქმა კი ჩანასახშივე ახშობდა ჩემს სწრაფებას: „ეძიე ერთი, მხოლოდ ის, რაც ხამს!“ ჩემს ხორცს სახმილივით დაგავდა მხურვალე ვნებების ალი, თვითგანდგომის მთავარი კი თავზარსა მკემდა თავისი მბრძანებლური შეგონებით: „მოაკვდინე შენი ხორცი აქ, რათა იქ აღსდგე საუკუნო სიცოცხლისათვის!“. ყოველივე ადამიანური უკანონოდ გამოცხადდა იმ დღიდან, რაც გალილეველმა წინასწარმხედმა თავის ხელში აიღო სამყაროს საქე. სიცოცხლე, მისი წყალობით გამუდმებულ კვდომად იქცა; სიყვარული და სიძულვილი — ცოდვად. კი მაგრამ, თუ შესძლო მან შეეცვალა თვით ადამიანის სისხლი და ხორცი? განა მიწიერი კაცი იმადვე არ დარჩა, რაც უწინ იყო? მთელი ჩვენი ჭანსალი შინაგანი არსი დრტვინავს ამ სულისშემხუთველი არტახების წინააღმდეგ, და მაინც, ჩვენ ძალაუნებურად უნდა გვსურდეს ყოველივე ეს! იძულებულნი ვართ, გვსურდეს! ამას გვიწესებს თურმე ჩვენი ვალი! დიახ, ვალი, ვალი, ვალი!

მაქსიმე. ამას იქით კი აღარ წასულხარ? სირცხვილი შენი!

იულიანე. სირცხვილი ჩემი?..

მაქსიმე. დიახ, დიახ, ათენელო და ეფესელო სწავლულო კაცო, სირცხვილი შენი!

იულიანე. ეჰ, გაიხსენე, რა დრო იყო, მაქსიმე!.. რა ადვილი იყო არჩევანი! ისე კი კაცმა რომ თქვას, რას ვაკეთებდით? სიბრძნის ტაძარი აგვეყავდა, — არც მეტი და არც ნაკლები.

მაქსიმე. განა თქვენს საღმრთო წერილში არაა ნათქვამი: „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენს წინააღმდეგაა?“

იულიანე. კი მაგრამ, განა ლიბანიოსი ყოველთვის ერთი და იგივე არ იყო, მიუხედავად იმისა, თუ ვის უჭერდა მხარს სიტყვიერი პაექრობისას, — მომზივანს, თუ მოპასუხეს? არა, აქ ცოტა არ იყოს, უფრო ღრმად ჩახედვა გვმართებს. აქ რალაც ისეთს უნდა გადავებიჯო, რომ... „შიაგე კეისარს კეისარისა“.. ერთხელ ათენში ამ თემაზე მთელი თამაში ავაგე. მაგრამ, კვლავ ვიმეორებ, აქ უფრო ღრმად ჩახედვა გვმართებს. შენ ვერ გაიგებ ამას, რადგანაც არასოდეს დაგიღვამს ქედზე ღმერთკაცის მონობის უღელი. ქრისტეს შემდეგ მარტო მისი მოძღვრება როდი დარჩა ამქვეყნად: თითქოს რალაც იღუმალი, რალაც მაგიური ძალა უსიტყვოდ უმონებს და უმორჩილებს სულებს. ვინც ერთხელ მოიხარა ქედი მისი ძალმოსილების წინაშე, ჩემის აზრით, მთლიანად, მთელის არსებით, ველარასოდეს განთავისუფლდება მისგან.

მაქსიმე. იმიტომ, რომ მთელის არსებით არა გსურს ეს.

იულიანე. როგორ უნდა მსურდეს შეუძლებელი?

მაქსიმე. აბა, შესაძლებელი გინდ გსურდეს და გინდ არა; ჩიტი ბღღენად არა ღირს.

იულიანე. ეგ სხვა არა არის რა, თუ არა ფილოსოფიური სკოლების ფუქსიტყვაობა. მაგითი ვეღარ გამაძლობთ! და მაინც... არა, არა, მაქსიმე! თქვენ, წარმართები, ვერასოდეს ვერ გაგვიგებთ ქრისტიანებს. ჩვენ თითქოს ვაზები ვართ, ჩვენთვის უცხო ნიადაგზე გადაწერილნი... უკანაც რომ გადმოგვრგოთ, სულერთია, მაინც დავეკნებით, მაგრამ ვაი რომ ვერც ახალ ნიადაგზე ეხარობთ.

მაქსიმე. მაინც ვის გულისხმობ?

იულიანე. ყველას, ვინც განკაცებულის წინაშე შიშითა ძრწის.

მაქსიმე. აჩრდილის შიშით.

იულიანე. რაც გინდა, ის დაარქვი, მაგრამ ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს დამთრგუნველი შიში თითქოს შედედდა და ციხის გალავანივით გარს შემოერტყა იმპერატორს? ო, მე მშვენივრად მეხმის, რატომ მიანიჭა დიდმა კონსტანტინემ ამ ნების დამთრგუნველ მოძღვრებას მბრძანებლობის უფლება თავის სამეფოში. თავით ფეხებამდე შეიარაღებული ვერც ერთი მცველი ისე ვერ დაიცავს იმპერატორის ტახტს, როგორც ეს გონებაშიუწვდომელი მოძღვრება, რომელსაც ყოველივე ქეშმარიტი ამქვეყნიური არსებობის ფარგლებს გარეთ გააქვს. ოდესმე კარგად თუ დაჰკვირვებხარ ამ ქრისტიანებს?

უსიციოცხლო თვალები, ფერმკრთალი სახეები, ჩავარდნილი გულმკერდი, — აი, ასეთები არიან ყველანი. ბისონელ ქსელის მბეჭავებებს ჰგვანან. მზე მათთვის ანათებს, ისინი კი ვერ ხედავენ მის შუქს; დედამიწა უშურველად სთავაზობთ მთელ თავის სიუხვეს, ისინი კი ხელალებით უარყოფენ ყოველივე მიწიერს. მათ მხოლოდ ერთი რამ სწყურიათ: თვითგანდგომა, ტანჯვა-ვაება, მოწამემობრივი სიკვდილი!

მაქსიმე. შენც ადექი და მათ გამოსწორებას ნუკი ეცდები, არამედ შენი მიზნებისათვის გამოიყენე ისინი, მაგრამ ნუ დაემგვანები მათ. კეისარი თუ გალილეელი? — აი, არჩევანი. შიშის ყურმოჭრილ მონად დარჩი, ან მბრძანებლად იქეც მზის, სინათლისა და სიხარულის საუფლოში. არ შეიძლება შენ გასურდეს ის, რაც თავის თავსვე ეწინააღმდეგება, და მაინც, შენ ეს გასურს. შენ გინდა ერთმანეთს შეუთავსო ორი ურთიერთშეუთავსებელი და შეურიგებელი საწყისი. აი, რად ზიხარ აქ და ამ სიბნელეში ნელ-ნელა ლპები.

იულიანე. თუ შეგიძლია, ნათელი მოჰფინე ამ სიბნელეს.

მაქსიმე. მართლა ის აქილეესი ხარ, რომელიც, თუ დედაშენის სიზმარს ვერწმუნებით, მას უნდა ეჩუქებინა ქვეყნისათვის? მოწყვლადი ქუსლი სულაც არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ კაცი აქილეესად იქცეს. აღსდექი სულით, მეუფეო! ძღვეამოსილი სიმამაცით ფრთაშესხმულმა, ურა კვიციის მხედნელივით გადალახე დაბრკოლება — თავს გადაეველე გალილეელს, თუ გასურს იმპერატორის ტახტს დაეუფლო.

იულიანე. მაქსიმე!

მაქსიმე. ჩემო ძვირფასო იულიანე, მიმოიხედე შენს გარშემო და დაინახე, რა ხდება ამ ქვეყანაზე! სიკვდილის მოსურნე ქრისტიანებს, რომლებიც წელან ახსენე, ხელის თითებზე ჩამოთვლის კაცი. დანარჩენებს ხომ ნულარ იკითხავ! განა გზააბნეული ცხვრებივით არ შორდებიან და ერთიმეორის მიყოლებით ეკარგებიან თავიანთ პატრონს და მწყემსს? განა შინააშლილობანი და შინაგანი უთანხმოებანი არ ღრღნიან და ძირს არ უთხრიან ქრისტიანთა საძმოებს და საკრებულოებს?! ან თუ გნებავს ეპისკოპოსები, ეს ვერცხლისმოყვარე ღვთისმსახურნი აიღე, ქრისტეს სამწყსოს სარქლებად თუ მწყემსმთავრებად რომ მოაქვთ თავი! განა თავიანთი სიხარბით, პატივმოყვარეობით, პირფერობითა თუ თვალთმაქცობით რამეში ჩამორჩებიან იმპერატორის გაიძვერა კარისკაცებს?

იულიანე. ყველა ხომ ერთნაირი არ არის: გაიხსენე თუნდაც ღმერთშემოსილი ათანასე ალექსანდრიელი...

მაქსიმე. სამაგიეროდ ათანასე, ერთადერთი იყო. მერედა, სადაა დღეს ათანასე? აკი გააჩუქეს იმის გამო, რომ იმპერატორს მოასყიდვინა თავი! განა ლიბიის უდაბნოში არ ეძებდა თავშესაფარს, სადაც, პოლოს, ლომებმა შეახრამუნეს? ანდა

მეორე ათანასეს თუ დამისახელებ? გაიხსენე ეპისკოპოსი მარიოს ქალკედონელი. არიოზის მწველებლობისას სამგზის რომ შეიცვალა მრწამსი! ანდა ბებერი ეპისკოპოსი მარკოს არკთუსელი, რომელსაც ჭერ კიდევ ბავშვობაში იცნობდი; განა მან ყოველგვარი კანონისა და სამართლის გარეშე სათემო საკუთრება არ წაართვა თავის თანამემამულეებს და ეკლესიის კუთვნილად არ გამოაცხადა? ან კიდევ ის მიხრწნილი, უმწუო და უნიათო ნაზიანზელი ეპისკოპოსი, სასაცილოდ რომ იქცა თავისივე მრევლის თვალში, რადგანაც ერთსა და იმავე კითხვაზე თანაბრად პასუხობს პოსაც და არასაც, რათა არც მწვალი დასწვას და არც შამფური.

იულიანე. მართალს ბრძანებ.

მაქსიმე. აი, რანი არიან შენი თანამებრძოლნი და თანამოაზრენი. ჩემო ძვირფასო იულიანე. უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. ან იქნებ, იმ ორი კაპადოკიელის იმედი გაქვს, რომლებსაც ქრისტიანობის მომავალ მნათობებად სახავენ? ჰა-ჰა-ჰა! ეპისკოპოსის ღირსეული ვაჟი გრიგოლი მსაჯულია თავის ქალაქში, ხოლო ბასილი საერო ბრძენკაცთა თხზულებებს ჩაჰკირკიტებს, თავის მამულში განდეგილივით განმარტოებულნი.

იულიანე. ვიცი, ვიცი, ყველგან განდგომილება სუფევს. ეკივოლიუსი, ჩემი ყოფილი მასწავლებელი, თავისი გულმოდგინე კირკიტისა და საღმრთო წერილის განმარტების წყალობით მდიდარი კაცი გახდა და მას შემდეგ... ერთის სიტყვით, როგორც ჩანს, შორს აღარაა ის დრო, მაქსიმე, როცა ერთადერთი კეშმარიტი მორწმუნე მელა დავრჩები.

მაქსიმე. შენ ისედაც ერთადერთი ხარ, სადღა არიან შენი თანამებრძოლნი? ზოგი გაიქცა, ზოგიც შენს გარშემო ბრძოლის ველზე დაცემული წევს. შეყრის ნიშანი მიეცი, — ველარავინ გაიგონებს! წინ გასწი, — აღარავინ გამოგყვება! ნუ გგონია, თითქოს წინ წასწევ საქმეს, რომელსაც თვითონვე უიმედოდ მიაჩნია თავისი თავი. დამარცხდები, უთუოდ დამარცხდები, ჩემო ძვირფასო! მერე სადღა აპირებ წასვლას? კონსტანციუსის მიერ უარყოფილს ზურგს შეგაქცევს ყველა მიწიერი ძალა და, მერწმუნე, არც მიწისქვეშეთის იღუმალი ძალები ჩაგიკრავენ გულში. იქნებ გგონია, გალილეელი შეგივრდომებმ? ვინა ხარ მისთვის? აჟი თვითონვე აღიარე, რომ ღლენიდაღ მისი პრისხანე მეუფების წინაშე ძრწი? განა გულში იმარხავ მის აღთქმას? განა გიყვარს შენი მოსისხლე მტერი კონსტანციუსი, თუმცა კი გადამწყვეტ დარტყმას არ აყენებ მას? განა ზიზლით უარყოფ ხორციელ ვნებებს და ამქვეყნიურ სიამეთა მაცთურსა და მომწუხრველ ხიბლს, თუმცაღა დასიცხულ მოცურავესავით თავდაყირა არ ეშვები მათ მორევში? განა ზურგს აქცევ ამ სოფელს, თუმცა იმდენი

გამბედაობა არ გყოფნის, რომ დაიპყრო და დაიმორჩილო იგი? განა გწამს, რომ თუკი ხორცს მოაკვდინებ ამქვეყნად, საუკუნო სიცოცხლე გელის უფლის სასუფეველში?

იულიანე (ბოლთასა სცავს). რა მომცა, რითი შემეწია, რა მოიმოქმედა ამ ყოვლის მთხოვნელმა ჩემთვის? სამყაროს საქე რომ მართლაც ხელთ ეპყრას, ხომ შეეძლო, რომ...

საეკლესიო გალობა სულ უფრო ძლიერდება.

გესმის? ამას ისინი ღმრთის მსახურებას უწოდებენ. და ისიც იღებს, მეტიც, ხარბად ისრუტავს, როგორც ს.მსხვერპლო კვამლის ტკბილ სურნელს. საგალობლებით აღადებენ მას და... კუბოში მწოლარე მის უმანკო სასძლოს, თუკი მართლაც ყოვლისმცოდნეა, მაშინ როგორღა ითმენს, რომ...

სახლთუხუცესი ევფერიოსი (სწრაფად ეშვება მარცხენა მხრიდან). მეუფეო! სადა ხარ, სად?

იულიანე. აქა ვარ, ევფერიოს! რა იყო, რა გინდა?

ევფერიოსი. ახლავე უნდა ამობრძანდე ზევით და საკუთარი თვალით იხილო: ქალბატონის კუბოსთან არნახული სასწაული ხდება.

იულიანე. სტყუი!

ევფერიოსი. არა, ღმერთმანი! მე არ ვიზიარებ ჩვენთვის ამ სრულიად უცხო მოძღვრებას, მაგრამ არც იმის უარყოფა შემიძლია, რაც ჩემივე თვალით ვიხილე!

იულიანე. ასეთი მაინც რა იხილე?

ევფერიოსი. მთელი ქალაქი უცნაურ მღელვარებას მოუცავს. ქალბატონის კუბოსთან სნეულნი და დაკრდომილნი მოჰყავთ; მღვდლები ნებას აძლევენ, კუბოს შეეხონ, და ისინი განკურნებულნი ბრუნდებიან უკან.

იულიანე. მართლა შენი თვალით იხილე?

ევფერიოსი. დიახ, მეუფეო, მე თვითონ ვიხილე ავზნიანი ქალი, რომელიც სავსებით საღსალამათი გამოდიოდა ეკლესიიდან და ადიდებდა გალილეველთა ღმერთს.

იულიანე. ო, მაქსიმე, მაქსიმე!

ევფერიოსი. გესმის, როგორ ზეიმობენ ქრისტიანები? როგორც ჩანს, ახალი სასწაული მოხდა!

ექიმი ორიბასიოსი (მარცხიდან ჩამოსძახის). ევფერიოს!.. ვერ ნახე?.. სადაა ცეზარი, ევფერიოს!

იულიანე. აქა ვარ, აქ!.. მართალია, ორიბასიოს?

ორიბასიოსი (დაბლა ეშვება) გონება მიუწვდომელი, გამოგნებელი სიმართლე გახლავს. ისინი კუბოს ეხებიან, მღვდლები, ლოცვებს კითხულობენ და სნეულები იკურნებიან. დროდადრო ისმის ხმა, მაღლით მღალადებელი: „ნეტარ არს წმიდათა შორის უბრწნელი სასძლო!“.

იულიანე. ხმა?..

ორიბასიოსი. იღუმალი ხმა, ჩემო მეუფეო! გრგვენვასავით გაისმის ბაზილიკაში; არავენ იცის, ვისია, საიდან მოდის.

იულიანე (ერთხანს უძრავად დგას, მერე უეცრად მიუბრუნდება მაქსიმეს და ყვირის). სიცოცხლე თუ სიცრუე?

მაქსიმე. ამოირჩიე!

ორიბასიოსი. წამოდი, წამოდი, მეუფეო, შიშით თავზარდაცემული ჯარისკაცები გემუქრებიან.

იულიანე. მაგაზე დამიდგა დარდი.

ორიბასიოსი. ისინი სასწაულთმოქმედი ქალის სიკვდილში გდებენ ბრალს.

იულიანე. ამოვალ და დავაშოშმინებ...

ორიბასიოსი. არსებობს მხოლოდ ერთი, ერთადერთი საშუალება, სხვა რამეზე უნდა გადაუტანო სიტყვა, სხვა რამის მიმართ მიაქციო მათი გონება... შიშისაგან თავგზა დაკარგეს... წინასწარვე დასტირებ თავიანთ ხვედრს; არ იციან, რა ელით, თუკი კვლავ დაახანებ!

მაქსიმე. წადი, ცას მიაშურე, უგუნურო, შენი პატრონისა და მბრძანებლის დღეგრძელობისთვის მოკვდები!

იულიანე (ხელს სტაცებს) კეისრის სამეფო — მე!

მაქსიმე. აქილევს!

იულიანე. რითი გავკვეთო კავშირი?

მაქსიმე. (სამსხვერპლო დანას უწვდის). ამით!

იულიანე. რა ჩამორეცხს წყალს?

მაქსიმე. ცხოველის სისხლი. (თავიდან მოიგლეჩს სახვევს და იულიანეს უკეთებს).

ორიბასიოსი (უახლოვდება). რას აპირებ, მეუფეო?

იულიანე. ნუ მეკითხები!

ევფერიოსი. გესმის ყვირილი?... ზევით, ზევით, ჩემო მეუფე!

იულიანე. ჭერ ქვევით, შემდეგ კი მალლა-ზევით! (მაქსიმეს). სადაა საკურთხეველი, ჩემო ძვირფასო ძმაო?..

მაქსიმე. ძირს, მეორე მიწისქვეშეთში.

ორიბასიოსი. სად მიხვალ, მეუფეო, სად?

მაქსიმე. თავისუფლების კარად!

იულიანე. სიბნელიდან — სინათლისაკენ!.. ა!.. (სიღრმეში ეშვება).

ევფერიოსი. გამაგებინე, რა საჭიროა ეს იღუმალი მისნობა და გრძნეულება?

ორიბასიოსი. თანაც, ახლა, როცა ყოველი წუთი ძვირფასია...

მაქსიმე (აღუფოთებული ჩურჩულით, ადგილს იცვლის). ო, ეს უბადრუკი ლანდები!.. ფუჰ!.. ქვეწარმავლები!..

ორიბასიოსი (აყურადებს). ხმაური სულ უფრო ძლიერდება, ევფერიოს! ჯარისკაცები მოდიან! გესმის, გესმის?

ევფერიოსი. ეს საეკლესიო გალობაა...

ორიბასიოსი. არა, არა, ჯარისკაცები... აი, ისინი!

ზემოთ გამოჩნდება სალუსტიუსი, გააფრთხილებული ჯარისკაცების უზარმაზარი ბრბოთი გარშემორტყმული. მათ შორისაა მელრომე მავროსი.

სალუსტიუსი. დამშვიდდით! ღვთის გულისათვის!
ჯარისკაცები. ცეზარმა გაგვიყიდა! სიკვდილი ცეზარს!
სალუსტიუსი. მერე რაღა გეშველებათ. უგუნურებო?
მავროსი. რა გვეშველება?... ცეზარის თავით პატიებას ვიყიდით...
ჯარისკაცები. გამოდი, ცეზარ! გამოდი!
სალუსტიუსი. მეუფეო!.. სადა ხარ, სად?
იულიანე (სილრმიდან). ჰელიოს! ჰელიოს!
გუნდი (ეკლესიაში). მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა.
სალუსტიუსი. სად არის? ეფეერიოს, ორიბასიოს... რა ხდება აქ?...
გუნდი (ეკლესიაში). წმიდა იყავნ სახელი შენი...
იულიანე (სილრმიდან ამოდის საფეხურებით; შუბლი, მკერდი და ხელები სისხლითა აქვს მოთხვრილი). აღსრულდა!
ჯარისკაცები. ცეზარ!
სალუსტიუსი. სისხლი?!.. რა ჩაიდინე?
იულიანე. გავკვეთე შიშის ღრუბელი!
მაქსიმე. ქმნილება შენს ხელთაა!
გუნდი (ეკლესიაში). იყავნ ნებაი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა!
 გალობა გრძელდება მთელი მომღვენო სცენის განმავლობაში.
იულიანე. ახლა კონსტანციუსს უკვე აღარავინ იცავს!
მავროსი. რას ამბობ, მეუფეო?
იულიანე. ო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ზევით, მზის სინათლეზე!
 რომისკენ, საბერძნეთისკენ!
ჯარისკაცები. გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!
იულიანე. უკან ნულარ მოვიხედავთ, ჩვენს წინაშე ხსნილია ყველა გზა!
 ეკლესიის, ეკლესიის გავლით! ცრუმეტყველნი უნდა დადუმდნენ!
 (სწრაფად ამოდის საფეხურებით). ჩემი ლაშქარი, ჩემი საუნჯე, ჩემი ტახტი!
გუნდი (ეკლესიაში). და ნუ შემოიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰხსნენ ჩუენ ბოროტისაგან...
 იულიანე ხელის კვრით შეაღებს შუა კარს, საიდანაც ჩანს სანთლებით გაჩახახებული ეკლესია. მღვდლები საკურთხეველის წინ დგანან. ელენეს საფლავს მუხლმოყრილ მლოცველთა ბრბო ახვევია გარს.
იულიანე. თავისუფალი ვარ! თავისუფალი! ჩემია სამეფო!
სალუსტიუსი (უკან მისძახის). და ძალა და დიდება.
გუნდი (ეკლესიაში). რამეთუ შენი არს სუფევაი და ძალა და დიდებაი...
იულიანე (მასუბით გაოგნებული). ა!..
მაქსიმე. გამარჯვება!
გუნდი (ეკლესიაში). უკუნისამდე, ამინ!

II

იმაპერატორი იულიანე

ღრამა ხუთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

იმაპერატორი იულიანე.

ნევიტა, მხედართმთავარი.

პოტამონი, ოქრომკედელი.

კესარიოს ნაზიანზელი, სასახლის კარის ექიმი.

თემისტოიხი

მამერტინუსი რიტორები

ურსულუსი, მეკურკლეთუსესი.

ვენაპიოხი, დალაქი.

ბარბარა, მაქანკალი.

ეკივოლიუსი, ღვთისმეტყველების მასწავლებელი.

კარისკაცები და მოხელეები.

კონსტანტინოპოლელი მოქალაქენი, დიონიხს მხელელობის მონაწილენი, მუსიკოსები, მოცეკვავეები, ოინბაზები, ქალები.

აღმოსავლელ მბრძანებელთა ელჩები.

ევფერიოხი, სახლთუხუესი.

სახახლის კარის მსახურნი, მსაჭულეები, რიტორები, სოფისტები და ანტიოქიელი მოქალაქენი.

მედონი, პურით მოვაკრე.

მალკოხი, მებაეე.

გრიგოლ ნაზიანზელი, ექიმ კესარიოსის ძმა.

ფოკიონი, მღებავი.

პუბლია, მეფსალმუნე ქალი.

ილარიონი, მისი ვაჟი.

აგათონ კაპადოკიელი.

ეპისკოპოსი მარიოს ქალკედონელი.

აპოლონის მხელელობის მონაწილენი: ქურუმები და ტაძრის მსახურნი, არფისტები და ქალაქის მცველნი.

აგათონის უმცროსი ძმა.

დაპატიმრებული ქრისტიანები.

მერაქლიოხი, პოეტი.

ორიბახიოხი, იმპერატორის ექიმი.
ლიბანიოხი, რიტორი და ანტიოქიელი უხუცესი.
აპოლინარიოხი, მეფსალმუნე.
კირილე, სჯელის მოძღვარი.
კიბელეს მოხუცი ქურუმი.
ანტიოქიელი მეფსალმუნე ქალები.
ფრომენტინუხი, უმცროსი მხედართმთავარი.
იოვიანე, უფროსი მხედართმთავარი.
მაქსიმე, მისტიკოსი.
ნუმა, მისანი.
ორი ეტრუხკელი მიხანი.
ორმიზდი, გაძევებული სპარსელი თავადი.
ანატოლიოხი, იმპერატორის სხეულის მცველთა რაზმის უფროსი.
პრიხკუხი სოფისტი
კიტრონი სოფისტი
ამიანე, უმცროსი მხედართმთავარი.
ბახილი კესარიელი.
მაკრინე, მიხი და.
სპარსელი მოლაღატე.
რომაელი და ბერძენი ჭარისკაცები.
სპარსელი მეომრები.

პირველი მოქმედება მიმდინარეობს კონსტანტინოპოლში, მეორე და მესამე — ანტიოქიაში, მეოთხე — იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე და მათ მახლობლად. მეხუთე — მდინარე ტიგროსის გადაღმა. მოქმედების დრო — 361 წლის დეკემბერი — 363 წლის ივნისის დამლევით.

პირველი მოქმედება

კონსტანტინოპოლის ნავმისადგომი. წინ, ხელმარჯვნივ, საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ნავსადგურის ნაწილი ჩანს. გზებზე ხალიჩები აფენია. ცოტა მოშორებით, ამაღლებულ ნაპირზე, ტილოთი შემობურული და მცველებით გარშემორტყმული ქვა დგას. შორს, ბოსფორში საიმპერატორო ფლოტი ჩამწყრივებულია. ხომალდებზე სამგლოვიარო აღმები ფრიალებს.

ნავსადგურში უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ზოგი ნაევებში ჩამსხდარა, ზოგიც ნაპირიდან გაკუყრებს სივრცეს. ზღვის პირას დგას ოქრომკედლი მოსირბული პორფირით მოსილი იმპერატორი იულიანე. გარს კარისკაცებისა და მოხელეების ამაღა ახვევია. იმპერატორთან ყველაზე ახლოს დგანან: მხედართმთავარი ნევიტა, სასახლის კარის ექიმი კესარიოსი და რიტორები თემისტოისი და მამერტინუსი.

იულიანე (ბოსფორს გაკუყრებს). რა შეხვედრაა? ერთის მხრივ, მკვდარი, მეორეს მხრივ კი ცოცხალი იმპერატორი... რა მწარეა იმის შეგნება, რომ სამშობლოდან ასე შორს დალია სული! შეუსვენებლივ მოვისწრაფოდი, მაგრამ მაინც ვერ მოვეუსწარი; ვეღარ ვიგემე იმპერატორის ძმური ხვევნა-აღერსის სიტკბო! ორავეს სიმწარე გვარგუნა ბედმა!.. სადაა ხომალდი მისი ნეშტით?

ნევიტა. აგერ მოდის.

იულიანე. აი, ის გრძელი ნავი?

ნევიტა. დიახ, ჩვენო მწყალობელო და მბრძანებელო!

იულიანე. ჩემი საბრალო ნათესავი!.. რა სვემალალი იყო სიცოცხლეში და ახლა კი ასე დაბალ კერს უნდა შეურიგდეს!.. ახლა თვით კუბოს სახურავსაც ვერ მიაბრტყამ თავს, უწინ კი თავს ხრიდი კონსტანტინეს თალის ქვეშ გავლისას.

მოქალაქე (ბრბოში). რა ახალგაზრდაა ჩვენი ახალი იმპერატორი? ოქრომკედელი პოტამონი. ცოტა არ იყოს, გასუქებულია და დავაყვაცებულია კიდეც. უკანასკნელად რომ ვნახე, ისეთი გამხდარი და გალუული იყო... მას აქეთ ცხრა-ათი წელი მაინც იქნება.

მეორე მოქალაქე. მერედა, რამდენი დიადი საქმე აღასრულა ამ წლების მანძილზე.

ქალი. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რამდენი საფრთხე ემუქრებოდა ყოველი მხრიდან, თვით ბავშვობის დროიდან მოყოლებული?

მღვდელი. სასწაულებრივი ძალით დააღწია თავი ყველა განსაც-
დელს. იმიტომ, რომ უფლის განგება იფარავდა...

პოტამონი. რა ვიცი, ამბობენ, გალიაში სულ სხვა ძალის
მფარველობას მიაწოდო თავიო.

მღვდელი. მტკნარი სიცრუეა. დამერწმუნე.

იულიანე. აი, ისიც გვიახლოვდება. მზე, რომელსაც მე ღვთაებად
ვსახავ და დიადი მებთამტყორცნელი ღმერთი მემოწმებიან,
რომ კონსტანციუსის სიკვდილი არ მინდოდა. ღმერთმანი,
აზრადაც არ მომსვლია ეს. რამდენჯერ მილოცია მისი
დღეგრძელობისთვის... მითხარი, კესარიოს, — ყველაზე უკეთ
შენ გეცოდინება, — ხომ არაფერი პატივი დაუკლიათ
იმპერატორის ცხედრისთვის გზაში?

კესარიოსი. მთელს მცირე აზიაში სამგლოვიარო პროცესია
ნამდვილ ტრიუმფალურ მსვლელობად იქცა. ყველა ქალაქში,
რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ, ქუჩები მორწმუნეთა ბრბოებით
იყო სავსე; ეკლესიებში ღამ-ღამობითაც არ წყდებოდა ლოცვა
და ფსალმუნთა გალობა; ათასობით მოციმციმე სანთელი
სხივოსან ღღედ აქცევდა ღამის წყვილადს...

იულიანე. დიახ, დიახ... უცნაური ჟრუნტელი მივლის ტანში, როცა
წარმოვიდგენ, რომ ესოდენ დიადი, ქველი და ხალხის
სათაყვანებელი იმპერატორის ხელიდან უნდა მიმეღო სამეფო
კეპრთხი. ოჰ, ნეტავი ამქვეყნიური ორომბტრიალისგან შორს
ყოფნა, სადმე მყუდრო საეანეში განმარტოებით ცხოვრება
მრგებოდა წილად!

გამერტინუსი. კი მაგრამ, ვინღა შესძლებდა ისე ღირსეულად
ეტარებინა ეს მძიმე ტვირთი, როგორც შენ, ჩვენო სწორუ-
პოვარო მბრძანებლო? მე თამამად მოუხმობ ყველას, ვინც
პატივმოყვარეობით აღძრული ხარბად მიელტვის იმპერატო-
რის ტახტს: მოდიოთ და ხელში აიღეთ მმართველობის სადავე,
მაგრამ ისე ღირსეულად კი გეპყრათ, როგორც უპყრია
იულიანეს! დღედაღამ იფხიზლეთ და იზრუნეთ როგორც
ყველას ბედნიერებაზე ერთად, ისე თვითეულის კეთილდღე-
ობაზე ცალ-ცალკე! საღმრთო საქმისათვის მებრძოლთ ჩაუ-
დევით სათავეში და არა მონადიმეთა სუფრას! ნურათვის
მიღებას ნუ ეცდებით, არამედ უშურველად გაეცით და თქვენი
წყალობა მიაგეთ ყველას! მართლმსაჯულებისას თანაბრად
უცხო იყოს თქვენთვის მიკერძობაც და დაუნდობლობაც!
იცხოვრეთ ისე, რომ თქვენს გამო არც ერთმა ქალწულმა არ
აფრქვიოს ცრემლი ამქვეყნად! სძლიეთ გალიის ურჯულობასაც
და გერმანიის სუსხსაც... რას მეტყოდნენ ამის პასუხად?
ესოდენ მკაცრი მოთხოვნებით დამფრთხალნი თავიანთ სათუთ
ყურებს დაიცობდნენ და წამოიძახებდნენ: „მხოლოდ იულიანეს
თუ შეუძლია აღასრულოს ყოველივე ეს!“.

იულიანე. თუ ყოვლისმპყრობელმა ინება, ეს დიადი იმედი არ
გაგიცრუვდება. მაგრამ რამდენი რამ მაკლია ჯერ კიდევ?
ღმერთმანი. შიში მიპყრობს. მე, ალბათ, აღექისანდრე მაკე-

დონელს, მაკრუს ავრელიუსსა და სხვა დიდ ადამიანებს შემადარებენ. განა პლატონმა არ ბრძანა, მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლია ხალხის მართვაო? ოპ, ილოცეთ ჩემთან ერთად. რათა თავი დავაღწიო მზეაობის მახესა და ძალაუფლების საცთურს. ათენი, ათენი! აი, რისთვის კმუნავს და საით მიილტვის ჩემი სული! მე იმ კაცს ვგავდი, მხოლოდ სხეულის გასაკაეებლად რომ ვარჯიშობს, ახლა კი მოდიან და მეუბნებიან: „არენაზე გამოდრი და ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვე! შენ შემოგყურებს მთელი საბერძნეთიო“. როგორ არ შედრკეს და შეძრწუნდეს ჩემი სული ჯერ კიდევ მანამ, სანამ საასპარეზოდ გამოვიდოდე?

თემისტოხი. რას ჰქვია შედრკე და შეძრწუნდე, მბრძანებელო? განა საასპარეზოდ გამოსელამდე არ მოიხვეკე ბერძნების სიყვარული? განა ძველი უფლებები არ დაუბრუნე და, ამრიგად აღადგინე ყველა განდევნილი სიქველე? განა შენს არსებაში არ შეერთდა ყველა დიდი ნიქიცა და უნარიც, რომლებსაც ფლობდნენ ჰერაკლე, დიონისე, სოლონი და...

იულიანე. სსუ!.. დღეს მხოლოდ მიცვალებულის ქება-დიდება გემართებს! ხომალდი უკვე ნაპირს მოადგა. ჩამომართვით ჩემი დიადემა და ოქროს ჯაქვი; არ მინდა, ამ მწუხარე უამს საიმპერატორო ნიშნები მეპყრას. (ამალის ერთ-ერთ წევრს გადასცემს რეგალიებს).

ნაპირზე ამოდის დიდებული სამგლოვიარო პროცესია; წინ მღვდლები მოუძღვან, რომლებსაც ანთებული სანთლები უქირავთ ხელში. ეუბოს დაბალი ბალდახინით მოასვენებენ. წინ და უკან საეკლესიო ბაიარლები მოაქვთ.

მომღერალი ბიქუნები საცეხლერის ქნევით საკმევებს აკმევენ. პროცესიას უკან მოსდევს ქრისტიან მოქალაქეთა ბრბო.

იულიანე (ეუბოს ხელს დაადებს და მძიმედ ამოიხრებს). ეპ!..

ერთ-ერთი მაყურებელი (ბრბოში) პირჯვარი გადაიწერა?

მეორე მაყურებელი. არა.

პირველი მაყურებელი. აი, ხომ ხედავ?!

მესამე მაყურებელი. არც წმიდა ხატების წინ მოიხარა ქელი.

პირველი (მეორეს). ხედავ? აკი გეუბნებოდი!

იულიანე. სახელით და პატივით დაუბრუნდი მშობლიურ სახლს, ჩემი ნათესაის უსულო ნეშტო! მე ამ მტკერს პასუხს არ ვაგებინებ იმის გამო, რითაც ჩემს წინაშე სცოდავდა შენი სული! თუმცა რას ვამბობ? განა შენი სული მძვინვარებდა და ისე უმოწყალოდ მუსრავდა ჩემს გვარს, რომ მხოლოდ მეღა დავრჩი ცოცხალი? განა შენმა სულმა ბრძანა. თავი მოეკვეთათ ჩემი კეთილშობილი ძმისთვის? განა შენ დამაკისრე სრულიად გამოუცდელ ქაბუქს ესოდენ მძიმე მოვალეობა პირქუშსა და რომაელების მოძულე გალიაში, ხოლო შემდეგ, რაკი ვერავითარმა ბედუკულმართობამ და უბედურებამ ვერ გამტეხა, თვითონვე დააპირე მიგესაკუთრებინა ჩემს მიერ მოპოვებული გამარჯვებების პატივი? ო, კონსტანციუს, ჩემო ძვირფასო ძმაო, შეუძლებელია შენი დიდი გული ყოფილიყო

მთელი ამ უკეთურობის წყარო! რატომ იწამებდი თავს? რატომ გელანდებოდა სასიკვდილო სარეცელზე სისხლიანი აჩრდილები? გულბილწმა მრჩევლებმა მოგიწამლეს მთელი სიცოცხლეცა და მისი უკანასკნელი წამიც! ყველას მშვენივრად ვიცნობ. ესაა ხალხი, რომელიც გახრწნა შენმა მზესავით უშურველმა სიუხვემ და მოწყალებამ. დიახ, ყველას მშვენივრად ვიცნობ, ისე მზაკვრულად რომ ეხვეოდნენ სასახლის მიერ მოწონებული რელიგიური მრწამსის მოსახლამში, როგორც მგლები — ცხვრის ქურქში.

წარმართი მოქალაქეები (იულიანეს თანხლებთა შორის). გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!

კესარიოსი. მოწყალეო ხელმწიფევე, ხალხი გიცდის...

იულიანე (მღვდლებს). დაე, თქვენი საღმრთო გალობა ნუ დადუმდება ჩემს გამო, წინ ჩემო მეგობრებო, წინ!

პროცესია დაიძრება და ნელ-ნელა მიიწევს მარცხნივ.

ვისაც სურს, გამოგვეყვეს, ვისაც არა და. დარჩეს, მაგრამ, დაე ყველამ იცოდეს, რომ ამიერიდან აქაა ჩემი ადგილი.

ბრბო შეიჩქოლდება.

ვინა ვარ მე? იმპერატორი! განა ამით ყველაფერი არაა ნათქვამი? განა იმპერატორის მოვალეობათა შორის არ არის ერთი საპატიო მოვალეობა, რომელსაც ამ ბოლო ხანს რატომღაც არ სწყალობდნენ და, როგორც ჩანს, ცდილობდნენ სამარცხვინო დავიწყებისათვის მიეცათ? ვინ იყო გვირგვინოსანი ფილოსოფოსი მარკუს ავრელიუსი? იმპერატორი? მარტოოდენ იმპერატორი? თუ ცოტა უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ იმპერატორი?.. მითხარით, განა იმავდროულად ქურუმთ-უხუცესიც არ იყო?

ხმები (ბრბოში) რაო, რაო? რას ამბობს იმპერატორი?

თემისტოხოსი. ო, მბრძანებელო, ნუთუ მართლა გგონია, რომ...

იულიანე. თვით ბიძაჩემმა, კონსტანტინე დიდმაც ვერ გაბედა უარი ეთქვა ამ წოდებაზე. და მას მერეც კი, რაც მეტისმეტად ფართო უფლებები მიანიჭა ერთ ჩვენთვის კარგად ცნობილ მოძღვრებას, კვლავინდებურად იწოდებოდა ქურუმთუხუცესად ყველა მათგანის მიერ, ვინც განუხრელად იცავდა ჩვენს მამაპაპურ რწმენას და მრწამსს. სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის თაობაზე, თუ, ჩვენდა სავალალოდ, როგორ უგულვებლყოფდნენ ამ ბოლო ხანს ზემოხსენებულ წოდებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ვერც ერთი ჩემი დიდი წინამორბედი, მათ შორის, ვერც ის, ვისაც დღეს ცრემლების ფრქვევით უკანასკნელად ვემშვიდობებთ, ვერ ბედავდა უარი ეთქვა ამ მაღალ წოდებაზე. მაშ, მე როგორღა გადავდგა ის ნაბიჯი, რასაც არც გონივრულად და არც სამართლიანად არ მიიჩნევდნენ ესოდენ ბრძენი და მართლად გამრიგე მბრძანებელნი. არა, არა, ეს აზრი სრულიად უცხოა ჩემთვის.

თემისტოხოსი. მაინც რას გულისხმობ, მბრძანებელო?

იულიანე. მე ვგულისხმობ იმას, რომ ყველა მოქალაქეს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული. დაე, ქრისტიანთა ღმერთს მისდროს ყველამ, ვისაც ეს სჭირდება თავისი სულიერი სიმშვიდისათვის. მე კი, ჩემდა თავად, ამერიდან მთელს ჩემს სასოებას მივაპყრობ იმ ღმერთს, რომელიც აქამდე სრულიად უცხო იყო ჩემთვის. რამდენი უტყუარი ნიშანი მიმოწმებს იმას, რომ ყველა ჩემს წარმატებას გალიაში უნდა ვუმაღლოდე სხვა ღმერთებს, რომლებიც ოდესღაც ზუსტად ასევე სწალობდნენ და მთარველობდნენ ალექსანდრე დიდსაც. სწორედ მათი მთარველობის წყალობით დავაღწიე თავი ათასნაირ ხიფათსა და განსაცდელს და მათვე მომიყვანეს აქაც. მომიყვანეს ისეთი სასწაულებრივი სისწრაფით, რომ ქუჩებში ჩემს ყურს არცთუ იშვიათად მოსწვდენია ღვთისცემების წამოძახილი, რაც იმას მოწმობს, რომ მკვანნი ღვთისდარად მთვლიან... თუმცა ეს, რასაკვირველია, აშკარა გადაჭარბებაა, ჩემო მეგობრებო! ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც უეჭველია; მე ვერ გაგებდავ და არც შემიძლია უმაღური ვიყო ღმერთების მიმართ, რომლებიც ამდენი ხნის მანძილზე და ასე აშკარად მწყალობდნენ მე.

ხმები (ბრბოში, ყრულ). ნეტა რა განუზრახავს?

იულიანე. ყოველივე იმის ძალით, რაც ზემოთ ითქვა, მე აღვადგენ ღმერთებს, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ ჩვენი წინაპრები, და თავიანთ ძველ უფლებებს ვუბრუნებ მათ. მაგრამ, ამასთან, ვაცხადებ, რომ არაფერს ვერჩი არც გალიეველთა და არც იუდეველთა ღმერთს. ძველი დროის ღვთისმოსავ მზრძანებელთა ნება-სურვილითა და ხეროთმოდღვართა დიდოსტატური ხელოვნებით აგებული წმინდა ტაძრები აღდგენილი იქნება მთელი თავიანთი ბრწყინვალეობით, თავიანთი საკურთხეველებითა და ქანდაკებებით. — თვითელი თავისი საკუთარი ღვთაების ქეშპარიტ სახლად და სავანედ, რათა მათში კვლავ აღსრულდეს ღმრთისმსახურება. ამასთანავე, მე არ დავეშვებ ქრისტიანული სარწმუნოების არავითარ დევნას, არავითარ შეურაცხყოფასა და შევიწროებას. დაუშვებელია აგრეთვე საფლავებისა თუ სხვა ადგილების შებილწვა, რომლებსაც, თავიანთი უკუნური ცთომილების გამო, წმიდათა-წმიდად თვლიან ქრისტიანები. შემწყნარენი ვიყოთ სხვისი ცთომილების მიმართ: მე თვითონ ვცდებოდი. მაგრამ ამის გახსენებაც არ მინდა. თავს აღარ შეგაწყენთ იმაზე მსჯელობით, თუ რა დასკვნამდე მიმიყვანა განუწყვეტელმა ძიებამ და ღვთაებრივ საკითხთა კვლევამ ჩემი ცხოვრების ოცდამეერთე წლიდან მოყოლებული. ვიტყვი მხოლოდ, რომ გულთადად ვულოცავ ყველას, ვინც უკან გამომყვება. და დაცინი ყველას, ვინც არ მოისურვებს ჩემი გზით სარაულს... მე ვცდები დავარწმუნოთ, ძალას კი არავის დავატან. (ერთხანს წერდება, თითქოს რაღაცას მოეღიზო, და მას შემდეგ, რაც ბრბოს მხოლოდ კანტიკუნტად აღმოაჩნება მოწონების შემატებები, უფრო გატარებო განაგრძობს). მე მოველოდი — და, ვევიჭრობ, ამის უფლებაც

მქონდა, — მაღლიერებისა და მოწონების ერთსულოვან ყიფინს, ამის ნაცვლად კი მხოლოდ ცნობისმოყვარეობასთან წილნაყარ განცვიფრებას გამჩნევთ. თუმცა წინასწარვე უნდა მცოდნოდა ეს. დევნამ, გმობამ, ძალადობამ და მძლავრობამ თითქოს მთლიანად დაგვაიწყა წინაპართა ადათ-წესები. არაეინ გამოძირვებია, არც მდაბიორი და არც დიდებული, ვილასარ ვკითხე, ვისგან აღარ გამოვიძიე, მაგრამ ან ერთს თუ ახსოვს, ან ერთმა თუ ამიხსნა დაბეჯითებით, თუ რა წესების დაცვით უნდა აღსრულდეს მსხვერპლშეწირვა აპოლონისა ან ფორტუნასადმი? მეტი რა გზაა, იძულებული ვარ აქაც, ყველა სხვა საქმისა არ იყოს, ისევ მე გიჩვენოთ მაგალითი. რამდენი ღამე მითევია თეთრად, რომ ძველ წიგნებში წინაპართა წესჩვეულებების თავი და ბოლო გამოძეხია. მაგრამ არ ვჩივი, რადგანაც მწამს, რომ რაც კი რამ კარგი გაგვაჩნია, ჩვენ უნდა ვუმბლოდეთ მხოლოდ წინაპართა ღმერთებს. არც იმას ვიუყადრისებ, რომ თვითონვე აღვასრულო ყველაფერი, რაც... საით, კესარიოს?

კესარიოსი. ეკლესიაში, მოწყალეო ხელმწიფევე; მინდა ჩემი განსვენებული მბრძანებლის სულისთვის ვილოცო.

იულიანე. წადი, წადი! ამ შემთხვევაში ყველას უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც თვითონ ეპრიანება.

კესარიოსი რამდენიმე კარისკაცისა და მოხელის თანხლებით, ხელმარცხნივ გადის.

მაგრამ თავისუფლება, რომელსაც თვით ყველაზე უკანასკნელ მოქალაქესაც კი ვანიჭებ, ნება მიბოძეთ, თვითონაც შევიწინააღმდეგო. ამრიგად, გაუწყებთ ყველას, ბერძნებო და რომაელებო, რომ მე მთელის არსებით ვუბრუნდები იმ მოძღვრებას და ადათ-წესებს, რომლებსაც წმიდათაწმიდად თელიდნენ ჩვენი წინაპრები, რომ ამიერიდან ველარაეინ გაბედავს, ხელი შეუშალოს ზემოხსენებული მოძღვრების გავრცელებასა და ადათ-წესების აღორძინებას, და რაკი მე ღვიძლი შვილი ვარ ამ ქალაქისა, რომელიც გამორჩევით მიყვარს, ამიტომ სწორედ ჩვენი ქალაქის მფარველ ღვთაებათა სახელით ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ ყოველივე ამას.

იულიანეს ნიშნზე მსახურები ტილოს ჩამოსხნიან ქვას და შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგებთ სამსხვერპლო, რომლის კვარცხლბეკზედაც საღვინე ამფორა, ზეოსის ქურქელი, ფიზის კონა და მსხვერპლშეწირვისათვის საჭირო სხვა საგნები აწყვილა. ბრბო უსიტყუოდ და განცვიფრებით მისიერება იმპერატორს, რომელიც სამსხვერპლოსაკენ მიეპარება და თვითონვე იჭერს მსხვერპლშეწირვის თაღარაკს.

თემისტოისი. ო. მე. როგორც ქეშმარიტი ბერძენი, ცრემლებად უნდა ვიღვრებოდე, ესოდენ უჩვეულო ქედმოდრეკილობისა და ეებრო ღვთისმოსაობის შემყურე!

ერთ-ერთი მოქალაქე. უუურე, თვითონვე ამტკრევს ფიჩხს!

მეორე მოქალაქე. მაინცდამაინც მარცხენა ბარძაყზე უნდა გადაამტკეროის?

პირველი მოქალაქე. ალბათ: ასეა საჭირო.

მამერტინუსი. შენს მიერ დაგზნებული ცეცხლის წყალობით, ჩვენო დიდო იმპერატორო, ამიერიდან ახალი ძალით გაბრწყინდება და განახლებული ძალით აღდგება მეცნიერება და ხელოვნება, მსგავსად იმ ზღაპრული ფრინველისა...

ნევიტა. ეს ცეცხლი გამოაწრთობს ბერძენთა იარაღს. მე ბევრი არა გამეგება რა გალილეველთა არაკებისა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ ახალი სარწმუნოების მიმდევარნი ჯაბანნი არიან და მეომრის ღირსების შემარცხვენელნი.

თემისტოისი. ეს ცეცხლი, ჩვენო უებრო იმპერატორო, ყოველგვარი გმობის მწიკელისაგან გასწმენდს ქეშმარიტ სიბრძნეს. შენს მიერ სამსხვერპლოზე დაღვრილი ღვინო მსგავსია პორფირისა, რომლითაც შენ მოსავ ქეშმარიტებას, სამეფო ტახტზე რომ აგყავს იგი, და სასოებით ხელგაწვდილი...

მამერტინუსი. დიახ სასოებით ხელგაწვდილი თითქოს ოქროს გვირგვინით ამკობ მეცნიერების სპეტაკ შუბლს, ხოლო შენი მეფური ცრემლი...

თემისტოისი (უახლოვდება). დიახ, დიახ, შენი ცრემლი ობოლი მარგალიტივით მოცურავს შენს ლაწვებზე, მარგალიტივით, რომელსაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, მეფური გულუნებობით გასცემ მქვერმეტყველების ასაყვავებლად. ო, ბერძნებმა კვლავ მოიპოვეს იმის უფლება, რომ ცის მიმართ ალაპყრონ თვალნი და კვლავინდებურად დაუეკირდნენ ვარსკვლავთა მარადიულ სრბოლას! რამდენ ხანს გვიკრძალავდნენ ამას?! განა დასმენის შიშით თავჩაქინდრულთ არ უნდა გვევლო? პირუტყვთა მსგავსად, — მიწას მიმართ მზირალთ? ვინ, რომელი ჩვენგანი გაბედავდა იმას, რომ მზის ამოსვლას და ჩასვლას დაკვირვებოდა (ზრავს მიუბრუნდება). თვით თქვენც კი, მხენელ-მთესველნი, დღეს აქ რომ მოგიყრიათ თავი, თვით თქვენც კი ვერ ბედავდით აღგენიშნათ ციურ სხეულთა ურთიერთგანლაგება და მდებარეობა, თუმცაღა თქვენი შრომა და ალოსთავთა მონაცვლეობა წარმოუდგენელია ამის გარეშე...

მამერტინუსი. ხოლო თქვენ. მენღკაურებო, ან თქვენ და ან თქვენი მამები თუ ბედავდით იმ თანავარსკვლავედთა სახელების წარმოთქმას, რომელთა მახედვითაც უნდა წარგეშართათ ხომალდები? ახლა კი ამის შიში აღარა გაქვთ, ამიერიდან აღარავის ეკრძალება...

თემისტოისი. დიახ, ამიერიდან არცერთი ბერძენი აღარ იქნება იძულებული, ისე იცხოვროს, იშრომოს ან იმოგზაუროს ზღვასა თუ ხმელზე, რომ თვითეული თავისი ნაბიჯი არ შეუწონოს ციურ სხეულთა წარებრუნების მარადიულსა და უცვლელ კანონებს. დიახ, ამიერიდან ის სათამაშო აღარ იქნება შემთხვევითობის ხელში.

მამერტინუსი. ო, რა კაცია ეს იმპერატორო, რომელსაც უნდა ვუმაღლოდეთ ამდენ სიკეთეს!

იულიანე (სამსხვერპლოს წინ ხელაყრობილი). ამრიგად, მე ყველას წინაშე, ქედმოდრეკით წავუქციე თავი ღვინოს და ზეთიც დავღვარე თქვენს სადიდებლად, კეთილმოწყალე ღვთაებანო. ამდენი ხნის მანძილზე მოკლებულნი რომ იყავით თქვენს საკადრის პატივს! მე აღვაველინე ჩემი გულმხურვალე მაღლიერება შენს მიმართ, დიდო აპოლონ, ვისაც მეფე-მზედ გასახავენ ზოგიერთი ბრძენკაცნი, უპირატესად, აღმოსავლელნი, ვინაიდან უმშურველად გვიგზავნი სითბოსა და სინათლეს, სიცოცხლის საფუძველსა და წყაროს... შენც შემოგწირე მსხვერპლი, დიონისე, სიშმაგისა და ალტყინების ღმერთო, მდაბალი მიწიერი სინამდვილიდან რომ აღიტაცებ კაცის სულს და უზენაეს ძალებთან ზიარების ღირსსა ხდი მას... არც შენ დამვიწყებინბარ, ფორტუნა, ვისაც, მართალია ბოლოს გახსენებ, მაგრამ არც სხვებზე ნაკლებ მახსოვხარ და არც მათზე ნაკლებ თავყვანს გცემ. განა დღეს აქ ვიდგებოდი შენი შეწყვეტის გარეშე? მართალია, მე ვიცი, რომ დღეს შენი ღვთაებრივი სახით აღარ ევლინები მოკვდავთ, როგორც ოდესღაც ოქროს ხანის ნეტარ მოდგმას ევლინებოდი, ოქროს ხანისას, რომლის ხსოვნაც შემოგვინახა უებრო ბრმა მომღერალმა, მაგრამ მე ისიც ვიცი, რაშიაც, ალბათ, სიბრძნის ყველა მოყვარე და მეგობარი დამეთანხმება, — რომ შენ კვლავინდებურად გადამწყვეტი ხმა გეკუთვნის უკვდავთა თათბირში, წარმმართველ საწყისს, კეთილსა თუ ბოროტ ღმონს რომ ირჩევენ, ამქვეყნიურ სიცოცხლეში თვითეული ჩვენგანის თანმხლებად, თანამდევად და გზის მაჩვენებლად. და მე ვერაფერს გისაყვედურებ, ვერაფერში დაგემღურები, ო, ფორტუნა! პირიქით, ათასი საბაბი მაქვს საიმისოდ, რომ მთელის არსებით გაქებდე და გადიდებდე და დღეს პირნათლად მოვიხდი ჩემთვის ესოდენ საპატიო მოვალეობას. მე არ მითაკილებია არავითარი, თვით ყველაზე შავი სამუშაოც კი, და ანლა, დღისით-მზისით, აქ, სამსხვერპლოს წინაშე მდგარი და ჩემი ძვირფასი თანამემამულეებით გარშემორტყმული მოველი, რომ ისინი თავიანთ ხმას შეუერთებენ ჩემსას და ქება-დიდებას აღაველენენ თქვენს მიმართ, უკვდავო ღვთაებანო!

ქრისტინა მოქალაქეთა უბრავლესობა მსხვერპლშეწირვის დროს გაიპარება, ადგილზე ერთი მუკა ხალხიღა რჩება, და როცა იულიანე სიტყვას დაასრულებს, ბრბოში მხოლოდ კანტიკუნტად გაისმის მოწონების შეძახილები, რასაც ხითხითი და შეიძებნებულ მსმენელთა ჩურჩული ახშობს. (აქეთ-იქით იყურება). აჰ, ასე? სად წავიდნენ? ნელ-ნელა დაიპარნენ?

თემისტოხოსი. დიახ, სირცხვილით სახელაწილნი ესოდენ ხანგრძლივი უმადურების გამო.

გამერტინუსი. არა, არა, სირცხვილმა კი არა, სიხარულმა აულეწათ სახე. წავიდნენ, რათა მთელ ქალაქს მოსდონ ეს სასიხარულო ამბავი.

იულიანე (სამსხვერპლოს შიშობება). უვიცმა ბრბომ რა იცის, როგორ მოეკიდოს დიადსა და ამაღლებულს? ვინ მოსთვლის, რამდენი დაბრკოლება მელის. მაგრამ სიძნელე არ მაშინებს. რადგან

ართვერი ისე არ შექვერის სიბრძნის მოყვარეს, როგორც ცთომილები ალმოფხვრა და ამოძირკვა. და ამ ნათელ ძიზნისკენ სწრაფვისას, მე თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს, ჩემო ღრმად განსწავლულო და განათლებულო მეგობრებო!.. მაგრამ, დაე, ჩვენი აზრი ჭერჭერობით მოსწყდეს ყოველივე ამას... უკან მომყევით. ახლა სულ სხვა მოვალეობა მისმობს. (სწრაფი ნაბიჯით გადის; მოქალაქეთა მისაღმებას უპასუხოდ ტოვებს; კარისკაცები და ამაღის დანარჩენი წევრები უკან მისდევენ).

საიმპერატორო სასახლის ვრცელი დარბაზი. შუა კედელსა და თვითველ გვერდით კედელში თითო კარია დატანებული. წინ, მარცხენა კედელთან, ამაღლებულ კვარცხლბეკზე იმპერატორის ტახტი დგას. ფეხზე მდგომ იულიანეს კარისკაცები და მოხელეები ახვევიან გარს. მათ შორის არიან მეკურკლე-თუხუესი ურსულუსი და რიტორები თემისტოისი და გამერტინუსი.

იულიანე. აქამდე ღმერთები თავიანთ მოწყალებას არ გვაკლებდნენ. ახლა საქმე ბობოქარი მდინარის სისწრაფიდ მიიწვეს წინ. ფარული სიკერპე და სიციუტე, რასაც ზოგიერთ მათგანს ვატყობ, ვისგანაც ყველაზე ნაკლებ მოველოდი ამას, სულიის სიმშვიდეს ვერ დამირღვევს... ქეშმარიტი სიბრძნის არსებითი ნიშანი მოთმინებაა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სათანადო საშუალებებით შეიძლება განკურნო ხორცის სნეულება, მაგრამ შეიძლება თუ არა ცეცხლითა და მახვილით ამოძირკვო ცთომილება და ღვთაებრივ საგანთა მცდარი გაგება? ან რა სიხარული უნდა იგრძნოს ჩემმა გულმა, თუკი თქვენი ხელით შესწირავთ მსხვერპლს, სულით კი დაჰკვამობთ იმას, რასაც თქვენი ხელი აკეთებს?! ჩვენ ვესწრაფვით მშვიდობას და სიამტკბილობას კაცთა შორის. ჩემი სასახლის კარი ღია იქნება ყველა სახელოვანი კაცისათვის, მათი პირადი მრწამსის მიუხედავად. ვუჩვენოთ მსოფლიოს უჩვეულო, დღემდე არჩახული და ამაღლებული სურათი სასახლის კარისა, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი პირმოთნვობა, შური, ვერაგობა, განხეთქილება; სასახლის კარისა, სადაც მლიქვნელობა ამიერიდან ბოროტებათა შორის ყველაზე დიდ ბოროტებად შეირაცხება. ვგმობთ და ვძრახობთ ერთმანეთი, თუკი აუცილებლობა მოითხოვს ამას, მაგრამ, დაე, ეს ნუ შეასუსტებს ჩვენს სიყვარულს ერთურთის მიმართ (ნევიტას, რომელიც შუა კარიდან შემოდის). სახეზე ნათელი გადავდის, როგორს ჩანს, სასიხარულო ამბის მაცნე უნდა იყო, ჩემო ნევიტა!

ნევიტა. ქეშმარიტი სასიხარულო და სასიკეთო ამბისა! შორეული ინდოეთის მბრძანებლებმა მრავალრიცხოვანი ელჩების ხელით მდიდრული ძღვენი გაახლეს, რომ მეგობრობა გთხოვონ.

იულიანე. ო, მითხარი, კიდევ ვინ, რომელმა ხალხებმა?

ნევიტა. სომხებმა და ტიგროსის გადაღმა მცხოვრებმა ხალხებმაც გამოგზავნეს საელჩოები. მათ შორის, როგორც გადმომცეს, თვით კუნძულების — დიუსა და სერანდიბის ელჩებიც კი არიან.

იულიანე. ესე იგი, ქვეყნიერების დასალიერიდან გვეახლნენ, მეგობრებო!

თემისტოისი. აი, სადამდე უწია შენმა დიდებამ!

გამერტინუსი. დიახ. თვით ქვეყნიერების დასალიერამდე შენი ხმალი შიშის ზარს სცემს მბრძანებლებს და მათ ქვეშევრდომებს!

თემისტოისი. დიუ და სერანდიბი! შორეული აღმოსავლეთის კუნძულები, ინდოეთის ოკეანეში.

გამერტინუსი. არც კი შეეყოყმანდებოდი, ისე ვიტყვოდი: თვით დედამიწის ფარგლებს გარეთ მდებარე კუნძულები-მეთქი...

იულიანე. დალაქს დამიძახეთ!

ერთ-ერთი კარისკაცი ხელმარჯვნივ გადის.

მე მივიღებ ელჩებს, როგორც შეპფერის გარემოებას, მაგრამ ყოველგვარი ფუფუნებისა და ძვირფასი სამკაულების გარეშე. ისე, როგორც მიიღებდა მათ დიდი მარკუს აერელიუსი. მე მირჩევნია მის მაგალითს მივბაძო, ვიდრე განსვენებული იმპერატორისას, რომელიც ახლახან გამოვიტირეთ. შორს ჩვენგან ფუქი პატივმოყვარეობა, დანე, შეიტყონ ბარბაროსებმა, რომ სიბრძნე — თუნდაც მისი ყველაზე უღირსი მსახურის სახით — კვლავ დაბრძანდა იმპერატორის ტახტზე!

კარისკაცი ბრუნდება დალაქ ევნაპიოსის თანხლებით, რომელიც უძვირფასეს ტანსაცმელშია გამოწყობილი.

იულიანე (განციფრებული მისჩერებია, შემდეგ შესაგებებლად მიემართება და მღაბლად უკრავს თავს). რა გნებავს, ჩემო მეუღევე?

ევნაპიოსი. მოწყალეო ხელმწიფევე... შენი ბრძანებით გეახელი...

იულიანე. სცდები, მეგობარო. სათათბიროს არც ერთი წევრი არ დამიბარებია.

ევნაპიოსი. მრავალმოწყალეო ხელმწიფევე...

ურსულუსი. მომიტევე, ჩემო ხელმწიფევე, ეს კაცი იმპერატორის დალაქია.

იულიანე. რაო? მართალს ამბობ, თუ ხუმრობ?... ეს კაცი, ფარჩა-ატლასით მოსილი და ოქრომკედით მოსირმულ წაღებში გამოწყებილი, შენი აზრით... აბა, უყურე? მაშ, შენ დალაქი ხარ? (კვლავ დაბლა უკრავს თავს). ვერასოდეს ვერ გავებდავდი, ამ ფაფუქხელებიანი ვაებატონისათვის მებრძანებინა, გამპარსე-მეთქი.

ევნაპიოსი. მოწყალეო ხელმწიფევე... გემუდარებით... ჩვენი ჯვარცმული მაცხოვრის გულისთვის...

იულიანე. ოპო-პო! გალილეველი ყოფილა! ასეც ვიცოდი. ესეც თქვენი თვითგანდგომა, რომლითაც ასე მოგაქვთ თავი! გიცნობთ, გიცნობთ, რა შვილებიცა ბრძანდებით! რომელი ღვთაების ტაძარი გაძარცვე? ან რამდენჯერ ჩაყავი ხელი იმპერატორის ხაზინაში, რომ ასე გამოპრანჭულიყავი?... წადი, მე შენ არა მკირდები!

ევნაპიოსი ხელმარჯვნივ გადის.

მითხარი, ურსულუს, რამდენს იღებს ეს კაცი?

ურსულუსი. მოწყალეო ხელმწიფევე, შენი დიდი წინამორბედის ბრძანებით, ყოველდღიურად ოცი კაცის სამყოფი ულუფა აქვს გამოყოფილი...

იულიანე. ასე ცოტა?

ურსულუსი. არა, ჩემო ხელმწიფევე, ამ უკანასკნელ ხანს იმის უფლებაც კქონდა, რომ იმპერატორის საჯინბოში შეენახა ცხენები; ყოველწლიურად გარკვეულ თანხას იღებდა და, გარდა ამისა, თითო ოქროს ყოველ...

იულიანე. ეს ერთი უბადრუკი დალაქი? კი მაგრამ, რაღას იღებდნენ სხვები? ამას ბოლო უნდა მოეღოს... ელჩებსა სთხოვეთ!

ნევიტა. შუა კარიდან გადის.

რა გაეწყობა, გაუპარსავი მივიღებ მათ. ასე სჯობია, რადგან, თუმცაღა ვიცი, რომ გაბურძენილი თმები და დახეული მოსასხამი კეშმარიტი ფილოსოფოსის განმასხვავებელი ნიშნებია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ანტისტენესა და დიოგენეს მაგალითი ქუის სასწავლი უნდა იყოს იმ კაცისათვის, რომელიც თვით იმპერატორის ტახტზეც კი სიამოვნებით ბაძავს ესოდენ დიდ მოძღვართ. (ტახტზე აღის)

კარისკაცები ტახტის ირგვლივ იკავენენ ადგილს: ნევიტასა და სახლთუხუცეს ევფერიოსს შემოჰყავთ აღმოსავლელი ელჩები, რომელთა თანმხლებ მონებსაც ძვირფასი საჩუქრები მოაქვთ.

ნევიტა. მოწყალეო ხელმწიფევე და მბრძანებლო! იმის გამო, რომ არ იციან ჩვენი უკეთილშობილესი ენა, რომელიც სხვა ენებისათვის მიუწვდომელ სიმაღლესა და სრულქმნილებას აზიარა მქვერმეტყველების ამდენი ჯადოქრისა და, მათ შორის, პირადად შენმა ძალისხმევამ, და იმის გამოც, რომ შიშობენ, ბარბაროსული მეტყველების არაკეთილმზიერი ბგერებით არ შეურაცხყონ შენი სმენა, აღმოსავლელ მბრძანებელთა ელჩებმა მე ამირჩიეს თავიანთ თარჯიმნად.

იულიანე. კეთილი, მზადა ვარ გისმინო.

ნევიტა. უწინარეს ყოვლისა, სომხეთის მეფე შენს ფერხითი დებს ამ საკურველს და გთხოვს ატარო სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლაში, თუმცაღა იცის, ყოვლისმძლეველო, რომ თვით უკვდავი ღმერთები გმფარველობენ და მოკვდავთა საკურველს არ მოაწყვლევიანებენ შენს თავს... აი, უძვირფასესი ხალიჩები, კარვები და უნაგირები, მოძღვნილი ტიგროსს გადაღმა მობინადრე ტომების მბრძანებელთა მიერ, რითაც ისინი გვაუწყებენ, რომ თუ ღმერთებმა აურაცხელი სიმდიდრე უწყალობეს მათ მიწაწყალს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიმდიდრე ღმერთების რჩეულმა მოიხმაროს... მეფე სარანდობისა და დიუს მეფეც საკურველს გიგზავნიან საჩუქრად — ხმალს, შუბს, ფარსა და მშვილდ-ისარს. ჩვენო — გითვლიან, — ყველაზე უფრო გონივრულად მიგვაჩნია, უიარალოდ დავრჩეთ იმ ძლევაგამოსილი მბრძანებლის წინაშე, რომელიც, ღვთისდარად, იმდენად ძლიერია, რომ არაფრად უღირს,

ათასგვარი დაბრკოლება და წინააღმდეგობა დასძლიოსო... სანაცვლოდ მხოლოდ ერთ რამეს გთხოვენ, — შენს მეგობრობას: თუ გაზაფხულზე, როგორც შევიტყვეთ, მართლა აპირებ სპარსთა თავგასული მეფის განადგურებას, გვედრებით. ნუ შემოგვკრები და ქვეყანას ნუ აგვიოხრებო.

იულიანე. ამნაირი ელჩობა მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის, მოძღვნილი საჩუქრები ჩემს საგანძურში გაიტანონ, თქვენ კი, ძვირფასო ელჩებო, გადაეცით თქვენს მბრძანებლებს, რომ მე მზადა ვარ ვიმეგობრო ყველა ხალხთან, რომელიც არც იარაღითა და არც ცბიერებით წინ არ აღუდგება ჩემს მიზნებს. რაც შეეხება იმას, რომ ჩემი გამარჯვებების ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმით გაბრუებული თქვენი თანამემამულენი თურმე ერთგვარ ღვთაებად მთვლიან... ამაზე ყურადღების გამახვილება ზედმეტად მიმაჩნია. მე მეტისმეტად მაღლა ვაყენებ ღმერთებს, რათა იმდენად გავკადნიერდე, რომ ძალით დაეიკავო მათ შორის ის ადგილი, რომელიც მე არ მეკუთვნის. თუმცაღა ვიცი, რომ დედამიწაზე არცთუ იშვიათად — უპირატესად უხსოვარ დროში ცხოვრობდნენ ძლევაშობილი გმირები და მბრძანებლები, რომლებმაც ღმერთების ისეთი წყალობა და კეთილგანწყობილება მოიხვეჭეს, რომ ძნელი გადასაწყვეტია, ვის მივაკუთნოდ ისინი, — მოკვდავთა შოდგმას თუ ნეტარი ღმერთების ზომლს. თუმცა ამ საკითხზე მსჯელობა მკრეხელობაში ჩამოგვეერთმევა თვით ჩვენ, ბერძნებსაც, და, მით უმეტეს, — თქვენ. მაშ, მოდიოთ, მოვეშვათ ამას... ეფუერიოს, გააცოლე უცხოელები, ღირსეულად უმასპინძლე და ეცადე გულნაკლულნი არ დაგზრინენ.

ეფუერიოსს ელჩები და მათი მხლებლები გაქყავს. იულიანე ტახტიდან ჩამოდის; კარისკაეები და რიტორები გარს ეხვევიან და ალტაეების შეძახილებით ესალმებიან.

თემისტოისი. ასე ახალგაზრდა და უკვე ასე სახელგანთქმული! ყველა იმპერატორის ღიღებას უსაზღვროდ აღმატებული!

გამერტინუსი. მე გეკითხებით: ეყოფა თუ არა ფილტვები ღიღებას, რათა ღირსეულად გაქოს და გადიდოს შენ, თუკი ღმერთები, რომელთა კეთილმოწყალების იმედიც მაქვს, მზებგრძელობას მოგანიჭებენ?!

ნევიტა. უკუქცეული ალემანების თავზარდაცემული ყვირილი რენუსის შორეული ნაპირებიდან აღმოსავლეთისაკენ მიჰქონდა ქარს, სანამ ტავრიის მთებსა და კავკასიის ქედს არ შეანარცხა...

გამერტინუსი. და მათგან არეკლილმა ექომ გრგვინვასავით გადაუარა მთელს აზიას.

ნევიტა. ყველაზე მეტად დააფრთხო და თავზარი დასცა ინდოელებს ჩვენი ბრძენი იულიანესა და ალექსანდრე მაკედონელის მსგავსებამ.

გამერტინუსი. რომელ მსგავსებაზე მელაპარაკები? განა ალექსანდრეს უჩინარი მტრები ჰყავდა თავის საკუთარ ბანაკში? განა დიდი მაკედონელი იძულებული იყო იმპერატორის მოშურნე და ცილისმწამებელი კარისკაცების წინააღმდეგ ებრძოლა?

ნევიტა. მართალია, მართალი. ალექსანდრეს არც უნიათო მხედართმთავრები ჰყოლია, რომ ხელი შეეშალათ მის ძლევაშისილ წინსვლაში.

იულიანე. ურსულუს, ჩემი სურვილია, რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს ხალხში საელჩოების ჩამოსვლის ამბავი, რათა ქალაქშიაც და სახელმწიფოს განაპირა მხარეებშიაც დაწერილებით იცოდნენ, სადაური არიან ეს ელჩები და რა საჩუქრები მოგვართვეს ძღვნად. მე მინდა, ხალხმა იცოდეს ყველაფერი, რაც ჩემს მმართველობას ეხება.ჰო, მართლა, შეგიძლია გაკვირით მოიხსენიო ის გამაოგნებელი მითქმა-მოთქმა, რამაც, თურმე ასე ააფორიაქა ინდოელები, — ალექსანდრე მაკედონელი ხელახლა მოევლინა ამ ქვეყანასაო.

ურსულუსი (თავმოდრეკით). მომიტყევე, მოწყალეო ხელმწიფევე, მაგრამ...

იულიანე. რა მაგრამ?..

ურსულუსი. აკი თვითონვე ბრძანე, პირფერობა შეუწყნარებელი იქნება ჩემი სასახლის კარზეო...

იულიანე. რა თქმა უნდა, ჩემო მეგობარო!

ურსულუსი. მაშინ, ნება მიბოძე, გულახდილად მოგახსენო: ჩვენს ელჩებს იმედი ჰქონდათ, რომ აქ შენ კი არა, შენს წინამორბედს შეხვდებოდნენ.

იულიანე. მაგით ვითომ რისი თქმა გსურს?

თემისტოისი. რას მიედ-მოედება?

გამერტინუსი. სიცრუე და ისიც ასეთი, გაგონილა?

ურსულუსი. სიცრუე კი არა ჰქმშიარტება გახლავთ. რამდენი ხანია ვიცოდი, რომ ეს ხალხი ჩამოსვლას აპირებდა... გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე იმპერატორი კონსტანციუსი სამუდამოდ დახუჭავდა თვალს. ო, ჩემო მოწყალე მბრძანებელო, შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, ნუ მისცემ ფუჰკ პატივმოყვარეობას იმის უფლებას, რომ ფესვი გაიდგას შენს გულში...

იულიანე. გეყოფა, კმარა! ესე იგი, შენ ამბობ, რომ...

ურსულუსი. თავად განსაჯე. რაგინდ ბრწყინვალე გამარჯვებებიც უნდა მოგეპოვებინა გალიაში, განა შეიძლებოდა, რომ ამ ამბავს ესოდენ მოკლე ხანში მიეღწია ყველაზე შორეულ ქვეყნებამდე? იმპერატორის ძლევაშისილებას რომ ასხამდნენ ხოტბას, ელჩები სპარსელებთან ომს გულისხმობდნენ.

ნევიტა. მე არ ვიცი, თითქოს მეფე საპორს ისეთი დღე ვაყარეთ, რომ ჩვენი გამარჯვების ამბავს შეიძლებოდა თავზარი დაეცა ქვეყნის დასალიერს მცხოვრები ხალხებისათვის.

ურსულუსი. მართალია, სპარსელებთან ომში ბელი არ გეწყალობდა, მაგრამ ხმებმა იმ უზარმაზარი სამხედრო ძალების თაობაზე, რომელთა თავმოყრასაც გამოზაფხულს აპირებდა განსვენებული იმპერატორი, როგორც ჩანს, შეაშფოთა სომხებიცა და სხვა აღმოსავლელი ხალხებიც... გემუდარები, ანგარიში გაუწიე დროს, თუ გნებავს, საითაოდ დათვალე დღეები და მითხარი, შეიძლება თუ არა სხვანაირად გავიგოთ ყოველივე ეს? მართალია, გალიიდან განსაკვიფრებელი სისწრაფით ჩამოხვედი კონსტანტინოპოლს, მაგრამ ამ ხალხის ჩამოსვლა ესოდენ შორეული ქვეყნებიდან ათასწილ უფრო საოცარი იქნებოდა, მართლაც, რომ... თვითონ მათ ჰკითხე და დარწმუნდები...

იულიანე (პრისხანებისგან გაფითრებული). რატომ მეუბნები ყოველივე ამას?

ურსულუსი. იმიტომ, რომ ეს სიმართლეა! რა ვქნა, არ შემიძლია იმის ატანა, რომ შენს ჰაბუკურ დიდებას ჩრდილი მიაყენოს სხვისი დამსახურების დავიწყებამ.

იულიანე. არ შეგძლია ამის ატანა? კეთილი! შენ რომ გგონია, იმაზე უკეთ გიცნობთ შენცა და კონსტანციუსის სხვა ბებერ კარისკაცებსაც, თქვენი ნება რომ იყოს, საეკვოს გახდილით თვით უკვდავი ღმერთების დიდებასაც, რადგან განა მათ დიდებას არ მოწმობს ადამიანის მთელი მოღვაწეობა? მაგრამ თქვენ გძულთ ეს ღმერთები, რომელთა ტაძრებიც შემუსრეთ, რომელთა ქანდაკებებიც ნამსხვრევებად აქციეთ და რომელთა საუნჯენიც ყაჩაღურად დაიტაცეთ. თქვენ ვერ იტანთ ჩვენს ზეციურ მწყალობელთა და კეთილისმყოფელთ! თქვენ იმის ნებასაც არ აძლევდით ღვთისმოსავ ადამიანებს, რომ გულში მაინც ჩაებეჭდათ თავიანთი ღვთაებანი. ახლა კი აპირებთ დაანგრიოთ მადლიერების ის ტაძარიც, რომელიც მე მათ ავუბე ჩემს გულში; გინდათ ძირშივე ჩაჰკლათ ჩემი მადლიერება ღმერთების მიმართ, რომლებსაც უნდა ეუმადლოდე დღემდე არნახულსა და ამდენი ხნის ნანატრ წყალობას! რადგან რა არის დიდება, თუ არა მათი წყალობა?

ურსულუსი. ერთარსება და ერთი ღმერთია ჩემი მოწმე, რომ...

იულიანე. ერთარსება და ერთი ღმერთიც ისევ ძველს ებლაუქება! მხოლოდ ერთი, მხოლოდ თქვენი ღმერთი... ესაა თქვენი შემწყნარებლობა? აბა შემოგვხედეთ! განა ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი ღმერთები ერთადერთნი არიან? განა პატივს არ მივაგებთ ეგვიპტელთა ღმერთებსაცა და იუდეველთა იაჰვესაც, რომელიც მართლაც სასწაულებს ახდენდა თავის ხალხში? თქვენ კი?... ეს ეკადრება შენისთანა კაცს, ურსულუსი?!

ან, იქნებ, რომელი არა ხარ და შენს წინაპრებად არა სთვლი ბერძნებს? ერთი ღმერთიო!.. რა ბარბაროსული უტიფრობაა? ურსულუსი. აჟი ალგვითქვი, რომ არ შერისხავდი სხვა სარწმუნოების მიმდევრებს?..

იულიანე. ალთქმით კი ალგითქვით, მაგრამ ვერ მოვიტმენ იმას, რომ ჩემს წინაშე თავს გაგივიდეთ. ელჩები იმისთვის კი არ ჩამოსულან, რომ... ან, იქნებ, გგონია, რომ ღიადი და კვემარიტად ღვთაებრივი დიონისე, ვისი ძალმოსილებაც, უწინარეს ყოვლისა, კაცთათვის დაფარულის გამეღვენებაში ეწინდება, ჩვენს დროში არც ისე ძლიერია, როგორც უწინ იყო? მითხარი, შემიძლია ამნაირი მკრეხელობის ატანა? არა, არა! იძულებული ვარ პასუხი გაგებინო!

ურსულუსი. მაშინ ქრისტიანები იტყვიან, რომ შენ მათ რწმენას სდევნი.

იულიანე. არაეინ არ სდევნის რწმენას. მაგრამ მაქვს კია იმის უფლება, რომ თვალი დავხუჭო თქვენს დანაშაულებრივ მოქმედებაზე, და დავხუჭო მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანები ბრძანდებით? განა თქვენი ცთომილება შეიძლება თქვენივე დანაშაულობის ნიღაბი იყოს? მართლაცდა რაღას არ სჩადიოდით თქვენი თავხედობის წყალობით. როგორც აჟ, სასახლის კარზე, ისე სხვაგანაც? ფიანდაზს უგებდით ყოველნაირ ბიწიერებას და ხელს უწყობდით ყოველგვარ სიბილწეს! შენ თვითონ, ურსულუს, რამდენ უკულმართობაზე ხუჭავდი თვალს? ავიღოთ თუნდაც ეს უტიფრად მორთულ-მოკაზმული დალაქი, ნელსაცხებლებით აქოთებული ეს ოინბაზი, რომელმაც წელან ლამის გული ამირია!.. მერედა, ვინაა მექურკლეთუხუცუსი, მე თუ შენ? როგორ უწყობდი ხელს ამდენ ურცხესა და უტიფარ გამომძალველს?

ურსულუსი. განა დანაშაულად ჩამეთვლება ის, რომ ჩემს მბრძანებელს ვემსახურებოდი?

იულიანე. მე არ მკირდება ესოდენ უყაირათო და მფლანგველი მსახურები. შორს ჩემი სასახლიდან ეს თავგასული ნაძირალები-დალაქები, მზარეულები, ოინბაზები, მოცეკვავეები! ჩვენ კვლავინდებურად დავამყარებთ აჟ წესრიგს და აღვადგენთ ზომიერებას. (თემისტოოსსა და გამერტინუსს) ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თქვენ უნდა დამიპიროთ მხარი ამ საქმეში. შენ კი, ნევიტა, იმ მიზნით, რომ უფრო მეტი წონა და გავლენა გქონდეს, მთავარსარდლის წოდებას განიჭებ და გიზრძანებ, გამოიკვლიო, როგორ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს სახელმწიფო მოხელენი ჩემი წინამორბედის მმართველობისას, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელ ხანს. შეგიძლია მრჩევლებად მოიწვიო ყველა, ვისაც კი საჭიროდ მიიჩნევ (მოხუე კარისკაცებსა და მოხელეებს). მეტად აღარ მკირდებით. როდესაც ჩემმა განსვენებულმა ნათესაემა, უკვე სასიკვდილო სარეცელზე, თავის მემკვიდრედ დამნიშნა, სხვათა შორის, მემკვიდრეობად

დამიტოვა ის მძიმე მოვალეობაც მართლმსაჯულების აღსრულებისა, რომლის პირნათლად მოხდაშიაც განსვენებულს ხელს უშლიდა მისი ხანგრძლივი და უსაშველოდ გაქიანურებული ავადმყოფობა. ახლა კი დაგვეტოვეთ, ხოლო როდესაც თქვენი საქმიანობის ანგარიში ჩაგვაბარებთ და ყოველმხრივ იმართლებთ თავს, ნება თქვენია, სადაც მოგეპრიანებათ, იქ მიბრძანდით.

ურსულუსი. უფალი ღმერთი იყოს შენი მფარველი! ჩემო მბრძანებლო! (შუა კარიდან გადის).

ურსულუსს უკან მიჰყვებიან მოხუცი კარისკაცები და მოხელები. ნევიტა, თემისტოისი და გამერტინუსი, ახალგაზრდა კარისკაცებთან ერთად, იმპერატორს ერტყმიან გარს.

ნევიტა. უკვდავი ღმერთების მიერ აღზევებულო ჩემო მბრძანებლო, სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატავად შენი ახალი წყალობის გამო...

იულიანე. არ არის საჭირო არავითარი მადლიერება. ამ რამდენიმე დღეში მე ვიგრძენი და სათანადოდაც შევაფასე შენი ერთგულება და გამეკრიახობა. შენავე განდობ, გამოაქვეყნო აღმოსავლელ მბრძანებელთა საელჩოების ჩამოსვლის ცნობაც. ახლავე შეადგინე უწყება, რათა კეთილმოწყალე ღმერთებს არ მივცეთ იმის საბაბი, რომ რომელიმე ჩვენგანს შემოსწყრენ.

ნევიტა. როგორც ყველა სხვა საქმეში, აქაც განუხრელად შევესრულებ იმპერატორის ნებას (ხელმარჯვნივ გადის).

იულიანე. ახლა კი, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, პატივი მივაგოთ გრძელი გზის მაჩვენებელ უკვდავ ღმერთებს!

თემისტოისი. უკვდავ ღმერთებს და მათ რჩეულს, რომელსაც უბრალო მოკვდავთ ვერ გავუტოლებთ! რა სიხარული მოიცავს მთელს სახელმწიფოს, როცა ცნობილი გახდება, რომ ტახტზე ასვლისთანავე მმართველობას ჩამოაშორე ეს აღვირახსნილი და ვერცხლისმოყვარე გაიძვერები!

გამერტინუსი. როგორი მღელვარებით, რა მოუთმენლად დაუწყებენ ლოდინს მათი შემცვლელების დანიშვნას!

თემისტოისი. მთელი საბერძნეთი ერთხმად შეკლალადებს: „თვითონ პლატონმა აიღო მმართველობის სადავე ხელში!“

გამერტინუსი. არა, არა, ჩემო ღირსეულო მეგობარო, ბერძნები ერთხმად შეკლალადებენ: „აღსრულდა პლატონის სიტყვები: მხოლოდ ღმერთს შეუძლია მართოს ხალხი!“

თემისტოისი. ახლა მე მხოლოდ ერთ რამეს ვნატრობ, კერძოდ იმას, რომ ნევიტას არ მოაკლდეს კაცთა ბედ-იღბლის გამრიგე ღმერთების წყალობა. მძიმე და საპატიო მოვალეობა დაეკისრა. მე კარგად არ ვიცნობ მას, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ გაამართლებს შენს ნდობას...

გამერტინუსი. მართალს ბრძანებ, თუმცა მოიძებნებოდა არა ერთი და ორი ღირსეული კაცი, რომელიც...

თემისტიოსი. არა, მე იმას როდი ვამტკიცებ, რომ შენი არჩევანი, ჩვენო სწორუპოვარო იმპერატორო...

გამერტინუსი. როგორ გეკადრება, ღმერთმა დაგვიფაროს...

თემისტიოსი. მაგრამ თუ ცოდვად ჩაითვლება გულმხურვალე სურვილი იმისა, რომ შენს სათაყვანებელ მბრძანებელს ემსახურო...

გამერტინუსი. მაშინ შენ ერთი კი არა, ორი ცოდვილი მეგობარი გყოლია, მბრძანებელო...

თემისტიოსი. თუმცა არც ერთს და არც მეორეს არ აღირსე იმნაირი პატივი, როგორც წილად ხვდა სვებედნიერ ნეეიტას...

გამერტინუსი. თუმცა არცერთი არ გახადე შენი მეფური წყალობის ღირსი...

იულიანე. არც ერთ ღირსეულ კაცს არ დაეტოვებთ საქმისა და სათანადო პატივის გარეშე. პირადად შენ, თემისტიოს, კონსტანტინოპოლის პრეფექტად გნიშნავ, შენ კი, გამერტინუს, საგაისოდ გაემზადე რომში გასამგზავრებლად. სადაც ერთ-ერთი კონსულის ადგილი განთავისუფლდა და სწორედ შენ დაიკავებ მას.

თემისტიოსი. ჩემო ძვირფასო იმპერატორო! სიხარულისაგან თავბრუ მეხვევა!..

გამერტინუსი. ახლა ჩემსას აღარ იკოთხავ? ნეტავ ოდესმე თუ ყოფილა ამქვეყნად მეორე კონსული. ესოდენ მაღალი პატივი რომ ხელომოდეს წილად? გნებავთ, თვით ლუციუს ბრუტუსი, ან პუბლიუს ვალერიუსი! განა მათი პატივი შეედრება ჩემსას? ისინი ხალხმა აირჩია, მე კი — იულიანემ!

ერთ-ერთი კარისკაცი. დიდება ჩვენს მწყალობელს და მართლად გამრიგე იმპერატორს!

მეორე კარისკაცი. დიდება მას, ვისი სახელის გაგონებაც კი თავზარსა სცემს ბარბაროსებს!

თემისტიოსი. დიდება მაღალ ღმერთებს, რომლებმაც თავიანთი არჩევანი ერთსულოვნად შეაჩერეს ერთადერთ კაცზე და მასზევე გადმოავლინეს მთელი თავიანთი წყალობა, ასე, რომ. როდესაც ეს კაცი პირველად დაგვამწუხრებს — შორს ჩვენგან ეს დღე! დიახ, როდესაც პირველად დაგვამწუხრებს თავისი სამუდამო განშორებით, ბერძნები უყოყმანოდ იტყვიან, რომ მან თავისი დიდებით დაჩრდილა სოკრატეც, მარკუს ავრელიუსიცა და ალექსანდრე მაკედონელიც!

იულიანე. შიგ კაკალ გულში მოარტყი, ჩემო თემისტიოს! სწორედ ღმერთების მიმართ უნდა აღვაპყრობდეთ ხელს და აღვაველენდეთ ჩვენს ლოცვებსაც! ამას თქვენი დამოძღვრისა ან კუთხის სწავლების მიზნით როდი მოგახსენებთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ შეგახსენოთ ის, რაც ამ სასახლის კარზე ესოდენ დიდი ხნის მანძილზე უგულვებელყოფილი იყო.

ღმერთმა დამიფაროს იმისგან, რომ ვინმეს ძალა დავა-
ტანო. მაგრამ ვინ დამგმობს იმ გულმხურვალე სურვილის
გამო, რომ სხვებიც ვაზიარო ისეთსავე ნეტარებას,
როგორსაც თვითონ განვიციდი, როდესაც სულით ვმალ-
ღდები და უყვდავთა ყოფის თანაზიარი ვხდები? დიდება
შენდა, დიდება, ვაზის ფოთლებით შემკული დიონისე!
რადგანაც შენა ხარ წყარო ამ სანეტარო და სასწაულებ-
რივი შეგძნებისა... ახლა კი ყველამ თქვენ თქვენს საქმეს
მიხედეთ. პირადად მე ბრძანება გავეცი, საზეიმო მსვლე-
ლობა მოეწყობთ ქალაქის ქუჩებში. ამიერიდან ნულარავინ
მოელის ნურც ღრებობებს ჩემი კარისკაცების საპატივ-
ცემლოდ და ნურც ოთხკედელში გამოკეტილ, მხოლოდ
რჩეულთათვის გამართულ დროსტარებას, ლხინსა და
ნადიმს. მოქალაქეებს უფლება აქვთ შეუერთდნენ მსვლე-
ლობას, ანდა, თუ ნებავეთ, განზე გადგნენ. მე მინდა,
წმინდანი განვასხვავო უწმინდურთაგან, ღვთისმოსავნი
— უკეთურთაგან... ო, ჩვენო მეუფეო, დიდო ჰელიოს!
შენი სინათლე მოჰფინე, შენი სხივებით გააბრწყინე
დღევანდელი დღის ნეტარება! ო, დიონისე, შენი დიდების
სხივისკროვნებით, შენი სიშმაგით, შენი წმიდათა-წმინ-
და აღტყინებით აღავსე ჩვენი სულები, რათა დაიმსხვრეს
ყველა ბორკილი და მიწიერი დილეგის ტყვეობისგან
თავდაღწეული სიხარულის შმაგი ტალღებით შლეგური
როკვისა და საზეიმო სიმღერების თავბრუდამხვევ ფერ-
ხულს შეუერთდეს ყოველი არსი! სიცოცხლე სხვა არ
არის რა, თუ არა მშვენიერება, მშვენიერება, მშვენიე-
რება!

კარისკაცები რაღაცას ეჩურჩულებიან ერთმანეთს, ჩგუფ-ჩგუფად იყოფიან და
თანათანობით იშლებიან. დარბაზი ცარიელდება. ვიწრო ქუჩა კონსტანტინოპოლ-
ში. ხალხის უზარმაზარ ბრბოს ქუჩის ერთი ბოლოსთვის მიუპყრია თვალი.
შორიდან სიცილ-ხარხარით სიმღერა და მუსიკის ხმა ისმის.

მეჭადაგე (თავის სახლის კარში). რა ამბავია, ჩემო ძვირფასო
მეზობელო?

მეწვრილმანე (თვითონაც კარში ღვას, ხელმარჯვნივ). რა ვიცი, ამბობენ,
სირიელი ოინბაზები ჩამოსულანო.

ხილით მოვაქრე (ქუჩაში). სირიელი ოინბაზები კი არა, ევკიპტელი
ჯამბაზები ჩამოთრეულან. თავიანთი აქლემებითა და მაიმუ-
ნებით.

დალაქი ევნაპიოსი (ღარბულად ჩაცმული; ამაოდ ცდილობს ბრბოში
გაიკვილოს გზა). გამატარეთ. გამატარეთ-მეთქი, თქვე ვირებო!
რა ეშმაკი შევიჯდათ, რამ აგახუნტრუცათ ამ დაწყველილ
ღღეს?

ქალი (ვიწრო ფანჩიდან). ეი! ეი! ევნაპიოს! ჩემო ძვირფასო!

ევნაპიოსი. სსუ! ამ ხალხში ჩემს სახელს ნუ ახსენებ, სატანის
მაძნაწკალო!

ქალი. უკანა კარი ღიაა, ხომ არ მეწვევი?

ევნაპიოსი. წადი შენი!.. სწორედ მაგისტვის მცხელა ახლა...

ქალი. არ წააგებ! შემოდი, ჩემო კარგო. შემოდი! ისეთი ქორთვა გერიტები მყავს... სამი ღლეა, რაც გამომიგზავნეს...

ევნაპიოსი. ო, ეს ცოდვილი ქვეყანა! (გასვლას აპირებს). გზა, გზა, სატანის გულისთვის! გამატარეთ!

ღვთისმეტყველების მასწავლებელი ეკივოლიუსი (სამგზავროდ ჩამულს თან ორი მონა ახლავს; თავისი ბარგი-ბარხანით გამოჩნდება გვერდით ქუჩიდან). ქალაქია თუ საგიეთი? ყველა ერთხმად გაჰყვირის, მაგრამ ერთი მაინც თუ გეტყვის დალაგებით. რა ხდება აქ? აა, ევნაპიოსს ვახლავარ! რასა იქმ, ჩემო ღვთის-მოსაეო ძმაო?

ევნაპიოსი. მოგესალმები, ღირსეულო მეუვეო! უკვე დაბრუნდი?

ეკივოლიუსი. ეს-ესაა. ზაფხულის ცხელი თვეები განმარტობით გაუატარე კრეტაზე, ჩემს მამულში. ფიქრი და ლოცვა. ლოცვა და ფიქრი, — აი, ეს იყო ჩემი საქმე. მაგრამ, ღვთის გულისათვის, მითხარი, რა ამბავია აქ?

ევნაპიოსი. ჯანდაბა და დოზანა. ახალი იმპერატორი...

ეკივოლიუსი. დიახ, დიახ, რალაც უცნაური ხმები მომდიოდა...

ევნაპიოსი. სინამდვილე ათასწილ უფრო უარესია. მსახურები სასახლიდან გაყარეს...

ეკივოლიუსი. რას ამბობ?

ევნაპიოსი. ექ! ერთ-ერთ პირველთაგანს მე მკრეს პანღური!..

ეკივოლიუსი. რა საშინელებაა! ვინ იცის, იწნებ მეც...

ევნაპიოსი. ალბათ, შენც... ყველაფრის ანგარიშს გეთხოვენ, ყველა შელავათს გვართმევენ. ყოველგვარი დარღვევისთვის პასუხს გვაგებინებენ...

ეკივოლიუსი (ფერი მისღის). უფალო, შეგვეწყალებ!

ევნაპიოსი. მადლობა ღმერთს, სინაღისი სუჟთა მაქვს.

ეკივოლიუსი. მეც, მეც. მაგრამ მაინც... ექ!.. ალბათ, ისიც, მართალია, იმპერატორმა აპოლონს და ფორტუნას მსხვერპლი შესწირაო.

ევნაპიოსი. რა თქმა უნდა. ეგ კიდევ რააა...

ეკივოლიუსი. როგორ თუ რაა? ნუთუ ვერ ხედავ, ჩემო თვალდავისილო მეგობარო. რომ ის ჩვენს ქრისტიანულ სარწმუნოებას სდევნის?

ევნაპიოსი. რას მეუბნები? კი მაგრამ, ღმერთო ჩემო.

ქალები (ბრბოში). მოდიან! მოდიან!

კაცი (სახლის საბურავზე). ეხედავ, ვხედავ, თვითონ მას ეხედავ!

ხმები. ვის? გვითხარი, მაინც ვის ხედავ?

კაცი (სახურავზე). იმპერატორს! თავზე ვაზის ფოთლებს გვირგვინა ადვან!

ბრბო (ქუჩაში). იმპერატორი! იმპერატორი!

ევნაპიოსი. იმპერატორი!

ეკივოლიუსი. წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო ღვთისმოსავო ძმაო!

ევნაპიოსი. გამძვინვარებული, თუ ღმერთი გწამს, ჩემი ღვთისმოსავობა ვის გაუგია?

ეკივოლიუსი. ვის გაუგია?..

ევნაპიოსი. ერთი გაბედოს და ღვთისმოსავი მიწოდოს ვინმემ!.. ჩემი დალუპვა უნდათ. ღვთისმოსავიო! როდის ვიყავი ღვთისმოსავი? მართალია, ოდესღაც დონატისტთა ძმობის წევრი გახლდით, მაგრამ რამდენმა წყალმა ჩაიხარა მას მერე! ეშმაკმა დალახვროს დონატისტების თავი და ტანი! (ფანჯარაზე აბრაახუნებს). ჰეი, ბარბარა, ბარბარა! კარი გამიღე! არ გესმის, ბებერო როკაპო! (კარს უღებენ და შიგ შეჰყავთ).

ეკივოლიუსი. ყველაფრისთვის პასუხს გვაგებინებენო... გამოძიება! ვაი ჩვენს ღღეს და მოსწრებას! (თაის მონებთან ერთად ბრბოში გაძვრომას ცდილობს).

ქუჩის ბოლოში გამოჩნდება დიონისეს მსვლელობა. წინ მუსიკოსები მოუძღვნიან. მთვრალი კაცები, რომელთაგანაც ზოგიერთი ფანჯარაზე და სატირებლად გადაცმული, მუსიკის ხმაზე ცეკვავენ. მსვლელობის შუაგულში ვირს მრავალჯერ იმპერატორი იუღიანს; ვირზე ჯიქის ტყავი დაუფენიათ და იუღიანსაც დიონისესავით მხრებზე ჯიქის ტყავი მოუსხამს, შუბლს ვაზის ფოთლების გვირგვინი უმკობს და ხელში თირსი უჭირავს. იმპერატორს გარს შემორტყმიან ნახევრად შიშველი ქალები და ქაბუკები, მოცეკვავეები და ოინბანები, ზოგიერთს ამფორები და ახარფეშები მოაქვს, სხვები დაფს სეკენ, შლეგური როკით მოიწვევენ წინ და უცნაურად იგრიხებიან.

მოცეკვავე ქაბუკები (მღერიან)

სვით სუქი თასით ნეტარება

და სიხარული,

რომ ბიბოქრობლეს გულში ეწება

ნაღვარული!

ეპეი, ბაქოს! ამაზე კარგს რაღას მოისმენ?

გაღიღებთ, ღმერთო თრობისაო, ო, დიონისე!

ქალები (მღერიან)

ჩვენი სხეულის მწველი ხსნილი

გარს შემოგვტყნოს ვნების აღება,

ისინიე ცხელი სისხლის ძახილი,

შორს ჩვენგან კლუბა და მოკრძალები!

ეპეი, ბაქოს! ამაზე კარგს რაღას მოისმენ?

გაღიღებთ, ღმერთო თრობისაო, ო, დიონისე!

იულიანე. გზა, გზა მოგვეცით, მოქალაქენო! გზაც, პატივიც და დიდებაც ჩვენ კი არა, არამედ ჩვენ სათაყვანებელ ღმერთს!

ხმა (ბრბოში). იმპერატორი მეძავებსა და ოინბანებს შორის!

იულიანე. სირცხვილი თქვენი, რომ ამათ ანაბარა მტოვებთ! სირცხვილი თქვენი!.. ესენი უნდა გჯობდნენ ღვთისმოსაობითა და გულმოდგინებით?!

ბერიკაცი. იესო ქრისტემ აგიხილოს თვალი, ხელმწიფევ!
იულიანე. აა, გალილეელი ყოფილხარ!.. როგორ მიბედავ? განა თქვენი დიდი მოძღვარი ცოდვილებთან ერთად არ უჭდა სუფრას? განა თამამად არ შედიოდა სახლებში, რომლებსაც ყველა გაუბრბოდა და თავს არიდებდა? მიპასუხე!

ვენაპიოსი (ქალიშვილები გარშემორტყმული გამოდის ბარბარას სახლიდან).
ღიახ, უპასუხე, თუ შეგიძლია, ბრიყვო!

იულიანე. ეჰ! ეს ხომ ჩემი ნაცნობი დალაქია, რომელმაც...

ვენაპიოსი. თავი დააღწია მონობის ბორკილს, მოწყალეო იმპერატორო! თქვენად მიგულედ, ბაკქანტებო და მენადებო! თქვენს თანამომხმედ და თანამოლარედ! (ქალიშვილების თანხლებით უერთდება მოცეკვავეებს).

იულიანე. აი, ეს მომწონს! ამ ღირსეულ ბერძენს მიბაძეთ, თუ წინაპართა ცეცხლის ერთი ნაპერწკალი მაინც გიღვივით სულში! დღეს სწორედ ეს გეკვირდება, მოქალაქენო, ვინაიდან არც ერთი ღმერთი არ გაუგიათ უფრო უკულმართად, არც ერთი არ უგმიათ, უფრო განუსჯელად და განუკითხავად, ვიდრე აღტყინების მომნიჭებელი დიონისე, რომელსაც რომაელები ბახუსსაც უწოდებენ. თქვენ გგონიათ, დიონისე მემთვრალეთა ღმერთია? ო, უმეცარო, მებრალეებით, თუ მართლა ასე ფიქრობთ. ვის, თუ არა მას, თუ არა დიონისეს, უნდა უმადლოდნენ თავიანთ შთაგონებასა და ზებუნებრივ ნიქს წინასწარმეტყველნი და პოეტები? მე ვიცი, რომ ზოგიერთი ამ ძალას აპოლონს მიაწერს და არცთუ სრულიად უსაფუძვლოდ. მაგრამ ეს კავშირი სულ სხვანაირად უნდა გვესმოდეს, რასაც მე ვამტკიცებ კიდევ ზოგიერთ ძველ თხზულებაზე დაყრდნობით. თუმცა, აჰ, ამ შუა ქუჩაში, არც პაექრობის დროა და არც ადგილი. იცინეთ, იცინეთ! პირჯვრის გადაწერა არ დაგავიწყდეთ! ეხედავ, ყველაფერს მშვენივრად ეხედავ, რომ შეგეძლოთ, ქოქოლას დამაყრიდით და, ალბათ, ჩამქოლავდით კიდევ. ღმერთმანი, სირცხვილით ვიწვი ამ ტვინნარძობი ქალაქისა და მისი გამოთაყვანებულო მოქალაქეების შემყურე. თვით ბარბაროსებზედაც დაბლა რომ დგანან და იმაზე უკეთესი ვერაფერი მოუგონებიათ, რომ თაყვანს სცემდნენ უმეცარი იუდეველის სულელურ ზღაპრებს... წინ, წინ!.. დაიშალეთ... გზას ნუ გვიღობავთ.

მოცეკვავე კაბუკები

ექი ბაკო! ამაზე კარგს რაღას მოიხიენ?
გაღიღებთ, ღმერთო თრობისო, ო, დიონისე!

ქალები

ჩვენი სხეულის მწველი საშილი
გარს შემოგვგზნოს ვსების აღებად,
ისმინე ცხელი სისხლის ძაბილი,
შორს ჩვენგან კლუა და მოკრასღება.

მსვლელობა სიმღერით უხვევს და გვერდითი ქუჩით მიემართება, გაოგნებული ბრბო უსიტყვოდ აყოლებს თვალს. საიმპერატორო სასახლის წიგნთსაცავი. ხელმარცხნივ შემოსასვლელი კარია. მარჯვნივ — შედარებით მომცრო, ფარდებ-ჩამოფარებული კარი. მარცხნიდან ორი მსახურის თანხლებით შემოდის სახლთუ-ხუცესი ევფერიოსი. მსახურებს ხალიჩები მოაქვთ.

ევფერიოსი (მარჯვენა კარისკენ იუბრება და გასძახის). აგილე, აგილე, ვარდის წყალი შეათბე, გესმის? იმპერატორს ბანაობა სურს! (მსახურების თანხლებით ხელმარჯვნივ გადის).

მარცხენა მხრიდან სწრაფი ნაბიჯით შემოდის იულიანე, ჯერ კიდევ ჩიქის ტყავი აქვს მოსხმული, შუბლს ვაზის ფოთლების გვირგვინი უმკობს და ხელშიც კვლავინდებურად თირსი უჭირავს. ერთი-ორჯერ გაივლ-გამოივლის დარბაზში და თირსს კუთხეში მიაგდებს.

იულიანე. ეს იყო მშვენიერება? სად გაქრნენ დარბაისელი, თმაშევერცხლილი უხუცესნი? სად გაქრნენ შუბლგაკრული, შლეგურ ფერხულში ჩაბმული წმინდა და უმანკო ქალწულ-ნი?.. ფუჰ! როსკიპებილა დარჩნენ (ჩიქის ტყავს მოიგლეჯს და გვერდზე მოისვრის). სად გაქრა მშვენიერება? განა კეისარს არ შეუძლია უბრძანოს მკვდრებით აღდგეს და კვლავ მოგვევ-ლინოს?! ფუჰ! მშვენიერების ნაცვლად — ჩირქი და ხრწნი-ლება!.. რა სახეებია!.. ათასნაირ ბიწს თავისი დაღი დაუსვამს ამ დამახინჯებული ნაკეთებისათვის. სული — წყლული, ხორცი — სნეული... ფუჰ! ფუჰ! აბაზანა გამიმზადე! გესმის, აგილე? სული მეხუთება ამ სიმყრალეში!

აგილე (მარჯვენა კარში). აბაზანა მზადაა, მოწყალეო ხელმწიფე...
იულიანე. მზადაა?.. აღარ მინდა, გადავიფიქრე... რა არის სხეულის ქუქკი სულის ქუქკთან შედარებით?.. წადი!

აგილე გადის. იმპერატორი ერთხანს ჩაფიქრებული დგას.

ნაზარეველი წინასწარმხედი მეზვერეთა და მეძავებთან ერთად ილხენდა... სადღაა უფსკრული ჩვენს შორის?!

მარცხენა კარიდან შემოდის ეკივოლიუსი და მოწიწებით ჩერდება ზღურბლზე.

რა გინდა, მეგობარო?

ეკივოლიუსი (იჩოქებს). მბრძანებელო...

იულიანე. ამას ვის ვხედავ? ეკივოლიუს... ნუთუ მართლა შენა ხარ?

ეკივოლიუსი. მე ვარ და არცა ვარ.

იულიანე. ჩემო ძვირფასო მოძღვარო! რისთვის მოსულხარ? ადექი!

ეკივოლიუსი. არა, არა, ნება მიბოძე, აქ, მტვერში ვეგდო! ნუ გამირისხდები, ჩემი ძველი უფლებით რომ ვისარგებლე და ასე თავხედურად შემოგეჭკარი.

იულიანე (ცოვად). მე გეკითხები, რისთვის მოხვედი-მეთქი?

ეკივოლიუსი. შენ კვლავ ძველებურად მომმართე, ჩემო მოძღვარო!.. ნეტა შემეძლოს, რომ დავიწყების ფარდა ჩამოვაფარო იმ დროს!..

იულიანე (უწინდებურად). არ მესმის... ესე იგი, შენ გინდა, რომ...

ეკივოლიუსი. ო, ნეტა მიწა გამისკდეს და თან დამიტანოს, რათა მის წიაღში მაინც დავმალო ჩემი სირცხვილი!.. აი მე დაჩოქილი ვარ შენს წინაშე... უკვე დავებრდი, გავკალარავდი... მთელი ჩემი დღე და მოსწრება ესწავლობდი, ქეშმარიტებას ვეძებდი და ახლალა შევიგნე, რომ თურმე თვითონაც ვცდებოდი და ჩემს უძვირფასეს შეგირდსაც ვაცდუნებდი!

იულიანე. მაგით ვითომ რისი თქმა გნებაეს?

ეკივოლიუსი. ჩემო მოძღვარო, — ასე მიწოდე შენ! მე კი, შენს ფერხთით დაჩოქილი, განცვიფრებით შემოგყურებ და ჩემს ახალ მოძღვრებას გსახავ.

იულიანე. აღექი, ეკივოლიუს!

ეკივოლიუსი (დგება). მომისმინე, ხელმწიფეო, და შენ სიმაართლით განმსაჯე!.. მას შემდეგ, რაც აქედან წახვედი, ჩემთვის ქეშმარიტად აუტანელი შეიქნა შენი ღიღი წინამორბედის სასახლის კარი. არ ვიცი, გითხრეს თუ არა, რომ დედოფლის მეფსალმუნედ და მოწყალეების გამცემად გამამწესეს. მაგრამ განა ეს საპატიო თანამდებობანი ამინაზლაურებდნენ დანაკარგს? განა ისინი გამიქარებდნენ სიმძიმის, ჩემს ძვირფას იულიანესთან განშორებით გამოწვეულს? სიცოცხლე გამიმწარა ამდენი ხელმრუდის, თავიანთი მოჩვენებითი სიქველის წყალობით აღზევებული ამდენი ბოროტმოქმედისა და მექრთმის წრეში ტრიალმა. სიკედილი მომანატრა ბედნიერებას დახარბებულ ყაჩაღთა შორის ცხოვრებამ, რომელთა კეთილგანწყობაც, ფულითა თუ პირფერობით, თავისუფლად შეეძლო ეყიდა ყველას. ო, ჩემო მბრძანებლო, კიდევ კარგი, რომ არ იცი, რა ხდებოდა აქ!..

იულიანე. ვიცი, ვიცი!..

ეკივოლიუსი. მე მიზიდავდა უბრალო, განმარტოებული ცხოვრება. როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა, კრეტაზე მივემგზავრებოდი, ჩემს პატარა ტუსკულუმში... ჩემს ღარიბულ მამულში... იქ ცოტა ხანს მაინც მეგონა, რომ სიქველეს საბოლოოდ არ მიუტოვებია ეს ცოდვილი ქვეყანა. იქვე გავატარე წლევეანდელი ზაფხულიც, ადამიანური სიბრძნის ჩხრეკასა თუ ზეციურ ქეშმარიტებათა გონებაშიუწვდომელ სიღრმეზე ფიქრში.

იულიანე. რა ბედნიერი კაცი ხარ, ეკივოლიუს!

ეკივოლიუსი. და, აი, შენი ღიღი გამარჯვებების ამბავმა კრეტამდეც ჩამოაღწია...

იულიანე. ა!..

ეკივოლიუსი. პოდა, მაშინ იყო, რომ ვკითხე ჩემსავე თავს: განა შეიძლება უბრალო მოკვდავად მიგვაჩნდეს ეს უებრო ქაბუკი? ნეტავი ვინ მფარველობს მას? განა ქრისტიანთა ღმერთი ამნაირად ავლენს თავის ძალმოსილებას?

იულიანე (დაძაბულად). მერე, მერე?..

ეკივოლიუსი. ხელახლა ჩაუღრმავდი ძველისძველ წიგნებს და თანდათანობით გადამეწმინდა ჩემი დაბინდული გონება... ო, როგორ მიმძიმს ამის აღიარება!

იულიანე. მითხარი... ღვთის გულისათვის...

ეკივოლიუსი (ხელახლა იხოკებს). შენი სიმართლით დამსაჯე, ჩემო ხელმწიფევე, მაგრამ ზურგი აქციე ქაბუკურ ცთომას, ღვთაებრივ საგანთა მცდარსა და უკულმართ გაგებას! დიახ, ჩემო მრავალმოწყალე მბრძანებელო, შენ სცდეები და მე როგორ გაუუძლო ამ სირცხვილს?! — ხელი შეგიწყე იმაში, რომ ქეშმარიტ გზას ასცდენოდი!..

იულიანე (ხელებს შლის). მოდი, მოგეხვიო!

ეკივოლიუსი. გემუდარები, მადლი მიაგე შენს მწყალობელ უკვდავ ღმერთებს, რომლებმაც ასე აგამალღეს! არადა, დამსაჯე იმის გამო, რომ შენს მაგივრად მე თვითონ შეეწირავ მადლს...

იულიანე. მოდი, მოგეხვიო-მეთქი, ვის ვეუბნები?! (ფეხზე წამოაყენებს ეკივოლიუსს, გულმხურვალედ გადაეხვევა და აკოცის). ჩემო ძვირფასო ეკივოლიუს! ეს რა მოულოდნელი სიხარული მეწვია დღეს?

ეკივოლიუსი. რას ბრძანებ, ჩემო ხელმწიფევე?..

იულიანე. როგორ? არათფერი გაგიგია?.. როდის ჩამოხვედი ქალაქში?

ეკივოლიუსი. ამ ერთი საათის წინ ჩამოვედი ხომალდიდან.

იულიანე. და პირდაპირ სასახლეში გამოეშურე?

ეკივოლიუსი. შიშისა და სინანულის ფრთებით, ჩემო მბრძანებელო!

იულიანე. არავის დალაპარაკებიხარ?

ეკივოლიუსი. არავის... კი მაგრამ?..

იულიანე. მაშ, ვინ გეტყობდა?.. (ხელახლა გადაეხვევა) უნდა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო ეკივოლიუს, რომ მეც შენსავით დავალწიე თავი ცთომის კირთებას. მე ალვადგინე და ძველი ღიღება დაუბრუნე ჩვენს მაცოცხლებელსა და მასულდგმულეებელ მეუფე მზეს! ფორტუნამ ჩემი უღირსი ხელით მიიღო მსხვერპლი, და თუ ამ წუთში დალილ-დაქანცულსა და არაქათვამოცილს მხედავ, იმიტომ, რომ ეს-ესაა დაებრუნდი ღვთაებრივი ღიონისესადმი მიძღვნილი ღვთისაწაულიდან.

ეკივოლიუსი. რა მესმის?.. ყურებს არ ვუჭერი ...

იულიანე. შემხედე, შუბლს ჭერ კიდევ გვირგვინი მიმკობს. ხალხის აღტაცებულ ყიჟინში... დიახ, დიახ, ლამის დავყრუვდი!..

ეკივოლიუსი. რას წარმოვიდგენდი, რომ...

იულიანე. ჩვენ გვინდა გარს შემოვიკრიბოთ სიბრძნისა და ქემშარიტების ყველა მოყვარე და მეგობარი, უკვდავი ღმერთების ყველა ღირსეული თაყვანისმცემელი და მოსაფი... რამდენიმემ უკვე მოიყარა თავი, თუმცა ჭერ არც ისე ბევრია...

მარცხენა მხრიდან შემოდის სასახლის კარის ეკიმი კესარიოსი, თან რამდენიმე მოხუცი კარისკაცი და მოხელე ახლავს.

აი ჩვენი ძვირფასი კესარიოსიც, მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლებით... სახეზე ეტყობა, უბრალო საქმეზე არ უნდა იყოს მოსული.

კესარიოსი. ჩვენო მრავალმოწყალე იმპერატორო, თუ მომცემ ნებას შენს მსახურს, ერთი რამ გკითხო ამ ღრმად დამწუხრებული ხალხისა და პირადად ჩემი სახელით?

იულიანე. ბრძანე, კესარიოს, ჩემი ძვირფასი გრიგოლის ძმაო!.. სთქვი, რა გნებავს?

კესარიოსი. მითხარი, მოწყალეო ხელმწიფე... (თვალს მოკრავს ეკივოლიუსს). ამას ვის ვხედავ? შენ აქა ხარ, ეკივოლიუს?

იულიანე. ამ ერთი საათის წინ ჩამოვიდა.

კესარიოსი (წასვლას აპირებს). მაშინ ნება მიბოძე, სამერმისოდ გადავდო...

იულიანე. რატომ, რატომ, ძვირფასო კესარიოს? ამ ჩვენი მეგობრისაგან დაფარული არაფერი მაქვს.

კესარიოსი. მეგობრისგანო, შენ ბრძანე?.. მაშ, შენი სახელით არ იქერენ და არც დილეგში პყრიან ხალხს, ჩემო ხელმწიფე?

იულიანე. რას ამბობ?

კესარიოსი. როგორ, არ იცი?.. მხედართმთავარი... ანუ, როგორც ახლა თავის თავს უწოდებს, მთავარსარდალი ნევიტა შენი სახელით სდევნის და სასტიკად უსწორდება განსვენებული იმპერატორის ნდობით აღკუთრებულ პირებს.

იულიანე. ეს მხოლოდ გამოძიებაა, კესარიოს; სამწუხაროდ აუცილებელი გამოძიება.

კესარიოსი. კი მაგრამ, მაშინ ეს სისასტიკე მაინც აღკვეთე, მბრძანებელო. მონაგარიშე პენტადიონს ჭარისკაცები ეძებენ, ისევე როგორც პრეტორიანელთა ერთ-ერთ მეთაურს, ვისი სახელის ხსენებაც შენ თვითონ აკრძალე... ალბათ, ზედები, ვისაც ვგულისხმობ, ჩემო ხელმწიფე... იმ უბედურს, რომელიც ახლა მთელი თავისი სახლეულით ვინ იცის, სად იმალება...

იულიანე. შენ არ იცნობ იმ კაცს. იცი რა თავხედურად იქცეოდა გალიაში?..

კესარიოსი. შეიძლება, მაგრამ ახლა რაღას დაგაკლებს? და განა მარტო მას ემუქრება სიკვდილი? მეჭურჭლეთუხუცესი ურსულუსიც დილეგში ჩააგდეს...

იულიანე. აა, ურსულუსიც?.. როგორც ჩანს, მაინც აუცილებელი შეიქნა...

კესარიოსი. აუცილებელი? აუცილებელიო, შენ ბრძანებ, დაფიქრდი, ჩემო ხელმწიფე, ურსულუსი პატიოსანი კაცია, რომელიც ისე დაბერდა, რომ მის სახელს ერთი ლაქაც არ წასცხებიან... კაცი, რომლის სიტყვასაც ანგარიშს უწევდა დიდიც და პატარაც...

იულიანე. მე კი გეუბნები, ესაა კაცი, რომელსაც სალი აზრის ნატამალიც არ გააჩნია. ურსულუსი მფლანგველია, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, პირიქით, თვითონვე აქეზებდა კარისკაცთა სიხარბეს, ეგეც არ იყოს, სახელმწიფო მოღვაწედ ღმერთს არ უქნია. პირადად დაერწმუნდი ამაში. მე, მაგალითად, ვერასოდეს ვერ მივანდობდი უცხოელი ელჩების მიღებას.

კესარიოსი. და მაინც, ყველანი ერთხმად გევედრებით, ხელმწიფეო, შემწყნარებელი იყავი როგორც ურსულუსის, ისე დანარჩენთა მიმართაც.

იულიანე. ვინ არიან ეს დანარჩენნი?

კესარიოსი. ყველას რა ჩამოთვლის? დაგისახელებ მხოლოდ მეკურკლეთუხუცესის თანაშემწეს ევაგრეს, დათხოვილ საბლთუხუცესს სატურნინუსს, უზენაეს მსაჯულს კირენეს და...

იულიანე. რა ენა დაგება?

კესარიოსი. (ენის ბორძიკით) ხელმწიფეო... ბრალდებულთა შორისაა სასახლის კარის მწიგნობარი ეკივოლიუსიც.

იულიანე. როგორ?

ეკივოლიუსი. მე? შეუძლებელია!

კესარიოსი. ეკივოლიუსს ბრალად ედება ის, რომ ქრთამს იღებდა თანამდებობის უღირსი მაძიებლებისაგან...

იულიანე. ვინ, ეკივოლიუსი?.. ეკივოლიუსი?

ეკივოლიუსი. რა ბილწი ცილისწამებაა! ო, იესო... ესე იგი, უკვდავო ღმერთებო!..

კესარიოსი. აა!

იულიანე (კესარიოსს). მაგით ვითომ რისი თქმა გნებაუს?

კესარიოსი. არაფრის, მოწყალეო ხელმწიფე.

იულიანე. კესარიოს!

კესარიოსი. გისმენ, ჩემო მბრძანებელო!

იულიანე. მბრძანებელი კი არა, უწინდებურად შენი მეგობარი მიწოდე.

კესარიოსი. რა უფლება აქვს ქრისტიანს, შენს მეგობრად მოქმონდეს თავი?

იულიანე. გევედრები, გულშიაც არ გაივლო ეგ, კესარიოს. რა ჩემი ბრალია, რომ შენს მიერ ჩამოთვლილი ყველა ბრალდებული ქრისტიანია? განა ეს მხოლოდ იმას არ მოწმობს, რომ თქვენ, ქრისტიანებმა, მოახერხეთ ხელში ჩაგვადოთ ყველა შემოსავლიანი ადგილი? მაგრამ რა უფლება აქვს იმპერატორს,

თვალი დახუკოს იმაზე, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი უღირსა და უნიათო ხალხს უქირავს? (დანარჩენებს). ხომ არ გგონიათ, რომ უკეთურთა მიმართ ჩემი რისხვა თქვენმა სარწმუნოებამ გამოიწვია? მოწმედ მოკუხმობ უკვდავ ღმერთებს, სულაც არა მსურს, რომ თქვენ, ქრისტიანებს, უკანონოდ და უსამართლოდ გექცეოდნენ, ან, საერთოდ, შეურაცხყოფდნენ თქვენს ღირსებას. ყველანი თუ არა, უმეტესი თქვენგანი მაინც ღვთისმოსავი ხალხი ბრძანდებით, რადგან თავადაც ხომ თავყანს სცემთ ღმერთს, მთელი ამ მზისქვეშეთის ყოვლისშემძლე უფალს და მბრძანებელს? ო, კესარიოს, განა თქვენი ღმერთი არაა ჩემი ღმერთიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სხვა სახელი ჰქვია?

კესარიოსი. ნება მიბოძე, მოწყალეო ხელმწიფევ...

იულიანე. საერთოდ, მე ვაპირებ შემწყნარებელი ვიყო ყველგან, სადაც შემეძლება და როგორც შემეძლება... რაც შეეხება ეკივოლიუსს, ნუ ჰგონიათ მის ფარულ მტრებს, რომ დასმენებით ან სხვა უღირსი საშუალებებით რამეს ავნებენ.

ეკივოლიუსი. ო, ჩემო იმპერატორო, ჩემო მწყალობელო, ჩემო მფარველო!

იულიანე. არც ის მინდა, რომ უწყალოდ ართმევდნენ ლუკმა პურს სასახლის უბრალო მსახურთ. მახსენდება ის დალაქი, მე რომ გავავდე. ვწუხვარ! დაბრუნდეს და დარჩეს. როგორც ჩანს, თავისი საქმე იცის. უნდა გავუფრთხილდეთ ამნაირ ადამიანებს. აი, რაზე შემიძლია დავყაბულდე, ჩემო კესარიოს, მაგრამ ესაა და ეს, მეტი არა შემიძლია რა. დაე, ურსულუსს მიეგოს ის, რასაც იმსახურებს. მე მინდა ისე მოვიქცე, რომ სამართლიანობის ბრმა, მაგრამ მარად ფხიზელ ქალღმერთს იმის საბაზი არ მივეცე, რომ მრისხანედ შექმუნოს შუბლი და შემოსწყრეს საბრალო მოკვდავს, რომელსაც თან ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა.

კესარიოსი. ყოველივე ამის შემდეგ კრინტსაც ვერ დავძრავ უბედურთა დასაცავად. მხოლოდ იმის ნებართვას გთხოვ, რომ სასახლის კარი და ქალაქი დაეტოვო.

იულიანე. ასე გადაწყვიტე?

კესარიოსი. დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ.

იულიანე. არ ვიცი, რომელი უფრო ჭიუტი ხართ, შენ თუ შენი ძმა.

კესარიოსი. ეს ახალი ვითარება მაიძულებს ბევრ რამეს დაეუფიქრდე.

იულიანე. მე კი ისე დიდ იმედებს ვამყარებდი შენზე, კესარიოს! რომ იცოდე, როგორ გამახარებ, თუ ზურგს შეაქცევ შენს ცთომილებას. ნუთუ არ შეგიძლია?

კესარიოსი. ღმერთმა იცის, ერთი თვის წინ იქნება კიდევაც შემძლებოდა, მაგრამ ახლა — არა.

იულიანე. შენ შეგეძლო ყველაზე დიდებულ საგვარეულოს დანათესავებოდი ქორწინებით... ხომ არ გადაიფიქრებ?

კესარიოსი. არა, მოწყალეო ხელმწიფევე...

იულიანე. შენისთანა კაცს შეეძლო სწრაფად დაწინაურებულო და ყველაზე მაღალი თანამდებობისათვის მიეღწია, ნუთუ არ შეგიძლია დარჩე და მხარში ამომიღე, კესარიოს?

კესარიოსი. არა, მოწყალეო ხელმწიფე!

იულიანე. აქ დარჩენას როდი გთხოვ, არამედ — სხვაგან. აქედან მე თვითონაც ვაპირებ წასვლას. კონსტანტინოპოლში სული მეხუთება... თქვენ, ქრისტიანებმა, ყველაფერი იღონეთ საიმისოდ, რომ მოგეწამლათ და ჩემთვის შეგეძლებინათ იგი. ანტიოქიაში მივიღივარ, იქ უკეთეს ნიადაგს ვპოვებ. ხომ არ წამომყვები, კესარიოს?

კესარიოსი. მოწყალეო ხელმწიფე, მეც აღმოსავლეთით მიძევს გზა, მაგრამ მირჩენია მარტო წავიდე.

იულიანე. აღმოსავლეთში რა გინდა?

კესარიოსი. მოხუცებულ მამაჩემს ვინახულებდი და მხარში ამოვუდგები ჩემს ძმას გრიგოლს; მომავალი ბრძოლებისათვის გავაძმნევებ.

იულიანე. წადი!

კესარიოსი. კარგად ბრძანდებოდე, ჩემო იმპერატორო!

იულიანე. ბედნიერია მამა, რომელსაც ასეთი უბედური შვილები ჰყავს (ხელით ნიშანს აძლევს).

კესარიოსი და მისი თანხლებნი მდაბლად უკრავენ თავს და მარცხნივ გადიან.

ეკივოლიუსი. რა თავხედური და უხამსი სიკერპეა!

იულიანე. გულზე სისხლი გადამდის ამ სიკერპისა და ვინ მოსთელის კიდევ რამდენი რამის გამო. შენ ხომ გამომყვები, ჩემო ეკივოლიუს? ფეხქვეშ მიწა მეწვის ამ წყეულსა და გალილეველთა მიერ მოწამლულ ქალაქში! წერილს მივწერ ფილოსოფოსებს კიტროსა და პრისკუსს, რომლებმაც ამ ბოლო ხანს ასე შორს გაითქვეს სახელი. მაქსიმეს დღედღეზე მოველი, ისიც ჩვენთან წამოვა. გეუბნები, წინ გამარჯვების ნათელი დღეები გველის, ეკივოლიუს! ანტიოქიაში, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩვენ შევხვდებით სწორუპოვარ ლიბანოსს! უფრო ახლოს ვიქნებით ჰელიოსთან! ო, ეს ჩემი მუდმივი ღმერთი მეფე-მზის გამო!..

ეკივოლიუსი. დიახ, დიახ...

იულიანე (გადაეხვევა). ეკივოლიუს!.. სიბრძნე, სინათლე, მშვენიერება!

მეორე მოქმედება

ანტიოქია. საიმპერატორო სასახლის ატრიუმში. სიღრმეში ღია შესასვლელია, მარცხენა კედელში კი კარი, საიდანაც შეიძლება შიდა დარბაზში შესვლა ხელმარცხნივ, შემალღებულ ადგილას ზის კარისკაცებით გარშემორტყმული იმპერატორი იულიანე. მსაჩულები, რიტორები, პოეტები და სოფისტები, მათ შორის, მოძლვარი ეკიოლიუსიც დაბალ სკამებზე სხედან იმპერატორის ფერხით. შემოსასვლელთან კედელს მიყრდნობია მღვდლის ანაფორიანი კაცი, სახეზე ხელები აუფარებია, გეგონებათ, ლოცვაშია დანთქმული. ატრიუმში ანტიოქიელი მოქალაქეებითაა სავსე. შემოსასვლელსა და მარცხენა კარს მცველები დარაჯობენ.

იულიანე (შეკრებილთ). ესოდენ დიდი სიხარული მარგუნეს ღმერთებმა. რომელ ქალაქსაც არ უნდა მივდგომოდი აქეთობისას, ყოველი მხრიდან მოეშურებოდნენ ჩემსკენ გალილეველთა ბრბოები, მწარედ მოსთქვამდნენ თავიანთი ძველი ცთომილების გამო და ღვთიურ ძალთა მოწყალებას ანდობდნენ თავიანთ თავს. რა არის ამასთან შედარებით ბრიყვთა დამცინავი ქირკილი? რაღა ისინი და რაღა ძაღლები, ღამღამობით რომ უყუფენ მთვარეს! თუმცა, რა დასამალია, გული ამემღვრა, როდესაც გავიგე, რომ ზოგიერთი აქაური ვაჟბატონი თურმე აშკარად დასცინის ცხოვრების იმ წესს, რომელიც მე სავალდებულოდ დაეუსახე კეთილმოწყალე ქალღმერთის კიბელეს ქურუმებს. განა მოწინებას ამ დიადი ღვთაების მიმართ ბილწთა გმობისაგან არ უნდა დაეხსნა მისი მსახურნი? და მე მივმართავ ამ უგუნურთ: ბარბაროსები ხომ არა ხართ, რომ არ იცოდეთ, ვინ არის კიბელი? ან, იქნებ, მართლა უნდა შეგახსენოთ ის შორეული წარსული, როცა რომის ძლიერებას ემუქრებოდა ერთი კართაგენელი მხედართმთავარი, ვისი საფლავიც ამას წინათ ვინახულე ლიბისაში, და როცა კუმელი სიბილას რჩევით კიბელეს გამოსახულება პესინუსის ტაძრიდან რომში იქნა გადატანილი? რაც შეეხება ქურუმთა ცხოვრების წესს, ზოგიერთებს სასაცილოდ არ ჰყოფნით ის, რომ კიბელეს მსახურთ ეკრძალება ფესვებისა და მიწაზე განრთხმულ მცენარეთა ნაყოფის ჰამა, მაშინ როდესაც ნება ეძლევათ ჰამონ ყველა სხვა მცენარის ნაყოფი. ო, სამგზის უმეცარნო! მეცოდებით, ეს რომ არ გესმით შეიძლება თუ არა, რომ ადამიანის სული საზრდოობდეს იმით, რაც ქვეწარმავალივით დახოხავს მიწაზე? განა სული არ ცოცხლობს იმით, რომ ცისკენ, მზის მიმართ ისწრაფვის?

მაგრამ ამაზე სასაუბროდ დღეს არა მცალია. დანარჩენს ჩემი ნაშრომიდან შეიტყობთ, რომლის თხზვაშიაც თეთრად ვათენებ ღამეებს და რომელიც; იმედი მაქვს, მალე იქცევა შესწავლის საგნად ფილოსოფიურ სკოლებშიც და მოედნებზეც. (ღება) ამით, ჩემო მეგობრებო, თუ მეტი აღარაფერი გაქვთ სათქმელი...

ერთ-ერთი მოქალაქე (წინ გამოდის). ო, ჩვენო მოწყალეო იმპერატორო, ისე ნუ გამიშვებ, რომ არ მომისმინო!

იულიანე. (ხელახლა ჭდება). როგორ გეკადრება, ჩემო მეგობარო! ეინა ხართ?

მოქალაქე. ხორბლეულით მოვაკრე მედონი გახლავარ ო, ჩემო ცათა სწორო, ღვთაებრივო მბრძანებელო, შენდამი ჩემი სიყვარული რომ არა...

იულიანე. აღარ იტყვი, რა გნებაეს, ადამიანო?

მედონი. ერთი მეზობელი მყავს, ალიტე ჰქვია სახელად. აგერ უკვე რამდენი წელი იქნება, სულ იმის ცდაშია, რომ რაიმე მავნოს, ისიც ხორბლეულით ვაქრობს და ძირს უთხრის ჩემს კეთილდღეობას.

იულიანე. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მედონ, კაცმა რომ შემოგხედოს, გაუჭირდება იმისი თქმა, რომ შენს კეთილდღეობას რაიმე ემუქრება.

მედონი. ამაზე როდი მოგახსენებ, მოწყალეო იმპერატორო! ვფიცავ უკვდავ ღმერთებს, რომლებსაც დღითიდღე სულ უფრო მეტ თაყვანსა ვცემ, რანაირი შეურაცხყოფაც უნდა მოეყენებინა, ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ ერთ რამეს კი ნამდვილად ველარ ავიტან...

იულიანე. რაო, ღმერთებს ხომ არა ჰგმობს?

მედონი. მეტიც... ყოველ შემთხვევაში, ეს არანაკლები თავხედობაა მისი მხრივ... ის... ო, ღმერთმანი, ისე ვარ გულამღვრეული, რომ არც კი ვიცი, შევძლებ თუ არა, რაიმე გაგაგებინო. დიახ, ის... ღმერთებს კი არა, შენა გგმობს, მოწყალეო ხელმწიფე!..

იულიანე. მაინც რას ამბობს?

მედონი. არაფერსაც არ ამბობს, გაცილებით უარესად იქცევა.

იულიანე. აღარ იტყვი?..

მედონი. მეწამულ ქლამიდას ატარებს.

იულიანე. მეწამულ ქლამიდასო?.. უყურე ამ თავხედს!..

მედონი. დიახ, დიახ! ო, დიადო ჰერმეს!.. როცა წარმოვიდგენ, რა დაუჯდებოდა ამნაირი ქლამილით გამოჩენა შენი წინამორბე-

დის დროს!.. ახლა კი ეს მყვირალა მოსასხამი ყოველდღე თვალში მეჩხირება.

იულიანე. იმ ფულით მაინც არ იყოს ნაყიდი, რომელიც შეიძლებოდა შენი ყოფილიყო.

მედონი. ო, ჩვენო მოწყალეო ხელმწიფევე, დასაჭე ეს თავგასული, ბრძანე ქალაქიდან განდევნონ, ჩემი სიყვარული შენდამი, ჩვენო დიდებულო, ჩვენო ცათასწორო მბრძანებელო, ნებას არ მაძლევს, ამნაირი მკრეხელობის მოწმე ვიყო.

იულიანე. ერთი ეს მითხარი, ჩემო ძვირფასო მედონ. ამ მეწამული ქლამიდის გარდა კიდევ რა აცვია ალიტეს?

მედონი. მართალი გითხრა, ვერ ვიხსენებ, მბრძანებელო!.. თუ არა ვცდები, ჩვეულებრივი ტანსაცმელი... მე მხოლოდ ქლამიდას მივაქციე ყურადღება.

იულიანე. ესე იგი, მეწამული ქლამიდა და მოუთრიმლავი ტყავის სანდლები?

მედონი. დიახ, დიახ, ხელმწიფეო, ეს ისეთივე სიბრყივეა, როგორც თავხედობა.

იულიანე. ამის წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა მივიღოთ, მედონ,

მედონი (სიხარულით). აჰ, მოწყალეო ხელმწიფევე!..

იულიანე. ხეალ დილაუთენია მოხვალ სასახლეში...

მედონი (კიდევ უფრო გახარებული). მოვალ, როგორ არ მოვალ, მზის ამოსვლას დაეასწრებ, მოწყალეო იმპერატორო!

იულიანე. ჩემს სახლთუხუცესთან მიხვალ...

მედონი. დიახ, დიახ, მოწყალეო ხელმწიფევე!..

იულიანე. და ის მოგცემს ოქრომკედით მოსირმულ მეწამულ წალებს...

მედონი. ო, ჩემო გულუხვო მბრძანებელო!

იულიანე. რომლებსაც ალიტეს წაუღებ, ჩააცმევ და ეტყვი, რომ აუცილებლად ეს წალები უნდა ეცვას ყოველთვის, როცა თავისი მეწამული ქლამიდით დააპირებს ქალაქში გასეირნებას...

მედონი. ო!..

იულიანე. შემდეგ კი ჩემი სახელით გადასცემ, რომ ნამდვილი ბრიყვი ყოფილა, თუკი მეწამული ქლამიდით მოაქვს თავი, მაგრამ ის ძალმოსილება კი არ გააჩნია, რაზედაც მეწამული ფერი მიგვანიშნებს... ახლა კი წადი და ხეალ დილით წალების წასაღებად მოსვლა არ დაგავიწყდეს.

დარცხვნილი მედონი თავჩაღუნული მიიჭრუნება თანამოქალაქეთა სიცილ-
ხარხარში. კარისკაცები რიტორები, პოეტები და სხვები ტაშს უკრავენ და ხმამაღლა
აქებენ იმპერატორს.

მეორე მოქალაქე (ბრბოს გამოეყოფა). დიდება იმპერატორის
სამართალს! ამ გაუმაძღარ ვაქრუქანას თავისი კუთვნილი
მიეგო! ახლა კი მეც მომისმინე და, დაე, შენმა მოწყალებამ...

იულიანე. შენი სახე თითქოს მეცნობა. მითხარი, შენ ხომ არ
ყვიროდი ასე ხმამაღლა, როცა ეტლით შემოვდიოდი ქალაქ-
ში?..

მოქალაქე. დიახ, მათ შორის გახლდი, ვინც ყველაზე გულმხურ-
ვალედ მოგესალმებოდა, ჩვენო სწორუპოვარო იმპერატორო!
მებაჟე მალკოსი გახლავარ! მხოლოდ შენი შეწვევისა და
მფარველობის იმედი მაქვს!.. ერთ უკეთურსა და გაუმაძღარ
კაცს ვუჩივი...

იულიანე. მერედა, ამისთვის მაწუხებ? განა მსაჯულები არა გეყავს?

მალკოსი. ძალზე ჩახლართული საქმეა, ჩვენო მოწყალე მბრძანე-
ბელო! ამ უკეთურ კაცს იჯარით მივეცი ყანა, რომელიც ამ
შვიდი წლის წინათ ვიყიდე, როცა მოციქულთა ბაზილიკის
კუთვნილი მიწების ნაწილი იყიდებოდა.

იულიანე. აა, ესე იგი, საეკლესიო საკუთრება?

მალკოსი. პატროსნად მონაგები ფულით ვიყიდე... მაგრამ ახლა ეს
კაცი იჯარის მოცემაზეც უარს მეუბნება და აღარც ჩემს მიწას
მიბრუნებს, იმ საბაბით, რომ ეს ყანა ოდესღაც აპოლონის
ტაძარს ეკუთვნოდა, და, მისი მტკიცებით, უკანონოდ წაარ-
თვეს ტაძარს ვინ იცის, რამდენი ხნის წინათ.

იულიანე. ერთი ეს მითხარი, მალკოს, გალილეველის მიმდევარი
ხომ არა ხარ?

მალკოსი. მოწყალეო იმპერატორო, მთელი ჩემი საგვარეულო
ოდითგანვე თაყვანს სცემდა იესო ქრისტეს.

იულიანე. მერედა, ასე თავხედურად მიცხადებ ამას?

მალკოსი. შენ ჩემი მოპასუხის თავხედობა იკითხე, ხელმწიფეო!
ისე გულარხეინადაა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს,
ქალაქიდანაც კი არ გაქცეულა, როცა ხმა გავარდა რომ
ანტიოქიას მობრძანდებოდი.

იულიანე. არ გაქცეულა? კი მაგრამ, გასაქცევი რა ჰქონდა, თუკი
უკვდავ ღმერთებს სცემს თაყვანს?

მალკოსი. მოწყალეო ხელმწიფე, შენ, ალბათ, გაგიგონია მოან-
გარიშე ფალასიოსის სახელი!

იულიანე. როგორ? სწორედ იმ ფალასიოსის, რომელმაც, ჩემი
წინამორბედის საამებლად, მაშინ, როცა მე, ცილისწამების
შედეგად შერისხულს, სასიკვდილო საფრთხე შემუქრებოდა

გალიაში, — აქ, მოედანზე, საჯაროდ მოუწოდა ანტიოქიელ მოქალაქეებს, ცეზარ იულიანეს თავი ეთხოვათ იმპერატორისათვის?

მალკოსი. დიახ, ხელმწიფეო, და ახლა სწორედ ეს შენი დაუძინებელი მტერი მიპირებს დაჩაგვრას.

იულიანე. ჭეშმარიტად, მალკოს, მე შენზე არანაკლები საბაბი მაქვს საიმისოდ, რომ ამ კაცს პასუხი მოვთხოვო.

მალკოსი. ო, ათჯერ მეტი, მოწყალეო ხელმწიფე!

იულიანე. როგორ გგონია, ხომ არ შევეაერთოთ ჩვენ-ჩვენი სარჩელი და ერთად ვაგებინოთ პასუხი?

მალკოსი. ო, ეს რა წყალობა მელირსა!.. წარმოუდგენელი, ენით უთქმელი! ჭეშმარიტად, ათგზის ბედნიერი ვარ!

იულიანე. ჩემის აზრით კი ათგზის ბრიყვი ხარ! შენ ამბობ, ფალასიოსი ისე არხეინად გრძნობს თავს, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოსო! ესე იგი, ქალაქიდან არ გაიქცა ჩემი ჩამოსვლისას? ფალასიოსს შენზე უკეთ ვცნობივარ! თავიდან მომწყდი! როცა მე ჩემი მოკვეთილი თავის პასუხს მოვთხოვ ფალასიოსს, შენც მაშინ მოსთხოვე შენი ყანის პასუხი.

მალკოსი (ხელეზს იბრუნებს). ვაი ჩემს თავს, ათგზის უბედურს! (შუა კარიდან გადის).

შეკრებილი ხელახლა ტაშს უკრავენ იმპერატორს მოწონების ნიშნად.

იულიანე. მაშ ასე, ჩემო მეგობრებო! გიხაროდეთ, რომ მოვახერხე არც თუ ისე უღირსად დამეწყუო სხივციცკროვანი აპოლონი-სადმი მიძღვნილი დღევანდელი დღე! რადგან სხვა რა შექტერის სიბრძნის მოყვარეს, თუ არა ის, რომ დიდსულოვნად მიუტევეოს ყველას თავისი პირადი შეურაცხყოფა, და, პირიქით, სასტიკად დასაჯოს უკვდავ ღმერთთა შეურაცხყოფნი? არ ვიცი, იძულებული ყოფილა თუ არა გვირგვინოსანი ფილოსოფოსი მარკუს ავრელიუსი, ამნაირი საქმე გაერჩია, მაგრამ თუ ყოფილა, იმედია, ისიც ჩემსავით მოიქცეოდა, რადგანაც უდიდეს პატივად მიმაჩნია ის, რომ კრძალვით მივსდევდე მის ნათელ კვალს.

მტკიცედ დაიხსომეთ შემდეგი: სადაც არ უნდა ვიყო, სასახლეში, მოედანზე თუ თეატრში, — გულს რომ არ მირევდეს ამ უხამს ადგილას ყოფნა, — თქვენის მხრივ, სავსებით მართებული იქნება ტაშისკვრითა და აღტაცების შეძახილებით მომესალმოთ, რადგან ამნაირ მისალმებას კეთილმოწყალედ იღებდნენ თვით ალექსანდრე მაკედონელიცა და იულიუს კეისარიც, — ღვთის-

სწორი გვირგვინოსანნი, რომელთა დიდებაც ჩვეულებრივ მოკვდავთა დიდებას როდი ჰგავდა.

მაგრამ თუ ტაძარში შემაჯალს მიხილავთ, სულ სხვანაირი ქცევა გმართებთ. მე მოვიტხოვ, რომ მაშინ თქვენ სდუმდეთ, ან თავჩაქინდრულსა და მიწის მიმართ მზირალ იულიანეს კი არ ესალმებოდეთ, არამედ უკვდავ ღმერთებს. იმედი მაქვს, ასე მოიქცევით, უწინარეს ყოვლისა, იმ დიადი და ყოვლისმძლე ღვთაების წინაშე, რომელსაც მეფე-მზის სახელს ეუწოდებთ, და რომლის დიდებაც კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენს თვალში, თუ გაეიხსენებთ, რომ ჩვენი მეფე-მზე იგივე ღვთაებაა, რომელსაც აღმოსავლელი ხალხები მითრას სახელით ადიდებენ... ასე და ამრიგად, თუ მეტი აღარაფერი გაქვთ სათქმელი...

მღვდელი (კართან, სწორდება). სახელითა უფლისათა!

იულიანე. ვინ არის?

მღვდელი. მსახური უფლისა და კეისრისა!

იულიანე. მომიახლოვდი. რა გნებავს?

მღვდელი. მიემართო შენს გულს, შენს სინიდისს.

იულიანე (წაპოიკრება) ვისი ხმა მესმის? ამას ვის ვხედავ? ამ წვერისა და ანაფორის მიუხედავად... გრიგოლ!

მღვდელი. დიახ, მბრძანებლო!

იულიანე (დაბლა ჩამოდის, ხელს ჩასკიდებს გრიგოლს და ერთხანს უსიტყვოდ მისჩერება). ცოტა არ იყოს, მოტეხილხარ, დასრულებულხარ... თუმცა, არა... ერთი შეხედვით მომეჩვენა... ახლა კი ვხედავ ისევ ის გრიგოლი ხარ!

გრიგოლი. ნეტა შემეძლოს შენზედაც იგივე ვთქვა, ხელმწიფევ!

იულიანე. ათენი. უძილო ღამეები თალბქვეშ. ჩემს გულს შენზე ძვირფასი არავინ ჰყავდა.

გრიგოლი. შენს გულს?.. ეჰ, ხელმწიფეო, ჩემზე უკეთესი მეგობარი ამოიგდე გულიდან.

იულიანე. ბასილს გულისხმობ?

გრიგოლი. მე ვგულისხმობ იმას, ვისი ფეხთა მტკვარიცა ვართ მეც და ბასილიც!

იულიანე (იღუშება). აა, აი, თურმე რის სათქმელად მოსულხარ!.. თანაც, ამ სამოსით...

გრიგოლი. მე როდი ამირჩევია ეს სამოსი, ხელმწიფევ!

იულიანე. მაშ, ვინ?

გრიგოლი. იმან, ვინც კეისარზე უმაღლესია და უზენაესი.

იულიანე. ო, ეს გალილეველთა სიშლეგე! თუ ჩვენი მეგობრობა გწამს, მოეშვი ამას.

გრიგოლი. მაშ, ნება მიბოძე, მოგახსენო, თუ რატომ გავხლი ეკლესიის მსახური; ეკლესიისა, რომელსაც შენ სდევნი.

იულიანე (ცოვად შეხედავს გრიგოლს). ვლევნი?... (კვლავ იკავებს თავის ადგილს) განაგრძე!

გრიგოლი. კარგად მოგეხსენება, როგორ ვუყურებდი და რანაირად აღვიქვამდი ღვთაებრივ საგნებს იმ კეთილსახსოვარ დროს, როცა ერთად ვსწავლობდით ათენში. მაგრამ მაშინ მე ჯერ კიდევ შორს ვიყავი იმ აზრისაგან, რომ სამუდამოდ მექცია ზურგი ამქვეყნიურ სიამეთათვის. თამამად შემიძლია ვთქვა, არც პატივმოყვარე ვყოფილვარ და არც სიმდიდრეს დახარბებულნი, მაგრამ მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ჩემი სული და თვალი ხარბად არ მიელტვოდა იმ მშვენიერებას და ბრწყინვალეობას, რასაც მივლენდა ბერძნული მეცნიერებისა და ხელოვნების დიდებული სამყარო. ბრყვეული უთანხმოებანი და ყოვლად უბადრუკი საბაბით გამოწვეული განხეთქილებანი, რომლებიც არყევდნენ და ძირს უთხრიდნენ ჩვენს ეკლესიას, ღრმად ამწუხრებდნენ ჩემს გულს, მაგრამ პირადად არავითარ მონაწილეობას არ ვლებულობდი მათში. მე მხოლოდ საერო ასპარეზზე ვემსახურებოდი ჩემს თანამოქალაქეებს, ეს იყო და ეს.

მაგრამ უცებ კონსტანტინოპოლიდან მოვიდა ამბავი: კონსტანციუსმა იულიანეს შიშით სული უფალს მიაბარა და თავის მემკვიდრედაც სწორედ ის დატოვაო. შენ ნამდვილ ზეაკად გთვლიდნენ. შენი ბრწყინვალე გამარჯვებების ამბავი წინ გისწრებდა გალიისა და გერმანიის გმირს და ისე დაიკავე დიდი კონსტანტინეს ტახტი, რომ ხმალიც კი არ გიშიშვლებია. მთელი ქვეყანა სასოებით შემოგყურებდა.

მერე კი ახალი ამბავი მოვიდა. მიწიერი მეუფე ზეციერს აუშხედრდა...

იულიანე. როგორ მიბედავ, გრიგოლ?!

გრიგოლი. დიახ, ხორცის მეუფე აუშხედრდა სულის მეუფეს... აი, მე შენს წინაშე ვლგავარ: ჩემი ხორცი ძრწის და ცახცახებს, მაგრამ არ შემიძლია ტყუილის თქმა. ინებებ სიმართლის მოსმენას თუ ხმა გავკმიდო?

იულიანე. განაგრძე, გრიგოლ!

გრიგოლი. რამდენი უბედურება დაატყდა თავს ჩემს თანამორწმუნეებს ამ რამდენიმე თვის მანძილზე! რამდენი სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი, რამდენი კაცი განუკითხავად დასჯილი! სახელმწიფო მდივანი გაუდენციუსი... ეგვიპტის ყოფილი მეფისნაცვალი არტემიოსი... ორივე ტრიბუნი-რომანოზი და ვინცენციუსი...

- იულიანე.** შენ არ იცნობ არც ერთი მათგანის საქმეს. გეუბნები, მართლმსაჯულების ქალღმერთი ცრემლებად დაიღვრებოდა, ეს გამყიდველები ცოცხალი რომ დარჩენილიყვნენ.
- გრიგოლი.** დაეუშვათ, რომ მართლაც ასეა, იმპერატორო. მაგრამ მე გეტყვი, რომ ამ სასიკვდილო განაჩენთა შორის გამოტანილი იქნა ერთი ისეთიც, რომელსაც არასოდეს მოგიტყვებს მართლმსაჯულების ქალღმერთი! ურსულუსის განაჩენზე მოგახსენებ! ეს კაცი შენი მეგობარი იყო განსაცდლის მძიმე დღეებში; არად აგდებდა საფრთხეს და ფულით გამარაგებდა გალიაში. ურსულუსის მთელი დანაშაული ეს გახლდა — ქრისტიანული სარწმუნოება და გულწრფელობა...
- იულიანე.** აა!.. შენი ძმის კესარიოსის სიტყვებს იმეორებ!
- გრიგოლი.** მე დამსაჯე, მბრძანებელო, მაგრამ შეიწყალე ჩემი ძმა!
- იულიანე.** შენ კარგად იცი, რომ არაფერი გემუქრება, გრიგოლ! ისე კი, გეთანხმები, რომ ნევიტამ მეტისმეტი სიმკაცრე და სისასტიკე გამოიჩინა...
- გრიგოლი.** ო, ეს ბარბაროსი, ბერძნული ნიღბით ამაოდ რომ ცდილობს თავისი წარმომავლობის მიჩქმალვას!..
- იულიანე.** ნევიტა გულმოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობას; ეს ერთი კაცი კი ყველაფერს ხომ ვერ გაეწელები, ყველაფერს პირადად ხომ ვერ შევამოწმებ?.. გულწრფელად დაესტორი ურსულუსის დაღუპვას და ეწუხვარ, რომ არც დრომ და არც გარემოებამ საშუალება არ მომცა, პირადად განმეხილა მისი საქმე. უთუოდ შევიწყალებდი, გრიგოლ!.. მე გადაეწყვიტე, მთლიანად დავუბრუნო მის მემკვიდრეებს ყველაფერი, რაც ურსულუსს დარჩა...
- გრიგოლი.** ჩვენო მბრძანებელო, რა ვალდებული ხარ შენი მოქმედების ანგარიშს მამარებდე? მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ამ ხმებმა თავზარი დასცეს კესარეას, ნაზიანზსა და კაპადოკიის დანარჩენ ქალაქებსაც. როგორ გადმოგცე, რანაირი ზემოქმედება მოახდინა ყოველივე ამან? მთელი ჩვენი შინაგანი უთანხმოება დაცხრა, შულღმა და დავამ უკან დაიხია თავს დატეხილი საერთო განსაცდლის წინაშე. ბევრი მერყევი წვერი საერთოდ ჩამოსცილდა ჩვენს ეკლესიას, მაგრამ დღემდე თითქოს გულგრილად განწყობილ ბევრ სულშიაც არნახული ძალითა და ელვარებით გაბრწყინდა უფლის ნათელი. წარმართებმა... დიახ, ჩემო იმპერატორო, იმათ, ვისაც მე წარმართებს ვეძახი, თავი აიშვეს, გვემუქრებინ, შეურაცხვეყოფენ, გვდეენიან...
- იულიანე.** ნაცვლისგება... ნაცვლისგება, გრიგოლ!

გრიგოლი. მე სულაც არ ვაპირებ დავიცვა ის, რაც თავიანთი მეტისმეტი გულმოდგინების შედეგად ჩაიდინეს ჩემმა თანამორწმუნეებმა. მაგრამ შენ, ესოდენ განათლებულმა კაცმა, შენ, მთელი ქვეყნის მუფვე და მბრძანებელმა, არ უნდა დაუშვა, რომ ცოცხლებს აზღვევინებდნენ მიცვალებულთა ცოდვებს. მაგრამ სწორედ ასე მოხდა კაადოკიაში. ქრისტიანობის მტირერიცხოვანმა მტრებმა, სიმდიდრის მოხვეკისა და ახალი ხელისუფლების წინაშე თავის გამოჩენის სურვილით ანთებულებმა, აშალეს და აამტუტეს როგორც ქალაქები, ისე სასოფლო თემებიც.

არ მინდა თავი შეგაწყინო იმ საზარელ ძალადობათა აღწერით, რომელთა მსხვერპლნიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხდებით, და არც სამართლის დარღვევისა თუ კანონიერი ქონების ხელყოფის შემთხვევათა ჩამოთვლით, რომელთა რიცხვიც წარმოუდგენელი სისწრაფით მატულობს ამ ბოლო დროს. მეც და ჩვენი ძმობის ღირსეულ წევრთაც ყველაზე მეტად გვაძწუხრებს ის საფრთხე, რაც ემუქრება სულს. ბევრი ჭერ კიდევ ვერ დამკვიდრებულა მტკიცედ რწმენის წიაღში; ბევრს ჭერ კიდევ არ შესწევს იმისი ძალა, რომ ზურგი აქციოს ამქვეყნიურ სიკეთეთა ხიბლს. სასტიკმა დევნამ, რასაც განიცდის უკლებლივ ყველა, ვისაც ქრისტიანის სახელი ჰქვია, უკვე გამოიწვია ქეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომის არა ერთი და ორი შემთხვევა. ეს აშკარა ძარცვაა, ხელმწიფეო, სულების მოტაცება ღვთის საუფლოდან!

იულიანე. ო. ჩემო ბრძენო გრიგოლ. შენგან არ მიკვირს? განა როგორც ქეშმარიტ გალილეველს. პირიქით, არ უნდა გიხაროდეს ის, რომ თქვენი ძმობა თავიდან იშორებს აშნაირ ხალხს?

გრიგოლი. მე სხვა აზრისა ვარ, მოწყალეო იმპერატორო. მე თვითონ გამომიცდია ეს, თვითონვე ვიყავი გულგრილად განწყობილი სარწმუნოების მიმართ და თვითეულ მათგანს ისე ვუყურებ, როგორც ავადმყოფს, რომელიც ჭერ კიდევ შეიძლება განიკურნოს, სანამ ეკლესიის წიაღში რჩება. ასევე ფიქრობს ჩვენი პატარა სამწყსოც ნაზიანზში. დამწუხრებული დები და ძმები ერთად შეიკრიბნენ, რათა მოეთათბირებინათ, რითი ეშველათ ამ უბედურებისათვის. ჩვენ შემოგვიერთდნენ კესარიისა და სხვა ქალაქების ეკლესიათაგან წარმოგზავნილნიც. მამაჩემი მოხუცია და — როგორც თვითონვე აღიარებს ღიმი მწუხარებით, — არ გააჩნია სულის ის ურყევი სიმტკიცე, რასაც ამ ძნელბედობის ჟამს ვითარება მოითხოვს მისგან, ვისაც უჭირავს ეპისკოპოსის ადგილი. სწორედ მაშინ დაადგინა სათათბირომ ახალგაზრდა

მორწმუნე აერჩიათ მის თანაშემწედ. რომელიც უკეთ მიხე-
დავდა უფლის სამწყსოს. არჩევანი ჩემზე შეჩერდა.

იულიანე. ა!..

გრიგოლი. თვითონ მე იმხანად ქალაქში არ ვიყავი, საქმეზე
გახლდით წასული. და, აი, მამაჩემმა დაუსწრებლად, ისე, რომ
ჩემი თანხმობაც არ უკითხავს, მღვდლად მაკურთხა და
სამღვდლო შესამოსელიც გამომიგზავნა...

ნაზიანზიდან გამოგზავნილმა მაცნებმა ტიბერენეში
— ჩემს მამულში ჩამომისწრეს. სადაც რამდენიმე დღე
გავატარე ჩემს ძმასთან კესარიოსთან და ჩემი სიყრმის
მეგობართან — ბასილი კესარიელთან ერთად.

ღმერთო ჩემო, სასიკვდილო განაჩენიც კი ვერ გამა-
ოგნებდა და შემადრწუნებდა ამ ამბავზე უფრო მეტად.

მღვდლად გაკურთხესო?! კიდევ მინდოდა და არც
მინდოდა ეს. ვალად მედო და ვერ გამებედა. მე ვებრძოდი
უფალს, როგორც ებრძოდა მას პატრიარქი ძველი აღთქმისა.
არ ვიცი, რა დამემართა პირველ დამეს: მხოლოდ ის მახსოვს,
რომ მამლის ყვილამდე პირისპირ ვესაუბრებოდი ჭვარცმულს.
და მე დავემორჩილე მის ნებას.

იულიანე. სიშლეგე, სიშლეგე! ვიცი, რა ფასიცა აქვს ამ თქვენს
ზმანებებს!

გრიგოლი. უკან დაბრუნებისას კესარეაში გამოვიარე. ო, რა
გაუბედურებული დამიხვდა იქაურობა! ქალაქი სავსე იყო
ახლომახლო სოფლებიდან გამოქცეულთა ბრბოებით, რომ-
ლებსაც თავიანთი სახლ-კარი მიეტოვებინათ, ვინაიდან ამ
ზაფხულს არნახულმა გვალვამ მთლიანად გადაბუგა პუ-
რის ყანები, გაახმო ვენახები და ზეთისხილის ქალები. და,
აი, დამშეულმა სოფლელებმა, შიმშილით სიკვდილისაგან
რომ გადაერჩინათ თავი, შემწეობის სათხოვნად მოაშურეს
მათზე არანაკლებ დამშეულ მოქალაქეებს. ქალები, კაცები,
ბავშვები შიშველ მიწაზე ეყარნენ სახლების ძირას,
კედლებისა და გალავნების გასწვრივ. ციებ-ცხელება
უხუთავდათ სხეულს, მუცლის გვრემით იკრუნხებოდნენ
მშიერ-მწყურვალნი. რა შემწეობა უნდა აღმოეჩინა მათ-
თვის კესარეას, თავადაც გაუბედურებულსა და გაღატა-
კებულ ქალაქს. სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაზვინუ-
ლიყო ორი წლის წინათ განადგურებული მიწისძვრის
შედეგად დაქცეულ ნაგებობათა ნანგრევები? და თითქოს
მთელი ეს უბედურება — სულისშემხუთველი სიცხე,
გვალვა, გამუდმებული მიწისძვრები საკმარისი არ იყო,
დღედაღამ უნდა გვეცქირა, როგორ სწირავდნენ ურწმუნ-

ნონი სისხლიან მსხვერპლს თავიანთ ღმერთებს. მდინარეებად დიოდა სამსხვერპლო ზეარაკის სისხლი, ხოლო ოინბაზები და მეძავეები შლეგური როკვით დაჰქროდნენ და თავიანთი ღრიანცელით აყრუებდნენ ქალაქის ქუჩებს.

ხელმწიფეო... რა გასაკვირია, რომ სასტიკ განსაცდელში ჩაცენილი და თავსდატეხილი უბედურებით შეძრწუნებულნი ჩემი ერთმორწმუნე ძმების თვალში ეს იყო ნამდვილი ღეთის რისხვა, ჩვენს დასასჯელად მოვლენილი იმის გამო, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვითმენდით ჩვენ შორის საშინელ ცრურწმენას, მთელი მისი ამაზრზენი გამოვლინებით...

იულიანე. მაინც რა გამოვლინებას გულისხმობ?

გრიგოლი. ცას უწევდა შეძრწუნებულ სულთა ყვირილი, ციებ-ციხელების მძვინვარებით სასიკვდილოდ განწირულთა გმინვა, წყველა-კრულვა, მოთქმა-გოდება. უბედურნი ერთხმად მოითხოვდნენ, რომ ქალაქის უხეცესთ აშკარად დაემოწმებინათ ქრისტესათვის თავიანთი რწმენა და გულმოდგინება. მიწასთან გაესწორებინათ ის, რაც კესარეაში ჭერ კიდევ მოწმობდა წარმართობის ოდინდელ ძალმოსილებას.

იულიანე. იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ...

გრიგოლი. უხუცესებმა თათბირი მოიწვიეს, რომელსაც მეც ვესწრებოდი. როგორც მოგახსენება. მოწყალეო იმპერატორო, ყველა ტაძარი ქალაქის საკუთრებაა. მაშასადამე, მოქალაქეებს უფლება აქვთ, როგორც თვითონ მოეპრიანებათ, ისე მოექცნენ მას.

იულიანე. ასეც რომ იყოს. მერე რა?..

გრიგოლი. ამ ორი წლის წინათ, გამანადგურებელმა მიწისძვრამ ყველა ტაძარი დააქცია კესარეაში. გარდა ერთისა...

იულიანე. დიახ, დიახ, ფორტუნას ტაძარი გადარჩა.

გრიგოლი. თათბირზე, რომელზედაც მე მოგახსენებ. სამწყსომ გადაწყვიტა ბოლომდე მიეყვანა უფლის მსახვრალი მარჯვენის საქმე იმის დასტურად, რომ თავის თავს მთლიანად ანდობს მხოლოდ უფლის გულმოდგინებას და ამიერიდან აღარ შეიწყნარებს არავითარ საცთურს თავის წიაღში.

იულიანე (მრისხანებისაგან ჩაბრინწული ხმით). **გრიგოლ...** ჩემო ყოფილო მეგობარო... თავი ხომ არ მოგძულება?..

გრიგოლი. სამწყსომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც პირადად მე არ ვეთანხმები, მაგრამ რამელსაც ხმა მისცა თითქმის ყველამ. მაგრამ, რაკილა ვშიშობდით, რომ ამ ამბავს შეიძლება დამახინჯებული სახით მოეღწია შენს ყურამდე და, იქნებ, შენი რისხვაც გამოეწვია ქალაქის მიმართ, ამიტომ დავადგინეთ, კაცი გვეახლებინა შენთვის და მისი პირით

გვეცნობებინა. რანაირი გადაწყვეტილება მივიღეთ და რის ქმნას ვაპირებთ ახლა, ჩვენო ცათასწორო მბრძანებელო... ვერავეინ გაბედა ამ დავალების შესრულება, ამიტომ იძულებული გავხდი ისევ მე მეკისრა. აი, რატომ ვდგავარ აქ, შენს წინაშე ქედმოდრეკილი, და გაუწყებ, ჩემო ხელმწიფევ, რომ ჩვენ, კესარიელმა ქრისტიანებმა, გადავწყვიტეთ დავანგრიოთ და მიწასთან გავასწოროთ ტაძარი, რომელშიაც წარმართები მსხვერპლს სწირავდნენ და თაყვანს სცემდნენ ცრუ ღვთაებას, ფორტუნად სახელდებულს.

იულიანე (წამოიკრება). და მე... მე უნდა ვისმენდე ამას? აი, ხომ ხედავთ, გამოჩნდა კაცი, რომელიც ისევ გაკადნიერდა, რომ სახეში მომახალა მთელი ეს სიბილწე და უკეთურება!

კარისკაცები, რიტორები და პოეტები. ო, ჩვენო ღვთისმოსაყო იმპერატორო, ნუ მოითმენ ამ მკრეხელობას! დასაჯე ეს თავხელი!

ეკივოლიუსი. თავის ქკუაზე აღარაა, ჩემო ხელმწიფევ, გაუშვი, თავისი გზით წავიდეს; ხომ ხედავ გიყვივით აბრიალებს თვალებს.

იულიანე. მართლაცდა, გიყის მეტი ვინ გაბედავდა ამას? თუმცა ეს მეტია, ვინემ სიგიყე: დიდი ქალღმერთის სახელზე აგებული ტაძარი დავანგრიოთ?! კი მაგრამ, განა სწორედ ამ ქალღმერთის მოწყალებას არ ვუმაღლი ყველა ჩემს გამარჯვებას, რომლებზედაც განცვიფრებით ლაპარაკობენ თვით ქვეყნიერების დასალიერს მცხოვრები ხალხები? ამნაირი მკრეხელობის ნება რომ მიეცე ხალხს, გამარჯვებისა თუ წარმატების რალა იმედი უნდა მქონდეს? გრიგოლ, გიბრძანებ კესარეას დაბრუნდე და მოქალაქეებს აუწყო, რომ მე სასტიკად ვუკრძალავ მათ ამ უკეთურ საქმეს.

გრიგოლი. ეს შეუძლებელია, ჩემო ხელმწიფევ! საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩვენ ორ ცეცხლშუა ვიწვით; ერთის მხრივ, შიში ადამიანისა, მეორეს მხრივ კი — ღმრთის წინაშე. ასე რომ, ორში ერთი უნდა ვირჩიოთ, და ჩვენი არჩევანი ურყევი გახლავს, ხელმწიფევ.

იულიანე. მაშინ თქვენ საკუთარ თავზე იწვნევთ, სანამდის უწევს კეისრის ძალმოსილება!

გრიგოლი. კეისრის ძალმოსილება უსაზღვროა მიწიერ საქმეთა გადაწყვეტისას, და მე, ისევე როგორც სხვები, მთელის არსებით ვძრწი მის წინაშე!

იულიანე. მაშინ საქმით დამიმტკიცე!.. თქვენ, გალილეელებს, ჩემი დიდსულოვნების იმედი გაქვთ! კეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ფუჰია და ამაო ეგ თქვენი იმედი...

შემოსასულელიდან ხმაური ისმის; დალაქი ევნაპიოსი ჩამდენიშე მოქალაქის თანხლებით შემოვარდება ატრიუმში.

რა მოხდა? ეგ რა დაგმართნია, ევნაპიოს?

ევნაპიოსი. ნეტა თვალი დამვსებოდა და ეს არ მენახა!

იულიანე. მაინც რა?..

ევნაპიოსი. შემომხედე, ჩემო მოწყალეო იმპერატორო, მე მოვდი-
... შენთან ნაცემ-ნაგვემი, თავ-პირ დასისხლიანებული და
... ბედნიერი იმის შეგნებით, რომ პირველი მოვეუხმობ
შენს მეფურ რისხვას...

იულიანე. მითხარი, ვინ გცემა?

ევნაპიოსი. ნება მიბოძე, ხელმწიფეო, ჩემი საჩივარი მოგახსენო.
დღეს დილაუთენია ქალაქგარეთ გავედი იმ მიზნით, რომ
აფროდიტეს პატარა ტაძარს ვწვეოდი, რომელიც ამას
წინათ აღადგენინე. ტაძარს რომ მივეუახლოვდი, სიმღერისა
და საკრავების ხმა შემომესმა. ტაძრის წინ მომხიბლავ
ქალიშვილებს ფერხული ჩაებათ, ხოლო თვით ტაძარი
საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ბრბოთი იყო სავსე; ყვე-
ლანი მისჩერებოდნენ ქურუმებს, რომლებიც მსხვერპლს
სწირავდნენ შენი ბრძანებით.

იულიანე. დიახ, დიახ, მერე?

ევნაპიოსი. აზრის მოკრებაც ვერ მოვასწარი, რათა ამ მომხიბლავი
და ჩემთვის ყველაზე მეტად სათაყვანებელი ქალღმერთისაკენ
მიმეპყრო ფიქრი, რომ ტაძარში გააფთრებული კაბუკების
ბრბო შემოიქრა.

იულიანე. გალილეელები ხომ არ იყვნენ?..

ევნაპიოსი. დიახ, ხელმწიფეო, გალილეელები.

იულიანე. ა!..

ევნაპიოსი. მტრისას, ჩვენ რომ დღე დაგვაწიეს! ლანძღვა-გი-
ნებითა და ჭოხების ცემით დაფეთებული ქალიშვილები
წივილ-კივილით შემოცვივდნენ ტაძარში და — გვიშველეთო,
შემოგვტირეს. მაშინ გალილეელები ჩვენც დაგვერივნენ, ჭერ
უშვერი სიტყვებით გვაგინეს და მერე იმდენი გვირტყეს, რომ
სიგრძე სიგანედ გვიქციეს.

იულიანე (დაბლა ჩამოდის). დამაცათ! დამაცათ!

ევნაპიოსი. ჩვენი თავი კიდევ ჯანდაბას, მარტო ჩვენს ცემას რომ
დასჯერებოდნენ ეს არამზადები! დიახ, მოწყალეო ხელმწი-
ფეო... მოკლედ რომ ვთქვა, სამსხვერპლო გადააყირავეს,

ქალმერთის ქანდაკება ნამსხვრევებად აქციეს, ხოლო სამსხვერპლო ზეარაკის შიგანი ძალებს მიუგდეს სათქველად. იულიანე (გაცოფებული ბოლთასა სცემს). დამაყათ, მე თქვენ გიჩვენებთ!..

გრიგოლი. ჩემო ხელმწიფევ, მარტო ამ ერთი კაცის სიტყვას ნუ დაუჭერებ...

იულიანე. ჩუმაღ! (ვენაპიოსს). ერთი ავაზაკი მაინც ვერ იცანი? **ვენაპიოსი.** ვერა, მწყალობელო, მაგრამ, აი, ამ მოქალაქეებმა ზოგიერთი მათგანი იცნეს.

იულიანე. წაიყვანეთ ჭარისკაცები, შეიპყარით ყველა არამზადა, რამდენსაც მოიხელთებთ, და დილეგში ჩაყარეთ. დაქერილები დანარჩენებს გასთქვამენ, ხოლო როცა ყველას ხელში ჩავიგდება...

გრიგოლი. მაშინ რა, ჩემო ხელმწიფევ?..

იულიანე. ეგ ჭალათს ჰკითხე. შენცა და კესარიელი მოქალაქეებიც გაიგებთ მაშინ, რა დღე გელით, თუკი თქვენს ქრისტიანულ სიკერპეს არ მოიშლით და განზრახულზე ხელს არ აიღებთ. (გალმასებული გადის ხელმარცხნივ).

ვენაპიოსი და **მისი თანმხლებნი** ჭარისკაცებთან ერთად გადიან. **დანარჩენები** თანდათანობით იშლებიან.

ანტიოქიის ერთ-ერთი მოედანი. სიღრმეში, ხელმარცხნივ, მოედანს ქუჩა უერთდება, ხელმარცხნივ ვიწრო და ირიბი ჩიხი მოჩანს.

მოედანზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი, მეწვრილმანეები ხმაბლად იწვევენ მუშტრებს. ხალხი აქა-იქ ჭგუფ-ჭგუფად შექუჩებულა და გაცხარებით მსჯელობს რაღაცაზე.

ერთ-ერთი მოქალაქე. მამაზეციერო, შენ შეგვეწიე! როდის მოხდა ეს უბედურება?

მეორე მოქალაქე. დღეს დილით-მეთქი, განთიადისას.

მღებავი ფოკიონი (მარჯვენა ქუჩით ჩამოდის). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, განა ამას უბედურება ეთქმის? ეს ხომ აშკარა დანაშაულია, ყოველად თავხედური დანაშაული.

მეორე მოქალაქე. დიახ, დიახ, მართალს ბრძანებ, თავხედობაა, აბა, რა?

ფოკიონი. წარმოგიდგენიათ?.. ესე იგი, აფროდიტეს ტაძარს დაესხნენ თავს?.. დაუკვირდით, სწორედ იმ დროს, როცა თვით იმპერატორი ქალაქში იმყოფება!.. თანაც, მაინცდამაინც დღევანდელ დღეს...

მესამე მოქალაქე (მოსაუბრებს უახლოვდება). ერთი ეს მითხარით, კეთილშობილო უცხოელებო, რა ხდება აქ?..

ფოკიონი. ჰო, იმას გეუბნებოდი, რაღა მაინცდამაინც დღეს-მეთქი, როცა თვით ჩვენი ძღვევამოსილი მბრძანებელი აპირებს ქურუმს შეენაცვლოს და მსხვერპლი შესწიროს აპოლონს...

მესამე მოქალაქე. დიახ, დიახ, ეგ ვიცი, მაგრამ ქრისტიანებს რატომღა ჰყრიან დილეგში?

ფოკიონი. რაო, დილეგში ჰყრიანო? მართლა? უკვე დაიჭირეს?

უეცრად საშინელი კივილი შესძრავს იქაურობას.

სსუ... რა ამბავია?... აა, ღმერთმანი ქრისტიანები მოჰყავთ!

თმაგაწეწილი, სიმწრით შეშლილი დედაბერი სიბიბილთ გადმოსკრის მოედანს და ბრბოში გზის გააფუას ცდილობს. უკან ქალები მოსდევნენ და ამაოდ ცდილობენ შეაჩერონ.

დედაბერი. გამიშვით! მის მეტი ვინა მყავს? სიბერეში მაჩუქა ღმერთმა! გამიშვით, გამიშვით, ღმერთი არა გწამთ? მითხარით, ხალხო, სად შეიძლება იმპერატორის ნახვა?

ფოკიონი. რა საქმე გაქვს, დედი, იმპერატორთან?

დედაბერი. იქნება შვილი დამიბრუნოს! მიშველეთ! შვილო!.. ილარიონ! წამართვეს, მკერდიდან მომგლიჯეს! სახლში შემომივარდნენ და წაიყვანეს!

ერთ-ერთი მოქალაქე (ფოკიონს). ვინაა ეს ქალი?

ფოკიონი. პირველად ხედავ თუ რა?... ქვრივ პუბლიას ვინ არ იცნობს, მეფსალმუნეს?

მოქალაქე. აა, ჰო, მართლა!

პუბლია. შვილო, ილარიონ! რას გიპირებენ, რას?! ო, ფოკიონ! ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, ძლივს ერთი ქრისტიანი არა ვნახე?..

ფოკიონი. სსუ... ჩუმაღ! რა გაყვირებს? იმპერატორი მობრძანდება!

პუბლია. წყეულიმც იყოს ეს ჩვენი უღმერთო იმპერატორი! ღმერთი გვსჯის, ღმერთი, ჩვენი ცოდვებისათვის: შიმშილი მუსრს ავლებს ხალხს. ფეხქვეშ მიწა გვეცლება ცოდვილთ!

ქუჩიდან ხელმარჯვნივ შემოდის ჭარისკაცთა რაზმი.

რაზმის მეთაური. ჰეი, გზა, გზა! ჩამოგვეცალეთ!

პუბლია. წამომყე, ჩემო ძვირფასო ფოკიონ! ღვთის გულისათვის, მიშველე, დამეხმარე!

ფოკიონი. ხომ არ გაგიყდი, ქალო? ვინა ხარ? რა შენი ნაცნობი მნახე?

პუბლია. რაო, რა შენი ნაცნობი მნახეო? კი მაგრამ, ფოკიონი არა ხარ?

ფოკიონი. ფოკიონი არა!.. შენს კკუაზე ხარ? რას გადამეკიდე. ქალო? აკი გითხარი, არ გიცნობ-მეთქი? პირველად გხედავ... (თავს შერგავს ბრბოში).

ასისტანტი (ჩარისკაცებთან ერთად, ხელმარჯვნივ). გზა, გზა დაგვიცალეთ!

ჩარისკაცები სახლებისკენ მიერეკებიან ხალხს. პუბლიას გული მისდის, გარშემო მყოფი ქალები ხელში აიტაცებენ. ყველა დამაბული მოლოდინით მისჩერებია ქუჩას.

ფოკიონი (ბრბოში, ხელმარჯვნივ მდგარი ჩარისკაცების უკან). ვფიცავ მზის ღმერთს, აი, ისიც ჩვენი ძლევა მოსილი მბრძანებელი!

ერთ-ერთი ჩარისკაცი. ნელა, რას გვაწვებით?

ფოკიონი. ხედავთ, აგერ, იმ კაცს, შუბლზე თეთრი სახვევი რომ აქვს გაკრული? სწორედ ის გახლავთ იმპერატორი!

ერთი-ერთი მოქალაქე. აი, ის თეთრსამოსიანი?

ფოკიონი. დიახ, დიახ. სწორედ ის.

მოქალაქე. ასე თხემით ტერფამდე თეთრი ტანსაცმელი რატომ აცვია?

ფოკიონი. ალბათ. სიცხის გამო... თუმცა... არა. მოიცა... ჰო, მართლა, დღეს ქურუმის მაგივრობა უფრო გვიქვია.

მეორე მოქალაქე. ნუთუ თვითონ მისწირავს მსხვერპლს?

ფოკიონი. იმპერატორი იულიანე ყველაფერს თვითონ აკეთებს.

მესამე მოქალაქე. გარეგნულად განსვენებული იმპერატორი უფრო წარმოსადეგი იყო.

ფოკიონი. კი მაგრამ, მაინც... იულიანე არც ისე მაღალია, როგორც მისი წინამორბედი, სამაგიეროდ, ხელები აქვს უფრო გრძელი. ახლა გამოხედვას აღარ იკითხავთ? — ო, მეგობრებო! მაგრამ ამჯერად რას დაინახავთ? ისე მოწიწებით მოაბიჯებს, თავდახრილი და ქედმოდრეკილი. სიქველით და სათნოებით ხომ... დამერწმუნეთ! ქალებს ზედაც არ უყურებს! თამამად შემოძლია დავიფიცო, რომ თავისი მეუღლის სიკვდილის შემდეგ არც ისე ხშირად... ერთს კი გეტყვით: ღამეებს თეთრად ათენებს, — სულ წერს. ამიტომაცაა, რომ თითები ერთთავად მელანში აქვს ამოვლებული, კაი მღებავივით. რაღა ეგ და რაღა მე: მღებავი გახლავართ. დამერწმუნეთ, ბევრზე უკეთ ვიცნობ იმპერატორს. წარმოშობით აქაური ვარ, მაგრამ თხუთმეტი წელი კონსტანტინოპოლში გავატარე და მხოლოდ ახლახან...

ერთ-ერთი მოქალაქე. მართალია, რომ ამბობენ, იმპერატორი ჩვენს ქალაქში აპირებს დარჩენასო?

ფოკიონი. იმპერატორის დალაქი ჩემი ძმაცაცია, მან მითხრა, მართალიაო, ამ არამზადების თავხედობამ თუ არ გაა-
ცოფა...

მოქალაქე. ღმერთმა ნუ ქნას!

მეორე მოქალაქე. აქ თუ დარჩა, ჩვენთვისაც ხეირია.

ფოკიონი. მეც მაგისი იმედი მაქვს, ამიტომაც ავიკარი გუდა-ნაბადი და აქ გადმოვბარგდი. ახლა კი, ჩემო მეგობრებო, ვისაც როგორ შეგვიძლია, ცდას ნუ დავაკლებთ და თავი გამოვიჩინოთ, როცა იმპერატორი გვერდით ჩაგვივლის, რაც შეიძლება ხმამაღლა მივესალმოთ და ხოტბა შევასხათ მასაც და აპოლონსაც.

ერთ-ერთი მოქალაქე (მეორეს). თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ვინაა ეს აპოლონი, რომელზედაც ამ ბოლო ხანს ამდენს ლაპარაკობენ?

მეორე მოქალაქე. ვინაა და ის კორინთელი მღვდელი, რომელიც რწყაყდა იმას, რაც დარგო წმიდა პავლემ.

პირველი მოქალაქე. უყურე შენ! ჰო, თითქოს რაღაც ამგვარი მახსენდება...

ფოკიონი. როგორ გეკადრებათ? ეგ აპოლონი კი არ არის, არამედ სულ სხვა, — მეფე-მზე, ღვთაებრივი მელირე, დიადი აპოლონი!

მეორე მოქალაქე. აჰ, აი, თურმე რომელი აპოლონი ყოფილა! კეთილი, ეს არა სჯობია?

ფოკიონი. ჩემის აზრით... შეხედეთ, მოდის, ო, ჩვენო ღვთიკურ-თხეულო მბრძანებელო!

ხელმარჯნივ გამოჩნდება მსველობა, რომელსაც წინ ავლეტისტები და არფისტები მოუძღვიან, მათ მოსდევს ქურუმთუხუცესის სამოსით მოსილი და ქურუმებითა და ტაძრის მსახურებით გარშემორტყმული იმპერატორი იულიანე. სულ ბოლოს მოდიან კარისკაცები და სწავლულები, რომელთა შორისაა ეკივოლიუსიც. მსველობას უკან მოსდევს ხალხის ბზბო. ჭარისკაცები და ქალაქის მცველნი გრძელი ჯოხების ტრიალით გზას უთავისუფლებენ მომავალთ.

მოედანზე თავშეყრილი ბზბო. დიდება იმპერატორს! დიდება იულიანეს! ჩვენს მწყალობელს, სწორუპოვარ გმირს!

ფოკიონი. დიდება იულიანეს და მეფე-მზეს! დიდება აპოლონს! იულიანე ხელით ანიშნებს და მსველობა ჩერდება.

იულიანე. ანტიოქიელი მოქალაქენო! ასე სახელდახელოდ გამი-
კირდება იმის თქმა, თუ როგორ ახარებს ჩემს გულს ეს თქვენი ალტაცებული ყიჟინი, მოწონების შეძახილები და მოსალმება. ვინაიდან ჩემს გულს ჭეშმარიტად სწყუროდა ეს.

დაუმუცნებელი ჩავუდექი სათავეში ამ მსვლელობას, რომელიც სიხარულისა და სულის ზეობის მსვლელობა უნდა ყოფილიყო. დიახ, არ დაგიმალავთ, რომ ამ დილას ლამის დაეკარგე სულის ის წონანწორობა, რომელსაც ბედისწერის გამუღმებულ ტრიალსა და ცვალებადობაში უცვლელად უნდა ინარჩუნებდეს ფილოსოფოსის სული.

მაგრამ ვინ გაბედავს და დამემობს ამის გამო? თავად განსაჯეთ. რამდენ საზარელ რასმე იზრახავენ ზოგ-ზოგიერთნი, და დღეს სცადეს ხორციც კი შეესხათ თავიანთი განზრახვის-სათვის.

პუბლია. მბრძანებელო!..

ფოკიონი. ო, ჩვენო ღეთისმოსავო და მართლად გამრიგე იმპერატორო, დასაჯე ეს თავგასულნი!

პუბლია. მბრძანებელო, დამიბრუნე ჩემი ილარიონი!

ფოკიონი. ყველა ღირსეული მოქალაქე შეკლალადებს შენს მოწყალებას!

იულიანე. მოწყალება ღმერთებსა სთხოვეთ, მაშინ მოიხვეკთ ჩემს წყალობასაც! და განა სწორედ ანტიოქიას არ მართებს, ამ მხრივ, მაგალითი უჩვენოს ყველას? განა მეფე-მზემ გამორჩეული სიყვარულით არ შეიყვარა ეს ქალაქი? ჰკითხეთ იმ ხალხს, მთელი ქვეყანა რომ შემოუვლია, და დარწმუნდებით, რა შავადაა საქმე ზოგ ადგილას, რამდენი ძველ-თუძველესი ტაძრის დანგრევა მოასწრეს თავიანთი ცთომილებით ცნობამიხდილმა ქრისტიანებმა! მხოლოდ აქა-იქლა შემორჩა ოდინდელი დიდების ორიოდე უბადრუკი ნაშთი; ყველაზე დიდებული ტაძრები კი მიწასთან იქნა გასწორებული.

მაგრამ აქ, ანტიოქიელო მოქალაქენო?.. ღმერთმანი, თვალზე სიხარულის ცრემლი მომადგა, როცა პირველად ვიხილე ეს სწორუპოვარი ტაძარი, აპოლონის ღვთაებრივი სავანე და სახლი, რომლის შემყურესაც ის უფრო ხელთუქმნელი ეგონება, ვიდრე ადამიანის ხელით შექმნილი. განა შიგ კვლავინდებურად არა დგას სხივცისკროვანის უბადლო ქანდაკება. მთელი თავისი ოდინდელი სიდიადით და ბრწყინვალეებით? ფრჩხილის ჩამოტეხვაც, საკურთხევლის გადაყირავებაც კი ვერ გაუბედნიათ ბოროტმოქმედთ, არც ერთი ბზარი არ ატყვია ნატიფსა და ქათქათა სვეტებს.

როცა ამაზე ვფიქრობ... როცა ამ საკრავსა ვგარძნობ ჩემს შუბლზე... როცა დავხედავ ამ სამოსს, რომელიც ჩემთვის თვით პორფირზეც უფრო ძვირფასია, — უჩვე-

ულო ჟრუანტელი მივლის ტანში და მთელის არსებით
გვრძნობ ღვთაების სიახლოვეს.

შეხედეთ, შეხედეთ, ნათლის ჩქერალი გველვრება თავს,
უფლის ღიღებით და ძალმოსილებით!

დასტებით, — ჰაერი სავსეა უნაზეს გვირგვინთა
სურნელით! ჩვენო ღვთივკურთხეულო მიწავ: სიცოცხლისა
და სინათლის, სიხარულისა და ბედნიერების, სილამაზისა
და მშვენიერების ღიღო სავანევე, რაც იყავი, კვლავ იგივე
ხარ! მეფე-მზის ხვეენა-ალერსით მოთენთილი და დაბან-
გული! მითრა! მითრა!

წინ, მეგობრებო, წინ!

მსვლელობა გზას განაგრძობს ბრბოს ალტაცებულ ყივინში, მაგრამ ვიდრე
ჩიხში შეუხვევდეს, მოულოდნელი დაბრკოლების გამო ჩერდება, ვინაიდან მის
საპირისპიროდ მოემართება მეორე მსვლელობა.

იულიანე. რატომ შეეჩერდით?

ეკივოლიუსი. მოწყალეო ხელმწიფევე, ქუჩაში რაღაც უცნაური
ამბავი ხდება!

გუნდი (შორიდან).

დასტგუნეთ, მანო, სიკლილის შიში,
სულის გულისთვის ზორცის მძღველინი
მიწისთვის მოკლით, ზეცისთვის იშვით,
რომ დაიკვიდროთ სასუფეველი!

ფოკიონი. გალიეველები, ხელმწიფეო! დაუქერიათ!..

პუბლია. ილარიონ!

ფოკიონი. დაუქერიათ! ბორკილების ჩხარუნი მესმის!..

იულიანე. გვერდი ავექციოთ!..

ევნაპიოსი (აქოშინებული მოიკვლევს გზას ბრბოში). რა ბედი გვეწია,
ხელმწიფეო. რა ბედი!

იულიანე. ვინ არიან ეს უტიფარნი?..

ევნაპიოსი. ზოგიერთი აქაურია, მაგრამ, უმეტესწილად, როგორც
ამბობენ, კაპადოკიელები უნდა იყვნენ.

იულიანე. თვალთ არ დამანახოთ! წინ-მეთქი, მე ვბრძანე!

გუნდი (უფრო ახლოს).

მიწისთვის მოკლით, ზეცისთვის იშვით,
რომ დაიკვიდროთ სასუფეველი!

იულიანე. უგუნურები!.. ახლოს არ მომეკაროთ!.. რას უყურებენ
მცველები?

არეულ-დარეულობაში ორივე პროცესია ერთმანეთს შეეჯახება და აპოლონის
მსვლელობა იძულებულია შეჩერდეს, მაშინ როდესაც ბორკილდადებული და

მკვლევებით გარშემორტყმული ქრისტიანები კვლავ მიიწევენ წინ, უზარმაზარი ბრბოს თანხლებით.

პუბლია. შეილო! ილარიონ!

ილარიონი (ბორკილდადებულ ქრისტიანებს შორის). გიხაროდეს, დედი, გიხაროდეს!

იულიანე. რამ გაგაგიყათ, თქვე უბედურებო? როდესაც მესმის, რომ თვით სიგიჟე ლალადებს თქვენი პირით, ღმერთმანი, ექვი მეპარება, მაქვს თუ არა იმის უფლება, რომ დაგსაჯოთ!

ერთ-ერთი ქრისტიანი. განვედ, ნუ წაგვართმევ ეკლის გვირგვინს!

იულიანე. ვინაა ეს პადესის კერძი!

მკვლელთა რაჯმის მეთაური. აი, ეს, ხელმწიფეო! ამან დაიძახა! (ბორკილდადებული ქრისტიანების ბრბოიდან გამოათრევს ერთ ყმაწვილ-კაცს, რომელსაც პატარა ბიჭისთვის ჩაუქილია ხელი).

იულიანე (შეკვირებს). აგათონ!

აგათონი უსიტყვოდ უცქერის.

აგათონ! აგათონ! ხმა ამოიღე; აგათონი არა ხარ?

აგათონი. დიახ.

იულიანე. შენც ამათთანა ხარ! ამათთან?.. სთქვი!

აგათონი. მე შენ არ გიცნობ.

იულიანე. არ მიცნობ? არც ის იცი, ვინა ვარ?

აგათონი. მე ვიცი, რომ შენა ხარ მიწიერი მეუფე და ამიტომაც არა მსურს შენი ცნობა.

იულიანე. ეს ბიჭი?.. შენი უმცროსი ძმია? (მკვლელთა რაჯმის უფროსს). ეს კაცი უდანაშაულო უნდა იყოს.

ევნაპიოსი. ჩემო ხელმწიფევე, სწორედ ეს კაცია ამათი მეთაური. თვითონვე აღიარა და, შენ წარმოიდგინე, კიდევაც ამაყობდა თავისი ბოროტმოქმედებით.

იულიანე. აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს კაცი შიმშილმა, სნეულებამ, უბედურებამ! (ქრისტიანებს). მხოლოდ ერთ სიტყვასა გთხოვთ: სთქვით, რომ ნანობთ, და ნურათერის შიში ნულარ გექნებათ.

პუბლია (უყვირის). არ გაბედო, ილარიონ!

აგათონი. მტკიცედ დეგ, ძმაო!

პუბლია. წადი, წადი, მის წიალს მიჰმართე, ვინც მიგელის, ჩემო სიცოცხლევე, ჩემო ერთადერთო!

იულიანე. დანარჩენები მაინც დაფიქრდით!

აგათონი (ქრისტიანებს). ამოირჩიეთ: იესო თუ კეისარი?!

ქრისტიანები. დიდება უფალს მალალთა შინა!

იულიანე. რა საშინელია გალილეველის ეს დამთრგუნველი
ძალმოსილება! აუცილებლად უნდა იძლიოს! შორს ჩემგან
ეს უკეთურნი! ისინი წამლავენ სიხარულს, აბნელებენ
დღის ნათელს, თავიანთი მუდმივი კმუნვითა და სიკვდი-
ლის დაუოკებელი წყურვილით... მუსიკოსებო, მომღერ-
ლებო, ქალებო, კაცებო, ჩაახშეთ მათი ხმა! იმღერეთ,
იმღერეთ, ადიდეთ სიცოცხლე, სინათლე, სიხარული!

აპოლონის მსვლელობა (მღერის).

ო, რა ტბილია სახი სურნელი
ვარდის გვირგვინთა, ჩვეს შუბლს რომ კაცის!

ქრისტიანების გუნდი.

ტბილია ტარჯა განუჩრნელი
და სეტარება – სიკვდილი ზორცის!

აპოლონის მსვლელობა.

ო, რა ტბილია მზის მცხუნვარება,
ცით სიხარულის სხივთა მთოველი!

ქრისტიანების გუნდი.

ტბილია, ძმებო, ტარჯა-წაიებით
დაღვრილი სისხლის წვეთი ყოველი!

აპოლონის მსვლელობა.

ო, სეტარება, ღამე ილევა,
ჩვენ კი კვლავ სატრუოს ბაგეს ვაკვლებით!

ქრისტიანების გუნდი.

საკეთარ ხისხლში განძანილები
თოვლზედაც შეტად გეკსეტაკვებით!

ორივე პროცესია გვერდი-გვერდ ჩაუვლის ერთმანეთს. მოედანზე თავშეუკრი-
ლი ბრბო გაოგნებული აუოლებს თვალს ერთსაც და მეორესაც.

აპოლონის წმინდა ქალაქი. ხელმარცხნივ ხეებს შორის სვეტებიანი ტაძრის
ბჭე მოჩანს. შესასვლელს ფართო კიბეები მიუყვება. ქალაში დაფეთებული
გარბი-გამორბიან და საწყალობლად ყვირიან კაცები და ქალები. შორიდან სახეიმო
მუსიკის ხმა ისმის; მსვლელობა ახლოვდება.

ქალი. გვიშველეთ! გვიშველეთ! მიწა ისევ იძრა!

კაცი (თავზარდაცემული გარბის). ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას!

ქექა-ქუხილია თუ მიწა გუგუნებს ფეხქვეშ?

მეორე კაცი. ვითომ?... შენ გგონია მიწა იძრა?

ქალი. ვერ გაიგე? აგერ, ის ხე ისე შეირყა, გევონებოდა, საცაა
წაიქცევაო.

ხმები. ჩუმაღ! ჩუმაღ!

დანარჩენები. მიწისძვრა და ქექა-ქუხილი კი არა, ეტლი მოგრიალებს ქვებზე.

სხვები. დაფდაფებს სცემენ! მუსიკის ხმა არ გესმით? იმპერატორი მობრძანდება!

მარჯნიდან შემოდის აპოლონის პროცესია და მუსიკის ხმაზე ნახევარ წრედ ეწყობა ტაძრის წინ.

იულიანე (ტაძრისკენ ხელეგაწვდილი). ეს სასიკეთო ნიშანია... არასოდეს ასე უშუალოდ არ მიგრძენია ღმერთების სიახლოვე. თვით შორსმოდისარი აპოლონია ჩვენს შორის. მიწა ირყევა მის ფეხქვეშ, როგორც ოდესღაც ფეხს სცემდა და აზანზარებდა ილიონის ნაპირს.

მაგრამ ახლა ჩვენზე როდი მრისხანებს, შუბლშეკმუხვნილი, არამედ — იმ უკეთურთა მიმართ, რომელთაც სძულთ ისიცა და მისი მზიური საუფლოც.

ღიახ, როგორც ურყევი ქეშმარიტებაა ის, რომ არნახული ბედნიერებაცა და უბედურებაც მოკვდავთა მიმართ უკვდავ ღმერთთა კეთილგანწყობის უტყუარი საზომია, — ასევე აშკარაა განსხვავებაც ჩვენსა და გალილეველთა შორის.

სად არიან ახლა გალილეველნი? ზოგი ჭალათის ხელთაა, ზოგიც ვიწრო ქუჩებში მიმოიფანტა, შიშით თავზარდაცემული, გულვახეთქილი, ელდანაკრავი, შეძრწუნებული, ფერმიხდილი, სიკვდილივით გაფითრებული...

სადაა ვართ ჩვენ? აქ — დაფნეს ამ მომხიბლავ ქალაქში, სადაც დრიადების საამო სუნთქვა გვიგრილებს შუბლს და ლირის ღვთაებრივი ბგერები გვიტკობს სმენას... დიადი ღმერთის ხელთუქმნელი ტაძრის წინაშე... სინათლისა და სიხარულის სავანეში, ყოველგვარ საფრთხეს და განსაცდელს განრინებულნი, თვით უკვდავი ღვთაების გვერდით.

სადაა გალილეველთა ღმერთი? სადაა ხუროს ძე, სადაა ჭვარცმული იუდეველი? თუ ღმერთია, გამოგვეცხადოს!.. არა, ვერ გაბედავს!

ამიტომაც ჩვენი ვალია შევიდეთ ამ წმინდა ტაძარში. ჩემი ხელით აღვასრულებ მოვალეობას, რომელსაც არამეტუ უღირსად და უბადრუკად ვსახავ, არამედ ყველა სხვა მოვალეობაზე უმაღლესად და უპირატესად ვთვლი. (პროცესიის სათავეში ჩაზღვარი ბრბოში მიიკვლევს გზას და ტაძრისაკენ მიემართება).

ხმა (ბრბოიდან). შეჩერდი, შე უღმერთო!

იულიანე. ჩვენს შორის ვიღაც გალილეველია!

იგივე ხმა. ფეხი არ გადადგა, ღვთისაგან განდგომილო!

იულიანე. ვინ არის?

ხმა (ბრბოიდან). გალილეველი მღვდელია! უსინათლო ბერიკაცი!.. აი, ისიც!

ბრბოიდან ხელის კერით ავლებენ მღვდლის ანაფორიან უსინათლო ბერიკაცს, რომელსაც ორი ქაბუჯი ამოსდგომია მხარში; ქაბუჯებსაც ანაფორები აცვიათ.

იულიანე. ამას რას ვხედავ?.. მითხარი, ბერიკაცო, მარიოსი ხომ არა ხარ, ქალკედონელი ეპისკოპოსი?

ბერიკაცი. დიახ, დიახ, უღირსი მსახური ჩვენი ეკლესიისა.

იულიანე. უღირსიო, შენ ამბობ და მეც გეთანხმები. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ერთ-ერთი მათთაგანი ხარ, ვინც ყველაზე გულმოდგინედ თესავდა განხეთქილების თესლს თვით გალილეველთა შორის.

მარიოსი. მე ჩავიდინე ის, რაც კიდევ უფრო მთრგუნავს და სინანული სინიდისის ქენჭნასთან ერთად დღედაღამ მიღრღნის სულს! როდესაც ხელში აიღე ძალაუფლება და მე შევიტყვე, რასაც აპირებდი, ვნითუთქმელმა შიშმა შემიპყრო. მიხრწნილი, სიკვდილად მიწურვილი და უსინათლო ბერიკაცი ფიქრშიაც ვერ აღვუდგებოდი წინ ესოდენ ძლევაშობილ მბრძანებელს... და მე... ღმერთო, შემინდე ცოდვილს! -- უპატრონოდ მივატოვე სამწყსო, რომლის მწყემსადაც დამადგინა ჩემმა მეუფემ, უკანასკნელი სულმოკლესავით გავექეცი იმას, რაც დაღუპვას უქადდა თვით უფლის სამწყსოს, და აქ, სირიაში, ჩემს მამულს შევაფარე თავი.

იულიანე. დიახ, დიახ, ფრიად უცნაურია! შენ, ესოდენ სულმოკლე კაცი, რომელიც უწინ თვალისჩინივით უფრთხილდებოდი იმპერატორის წყალობას, ახლა ისე გაკადნიერდი, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოდიხარ და უგვან სიტყვასა მკადრებ.

მარიოსი. ახლა მე უკვე აღარ მეშინია შენი, და ჩემს გულში ერთპიროვნულად სუფევს მხოლოდ იესო ქრისტე. მორწმუნეთა დევნის დღეებში თითქოს ნათელი მოეფინა ჩემს სულს, და მე ვიხილე დიდება და სიდიადე ეკლესიისა. შენი ხელით დაღვრილი სისხლი, შენს მიერ ჩადენილი ბოროტება და ძალმომრეობა ზეცას შელალადებს და ცის თალით არეკლილი მძლავრ ექოსავით გუგუნებს ამ ჩემს სამიწე ყურებში და თვალდაშრეტლს ცხადად მიჩვენებს გზას, რომელსაც უნდა მივსდიო.

იულიანე. შინ წადი, ბერიკაცო, შინ!

მარიოსი. არსადაც არ წავალ, სანამ არ აღმოთქვამ, რომ უარს იტყვი შენს ეშმაკეულ განზრახვაზე! მაინც რას აპირებ! განა მტკერს ხელეწიფება წინ აღუდგეს სულს? განა მიწიერ მეუფეს შესწევს იმისი ძალა, რომ შემუსროს ცათა მეუფე? ნუთუ ვერ ხედავ, რომ დღე ღვთის რისხვისა მოიწია ჩვენზე შენი ცოდვების გამო? წყაროები შრება, როგორც სვედავისილის თვალი, საიდანაც უკვე გამოიწურა უკანასკნელი ცრემლი. ღრუბლები, ნაცვლად იმისა, რომ მოსავლის მანანას გვაწვიმებდნენ ციდან, ისე გადაგვივლიან თავს, რომ წვიმის წვეთსაც არ იმეტებენ ჩვენთვის. მიწა, დაწყევლილი შესაქმის გარიჟრაჟისას, ძრწის და ცახცახებს კეისრის ცოდვათა სიმძიმის ქვეშ!

იულიანე. რა წყალობას მოელი შენი ღმერთისგან ამ გულმოდგინების სანაცვლოდ, შე გამოჩერჩეტებულო ბერიკაცო? იქნებ გგონია, რომ შენი გალილეელი მოძღვარი, როგორც დღეთა მათ შინა, ამჟამადაც სასწაულს მოახდენს და მზერას დაგიბრუნებს?

მარიოსი. მე შემრჩა ის სულიერი თვალი, რაც საჭიროა ჩემთვის, და ვმადლობ უფალს, რომ დაშრიტა ჩემი ხორციელი თვალი და, ამრიგად, დამიხსნა იმ კაცის ხილვისგან, რომელიც კიდევ უფრო განუქვრეტელ უკუნეთში დაბორიალობს, ვიდრე მე.

იულიანე. გზა, გზა მომეციო!

მარიოსი. საით?

იულიანე. მეფე-მზის სავანეში!

მარიოსი. ფეხს ვერ შეადგამ! გიკრძალავ ერთი ღმერთის სახელით!

იულიანე. უ, შე ტეინნაღრძობო!.. მომაშორეთ!..

მარიოსი. მოდიო, ბორკილები დამადეთ! მაგრამ ვინც ამას გაბედავს, ხელები გაუხმება, იცოდეთ! უფალი რისხვისა მოვა მთელი თავისი ძალმოსილებით...

იულიანე. შენი ღმერთი უძლურია! მე გიჩვენებ, რომ კეისარი უფრო ძლიერია მასზე...

მარიოსი. სულწარწყმედილო!.. მე კი შეგაჩვენებ, ძეო განდგომილო ეკლესიისგან...

ეკივოლიუსი (ფერაბილი). ხელმწიფეო... იმპერატორო... ნუ მისცემ ამის ნებას!

მარიოსი (ხმაბალა). წყეულიმც იყავ, იულიანე განდგომილო! წყეულიმც იყავ, კეისარო იულიანე! უფალმა ღმერთმა გადმოგაფურთხა ბაგეთაგან თვისთა! წყეულიმც იყოს თვალი შენი და ხელი შენი! წყევლა თავსა შენსა და ყოველთა

საქმეთა შენთა ზედა! ანათება განდგომილს! ანათება! ანათება!..

ისმის ყრუ გუგუნი. ტაძრის სახურავი და სვეტები ირყევა და საზარელი გრიალით ჩამოიშლება; მთელი ნაგებობა მტკრის ღრუბლებში უჩინარდება. თავზარდაცემული ბრბო ყვირილით იხევს უკან, ზოგი გარბის, ზოგი მიწაზე ეცემა. შემდეგ ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. მტკერი თანდათანობით იფანტება და ხალხს თელწინ წარმოუდგება ტაძრის ნანგრევები.

მარიოსი (რომლის ორივე თანმხლები უკანმოუხედავად გაიქცა, ხმადაბლა ამბობს). უფალმა ღმერთმა მოგვაწვდინა თავისი ხმა.

იულიანე (ვაფითრებული ყრულ). არა, აპოლონმა მოგვაწვდინა ხმა, მისი ტაძარი შებილწული იყო და მანაც დაანგრია იგი.

მარიოსი. მე კი გეუბნები, ესაა უფალი, ვისი ნებითაც დანგრეული იქნა იერუსალემის ტაძარი.

იულიანე. თუ ასეა, მაშინ მე ბრძანებას გავცემ დაიხუროს გალილეველთა ყველა ეკლესია. მღვდლები კი მათრახებით მორეკონ ამ ტაძრის აღსადგენად.

მარიოსი. ერთი გაბედე და სცადე. მლილო! ვინ შესძლო, აღედგინა იერუსალემის ტაძარი, როცა გოლგოთის მთავარმა აღკვეთა მისი აღდგენა?

იულიანე. მე შევძლებ! მე — კეისარი! და თქვენ დარწმუნდებით, რომ ცრუ ყოფილა ეგ თქვენი ღმერთი! ქვას ქვაზე დავადებ და ისე აღვადგენ იერუსალემის ტაძარს, მთელი თავისი სიდიადით და ბრწყინვალეობით. როგორც სოლომონის დროს იყო.

მარიოსი. ვერ შესძლებ ქვის ქვაზე დადებას, რამეთუ დაწყველილია უფლის მიერ ტაძარი იგი!

იულიანე. მოითმინე. მოითმინე და დაინახავ, თუმცა დანახვის თავი სადა გაქვს, ყველას მიერ მიგდებულს და მიტოვებულს, უპატრონოსა და უმწეოს. ხელის ფათურით რომ მიიკვლევე გზას წყვლიადში და არც კი იცი. საით გადადგა ნაბიჯი.

მარიოსი. მე გზას მინათებს ელვა ცისა, რომელიც ოდესმე დაგლახერავს შენცა და შენს თანამდგომთაც. (ხელის ფათურით მიღის).

იულიანე ფერმიხდილ და შიშისაგან აცახცახებულ თანამდგომთა პატარა ჯგუფთან ერთად რჩება.

მესამე მოქმედება

ანტიოქია. ღია კარიბჭე. სვეტებითა და ქანდაკებებით; კარიბჭის წინ შადრევანია; ხელმარცხნივ, სვეტებს შორის, — საიმპერატორო სასახლის ფართო კიბე.

კარიბჭის ქვეშ, შადრევანთან, თავი მოუყრიათ კარისკაცებს, სოფისტებს, პოეტებსა და რიტორებს, მათ შორისაა იმპერატორის ექიმი ორიბასიოსი და პოეტი პერაკლიოსი. ფილოსოფოსების უმრავლესობას მოკლე, დახეული მოსასხამები მოუსხამს, თმა-წვერი ყველას გაბურძენული აქვს.

პერაკლიოსი. არა, ნამდვილად ველარ გავუძღებ ამნაირ ცხოვრებას; მზის ამოსვლას დაასწარი, ცივი შხაპი გადაივლე, მერე კი ქანცაწყვეტამდე ირბინე და ივარჯიშე...

ორიბასიოსი. ისე, კაცმა რომ თქვას, ყოველივე ეს ჯანმრთელობის საწინდარია.

პერაკლიოსი. ყოველდღე წყალმცენარეებისა და უმი თევზის კვამაც ჯანმრთელობის საწინდარია, არა?

ერთ-ერთი კარისკაცი. უჰ, რა სჯობია ახალი ხორცის კაი მსუყე ნაჭერს, ჩალადაჯს რომ აათლის ყასაბი და ჭერ კიდევ სისხლის ოხშივარი ასდის!..

პერაკლიოსი. ხორცი ამ კვირაში თვალითაც არ მინახავს, სამსხვერპლოზე მოშიშხინე ნაჭრების გარდა. ღმერთმანი მალე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ანტიოქიაში მხოლოდ ღმერთები მიირთმევენ ხორცს.

ორიბასიოსი. შენსას არ იშლი, პერაკლიოს?

პერაკლიოსი. რას ამბობ, ჩემო ძვირფასო! ღმერთმა დამიფაროს იმისგან, რომ იმპერატორის ბრძნული განკარგულება მასხრად ავიგდო. ზეცა იყოს მისი მფარველი! განა უკვდავ ღმერთებს არ მისდევს კვალში? რადგან, მითხარი, ღვთიური ძალნიც ხომ უჩვეულო ხელმომჭირნეობას იჩენენ თავიანთი მეურნეობის გაძღოლაში?

ერთ-ერთი კარისკაცი. ჰა-ჰა-ჰა! კისერს მოვიჭრი, თუ ტყუილი იყოს.

პერაკლიოსი. ავიღოთ თუნდაც კიბელე, უწინ ესოდენ ხელგამწილი და მფლანგველი ქალღმერთი, ვისი ქანდაკებაც იმპერატორმა ამას წინათ ამოათრია ნანგრევებიდან...

მეორე კარისკაცი. ნანგრევებიდან კი არა, სანეხვედან...

პერაკლიოსი. ადვილი შესაძლებელია... კიბელე ხომ უპირატესად ნაყოფიერების ქალღმერთია. მაგრამ ახლა — მე გეუბნებით, — აიღეთ ეს ჩვენი ღვთაება: ასი ძუძუ აქვს, მაგრამ არც ერთიდან არ მოწვეთავს არც რძე და არც თაფლი!

მის ირგვლივ შემოჭარული და ქლიკით გართული მსმენელები ვერ ამჩნევენ, რომ სასახლის კიბის საფეხურებზე ჩამოდის იმპერატორი იულიანე. მასაც დახეული მოსასხამი აქვს მოსხმული, წელზე თოკი შემოუქერია; თმა-წვერი გაბურძნეული აქვს, თითები — მელნით მოსვრილი. ორივე ილიაში პერგამენტების გრაგნილები და ქალღმერთი ამოუჩრია. იმპერატორი შორიახლო ჩერდება და ყურს უგდებს პერაკლიოსის უბედობას; სახეზე ეტყობა, რომ საშინლად ნაწყენია.

(განაგრძობს). დიახ, როგორც ჩანს, სამყაროს ამ მარჩენალს რძე გაუშრა... ძალაუნებურად იფიქრებ, რომ საერთოდ გადასცდა იმ ასაკს, როდესაც ქალი...

ერთ-ერთი კარისკაცი (თვალს მოჰკრავს იულიანეს). ფუჰ! გრცხვენოდეს, პერაკლიოს!

იულიანე ხელით ანიშნებს კარისკაცს, ჩუმად იყავო.

პერაკლიოსი. კარგი, მოვეშვათ კიბელეს. მაგრამ განა იგივე არ ითქმის დემეტრეზედაც? განა ისიც ფრიად სამწუხარო, მე ვიტყვოდი, იმპერატორისათვის ნიშნულ სიძუნწეს არ იჩენს? დიახ, დამერწმუნეთ, ჩვენ რომ უფრო მკიდრო ურთიერთობა გვქონდეს მალალ ოლიმპთან, არა ერთსა თუ ორ ამნაირ რამეს გავიგონებდით. შემიძლია დავიფიცო, ნექტარი და ამბროსია ისე ცოტა რიგდება იქ, რომ მტრისას! — მეტი აღარ იქნება. ო, დიდო ზევეს, ვინ იცის, ალბათ, როგორ დამქლევდი? ო, შე გიემაყო და დამთხვეულო დიონისე, რალა დარჩა შენი სქელი ბარძაყებისგან? ო, შე ავბორცო და უტიფარო აფროდიტე... ო, ქმრებისთვის რქების დამდგმელო, მძლეთამძლე არეს!..

იულიანე (განრისხებული). ო, ურცხვო პერაკლიოს! ო, ბილწო ბაგეებო! ო, მოწამლულო, ნაღველში ამონაწებო ენავ!

პერაკლიოსი. ოჰ, ჩემო მოწყალეო იმპერატორო!

იულიანე. ო, ყოველივე დიადისა და წმინდათა-წმინდის უტიფრად მგმობელო და მაგინებელო! ამას რას მოვესწარი? დადლილ-დაქანცული გამოვდივარ ჩემი წიგნთსაცავიდან, ცოტა სუფთა პაერი ჩავყლაპო-მეთქი და ბედი არ გინდა? პირველი, რაც ყურში ჩამესმის, ესაა შენი ბილწი ყიყინი! (უახლოვდება).

თუ იცი, რა მაქვს მარცხენა ილლიის ქვეშ?.. თუმცა რა გეცოდინება? ესაა ჩემი თხზულება, შენს წინააღმდეგ მომართული, ღვთისმგმობო ტაკიმასხარა პერაკლიოს!..

პერაკლიოსი. როგორ, მოწყალეო იმპერატორო?.. ჩემს წინააღმდეგ?

იულიანე. დიახ, დიახ, შენს წინააღმდეგ... წუხელ დავწერე, შენზე განრისხებულმა. ან კი როგორ არ უნდა განვრისხებულყავი: რა იყო, რამ გადაგრია გუშინ? რამდენი სისულელე წამორომე კათედრიდან, ჩემი და ვინ მოსთვლის კიდეც რამდენი დარბაისელი კაცის თანდასწრებით? მთელი სამი საათის განმავლობაში იძულებულნი ვიყავით შენი ბრიყვეული არაკები გვესმინა, რომლებითაც ასე უხვად გაგვიმასპინძლდი. როგორ გაბედე ამდენი მონაქორის გადმოლაგება? განა ყოველივე ეს, თავიდან ბოლომდე, მტკნარი სიცრუე არ არის?

პერაკლიოსი. აჰ, ჩემო ძვირფასო იმპერატორო, თუ შენ ამას სიცრუეს უწოდებ, მაშინ, როგორც ჩანს, ოვიდიუსი და ლუკიანეც ცრუობდნენ.

იულიანე. აბა, რა? ენა ვერ იტყვის, რა აღშფოთებამ შემიპყრო, როდესაც მივხვდი, რას უმიზნებდა შენი უხამსი სიტყვა. „წურაფერი გაგაკვირვებს, ადამიანო!“ მინდოდა წამომეძახა კომედიების მთხვეელის ეს სიტყვები, როცა შენ, დასასრულ, ნაცვლად იმისა, რომ მაღლი მოგეხსენებინა ღმერთებისათვის, ავი ძალღვივით ასტეხე ყეფა და ერთმანეთზე დაახვავე შენი უმწეო და უნდილი ლათაიები. თანაც, ფორმას აღარ იკითხავ? -- მტრისას!.. დიახ, შენი ლექსი ღმერთს არ უქნია, პერაკლიოს... სწორედ ამას ვამტკიცებ ჩემს თხზულებაში.

ერთი სული მქონდა ავმდგარიყავი და გარეთ გავსულიყავი, როცა კომიკოსი მსახიობივით თითქოს თეატრის სცენაზე სათამაშოდ გამოიყვანე თვით დიონისე და ის სწორუპოვარი, უკვდავი გმირი, ვისი სახელიც გქვია შენ — უღირსს, მაგრამ თუ თავს მოვერიე და დავრჩი, გარწმუნებ, არა იმდენად პოეტის, რამდენადაც მსმენელების გულისთვის, თუ შეიძლება ეს სახელი ეწოდოს მათ. უპირატესად კი თვით ჩემივე გულისთვის გავწირე თავი. წამოვსულიყავი და მე შენ გეტყვი, მასხრად არ ამიგლებდნენ: აუქშიეს და დამფრთხალი მტრედვივით გაფრინდაო. ამიტომაც აღშფოთება არ შევიმჩინე და ჩემთვის ჩუმაღ ვიპეორებდი ჰომეროსის ლექსს:

ღაცხერი გულო! უარესიცი მოგიომინია,
მამ, მოითმინე ისიც, რომ დღეს გაცოფებუდი
ქოფაჟი უიწუხ უკვლავ ღმერთთა ზეტარ სავანეს.

დიახ, როგორც ჩანს, ესეც და ამაზე მეტიც უნდა მოვითმინო. რას იზამ. დროა ასეთი! აბა, მიჩვენე ის ბედნიერი, ვინც შესძლო ამ ჩვენს რკინის საუკუნეში შეუბილწავად შეენახა თავისი თვალი და ყური.

ორიბასიოსი. გვეედრები, ჩემო მბრძანებელო, ნუ ლელავ ასე. იქნებ იმან მაინც განუგეშოს, რომ ჩვენ ყველანი აღშფოთებით ვისმენდით ამ კაცის უგვან სიტყვებს.

იულიანე. სტყუი! კარგად შევნიშნე, ბევრ მსმენელს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა სახეზე, რომელიც ოდნავადაც არ გამოხატავდა აღშფოთებას, როცა ეს უტიფარი ტაკიმასხარა წარმოუდგენელ უხამსობას წამოაყრანტალებდა და ისე თავმომწონედ გადახედავდა თავის მსმენელებს, თითქოს დიდად საქები რამ ჩაედინოს.

ჰერაკლიოსი. აჰ, რა უბედური ვარ, ჩემო მბრძანებელო...

იულიანე. ალბათ, რადგან ეს სულაც არაა სახუმარო საქმე... განა ძველისძველი თქმულებები ღმერთების შესახებ რაღაც დიადისა და ამალღებულის წვდომას არ ისახავდნენ მიზნად? განა იმისთვის არ იყვნენ შექმნილნი, რომ ძალდაუტანებლად, თითქოს თამაშ-თამაშით შეეყვანათ ადამიანის სული იმ იღუმალ სავანეში, სადაც მბრძანებლობს უზენაესი მეუფე, და, ამრიგად, მასთან შესარწყმელად შეემზადებინათ იგი? არადა, რა აზრი ჰქონდა ყოველივე ამას? განა სწორედ ეს მიზანი არ ამოძრავებდათ პოეტებს ამნაირ თქმულებათა თხზვისას, და განა პლატონიცა და, მის კვალდაკვალ, სხვებიც ამავე მიზნით არ იმეორებდნენ, ან, უფრო სწორად, ავსებდნენ და ამრავალფეროვნებდნენ მათ? თუკი ამ მიზანს გამოვრიცხავთ, ზემოხსენებული თქმულებები მხოლოდ ბავშვებისა და ბარბაროსების გასართობად თუ გამოდგება, და ისიც საკითხავია, მართლა გამოდგება თუ არა! მაგრამ გუშინ შენს წინაშე განა ბავშვები და ბარბაროსები იყვნენ? როგორ გაბედე და ისე მელაპარაკე, თითქოს ბავშვი ვყოფილიყავი? ან, იქნებ, გგონია, ბრძენი გახდი და უფლება მოიპოვე, ბრძენივით თამამად და თავისუფლად ილაპარაკო, მხოლოდ იმიტომ, რომ დახეული მოსასხამი მოგივლია მხრებზე და ხელში გლახაკის ჯოხი გიკვირავს?

ერთ-ერთი კარისკაცი. ო, რა დიდებულად ბრძანე, ჩემო იმპერატორო! დიახ, დიახ! ესეც არ კმარა, რაღაც ახალია საჭირო.

იულიანე. მართლა? მაინც რა? იქნებ თმები მოვუშვათ და ფრჩხილების წმენდას თავი ვანებოთ? ო, პირმოთნე კლეონ! გიცნობთ, გიცნობთ, რა შეილებიცა ბრძანდებით! მოხარშულებს გიცნობთ!.. აი, აჰ, ამ ჩემს თხზულებაში თქვენი ნამდვილი სახელით მყავხართ გამოყვანილი... თუმცა, მოდით, თვითონვე მოისმინეთ... (ქალღებში იქექება).

ამ დროს მარჯვენა მხრიდან შემოდის რიტორი ლიბანიოსი. ძვირფასი ჯახსაცმელი აცვია და ქედმაღლურად უპირავს თავი.

ორიბასიოსი (ჩუმაღ, ლიბანიოსს). რა ბედნიერებაა, რომ მოხვედრი, სწორედ სულზე მოგვისწარი, ღრმად პატივცემულო ლიბანიოს!

იულიანე (კვლავ ქალღმერთში იქექება). სად ჭანდაბაში წავიღე? ლიბანიოსი (ორიბასიოსს). ბედნიერება, მეგობარო?..

ორიბასიოსი. იმპერატორი გაცოფებულია, იქნებ შენმა მოსვლამ გული მოუღბოს.

იულიანე. ჰო, აი, ვნახე! (ბუზღუნით). რა უნდა ამ კაცს?

ორიბასიოსი. ხელმწიფეო, ეს...

იულიანე. კარგი, კარგი! აი, მოისმინეთ და დარწმუნდებით, გიცნობთ თუ არა. სვედავისილ გალილეველებს შორის ბევრი შლეგია, რომლებიც მონანულებს უწოდებენ თავიანთ თავს. ისინი ხელაღებით უარყოფენ ყველა მიწიერ სიკეთეს. გულგრილნი არიან ამქვეყნიურ სიაშეთა მიმართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უდიდეს პატივს მოითხოვენ ყველა ბრყვიისგან, რომლებიც წმინდანებად თვლიან და თითქმის აღმერთებენ მათ. თქვენც ამ მონანულთ ჰგავხართ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე არაფერსაც არ გაძლევთ. რადგან არც ისე სულელი ვარ, როგორც მათი მალმერთებლნი. დიახ, ამ მხრივ, შეუვალი სიკერპე რომ არ გამოემჩინა, თქვენი თავხედობით სულ მალე აატლახიანებდით სასახლის ყველა კარს. თუმცა ისედაც ატლახიანებთ. რომც ავმდგარიყავი და, ერთ მშვენიერ დღეს, ყველანი გამეყარეთ, განა ბევრი თქვენგანი ისევ უკან არ მობრუნდებოდა? ო, ჩემო მეგობრებო, რა მოსდევს შედეგად ამას? განა თქვენ ფილოსოფოსები ხართ? განა შეიძლება დიოგენეს მიმდევრებად იწოდებოდეთ, თუმცაღა სამოსით და ზნე-ჩვეულებებით კი ჰბაძავთ მას? ქეშმარიტად, გაცილებით უფრო იშვიათად გხედავენ მსმენელთა წინაშე, ვიდრე ჩემი ხაზინადარის კართან. განა თქვენი წყალობით თვით ღეთაებრივი სიბრძნე უბადრუკ და სასაცილო საგნად არ იქცა? ო, თქვე პირმოთენო, უვიცო ყბედნო და მოლაყბენო! ო, თქვე... რა უნდა ამ ქოსმენს?

ორიბასიოსი. მეუფეო, ეს ქალაქის უხუცესი გახლავს...

იულიანე. დაიცადოს! ის, რაზედაც აქ ვმსჯელობთ, ყველა დანარჩენ საქმეზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ან, იქნებ, თქვენ სხვა აზრისა ხართ? მაგრამ ეს კაცი ისე წრიალებს... რამე სერიოზული საქმე გაქვს?

ლიბანიოსი. ისეთი არაფერი, ხელმწიფეო, მე შემიძლია სხვა დროსაც მოვიდე (წასვლას აპირებს).

ორიბასიოსი. ხელმწიფეო, ნუთუ ვერა სცნობ ამ კეთილშობილ კაცს? ეს ხომ მკვევრმეტყველების მასწავლებელი ლიბანიოსია?

იულიანე. როგორ? ლიბანიოსი? შეუძლებელია. ლიბანიოსს... სწორუპოვარ ლიბანიოსს რა უნდა აქ? ვერა, ვერ დავიჭერებ.

ლიბანიოსი. მე მეგონა, იმპერატორმა იცოდა, რომ ანტიოქიელებმა თავიანთი ქალაქის უხუცესთა საბჭოს შესვეურად დამნიშნეს.

იულიანე. რასაკვირველია, ვიცოდი. მაგრამ როცა ანტიოქიაში ჩამოვედი და ქალაქის უხუცესნი მისასალმებელი სიტყვებით შემეგებნენ, მე ამაოდ დავეძებდი მათ შორის ლიბანიოსს. ლიბანიოსი არსად ჩანდა.

ლიბანიოსი. იმპერატორს სურვილი არ გამოუთქვამს ამ შეხვედრისას რიტორ ლიბანიოსისთვისაც მოესმინა.

იულიანე. რიტორ ლიბანიოსს უნდა სცოდნოდა, რა შეიძლებოდა ესურვა იმპერატორს ამ შემთხვევაში.

ლიბანიოსი. ლიბანიოსმა არ იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შედეგად ესოდენ ხანგრძლივ განშორებას. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ უფრო მართებული იქნებოდა ბრბოში ჩამდგარიყო, სადაც მას არცთუ უჩინო ადგილი ექირა, მაგრამ იმპერატორმა არ ინება თავისი მზერა შეეჩერებინა მასზე.

იულიანე. მაგრამ, მე მგონია, მეორე დღეს მაინც უნდა მიგელო ჩემი წერილი.

ლიბანიოსი. დიახ, პრისკუსმა, შენმა ახალმა მეგობარმა გადმომცა.

იულიანე. და მიუხედავად ამისა... ან, იქნებ, სწორედ ამის გამო... არ იკადრე ჩემთან მობრძანება?

ლიბანიოსი. თავის ტკივილმა და გადაუდებელმა საქმეებმა...

იულიანე. ეჰ, ლიბანიოს, იყო დრო, როცა ასე არ უფრთხილდებოდი თავს.

ლიბანიოსი. მე მივდივარ იმასთან, ვინც მიწვევს; ძალით არავის მოვახვევ თავს. ვეგც არ იყოს, რა უფლება მაქვს გზაზე გადაველობო იმპერატორისათვის ესოდენ ძვირფას მაქსიმეს?

იულიანე. მაქსიმეს ფეხი არ დაუდგამს სასახლეში.

ლიბანიოსი. გასაგებია. მაქსიმეს თავისი სასახლე აქვს, რომელიც იმპერატორმა აჩუქა.

იულიანე. ო. ჩემო ლიბანიოს, კი მაგრამ, შენ ხომ ჩემი გული გაჩუქე? მაქსიმეს სასახლისა რა უნდა გშურდეს?

ლიბანიოსი. მე არავისი არა მშურს, მათ შორის, არც ჩემი თანამოძმეების — თემისტოისის და მამერტინუსისა, რომლებიც წყალობით აავსე. არც ეკივოლიუსის მიმართ განვიციდი შურს, ვისი სიმდიდრეც შენი ძვირფასი საჩუქრებით გააათკეცე. პირიქით, მიხარია კიდევ, რომ ერთადერთი კაცი ვარ, ვისთვისაც შენ არაფერი გიჩუქებია. რადგანაც მშვენივრად მესმის ამის მიზეზი. იმპერატორს სურს, რომ მისი იმპერიის ქალაქები არაფრის ნაკლებობას არ განიცდიდნენ, მით უმეტეს, — მკვერმეტყველებისას, რადგანაც კარგად აქვს შეგნებული, რომ უპირატესად სწორედ ამით განვსხვავდებით ბარბაროსებისაგან. და, აი, მას შეეშინდა, ვაითუ ზოგ-ზოგის მსგავსად ჩემს ხელობაზე ამელო ხელი, თუკი მათსავით არ მომაკლებდა თავის წყალობას. იმპერატორმა ამჯობინა, მისი ყოფილი მასწავლებელი უწინდებურად ღარიბ-ღატაკი დარჩენილიყო, რათა მით უფრო ერთგულად მიჰყოლოდა თავის ხელობას. აი, რითი ვხსნი შენს საქციელს ჩემს მიმართ, რაც ასე აკვირვებს ჩვენს ზოგიერთ ნაცნობს, რომელთა სახელებიც მირჩევნია აქ არ ვახსენო. ცხადია, თუ არაფერს იმეტებ ჩემთვის, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ. შენ გინდა, რაც შეიძლება ნაკლები ფული მქონდეს, რათა მით უფრო მდიდარი ვიყო სიტყვის ნიჭით.

იულიანე. ე. ჩემო ლიბანიოს, მეც მივხვდი იმის მიზეზს, თუ რატომ მაყურყუტა აქ. ანტიოქიაში, ჩემმა ძველმა მასწავლებელმა რამდენიმე თვე ისე, რომ ერთხელაც არ გამიხსენა. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა, რომ სამსახური, რომელიც მისმა ყოფილმა მოწაფემ გაუწია ღმერთებს, სახელმწიფოსა თუ მეცნიერებას, ჯერ კიდევ არ კმარა საიმისოდ, რომ იმ კაცის ქება დაიმსახუროს, ვინც მკვერმეტყველების მოძღვართა მეფედ აღიარეს თანამედროვეებმა. ლიბანიოსმა, ალბათ, იფიქრა, რომ ესოდენ უმნიშვნელო ღვაწლის ქებას გაცილებით უფრო მდარე რიტორიც გაართმევს თავს. მე მგონია, არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ლიბანიოსმა თავი აარიდა ამას: ის ჩემს სულიერ წონასწორობას უფროთხილდებოდა. დიახ, შენ, ალბათ, გეშინოდა, შერცხვენილი არ გეხილა შენი იმპერატორი, სიამაყით თავბრუდასხმული და ვაგლახად მობარბაცე იმ კაცის მსგავსად, რომელიც ხარბად ეწაფება მწვანე ყლორტებით გარშემოწნულ ღვინის ფილას, — რაც ყოველ მიზეზს გარეშე ასეც იქნებოდა. თუკი სულ მცირე ნაწილს მაინც მიძღვნიდი შენი ღვთაებრივი ხელოვნებისა, რომლითაც ასე აღფრთოვანებულია მთელი

საბერძნეთი და. ამრიგად, უკვდავ ღმერთებამდე ამამალლებდი შენი ფასდაუდებელი მსხვერპლის წყალობით.

ლიბანიოსი. ო, ჩემო იმპერატორო, რა მათქვამინებდა, რომ ჩემს სიტყვას ასეთი ძალა აქვს?

იულიანე. ვითომ არასოდეს გიფიქრია, ჩემო უებრო მეგობარო? წადი, თვალთ არ დამენახო, ძალიან გულმოსული ვარ შენზე, ლიბანიოს! მაგრამ ეს მეგობრის გულისწყრომაა მეგობრის მიმართ.

ლიბანიოსი. მართლა? ო, ჩემო გვირგვინოსანო ძმაო! ნება მიბოძე, გულახდილად მოგახსენო: მას შემდეგ, რაც აქ ჩამოხვედი, ერთი დღეც არ გასულა ისე, რომ თავბედი არ მეწყევლოს ამ ჩემი დამლუპველი სიკვრპის გამო, რომელიც ნებას არ მრთავდა, პირველი ნაბიჯი სწორედ მე გადმომეღდა შენკენ. ჩემმა მეგობრებმა, არცთუ სრულიად უსაფუძვლოდ, მაგრძნობინეს, რომ შენ იმ მიზნით დაადექი ამსიგრძე გზას, რათა დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ გეხილე და ჩემთვის მოგესმინა. მაგრამ თვით იულიანემ რომ არაფერი შემატყობინა?.. რა მექნა? პირფერობა დამეწყო იმპერატორის წინაშე, ვისი სახითაც მე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანი მიყვარდა?

იულიანე (ეხვევა და ჰკოცნის). ჩემო ლიბანიოს!

ლიბანიოსი (იულიანეს ჰკოცნის). ო, ჩემო ძმაო და მეგობარო!

ორიბასიოსი. ვერ იტყვი, რომელი რომელს სჯობიხართ!

კარისკაცები (ტაშს უკრავენ). რა დიდებული და ამალეღვებელი სანახაობაა!

იულიანე. ო, ლიბანიოს, ჩემო ბოროტო მეგობარო... რა გულმა მოგცა, რომ ამდენ ხანს არ მალირსე ეს სანეტარო წამი? მთელი დღეებისა და თვეების მანძილზე ამაოდ გელოდი, და ჩემი შუბლი ამ დროს სკვითური წყვლიადით იყო მოცული.

ლიბანიოსი. შენ კიდევ რა გიჭირდა, მე ვიყავი ცოდვა; რაც არ უნდა იყოს, ხალხი მაინც გეხვია გარს, ვისთანაც შეგეძლო შენს საბრალო მეგობარზე გელაპარაკა.

იულიანე. ნუ იტყვი მაგას. მე მხოლოდ ისლა მანუგეშებდა, რომ კმუნვით აღესილი ვიმეორებდი შენს სახელს და ჩემად გიხმობდი: ო, ლიბანიოს, ლიბანიოს!

ლიბანიოსი. ხოლო იმ დროს, როცა შენ ამაოდ უხმობდი ცარიელ სივრცეს, მე ოთხ კედელშუა გამოკეტილი ველაპარაკებოდი საკუთარ თავს. დღის უმეტეს ნაწილს საწოლში ვატარებდი და შენზე ვფიქრობდი, ნეტა ახლა რას აკეთებს-მეთქი... ხან რას წარმოვიდგენდი და ხან რას. უწინ კი ასე არ იყო, ვფიქრობდი მე. უწინ იულიანე მისმენდა-მეთქი.

იულიანე. და მაინც ამდენ ხანს არ მალირსე შენი ხილვა? აბა, შემომხედე, როგორ დაებერდი.

ლიბანიოსი. კი მაგრამ, განა მე შენზე ნაკლებად შევიცვალე? აკი ერთბაშად ველარც მიცანი.

იულიანე. ეს შეხვედრა ნამდვილი აბაზანა იყო ჩვენთვის, საიდანაც ორივენი განკურნებული ამოვდივართ.

ხელახლა გადაეხვევიან ერთმანეთს.

ახლა კი, ჩემო ძვირფასო, მითხარი, რამ მოგიყვანა აქ, ექვიც არ მეპარება, რომ რალაც გადაუდებელი საქმე უნდა გქონდეს.

ლიბანიოსი. თუ არ ჩავთვლით შენს მონატრებას, — მართალს ბრძანებ! ო, ნეტა სხვა ვინმე გხლებოდა ამნაირი დავალებით. მაგრამ ის მალალი თანამდებობა, რომელზედაც მოქალაქეთა ერთსულოვანმა ნება-სურვილმა გამამწესა, მავალდებულებს, უყოყმანოდ ვიტვირთო ყველაფერი, რასაც ისინი მომანდობენ გადასაწყვეტად.

იულიანე. მითხარი, ჩემო ლიბანიოს, რით შემიძლია გემსახურო?

ლიბანიოსი. მაშინ, ნება მიბოძე, დავიწყო იმით, რომ ანტიოქიელი მოქალაქენი, რომლებსაც აშკარად აღარა სწყალობ, ღრმა მწუხარებამ მოიცვა.

იულიანე. კმ!..

ლიბანიოსი. ამ მწუხარებას ზედ დაერთო შიში და ძრწოლა მას აქეთ, რაც თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა ალექსანდრე, ქალაქის ახალი პრეფექტი.

იულიანე. აა, აი, თურმე რა ყოფილა!

ლიბანიოსი. არ დაგიმალავ, ყველასათვის მოულოდნელი იყო ამნაირი კაცის ასეთი აღზევება. აქამდე ალექსანდრეს მხოლოდ უმნიშვნელო თანამდებობები ეკავა, მაგრამ ისე როდი ასრულებდა თავის დანიშნულებას, რომ მოქალაქეთა სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა.

იულიანე. ვიცი, ვიცი, ლიბანიოს!

ლიბანიოსი. ალექსანდრე თავხედი და უტიფარი კაცია და არავეითარ ანგარიშს არ უწევს მართლმსაჯულებას.

იულიანე. ვიცი, ყველაფერი ვიცი. ალექსანდრე უზრდელი კაცია, ტლანქი, უკმეხი, გაუთლელი, მკვერმეტყველებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... არაფრით არ დაუმსახურებია ამნაირი აღზევება. მაგრამ გადაეცი ანტიოქიელებს, რომ მათ დაიმსახურეს ალექსანდრე. ღმერთმანი, უფრო უარესსაც იმსახურებენ ეგ უკეთურნი!

ლიბანიოსი. მაშ, მართალი ყოფილა ის, რისი შიშიცა გვექონდა: ეს სასჯელია!

იულიანე. მომისმინე. ლიბანიოს! აქ ჩამოსვლისას სულითა და გულით ვენდობოდი ანტიოქიელ მოქალაქეებს. ანტიოქია, რომელიც გამოჩვეულთ შეიყვარა მეფე-მზემ და თავის სავანედ აქცია, უნდა დამხმარებოდა, რომ გამომესწორებინა მთელი ის უსამართლობა და უმადურება. რასაც ამდენ ხანს ითმენდნენ უკვდავი ღმერთები. მერე, თქვენ როგორღა შემხედით? ზოგი უჩვეულო სიკერპით, ზოგიც გულგრილად. რამდენჯერ შეურაცხმყევს, რამდენჯერ გული მატკინეს, რამდენი უბედურება დამატეხეს თავს! განა კვლავინდებურად არ დაძრწის ქალაქში კაპადოკიიდან ჩამოთრეული გრიგოლ ნაზიანზელი და თავისი ღირფი სიტყვებით აშფოთებს უმეყარ გალილეველებს? განა მათ შორის არ გამოტყვრა ერთი ვილაც პოეტი... აპოლინარიოსი, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს გალილეველთა ცთომილებას და თავისი შლეგური ფსალმუნებით ქკუაზე შლის ხალხს?!

ახლა იმას აღარ იკითხავ. რა ამბები მომდის სხვა ქალაქებიდან? აღასრულეს თუ არა თავიანთი მუქარა კესარიელებმა? დაანგრის თუ არა ფორტუნას დიდებული ტაძარი? ვაი სირცხვილო და თავის მოქრავ! სად იყვნენ ამ დროს ქალღმერთის თავყვანისმცემელნი? წინ აღუდგნენ თუ არა მკრეხელთა თავგასულობას? არა, ლიბანიოს, თითიცი არ გაუნძრევიათ, ისე დაანგრევინეს მთელი ტაძარი. თუმცა კი მართებდათ თავი დაედოთ ღვთაების გულისთვის.

მაგრამ დამაცადონ! კესარიელ გალილეველებს სისხლით ვაზღვევინებ თავიანთ უკეთურობას; როგორც კი მოვიცილი, ცეცხლს მივცემ ქალაქს.

ლიბანიოსი. მბრძანებლო და მეგობარო... თუ ნებას მომცემ...

იულიანე. ჯერ მე მიბოძე ნება. დიახ. შენგან მოველი პასუხს, შემძლია ამის ატანა? მითხარი, შეუძლია თუ არა ჩემსავით ღვთისმოსავ კაცს, უდრტვინველად დაითმინოს ღვთიურ ძალთა შეურაცხყოფა, რომელნიც მფარველობას არ მაკლებდნენ და მხარში მედგნენ ყოველ საქმეში? მაგრამ რა ვიღონო, რა გზას დავადგე? განა თეთრად არ ვათენებდი ღამეებს და ვწერდი, რათა გამექარწყლებინა ეს საბედისწერო ცთომილება? დიახ, მე ვწერდი ლიბანიოს, ვწერდი იმდენხანს, რომ თვალები მისისხლიანდებოდა უძილობისგან და მეღ-

ნით შავად შეღებილი თითები მიხევედებოდა. კი მაგრამ, როგორ გგონია, რა გამოვიდა აქედან? ერთადერთი ჭილღო, რაც მე მხვდა წილად, ესაა მწარე დაცივნა, არა მარტო გალილეველთა, არამედ იმათი მხრიდანაც, რომელნიც, მათივე მტკიცებით, ჩემს შეხედულებებს იზიარებენ. და ყოველივე ამას ისიც აგვირგვინებს, რომ დღეს აქ, ჩემს წინაშე გხედავ, იმ მოქალაქეთა თავმდებად წარმოგზავნილს, რომელნიც ალექსანდრეს უჩივიან, თუმცა ამ უკანასკნელზე ის მაინც შეიძლება ითქვას, რომ ძალ-ღონეს არ ზოგავს გალილეველთა ასალაგმავად.

ლიბანიოსი. ო, ჩემო ცის თალამდე ამაღლებულო მეგობარო, სწორედ ეგ გვაძლევს ჩივილის საბაბს.

იულიანე. შენ უნდა მეუბნებოდე ამას, შენ?

ლიბანიოსი. ჩემი ნებით როდი მოვსულვარ მოქალაქეთა დავალების შესასრულებლად. თათბირზე თავდაუზოგავად ვარწმუნებდი ხალხს, სხვა ვინმე ამოერჩიათ ქალაქის ყველაზე ღირსეულ მოქალაქეთაგან, რითაც აშკარად ვაგრძნობინებდი მათ, რომ თავს ვარიდებდი არჩევას. მაგრამ, მთელი ჩემი მცდელობის მიუხედავად, არჩევანი მაინც ჩემზე შეჩერდა, მაშინ როდესაც...

იულიანე. კარგი, კარგი. მაგრამ რალა მაინცდამაინც შენგან უნდა ვისმენდე ყოველივე ამას, ლიბანიოს?

ლიბანიოსი. ვევედრები ჩემს გვირგვინოსან ძმას, ანგარიში გაუწიოს იმას, რომ მე ამ ქალაქის სახელით ვლაპარაკობ. რაც შემეხება პირადად მე, თუ ერთი კაცი მაინც თაყვანსა სცემს უკვდავ ღმერთებს, მეორე მე ვარ. რა იქნებოდა მქვერმეტყველების ხელოვნება ღმერთებისადმი მიძღვნილი თქმულებების გარეშე, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვიტოვეს ძველმა პოეტებმა? განა ამ თქმულებებს იმ კეთილშობილ ლითონს არ უნდა ვაღარებდეთ, საიდანაც თავის ხელოვნებაში გაწაფულ რიტორს შეუძლია თავისთვის საჭურველიც გამოსქედოს და სამკაულიც, თუკი, რა თქმა უნდა, დაიმორჩილებს და სათანადოდ გამოიყენებს მასალას? ან რაოდენ მდარე და მტკნარი მოგვეჩვენებოდა ჩვენი სიბრძნისმეტყველების წესები, მთლიანად მოკლებულნი რომ იყვნენ ზებუნებრივი სინამდვილიდან ნასესხებ ხატოვან მეტაფორებს და შედარებებს.

მაგრამ მითხარი, ჩემო მეგობარო, ნუთუ იმედი გაქვს, რომ ამ შეხედულებას შეიძლება ბრბოც იზიარებდეს, მით უმეტეს, იმ დაწყვეტილ საუკუნეში, როგორიც ეს ჩვენი

საუკუნეა? ყველა ყველა და. გარწმუნებ, ანტიოქიაში ამის იმედი არ უნდა გქონდეს. აქაური მოქალაქეები — გალილე-ველებიცა და უფრო განათლებულნიც — აქამდე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ გვერდი-გვერდ და რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ სარწმუნოებათა სხვაობას. ძნელად თუ მოიძებნება მთელ ქალაქში თუნდაც ერთი ისეთი ოჯახი, სადაც სხვადასხვა თვალსაზრისით არ უყურებდნენ სარწმუნოებრივ საკითხებს. მაგრამ ამ უკანასკნელ თვეებამდე ზემოაღნიშნულ გარემოებას ხელი არ შეუშლია მოქალაქეთა კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის.

ახლა კი ერთ სარწმუნოებას აშკარად უპირისპირებენ მეორეს. თვით სისხლით ნათესავეებს შორისაც კი განხეუქილებამ იჩინა თავი. ამას წინათ, ერთმა მოქალაქემ, ვისი სახელიც მირჩევნია აქ არ ვახსენო. თავის შვილს მემკვიდრეობა წაართვა იმის გამო, რომ ყმაწვილი კაცი გალილეველთა ძმობიდან გამოვიდა. საზოგადოებრივი და საქმიანი ცხოვრება დიდ ზიანს განიცდის ამის შედეგად. რაც განსაკუთრებით საგრძნობია ამჟამად. როცა ყველაფერი ასე გაძვირდა და შიმშილობა კარზეა მომდგარი.

იულიანე. კმარა. კმარა... საკმარისზე მეტიცაა, ლიბანიოს! დამდგარხართ და სიძვირეს უჩივით! მაგრამ ერთი ეს მითხარით. ასეთი ფუფუნება თუ გინახავს ოდესმე? განა ცირკი ხალხით არ ივსება ყოველთვის. როგორც კი ხმა გავარდება, აფრიკიდან ახალი ლომი ჩამოჰყავთო? ხოლო როცა წინა კვირას სურსათის საოცარი სიძვირის გამო უსაქმურებისა და მაწანწალების ქალაქიდან გაძევებაზე მიდგა საქმე, განა ხალხმა ერთი დღე არ დააწია, ათლეტები და მოცეკვავეები გამორიცხეთო? უიმათოდ, თურმე ნუ იტყვი, შეუძლებელია გაძლება!

ეპ. ჩვენი სიშლეგისა და დამთხვეულობის შემყურე ღმერთებმა დროა, სულაც აგვალონ ხელი! ამ ქალაქში უამრავი სოფისტია, მაგრამ სადაა სიბრძნე? რატომ არ მოსდევენ ჩემს კვალს? რატომ ჩერდებიან სოკრატეზე? რატომ არ მიდიან ცოტა უფრო წინ და არ მისდევენ დიოგენეს, ანდა, თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა ამისი თქმა, რატომ არ მომდევენ მე, რაკილა ბედნიერებისაკენ მივიძღვით? განა სწორედ ბედნიერება არ არის ყოველგვარი სიბრძნის მიზანი? ხოლო რა არის ბედნიერება, თუ არა ის, რომ შენს მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს შეუწონო შენივე სურვილები? განა არწივი ოქროს ფრთებს ითხოვს? ან ვერცხლის კლანკებს? განა ბროწეულის ხე იმაზე ოცნებობს.

ნეტა პატიოსან თვლებს ვისხამდეთ? მე გეუბნებით, არც ერთ კაცს არა აქვს განცხრომისა და ტკობის უფლება, სანამ არ დაამტკიცებს, რომ საკმაოდ გამობრძმედილია საიმიხოდ, რათა უარი თქვას მათზე. დიახ, კაცი ვერ უნდა ბედავდეს მწყურვალე ბაგეებით დაეწაფოს ტკობის ფიალას, სანამ არ იგრძნობს, რომ შეუძლია ყოველ წამს ძირს დააგდოს, ფეხი დაჰკრას და დაამსხერიოს იგი!

ქეშმარიტად, ჯერ კიდევ ძალზე შორსაა ეს დრო! მაგრამ მე ძალღონეს არ დაეზოგავ, რათა ცოტათი მაინც მოვაახლოვო იგი. ამ მიზნის მისაღწევად ზურგს შევაქცევ ყველა სხვა მიზანს, თუმცა არც ისინი არიან უმნიშვნელონი. ჩემი შეტევით შეშინებული სპარსეთის მეფე ზავს მთავაზობს. ვფიქრობ დავთანხმდე, რათა ხელები გახსნილი მქონდეს თქვენს გასანათლებლად და ზნეობრივ სრულქმნილებაში საწვრთნელად. უკეთურნო! რაც შეეხება დანარჩენს, იცოდეთ, არაფერი არ შეიცვლება. ალექსანდრე თავის ადგილზე დარჩება. ეცადეთ შეეწყოთ და შეეგუოთ.

მაგრამ, ჩემო ძვირფასო ლიბანიოს, არ მინდა ხალხს ვათქმევინო, თითქოს გულნაკლული ვაგიშვი...

ლიბანიოსი. ო, ჩემო იმპერატორო...

იულიანე. შენ, ცოტა არ იყოს, ყვედრებით შემახსენე, რომ წყალობით ავაესე თემისტოისი და მამერტინუსი. მაგრამ განა ბევრი რამეც არ დაეკარგვინე ამით? თუნდაც, ის, რომ საშუალება აღარა აქვთ ყოველდღე მხედავდნენ! შენ კი გაცილებით უფრო გულუხვად დაგასაჩუქრებ.

ლიბანიოსი. რას ამბობ, ჩემო ცათასწორო ძმაო?

იულიანე. მე არ ვაპირებ ოქრო-ვერცხლით ავაესო. ასე უგუნურად მხოლოდ პირველ ხანებში ვიქცეოდი, სანამ არ დავინახე, რომ ხალხი ისე მეხვევა გარს, როგორც წყურვილით გახელებული მომკვლელები ცივსა და ანკარა წყაროს, ხელის კვრით რომ იცილებენ ერთმანეთს გზიდან და ხარბად იწვდიან ცარიელ პეშვებს. თანაც, თითოეული მათგანი ცდილობს, პირველმა აივსოს და გაილიციციოს ისინი. მას აქვთ ჭკუას მოვეგეთ-თამამად. შემიძლია განვაცხადო. რომ სიბრძნის ქალღმერთის შემწეობა არ დამკლებია იმ საქმეში, რომელიც ჩვენი ქალაქის კეთილდღეობას ისახავდა და ისახავს მიზნად.

ლიბანიოსი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

იულიანე. ამიტომაც მე შენ განდობ, ო, ჩემო ძვირფასო ლიბანიოს, ჩემი საქმეები და სადიდებელი სიტყვის შეთხზვას.

ლიბანიოსი. ო, რა ბედნიერი ვარ!..

იულიანე. სიტყვის თხზვისას საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმო იმ ქველმოქმედებას, რასაც მე უნდა მიმადლოდნენ ანტიოქიელი მოქალაქენი. იმედია, ცდას არ დააკლებ. რათა ის თავისი საგნისა და თავისი ავტორის ღირსი იყოს. აი, ეს საპატიო ამოცანა მიითვალე, ჩემო ლიბანიოს, შენდამი მოძღვნილ ფასდაუღებელ საჩუქრად. ვფიქრობ, ვფიქრობ და უკეთესი ვერაფერი მომიფიქრებია, რითაც შემიძლო დამესაჩუქრებინა ისეთი კაცი, როგორც შენა ბრძანდები!

ლიბანიოსი. ო, ჩემო გვირგვინოსანო მეგობარო, ქეშმარიტად მეფური საჩუქარია.

იულიანე. ახლა კი გიმნასიონს მივაშუროთ, ჩემო მეგობრებო, ხოლო შემდეგ ქალაქის ქუჩებში გავისეირნოთ, რათა სადა ჩაცმულობისა და ზნეობრივი თავმდაბლობის ფრიად სასარგებლო გაკვეთილი გადავცეთ ამ გაბღენძილ მოქალაქეებს.

ორიბასიოსი. ქუჩებში, ხელმწიფეო? ამ პაპანაქება სიტყეში...

ერთ-ერთი კარისკაცი. მომიტყევე, ჩემო ხელმწიფეო, მაგრამ ძალიან ცუდადა ვარ...

ჰერაკლიოსი. მეც. მოწყალეო მბრძანებელო! დილას აქეთ გული მერევა...

იულიანე. მაშინ კუქის გასაწმენდი წამალი მიიღე და, იმავდროულად, ეცადე უმეტერებისგანაც გაიწმინდო!.. ო, დიოგენე, რა მიმდევრები გყავს?! შენი მოსასხამით ქუჩაში გასვლა ერცხვინებათ. (განარისხებული გაღის).

მიყრუებული ქუჩა ქალაქის განაპირას. ხელმარცხნივ, სახლებს შორის, პატარა ეკლესია დგას. თვალსრემლიან ქრისტიანთა ბრბო. მათ შორისაა მუჟსალმუნე აპოლინარიოსი და მოძღვარი კირილე. ქალებს ხელში აუტაცებიათ ბავშვები და ხმაელა მოთქვამენ. ქუჩაში გამოჩნდება გრიგოლ ნაზიანზელი.

ქალები (მისცივდებიან და კალთაზე მოუკიდებიან). ო, გრიგოლ, გრიგოლ! გვითხარი რამე! გვიშველე. გვანუგეშე!

გრიგოლი. მხოლოდ ჭვარცმული გიშველით და განუგეშებთ! მას მიჰმართეთ! მტკიცედ იღეჭით, დანო და ძმანო, დე, იყოს ერთი მწყემსი და ერთი სამწყსო!

ქალი. იცი თუ არა, ღვთის კაცო, რომ იმპერატორმა ბრძანა ჩვენი საღმრთო წიგნების დაწვა?

გრიგოლი. მითხრეს, მაგრამ არ მინდა ვირწმუნო ეს სიშლევე.

აპოლინარიოსი. მართალი უთქვამთ; ალექსანდრემ, ახალმა პრეფექტმა. ჭარისკაცები დაგზავნა და ჩვენი ძმების სახლები დააჩხრეკინა. ქალებსაც და ბავშვებსაც ისე უღვთოდ სცემენ, რომ სისხლს ადენენ, თუკი ეპვი მიიტანეს, რომ საღმრთო წერილსა მალავენ.

კირილე. იმპერატორის ბრძანება მარტო ანტიოქიას ან სირიას როდი ეხება, ის ვრცელდება მთელს სახელმწიფოზე, მთელს მსოფლიოზე, ქრისტეს სახსენებელი წაშლილ უნდა იქნეს პირისაგან მიწისა და მორწმუნეთა მეხსიერებიდანაც.

აპოლინარიოსი. ჰოი, დედანო, სტიროდეთ თავსა თქვენსა და შვილთა თქვენთა! მოვა დრო, როცა დავას დაუწყებთ იმათ, ვინც ახლა ხელში გიჭირავთ, დიახ, დავას დაუწყებთ იმის თაობაზე, თუ კერძოდ რას იმარხავდა დაკარგული სიტყვა უფლისა. მოვა დრო, როცა სიცილს დაგაყრიან თქვენი შვილიშვილები, რომლებსაც არ ეცოდინებათ, ვინ იყო და რა იყო ქრისტე!

მოვა დრო, როცა წარიხოცება კაცთა გულებში იმისი ხსოვნა, რომ მაცხოვარი ქვეყნისა ჩვენთვის ევნო და მოკვდა!

უკანასკნელი მორწმუნე თვალდავსილი ჩავა საფლავში, და მიერითგან წარიხოცება გოლგოთა პირისაგან მიწისა, როგორც წარიხოცა ადგილი იგი, სადაც ოდესღაც ედემის ბალი იყო. ვაი შენდა, ვაი შენდა, ახალო პილატე, რომელიც არ სჭერიხარ იმას, რომ მოაკვდინო მაცხოვრის ხორცი. არამედ ჰკლავ სიტყვას მისას და სწავლას მისას!

ქალები (თმებს იგლეჯენ და ტანსაძერს იხევენ ტანზე). ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! გრიგოლი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ გეშინით! არ მოკვდება უფალი ჩვენი! იულიანესაგან როდი გვემუქრება საფრთხე. უბედურება მის მოვლინებამდე გაცილებით უფრო ადრე გველოდა: ის მიმალული იყო ჩვენს სისუსტესა და გათიშულობაში.

კირილე. კი მაგრამ, გრიგოლ, რასა გვთხოვ. როგორ შევინარჩუნო სიმტკიცე ამ საშინელებასა და საზარელ განსაცდელში? დანო და ძმანო, თუ იცით, რა მოხდა არეთუსაში? უღმერთოებმა ძალა იხმარეს ქალარა ეპისკოპოსის მარკოზის მიმართ, თმებით ათრიეს ქუჩებში და თავი ფეხისადგილში ჩააყოფინეს, მერე შებიღწული და დასისხლიანებული ამოათრიეს, თავლი წასცხეს და ხეზე მიაკრეს ბზიკებისა და კრაზანების საკბენ-საწერტად.

გრიგოლი. კი მაგრამ, განა სასწაულებრივი ძალით არ გაცხადდა ძლევა მოსილება უფლისა სწორედ მარკოზის მიერ? ვინ იყო დღემდე მარკოზი? — საექვო რწმენის კაცი. როცა არეთუსაში დევნილობა დაიწყო, მარკოზი ქალაქიდანაც კი გაიქცა. მაგრამ როგორც კი თავის თავშესაფარში გაიგო, რომ გამძვინვარებულ წარმართთა შურისძიება ეპისკოპოსის გაქცევის გამო უდანაშაულო ქრისტიან ძმებს დაატყდა თავს.

თავისი ნებით დაბრუნდა ქალაქში. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა უდრტვინველად იტანდა საზარელ ტანჯვა-წამებას, რომელიც თვით მის ჯალათებსაც კი აძრწუნებდა, ასე რომ ისინი -- ოღონდ თავი დავიძვრინოთ ამ სამარცხვინო საქმიდანო. -- თვითონვე სთავაზობდნენ გაპარებას ყოველად უბადრუკი გამო-სასყიდის ფასად. მაგრამ ის მტკიცედ იდგა თავისაზე და წარბშეუხრებლად იმეორებდა: „არა, არა და არა!“ უფალმა ღმერთმაც არ დაუტევა რა. არც მოკვდა და არც ქედი მოიხარა. მისი სახე არც შიშს გამოხატავდა და არც სასოწარკვეთას. ხეზე გაკრული ბედნიერად რაცხდა თავს, რომ ცას მიუახლოვდა, მაშინ როდესაც სხეები ჭიანჭველებივით დაცოცავდნენ მიწაზე.

კირილე. ექვს გარეშეა, რომ ამ უდრეკმა ბერიკაცმა სასწაულის წყალობით შეინარჩუნა სულის სიმტკიცე. მაგრამ, აბა, ჩემსავით მოგესმინა, რა საზარელი ყვირილი გამოდიოდა დილეგიდან ზაფხულის იმ დღეს. როცა ილარიონი და მისი მეგობრები აწამეს. არა, ეს არ ჰგავდა ადამიანის ხმას; ეს იყო რალაც დაუნაწევრებელი ღმუილი, შერეული გავარვა-რებული რკინის შიშინთან, რომლის ქვეშაც საზარელი შიშინით იწვის ადამიანის ტყავამძვრალი ხორცი.

აპოლინარიოსი. კი მაგრამ, კირილე, შენ გავიწყდება სიმღერა, რომელიც მოჰყვა ყვირილს. განა ილარიონი არ მღეროდა სიკვდილის წინ? ანდა ის მამაცი კაპადოკიელი ბიჭუნა, სანამ თავისი მტარვალების ხელში არ დალია სული? განა არ მღეროდა აგათონი, სანამ გონება არ დაქარგა. ხოლო როდესაც ცნობას მოეგო, თვით ჯალათებიც კი შეძრწუნდნენ. რადგანაც საზარელი წამების შედეგად ჰკუაზე შეშლილიყო? ჰქმმარტად გეტყვით თქვენ: ვიდრემდის ჩვენთა ტანჯვათა ზედა მძლავრობს და ზეიმობს სიმღერა, ვერ გეძღვეს სატანა!

გრიგოლი. ნუ გეშინით: გიყვარდეთ ერთმანეთი და ევნეთ ერთმანეთის გულისთვის, როგორც ამას წინათ დორისტორეში თავისი ძმებისათვის ევნო სერაპიონი, მათრახების ცემით სიკვდილის პირას რომ მიიყვანეს, ხოლო შემდეგ ცოცხლად შეაგდეს გავარვარებულ ღუმელში? განა მსახვრალი მარჯვენა უფლისა უკვე არ შეიმართა უღმერთოთა შესამუსრავად? ან, იქნებ, არ იცით, რა მოხდა ჰელიოპოლისში, ლიბიის მთის ძირას?

აპოლინარიოსი. ვიცი. აფროდიტეს დღესასწაულზე შლეგური ორგით გახელებული წარმართები ყაჩაღებივით შეიქ-რნენ ღვთისმოსავ დედათა სავანეში. ჯერ ნამუსი ახადეს მათ, ხოლო შემდეგ გაუგონარი წამებით ამოხადეს სული...

ქალები. ვაი, ვაი!

აპოლინარიოსი. ამ ნაძირალებს შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც შუაზე გააპეს ერთ-ერთი მოწამის გვაში, შიგანი ამოაცალეს და უმად შექამეს ღვიძლი!

ქალები. ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას, ვაი!

გრიგოლი. რისხვა უფლისა შეიქმნა ამ ველური ტრაპეზის საკაზმი!.. შხამად შეერგოთ! მიბრძანდით ჰელიოპოლისში და ნახავთ, რომ ეს უკეთურნი ცოცხლადვე იხრწნებიან, აღარც კბილები შერჩათ და აღარც თვალები, აღარც ენა და აღარც გონება! შიშმა და ძრწოლამ მოიკვა მთელი ქალაქი. ბევრი წარმართი იმ ლამის მერე ქრისტიანობაზე მოიქცა.

ამიტომაც არ მეშინია ამ სისხლისმსმელი მხეცისა, რომელიც აღიძვრის ეკლესიის წინააღმდეგ, არ მეშინია სატანის ამ გვირგვინოსანი მსახურისა, რომელიც მიზნად ისახავს დაასრულოს კაცთა მოდგმის დასაბამიერი მტრის საქმე. დაე, თავს დაგვატყდეს ცეცხლითა და მახვილით, დაე, მტაცებელ მხეცებს დააფლეთინოს ჩვენი თავი ცირკის არენაზე! თავისი სიშლეგით ცნობამიხილმა ამაზე უარესიც რომ დაგვმართოს, რას მიაღწევს? ყოველივე ამის წინააღმდეგ არსებობს სამკურნალო საშუალება, არსებობს ძლევის გზა!

ქალები. ქრისტე! ქრისტე!

სხვები. აი, ისიც! აი, ისიც!

ზოგიერთნი. ვინ?

სხვები. იმპერატორი! მკვლელი! მტერი უფლისა!

გრიგოლი. ჩუმაღ! კრინტი არ დასძრათ, ისე გაატარეთ!

ქუჩაში გამოჩნდება საიმპერატორო გვარდიის რაზმი, რომელსაც თვით იმპერატორი იულიანე მოუძღვის წინ. იმპერატორს თან ახლავს კარისკაცებისა და ფილოსოფოსების ამაღა. ყველანი მცველებით არიან გარშემორტყმულნი. სულ ბოლოს მოდის სხეულის მკველთა რაზმი ფრომენტინუსის მეთაურობით.

ქალები (ჩუმაღ). შეხედეთ, რა ჩამოძონძილა, მწირივით!

მეორე ქალი. ალბათ, შეიშალა.

მესამე ქალი. უფალმა უკვე დასაჯა იგი!

მეოთხე ქალი. დამალეთ, ბავშვები დამალეთ, რომ მათმა თვალებმა არ ნახონ ეს საშინელება!

იულიანე. აა, ესეც ჩვენი ძვირფასი გალილეველები! რას აკეთებთ აქ, მზის გულზე, ღია ცის ქვეშ, ბნელეთის მოციქულნი?

გრიგოლი. შენ დაგვიხურე ეკლესიები, ამიტომაც ვდგავართ ცის ქვეშ და ვადიდებთ უფალ ღმერთს ჩვენსას.

- იულიანე.** აა, ეს შენა ხარ, გრიგოლ? ისევ აქ დაძრწიხარ და დაეხეტები! გაფრთხილებ, მოთმინებიდან ნუ გამო-მიყვან!
- გრიგოლი.** მე არ ვესწრაფვი მოწამეობრივ სიკვდილს; მართალი გითხრა, არც მინდა მოვკვდე, მაგრამ თუ საქმე მოითხოვს, ბედნიერებად მივიჩნევ იმას, რომ ქრისტეს გულისთვის დავსთხოო სისხლი.
- იულიანე.** მომბეზრდა ეს თქვენი ფუქი ყბედობა! გასწით, თვალით არ დამენახოთ! რატომ თქვენს მყრალ სოროებში არ სხედხართ? წადით, სახლებში წადით-მეთქი, ვის ვეუბნები?!
- ქალები.** ო, მბრძანებელო, სადღა გვაქვს სახლი?
- სხვა ქალები.** მართალია, სადღა გვაქვს სახლი? წარმართებმა დაგვარბიეს, დაგვაწიოკეს და კინწისკერით გამოგვყარეს კარში.
- ხმა (ბრბოში).** შენმა ჭარისკაცებმა თითზე გადასახვევიც აღარაფერი შეგვარჩინეს!
- სხვები.** ო, მბრძანებელო, მბრძანებელო, რატომ წაგვართვი ჩენი სარჩო-საბადებელი?
- იულიანე.** კიდევაც მეკითხებით?.. მოგახსენებთ, უმეცარნო! თუ რამ წაგართვით, მხოლოდ და მხოლოდ თქვენსავ სასიკეთოდ, თქვენივე სულის სახსნელად და საცხოვნებლად! რა სთქვა გალილეველმა? — ნუ იხვევთ და იუნჩებთ ნურც ოქროს და ნურც ვერცხლსაო! განა თქვენმა მოძღვარმა არ გასწავლათ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ცათა სასუფეველში შესვლა? იქ, იქ მომახსენებთ მადლს იმის სანაცლოდ, რომ შეძლებინდაგვარად შეგიძსუბუქეთ ეს ძნელი და საჭირველად საველი გზა!
- ფილოსოფოსები.** ო, რა უებროდ მოაქცია სიტყვა?!
- აპოლინარიოსი.** ხელმწიფეო, შენ წაგვართვი ის, რაც ოქრო-ვერცხლზე უფრო ძვირად გვიღირს. შენ წაგვართვი სიტყვა უფლისა; შენ წაგვართვი საღმრთო წერილი.
- იულიანე.** გიცნობ, გიცნობ, შე სვედაესილო მეფსალმუნე! აპოლინარიოსი არა ხარ? მე მგონია, მთელი თქვენი ბრიყვეული წიგნებიც რომ წაგართვათ, შენ სახელდახელოდ შეთხზავ რაიმე არანაკლებ ბრიყვეულს. მაგრამ მე გეუბნები შენ, უბადრუეო მჭლაბნელო და ლექსთა მჩმახველო! არც ერთი ქეშმარტი ბერძენი არ შეიბღალავს ბაგეს და ყურს შეიჩლექსებით. იცოდე, შენი ნაცოდვილარი, რომელიც ამას წინაა გამომიგზავნე თაეხედური სათაურით -- „ქეშმარტება“. უკვირავიკითხე. გავიგე და განაჩენიც გამოვეუტანე.

აპოლინარიოსი. შეიძლება მართლაც წაიკითხე, მაგრამ გაგებით
კი ვერ გაგივია, თორემ განაჩენს ხომ აღარ გამოუტანდი.

იულიანე. ჰა-ჰა-ჰა! პასუხი, რომელზედაც ახლა ვმუშაობ, დაგიმ-
ტკიცებს, გავიგე თუ ვერა... რაც შეეხება წიგნებს, რომელთა
გამოც ახლა ასე ვაგლახად ბლავით, მოგახსენებთ, რომ სულ
მალე ჩალის ფასიც აღარ შერჩებათ თქვენს თვალში,
რადგანაც ცხადი გახდება, რომ იესო ნაზარეველი ცრუპენ-
ტელა და ყალბაბანდი იყო.

ქალები. ვაი ჩვენს თავს უბედურს! ვაი და უი!

კირილე (ბრბოს გამოეყოფა). რა ბრძანე, იმპერატორო?

იულიანე. განა თქვენმა ჭვარცმულმა იუდეველმა ხმამალა არ
განაცხადა. იერუსალემის ტაძარი უკუნისამდე დანგრეული
დარჩებაო?

კირილე. ამინ!

იულიანე. ო, უგუნურნო! სწორედ ამ წუთას მხედართმთავარი
იოვიანე ორიათას მუშასთან ერთად იერუსალემში იმყოფება,
რათა ნანგრევებიდან აღადგინოს ტაძარი, მთელი თავისი
სილიაღით და ბრწყინვალეებით! მოითმინეთ, ცოტაც მოითმი-
ნეთ, ურწმუნონო, და თქვენი თვალით დაინახავთ, ვინ უფრო
ძლიერია: კეისარი თუ გალილეველი?

კირილე. დიახ, მბრძანებელო, შენდა სავალალოდ, თვითონვე
დაინახავ ამას. მე ვსდუმდი, სანამ მაცხოვარი არ შეგვიგინე
და ცრუ უწოდე მას, ახლა კი გეტყვი, რომ მთელი შენი
ძალმოსილება არაფერია ჭვარცმულის ძალასთან შედარებით!

იულიანე (თავის შეკვეებას ცდილობს). ვინა ხარ? სახელი მითხარი!

კირილე (უახლოვდება). მოგახსენებ. უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანი
გახლავარ და ვამაყობ კიდევ ამ საპატიო სახელით, რომელიც
არასოდეს აღიკვება მიწის პირისგან. გარდა ამისა კირილე
მქვია და ამ სახელით მიცნობენ ჩემი დები და ძმები. და თუ
შეუბღალავად დავიცავ ჩემს პირველ სახელს, ჭილოდ
მოვიმკი საუკუნო სიცოცხლეს...

იულიანე. სცდები, კირილე! ხომ იცი, ასე თუ ისე ვზიარებივარ
მაგ თქვენი მოძღვრების ყველა საიდუმლოს. დამერწმუნე, ის,
ვისზედაც ამყარებ მოელს სასოებას, სულაც არაა იმნაირი
ძალის მფლობელი, შენ რომ გგონია. აკი თვითონვე მოკვდა.
დიახ, ქეშმარიტად მოკვდა რომის პროკურატორის პონტიუს
პილატეს დროს.

კირილე. არა, მე კი არა, თვითონ შენ სცდები, იმპერატორო. შენ
მაშინ უარყავ იესო ქრისტე, როცა ქვეყნის მეუფედ დაგსვა.

ამიტომაც წინასწარ გაუწყებ მისი სახელით, რომ მალე წაგართმევს მეუფებას და სიცოცხლესაც. მაშინლა შეიცნობ — მაგრამ უკვე გვიან იქნება, — მის ძალას, ვისაც ახლა შენი სიბრძნის გამო ზიზღით უყურებ.

ღიას, როგორც შენ დაივიწყე მისი სიკეთე, ისიც ასევე დაივიწყებს თავის უწინდელ სიყვარულს შენს მიმართ, როცა აღსდგება, რათა დაგსაჯოს.

შენ დაამხე მისი საკურთხეველი, — ის ტახტიდან ჩამოგაგდებს და დაგამხოვს. შენ თავს იქცევი, როცა ფეხქვეშ თელავდი მის სჯულს, სწორედ იმ სჯულს, ოდესღაც თვითონვე რომ უქადაგებდი მორწმუნეთ. ამიტომ უფალიც გაგთელავს თავისი ქუსლით. შენს სხეულს, მტვრად და ნაცრად ქცეულს, ქარს გაატანენ. სულს კი ჩააგდებენ გეენის ცეცხლში, სადაც უარესი ტანჯვა ელის, ვიდრე ის საზარელი წამებაა, რომელიც შენ შეგიძლია მოიგონო ჩემთვის და ჩემი ძმებისათვის.

ქალები მოთქმა-გოდებით შემოებევიან კირილეს.

იულიანე. ჩემი ნება რომ იყოს, ნამდვილად მოგიტყევი, კირილე. უკვდავი ღმერთები მემოწმებიან, რომ არა მძულხარ შენი რწმენის გამო. მაგრამ შენ ჰგომბ და შეურაცხყოფ იმპერატორის ძალაუფლებას. და სწორედ ამიტომ იძულებული ვარ, დაგსაჯო. ფრომენტინუს. წაიყვანე ეს კაცი. დილეგში ჩააგდე და უთხარი ჭალათ ტიფონს, იმდენი ურტყას, სანამ არ აღიარებს, რომ ამ ქვეყნად გალილეელი კი არა, კეისარია ყოველის შემძლე.

გრიგოლ ნაზიანზელი. მტკიცედ დეგ, ძმაო ჩემო. კირილე!

კირილე (ცის მიმართ აღაყრობს ხელს). დანო და ძმანო, ნეტარად შემირაცხავს ჩემი თავი, რამეთუ უფალმა ჩემმა ამირჩია თავისდა სადიდებლად!

ჯარისკაცები ხელს სტაცებენ და მიათრევენ.

ქალები (საწყალობლად მოსოქვამენ). ვაი ჩვენს თავს! წყეულიმც იყავ, წყეულიმც იყავ, განდგომილო!

იულიანე. გარეკეთ, გარეკეთ, ეს პირუტყეები! ქალაქიდან განდევნეთ, როგორც მებაზობენი! მეტს ველარ მოვითმენ ამ სიკერპეს, სიბილწეს და მკრეხელობას!

მკვლელები დაერევიან და დაიფრენენ ქრისტიანებს, რომლებიც ხმაშლლა ტრიან. როდესაც ბრბო გაიფანტება, იმპერატორს და მის ამაღას თვალწინ წარმოუდგებათ ასეთი სურათი: ეკლესიის წინ აგდია კაცი, რომელსაც ტანსაცმელი შემოხვეია და თავზე ფერფლი აქვს წაყრილი.

ერთ-ერთი ჯარისკაცი (შუბის ტარს წაქრავს). აეთრიე და მოუსვი აქედან!

კაცი (თავს აიღებს). გამქეღეთ, ფეხით გამქეღეთ გამტკნარებული მარილი, უფლის მიერ უარყოფილი!

იულიანე. ო, უკდავო ღმერთებო... ეკივოლიუს!

ეკივოლიუსი. არა, ეკივოლიუსი აღარა მქვია. ამიერიდან უსახელო ვარ, რადგანაც ვულალატე ნათლისღებას, რომელმაც სახელი დამარქვა.

იულიანე. ადექი, მეგობარო, შენ ავადა ხარ.

ეკივოლიუსი. იუდას ძმა კეთროვანია. განვედ ჩემგან!..

იულიანე. ო, ღერწამივით მერყევო კაცო!..

ეკივოლიუსი. განვედ ჩემგან, განვედ, მაცთურო! მიმიფურთხებია შენი ოცდაათი ვერცხლისთვის! განა წერილი არ ბრძანებს: დაუტრევე ცოლი შენი და შეილნი შენნი, და შეუდეგ უფალსა შენსა? მე კი?... ცოლ-შვილის გულისთვის გავეციდე უფალი ღმერთი ჩემი! ვაიმე, ვაიმე, რაღა მეშველება წარწყმედილს? (ხელახლა ემზობა პირქვე).

იულიანე. აი, რა სიშლეგეს ავრცელებს ქვეყნად საღმრთო წერილი. მაშ, არ დავწვა? არ ამოვიძირკვო?

მოითმინეთ, ერთი წელიც არ გაივლის, რომ იუდეველთა ტაძარი ხელახლა აღიმართება სიონის მთაზე, და მისი ოქროცურვილი გუმბათის ბრწყინვა კილით-კიდემდე გაანათებს მთელი დედამიწის პირს, რათა ყველა ხალხს ამცნოს: ცრუ, ცრუ, ცრუ! (სწრაფი ნაბიჯით მიემართება, ამაღა უკან მისდევს).

გზატკეცილი ქალაქგარეთ. ხელმარცხნივ გზის პირას, მიწიდან ამოჩრილ ჭიკებს შორის კიბელეს ქანდაკება დგას. შორიახლოს წყარო მირაკრაკებს, რომელიც ქვებით ამოყვანილ წყალსაცავს ერთვის. საღამო ხანია.

ქალღმერთის ქანდაკების კვარცხლბეკთან, კიბის საფეხურზე ზის მოხუცი ქურუმი; მუხლებზე თავგადაკრული კალათი უდევს. წყალსაცავს ქალები და კაცები შემოხვევიან და წყალს იღებენ. გზაზე გამვლელები ჩანან, ზოგი ქალაქიდან მოდის, ზოგიც ქალაქს მიეშურება. ხელმარცხნივ გამოჩნდება მღვბავი ფოკიონი, ღარიბულად აცვია; თავზე მოზრდილი ფუთა უდევს. მის საპირისპიროდ, ქალაქიდან მოდის დალაქი ევნაპიონი.

ფოკიონი. ეპეი, ძმაო, ევნაპიონს, — ნამდვილი კარისკაცივით გამოპრანქულხარ!

ევნაპიონი. ფუჰ, შეგაჩვენოს ღმერთმა! რას დასცინი საწყალ კაცს?

ფოკიონი. დასცინიო? მე კი მეგონა, კარისკაცობა უმაღლესი პატივი იყო და არა, დაცინვა.

ევნაპიონი. დიახ, პატივი! მეტი აღარ იქნება! ახლა პატივად იმასა თვლიან, რომ ძონძები გეცვას, მით უმეტეს, თუ წყალსადენ არხში კაი დიდხანსაა ნაყარი.

ფოკიონი. როგორ გგონია, რითი დამთავრდება ყოველივე ეს?

ევნაპიოსი. რითიც უნდა, იმით დამთავრდეს, მაგაზე დამიდგა დარდი. მე ვიცი, რითი დამთავრდა ეს ჩემთვის; დანარჩენი წყალსაც წაულია.

ფოკიონი. ნუთუ იმპერატორს აღარ ემსახურები?

ევნაპიოსი. რაში სჭირდება იმპერატორს დალაქი? მე შენ გეტყვი, თმა-წვერს იპარსავს; ის კი არა და, საეარცხელსაც აღარ იკარებს. შენ რაღასა იქმ? თუმცა, ვატყობ, არც შენ უნდა გილბინდეს.

ფოკიონი. ეჰ, ევნაპიოს, წავიდა ის დრო, წითელი საღებავები რომ სჭირდებოდა ხალხს.

ევნაპიოსი. მართალია, ახლა წითლად მხოლოდ ქრისტიანების ზურგებს ლებავენ. ეგ რა მიგაქვს?

ფოკიონი. ტირიფის ქერქის კონა. სხვა რა დამრჩენია, ტაკიმასხრების ტალავერი უნდა შევეუღებო ფილოსოფოსებს.

მარჯვენა მხრიდან გამოჩნდება ჯარისკაცების რაზმი და კიბელეს ქანდაკების წინ ჩერდება.

(შეკრებილთა შორის ერთ-ერთ მოქალაქეს მიმართავს). რას ნიშნავს ეს?

მოქალაქე. ისევ ქვის ქანდაკებას უნდა ამოუყორონ მუცელი.

ფოკიონი. განა იმპერატორი ამ საღამოს მსხვერპლს სწირავს აქ?

მეორე მოქალაქე. მეტი რა საქმე აქვს? ხან ერთგან სწირავს მსხვერპლს, ხან მეორეგან.

ქალი. ღარიბებისთვის ნამდვილი უბედურებაა, რომ ახალ იმპერატორს ასე ძალიან უყვარს ღმერთები.

მეორე ქალი. რას ამბობ, დიონა? განა ყველას არ უნდა გვიყვარდეს ღმერთები?

პირველი ქალი. შეიძლება, მაგრამ ეს მაინც უბედურებაა.

ერთ-ერთი კაცი. შეხედეთ, მოდის!

გზაზე გამოჩნდება ქურუმის სამოსით მოსილი იმპერატორი იულიანე. ხელში სამსხვერპლო დანა უჭირავს; იმპერატორს გარს ახვევიან სოფისტები, ქურუმები, ტაძრის მსახურნი და მცველები, რომლებსაც უკან მოსდევს ცნობისმოყვარე მოქალაქეთა ბარბო. ზოგი უკმაყოფილებას გამოთქვამს, ზოგი იცინის.

ერთ-ერთი მოქალაქე. ესეც ქალღმერთი! ახლა დაიწყება სეირი.

ხნიერი კაცი. შენი აზრით, ეს სეირია? რამდენი მშვიდის დაპურება შეიძლებოდა იმით, რაც აქ ტყუილად გადაიყრება.

იულიანე (ქანდაკებას უახლოვდება). ო, ეს სანახაობა! ჩემი გული ალტაცებითაა საესე, თვალები კი — მწუხარების ცრემლით!

ან კი როგორ არ უნდა ვტიროდე, როცა გამახსენდება, რომ მკრეხელთა ბილწი ხელით დამხოვილი ჩვენი სათაყვანებელი ქალღმერთის ეს ქანდაკება ამდენ ხანს თითქმის მივიწყებული ეგდო, საღათას ძილში დანთქმული. თანაც, იმნაირ ადგილას, რომ თქმაც კი გულს ურევს კაცს.

ცნობისმოყვარეთა ბრბოში ჩუმი ხითხითი ისმის.

(მკაცრად გადახედავს შეკრებილთ). მაგრამ გული არანაკლები სიხარულით მევესება, როდესაც ვფიქრობ, რომ სწორედ მე მხედა წილად იმის პატივი, რომ ესოდენ უღირსი მდგომარეობიდან დამეხსნა დედა-ქალღმერთი.

ან კი როგორ არ უნდა ვხარობდე ამის გაფიქრებისას? ჩემზე ამბობენ, რომ რამდენიმე გამარჯვება მოვიპოვე ბარბაროსებზე, რის გამოც ხოტბას მასხამენ და ლამის ცაში ამიყვანონ ქება-დიდებით. მაგრამ პირადად მე გაცილებით უფრო მეტად ვაფასებ იმას, რასაც უკვდავი ღმერთების სადიდებლად ვასრულებ; რადგან სწორედ მათ უნდა ვუძღვნიდეთ მთელს ჩვენს უნარს, ზრახვას, გულისთქმას (წყალსადავთან შეკრებილ ბრბოს მიმართავს).

თუმცა იმის დანახვაც მსიამოვნებს, რომ ამ ჩამყაყებულ ქალაქში მაინც აღმოჩნდა ერთი მუჟა ხალხი, რომელმაც ყურად ილო ჩემი მოწოდება და აქ მობრძანდა, როგორც გვიწესებს ღვთისმოსავის ვალი. ექვიც არ მეპარება, რომ ღმერთებს მათი საკადრისი ძღვენი მოართვეთ (მოხუც ჭურუმთან მიღის). ამას რას ვხედავ? მხოლოდ ერთი, ერთადერთი ბერიკაცი! სად არიან შენი მოძმენი?

ჭურუმი. ხელმწიფეო, ცოცხალი მარტო მე დავრჩი.

იულიანე. ამოწყვეტილან... გზატკეცილი მეტისმეტად ახლოსაა ქანდაკებასთან... წმინდა ქალა გაუჩეხიათ... მსხვერპლი სადღაა, მოხუცო?

ჭურუმი (კალათზე ანიშნებს). აი, აქ, ხელმწიფეო!

იულიანე. კარგი, კარგი, დანარჩენი?

ჭურუმი. სულ ესაა (კალათს თავს ახდის).

იულიანე. ბატი! და შენ ამბობ, რომ სულ ესაა მთელი მსხვერპლი?

ჭურუმი. დიახ, ჩემო ხელმწიფე!

იულიანე. კი მაგრამ, ვინაა ის ღვთისმოსავი კაცი, ქალღმერთისათვის ესოდენ უშურველი მსხვერპლი რომ მოუერთმევია?

ქურუმი. მე თვითონ მოვართვი. ნუ შემერისხავ, ხელმწიფეო, მეტი არაფერი მებადა.

ბრბო ყაყანებს და იცინის.

გაუბედავი ხმები. ეგექ საკმარისია. ერთი ბატიც თავს ასდის. იულიანე. ო, ანტიოქია! რა სასტიკად სცდი ჩემს მოთმინებას!

ვილაცის ხმა (წყალსაცავთან შეკრებილ ბრბოში). ჯერ ლუკმა პური და შემდეგ მსხვერპლი!

ფოკიონი (აქეზებს). აი, ეს მესმის!

მეორე. შენ ხალხი დააპურე, ღმერთები თვითონ მოუვლიან თავიანთ თავს!

მესამე. „ქი“-სა და „კაპა“-ს დროს უკეთ ვცხოვრობდით!

იულიანე. ეპ, თქვე ავყია ყბედებო, ღმერთებმა დაგლახებონ თქვენი „ქი“-თა და „კაპა“-თი. თქვენ გგონიათ, არ ვიცი, ვისაც გულისხმობ? ჰა-ჰა-ჰა, ვიცი მშვენივრად ვიცი! ვისა და, ქრისტეს და კონსტანტიუსს. მაგრამ მათი მეუფება წარსულს ჩაბარდა. დამერწმუნეთ, არ გამიჭირდება გამოვნახო სათანადო საშუალება, რათა დაეთრგუნო თქვენი სიკერპე და უმადურება, რასაც არა მარტო უკვდავი ღმერთების, არამედ ჩემს მიმართაც იჩენთ. თქვენ მგმობთ იმიტომ, რომ ღმერთებს მათ საკადრის პატივს მივაგებ. თქვენ დამცინით იმის გამო, რომ პორფირის ღარიბული სამოსი ვარჩიე და წვერი მოვეუშვი. დიახ, ეს ჩემი წვერი თვალში ეკალივით გესობათ. ყოველი ფეხის ნაბიჯზე უდიერად იხსენიებთ და თხის წვერს უწოდებთ მას. მაგრამ მე გეუბნებით. ბრძივებო, რომ ეს ბრძენკაცის წვერია. დიახ, მე არ მრცხვენია ვალიარო, რომ ამ წვერს პარაზიტები აფარებენ თავს, როგორც გარეული ფრინველი — ბუჩქნარს. მაგრამ მე უფრო ღირსეულად ვატარებ ამ შეგინებულ წვერს. ვიდრე თქვენ — სუფთად გაპარსულ ნიკასს.

ევნაპიონი (ჩუმად). სიბრიყვეა. ნამდვილი სიბრიყვეა!

იულიანე. ხომ არ გგონიათ, რომ უპასუხოდ დავტოვებ ამ თქვენს დაცივნას? არამც და არამც! მოითმინეთ, უფრო მალე მიიღებთ პასუხს, ვიდრე მოელით. ახლა მე ვწერ თხზულებას, რომლის სათაურია „წვერთმოძულე“ და იცით, ვის წინააღმდეგაა მიმართული იგი? თქვენს წინააღმდეგ! დიახ, თქვენს წინააღმდეგ, ანტიოქიელი მოქალაქენო, რომელთაც ჩემს თხზულებაში „უმეტარ ქოფაკებს“ გიწოდებთ. იქ იპოვით ყოველივე იმის პასუხს, რაც ახლა ასე უცნაური გეჩვენებათ ჩემს ქცევაში.

ფრომენტიუსი (მარჯნიდან შემოდის). სასიხარულო ამბავი მომაქვს, მბრძანებელო, კირილემ უკვე ქედი მოიხარა...

იულიანე. აჰა, ასეც ვფიქრობდი.

ფრომენტიუსი. ტიფონმა იცის თავისი საქმე. ტყვე გააშიშვლეს, მაჯებში თოკი ჩააბეს და სახურავზე დაჰკიდეს, ისე, რომ მიწამდე ძლივს უწვდენდა ფეხის თითებს, მერე ტიფონი ხარის ძარღვებისაგან დაწნული მათრახით მოსდგა; ისე ურტყამდა, რომ მათრახი გველივით ეხვეოდა ტანზე.

იულიანე. ო, ეს უკეთურნი, რომლებიც გვაიძულებენ ამნაირ სასჯელს მივმართოთ!

ფრომენტიუსი. შეგვეშინდა, სული არ ამოხდესო და, ბოლოს და ბოლოს, იძულებულნი გავხდით ჩამოგვეხსნა გაკერპებული. ერთხანს ხმა არ ამოუღია, ფიქრში წასულივით დუმდა და უცებ მოითხოვა, იმპერატორთან მიმიყვანეთო.

იულიანე. კეთილი და პატიოსანი. მერედა, მოიყვანე?

ფრომენტიუსი. დიახ, მბრძანებელო, აგერ მოჰყავთ.

ჯარისკაცებს შემოჰყავთ კირილე.

იულიანე. აბა, ჩემო კარგო კირილე, როგორც ვატყობ, ქედმაღლობის ნასახივ აღარ შეგარჩინეს.

კირილე. რაო, ფრინველის ან ცხოველის შიგანზე მკითხაობით ხომ არ შეგიტყვია, რის თქმას ვაპირებ?

იულიანე. ოო, მკითხაობისა და მისნობის გარეშეც ადვილად მიხვდება კაცი, რომ შენ, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგე, აღარ გწამს გალილეელის ძალმოსილება და კეისარსა და ჩვენს ღმერთებს მასზე ძლიერად აღიარებ.

კირილე. მაგ სიმართლით იარე. შენი ღმერთები უძლურნი არიან, და თუ კვლავ ამ ბრმა და ყრუ კერპებს გააღმერთებ, მალე თვითონაც მათსავით უძლური გახდები.

იულიანე. კირილე... ესე იგი, ამის თქმა გინდოდა ჩემთვის?

კირილე. არა, მინდოდა მადლობა გადაამეხადა. უწინ შიშით ეძრწოდი როგორც შენი სისასტიკის, ისე შენი ჭალათების წინაშეც. მაგრამ წამებამ მომანიჭა ძლევა, — უხარწნელმა სულმა სძლია ხარწნად სხეულს. დიახ, იმპერატორო, როდესაც შენს მსახურებს ეგონათ, რომ მე ტკივილებისაგან ვიკრუნჩხებოდი, სინამდვილეში პატარა ბალღივით ვნებივრობდი მაცხოვრის ხევენა-ალერსში, ხოლო როდესაც შენს ჭალათებს ეჩვენებოდათ, რომ ნაკუწ-ნაკუწ მგლეჯდნენ ხორცს სხეული-

დან, უფალი ღმერთი თავის მოწყალე მარჯვენას მისევამდა და კურნავდა ჩემს წყლულებს. მან ამხადა ეკლის გვირგვინი და სანაცვლოდ საუკუნო სიოცხლის გვირგვინი დამხურა თავზე.

ამიტომაც გიხდი მადლობას; კაციშვილს არ უქნია ჩემთვის ესოდენ დიდი სიკეთე, როგორიც მიყავი შენ.

ხოლო რომ არ გეგონოს, რომ დღეის იქითაც კვლავ მეშინია შენი, — აჰა, შეხედე! (სამოსელს შემოიძარცვავს, წყლულებს გაიპობს და იმპერატორს ფეხებზე მიუყრის ხორცის ნაფლეთებს).

აჰა, გასძებ ჩემი სისხლით, რომელიც ასე გწყურია! კირილეზე კი იცოდე, რომ მისი წყურვილის მომკვლეელიც, მისი სასოებაცა და მისი სავანეც არის მხოლოდ იესო ქრისტე.

თავზარდაცემულ ბრბოს საზარელი ყვირილი აღმოხდება.

ხმები. ეს სუყველას უბედურებას დაგვატებს თავზე!

იულიანე (წაბარბაცდება). დაიკით ეს შლეგი, რომ ხელი არ აღმართოს ჩვენზე!

ქარისკაცები გარს შემოერთებინ კირილეს და კინწისკვრით მიჰყავთ წყალსადავისკენ. იმავე წუთს მარჯვენა მხრიდან სიმღერა მოისმის, ქალების გუნდი გალობს.

შეხედე, ფრომენტინუს, ეს რა უცნაური მსვლელობაა?

ფრომენტინუსი. მეფსალმუნეები არიან, მოწყალეო იმპერატორო.

იულიანე. აა, ეს დამთხვეული დედაკაცები?..

ფრომენტინუსი. პრეფექტმა ალექსანდრემ წიგნები წაართვა, რომლებსაც ისინი წმიდა წიგნებად თვლიან, ჰოდა, აი, ქალაქიდან გამოქცეულან, რათა ქრისტიანების საფლავებზე ტირილით მოიოხონ გული.

იულიანე (მუშტებს მოკუმავს). ასე ერთიანად რამ გააკერპა ქალიც და კაციც?

მარაგზაზე გამოჩნდება და თანდათანობით ახლოვდება მეფსალმუნე პუბლია ქალების თანხლებით.

პუბლია (მღერის).

თქვენი, ოქრო-ჟერცხლს აღმერთობთ, ღვთაების საცუდად,
მაგრამ ყველაფერი იქცევა საცრად!

ქალების გუნდი. ნაცრად, ნაცრად!

პუბლია.

მუსის გაკულებთ მახვილით, ჰორილით, ისრით,
ზეცას შეპლაღალებს მართალთა ხისხლი!

ქალების გუნდი. სისხლი, სისხლი!

პუბლია (თვალს მოკრავს იმპერატორს). აი, ისიც! ვაი შენ, უღმერთო, რომელმაც დასწვი სიტყვა უფლისა!.. შენ გგონია, მართლა შეიძლება დასწვა უფლის სიტყვა? მე გიჩვენებ, სად იწვის, სად ანთია იგი! (დანას გამოსტაცებს ერთ-ერთ ქურუმს, მკერდში დაიკუმს და ხელებით გადაიხსნის კრილობას).

აი, სად ანთია სიტყვა! დასწვი, დასწვი ჩვენი წიგნები! სიტყვა მაინც იცოცხლებს ხალხის გულში უკანასკნელ დღემდე! (დანას გადაადგებს).

ქალები (უფრო ალტყინებით მღერაან).

მცხლს აძლევს ჩვენს წიგნებს,
ცას სწელება აღია, -
სიტყვა ცოცხალია,
მაინც ცოცხალია!

(გარს შემოერთვნიან პუბლიას და მიჰყავთ).

ხმები (წყალსაცავთან შეკრებილ ბრბოში). ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას! გალილეველთა ღმერთი ყოვლისმძლეა!

სხვები. სად ყველა ჩვენი ღმერთი ერთად და სად გალილეველთა მხოლოდ ერთი ღმერთი!

დანარჩენები. ნუ ვწირავთ მსხვერპლს! ნულარ ვლოცულობთ! ეს განარისხებს გალილეველთა საშინელ ღმერთს!

იულიანე. ო, უგუნურნო! თქვენ გეშინიათ განარისხოთ ის, ვინც დიდი ხნის წინათ მოკვდა, გეშინიათ განარისხოთ ცრუ წინასწარმეტყველი? ცოტაც მოითმინეთ და დაინახავთ! ცრუა-მეთქი, ცრუ, თქვენ გეუბნებით! დღე-დღეზე ჩემი სიტყვის დასტურს მოველი იერუსალემიდან...

მარჯვენა მხრიდან, რამდენიმე მეომრის თანხლებით, სწრაფად შემოდის სამგზავროდ გამოწყობილი და მტვერში ამოგანგლული მხედართმთავარი იოვიანე.

(სიხარულით შეაკვირებს). იოვიანე! ჩემი მახარობელი!..

იოვიანე. ეს-ესაა ჩამოვედი იუდეიდან. სასახლეში გავიგე, რომ აქ ყოფილხარ...

იულიანე. ო, უკვდავო ღმერთებო, სიცრუისათვის ნუ აყურებინებთ მზეს! როგორაა საქმე? მითხარი, ჩემო იოვიანე.

იოვიანე (ბრბოს გადახედავს). ხელმწიფეო... ამათ წინაშე მოგახსენო?

იულიანე. დიახ, ყველაფერი, — თავიდან ბოლომდე!

იოვიანე. იერუსალემში მშენებლების, ჭარისკაცებისა და ორი ათასი მუშის თანხლებით ჩავედი. დაუყოვნებლივ შევეუდექით სამშენებლო ადგილის გაწმენდას და გასუფთავებას, სადაც მთებზე თაღის აღმართულიყო ძველი კედლების ნანგრევები. ისე

ადვილად დაეშალებოდა ჩვენი წერაქვებითა და ძალაყინებით, თითქოს უხილავი ძალა გვედგა მხარში...

იულიანე. აი, ხომ ხედავთ?

იოვიანე. იმავდროულად მოეზიდეთ და უზარმაზარ გროვებამ დაეხვავათ კირი და ქვა-ლორღი ახალი ტაძრის ასაგებად. მაგრამ ანაზღად ამოვარდა გრიგალი და მთელი კირი მიქთანტ-მოქთანტა, ასე რომ, იქაურობა, ათასობით სტადიონის მანძილზე თეთრი მტკრის ნისლმა დაჰფარა...

იულიანე. მერე, მერე?

იოვიანე. იმავე ღამეს რამდენჯერმე იძრა მიწა.

ხმები (ბრბოში). გესმით? გესმით? მიწა იძრაო!

იულიანე. მერე-მეთქი, ვის ვეუბნები?!

იოვიანე. ამ საშინელების მიუხედავად, სულით მაინც არ დავცემულვართ. მაგრამ როდესაც საძირკველი გავთხარეთ, სიღრმეში მიწისქვეშა თაღები გამოჩნდა და ქვისმთლები ანთებული ჩირაღდნებით შევიდნენ შიგ...

იულიანე. იოვიანე... მერე რა მოხდა?

იოვიანე. მტრისას, რაც მაშინ მოხდა, მბრძანებელო: თაღებიდან გამოვარდა საშინელი ალი და თავზარდამცემმა გრიალმა შეაზანზარა მთელი ქალაქი. თაღები ჩამოიქცა და რამდენიმე ასეული მუშა ქვეშ მოიყოლა. ორიოდ კაციღა გადარჩა, ისიც დამწვარი და დასახიჩრებული.

ხმა (ჩურჩულით). გალილეველთა ღმერთი!

იულიანე. როგორ დაეიჭერო? შენ თვითონ თუ იყავი იქ?

იოვიანე. რა თქმა უნდა... როგორც იქნა, ხელახლა შევეუდექით საქმეს და, აი, თავზარდაცემული, მუხლმოყრილი, ლოცვებში დანთქმული და ზეცის მიმართ სასოებით ხელაპყრობილი ათასობით კაცის წინაშე ორჯერ ზედიზედ განმეორდა იგივე სასწაული.

იულიანე (ფერპიხილი: ცახცახებს). მერე რა? ერთის სიტყვით, რისი ქმნა შესძლო კეისარმა იერუსალემში?

იოვიანე. კეისარმა გაამართლა გალილეველის წინასწარმეტყველება.

იულიანე. გაამართლა?

იოვიანე. შენი წყალობით გამართლდა მისი სიტყვები: ქვა ქვაზე აღარ დარჩებაო...

ქალები და კაცები. გალილეველმა სძლია კეისარი! გალილეველი უფრო ძლიერია, ვიდრე იმპერატორი იულიანე!

იულიანე (კიბელეს ქურუმს). წადი, შინ წადი, ბერიკაცო! და ეგ შენი ბატყ თან წაიყვანე. დღეს აღარ შეეწირავთ მსხვერპლს. (ბრბოს მიუბრუნდება)...

მე გავიგონე. ზოგიერთმა თქვენგანმა თქვა, რომ გალილეველმა მძლია. ერთის შეხედვით, მართლაც ასე ჩანს, მაგრამ მე გეუბნებით, — ეს შეცდომაა... დამიჯერეთ, უციცნო, უგუნურნო, საცოდავებო — მალე ყველაფერი შეიცვლება!.. მე... მე... დიახ, მაკალეთ! უკვე ვამზადებ თხზულებას გალილეველის წინააღმდეგ. სულ შვიდი თავი იქნება და როცა გალილეველის მიმდევრები წაიკითხავენ... მასაც და ჩემს მეორე თხზულებასაც „წვერთმოძულეს“...

ხელი მომეცი, ფრომენტინუს! ამ სიკვრებზე გუნება გამიფუჭა! (წყალსაყავს რომ ჩაუვლის, ჯარისკაცებს მიმართავს). გაუშვით კირილე!

ბრბო (წყალსაყავთან ხმაძალა ხარხარებს და უკან მისძახის). აგერ მიეთრევა ყასაბთუხუცესი!.. ბანჯგვლიანი დათვი! გრძელმკლავა მიიმუნე!

აპოლონის ტაძრის ნანგრევები. მთვარიანი ღამეა. წაქეულ სვეტებს შორის მოღიან იმპერატორი იულიანე და მისტიკოსი მაქსიმე. ორივეს გრძელი მოსახშირი აქვს მოსხმული.

მაქსიმე. საით გაგიწევია, ძმაო ჩემო?

იულიანე. განმარტოება მომინდა.

მაქსიმე. კი მაგრამ, აქ?.. ამ უდაბურებასა და სანაგვედ ქცეულ ნანგრევებში?..

იულიანე. განა მთელი სამყარო ნაგვის ერთიანი გროვა არ არის?

მაქსიმე. მაგრამ შენ ხომ დაამტკიცე, რომ ის, რაც დაინგრა, შეიძლება აღდგენილ იქნეს.

იულიანე. ნუ დამცინი. ათენში მე ვნახე ერთი უბადრუკი მეჭადაგე. რომელსაც პატარა სახელოსნო მოეწყო თესვესის ტაძარში. რომში გავიგე, რომ იულიუსის ბაზილიკა ბოსლად უქცევიათ და შიგ კამეჩებს ამწყვდევენ თურმე. ამასაც აღდგენა ჰქვია?

მაქსიმე. რატომაც არა? განა ყველაფერი თანდათანობით არა ხდება? და განა ნაწილებისაგან არ ითხზვის ყოველი ნივთი? რა არის მთელი, თუ არა ნაწილთა ჯამი?

იულიანე. უბადრუკი სიბრძნეა! (აპოლონის დამხოზილ ქანდაკებაზე ანიშნებს). შეხედე ამ უცხვირო თავს, ამ დამსხვრეულ იდაყვს. განა ეს მახინჯი ნაწილები, ერთად აღებული, ძველი, ღვთაებრივად მშვენიერი მთელია?

მაქსიმე. რა იცი, რომ ის ძველი მშვენიერება თავისთავად იყო მშვენიერი და არა მხოლოდ მის მკვრეტელთა აღქმაში?

იულიანე. ეჰ, მაქსიმე, მაქსიმე, საქმეც ეგ არის! რა არსებობს თავისთვის და თავისთავად? დღეის იქით მე აღარ ვცნობ არაფერს ამგვარს (ფეხს წაქრავს აპოლონის თავს). ოდესღაც მაინც თუ იყავი უფრო ძლიერი თავისთავად, ვიდრე ამჟამად? უცნაურია, რა ძალა შეიძლება ჰქონდეს ცთომილებას, მაქსიმე. ავიღოთ, თუნდაც გალილეველნი. ანდა ამიღე მე, როგორიც ვიყავი უწინ, როცა შესაძლებლად ვთვლიდი მშვენიერების დამბობილი სამყაროს აღდგენას.

მაქსიმე. ჩემო ძმაო და მეგობარო... თუ შენთვის აუცილებელია ცთომილება, დაუბრუნდი გალილეველებს... მათ სიხარულს საზღვარი აღარ ექნება.

იულიანე. შენ კარგად იცი, რომ ეს შეუძლებელია. კეისარი და გალილეველი! როგორ შევარიგოთ შეურიგებელნი?

დიახ, ეს იესო ქრისტე უდიდესი მეთაბობხეა, ვისაც ოდესმე უცხოვრია ამქვეყნად. ვინ არიან ბრუტუსი ან კასიუსი მასთან შედარებით? მათ მოჰკლეს მხოლოდ იულიუს კეისარი, ის კი კლავს ყველა კეისარს და ავგუსტუსს საერთოდ. განა შესაძლებელია ზავის ჩამოგდება კეისარსა და გალილეველს შორის? ორივეს ეყოფა ადგილი დედამიწაზე? რადგან ის დედამიწაზე ცხოვრობს, მაქსიმე! მე გეუბნები, გალილეველი ცოცხალია, თუმცა იუდეველებსა და რომაელებს კი ეგონათ, — და არცთუ სრულიად უსაფუძვლოდ, — რომ სიკვდილით დასაჯეს იგი. დიახ, ის ცოცხლობს ადამიანის მეთაბობხე სულში, მის უტებს სიკერპესა და ბრმა სიძულვილში ყოველგვარი ამქვეყნიური ძალაუფლების მიმართ.

„შიაგე კეისარს კეისარისა, ხოლო ღმერთს — ღმერთისა.“ არასოდეს კაცის ბაგეს არ დასცდენია უფრო მზაკვრული რამ. რა იმალება ამ სიტყვებს მიღმა? მაინც რა, ან რამდენი უნდა მიეგოს კეისარს? ეს სიტყვები ჩუგლუგსა ჰგვანან, ერთის დაკვრით რომ ამსხვრევს კეისარის გვირგვინს.

მაქსიმე. მაგრამ კონსტანტინე დიდმა ხომ შესძლო შეწყობოდა და შეთვისებოდა გალილეველებს... ისევე, როგორც შენმა წინამორბედმა...

იულიანე. დიახ, ვინც მათსავით მცირედს სჭერდება!.. მაგრამ განა ეს სამყაროს მბრძანებლობასა ნიშნავს? კონსტანტინემ განაევრცო თავისი საბრძანებლის საზღვრები, მაგრამ განა, იმავდროულად არ შეზღუდა და შეავიწროვა თავისი სულისა და ნების საზღვრები? თქვენ მეტისმეტად აამაღლეთ ეს კაცი იმით, რომ დიდი უწოდეთ მას. ჩემს წინამორბედზე აღარაფერს ვიტყვი, ის, უმაღლ, მონა იყო, ვიდრე იმპერატორი, ჩემთვის კი მარტოოდენ სახელი არ კმარა.

არა, არა, დაზავებაზე ფიქრიც კი ზედმეტია! მით უმეტეს, — დანებებაზე!.. ო, მაქსიმე. ამნაირი მარცხის შემდეგ მე მრცხვენია იმისა, რომ იმპერატორი მერქვას, მაგრამ არც ძალაუფლებაზე ხელის აღება ძალმიძს.

მაქსიმე. შენ შეგიძლია განმარტო ნიშები და სასწაულები, რომელთა იღუმალი აზრიც სხვებისათვის დაფარულია. შენ კითხულობ მარადიულ ვარსკვლავთა წიგნის ასოებს, — თუ შეგიძლია მიწინასწარმეტყველო ამ ბრძოლის შედეგი?

მაქსიმე. დიახ, ძმაო ჩემო, მე შემიძლია წინასწარ გაუწყო შედეგი. იულიანე. შეგიძლია? მაშინ მითხარი, ვინ გაიმარჯვებს, კეისარი თუ გალილეველი?

მაქსიმე. ორივენი გაქრებიან, კეისარიც და გალილეველიც.

იულიანე. გაქრებიან?..

მაქსიმე. დიახ, ორივენი... არ ვიცი, ახლავ თუ ასი წლის შემდეგ, მაგრამ ჩემი სიტყვა ახდება, როცა ქვეყანას მოვევლინება ქეშმარიტი.

იულიანე. ვინაა ქეშმარიტი?

მაქსიმე. ვინც შთანთქავს კეისარსაც და გალილეველსაც.

იულიანე. გამოცანას კიდევ უფრო ბნელი და ბუნდოვანი გამოცანით ხსნი.

მაქსიმე. ყური მიგდევ ქეშმარიტების მეგობარო და ძმაო ჩემო! მე ვამბობ, ორივენი გაქრებიან-მეთქი, მაგრამ გაქრობა დალუპვას როდი ნიშნავს. განა ბავშვი ქაბუკში არ ქრება, ხოლო ქაბუკი, თავის მხრივ, — მოწიფულ კაცში? მაგრამ არც ბავშვი იღუპება და არც ქაბუკი... ხოლო შენ, ჩემო ძვირფასო შეგირდო, დაივიწყე ჩვენი საუბრები ეფესში, საუბრები სამამეფოზე?

იულიანე. ეჰ, მაქსიმე. მას შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა! სთქვი, რას გულისხმობ?

მაქსიმე. როგორც მოგეხსენება, მე არასოდეს არ ვუჭერდი მხარს იმას, რასაც შენ სწადიოდი ტახტზე ასვლის შემდეგ. შენ გინდოდა კვლავ ბავშვად გექცია ქაბუკი. ხორცის სამეფო უკვე შთანთქა სულის სამეფომ, მაგრამ სულის სამეფო საბოლოო მდგომარეობა როდია, ისევე როგორც სიქაბუკე. შენ გინდოდა გასაქანი არ მიგეცა ქაბუკის ზრდისათვის, წინ აღდგომოდი, რომ მოწიფულ კაცად ქცეულიყო... უგუნურო, მომავლის წინააღმდეგ, მესამე სამეფოს წინააღმდეგ აღმართე ხმალი, სამეფოისა, რომელშიაც მბრძანებლად მოგვევლინება ორადი!

იულიანე. ვის გულისხმობ?

- მაქსიმე. ვისაც იუდეველები მესიად უხმობენ და მოელიან.
 იულიანე (ნელა, დაფიქრებით). მესია?... ესე იგი, არც კეისარი და არც
 გალილეველი?
- მაქსიმე. ორივე ერთში და ერთი ორივეში.
 იულიანე. მეუფე-ღმერთი, ღმერთი-მეუფე. მეუფე სულის სამეფო-
 ში, ღმერთი — ხორცისაში.
- მაქსიმე. აი, ის მესამე სამეფო, იულიანე!
 იულიანე. დიახ, მაქსიმე, აი, ის, — მესამე სამეფო!
- მაქსიმე. ამ სამეფოში წინამორბედის მემობოხური ყიყინი ქეშმა-
 რიტებად იქცევა.
- იულიანე. „მიაგე კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს — ღმრთისა“.
 დიახ, დიახ, როცა კეისარი ღმერთში იქნება, ხოლო ღმერთი
 — კეისარში... ო, ზმანებები, ზმანებები! ვინ გასტეხს
 გალილეველის ძალას?
- მაქსიმე. რაშია გალილეველის ძალა?
 იულიანე. ამაოდ მიფიქრია ამაზე.
- მაქსიმე. სადღაც თქმულა: „ნუ გეყოლება სხვა ღმერთები, ჩემს
 გარდა!“
- იულიანე. დიახ... დიახ... დიახ!
- მაქსიმე. ნაზარეველი წინასწარმეტყველი არ ქადაგებდა ამა თუ
 იმ ღმერთს; ის ამბობდა: ღმერთი ჩემშია, ხოლო მე —
 ღმერთში.
- იულიანე. დიახ, ყოველივე ეს ჩვენს გარეშეა!.. აი, რატომაა
 კეისარი უძლური. მესამე სამეფო? მესია? არა იუდე-
 ველთა მესია, არამედ სულიერი და მიწიერი სამეფო-
 ისა?
- მაქსიმე. ღმერთი-მეუფე.
 იულიანე. მეუფე-ღმერთი.
- მაქსიმე. ლოგოსი — პანში, პანი — ლოგოსში.
 იულიანე. როგორ მოგვევლინება, მაქსიმე?
 მაქსიმე. ის მოგვევლინება თვითმსურველის სახით.
 იულიანე. ჩემო ძვირფასო მოძღვარო... უნდა დაგტოვო.
 მაქსიმე. საით?..
 იულიანე. ქალაქში. სპარსეთის მეფემ ზავი შემომთავაზა, რომე-
 ლიც მე წინდაუხედავად მივიღე. ჩემი ელჩები უკვე გზას
 ადგანან. უნდა დაეაბრუნო.
- მაქსიმე. საპორთან ომის განახლებას აპირებ?
 იულიანე. მე უნდა მივალწიო იმას, რაზედაც ოცნებობდა კიროსი
 და რის მიღწევასაც ცდილობდა ალექსანდრე მაკედონელი.

მაქსიმე. იულიანე!

იულიანე. მე უნდა დავიმორჩილო მთელი მსოფლიო... ღამე მშვიდობისა. ჩემო მაქსიმე! (ხელს უქნევს გამოთხოვების ნიშნად და სწრაფი ნაბიჯით მიდის).

მაქსიმე ჩაფიქრებით აყოლებს თვალს.

მეფესალმუნეთა გუნდი (შორს, მოწამეთა საფლავებზე მოსთქვამს თუ მღერის).

თქვენ ოქრო-ვერცხლს აღმეროებთ, ღვთაების ნაცვლად,
მაგრამ ყველაფერი იქცევა ნაცვლად!

ნაცვლად!

ნაცვლად!

მეოთხე მოქმედება

იმპერიის აღმოსავლეთი საზღვარი. პირქუში მთიანეთი. ღრმა ხევი ერთმანეთისაგან ჰყოფს წინა მხარეს აღმართულ ბექობსა და უკანა მხარეს აზიდულ ქარაფებს. საომრად აღჭურვილი იმპერატორი იულიანე ხრამის პირას დგას და სიღრმეს ჩასცქერის. მის მახლობლად დგანან მთავარსარდალი ნევიტა, სპარსელი თავადი ორმიზდი, მხედართმთავარი იოვიანე და სხვა სარდლები. ხელმარჯვნივ, ქვებისგან სახელდახელოდ აღმართულ სამსხვერპლოსთან წვანან მისანი ნუშა და ორი სხვა ეტრუსკელი მისანი, რომლებიც სამსხვერპლო ზეარაკის შიგანზე მკითხაობენ. წინა მხარეს ლოდზე ჩამოშდარა მისტრიკოსი მაქსიმე, რომელსაც სოფისტები პრისკუსი, კიტრონი და სხვები ახვევიან გარს. ბექობის ფერდზე, მარცხნიდან მარჯვნივ მიემართებიან მსუბუქად შეიარაღებულ მემართა მცირერიცხოვანი რაზმები.

იულიანე (კვემოთ უთითებს). შეხედე, შეხედე, როგორ მიიგრანებიან ხეობაში ლეგიონები. გეგონება უზარმაზარი ქერცლიანი გველეშაპი იკლავნებაო.

ნევიტა. აი, ესენი, ზუსტად ჩვენს ქვემოთ, ცხვრის ტყაბუქები რომ მოუხსამთ, სკვითები არიან.

იულიანე. მშვიერი მგლებივით არა ყმუიან!

ნევიტა. ეს მათი საომარი სიმღერაა, მბრძანებლო.

იულიანე. ყმუილი უფროა, ვიდრე სიმღერა.

ნევიტა. იქ კი სომხები მიდიან. მათ თვით არშაკი მიუძღვის წინ.

იულიანე. რომაელთა ლეგიონები ალბათ უკვე ველზე გავიდნენ... ყველა მეზობელი ტომი დაუყოვნებლივ გვევმო (მხედართმთავრებს მიუბრუნდება). ევფრატზე ათას ორას ზომალდს მოვუყარეთ

თავი, რომლებიც მთელი ჩვენი საომარი საქურვლითა და სურსათ-სანოვაგით დავეტვირთეთ. ახლა კი მჯერა, რომ ამ ფლოტს შეუძლია ძველი არხით გავიდეს ტიგროსში. მთელი ლაშქარი ხომალდებზე გადასხდება და შემდეგ ტიგროსის აღმოსავლეთ ნაპირს აუყვება ისეთი სისწრაფით, რის საშუალებასაც საპირისპირო ღინება მოგვცემს.

მიტხარი, ორმიზდ. როგორ მოგწონს ეს გეგმა?

ორმიზდი. უძლეველო ბელადო, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენი ძლევა მოსილი წინამძღოლობით კვლავ დავადგამ ფეხს ჩემს მშობლიურ მიწაზე.

იულიანე. რა ბედნიერებაა იმაზე ფიქრი, რომ ამ სულმოკლე მოქალაქეებთან არავითარი ურთიერთობა აღარ მოგიწევს. გახსოვთ, რა შიშამდგარი თვალებით მოსდევდნენ ჩემს ეტლს, როდესაც ქალაქს ვტოვებდი? „მალე დაგვიბრუნდი და მოწყალე იყავ ჩვენს მიმართ!“ — ბლაოდნენ ისინი. აღარასოდეს დავბრუნდები ანტიოქიაში. ქირის დღესავით შემძულდა ეს უმადური ქალაქი. გამარჯვების შემდეგ ტარსოსის გავლით დავბრუნდები სამშობლოში (მისნებთან მიღის).

რაო, ნუმა. მაინც რა ამოიკითხე, რითი დამთავრდება ჩვენი ლაშქრობა?

ნუმა. ღმერთები გაფრთხილებენ და გირჩევენ. ნუ გადალახავ შენი საბრძანებლის საზღვრებს.

იულიანე. კმ... როგორ განმარტავ ამას. მაქსიმე?

მაქსიმე. აი, როგორ: ღმერთები გირჩევენ დაიპყრო და შემოიმტკიცო მთელი ის მიწა-წყალი, რომელზედაც გაივლი: მაშინ შენი საბრძანებლის საზღვრებსაც აღარ გადალახავ.

იულიანე. ასე. განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა გემართებს ყოველგვარი მისნობის მიმართ, ვინაიდან მათ ძალზე ხშირად ორმაგი აზრი აქვთ. დიახ, ხანდახან გგონია, თითქოს იღუმალ ძალებს სიამოვნებას ანიჭებს ის, რომ შეცდომაში შეიყვანონ ადამიანი, და ეს შეცდომა მით უფრო მძიმეა, რაც უფრო მნიშვნელოვანია საქმე. რამდენი ვინმე ცდილობდა ჩვენს საზიანოდ განემარტა კარბოქის ჩამოქცევა ჰიერაპოლისში სწორედ იმ დროს, როცა ქალაქში შევიდოდით, ასე რომ, ნანგრევებმა ქვეშ მოიყოლა და გასრისა ას ორომოდათი ჯარისკაცი. მე კი ვამტკიცებდი და ახლაც ვამტკიცებ, რომ ეს შემთხვევა ორმაგ წარმატებას გვიქადის. ჯერ ერთი, სპარსელთა სამეფოს განადგურებას და, მეორეც, უბადრუკ გალიეველთა დაღუპვას. რადგან, ისიც ვიკითხოთ, ვინ იყვნენ ეს სვედაესილნი? — გალიეველნი, დასჯის მიზნით რომ გაამწყვსეს ჯარისკაცებად და ფეხები უკან რჩებოდათ,

ისე ეზარებოდათ ომი. ამიტომაც წინასწარვე განწირულნი იყვნენ საიმიხოდ, რომ ესოდენ მოულოდნელად და უსახელოდ დაესრულებინათ თავიანთი სიცოცხლე.

იოვიანე. მოწყალეო ხელმწიფევე, აგერ მეწინავე რა ზმთა წინამძღოლი მოდის.

უმცროსი მხედართმთავარი ამიანე (მარჯვენა მხრიდან შემოდის). ხელმწიფეო, შენ მიბრძანე მომეხსენებინა ყოველივე უჩვეულო, რაც გზაში შეგვემთხვეოდა, ანდა რასაც შევეყრებოდით...

იულიანე. დიახ, გიბრძანე. მერედა, რა მოხდა დღეს?

ამიანე. ორი უჩვეულო რამ შეგვემთხვა, მბრძანებელო, ორივე შეიძლება მომავლის წინასწარ მაცნე ნიშნებად იქნეს მიჩნეული.

იულიანე. აბა, გვითხარი, ამიანე!

ამიანე. ჭერ ერთი, ჩემო მბრძანებელო, სოფელ კანტუს გავეცდით თუ არა, ჭალიდან გამოვარდა უზარმაზარი ლომი და ჩვენს ჯარისკაცებს შემოუტია, რომლებმაც ისრები დააყარეს და მოკლეს.

იულიანე. ა!

სოფისტები. რა ბედნიერი ნიშანია!

ორმიზდი. მეფე საპორი სამეფოს ლომს უწოდებს თავს.

ნუმა (საკურთხეველის წინ მისნობაში დანთქმული). დაბრუნდი, დაბრუნდი, იმპერატორო იულიანე!

მაქსიმი. წარბშეუხრელად გასწიე წინ, ძლევამოსილო!

იულიანე. დავბრუნდე? ამის შემდეგ? როგორც ეს ლომი დაეცა კანტუსთან, ისე დაეცემა ჩვენი ისრებით სამეფოს ლომიც, ან, იქნება, არ შემიძლია მაგალითები მოვიხმო წარსულიდან, რომლებიც საშუალებას მომცემენ, ჩვენდა სასიკეთოდ განვმარტო ეს ნიშანი? ნუთუ საჭიროა შევახსენო ესოდენ განათლებულ ხალხს, რომ სანამ იმპერატორი მაქსიმილიანე საბოლოოდ დაამარცხებდა სპარსეთის მეფეს ნარსესს, მთელი რომაული ლაშქრის თვალწინ მოკლულ იქნა ლომი... და კიდევ ვეებერთელა ტახტი? (ამიანეს).

მეორეზე რაღას იტყვი? თუ არა ვცდები, ორი ნიშანი ახსენე.

ამიანე. მეორე უფრო საეჭვოა, მბრძანებელო. შენი საომარი ცხენი ბაბილონიოსი შევკაზმინეთ და, შენი ბრძანებისამებრ, წინ გავიგდეთ, რათა მთის გადაღმა ფერდზე დაგლოდებოდა. ამავე დროს, იქვე მოერეკებოდნენ ჯარისკაცებად გამწესებულ გალილეველებს. უზარმაზარ ტვირთს მოათრევდნენ და ძლივსლა მოლასლასებდნენ, ასე რომ, იძულებულნი შევიქნით, მათრახებით შეგვეხურებინა ისინი. მათ კი ცის მიმართ

ალაპყრეს ხელი და, თითქოს მათრახების რტყმამ შეება მოპგვარათ და მოუფონათო, ერთხმად ამღერდნენ თავიანთი ღმერთის სადიდებლად. ამ მოულოდნელ ხმაურზე ბაბილონიოსი დაფრთხა, ყალუზე შედგა, გადაყირავდა და თავისი ოქროს აკაზმულობით ტალახში ამოისივარა.

ნუმა (სამსხვერპლოს წინ). იმპერატორო იულიანე, დაბრუნდი, უკან დაბრუნდი!

იულიანე. ჩემზე გაბოროტებულმა გალილეველებმა განზრახ ჩაიდინეს ეს, მაგრამ თავისდაუნებურად მოგვეცეს ნიშანი, რომელსაც აღტაცებით მივესალმები. დიახ, როგორც დაეცა ბაბილონიოსი, ისე დაეცემა ბაბილონიც, სამუდამოდ დაჰკარგავს თავის სიმდიდრესა და დიდებას!

პრისკუსი. რა ბრძნული განმარტებაა!

კიტრონი. ვფიცავ ღმერთებს, მართლაც ბრძნულია!

სხვა სოფისტები. რა თქმა უნდა!

იულიანე (ნევიტას). ლაშქრობა დასახული გეგმით გრძელდება. მე კი, უფრო დაიმედებული რომ ვიყო, მინდა კიდევ შევწირო მსხვერპლი და დასტურის მაუწყებელ ნიშნებს დაველოდო.

თქვენ კი, ეტრუსკელო ოინბაზებო, რომელთა ჩამოსაყვანადაც ამდენი ხარჯი გავიღე, იცოდეთ, ერთ დღესაც აღარ გაგაჩერებთ ჩემს ბანაკში, სადაც ჭარისკაცებს თქვენი წყალობით მხოლოდ მხნეობა ღალატობთ. გეუბნებით, არა გაგეგებათ რა იმ ურთულესი ხელოვნებისა, რომელსაც მისდევთ. რა წარმოუდგენელი თავხედობაა!.. კინწისკერით გაყარეთ ეს უკეთურნი! თვალით აღარ დამენახონ!

ჭარისკაცები ხელმარტხნივ მიერეყებიან მისნებს.

ბაბილონიოსი დაეცა. ლომი ჩემმა ჭარისკაცებმა მოკლეს. მაგრამ ეს ჭერ კიდევ არ გვიმჟღავნებს იმას, თუ იდუმალ ძალთა რანაირი შეწევნის იმედი შეიძლება გვქონდეს. ღმერთები, რომელთა ბუნებაც კეშმარიტად გონებაშიუწვდომელია, ხანდახან თითქოს — გავკადნიერდები და ვიტყვი — თვლემენ, ან სულაც თავს იკავებენ ადამიანთა საქმეებში ჩარევისაგან. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სწორედ ასეთი ძნელბედობის დრო გვიდგას ახლა. დიახ, ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, რომ ზოგიერთმა ღვთაებამ ხელი არ შეუწყო იმ სასიკეთო ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც თვით მათვე მოუხვეჭდნენ დიდებასა და პატივს.

მაგრამ ვინ მოგვცა იმისი ნება, რომ უკვდავნი განესაჯოთ? იქნებ სამყაროს გამრიგენი ღროღადრო თავიანთ ძალაუფლებას გადასცემენ ადამიანებს, თუმცა ეს, რაღა თქმა უნდა, სრულიადაც არ ამცირებს მათ მნიშვნელობას, რადგან

ვის. თუ არა ღმერთებს, უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ ზეგარდმო ნიკით ცხებული და ღვთაებრივი ძალმოსილებით მორკმული კაცი — თუკი საერთოდ წარმოსადგენია ამნაირი კაცის არსებობა, — შეიძლება ათასში ერთხელ მაინც მოგვევლინოს ამქვეყნად?

პრისკუსი. ო. ჩვენო უებრო მბრძანებლო. განა თვით შენი საკუთარი საქმენი თვალნათლივ არ მოწმობენ ამას?

იულიანე. არ ვიცი. პრისკუს, უფლება მაქვს თუ არა, ესოდენ დიდი მნიშვნელობა მივანიჭო ჩემს საქმეებს. რაც შეეხება იმას, რომ გალილეელები ამნაირ კაცად თვლიან ებრაელ იესო ნაზარეველს, პირადად მე ეს ამბავი სასაცილოდაც არ მყოფნის, ვინაიდან გალილეელები სასტიკად სცდებიან, რასაც ექვეშეუვალად დავამტკიცებ მათ წინააღმდეგ მიმართულ ჩემს თხზულებაში. ნიმუშად კი დავსახავ პრომეთეს, ამ დიდებულ გმირს, რომელმაც უფრო მეტი სიკეთე მოუტანა ადამიანებს, ვიდრე როგორც ჩანს, მათთვის იმეტებდნენ უკედავნი, რისთვისაც დასჯილი იქნა, ათასგვარი დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანა მოუხდა, წარმოუდგენელი ტანჯვა-წამება დაითმინა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, შერაცხილ არ იქნა ღმერთების ხომლში, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის ეკუთვნოდა. და განა იგივე არ ითქმის ჰერაკლეს, აქილევისა და, ბოლოს ალექსანდრე მაკედონელის მიმართაც. ვის საგმირო საქმეებსაც ზოგიერთნი ნაწილობრივ უკვე ადარებენ გალიაში ჩემს მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს და მით უფრო თამამად შეადარებენ იმ გამარჯვებას, რომელსაც ამ ლაშქრობისას მოვიპოვებ.

ნევიტა. ჩემო მბრძანებლო, აი, ჩვენს ქვემოთ უკანასკნელი რაზმები გამოჩნდნენ, — უკვე დროა.

იულიანე. ახლავე, ნევიტა, მაგრამ ჭერ იმას გიამბობთ, რა საოცარი სიზმარი ვნახე წუხელ. მესიზმრა, ვითომ ჩემს წინაშე იდგა პატარა ბავშვი, რომელსაც ერთი მდიდარი კაცი სდევნიდა. ეს კაცი ურიცხვი საქონლის პატრონი იყო, მაგრამ თაყვანს არ სცემდა ღმერთებს.

ამ ბოროტმა კაცმა პატარა ბაღს მშობლები და ახლობლები ამოუწყვიტა. მაგრამ ზევსს შეებრაღა ობოლი და მტარვალის ღვენისაგან დაიცვა.

ათენასა და აპოლონის მფარველობით წამოიზარდა ეს ჩვენი ობოლი და საუცხოო კაბუკი დადგა.

მერე მესიზმრა, ვითომ კაბუკმა ქვაზე მიდო თავი და ღია ცის ქვეშ ჩაეძინა.

მაშინ ყმაწვილი კაცის სახით ჩამო ეშვა ციდან პერმესი, მძინარეს თავზე დაადგა და უთხრა: „წამოდი და გიჩვენებ უზენაესი ღმერთის საეანეს“.

ფრილო კლდის ძირას მიიყვანა კაბუჯი და იქ დატოვა. შეეშინდა კაბუჯს, ცრემლების ფრქვევითა და ხმამალალი ლალადისით შეწევნა შესთხოვა ზეესს. და, აჰა, ციდან ჩამოეშენენ ათენა და პელიოსი, მიწის გამრიგე. მალალი მთის მწვერვალზე აიყვანეს კაბუჯი და უჩვენეს მისი სამკვიდრო.

ეს სამკვიდრო კი მთელი დედამიწის ზურგი აღმოჩნდა, ზღვიდან ზღვამდე და მათ იქითაც.

მაშინ მათ უთხრეს კაბუჯს, ყოველივე ეს შენი იქნებო, და სამი რჩევა მისცეს მას: ნუ იძინებ, როგორც ეძინათ შენს ნათესავებს; ნუ ისმენ პირმოთნეთა რჩევას, და ბოლოს, ღმერთების დარად თავყვანი ეცი მათ, ვინც ღმერთებსა ჰგვანან. „გახსოვდეს, — უთხრეს გამოთხოვებისას, — რომ შენა გაქვს უკვდავი სული, რომელიც ნეტარი ღმერთების საეანისგან იღებს დასაბამს. მისღიე ჩვენს რჩევას და შენ იხილავ უკვდავთა მამას და ჩვენსავით ღმერთად იქცევი“.

პრისკუსი. რა არის ამასთან შედარებით ან მისნობა, ან მკითხაობა?

კიტრონი. არა მგონია გადავაქარბო, თუ იმედს გამოვთქვამ, რომ ბედისწერის ქალღმერთი ორჯერ მაინც ჩაფიქრდება, ვიდრე იმნაირ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, რომელიც შენს ზრახვებს არ ეთანხმება.

იულიანე. ჩვენ ვერ გავებდავთ დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ესოდენ უჩვეულო პატივის ღირსად გვცნობენ ღმერთები. მეორეს მხრივ, ეს სიზმარი მაინც წინასწარმეტყველურ ხილვად მიმაჩნია, თუმცაღა ჩემი ძმა მაქსიმე — ყოველგვარი მოლოდინის საპირისპიროდ — თავისი ღუმლით უსიტყვოდ გვეუბნება, რომ არც ჩემი სიზმარი მოსწონს და არც ჩემს მიერ მის გადმოსაცემად მოქმენილი ფორმა. რა გაეწყობა, ამასაც უნდა შევეურიგდე. (გრაგნილს აჰოილებს).

აი, იოვიანე, დღეს დილაუთენია, ჯერ კიდევ სარეცელზე მწოლარემ ჩაეწერე ეს ჩემი სიზმარი. აიღე, გაამრავლე და ჯარისკაცებს ჩამოურიგე. ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რომ ესოდენ სახიფათო ლაშქრობის დროს ჯარისკაცები მშვიდად იყვნენ თავიანთი ბედ-იღბლის გამო, რომელიც მათი ბელადის ხელთაა და ამიტომ უყოყმანოდ უნდა ემორჩილებოდნენ და ენდობოდნენ ყველაფერში, რამაც შეიძლება გადაწყვიტოს ბრძოლის შედეგი.

იოვიანე. გვეედრები, ჩემო მბრძანებელო, მე ნუ დამავალებ მაგას.

იულიანე. ვითომ რატომაო?

იოვიანე. იმიტომ, რომ ხელს ვერ შევიწყობ იმ საქმეში, რომელიც ჭეშმარიტებას არ შეესაბამება... მომისმინე, ჩემო უებრო მბრძანებელო! განა შენს მეომრებს შორის მოიძებნება თუნდაც ერთი კაცი, უყოყმანოდ რომ არ მოგანდოს თავისი ბედი? განა გალიის საზღვარზე, მტრის ძალების სიჭარბისა და რიცხობრივი უპირატესობის, ისევე როგორც ათასგვარი დაბრკოლების მიუხედავად, უფრო ბრწყინვალე გამარჯვებები არ მოიპოვე, ვიდრე შეიძლება დაიქადოს ჩვენმა ნებისმიერმა მხედართმთავარმა?

იულიანე. როდინდელ ამბავს იხსენებ?

იოვიანე. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ გწყალობდა და გილიმოდა ბედი მთელი ამ ხნის განმავლობაში. განსწავლულობით ყველა მოკვდავს აღმატები და მკვერმეტყველების ხელოვნებაშიც ერთ-ერთი პირველთაგანი ხარ.

იულიანე. მერედა, მიუხედავად ამისა...

იოვიანე. მიუხედავად ამისა, შენ მხოლოდ ადამიანი ხარ, ჩემო მბრძანებელო; ხოლო შენს სიზმარს რომ აცნობ ლაშქარს, იმ აზრის გავრცელება გასურს, თითქოს ღმერთი იყო, და სწორედ ამ საქმეში არ შემიძლია შევიწყო ხელი.

იულიანე. რას იტყვით, ჩემო მეგობრებო, როგორ მოგწონთ ამ კაცის სიტყვები?

კიტრონი. იმდენადვე თავხედური სიტყვებია, რამდენადაც უგუნური.

იულიანე. ხომ არ დაგავიწყდა, ჩემო სიმართლის მოყვარე იოვიანე, რომ იმპერატორ ანტონინუსს, მეტსახელად „ღვთისმოსავს“, საგანგებო ტაძარში და რომის ფორუმზე უკვდავი ღმერთების დარად აღიღებდნენ და თავყანს სცემდნენ. და არა მარტო მას, არამედ მის მეუღლეს ფაუსტინასაც, ისევე როგორც სხვა იმპერატორებს ანტონინუსამდეც და მის შემდეგაც.

იოვიანე. ვიცი, მბრძანებელო, მაგრამ ჩვენს წინაპრებს არ ღირსებიათ ჭეშმარიტების ნათელი.

იულიანე (დიდხანს აკვირდება ბასრი და გაჰპოლი მზერით). აჰ, აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი, იოვიანე!

ერთი ეს მითხარი... გუშინ, შეღამებისას, მსხვერპლს რომ ვწირავდი, შენ ხომ პატაკით შემოხვედი სწორედ იმ დროს, როცა წმინდა წყალს ვისხამდი ხელზე, რათა ზეარაკის სისხლი ჩამომერეცხა.

იოვიანე. დიახ, მბრძანებელო...

იულიანე. ძალიან ვჩქარობდი და ამ ფაციფუცში ჩემდა უნებურად, რამდენიმე წვეთი შემოგაშხეფე. შენ კი გველნაკბენივით ისკუპე უკან, თითქოს შხეფებმა ტანისამოსი წაგიბილწესო.

იოვიანე. ჩემო მბრძანებელო... მაშასადამე, ესეც შენიშნე?

იულიანე. შენ კი გინდოდა, რომ არ შეგენიშნა?

იოვიანე. დიახ, ხელმწიფეო, ვინაიდან ეს მხოლოდ მე მეხება და კიდევ ერთ კეშმარიტ ღმერთს.

იულიანე. შენ გალილეელი ხარ?

იოვიანე. ხელმწიფეო, შენ თვითონ ჭმგზავნე იერუსალემში. და მე ჩემი თვალით ვიხილე ყველაფერი, რაც იქ მოხდა. მას მერე ბევრს ვფიქრობდი, ქრისტიანების წიგნებს ვკითხულობდი, სასაუბროდ ვიწვევდი მრავალ მათგანს და, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ სწორედ მათი მოძღვრება გვიძლავნებს ღვთაებრივ კეშმარიტებას.

იულიანე. ეს რა მესმის? გამაგებინეთ, რა ხდება? აი, რა რიგ გადამდებია და სადამდის უწევს სიშლეგე! ჩემი ახლობლები... ჩემი საკუთარი მხედართმთავრები უნდა გამიდგნენ?

იოვიანე. პირისპირ დამაყენე შენი მტრების წინაშე, მბრძანებელო, და დაინახავ, რა სიხარულით მივაგებ კეისარს კეისრისას.

იულიანე. მაინც რას?..

იოვიანე. სისხლს და სიცოცხლეს.

იულიანე. სისხლი და სიცოცხლე არ კმარა! თუ მბრძანებელი ხარ, ადამიანის სულსა და ნებაზე უნდა მბრძანებლობდე. და, აი, იესო ნაზარეველი სწორედ აქ შელობება გზაზე, ძალაუფლებას მეცილებდა.

ხომ არ გგონია, რომ შენს დასჯას ვაპირებ, იოვიანე? ისინი, ვისაც ახლა მიემხრე, უდიდეს ბედნიერებად მიიჩნევენ ამას. რადგანაც სიკვდილით დასჯის შემდეგ წმიდა მოწამეთა შორის შეირაცხებით; ასეა, არა? განა ამნაირად არ განადიდეს ყველა, ვინც მათი სიშლეგისათვის დავსაჯე. უფრო სწორად, იძულებული ვიყავი, დამესაჯა?

მეწინავეთა რაზმში გიკრავ თავს! ამას იქით შენი დანახვაც აღარ მინდა... შეიძლება ასე მილალატო და შენი ორგულობა ორმაგ მოვალეობასა და ორ სამეფოზე ფუქი ლაქლაქით შენიღბო? სპარსეთის მეფის გარდა ბევრი სხვა მეფეც იწუნებს კისერზე ჩემს ყულფს.

მეწინავეთა რაზმშია შენი ადგილი, იოვიანე!

იოვიანე. ჩემს ვალს ყველგან მოვიხდი, მბრძანებელო! (ხელმარჯვნივ გადის).

იულიანე. არავის ავამღკრევიანებთ ამ ნათელ დილას, რომელიც ესოდენ სასიკეთო ნიშნით დაიწყო. უდრტვინველად ავიტანთ ამასაც და ბევრ სხვა რამესაც... ლაშქარს მაინც გააყენონ ჩემი სიზმარი. ჩემო პრისკუს, შენც, კიტრონ, და თქვენც, ჩემო მეგობრებო, ეცადეთ, ღირსეულად აღასრულოთ ეს საპატიო ვალი.

სოფისტები. ამაზე დიდი ბედნიერება რაღა იქნება? (გრაგნილს ჩამოართმევენ იულიანეს და ხელმარჯვნივ გადაიან).

იულიანე. ერთსა გთხოვ, ორმიზდ, ექვი ნუ შეგეპარება ჩემს ძლიერებაში, თუმცა ერთის შეხედვით ისე ჩანს, თითქოს აქ ყველა დამთხვეულს თავისი გააქვს. წადი! შენც წადი, ნევიტა, და თქვენც, მეგობრებო, ყველამ თქვენ-თქვენს საქმეს მიხედეთ. მე ცოტა მოგვიანებით მოვალ, როცა მთელი ლაშქარი დაბლობზე მოიყრის თავს.

იმპერატორისა და მაქსიმეს გარდა ყველანი ხელმარჯვნივ გადაიან.

მაქსიმე (ცოტა ხნის შემდეგ წამოღება ქვილან, რომელზედაც აქამდე იჯდა და იმპერატორთან მიდის). ჩემო ავადმყოფო ძმაო!

იულიანე. დაჭრილი უფრო ვარ, ვიდრე ავადმყოფი; მონადირის ისრით დაკოდილი ირემი უსიერ ტევრში ეძებს თავშესაფარს, სადაც ვერც კაცი და ვერც ნადირი ვერ დაინახავს. მე აღარ შემეძლო ანტიოქიის ქუჩებში გამოჩენა; ახლა კი, მგონია, აღარც ლაშქრის წინაშე გამოჩენა შემეძლია.

მაქსიმე. ვერავინ გხედავს, ჩემო ძმაო და მეგობარო, ვინაიდან ყველანი ხელის ფათურით, ალაღბედზე დაეხეტებიან ბნელში. მაგრამ შენ განკურნავ სნეულ თვალებს და მაშინღა გიხილავენ მთელი შენი დიდებით და ძალმოსილებით.

იულიანე (დაეინებოთ ჩასცქერის სიღრმეს). რა უძირო სიღრმეა ჩვენს ქვემოთ! რარიგ უბადრუკნი და უმწუონი ჩანან მოლაშქრენი, ხოკოებივით რომ მილოლავენ მდინარის პირას, ბუჩქებს შორის.

ამ ხეობას რომ მოვადექით, მხედართმთავრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, კლდეკარის საცალფეხო ბილიკებს გამოეყოლოდით, რათა ერთი საათი მაინც მოგვეგო და, ამრიგად, შეგვემსუბუქებინა სიძნელე გზისა, რომელიც სიკვდილისაკენ მიდის.

და ბრბოც უსიტყვოდ დაემორჩილა თავის ბელადებს. კაციშვილს აზრად არ მოსვლია, რომ თხემითაც შეიძლებოდა გადასვლა. არავის გამოუწია გულმა ამ მწვერვალისკენ, სადაც თავისუფლად დანავარდობს ქარი და ასე ლაღად შეგიძლია ისუნთქო კაცმა. და, აი, ახლა უფსკრულის ძირას მილოლავენ ისინი, მილოლავენ და ვერც კი ამჩნევენ, ცის რა ვიწრო ზოლი

გადაკიმულა მათ თავზე; თითქოს წარმოდგენაც არა აქვთ მთის მწვერვალებზე, საიდანაც იშლება უსასრულო ცა!.. რას იტყვი, მაქსიმე, იქნებ კაცთა სიცოცხლის ერთადერთი მიზანი სხვა არა არის რა, თუ არა სიკვდილი? ასეთია გალილეელის სულისკვეთება. თუ მართალია, რომ მამამისმა შექმნა სამყარო, მაშინ ძე თითქოს იმისათვის მოვიდა, რომ შეიზიზღოს მამის ქმნილება. და სწორედ ამ სიშლევის გამო აღიღებენ და თაყვანს სცემენ მას!

რამდენად უფრო მალა იდგა მასზე სოკრატე! განა ათენელი ბრძენი მთელის არსებით არ ეტრფოდა ტკობას, ბედნიერებას, მშვენიერებას? და მაინც თვითგანდგომით დაასრულა თავისი დიდი სიცოცხლე. ერთს საერთოდ არ სურდა, მეორეს კი, პირიქით, სურდა და მაინც უარყო... რა უსასრულო უფსკრული ძევს ამ ორ კაცს შორის!

აი, სწორედ სიბრძნის ეს დაკარგული საუნჯე მინდოდა დამებრუნებინა ადამიანებისათვის. ძველი დიონისესი არ იყოს, მეც სიხარულით და ჭაბუკური იმედებით სავსე მივიღოდი მათთან შესახვედრად: შუბლს მწვანე ფოთლებისა და ყვავილების გვირგვინი მიმკობდა, ხელები მწყდებოდა ჭაგნების სიმძიმისაგან... მაგრამ ისინი ხელისკვრით მიშორებენ და უარყოფენ ჩემს ძღვენსაც... მტრებსაც და მეგობრებსაც თანაბრად ვძულვარ და ვეზიზღები, ერთნიცა და მეორენიც მხოლოდ მგმობენ და დამცინიან.

მაქსიმე. რატომ? გინდა გითხრა, რატომ?

ოდესღაც ერთ ქალაქში ვცხოვრობდი. ქალაქგარეთ ვენახი იყო. არსად ვაზი არ ისხამდა უფრო ტკბილ მტევნებს. როდესაც მოქალაქეებს პირის ჩატკბარუნება მოუნდებოდათ, სწორედ იმ ვენახში გზავნიდნენ თავიანთ მსახურებს.

დიდი ხნის შემდეგ კვლავ ჩავედი იმ ქალაქში, მაგრამ იქ უკვე აღარავინ ახსენებდა უწინ ესოდენ სახელგანთქმულ ვენახს. მევენახე მოვძებნე და ვკითხე: „მითხარი, მეგობარო, იქნებ ვაზი გადაგიგვარდა და ამიტომაც აღარავის ახსენდება შენი ყურძენი?“. „არა, — მომიგო მევენახემ, — იცი, რას გეტყვი? ახალი ვაზის ყურძენი კარგია, მაგრამ ღვინოა ცუდი. ამიტომაც, უცხოელო, — დასძინა მან, — მე კვლავინდებურად ვატკობ და ვახარებ მეზობლების გულებს ჩემი ვენახით, მაგრამ ამჯერად უკვე სხვანაირად, — ღვინით და არა ყურძნით.“

იულიანე (ჩაფიქრებით). დიახ, დიახ!

- მაქსიმე.** აი, სწორედ ეს ვერ შენიშნე. სამყაროული ვაზი დაბერდა, შენ კი კვლავინდებურად ყურძენს სთავაზობ მათ, ვისაც მხოლოდ ღვინო სწყურია.
- იულიანე.** ეკ. მაქსიმე, კი მაგრამ, სადაა ეს მწყურვალი? დამისახელე თუნდაც ერთი კაცი, ჩვენი ძვირფასი ძმების გარდა, ვის არსებაშიც ჩამკედარი არ იყოს სული!.. რაღა მაინცდამაინც ამ რკინის საუკუნეში დავიბადე მე უბედური?
- მაქსიმე.** ნუ ჰყვედრი საუკუნეს. საუკუნე რომ უფრო დიდი იყოს, შენ უფრო პატარა იქნებოდი. სამყაროს სული მდიდარ კაცსა ჰგავს, ურიცხვი ვაჟის მამას. თავისი სიმდიდრე ყველას თანაბრად რომ გაუნაწილოს, თვითეულ მათგანს შეძლებული კაცი ერქმევა, მაგრამ არც ერთი არ იქნება მდიდარი. და, პირიქით, ყველასთვის რომ წაერთმია მემკვიდრეობა, გარდა ერთისა, და მისთვის დაეტოვებინა ყველაფერი, სწორედ ის იქნებოდა ერთადერთი მდიდარი ლატაკთა შორის.
- იულიანე.** ამაზე უარეს შედარებას ვერც იპოვიდი. სიმდიდრე ვინ მომაშავა? განა სათითაოდ არ დაიტაცეს და მიისაკუთრეს ყველაფერი, რისი მფლობელიც უნდა ყოფილიყო სამყაროს მბრძანებელი და რაც სხვებივით ცალ-ცალკე კი არა, მთლიანად და განუყოფლად მხოლოდ მას უნდა რგებოდა წილად? ო, რარიგ დანაწევრებულია ყოველგვარი ძალაუფლება! რა დაქუცმაცებულია ყველა სულიერი ძალა! განა ლიბანიოსს მკვერმეტყველების ქეშმარიტად უებრო უნარი არ მიჰმადლა განგებამ, რის გამოც მას ერთსულოვნად აღიარებენ რიტორთა მეფედ? განა შენ, ჩემო მაქსიმე, სრულად არა ფლობ იღუმალი სიბრძნისმეტყველების არანაკლებ იღუმალ ძალას? ანდა ავიღოთ, თუნდაც ის დამთხვეული აპოლინარიოსს ანტიოქიელი, ვისი ზეშთაგონებისა და პოეტური ნიჭის ძალა იმდენად უჩვეულოა, რომ მე მისდამი შურის მეტი სხვა აღარა დამრჩენია რა. ახლა გრიგოლ ნაზიანზელს აღარ იკითხავ, ვისი მძლეთამძლე ნებისყოფაც იმდენად უდრეკია, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე მეტსახელად უწოდებს „იდიდს“, რაც აშკარად არ შეჰფერის იმპერატორის ქვეშევრდომს. და რაც კიდევ უფრო უცნაურია, ამავე მეტსახელით იხსენიებენ გრიგოლის მეგობარს ბასილი კესარიელსაც, კაცს რომელსაც ბალღივით ჩვილი გული და ქალწულივით ნაზი სახის ნაკეთები აქვს, თანაც ცხოვრების ასპარეზზეც კი არ გამოდის, კარჩაკეტილად ცხოვრობს მთელი სამყაროსაგან მოწყვეტილ თავის პაწაწინა მამულში, განდევნილის კუნკული დაუხურავს და სულ რამდენიმე კაცთან თუ აქვს ურთიერთობა, აგრეთვე თავის დასთან და სხვა ქალებთან, რომლებსაც ღვთისმოსავეზად და წმინდანებად

თვლიახ. მაგრამ ვისი გავლენა 'შეედრება ამ გალილეველი და-ძმისას, იმ წერილების წყალობით, რომლებსაც ისინი დროდადრო უგზავნიან თავიანთ თანამორწმუნეთ! ყველაფერი, თვით განდგეილობაცა და განმარტოებაც ჩემი ძალაუფლების საპირისპირო ძალად იქცევა! მაგრამ ყველაზე საშიში ჩემთვის მაინც ის ჯვარცმული იუდეველია.

მაქსიმე. შენც აღექი და განუდექ ამ დაქუცმაცებულსა და დანაწევრებულ ძალბოსილებას, მაგრამ ნუ გექნება იმისი იმედი, რომ დათრგუნავ მეამბოხეებს, თუკი მათთვის უცნობი მბრძანებლის დესპანად ან მხედართმთავრად წარსდგები იმათ წინაშე. მოვედ და იმოქმედე მხოლოდ შენი სახელით, იულიანე! განა იესო ნაზარეველი სხვის მოციქულად მოგვევლინა? განა სახალხოდ არ განაცხადა, მე ვარ ის, ვინც წარმომგზავნაო? კეშმარიტად, შენშია ჟამთა დასასრული, შენ კი ამას ვერ ხედავ. განა თავის შეუშტთარ თითს შენ არ მოგაპყრობს ყველა მისანი, მოგვი, ქურუმი? განა შენვე არ გასახელებს მისნობის ყველა ნიშანი? დედაშენის სიზმარი ხომ არ გაგახსენო?

იულიანე. რომელი? ვითომ აქილევსი რომ შვა?

მაქსიმე. ან, იქნებ, იმის შეხსენება გკირდება, რომ ბედნიერება თითქოს არწივის ფრთებით მიგაქროლებდა ცხოვრების მღელვარე, ათასგვარი ხიფათით სავსე და ბობოქარი ზღვის თავზე? ვინა ხარ შენ, ხელმწიფეო? იქნებ, მკვდრებით აღმდგარი ალექსანდრე, ადრე ჭერ კიდევ უნდილი და უმწიფარი, ახლა კი უკვე მოწიფული და თხემით ტერფამდე აღქურვილი, რათა დაასრულოს დიადი საქმე?

იულიანე. მაქსიმე!

მაქსიმე. კაცობრიობის ცხოვრებაში, დროის განსაზღვრული შუალედების შემდეგ, ვილაც მკვდრებით აღმდგარი გამუდმებით ევლინება ქვეყნიერებას. ისა ჰგავს მხედარს, წრეში რომ დააქენებს გაუხედნავ ცხენს, თავს ვერ იმაგრებს და ძირს ვარდება. გადის დრო და მხედარი კვლავ ზურგზე ექცევა ცხენს, უფრო თამამი, გამოცდილი და გამობრძმედილი. მაგრამ ბედაურის დაურკება შეუძლებელია და ვინ იცის, მერამდენედ, კვლავ მეორდება იგივე სურათი — სულ სხვადასხვა სახით მოდის მხედარი, შედეგი კი ყოველთვის ერთი და იგივეა: მხედარი ძირს აგდია, ცხენი კი თავაწყვეტილი მიგელავს თავისი გზით და ასე გრძელდება დღევანდელ დღემდე. ასეთია განგების ნება: ის უნდა ჩამოვარდნილიყო ღვთისდარი კაცის სახით — ედემის ბაღში, მსოფლიო სახელმწიფოს დამაარსებლის სახითაც და იგივე ბედი სწეოდა უფლის სასუფეველის მთავრად მოვლენილს. ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოგვე-

ლინება. კიდევ რამდენჯერ გამოჩნდება ჩვენს შორის, ვერა-ვისგან ვერ შეცნობილი.

რა იცი, იულიანე, შენ თვითონ იყავი თუ არა მასში? მე ვგულისხმობ იმას, ვისაც დღეს სდევნი.

იულიანე (ჩაფიქრებით გახედავს სივრცეს). ვინ ამოხსნის ამ გამოცანას? მაქსიმე. ის ძველი წინასწარმეტყველებაც ხომ არ გაგახსენო, რომელსაც დღეს ხელახლა იმეორებენ? მაშინ ითქვა, გალი-ლეველის მეუფება იმდენ წელს გასტანს, რამდენი დღეც არის წელიწადშიო. ორი წლის შემდეგ სამას სამოცდახუთი წელი შესრულდება იმ დროიდან, როცა ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე.

იულიანე. შენ გწამს ეს წინასწარმეტყველება?

მაქსიმე. მე მწამს მომავალი.

იულიანე. ისევ გამოცანა!

მაქსიმე. მე მწამს თავისუფალი აუცილებლობა!

იულიანე. ეს გამოცანა კიდევ უფრო ბნელია და ბუნდოვანი!

მაქსიმე. იცი რა, იულიანე? როცა სამყაროული სივრცის სიციარიე-ლეში იგრაგნებოდა ქაოსი და იაჰვე ერთადერთი იყო, — იმ დღეს, როცა მან, იუდეველთა საღმრთო წერილის თანახმად, ხელის აქნევით ბნელისაგან გამოჰყო ნათელი, ხოლო წყლისაგან — ხმელი, დიახ, იმ დღეს დიადი შემოქმედის ძალმოიხილება უფრო უსაზღვრო და უსასრულო იყო, ვიდრე ოდესმე.

მაგრამ დედამიწაზე ადამიანის მოვლინებასთან ერთად ქვეყნიერებას მოველინა ურიცხვი სხვადასხვა ნებაც. ადამიანებმაც, ცხოველებმაც და მცენარეებმაც, მარადიული კანონების თანახმად, დაიწყეს თავიანთ მსგავსთა შექმნა. მარადიული კანონებითვეა დასაზღვრული მნათობთა წრებრუნვა ცის უსასრულო თალზე...

სინანულმა ხომ არ შეიპყრო იაჰვე? ყველა ძველი თქმულება გვიხატავს მონანულ შემოქმედს.

მან თვითონვე ჩასდო თავის ქმნილებაში თვითშენახვის უცვლელი კანონი. ქმნილებას თავისი თავის შენახვა სურს და კიდევ ინახავს.

მაგრამ ორი განკერძოებული სამეფო გამუდმებით ეომება ერთიმეორეს. სადაა სამყაროს მბრძანებელი, სადაა ორადი, რომელიც შეარიგებს მათ?

იულიანე (წინ იყურება). ორი წლის შემდეგ... ყველა ღმერთი უქმდაა... და მათ უკან არა დგას არავითარი ძალა, რომელიც თუნდაც ჯიბრით წინ აღუდგებოდა ჩემს ზრახვებს.

ორი წლის შემდეგ? ორ წელიწადში მთელ დედამიწას დავიმორჩილებ.

მაქსიმე. რას ამბობ, იულიანე?

იულიანე. მე ახალგაზრდა ვარ, ძლიერი, ჯანლონით სავსე. მე მინდა დიდხანს ვიცოცხლო, მაქსიმე. (ხელმარჯვნივ გადის).

მაქსიმე უკან მიჰყვება.

მათაგორიანი, ტყით დაფარული ადგილი. ხეებს შორის მდინარე მიედინება. მალღობზე პატარა სახლი დგას. მზის ჩასვლის დროა. ბორცვებს შორის, მარცხნიდან მარჯვნივ, რაზმები მიდიან. განდგეილის სამოსით მოსილი ბასილი კესარიელი და მისი და მაკრინე გზის პირას დგანან და ჭარისკაცებს, რომლებსაც წყურვილისაგან პირი უშრებათ, წყალსა და ხილს აწვდიან.

მაკრინე. შეხედე, ბასილი, ამ საცოდავებს; ვერ იტყვი, რომელი უფრო ფერმკრთალია, გამხდარი და გამოფიტული.

ბასილი. მერედა, რამდენი ჩვენი ქრისტიანი ძმაა მათ შორის! ვაი შენ, იმპერატორო იულიანე! ეს მისი ახალი ჩანაფიქრი ყოველგვარ წამებასა და სატანჯველზეც უარესია. ვის წინააღმდეგ მიჰყავს თავისი ურდოები? უმაღლესი ქრისტიანების, ვინემ სპარსთა მეფის წინააღმდეგ.

მაკრინე. ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ამ საშინელების ჩადენა შეუძლია?

ბასილი. დიახ, მაკრინე, სულ უფრო ცხადად ვხედავ, რომ დარტყმა ჩვენს წინააღმდეგაა მომართული. მას განზრახული აქვს ხალხს დაავიწყოს ყველა მარცხი, რაც ანტიოქიაში განიცადა, შეუპოვარი წინააღმდეგობა და დამცირება თუ შეურაცხყოფა, რაც თავისი უკეთური საქმის სანაცვლოდ იწვნია. განზრახული აქვს და კიდევაც განახორციელებს ამას. მისი გამარჯვება ყველაფერს ამოშლის ადამიანთა მეხსიერებიდან. ასეთია კაცის ბუნება: მის თვალში ბედნიერება ყველაფერს ამართლებს და უმრავლესობა ყოველთვის ქედს იხრის ძალის წინაშე.

მაკრინე (მარცხნივ ახედებს). ახალ-ახალი ურდოები! უანგარიშო, ურიცხვი...

გზაზე ახალი რაზმები მოაბიჯებენ. დალილობისაგან გამოფიტული ერთი ახალგაზრდა ჭარისკაცი გზის პირას ეცემა.

ასისტანტი (გოხს ურტყამს). ადექი! ადექი-მეთქი, ძაღლო!

მაკრინე (მათკენ მიეუბრება). ნუ ურტყამ, ნუ!

ჭარისკაცი. მირტყას, მირტყას, წამება ნეტარებაა!

მხედართმთავარი ამიანე (უახლოვდება). რატომ შეეჩერდი? აა, ისევ ისაა?.. ვითომ მართლა აღარ შეუძლია?

ასისტანტი. აბა, რა ვიცი, ბატონო, ყოველი ფეხის ნაბიჯზე კი ეცემა და...

მაკრინე. მოწყალეა მოიღეთ! ვინაა ეს უბედური?.. აი, ხილის წვენი; მიირთვი, ძალას მოგცემს... ვინაა, ბატონო ჩემო?

ამიანე. კაპადოკიელია, ერთი იმ შეცთომილთაგანი, ანტიოქიაში აფროდიტეს ტაძარი რომ დაარბიეს.

მაკრინე. აა, ერთ-ერთი წამებული?..

ამიანე. იქნებ წამოდგე, აგათონ!.. მეცოდება ეს უბედური. ისე საშინლად აწამეს, რომ ვერ აიტანა და მას შემდეგ თავის კეუაზე აღარაა.

აგათონი (დგება). არაფერია, გავუძლებ... ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს კეუაზე ვარ. მირტყით, მირტყით, მირტყით, — წამება ნეტარებაა!

ამიანე (ასისთავს). წინ! დროის დაკარგვა არ შეიძლება!

ასისთავი (ჩარისკაცებს). წინ, წინ!

აგათონი. ბაბილონოსი დაეცა... მალე დაეცემა ბაბილონელი მემრუშეც. კანტუს ლომი მოკლეს... მალე მოკლავენ გვირგვინოსან ლომსაც!

ქრისტიან ჩარისკაცებს ხელმარჯვნივ მიერეკებიან.

ამიანე (ბასილს და მაკრინეს). უცნაური ხალხი ხართ: სცდებით და მაინც სიკეთეს თესავთ. მადლობელი ვარ, წყალი რომ მიაწოდეთ მწყურვალთ. იმპერატორის სამსახური რომ არ მიკრძალავდეს, თავადაც მოხარული ვიქნებოდი, უკეთ მოექცეოდი თქვენს მოყვასთ. (ხელმარჯვნივ გადის).

ბასილი. ღმერთმა გაკურთხოს, კეთილშობილო წარმართო!

მაკრინე. ნეტა ვინაა ეს კაცი?

ბასილი. არ ვიცი! (მარცხნივ ახედებს). შეხედე. შეხედე! თვითონ იმპერატორი!

მაკრინე. ისაა!

მარცხენა მხრიდან გამოჩნდება მხედართმთავრებით გარშემორტყმული იმპერატორი იულიანე; უკან სხეულის მცველნი მოჰყვებიან ანატოლიოსის წინამძღოლობით.

იულიანე (თავის მხლებლებს). რა? დავიღალე? განა ცხენის წაქცევა შემაჩერებს? ან, იქნებ, ფეხით სიარული ნაკლებ შემფერის, ვიდრე უჩიშო ცხენზე ამხედრება? დავიღალე? ჩემს წინაპარს უთქვამს, იმპერატორი თვით სიკვდილსაც კი ფეხზე მდგომი უნდა შეხედესო. მე კი ვამბობ, რომ იმპერატორი არა მარტო სიკვდილის წამს, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზეც ყველასთვის მისაბამ სიმტკიცეს უნდა იჩენდეს. ღიახ, მე ვამბობ, რომ... აა, მზის შუქსა ვფიცავ, თუ ეს ბასილი კესარიელი არ იყოს!

ბასილი (მღაბლად იხრება). შენი მონა-მორჩილი, ძღვევამოსილო მბრძანებელი!

იულიანე. რაც მართალია, მართალია, უკეთესი მონა-მორჩილი აღარ იქნება. (უახლოვდება)

აი, თურმე როგორია ეს შენი ქოხი, ესოდენ სახელგანთქმული აქედან დაგზავნილი წერილებით! მთელს ქვეყანაში ამ ქოხზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე სიბრძნისმეტყველების კათედრებზე, თუმცა მათ აღსადგენად არც თავი დამიზოგავს და არც სახსარი, რომ ძველი დიდება დამებრუნებინა მათთვის... ეს ქალი, ალბათ, შენი დაა, მაკრინე! ასეა, არა?

ბასილი. დიახ, ხელმწიფეო.

იულიანე. ლამაზი ქალი ხარ და, თანაც, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ გავიგე, რომ ზურგი გიქცევია ცხოვრებისათვის.

მაკრინე. ხელმწიფეო, მე ამ სოფელს ვაქციე ზურგი, რათა შემეძინა საუკუნო სიცოცხლე.

იულიანე. ვიცნობ, ძალიან კარგად ვიცნობ თქვენს ცთომილებას. ერთთავად იმაზე ოხრავთ, რაც ამქვეყნიური ცხოვრების მიღმაა და რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ. ხორცს რომ აკვდინებთ, ამით თქვენ ჰკლავთ ყველა ადამიანურ ვნებას. და მაინც, მე გეუბნებით, რომ თქვენს საქციელში არანაკლები პატივმოყვარეობა გამოსჰქვივის, ვიდრე რაშიაც გნებავთ.

ბასილი. ნუ გგონია, ხელმწიფეო, თითქოს ბრმა ვიყო და ვერ ვამჩნევდე იმ საფრთხეს, რაიც თან ახლავს ამ ქვეყნისაგან განდგომას. ვიცი, რარიგ მართალია ჩემი მეგობარი გრიგოლი, როდესაც წერს, მე ვგრძნობ, რომ სულით განდევნილი ვარ, თუმცა ხორციელად განდევნილი არა მქვიაო. ისიც ვიცი, რომ ეს უხეში სამოსი ბევრს ვერაფერს არგებს ჩემს სულს, თუკი ჩემს დამსახურებად მივითვლი ამას.

მაგრამ მე სხვა თვალთ ვუყურებ საქმეს. განმარტობით ცხოვრება ენით უთქმელ ნეტარებას მანიჭებს, — ესაა და ეს. მთელი ქვეყანა საზარელი ვნებების აღშია გახვეული, მაგრამ ჩემს მყუდრო სავანემდე ვერც მათი სიბილწე აღწევს და ვერც სიმახინჯე. აქ ჩემი ხორცი მალღდება ლოცვით, სული კი იწმინდება კრძალვითა და თავშეკავებით.

იულიანე. ო, ჩემო მკირედის მკმარო ბასილი, მე კი გგონია, რომ შენ რალაც უფრო მეტისაქენ ისწრაფვი. თუ მითქმა-მოთქმას ვენდობით, შენს დას მაკრინეს ყმაწვილი ქალები შემოუჯრებიან გარშემო, რომლებიც ცდილობენ ყველაფერში მიჰბადონ მას. და თვით შენაც. ისევე როგორც შენს გალილეველ მასწავლებელს, თორმეტი კაცი დაგიმოწაფებია. რას უპირებ მათ?

ბასილი. ქვეყნის ოთხსავე მხარეს დაევზავნი, რათა საბრძოლველად აღანთონ და განამტკიცონ ჩვენი მოყვასნი.

იულიანე. აჰა! ესე იგი, ჩემს წინააღმდეგ ავზავნი მათ, მკვერმეტყველების ბასრი იარაღით აღჭურვილთ. კი მაგრამ, სად დაუფლვე მკვერმეტყველებას, ამ დიდებულ ბერძნულ ხელოვნებას? სად და ჩვენს სკოლებში! მსტოვარივით შემოიპარე ჩვენს ბანაკში, კარგად დაზვერე ყველაფერი და ახლა ბოროტად იყენებ შენს ცოდნას, რათა მზაკვრულად ჩაგვცე ზურგში დანა!..

იცი რას გეტყვი, ბასილი? მე მეტს ველარ მოვიტყენ ამ უკეთურებას! მტკიცედ გადავწყვიტე, ხელიდან გაგადღებინოთ იარაღი. იკითხეთ თქვენი მათე, თქვენი ლუკა და სხვა უვიცი მკლაბნელები, მაგრამ ამიერიდან გეკრძალებათ ჩვენი ძველი პოეტებისა და ფილოსოფოსების კითხვაცა და განმარტებაც. დიდ უსამართლობად მიმაჩნია, კვლავინდებურად ეწაფებოდეთ ცოდნის იმ წყაროს, რომლის სიწმინდესაც თქვენი ბაგეებით ბღალავთ და ამღვრევთ. ამიერიდან ჩვენს სკოლებში სიარულს ასევე ვუკრძალავ გალილეველ ყმაწვილკაცებსაც. რადგან რა ესაქმებათ იქ? მხოლოდ ის, რომ გაგეძარცვონ და ჩვენი საკუთრება მიითვისონ, რათა შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ მომართონ ჩვენივე იარაღი!

ბასილი. ხელმწიფეო, ჩემს ყურამდე უკვე მოაღწია ხმებმა ამ უცნაური განკარგულების შესახებ. და მე სავსებით ვეთანხმები გრიგოლს, რომელიც წერს, რომ არავითარი განსაკუთრებული უფლება არა გაქვს, შენს საკუთრებად აცხადებდე ბერძნულ მკვერმეტყველებას და ბერძნულ სიბრძნეს. იმაშიც ვეთანხმები მას, რომ შენ იყენებ ანბანს, რომელიც, სხვათა შორის, ეგვიპტელებმა გამოიგონეს, და ატარებ პორფირს, თუმცა მისი ხმარების წესი პირველად ტიროსელებმა შემოიღეს...

ესეც ცოტაა. შენ დაიპყრე ქალაქები და დაიმონე ხალხები, რომელთა ენაც არ გესმის და რომელთა ადათ-წესებისაც არა გაგეგება რა. და შენ თვლი, რომ ამის სრული უფლება გაქვს. მაგრამ იმავე უფლებებით, რომლებითაც შენ სარგებლობ ამ ხილულ სამყაროში, უხილავ სამყაროში სარგებლობს ის, ვისაც შენ გალილეველს უწოდებ.

იულიანე. კმარა! ამის გაგონებაც არ მინდა! ისე ლაპარაკობთ, თითქოს სამყაროს ორი მბრძანებელი მართავდეს, და თქვენი სიკერპით ცდილობთ გზაზე გადამეღობოთ. ო. თქვე ტაკი-

მასხრებო! მკედარს როგორ უპირისპირებთ ცოცხალს? მაგრამ მალე ყველაფერს გაიგებთ. ხომ არ გგონიათ, რომ საომრად სამზადისმა და ათასმა დავიდარაბამ ხელი ამალებინა იმ თხზულებაზე, რომელსაც თქვენ წინააღმდეგ ვწერ და რომელზედაც ამდენი ხანია ვმუშაობ? თქვენის აზრით, ლამეებს ძილში ვატარებ? სცდებით! „წვერთმოძულის“ სანაცვლოდ მხოლოდ დაცინვა დავიმსახურე, თვით იმათი მხრიდანაც კი, ვისაც თავისდა სასიკეთოდ, არ აწყენდა კარგად დაეუპირებინა ზოგიერთი ქეშმარიტება. მაგრამ ეს ნაკლებად მადარდებს. შევარცხვინე ის კაცი, ხელში რომ კომბალი უჭირავს და ძაღლების ხროვას კი გაუბრძის!.. რა გაციინებს, ქალო? სასაცილოს რას ხედავ?

მაკრინე. რატომ ცხარობ, ხელმწიფეო, ან რატომ ესხმი თავს იმას, ვინც შენის აზრით, დიდი ხანია მოკვდა?

იულიანე. აა, მესმის, მესმის! ესე იგი, შენ ამტკიცებ, რომ ის ცოცხალია?

მაკრინე. მე მხოლოდ ერთ რამეს ვამტკიცებ, მბრძანებელო: შენ თვითონვე გრძნობ, რომ ის ცოცხალია!

იულიანე. მე?.. უყურე შენ!.. მე ვგრძნობ?..

მაკრინე. მაშ, რატომ სდევნი ასეთი გააფთრებით? არა, მას კი არა, მისდამი შენს რწმენას სდევნი! განა შენს სიძულვილში, შენს ღვენაში ისევე არ ცოცხლობს, როგორც ჩვენს სიყვარულში?

იულიანე. ვიცი მე ეს თქვენი მზაკვრული ხრიკები! თქვენ, გალილეველები, ერთს ამბობთ და სულ სხვას გულისხმობთ. და ამას ეძახით მქვერმეტყველების ხელოვნებას. უბადრუკო! ნამდვილი შლეგები ხართ! ესე იგი, მე ვგრძნობ, რომ ჭვარცმული იუდეველი ცოცხალია?.. როგორ უნდა დაცემულიყო ეს ჩვენი საუკუნე, რომ ხალხს ამნაირი ბოდვა დაეჭვებინა? მაგრამ ვაი რომ სჯერათ! სჯერათ კი არა და, ამ ბოდვას სიბრძნედა სთვლიან! რამდენი ლამე თეთრად გამითენებია იმაზე ფიქრში, რომ არსებობის ქეშმარიტი საფუძველი მომეძებნა! მაგრამ სად არიან ჩემი მიმდევრები? რამდენი აქებს ჩემს სიტყვებს, მაგრამ ძალზე ცოტას, ან, უფრო სწორად, სულაც არავის არ სჯერა მათი.

მაგრამ ქეშმარიტად გეუბნებით თქვენ. ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. მოვა დრო და მოგვევლინებათ რალაც ისეთი, ელვასავით რომ გაკვესავს და გაანათებს მაგ თქვენს ბნელ სულებს, და მაშინ გაიგებთ, საით მიილტვის ყოველივე გათიშული, რათა კვლავ ერთარსად იქცეს. დიახ, გაიგებთ, რომ ყოველივე ის, რაც ახლა თქვენს ზიზღს იწვევს, მშვენიერი

ყოფილა; ხოლო ჭვარს, რომელსაც თქვენ ესავთ, კიბედ გადავაკეთებ მისთვის. ვისაც არ იცნობთ.

მაკრინე. მე კი გეუბნები, ხელმწიფეო, რომ შენ მხოლოდ მათრახი ხარ უფლის ხელში, მათრახი. რომლითაც ის გვესჯის ჩვენი ცოდვებისათვის. ვაი ჩვენ, რომ ასე განვარისხეთ იგი! ვაი ჩვენ, გულხენეშთ და უკეთურთ, რომლებმაც გადაუხვიეთ ქეშმარიტ გზას!

ისრაელს აღარ ჰყავდა მეფენი. და, აი, მიტომაც მიგხადა უფალმა გონი, რომ დაგესაჭეთ.

მერედა, რა გონებას მოჰფინა ბინდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დაგვროდი! რა დიდებულ ხეს ჩამომტვრია ტოტები, რათა წკეპლებით მოსდგომოდი ცოდვებით დამძიმებულ ჩვენს მხრებს და ბეჭებს!

შენ მოგეცა ნიშები და ვერ დაინახე! შენ გიხმობდა ხმა და ყური არ უგდე! უხილავ ხელს ცეცხლოვანი ასოები გამოჰყავდა შენს წინ აღმართულ კედელზე და ისე წაშალე, რომ არც კი გიციღია ჩასწვდომოდი მათ ფარულ აზრს!

იულიანე. ბასილი... რა სამწუხაროა, რომ დღემდე არ ვიცნობდი ამ ქალს!

ბასილი. წავიდეთ, მაკრინე!

მაკრინე. ვაი მე, რომ ვიხილე ეს ცეცხლოვანი მზერა, სადაც ერთმანეთს ეწვნის ანგელოსი და გველი, განდგომილის სიმწარე და მაცთურის ცბიერება! რისი იმედი უნდა ჰქონოდათ ჩვენს დებს და ძმებს ამ ცის რჩეულის წინაშე? მისი სახელით მოქმედებს ვილაც მძლეთა-მძლე! ნუთუ ვერ ხედავ, ბასილი, თვით უფალ ღმერთს აურჩევია, რათა მუსრი გაგვაელოს ყველას!

იულიანე. ქეშმარიტებას ღალატებენ შენი ბაგენი!

მაკრინე. და არა მე!

იულიანე. აი, პირველი სული, რომელიც მე დავიმორჩილე! მაკრინე, განვედ!

ბასილი. წავიდეთ... წავიდეთ-მეთქი!

იულიანე. დარჩით! ანატოლიოს, ორივენი შეიპყარით!.. გიბრძანებთ, უკან მოსდიოთ ჩემს ლაშქარს, თქვენცა და თქვენმა მოწაფეებმაც, ქალებმაც და ყმაწვილკაცებმაც.

ბასილი. ხელმწიფეო, ნუთუ მართლა ბრძანებ მაგას?

იულიანე. რომელი ჰქუათმყოფელი დატოვებს თავის ზურგში მტრის ციხე-სიმაგრეს? ხომ ხედავ, ხელის ერთი აქნევით შევწყვიტე ისრების ის წვიმა, ამ ქოხიდან წარღვნით რომ ემუქრებოდა მთელს ქვეყანას.

ბასილი. არა, არა, ხელმწიფეო... ასეთი ძალადობა...

მაკრინე. ეჰ, ბასილი, განა სულ ერთი არ არის აქ თუ იქ?..
ყველაფერი დამთავრდა, 'ყველაფერი'!

იულიანე. ხომ ითქვა: „მიაგეთ კეისარს კეისარისა?“ ამ ლაშქრობისას მე მკირდება უკლებლივ ყველა ხელი. თქვენ შეგიძლიათ ავადმყოფებსა და დაკრილებს მოუაროთ. ამით სამსახურს გაუწევთ გალილეველებსაც; და თუ ეს კვლავ თქვენს მოვალეობად მიგაჩნიათ, გირჩევთ, დროს ნულარ დაჰკარგავთ, — მისი მეუფება დიდხანს როდღა გასტანს!

ჩამდენიმე წარისკაცი გარს შემოერთებდა ბასილსა და მაკრინეს; დანარჩენები ტყის გავლით მიეშურებინან კორტოხზე წამომდგარი პატარა სახლისკენ.

მაკრინე. ჩაესვენა მზე ჩვენი სახლისა, ჩაესვენა ჩვენი სასოების მზე, სამყაროს მნათი! ო, ბასილი, ნუთუ ამასაც უნდა მოვსწრებოდით? ჩვენი თვალთ გვეხილა უსინათლო ღამის დადგომა?!

ბასილი. სინათლე არის!

იულიანე. სინათლე იქნება! ზურგი აქციეთ დაისს, გალილეველნო! აღმოსავლეთს მიაპყრეთ მზერა. აღმოსავლეთს, სადაც თვლემს ჰელიოსი. ქეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ იხილავთ მიწის მბრძანებელს — მეუფე-მზეს! (ხელმარჯვნივ გადის).

ყველანი უკან მისდევენ.

ევფრატისა და ტიგროსის გადაღმა. ვრცელი ტრამალი, რომელზედაც იმპერატორის ლაშქარს უკვე გაუშლია კარავები. ხელმარცხნივ, სიღრმეში დაბალი ბუჩქნარია, რომელიც ფარავს ტიგროსის კლაკილ კალაპოტს. ბუჩქებს ზემოთ ხომალდთა ანძების მწკრივი მოჩანს. ცა მორღებულა. საღამოედება. წარისკაცები და ლაშქრობის დანარჩენი მონაწილენი კარავებსა შლიან და ხომალდებიდან საომარი საკურველი და სურსათ-სანოვავე გადმოაქვთ. შორს მეთვალყურეთა კოცონები ანთია. მდინარის ნაპირიდან ბრუნდებიან მთავარსარდალი ნევიტა, მხედართმთავარი იოვიანე და ლაშქრის სხვა თავკაცნი.

ნევიტა. შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ იმპერატორი მაინც მართალი იყო. მართლაცდა, ისე დავადგით ფეხი მტრის მიწა-წყალს, რომ ხმალიც კი არ გვიშიშვლებია. მდინარე ისე გადაეკლახეთ, რომ არავინ აღგვედგომია წინ; ერთი სპარსელი მხედარიც კი არსადა ჩანს.

იოვიანე. დიახ, როგორც ჩანს, მტერი ამ მხრიდან არ მოგველოდა.

ნევიტა. ისე ლაპარაკობ, თითქოს კვლავ იმავე აზრზე იდგე, რომ შეცდომა იყო ამ გზის არჩევა.

იოვიანე. დიახ, კვლავ იმ აზრზე ვდგავარ, რომ უმჯობესი იქნებოდა ჩრდილოეთისაკენ აგველო გეზი. მაშინ მარცხენა ფრთით უფრო მკიდროდ მივებჯინებოდით ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ სომხეთს და ამ უხესა და ნაყოფიერ ქვეყანაში

შევივსებდით ჩვენს სამხედრო მარაგსაც. აქ კი? ჩვენს წინსვლას ხელს უშლიან და გეაფერხებენ მძიმედ დატვირთული ხომალდები, ჩვენს გარშემო კი მოტიტვლებული ტრამაღია, თითქმის უღაბნო... ა! იმპერატორი მობრძანდება! მე წაველ. — ამ ბოლო ხანს აღარა მწყალობს (ხელმარჯვნივ გადის).

იმპერატორი იულიანე რამდენიმე დაახლოებული პირის თანხლებით ბრუნდება მდინარის ნაპირიდან. მის შესახვედრად ბანაკიდან მოემართებიან ექიმი ორიბასიოსი, სოფისტები პრისკუსი და კიტრონი, აგრეთვე რამდენიმე კარისკაცი.

იულიანე. როგორ იზრდება ჩვენს თვალწინ კეისრის საბრძანებელი. აღმოსავლეთით გადადგმული ყოველი ჩემი ნაბიჯით ვაფართოებ სახელმწიფოს საზღვრებს. (ფეხს დაჰკრავს მიწას). ეს ჩემი მიწა-წყალია! მე ჩემს სამეფოში ვარ და არა მის გარეთ... აბა, პრისკუს!

პრისკუსი. ჩვენო უებრო იმპერატორო, შენი ბრძანება შესრულებულია: ლაშქრის ყველა ნაწილში წაკითხულ იქნა შენი საოცარი სიზმარი.

იულიანე. კეთილი და პატიოსანი. რა შთაბეჭდილება მოახდინა ჯარისკაცებზე ჩემმა სიზმარმა?

კიტრონი. ვინ აღტაცებით გადიდებდა და ღვთაებრივს გიწოდებდა, ვინ კიდევ — პირიქით...

პრისკუსი. ეს უკანასკნელნი გალილეელები იყვნენ, კიტრონ!

კიტრონი. დიახ, დიახ, მათ უმრავლესობას გალილეელები შეადგენდნენ; ისინი მკერდში იცემდნენ მჯილს და მწარედ გმინავდნენ.

იულიანე. ამასაც არ დავერდები. ჩემმა ქანდაკებებმა უნდა შეამკოს ყველა ქალაქი, რომლებსაც მე დაეიმორჩილებ. ამ ქანდაკებებს დახლების გასწვრივ ჩამწყკრივებენ, რომელთა მიღმაც ჩამდგარი ხაზინადარნი ჯამაგირს ურიგებენ ჯარისკაცებს. ქანდაკებების ორსავე მხარეს ანთებულ კანდელებს დადგამენ, ხოლო თვითეული ქანდაკების წინ — სასაკმეველს, რომლებშიაც ჯამაგირის ასაღებად მოსული ყველა ჯარისკაცი საკმევლის რამდენიმე მარცვალს ჩააგდებს.

ორიბასიოსი. მოწყალეო იმპერატორო, მომიტევე, მაგრამ კეთილგონიერული იქნება ეს?

იულიანე. რატომაც არა? მე შენ მაკვირებ, ორიბასიოს!

პრისკუსი. ეპ, ჩემო მბრძანებელო, მოდი და ნუ გაგიკვირდება! კეთილგონიერული არ იქნებაო?!

კიტრონი. თანაც, ვისთვის, — იულიანესათვის? მაშინ როდესაც მასზე გაცილებით უფრო მდაბალთაც არაკეთილგონიერულ საქციელად არავინ უთვლიდა ამას!

იულიანე. მეც მგონია, ყველაზე არაკეთილგონიერული ამ შემთხვევაში ის იქნებოდა, რომ დაგვემალა იღუმალ ძალთანება-სურვილი. თუკი საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვდავმა ღმერთებმა თავიანთი ძალაუფლება მოკვდავს გადასცეს, — აშკარა უმადურობა იქნებოდა ამის დამალვა. ესოდენ სახიფათო ვითარებაში, რომელშიაც ამჟამად ვიმყოფებით, ჩვენთვის, ალბათ, არ უნდა იყოს სულ ერთი, თუკი ჭარისკაცები იმას როდი სცემენ თავყანს, ვისი თავყანისცემაც მართებთ.

გეუბნები, ორიბასიოს, და ამასვე ვეუბნები დანარჩენებსაც. თუკი ვინმეს სურს ამ გზით შეზღუდოს ჩემი საიმპერატორო ძალაუფლება, ეს აშკარა მკრეხელობაა, და მე არ შემიძლია, წინ არ აღვუდგე ამას.

განა ჯერ კიდევ პლატონმა არ გვაუწყა ის ქეშმარიტება, რომ მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლია ადამიანების მართვა? რისი თქმა სურდა ამით? მე ვერ გავბედავ იმის მტკიცებას, თითქოს პლატონი, ეს უებრო ბრძენი, ამ წინასწარმეტყველური სიტყვებით, რომელიღაც კერძო, თუნდაც, ყველაზე დიდებულ კაცს გულისხმობდა, მაგრამ ვფიქრობ, ყველანი ვიყავით იმ არეულ-დარეულობის მოწმენი, რასაც გარდუვალად იწვევს უზენაესი ძალაუფლების დაქუცმაცება.

მაგრამ მოვეშვათ ამას. მე უკვე გავეცი განკარგულება, რომ იმპერატორის გამოსახულებანი მთელს ბანაკში გამოფინონ.

აა, ეფფერიოს! საით გაგიწევია?

სახლთუხუცესი ეფფერიოსი მალემსრბოლის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცის თანხლებით ხომალდების მხრიდან მოემართება.

ეფფერიოსი. მბრძანებლო, ეს ანტიოქიელი კაცი პრეფექტ ალექსანდრეს გამოუგზავნია; როგორც თვითონვე მითხრა, საგანგებო წერილი აქვს შენტვის გადმოსაცემი.

იულიანე. აა, მოიტა! მომინათეთ!

მოაქვთ ჩირალდანი, რომლის შეჭხედაც იმპერატორი ხსნის და კითხულობს წერილს.

ამას კი ველარ ვიფიქრებდი. უფრო ახლოს მომინათეთ! დიახ, სწორედ ასე წერია... აქაც... აი, აქაც... რა არის ეს? ღმერთმანი, ეს უფრო მეტია, ვიდრე მე შემეძლო წარმომედგინა!

ნევიტა. დასაველეთის პროვინციებში ცუდად ხომ არაა საქმე, მბრძანებლო?

იულიანე. ერთი ეს მითხარი, ნევიტა, რამდენი დღე დაგკვირდება იმისთვის, რომ კტესიფონს მივალწიოთ?

ნევიტა. სულ ცოტა, ოცდაათი დღე მაინც.

იულიანე. ბევრია! ოცდაათი დღე მთელი თვეა! და ვიდრე ჩვენ ასე კუსავით მივლოდავთ, ეს დამთხვეულნი...

ნევიტა. თავად მოგეხსენება, მბრძანებელო, რომ ფლოტი გვაიძულებს მდინარის კალაპოტს მივსდიოთ... ალაგ ბობოქარი დინება გვიშლის ხელს, ალაგ — მეჩჩებები და კორომები. ჩემის აზრით, უფრო ჩქარი სვლა შეუძლებელია.

იულიანე. ოცდაათი დღე! მერე, ქალაქიც ხომ უნდა ავიღოთ... მტერი უკუვაქციოთ და ზავი დაედოთ... რამდენი დრო დასკირდება ყოველივე ამას? ხოლო ჩვენს შორის ზოგიერთი უგუნური იმასაც კი გეთხოვდა, რომ შორიდან მოგვევლო. ჰა-ჰა-ჰა! ჩემი დაღუპვა უნდათ!

ნევიტა. ნუ ლელავ, მბრძანებელო, რამდენადაც შესაძლებელი იქნება წინსვლას დავაჩქარებთ...

იულიანე. უთუოდ უნდა დავაჩქაროთ!.. იცი, რას მწერს ალექსანდრე? ჩემი წამოსვლის შემდეგ, ამ დამთხვეულ გალილეველებს სულ მთლად აუშვიათ თავი. მათი სიშლეგე თურმე დღითიდღე უფრო და უფრო იზრდება. გალილეველებმა იციან, რომ ამ ომში ჩემი გამარჯვება მათ საბოლოო განადგურებას მოასწავებს, და ისინი, ამ უტიფარი გრიგოლის მეთაურობით, მტრის ლაშქარით ირაზმებიან ჩემს ზურგში... ფრიგიის ზოგიერთ კუთხეში საიდუმლო სამზადისია, მაგრამ მაინც რა მზადდება, კაცმა არ იცის დაბეჭივით.

ნევიტა. მაინც როგორ გგონია, მბრძანებელო? რას აპირებენ?

იულიანე. რას აპირებენ?.. ჭერჯეობით, ლოცულობენ, ქადაგებენ, გალობენ და ქვეყნის აღსასრულს აუწყებენ ხალხს. მარტო ამას რომ სჯერდებოდნენ?!.. არა, ისინი აცთუნებენ და თავიანთ მემამოხურ წრეში ითრევენ ჩვენს მომხრეებსაც. კესარიაში გალილეველთა ძმობამ ეპისკოპოსად აირჩია მსაჯული ევსევი... ეს მოუნათლავი კაცი. და ამ შეცთომილმაც თანხმობა განაცხადა არჩევაზე, რომელიც, მათივე საეკლესიო წესდების თანახმად, უკანონოდ უნდა ჩაითვალოს! მაგრამ ეს ყველაზე უარესი როდია. ათასჯერ უფრო უარესია ის, რომ ათანასე ალექსანდრიაში დაბრუნდა!

ნევიტა. ათანასე?

პრისკუსი. ეს იღუმალებით მოცული ეპისკოპოსი, რომელიც ამ ექვსი წლის წინათ უდაბნოში გაუჩინარდა?

იულიანე. საეკლესიო კრებამ შეაჩვენა და ეკლესიის საქმეებში ყოველად გაუმართლებელი ჩარევის გამო განდევნა იგი. ჩემი

წინამორბედის მმართველობისას გალილეველები გაცილებით უფრო მორჩილნი და მომყოლნი იყვნენ.

ახლა კი, წარმოგიდგენიათ? ეს დამთხვეული მე-ოცნებე კვლავ ალექსანდრიაში დაბრუნდა, სადაც მეფეთა საკადრისი შეხვედრა მოუწყვეს: მთელი გზა ხალიჩებითა და პალმის რტოებით იყო მოფენილი. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა მოხდა შემდეგ? იმავე ღამეს გალილეველები ამბობდნენ და კანონიერი ეპისკოპოსი გიორგი, ეს კეთილგონიერი და კეთილმოსურნე კაცი, რომელსაც რწმენისადმი გულგრილობა დასწამეს ცილად, — მოკლეს, ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯეს და ნაფლეთები ქალაქის ქუჩებში მიყარ-მოყარეს!

ნევიტა. კი მაგრამ, ასე რამ გააგიჟათ? სად იყო პრეფექტი არტემიოსი?

იულიანე. დიახ, საკითხავიც სწორედ ეგ არის, სად იყო არტემიოსი? მოგახსენებ: არტემიოსი გალილეველებს მიეყიდა! შეიარაღებული შეიქრა სერაპეიონში, მსოფლიოს ამ ყველაზე დიდებულ ტაძარში, შემუსრა ქანდაკებები, გაძარცვა სამსხვერპლოები და დაარბია ის უზარმაზარი წიგნთსაცავი, რომელიც ასე ძალიან გვეკირდებოდა ამ მშფოთვარე და უმეცრებით აღსავსე დროში, და რომელსაც ნაადრევად დაკარგული მეგობარივით დავიტირებდი, სიმწარეს და მრისხანებას რომ არ ამოეშრო ცრემლი ჩემს თვალში.

კიტრონი. ქეშმარიტად, ეს ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება!

იულიანე. რა მწარეა იმის შეგნება, რომ არ შეგიძლია მისწვდე და კისერი მოუგრიხო ამ არამზადებს, მით უმეტეს, როდესაც იცი, რომ მათი უკეთურობა დღითიდღე სულ უფრო და უფრო იზრდება!.. შენ ამბობ, ოცდაათი დღეო! რალას ვაყოვნებთ? რა დროს ბანაკის გაშლაა? რატომა გძინავს? ნუთუ ჩემმა სარდლებმა არ იციან, რა დევს სასწორზე ამ თამაშში? თათბირი უნდა მოვიწვიოთ. როცა დაეფიქრდები იმაზე, თუ რა შესძლო ალექსანდრე მაკედონელმა ოცდაათ დღეში!..

ბანაკიდან მოდის მხედართმთავარი იოვიანე, სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილი უიარაღო კაცის თანხლებით.

იოვიანე. ნუ შემრისხავ, მბრძანებელო, რომ შენს წინაშე გამოჩინა გავებდე; მაგრამ ეს კაცი...

იულიანე. სპარსელი მეომარი!

სპარსელი (მიწაზე ემხოზა მის წინაშე). არა, მეომარი არა ვარ, მბრძანებელო!

იოვიანე. უიარალომ მოაქენა ცხენი და მეთვალყურეებს უხმო...

იულიანე. ესე იგი, შენი თანამემამულენი ახლოს არიან?

სპარსელი. არა, არა!

იულიანე. მაშ, აქ საიდან გაჩნდი?

სპარსელი (ტანსაცმელს შემოიძარცვავს). დახედე ამ ხელებს, სამყაროს მბრძანებელო, ეანგვიანმა ჭაქვმა დამისისხლიანა... ხელი შეახე ჩემს დაწყულულებულ ზურგს... ზურგი კი არა, ვეებერთელა პირგახსნილი კრილობაა! პირდაპირ ჭალათებს დაეუხსლტი ხელიდან. მბრძანებელო!

იულიანე. აა, შენს მეუფეს გამოექეცი?

სპარსელი. დიახ, ყოვლისმცოდნევე და მძლეოთა-მძლეო! მეფე საპორის წყალობა არ მაკლდა, სანამ, შენი მოახლოებით შეძრწუნებულმა, არ ვუწინასწარმეტყველე. ეს ომი დალუპვას გიქადის-მეთქი! იცი, რითი დამაჩილდოვა, მბრძანებელო? ჩემი ცოლი თავის მოისართ მიუგდო სათრევად! ჩემი შვილები მონებად დაჰყიდა, მთელი ჩემი ავლადიდება თავის მსახურებს დაუნაწილა, ხოლო ჭალათებს უბრძანა ცხრა დღე ვეწამებინე, შემდეგ კი ცხენზე შევესვი და უდაბნოში გავვადე, რათა იქ დაჰკრილი ნადირივით ამომხდომოდა სული.

იულიანე. ჩემგან რაღას მოითხოვ?

სპარსელი. რაღას მოვითხოვ ყოველივე ამის შემდეგ? მინდა დაგეხმარო იმაში, რომ ბოლო მოუღო ჩემს მტარვალს.

იულიანე. კი მაგრამ, რა დახმარება შეგიძლია, შე საცოდავო?

სპარსელი. მე შენს მეომრებს ქუსლებზე ფრთებს მივამაგრებ.

იულიანე. რას გულისხმობ? ადექი და ისე მომახსენე.

სპარსელი (ღგება). კტესიფონში კაციშვილს არ მოსვლია აზრად, რომ ამ გზას აირჩევდი...

იულიანე. ვიცი.

სპარსელი. მაგრამ ახლა ეს უკვე აღარავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას.

იულიანე. სტყუი! სპარსელებს ვინ გააგებინებდა ჩემს განზრახვას?

სპარსელი. მბრძანებელო, ვისი სიბრძნეც მზისა და ცეცხლისაგან იღებს დასაბამს, უნდა მოგახსენო, რომ ჩემმა თანამემამულეებმა ალლო აულეს შენს ჩანაფიქრს. მთელი შენი ლაშქარი ხომალდებით გადმოსხი მდინარეზე. საომარი საჭურველითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული

ათასზე მეტი ხომალდი ტიგროსს უნდა აუყვებს აღმა,
ლაშქარმა კი ნაპირ-ნაპირ უნდა მისდიოს ფლოტს.

იულიანე. ესეც შენი საიდუმლო!

სპარსელი. როდესაც ხომალდები, ასე, ორი დღის სავალზე
მიუახლოვდებიან კტესიფონს, შენი ლაშქრით თავს დაესხმი
ქალაქს, ალყას შემოარტყამ და აიძულებ მეფე საპორს,
დაგნებდეს.

იულიანე (აქეთ-იქით იყურება). ვინ გაგვცა?

სპარსელი. ახლა ეს ყოვლად შეუძლებელია. ჩემმა თანამემამულე-
ებმა მდინარეზე სახელდახელოდ აღმართეს ქვის ჭებირები,
ასე რომ, შენი ხომალდები შეეჭახებიან და ზედ შეემსხვრევიან
მათ.

იულიანე. მომისმინე! იცი რა გელის, თუ ტყუილს ამბობ?

სპარსელი. შენს ხელთ არა ვარ, მძლეთა-მძლეო? თუ ტყუილს
ვამბობ, უბრძანე, ცოცხლად დამწვან!

იულიანე (ნევიტას). მდინარე ჩახერგილია! ალბათ, რამდენიმე კვირას
მაინც მოვუნდებით გასუფთავებას...

ნევიტა. თუკი საერთოდ შეეძელით მისი გაწმენდა, მბრძანებელო!
საამისო იარაღები არ გაგვაჩნია...

იულიანე, რალა მაინცდამაინც ახლა უნდა შევეფერხებულიყა-
ვით, როცა საჭიროა, რაც ძალი და ღონე გვაქვს,
ვიჩქაროთ?..

სპარსელი. სამყაროს მბრძანებელო, აკი გითხარი, მე შემიძლია
შენს მეომრებს ფრთები შევასხა-მეთქი!

იულიანე. სთქვი, იქნებ, მოკლე გზა იცი?

სპარსელი. თუ აღმითქვამ, რომ გამარჯვების შემდეგ დამიბრუნებ
მთელ ჩემს ავლადიდებას და წარჩინებული გვარის ქალს
შემრთავ ცოლად, მაშინ...

იულიანე. ყველაფერს აღვითქვამ, ოღონდაც გზა გვასწავლე...

სპარსელი. პირდაპირ ამ ტრამალს თუ დაადგები, სამ დღეში
მიალწვევ კტესიფონს.

იულიანე. მთაგრეხილი ხომ არ გავიწყდება ტრამალს გაღმა?

სპარსელი. მბრძანებელო, ნუთუ არასოდეს გაგიგონია მთებს
შორის მოქცეული უცნაური კლდეკარის სახელი?

იულიანე. ჰო, ამბობენ, ხეობააო, რომელსაც სპარსელები არიმანის
კლდეკარს უწოდებენ; მართალია?

სპარსელი. ამ ორი დღის წინათ სწორედ არიმანის კლდეკარი
გამოვიარე.

იულიანე. ნევიტა!

ნევიტა. თუ ასეა, მბრძანებელო, მაშინ...

იულიანე. ამ გასაკირში უკეთესს რას ინატრებს კაცი?..

სპარსელი. მაგრამ თუ ამ გზას აირჩევ, მბრძანებელო, მაშინ ერთ წუთსაც ნულარ დაჰკარგავ. სპარსელთა ლაშქარი, რომელსაც ჩრდილოეთში მოუყარეს თავი, სასწრაფოდ გაიწვიეს, რათა ჩაკეტონ ყველა კლდეკარი.

იულიანე. დარწმუნებული ხარ?

სპარსელი. თუ დააყოვნებ, თვითონვე დარწმუნდები ამაში.

იულიანე. რამდენ დღეში შესძლებენ შენი თანამემამულენი ამ გზის გამოვლას?

სპარსელი. ოთხ დღეში, მბრძანებელო!

იულიანე. ნევიტა, სამ დღეში უთუოდ უკან უნდა მოვიტოვოთ მთაგრეხილი!

ნევიტა (სპარსელს). თუ შეიძლება სამ დღეში მივალწიოთ ხეობას?

სპარსელი. შეიძლება, დიდო სარდალო, თუკი ამ ლამეს არ დაეკარგავთ.

იულიანე. აყარეთ ბანაკი! რა დროს ძილი და დასვენებაა?.. ოთხი თუ არა, ხუთი დღის შემდეგ მაინც კტესიფონის გალავანთან უნდა ვიყო... რაზე ჩაფიქრდი? თუმცა ვიცი, ვიცი!..

ნევიტა. ფლოტი, მბრძანებელო!

იულიანე. ფლოტი? დიახ, დიახ.

ნევიტა. თუ სპარსელები ერთი დღით გვიან მოადგებიან ხეობას, მაშინ, რაკი სხვას ველარაფერს გავნებენ, დასავლეთისაკენ აიღებენ გეზს და თავს დაესხმიან შენს ხომალდებს...

იულიანე. ...და აურაცხელ ნადავლსაც ჩაიგდებენ ხელში, რაც მათ ბრძოლის გაგრძელების საშუალებას მისცემს!..

ნევიტა. ოცი ათასი ჯარისკაცის დატოვება რომ შეგვეძლოს, ხომალდებს საფრთხე აღარ დაემუქრებოდა...

იულიანე. რალას არ გამოიგონებ! ოცი ათასიო? თითქმის მთელი ლაშქრის მესამედი? სადღა იქნება მაშინ ის მრისხანე ძალა, რომელმაც გამარჯვება უნდა მომპოვებინოს? დავყო და დავაქუცმაცო ლაშქარი?.. არა, არა, ერთ ჯარისკაცსაც ვერ დავტოვებ ფლოტის დასაცავად.

არა და არა, ნევიტა! მაგრამ იქნებ მესამე გზაც არსებობს?..

ნევიტა (უკან იხევს). მბრძანებელო!

იულიანე. ვერც იმას დაუშვებ, რომ ფლოტი მტერს ჩაუვარდეს ხელში, და ვერც ჩემს ლაშქარს გავყოფ. მაგრამ აკი გითხარი,

მესამე გზაც არსებობს-მეთქი. რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს იტყვი?

ნევიტა (სპარსელს). ხომ არ იცი, პურისა და ზეთის მარაგი თუ აქეთ კტესიფონში?

სპარსელი. კტესიფონი სავსეა სურსათ-სანოვაგით.

იულიანე. და როცა ხელში ჩავიგდებთ ქალაქს, მთელი ეს მდიდარი მხარე ჩვენს საკუთარ ბელლად იქცევა.

სპარსელი. მოქალაქეები კარს გაგიღებენ! მარტო მე როდი მძულს საპაორო! ყველანი ერთსულოვნად აღდგებიან მის წინააღმდეგ და უყოყმანოდ მოგემხრობიან, თუკი მთელი შენი თავზარ-დამცემი ძალმოსილებით მოულოდნელად თავს დაატყდები ქალაქს.

იულიანე. დიახ, დიახ!

სპარსელი. დაწვი ხომალდები, მბრძანებელო!..

ნევიტა. ა!..

იულიანე. მისი სიძულვილი სწორ გზასა ხედავს, მაშინ როდესაც შენი ერთგულება ალაღბედზე დაბორილობს, ნევიტა!

ნევიტა. ჩემმა ერთგულებამაც დაინახა ეს გზა, მბრძანებელო, მაგრამ ძრწოლით უკუიქცა იმის წინაშე, რაც დაინახა.

იულიანე. ეს ხომალდები პირდაპირ ფეხებზე დადებულ ბორკილებად გვექცა. სურსათ-სანოვაგე, რომელიც ბანაკში მოვიმარაგეთ, ოთხ დღეს გვეყოფა. არც ისაა ურიგო, რომ ჯარისკაცებს მძიმე ტვირთი აღარ ექნებათ სათრევი. ეგეც არ იყოს, რაღად გვინდა ხომალდები? მდინარის გადალახვა ხომ აღარ მოგვიწევს?..

ნევიტა. მბრძანებელო. თუკი მართლაც ასეთია შენი ნება...

იულიანე. ჩემი ნება... ჩემი ნება!.. ხომ ხედავ, რა საღამოა... საავდროდ მოქუფრული!.. რატომაც არ უნდა იქუხოს და...

მაქსიმე (სწრაფად შემობრბის პარცხიდან). მომისმინე, მომისმინე... მზის რჩეულო შვილო!

იულიანე. ახლა მაგის დრო არა მაქვს, მაქსიმე!

მაქსიმე. ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია; ამიტომაც უნდა მომისმინო!

იულიანე. მაშ, მითხარი, მითხარი. ძმაო ჩემო, ბედნიერებისა და სიბრძნის სახელით!

მაქსიმე (განზე გაყავს და ეჩურჩულება). ხომ იცი, რამდენს ვეძებდი და მისნობის გზით ეჩხრეკდი წიგნებში ამ ომის შედეგს.

იულიანე. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ვერაფერი მიწინასწარმეტყველე. **მაქსიმე.** ცა ნიშანს მადლევდა და დაწერილის აზრიც ეთანხმებოდა მას; მაგრამ პასუხი იმდენად უჩვეულო გამოდიოდა, რომ სულ ვფიქრობდი, ხომ არ მეშლება-მეთქი.

იულიანე. ახლა?

მაქსიმე. სანამ ანტიოქიიდან წამოვიდოდით, წერილი გავგზავნე რომში; ვითხოვდი, სიბილების წიგნებში ჩაეხედათ...

იულიანე. დიახ, დიახ...

მაქსიმე. ახლაბან მივიღე პასუხი; ანტიოქიის პრეფექტის მიერ შენთან გამოგზავნილმა მაცნემ ჩამომიტანა...

იულიანე. მერედა, რას გვამცნობს პასუხი, მაქსიმე?

მაქსიმე. რასაც გვამცნობდა აქამდე ყველა ნიში და წერილი; ახლა კი შემიძლია თამამად განვმარტო ეს პასუხი. გიხაროდეს, ძმაო ჩემო! არავითარი საფრთხე არ გემუქრება ამ ომში!

იულიანე. მაგრამ პასუხი, პასუხი?..

მაქსიმე. სიბილები გვამცნობენ: „იულიანე უფრთხილდეს ფრიგიელთა მხარეს!“

იულიანე (უკან იხევს). ფრიგიელთა მხარეს?.. აჰ, მაქსიმე!

მაქსიმე. რატომ გაფითრდი, ძმაო ჩემო?

იულიანე. მითხარი, ძვირფასო მოძღვარო, როგორ განმარტავ ამ პასუხს?

მაქსიმე. განა შესაძლებელია სხვა განმარტება? ფრიგიელთა მხარესაო! რა გესაქმება ფრიგიაში? ფრიგია განზე გრჩება, შორს — ზურგში... ფეხსაც არ დაადგამ მის მიწა-წყალს. ამიტომაც არავითარი საფრთხე არ გემუქრება, ბედის რჩეულო, — აი, ასეთია პასუხის აზრი.

იულიანე. ეს იღუმალი პასუხი ორმაგი აზრის შემცველია. არავითარი საფრთხე არ გემუქრება ამ ომში... მაგრამ განსაცდელი სხვა მხრიდან, შორეული ფრიგიიდანაა მოსალოდნელი... ნევიტა, ნევიტა!

ნევიტა. გისმენ, მბრძანებელო!..

იულიანე. ესე იგი, ფრიგიიდან? ალექსანდრე მწერს, ფრიგიაში რალაც საიდუმლო სამზადისიაო... აკი იწინასწარმეტყველეს, გალილეველი დაბრუნდებაო?.. ხომალდები დაწვი, ნევიტა!

ნევიტა. მბრძანებელო, ასეთია შენი მტკიცე და ურყევი ნება?..

იულიანე. დაწვი! ახლავე დაწვი! ზურგიდან იღუმალი საფრთხე გვემუქრება! (ერთ-ერთ უმცროს მხედართმთავარს).

თვალი ფხიზლად გეპყროს ამ უცხოელზე. ჩვენნი მეგზური იქნება. ასეი, აქამე... კარგად დაისვენოს.

იოვიანე. გევედრები, ჩემო იმპერატორო, ნუ ენდობი თვისტომთა გამცემის სიტყვას.

იულიანე. აჰა, ამ ამბავმა, როგორც ვატყობ, თავზარი დაგცა, ჩემო გალილეველო მრჩეველო! არ მოგეწონა? შენ, ალბათ, მეტი იცი, ვიდრე გამხელას აპირებ... წადი, ნევიტა, და დასწვი ხომალდები!

ნევიტა თავს უკრავს და ხელმარცხნივ გადის. მხედართმთავარს ბანაკში მიჰყავს სპარსელი.

იულიანე. მოღალატეები ჩემს საკუთარ ბანაკში მყვანან! მაცალეთ, ცოტაც მაცალეთ! ძირფესვიანად მოვაშთობ ამ შფოთისთავეებს...

დროა დავიძრათ. წადი, იოვიანე, და ბრძანება გაეცი, რომ მეწინავე ნაწილები ერთ საათში უკვე მზად იყვნენ. გზა სპარსელმა იცის. წადი!

იოვიანე. ვემორჩილები შენს ნებას, ჩემო მბრძანებელო! (ხელმარცხნივ გადის).

მაქსიმე. ფლოტი უნდა დაწვა? დიდი საქმე განგიზრახავს.

იულიანე. ნეტა, ვიცოდე, გაბედავდა თუ არა ამას ალექსანდრე მაკედონელი?

მაქსიმე. კი მაგრამ, იცოდა თუ არა მაკედონელმა, საიდან ემუქრებოდა საფრთხე?

იულიანე. მართალია, მართალია! მე კი ვიცი. ძღვეის მომნიჭებელი ყველა ძალა ჩემს მხარესაა. ნიშებიცა და სასწაულებიც თავიანთ ფარულ აზრს გვიმჟღავნებენ, ჩემი მეუფების სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ.

აკი გალილეველზე ამბობდნენ. ციური სულნი შემოადგნენ და ემსახურებოდნენ მასო?... ვის ემსახურებიან ახლა ისინი?..

რას იტყოდა გალილეველი. უჩინრად რომ იყოს ჩვენს შორის?

მაქსიმე. ალბათ, იტყოდა: მესამე სამეფო ახლოვდებაო...

იულიანე. მესამე სამეფომ უკვე მოაწია. მაქსიმე. მე ვგრძნობ, რომ სამყაროული მესია ცოცხლობს ჩემში. სული ხორცად იქცა. ხორცი კი — სულად. ყოველივე ის, რაც შეიქმნა, ჩემს ძალაუფლებას ემორჩილება.

შეხედე, შეხედე, აჰა, ჰაერში ავარდა პირველი ნაპერწკალი!..
ცეცხლის ენები უკვე ანძებსა და აფრებს ლოკავენ! (ხმაალა
გაჟეირის).

დაწვით, დაწვით!

მაქსიმე. ქარი გრძნობს შენს ნებას. სულ უფრო ძლიერდება და
გშველის.

იულიანე (მუშტს უღერებს სივრცეს). დაე, ამოვარდეს გრიგალი! უფრო
დასაველეთით! მე ასე მნებავს!

მხედართმთავარი ფრომენტინუსი (მარჯნიდან შემოდის). ყოვლად
მოწყალო მბრძანებელო, ნება მიბოძე მოგახსენო! ბანაკში
საშიში მღელვარებაა!

იულიანე. არავითარი მღელვარება! ლაშქარი გზას უნდა გაუდ-
გეს!

ფრომენტინუსი. დიახ, ჩემო იმპერატორო... მაგრამ ეს დამთხვე-
ული გალილეველები...

იულიანე. გალილეველები? რაო, რა გვინდაო?..

ფრომენტინუსი. ხაზინადარებმა, ჭარისკაცებისათვის ჯამაგირის
დარიგებას რომ შეუდგნენ, დახლებთან შენი ღვთაებრივი
ქანდაკებები დადგეს...

იულიანე. ამიერიდან ყოველთვის ასე იქნება.

ფრომენტინუსი. თვითეულმა ჭარისკაცმა ბრძანება მიიღო, და-
ხლთან რომ მიხვალ, საკმევლის რამდენიმე მარცვალი უნდა
ჩააგდო სასაკმევლეშიო.

იულიანე. მერე?..

ფრომენტინუსი. ბევრი გალილეველი უყოყმანოდ დაემორჩი-
ლა ბრძანებას, მაგრამ სხვებმა წინააღმდეგობა გაგვიწი-
ეს...

იულიანე. როგორ? წინააღმდეგობა?

ფრომენტინუსი. თავდაპირველად, მბრძანებელო; მაგრამ როდე-
საც ხაზინადარებმა აუხსნეს, ეს მხოლოდ ძველი ჩვეულებაა,
რომელიც ახლა განვაახლეთ და ამას საერთო არა აქვს რა
იმპერატორის გაღმერთებასთანო...

იულიანე. აჰა! მერე, რა მოხდა?

ფრომენტინუსი. მაშინ ისინიც დაშოშმინდნენ და ბრძანებას
დაემორჩილნენ!

იულიანე. აი, ხომ ხედავთ? დაემორჩილნენ!

ფრომენტინუსი. მაგრამ შემდეგ, მბრძანებელო, ჩვენებმა და-
ცინვა დაუწყეს; წინდაუხედავად ურჩევდნენ მათ, ბარემ
ჯვრისა და თევზის ნიშნებიც წაეშალათ, რომლებიც,

ჩვეულებისამებრ, ხელზე აქვთ ამოტვიფრული, რადგანაც უკვე
ღვთაებრივი იმპერატორის თავყვანისმცემლები გახდითო.

იულიანე. დიახ, დიახ! მერე, გალილეველებმა?..

ფრომენტინუსი. საშინელი ბღავილი მორთეს... ხომ გესმის,
მბრძანებელო? მათი მორჯულება შეუძლებელია.

ბანაკიდან საზარელი ყვირილი და გმინვა მოისმის.

იულიანე. ო, ეს შლეგები! ბოლომდე არ ყრიან ფარ-ხმალს.
არც კი იციან, რომ მათ მოძღვარს არავითარი ძალა
ალარა აქვს.

ველზე გამორბიან ქრისტიანი ჯარისკაცები; ზოგი ხმაშალა მოთქვამს და
მწარე გმინვით მკერდში იცემს მჭილს, ზოგიც ტანსაცმელს იხვეს ტანზე.

ერთ-ერთი ჯარისკაცი. ქრისტე ჩემთვის მოკვდა, მე კი უფალი
ჩემი გავყიდე!

მეორე ჯარისკაცი. მამაო ჩვენო ზეციერო, რომელიც სჯი
ორგულთ, — გამგმირე — ცრუ ღმერთს ვეცი თავყვანი!

აგათონი. იმპერატორის სახით მოვლენილმა სატანამ წარ-
წყმიდა ჩემი სული! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!

სხვა ჯარისკაცები (ბალთებს ოგლეჩენ). არ გვინდა, არ გვინდა
ეკრპთმსახურება!

დანარჩენები. ღვთისაგან განდგომილი ჩვენი მბრძანებელი არ
არის! შინ გავვიშვით, შინ!

იულიანე. ფრომენტინუს, შეიპყარით ეს დამთხვეულნი და ხმლე-
ბით აჩეხეთ!

ფრომენტინუსი და მის გვერდით მღვარი მეომრები აპირებენ ქრისტიან
ჯარისკაცებს ეჭვრონ, მაგრამ ამ დროს მთელი ცა წითლად შეიღებება და
ხომალდებიდან ზევით ავარდება ხანძრის ალი.

ჯარისკაცები და მათი მეთაურები (თავზარდაცემულნი). ფლოტი
იწვის!

იულიანე. დიახ, ფლოტი იწვის. მაგრამ მარტო ფლოტს როდი
შთანთქავს ცეცხლი. ამ ბობოქარ ხანძარში დაიფერფლება
ჯვარცმული გალილეველიც... გალილეველთან ერთად კი
მიწიერი კეისარიც. მაგრამ ფერფლიდან — ერთი ზღაპ-
რული ფრინველისა არ იყოს, — აღსდგება ღმერთი
მიწიერი და მეუფე სულიერი. ორივე ერთი სახით, დიახ,
ერთი სახით!

ხმები. შეიშალა!

ნევიტა (მარცხნიდან შემოდის). აღსრულდა!

იოვიანე (აქოშინებული შემობრბის ბანაკის მხრიდან). ლალატია,
მბრძანებელო! სპარსელი თაღლითი აღმოჩნდა!..

იულიანე. სტყუი! სად არის?..

ამიანე. გაიქცა!

იოვიანე. თვალსა და ხელშუა გაქრა...

იულიანე. გაიქცა?

იოვიანე. ჯარისკაცები, რომლებიც მეთვალყურეებად მივუჩინეთ, ამბობენ: ვერც კი გავიგეთ, როგორ გაგვისხლტა ხელიდან და გაუჩინარდაო.

ამიანე. აღარც მისი ცხენი ჩანს თავლაში. ალბათ, ამ ტრამალს მისცა თავი.

იულიანე. ხანძარი ჩააქრეთ, ნევიტა!

ნევიტა. შეუძლებელია, ჩემო იმპერატორო!

იულიანე. ჩააქრეთ, ჩააქრეთ! იქნებ, ჯერ კიდევ შეიძლება ჩაქრობა?!

ნევიტა. მეტი არაა ჩემი მტერი! ყველა საბელი გადავკერით და მთელი ფლოტი აღმოდებული ხომალდებისკენ მიექანება.

ორმიწდი (ბანაკიდან გამოიბის). წყეულნიც იყვნენ ჩემი თანამემამულენი! მბრძანებელო, როგორ ენდე მაგ მზაკვარს?

ყვირილი ბანაკიდან. ფლოტი იწვის! შინ დასაბრუნებელი გზა მოგვეპრა! წინ სიკვდილია!

აგათონი. ცრულმერთო, ცრულმერთო! უბრძანე გრიგალს — ჩადგეს! უბრძანე ცეცხლს — დაცხრეს!

იოვიანე. ქარი ძლიერდება... ხანძარი ისე მძვინვარებს, აბობოქრებული ზღვა გეგონება...

მაქსიმე (ჩურჩულით). უფროსილდი ფრიგიელთა მხარეს!

იულიანე (ლაშქარს უყვირის). დაიწვას, დაიწვას! შვიდი დღეც არ გაივლის, რომ თქვენ დასწვავთ კტესიფონს!

მეხუთე მოქმედება

ქვა-ლორლიანი უდაბნო; მცენარეულობის ნასახიე არსადა ჩანს. ხელმარცხნივ იმპერატორის ბანაკია. სამხრობის დროა.

დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცები ველზე მიუჩილან. დროდადრო, მარცხნიდან მარჯვნივ, ცალკეული რაზმები ჩაივლიან. ბანაკის წინ საშინლად აღელვებულნი მილი-მოლიან სოფისტები პრისკუსი და კიტრონი, აგრეთვე იმპერატორის ჯარისკაცები. ბანაკის შესასვლელს სხეულის მცველნი დარაჯობენ, თავიანთი წინამძღოლის ანატოლიოსის მეთაურობით.

კიტრონი. მაინც რამდენ ხანს გაგრძელდა სამხედრო თათბირი? პრისკუსი. არადა, კაცმა რომ თქვას, აქ მხოლოდ ორი, ორად-ორი გადაწყვეტილების მიღება თუ შეიძლება: ან წინ უნდა ვიაროთ, ანდა დავებრუნდეთ.

კიტრონი. რას გაიგებ?.. ერთი ეს მითხარი, ჩემო ძვირფასო ანატოლიოს, ღმერთების შეწევნით, რატომ წინ არ მივდივართ?

ანატოლიოსი. შეხედეთ, როგორ ლივლივებს გავარჯარებული პაერი თვალსაწიერზე, — ჩრდილოეთითაც, აღმოსავლეთითაც, სამხრეთითაც.

კიტრონი. ეს სიცხის ბრალია...

ანატოლიოსი. ტრამალი იწვის.

პრისკუსი. რას ამბობ? ტრამალი იწვის?

კიტრონი. რა ხუმრობაა? ღმერთმა დაგვიფაროს, ანატოლიოს! არა, მართლა, სერიოზულად, რაშია საქმე?

ანატოლიოსი. აკი გითხარით, ტრამალი იწვის-მეთქი. შორს, უდაბნოს დასალიერს, სპარსელებმა ცეცხლი წაუკიდეს ბალახს. ასე რომ, აქედან ფეხს ვერ მოვიცვლით, სანამ მიწა არ გაცივდება.

კიტრონი. რა საშინელებაა! ბარბაროსების მეტი ვინ იზამდა ამას?

პრისკუსი. ესე იგი, არჩევანიც აღარ გვქონია... აღარც საქმელი დავგრჩა და აღარც სასმელი... უკან მაინც რად არ ვებრუნდებით?

ანატოლიოსი. უკან ტიგროსი და ევფრატია!

კიტრონი. ჰო, მართლა... ფლოტი ხომ დავწვით! ასე ვინ ომობს? იმპერატორს ცოტა მეტი უნდა ეფიქრა თავის მეგობრებზე! როგორღა დავებრუნდები სამშობლოში?

ანატოლიოსი. ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით, ჩემო ძვირფასო.

კიტრონი. ყველანი? რას ჰქვია ყველანი? თქვენ რა გიკირთ? თქვენ მეომრები ხართ! თქვენი მოწოდება ისაა, რომ გაუძლოთ ყოველგვარ განსაცდელს და გაკირვებას, რაც ჩემთვის სრულიად აუტანელია. განა იმისთვის გამოვეყევი იმპერატორს, რომ შავ დღეში ჩავეარდნილიყავი?.. ამ კოლოებმა და კრაზანებმა ხომ პირდაპირ სული ამომხადეს... აბა, შეხედეთ, რას მიგავს ხელები!

პრისკუსი. რა თქმა უნდა, ამისთვის როდი წამოვესულვართ. ჩვენ მხოლოდ იმიტომ დავთანხმდით გამოვეყოლოდით ლაშქარს, რომ გვედიდებინა გამარჯვებები, რომელთა მოპოვებასაც იმპერატორი აპირებდა. მაგრამ სადაა ეს გამარჯვებები?! რა დიდი გმირობა ჩვენ ჩავიდინეთ იმ ექვსი უმძიმესი კვირის მანძილზე, რაც ფლოტის დაწვის შემდეგ გავიდა? მიწასთან გავასწორეთ მცხოვრებლებისაგან მიტოვებული რამდენიმე უბადრუკი სოფელი; ესაა და ეს. და კიდევ, ბანაკში მოიყვანეს რამდენიმე ტყვე, რომლებიც ვითომ ჩვენმა მზვერავებმა შეიპყრეს. მაგრამ, ჩემის აზრით, ეს საცოდავები მოულოდნელი თავდასხმით შიშისაგან მუცელში ენაჩავარდნილ მწყემსებსა და მშვილობიან მხენელ-მთესველთ უფრო ჰკვანან, ვიდრე...

კიტრონი. და ყოველივე ამას აგვირგვინებს ფლოტის დაწვა! აკი მაშინვე ვთქვი, აი, ნახავთ, თუ ეს წარმოუდგენელ უბედურებას არ დაგვატეხს-მეთქი თავზე.

ანატოლიოსი. მართალი გითხრა, არ გამიგონია.

კიტრონი. როგორ? ასე არა ვთქვი? არც შენ გავიგონია, პრისკუს?

პრისკუსი. ვერაფერს გეტყვი, ჩემო ძვირფასო. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ იმთავითვე ამაოდ ვცდილობდი წინ აღვდგომოდი ამ უგუნურებას. დიახ, ისიც შემძლია თამამად განეაცხადო, რომ მე, საერთოდ, წინააღმდეგი ვიყავი, წლის ამ დროს დაგვეწყო ლაშქრობა. რა დაუდევრობაა? სად ჰქონდა თვალები იმპერატორს? ნუთუ ეს იგივე გმირია, ასე სვიანად რომ იბრძოდა რენუსის პირას? ძალაუნებურად იფიქრებ კაცი, რომ ან დაბრმავდა, ანდა სულის უცნაურმა სნეულებამ დარია ხელი!

ანატოლიოსი. სსუ... სსუ! ეგ რა სათქმელია?

კიტრონი. მართლაცდა, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი მეგობრის პრისკუსის სიტყვებში მაინცდამაინც დიდი მოწინააღმდეგეობა გამო-სკვიოდეს, მაგრამ ვერც მე უარვყოფ იმას, რომ, სამწუხაროდ, სიბრძნის ნატამალსაც ვერ ვამჩნევ გვირგვინოსანი ფილოსო-ფოსის ამ ბოლოდროინდელ საქმეს თუ ქცევას. რა წინდაუ-ხედავი სიჩქარეა! რა უგუნურება იყო ბანაკში საკუთარი ქანდაკებების გამოფენა იმ მიზნით, რომ მათთვის ღვთის დარად ეცათ თავყვანი! რა გაუმართლებელი საქციელია უებრო ნაზარეველი ბრძენმოძღვრის ასე საჭაროდ გმობა! თუმცა.

გვინდა თუ არა, იძულებულნი ვართ ვალიაროთ მისი უჩვეულო ძალმოსილება, რომელიც, თუკი მისდამი სხვანაირ დამოკიდებულებას გამოვიჩინდით, ესოდენ რთულ ვითარებაში, ვინ იცის, იქნებ სასიკეთოდაც გამოგვედგომოდა.

აა! თვით ნევიტა მოდის! იქნებ, ახლა მაინც გავიგოთ...

იმპერატორის ბანაკიდან გამოდის მთავარსარდალი ნევიტა; გამოსვლისას შებრუნდება და ვილას ნიშანს აძლევს. მის კვლადაკვალ ბანაკიდან გამოდის იმპერატორის ექიმი ორიბასიოსი.

ნევიტა (ექიმს განზე გაიხმობს). თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ორიბასიოსს, ცოტას ხომ არ ურევს იმპერატორი?

ორიბასიოსი. ეგ რამ გაფიქრებინა, ბატონო ჩემო?

ნევიტა. აბა, რასა ჰგავს მისი საქციელი?

ორიბასიოსი. ო, ჩემი ძვირფასი იმპერატორი!..

ნევიტა. ნურაფერს დამიმალავ, ორიბასიოს.

კიტრონი (უახლოვდება). ო, ძლევამოსილო მთავარსარდალო, თუ თავს არ შეგაწყენ...

ნევიტა. მერე, მერე!

ორიბასიოსი (ნევიტას). ნუ ლელავ, ბატონო ჩემო. არავითარი უბედურება არ მოხდება. მე და ევფერიოსმა სიტყვა მივეცით ერთმანეთს, რომ თვალყური ვადევნოთ.

ნევიტა. რას ამბობ? ხომ არ...

ორიბასიოსი. წუხელი კინალამ თავი მოიკლა. საბედნიეროდ, ევფერიოსმა მიუსწრო... მხოლოდ არავისთან წამოგცდეს, კარგი?

ნევიტა. თვალი არ მოაშორო!..

პრისკუსი (უახლოვდება). ჩვენთვის დიდი ნუგეში იქნებოდა გაგვეგო, რა გადაწყვიტა სამხედრო თათბირმა...

ნევიტა. მომიტევე. უფრო მნიშვნელოვანი საქმე მაქვს. (გაღის).

იმედროულად ბანაკიდან გამოდის მხედართმთავარი იოვიანე.

იოვიანე (ბანაკიდან გამოსვლისას). ნება შენია, ჩემო მოწყალეო მბრძანებელო!

კიტრონი. აა, ღრმად პატივცემულო იოვიანე! რას გვეტყვი, უკან დახევა გადავწყვიტეთ?

იოვიანე. არავის ეურჩევ, უკანდახევა უწოდოს ამას. (გაღის).

კიტრონი. ო, ეს მეომრები! ფილოსოფოსის სულიერი სიმშვიდე ჩირადაც არ უღირს!.. ა!..

ბანაკიდან გამოდის იმპერატორი იულიანე, ფერმიხდილია და გამხდარი. უკან მოჰყვებიან სახლთუხუცესი ევფერიოსი და რამდენიმე მხედართმთავარი; ეს უკანასკნელნი დაუყოვნებლივ გაუხვევენ მარჯვნივ.

იულიანე (სოფისტებს). გიხაროდეთ ჩემო მეგობრებო! მალე ყველაფერი კარგად იქნება!

კიტრონი. აჰ, ჩემო კურთხეულო იმპერატორო, რაიმე გამოსავალს მიაგენი?

იულიანე. გამოსავალი რამდენიც გნებაეს. იმდენი გვაქვს, კიტრონი; საქმე მხოლოდ ისაა, რომ უკეთესი ავირჩიოთ. ჩვენ გადავწყვიტეთ. გარკვეული თვალსაზრისით შევცვალოთ შეტევის გეგმა...

პრისკუსი. ბრძნული გადაწყვეტილებაა!

იულიანე. ეს ლაშქრობა აღმოსავლეთით არაფერს არ მოგვცემს.

კიტრონი. რა თქმა უნდა.

იულიანე. ამიტომაც ჩრდილოეთისაკენ ავიღებთ გეზს.

კიტრონი. როგორ, მბრძანებელო... ჩრდილოეთისაკენ?

პრისკუსი. იქნებ დასავლეთი გვერჩია?

იულიანე. არა, არა, დასავლეთით რა გვინდა? იქ გადაულახავ დაბრკოლებად გადაგველობება მდინარეები. კტესიფონს ჭერ-ჭერობით გვერდს აუუქცევთ. უხომალდებოდ ქალაქის აღებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. სულ გალილეველების ბრალია, ფლოტი, რომ დაგვეწვა. დიახ, დაბეჯითებით ვიცი, მათი ხელი ურევია ამ საქმეში.

ვინ გაბედავს უკან დახევა უწოდოს ამას, თუკი ჩრდილოეთისაკენ დავიძვრები? იცით, რას ვაპირებ? სპარსელთა ლაშქარი სადღაც ჩრდილოეთითა დგას; თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში. საკმარისია საპორი დავამარცხო და... მაგრამ ეს უნდა მოხდეს ერთბაშად, ერთი დარტყმით, პირველსავე შეტაკებაში, — და მტრის სურსათ-სანოვავის მთელი მარაგი ჩვენ დაგვრჩება.

ხოლო როდესაც სპარსთა მეფეს დატყვევებულს ჩავიყვან ანტიოქიასა და სხვა ქალაქებში, ვნახოთ, რას იზამენ მოქალაქენი, მიწაზე დაემხოებიან თუ არა ჩემს წინაშე!

ქრისტოიანი ჯარისკაცები (სიმღერით მოდიან ველზე).

ჰა, ცული უკვე ზის ფესთან დეეს, დღე არის რისხვის,
მოსჭრიან კლარს, რომ დასტროს ის ცეცხლის აღმა,
მაგრამ გოლგოთის წიაღიდან ისრდება ჯალა,
მორწყული ჩვენი მატხოვრის სისხლით.

იულიანე (თვალს აყოლებს მიმავალთ). გალილეველები სულ მუდამ მღერიან, მღერიან სიკვდილზე, წყლულებზე, წამებაზე. ქალაქებმა, რომლებიც მომვლელებად მივუჩინე დაქრილებს და ავადმყოფებს, ნაცვლად იმისა, რომ რაიმე ერგოთ, მხოლოდ ზიანი მოგვეცეს. რალაც უცნაური სიმღერები ასწავლეს ჯარისკაცებს; მათი მსგავსი ჩემს დღეში არაფერი გამიგონია.

მაგრამ ამიერიდან აღარ დავსჯი მათ. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ცთომილებას. იცი, პრისკუს, როგორ მოიქცენ ის

დამთხვეულნი, რომლებმაც ამასწინათ უარი განაცხადეს იმაზე, რომ თაყვანი ეცათ იმპერატორის ქანდაკებებისათვის?

პრისკუსი. ამას წინათ, მბრძანებელო?

იულიანე. როცა მე, იმ მიზნით, რომ დამეშინებინა მათი თანამორწმუნენი, ზოგიერთი მათგანის სიკვდილით დასჯა ვბრძანე, განწირულთა შორის ყველაზე უხუცესი წამოდგა და დანარჩენთა საზეიმო ყიფინში გულმხურვალედ შეევედრა ჯალათებს, მოწყალეობა მოიღეთ და პირველი მე დამსაჭეთო. გუშინ, ეს რომ გავიგე, პრისკუს...

პრისკუსი. გუშინ? სცდები, მბრძანებელო! მას შემდეგ კაი ორმოცი დღე გავიდა!

იულიანე. მართლა? თუმცა, პო... დიახ, დიახ... ებრაელები ორმოცი დღე დაეხეტებოდნენ უდაბნოში. ხანდაზმულთაგან ერთიც ველარ გადარჩა. უნდა წამოზრდილიყო ახალი თაობა, და სწორედ მან — კარგად დაუფიქრდით, — დიახ, სწორედ მან მიაღწია აღთქმულ მხარეს.

ევფერიოსი. შუა დღე კაი ხანია გადავიდა, დროა სამხარზეც ვიფიქროთ!

იულიანე. არა, ჭერ აღრეა, ჩემო ევფერიოს! ხორცის მოკვდინება სასარგებლოა ყოველი ჩვენგანისათვის.

დიახ, მე გეუბნებით, ახალ მოდგმად უნდა ვიქცეთ-მეთქი. თქვენნაირი ხალხით შორს ვერ წავალ. თუ გინდათ თავი დავადწიოთ უდაბნოს, ამიერიდან წმინდა და უბიწო სიკოცხლით უნდა იცოცხლოთ. შეხედეთ გალილეეველებს. ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ მათგან. მათ შორის არ არიან უსუსურნი და უმწეონი. და-ძმებივით უვლიან ერთმანეთს... მით უმეტეს, ახლა, როცა მათი დამთხვეულობის გამო იძულებული ვარ დავსაჯო ისინი. ამ გალილეეველებს რალაც ისეთი აქვთ სულში, რომ ნეტა თქვენშიაც მენახა. ეცადეთ ჩახვდეთ ამას. თქვენ სოკრატეს, პლატონისა და დიოგენეს მიმდევრებს უწოდებთ თავს, მაგრამ თუ მოიძებნება თქვენ შორის თუნდაც ერთი კაცი, სიხარულით რომ მომკვდარიყო პლატონისათვის? მითხარით, მოიკვეთდა თუ არა მარცხენა ხელს ჩვენი პრისკუსი სოკრატესათვის? მოიჭრიდა თუ არა კიტრონი ყურს დიოგენესათვის? მეტი არაა ჩემი მტერი! გიცნობთ, კარგად გიცნობთ, შეფეთქილო კუბოებო! მო-მწყდით, თვალით არ დამენახოთ!

თავჩაქინდრული სოფისტები ზღაზენით გადიან; დანარჩენებიც უკან მისდევენ და თან გაოგნებულნი რალაცას ეჭურჩულებიან ერთიმეორეს. იულიანესთან მხოლოდ ორიბასიოსი და ევფერიოსი რჩებიან. სხუელის მცველნიც, აოლიოსის მეთაურობით, კვლავ თავიანთ პოსტზე დგანან.

იულიანე. უცნაურია! კეშმარიტად გონებამიუწვდომელია მისი ფარული არსი!.. ორიბასიოს, შეგიძლია ამიხსნა ეს გამოცანა? ორიბასიოსი. რა გამოცანა, ჩემო იმპერატორო?

იულიანე. მან მხოლოდ თორმეტი გლახაკი და უმეცარი მეთევზის მეშვეობით დააფუძნა თავისი სამეფო.

ორიბასიოსი. ამაზე ფიქრი გამოგფიტავს და არაქათს გამოგაცლის, მბრძანებელო!

იულიანე. მერედა, ვისი წყალობით დგას ეს სამეფო დღევანდელ დღემდე? უმეტესწილად ქალებისა და უბრალო და უმეცარი ხალხის წყალობით.

ორიბასიოსი. დიახ, მბრძანებელო, მაგრამ მალე ბედი გაგიღიმებს და...

იულიანე. მართალი ხარ, ორიბასიოს! როგორც კი ღმერთი წყალობის თვალთ გადმოგვხედავს, ყველაფერს ეშველება. ხუროს ძის სამეფო მალე უნდა დაემხოს. ეს მაინც ვიცი. გალილეველი იმდენ წელს იმეფებს, რამდენი დღეცაა წელიწადში, ახლა კი...

ევფერიოსი. ჩემო ძვირფასო მბრძანებელო, აბაზანას ხომ არ მიიღებ?

იულიანე. აბაზანას?.. წადი, ევფერიოს! წადი, წადი! ორიბასიოსთან პატარა საქმე მაქვს.

ევფერიოსი მიდის, იულიანეს კი ორიბასიოსი სხვა მხარეს გაჰყავს.

ევფერიოსს დღეს დილით ხომ არაფერი უთქვამს შენტვის?

ორიბასიოსი. არა, მბრძანებელო!

იულიანე. სულ არაფერი იმის თაობაზე, რაც წუხელ მოხდა?..

ორიბასიოსი. არა, მბრძანებელო, არაფერი. ევფერიოსს ასე ჰაიპარად ვერაფერს ათქმევინებ.

იულიანე. კიდევ რომ გითხრას, იცოდე, არ დაუჯერო. ყველაფერი სულ სხვანაირად მოხდა, ვიდრე ის ამბობს. მგონი ჩემი დალუპვა სურს.

ორიბასიოსი. ვის?.. შენს ძველსა და ერთგულ მსახურს?

იულიანე. თვალი ფხიზლად უნდა მეჭიროს მასზე.

ორიბასიოსი. მეც.

იულიანე. დიახ, ორივემ თვალყური უნდა ვადევნოთ.

ორიბასიოსი. მბრძანებელო, ალბათ, ცოტა გეძინა წუხელ.

იულიანე. დიახ.

ორიბასიოსს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ, ბოლოს, თავს იკავებს.

იცი, რატომ ვერ დავიძინე?

ორიბასიოსი. არ ვიცი, ჩემო მბრძანებელო.

იულიანე. მუღეის ხიდზე გამარჯვებული გამომეცხადა.

ორიბასიოსი. დიდი კონსტანტინე?

იულიანე. დიახ, მისი ლანდი მოსვენებას არ მადღევს. ამ უკანასკნელ ხანს ნაშუალამევს გამომეცხადება და გათენებამდე აღარა მტოვებს.

ორიბასიოსი. ყოველივე ეს მთვარის მოვანების ბრალია, მბრძანებელი; სავსე მთვარე ყოველთვის უჩვეულო ზემოქმედებას ახდენდა შენს სულზე.

იულიანე. ჩვენი წინაპრების აზრით, ამნაირი ხილვა ჩვეულებრივი ამბავია... სად დაიკარგა მაქსიმე?... მაგრამ მათ აზრს ვერ დაეყრდნობი. დღეს ყველამ ვიცით, რომ ისინი ბევრ რამეში სცდებოდნენ. იმასაც კი ვერ ვენდობით უყოყმანოდ. რასაც ღმერთებზე გვეუბნებიან; ისევე როგორც ვერ ვერწმუნებით იმას, რასაც მოჩვენებებსა თუ ზებუნებრივ ძალებზე მოგვითხრობენ, რომლებიც თითქოს განაგებენ კაცთა ბედ-იღბალს. რა ვიცით ჩვენ ამ ძალებზე? არაფერიც არ ვიცით, ორიბასიოს, თუ არ ჩავთვლით მათ დაუსრულებელ მერყეობასა და ეინიანობას, ერთის სიტყვით. იმ თვისებებს, რომლებზედაც არა ერთი და ორი საკმაოდ საარწმუნო მოწმობა მოგვეპოვება.

მაქსიმე მაინც მოვიდოდეს!.. (თითქოს თავის თავს ელაპარაკება).

აქ? კი მაგრამ, აქ ხომ არ უნდა გაეარდეს მეხი? აკი ფრიგისის მხრიდანაა მოსალოდნელი?..

ორიბასიოსი. რომელი მხრიდან, მბრძანებელი... რა მეხი?

იულიანე. არა, არა, ისე... არაფერი...

ნევიტა (მარჯვნიდან შემოდის). ლაშქარი უკვე მზადაა, ჩემო იმპერატორო!

იულიანე. ჩრდილოეთით უნდა დავიძრათ?

ნევიტა (განყოფილებით). რა თქმა უნდა, მბრძანებელი.

იულიანე. მაქსიმეს მაინც დავლოდებოდით...

ნევიტა. რას ამბობ, ჩემო იმპერატორო? რალა დროს ლოდინია? სურსათის მთელი მარაგი გამოგველია, ხოლო მტრის ცხენოსანი რაზმები ხან აღმოსავლეთით გამოჩნდებიან და ხან სამხრეთით...

იულიანე. დიახ, დიახ, ჩრდილოეთისაკენ უნდა გავწიოთ. მაქსიმე ახლავე მოვა. ზურგში გავვზავენე. ეტრუსკელ მისნებთან. დაე, ერთხელაც სცადონ... რამდენიმე მოგვიც გამოვქებნე. რომლებიც ამტკიცებენ. ქალდეველთა იღუმალ ხელოვნებაში გაწაფულნი ვართო. თვით ჩვენი ქურუმები ცხრა სხვადასხვა ადგილას ასრულებენ მისნობის წესს.

ნევიტა. რა შედეგიც უნდა გამოიღოს მისნობამ, მე გეუბნები, წინ უნდა გავწიოთ-მეთქი. ამას იქით, ჭარისკაცებზე დაყრდნობა არ შეიძლება. ყველას მშვენივრად ესმის, რომ ჩვენი ერთადერთი ხსნა ესაა — როგორმე მივალწიოთ სომხეთის მთებს.

იულიანე. ჩვენც იქით გავწევთ, ნევიტა, მიუხედავად იმისა, თუ რას გვამცნობენ ჩვენი მისნები. მაგრამ რატომღაც უფრო მშვიდად ხარ, როდესაც იცი. რომ თითქოს იმ ილუმალი ძალების რჩევით მოქმედებ, რომლებიც — თუკი მოეპრიანათ, — ესოდენ მძლავრ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ბედზე.

ნევიტა (გაეცლება და მკვეთრად, ბრძანების კილოთი). ანატოლიოს, აშაღე იმპერატორის ბანაკი! (რამდენიმე სიტყვას წაუჩურჩულებს სხეულის მკვეთა მეთაურს და ხელმარჯვნივ გადის).

იულიანე. ამ ორმოცი დღის მანძილზე მომავლის წინასწარ მაცნე არცერთი ნიშანი სასიკეთოს არას გვიქადა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვენდობოდეთ მათ, ვინაიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში აშკარად არ გვწყალობდა ბედი. მაგრამ იცი, რას გეტყვი, ჩემო ორიბასიოს, ახლა, როცა სულ სხვა მიზანი მამოძრავებს...

აა, მაქსიმე!

მაქსიმე (ტრამპლიდან მოდის). ლაშქარი უკვე დაიძრა, მბრძანებელო, ცხენზე შეჯექი.

იულიანე. კი მაგრამ. მისნობაზე არაფერს მეტყვი?

მაქსიმე. ეჰ. ეს თუ მისნობაა?.. ნურაფერს მკითხავ.

იულიანე. მითხარი! მინდა ვიცოდე, მაინც როგორია პასუხი.

მაქსიმე. თუკი პასუხი ეთქმის სამარისებურ ღუმელს.

იულიანე. ღუმელს?

მაქსიმე. ქურუმებთან ვიყავი: სამსხვერპლო ზეარაკის შიგანზე ვერაფრის ამოკითხვა ვერ შესძლეს. არც ის ეტრუსკელი ოინბაზები დამვიწყნია: ვერც მათ მითხრეს რაიმე ფრინველთა ფრენის მიხედვით. მოგვებთანაც გახლდი: არც მათი წერილი იძლევა პასუხს. და თვით მეც...

იულიანე. თვით შენც, მაქსიმე?..

მაქსიმე. ახლა შემიძლია. ყველაფერი გითხრა. წუხელის ციურ მნათობთა ურთიერთგანლაგებას ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერც მათ მამცნეს რაიმე.

იულიანე. ასე რომ, არაკვითარი ნიშანი... მხოლოდ ღუმელი... სამარისებური ღუმელი... თითქოს მზეც ჩაქრობას აპირებს! სულ მარტო დავრჩი. ჩაინგრა ხიდი ჩემსა და სულელების სამყაროს შორის.

სადა ხართ ახლა ჩემო თეთრო, ჩემო ფრთამალო, იალქნებმოელვარე ხომალდებო, მზის სხივებით წალეკილ უსასრულო სივრცეში რომ დაცურავდით და ცნობები მიმოგქონდათ მიწასა და ცას შორის?

საომარი ხომალდებიც დაიწვა და სულის ხომალდებიც! ო, ჩემო თეთრო, სხივცისკროვანო ხომალდებო!

აბა, მაქსიმე, ამაზე რაღას იტყვი?

მაქსიმე. მე შენი მჭერა.

იულიანე. მართალი ხარ, უნდა გჭეროდეს!

მაქსიმე. სამყაროულმა ნებამ შენ მოგანდო თავისი ძალმოსილება; მიტომაყ დუმს.

იულიანე. დიახ, ასე განვმარტოთ ეს და ამ განმარტების მიხედვით ვიმოქმედოთ... თუმცა უმჯობესი იქნებოდა... ო, ეს დუმილი! რა საშინელია მარტო დარჩენა?!

თუმცა არიან სხვებიც, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ჩემსავით მარტონი არიან. გალილეველები! მათ ერთი ღმერთის მეტი არაუინა ჰყავთ, ერთი ღმერთი კი გინდ გყოლია და გინდ არა.

მაგრამ რითი შეიძლება იმისი ახსნა, რომ ისინი დღითიდღე?..

ანატოლიოსი (ვისი ზედამხედველობითაც სხეულის მცველებმა ამასობაში იმპერატორის ბანაკი დაშლეს). დროა ცხენზე ამხედრდე, მბრძანებელო, აქ ვერ დაგტოვებ.

იულიანე. ახლავე! სადაა ჩემი კეთილშობილი ბაბილონიოსი? აი, ასე, ხმლით ხელში!..

მომყევით, ძვირფასო მეგობრებო!

ყველანი ხელმარჯვნივ გადიან.

ქაობიანი, ტყით დაფარული ადგილი. ხეებს შორის შავი ტბა მოჩანს. შორს მეთვალყურეთა კოცონები ანთია. მთვარიანი ღამეა; ცაზე სწრაფად მიცურავენ ღრუბლები. წინ რამდენიმე ჭარისკაცი დგას საყარაულოდ.

მაკრინე და სხვა ქალები (ხეებს ამოფარებულნი მღერაან).

წეროშით მობრუნლა ბორბალი ცისა,

ჟამში დარეკა ცათა რისხვისა,

მაღე წამოვიღეღეგო სისხლისა,

რათა წარეცხოს ჩვენი ცოდვანი!

ერთ-ერთი ჭარისკაცი (ყურს უგდებს). სსუ... არ გესმით? გალილეველი ქალები მღერაან.

მეორე ჭარისკაცი. გვეგონება ქოტები კივიან, ან ყვაეები ყრანტალებენო.

მესამე ჭარისკაცი. მე კი ნეტა მათ მიმაკედლა. უფრო უშიშრად ვიგრძნობდი თავს. გალილეველთა ღმერთი უფრო ძლიერია ჩვენს ღმერთებზე.

პირველი ჭარისკაცი. საქმე ისაა, რომ იმპერატორმა განარისხა ღმერთები; რამ მოაფიქრა, ღმერთების ადგილას დაეყენებინა თავი?

მესამე ჭარისკაცი. მეტიც, მან განარისხა გალილეველთა ღმერთი. არ გავიგიათ? ამბობენ, ამ რამდენიმე ხნის წინათ, ღამით, თავის ჯადოქრებთან ერთად მუცელი გაუპო ფეხმძიმე ქალს, რათა მის შიგანზე ემკითხავაო.

პირველი ჭარისკაცი. გაგებით კი გავიგე, მაგრამ არ მჭერა. ყოველ შემთხვევაში, ის ქალი ბერძენი კი არა, რომელიმე ბარბაროსის ცოლი იქნებოდა.

მესამე ჭარისკაცი. ამბობენ, გალილეველთა ღმერთი ბარბაროსებსაც მფარველობსო, და თუ მართლა ასეა, მაშინ ვაი ჩვენი ბრალი.

მეორე ჭარისკაცი. ნუ გეშინიათ, იმპერატორი დიდი მეომარია.

პირველი ჭარისკაცი. ალბათ, არც საპორია ნაკლები.

მეორე ჭარისკაცი. როგორ გგონია, სპარსელების მთელი ლაშქარი ჩვენს წინააღმდეგ მოდის?

პირველი ჭარისკაცი. ზოგი ამტკიცებს, ეს მხოლოდ მეწინავე რაზმებიაო, მაგრამ დანამდვილებით არავენ არაფერი იცის.

მესამე ჭარისკაცი. ნეტავი გალილეველების მხარეს ვიყო.

პირველი ჭარისკაცი. განდგომას ხომ არ აპირებ?

მესამე ჭარისკაცი. განა ცოტა ჭარისკაცი განდგა... ამ ბოლო ხანს?

პირველი ჭარისკაცი (სიბნელებაში გაჟყვირის). სდექ! ვინ მოდის?

ხმა. მეგობრები ვართ.

ხეებს შორის გამოჩნდებიან ჭარისკაცები, რომლებსაც კაპადოკიელი აგათონი მოჰყავთ.

მეორე ჭარისკაცი. ოპო-პო! გაქცევა უნდოდა?

ერთ-ერთი ჭარისკაცი მოსულთა შორის. არა, კქუაზე შეიშალა.

აგათონი. ვინ მოგახსენა? თუ ღმერთი გწამთ, გამიშვით!

იგივე ჭარისკაცი ახალმოსულთა შორის. იძახის, შეიდთავიანი მხეცი უნდა მოვკლაო.

აგათონი. დიახ, დიახ, დიახ! უნდა მოვკლა! ხომ ხედავთ ამ შუბს? იცით, ეს რა შუბია? ამ შუბით მოვკლავ შეიდთავე მხეცს და კვლავ დავიბრუნებ ჩემს სულს! ასე აღმითქვა ქრისტემ. წუხელ გამომეცხადა.

პირველი ჭარისკაცი. როგორც ჩანს, შიმშილმა და დაღლილობამ გონება აურია.

მეორე ჭარისკაცი ახალმოსულთა შორის. ბანაკში წაიყვანეთ. გამოიძინოს.

ავათონი. გამიშვით! რომ იცოდეთ, ეს რა შუბია!..

ჭარისკაცებს ხელმარჩენივ გაყავთ.

მესამე ჭარისკაცი. რაო, შეიღთავა მხეციო?

პირველი ჭარისკაცი. რას გაუგებ ამ გალილეველებს. რამდენი სიტყვააა, იმდენი საიდუმლო აქეთ.

მარჯნიდან შემოდიან სახლთუხუცესი ეფფეროისი და იმპერატორის ექიმი ორიბასიოსი.

ეფფერიოსი. არსადა ჩანს?

ორიბასიოსი. არა... აა. ჭარისკაცები?! მითხარით, მეგობრებო, აქეთ ხომ არავის გამოუვლია?

პირველი ჭარისკაცი. რამდენიმე შუბოსანმა ჩაიარა.

ორიბასიოსი. კეთილი. სხვა ხომ არავინ შეგინიშნავეთ? რომელიმე დიდებულნი?.. ან მხედართმთავარი?

ჭარისკაცები. არა. არავინ.

ორიბასიოსი. მაშასადამე, აქ არ არის. ეს როგორ მოგივიდა, ეფფერიოს?..

ეფფერიოსი. რა მექნა?.. სამი ღამეა თვალი არ მომიხუქავს...

ორიბასიოსი. ძებნაში უნდა დაგვეხმაროთ. მთავარსარდლის სახელით გიბრძანებთ. ტყეში შედით და თუ რომელიმე დიდებულს მოკვრავთ თვალს. დაუყოვნებლივ აცნობეთ მცველებს. აი, იქ!

ჭარისკაცები. შენი ბრძანება შესრულებული იქნება, ბატონო ჩვენო!

ტყეში მიმოიფანტებიან. მალე ხეებს შორის გამოჩნდება იმპერატორი იულიანე. რალაცას აყურადებს და აქეთ-იქით აცეცებს თვალს; მერე შებრუნდება და ვილაცას ნიშანს აძლევს.

იულიანე. სსუ! აქეთ. აქეთ. მაქსიმე! ვერ დაგვინახეს.

მაქსიმე (იმავე მხრიდან გამოდის). ერთი მათგანი ორიბასიოსი იყო.

იულიანე. დიახ, ის და ეფფერიოსი ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალ-თვალეხენ... მათ ჰგონიათ, რომ მე... შენთვის ხომ არაფერი უთქვამთ?

მაქსიმე. არა, ჩემო იულიანე! კი მაგრამ, რატომ გამაღვიძე? რა საქმე გაქვს ამ შუალამისას?

იულიანე. მინდა უკანასკნელად გესაუბრო პირისპირ, ჩემო ძვირფასო მოძღვარო.

მაქსიმე. არა, რატომ უკანასკნელად, იულიანე?

იულიანე. შეხედე ამ შავ წყალს. რას იტყვი, უკვლოდ რომ გავქრე და ჩემი ასავალ-დასავალი ვერვინ გაიგოს, როგორ გგონია, შეთხზავენ თუ არა ლეგენდას, თითქოს ჰერმესი ჩამოვიდა და ცაში ამიტაცა, რათა ღმერთების ხომლში დავესვი?

მაქსიმე. შორს აღარაა ის დრო, როცა ადამიანებს აღარ დასკირდებათ სიკვდილი, რათა ღმერთებივით იცხოვრონ დედამიწაზე.

იულიანე. მე სამშობლო მენატრება და მიტომაც ვკმუნავ, მაქსიმე... სინათლე, მზე. ვარსკვლავები მენატრება.

მაქსიმე. ოო, გაფიცებ, ნუ მიეცემი მაგ კმმუნვარე ფიქრებს!.. შენს წინაშე სპარსელთა ლაშქარია. ხვალ დიდი ომი იქნება. შენ გაიმარჯვებ!..

იულიანე. მე?.. იცი, ვინ გამომეცხადა ამ ერთი საათის წინ?

მაქსიმე. ვინ?

იულიანე. ჩემს კარავში ტახტზე მივწეკი და ჩამეძინა. უეცრად აღისფერმა შუქმა იფეთქა; მიუხედავად იმისა, რომ ქუთუთოები დახუჭული მქონდა, თვალი მომჭრა და გამომელვინა. თვალი გაეახილე და გარკვევით დავინახე, რომ კარავში ვილაცა იდგა. თავზე გრძელი მოსასხამი წამოებურა, რომელიც ნაოქებად კეცილი ჩამოჰფენოდა ორსავე მხარეს, სახე კი ღია ჰქონდა.

მაქსიმე. იცანი?

იულიანე. დიახ, ეს იყო იგივე სახე, რომელიც დიდი ხნის წინათ ვიხილე სინათლის წრეში... იმ ღამეს, როცა მე და შენ ორ წვეულთან ერთად ვუსხედით სუფრას ეფესში.

მაქსიმე. სამეფოს სული!

იულიანე. მას შემდეგ ერთხელ კიდევ გამომეცხადა გალიაში... გამომეცხადა იმნაირ ვითარებაში, რომლის გახსენებაც არ მსურს.

მაქსიმე. თუ გითხრა რამე?

იულიანე. არა. თითქოს გამოლაპარაკება კი უნდოდა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა. უძრავად იდგა და თვალს არ მაშორებდა. ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ზედ უჩვეულო მწუხარება აღბეჭდვოდა. უცებ ორივე ხელით ჩამოიწია თავსაბურავი. სახეზე ჩამოიფარა. ფეხაკრეტით გაიარა კარავი და გაუჩინარდა.

მაქსიმე. გადამწყვეტი ბრძოლის დრო დადგა.

იულიანე. დიახ, როგორც ჩანს, დადგა.

მაქსიმე. მხნედ იყავი, იულიანე! გაიმარჯვებს ის, ვისი ნებაა ურყევია.

იულიანე. კი მაგრამ, რას მოიხვევს გამარჯვებული? რა მოიგო ალექსანდრე მაკედონელმა? ან იულიუს კეისარმა? ბერძნები და რომაელები გულგრილი განცვიფრებით იგონებენ მათ საგმირო საქმეებს, მაშინ როდესაც გალიეველი, უბრალო ხუროს ძე, სათაყვანებელი მეუფესავით სუფევს და წარუვალი სიკოცხლით ცოცხლობს ადამიანთა მხურვალე, რწმენით ანთებულ გულებში.

ნეტა სადაა ახლა? კვლავინდებურად თუ აგრძელებს თავის საქმეს მას შემდეგ, რაც გოლგოთაზე მოხდა?

ამას წინათ სიზმარში ვნახე. მესიზმრა, ვითომ მთელი დედამიწა დავიმორჩილე. ვბრძანე, მიწის პირისაგან წარებოცათ თვით გალიეველის ხსოვნა, და ჩემი ბრძანება შესრულებული იქნა. მაშინ მოვიდნენ სულები და მემსახურებოდნენ მე; ფრთები მიამაგრეს ჩემს მხრებს და მე დავექროდი უსასრულო სივრცეში, სანამ სხვა მიწას არ დავადგი ფეხი.

არა, ეს არ იყო ჩემი მიწა, არამედ გაცილებით უფრო დიდი იყო. მის ზემოთ ლივლივებდა უფრო ნათელი, მოყვითალო შუქი, მის ირგვლივ კი ბრუნავდა არა ერთი, არამედ რამდენიმე მთვარე.

მე გადმოვხედე იქიდან ჩემს საკუთარ მიწას, კეისრის მიწას, რომელიც გალიეველისაგან გაეწმინდე, და დავრწმუნდი, რომ კარგზე კარგი იყო ყველაფერი, რაც გავაკეთე.

მაგრამ, მაქსიმე, ჩემს გვერდით ამ უცხო მიწაზე ჩაიარა უცნაურმა ხალხმა. წინ მეომრები, მსაჯულები და ჯალათები მიდიოდნენ, ბოლოში კი — მოზარე ქალები. ხოლო ნელი ნაბიჯით მომავალი ბრბოსის შუაში მიდიოდა თვით გალიეველი; ცოცხალი იყო; ჯვარი მიჰქონდა მხრებით. მე შევეძახე: „საით, გალიეველო?!“ ხოლრ მან სახე შემოაბრუნა ჩემსკენ, გამიღიმა, ნელა დახარა თავი და თქვა: „თხემის ადგილისაკენ.“

სად არის ახლა? ვინ იცის, იქნებ რაც მაშინ იერუსალემში, გოლგოთაზე მოხდა, მხოლოდ პატარა, უმნიშვნელო პროვინციული ამბავი იყო, თითქმის შეუმჩნეველი შემთხვევა, მოცილობისას გზაზე მომხდარი, დიადი სამყაროული შემოვლის დროს? იქნებ ის კვლავინდებურად მიდის და მიდის, გამუდმებით გადადის ერთი მიწიდან მეორეზე, კვლავინდებურად ევნება და, ჯვარცმული, კვლავაც იმარჯვებს? ო, რომ შემეძლოს დავარბიო და იავარ-ვეყო მთელი სამყარო!.. მაქსიმე, ნუთუ არ არსებობს იმნაირი საწამლავი, ანდა ყოვლისშთანმთქმელი ცეცხლი, ერთბაშად რომ გაავლოს მუსრი ყველა ქმნილებას

და კვლავ იმად აქციოს მთელი სამყარო, რაც იყო იმ დღეს, როცა ეული სული იქცეოდა წყალთა ზედა?

მაქსიმე. მეთვალყურეთა მხრიდან ყვირილი ისმის. წავიდეთ, იულიანე...

იულიანე. წარმოგიდგენია? საუკუნეებს მოჰყვებიან საუკუნენი. და მთელი ამ უსასრულო დროის მანძილზე იცხოვრებენ ადამიანები. რომლებსაც ეცოდინებათ, რომ მე ქელი მოვიხარე, მან კი იმძლავრა!

არ მინდა ქელის მოხრა! მე ახალგაზრდა ვარ... მოუწყველი... მესამე სამეფო ახლოა... (წაშობაბებს).

აი, იქ დგას!

მაქსიმე. ვინ? სად?

იულიანე. ვერ ხედავ? აგერ, იქ, ხეებს შორის... ეკლის გვირგვინით, სისხლიანი კვართით!..

მაქსიმე. ეს მხოლოდ მთვარე ირეკლება წყალში. წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო იულიანე!

იულიანე (მუქარით უბევს მოჩვენებას). განვედ ჩემგან! მკვდარი ხარ, მკვდარი! დასრულდა შენი სუფევა. ძირს ტაკიმასხარას ტალავარი! შენ გეუბნები, ხუროს ძვე!

მანდ რას აკეთებ? რასა კრავ? რას უკაკუნებ?... ა!..

ევფერიოსი (მარცხნიდან). მადლობა უკვდავ ღმერთებს! ორიბასიოს... აქეთ, აქეთ!

იულიანე. სად წავიდა?

ორიბასიოსი (მარცხნიდან). მანდ არის?

ევფერიოსი. დიახ... ო, ჩემო სათაყვანებლო იმპერატორო!

იულიანე. ვინა თქვა, კეისრის კუბოსა ვკრავო?

ორიბასიოსი. რას ამბობ. მბრძანებლო?

იულიანე. ვინა სთქვა-მეთქი? მე გეკითხებით!.. ვინა სთქვა, კეისრის კუბოსა ვკრავო?

ორიბასიოსი. გვეედრები, ბანაკში დაბრუნდი, მბრძანებლო!

შორიდან საზარელი ყვირილი ისმის.

მაქსიმე. მეომრები ყვირიან! სპარსელები თავს დაგვესხნენ!

ევფერიოსი. მეწინავე რაზმები უკვე ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ!

ორიბასიოსი. მტერი უკვე ბანაკს მოადგა. შენ კი უიარაღო ხარ, მბრძანებლო!

იულიანე. მე მინდა მსხვერპლი შეეწირო ღმერთებს!

მაქსიმე. რომელ ღმერთებს, უგუნურო? სად არიან ისინი, ან რანი არიან?

იულიანე. მე მინდა მსხვერპლი შევწირო ერთთაც და მეორეთაც!
მე მინდა მსხვერპლი შევწირო ყველას! ერთი მაინც შეისმენს
ჩემს ვედრებას. მე მინდა ვუხმო მას, ვინც ჩემს გარეთაა და
ჩემზე მალლაა.

ორიბასიოსი. ახლა ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება!..

იულიანე. ა!.. დაინახეთ?.. ანთებული ჩირაღდანი თუ დაინახეთ
ღრუბლებს მიღმა? ანაზღეულად აენთო და ჩაქრა კიდეც.
სულების სამყარო ნიშანს მაძლევს! სხივოსანი ხომალდი კვლავ
გზას ადგას ცასა და მიწას შუა... ჩემი ფარ-ხმალი!

იულიანე სწრაფი ნაბიჯით გადის ხელმარჯვნივ; ევფერიოსი და ორიბა-
სიოსი უკან მისდევენ.

მაქსიმე (მისძახის). იმპერატორო, იმპერატორო, ამაღამ ვერიდე
ბრძოლას! (ხელმარჯვნივ გადის).

ერცელი ტრამპლი. შორს სოფელი ჩანს. მოღრუბლული დღეა. ტრამპლი
გაათრებული ბრძოლის ველად ქცეულა. ისმის ყოინი და ხმლების ჩახა-ჩუხი.
წინა მხარეს ერთმანეთს ებრძვიან სპარსელი მოისარნი და რომაელი
შუბოსნები ამიანეს მეთაურობით.

ამიანე. ასე! დაჰკათ! წინ! სროლის საშუალება არ მისცეთ!

მთავარსარდალი ნევიტა (მარჯვენა მხრიდან გამოჩნდება ამაღის
თანხლებით). როგორაა საქმე, ამიანე?

ამიანე. ცხენოსანთა მაშველი რაზმები არსად ჩანან, ბატონო ჩემო!

ნევიტა. რა ექნათ? სპარსელებმა სპილოები წაიმძღვარეს წინ.
მარტო მათი დანახვაც კი თავზარს სცემს და აფეთებს
ცხენებს... მიღით, მისცხეთ! აძგერეთ, სამკერდულს ქვემოთ
აძგერეთ. მეგობრებო!

სოფისტი კიტრონი (სალაპური სამოსის ამაჩა, წიგნებითა და გრაგნილებით
დატვირთული შემოიბრძნის მარჯვნიდან). ვაი ჩემი ბრალი, რა მინდოდა
ამ ჯოჯოხეთში?

ნევიტა (თავის მხლებლებს). მგონი შედრკენენ! ახლა ფაროსნები
მიუშვით!

კიტრონი. არ მისმენ, ბატონო ჩემო? მე რომ რამე მომივიდეს, ვინ
აგებს პასუხს? ჩემი თხზულება „სულის სიმშვიდისათვის
რთულ ვითარებაში“ ჯერ კიდევ არ დამისრულებია...

ნევიტა (უწინდებურად). სპარსელებს მარჯვენა ფრთაზე მაშველმა
მოუსწროთ! ისევ გვიტყვენ!

კიტრონი. გვიტყვენ? ო, ეს სისხლის ღვრისა და ხოცვა-ჟლე-
ტის შმაგი წყურვილი!.. ისარმა ზედ ყურთან გამიზუ-
ზუნა! რა საზიზღრად ისვრიან? ვინ დაგიდევს სხვის
სიცოცხლეს და სიმართლეს? (ხელმარცხნივ გარბის).

ნევიტა. ბრძოლის სასწორი არც იქით იხრება და არც აქეთ!
(ფრომენტინუსს, რომელიც მაშველი რაზმით შემოდის მარჯვენა მხრიდან).
ეპეი, იმპერატორისათვის ხომ არსად მოგიკრავს თვალი?
ფრომენტინუსი. დიახ, ბატონო ჩემო, თეთრი მხედრების რაზმით
იბრძვის!

ნევიტა. ხომ არ დაჰკრილა?

ფრომენტინუსი. მოუწყვლელი ეგონება, კაცს. სადაც უნდა
გამოჩნდეს, ისრები და შუბები თითქოს გზას იმრუდებენ.

ამიანე (მებრძოლთა რიგებიდან ყვირის). სად არის მაშველი, სად?
დიდხანს ველარ გავუძლებთ!

ნევიტა. წინ, ჩემო მამაცო ფრომენტინუს!

ფრომენტინუსი (ქარისკაცებს). შეეიკრათ, ძმანო ბერძნებო, და დედა
ვუტიროთ მტერს! (ამიანეს რაზმის საშველად მიეშურება; ბრძოლა
ცოტა შორს გადაინაცვლებს).

ანატოლიოსი (რამდენიმე სხულის მცველის თანხლებით შემოდის მარჯვენა
მხრიდან). იმპერატორი აქ ხომ არ არის?

ნევიტა. იმპერატორი? განა შენ არ გაბარია მისი სიცოცხლე?

ანატოლიოსი. ცხენი მოუკლეს... ისეთი საშინელი ზედახორა
დადგა, რომ... ვერასდიდებით ახლოს მისვლა ვერ შევძელი.

ნევიტა. აა!.. შენი აზრით... ხომ არ დაშავებულა?

ანატოლიოსი. არა მგონია. ყვიროდნენ, ცოცხალიაო, მაგრამ...

მთავარსარდლის ამაღის წევრები. აი, ისიც, აი, ისიც!

მარჯვნიდან უაბჯროდ და უმუზარაოდ, მარტოოდენ ხმლისა და ფარის აპარა
შემოდის იმპერატორი იულიანე საიმპერატორო გვარდიის რაზმის თანხლებით.

იულიანე. კიდევ კარგი, რომ გნახე, ნევიტა!

ნევიტა. აჰ, ჩემო მბრძანებელო... უაბჯროდ?! ასეთი გაუფრთხი-
ლებლობა გაგონილა?

იულიანე. აქ, ამ ადგილას, ვერავითარი იარაღი ვერას დამაკლებს.
მაგრამ წინამძღოლობა შენთვის გადმომიბარებია, ნევიტა.
წადი! მე ცხენი მომიკლეს.

ნევიტა. ჩემო იმპერატორო, ესე იგი, მიიწე დაშავდი?

იულიანე. არა, მხოლოდ თავით დავასკიდი მიწას... ცოტა არ იყოს,
თავბრუ მეხვევა... წადი, წადი!.. ამას რას ვხედავ? ეს რა
უცნაური ბრბოები შემოიქრნენ ჩვენს რიგებში?..

ნევიტა (ხმადაბლა). ანატოლიოს, იმპერატორის სიცოცხლისათვის
შენ აგებ პასუხს!

ანატოლიოსი. დამშვიდებული ბრძანდებოდე, ბატონო ჩემო!

ნევიტა თავისი აპალითურთ ხელმარჯვნივ გადის. ბრძოლა სულ უფრო და
უფრო მეტად შორდება წინა ჩაზს.

იულიანე. როგორ გგონია, ანატოლიოს, ბევრი ხალხი დაეკარგეთ?

- ანატოლიოსი. როგორც ჩანს, მბრძანებელი! მაგრამ დარწმუნებული ვარ, სპარსელებს უფრო მეტი დაედუპათ.
- იულიანე. დიახ, დიახ, მაგრამ მაინც ბევრი ბერძენი და რომაელი დაეცა ბრძოლის ველზე. რას იტყვი, ანატოლიოს?
- ანატოლიოსი. ცუდად ხომ არა ხარ, მბრძანებელი?.. ისეთი ფერი გადევს სახეზე...
- იულიანე. ხომ ხედავ იმ უბედურებს, აი, იქ რომ წვანან, ვინ გულალმა. ვინ კიდევ პირქვე?.. ყველა მკვდარია, არა?
- ანატოლიოსი. დიახ, მბრძანებელი.
- იულიანე. ყველა მკვდარია!.. მაშასადამე, აღარც იერუსალემში მომხდარი მარცხი ახსოვთ და აღარც სხვა რამ უბედურება... როგორ გგონია, კიდევ ბევრი ბერძენი დაეცემა ამ ბრძოლაში, ანატოლიოს?
- ანატოლიოსი. იმედი უნდა ვიქონიოთ, მბრძანებელი, რომ ყველაზე სასტიკი შეტევა უკვე მოვიგერიეთ.
- იულიანე. ბევრი დაეცემა-მეთქი, ძალიან ბევრი! მაგრამ ესეც ცოტაა. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბევრი დაეცემა? შთამომავლობა მაინც გაიგებს.
- მითხარი, ანატოლიოს, შენი აზრით, როგორ წარმოედგინა იმპერატორ კალიგულას ის ხმალი?..
- ანატოლიოსი. რომელი ხმალი, მბრძანებელი?
- იულიანე. ვითომ არ იცი?.. მას სურდა ჰქონოდა ისეთი ხმალი, რომ ერთი მოქნევით...
- ანატოლიოსი. გესმის? საომარი ყივინა თუ გესმის, მბრძანებელი? ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ სპარსელები უკან იხევენ.
- იულიანე (აყურადებს). ეს რა სიმღერაა?
- ანატოლიოსი. მბრძანებელი, ნება მიბოძე ორიბასიოსს ვუხმო... ანდა, უმჯობესია, წავიღეთ აქედან. შენ აუადა ხარ.
- იულიანე. მე გეუბნები, სიმღერა გესმის-მეთქი! შენ კი არ გესმის?
- ანატოლიოსი. თუ ასეა, მაშინ ნამდვილად გალილეეველები...
- იულიანე. დიახ. რა თქმა უნდა, გალილეეველები მღერიან... ჰა-ჰა-ჰა! ჩვენს მხარდამხარ იბრძვიან და ვერ ხედავენ, ვინა დგას მოპირისპირე მხარეს. ო, თქვე შლეგებო! სადაა ნევიტა? თუ სპარსელებს ებრძვის, რად ებრძვის? ნუთუ ვერ ხედავს, რომ სპარსელები როდი არიან ჩვენი მოსისხლე მტრები? ყველანი მყიდით, მლალატობთ!..

- იულიანე. ბევრი დაეცემა-მეთქი, ძალიან ბევრი! მაგრამ ესეც ცოტაა. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბევრი დაეცემა? შთამომავლობა მაინც გაიგებს.
- მითხარი. ანატოლიოს, შენი აზრით, როგორ წარმოედგინა იმპერატორ კალიგულას ის ხმალი?..
- ანატოლიოსი. რომელი ხმალი, მბრძანებელო?
- იულიანე. ვითომ არ იცი?.. მას სურდა კქონოდა ისეთი ხმალი, რომ ერთი მოქნევით...
- ანატოლიოსი. გესმის? საომარი ყიჟინა თუ გესმის. მბრძანებელო? ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ სპარსელები უკან იხევენ.
- იულიანე (აყურადებს). ეს რა სიმღერაა?
- ანატოლიოსი. მბრძანებელო, ნება მიბოძე ორიბასიოსს ვუხმო... ანდა, უმჯობესია, წავიდეთ აქედან. შენ ავადა ხარ.
- იულიანე. მე გეუბნები, სიმღერა მესმის-მეთქი! შენ კი არ გესმის?
- ანატოლიოსი. თუ ასეა, მაშინ ნამდვილად გალილეველები...
- იულიანე. დიახ, რა თქმა უნდა, გალილეველები მღერიან... ჰა-ჰა-ჰა! ჩვენს მხარდამხარ იბრძვიან და ვერ ხედავენ, ვინა დგას მოპირისპირე მხარეს. ო, თქვე ულეგებო! სადაა ნევიტა? თუ სპარსელებს ებრძვის, რად ებრძვის? ნუთუ ვერ ხედავს, რომ სპარსელები როდი არიან ჩვენი მოსისხლე მტრები? ყველანი მყიდით, მალატობთ!..
- ანატოლიოსი (ჩუმად, ერთ-ერთ ჯარისკაცს). ბანაკში გავარდი, იმპერატორის ექიმს დაუძახე.
- ჯარისკაცი ხელმარჯვნივ გადის.
- იულიანე. ეს რა ურიცხვი ურდობებია?.. როგორ გგონია, ანატოლიოს, ვითომ დაგვინახეს?
- ანატოლიოსი. ვინ, მბრძანებელო? სად?
- იულიანე. ნუთუ ვერ ხედავ?.. იქ, შორს, ჩვენს ზემოთ! სტყუი! მშვენივრად ხედავ!
- ანატოლიოსი. უკვდავ ღმერთებსა ვფიცავ, ეს მხოლოდ დილის ნისლია; უკვე თენდება...
- იულიანე. მე კი გეუბნები, გალილეველთა ურდობებია-მეთქი! შეხედე, აგერ ისინი, ძოწით მოსირმული სამოსი რომ მოსავთ... მოწამენი არიან, ასე უწოდებენ მათ. გარს მომღერალი ქალები შემოხვევიან, თავიანთი ხელით დაგლეჯილ თმებს ლამბებდად რომ აბამენ მშვილდზე. მათ მოსდევენ

ბავშვები, თავიანთი გადმოყრილი ნაწლავებისგან რომ წნავენ შურდულებს... ანთებული ჩირალდნები!.. მაინც რამდენნი არიან... უთვალავი, უანგარიშო. ურიცხვი! პირდაპირ ჩვენსკენ დაიძრნენ! ყველანი მე მიყურებენ, ჩემსკენ მოჰქრიან!..

ანატოლიოსი. ესენი სპარსელები არიან, მბრძანებლო! გვავიწროებენ! ჩვენები უკან იხევენ...

იულიანე. არ შეიძლება!.. ფეხი არ მოიცვალოთ!.. გამაგრდით, ბერძნებო! გასალკლდევდით, რომაელებო! დღეს ჩვენ გავათავისუფლებთ სამყაროს!

ბრძოლა კვლავ ახლოვდება. იულიანე ხმალს იმიშვლებს და ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვება. ყველანი სახტად რჩებიან.

ანატოლიოსი (ხელმარჯვნივ გასძახის). მომეშველეთ! იმპერატორი საფრთხეშია!

იულიანე (მებრძოლთა შორის). მე ვხედავ, ვხედავ! აი, ისიც! უფრო გრძელი ხმალი მომეცით, უფრო გრძელი ხმალი!

მარჯვენა მხრიდან შემოჭრილი რაჭმის ჭარისკაცები (ბერს აკეფებენ). ქრისტეს სახელით, კეისრისათვის!

აგათონი (ახალმოსულთა შორის). ქრისტეს სახელით, ქრისტესათვის! (მთელი ძალით სტყორცნის შუბს, რომელიც მკლავს გაუფლეთს და ფერღში ესობა იმპერატორს).

იულიანე. აა!.. (შუბის წვერს ჩააფრინდება და ფერღიდან ამოგლეჯას ცდილობს, მაგრამ ხელს გადაისერავს, ხმაძალდა შეჰყვირებს და ეცემა).

აგათონი (ხმაძალდა გაჰყვირის ბრბოში). რომაული შუბი, გოლგოთიდან ჩამოტანილი! (უიარაღო შეიჭრება ხელჩართულ ბრძოლაში და იქვე ეცემა, სპარსელების მიერ განგზირული).

არეულ-დარეულობა, სასოწარკვეთილი ყვირილი იმპერატორის ლაშქარში: „იმპერატორი! იმპერატორი დაქრეს!“

იულიანე (ფეხზე წამოდგომას ცდილობს, მაგრამ ხელახლა ეცემა და ყვირის).
შენ გაიმარჯვე, გალილეველო!

ხმები. იმპერატორი დაეცა!

ანატოლიოსი. იმპერატორი დაქრილია! დაიფარეთ, მკერდით დაიფარეთ, უკვდავი ღმერთების სახელით! (თავანწირული გადაეშვება ბრძოლაში და ცდილობს გზა გადაუღობოს საიერიშოდ დაძრულ სპარსელებს).

გონებაშიხილი იმპერატორი განზე გაჰყავთ. იმადროულად ბრძოლის ველზე გამოჩნდება იოვიანე, რომელიც თავის რაზმებს მოუძღვის წინ.

იოვიანე. წინ, წინ, ჩემო მორწმუნე ძმებო! მივაგოთ კეისარს კეისრისა!

უკუქცეული ჭარისკაცები (ყვირილთ გარბიან მისკენ). კეისარი დაეცა! მოკლეს!.. კეისარი მოკლეს!

იოვიანე. მოკლეს?! ო, ყოვლისმძლე უფალო ჩვენო, რომელიც დასჯი ორგულთ!.. წინ! უფალსა ნებაეს, რომ ცოცხლობდეს მისი ერი! ვხედავ, განიხვენენ ცანი და ცეცხლისმფრქვეველი ხმლების ლაპლაპით გადმოვიდნენ ანგელოსები!..

ქრისტიანი ჭარისკაცები (გაშმაგებით ეკვეთებიან მტერს). ჩვენთან არს ქრისტე!

ამიანეს რაჴმინს ჭარისკაცები. ჩვენთან არს გალილეველთა ღმერთი! შემოკრბით მის გარშემო! წინ გვიძღვის მძლეთა-მძლე და უძლეველი!

გაფთრებული ბრძოლა. იოვიანე თანდათანობით ავიწროებს მტრის რიგებს. სპარსელები უთავბოლოდ გარბიან. მზე ამოდის.

იმპერატორის კარავი. კარვის კალთა ჩამოშეებულია. მზიანი დღეა. იმპერატორი იულიანე უგონოდ ასვენია სარეცელზე. მარჯვენა ფერდი, მკლავი და მხარი შეხვეული აქვს. სარეცელთან დგანან ექიმი ორიბასიოსი, მაკრინე და ევფერიოსი; ცოტა მოშორებით — ბასილი კესარიელი და სოფისტი პრისკუსი; სარეცლის ფერხთით — მაქსიმე.

მაკრინე. სისხლმა კვლავ გამოჴონა. უფრო მაგრად შეეუხევე. ორიბასიოსი. მადლობელი ვარ, კეთილო ქალო, შენი ნაზი, მზრუნველი ხელები ძალიან გამოგვადგა.

ევფერიოსი. ცოცხალი თუა მიინც?

ორიბასიოსი. ცოცხალია, ცოცხალი.

ევფერიოსი. რომ აღარ სუნთქავს?

ორიბასიოსი. როგორ არა სუნთქავს?

კარავში შემოდის ამიანე; თან იმპერატორის ფარ-ხმალი მოაქვს; ხმალს დადებს და თვითონ კარვის კართან ჩერდება.

პრისკუსი. ეჰ, ჩემო ძვირფასო ამიანე, როგორაა საქმე იქ, ბრძოლის ველზე?

ამიანე. უფრო უკეთ, ვიდრე აქ... ხომ არ?..

პრისკუსი. არა, არა, ჭერ არა... მართალია, სპარსელები უკუევაქციეთო?

ამიანე. დიახ. მხედართმთავარმა იოვიანემ თხებივით დაიფრინა ბარბაროსები. ეს-ესაა ბანაკში სამი ელჩი გვეახლა; საპორი ზავს ითხოვს.

პრისკუსი. როგორ გგონია, ნევიტა დათანხმდება?

ამიანე. ნევიტამ მთავარსარდლობა იოვიანეს გადასცა. ყველანი იოვიანეს გარშემო ირაზმებიან. მასში ხედავენ ერთადერთ მხსნელს...

ორიბასიოსი. ცოტა ჩემად; მგონი შეირხა...

ამიანე. შეირხა? იქნებ გონსაც მოვიდეს!.. ნუთუ იმასაც უნდა მოესწროს, რომ...

ევფერიოსი. რას, ამიანე?

ამიანე. ჭარისკაცებიცა და სარღლებიც ახალი იმპერატორის არჩევას აპირებენ.

პრისკუსი. რას ამბობ?

ევფერიოსი. რა სამარცხინო სულსწრაფობა!

ამიანე. ლაშქრობის ხიფათი თითქოს ერთგვარად ამართლებს ამას, მაგრამ მაინც...

მაკრიანე. გონს მოდის... თვალი გაახილა...

იულიანე ერთხანს ჩემად წევს; ალერსიანად მისჩერებია თავზე მდგომთ.

ორიბასიოსი. მიცანი, მბრძანებელო?

იულიანე. დიახ, ჩემო ორიბასიოს!

ორიბასიოსი. მხოლოდ იცოდე, მშვიდად წოლაა საჭირო.

იულიანე. მშვიდად წოლაო?... ა!.. კიდეც კარგი, რომ გამახსენე! ახლავე უნდა ავდგე!

ორიბასიოსი. არ შეიძლება, მბრძანებელო! გემუდარები...

იულიანე. ახლავე უნდა ავდგე-მეთქი! რა დროს მშვიდად წოლაა? საპორს კუდით ქვა უნდა ვასროლინო.

ევფერიოსი. საპორი უკვე დავამარცხეთ, მბრძანებელო! ელჩები გამოგზავნა ბანაკში: ზავს ითხოვს.

იულიანე. მართლა? მადლობა ღმერთს... ის მაინც დავამარცხე!

მაგრამ არავეითარი ზავი! მე მინდა მთლიანად გავსრისო და გავანადგურო! ჰო, მართლა, სადაა ჩემი ფარი? ნუთუ დაეკარგე?

ამიანე. არა, ჩემო იმპერატორო... აი, აგერ, შენი ფარ-ხმალი...

იულიანე. აა, ჩემი მრავალნაცადი ფარი! მადლობა ღმერთს, რომ ბარბაროსებს არ ჩაუვარდა ხელში. მომეცით, მკლავზე მოვირგო...

მაკრიანე. ო, მბრძანებელო, ახლა ის მეტისმეტად მძიმეა შენთვის.

იულიანე. ა, ეს შენა ხარ? მართალს ამბობ, ჩემო ღვთისმოსავო, ცოტა არ იყოს, მართლა მძიმეა... გვერდით დამიდე. მინდა თვალი შევეავლო... ამას ვის ვხედავ? ამიანე!.. ახლა შენა ხარ ჩემი სხეულის მცველი? კი მაგრამ, ანატოლიოსი რა იქნა?

ამიანე. ანატოლიოსი აწ უკვე ნეტართა კუნძულების მკვიდრია, მბრძანებელი.

იულიანე. მოკლეს? ჩემი გულისთვის დაეცა ბრძოლის ველზე?.. მაშ, უკვე ნეტართა კუნძულების მკვიდრია? ჰმ...

კიდეც ერთი მეგობარი დავკარგე. ეპ, ჩემო მაქსიმე... არა, დღეს სპარსეთის მეფის ელჩებს არ მივიღებ. მათ მხოლოდ დროის მოგება სურთ. არც ზავს დაეთანხმდები. მინდა ბოლომდე ვისარგებლო გამარჯვებით. ლაშქარი კვლავ კტესიფონისაკენ აიღებს გეზს.

ორიბასიოსი. ახლა ეს შეუძლებელია, მბრძანებელი! შენი კრილობები ხომ არ დაგაიწყდა?

იულიანე. ჩემი კრილობები მალე შეიკრავს პირს. სთქვი, ხომ მპირდები, ორიბასიოს?

ორიბასიოსი. უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეა საჭირო.

იულიანე. რა სამწუხაროა. რალა მაინცდამაინც ახლა, როცა ამდენი მნიშვნელოვანი საქმეა მოსაგვარებელი?.. ნევიტას ხომ ვერ მივანდობ? ამ შემთხვევაში ვერც მას ვენდობი და ვერც სხვა ვინმეს. ყველაფერი მე თვითონ უნდა გადაეწყვიტოს... არადა, მართლა ცუდადა ვარ! ბედი არ გინდა? მითხარი, ამიანე, რა ჰქვია იმ დაწყევლილ ადგილს?

ამიანე. რა ადგილს, ჩემო მოწყალეო იმპერატორო?

იულიანე. სადაც მე სპარსელებმა შუბით დამკრეს?

ამიანე. გაღმა მდებარე სოფლის — ფრიგიის სახელი ჰქვია...

მაქსიმე. ა!..

იულიანე. რაო?.. რა სთქვი?..

ამიანე. ფრიგია ჰქვია, მბრძანებელი, ისევე, როგორც მის მახლობლად მდებარე სოფელს...

იულიანე. ეპ, მაქსიმე... მაქსიმე!

მაქსიმე. მომატყუეს! (მოსასხამს აიფარებს სახეზე და სარეცლის ფერხით მიწაზე ეშვება).

ორიბასიოსი. რამ შეგაკრთო, ჩემო ძვირფასო იმპერატორო?

იულიანე. არაფერია... ისე... ფრიგია?.. ახლა კი მესმის!.. ნევიტას, ალბათ, მაინც მოუწევს საქმის ხელში აღება. წადი და უთხარი მასაც და სხვებსაც...

ამიანე. მბრძანებელი, ისინი უკვე შენი სახელით...

იულიანე. უკვე?.. თუმცა, ჰო, რა თქმა უნდა... კეთილი და პატიოსანი... სამყაროულმა ნებამ მზაკვრულად მაცოთუნა, მაქსიმე!

მაკრინე. მბრძანებელო, კრილობამ პირი გაიხსნა.

იულიანე. რად მიმალავდი, ორიბასიოს?

ორიბასიოსი. რას გიმალავდი, ჩემო ძვირფასო მბრძანებელო?

იულიანე. იმას, რომ მალე უნდა დაგტოვოთ. რატომ აღრევე არ მითხარი?

ორიბასიოსი. ო, ჩემო იმპერატორო!

ბასილი კესარიელი. იულიანე... იულიანე! (ქეთონით ჩაიკეცება სარეკლთან).

იულიანე. ბასილი... ჩემო ძმაო და მეგობარო... რა ბედნიერი დღეები გეიტარებია ერთად.

ნუ სტირით, ასე ახალგაზრდა რომ გტოვებთ. როდესაც ღმერთები ნაადრევად გაიხმობენ კაცს ამ სოფლიდან, ეს ყოველთვის როდი ნიშნავს იმას, რომ მის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი. რა არის სიკვდილი? სხვა არაფერია, თუ არა ხარკის გაღება მტერის მარად წარმავალი სამეფოსათვის. ფუჰია დრტკინვა. განა თვითეული ჩვენ-განი არ ეტრფის სიბრძნეს? ხოლო სიბრძნე გვასწავლის ჩვენ, რომ უზუნაესი ნეტარება ხორცის კი არა, სულის სიცოცხლესთანაა წილნაყარი? ამ მხრივ, გალილეველები მართალნი არიან. თუმცა... მაგრამ, მოდით, მოვეშვათ ამას. სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგე ძალებს რომ ცოტა მეტი გულუხვობა გამოეჩინათ და ერთი პატარა თხზულების დამთავრების საშუალება მოეცათ ჩემთვის, ეკვი არ მეპარება, ბოლოს და ბოლოს, შევეძლებდი...

ორიბასიოსი. ო, ჩემო მბრძანებელო, ამდენი ლაპარაკი ხომ არ დაგლლის?

იულიანე. არა, არა!.. ისე კარგად ვგრძნობ თავს...

ბასილი. იულიანე, ჩემო ძვირფასო ძმაო, მითხარი, არაფრის დაბრუნებას არ ისურვებდი?

იულიანე. კეშმარიტად, არაფერი ამგვარი არ მახსენდება.

ბასილი. მაშ, არაფერს ნანობ, იულიანე?

იულიანე. არაფერს... მე ვიცი, რომ, ჩემი შეგნებისა და შეძლებისამებრ, გონივრულად ვიყენებდი იმ ძალას, რომელიც განგებამ თუ გარემოებამ მომანდო და რომელსაც ღვთიური ძალმოსილების ანარეკლად უნდა ვთვლიდეთ. მე არა მსურდა, არც არასდროს მისურვია რამე ბოროტი, არც ვისიმე უბედურება. ამ ლაშქრობას თავისი გონივრული და გასამართლებელი საბაბიც მოეძებნება.

ხოლო თუ ვინმეს მაინც ჰგონია, რომ ვერ გავამართლე ყველა იმედი, რასაც ამყარებდნენ ჩემზე, დაე, ნუ დაივიწყებს იმ იდუმალ ძალებსაც, რომლებზედაც უმეტესწილად დამოკიდებულია ადამიანური მცდელობისა და ძალისხმევის ყველა შედეგი.

მაკრინე (ორიბასიოსს). გესმის, რა მძიმედ სუნთქავს?

ორიბასიოსი. მალე ხმაც უღალატებს.

იულიანე. ჩემი მემკვიდრის არჩევაზე ვერაფერს ვიტყვი...

ჩემი ქონება ევფერიოსმა გაუნაწილოს იმათ, ვინც ყველაზე ახლო იყო ჩემთან... ბევრი არაფერი მრჩება, ვინაიდან ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ ქვეშა-რიტი ფილოსოფოსი... რა ხდება? მზე უკვე ჩადის?

ორიბასიოსი. არა, ჩემო იმპერატორო, დაღამებამდე ჭერ დიდი დროა.

იულიანე. საკვირველია. მომეჩვენა, თითქოს უცებ დაბნელდა...

ო, სიბრძნე... სიბრძნე! არასოდეს განუდგე სიბრძნეს, ჩემო კეთილო პრისკუს! მაგრამ ყოველთვის ფრთხილად იყავი იმ რალაც აუხსნელის მიმართ, რომელიც ჩვენს გარეთაა...

მაქსიმე წავიდა?

მაქსიმე. არა, ძმაო ჩემო!

იულიანე. ყელი მიშრება. რა იქნება, რომ...

მაკრინე. წყალი? მხოლოდ ორიოდე ყლუპი, მბრძანებლო! (გაგებთან მიუტანს თასს).

ორიბასიოსი (ჩურჩულით, მაკრინეს). სისხლი ჩაექცა.

იულიანე. ნუ სტირით! ნურცერთი ბერძენი ნუ დამიტირებს... ვარსკვლავებს შევეუერთდები.

მშვენიერი ტაძრები... ქანდაკებები... მაგრამ რა შორსაა.

მაკრინე. რას ამბობს?

ორიბასიოსი. არ ვიცი; მე მგონი ბოდავს.

იულიანე (თვალეზღაუქული). ალექსანდრემ შესძლო ტრიუმფით შესულიყო ბაბილონში... იქნებ მეც... მომხიბლავი, ფოთლებისა და ყვავილების გვირგვინით შუბლშემკული ქაბუკები... მოცეკვავე ქალიშვილები... მაგრამ რა შორსაა, შორს...

მშვენიერი მიწა... მშვენიერი სიცოცხლე, მიწიერი, ამქვეყნიური! (ფართოდ გაახელს თვალებს).

ო, მზეო, მზეო, რატომ მომატყუე მე?.. (კვდება).

ორიბასიოსი (მცირე ხნის ღუმლის შემდეგ). გათავდა.

კარავში მყოფნი. მოკვდა... მოკვდა!

ორიბასიოსი. დიახ, მოკვდა.

ბასილი და მაკრინე მუხლს მოიყრიან და ლოცულობენ. ევეფროსი გლოვის ნიშნად მოსასხამის კალთას წამოიფარებს თავზე. შორიდან ბუკ-ნაღარისა და დაღდაფების ხმა ისმის.

უვირილი ბანაკიდან. გაუმარჯოს იმპერატორ იოვიანეს!

ორიბასიოსი. გესმით, გესმით?

ამიანე. მხედართმთავარი იოვიანე იმპერატორად გამოაცხადეს!

მაქსიმე (იციანის). გალილეველი იოვიანე! დიახ... დიახ... დიახ!

ორიბასიოსი. რა სამარცხეინო სულსწრაფობა! ისიც კი არ იციან, რომ...

პრისკუსი. იოვიანე... ეს ძლევა მოსილი გმირი, ჩვენი მხსნელი?..

იმპერატორი იოვიანე ქეშმარიტად ხოტბის ღირსია!

იმედია, ამ ცბიერმა კიტრონმა ვერ მოასწრო და...

(სასწრაფოდ გადის).

ბასილი. ჭერ კიდევ არ გაციებულია შენი სხეული, რომ უკვე დაგივიწყეს. და ამ უხანო დიდებაზე გაცვალე სულის უკვდავება!

მაქსიმე (დგება). იულიანეს სულისათვის პასუხს აგებს სამყაროს ნება!

მაკრინე. ღმერთს ნუ სცოდავ; თუმცა მართლა გიყვარდა მიცვალებული...

მაქსიმე (ცხედარს უახლოვდება). მიყვარდა და ვაცთუნე... არა, მე არა...

ის ცთუნებულ იქნა, როგორც კაენი. ცთუნებულ იქნა, როგორც იუდა... თქვენი ღმერთი მფლანგველი ღმერთია, გალილეველნო! რამდენ სულს ხარჯავს!

მაშ, ამჭერადაც არ იყავი ქეშმარიტი, აუცილებლობის მსხვერპლო?

ღირს კია მაშინ სიკოცხლე? ყველაფერი ფუჭი თამაშია მხოლოდ და მხოლოდ. გინდოდეს, ნიშნავს ძალაუნებურად გინდოდეს...

ო, ჩემო ძვირფასო, ყველა ნიშანმა მომატყუა; ყველაფერი ორქოფული ენით ლაპარაკობდა, და მე მომეჩვენა, რომ სწორედ შენ უნდა ყოფილიყავი ორი სამყაროს შემრიგებელი!

მესამე სამეფო მოვა! ადამიანის სული კვლავ დაიბრუნებს თავის სამკვიდროს! და მაშინ მსხვერპლს შესწირავენ შენი და შენს ნადიმზე წვეული ორი სტუმრის ცოდვების გამოსასყიდად! (მიდის).

მაკრინე (ღგება, გაფითრებული). ბასილი... ჩახედი ამ წარმართის სიტყვებს?

ბასილი. ვერა... მაგრამ უეცრად მომეფინა დიდი ნათელი, და მე ცხადად, თვალნათლივ ვხედავ, რომ ჩვენს წინაშეა მშვენიერი, დამსხვრეული საკურველი უფლისა.

მაკრინე. დიახ, კეშმარიტად ძვირფასი, მშვენიერი საკურველი!

ბასილი. ქრისტე, ქრისტე, სად იყო შენი ხალხი, რომ ვერ ხედავდა აშკარა ნიშანს შენსას? კეისარი იულიანე საკურველი იყო შენი რისხვისა, საკურველი, რომელსაც სიკვდილი კი არ მოჰქონდა ჩვენთვის, არამედ აღდგომა.


მაკრინე. საშინელია ღვთიური არჩევანის საიდუმლო! რა ვიცი ჩვენ?..

ბასილი. ხომ ითქვა: „ზოგ კურქელს ზელენ სირცხვილისათვის, ზოგსაც — დიდებისათვის!“

მაკრინე. ო, ძმაო, ნუ ჩავუღრმავდებით აზრით ღვთაებრივი სიბრძნის ამ უფსკრულს. (ცხედრის თავზე იხრება და თვალებს უხუკავს).

სულს ცთომილს ადამის ძისა, თუკი ზეგარდმო გეწერა ცთომა, ეს უცილობლად შეგერაცხება შენ იმ დიად დღეს, როცა მძლეთამძლე მსაჯული მოვა თვისი დიდების ღრუბლით, რათა განიკითხოს ცოცხალი მკვდრები და მკვდარი ცოცხლები!..





პიესა ოთხ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

კონსული ბერნიკი.

ბეტი ბერნიკი, მისი ცოლი.

ულაფი, მათი ვაჟი, 13 წლისა.

მარტა ბერნიკი, კონსულის და.

იუჰან ტენესენი, ბეტი ბერნიკის უმცროსი ძმა.

ლონა ჰესელი, ბეტის უფროსი ნახევარდა.

ჰილმარ ტენესენი, ბეტის ბიძაშვილი.

ადიუნქტი რიორლუნე.

რუმელი, კომერსანტი.

ვიგელანი ვაჟარი.

ხანსტადი ვაჟარი.

დინა დორფი, ახალგაზრდა ქალიშვილი; კონსულ ბერნიკის სახლში ცხოვრობს.

კრაპი, კონსულ ბერნიკის საქმეთა მმართველი.

ეუნე, ოსტატი-გემომშენებელი.

ფრუ რუმელი, კომერსანტ რუმელის ცოლი.

ჰილდა, მისი ქალი.

ფრუ ჰოლტი, ფოსტმეისტერის ცოლი.

ნეტა, მისი ქალი.

ფრუ ლიუნგე, ექიმის ცოლი.

ბიურგერები და სხვა მოქალაქენი, უცხოელი მეზღვაურები, გემის მგზავრები და სხვა.

მოქმედება მიმდინარეობს კონსულ ბერნიკის სახლში, პატარა ზღვისპირა ნორვეგიულ ქალაქში.





პირველი მოქმედება

ვრცელი დარბაზი კონსულ ბერნიკის სახლში. სახლს გარშემო ბაღი აკრავს. ავანსცენაზე, ხელმარცხნივ, კონსულის კაბინეტის კარი მოჩანს. უფრო მოშორებით, იმავე კედელში, — მეორე კარი. მარჯვენა კედელს შუაში ორსაგდულიანი, შემოსასვლელი კარი აქვს დატანებული. დარბაზის უკანა კედელი თითქმის მთლიანად სარკეებითაა დაფარული, ასეთივე სარკის კარი გაღებულია და აქედან შეიძლება ფართო ტერასაზე გავიდეს კაცი. ტერასის თავზე ტენტია გადაკიმული. ტერასა საფეხურებით ეშვება ბაღში, რომელსაც გარშემო რკინის მესერი აკრავს. მესერში კუტიკარია დატანებული. ქუჩის მოპირისპირე მხარეს ღია ფერის საღებავებით შეღებილი პატარა სახლებია ჩამწყკრივებული. ზაფხულის ცხელი, მზიანი დღეა. ქუჩაში ხალხი მიმოდის. ზოგიერთი ჩერდება და ერთმანეთს ელაპარაკება. კუთხეში, მეწვრილმანის დუქანს ბუზივით ეხვევა ხალხი.

დარბაზში, მაგიდის გარშემო, საყრავს უსხედან ქალები. შუაში ბერი ბერნიკია, მის ხელმარცხნივ — ფრუ კოლტი და მისი ქალიშვილი, შემდეგ — ფრუ რუმელი ქალიშვილითურთ. ბეტის ხელმარჯვნივ — ფრუ ლიუნგე, მარტა ბერნიკი და დინა დორფი. ყველა ხელსაქმითაა გართული. მაგიდაზე გამოქრილი და დაბლანდული თეთრეულისა და სხვა ტანსაცმლის მთელი გროვაა. სცენის სიღრმეში, პატარა მაგიდას, რომელზედაც ორი საყვავილე ქოთანია და დამაქრული წყლით სავსე ქიქა დგას, რიორლუნი უზის და ხმამალა კითხულობს ოქროსეარაყიან წიგნს. მაგრამ მაყურებლებამდე მხოლოდ ცალკეული სიტყვები აღწევს. ბაღში მშვილდისრით დანავარდობს ულაფი და ისრებს მიზანში ისვრის.

სოტა ხნის შემდეგ, მარჯვენა მხრიდან ფრთხილი ნაბიჯით შემოდის ოსტატი ეუნე. ქალები შემოსულს მიაჩერდებიან და რიორლუნს ძველებური ყურადღებით ველარ უსმენენ. ბერი თავს უქნევს და კაბინეტის კარზე უთითებს. ეუნე დინად მიემართება იქით და რამდენიმეჯერ მორიდებით აცაკუნებს. კაბინეტიდან გამოდის კრაპი, რომელსაც ხელში ქუდი უჭირავს, იღლიაში კი ქალაღლები აქვს ამოჩრილი.

კრაპი. აა, თქვენ აცაკუნებდით?

ეუნე. მითხრეს, კონსული გიბარებდო.

კრაპი. დიახ, მაგრამ ახლა არა სცალია და მე დამავალა...

ეუნე. თქვენ? მერჩია...

კრაპი. ...მე დამავალა, გამეფრთხილებინეთ: დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ ეგ თქვენი ლექციები, რომლებსაც შაბათობით მუშებისთვისა მართავთ.

ეუნე. მართლა? მე მეგონა, უფლება მქონდა, როგორც მომეპრიანებოდა. ისე გამოიყენებინა ჩემი თავისუფალი დრო...

კრაპი. ვინ მოგცათ უფლება. ისე გამოიყენოთ თქვენი თავისუფალი დრო. რომ სამუშაოზე გული აუცრუოთ ხალხს? ასე მაგალითად, წინა შაბათს თქვენ ლაპარაკობდით, რომ ახალი მანქანებისა და შრომის ახლებური წესის დანერგვა მუშების წინააღმდეგაა მიმართული. რატომ იქცევით ასე?

ეუნე. მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება განვამტკიცო.

კრაპი. საოცარია! კონსული კი, პირიქით, ამბობს, რომ ეს ძირს უთხრის საზოგადოებას.

ეუნე. ჩემი საზოგადოება კონსულის საზოგადოება არ გახლავთ, ბატონო მმართველო. როგორც მუშათა კავშირის მამასახლისი, მე...

კრაპი. უწინარეს ყოვლისა, თქვენ კონსულ ბერნიკის ვერფის მამასახლისი ხართ; უწინარეს ყოვლისა, თქვენს მოვალეობას უნდა ასრულებდეთ იმ საზოგადოების მიმართ, რომელსაც „ბერნიკის ფირმა“ ჰქვია, ვინაიდან ყველას მისი წყალობით გიდგიათ სული. აი, რისი თქმა უნდოდა თქვენთვის კონსულს.

ეუნე. კონსული ამას ცოტა სხვანაირად მეტყუოდა, ბატონო მმართველო, მაგრამ მშვენიერად მესმის, ვისი მადლობელიც უნდა ვიყო. ეს სულ იმ წყეული ამერიკელის ოინებია, დიდის ამბით რომ დაიბნინებდა დოკში. ამ ხალხს უნდა, რომ ჩვენც ისევე ვმუშაობდეთ, როგორც იქ, ამერიკაში, ეს კი...

კრაპი. კარგი, კარგი; სალაპარაკოდ არა მცალია. ახლა თქვენ უკვე იცით კონსულის აზრი და მორჩა! შეგიძლიათ ვერფში დაბრუნდეთ: ალბათ, იქ უფრო საკირო ხართ. მეც მალე ჩამოვაკითხავთ. გთხოვთ მომიტევეთ, ქალბატონებო. (ქალებს თავს უკრავს და ბალიდან გადის).

ეუნე დინჯად მიემართება მარჯვნივ. რიორლუნი, რომელიც კრაპისა და ეუნეს საუბრის დროს კითხვას განაგრძობდა, — კრაპი და ეუნე ხმადაბლა საუბრობდნენ, — მათი წასვლისთანავე ამთავრებს კითხვას და წიგნს ხურავს.

რიორლუნი. ესეც ასე, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, ჩვენი მოთხრობაც დასრულდა!

ფრუ რუმელი. აჰ, რა საინტერესო მოთხრობა იყო!

ფრუ ჰოლტი. და, თანაც, რა მაღალზნებრივი!

რიორლუნი. დიახ. რა კუთრხეული კონტრასტია იმასთან შედარებით, რასაც სამწუხაროდ, ყოველდღე გვთავაზობენ ჟურნალ-გაზეთები. მართლაცდა, კაცმა რომ თქვას, რა იმალება მთელი იმ ყალბი ბრწყინვალეებისა და მოჩვენებითი ფუფუნების მიღმა, რითაც ასე მოაქვთ თავი დიდ საზოგადოებრივ

ცენტრებს? — სიცარიელე და სიღამპლე, თუ შეიძლება ასე ითქვას. არავითარი მყარი ზნეობრივი პრინციპები... ერთის სიტყვით, ეს დიდი თანამედროვე ცენტრები, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა შეფეთქილი კუბოები.

ფრუ ჰოლტი. მართალს ბრძანებთ.

ფრუ რუმელი. დიახ, ავიღოთ თუნდაც იმ ამერიკული გემის ეკიპაჟი, რომელიც ჩვენს ნავსადგურში დგას...

რიორლუნი. არა, ამ ნაძირალებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ რა ხდება თვით უმაღლეს წრეებში? ყველგან ეჭვი, მღელვარება, შფოთი, დრტყინვა, ყოველგვარი საფუძვლისა და საყრდენის მთლიანი მოშლა! ახლა ოჯახებს აღარ იკითხავენ? რა თავხედური ლტოლვაა, ძირი გამოუთხარო და ჩირქი მოსცხო ყველაზე წმინდა საწყისებს!

დინა (თავაულებლივ). კი მაგრამ, განა იქვე დიდ საქმესაც არ აკეთებს ხალხი?

რიორლუნი (განცვიფრებით). დიდ საქმესო? არ მესმის თქვენი...

ფრუ ჰოლტი. ღმერთო ჩემო, რას ამბობ, დინა?

ფრუ რუმელი (იზავდროულად). ეგ რამ გათქმევინა?

რიორლუნი. ღმერთმა დაგვიფაროს ამნაირი საქმეებისგან! მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი საქმე ისეა, როგორც არის! რა თქმა უნდა, ჩვენშიაც, სამწუხაროდ, ხორბალს აქა-იქ სარეველაც გამოერევა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ ძირფესვიანად ამოვგლიჯოთ, როგორც შეგვიძლია. უნდა გავუფრთხილდეთ საზოგადოების სიწმინდეს, ძვირფასო ქალბატონებო, უნდა დავიცვათ ყოველივე იმისაგან, რაც ცდით არაა შემოწმებული და რის თავზე მოხვევასაც გვიპირებს ეს ჩვენი სულსწრაფი საუკუნე.

ფრუ ჰოლტი. არადა, სამწუხაროდ, როგორ მომძლავრდა ეს ბოროტება.

ფრუ რუმელი. დიახ, დიახ, აი, თუნდაც შარშან ლამის ჩვენშიაც გაიყვანეს რკინიგზა.

ბეტი. რამდენი ბრძოლა დასკირდა კარსტენს, რომ ეს არ დაეშვა.

რიორლუნი. განგების ნებით, ქალბატონო! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენი ქმარი უზენაესი ნების იარაღი იყო ამ ბრძოლაში.

ბეტი. მერედა, როგორ ლანძლავდნენ გაზეთები... მაგრამ კინალამ დაგვაეიწყა, მადლობა გადაგვებადა თქვენთვის, ბატონო ადიუნქტო. მართლაცდა. რა კეთილი და გულისხმიერი ბრძანდებით, რომ ამდენ დროს გეწირავთ.

რიორლუნი. რას ბრძანებთ? ახლა ხომ არდადევებია...

ბეტი. დიახ. დიახ. მაგრამ ეს მაინც დიდი მსხვერპლია თქვენის მხრივ.

რიორლუნი (სკამიანად მიიწევს მისკენ). აბა, ეს რა მსხვერპლია. ქალბატონო? განა თქვენ ყველანი მსხვერპლს არ იღებთ კეთილი საქმის გულისთვის? და განა სიხარულით, უშურველად და უანგაროდ არ იქცევით ასე? ვინ არიან ეს ზნეობრივად დაცემული არსებები, რომელთა გამოსწორებისთვისაც ჩვენ ყველანი ერთობლივად ვზრუნავთ, თუ არა იგივე ბრძოლის ველზე დაქრილი ჯარისკაცები? თქვენ, ჩემო გულმონყაყლე ქალბატონებო, ნამდვილი დიაკონისები, მოწყალების დები ბრძანდებით, თავიანთი ნაზი ხელებით რომ წეწავენ ძენძს და კრილობებს უხვევენ საბრალო დაქრილთ, თავს დასტრიალებენ და ლამეებს უთევენ მათ...

ბეტი. ნეტავი იმას, ვისაც შეუძლია ყველაფერს ამ თვალით უყუროს!

რიორლუნი. ბევრი რამ, ამ მხრივ, თანდაყოლილია, ბევრიც შეიძლება თვითონვე შეიძინოს კაცმა. მთავარი ისაა, რომ სერიოზული ცხოვრებისეული თვალსაზრისით უყურო ყველაფერს. (მარტას მიმართავს). თქვენ რას იტყვით ამაზე, ქალბატონო? განა ფეხბევე უფრო მყარ ნიადაგს არა გრძნობთ მას შემდეგ, რაც ჩვენს სკოლაზე ზრუნავთ?

მარტა. რა მოგახსენოთ... როცა იქ, სკოლაში ვზივარ, რაღაც უცნაური ძალა შორს, ძალიან შორს, მღელვარე ზღვისკენ მიტაცებს ხოლმე.

რიორლუნი. ეს ცთუნებაა, ქალბატონო. ესოდენ მშფოთვარე სტუმრებს საგულდაგულოდ უნდა დაუხშოთ კარი. მღელვარე ზღვა, რალა თქმა უნდა, ადამიანთა ბობოქარი საზოგადოებაა, სადაც ყოველდღე ამდენი ხალხი იღუპება. ნუთუ მართლა ასე ძალიან გიზიდავთ ის ცხოვრება, რომლის ყაყანი და ორომტრიალი თქვენამდე ძლივს აღწევს? საკმარისია გაიხედოთ ქუჩაში, სადაც ადამიანები ქიანკველებივით ფუსფუსებენ და ოფლს ღვრიან თაკარა მზეში. არა, ღმერთმანი, ათასწილ გვიჯობს აქ ვისხდეთ, ჩრდილში, და ზურგი ვაქციოთ იმას, რისგანაც დასაბამს იღებს საცთური.

მარტა. დიახ. დიახ, როგორც ჩანს, სწორი ბრძანდებით...

რიორლუნი. მით უმეტეს, ამ სახლში, სიწმინდისა და სილამაზის ამ სავანეში. სადაც ოჯახურმა ცხოვრებამ თავისი უსრულქმნილესი გამოხატულება კპოვია... სადაც სუფევს მხოლოდ ერთსულოვნება და სიამტკბილობა... (ღაასახლისს მიუბრუნდება). რა მოგივიდათ, ქალბატონო?

ბეტი (შემობრუნდება და კაბინეტის კარზე ანიშნებს). რა ხმამალა ლაპარაკობენ.

რიორლუნი. რაიმე ისეთი ხომ არ მომხდარა?

ბეტი. არ ვიცი. მაგრამ ეტყობა, ჩემს ქმარს ვილაცა ჰყავს...

მარჯნიდან შემოდის პირში სოგარაგაჩრალი ძილმარ ტენესენი, მაგრამ ქალების დასახელებაზე ჩერდება.

ძილმარი. აჰ. მომიტევეთ. გეთაყვა. (წასვლას აპირებს).

ბეტი. შემოდი. შემოდი. ძილმარ. ხელს არ შეგვიშლი. გინდოდა რამე?

ძილმარი. არაფერი, ისე შემოვიხედე. (ქალებს). ჩემი სალამი. (ბეტის). აბა, რა გადაწყვიტეთ?

ბეტი. რასთან დაკავშირებით?

ძილმარი. რა ვიცი. ბერნიკმა კვლავ ჩაჰბერა ბუკ-ნალარას!

ბეტი. კი მაგრამ, მაინც რა მოხდა?

ძილმარი. რა და, ისევ ეს სულელური რკინიგზა...

ფრუ რუმელი. მართლა?

ბეტი. საწყალი კარსტენი! ესლა აკლდა...

რიორლუნი. კი მაგრამ. ეს როგორ იქნება. ბატონო ტენესენ? აკი კონსულმა ბერნიკმა საჯაროდ განაცხადა შარშან. არავითარი რკინიგზა არ გეკირდებაო.

ძილმარი. მეც ვერე მეგონა. მაგრამ წელან კრაპი შემხვდა და იმან მითხრა. რკინიგზის საკითხი ხელახლა წამოიჭრა და ბერნიკი სამ ჩვენებურ ბობოლას ეთათბირებო.

ფრუ რუმელი. არ გამიკვირდა. ჩემი ქმრის ხმა საიდან მომესმამეთქი?

ძილმარი. დიახ. ბატონი რუმელი. რა თქმა უნდა. აქა ბრძანდება, ისევე როგორც სანსტადი და მიქელ ვიგელანი -- „წმინდა მიქელი“, როგორც მეტსახელად შეარქვეს.

რიორლუნი. კმ...

ძილმარი. აჰ, მომიტევეთ. ბატონო ადიუნქტო.

ბეტი. ღმერთო ჩემო, რა მშვიდად და მოსვენებით ვიყავით...

ძილმარი. პირადად მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. თუკი ერთმანეთს დაერევიან.

რიორლუნი. მე კი მგონია. ამნაირი სეირის გარეშეც შეიძლება გაძლება.

ძილმარი. გააჩნია. ვინ როგორ შეხედავს. ზოგიერთს ხანდახან ქაერივით სკირდება შეტაკება. შეხლა-შემოხლა. მაგრამ პატარა ქალაქში იშვიათად თუ ეღირსება კაცი ამას. და

ყველას როდი... (ადიუნქტის წიგნს ფურცლავს). „ქალი საზოგადოების სამსახურში“. ეს რა სისულელეა?

ბეტი. ღმერთო ჩემო! რას ამბობ, ჰილმარ? შენ, ალბათ, არც წავიკითხავს.

ჰილმარი. არა, არ წამიკითხავს და, მართალი გითხრა, არც ვაპირებ.

ბეტი. დღესაც ცუდად ხომ არა ხარ?

ჰილმარი. დიახ, ცუდადა ვარ.

ბეტი. როგორ გეძინა?

ჰილმარი. მტრისას. წუხელ ჩემმა ავადმყოფობამ შემაწუხა და გადაეწყვიტე, ფეხით გამეველო; მერე კლუბში შევეუხევე და ერთი პოლარული ექსპედიციის ამბავი წავიკითხე. თვალყურს რომ ადევნებ ადამიანის ბრძოლას სტიქიასთან, თითქოს შენც იკაეებ სხეულს და სულს!

რიორლუნნი. მაგრამ ამან ხომ შეიძლება გავნოთ, ბატონო ტენესენ.

ჰილმარი. და მერე როგორ!.. მთელი ღამე ძილღვიძილში გავატარე; ერთთავად საზარელი ლომეშაპი მელანდებოდა, რომელიც თითქოს დასაქერად მომდევდა.

ულაფი (ტერასაზე ამოდის). ლომეშაპი მოგდევდა, ძია ჰილმარ?

ჰილმარი. სიზმარში, ბრიყვო!.. შენ კი კვლავ ამ საცოდავ მშვილდს დაათრევე? ნამდვილი თოფი არ გინდა?

ულაფი. ეჰ, როგორ არ მინდა, მაგრამ...

ჰილმარი. აი, თოფი კი მესმის: სისხლი მაინც გიჩქროლავს, ჩახმახს რომ დააცემინებ...

ულაფი. თოფი რომ მომცა, დათვებზე ვინადირებდი! მაგრამ მამა არ მანებებს.

ბეტი. რას ასწავლი ბავშვს, ჰილმარ?

ჰილმარი. ჰმ... ჩვენც ვიტყვი, თაობა გვეზრდებო! ყველას დევგმირი ჰგონია თავი, — ღმერთო ჩემო! — მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგა, თამაშის მეტი არაფერი შეუძლიათ. აბა, თუ სადმე გინახავთ სერიოზული სწრაფვა იმისკენ, რომ სხეული გაიკაეონ და თამამად გაუსწორონ თვალი განსაცდელს?.. რას მებღაუჭები მაგ შენი მშვილდით, ლენჩო? რომ გაისროლოს?

ულაფი. როგორ, უისროდ?

ჰილმარი. რა იცი, ეშმაკს არ სძინავს. აქედან მოაშორე, მოაშორე-მეთქი! ამერიკაში მაინც რად არ გაისეირნებ? მამაშენის ერთ-ერთ ხომალდს მოახტი და!.. კამეჩებზე ნადირობას ან წითელკანიანებთან ბრძოლას მაინც ნახავ.

ბეტი. კი მაგრამ, პილმარ...

ულაფი. ნეტა მართლა შემეძლოს!.. ვინ იცის, იქნებ ძია იუჰანსა და დეიდა ლონასაც შეეხვედროდი...

პილმარი. კმ... გაუტია!

ბეტი. აბა, ბალში მოუსვი, ულაფ!

ულაფი. ქუჩაში არ შეიძლება?

ბეტი. შეიძლება, მაგრამ, იცოდე, შორს არ წახვიდე.

ულაფი ქუჩაში გაუარდება.

რიორლუნი. როგორ შეიძლება, ამნაირი აზრებით გამოუქედო თავი ბავშვს, ბატონო ტენესენ?..

პილმარი. რა თქმა უნდა, როგორ შეიძლება?! არა სჯობია, მთელი თავისი დღე და მოსწრება ბუხართან იჯდეს და ნაცარი ქექოს სხეებივით?

რიორლუნი. კი მაგრამ, თქვენ თვითონ რად არ გაისეირნებთ ამერიკაში?

პილმარი. მე? ეს ავადმყოფი კაცი? თუმცა ვის ადარდებს ჩემი ავადმყოფობა?.. ეგეც არ იყოს, ადამიანს გარკვეული მოვალეობანი აკისრია საზოგადოების მიმართ, სადაც ის ცხოვრობს... ვილაცას აქაც ხომ უნდა ეკიროს მალა იდეის დროშა?.. უჰ, ისევ აბლაველა!

ქალები. ვინ, ვინ?

პილმარი. რა მოგახსენოთ, ყველას ისეთი ბოხი ხმა აქვს... საშინლად მოქმედებს ნერვებზე.

ფრუ რუმელი. ეს, მგონი, ჩემი ქმარი უნდა იყოს, ბატონო ტენესენ. იცით რა? ერთთავად ხალხმრავალ სხდომებზე და ყრილობებზე უწევს გამოსვლა და...

რიორლუნი. მე მგონია, არც სხვები ჩამორჩებიან.

პილმარი. ოო, რა თქმა უნდა, საქმე რომ ჭიბზე მიდგება... ჩვენ ხომ ყველაზე მალა მერკანტილურ ინტერესებს ვაყენებთ, უჰ!

ბეტი. ყოველ შემთხვევაში, ეს უკეთესია, ვიდრე უწინ, როცა ყველაზე მეტად განცხრომა და დროსტარება ფასობდა ჩვენს თვალში.

ფრუ ლიუნგე. ნუთუ უწინ აქ მართლა ასეთი საშინელება იყო?

ფრუ რუმელი. დიახ, დიახ, დამერწმუნეთ, ფრუ ლიუნგე. ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ მაშინ აქ არ იყავით.

ფრუ ჰოლტი. დიახ, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჩემს ქალიშვილობას რომ ვიხსენებ...

ფრუ რუმელი. მართლაცდა. რა იყო ამ თოთხმეტი-თხუთმეტი წლის წინათ! ღმერთო შემიწყალე. რას ჰგავდა ჩვენი ყოფა? მაშინ ჯერ კიდევ მოლაში იყო ცეკვის წრე... მუსიკისაც...

მარტა. და ღრამატულიც. ძალიან კარგად მახსოვს.

ფრუ რუმელი. დიახ. სწორედ იქ დგამდნენ თქვენს პიესას, ბატონო ტენესენ!

ჰილმარი (სტენის სიღრმეში განმარტოვება). აჰ, გახსენებდა არ ღირს. რიორლუნი. სტუდენტ ტენესენის პიესას?

ფრუ რუმელი. ეს თქვენამდე დიდი ხნით ადრე იყო, ბატონო ალიუნქტო: თუმცა, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ერთხელ წარმოადგინეს.

ფრუ ლიუნგე (ფრუ რუმელს). ამ პიესაში ხომ არ თამაშობდით საყვარლის როლს, ფრუ რუმელ? თუ გახსოვთ, ერთხელ მიამბეთ.

ფრუ რუმელი (აღმაყრად გახედავს ალიუნქტს). მე?.. არა, ღმერთმანი, არ მახსოვს, ფრუ ლიუნგე. მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რა მხიარულად, უზრუნველად და ხელგაშლილად ცხოვრობდა ხალხი.

ფრუ ჰოლტი. რამდენიმე ოჯახი ვიცი, რომელიც ყოველ კვირა ორ-ორ წვეულებას მართავდა.

ფრუ ლიუნგე. გამიგონია, საგასტროლოდ ჩამოსული დასიც მართავდა წარმოდგენებსო.

ფრუ რუმელი. აჰ, ყველაზე უარესი სწორედ ეგ იყო.

ფრუ ჰოლტი (შეცბუნებული). ჰმ... ჰმ...

ფრუ რუმელი. დასი? რა დასი? არა, არაფერი არ მახსოვს.

ფრუ ლიუნგე. როგორ?.. ამბობენ ეს ვაებატონები, ღმერთმა იცის, რალას არ სჩადიოდნენო!.. კი მაგრამ, მაინც რას?..

ფრუ რუმელი. არაფერს, სრულიად არაფერს, ფრუ ლიუნგე.

ფრუ ჰოლტი. დინა, ჩემო კარგო, თუ შეიძლება, ის თეთრეული მომაწოდე.

ბეტი (იშავდრკოულად). დინა, წადი, კატრინს უთხარი, ყავა შემოიტანოს.

მარტა. ერთად წავიდეთ, დინა.

დინა და მარტა მარცხენა კარში გადიან.

ბეტი (ღვება). მომტყვეთ, mesdames, სულ ერთი წუთით. მე გგონია, აჯობებს, ყავა ტერასაზე მოგართვათ. (ტერასაზე გადის და სუფრის გაშლას იწყებს).

ადიუნქტი ჩიორღენი კარში ღვას და ბეტის ელაპარაკება. პილპარ ტენესენი ტერასაზე ზის და სივარას ეწევა.

ფრუ რუმელი (ჩურჩულით). ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინეთ, ფრუ ლიუნგე!..

ფრუ ლიუნგე. მე?

ფრუ ჰოლტი. კი მაგრამ, თქვენ თვითონ არ დაიწყეთ, ფრუ რუმელ?

ფრუ რუმელი. მე? რას ბრძანებთ, ფრუ ჰოლტ? კრინტიც არ დამიძრავს.

ფრუ ლიუნგე. მაინც რა მოხდა?

ფრუ რუმელი. ეს რა ქენით. რა ჩამოსული დასი აგიტყდათ? ღმერთო ჩემო, ნუთუ ვერ შენიშნეთ, რომ დინა აქ იყო?

ფრუ ლიუნგე. დინა? კი მაგრამ, რა შუაშია დინა?..

ფრუ ჰოლტი. თანაც, აქ, ამ სახლში! ნუთუ არ იცით, რომ ფრუ ბერნიკის ძმა...

ფრუ ლიუნგე. რაო?.. ღმერთმანი, არაფერი არ ვიცი. რა დიდი ხანია მე აქა ვარ?

ფრუ რუმელი. კი მაგრამ, არ გაგივიათ?.. ჰმ... (თვის ქალიშვილს მიუბრუნდება). კარგი იქნებოდა, ბაღში გაგველო, პილდა.

ფრუ ჰოლტი. შენც. ნეტა. და, თუ შეიძლება, ალერსს ნუ მოაკლებ საბრალო დინას, როცა დაბრუნდება.

პილდა და ნეტა ბაღში ჩალიან.

ფრუ ლიუნგე. აბა, რა შეემთხვა ფრუ ბერნიკის ძმას?

ფრუ რუმელი. მაშ, არ იცით? ბინძურ საქმეში გაება!

ფრუ ლიუნგე. ვინ? სტუდენტი ტენესენი?..

ფრუ რუმელი. არა, არა, ფრუ ლიუნგე. ეს ტენესენი ფრუ ბერნიკის ბიძაშვილია, მე კი მის ძმაზე მოგახსენებთ...

ფრუ ლიუნგე. დამთხვეულ ტენესენზე...

ფრუ რუმელი. ამ ტენესენს იუჰანი ერქვა... ამერიკაში გაიქცა.

ფრუ ჰოლტი. იძულებული გახდა, გაქცეულიყო...

ფრუ ლიუნგე. მაშ, ის გაება ბინძურ საქმეში?

ფრუ რუმელი. დიახ, დიახ, რალაც ისეთი... როგორ გითხრათ?.. რალაც ისეთი შეემთხვა... დინას დედასთან... ოო, ყველაფერი დღევანდელი დღესავით მახსოვს. იუჰან ტენესენი მაშინ ბებრუხუნა ბერნიკის კანტორაში მსახურობდა, კარსტენ ბერნიკი კი ის იყო დაბრუნდა პარიზიდან და ჯერ კიდევ არ გამოეცხადებინათ ბეტის საქმროდ...

ფრუ ლიუნგე. კი მაგრამ, ბინძური საქმე?

- ფრუ რუმელი. იცით, რა?.. იმ ზამთარს ქალაქში მეღერის დასი მართავდა წარმოდგენებს...
- ფრუ ჰოლტი. ამ დასში იყო მსახიობი დორფი თავის ცოლითურთ. მთელი ჩვენი ყმაწვილკაცობა კეჟას კარგავდა იმ ქალის გულისთვის.
- ფრუ რუმელი. არ ვიცი, ისეთი რა ნახეს მასში!.. და, აი, ერთ საღამოს, ეს მსახიობი დორფი შინ დაბრუნდა...
- ფრუ ჰოლტი. სრულიად მოულოდნელად...
- ფრუ რუმელი. და რას ხედავს?.. არა, ამის მოყოლა არ შეიძლება.
- ფრუ ჰოლტი. არა, ფრუ რუმელ, რა უნდა დაენახა? კარი შიგნიდან ჩაკეტილი იყო!
- ფრუ რუმელი. აბა, მე რას ვამბობ? — ხედავს, რომ კარი ჩაკეტილია. იქ კი, ოთახში... წარმოგიდგენიათ?.. ვილაცამ ფანჯრიდან ისკუპა.
- ფრუ ჰოლტი. მეზონინიდან!
- ფრუ ლიუნგე. და ეს ვილაცა — ფრუ ბერნიკის ძმა იყო?
- ფრუ რუმელი. დიახ.
- ფრუ ლიუნგე. მერე კი ამერიკაში გაიქცა?
- ფრუ ჰოლტი. იძულებული შეიქნა, გაქცეულიყო!
- ფრუ რუმელი. იმიტომ, რომ მერე თითქმის ამაზე უარესი რაღაც გამოემკლავნდა. წარმოგიდგენიათ? სალარო გაუძარცვავს...
- ფრუ ჰოლტი. არა, ეს დანამდვილებით არავინ იცის, ფრუ რუმელ! იქნება მხოლოდ ჰორია?
- ფრუ რუმელი. როგორ გეკადრებათ, რა ჰორი? მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა! ჩვენი ბებრუხუნა კინალამ გაკოტრდა ამის გამო! ჩემმა ქმარმა მითხრა. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, რომ ამაზე ვინმესთან სიტყვა წამომცდეს!
- ფრუ ჰოლტი. ყოველ შემთხვევაში, ეს ფული მაღამ დორფს არ მიუღია, იმიტომ, რომ ის...
- ფრუ ლიუნგე. ჰო, მართლა... მერე როგორღა მორიგდნენ ერთმანეთში... დინას მშობლები?
- ფრუ რუმელი. რა მორიგდნენ?.. კაცი წავიდა და ცოლ-შვილი ღვთის ანაბარა დასტოვა; ამ ქალბატონს კი იმდენი თავხედობა ეყო, რომ მთელი ერთი წელიწადი კიდეც დარჩენილიყო აქ. რა თქმა უნდა, სცენაზე გამოსვლას ველარ ბედავდა, რეცხვითა და კერვით ირჩენდა თავს.
- ფრუ ჰოლტი. მერე საცეკვაო სკოლის გახსნა სცადა.
- ფრუ რუმელი. რასაკვირველია, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ვინ, რომელი მშობელი ანდობდა თავის შვილებს ამნაირ ქალს?

ისე კი, დიდხანს აღარ უცოცხლია. როგორც ჩანს, მუშაობას შეუჩევვეელი იყო. დაქლექდა და მოკვდა.

ფრუ ლიუნგე. ფუ, მართლაც ბინძური საქმეა!

ფრუ რუმელი. დიახ, წარმოგიდგენიათ, ბერნიკების მდგომარეობა? ესაა შავი ლაქა მათი ბედნიერების შზეზეო, ასე თქვა ერთხელ ჩემმა ქმარმა. ამიტომ, ძვირფასო ფრუ ლიუნგე, მათ სახლში ერთი სიტყვითაც ნუ ახსენებთ ამ ამბავს.

ფრუ ჰოლტი. და, თუ ღმერთი გწამთ, ნურც ფრუ ბერნიკის ნახევარდას!

ფრუ ლიუნგე. მაშ, ფრუ ბერნიკს ნახევარდაცა ჰყავს?

ფრუ რუმელი. ჰყავდა... საბედნიეროდ. მაგრამ, მე მგონია, მათი დობა და ნათესაობა დამთავრდა. ოო, რა იყო?! წარმოგიდგენიათ? თმა შეიქრა, წვიმიან ამინდში კი კაცის ფეხსაცმელებით დააბოტებდა.

ფრუ ჰოლტი. ხოლო როდესაც მისი დამთხვეული ნახევარძმა ამერიკაში გაიქცა და მთელი ქალაქი, რასაკვირველია, საშინლად აღშფოთებული იყო, — როგორ გგონიათ, რა ქნა? ადგა და თან გაჰყვა გაქცეულს!

ფრუ რუმელი. თანაც, რა აყალ-მაყალი ატეხა გამგზავრების წინ, ფრუ ჰოლტი?

ფრუ ჰოლტი. სსუ!.. ჩუმაღ!

ფრუ ლიუნგე. ღმერთო ჩემო, ნუთუ იმანაც?..

ფრუ რუმელი. დიახ. აბა, ყური მიგდეთ, ფრუ ლიუნგე! ბერნიკი ის იყო დაინიშნა ბეტი ტენესენზე და ორივენი ერთად ეახლნენ ბეტის დეიდას, რომ თავიანთი ნიშნობის ამბავი ეცნობებინათ...

ფრუ ჰოლტი. უნდა მოგახსენოთ, რომ ბეტი და მისი ძმა ბავშვობაშივე დაობლდნენ...

ფრუ რუმელი. ჰოდა, უცებ ეს ღონა ჰესელი სკამიდან წამოდგა და — ტკაც! ისეთი სილა გააწნა ამ ჩვენს კოხტად გამოწყეპილ, განსწავლულსა და განათლებულ ბერნიკს, რომ შენი მოწონებული!

ფრუ ლიუნგე. ვაი სირცხვილო!

ფრუ ჰოლტი. სრული სიმართლეა.

ფრუ რუმელი. მერე კი ჩემოდანი ჩაალაგა და ამერიკაში წავიდა.

ფრუ ლიუნგე. ალბათ, თვითონვე ექირა თვალი ბერნიკზე!

ფრუ რუმელი. ალბათ!.. მაგრამ რა ეგონა იმ სულელს, პარიზიდან რომ დაბრუნდება, ცოლად შემირთავსო?

- ფრუ ჰოლტი. ხედავთ. თურმე რისი იძელი კეოხდა? ბერნიკი, ახალგაზრდა. განათლებული კაცი, ნამდვილი კავალერი, ქალების უურადლებით განებივრებული...
- ფრუ რუმელი. და. თანაც რა ზრდილი. პატოსანი, თავაზიანი, ფრუ ჰოლტი!
- ფრუ ლიუნგე. კი მაგრამ, მერე რა ბედი ეწია ამ ფრიოკენ ჰესელს ამერიკაში?
- ფრუ რუმელი. ოო. აქ უკვე ფარდა ეშვება. და, როგორც ერთხელ ჩემმა ქმარმა თქვა, ნამდვილად არა ღირს მისი აწევა.
- ფრუ ლიუნგე. ესე იგი?..
- ფრუ რუმელი. ბერნიკებმა, რასაკვირველია. ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს მასთან, მაგრამ მთელმა ქალაქმა იცის, რომ ტრაქტირებში მღეროდა თურმე და ამით ირჩენდა თავს...
- ფრუ ჰოლტი. თან, როგორც ამბობენ, საჯარო ლექციებსაც კითხულობდა...
- ფრუ რუმელი. და რაღაც უცნაური წიგნიც გამოუყია.
- ფრუ ლიუნგე. რას მეუბნებით?
- ფრუ რუმელი. დიახ, როგორც ჩანს, ღონა ჰესელიც ერთი შავი ლაქაა ბერნიკების მზიური ბედნიერების ფონზე. ახლა კი ყველაფერი იცით, ფრუ ლიუნგე! ღმერთმანი, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ მინდა, რომ ამიერიდან უფრო ფრთხილად იყოთ!
- ფრუ ლიუნგე. დარდი ნუ გაქვთ. მაგრამ საბრალო დინა დორფი. როგორ მეცოდება!
- ფრუ რუმელი. მე კი, პირიქით, მგონია, რომ ბედმა გაუღიმა. აბა, რა გამოვიდოდა, იმნაირი მშობლების ხელში რომ დარჩენილიყო? რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გარკვეული წვლილი მიგვიძღვის მის აღზრდაში. მერე კი მარტა ბერნიკმა დაიეინა, რომ მათთან ეცხოვრა.
- ფრუ ჰოლტი. მაგრამ ყოველთვის ძნელი აღსაზრდელი კი იყო. თუმცა, ვერც გაამტყუნებ, იმდენი ცუდი რამ უნახავს, რომ... აბა, ჩვენს შვილებს კი არა ჰგავს... ყოველი ფეხის ნაბიჯზე ფრთხილად უნდა იყო, სულ უნდა ეფერო და ელოლიავო, ფრუ ლიუნგე.
- ფრუ რუმელი. სსუ!.. მოდის (ხამალა). მართლა კარგი გოგო გვყავს... აა, მოხვედი, დინა? ჩვენ კი თეთრეულს ვალაგებთ.
- ფრუ ჰოლტი. რა მშვენიერი ყავაა. დინა! ერთი ფინჯანი ასეთი ყავა...
- ბეტი (ტერასიდან). აქეთ მობრძანდით!

მარტა და დინა მოსამსახურეს ესმარებიან. ქალები ტერასაზე სხდებიან და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან. ვინ უფრო მიუფერება და მიუაღწერს და დინას, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში შემოდის და თავის ზელსაქმეს ეძებს.

ბეტი (ტერასიდან). შენ კი არ გინდა. დინა?

დინა. არა. გმადლობთ, არ მინდა. (ზელსაქმეს ჩაუყვება).

რიორლუნი (ისეთი სახე აქვს, თითქოს მაგიდიდან რაღაცის აღებას აპირებს; ხმადაბლა). დინა!

დინა. რა გნებაეთ?

რიორლუნი. რატომ არ გინდათ მათთან?

დინა. შემოვედი თუ არა. ახლად ჩამოსულ ქალბატონს სახეზე შევატყუე. რომ ჩემზე ლაპარაკობდნენ.

რიორლუნი. ისიც თუ შენიშნეთ. რა ალერსიანი იყო თქვენს მიმართ?

დინა. ვერ ვიტან ამ ალერსს.

რიორლუნი. ისე კი. დიდი უჯიათი ვინმე ხართ.

დინა. დიახ.

რიორლუნი. კი მაგრამ, რატომ?

დინა. რა ექნა, რაცა ვარ. ესა ვარ.

რიორლუნი. არ გინდათ, ცოტათი მაინც შეიცვალოთ?

დინა. არა.

რიორლუნი. რატომ?

დინა (ახელავს). მე ხომ ზნეობრივად დაცემულთა რიცხვს ვეკუთვნი.

რიორლუნი. ასე არ ვარგა. დინა.

დინა. დედაჩემიც ზნედაცემული იყო.

რიორლუნი. ვინ გითხრათ ეს?

დინა. არაეინ. მე არასოდეს არაფერს არ მეუბნებიან. რატომ? ისე მიფრთხილდებიან, თითქოს სათამაშო ვიყო და შიშობენ, ხელში არ შემოგვატყდესო... ო. როგორ მეზიზღება ეს მოჩვენებითი გულკეთილობა...

რიორლუნი. ვიცი, რომ აქ ძალიან გიმძიმთ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ...

დინა. აჰ, ნეტა აქედან დამალწვევინა თავი! მე თვითონ გავიკვლევდი გზას, ასეთი... ასეთი...

რიორლუნი. რა ასეთი?..

დინა. ...ასეთი წესიერი და მაღალზნეობრივი ხალხი რომ არ მეხვიოს გარს.

რიორლუნი. თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ. დინა?

დინა. ვითომ არ იცით, რომ სავსებით სერიოზულად, ჩემთან ყოველდღე მოჰყავთ ჰილდა და ნეტა, რომ მათ მივბაძო, მათგან ავიღო მაგალითი. მაგრამ მე ვერასოდეს ვერ გავხდები მათნაირი. მართალი გითხრათ, არც მინდა. ნეტავი აქედან დამალწევინა თავი და მერე მე ვიცი, როგორც ვიყოჩალებდი.

რიორლუნეი. თქვენ ისედაც ყოჩალი ხართ, დინა.

დინა. თქვენ რომ არა, ერთ დღესაც არ გავჩერდებოდი აქ.

რიორლუნეი. მითხარით, დინა, მაინც რატომ გსიამოვნებთ ჩემთან ყოფნა?

დინა. იმიტომ, რომ ბევრ მშვენიერ რამეს მასწავლით.

რიორლუნეი. მშვენიერს?.. მაშ თქვენ მშვენიერს უწოდებთ იმას, რასაც მე გასწავლით?

დინა. დიახ. ან, უფრო სწორად, თქვენ ამას როდი მასწავლით, მაგრამ როდესაც გისმენთ, ვინ მოსთვლის, რამდენი მშვენიერი რამ შემლება თვალწინ.

რიორლუნეი. თქვენის აზრით, მაინც რა არის მშვენიერი?

დინა. აი, ამაზე კი არასოდეს არ მიფიქრია.

რიორლუნეი. მაშ, ახლა იფიქრეთ! აბა, რა არის მშვენიერი?

დინა. მშვენიერი — ეს არის რაღაც დიადი... და ძალზე შორეული.

რიორლუნეი. ჰმ... მე ისე ძალიან მაინტერესებს თქვენი ბედი, ჩემო ძვირფასო.

დინა. მხოლოდ ეს?

რიორლუნეი. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რა უსაზღვროდ ძვირფასიც ხართ ჩემთვის...

დინა. ჩემს ადგილას რომ ჰილდა ან ნეტა. იყოს, მაშინ ხომ აღარ შეგეშინდებოდათ, რომ სხვებსაც შეენიშნათ ეს?

რიორლუნეი. აჰ, დინა, თქვენ იმდენი რამ არ იცით... როდესაც კაცი საზოგადოების ზნეობრივ საფუძველთა დარაჯადა დაყენებული, საზოგადოებისა, რომელშიაც ის ცხოვრობს... განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ვინ იცის, სწორად გაიგებენ თუ არა ჩემს განზრახვას... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას?.. თქვენ დახმარება გკირდებათ და, რაღაც უნდა დამიჭდეს, უნდა დაგეხმაროთ, დინა. თანახმა ხართ თუ არა... როცა მე მოვალ... როცა გარემოებანი საშუალებას მომცემენ, მოვიდე და გითხრათ: აი, ჩემი ხელი-მეთქი... დიახ, თუ დამთანხმდებით და გამოძევებით ცოლად? სიტყვას მაძლევთ თუ არა, დინა?

დინა. დიახ.

რიორლუნეი. გმადლობთ, გმადლობთ! მეც ხომ... ო, დინა, რა ძვირფასი ხართ ჩემთვის... სსუ!.. ვილაყა მოდის... თუ ჩემი ხათრი გაქვთ, ქალებთან გალით, დინა.

დინა ტერასაზე გადის. კაბინეტიდან გამოდიან რუმელი, სანსტადი, ვიგელანი და, ბოლოს, ბერნიკი, რომელსაც ხელში ქალაღმდების გროვა უჭირავს. ბერნიკი. მაშ, შევთანხმდით?

ვიგელანი. დიახ, ღვთის მადლით.

რუმელი. შევთანხმდით, ბერნიკ! ხომ იცი, რაღა ნორვეგიელის სიტყვა და რაღა დოვრეს კლდე!

ბერნიკი. ესე იგი, არავინ გვიღალატებს, არავინ დაიხევს უკან, ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად?

რუმელი. ჩვენ შენთან ვართ. კირშიც და ლხინშიც!

პილმარი. კირშიც?.. ნება მიბოძეთ, ვიკითხო, მაგ თქვენმა რკინიგზამ ხომ არ მოგვკამა კირი?

ბერნიკი. პირიქით, საქმე ადგილიდან დაიძრა და აწი, იცოცხლე...

რუმელი. ...სულ ხრიგინ-ხრიგინით წავა, ბატონო ტენესენ!

პილმარი (უახლოვდება). მართლა?

რიორლუნი. როგორ?..

ბეტი (ტერასის კართან). რა გადაწყვიტეთ, ძვირფასო კარსტენ?

ბერნიკი. აჰ, ეს შენთვის ნაკლებად საინტერესოა, ჩემო ძვირფასო. (მასთან ერთად გამოსულ სამ კომერსანტს). ახლა კი ხელმოწერის ფურცლები უნდა დავგზავნოთ: რაც მალე მოვრჩებით, მით უკეთესი. ჩვენ ოთხნი, რა თქმა უნდა, პირველები მოვაწერთ ხელს. ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა გვავალდებულებს, ძალ-ღონე არ დავიშუროთ.

სანსტადი. რა თქმა უნდა, ბატონო კონსულო.

რუმელი. პირობა დავდეთ და საქმეც მოგვარდება.

ბერნიკი. არა, შედეგი როდი მაშინებს. მთავარი ისაა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა განუხრელად გაატაროს ეს გეგმა თავის წრეში. ხოლო როდესაც ჩვენი საქმე საზოგადოების ყველა ფენის მხარდაჭერას კპოვებს, რაღა თქმა უნდა, მასში მონაწილეობას მიიღებს საქალაქო კომუნაც.

ბეტი. რა იქნება, კარსტენ, ჩვენც გავგავებინო? მოდი და გვითხარი, რა?

ბერნიკი. აბა, ეს რა ქალების საქმეა, ჩემო ძვირფასო?

პილმარი. მაშასადამე. შენ მაინც გადაწყვიტე, ხელი მოკიდო რკინიგზას?

ბერნიკი. რა თქმა უნდა.

რიორლუნი. კი მაგრამ. შარშან, ბატონო კონსულო...

ბერნიკი. შარშან სხვა საქმე იყო. მაშინ საქმე ეხებოდა ზღვისპირა ხაზს...

ვიგელანი. რაც სრულიად ზედმეტია. ბატონო ადიუნქტო. გემები ხომ გვაქვს...

სანსტადი. ევეც არ იყოს. საშინლად ძვირი დაგვიჯდებოდა...

რუმელი. და მკვეთრად დაუპირისპირდებოდა ქალაქის სასიცოცხლო ინტერესებს...

ბერნიკი. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ვერავითარ საარგებლობას ვერ მოუტანდა მოსახლეობის ფართო ფენებს. აი, რატომ გავილაშქრე მის წინააღმდეგ და. ბოლოს, მიღებულ იქნა შიდა ხაზის პროექტი.

ჰილმარი. კი მაგრამ. ეს ხაზი რომ გვერდს აუვლის მეზობელ ქალაქებს?

ბერნიკი. სამაგიეროდ. ჩვენსას დაუახლოვდება, ჩემო ძვირფასო, ვინაიდან მთავარი ხაზიდან ტოტს გამოვიყვანთ.

ჰილმარი. აჰა. როგორც ჩანს, ეს ახალი წამოწყებაა.

რუმელი. და მერე, როგორი წამოწყება, ა?

რიორლუნი. კმ!..

ვიგელანი. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თითქოს თვით განგებამ შექმნა ეს ადგილი ამ ტოტის გამოსაყვანად.

რიორლუნი. თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ, ბატონო ვიგელან?

ბერნიკი. დიახ. უნდა ვაღიარო, რომ მეც თითქოს ბედისწერის ხელს ვხედავ. აბა, ამ გაზაფხულს. ჩემი საქმეების მოსაგვარებლად წასული. რამ მიმიყვანა იმ ხეობაში, სადაც უწინ არასოდეს ვყოფილვარ? იქ კი ანაზღვეულად გამიელვა თავში: აი, სად იქნება ხელსაყრელი რკინიგზის ტოტის გაყვანა-მეთქი. მერე ინჟინერი გამოვეზაუნე გამოსაკვლევად, და, აი, ახლა უკვე ხელთა მაქვს პირველადი გეგმაც და ხარჯთაღრიცხვაც. ყველაფერი რიგზეა.

ბეტი (სხვა ქალებთან ერთად კვლავ ტერასაზე ღვას). კი მაგრამ, აქამდე რატომ გვიმაღავედი ამას, ჩემო ძვირფასო?

ბერნიკი. თქვენ ხომ მაინც ვერ გაიგებდით საქმის არსს, ძვირფასო ბეტი! თუმცა. კაცმა რომ თქვას. ღღევანდელ ღღემდე სიტყვა არავერსთან დამიძრავს. მაგრამ ახლა კი დადგა გადამწყვეტი წამი; დროა აშკარად და ენერგიულად ვიმოქმედოთ. მთელი ჩემი ავლადილების სასწორზე დადებაც რომ მომიხდეს, ამ საქმეს მაინც ბოლომდე მივყვები.

რიორლუნი. მართლა ასეთ დიდ იმედებს ამყარებთ ამ საქმეზე, ბატონებო?

ბერნიკი. რა თქმა უნდა. მერედა, როგორ შეუწყობს ხელს მთელი ჩვენი საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას! აბა,

წარმოიდგინეთ, რა უზარმაზარი ტყეები გახდება ხელმისაწვდომი, რამდენი მადნეული, რამდენი სასარგებლო წიაღისეული! ახლა მთის მდინარეებსა და მათ ურიცხვ ჩანჩქერებს აღარ იკითხავთ? რა ფართო ასპარეზი იშლება ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობისთვის!

რიორლუნეი. და სულაც არ გაშინებთ, ის, რომ გაცხოველებული ურთიერთობა ზნეობრივად დაცემულ გარე სამყაროსთან...

ბერნიკი. გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, ბატონო ადიუნქტო. ეს ჩვენი პატარა, შრომისმოყვარე ქალაქი ახლა უკვე, მაღლობა ღმერთს, მყარ ზნეობრივ საფუძველზე დგას. ჩვენ ყველამ შეეიტანეთ ჩვენ-ჩვენი წვლილი, რომ გაგვექანსაღებინა ატმოსფერო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაგვეპოხიერებინა ნიადაგი. შემდგომშიაც კვლავ ამ გზით ვივლით. თქვენ, ბატონო ადიუნქტო, განაგრძეთ თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა სკოლასა თუ ოჯახში; ჩვენ, საქმის ხალხი, ჩვენებურად განვამტკიცებთ საზოგადოებას, შეძლებისდაგვარად, ვეცდებით, ხელი შევეუწყოთ მოსახლეობის ფართო ფენების კეთილდღეობის განუხრელ ზრდას; ჩვენი ქალები კი — თუ შეიძლება, ახლოს მოიწიეთ, ქალბატონებო, თქვენს საყურადღებოდ ვამბობ ამას, — დიახ, ჩვენი ქალები, ჩვენი ცოლები და ქალიშვილები, დაე, თავიანთი ქველმოქმედებით კვლავინდებურად ემსახურონ საზოგადოებას, კვლავინდებურად იყვნენ მოყვასთა თვისთა ერთგული მწენი და მეოხნი, როგორც ჩემი ძვირფასი ბეტი და მარტა არიან ჩემთვის და ულაფისთვის. (აქეთ-იქით იხედება). ჰო, მართლა, სად არის ულაფი?

ბეტი. ხომ იცი, არღაღეგები აქვს; რა ვქნა, სახლში ვეღარ ვაკავებ.

ბერნიკი. ისევ ნაესადღურში იქნება! აი, ნახავ, არ მოისვენებს, სანამ რაიმე უბედურებას არ აუტეხს თავის თავს.

პილმარი. ოოჰ!.. რა უკირს, ცოტა წაეთამამოს სტიქიას...

ფრუ რუმელი. რა გულისხმიერი კაცი ბრძანდებით, ბატონო ბერნიკ, როგორ გიყვართ და უფრთხილდებით ოჯახს!

ბერნიკი. დიახ, ოჯახი საზოგადოების ბირთვია. კარგი ოჯახი — ესაა ერთგული და სანდო მეგობრების მკიდროდ შეკრული წრე, რომელშიაც ვერ შეაღწევენ ვერავითარი მავნე ელემენტები...

მარჯნიდან შემოდის საქმეთა მმართველი კრაპი; თან წერილები და გაზეთები მოაქვს.

კრაპი. საზღვარგარეთული ფოსტაა, ბატონო კონსულო; ესეც ტელეგრამა ნიუ-იორკიდან.

ბერნიკი (ტელეგრამას გამოართმევს). აა! „ინდიანას“ მფლობელებისგან.

რუმელი. მაშ, ფოსტა მოვიდა? ახლა კი უნდა დაგტოვოთ.

ვიგელანი. მეც.

სანსტადი. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. ნახვამდის, ბატონებო. არ დაგავიწყდეთ, დღეს, ხუთ საათზე, სხდომაა.

რუმელი, ვიგელანი, სანსტადი (ერთხმად). დიახ, დიახ, ყველანი მოვალთ. (ხელმარჯვნივ გადიან).

ბერნიკი (ტელეგრამას კითხულობს). არა, ეს კი პირწმინდად ამერიკულია! დალახვროს ეშმაკმა!

ბეტი. ღმერთო ჩემო, რა მოხდა, კარსტენ?

ბერნიკი. აი, თქვენ თვითონ წაიკითხეთ, ბატონო კრაპ.

კრაპი (კითხულობს). „რემონტს ნუ გააქიანურებთ; “ინდიანა სასწრაფოდ ჩაუშვით წყალში; ხელსაყრელ დროს ნუ დავკარგავთ; სხვას თუ არა, ტვირთს მაინც წამოიღებს ... მდა-ა, ცუდადაა საქმე!

ბერნიკი. ტვირთს წამოიღებსო?! ვითომ არ იციან ვაეხატონებმა! ღმერთმა ნუ ქნას და, რამე რომ მოხდეს, ამნაირი ტვირთით გემს უეჭველი დაღუპვა ელის.

რიორლუნი. ესეც თქვენი ნაქები „ცხოვრების ამერიკული წესი“.

ბერნიკი. მართალს ბრძანებთ; რა ენაღვლებათ ადამიანის სიცოცხლე, როცა საქმეში მოგებაა გარეული. (კრაპს). თუ შეიძლება, ოთხ დღეში ჩაეშვებათ „ინდიანა“?

კრაპი. დიახ, თუ ბატონი ვიგელანი დათანხმდება, რომ „პალმაზე“ ჭერჭერობით შევაჩეროთ სამუშაოები.

ბერნიკი. კმ, მეტი არაა ჩემი მტერი... ახლა კი, თუ შეიძლება, კორესპონდენციებს გადახედეთ... მოითმინეთ, ულაფი ხომ არ გინახავთ ნავსადგურში?

კრაპი. არა, ბატონო კონსულო. (კაბინეტში შედის).

ბერნიკი (ხელახლა დახედავს ტელეგრამას). ამ ვაეხატონებს ჩირადაც არ უღირთ, საფრთხეში ჩააგდონ თერამეტი ადამიანის სიცოცხლე.

პილმარი. რას იზამ, მეზღვაურის მოწოდება სტიქიასთან ბრძოლაა. როგორ უნდა გქონდეს დაქიმული ნერვები, როცა გრძნობ, რომ შენსა და უფსკრულს შორის მხოლოდ თხელი, სიფრიფანა ფიციარია...

ბერნიკი. აბა, დამისახელეთ თუნდაც ერთი ჩვენებური გემთმფლობელი, რომ ესოდენ უმსგავსი საქმე იკისროს. ვერა, ვერ დამისახელებთ. (თვალს მოჰკრავს ულაფს). მადლობა ღმერთს!..

ქუჩიდან ბაღში შემორბის ულაფი; ხელში ანკესი უჭირავს.

ულაფი (ბალიდანვე). ძია ჰილმარ, ქვევით ვიყავი და გემი ენახე!
ბერნიკი. ისევ ნავსადგურში იყავი?

ულაფი. არა, მხოლოდ ნავით გავისიერე... მთელი ცირკი ჩამოვიდა,
ძია, ცხენებიცა ჰყავთ, მხეცებიც! თან, რამდენი მგზავრი
ჩამოჰყვა!

ფრუ. რუმელი. ძლივს არ ველირსეთ ცირკს?

რიორლუნი. თქვენ — შეიძლება! მაგრამ მე...

ფრუ რუმელი. აჰ, რა თქმა უნდა, ჩვენ კი არა. არამედ...

დინა. მე, პირადად, ძალიან მაინტერესებს.

ულაფი. მეც.

ჰილმარი. აბა, საინტერესო რა არის, ბრიყვო! გაწვრთნილი
მხეცების მეტს ვერაფერს ნახავ. სულ სხვა საქმეა, როცა
გაუჩო პამპასებში მიაგვლევენ თავის გაფიცებულ მუსტანგს!..
თუმცა, ასე პატარა ქალაქში...

ულაფი (ხელს ჩასკიდებს მარტას). ხედავ, მამიდა? აგერ, ისინიც!

ფრუ ჰოლტი. მარტა ისინი არიან!

ფრუ რუმელი. ფუ. რას ჰგვანან!

ქუჩაში ჭკროდ მოაბიჯებენ მგზავრები და მოქალაქენი.

ფრუ რუმელი. ნამდვილი ჯამბაზები არიან. ერთი იმ ნაცრისფერ-
კაბიანს შეხედეთ, ფრუ ჰოლტ, ზურგზე საკვოიიჯი მოუგდია.

ფრუ ჰოლტი. ჰო-ჰო-ჰო! ქოლგის ტარზე წამოშუკვამს ქალბატონს!
აღბათ, ცირკის დირექტორის ცოლია!

ფრუ რუმელი. აგერ კიდევ, თვით დირექტორი!.. აი, ის,
წვეროსანი. ნამდვილ ყაჩაღს არა ჰგავს?! ნუ უყურებ, ჰილდა!

ფრუ ჰოლტი. ნურც შენ, ნეტა!

ულაფი. დედა, დირექტორი გვესალმება.

ბერნიკი. რაო?

ბეტი. რას ამბობ, ულაფ?

ფრუ რუმელი. ღმერთმანი, ის ქალიც თავს გვიკრავს!

ბერნიკი. ეს უკვე!..

მარტა (უნებურად წამოიკივლებს). ა!

ბეტი. რა იყო, მარტა?

მარტა. არაფერი, რაღაცა მომეჩვენა...

ულაფი (სიზარულისაგან აღარ იცის, რა ქნას). უყურეთ, უყურეთ, აგერ
დანარჩენებიც! ცხენები და მხეცებიც მოჰყავთ! აგერ კიდევ
ამერიკელები! ყველანი „ინდიანას“ მეზღვაურები არიან!

ისმის „Iankée Doodle“ კლარნეტისა და ბარაბანის თანხლებით.

ჰილმარი (ყურებს იცობს). უჰ, უჰ, უჰ!

რიორლუნი. მე მგონია აქაურობას უნდა გავეცალოთ, ქალბატონებო! ეს საჩვენო საქმე არ არის! ისევ ჩვენს სამუშაოს მივხედოთ!

ბეტი. ფარდები ხომ არ ჩამოვაფარო?

რიორლუნი. დიახ, დიახ; მე თვითონ ვაპირებდი.

ქალები მაგიდას მიუსხდებიან. რიორლუნი ტერასის კარს ხურავს და ფანჯრებზედაც და მინის კარზედაც ფარდებს ჩამოაფარებს. დარბაზი ნახევრად ბნელდება.

ულაფი (ფარდას გადასწევს). დედა, დირექტორის ქალბატონი შადრევანთან პირს იბანს.

ბეტი. როგორ, პირდაპირ მოედანზე?

პილმარი. ეე, მე რომ უღაბნოში ვიყო და წყალსაცავს წავაწყდე, არც კი დავფიქრებოდი, ისე... ო, ეს საშინელი კლარნეტი!

რიორლუნი. ღმერთმანი, პოლიციას არავინ დასძრახავს, რომ ჩაერიოს.

ბერნიკი. არა, უცხოელების მიმართ მეტისმეტ სიმკაცრეს ვერ გამოვიჩინებ. ამ ხალხს არ გააჩნია წესიერების თანდაყოლილი გრძნობა, რაც ასერიგად ნიშნეულია ჩვენთვის. გაუშვით, იმაიმუნონ! ჩვენ რა? ეს თავაშვებულობა, რასაც საერთო არა აქვს რა კეთილზნობასთან, საბედნიეროდ, სრულიად უცხოა ჩვენი საზოგადოებისათვის... ეს ვინლაა?!

მარჯვენა კარიდან სწრაფი ნაბიჯით შემოდის უცნობი ქალი.

ქალები (შეშფოთებული ჩურჩულით). ამორძალი!.. დირექტორის ქალბატონი!..

ბეტი. ღმერთო ჩემო, რა ამბავია ჩვენს თავს?

მარტა (წამოხტება). აჰ!

ქალი. გამარჯობა, ძვირფასო ბეტი! გამარჯობა, მარტა! ჩემი სალამი, სიძე ბატონო!

ბეტი (შეაკივლებს). ლონა!

ბერნიკი (წაბარბაყდება). ლონა?!

ფრუ პოლტი. ღმერთო დიდებულო!

ფრუ რუმელი. ესეც თქვენი!..

პილმარი. აბა!.. უჰ!..

ბეტი. ლონა!.. ნუთუ მართლა შენა ხარ?

ლონა. მე ვარ, აბა ვინ?.. რაღას უყურებთ, მოდი, მომიკვიეთ!

პილმარი. უჰ! უჰ!

ბეტი. მაშ, ჩამოხვედი და...

ბერნიკი. ...გინდა საჯაროდ გამოხვიდე?..

ლონა. გამოვიდე?.. როგორ თუ გამოვიდე?..

ბერნიკი. მე მეგონა... ცირკში...

ლონა. პა-პა-პა! შენს ჭკუაზე ხარ. ჩემო ძვირფასო? მხედარი ხომ არა გგონივარ? არა, მართალია, რა არ მიცდია, რამდენი მიმასხრია და მიპამპულავებია...

ფრუ რუმელი. კმ!

ლონა. ...მაგრამ მხედარი კი არასოდეს ვყოფილვარ!

ბერნიკი. ესე იგი, არ აპირებ?...

ბეტი. მადლობა ღმერთს!

ლონა. არა, ჩვენ ჩამოვედით როგორც სხვა უბრალო და პატროსანი ადამიანები. მართალია, მეორე კლასით, მაგრამ ეს ჩვენთვის ახალი ხილი არ არის.

ბეტი. რაო „ჩვენთვისო“? რა მრავლობითში ლაპარაკობ?

ბერნიკი (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). ჰო, მართლა, რას ნიშნავს ეს?

ლონა. რასა და იმას, რომ ჩემს ბიჭთან ერთად ჩამოვედი.

ქალები (ერთხმად). ჩემს ბიჭთანაო?!

პილმარი. როგორ?

რიორლუნი. ერიპა!..

ბეტი. რას ამბობ, ლონა? ვისთან ერთად?

ლონა. ვისთან და ჯონთან, აბა, სხვა ბიჭი ვინ მომცა? ჯონთან, ანუ იუჰანთან, როგორც აქ ეძახდით.

ბეტი. იუჰანთან?!

ფრუ რუმელი (ჩუბად, ფრუ ლუნგეს). თავის დამთხვეულ ძმასთან!

ბერნიკი. მაშ, იუჰანიც შენთანაა?

ლონა. რა თქმა უნდა. აბა, იქ ხომ არ დავტოვებდი?... მაგრამ რა თავ-პირი ჩამოგტირით? ამ ბნელში დამსხდარხართ და რალაც თეთრეულს კერაეთ... ვინმე ახლობელი ხომ არ მოგიკვდათ?

რიორლუნი. თქვენ „ზნეობრივად დაცემულთა ხსნის წრეში“ იმყოფებით, ქალბატონო!

ლონა (ხმადაბლა). რას ამბობთ? ეს სათნო და კდემამოსილი ქალბატონები?..

ფრუ რუმელი. ოო, ეს კი მეტისმეტია!..

ლონა. აჰ, მესმის, მესმის!.. დალახვროს ეშმაკმა, ეს ხომ ფრუ რუმელია! ეს კიდევ — ფრუ პოლტი! დიახ. მას შემდეგ არ გავჭეველებულვართ... მაგრამ მომისმინეთ, მეგობრებო: დაე, ზნეობრივად დაცემულებმა ცოტა მოითმინონ; ამით ისინი უფრო უარესნი არ გახდებიან. ამ სიხარულის ეამს...

რიორლუნი. დაბრუნების ეამი ყოველთვის როდია სიხარულის ეამი.

ლონა. რა-აო! მაშ, თქვენ ასე განმარტავთ ბიბლიას, ბატონო პასტორო?

რიორლუნი. მე პასტორი არა ვარ.

ლონა. თუ არა ხართ, ალბათ, მალე გახდებით... მაგრამ — ფუ-ფუფუ! — რა შმორის სუნი ასდის ამ „ზნეობრივ“ თეთრეულს! გეგონებათ, სუდარააო! მე კი ისე მივეჩვიე პრერიების სუფთა და გრილ ჰაერს!

ბერნიკი (შუბლს იწმენდს). მართლაც. შეიძლება სული შეეხუთოს კაცს.

ლონა. ცოტაც მოითმინე და ახლავე გამოვალ ამ აკლდამიდან! (ფარდებს გადასწევს). მე მინდა ჩემი ბიჭი დღის სინათლეზე წარმოგიდგინოთ. აი, ნახავთ, რა ბიჭია, თვალს ველარ მოსწყვეტთ!

ჰილმარი. უჰ!

ლონა (კარ-ფანჯარას ალებს). მხოლოდ ცოტა აცალეთ, სასტუმროში მტკერი ჩამოიბერტყოს; გზაში ღორივით ამოისვარა.

ჰილმარი. უჰ! უჰ!

ლონა. „უჰ“? აა, ეს ხომ... (დანარჩენებს მიუბრუნდება და ჰილმარზე ანიშნებს). ეს ჭერ კიდევ აქ დაწანწალებს და ოხრავს?

ჰილმარი. მე კი არ დაეწანწალებ. არამედ ვმკურნალობ...

რიორლუნი. ჰმ! არა მგონია, ქალბატონო, რომ...

ლონა (თვალს მოკრავს ულაფს). ეს შენია, ბეტი? მომეცი თათი, ვაჟკაცო! შენი ბებრუხუნა, მათხოჯი დეიდის ხომ არ გეშინია?

რიორლუნი (ილღაში ამოიჩრის წიგნს). არა მგონია, ქალბატონებო, რომ ამნაირი განწყობილებით დღეს მუშაობის განგრძობა შეეძლოთ. მაგრამ ხვალ ხომ კვლავ შევიკრიბებით?

ლონა (ვიდრე ქალები დგებიან და მასპინძლებს ეშვიდობებიან). კეთილი, შევიკრიბოთ. აუცილებლად დაგესწრებით.

რიორლუნი. თქვენ?.. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ქალბატონო, მაინც რა უნდა აკეთოთ ჩვენს წრეში?

ლონა. გავანიავებ, ბატონო პასტორო!

მეორე მოქმედება

ბეტი მარტო უზის სამუშაო მაგიდას და კერავს. ცოტა ხნის შემდეგ, მარჯნიდან შემოდის ბერნიკი; თავზე ქული ახურავს, ხელთათმანიან ხელში კოტროსტი უჭირავს.

ბეტი. უკვე დაბრუნდი, კარსტენ?

ბერნიკი. დიახ; ერთმა კაცმა უნდა შემომიაროს...

ბეტი (ამოოხვრით). ჰო, ალბათ, იუჰანი კვლავ გვესტუმრება.

ბერნიკი. მე ვთქვი, ერთმა კაცმა უნდა შემომიაროს-მეთქი. (ქუღს ლებს). ეს ქალები სად გაქრნენ ღღეს?

ბეტი. ფრუ რუმელს და მის ქალიშვილს არა სცალიათ.

ბერნიკი. შემოგივალეს?

ბეტი. ჰო, ძალიან ბევრი საქმე გვაქვსო.

ბერნიკი. გასაგებია. რა თქმა უნდა, არც სხვები მოვლენ.

ბეტი. დიახ, არც მათ სცალიათ.

ბერნიკი. ეს წინასწარ შემეძლო მეთქვა. ულადი სადღაა?

ბეტი. სასეირნოდ გავუშვი, დინასთან ერთად.

ბერნიკი. ჰმ, დინასთან... ამ თავქარიანთან?... იუჰანი ჯერ არც ჩამოსულა და უკვე სხვანაირად ეტმასნება.

ბეტი. კი მაგრამ, დინამ ხომ არაფერი იცის, ჩემო ძვირფასო...

ბერნიკი. მაშინ იუჰანს მაინც უნდა ჰქონდეს იმდენი ტაქტი, რომ განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციოს.

ბეტი (თავს ანებებს ხელსაქმეს). შენ მაინც თუ ხელები, კარსტენ, რისთვის ჩამოვიდნენ?

ბერნიკი. ჰმ... იუჰანს იქ, მგონი, ფერმა აქვს და, როგორც ჩანს, საქმე კარგად ვერ მისდის. ღონამ გუშინ გაკვრით გვაგრძნობინა, მეორე კლასის კაიუტით გვიხდება მგზავრობაო.

ბეტი. დიახ, სამწუხაროდ, ალბათ ასეა. მაგრამ როგორ გაბედა იუჰანთან ერთად ჩამოსვლა? მას შემდეგ, რაც ისეთი საშინელი შეურაცხყოფა მოგაყენა?..

ბერნიკი. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ამ ძველ ამბებზე ნულარა ფიქრობ.

ბეტი. რა ვქნა, რომ არ შემიძლია სხვაზე ვიფიქრო? იუჰანი ხომ ჩემი ღვიძლი ძმაა... არა, მისი დარდი ვისა აქვს?.. მაგრამ

შენ?.. ვინ იცის, რამდენი უსიამოვნება შეიძლება დაგატყდეს თავზე... ვაითუ...

ბერნიკი. რისი გეშინია?

ბეტი. ხომ შეიძლება დაიჭირონ იმ ფულის გამო, რომელიც დედაშენს დაეკარგა?

ბერნიკი. სისულელეა! ვინ დაამტკიცებს, რომ ფული დაიკარგა?

ბეტი. ოკ, ღმერთო ჩემო, კი მაგრამ. ეს ხომ მთელმა ქალაქმა იცის... შენც მეუბნებოდით...

ბერნიკი. მე არაფერიც არ მითქვამს. არც მთელმა ქალაქმა იცის რამე. ყოველივე ეს მხოლოდ წმინდა წყლის კორეზია და უაზრო მითქმა-მოთქმა.

ბეტი. რა სულგრძელი ხარ, კარსტენ!

ბერნიკი. გეუბნები, ამ სისულელეს მოეშვი-მეთქი! შენ თვითონაც არ იცი, როგორ მიმღვრე და მიფუჭებ გუნებას, მთელს ამ ხარახურასა და ნაყარ-ნუყარში რომ იქექები. (ოთახში მიშლის და უცებ მოისვრის ტროსტს). რა ჯანდაბამ ჩამოათრიათ მაინცდამაინც ახლა, როცა ასე ძალიან მჭირდება საზოგადოებისა და პრესის მხარდაჭერა?.. სასწრაფოდ აფრენენ კორესპონდენტებს მეზობელი ქალაქების გაზეთებში... ატყდება ერთი ყაყანი და მითქმა-მოთქმა: აბა, როგორ მივიღებ ამდენი ხნის უნახავ ნათესავეებს, — კარგად თუ ცუდად?.. ყველაფერს ყალბად განმარტავენ, დაამახინჯებენ და, შენი არ იყოს, თვითონაც დაიწყებენ ძველ ნაგავში ქექვას. იმნაირ საზოგადოებაში, როგორიც ჩვენია... (მაგდაზე მიაგდებს ხელთათმანებს). ვერც ვერავის დაელაპარაკები და ვერც დაეყრდნობი!

ბეტი. ვერავის, კარსტენ?

ბერნიკი. მაშინ მითხარი, — ვის?.. რალა მაინცდამაინც ახლა უნდა დამსხდომოდნენ კისერზე? აი, ნახავ, თუ რალაც უბედურება არ დააწიონ. განსაკუთრებით, შენმა შშვენიერმა დამ. რა შეეცოდე, რომ ამნაირი ნათესავეები მომისაჯა ღმერთმა?

ბეტი. რა ჩემი ბრალია, რომ...

ბერნიკი. მართლაცდა, რა შენი ბრალია, რომ ამნაირი ნათესავეები გყავს? ვერავინ შეგედავება.

ბეტი. მე ხომ არ დამიპატიენია?..

ბერნიკი. დაიწყო ახლა თავიდან! მე ხომ არ დამიპატიენია, არ გამომიწერია, კალთა არ დამიხვეია!.. ზეპირად ვიცი მთელი შენი რეპერტუარი!

ბეტი (ტირის). რა ბოროტი ხარ!..

ბერნიკი. ესლა მაკლდა! იტირე, ბევრი იტირე, რომ რაც შეიძლება მეტი საკორაო მისცე ხალხს! მორჩი ამ სისულელეს, ბეტი! ადეკი, ტერასაზე გადი! შეიძლება ვინმე მოვიდეს. ნამტირა-ლევი თვალებით რომ დაგინახონ?... ნეტავი ჩვენ, თუ ქალაქში ხმა დაირხა, რომ... გესმის? დერეფანში ვილაყა მოდის.

კარზე აკაკუნებენ.

მობრძანდით!

ბეტი ხელსაქმეს იღებს და ტერასაზე გადის. მარჯვნიდან შემოდის ოსტატი ეუნე.

ეუნე. გამარჯობათ, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. გამარჯობათ. ალბათ ხვდებით. რაზე გიბარებთ.

ეუნე. გუშინ საქმეთა მმართველმა მითხრა, ბატონი კონსული უკმაყოფილოა იმით, რომ...

ბერნიკი. მე უკმაყოფილო ვარ ყველაფრით. რაც ვერფში ხდება, ეუნე. გემების რემონტი საშინლად ჰიანურდება. „პალმა“ რა ხანია, გზას უნდა ადგეს. ვიგელანი ყოველდღე მაკითხავს, გული გამიწყალა. ჩემს მტერს ამნაირი კომპანიონი!

ეუნე. „პალმა“ ზეგ გავა ზღვაში.

ბერნიკი. მადლობა ღმერთს! კი მაგრამ, ის ამერიკული გემი. რომელიც ხუთი კვირაა აქა დგას?..

ეუნე. „ინდიანა“? მე ისე გავიგე, რომ. უწინარეს ყოვლისა, ჩვენს საკუთარ გემს უნდა მივწოლოდით.

ბერნიკი. მაგნაირი ვარაუდისათვის მე არავითარი საბაბი არ მომიცია. ჩემთვის ერთია „პალმაც“ და „ინდიანაც“, თქვენ კი...

ეუნე. მთელი ფსკერი გამოშპალი აქვს, ბატონო კონსულო; რაც მეტს ვარემონტებთ, მით უფრო უარესი.

ბერნიკი. არა, მიზეზი ეგ კი არა, სულ სხვა რამეა. კრაპმა ყველაფერი მითხრა. საქმე ისაა, რომ თქვენ ვერ იყენებთ ახალ მანქანებს, რომლებიც მე ჩამოვიტანე, ან, უფრო სწორად, არ გინდათ გამოიყენოთ.

ეუნე. ბატონო კონსულო, მე უკვე ორმოცდაათს გადავაბიჯე. პატარაობიდანვე სულ ისე ვმუშაობ. როგორც ჩვენი მამა-პაპანი მუშაობდნენ.

ბერნიკი. მაგრამ დღეს ძველებურად მუშაობა ხელს აღარ გეაძლევს, ეუნე. ხომ არ გგონია, რომ მოგება ან გამორჩენა მაინტერესებს? არა. მადლობა ღმერთს, რაში მკირდება? მაგრამ მე ჩემი მოვალეობა მაქვს მთელი საზოგადოებისა და, კერძოდ, იმ ფირმის წინაშე, რომელსაც სათავეში ვუდგევარ. თუ მე მხარს არ დავუჭერ პროგრესს, ვერც ვერასოდეს ველირსებით მას.

ეუნე. მეც პროგრესის მომხრე ვარ, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. დიახ, თქვენი ვიწრო წრის — მუშათა კლასისათვის. მშვენივრად ვიცი, რა აგიტაციასაც ეწეით. ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს წარმოსთქვამთ, წყალს ამღვრევთ და აშფოთებთ ხალხს. მაგრამ როცა საქმე პროგრესის პრაქტიკულ ხორცშესხმაზე მიდგება. — ავიღოთ თუნდაც ახალი მანქანები, — მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებთ და ლაჩრულად იხევთ უკან.

ეუნე. დიახ. მე მართლაც მეშინია, ბატონო კონსულო; მაშინებს იმ უბედურთა ხვედრი, რომლებსაც შეიძლება ლუკმაპური წაართვან ამ მანქანებმა. თქვენ, ბატონო კონსულო, ხშირად ლაპარაკობთ თქვენს მოვალეობაზე საზოგადოების მიმართ. მაგრამ, ჩემის აზრით, საზოგადოებასაც თავისი მოვალეობა აქვს. ვინ მისცა იმის უფლება მეცნიერებას და კაპიტალს, რომ საქმეში დანერგონ ახალი გამოგონებანი, ვიდრე საზოგადოებას არ აღუზრდია თაობა. რომელიც მათ გამოყენებას შესძლებს?

ბერნიკი. თქვენ მეტისმეტად ბევრს კითხულობთ და ზედმეტად იკყლეტთ ტვინს. ასე არ ვარგა, ეუნე. ეს თქვენ გინერგავთ აღშფოთებისა და თქვენი მდგომარეობით უკმაყოფილების გრძნობას.

ეუნე. რა ვქნა, არ შემიძლია, ბატონო კონსულო, გულგრილად ვუყურო იმას, თუ როგორ ითხოვენ ერთიმეორის მიყოლებით საუკეთესო მუშებს და პირიდან ლუკმას აცლიან ამ მანქანების გამოისობით.

ბერნიკი. კმ! წიგნის ბექდვის გამოგონებამაც ურიცხვ გადამწერს დააკარგვინა ლუკმაპური.

ეუნე. კი მაგრამ, რა აზრისა იქნებოდით ამ გამოგონებაზე, ბატონო კონსულო, გადამწერი რომ ყოფილიყავით მაშინ?

ბერნიკი. მე აქ საპაექროდ კი არ დამიბარებიათ, ეუნე, არამედ იმისთვის, რომ მეთქვა: „ინდიანა“ ზეგ უნდა გავიღეს ზღვაში...

ეუნე. კი მაგრამ, ბატონო კონსულო...

ბერნიკი. ზეგ-მეთქი, გესმით?! ჩვენს საკუთარ გემთან ერთად; დიახ, ორივეს ერთდროულად ჩაუშვებთ წყალში! იძულებული ვარ, ვიჩქარო. დღევანდელი გაზეთები თუ წაიკითხეთ? მაშასადამე, იცით, რომ ამერიკელებმა კვლავ აურიეს. ეს აღვირახსნილი ბრბო მალე მთელ ქალაქს თავდაყირა დააყენებს. ღამე ისე არ გავა, რომ ჩხუბი და აყალ-მაყალი არ ატეხოთ, ხან ქუჩაში, ხანაც ღუქნებში. სხვა უმსგავსოებაზე აღარაფერს ვამბობ.

ეუნე. რაც მართალია, მართალია, დიდი შარიანი ხალხია.

ბერნიკი. მერედა, ვის ადანაშაულებენ ამაში? მე! დიახ, ყველაფერში მე მდებენ ბრალს. ეს მჭლახნელები საკმაოდ ნათლად აგრძნობინებენ მკითხველს, რომ ჩვენი საზრუნავი, უპირატესად, ჩვენი საკუთარი გემია. და მე, ვინც მიზნად დავისახე, ჩემს თანამოქალაქეებზე პირადი მაგალითით მოვახდინო ზემოქმედება, იძულებულს მხდებიან. ავიტანო ამნაირი გამოხდომები... არა, არა, ამდენის მოთმენა არ შემიძლია. არავის მივცემ იმის უფლებას, რომ ლაფში ამოსვარონ ჩემი სახელი.

ეუნე. კი მაგრამ, ბატონი კონსულის რეპუტაცია იმდენად მტკიცეა, რომ ცოტა უფრო მეტსაც გაუძლებს.

ბერნიკი. სხვა დროს, იცოცხლე! მაგრამ ახლა? სწორედ ახლა მკირდება ჩემი თანამოქალაქეების სრული მხარდაჭერა, თანადგომა და პატივისცემა. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ დიდი საქმე წამოვიწყე, და თუ ბოროტმზარახველნი შესძლებენ, ოდნავ მაინც შეარყიონ საზოგადოების ნდობა ჩემდამი, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენებენ. ამიტომ, რადაც უნდა დამიკლდეს, ხმა უნდა ჩავაწყვეტირო ამ უბადრუკ მჭლახნელებს. აი, რატომ გადავწყვიტე, რომ „ინდიანა“ სწორედ ზეგ გავიდეს ზღვაში.

ეუნე. ვითომ ამ საღამოს რატომ არა?..

ბერნიკი. თქვენის აზრით, მე შეუძლებელს მოვიტხოვ?

ეუნე. დიახ, იმ მუშახელით, რაც ახლა გვყავს...

ბერნიკი. კეთილი; მაშინ სხვა მუშახელი უნდა ვიშოვოთ...

ეუნე. ნუთუ კვლავ აპირებთ ძველი მუშებიდან ვინმეს დათხოვას?

ბერნიკი. არა, მე მაგას არ ვაპირებ.

ეუნე. დიახ, ეს დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა ქალაქშიც და გაზეთებშიაც.

ბერნიკი. ადვილი შესაძლებელია. მაგრამ ჩვენ არავის მივცემთ ამის საბაბს. მაშ, ასე, თუ „ინდიანა“ ზეგ არ ჩავუშვით წყალში, ავდგები და... პირადად თქვენ დაგიტხოვთ.

ეუნე (შეკრთება). მე? (იყინის). თქვენ, ალბათ, ხუმრობთ.

ბერნიკი. მეტი საქმე არა მაქვს.

ეუნე. ნეტა თუ მართლა დამითხოვთ? კი მაგრამ, მამაჩემიც, პაპაჩემიცა და თვითონ მეც მთელი ჩვენი დღე და მოსწრება ხომ სულ თქვენ გემსახურებოდით?

ბერნიკი. მერე და, ვისი ბრალი იქნება ეს?

ეუნე. თქვენ ჩემგან შეუძლებელს მოითხოვთ, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. თუ გული გულობს... აბა, რას იტყვით: ჰო თუ არა? მე მოვითხოვ გადაწყვეტ სიტყვას, არადა, აქვე ვაგისწორებთ ანგარიშს.

ეუნე (ნაბიჯ გადადგამს მისკენ). კარგად თუ დაფიქრებიხართ, ბატონო კონსულო, რას ნიშნავს ძველი მუშის დათხოვნა? თქვენ იტყვი: სხვა სამუშაო მოძებნოსო. კეთილი, დავუშვათ და, იქნებ, მართლა მოძებნოს კიდევ. მაგრამ განა საქმე ამით მთავრდება? აბა, ერთი, დათხოვნილი მუშის სახლში შეგახედათ, ბატონო კონსულო, იმ საღამოს, როცა ის შინ ბრუნდება და კუთხეში დებს ხელსაწყოებით სავსე ყუთს...

ბერნიკი. თქვენ გგონიათ, ჩემთვის კი ადვილია თქვენი დათხოვნა? აბა, მითხარით, განა ცუდი მეპატრონე ვიყავი?

ეუნე. მით უარესი, ბატონო კონსულო, სწორედ ამიტომ ჩემიანები თქვენ როდი დაგადანაშაულებენ. არა, ისე, არც მე მეტყვიან რამეს, ვერ გაბედავენ, მაგრამ მალულად კი დამიწყებენ მზერას და გულში იტყვიან: ალბათ, დაიმსახურაო. აი, სწორედ ესაა ჩემთვის აუტანელი. მართალია, ერთი უბრალო მუშა ვარ, მაგრამ თავკაცობას კი მიეჩივებ ჩემს სახლში. ჩემი ღარიბი ოჯახიც ერთგვარი პატარა საზოგადოებაა, ბატონო კონსულო. და მე შემეძლო ამ საზოგადოების ბურჯი ვყოფილიყავი. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ცოლ-შვილს სჯეროდა ჩემი. ახლა კი ყოველივე ეს უნდა დაინგრეს.

ბერნიკი. მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ არის, ორი ბოროტებიდან უმცირესი უნდა ვირჩიოთ და კერძო ინტერესები უყოყმანოდ ვუმსხვერპლოთ ზოგადს. სხვანაირი პასუხის მოცემა არ შემიძლია. ასეთია ეს ცხოვრება... მაგრამ თქვენ კი დიდი ჭიუტი კაცი ხართ, ეუნე! მარტო იმიტომ კი არ ეწინააღმდეგებით ჩემს ნებას, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეგიძლიათ, არამედ იმიტომაც, რომ არ გინდათ აღიაროთ მანქანების უპირატესობა ხელით შრომასთან შედარებით.

ეუნე. თქვენ კი, ბატონო კონსულო, იმიტომ იცავთ თქვენს აზრს ასეთი დაჯინებით, რომ, თუ სამუშაოდან დამითხოვთ, გაზეთებს მაინც დაუმტკიცოთ, რომ ამაში თქვენ კი არა, მე თვითონ მიმიძღვის ბრალი.

ბერნიკი. ასეც რომ იყოს, მერე რა? ხომ გესმით, რასაც ეხება საქმე? გადავიკიდო პრესა თუ ჩემს მხარეზე გადმოვიბირო იმ მომენტში, როცა ესოდენ დიდი საქმე წამოვიწყებ მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ? საკითხი ასე ისმის: მხარი დაგიქირრეთ თქვენ და თქვენს ოჯახს თუ ჩანასახშივე მოვაშთო ასობით ოჯახი, რომლებიც არც არასოდეს შეიქმნებიან, თუკი ხორცს ვერ შევასხამ იმ საქმეს, რომლის გულისთვისაც ასე თავგამოდებით ვიღწვი. ამიტომაც გაყენებთ არჩევანის წინაშე. ეუნე.

ეუნე. თუ ასეა, სათქმელი აღარაფერი მაქვს.

ბერნიკი. როგორ?

ეუნე. უბრალო კაცსაც თავისი ამოცანები აქვს ამ ცხოვრებაში.

ბერნიკი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!.. მაშ, შეგიძლიათ პარობა მომცეთ?

ეუნე. „ინდიანა“ ზეგ უკვე მზად იქნება. (თავს უკრავს და ხელმარჯვნივ გადის).

ბერნიკი. აჰა, ბოლოს მაინც ხომ მოვტყეხე და ქელი მოვახრევიინე ამ თვითრჯულ კაცს! კარგი ნიშანი უნდა იყოს.

ქუჩიდან ბაღში შემოდის პილმარი; პირში სიგარა აქვს გაჩრილი.

პილმარი (ტრასახე). გამარჯობა, ბეტი! გამარჯობა, ბერნიკ!

ბეტი. გამარჯობა!

პილმარი. რა ნამტირალევი თვალეები გაქვს? უკვე გაიგე?

ბეტი. რა უნდა გამეგო?

პილმარი. მოგვექრა თავი და ესაა! უჰ!

ბერნიკი. რაო?

პილმარი (ოთახში შემოდის). რა და, ეს ორი ამერიკელი დინა დორფთან ერთად დასეირნობს ქუჩებში.

ბეტიც ოთახში შემოდის.

ბეტი. შეუძლებელია! რას ამბობ, პილმარ?..

პილმარი. სამწუხაროდ, ასეა. ლონამ იმდენი უტაქტობაც კი გამოიჩინა, რომ დამიძახა, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, ისეთი სახე მივიღე, ვითომ ვერ გავიგონე.

ბერნიკი. ალბათ უკვე ყველამ შენიშნა.

პილმარი. რა თქმა უნდა! გამვლელები ჩერდებიან და თვალს აყოლებენ. მთელ ქალაქში ისე გავრცელდა ხმა, როგორც ცეცხლი — ტყეში, როგორც ხანძარი — ამერიკულ პრერიებში. ხალხი ფანჯრებს აწყდება და უცდის, როდის ჩაივლიან. ყველა ფარდის იქიდან კისერწაგრძელებული თავები იქყიტებინან... უჰ!.. მაპატიე, ბეტი, მაგრამ ტანში მაზრიალებს... რა ვქნა, საშინლად მოქმედებს ნერვებზე. თუ ასე გაგრძელდა, მეტი გზა არ არის, აქედან უნდა ავიბარგო და კაი ხნით სადმე გადავსახლდე.

ბეტი. რა გიქირდა, გამოლაპარაკებოდი და კკუა დაგერიგებინა იუჰანისთვის?..

პილმარი. საღ? შუა ქუჩაში? არა, უმორჩილესად გმადლობთ. და საერთოდ, როგორ ბედავს ეს ვაჟბატონი ქუჩაში თავის გამოყოფას? ვნახოთ, ცოტათი მაინც დააშოშმინებს თუ არა პრესა. მომიტყევე, ბეტი, მაგრამ...

ბერნიკი. რაო, პრესაო? რამე ისეთი ხომ არ გაგიგია?

პილმარი. არც უმაგისობაა. გუშინ, თქვენგან რომ წავედი, ცოტა არ იყოს, ამ ჩემმა ავადმყოფობამ შემაწუხა და კლუბში შევიარე. შევედი თუ არა, ყველა გაისუსა, ეტყობა, ჩვენს ამერიკელებზე ლაპარაკობდნენ. უცებ შემოდის ეს თავხედი... რედაქტორი ჰამერი და ყველას გასაგონად მილოცავს მდიდარი ბიძაშვილის დაბრუნებას.

ბერნიკი. მდიდარი ბიძაშვილის?

პილმარი. დიახ, ასე თქვა. მე, რა თქმა უნდა, გამანადგურებელი მზერით ავხედ-დავხედე და ვაგრძნობინე, რომ იუჰან ტენესენის სიმდიდრის ამბავი პირველად მესმის. მან კი მითხრა: „უცნაურია! ამერიკაში, როგორც წესი, ბედი სწყალობს იმას, ვისაც დასაწყისისთვის საკმაო თანხა აქვს, თქვენი ბიძაშვილი კი, როგორც ცნობილია, ხელცარიელი არ ჩასულა იქ“.

ბერნიკი. ჰმ!.. პატივი დამდე და...

ბეტი (შეშოთებით). აი, ხომ ხედავ. კარსტენ?..

პილმარი. ასეა თუ ისე, ამ ვაჟბატონის წყალობით, მთელი ღამე ვერ დავიძინე. ის კი არხეინად დასეირნობს ქუჩებში. ნეტა, რატომ არ ჩაძაღლდა იქ? პირდაპირ გაშტერდები კაცი, რა სიცოცხლისუნარიანია ზოგ-ზოგიერთი.

ბეტი. ღმერთო ჩემო, რას ამბობ, პილმარ?

პილმარი. ისეთს არაფერს. აბა, ან რკინიგზაზე როგორ არ მოიტება კისერი, ან კალიფორნიული დათვისა თუ შავფეხა ინდიელების წერა არ გახდა?.. სკალპიც კი არ აუძვრიათ!.. უჰ. აი, ისინიც!

ბერნიკი (ქუჩაში იყურება). ულაფიც მათთანაა!

პილმარი. რა თქმა უნდა! ხომ უნდა შეახსენონ ხალხს, რომ მთელს ქალაქში უპირველესი ოჯახის წევრები არიან? შეხედეთ, შეხედეთ, ყველა უქნარა სეირის საყურებლად გამოეფინა აფთიაქიდან, იკრიკებიან და რალაცას ეჩურჩულებიან ერთმანეთს. არა, ჩემი ნერვები ნამდვილად ვერ გაუძლებს ამას. მოდი და ყოველივე ამის შემდეგ მაღლა გეჭიროს იდეის დროშა!..

ბერნიკი. პირდაპირ ჩვენკენ მოდიან... იცი, რა, ბეტი? თუ შეიძლება, ორივეს გულთბილად და ალერსიანად შეხედი...

ბეტი. მაშ, ნებას მაძლევ, კარსტენ?..

ბერნიკი. რა თქმა უნდა. შენც ამასვე გთხოვ, პილმარ. იმედია, დიდხანს არ დარჩებიან. და რაკი ყველანი ჩვენს საკუთარ ოჯახში ვართ, ნუ გამაგონებთ ნურავეითარ გადაკრულ სიტყვას; ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ დავინდოთ მათი თავმოყვარეობა.

ბეტი. ო, რა სულგრძელი ხარ, კარსტენ!

ბერნიკი. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს!

ბეტი. არა, არა, ნება მიბოძე, მაღლობა გადაგიხადო და მაპატიე, რომ ასე გავცხარდი... შენ სრული უფლება გქონდა...

ბერნიკი. მორჩი, მორჩი-მეთქი!

ჰილმარი. უჰ!

ბალში შემოდინ იუჰან ტენესენი და დინა ღორფი; მათ ფეხდაფეხ მოსდევენ ლონა და ულაფი.

ლონა. გამარჯობათ, გამარჯობათ, ჩემო ძვირფასებო!

იუჰანი. ყველგან ვიყავით, ძველი ადგილები მოვინახულეთ, კარსტენ.

ბერნიკი. დიახ, დიახ, რას იტყვი, ბევრი რამ შეიცვალა, არა?

ლონა. ყველაფერს ეტყობა კონსულ ბერნიკის ღირსშესანიშნავე და ნაყოფიერი მოღვაწეობა. პარკშიაც ვიყავით, რომელიც შენ აჩუქე ქალაქს.

ბერნიკი. აა, იქაც?

ლონა. „კარსტენ ბერნიკის საჩუქარი“, — ამოვიკითხეთ შესასვლელ კარზე. ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა, რომ აქ პირველი კაცი ხარ.

იუჰანი. შენი გემებიც ძალიან მომეწონა. „პალმის“ კაპიტანს შეეხვედი, ჩემი სკოლის ამხანაგს...

ლონა. ახალი სკოლაც აგიშენებია. ისიც გავიგე, რომ ქალაქი შენ უნდა გომადლოდეს გაზის განათებასა და წყალგაყვანილობას.

ბერნიკი. ხომ უნდა ემსახურო საზოგადოებას, რომელშიაც ცხოვრობ?

ლონა. დიდებული საქმეა, სიძე ბატონო. მიხარია, სულით და გულით მიხარია, რომ ხალხი ასე გაფასებს. არა მგონია, პატივმოყვარეობა მაწუხებდეს, მაგრამ მაინც ვერ შევიკავე თავი და ზოგიერთ ჩვენს თანამოსაუბრეს შევახსენე, რომ შენი ნათესავეები ვართ...

ჰილმარი. უჰ!

ლონა. შენ ამაზედაც ოხრავე?

ჰილმარი. არა, მე ვთქვი: ჰმ!..

ლონა. ღმერთი შეგეწიოს, შე საცოდავო... როგორც ჩანს, დღეს მარტონი ხართ.

ბეტი. დიახ.

ლონა. მოედანზე ჩვენს ორიოდ „მაღალზნებრივ“ ნაცნობს მოვკარით თვალი; კისრისტეხით გარბოდნენ სადღაც... მაგრამ

გუშინ ხეირიანადაც ვერ დაველაპარაკეთ ერთმანეთს. ვინ გვაცალა? იმ სამ ახალი გზის გამყვანს კიდეც რა უშავდა, მაგრამ ეს პასტორი...

პილმარი. ადიუნქტი...

ლონა. მე მას პასტორს ვეძახი... მაგრამ რას იტყვი, როგორ მიშრომია ამ თხუთმეტი წლის მანძილზე, ა? ერთი შეხედვით, რა ბიჭი დადგა! ვინ იტყვის ახლა, რომ სწორედ ესაა ის დამთხვეული, სამშობლოდან რომ გაიქცა?

პილმარი. კმ!

იუჰანი. კარგი ერთი, რას ტრაბახობ, ლონა?

ლონა. სატრაბახო არა მაქვს თუ? რას ამბობ? აბა, სხვა რა გამიკეთებია ამქვეყნად? მხოლოდ ეს მაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვა, ფუჰად არ მიცხოვრია-მეთქი. დიახ, როცა წარმოვიდგენ, იუჰან, რითი დავიწყეთ, — ჩვენი ოთხი ცარიელი თათით...

პილმარი. ხელით!

ლონა. თათით-მეთქი!.. არც ისე სუფთა თათები გექონდა.

პილმარი. უჰ!

ლონა. და თანაც, ცარიელი.

პილმარი. ცარიელიო? კი მაგრამ?..

ლონა. რა მაგრამ?

პილმარი. რა და... უჰ! (ტერასაზე გადის).

ლონა. რა მოსდის?

ბერნიკი. ყურადღებას ნუ მიაქცევ; ამ ბოლო დროს ძალიან ნერვიული გახდა... ჰო, მართლა, ჩვენს ბაღს ხომ არ დაათვალიერებთ? ჯერ არ გინახავთ, მე კი სწორედ ახლა თავისუფალი დრო მაქვს.

ლონა. სიამოვნებით; რომ იცოდე, რამდენჯერ ვწვევივარ ოცნებით თქვენს ბაღს!

ბერნიკი, ბეტი და ლონა ჩაღიან და მთელი მომდევნო სცენის განმავლობაში იქ სეირნობენ.

ულაფი (ტერასის კართან). ძია პილმარ! იცი, რა მითხრა ძია იუჰანმა? ამერიკაში ხომ არ წამოხვალა?

პილმარი. ამერიკაში არა იქ!.. დედაშენის კაბის კალთას ვერ მოსცილებიხარ...

ულაფი. არა, არა... აი, ნახავ, როცა გავიზრდები და დიდი გავხდები...

პილმარი. სისულელეა! აბა, ოდესმე მაინც თუ გიცილია სერიოზულად, გაკაქდე და გამოიბრძმელო...

ორივენი ბაღში ჩაღიან.

იუჰანი (ღინას, რომელიც მარჯვენა კართან ჩერდება, რომ ქულის ბაფთები შეიხსნას და კაბიდან მტვერი ჩამოიბერტყოს). როგორ გაგივარდისფერდათ სახე! ალბათ სეირნობა მოგიხდათ.

ღინა. აჰ, რა კარგი იყო! ასეთი საუცხოო სეირნობა ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს.

იუჰანი. კი მაგრამ, განა დილაობით არ სეირნობთ ხოლმე?

ღინა. ხანდახან, ულაფთან ერთად.

იუჰანი. აჰ!.. თქვენ, ალბათ, ბაღში უფრო მიგიწევთ გული.

ღინა. არა, აქ მირჩენია.

იუჰანი. მეც... ჩვენი პირობა ხომ გახსოვთ? — ყოველ დილას ერთად ვისეირნებთ.

ღინა. არა, ბატონო ტენესენ, არ შეიძლება.

იუჰანი. რაო? აკი სიტყვა მომეცით...

ღინა. დიახ, მაგრამ კარგად რომ დაუფიქრდი... დაგეძრახავენ.

იუჰანი. კი მაგრამ, რატომ?

ღინა. თქვენ ჩამოსული ხართ და ვერ გაიგებთ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ...

იუჰანი. რა?

ღინა. არა, უმჯობესია, ნუ მათქმევინებთ.

იუჰანი. პირიქით. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი მითხრათ.

ღინა. მაშინ, იცოდეთ. რომ მე ჩემს თანატოლებს არ ვგევიარ. მე... მე... ჩემი საქმე სულ სხვაა... ამიტომაც არ შეიძლება...

იუჰანი. არაფერი არ მესმის. თქვენ ხომ ცუდი არაფერი ჩაგიდენიათ!

ღინა. არა. მე კი არა, არამედ... თუმცა, მეტს ნულარ მათქმევინებთ. სულერთია, სხვები გეტყვიან.

იუჰანი. ჰმ!..

ღინა. მე თვითონ მინდა, ერთი რამ გკითხოთ.

იუჰანი. მაინც?..

ღინა. ამბობენ, ამერიკაში ძნელი როლია გზის გაკვლევაო.

იუჰანი. რა მოგახსენოთ, არცთუ ადვილია. განსაკუთრებით, თავდაპირველად. ბევრი მუშაობაა საჭირო.

ღინა. მუშაობის არ მეშინია!

იუჰანი. თქვენ?

დინა. დიახ, შრომა შემიძლია; ჯანმრთელი ვარ, გამძლე, ამტანი. თანაც, დეიდა მარტამ ბევრი რამ მასწავლა.

იუჰანი. მაშ, რაღას უყურებთ? ჩვენთან წამოდით.

დინა. თქვენ, ალბათ. ხუმრობთ. ულაფსაც ასე უთხარიო... და კიდევ ერთი რამ მაინტერესებს: იქაურები ძალიან... მაღალზნეობრივები არიან?

იუჰანი. მაღალზნეობრივები?

დინა. უფრო სწორად, მე მინდა გკითხოთ: ნუთუ ყველა ისე წესიერია და ზრდილობიანი, როგორც ჩვენებურები?

იუჰანი. ყოველ შემთხვევაში, არც ისე ცუდები არიან, როგორც აქ ჰგონიათ. მაგისი შიში ნუ გაქვთ.

დინა. არა, კარგად ვერ გამიგეთ. მე, პირიქით. მინდა, რომ არც ისე წესიერი და მაღალზნეობრივი იყვნენ...

იუჰანი. არც ისეთი მაღალზნეობრივი?.. მაშ, როგორი?

დინა. როგორი და — ბუნებრივი.

იუჰანი. პოდა, სწორედ ასეთები არიან.

დინა. მაშინ, ნეტავი მათთან მამყოფა.

იუჰანი. თუ ასე ძალიან გინდათ, ჩვენთან წამოდით.

დინა. არა, თქვენთან მაინც არ წამოვალ: მე მინდა, თვითონვე გავიკვებო გზა.

ბერნიკი (ბაღში, ტერასასთან). მოიცა, მოიცა, ბეტი! ახლავე გამოგიტან, თორემ გაცივდება! (ოთახში შემოდის და ცოლის შალს ეძებს).

ბეტი (ბაღიდან). შენც წამოდი, იუჰან! მღვიმეში მივდივართ.

ბერნიკი. არა, არა, იუჰანი აქ დარჩეს. აი, დინა, აიღე ეს შალი და ქალებთან ჩადი... იუჰანი ჩემთან დარჩება, ბეტი! თავის თავგადასავალს მიაშობს.

ბეტი, ლონა და დინა ბაღიდან გადიან.

ბერნიკი (ერთხანს თვალს აყოლებს მიმავალთ, შემდეგ კი მარცხენა კარს ხუტავს, იუჰანთან მიდის და მაგრად ართმევს ორივე ხელს). ძლივს მარტონი დაერჩით, იუჰან! ნება მიბოძე, მაღლობა გადაგიხადო.

იუჰანი. რა მაღლობა...

ბერნიკი. ცოლ-შვილი, სახლ-კარი, ოჯახური ბედნიერება, საზოგადოებრივი მდგომარეობა, — ყოველივე ამას შენ გიმადლი.

იუჰანი. დიდად მოხარული ვარ, ძვირფასო კარსტენ, რომ ის სულელური ამბავი, ბოლოს, ასე კეთილად დაგვირგვინდა.

ბერნიკი (კვლავ ართმევს ხელს). მაღლობელი ვარ, მაღლობელი! ათი ათას კაცში ერთიც არ იკისრებდა იმას, რაც შენ ჩემი გულისთვის იკისრე.

იუჰანი. რას ლაპარაკობ? ორივენი ახალგაზრდები ვიყავით და ეს ცხოვრება თამაში გვეგონა. ვილაცას ხომ უნდა ეტვირთა დანაშაული?..

ბერნიკი. კი მაგრამ, ვის, თუ არა თვითონ დამნაშავეს?

იუჰანი. მოიცა! ეს მაშინ უდანაშაულოს უფრო შეეძლო. მე თავისუფალი ვიყავი და, თანაც, ობოლი; კანტორაში მუშაობა საშინლად მომბეზრდა და ერთი სული მქონდა, როდის დავაღწევდი თავს. შენ კი მოხუცი ღედა გყავდა და, თანაც ის იყო, მალულად დაინიშნე ჩემს დაზე. ბეტი ქკუას კარგავდა შენთვის და ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, ეს რომ გაეგო...

ბერნიკი. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ...

იუჰანი. და, ბოლოს, განა ბეტის გულისთვის არ გადაწყვიტე, ყოველგვარი ურთიერთობა გაგეწყვიტა მადამ დორფთან? აკი სწორედ ამ მიზნით მიხვედი მასთან იმ საღამოს.

ბერნიკი. დიახ, იმ საბედისწერო საღამოს, როცა მისი ლოთი ქმარი მოულოდნელად დაბრუნდა შინ... დიახ, იუჰან, მაშინ მე მხოლოდ ბეტის გულისთვის მივედი იქ, მაგრამ მაინც... და შენ ნამდვილი ძმობა გამიწიე, თვითონვე დაიბრაღე ყველაფერი და აქედან გადაიხვეწე...

იუჰანი. რა სინიდისის ქენჯნა აგიტყდა, კარსტენ? მაშინ ხომ ერთად გადავწყვიტეთ ყველაფერი. საჭირო იყო შენი ხსნა, მე კი შენი მეგობარი ვიყავი. ოო, როგორ ვამაყობდი ამ მეგობრობით. მართლაცდა, ვინ ვიყავი მე? ერთი უბადრუკი პროვინციელი მოხელე; შენ კი ის იყო დაბრუნდი უცხოეთიდან, ამაყი, თავმომწონე, ამპარტავანი, ლონდონსა და პარიზში განსწავლული; და შენი მეგობრობის ღირსი გამხადე, თუმცა ოთხი წლით უფროსი იყავი ჩემზე. რა თქმა უნდა, იმხანად ბეტის ეარშიყებოდი, — ახლა კი მესმის, — მაგრამ მაშინ საოცრად ვამაყობდი შენი მეგობრობით. თუმცა, ვინ არ იამაყებდა? ვინ არ გაიღებდა მსხვერპლს შენი გულისთვის? მით უმეტეს, რომ არც ისე დიდი მსხვერპლი იყო საჭირო. მართლაცდა, რა მოხდებოდა? დიდი-დიდი ერთ-ორ თვეს იპორავებდნენ ქალაქში, მერე კი ყველაფერი დავიწყებას მიეცემოდა. მე კი თავისუფლება მწყუროდა, შორეული ქვეყნებისაკენ მიმიწევდა გული.

ბერნიკი. კმ... გულახდილად რომ გითხრა, ძვირფასო იუჰან, აქ ჯერ კიდევ არ დავიწყნიათ ეს ამბავი.

იუჰანი. არ დავიწყნიათ? მერე რა? ჩემთვის სულერთია; არც რა მომემატება და არც რა მომაკლდება, როცა კვლავ ჩემს ფერმას დაუბრუნდება.

ბერნიკი. მაშ, უკან დაბრუნებას აპირებ?

იუჰანი. რა თქმა უნდა.

ბერნიკი. მაგრამ, იმედია, არც ისე ჩქარა.

იუჰანი. არა, რაც შეიძლება, ჩქარა. აქ მხოლოდ ლონას ხათრით ჩამოვედი.

ბერნიკი. ლონას ხათრით?

იუჰანი. დიახ. იცი, რა? ლონა აღარც ისე ახალგაზრდაა და ამ ბოლო ხანს ძალიან მოენატრა სამშობლო. თუმცა ერთი სიტყვაც არ დასცდენია. (ელიზება). აბა, რა? როგორ შეიძლება ბოდა უზედამხედველად დაეტოვებინა ჩემისთანა ჩიტირეკია, რომელმაც უკვე ცხრამეტი წლისამ ასე „ისახელა“ თავი?..

ბერნიკი. მერე, შენ?..

იუჰანი. დიახ, კარსტენ! რა ვქნა, მრცხვენია, მაგრამ უნდა გამოგიტყუდე, რომ...

ბერნიკი. იმედია, ლონასთვის არაფერი გითქვამს.

იუჰანი. საქმეც ისაა, რომ ვუთხარი. ვიცი, რომ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ... შენ წარმოდგენაც არა გაქვს, რა იყო ჩემთვის ლონა. შენ ვერასოდეს ვერ იტანდი მას, მაგრამ მე კი ნამდვილი დედობა გამიწია. რომ იცოდე, რამდენს მუშაობდა პირველ ხანებში. როცა მართლა ძალიან გვიჰირდა. მერე კი, როცა ავად გავხდი და აღარ შემეძლო რაიმე დამეშალა მისთვის, ტრაქტირებში მღეროდა, საჯარო სიტყვებით გამოდიოდა, რისთვისაც მასხრად იგდებდნენ; რალაც სულელური წიგნიც კი დაწერა, რომელსაც შემდეგ თვითონვე დასტიროდა და დასცინოდა, — და ყოველივე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის მოეწეო და მოვერჩინე! ქვა კი არ ვიყავი, რომ ყოველივე ამის შემდეგ გულგრილად მეყურებინა, თუ ჩემზე თავგადაკლულს, მთელი ამ ზამთრის მანძილზე, როგორ ახრჩობდა და აწამებდა უთქმელი სევდა. ეს კი ველარ ავიტანე, კარსტენ! ჰოდა, ვუთხარი: წადი, ლონა, ჩემი დარდი ნუ გექნება, არც ისეთი თავპარიანი ვარ, როგორც შენ გგონიამეთქი. აი, სწორედ მაშინ გაიგო ყველაფერი.

ბერნიკი. მერედა, რა თქვა?

იუჰანი. ადგა და, ჩემის აზრით, სამართლიანად დაასკვნა, რაკილა არავითარი დანაშაული არ მიგიძღვის, ვითომ რა დაშავდება, ორიოდ დღით შენც წამოხვიდეთ? მაგრამ შენ დარდი ნუ გაქვს, ლონას სიტყვაც არ დასცდება, მე, კი, მერწმუნე, ენას მაგრად დავაქერ კბილს.

ბერნიკი. დიახ, დიახ, იმედი მაქვს.

იუჰანი. აი, ჩემი ხელი. მოდი, ნულარ გავიხსენებთ ამ უსიამო
ამბავს. მაღლობა ღმერთს, მეტი სისულელე არც ერთს აღარ
ჩაგვიდენია. ახლა კი მინდა, რაც შეიძლება უკეთ გამოვიყენო
ის ორიოდ დღე. აქ სამყოფად რომ დამრჩა. შენ ვერ
წარმოიდგენ. რა სასიამოვნო იყო სეირნობა ამ დღით... ვინ
იფიქრებდა, რომ ის პატარა გოგოცუნა, რომელიც თეატრში
დარბოდა და ამურებს განასახიერებდა... მაგრამ რა მოუვიდა
მის მშობლებს?

ბერნიკი. მე თვითონაც არაფერი ვიცი, ჩემო ძვირფასო, გარდა
იმისა რაც შენი წასვლის შემდეგ მოგწერე. ხომ მიიღე ორივე
ჩემი წერილი?

იუჰანი. რა თქმა უნდა, ორივე. მაშ, იმ ლოთმა, ბოლოს, მიატოვა?

ბერნიკი. დიახ... შემდეგ გაღეშილი საღვაც გადაიჩეხა და
სასიკვდილოდ დაშავდა.

იუჰანი. მაღამ დორფსაც მას მერე, მგონი, დიდხანს აღარ
უცოცხლია, არა? მაგრამ შენ, ალბათ, ჩუმ-ჩუმად ეხმარებოდი
და ხელს უწყობდი, როგორც შეგეძლო.

ბერნიკი. ოო, მეტისმეტად ამაყი იყო, სიტყვაც არავისთან
დასცდენია და ხელაღებით უარყოფდა ყოველგვარ დახმარე-
ბას.

იუჰანი. შენ კი, ყოველ შემთხვევაში, კარგად მოქცეულხარ, რომ
ღინა წამოგიყვანია.

ბერნიკი. დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, ეს, კაცმა რომ თქვას,
მარტას საქმეა.

იუჰანი. მაშ, მარტამ?.. ჰო, მართლა, რა იქნა დღეს?..

ბერნიკი. მარტა? რა ვიცი, თუ სკოლაში არ არის, თავის
ავადმყოფებთან წავიდოდა.

იუჰანი. ესე იგი, სწორედ მარტამ იზრუნა ობოლზე?

ბერნიკი. დიახ. მარტას ყოველთვის უცნაური მიდრეკილება
ჰქონდა მასწავლებლობისაკენ. ამიტომაც მოეწყო საქალაქო
სასწავლებელში, და დიდი სისულელეც ჩაიდინა.

იუჰანი. ჰო, მართლა, გუშინ ისეთი დაღლილი და გაწამებული
სახე ჰქონდა. მასწავლებლობა ადვილი საქმე როდია, და მეც
მეშინია, ვაითუ ჯანმრთელობამ უმტყუნოს.

ბერნიკი. არა, ჯანმრთელობის მხრივ, ჯერ კიდევ არა უშავს რა.
მაგრამ მე?.. რას იტყვის ხალხი? და ვერ შეუნახავსო.

იუჰანი. შეუნახავსო? მე მეგონა, მარტას თავისი შემოსავალი ჰქონდა.

ბერნიკი. არც ერთი გროში. შენ, ალბათ, გახსოვს, როგორ აერ-დაერია დედაჩემს საქმე. შენი წასვლის შემდეგ, ჩემი დახმარებით, ასე თუ ისე, ჭერ კიდევ გადიოდა ფონს. მაგრამ პირადად მე არავეითარი გამორჩენა არა მქონია. მაშინ ავდექი და კომპანიონად შევედი ფირმაში, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. ამიტომაც იძულებული ვიყავი, მე თვითონ ჩავდგომოდი ფირმას სათავეში, და, აი, როცა ყველაფერი დავიანგარიშეთ, გამოირკვა, რომ დედაჩემი: ოთქმის აღარაფერი ებადა. საცოდავს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია... ასე და ამრიგად, მარტა ხელცარიელი დარჩა.

იუჰანი. საწყალი მარტა!

ბერნიკი. საწყალი? ვითომ რატომო? ხომ არ გგონია, უკირს? არა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემისთანა ძმობას ბევრი ვერავენ გასწევს. რა თქმა უნდა, ცხოვრებით ჩემთან ცხოვრობს, ყოველთვის ერთად ვსადილობთ, მისი ხელფასი კი სავსებით საკმარისია საიმისოდ. რომ რიგიანად ჩაიცივას. მეტი რა უნდა მარტოხელა ქალს?

იუჰანი. კმ! ჩვენთან, ამერიკაში, ცოტა სხვანაირად ფიქრობენ.

ბერნიკი. რა თქმა უნდა! ამერიკაში ყველაფერი მოწამლულია პროპაგანდით. ჩვენს პატარა ქალაქში კი, მაღლობა ღმერთს, ჭერ კიდევ არ შემოუღწევია ამ ქირს. ჩვენი ქალები სავსებით კმაყოფილნი არიან თავიანთი მოკრძალებული ხვედრით. თუმცა მარტამ თავის თავს დააბრალოს. რომ მოენდომებინა, აქამდე...

იუჰანი. შენ გინდა თქვა, რომ გათხოვდებოდა?

ბერნიკი. და კარგ ბედშიაც ჩავარდებოდა. რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, იცი, რამდენი მთხოვნელი ჰყავდა? უცნაურია, აბა, რა: უმზითვო ქალი, აღარც ისე ახალგაზრდა და, თანაც, რა მზეთუნახავი ეგა მყავს?

იუჰანი. რა, მზეთუნახავი?..

ბერნიკი. არა, რა მისი ბრალია? კაცმა რომ თქვას, არც მინდა სხვანაირი იყოს. ჩვენისთანა დიდ ოჯახში ყოველთვის საჭიროა მარტასნაირი ქალი.

იუჰანი. კი მაგრამ, აბა, ერთი მარტასაც ვკითხვით...

ბერნიკი. რა უნდა ვკითხვით? განა ცოტასა ნიშნავს, რომ მარტო არ არის? არც საქმე აკლია და არც საზრუნავი. აგერ — მე, ბეტი, ულაფი. ხომ არ შეიძლება, რომ აღამიანმა — და, მით უმეტეს, ქალმა — მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქროს? თვითეული ჩვენგანი მეტ-ნაკლებად ვრცელი საზოგადოებრივი

ერთეულის წევრია და შეძლებისდაგვარად უნდა ემსახურებოდეს მას. ყოველ შემთხვევაში, მე, პირადად ასე ვიქცევი.

მარჯნიდან შემოდის საქმეთა მმართველი კრაპი.

აი, საბუთი. შენ გგონია, ჩემთვის მცალია? მეტი არაა ჩემი მტერი. (კრაპს მიუბრუნდება). აბა!

კრაპი (ქალაღების დასტას უჩვენებს; ხმადაბლა). ყველა ნასყიდობის ქალაღი მზადაა.

ბერნიკი. ძალიან კარგი! ძალიან კარგი!.. აბა, ახლა კი უნდა მომიტეო, ჩემო ძვირფასო... (ხმადაბლა, მრავალმნიშვნელოვნად). ერთხელ კიდევ მადლობას გიხდი, იუჰან! დამერწმუნე, თუ დაგჭირდა, თავს არ დაეზოგავ შენი გულისთვის... ხომ გესმის ჩემი?.. წავიდეთ, წავიდეთ, ბატონო კრაპ.

ბერნიკი და კრაპი კაბინეტში გადიან.

იუჰანი (ერთხანს უხმოდ აყოლებს თვალს). კმ!.. (ბაღში ჩასვლას აპირებს, მაგრამ ჩერდება, რადგანაც თვალს მოჰკრავს მარჯნიდან შემოსულ მარტას, რომელსაც კალათა უჭირავს ხელში). გამარჯობა, მარტა.

მარტა. აპ, ეს შენა ხარ, იუჰან?

იუჰანი. ასე დილაადრიან საით გაგიწევია?

მარტა. პატარა საქმე მაქვს. ცოტაც მოითმინე; დანარჩენები, ალბათ, მალე მოვლენ. (ხელმარცხნივ აპირებს გასვლას).

იუჰანი. მოიცა, მარტა; შენ არასოდეს არა გცალია, ყოველთვის სადღაც მიგეჩქარება.

მარტა. მე?

იუჰანი. გუშინაც თითქოს თავს მარიღებდი, — ერთი სიტყვაც ვერ გითხარი, — და, აი ღღესაც...

მარტა. კი მაგრამ...

იუჰანი. უწინ კი, თუ გახსოვს, განუყრელი მეგობრები ვიყავით... ერთად ვიზრდებოდით, ერთად ვთამაშობდით...

მარტა. აპ, მას შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა, იუჰან.

იუჰანი. სულ რაღაც თხუთმეტმა წელმა... რას იტყვი, ძალიან შევიცვალე?

მარტა. შენ?.. დიახ, შენც, თუმცა...

იუჰანი. რა?

მარტა. არა, არაფერი.

იუჰანი. როგორც ვატყობ, ჩემი ჩამოსვლა მაინცდამაინც არ გაგხარებია.

მარტა. მე დიდხანს ვიცდიდი, იუჰან... ძალიან დიდხანს...

იუჰანი. ჩემს ჩამოსვლას ხომ არ უცდიდი?

მარტა. დიახ.

იუჰანი. კი მაგრამ, შენის აზრით, რატომ უნდა ჩამოვსულიყავი?

მარტა. იმიტომ, რომ დანაშაული გამოგესყიდა.

იუჰანი. მე?

მარტა. ხომ არ დაგავიწყდა, რომ შენი წყალობით სირცხვილსა და სილატაკეში დალია სული ერთმა საბრალო ქალმა? რომ შენი წყალობით სიცოცხლის უკეთესი წლები მოეწამლა ობოლ გოგონას?

იუჰანი. და შენ მეუბნები ამას, მარტა? ნუთუ შენს ძმას არასოდეს...

მარტა. რა?

იუჰანი. ნუთუ არასოდეს... არა, მე მინდოდა მეთქვა, ნუთუ ერთი სიტყვაც არასოდეს დასცდენია ჩემს გასამართლებლად?

მარტა. აჰ, იუჰან, ხომ იცი, რა მკაცრია კარსტენი ამ მხრივ?

იუჰანი. კმ... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ ვინ იცნობს?... კეთილი... ეს-ესაა ველაპარაკე. ჩემის აზრით, კაი გვარიანად შეცვლილა.

მარტა. რას ამბობ? კარსტენი ყოველთვის ისეთი კეთილი იყო.

იუჰანი. არა, მე სულ სხვა რამეს... მოდი, მოვეშვათ ამას... კმ... ახლა კი მესმის, რატომ მიყურებდი ასე. შენ, ალბათ, შეცთომილი ძის დაბრუნებას ელოდი.

მარტა. მომისმინე და გეტყვი, რატომაც გიყურებდი ასე, იუჰან. (ხელით ანიშნებს ზალზე). ხომ ხედავ ვის ეთამაშება ულაფი? დინას. გახსოვს ის უთავბოლო წერილი, წასვლისას რომ გამომიგზავნე? შენ მთხოვდი, ჩემი გჭეროდესო. ჰოდა, მეც მჭეროდა, იუჰან. ყოველივე ცუდს, რაზედაც აქ შემდეგ ამდენს ლაპარაკობდნენ, მე მხოლოდ შეცდომასა და თავქარიანობას მივაწერდი, და არა ბოროტ ნებას.

იუჰანი. ეგ როგორ გავიგო?

მარტა. ოო, ვითომ არ გესმის! მაგრამ მოვეშვათ ამას. წასვლით აუცილებლად უნდა წასულიყავი, რათა ახალი ცხოვრება დაგეწყო. ამიტომაც მე — შენი სიყრმის მეგობარმა შეგცვალე აქ. მე ვიტვირთე ყველა ის მოვალეობა, რომლებიც შენ ან დაივიწყე, ანდა მათი შესრულება ველარ შესძელი. ამას მხოლოდ იმიტომ გეუბნები, რომ ეს მაინც აღარ წამოსძახო შენსავე თავს. საბრალო ობოლ გოგონას მე გავუწიე დედობა, აღვზარდე, როგორც შემეძლო...

იუჰანი. და ამას შესწირე მთელი სიცოცხლე?

მარტა. არა, მთელი სიცოცხლე — არა. მაგრამ შენ ძალიან დაიგვიანე, იუჰან.

იუჰანი. მე რომ შემეძლოს, ყველაფერი გაგიმელავნო, მარტა... მაგრამ, ექ!.. ნება მიბოძე, მადლობა მაინც გადაგიხადო ესოდენ ერთგული მეგობრობისთვის.

მარტა (სევდიანი ლიმილით). ჰმ... ასე რომ, ყველაფერი გავარკვიეთ, იუჰან... სსუ... ვილაყა მოდის. მშვიდობით, მეტი აღარ შემეძლია. (ხელმარცხნივ გადის).

ბალიდან შემოდის ლონა; მას კვალდაკვალ მოჰყვება ბეტი.

ბეტი (ბალშივე). თუ ღმერთი გწამს... ეს როგორ იქნება, ლონა? ლონა. მომეშვი, აუცილებლად უნდა მოველაპარაკო.

ბეტი. კი მაგრამ, ამას ხომ საშინელი აყალ-მაყალი მოჰყვება? აა, შენ ჯერ კიდევ აქა ხარ, იუჰან?

ლონა. აბა, აქედან მოუსვი, ჩემო ძვირფასო! რას იკლავ თავს ამ დახუთულ ოთახში? ბალში ჩადი, დინას დაელაპარაკე.

იუჰანი. მეც სწორედ მაგას ვაპირებდი.

ბეტი. კი მაგრამ...

ლონა. ერთი ეს მითხარი, ჯონ, კარგად დაუევირდი დინას?

იუჰანი. მე მგონია, კი.

ლონა. ცოტა უკეთ უნდა დაუევირდე, ჩემო ძვირფასო. იცოდე, საშენოა.

ბეტი. ლონა!

იუჰანი. საჩემო?

ლონა. ჰო-მეთქი... აბა, მოუსვი!

იუჰანი. სიამოვნებით. (ბალში ჩადის).

ბეტი. არ გამაგიჟო, ლონა! ნუთუ მართლა სერიოზულად...

ლონა. ღმერთმანი. ამისთანა ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე, ხალასი და ალალმართალი გოგო ზედგამოჭრილია ჯონისთვის. სწორედ ამნაირი ცოლი სჭირდება. აქამდე, როგორც შემეძლო, ვუვლიდი, მაგრამ ახლა დავბერდი, დავჩაჩანაკდი.

ბეტი. კი მაგრამ, დინა! დინა ღორფი? დაფიქრდი, ლონა!

ლონა. უწინარეს ყოვლისა, მე ჩემი ბიჭის ბედნიერებაზე ვფიქრობ და სწორედ ამიტომ ვერევი, თორემ თვითონ... მეტი არაა ჩემი მტერი... ქალებს ზედაც არ უყურებს.

ბეტი. ვინ? იუჰანი! კი მაგრამ, იმ სამწუხარო ამბის შემდეგ, რაც აქ...

ლონა. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ნულარ გამახსენებ ამ სისულელეს! სადაა ბერნიკი? უნდა მოველაპარაკო.

ბეტი. არა, არა, ლონა!

ლონა. აუცილებლად! თუკი ერთმანეთი მოსწონთ? ვითომ რითი არ არიან შესაფერისნი? ბერნიკი კკუის კოლოფია, ყველაფერს მოაგვარებს.

ბეტი. შენ გგონია, რომ ეგ თქვენი ამერიკული ქარაფშუტობა ჩვენშია?..

ლონა. სისულელეა, ბეტი!

ბეტი. ანდა მორალის საკითხში ისეთი მკაცრი კაცი, როგორც კარსტენია...

ლონა. დავიჯერო, მართლა ასეთი მკაცრია?

ბეტი. რაო? როგორა ბედავ?..

ლონა. სულ თავისუფლად... დიახ, თავისუფლად ვბედავ იმის მტკიცებას, რომ ამ მხრივ ბერნიკი დიდად როდი განსხვავდება სხვა კაცებისგან.

ბეტი. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ გაგნელებია ძველი სიძულვილი მის მიმართ! კი მაგრამ, რატომღა დაბრუნდი, თუკი დღემდე ვერ შესძელი იმის დავიწყება, რომ... არა, ნამდვილად არ მესმის, როგორ გაბედე თვალი გაგესწორებინა მისთვის იმ საშინელი შეურაცხყოფის შემდეგ, რაც მაშინ მიაყენე?

ლონა. მაგას კი მართალს ამბობ: ცუდად მოვიქციე, ბეტი, წონასწორობა დავკარგე.

ბეტი. მან კი, სრულიად უდანაშაულომ, რა დიდსულოვნად გააბატია ყველაფერი! მართლაც, რა მისი ბრალია, რომ რაღაც სულელური აზრი აგეკვიატა, თითქოს... მაგრამ მას შემდეგ მეც შეგძულდი. (ტარის). შენ ყოველთვის გშურდა ჩემი ბედნიერება. და ახლაც სწორედ იმიტომ დაბრუნდი, რომ სიცოცხლე გამიმწარო... შენ გინდა მთელ ქალაქს უჩვენო, როგორ „გაეაბედნიერე“ კარსტენი, რა ნათესაობა მომყვა მზითვად! დიახ, ახლა მთელი უბედურება მე დამატყდება თავს და შენი მიზანიც ესაა სწორედ. რა გულღრძობ ხარ და ბოროტი! (აყრებლბული გადის ხელმარცხნივ).

ლონა (თვალს აყოლებს). საწყალი ბეტი!

კაბინეტიდან გამოდის ბერნიკი.

ბერნიკი (კარშივე). კარგი, კარგი, ბატონო კრაპ. სასადილოში ოთხასი კრონი გაგზავნეთ ღარიბებისთვის. (შემობრუნდება). ლონა! (უახლოვდება). მარტო ხარ? ბეტი არ მოვა?

ლონა. არა. დავუძახო?

ბერნიკი. არა, არა, არ გინდა! შენ ვერ წარმოიდგენ, ლონა, რა

მოუთმენლად მოველოდი, როდის მომეცემოდა შენთან გულახდილი ლაპარაკის საშუალება... რათა პატიება მეთხოვა შენთვის.

ლონა. იცი, რას გეტყვი. კარსტენ? რაღა დროს ჩვენი სენტემენტალობაა? აღარ შეგვეფერის.

ბერნიკი. არა, უნდა მომისმინო, ლონა. მე ვიცი, როგორ დაემდაბლდი შენს თვალში, როცა შენთვის ცნობილი შეიქნა ჩემი ურთიერთობა დინას დედასთან. მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამიერი გატაცება. შენ კი მართლა გულწრფელად და თავდავიწყებით მიყვარდი მაშინ.

ლონა. კი მაგრამ, თუ იცი, რისთვის ჩამოვედი?

ბერნიკი. რა განზრახვაც უნდა გქონდეს, გევედრები, ნურაფერს ეცდები მანამ, ვიდრე შენ წინაშე თავის მართლების საშუალებას არ მომცემ. მე შეეძლებ ამას... ყოველ შემთხვევაში, გასამართლებელ საბუთს მაინც მოვძებნი, ლონა.

ლონა. აი, ეს კი სიმბდალეა... შენ ამბობ, ოდესღაც მიყვარდიო. დიახ, წერილებში ხშირად მეფიცებოდი სიყვარულს და, ალბათ, გულწრფელიც იყავი... მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ საზღვარგარეთ სწავლობდი, სადაც ცხოვრება უფრო ლაღია და თავისუფალი, ეს გაძლევდა იმის გამბედაობას, თვითონაც უფრო ლაღად და თავისუფლად აღგექვა ყველაფერი. დიახ, შენ გრძნობდი, რომ მე უფრო მდიდარი ბუნება და მტკიცე ხასიათი მქონდა და უფრო დამოუკიდებელიც ვიყავი, ვიდრე ჩემი თანატოლები. ეგეც არ იყოს, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით და საიდუმლოდ ვინახავდით ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, არავის შეეძლო საცინლად აეგდე შენი უკუღმართი გემოვნების გამო.

ბერნიკი. რას ამბობ, ლონა?

ლონა. მაგრამ შემდეგ, როცა სამშობლოში დაბრუნდი და შენი ყურით მოისმინე ყველა გესლიანი დაცინვა, სეტყვასავით რომ მაყრიდნენ თავზე; როცა გაიგე, როგორ მასწორებდნენ მიწასთან ჩემი ეგრეთ წოდებული დამთხვეულობის გამო...

ბერნიკი. ისე, მაშინ, მართალი გითხრა, ძალზე გამომწვევად კი გეჭირა თავი.

ლონა. უპირატესად, ამ ჩვენი კაბიანი თუ შარვლიანი ფილისტერების ჭიბრზე... მერე კი იმ მომხიბლავ მსახიობს შეხვდი...

ბერნიკი. ყოველივე ეს მხოლოდ ფუქსავატობა იყო და მეტი არაფერი. დამერწმუნე, მთელ იმ ჭორებში მეთადიცი არ იყო მართალი.

ლონა. შეიძლება. მაგრამ შემდეგ დაბრუნდა ბეტი, სულ მთლად ნორჩი და მომხიბვლელი. ყმაწვილკაცების სათაყვანებელი კერპი და, თანაც, დედის მემკვიდრე. მაშინ როდესაც ჩემზე ხმა დაირბა, რომ გახვრეტილ გროშსაც ვერ მივიღებდი...

ბერნიკი. აი, სწორედ აქ მივადექით მთავარს. ახლა კი ყველაფერს დაუფარავად მოგახსენებ. არა, მე არ მიყვარდა ბეტი; ახალმა სიყვარულმა როდი ამაღებინა შენზე ხელი. ფული მკვირდებოდა, ლონა... რადაც უნდა დამქდომოდა, აუცილებლად უნდა მეშოვა ფული.

ლონა. და ამას პირში მეუბნები?

ბერნიკი. დიახ. მომისმინე, ლონა...

ლონა. მე კი მწერდი, რომ გაგიყვებით შეგიყვარდა ბეტი, მწედ მოუხმობდი ჩემს დიდსულოვნებას და მევედრებოდი, ბეტის ხათრით დამევიწყებინა ყველაფერი, რაც ჩვენს შორის იყო...

ბერნიკი. ხომ გეუბნები, იძულებული ვიყავი-მეთქი.

ლონა. პოდა, ღმერთმანი, არ ვნანობ, რომ მაშინ წონასწორობიდან გამოვედი!

ბერნიკი. ნება მიბოძე, მშვიდად აგიხსნა ჩემი მაშინდელი მდგომარეობა. როგორც მოგეხსენება, დედაჩემი თვითონ იღვა ფირმის სათავეში, მაგრამ საქმისა კი ბევრი არაფერი გაეგებოდა. პარიზიდან სასწრაფოდ გამომიძახეს სახლში. მძიმე დრო იყო; საერთო კრიზისი; მე უნდა გამომესწორებინა ფირმის საქმე. მაგრამ რა დამხედა შინ? მტრისას, — ვერც გაამხელდი სადმე, — ფირმა უფსკრულის პირას იდგა. დიახ, ჩვენს ძველსა და სახელგანთქმულ ფირმას, რომლის სათავე-შიაც უკვე სამი თაობა ენაცვლებოდა ერთმანეთს, აშკარა კრახი, სრული გაკოტრება ემუქრებოდა. მეტი რა დამარჩენოდა ერთადერთ მემკვიდრეს, გარდა იმისა, რომ ფირმის გადასარჩენად საკურო სახსრები გამომეძებნა?

ლონა. მაშ, შენ ქალის ხარჯზე გადაარჩინე ფირმა „ბერნიკი“?

ბერნიკი. ვითომ არ იცი, რომ ბეტის ვუყვარდი.

ლონა. კი მაგრამ, მე?

ბერნიკი. დამერწმუნე, ლონა, შენ არასოდეს არ იქნებოდი ბედნიერი ჩემს გვერდით.

ლონა. ესე იგი, ჩემსავე ბედნიერებას შემწირე მსხვერპლად?

ბერნიკი. ნუთუ გგონია, რომ ანგარება მამოძრავებდა? მე რომ მარტო ვყოფილიყავი, სრულიად თავისუფალი და ჩემივე თავის ბატონ-პატრონი, ყველაფერზე ადვილად ჩავიქნევიდი ხელს და თავიდან დავიწყებდი საქმეს. მაგრამ შენ არ იცი, რა განუყრელად ერწყმის კაცი — უზარმაზარი პასუხისმგებლობის შედეგად, — იმ საქმეს, რომელიც მემკვიდრეობით

... ხვდა წილად. იცი თუ არა, რომ მასზეა დამოკიდებული ასობით, მეტიც, ათასობით ოჯახის კეთილდღეობა? დამერწმუნე, ფირმა „ბერნიკი“ რომ გაკოტრებულიყო, ეს საშინელ ზემოქმედებას მოახდენდა მთელს საზოგადოებაზე, რომელიც ესოდენ ძვირფასი და ახლობელია ჩვენთვის.

ლონა. მაშ, შენ საზოგადოების გულისთვის ცრუობ მთელი ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში?

ბერნიკი. ვცრუობ?

ლონა. იცის თუ არა ბეტიმ, რა უსწრებდა წინ თქვენს ქორწინებას და რამ გამოიწვია იგი?

ბერნიკი. კი მაგრამ, ასე სრულიად უსარგებლოდ რატომ მომეწამლა სიცოცხლე მისთვის?

ლონა. შენ ამბობ, სრულიად უსარგებლოდო? თუმცა, რა თქმა უნდა, საქმის კაცი შენა ხარ და ვინ გასწავლის, სადაა, ან რაშია სარგებლობა?.. მაგრამ მომისმინე, კარსტენ! ახლა უკვე ჩემი რიგია: მეც მინდა მშვიდად და დალაგებით მოგახსენო ორიოდ სიტყვა. მითხარი, სავსებით ბედნიერი ხარ ამჟამად?

ბერნიკი. ესე იგი, ოჯახში?

ლონა. რა თქმა უნდა.

ბერნიკი. სავსებით, ლონა. ტყუილად როდი გაიღე ჩემთვის ესოდენ დიდი მსხვერპლი. თამამად შემიძლია გითხრა, რომ ჩემი ბედნიერება წლითი წლობით სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ბეტი კეთილია და თვინიერი. რომ იცოდე, ამ თხუთმეტი წლის მანძილზე რა კარგად აულო ალლო და როგორ შეეთვისა ჩემს ხასიათს...

ლონა. კმ!..

ბერნიკი. უწინ, ცოტა არ იყოს, გადაქარბებული წარმოდგენა ჰქონდა სიყვარულზე. მაგრამ. ბოლოს და ბოლოს, შეუერიგდა იმ აზრს, რომ ვნებიანი სიყვარული თანდათანობით უნდა გადაიზარდოს მშვიდსა და აუმღვრეველ მეგობრობაში.

ლონა. მაშ, შეუერიგდა?

ბერნიკი. სავსებით. უნდა მოგახსენო, რომ ჩემთან ყოველდღიურ ურთიერთობას არ შეიძლება გარკვეული შემაკავებელი ზემოქმედება არ მოეხდინა მასზე. აღამიანებმა ერთმანეთისგან უნდა ისწავლონ თავიანთი პირადი მოთხოვნილებების დაოკება, რათა მით უფრო უკეთ ემსახურონ იმ საზოგადოების მოთხოვნილებებს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ეს კვებმარჩიტება თანდათანობით შეითვისა ბეტიმაც, და ახლა ჩვენი ოჯახი სანიმუშოდ ითვლება მთელს ქალაქში.

ლონა. კი მაგრამ, მთელმა ქალაქმა რომ არაფერი იცის შენს სიცრუეზე.

ბერნიკი. სიცრუეზე?

ლონა. დიახ, სიცრუეზე, რომელიც აგერ უკვე თხუთმეტი წელია გრძელდება.

ბერნიკი. შენ ამას სიცრუედ თვლი?

ლონა. დიახ, სამმაგ სიცრუედ! შენ მომატყუე მე, შემდეგ ბეტი და, ბოლოს, იუჰანი.

ბერნიკი. ბეტის არასოდეს მოუთხოვია ჩემთვის სიმართლის თქმა.

ლონა. იმიტომ, რომ არაფერი იცოდა.

ბერნიკი. და არც შენ მომთხოვ... ბეტის ხათრით, გესმის?

ლონა. არა, არ მოგთხოვ. მე შემიძლია ავიტანო დაცინვა: მაგარი ხერხემალი მაქვს.

ბერნიკი. არც იუჰანი მოითხოვს. სიტყვა მომცა.

ლონა. კი მაგრამ, შენ თვითონ, კარსტენ? ნუთუ შენ თვითონ არა გაქვს იმის მოთხოვნილება, რომ ბოლო მოუღო ამ სიცრუეს?

ბერნიკი. მაინც რასა მთხოვ, ნებაყოფლობით ვუმსხვერპლო მაგ შენს სიმართლეს ჩემი პირადი ბედნიერებაცა და საზოგადოებრივი მდგომარეობაც?

ლონა. კი მაგრამ, რა უფლება გაქვს ან ერთის და ან მეორისა?

ბერნიკი. თხუთმეტი წლის მანძილზე, ყოველდღიურად, თანდათანობით ვიხვეჭდი მე ამ უფლებას ჩემი შრომითა და უანგარო მოღვაწეობით, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას ისახავდა მიზნად.

ლონა. დიახ, შენ ბევრი იშრომე როგორც პირადად შენი, ისე სხვების გულისთვისაც. დღეს ყველაზე მდიდარი და ყველაზე გავლენიანი კაცი ხარ მთელს ქალაქში. ძალაუნებურად, ყველა ქედს გიხრის — შენ ხომ წესიერებისა და პატიოსნების უზადო ნიმუში ხარ. შენი ოჯახი სანიმუშოა ყველასათვის. შენი მოღვაწეობა... ასევე სანიმუშო ყველას თვალში. მაგრამ მთელი ეს დიდებული შენობა და, მასთან ერთად, შენი დიდებაც ქვიშაზეა დაფუძნებული. საკმარისია ერთი წამი, ერთადერთი სიტყვა და მთელი ამ სიდიადის ნატამალიც არსად დარჩება, თუკი დროულად არ იხსნი თავს.

ბერნიკი. მაინც რა გინდა, რა მიზნით ჩამოხვედი, ლონა?

ლონა. მე მინდა დაგეხმარო იმაში, რომ ფეხქვეშ ნიადაგი გაიმაგრო, კარსტენ!

ბერნიკი. არა, დახმარება კი არა, გინდა შური იძიო! ვიცოდი, გული მიგრძნობდა! მაგრამ არაფერი გაგივა, ლონა! მხოლოდ

ერთ, ერთადერთ კაცს შეუძლია გადამწყვეტი სიტყვის თქმა, მაგრამ ის ხმას არ ამოიღებს.

ლონა. ვინ, იუჰანი?

ბერნიკი. დიახ, იუჰანი. სხვისი კი არ მეშინია, ვინც რა უნდა თქვას, ყველაფერს უარყოფ. იცოდე, არავის დავინდობ, ვინც ჩემს დალუპვას მოიწადინებს. ერთხელ კიდევ გიმეორებ, არაფერი გაგივა-მეთქი. ის, ვისაც ჩემი დალუპვა შეეძლო, დუმს და... მალე წავა!

მარჯნიდან შემოდის რუმელი და ვიგელანი.

რუმელი. გამარჯობა, გამარჯობა, ჩემო ძვირფასო! კომერსანტებს ყრილობაზე არ დაგვესწრები? დღეს დიდი კამათი გვაქვს რკინიგზის თაობაზე.

ბერნიკი. არასდიდებით არ შემიძლია.

ვიგელანი. კი მაგრამ, ბატონო კონსულო...

რუმელი. შენი დასწრება აუცილებელია, ბერნიკ. ჩვენს წინააღმდეგ მთელი პარტიაა დარაზმული. რედაქტორი ჰამერი და სხვები, რომლებიც ზღვისპირა ხაზს უკერდნენ მხარს, ახლა დამდგარან და გაიძახიან, ახალი პროექტის მიღმა კერძო ინტერესები იმალებაო.

ბერნიკი. თქვენც ადექით და აუხსენით...

ვიგელანი. ჩვენი ახსნა-განმარტება ვის რაში სკირდება, ბატონო კონსულო!

რუმელი. არა, არა, შენ თვითონ უნდა გამოხვიდე. იმდენს კი ველარავეინ გაბედავს, რომ ეკვი შეიტანოს შენში...

ლონა. გასაგებია.

ბერნიკი. ხომ გითხარით არ შემიძლია-მეთქი... ცოტა მაინც მაკალეთ, იქნებ მოვმჯობინდე...

მარჯნიდან შემოდის ადიუნქტი რიორლუნი.

რიორლუნი. მომიტევეთ, ბატონო კონსულო, საშინლად აღშფოთებული ვარ...

ბერნიკი. რა მოგივიდათ?

რიორლუნი. ერთი რამე უნდა გკითხოთ, ბატონო კონსულო: ვინ მისცა თქვენს სახლში მცხოვრებ ერთ ყმაწვილ ქალს იმისი ნება, რომ ქუჩა-ქუჩა ისეირნოს იმ კაცთან ერთად, რომელსაც...

ლონა. ვის გულისხმობთ, ბატონო პასტორო?

რიორლუნი. კაცს, რომელსაც ის უფრო მეტად უნდა უფროთხოდეს და გაურბოდეს, ვიდრე... ვისაც გნებავთ ამქვეყნად.

ლონა. ოჰო!

რიორლუნი. თქვენ მიეცით ამის ნება, ბატონო კონსულო?
ბერნიკი (ქლასა და ხელთათმანებს ეძებს). მე არაფერი არ ვიცი.
მომიტყვეთ. სხდომაზე მაგვიანდება.

ბალიდან შემოდის ჰილმარ ტენესენი და მეორე მარცხენა კარისკენ მიეპარტება.

ჰილმარი. ბეტი! ბეტი! არ გეყურება?

ბეტი (კარში გამოჩნდება). რა გინდა?

ჰილმარი. ახლავე უნდა ჩახვიდე ბაღში და ბოლო მოუღო ერთი ვაჟბატონის კურკურს ამ დინა დორფთან. ლამის ნერვები დამაწყდა. ერთი მოგასმენინა, რას ამბობს!

ბეტი. რაო, მაინც რას ამბობს ეს ვაჟბატონი?

ჰილმარი. ჩასციებია, გინდა თუ არა, ჩემთან წამოდი ამერიკაშიო, არც მეტი და არც ნაკლები. უჰ!

რიორლუნი. წარმოგიდგენიათ?

ბეტი (ჰილმარს). რას ამბობ?

ლონა. ნეტავი მართლა წამოვიდოდეს!

ბერნიკი (ჰილმარს მიუბრუნდება). შეუძლებელია. ალბათ, მოგეჩვენა.

ჰილმარი. მაშინ თვითონა ჰკითხე. აი, აგერ მობრძანდება ეს ჩვენი მშვენიერი წყვილი. ოლონდ, თუ ღმერთი გწამს, მე ნუ გამკრეც.

ბერნიკი (რუმელს და ვიგელანს). ახლავე დაგეწვეით...

რუმელი და ვიგელანი ხელმარჩნივ გადიან. ბალიდან შემოდის იუჰანი და დინა.

იუჰანი. ვაშა, ლონა! მოდის, ჩვენთან მოდის!

ბეტი. იუჰან!.. ხომ არ გაგიჟდი?

რიორლუნი. წარმოგიდგენიათ? ვაი სირცხვილო! კი მაგრამ, როგორ აცთუნეთ?..

იუჰანი. აბა, აბა! რას ამბობთ, ჩემო ძვირფასო?

რიორლუნი. მიპასუხეთ. დინა! თქვენ თვითონ?.. თქვენი ნებით?

დინა. აქედან უნდა წავიდე.

რიორლუნი. კი მაგრამ. მასთან?.. მასთან?..

დინა. მიჩვენეთ მეორე კაცი, რომელსაც ეყოფოდა გამბედაობა, თან წავეყვანე.

რიორლუნი. მერედა, იცით კია, ვინ არის?

იუჰანი. ჩუმად!

ბერნიკი. ხმა არ ამოიღოთ!

რიორლუნი. მაშინ ცუდი მსახური ვიქნებოდი იმ საზოგადოებისა, რომლის ზნეობრივ საწყისთა დარაჯადაც მე დამაყენეს. რითიღა გავამართლებდი ჩემს საქციელს იმ ყმაწვილი ქალის

მიმართ, რომლის აღზრდაშიაც პატარა წვლილი როდი მიმიძღვის და რომელიც მე...

იუჰანი. ფრთხილად!

რიორლუნი. არა, ყველაფერი უნდა გაიგოს! დინა, -ეს კაცი დედათქვენი უბედურების მიზეზია!

ბერნიკი. ბატონო ადიუნქტო!

დინა. რაო?! (იუჰანს). მართალია?

იუჰანი. შენ უპასუხე, კარსტენ!

ბერნიკი. ხმა, კრინტი! ახლა ახსნა-განმარტების დრო არ არის!

დინა. მაშ, მართალია?

რიორლუნი. დიახ, მართალია, მართალი! ეს კიდევ რაა?! კაცი, რომელსაც თქვენ ენდობით, ხელცარიელი როდი გაქცეულა აქედან... ბერნიკების სალარო... თვითონ ბატონი კონსული დაგიდასტურებთ!

ლონა. სტყუი!

ბერნიკი. ა!..

ბეტი. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

იუჰანი (ხელახელ მიიწევს ადიუნქტზე). როგორ მიბედავ?..

ლონა (წინ გადაუდგება). ხელი არ ახლო, იუჰან!

რიორლუნი. გაუშვით. დამარტყას, დამარტყას! მაგრამ სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს. ეს კი სიმართლეა. თვითონ კონსული ამბობდა და მთელმა ქალაქმა იცის... აი, დინა, ახლა ხომ იცნობთ ამ კაცს?..

ხანმოკლე პაუზა.

იუჰანი (ხელს ჩააუღებს ბერნიკს, ხმადაბლა). კარსტენ, კარსტენ! ეს რა ჩაიდინე!

ბეტი (აცრემლებული; ჩურჩულით). ვაი სირცხვილო! ეს რა დღეში ჩაგაგდე, კარსტენ!

ხანსტადი (სწრაფი ნაბიჯით შემოდის მარჯვნიდან და კარის სახეღურზე ხელჩაქიდებული ჩერდება). დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, ბატონო კონსულო! რკინიგზის საქმე ბეწვზე ჰკიდია.

ბერნიკი (უბწოლ). რაო?.. ეს რა ხდება?.. რა ვქნა ახლა მე?..

ლონა (მტკიცედ, სერიოზულად). წადი, შენ ხომ საზოგადოების ბურჯი ხარ, სიძე ბატონო!

ხანსტადი. დიახ, დიახ, დაუჩქარეთ! ახლა ჩვენ გვეკირდება მთელი თქვენი მორალური ავტორიტეტი.

იუჰანი (ბერნიკს, ხმადაბლა). ხეალ მოვილაპარაკებთ, ბერნიკ. (ბალში ჩაღის).

ხანსტადი ხელმარჯვნივ გადის; ბერნიკი ანგარიშმიუხედავად მიჰყვება უკან.

მესამე მოქმედება

იქვე.

მარცხნიდან შემოდის საშინლად აღელვებული ბერნიკი; ხელში წკეპლა უკირავს; კარს ნახევრად ღია ტოვებს.

ბერნიკი. დიახ! ასე მოუხდება! კაი ხანს ემახსოვრება! (ვილასს მიმართავს მეზობელ ოთახში). რაო, რას ამბობ?... მე კი გეუბნები, უკუყო დედა ხარ-მეთქი! მიდი, მიდი, ეფერე, ელოლიავე, გაანებიერე!.. არამზადა!.. რაო, არამზადა არ არისო? აბა, რა არი? ვითომ საფიქრალი და სადარღებელი მაკლია? ის კი ღამით იპარება სახლიდან, მეთევზის ნავში ჯდება და თითქმის მთელი დღე იკარგება. გული გადამიტრიალდა! ახლა კი ეს ლაწირაკი იმუქრება, სახლიდან გაეიქცევიო. აბა, ერთი გაბედოს და სცადოს!.. შენ?... სულაც რომ დაიკარგოს, ნუ გეშინია, თავს არ მოიკლავ!.. დიახ, დიახ!.. მე კი საქმე მაქვს, გესმის? საქმე, რომელიც ჩემს შემდეგ ვილასს უნდა დაუუტოვო... ამიტომაც არ ვაპირებ უშვილძიროდ გადაგებას... გეყოფა, ბეტი! ჩემს სიტყვას არ გადაეაღ... ფეხს ვერსად გაადგამს, ვთქვი და გაეათავე!.. (რალასს აყურადებს). სსუ! არავინ გაიგონოს!

მარჯვნიდან შემოდის საქმეთა მმართველი კრაპი.

კრაპი. თუ შეიძლება, ერთი წუთით, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. შეიძლება, შეიძლება. ვერფიდან მოდიხართ?

კრაპი. დიახ. ჰმ...

ბერნიკი. აბა! იმედია, „პალმა“ უკვე...

კრაპი. „პალმას“ შეუძლია ხვალევე აუშვას აფრა, მაგრამ...

ბერნიკი. ...ამასვე ვერ იტყვით „ინდიანაზეც“? ასეც ვიცოდი, რომ ეს უჭიათი კაცი...

კრაპი. არა, ხვალ „ინდიანასაც“ შეუძლია გავიდეს ზღვაში, მაგრამ, ვფიქრობ შორს ვერ წავა.

ბერნიკი. რაო?

კრაპი. მომიტყევით, ბატონო კონსულო, კარი ღიაა, ოთახში კი, თუ არა ვცდები, ვილაც უნდა იყოს...

ბერნიკი (კარს ხურავს). აბა, მაინც რა საიდუმლო გაქვთ?

კრაპი. რა და, ოსტატი ეუნე, როგორც ჩანს, აპირებს მთელი თავისი ტვირთითა და ეკიპაჟითურთ ჩაძიროს „ინდიანა“.

ბერნიკი. ღმერთო დიდებულო! ეგ რამ გაფიქრებინათ?

კრაპი. იმან, რაც ჩემი თვალითა ვნახე, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. მაშ, მითხარით, რაც შეიძლება მოკლედ და ნათლად.

კრაპი. კეთილი. ხომ მოგეხსენებათ, როგორ ჩანჯლდება ყოველგვარი სამუშაო ვერფში მას შემდეგ, რაც ახალი მანქანები დავდგით და ახალი, გამოუცდელი მუშები დავიქირავეთ.

ბერნიკი. დიახ, დიახ.

კრაპი. პოდა, დღეს დილით შევედივარ, და რას ხედავს ჩემი თვალები? ამერიკული გემის რემონტი უკვე დასასრულს უახლოვდება. უზარმაზარი ხერელი ფსკერზე... ხომ იცით, თითქმის მთელი ძირი გამოშპალი აქვს.

ბერნიკი. მერე?..

კრაპი. დიახ. ეს უზარმაზარი ხერელი პირწმინდად ამოქოლილია... ესე იგი, მხოლოდ გარედან გადაუკრავთ ახალი გარსი. ამბობენ, ეუნე მთელი ღამე მუშაობდა ფარნის შუქზეო.

ბერნიკი. მერე, მერე?

კრაპი. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, ჩამაფიქრა. მუშებს შესვენება ჰქონდათ, საუზმობდნენ, და მე შეუმჩნევლად ავიპარე გემზე, რომ კარგად დამეთვალეირებინა ყველაფერი, შიგნიდანაც და გარედანაც. ძნელი იყო ტრიუმში შეღწევა, გემი ხომ გატენილია; სამაგიეროდ. ყველაფერი ჩემი თვალითა ვნახე და დავრწმუნდი, რომ საქმე ცუდადაა, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. ვერ დავიჭერებ, ბატონო კრაპ. ნუთუ ეუნე...

კრაპი. სამწუხაროდ, სრული სიმართლეა. გეუბნებით, საქმე ცუდადაა-მეთქი. დიახ, ყველაფერი გულდასმით დავათვალიერე, მაგრამ ერთი ახალი მორიცი ვერსადა ვნახე ჩადგმული. ხერელი მხოლოდ ამოგმანილია, ამოქოლილი და ფისით გაგოზილი. ერთი სიტყვით, საქმე მიფუჩჩებულა. მეტი არაა ჩემი მტერი, „ინდიანამ“ ნიუ-იორკამდე ვერ ჩააღწიოს. გაბზარული ქოთანავით ჩაიძირება!

ბერნიკი. რა საშინელებაა! როგორ გგონიათ, მაინც რას უნდა ისახავდეს მიზნად ეუნე?

კრაპი. როგორც ჩანს, მას სურს დაამტკიცოს მანქანების უვარგისობა, შური იძიოს და გვაიძულოს უკანვე მივიღოთ დათხოვნილი მუშები.

ბერნიკი. და მზადაა ამას უმსხვერპლოს მთელი ეკიპაჟის სიცოცხლე?

- კრაპი. ამას წინათ. თვითონვე თქვა, „ინდიანას“ ეკიპაჟი აღამიანებისაგან კი არ შედგება, არამედ პირუტყვეებისგანაო.
- ბერნიკი. დავუშვათ, რომ ასეცაა, მაგრამ იმას მაინც რატომ არ ფიქრობს, რომ ეკიპაჟთან ერთად საკმაოდ მსხვილი კაპიტალიც დაილუპება?
- კრაპი. ეუნეს მაინცდამაინც გულზე არ ეხატება მსხვილ კაპიტალი, ბატონო კონსულო.
- ბერნიკი. ეგ კი სწორია; ეუნე აგიტატორია, შფოთისთავი. კი მაგრამ, ასეთი უსინდისობა გაგონილა?.. მომისმინეთ, ბატონო კრაპ, ეს საქმე ჭერ კიდევ გამოძიებას მოითხოვს. სიტყვა არავისთან წამოგცდეთ, თორემ, თუ ხმა დაირხა, ხომ იცით, ჩვენს ვერფს სახელი გაუტყდება.
- კრაპი. რა თქმა უნდა, მაგრამ...
- ბერნიკი. ეცადეთ, მუშების საშუალებო შესვენებისას, როგორმე ერთხელ კიდევ შეაღწიოთ ტრიუმში. მე ასი პროცენტით დარწმუნებული უნდა ვიყო.
- კრაპი. კეთილი, ბატონო კონსულო, მაგრამ ნება მიბოძეთ, გკითხოთ: მერე რას აპირებთ?
- ბერნიკი. რასაკვირველია, პოლიციაში განვაცხადებ. აბა, აშკარა დანაშაულის თანამონაწილენი ხომ არ გავხდებით? ჩემს სინიდისს ლაქა არ უნდა ეცხოს. ვეგეც არ იყოს, ამნაირმა განცხადებამ შეიძლება დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს პრესასა და საზოგადოებაზე. რაკილა დაინახავენ, რომ მთლიანად უკუეგადებ ჩემს პირად ინტერესებს, რათა გზა ეუტიო სამართალს...
- კრაპი. მართალი ბრძანდებით, ბატონო კონსულო.
- ბერნიკი. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ თვითონ ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვიყოთ. მანამდე კი ენას მაგრად დააჭირეთ კბილი.
- კრაპი. ხმას არ ამოვიღებ, ბატონო კონსულო, დამამტკიცებელ საბუთს კი მოგართმევთ. (ბაღში ჩაღის).
- ბერნიკი (ხმადაბლა). დალახვროს ეშმაკმა! არა, არა, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელი. (კაბინეტის კარისკენ მიემართება).
- ჰილმარი (მარჯენიდან შემოდის). გამარჯობა, ბერნიკ! მომილოცავს გუშინდელი გამარჯვება კომერსანტების კრებაზე.
- ბერნიკი. გმადლობ.
- ჰილმარი. ამბობენ, ბრწყინვალე გამარჯვება იყო; გამარჯვება ინტელიგენტი საზოგადო მოღვაწისა სიხარბის, ანგარებისა და ჩამორჩენილი შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლაში. რალა შენი და რალა ფრანგების ექსპედიციის გამარჯვება

კაბილებზე... საოცარია, როგორ მოიკრიბე ძალა გუშინდელი უსიამოვნების შემდეგ...

ბერნიკი. ნუ გამახსენებ.

ჰილმარი. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა ჭერ კიდეც წინაა.

ბერნიკი. რკინიგზას ხომ არ გულისხმობ?

ჰილმარი. დიახ, ალბათ გაიგე, რას აპირებს რედაქტორი ჰამერი.

ბერნიკი (დაძაბულად). არა. მაინც?..

ჰილმარი. ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა. სწორედ ეს დაიხვია ხელზე და ახალ სტატიას აცხობს.

ბერნიკი. რა მითქმა-მოთქმა?

ჰილმარი. რა ვიცი, ამბობენ რკინიგზის ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთებს იძენენო.

ბერნიკი. რას მეუბნები? მართლა ლაპარაკობენ?

ჰილმარი. მთელ ქალაქში... კლუბში ვიყავი და ჩემი ყურით მოვისმინე ყველაფერი. ამბობენ, ერთმა ჩვენმა ადვოკატმა დავალება მიიღო, საიღუმლოდ შეისყიდოს მთელი ტყე, საბადოები და წყალვარდნილებიცო...

ბერნიკი. კი მაგრამ, იმასაც თუ ამბობენ... ვისთვისაო?

ჰილმარი. კლუბის წევრებს ჰგონიათ... რომელიღაც მეზობელი ქალაქის კომპანიისთვისო, რომელსაც გაუგია ახალი პროექტის ამბავი და დაუყოვნებლივ შესდგომია საქმის გაჩარხვას, სანამ უძრავი ქონება ჭერ კიდეც არ გაძვირებულა... არამზადები! უჰ!

ბერნიკი. არამზადები?

ჰილმარი. არამზადები არიან, აბა, რა? რა დაჰკარგვიათ. რას დაეძებენ ჩვენში? თანაც, ერთი ჩვენი ადვოკატიც რომ მათ ემსახურება? აი, ნახავ. თუ მალე მთელი მოგება ამ გაქნილ საქმოსნებს არ დარჩეთ!

ბერნიკი. კი მაგრამ, ჭერჭერობით ეს მხოლოდ მითქმა-მოთქმაა და მეტი არაფერი.

ჰილმარი. ხალხს კი სჯერა და... ხვალ კი რედაქტორი ჰამერი ამ მითქმა-მოთქმას ფაქტის სახით მიაწვდის თავის მკითხველებს. კლუბში ყველა აღშფოთებული იყო. ბევრი იმასაც კი ამბობდა, თუ ეს კორი დადასტურდა, ხელმოწერის ფურცლებზე ჩვენს გვარებს წავშლითო.

ბერნიკი. შეუძლებელია!

ჰილმარი. რა არის შეუძლებელი? როგორ გგონია, ამ ვაქრუკანებმა ასე ერთსულოვნად მაინც რატომ დაუპირეს მხარი შენს პროექტს? იმიტომ, რომ თვითონაც ნერწყვს ულაპავდნენ მსუქანი ლუკმის მოლოდინში...

ბერნიკი. მე კი გეუბნები, შეუძლებელია-მეთქი! ჩვენს პატარა საზოგადოებას იმდენი მოქალაქეობრივი გრძნობა მაინც ექნება. რომ...

პილმარი. ჩვენს საზოგადოებას? თუმცა შენ ხომ ოპტიმისტი ხარ და ყველა შენნაირი გგონია. მაგრამ არც მე გახლავარ ურიგო დამკვირვებელი... დამერწმუნე, კაციშვილს ვერ ნახავ ჩვენში, რა თქმა უნდა, ჩვენ ორის გარდა, — დიახ, კაციშვილს ვერ ნახავ, რომ მალლა ეპიროს იდეის დროშა. (ტერასის კართან ჩერდება). უჰ! დასწყევლოს ღმერთმა!

ბერნიკი. რა იყო?

პილმარი. აგერ, ხედავ? ჩვენი ძვირფასი ამერიკელები! (მარჯვენა ფანჯრიდან იყურება). ეს ვინლა ახლავთ? კისერს მოვიჭრი, თუ „ინდიანას“ კაპიტანი არ იყოს. უჰ!

ბერნიკი. ნეტავი რაში დასკირდათ?..

პილმარი. ხომ გაგიგონია, ფერი ფერსაო... ამ ვაუბატონზე ამბობენ, მონებით ვაჭრობდა თუ მეკობრე იყო. ვინ იცის, ეს ჩვენი ამერიკელებიც რას არ სჩადიოდნენ იქ?

ბერნიკი. ღმერთს ნუ სცოდავ.

პილმარი. ჰო, შენ ოპტიმისტი ხარ!.. რა თქმა უნდა, აქეთ მოდიან, რომ კვლავ კისერზე დაგვასხდნენ! სჯობია, დროზე მოვეუსება. (მარცხენა კარისკენ მიდის).

მარჯვნიდან შემოდის ლონა.

ლონა. რას გამირბიხარ, პილმარ?

პილმარი. რას ჰქვია, გაგირბივარ? ბეტისთან მაქვს საქმე. (გეორჯ მარცხენა კარში გადის).

ბერნიკი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). აბა, რას იტყვი, ლონა?

ლონა. მაინც?..

ბერნიკი. რა თვალთ მიყურებ დღეს?

ლონა. ზუსტად იმავე თვალთ, გუშინ რომ გიყურებდი. ერთი ტყუილი აქეთ თუ იქით...

ბერნიკი. ყველაფერს აგიხსნი... იუჰანი სადღაა?

ლონა. ახლავე მოვა. ერთ კაცს ელაპარაკება.

ბერნიკი. ყოველივე იმის შემდეგ, რაც გუშინ მოისმინე, ნამდვილად დავიღუპები, თუკი სიმართლე გამომქლავნდა.

ლონა. მესმის.

ბერნიკი. რა თქმა უნდა, მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის იმაში, რის გამოც აქ, თავის დროზე, ამდენი მითქმა-მოთქმა ატყდა.

ლონა. გასაგებია. კი მაგრამ ვინ იყო ქურდი?

ბერნიკი. არავენ. არავეითარი ქურდობა არ მომხდარა. გახვერტილი გროშიც არ დაკარგულა.

ლონა. როგორ?

ბერნიკი. გეუბნები, გახვერტილი გროში რა არის, ისიც კი არ დაკარგულა-მეთქი.

ლონა. აბა ეს საზიზლარი მითქმა-მოთქმა რაღა იყო? ვინ დაყარა ხმა, თითქოს იუჰანმა...

ბერნიკი. ლონა, მე მგონია, შენთან შემიძლია ისე გულახდილი ვიყო, როგორც არავისთან. ამიტომაც არაფერს არ დაგიმაღავე. ამ ხმის გავრცელებაში ნაწილობრივ მე მიმიძღვის ბრალი.

ლონა. შენ? კი მაგრამ, რა სინიღისმა მოგცა, ჩირქი მოგეცხო იმ კაცისათვის, რომელიც შენს გამო...

ბერნიკი. მთლად ნუ გამწირავ, ლონა, გაიხსენე ჩემი მაშინდელი მდგომარეობა. გუშინ ხომ ყველაფერი გიაშბე. სამშობლოში რომ დავბრუნდი, მტრისას, რაც მე აქ დამხვდა. დედაჩემის რამდენიმე წინდაუხედავი ნაბიჯის წყალობით საქმე უკულმა წასულიყო. მარცხი მარცხს მოსდევდა. თითქოს ყველა უბედურება ერთად უნდა დაგვტყდომოდა თავზე. ფირმა უფსკრულის პირას იდგა. სასოწარკვეთილებისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა... ღმერთმანი, თავდავიწყების სურვილმა გადაამადგმევინა ის სულელური ნაბიჯი, რის გამოც იუჰანი იძულებული შეიქნა აქედან გადაკარგულიყო...

ლონა. კმ...

ბერნიკი. შენ, ალბათ, თვითონაც ხედები, რომ თქვენმა წასვლამ, რაღა თქმა უნდა, გაუთავებელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბობდნენ, რომ ეს იუჰანის პირველი მიქარვა როდი იყო; რომ თითქოს დორფს კაი გვარიანი თანხა ჩაუთვალა, რათა მშვიდობიანად გასცლოდა; სხვები ამტკიცებდნენ, რომ ეს თანხა დორფმა კი არა, თითქოს მისმა ცოლმა მიიღო. მეორე მხრივ, უკვე შეუძლებელი ხდებოდა იმის დაფარვა, რომ ფირმა შავ ღღეში იყო. სავსებით ბუნებრივია, რომ კორიკნებმა ერთმანეთს დაუკავშირეს ეს ორი ამბავი. მაგრამ რაკი დორფის ცოლი აქ დარჩა და ლამის შიმშილით ხდებოდა სული, ახლა იმის მტკიცებას მოჰყვენენ, რომ იუჰანმა მთელი თანხა ამერიკაში გაიტაცა, და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მიეთ-მოეთის წყალობით, მით უფრო იზრდებოდა ზემოხსენებული თანხის რაოდენობა.

ლონა. კი მაგრამ, შენ, კარსტენ?

ბერნიკი. მე ისე ჩავებლაუქე ამ მითქმა-მოთქმას, როგორც წყალწალბებული — ხავსს.

ლონა. და ხელი შეუწყე მის გავრცელებას?

ბერნიკი. არა, მაგრამ არც უარმიყვია. კრედიტორები გვახრჩობდნენ. როგორმე უნდა დამეშოშმინებინა ისინი, რათა ექვი არავის შეჰპარვოდა, რომ ფირმა კვლავ მტკიცედ იდგა ფეხზე. იძულებული ვიყავი, დროებითი სიძნელეები მომემიზებებინა, მევეალეებს გადაკვრით ვაგრძნობინებდი, რომ სრულიად მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავს და ვთხოვდი, ედროვებინათ, — მაცაღეთ, სული მოვითქვა, და მალე ამოვალ თქვენი ვალებიდან-მეთქი.

ლონა. და მართლაც ამოხვედი?

ბერნიკი. დიახ. სწორედ ამ მითქმა-მოთქმამ გადაარჩინა ჩვენი ფირმა და იმად მაქცია. რაც ღლესა ვარ, ლონა.

ლონა. მამასადამე, სიცრუემ გაქცია იმად, რაც ახლა ხარ?

ბერნიკი. მაგრამ ამ სიცრუეს ხომ არ შეეძლო მაშინ, ვინმესთვის მიეყენებინა ვნება. იუჰანმა მტკიცედ გადაწყვიტა, აღარასოდეს დაბრუნებულიყო სამშობლოში.

ლონა. შენ ამბობ, არ შეეძლო ვინმესთვის მიეყენებინა ვნებაო. მაგრამ კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე: განა შენ თვითონ კი არა გავნო რა?

ბერნიკი. აილე, ვინც გნებავს, — ვერ ნახავ სულს, ერთი შავი ლაქა მაინც რომ არ აჩნდეს, რომელსაც ყველა საგულდაგულოდ მალავს.

ლონა. და თქვენ... საზოგადოების ბურჯებად იწოდებით?

ბერნიკი. ჩვენს საზოგადოებას უფრო საიმედო საყრდენი არ გააჩნია.

ლონა. მაშინ ვაი ამ საზოგადოებას! რა ყრია მასში? გარეგნული ბრწყინვალეობა და შინაგანი სიცრუე. მეტი არაფერი. აი, შენ პირველი კაცი ხარ მთელს ქალაქში, არაფერი გაკლია, არც სიმდიდრე, არც პატივი და არც გავლენა, მაგრამ ჩირქი კი მოსცხე სრულიად უდანაშაულო მოყვასს.

ბერნიკი. შენ გგონია, მწარედ არ განვიციდი ჩემს დანაშაულს მის წინაშე? შენ გგონია, რამეს დავიშურებ, ოღონდ კი ჩემი შეცოდება გამოვისყიდო?

ლონა. მაინც, როგორ? სიმართლეს აღიარებ?

ბერნიკი. ნუთუ შენ ამას მოითხოვ ჩემგან?

ლონა. მაშ, რანაირად აპირებ დანაშაულის გამოსყიდვას?

ბერნიკი. მე მდიდარი კაცი ვარ, ლონა. რა იქნება, რომ იუჰანმა მთხოვოს, რაც უნდა?

ლონა. აბა, ერთი ფული შესთავაზე და ნახავ, რა პასუხსაც მიიღებ.

ბერნიკი. თუ იცი მაინც, რას აპირებს?

ლონა. არა. გუშინდელს აქეთ ხმა არ ამოჟლია. თითქოს ერთბაშად იქცა მოწიფულ კაცად, ამ ამბავმა ისე იმოქმედა მასზე.

ბერნიკი. უნდა მოველაპარაკო.

ლონა. აგერ ისიც.

მარჯნიდან შემოდის იუჰანი.

ბერნიკი (ეგებება). იუჰან!..

იუჰანი (ხელით იშორებს). დამაცა, ჭერ მე მათქმევეინე... გუშინ დილას სიტყვა მოგეცი, ხმას არ ამოვიღებ-მეთქი.

ბერნიკი. ღიახ.

იუჰანი. მაგრამ მაშინ ჭერ კიდევ არ ვიცოდი, რომ...

ბერნიკი. ნება მიბოძე, იუჰან, ორიოდ სიტყვით აგიხსნა საქმის არსი...

იუჰანი. არ არის საკირო. შენი ახსნის გარეშეც ყველაფერი მშვენიერად მესმის. ფირმას ცუდად ჰქონდა საქმე, მე წავედი, შენ კი ბოროტად ისარგებლე ამით და ლაფში ამოსვარე ჩემი სახელი. რა გიშლიდა ხელს? მე შენ გეტყვი, ვინმე დამიციავდა ან გამომესარჩლებოდა!.. ნუ გეშინია, არც ისე დიდ დანაშაულად გითვლი ამას. მაშინ ორივე ახალგაზრდები ვიყავით, და ეს ცხოვრება თამაში გვეგონა. მაგრამ ახლა მე ძალიან მჭირდება, რომ სიმართლე გამჟღავნდეს. და შენ ვალდებული ხარ ყველაფერი აღიარო.

ბერნიკი. მე კი სწორედ ახლა ყველაზე მეტად მჭირდება მთელი ჩემი მორალური ავტორიტეტი და ამიტომ სიმართლეს ვერ ვაღიარებ.

იუჰანი. მე იმ მონაჩმასს როდი ვგულისხმობ, ჩემს შესახებ რომ გაავრცელე მას შემდეგ. რაც ამერიკაში წავედი. არა, მე მოვითხოვ, რომ სხვა მხრივ აღიარო შენი დანაშაული. საქმე ისაა, რომ დინა ღორფი ჩემი ცოლი გახდება, და მე გადაეწყვეტე, მასან ერთად დავსახლდე აქ, ჩვენს ქალაქში.

ლონა. ოჰო!

ბერნიკი. რაო? დინას თხოულობ და აქ აპირებთ ცხოვრებას?

იუჰანი. ღიახ, სწორედ აქ ვაპირებ დარჩენას ამ ქორიკნებისა და ცილისმწამებლების ჭიბრზე. მაგრამ დინა ამ ნაბიჯს არ გადადგამს, სანამ უსაფუძვლო ბრალდებისაგან არ გამათავისუფლებ.

ბერნიკი. კი მაგრამ, იმაზე თუ დაფიქრებულხარ, რომ თუ ერთ დანაშაულს ვაღიარებ, მაშინ მეორეც უნდა ვაღიარო? შენ მეთყვი, შეგიძლია ხარჯთაღრიცხვის წიგნებს ჩახედო და,

ამრიგად, დაამტკიცო, რომ არავითარი ქურდობა არ მომხდარაო — მაგრამ მე ეს არ შემიძლია. მაშინ ხარჯთაღრიცხვას ისე ზუსტად როდი აწარმოებდნენ, როგორც ახლა. თუმცა, კიდევაც რომ შემეძლოს, რას მოვიგებდი ამით? რას ვაფიქრებინებდი ხალხს? ვინ ვიქნებოდი მის თვალში, თუ არა კაცი, რომელიც ერთხელ სიცრუის წყალობით გადაურჩა გაკოტრებას და შემდეგ, მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე ხელს ითბობდა იმავე სიცრუით, ისე, რომ ერთხელაც არ უცდია მისი ამოძირკვა. შენ არ იცნობ ჩვენს საზოგადოებას, თორემ ისიც გეცოდინებოდა, რომ ამნაირმა აღიარებამ შეიძლება საბოლოოდ დამლუპოს.

იუჰანი. ამაზე მხოლოდ ერთს გეტყვი: მე მინდა ცოლად შევიერთო მადამ დორფის ქალიშვილი და მასთან ერთად დავსახლდე ამ ქალაქში.

ბერნიკი (სახეზე ოფს იწმენდს). ყური მიგლე, იუჰან, და შენც, ლონა. დღესდღეობით ჩემი მდგომარეობა სრულიად განსაკუთრებულია. თუ ეს უბედურება დამატყდა თავს, უთუოდ დავიღუპები, და ჩემთან ერთად დაიღუპება საზოგადოების ნათელი მომავალიც, საზოგადოებისა, რომელმაც ჩვენ ყველანი გვშვა და აღგვზარდა...

იუჰანი. კი მაგრამ, თუ ეს უბედურება აიცილე, მაშინ მე დავლუპავ ჩემს ბედნიერებასაც და მომავალსაც.

ლონა. განაგრძე. კარსტენ.

ბერნიკი. მაშ, მომისმინეთ. ყველაფერი რკინიგზის პროექტთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს საქმე არც ისე იოლია, როგორც თქვენ გგონიათ. ალბათ, თქვენც გაიგებდით, რომ შარშან აქ აპირებდნენ ზღვის პირას გაეყვანათ რკინიგზის ხაზი. ამ პროექტს ქალაქშიაც და მთელს ჩვენს კუთხეშიაც ბევრი გაელენიანი მომხრე ჰყავდა; განსაკუთრებული თავგამოდებით იცავენდნენ მას გაზეთები. მაგრამ მე გადაჭრით აღვუდექი წინ, რადგანაც ეს დიდ ზარალს მიაყენებდა ჩვენს საკაბოტაჟო ნაოსნობას.

ლონა. შენც ხომ უშუალოდ დაინტერესებული ხარ იმით, რომ ნაოსნობა მომგებიანი იყოს?

ბერნიკი. დიახ. მაგრამ ამ მხრივ ექვიც არავის აღძვრია. ჩემმა უმწიკვლო სახელმა ფარივით დამიფარა. თუმცა მე პირადად როგორმე გაეუძღლებდი ამ ზარალს, მაგრამ, აი, ქალაქი კი ვერ გაუძღლებდა. სწორედ ამის შედეგი გახლდათ, რომ, ბოლოს და ბოლოს, შიდა ხაზის პროექტზე შევაჩერეთ არჩევანი. რის შემდეგაც მე საიდუმლოდ გამოვიკვლიე ადგილმდებარეობა

და დავრწმუნდი, რომ შეიძლებოდა რკინიგზის ტოტი გამოგვეყვანა ჩვენს ქალაქში.

ლონა. რატომ მაინცდამაინც საიდუმლოდ, კარსტენ?

ბერნიკი. ალბათ, გაიგებდით, ტყის მასივებს, საბადოებს და წყალვარდნილებს იძენნო.

იუჰანი. დიახ; რომელიღაც სხვა ქალაქის კომპანიაზე აქეთ ეპკვი.

ბერნიკი. დღესდღეობით, მთელი ეს უძრავი ქონება, რომელიც სხვადასხვა კერძო პირის ხელშია, თითქმის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ამიტომაც საკმაოდ იაფად იყიდება. მაგრამ თუ შესყიდვას მანამდე გადავდებთ, სანამ ყველა გაიგებდეს რომ გვერდითი ხაზი გამოგვყავს, მესაკუთრენი არნახულ ფასს მოითხოვენ.

ლონა. კი მაგრამ, მერე?

ბერნიკი. აი, სწორედ აქ მივადექით იმას, რაც შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული და რამაც ჩვენს პირობებში შეიძლება ზიანი არ მიაყენოს მხოლოდ იმ კაცს, რომელიც მაღალი ავტორიტეტითა და უზაღო რეპუტაციით სარგებლობს.

ლონა. კერძოდ?..

ბერნიკი. ყველა ეს ნაკვეთი მე შევიძინე.

ლონა. შენ?

იუჰანი. მთლიანად?

ბერნიკი. დიახ. ახლა, თუ გვერდითი ხაზი გავიდა, — მე მილიონერი ვარ; არა და, — ბანკროტი.

ლონა. სარისკო საქმეა, კარსტენ.

ბერნიკი. მთელი ჩემი ავლადიდება სასწორზე დავდე.

ლონა. არა, მე ავლადიდებას როდი ვგულისხმობ. მაგრამ თუ გამეღავენდა, რომ...

ბერნიკი. საქმეც ეგაა სწორედ; ჩემს უმწიკვლო სახელზე დაყრდნობით, მე შემეძლო თამამად მეტყვირთა და ბოლომდე მიმეყვანა ეს საქმე, მერე კი ჩემი თანამოქალაქეებისათვის მეთქვა: აი, შეხედეთ, რა რისკი გავწიე საზოგადო სიკეთის გულისთვის-მეთქი.

ლონა. საზოგადო სიკეთისათვის?

ბერნიკი. დიახ. და ვერც ვერავინ შეიტანდა ექვს ჩემი განზრახვის სიწრფელეში.

ლონა. მაგრამ აქ არიან ადამიანები, რომლებიც გაცილებით უფრო აშკარად, ყოველგვარი ქვენა გრძნობებისა და ფარული ზრახვების გარეშე მოქმედებენ.

ბერნიკი. ვინ?

ლონა. ვინ და, რუმელი სანსტადი და ვიგელანი.

ბერნიკი. ამ „უანგარო“ ხალხის მხარდაჭერა რომ მომეპოვებინა, იძულებული ვიყავი, ყველაფერი გამენდო მათთვის.

ლონა. მერე?

ბერნიკი. გადაკრით მოითხოვეს მოგების მეხუთედი ნაწილი.

ლონა. ესეც თქვენი „საზოგადოების ბურჯნი!“

ბერნიკი. კი მაგრამ, განა თვით საზოგადოება არ გვაიძულებს მრუდე გზებით ვიაროთ? რა გამოვიდოდა ამ საქმიდან, მე რომ აშკარად და ალაღმართლად მემოქმედა? ყველანი მიესეოდნენ მიწის ნაკვეთებს, ატყდებოდა ერთი ტაციობა, შეხლა-შემოხლა, წეწვა-გლეჯა და საბოლოოდ ყველაფერი ჩაფლავდებოდა. ჩემს გარდა მთელს ქალაქში კაცი არ არის, რომ ესოდენ დიდი საქმის წამოწყება შეეძლოს. საერთოდ კი, ყველაზე მაგარ საქმოსნებად ისევ აქ გადმოსახლებული ოჯახები ითვლებიან. ასე რომ, სინიდისი სუფთა მაქვს. მხოლოდ ჩემს ხელში თუ იქცევა მთელი ეს მიწა-წყალი ურიცხვი ხალხის მარჩენლად.

ლონა. ამ მხრივ, შენ, იქნებ, მართალიც იყო, კარსტენ.

იუჰანი. მაგრამ მე არ ვიცი ამ ურიცხვ ხალხს; მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მთელი ჩემი ბედნიერება ბეწვზე ჰკიდია.

ბერნიკი. ისევე, როგორც შენი მშობლიური ქალაქის კეთილდღეობა! თუკი გამელავნდა ის, რამაც შეიძლება ჩირქი მიაყენოს ჩემს წარსულს, ჩემი მოწინააღმდეგეები გააფთრებით დამესხმიან თავს. ჩვენი საზოგადოება კაბუკურ თავქარიანობასაც კი არავის აპატიებს. დაიწყება მთელი ჩემი წარსულის ქექვა, ერთიმეორის მიყოლებით გამოჩხრეკენ ათას წვრილმანს, ერთმანეთში აურევენ ტყუილს და მართალს, და მე კორებისა და ცილისწამების მსხვერპლი გავხდები. ძალაუნებურად მომიწევს რკინიგზაზე ხელის აღება, ხოლო მე თუ უკან დავიხვე, საქმეც ჩაფლავდება, ეს კი ჩემს გაკოტრებასა და სამოქალაქო სიკვდილს ნიშნავს, გესმით?

ლონა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ მოისმინე, იუჰან, ისლა დაგრჩენია. პირში წყალი ჩაიგუბო და აქედან წახვიდე.

ბერნიკი. დიახ, დიახ, იუჰან.

იუჰანი. კეთილი, ხმის ამოუღებლად წავალ, მაგრამ კვლავ დავბრუნდები და მაშინ ვილაპარაკებ.

ბერნიკი. არა, იქ დარჩი, იუჰან, ხელს ნუ შემიშლი და, იცოდე, ვალში არ დაგრჩები...

იუჰანი. შენი ვალი შენავე გქონდეს! მე კი ჩემი შეუბღალავი სახელი დამიბრუნე!

ბერნიკი. და ჩემი გავწირო?

იუჰანი. რაც გინდა, ის ქენი; როგორც გინდა, ისე მოუარე შენს საკუთრებას და მაგ შენს საზოგადოებასაც. მე კი დინას დასაკუთრება მინდა და დავისაკუთრებ კიდევ. ამიტომაც ხეალვე მივდივარ „ინდიანათი“.

ბერნიკი. „ინდიანათი“?

იუჰანი. დიახ. კაპიტანს უკვე მოველაპარაკე. წავალ, ფერმას გავყიდი, ყველაფერს მოვაგვარებ და ორი თვის შემდეგ უკანვე დავბრუნდები.

ბერნიკი. დაბრუნდები და ყველაფერს გაამჟღავნებ?

იუჰანი. დიახ. დაე, შემცოდემ თვითონვე იტვირთოს თავისი ცოდვა.

ბერნიკი. შენ გავიწყდება, რომ მაშინ მე უნდა ვიტვირთო ის ცოდვაც, რაშიაც ბრალი არ მიდევს.

იუჰანი. კი მაგრამ, თხუთმეტი წლის წინათ, ვინ ისარგებლა ამ აღმაშფოთებელი მითქმა-მოთქმით?

ბერნიკი. თავზე ხელს ნუ ამაღებინებ. თუ გამოთქვამ, ყველაფერს უარყვოფ! ვიტყვი, რომ შეთქმულებას და შანტაჟს მიწყობთ ფულის გამოძალვის მიზნით.

ლონა. გრცხვენოდეს, კარსტენ.

ბერნიკი. გეუბნებით, თავზე ხელს ნუ ამაღებინებთ-მეთქი! თორემ აღარავის დავინდობ. ყველაფერს პირწმინდად უარყვოფ, გესმით?

იუჰანი. მე ხელთა მაქვს შენი ორი წერილი. ჩემს ჩემოდანში ვიპოვე სხვა ქაღალდებთან ერთად. ღღეს დილით გადავიკითხე. ყველაფერი ღღესავით ნათელია...

ბერნიკი. და შენ მათ გამომზეურებას აპირებ?

იუჰანი. თუკი დამქირდა?..

ბერნიკი. მაშ, ორი თვის შემდეგ კვლავ დაბრუნდები?

იუჰანი. იმედი მაქვს. ზურგქარი ხელს გვიწყობს და სამი კვირის შემდეგ ნიუ-იორკში ვიქნები... თუ „ინდიანა“ არ დაილუპა.

ბერნიკი (შეკრება). დაილუპა?.. რამ უნდა დალუპოს?

იუჰანი. მეც აგრე მგონია.

ბერნიკი (ძლივს გასაგონად). დაილუპა?..

იუჰანი. ასე რომ, ბერნიკ, მე გაგაფრთხილე: ეცადე, ამ ხანში ყველაფერი მოაგვარო. კარგად იყავი! ჩემი მოკითხვა გადაეცი ბეტის, თუმცა დასავით როდი მიმიღო. მარტას კი

გამოვემშვიდობები. ეთხოვ. სიტყვა მომცეს, რომ დინას
ეტყვის... (ხელმარცხნივ გადის).

ბერნიკი (თავისთვის). „ინდიანა“?.. (უცებ, ხმაძალა — ლონას). არა, არ
გაუშვა, ლონა!

ლონა. რა ექნა, ხომ ხედავ, კარსტენ, რომ ჩემი აღარაფერი ესმის?
(იუჰანის კვალდაკვალ, ხელმარცხნივ გადის).

ბერნიკი (საშინლად აღელვებული). დაილუპა?..

მარჯვნიდან შემოდის ოსტატი ეუნე.

ეუნე. მომიტევეთ, ბატონო კონსულო... ხელი ხომ არ შეგიშალეთ?
ბერნიკი (სწრაფად შემობრუნდება). რა გნებავთ?

ეუნე. ნება მიბოძეთ, ერთი რამ გკითხოთ.

ბერნიკი. ბრძანეთ. მაგრამ, რაც შეიძლება, ჩქარა!

ეუნე. აი, რა: ყოველ მიზეზს გარეშე დამითხოვთ სამუშაოდან...
თუ „ინდიანა“ ხვალ არ გავიდა ზღვაში?

ბერნიკი. კი მაგრამ, აკი უკვე მზადაა გასამგზავრებლად?

ეუნე. რა მოგახსენოთ... ესე იგი, თუ არ გავიდა, აუცილებლად
დამითხოვთ?..

ბერნიკი. რა საჭიროა ეს ფუჭი კითხვები?

ეუნე. ჩემთვის ეს ფუჭი კითხვები არ არის, ბატონო კონსულო.
გულახდილად მიპასუხეთ: დამითხოვთ?

ბერნიკი. ოდესმე თუ მილალატნია ჩემი სიტყვისთვის?

ეუნე. ასე რომ, ხვალ შეიძლება სამუდამოდ დავკარგო ჩემი
მდგომარეობა ოჯახში. ახლო ნაცნობების წრეში?.. დავკარგო
ჩემი გავლენა მუშებზე და ყოველგვარი შესაძლებლობა იმისა,
რომ, ასე თუ ისე, სასარგებლო ვიყო ბედით დაჩაგრულ-
თათვის?

ბერნიკი. ამაზე ლაპარაკი დამთავრებულად მიმაჩნია, ეუნე.

ეუნე. მაშ, ჭანი გავარდეს... „ინდიანა“ ხვალვე გავა.

ხანმოკლე პაუზა.

ბერნიკი. მომისმინეთ, ეუნე, ამ ერთ კაცს ხომ არ შემიძლია
ყველაფერს თვალყური ვადევნო და ყველაფერზე პასუხი
ვაგო? შეგიძლიათ თუ არა მომცეთ იმის გარანტია, რომ
რემონტი კეთილსინდისიერად ჩატარდა?

ეუნე (პირდაპირ პასუხს თავს არიდებს). თქვენ ძალიან ცოტა დრო
მომეცით, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. მაგრამ ხელი ხომ არ დაგიკლიათ?

ეუნე. რაც არი, არი... ზაფხულია, კარგი ამინდი დგას.

პაუზა.

ბერნიკი. სხვა ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი?

ეუნე. არა, მეტი არაფერი, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. ასე რომ, „ინდიანა“ ზღვაში გავა.

ეუნე. ხვალ?

ბერნიკი. დიახ.

ეუნე. კეთილი... (თავს უკრავს და გადის).

ბერნიკი ერთხანს უძრავად დგას: როგორც ჩანს, ყოყმანობს; შემდეგ სწრაფი ნაბიჯით მიემართება კარისაკენ, თითქოს ეუნეს დაბრუნებას აპირებს, მაგრამ კარის სახელურზე ხელჩაკიდებული ჩერდება. იმედროულად, კარი გარედან იღება და შემოდის საქმეთა მმართველი კრაპი.

კრაპი. აჰა, მაშ თქვენთან იყო? ყველაფერი ალიარა?

ბერნიკი. რამე ხომ არ აღმოაჩინეთ?

კრაპი. აღმოსაჩენი რა არის?.. ნუთუ თქვენ თვითონ ვერ შეატყვეთ, რომ სინიდისი სუფთა არა აქვს?

ბერნიკი. სისულელეა. ამის შემჩნევა შეუძლებელია. მე გეკითხებით, რამე ხომ არ აღმოგიჩენიათ-მეთქი?

კრაპი. სამწუხაროდ, დავიგვიანეთ: გემი უკვე დოკიდან გამოჰყავდათ. მაგრამ სწორედ ეს აჩქარება თვალნათლივ მოწმობს, რომ...

ბერნიკი. არაფერსაც არ მოწმობს... კომისიამ ხომ დაათვალიერა?

კრაპი. რა თქმა უნდა, მაგრამ...

ბერნიკი. აი, ხომ ხედავთ? დათვალიერებამ, ალბათ, ვერავითარი ხარვეზი ვერ გამოავლინა.

კრაპი. ხომ მოგეხსენებათ, ბატონო კონსულო, რა ზერელედ ტარდება დათვალიერება იმნაირი რეპუტაციის მქონე ვერფებში, როგორიც ჩვენია?

ბერნიკი. ეგ სულერთია... მაშასადამე, ჩვენ როდი ვაგებთ პასუხს.

კრაპი. ნუთუ სახეზე მაინც ვერ შეატყვეთ ეუნეს, რომ?..

ბერნიკი. პირიქით, ეუნემ საბოლოოდ დამამშვიდა.

კრაპი. მე კი გეუბნებით, დარწმუნებული ვარ, რომ...

ბერნიკი. რას ნიშნავს ეს, ბატონო კრაპ? მე ხომ ვიცი, რომ ამას ეუნეს მიმართ თქვენი ძველი სიძულვილი გალაპარაკებთ. მაგრამ თუ ასე ძალიან გინდათ, ანგარიში გაუსწოროთ, მაშინ სხვა საბაზი მოძებნეთ. ხომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, უფრო სწორად, კომპანიისთვის, იმას, რომ „ინდიანა“ დროზე გავიდეს ზღვაში.

კრაპი. კეთილი, მესმის. მაგრამ, იცოდეთ, ეს გემი სულ მალე შეგვახსენებს თავს.

მარჯნიდან შემოდის ვიგელანი.

ვიგელანი. გამარჯობათ, ბატონო კონსულო, ერთ წუთს ხომ ვერ მოიცლით ჩემთვის?

ბერნიკი. მიმსახურეთ, ბატონო ვიგელან.

ვიგელანი. იცით, რა მაინტერესებს? ხომ არ შეგიცვლიათ თქვენი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ „პალმა“ ხვალ გაგზავნოთ?

ბერნიკი. არა, არ შემიცვლია.

ვიგელანი. კი მაგრამ, ახლახან კაპიტანი იყო ჩემთან და მითხრა გრიგალია მოსალოდნელიო.

კრაპი. ბარომეტრი დილას აქეთ განუწყვეტილვ ეცემა.

ბერნიკი. მართლა? მაშ, გრიგალია მოსალოდნელი?

ვიგელანი. ყოველ შემთხვევაში, კაი მაგარი ქარი მაინც; თუმცა ზურგქარი და არა პირქარი.

ბერნიკი. კმ... თქვენ რას იტყვით?

ვიგელანი. იმასვე, რაც კაპიტანს ვუთხარი: „პალმა“ ღეთის ხელთაა. ეგეც არ იყოს, ჭერჭერობით მხოლოდ ჩრდილოეთის ზღვა აქვს გასაველელი. ხოლო ბაჟი ინგლისში ამჟამად საკმაოდ მაღალია, ასე რომ...

ბერნიკი. ...თუ საქმე გადავდეთ, შეიძლება კაი გვარიანი ზარალი ენახოთ.

ვიგელანი. თანაც „პალმა“ ისეთი მკვიდრი გემია და, ამასთანავე, მთელი თავისი ღირებულების ფასადაა დაზღვეული. გაცილებით უფრო სარისკოა „ინდიანას“ გაშვება...

ბერნიკი. რა აზრით?

ვიგელანი. ისიც ხომ ხვალ აპირებს გასვლას?

ბერნიკი. დიახ, მისმა პატრონებმა ლამის დამახრჩეს და, ეგეც არ იყოს...

ვიგელანი. ჰოდა, თუ ეს გაბზარული ვარცლი არ უშინდება ზღვაში გასვლას, მით უმეტეს, ასეთი ეკიპაჟით, ჩვენ რაღა გვეთქმის?

ბერნიკი. დიახ, დიახ. საბუთები ხომ თანა გაქვთ?

ვიგელანი. რა თქმა უნდა.

ბერნიკი. კეთილი. მაშინ ბატონ კრაპს გაჰყევით კაბინეტში.

კრაპი. ბატონი ბრძანდებით. ახლავე ყველაფერს გავამზადებ.

ვიგელანი და კრაპი ხელმარცხნივ გადიან კაბინეტში. ბალიდან შემოდის რიორლუნი.

რიორლუნი. ა! როგორ მოხდა, რომ ამ დროს სახლში ხართ, ბატონო კონსულო?

ბერნიკი (ჩაფიქრებით). როგორც ხედავთ, ვარ.

რიორლუნი. თქვენი მეუღლის სანახავად მოვედი. მე მგონია, ახლა განსაკუთრებით სჭირდება გამხნელება და ნუგეში.

ბერნიკი. ალბათ. მეც მინდოდა, ორიოდ სიტყვა მეთქვა თქვენთვის.

რიორლუნი. ბრძანეთ, ბატონო კონსულო... კი მაგრამ, რა მოგივიდათ? ისეთი ფერმკრთალი და შეწუხებული გამოიყურებით...

ბერნიკი. მართლა?.. მაშ, რა იქნება? ამდენი საზრუნავი და საფიქრალ-სადარღებელი ერთად დამეყარა თავზე! აქეთ ჩემი საკუთარი საქმე, იქით ეს რკინიგზა და... მომისმინეთ, ბატონო ადიუნქტო, ერთი რამ მინდა გკითხოთ.

რიორლუნი. გისმენთ, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. ერთი აზრი მომივიდა თავში... ვთქვათ, საფუძველი ეყრება რალაც დიდ საქმეს, რომელზედაც დამოკიდებულია ათასობით ადამიანის კეთილდღეობა... მაგრამ ერთი კაცი კი უნდა ემსხვერპლოს ამას...

რიორლუნი. როგორ?

ბერნიკი. დაეუშვათ, კაცმა გადაწყვიტა დიდი ფაბრიკის აშენება, მაგრამ გამოცდილებით იცის, რომ, ადრე თუ გვიან, როცა ეს ფაბრიკა ამუშავდება, საქმე უმსხვერპლოდ არ დამთავრდება.

რიორლუნი. სავსებით შესაძლებელია.

ბერნიკი. ან კიდევ, ვთქვათ, მეორე კაცს მალარო გაჰყავს და სამუშაოზე იღებს ოჯახის მამებსაც და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდებსაც. ხომ შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ვერც აქ ავიცილებთ თავიდან მსხვერპლს?

რიორლუნი. სამწუხაროდ, ასეა.

ბერნიკი. აი, ხომ ხედავთ? მაშასადამე, ამ კაცმა წინასწარვე იცის, რომ მისი საქმე მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ ამ საქმის მიზანი საზოგადო სიკეთე გახლავთ. ყოველი მსხვერპლი, უეჭველად, რამდენიმე ასეული ადამიანის კეთილდღეობით გამოისყიდება.

რიორლუნი. აა, რკინიგზას ხომ არ გულისხმობთ?.. რა თქმა უნდა, აქაც ბევრი სახიფათო სამუშაო იქნება შესასრულებელი: გვირაბების გაყვანა, კლდეების აფეთქება და სხვა მისთანები...

ბერნიკი. დიახ, სწორედ რკინიგზაზე მოვახსენებთ... ცხადია, მისი გაყვანა ხელს შეუწყობს ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას, საბადოების დამუშავებას. მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ...

რიორლუნი. მეტისმეტად კეთილსინდისიერი კაცი ბრძანდებით, ბატონო კონსულო. მე გგონია, საკმარისია მიენდოთ განგების ნებას...

ბერნიკი. დიახ, დიახ. რა თქმა უნდა, განგება...

რიორლუნი. ...და თქვენი თავისთვის ალარაფერი გექნებათ სასაყვედურო; თამამად გაიყვანეთ ეგ თქვენი რკინიგზა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

ბერნიკი. კი მაგრამ, თუ ავიღებთ განსაკუთრებულ შემთხვევას? დაეუშვათ, სახიფათო ადგილას კლდე უნდა ავაფეთქოთ. ამ აფეთქებაზეა დამოკიდებული მთელი მშენებლობის ბედი. ვთქვათ და, ინჟინერმა იცის, რომ მუშა, რომელიც კლდეს აფეთქებს, უთუოდ დაიღუპება. აფეთქება კი აუცილებელია; ასე რომ, ინჟინერს მეტი გზა არა აქვს, ვილაცა უნდა გაგზავნოს...

რიორლუნი. კმ...

ბერნიკი. ვიცი, რისი თქმაც გნებავთ! მაშინ ინჟინერმა თვითონვე აიღოს ანთებული პატრუქი და ნაღმი ააფეთქოს, — გმირი იქნებაო! მაგრამ ვინ იქცევა ასე? მაშასადამე, მუშა უნდა გასწიროს.

რიორლუნი. არც ერთი ჩვენი ინჟინერი არ იზამს ამას.

ბერნიკი. მაგრამ დიდ ქვეყნებში არც ერთი ინჟინერი საერთოდ არ დაფიქრდებოდა ამაზე.

რიორლუნი. დიდ ქვეყნებში — შეიძლება. იქაური საზოგადოება იმდენად გახრწნილია და გადაგვარებული...

ბერნიკი. მაგრამ ხომ ვერ უარპყოფთ იმას, რომ ბევრ კარგ საქმესაც აკეთებს?..

რიორლუნი. ნუთუ თქვენ... თქვენ ამბობთ ამას? აკი ყოველთვის...

ბერნიკი. დიდ ქვეყნებში კაცს გაცილებით უფრო ვრცელი ასპარეზი და ფართო გასაქანი აქვს, რათა საზოგადოების სასიკეთოდ იშრომოს. იქ არ უფრთხიან იმას, რომ პატარა მსხვერპლი გაიღონ დიდი საქმის გამარჯვებისთვის. აქ კი ხელ-ფეხ შეკრული ხარ ათასნაირი ცრურწმენით, ურიცხვი წვრილმანი მოსაზრებებით...

რიორლუნი. კი მაგრამ, ნუთუ ადამიანის სიცოცხლე მართლა ასეთი წვრილმანია?

ბერნიკი. დიახ, თუკი ერთი ადამიანის სიცოცხლე ხელს უშლის ათასების ბედნიერებას.

რიორლუნი. მაგრამ თქვენ ყოველად, შეუძლებელ შემთხვევას იღებთ მაგალითად, ბატონო კონსულო! მართალი გითხრათ, დღეს ნამდვილად არ მესმის თქვენი. თან დიდ ქვეყნებსაც რომ იმოწმებთ. რა ყრია ამ დიდ ქვეყნებში, ან რა ფასი აქვს ადამიანის სიცოცხლეს იქ? ხალხს ისე „ხარჯავენ“, როგორც

კაპიტალს. ჩვენში კი, მადლობა ღმერთს, სულ სხვანაირი, ზნეობრივი თვალსაზრისით ვუდგებით და ვზომავთ ყველაფერს. აბა, დაუკვირდით ჩვენს ღირსეულ და დარბაისელ გემთმფლობელებს. ვინ, რომელი მათგანი გასწირავს გამოარჩენის გულისთვის თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლეს? მაშინ როდესაც დიდი ქვეყნების გაქნილი საქმოსნები, ოლონდ კი მოგება ჩაიჭიბონ და, უყოყმანოდ გზავნიან ზღვაში გემებს კი არა, ნამდვილ მცურავ კუბოებს.

ბერნიკი. მე უვარგის გემებს როდი ვგულისხმობ.

რიორლუნი. მე კი სწორედ მათ ვგულისხმობ, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ამას საქმესთან? ოჰ, ეს უბადრუკი, წვრილმანი მოსაზრებები! აბა, ერთი რომელიმე ჩვენმა გენერალმა გაბედოს და სანგრებში გამაგრებული მტრის წინააღმდეგ საიერიშოდ დასძრას თავისი რაზმი; ღმერთმა ნუ ქნას, რომ ხალხი დაუხოცონ, თორემ ერთხელაც აღარ ეღირსება მშვიდი ძილი. ასე როდია სხვაგან. ერთი მოგასმენინა რას ჰყვება...

რიორლუნი. ვინ? ამერიკელი ხომ არა?

ბერნიკი. დიახ. ერთი მოგასმენინა, რა ხდება ამერიკაში...

რიორლუნი. მაშ, აქაა? რატომ არ მითხარით? მე მაგას...

ბერნიკი. მოეშვით. ვერაფერს ღერ გახდებით.

რიორლუნი. ვნახოთ, აი, ისიც.

მარცხნიდან შემოდის იუჰანი.

იუჰანი (თანამოსაუბრეს ღია კარიდან მიმართავს მეორე ოთახში). კეთილი, დინა. როგორც გენებოთ. მაგრამ მე თქვენზე ხელს არ ავიღებ. დავბრუნდები და მაშინ ვილაპარაკოთ.

რიორლუნი. ნება მიბოძეთ გკითხოთ, მაინც რას გულისხმობთ, ან რა გნებაეთ?

იუჰანი. მე მინდა, რომ ქალიშვილი, ვის წინაშეც გუშინ ჩირქი მომცხეთ, ცოლად გამომყვეს.

რიორლუნი. ცოლად გამოგყვეთ? ნუთუ მართლა გგონია, რომ?..

იუჰანი. არაფერიც არა მგონია. მე მინდა ცოლად შევირთო.

რიორლუნი. მაშინ იცით. რას გეტყვით? (ნახევრად ღია კარს უახლოვდება). თუ შეიძლება, მოწმე იყავით, ფრუ ბერნიკ... თქვენც, ფრიოკენ მარტა. დინაც მოვიდეს. (თვალს მოჰკრავს ღონას). აა. თქვენც აქა ხართ?

ლონა (კარში). მეც გამოვიდე?

რიორლუნი. პატივი დამდეთ: რაც უფრო მეტნი იქნებით. მით უკეთესია.

მარცხნიდან გამოდიან ლონა, მარტა, დინა და ჰილმარი.

ბეტი. რა ვქნა, ბატონო ადიუნქტო, ვერასდობებით ვერ დავაშლევინებ...

რიორლუნი. მაშინ მე დავაშლევინებ, ქალბატონო... დინა, თქვენ უგუნურად იქცევით, მაგრამ, ალბათ, მარტო თქვენი ბრალი როდია. მეტისმეტად დიდხანს დაგტოვეთ სათანადო ზნეობრივი საყრდენის გარეშე. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ უფრო ადრე ვერ მოგეშველეთ.

დინა. ნუ, ნურაფერს იტყვით ახლა.

ბეტი. რაო?

რიორლუნი. სწორედ ახლა უნდა ვთქვა, დინა, თუმცა თქვენმა გუშინდელმა საქციელმა მეტისმეტად კი გამირთულა ამოცანა. მაგრამ თქვენი ხსენისათვის არაფერს დავერიდები. გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც მე მოგეცით; გაიხსენეთ ისიც, რა აღმითქვით, როცა გეტყოდით, დრო მოვიდა-მეთქი... ახლა კი საქმის გადადებას ველარა ვბედავ და ამიტომ... (იუჰანს მიუბრუნდება). ეს ქალიშვილი, რომელსაც თქვენ ასე აბეზრებთ თავს, ჩემი საცოლეა!

ბეტი. რას ამბობთ?

ბერნიკი. დინა!

იუჰანი. თქვენი საცოლე?

მარტა. არა, არა, დინა!

ლონა. სტყუით!

იუჰანი. მართალს ამბობს, დინა?

დინა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). დიახ.

რიორლუნი. იმედია, ეს ბოლოს მოუღებს მაცთურის ყველა მცდელობას. დაე, ყველამ გაიგოს, რა ნაბიჯიც გადავდგი დინას გადასარჩენად. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ცუდად არაეინ გამიგებს. ახლა კი, ვფიქრობ, უმჯობესია, აქედან წავიყვანოთ, ქალბატონო, და ვცადოთ, როგორმე დავაცხროთ და დავაშოშმინოთ მისი აფორიაქებული სული.

ბეტი. დიახ, დიახ, წავიდეთ. დინა, რა ბედნიერი ხარ!

დინასთან ერთად ხელმარცხნივ გადის. **რიორლუნი** ფეხდაფეხ მისდევთ.

მარტა. მშვიდობით, იუჰან! (გაღის).

ჰილმარი (ტერასის კართან). ჰმ! ... ეს რა ხდება?..

ლონა (თვალს აყოლებს დინას). ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, ჩემო ძვირფასო! მე აქ დავერჩები და თვალყურს ვადევნებ პასტორს. (ხელმარცხნივ გადის).

ბერნიკი. იუჰან! ახლა მაინც ხომ აღარ წახვალ „ინდიანათი“?

იუჰანი. სწორედ ახლა წავალ.

ბერნიკი. მაშ, აღარ დაბრუნდები?

იუჰანი. დავბრუნდები.

ბერნიკი. ყოველივე ამის შემდეგ? რალა დაგრჩენია აქ?

იუჰანი. დავბრუნდები, რომ სამაგიერო გადაგიხადოთ, შური ვიძიო!
მოვსპო, გავანადგურო ყველა, ვისზედაც კი ხელი მიმიწვდება!
(ხელმარჯვნივ გადის).

ბერნიკის კაბინეტიდან გამოდიან საქმეთა მმართველი კრაპი და ვიგელ-
ლანი.

ვიგელლანი. ყველა საბუთი უკვე მზადაა, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. ძალიან კარგი...

კრაპი (ხმადაბლა). საბოლოოდ გადაწყვეტეთ, რომ „ინდიანა“ ხვალ
გავა ზღვაში?

ბერნიკი. საბოლოოდ. (კაბინეტში შედის).

ვიგელლანი და კრაპი ხელმარჯვნივ გადის. პილმარი უკან მისდევთ,
მაგრამ ამ დროს მარცხენა კარიდან ფრთხილად გამოყოფს თავს ულაფი.

ულაფი. ძია! ძია!

პილმარი. უჰ, შე ეშმაკის ფეხო! რატომ ჩამოხვედი დაბლა?! ხომ
დაგამწყვდიეს?

ულაფი (ოთახში შემოდის). სსუ!.. ახალი ამბავი თუ იცი, ძია პილმარ?

პილმარი. დიახ, ვიცი, რომ დღეს მაგრა გაგწყებლეს.

ულაფი (გულმოსული მისჩერება მამის კაბინეტს). მორჩა, აწი ველარ
გამწყებლავს. თუ იცი, რომ ძია იუჰანი ხვალ მიემგზავრება
ამერიკელებთან ერთად?

პილმარი. რა შენი საქმეა? აბა, ჩქარა მოუსვი ზევით!

ულაფი. ვინ იცის, იქნებ ოდესმე მეც ვინადირო კამეჩებზე.

პილმარი. მეტი არაა ჩემი მტერი! შენისთანა მშიშარა...

ულაფი. მოიცა, ხვალ რალაცას გაიგებ!..

პილმარი. ბრიყვო! (ბაღში ჩადის).

ულაფი თვალს მოჰკრავს კრაპს, რომელიც მარჯვნიდან შემოდის; უკანვე
შევიარდება ოთახში და კარს მოიხურავს. კრაპი ბერნიკის კაბინეტთან მიდის და
კარს შეაღებს.

კრაპი. მომიტევეთ, რომ კვლავ გაწუხებთ, ბატონო კონსულო.
გრიგალი ამოვარდა. (ერთხანს დუმს და პასუხს უცდის). „ინდიანა“
მაინც წავა?

ხანმოკლე პაუზის შემდეგ კაბინეტიდან მოისმის ბერნიკის ხმა: „დიახ,
მაინც“. კრაპი კარს გამოიხურავს და ხელმარჯვნივ გადის.

მეოთხე მოქმედება

იქვე.

საწერი მაგია გაუტანიათ. საღამოვდება. გარეთ საშინელი ამინდია. სულ უფრო და უფრო ბნელდება. მსახური ქალს ანთებს. მოახლეებს ქოთნებში ჩარგული ყვავილები, ლამები და სანთლები შემოაქვთ და მაგიდებსა და კედლების გასწვრივ თაროებზე ალაგებენ. რუმელს ფრაკი აცვია, ხელთათმანები და თეთრი ქალსტუხი უკეთია და განკარგულებებს იძლევა.

რუმელი (მსახურს). თითო სანთლის გამოტოვებით ანთეთ, იაკობ. ნამეტანი საზეიმო ელფერიც არ გვინდა. არაფერს არ უნდა ეტყობოდეს საგანგებო სამზადისი. ეს რამდენი ყვავილებია?! თუმცა, არა უშავს რა, იყოს! ვითომ ყოველდღე ასეა.

კაბინტიდან გამოდის ბერნიკი.

ბერნიკი (კარში ჩერდება). რა ამბავია?

რუმელი. ვაი!.. სახლში ხარ? (მსახურებს). აბა, დაგეტოვეთ.

მსახურები ხელმარცხნივ გადიან.

ბერნიკი (ღარბაზში შემოდის). რას ნიშნავს ყოველივე ეს?

რუმელი. ეს ნიშნავს, რომ დადგა შენი ცხოვრების დიადი წამი. დღეს საღამოს ქალაქი საზეიმო მსვლელობას აწყობს თავისი პირველი მოქალაქის პატივსაცემად.

ბერნიკი. რას ამბობ?

რუმელი. დიახ, ბაირაღებითა და მუსიკის თანხლებით. ჩირალდნების წამოღებასაც აპირებდნენ, მაგრამ ქარმა შეაშინათ. ილუმინაციას კი მაინც მოვაწყობთ. მშვენივრად გამოვა გაზეთებში.

ბერნიკი. კი მაგრამ, მე ეს არ მინდა, რუმელ.

რუმელი. ახლა უკვე გვიანაა. ნახევარ საათში ყველანი აქ იქნებიან.

ბერნიკი. რატომ ადრე არ გამაფრთხილე?

რუმელი. სწორედ იმიტომ, რომ შენი უარის გვეშინოდა. ეს-ესაა, შენს ცოლს ველაპარაკე. ნება მომცა, ცოტა მიმელაგებინა აქაურობა. თვითონ კი მასპინძლობის თადარიგს იჭერს.

ბერნიკი (აყურადებს). ეს რაღაა? უკვე მოდიან? მგონი, მღერიან კიდევ!

რუმელი (ტერასის კართან). მღეროიან? აა, ამერიკელები არიან. „ინდიანას“ ზღვაში უშვებენ.

ბერნიკი. ზღვაში?... აა!.. არა, ღმერთმანი, დღეს არ შემიძლია. —
ცუდათა ვარ.

რუმელი. მართლაც მიწის ფერი გადევს სახეზე. რა მოგივიდა? დალახვროს ეშმაკმა! აბა, გასწორდი, წელში გაიმართე! მე, სანსტადი და ვიგელანი უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ მანიფესტაციას და ძალ-ლონე არ დაგვიზოგავს მის მოსამზადებლად. საზოგადოების მიერ შენს მიმართ ასე ერთსულოვნად გამოვლენილი სიმპათიის წყალობით მიწასთან უნდა გავასწოროთ ჩვენი მტრები. მითქმა-მოთქმა თავის საქმეს აკეთებს. იმის მიჩქმალვა და მიჩუმდება, რომ მიწის ნაკვეთებს იძენენ, შეუძლებელი ხდება. დღეს საზეიმო სიტყვების, სიმღერების, სიცილ-ხარხარისა და კიქების ქაბუნის, ერთი სიტყვით, მთელი ამ მუსიკის თანხლებით, შენ ადგები და ყველას გასაგონად გამოაცხადებ, რა რისკიც გასწიე საზოგადოების საკეთილდღეოდ. ჩვენში ბევრი რამის მიღწევა შეიძლება ამ „საზეიმო და ამალღებელი განწყობილების“ წუთებში, როგორც ამას წინათ ვუთხარი ერთს. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ამნაირი განწყობილების გამოწვევა, თორემ ცუდათაა საქმე, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდება.

ბერნიკი. დიახ, დიახ...

რუმელი. მით უმეტეს, როცა საქმე ესოდენ დელიკატურია და ამდენ სიფრთხილეს მოითხოვს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისეთი რეპუტაცია გაქვს, ბერნიკ, რომ მშრალად ამოგიყვანს წყლიდან. მხოლოდ სიტყვების თაობაზე კი უნდა მოგეთათბიროთ. სტუდენტმა ტენესენმა ლექსი მოგიძღვნა. დიდებული დასაწყისი აქვს: „მადლა გეკვიროს იდეის დროშა“. რიორლუნს დავავალეთ მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმა, შენ კი, რასაკვირველია, უნდა უპასუხო.

ბერნიკი. დღეს არ შემიძლია, რუმელ. იქნებ, შენ გეთქვა.

რუმელი. სიამოვნებით, მაგრამ რომ არ შეიძლება. სიტყვა ხომ უშუალოდ შენდამი იქნება მომართული, თუმცა გაკვრით, რასაკვირველია, ჩვენც გვახსენებენ. ვიგელანსა და სანსტადს უკვე ველაპარაკე და სამივენი იმ დასკვნამდე მივედით, რომ სადღეგრძელო უნდა წარმოსთქვა და აყვავება უსურვო ჩვენს საზოგადოებას. შემდეგ სანსტადი იტყვის ორიოდ სიტყვას საზოგადოების სხვადასხვა ფენის ერთიანობაზე. ვიგელანი სურვილს გამოსთქვამს, რომ ამ ახალმა წამოწყებამ არ შეარყიოს ჩვენი საზოგადოების მყარი ზნეობრივი საწყისები,

მე კი, ვფიქრობ, მოკლედ მოვიხსენიო ჩვენი ქალების მოკრძალებული დეაწლი, რასაც თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის... რატომ არ მისმენ?

ბერნიკი. როგორ არა, გისმენ, მაგრამ ერთი-ეს მითხარი, ზღვა მართლა ასე ძალიან ღელავს?

რუმელი. შენ რა, „პალმას“ ბედი გაწუხებს? კი მაგრამ, ხომ კარგადაა დაზღვეული?

ბერნიკი. დაზღვეული კია, მაგრამ...

რუმელი. და თანაც, ყველაფერი რიგზე აქვს; მთავარი მაინც ესაა.

ბერნიკი. კმ... დიახ, რა თქმა უნდა... გემს ვინ ჩივის, ადამიანები არ დაიღუპონ... თორემ ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ გემი იძირება, ტვირთი კი... აი, ჩემოდნები, დოკუმენტები...

რუმელი. ჯანდაბას იქით ეს ჩემოდნები და დოკუმენტები! რაში გეკვირდება?

ბერნიკი. როგორ?... დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, მე მხოლოდ... სსუ!.. ისევ მღერიან?..

რუმელი. ეს უკვე — „პალმაზე“.

მარჯნიდან შემოდის ვიგელანი.

ვიგელანი. აი, „პალმაც“ ზღვაში გაკყავთ. სალამო მშვიდობისა, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. და თქვენ, ძველი მეზღვაური, მაინც მტკიცედ დგახართ იმ აზრზე, რომ...

ვიგელანი. დიახ, მე მტკიცედ ვდგავარ იმ აზრზე, რომ, ყველაფერი უფლის ხელთაა. ეგეც არ იყოს, ახლა სწორედ გემიდან მოვდივარ... ბროშურები ჩამოვარიგე, რომლებიც, იმედია, ხიფათს აარიდებს ხალხს.

მარჯნიდან შემოდის სანსტადი და საქმეთა მმართველი კრაპი.

სანსტადი (კარგივე). დიახ, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაშინ... აა. სალამო მშვიდობისა, სალამო მშვიდობისა.

ბერნიკი. მოხდა რამე, ბატონო კრაპ?

კრაპი. მე არაფერი არ მითქვამს, ბატონო კონსულო.

სანსტადი. „ინდიანას“ მთელი ეკიპაჟი გაღეშილია. კაცი არ ვიყო, თუ ამ პირუტყვებმა თავი არ წააგონ.

მარჯნიდან შემოდის ლონა.

ლონა (ბერნიკს). ახლა კი შემიძლია მისი მოკითხვა გადმოგცე.

ბერნიკი. უკვე გემზეა?

ლონა. ყოველ შემთხვევაში, მალე იქნება. სასტუმროსთან დავშორდით ერთმანეთს.

ბერნიკი. მაინც თავისაზე დგას?

ლონა. კლდესავით.

რუმელი (ფანჯარასთან). დალახვროს ეშმაკმა ეს ახალმოდური ხვანჭები; ვერასდიდებით ფარდები ვერ ჩამომიშვია.

ლონა. მართლა? მე კი მეგონა, პირიქით, უნდა აგეწიათ.

რუმელი. თავდაპირველად უნდა ჩამოეუშვათ, ქალბატონო. ხომ იცით, რისთვისაც ვემზადებით?

ლონა. რა თქმა უნდა. მოიცათ, მოგეხმარებით. (ხელს ჩასკიდებს ზონარს). მზადა ვარ, ფარდა დაეუშვა ჩემი სიძისთვის, თუმცა კი მერჩია. ამეწია.

რუმელი. მაგის დროც მოვა. ქალბატონო. როცა მოზვიმე ხალხის ტალღა მოედება და წალეკავს მთელ ბაღს, ფარდებსაც ავწევთ და ხალხი იხილავს სიხარულით გაბადრულსა და ბედნიერებით გაბრწყინებულ ოჯახს. ქეშმარიტი მოქალაქის სახლი მინის კარადასავით გამჭვირვალე უნდა იყოს.

ბერნიკს თითქოს რაღაცის თქმა სურს, მაგრამ სწრაფად შერტიალდება და კაბინეტში შვეა.

ახლა კი უკანასკნელად უნდა მოვითათბიროთ, ბატონებო. თქვენც მობრძანდით, ბატონო კრაპ. ზოგიერთ ფაქტობრივ მონაცემს მოგვაწვდით.

კაცები ბერნიკის კაბინეტში შედიან. ამასობაში, ლონამ უკვე მოასწრო ყველა ფანჯარაზე ჩამოეთარებინა ფარდები და ტერასის ღია მინის კარზედაც აპირებს ფარდის ჩამოშვებას, რომ უცებ ზემო სართულიდან ტერასაზე ჩამოხტება ულაფი; მხარზე პლედის გადაუგდია, ხელში კი ფუთა უჭირავს.

ლონა. აჰ, როგორ შემაშინე, შე ეშმაკის ფეხო!

ულაფი (ფუთას მალავს). სსუ! დეიდა!

ლონა. ფანჯრიდან ისკუპე?.. საით გაგიწვევია?

ულაფი. სსუ! ჩემად! ძია იუჰანთან... იქნებ ნავსადგურში მივეუსწრო და დავემშვიდობო, გესმის? ღამე მშვიდობისა, დეიდა! (ბალიდან გაეარდება ქუჩაში).

ლონა. მოიცა! ულაფ! ულაფ!

მარცხნიდან ფრთხილად უემოდის სამგზავროდ გამოწყობილი იუჰანი; მხარზე ჩანთა მოუგდია.

იუჰანი. ლონა!

ლონა (სწრაფად შემობრუნდება). როგორ? დაბრუნდი?

იუჰანი. გემის გასვლამდე რამდენიმე წუთი დარჩა. მინდა ერთხელაც ვნახო დინა. ასე ვერ დავშორდები.

მარცხნიდან გამოდიან მარტა და დინა; ორივეს პალტოები აყვია, დინას კი, გარდა ამისა, საკვიათიც უჭირავს ხელში.

დინა. ჩქარა, ჩქარა!

მარტა. დიახ, უნდა მივეუსწროთ, დინა!

დინა. კი მაგრამ, აგერ არა ყოფილა?

იუჰანი. დინა!

დინა. მეც წამიყვანეთ.

იუჰანი. როგორ?

ლონა. მაშ, გადაწყვიტე?

დინა. დიახ, თან წამიყვანეთ... იმან... ხომ იცით... წერილი მომწერა...
დღეს ყველას გამოვუცხადებო.

იუჰანი. მაშ, თქვენ არ გიყვართ, დინა?

დინა. არასოდეს არ მეყარებია. ფიორდიდან გადავევარდები, თუ
მასზე დამიპირეს გათხოვება. ო, როგორ დამამცირა გუშინ
თავისი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით! რა აშკარად მაგრძნობ-
ბინა, რომ თავისი დიდსულოვნებით ჩემისთანა უზადარუკ
არსებას აბედნიერებს!.. არავის მოწყალება არ მჭირდება.
ერთი აქაურობას დავალწიო თავი და მერე მე ვიცი. შეიძლება
თან წამოგყვეთ?

იუჰანი. დიახ, დიახ!.. ღმერთო ჩემო, შეიძლებაო?..

დინა. დიდხანს არ შეგაწუხებთ. ოლონდაც იქ ჩავალწიო და...
პირველ ხანებში ცოტა ხელსაც თუ წამაშველებთ, რომ საღმე
მოვეწყუო...

იუჰანი. ვაშა! ნუ გეშინიათ! ყველაფერს მოველება, დინა.

ლონა (კაბინეტის კარზე ანიშნებს). ისუ! ჩუმაღ, ჩუმაღ!

იუჰანი. ხელში აგიტაცებ და ისე წაგიყვან, დინა!

დინა. არა, მაგის ნებას კი არ მოგცემთ. მე მინდა თვითონვე
გავიკვლო გზა. იქ ყველაფერს შევძლებ, ოლონდ კი
აქაურობას მოვშორდე. აჰ, ეს ქალები!.. თქვენ არ იცით!..
დღეს წერილი გამომიგზავნეს... ჭკუას მარიგებენ, აბა, შენ
იცო, გაუფრთხილდი ბედნიერებას, რომელიც წილად გხვდაო;
მპირდებიან, თვალს არ მოგაშორებთ, რომ ყოველივე ამის
ღირსი იქნეო. ო, ტანში მზარავს, ამ მწყალობლებს რომ
გავიხსენებ.

იუჰანი. მითხარით, დინა, მხოლოდ ამის გამო გინდათ აქედან
წასვლა? მე სულ არაფერს ვნიშნავ თქვენთვის?

დინა. არა, იუჰან, თქვენზე ძვირფასი არავინა მყავს ამქვეყნად.

იუჰანი. ო, დინა!

დინა. ყველა ჩამჩიჩინებს, რომ უნდა მძულდეთ და მეზიზღებოდეთ,
რომ ეს ჩემი ვალია, მაგრამ არ მესმის, რატომაა ეს ჩემი
ვალი, და ვერც ვერასოდეს გავიგებ.

ლონა. არცაა საჭირო, ჩემო ძვირფასო!

მარტა. დიახ, არაა საჭირო. აი, ის კი საჭიროა, რომ ცოლად გააკვე.

იუჰანი. დიახ, დიახ.

ლონა. რაო? მოდი ერთი, გაკოცო მარტა! შენგან ამას არ მოველოდი.

იუჰანი. რას იტყვით, დინა?

დინა. დიახ, მე მინდა გავხდე თქვენი ცოლი.

იუჰანი. დინა!

დინა. მაგრამ თავდაპირველად მინდა ვიმუშაო, რაღაცას მივალწიო, რომ მეც რაღაცას წარმოვადგენდე, ისევე, როგორც თქვენ. მე არ მინდა ვიყო მხოლოდ ნიეთი, რომელსაც ისაკუთრებენ.

ლონა. სწორია, ასეც უნდა იყოს!..

იუჰანი. კეთილი, ამიერიდან იმედითა და მოლოდინით ვიცოცხლებ...

ლონა. მალე აგიხდება იმედი, ჩემო ძვირფასო! ახლა კი დროა, გემზე არ დაგაგვიანდეთ.

იუჰანი. აჰ, ლონა, ჩემო ძვირფასო დაო, თუ შეიძლება, ერთი სიტყვაც... (განზე გაიყვანს და რაღაცას გაცხოველებით ეჩურჩულება).

მარტა. დინა, ჩემო კარგო, ჩემო ბედნიერო გოგო... მოდი, ერთხელაც შემოგხედო და გადაგკოცნო... უკანასკნელად!

დინა. არა, რატომ უკანასკნელად? ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, ჩემო საყვარელო, ჩემო კეთილო!

მარტა. აღარასოდეს! სიტყვა მომეცი, დინა, რომ აღარასოდეს აღარ დაბრუნდები! (ხელს ჩასკიდებს და ხარბად მოაჩერდება). შორს, შორს, ზღვის მიღმა, ბედნიერება გელოდება, ჩემო ძვირფასო... ვინ მოსთვლის, კლასში ყოფნისას, რამდენჯერ გავუტაცნივაროცნებას იქ — იმ ჩემთვის აღთქმულ მხარეში, სადაც თვალსაწიერიც უფრო ფართოა და უფრო ლალადაც სუნთქავს მკერდი.

დინა. კი მაგრამ, ოდესმე მაინც ხომ გვინახულებ?

მარტა. მე? არასოდეს, არასოდეს! აქ ჩემი პატარა სასიცოცხლო მოწოდება მაქვს. იმედია, ახლა მაინც შევძლებ ბოლომდე მივიყვანო ის საქმე, რისთვისაც მოველ ამქვეყნად.

დინა. მე კი ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დაგშორდე.

მარტა. ო, დინა, ადამიანს შეუძლია ძალიან ბევრ რამეს განშორდეს. (კოცნის). მხოლოდ ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს ეს, ჩემო ძვირფასო! პირობა მომეცი, რომ ბედნიერი იქნება შენს გვერდით.

დინა. არაფრის პირობას არ გაძლევ, ვერ ვიტან პირობას. რაც იქნება, იქნება.

მარტა. დიახ, ასეც უნდა იყოს. მხოლოდ ყოველთვის ის იყავი, რაცა ხარ, — გულწრფელი და ალაღ-მართალი!

დინა. კარგი, დეიდა მარტა!

ლონა (ჯიბეში იღებს რაღაც ქალაღებს, რომლებიც იუჰანმა მისცა). კარგი, კარგი, ჩემო ძვირფასო! ახლა კი დროა!

იუჰანი. დიახ, დრო აღარ ითმენს! მშვიდობით, ლონა! მადლობელი ვარ მთელი შენი სიყვარულისთვის! მშვიდობით, მარტა! დიდი მადლობა იმ ერთგული მეგობრობისთვის, რომელიც მე გამიწიე!

მარტა. მშვიდობით, იუჰან! მშვიდობით, დინა! ღმერთმა ბედნიერება ნუ მოგიშალოთ!

მარტა და ლონა ტერასამდე მიაცილებენ იუჰანს და დინას, რომლებიც შემდეგ სწრაფი ნაბიჯით გადიან ბალიდან. ლონა კარს ხურავს და ფარდას ჩამოუშვებს.

ლონა. ახლა კი ორივე მარტო დავრჩით, მარტა! მე ჩემი დავკარგე, შენ — შენი.

მარტა. შენ?..

ლონა. დიახ, სანახევროდ ჭერ კიდევ იქ დავკარგე იგი. ბოლო ხანს სულ იმაზე ოცნებობდა, როდის იქნება, ფეხზე დავდგეო. ჰოდა, მეც მოვიგონე, თითქოს აქაურობის გარეშე გაძლება აღარ შემეძლო.

მარტა. აი, თურმე!.. ახლა კი მესმის, რისთვისაც ჩამოხვედი. მაგრამ ის კვლავ დაგიძახებს, ლონა.

ლონა. ვის? ბებრუხანა ნახევარდას? რაღას არგია? კაცი რომ თავის ბედს იპოვის, მერე აღარაფერი ახსოვს.

მარტა. ზოგჯერ — ახსოვს.

ლონა. ისევ ერთმანეთს მივცეთ მხარი, მარტა!

მარტა. კი მაგრამ, მე რა თანადგომა უნდა გავიწიო?

ლონა. მაშ, ვინ, თუ არა შენ? ორივემ თითო შვილობილი გავზარდეთ, და ახლა ორივენი მარტოკა დავრჩით.

მარტა. დიახ, სულ მარტო... ერთიც უნდა გითხრა, ლონა: მთელს ქვეყანაზე შენი ძმა მიყვარდა ყველაზე მეტად.

ლონა (ხელს სტაცებს). რას ამბობ, მარტა?

მარტა. ამ სიტყვებშია მთელი ჩემი სიცოცხლე. მიყვარდა და ველოდი. ყოველ ზაფხულს ველოდი მის ჩამოსვლას. ბოლოს, მაინც ჩამოვიდა, მაგრამ ... ვერც კი შემნიშნა.

ლონა. შენ ის გიყვარდა და თვითონვე შეუწყვე ხელი მის ბედნიერებას?

მარტა. მაშ, რა მექნა, თუკი მიყვარდა? დიახ, მიყვარდა. მას შემდეგ, რაც წავიდა, მხოლოდ მისი მოგონებით ვცხოვრობდი. შენ, ალბათ, შემეკითხები: რისი იმედი გქონდაო? მე გგონია, მაინც მქონდა. მაგრამ როდესაც დაბრუნდა, ყოველივე ძველი თითქმის პირწმინდად წაშლილიყო მის მეხსიერებაში; არავე-თარი ყურადღება არ მომაქცია.

ლონა. დინამ დაგჩრდილა, მარტა.

მარტა. ასეც უნდა მომხდარიყო. აქედან რომ მიდიოდა, ჩვენ თანატოლები ვიყავით, ხოლო როდესაც დაბრუნდა. — ო, რა საშინელი წამი იყო! — ჩემთვის მაშინვე ცხადი შეიქნა, რომ ერთი ათი წლით მაინც უფროსი ვიყავი მასზე. იქ ის ლალი ფრინველივით დანაევარდობდა მზის სხივებით წარღვნილ სივრცეში და ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე ხარბად ისრუტავდა სიკაბუჯეს და სიჭანსალეს, მე კი აქ ვიჭექი და ვართავდი, დაუსრულებლად ვართავდი...

ლონა... მისი ბედნიერების ძაფს, მარტა.

მარტა. დიახ, ოქროს ძაფს. უსინანულოდ ვამბობ ამას. ხომ მართალია, ლონა, ორივენი კარგი დები ვიყავით მისთვის!

ლონა (მაგრად ეხვევა). მარტა!

კაბინეტიდან გამოდის ბერნიკი.

ბერნიკი (ვილასს მიმართავს კაბინეტში). კეთილი, ნება თქვენია... დრო რომ მოაწევს, მე თვითონ... (კარს გამოიხურავს). აა, თქვენ აქა ხართ? მომისმინე. მარტა, ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო; ბეტისაც ასე უთხარი. არა, არავეთარი საგანგებო მორთულობა არ არის საჭირო. მთავარია, ყველაფერი სადად და ლამაზად იყოს, შინაურულად. აბა, დაუჩქარეთ.

ლონა. არ დაგავიწყდეს, გაბადრულ სახეზე ბედნიერების ღიმილიც უნდა დაგთამაშებდეს, მარტა. თვალებიც უნდა გიცინოდეს.

ბერნიკი. ულათი ქვემოთ ჩამოგზავნე, ჩემს გვერდით უნდა იყოს.

ლონა. კმ... ულათი...

მარტა. კეთილი, ბეტის ვეტყვი. (ხელმარცხნივ გადის).

ლონა. მაშ, დადგა შენი აპოთეოზის ეამი?

ბერნიკი (აღელვებული ბოლთას სცემს). დიახ, დადგა.

ლონა. წარმომიდგენია, რა ამაყად და ბედნიერად უნდა გრძნობდეს კაცი თავს ამ საზეიმო წუთებში.

ბერნიკი (შეჩერდება და უცქერის). კმ!

ლონა. ამბობენ, მთელი ქალაქი გაჩახჩახებული იქნებაო.

ბერნიკი. ჰო, ასე გადაწყვიტეს.

ლონა. ყველა კავშირი წარმოდგენილი იქნება თავისი ბაირალებით. შენი სახელი ცეცხლოვანი ასოებით აელეარდება. ღამით ოთხსაე მხარეს აფრენენ ტელეგრამებს: „ბედნიერი შინაურებით გარშემორტყმულ კონსულ ბერნიკს, საზოგადოების ერთ-ერთ ბურჯთაგანს, თანამოქალაქეები ერთსულოვნად მიაგებდნენ სავსებით დამსახურებულ პატივს და ღიღებდას“.

ბერნიკი. დიახ, ასეც იქნება. ატყდება ერთი ღრიანცელი; „ვაშას“ ძახილი, მოზვიმე ბრბო ალტაცებული ყიფინით გამიხმობს ტერასაზე, აი, ამ კარიდან, და მეც იძულებული ვიქნები, გავიდე, თავი ვუქნიო და მადლობა მოვახსენო ყველას.

ლონა. იძულებული იქნები?..

ბერნიკი. მაშ, რა გგონია? ნუთუ, შენი აზრით, შეიძლება ბედნიერად გრძნობდე თავს ამ წუთებში?

ლონა. არა, არა მგონია.

ბერნიკი. ძალიან გეზიზღები, ლონა?

ლონა. ჯერ კიდევ არა.

ბერნიკი. არა, შენ უფლება არა გაქვს, დიახ, უფლება არა გაქვს გეზიზღობოდე! შენ ვერ წარმოიდგენ, რა საშინლად მარტო ვარ, ლონა, ამ გონებაშეზღუდულსა და ტვინნაღრძობ ხალხში! წლების მანძილზე იძულებული ვიყავი, თანდათანობით შემეზღუდა ცხოვრების ღირსეული მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოთხოვნები! ერთის შეხედვით, თითქოს ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ სინამდვილეში, კაცმა რომ თქვას, — რა? არაფერი, რაღაც უმნიშვნელო და უბადრუკი წვრილმანის გარდა. თუმცა სხვა რამეს აქ არც გაპატიებენ. აბა, ერთი გაბედუ და სცადე, ნაბიჯით მაინც გაუსწრო წინ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებსა და საზოგადოებრივ მისწრაფებებს, — ერთ ღღესაც არ გაბოგინებენ. თუ იცი, რანი ვართ ჩვენ, ეგრეთ წოდებული, „საზოგადოების ბურჯნი“? მხოლოდ საზოგადოების სათამაშო, მისი იარაღი და სხვა არაფერი.

ლონა. რაღა მაინცდამაინც ღღეს შენიშნე ეს?

ბერნიკი. იმიტომ, რომ ამ ბოლო ხანს... შენი ჩამოსვლის შემდეგ... ბევრსა ვფიქრობდი... მით უმეტეს, ამ საღამოს... ო, ლონა, რატომ უწინ არ გიცნობდი ასე კარგად?

ლონა. კი მაგრამ, რომ გცნობოდი?..

ბერნიკი. მაშინ ვერავითარი ძალა ხელს ვერ ამალეზინებდა შენზე. ჩემს გვერდით რომ ყოფილიყავი, ის აღარ ვიქნებოდი, რაც ახლა ვარ.

ლონა. იმაზე კი არ გიფიქრია, რა შეიძლებოდა ყოფილიყო შენთვის ის, ვინც მე მარჩიე?

ბერნიკი. ყოველ შემთხვევაში, ბეტი არასოდეს არ ყოფილა ჩემთვის ის, ვინც მე მჭირდებოდა.

ლონა. იმიტომ, რომ არასოდეს არ გაგიმღავენებია მისთვის შენი ინტერესები, არ დაგიმყარებია შენსა და მას შორის გულწრფელი და თავისუფალი ურთიერთობა. გულგრილად უყურებდი, როგორ იტანჯებოდა და თავის თავს ჰყვედრიდა იმ სირცხვილის გამო, რომელიც შენ თვითონ დაატეხე თავს მის ნათესაობას.

ბერნიკი. დიახ, დიახ, ყოველივე ეს სიცრუის და სიყალბის შედეგი გახლავს.

ლონა. კი მაგრამ, რატომ არ გინდა განთავისუფლდე ამ სიცრუისა და სიყალბისაგან?

ბერნიკი. ახლა?.. ახლა უკვე გვიანაა, ლონა!

ლონა. ერთი ეს მითხარი, კარსტენ, რა ბედნიერებას განიჭებს ეს მოჩვენებითი კეთილდღეობა და სიყალბე?

ბერნიკი. მე? არავეითარს!.. მე დასალუქავად ვარ განწირული, ისევე, როგორც მთელი ეს გაუყუღმართებული საზოგადოება. მაგრამ ჩვენ კვალდაკვალ მოგვდევს სხვა თაობა. მე ჩემი შვილისთვის ვმუშაობ, ცხოვრების საქმეს ვუმზადებ მას. მოვადრო, როცა ქეშმარიტება დაედება საფუძვლად ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, და ჩემი შვილი სწორედ ამ საფუძველზე დაამკვიდრებს თავის ცხოვრებას... უფრო ბედნიერს, ვიდრე მამამისის ცხოვრება იყო.

ლონა. მაგრამ საძირკველში მაინც დარჩება სიცრუე! დაფიქრდი, რანაირ მემკვიდრეობას უტოვებ შენს შვილს.

ბერნიკი (ძალით იოკებს სასოწარკვეთილების ყვირის). მე მას ვუტოვებ ათასწილ უფრო უარეს მემკვიდრეობას, ვიდრე შენ გგონია. მაგრამ ოდესმე მაინც აიხსნება წყევლა!.. თუმცა... (გააფთრებით). ეს რა უბედურება დამატეხეთ თავს?.. მაგრამ საქმე დამთავრებულია. უკან დახევა აღარ იქნება. ვერა, ვერ გამანადგურებთ, ვერ დამლუპავთ.

მარჯნიდან სწრაფი ნაბიჯით შემოდის შემუფთებული ქილმარი; ხელში გახსნილი წერილი უჭირავს.

ქილმარი. კი მაგრამ, ეს... ეს ხომ... ბეტი, ბეტი!

ბერნიკი. რა მოხდა? უკვე მოდიან?

ქილმარი. არა, არა. მაგრამ აუცილებლად უნდა მოველაპარაკო ვილაცას... (ხელმარცხნივ გადის).

ლონა. წელან შენ ამბობდი, კარსტენ, ჩემს დასალუბად ჩამოხვე-
დითო. მაშ, უყურე, რა ბიკია ეს ძე შეცთომილი, რომელსაც
კეთროვანივით უფროხის და თავს არიდებს თქვენი კეთილ-
ზნეობრივი საზოგადოება. უკვე წავიდა; არავითარი საქმე
ალარა აქვს თქვენთან...

ბერნიკი. აკი თქვა, დაებრუნდებიო?

ლონა. იუჰანი ალარასოდეს ალარ დაბრუნდება. სამუდამოდ წავიდა
და დინაც თან წაიყვანა.

ბერნიკი. ალარ დაბრუნდება და... დინაც წაიყვანა?

ლონა. დიახ, ცოლად ირთავს. ისინი სილას აწნავენ თქვენს
მალაზნეობრივ საზოგადოებას... ოდესღაც ასევე მოვიქეცი
მეც... მაგრამ კმარა!

ბერნიკი. მაშ, წავიდა და... დინაც თან წაჰყვანა?.. „ინდიანათი“?

ლონა. არა, ამ ალვირახსნილ ბანდას ვერ ანდო ესოდენ ძვირფასი
ტვირთი. იუჰანი და დინა „პალმათი“ გაემგზავრნენ.

ბერნიკი. ა!.. მაშ სულ ტყუილად?... (სწრაფი ნაბიჯით მიდის კაბინეტთან,
მკვეთრი მოძრაობით გამოაღებს კარს და ყვირის). კრაპ! შეაჩერეთ
„ინდიანა“! დღეს არამც და არამც არ უნდა გავიდეს ზღვაში.

კრაპი (კაბინეტიდან). „ინდიანა“ უკვე ზღვაშია, ბატონო კონსულო!

ბერნიკი (კარს გამოიხურავს; ჩაწყვეტილი ხმით). უკვე გვიანაა... და სულ
ამოდ...

ლონა. რაო, რას ამბობ?

ბერნიკი. არაფერს. თავი დამანებე...

ლონა. კმ... ყური მიგდე, კარსტენ. იუჰანმა მთხოვა, შენთვის
გადმომეცა, რომ ამიერიდან მე მანდობს თავის სახელზე
ზრუნვას, რომელიც ოდესღაც შენ გიმსხვერპლა და რომელიც
მეორედ შეუგინე მის აქ არყოფნაში. იუჰანი ხმას არ
ამოიღებს, მაგრამ მე კი მოქმედების სრული თავისუფლება
მომანიჭა. აი, შენი წერილები. ორივე ხელთა მაქვს.

ბერნიკი. შენ?.. და ახლა შენ გინდა... მაინცდამაინც დღეს... იქნებ,
თვით საზეიმო მსვლელობის დროსაც?..

ლონა. მე აქ შენს სამხილებლად კი არ მოვსულვარ, არამედ
იმისთვის, რომ ერთი მაგრად შემენჭლო „ზნეობრივად“,
რათა შენ თვითონვე შეგეგნო ყველაფერი. ეს ვერ შევძელი.
მაშ, ჩამყავდი მაგ შენს სიყალბესა და სიცრუეში. აი, უყურე,
ნაკუწებად ვაქცევ შენს წერილებს... აგერ, ნაკუწებიც... მიდი,
აკრიფე! ახლა შენს წინააღმდეგ არავითარი სამხილი ალარ
არსებობს, კარსტენ. ალარც ალარაფერი გემუქრება. ბედნიერი
იყავი... თუ შეგიძლია.

ბერნიკი (სულის სიღრმეებში შექრული და შექრუნებული). ღონა... აქამდე სად იყავი, რას უყურებდი? ახლა უკვე გვიანაა. ჩემს სიცოცხლეს ხომ სიცოცხლე აღარ ეთქმის. მე ადამიანი აღარა მქვია.

ღონა. მაინც რა მოხდა?

ბერნიკი. ნუ მკითხავ... მაგრამ მაინც უნდა ვიცოცხლო... და მინდა კიდევ ვიცოცხლო... მხოლოდ ულაფის გულისთვის. ის გამოასწორებს... გამოისყიდის ყველაფერს.

ღონა. კარსტენ!

პილმარი სირბილით ბრუნდება უკან.

პილმარი. არავენაა, არავენ, ეს ბეტი მაინც სად გაქრა?

ბერნიკი. რა მოგივიდა?

პილმარი. არა, შენ ვერ გეტყვი.

ბერნიკი. რაო? აბა, ახლავე მითხარი!

პილმარი. მაშ, კარგი... ულაფი „ინდიანათი“ გაიქცა.

ბერნიკი. (დაბარბადა). ულაფი?.. „ინდიანათი“?.. არა, არა!

ღონა. როგორც ჩანს, მართლა გაიქცა. ახლა კი მესმის... მე თვითონვე დავინახე, როგორ ისკუპა ფანჯრიდან...

ბერნიკი (კაბინეტის კარს მივარდება და სასოწარკვეთილი ყვირის). კრაპ! რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, სასწრაფოდ შეაჩერეთ „ინდიანა“!

კრაპი (კაბინეტიდან გამოდის). შეუძლებელია, ბატონო კონსულო. ხომ მოგეხსენებათ...

ბერნიკი. უნდა შევაჩეროთ! „ინდიანაზე“ ულაფია.

კრაპი. რას ბრძანებთ?!

რუმელი (კაბინეტიდან გამოდის). რაო, ულაფი გაიქცაო? შეუძლებელია!

სანსტადი (თვითონაც გამოდის). ლოცმანთან ერთად დააბრუნებენ, ბატონო კონსულო.

პილმარი. არა, მაგის იმედი არ არის; აი, რას მწერს: (წერილს აჩვენებს). ტრიუმში ვიჭდები, სანამ გემი გაშლილ ზღვაში არ გავაო.

ბერნიკი. ველარასოდეს ველარ ვნახავ!

რუმელი. რას ჰქვია, ველარა ნახავ?.. კაი მაგარი და მკვიდრი გემია, თანაც, ახალი შეკეთებული...

ვიგელანი (რობელიც ყველაზე ბოლოს გამოვიდა კაბინეტიდან). ... თქვენსაკვე საკუთარ ვერფში, ბატონო კონსულო!

ბერნიკი. გეუბნებით, ველარასოდეს ველარ ვნახავ-მეთქი! ახლა კი ვხედავ, რომ სამუდამოდ დავკარგე, ღონა... არც არასოდეს ყოფილა ჩემი. (რალაცას აყურადებს). რა ამბავია?

რუმელი. მუსიკა. მსვლელობა ახლოვდება.

ბერნიკი. არა, არ შემოძლია, არავის მიღების თავი არა მაქვს.

რუმელი. რას ამბობ? შეუძლებელია!

ხანსტადი. შეუძლებელია, ბატონო კონსულო! აბა, დაფიქრდით, რა დადეთ სასწორზე!

ბერნიკი. რაში მენაღვლება ახლა ყოველივე ეს? ვისთვისღა უნდა ვიშრომო?

რუმელი. როგორ თუ ვისთვის? ჩვენთვის, მთელი საზოგადოებისთვის. ვიგელანი. სწორია!

ხანსტადი. ხომ არ დაგავიწყდათ, ბატონო კონსულო, რომ ჩვენ... მარცხნიდან შემოდის მარტა. შორიდან მუსიკა მოისმის.

მარტა. მოდიან. ბეტი კი სახლში არ არის. ვერ გამოვიდა, რა იქნა?..

ბერნიკი. სახლში არ არის? აი, ხომ ხედავ, ლონა, არავეინა მყავს, რომ დავენდო, — არც კირში და არც ლხინში.

რუმელი. აბა, ჩქარა, ფარდები აეწიოთ! თუ შეიძლება, მომეხმარეთ, ბატონო კრაპ!.. თქვენც, ბატონო ხანსტად! რა სამწუხაროა, რომ ოჯახის წევრები მაინცდამაინც ახლა არ არიან შინ! პროგრამა გვეშლება და ეგაა!

კარ-ფანჯრებზე ფარდებსა სწევენ. მთელი ქუჩა გაჩირალდნებულია. პირდაპირ მდგარ სახლზე ტრანსპარანტი გაუკრავთ, რომელზედაც უზარმაზარი ასოები წერია: „გუმარჯოს კარსტენ ბერნიკს, ჩვენი საზოგადოების ბურკს!“

ბერნიკი (შეშინებული იხეხს უკან). აქედან მოაშორეთ... არ დამანახოთ! ჩააქრეთ, ჩააქრეთ!

რუმელი. ნება მიბოძე, გკითხო: შენს კეკუაზე ხარ?

მარტა. რა მოსდის, ლონა?

ლონა. სსუ! (რალაყას ჩასჩურჩულებს).

ბერნიკი. თვალთ არ დამანახოთ-მეთქი! ეს კაცის აბუჩად აგდება! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ეს მოციმციმე ცეცხლის ალები თითქოს დაცინვით გვიყოფენ ენას?

რუმელი. არაფერი არ მესმის...

ბერნიკი. ან კი რა უნდა გესმოდეს?.. მაგრამ, მე, მე?! ეს სამგლოვიარო პროცესიაა!

კრაპი. კმ...

რუმელი. მომისმინე... ძალიან ახლოს მიგაქვს გულთან.

ხანსტადი. რა მოხდა, რა უქირს? ატლანტის ოკეანეზე გაისეირნებს და უკანვე დაბრუნდება.

ვიგელანი. მხოლოდ განგების ნებას მიენდეთ, ბატონო კონსულო.

რუმელი. და გემსაც, ბერნიკ! ჩაძირვას ხომ არ აპირებს.

კრაპი. კმ...

რუმელი. სხვა საქმეა, ეს რომ ერთი იმ მცურავ კუბოთაგანი იყოს, ზოგიერთი უცხოური კომპანია რომ გზავნის...

ბერნიკი. მგონი, ეკლარავდები...

ბალიდან შემოდის შალშემოხვეული ბეტი.

ბეტი. კარსტენ! კარსტენ! იცი?..

ბერნიკი. დიახ, ვიცი!.. კი მაგრამ, შენ?.. რა ღმერთი გაგიწყრა?
დაბრმავდი თუ რა მოგივიდა? დედა წარ, დედა!

ბეტი. მათქმევიწ!

ბერნიკი. რატომ თვალყური არ ადევნე? ახლა ხომ სამუდამოდ
დაეკარგე. დამიბრუნე, დამიბრუნე თუ შეგიძლია!

ბეტი. დიახ, დაგიბრუნებ! ჩემთანაა!

ბერნიკი. შენთან?..

ყველანი. ა-ა!..

პილმარი. ასეც ვიცოდი!

მარტა. შეილი დაგიბრუნდა, კარსტენ.

ლონა. ჰოდა, გაუფრთხილდი!

ბერნიკი. მაშ, შენთანაა? მართალს ამბობ? აბა, სად არის?

ბეტი. არ გეტყვი, სანამ არ აპატიებ.

ბერნიკი. აპატიებო?.. კი მაგრამ, როგორ გაიგე?

ბეტი. შენ გგონია, დედის თვალს რამე გამოეპარება? მხოლოდ
შიშის ქარი მივიღა ტანში, რომ შენ არ გაგეგო. გუშინ
რალაცა წამოსცდა... დღეს კი, როცა დავინახე, რომ მისი
ოთახი ცარიელია და აღარც ტანსაცმელია სადმე...

ბერნიკი. მერე?..

ბეტი. გულგახეთქილი გავვარდი, ეუნე წაეიყვანე, ერთად ჩავსხე-
დით ნავში და... „ინდიანა“ უკვე ზღვაში გასასვლელად
ემზადებოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, დროზე მივუსწარიტ.
მთელი ტრიუმი გადავაქოთეთ და როგორც იქნა ვიპოვეთ.
გეხვეწები, კარსტენ, ნუ დასჯი, რა!

ბერნიკი. ბეტი!

ბეტი. ნურც ეუნეს!

ბერნიკი. ეუნეს? რა შუაშია ეუნე? „ინდიანამ“ გზა განაგრძო?

ბეტი. საქმეც ისაა, რომ არა.

ბერნიკი. სთქვი! სთქვი!

ბეტი. ეუნე ჩემზე არანაკლებ შეძრწუნებული იყო; ძებნა ძალიან
დიდხანს გაგრძელდა; უკვე ჩამობნელდა; ლოცმანმა უარი თქვა
წყევანაზე და ეუნემ გადაწყვიტა... შენი სახელით...

ბერნიკი. რა?..

ბეტი. ... ხვალამდე შეეჩერებინა გემი.

ბერნიკი. რა ბედნიერებაა!

ბეტი. მაშ, არა ბრაზობ?

ბერნიკი. რა ბედნიერებაა, ბეტი!

რუმელი. მეტისმეტად კეთილსინდისიერი კაცი ხარ!

კრაპი (ფანჯარასთან). ხალხი უკვე ბაღში შემოდის, ბატონო კონსულო.

ბერნიკი. ახლა კი, გაუშვი, მოვიდნენ.

რუმელი. მთელი ბალი ხალხითაა სავსე.

სანსტადი. ქუჩაც გაქვდილია.

რუმელი. მთელი ქალაქი ფეხზე დგას, ბერნიკ, მართლაც თავბრუ-
დამხვევი წამია!

ვიგელანი. თვინიერად ქედმოდრეკილი უნდა შევეგებოთ მას,
ბატონო რუმელ.

რუმელი. ყველა კავშირი აქაა, თავიანთი ბაირალებით! რა დიდებული
სანახაობაა! აი, თვით კომიტეტიც, რიორლუნის მეთაურობით.

ბერნიკი. ახლა კი მოვიდნენ-მეთქი!

რუმელი. კი მაგრამ, მომისმინე... ისეთი ალგზნებული ხარ...

ბერნიკი. მერე რა?

რუმელი. თუ გინდა, შენს მაგივრად...

ბერნიკი. არა, გმადლობ. დღეს მე თვითონ ვილაპარაკებ.

რუმელი. მერედა, იცი კია, რა უნდა თქვა?

ბერნიკი. შენ დარდი ნუ გაქვს, რუმელ! ახლა კი ვიცი, რაც უნდა ვთქვა!

ამასობაში მუსიკა ჩუმდება. ტერასის კარი იღება. შემოდინან კომიტეტის
წევრები, რომლებსაც წინ მოუძღვის რიორლუნი. მათ უკან ორ დაქირა-
ვებულ მსახურს თავდახურული კალათი მოაქვს. დარბაზი ხალხით იყვება.
ქუჩასა და ბაღშიაც ხალხს ტყუა აღარ არის. ბრბოში დროშები და ბაირალები ფრიალებს.

რიორლუნი. ღრმად პატივცემულო ბატონო კონსულო! თქვენს
სახეზე აღბეჭდილი განცვიფრება მოწმობს, რომ დაუპატივე-
ბელი სტუმრებივით შემოგეპქერით თქვენს მყუდრო სახლში,
სადაც გარს გახვევიან ბედნიერი შინაურები, ერთგული
მეგობრები და თანამოქალაქენი. მაგრამ ჩვენ აქ მოგვიყვანა
უგულწრფელესმა სურვილმა, ჩვენი სიყვარული და პატივის-
ცემა დაგვედასტურებინა თქვენთვის. პირველად როდი ხართ
მოწმე თქვენდამი ამნაირი გრძობების გამოხატულებისა,
მაგრამ პატივისცემის საზეიმო მანიფესტაცია დღეს პირველად
იღებს ესოდენ ფართო ხასიათს. ჩვენ არაერთხელ გამოგვი-
ქვამს მადლიერება იმ მყარი ზნეობრივი საწყისებისათვის,
რომლებზედაც თქვენ, ასე ვთქვათ, მკვიდრად აფუძნებთ ჩვენი
საზოგადოების ცხოვრებას. მაგრამ დღეს სრულიად განსაკუთ-
რებულ პატივს მოგაგებთ, როგორც შორსმჭკრეტელ და
მოუღლელ, ქეშმარიტად უზადო და უანგარო, მეტიც,
საქმისათვის თავშეწირულ მოღვაწეს, ვისი ინიციატივითაც

საფუძველი ეყრება საქმეს, რომელსაც ყველა კომპეტენტური სპეციალისტის აზრით, შეუძლია მძლავრი ბიძგი მისცეს საზოგადოების შემდგომ წინსვლას, წარმატებასა და კეთილდღეობას.

მრავალრიცხოვანი ხმები (ბრბოში). ბრავო! ბრავო!

რიორლუნი. ბატონო კონსულო! წლების მანძილზე თქვენ იყავით ქემშარიტად სანიმუშო პიროვნება, მისაბაძი ნიმუში მთელი ქალაქისათვის! მე უკვე აღარაფერს ვამბობ თქვენს სანიმუშო ოჯახზე, ანდა თქვენს უზადო ზნეობრივ პრინციპებზე, — ეს კერძო, ინტიმური საუბრის თემაა და არა საზიემო სიტყვისა. მე ვლაპარაკობ მხოლოდ თქვენს საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, რომელიც ყველას თვალწინა აქვს. თქვენი ვერფები სანიმუშო გემებს უშვებენ, რომლებიც თავიანთი დროშების ფრიალით კილით-კიდედღე სერავენ ყველა ზღვასა და ოკეანეს. მუშების მრავალრიცხოვანი და ბედნიერი ოჯახი თავის მწყალობლად და მშობელ მამადა გასახავთ. მრეწველობის ახალი დარგების შექმნით თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ ასობით ოჯახის კეთილდღეობას. ერთი სიტყვით, თქვენა ხართ ჩვენი საზოგადოების მთავარი ბურჯი, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით.

ხმები (ბრბოდან). ბრავო! ბრავო!

რიორლუნი. ჩვენს დროში განსაკუთრებით საამაყო და სასიხარულოა, ხედავდე ნამდვილ უნაგარობას, რომლითაც გამოირჩევა მთელი თქვენი მოღვაწეობა. ახლა კი განზრახული გაქვთ, — რატომ არ უნდა ითქვას ყველას გასაგონად და თამამად, — დიახ, განზრახული გაქვთ რკინიგზის ხაზის გაყვანა.

მრავალრიცხოვანი ხმები (ბრბოში). ბრავო! ბრავო!

რიორლუნი. მაგრამ ამ წამოწყებას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მოუწევს არაერთი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა, რასაც მას უქმნის შეზღუდული და ანგარებიანი ინტერესები.

ხმები (ბრბოში). მოუსმინეთ! მოუსმინეთ!

რიორლუნი. ცნობილი შეიქნა, რომ ცალკეულმა პირებმა, რომლებიც არ ეკუთვნიან ჩვენს საზოგადოებას, დაასწრეს ჩვენს შრომის მოყვარე თანამოქალაქეებს და ხელში ჩაიგდეს ზოგიერთი უპირატესობა, რომლებიც სამართლიანად ეკუთვნის მხოლოდ ჩვენს ქალაქს.

ხმები (ბრბოში). დიახ, დიახ! მოუსმინეთ!

რიორლუნი. ეს სამწუხარო ამბავი. რაღა თქმა უნდა, თქვენს ყურამდეც მოაღწევდა, ბატონო კონსულო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავ მტკიცედ და განუხრელად მისდევთ თქვენს მიზანს, ვინაიდან შეგნებული გაქვთ, რომ სამშობლოს

ქეშმარიტ მოქალაქეს არ შეჰქვების მარტოოდენ ადგილობრივ ინტერესებზე ზრუნვა.

ხმები (ბრბოში). კმ!.. არა! არა!.. დიახ!.. დიახ!..

რიორლუნი. ამრიგად, დღეს ჩვენ მოგაგებთ პატივს, როგორც სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეს, როგორც ყველასათვის მისაბამ კაცს. დაე, თქვენი წამოწყება ამიერიდან განუხრებლად ემსახურებოდეს საზოგადოების კეთილდღეობას. მართალია, რკინიგზამ შეიძლება ხელი შეუწყოს უკეთური ელემენტების შემოღწევას ჩვენში, მაგრამ იგივე რკინიგზა დაგვეხმარება იმაშიც, რომ თავიდან მოვიშოროთ ისინი. ხოლო ის ამბავი, რომ სწორედ ამ საზეიმო საღამოს, თუ ხმებს დაეუჭვრებთ, ჩვენდა სასიკეთოდ და სასიხარულოდ, გაცილებით უფრო მალე დავალწიეთ თავი ზოგიერთ მათგანს, ვიდრე ველოდით...

ხმები (ბრბოში). სსუ! სსუ!

რიორლუნი. ... დიახ, ეს ამბავი მე მესახება კეთილის მაუწყებელ ნიშნად. რაც უთუოდ ხელს შეუწყობს თქვენი წამოწყების წარმატებით დაგვირგვინებას. ხოლო ის გარემოება, რომ მე გაგებდე და აქ ვახსენე ეს ამბავი, ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიმოწმებს, რომ ჩვენ ვიძყოფებით სახლში, სადაც ზნეობრივ პრინციპებს ნათესაურ ურთიერთობებზე მალლა აყენებენ.

ხმები (ბრბოში). უსმინეთ! ბრავო!

ბერნიკი (იმავედროულად). ნება მიბოძეთ...

რიორლუნი. სულ ორიოდ სიტყვა, ბატონო კონსულო. ამდენ ხანს თავგამოდებით რომ იღწვოდით ქალაქის საკეთილდღეოდ, თქვენ, რა თქმა უნდა, შორს იყავით იმ აზრისაგან, რომ ამ გზით მოგეხვეჭათ რაიმე ჭილდო. მაგრამ იმის უფლება კი არა გაქვთ, რომ უარყოთ თქვენი თანამოქალაქეების სიყვარულისა და პატივისცემის ეს პატარა გამოხატულება. მით უმეტეს, ამ ღირსშესანიშნავ წამს, როცა კომპეტენტურ პირთა მტკიცებით, ჩვენ შევდივართ ახალ ერაში.

მრავალრიცხოვანი ხმები (ბრბოში). ბრავო! უსმინეთ, უსმინეთ!

რიორლუნი ნიშანს აძლევს მსახურებს, რომლებსაც კალათი მოაქვთ: კომიტეტის წევრები კალათიდან იღებენ და რიორლუნს გადასცემენ იმ ნივთებს, რომლებსაც ის ქვემოთ ჩამოთვლის.

რიორლუნი. ამრიგად, ბატონო კონსულო, პატივი გვაქვს, მოგართვათ ვერცხლის სერვიზი. დაე, ამკობდეს თქვენს სუფრას, როცა, ჩვენდა სასიხარულოდ, კვლავ არაერთხელ შევიკრიბებით თქვენს სტუმართმოყვარე ოჯახში. და თქვენც, ბატონებო, ესოდენ ერთგულად რომ უდგებართ მხარში ჩვენს თავკაცს, გთხოვთ სამახსოვროდ მიიღოთ ეს მცირე ძღვენი.

აი, ეს ვერცხლის თასი თქვენ გეკუთვნით. ბატონო რუმელ-
დაე, ხშირ-ხშირად მოგცემოდეთ იმის შესაძლებლობა, რომ
მალლა აწეული გეკვიროთ ხელში და ბოლომდე სევამდეთ ჩვენი
საზოგადოების სადღეგრძელოს! თქვენ კი, ბატონო სანსტად,
ნება მიბოძეთ, გადმოგცეთ ეს ალბომი. თქვენმა ფართოდ
ცნობილმა და საყოველთაოდ აღიარებულმა კაცთმოყვარეო-
ბამ ბევრი მეგობარი შეგძინათ საზოგადოების ყველა წრეში,
ყველა ფენაში. და ბოლოს, ბატონო ვიგელან, ნება მიბოძეთ,
მოგართვათ ველენის ქალაღზე დაბეჭდილი და ძვირფას
ყდაში ჩასმული ქადაგებების ეს კრებული. აზრის სიცხადე
და გამჭვირვაობა, რაც წლების მანძილზე გამოგიმუშავდათ,
საშუალებას გაძლევთ, სერიოზული თვალთახედვით აღიქვამ-
დეთ ცხოვრებას, ხოლო ამქვეყნიურ ამოებასა და ორომ-
ტრიულში ხანგრძლივმა მოღვაწეობამ სხვა, უფრო ნათელ,
საუკუნო ცხოვრებასა და სასუფეველზე ფიქრით გააკეთილ-
შობილა თქვენი სული. (შეკრებილთ მიუბრუნდება). მაშ, გაუმარ-
ჯოს, მეგობრებო, კონსულ ბერნიკს და მის თანამებრძოლებს!
გაუმარჯოს ჩვენი საზოგადოების ბურჯთ!

მთელი ბრბო. გაუმარჯოს კონსულ ბერნიკს! გაუმარჯოს ჩვენი
საზოგადოების ბურჯთ! ვაშა! ვაშა! ვაშა!

ლონა. ბედნიერებას გისურვებ, სიძე ბატონო!

პაუზა. დაძაბული მოლოდინი.

ბერნიკი (ღინჯად და სერიოზულად). მოქალაქენო! თქვენმა წარმომად-
გენელმა წელან აღნიშნა, ახალ ერაში შევედივართო. იმედია,
ასეც იქნება. მაგრამ ამისთვის მწედ და მეოხად უნდა
მოვუხმოთ ქვეშარიტებას, რომელიც ამ საღამომდე თითქმის
ვერასოდეს პოულობდა თავშესაფარს ჩვენს საზოგადოებაში.

განცვიფრების ჩოჩქოლი ბრბოში.

ამიტომაც მე. უწინარეს ყოვლისა, უნდა უარვეყო ის ქება-დი-
დება, რომლითაც თქვენ, ბატონო ადიუნქტო, დადგენილი
წესისამებრ, ესოდენ დაუმსახურებლად შემამკეთ. მე არ
დამიმსახურებია იგი. იმიტომ, რომ, არ ვყოფილვარ უანგარო
მოღვაწე. მართალია, ყოველთვის მოგება და გამორჩენა როდი
გახლდათ ჩემი მიზანი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩემი
მოღვაწეობის მთავარი მამოძრავებელი ძალა ყოველთვის იყო
ძალაუფლების. გავლენისა და პატივისცავენ დაუცხრომელი ლტოლვა-

რუმელი (შეშფოთებული). რაო?.. რას ამბობს?

ბერნიკი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვერაფერს ვუსაყვედურებ
საკუთარ თავს ჩემსავე თანამოქალაქეებთან მიმართების
მხრივ. ვინაიდან მათ შორის ყველაზე უკეთესთაც, ვფიქრობ.
თამამად შემიძლია გვერდით დავუყენო თავი.

მრავალრიცხოვანი ხმები (ბრბოში). დიახ, დიახ, დიახ!

ბერნიკი. მაგრამ იმას კი ვერ ვაპატიებ ჩემსავე თავს, რომ ხშირად მძლევდა სისუსტე და პირდაპირი გზიდან მახვევინებდა, ვინაიდან ვიცოდი და ქირის დღესავე ვუფრთხოდი ჩვენი საზოგადოების მანკიერ მიდრეკილებას, — ყველაფერში, რასაც უნდა იქმოდეს კაცი, მაინცდამაინც ცუდი დაინახოს, ან გამოჩხრიკოს. ახლა მე მინდა შევეხო ერთ გარემოებას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ზემოთქმულს.

რუმელი (შეშფოთებით). კმ!.. კმ!..

ბერნიკი. ხალხში ხმა დაირხა, მასიურად იძენენ მიწის ნაკვეთებსაო. ყველა ეს ნაკვეთი მე შევიძინე, დიახ, მხოლოდ მე...

ხმები (ბრბოში; ჩურჩულით). რაო, რას ამბობს?.. ნუთუ კონსული?.. კონსული ბერნიკი?..

ბერნიკი. ჭერჭერობით, ყველაფერი ჩემს ხელთაა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩემს მეგობრებს — რუმელს, ვიგელანს და სანსტადს გავანდე, და ჩვენ შევთანხმდით, რომ...

რუმელი. სტყუი! აბა, დაგვიმტკიცე, დაგვიმტკიცე!

ვიგელანი. არაფერზეც არ შევთანხმებულვართ!

სანსტადი. ერთი უყურეთ!..

ბერნიკი. მართალს ბრძანებთ, ჭერ კიდევ არ შევთანხმებულვართ. იმაზე, რასაც ახლა მოგახსენებთ. მაგრამ, იმედია, სამივენი კეერს დამიკრავენ, როდესაც გეტყვით, რომ დღეს გადავწყვიტე, ყველა ეს ნაკვეთი აქციებზე ჩვეულებრივი ხელმოწერის გზით გავანაწილო. ყველა მსურველს შეუძლია მათი შეძენა.

მრავალრიცხოვანი ხმები (ბრბოში). ვაშა! გაუმარჯოს კონსულ ბერნიკს!

რუმელი (ჩუმად, ბერნიკს). მაშ, გაგვიდე, არა?..

სანსტადი (ასევე). ესე იგი, მოგვატყუეთ...

ვიგელანი. დალახვროს ეშმაკმა! ო, ლმერთო, ეს რა წამომცდა?

ბრბო (ბაღში). ვაშა! ვაშა! ვაშა!

ბერნიკი. ჩუმად, ბატონებო! მე არ დამიმსახურებია ამნაირი პატივი; ერთბაშად როდი მივსულვარ ამ გადაწყვეტილებამდე. თავდაპირველად ვაპირებდი ყველაფერი თვითონვე დამენარჩუნებინა. თუმცა ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ ამ ნაკვეთებს ყველაზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ერთი კაცის ხელში დარჩებიან. მაგრამ ეს საქმე თქვენთვის მომინდვია გადასაწყვეტად. თუ გნებავთ, მე თვითონ გავუძღვები, როგორც შემიძლია.

ხმები (ბრბოში). დიახ, დიახ!

ბერნიკი. მაგრამ ჯერ ბოლომდე უნდა გაიგოთ, რა კაცი ვარ, მოქალაქენო. შემდეგ კი, დაე, თვითოეულმა თქვენთაგანმა ჩაიხედოს საკუთარ სულში, და, დაე, აღსრულდეს სიტყვები, ახალ ერაში შევიდვართო. ძველი დრო, მთელი მისი გარეგნული ბრწყინვალეობით, შინაგანი სიცარიელით, პირფერობით, მოჩვენებითი მორალით და უბადრუკი მოსაზრებებით, დაე, თქვენთვის მუზეუმად იქცეს, მოქალაქენო, მუზეუმად, რომელიც მხოლოდ იმისთვის იქნება გახსნილი, რომ შეცდომებზე ვისწავლოთ და სათანადო გაკვეთილი გამოვიტანოთ. მოდით, ამავე მუზეუმში ჩავაბაროთ. ბატონებო, ვერცხლის სერვიზიც, თასიც, ალბომიცა და ველენის ქაღალდზე დაბეჭდილი და ძვირფას ყდაში ჩასმული ქადაგებების კრებულიც.

არუმელი. რა თქმა უნდა.

ვიგელანი (ბუზღუნით). რაკი ყველაფერს თვითონ წყვეტო...

სანსტადი. ნება თქვენია!

ბერნიკი. ახლა კი საზოგადოების წინაშე ჩემი ანგარიშგების ძირითადი საკითხის რიგმაც მოაწია. აქ ითქვა, რომ დღეს, ღვთის შეწევნით, თავიდან მოვიცილეთ ზოგიერთი უცხო და ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი ელემენტი. ამას, ჩემის მხრივ, შემძლია დაეუმატო ის, რაც ჯერჯერობით ყველამ როდი იცის, კერძოდ, გეტყვით, რომ კაცი, ვისზედაც ეს ითქვა, მარტო როდი... წასულა. მასთან ერთად გაემგზავრა, რათა შემდეგ ცოლად გაჰყვეს...

ლონა (ხმაბალა). დინა დორფი!

რიორლუნნი. რაო?

ბეტი. რას ამბობ?

საყოველთაო მღელვარება.

რიორლუნნი. გაიქცა? მასთან ერთად გაიქცა?.. შეუძლებელია!

ბერნიკი. რათა ცოლად გაჰყვეს, ბატონო ადიუნქტო. ერთსაც დავესძენ... (ცოლს ჩუბად). ბეტი, მხნეობა მოიკრიბე, რომ გაუძლო! (ხმაბალა). დიახ, ერთსაც დავესძენ: ქუდეები მოიხადეთ ამ კაცის წინაშე, ბატონებო! მან დიდსულოვნად იტვირთა სხვისი დანაშაული. დღეს მე ვთავისუფლდები სიცრუისა და სიყალბის მძიმე ტვირთისაგან, რომელიც წლების მანძილზე მიწამლავდა სიცოცხლეს, სულსა და გულს. ყველაფერს მოგახსენებთ. მოქალაქენო. იმაში, რაც ამ თხუთმეტი წლის წინათ მოხდა, მხოლოდ მე მიმიძღვის ბრალი.

ბეტი (ჩუბად, მღელვარებით). კარსტენ...

მარტა (ასევე). აჰ, იუჰან!

ლონა. ძლივს არ სძლიე შენსავე თავს!

დანარჩენები უხმოდ დგანან, გაოგნებულნი.

ბერნიკი. დიახ, მოქალაქენო, დამნაშავე მე ვიყავი, ის კი წავიდა. ბოროტმზრახველობამ და ყალბმა მითქმა-მოთქმამ, რაც შემდეგ ატყდა. თავისი სავალალო შედეგი გამოიღო, რომლის გამოსწორებაც ახლა თითქმის შეუძლებელი გახლავთ: წარსულს ველარ დაიბრუნებ, და ამის გამო დრტვინვას ვერც ვბედავ. თხუთმეტი წლის წინათ, სწორედ ამ მითქმა-მოთქმის წყალობით დავდექი ფეხზე და წელში გავიმართე. ახლა კი იგივე მითქმა-მოთქმა დამამხობს თუ არა, ამას თვითეული თქვენგანის სინიდისს ვანდობ.

რიორლუნი. რა საშინელი დარტყმა! პირველი კაცი მთელს ქალაქში!.. (ჩუმაღ, ბეტის). ო, როგორ მებრალებით, ქალბატონო!

ჰილმარი. აღსარებაც ამასა ჰქვია!..

ბერნიკი. მაგრამ დღეს ნურაფერს გადაწყვეტო. გთხოვთ, დაიშალოთ, სახლებში წახვიდ-წამოხვიდეთ და გულდასმით ჩაუკვირდეთ საქმის არსს. როცა მღელვარება დაცხრება, მაშინლა გახდება ნათელი: მოვიგე თუ წავაგე ამ ჩემი აღსარებით. კარგად ბრძანდებოდეთ! სამწუხაროდ, სხვაც ბევრი მაქვს მოსანანიებელი, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემს სინიდისს ეხება. ღამე მშვიდობისა! აქედან მოაშორეთ ეს მორთულობა, ზიზილ-პიპილებიანი სამკაულები. ყველანი ვგრძნობთ, რომ აქ მათი ადგილი არ არის.

რიორლუნი. მართლაც. (ჩუმაღ, ბეტის). ესე იგი, გაიქცა! მაშასადამე, ჩემი ღირსი არ ყოფილა! (ზეიშის მომწყობთ). დიახ, ბატონებო, ყოველივე ამის შემდეგ, ჩემის აზრით, უმჯობესია დავიშალოთ.

ჰილმარი. მოდი და ამის შემდეგ მალლა გეკვიროს იდეის დროშა! უჰ!

ყველანი ერთმანეთს ეჩურჩულებიან; დარბაზი თანდათან ცარიელდება. რუმელი, სანსტადი და ვიგელანი ბაღში ჩადიან და თან გაცხარებით კამათობენ. დარბაზში რჩებიან მხოლოდ ბერნიკი, მისი ცოლი, მარტა, ლონა და საქმეთა მმართველი კრაპი. ყველა დუმს.

ბერნიკი. ბეტი, თუ შეგიძლია, მაპატიო?

ბეტი (ლოპოლით მისჩერებია). იცი, რა, კარსტენ? არასოდეს არ მოგიცია ჩემთვის ესოდენ ნათელი იმედი, როგორც დღეს!

ბერნიკი. როგორ?

ბეტი. რამდენი ხანია ვფიქრობდი, რომ ოდესღაც ჩემი იყავი, მაგრამ შემდეგ დაგკარგე. ახლა კი ვიცი, რომ არასოდეს არ ყოფილხარ ჩემი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, — იქნები!

ბერნიკი (ეხვევა). ო, ბეტი, მე უკვე შენი ვარ! ლონას წყალობით მივხვდი ყველაფერს. მაგრამ ულათი სადღაა, რატომ არ მოდის?

ბეტი. კეთილი, ახლავე მოგიყვან. ბატონო კრაპ... (რაღაყს ეჩურჩულება და კრაპი ჩქარი ნაბიჯით ჩადის ტერასიდან).

მთელი შემდგომი სცენის განმავლობაში ტრანსპარანტები და ცეცხლის ენები ბაღში თუ ქუჩაში წელ-წელა ჭრებიან.

ბერნიკი (ჩუმად). გმადლობ, ლონა, შენ გადაარჩინე ჩემში და ჩემთვის, თუკი რამ კარგი მქონდა.

ლონა. აბა, რა იყო ჩემი მიზანი?

ბერნიკი. მართლა?.. ჯერ კიდევ ბოლომდის არ მესმის შენი.

ლონა. კმ...

ბერნიკი. მაშასადამე, სიძულვილი როდი გამოძრავებდა? არც შურისძიების გრძნობა?.. აბა რისთვის ჩამოხვედი?

ლონა. ძველ მეგობრობას ენგი არ ეკიდება.

ბერნიკი. ლონა!

ლონა. როდესაც იუჰანმა მიაშხო ამ სიცრუის ამბავი, მე დავიფიცე, რომ ჩემი ახალგაზრდობის გმირი კვლავ მართალი და პატიოსანი წარსდგებოდა ჩემს წინ.

ბერნიკი. ცუდი კაცი ვარ, ლონა! რითი დავიმსახურე ეს?

ლონა. ეკ, ჩვენ, ქალები, დამსახურებას რომ ვეძებდეთ, კარსტენ!..

ბალიდან შემოდის ეუნე; თან ულაფი მოჰყავს.

ბერნიკი (შვილს მივარდება). ულაფ!..

ულაფი. მამა, სიტყვას გაძლევ, რომ აღარასოდეს...

ბერნიკი. ... აღარ გაიქცევი?

ულაფი. დიახ, დიახ, სიტყვას გაძლევ, მამა!

ბერნიკი. მეც, გაძლევ სიტყვას, რომ ამიერიდან აღარასოდეს აღარ გექნება გაქცევის საბაზი. ისწავლე და იზარდე არა როგორც ჩემი მემკვიდრე, არამედ როგორც მომავალი ადამიანი, რომელიც თავის ღირსეულ მიზანს იპოვის ამ ცხოვრებაში.

ულაფი. მაშ, ნებას დამრთავ, ის ვიყო, რაც მინდა?

ბერნიკი. დიახ.

ულაფი. გმადლობ, მაშინ ახლავე გეტყვი: არ მინდა საზოგადოების ბურჯი ვიყო.

ბერნიკი. ოჰო! კი მაგრამ, რატომ?

ულაფი. იმიტომ, რომ, ალბათ, ძალზე მოსაწყენია.

ბერნიკი. შენ უნდა იყო ის, რაცა ხარ, ულაფ, დანარჩენი თავისთავად მოვა... თქვენ კი, ეუნე...

ეუნე. ვიცი, ბატონო კონსულო, — დათხოვილი ვარ.

ბერნიკი. არა. თქვენ დარჩებით, ეუნე და... გთხოვთ მომიტევეთ!

ეუნე. როგორ? „ინდიანა“ რომ დღეს არ მიდის?

ბერნიკი. არც ხვალ წავა. მე ძალზე ცოტა დრო მოგეცით. გემი საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს.

ეუნე. მესმის, ბატონო კონსულო. ახალ მანქანებს ავამუშავებთ!

- ბერნიკი.** ძალიან კარგი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სამუშაო ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შესრულდეს. ახლა კი ღამე მშვიდობისა, ეუნე!
- ეუნე.** ღამე მშვიდობისა, ბატონო კონსულო! გმადლობთ, გმადლობთ! (ხელმარცხნივ გადის).
- ბეტი.** ახლა კი ყველანი წავიდნენ.
- ბერნიკი.** და ჩვენ მარტონი დავრჩით. ჩემი სახელი ცეცხლოვანი ასოებით აღარ ელვარებს. ფანჯრებშიაც სინათლე ჩაქრა...
ლონა. შენ გინდა, რომ ისევ აინთოს?
- ბერნიკი.** ოჰ, არა, არა! ეს რა მომივიდა? თმები ყალყზე დაგიდგებოდით, რომ იცოდეთ, როგორ დავეცი! ახლა კი თითქოს დაბანგული ვიყავი და ძლივს გამოვეფხიზლდი. მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ჭერ კიდევ შემიძლია გამოვჯანსაღდე და კვლავ დამიბრუნდეს სიჭეულე! მოდი, უფრო ახლოს მოდი, ჩემო კარგებო! ბეტი! ულაფ, ჩემო ვაჟკაცო! შენც, მარტა!.. მთელი ამ წლების მანძილზე თითქოს სრულიად ვერ გამჩნევდი...
ლონა. მე მგონია, თქვენი საზოგადოება, არსებითად, ბერბიკების საზოგადოებაა: ქალებს ვერ ამჩნევთ.
- ბერნიკი.** მართალია, მართალი, და სწორედ ამიტომ... დიახ, ასე გადაწყდა, ლონა, არსადაც არ წახვალ, ჩვენთან დარჩები.
- ბეტი.** მართლა ნუ წახვალ, ლონა, რა?!
- ლონა.** არა, აბა, სად უნდა წავიდე? როგორ მივატოვო ასე ახალგაზრდა წყვილი, რომელიც ეს-ესაა შეუდგა თავისი ბედის შენებას? რა ვქნა, ასეთია ჩემი ბედი, ყველას დედობილი მე უნდა ვიყო. მე და შენ, მარტა, ორი ბებერი დეიდა... სად იყურები?
- მარტა.** როგორ მოიწმინდა! რა ბადრი მთვარე დანათის ზღვას! ბედნიერება თან ახლავს „პალმას“.
- ლონა.** ბედნიერება მის გემბანზეა.
- ბერნიკი.** ჩვენ კი... ჩვენ წინ გვიდევს გრძელი და ძნელი დღე, განსაკუთრებით, მე. მაგრამ მოვიდეს! მხოლოდ თქვენ ნუ მიმატოვებთ, ჩემო ერთგულო, ალალ-მართალო ქალბატონებო! ამ რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ საზოგადოების ქეშმარიტი ბურჯნი თქვენა ხართ, ქალები!
- ლონა.** ეს შენი სიბრძნე ნაკლებ საიმედოა, სიძე ბატონო! (მხარზე ხელს ადებს; მრავალმნიშვნელოვნად). არა, სული სიმართლისა და თავისუფლებისა, — აი, საზოგადოების ბურჯნი!





თოჭინების
სახლი

პიესა სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ადვოკატი ჰელმერი
ნორა, მისი მეუღლე
ექიმი რანკო
ფრუ ლინე
კერძო რწმუნებული კროგბტადი.
ხაში პატარა ბავშვი ჰელმერებისა.
ანა-მარია, მათი ძიძა.
მოახლე ჰელმერების სახლში.
ბიჭი

მოქმედება მიმდინარეობს ჰელმერის ბინაში.



პირველი მოქმედება

მუდრო და გემოვნებით შორთული, მაგრამ იაფფასიანი ავეჯით გაწყობილი ოთახი. სიღრმეში, შუა კედელში, ორი კარია: ერთი, ხელმარჯვნივ, წინკარში გადის, მეორე, მარცხნივ, ჰელმერის კაბინეტში. ამ ორ კარს შუა ჰიანინო ღვას. მარცხენა გვერდით კედელშიც კარია დატანებული; ავანსენის ახლოს ფანჯარაა. ფანჯარასთან მრგვალი მაგიდა, საკვარძლები და პატარა დივანი ღვას. მარჯვენა კედელშიც, ცოტა მოშორებით, კარია გაკრილი, წინ კი შორენკეცის ლუმელია, რომლის წინაც რამდენიმე სავარძელი და სარწყველა ღვას. ლუმელსა და კარს შორის მაგიდაა; კედელზე — გრაფიურები; თაროებზე — ფაიფურის პაწაწინა ნივთები; იქვე ღვას ძვირფასუდანი წიგნებით სავსე კარადა. იატაკზე ხალიჩა დაფენილი. ლუმელში ეცეხი ანთია. მზიანი დღეა.

წინკარიდან ზარი რეკავს. ცოტა ხნის შემდეგ ისმის, როგორ ალებენ კარს. ოთახში მზიარული ღლინით შემოდის ნორა. პალტო აცვია. ხელში პაკეტების გროვა უქირავს, რომლებსაც ხელმარჯვნივ მდგარ მაგიდაზე აწყობს. წინკარი ღია რჩება და ოთახიდან მოჩანს ბიჭი, რომელსაც ნაძვისხე და კალათა მოუტანია; ერთსაც და მეორესაც ის მოახლეს აძლევს, რომელმაც კარი გაუღო.

ნორა. ნაძვისხე კარგად დამალე, ელენ. ბავშვებმა სალამომდენ არ უნდა ნახონ, სანამ არ მოვრთავთ. (საფულეს იღებს; ბიჭს). რამდენი?

ბიჭი. ორმოცდაათი ერე!

ნორა. აი, კრონი... არა, ხურდა არ არის საკირო.

ბიჭი თავს უკრავს და მიდის. ნორა შემოსასვლელ კარს ხურავს და პალტოს იხდის. ეკლავ ჩუმად და მზიარულად იცინის. შემდეგ კიბიდან ნუშის ნამცხვრებზე სავსე პარკუქს იღებს და ნამცხვარს შეეჭეკვა. ფეხაქრებით უახლოვდება ქმრის კაბინეტის კარს და აუქრადებს.

ღიახ, სახლშია. (სიმღერით ბრუნდება მაგიდასთან).

ჰელმერი (კაბინეტიდან). ეს ვისი ხმა მესმის? ტროროლა გალობს?

ნორა (პაკეტებს ხსნის). ღიახ.

ჰელმერი. ციყუენიაც იქვე დახტის?

ნორა. ღიახ!

ჰელმერი. როდის დაბრუნდა სახლში?

ნორა. ეს-ესაა. (პარკუქს ჯიბეში მალავს და ტუჩებს იწმენდს). აქ მოდი, ტორვალდ. ნახე, რამდენი რამე ვიყიდე!

ჰელმერი. მოიცა, ხელს ნუ მიშლი. (ცოტა ხნის შემდეგ კარს გამოაღებს და ოთახში შემოიხედავს; ხელში კალმისტარი უკირავს). მაშ, ბევრი რამე იყიდე? ოჰო, ამდენი?.. ესე იგი, ჩიტუნია კვლავ გაფრინდა, რომ ფულები გაანიავოს?

ნორა. იცი რა, ტორვალდ? მე მგონია, უკვე დროა, ცოტა ჩვენც გავშალოთ ხელი. ეს ხომ პირველი შობაა, როცა ძველებურად აღარ გვიკირს.

ჰელმერი. მაგრამ არც ფლანგვის უფლება გვაქვს.

ნორა. ცოტა მაინც ხომ შეიძლება? სულ ცოტა! აკი დიდი ჯამაგირი დაგინიშნეს და ახლა ბევრი ფული გექნება.

ჰელმერი. დიახ, ახალი წლიდან. მაგრამ ჯამაგირს მხოლოდ სამი თვის შემდეგ მომცემენ.

ნორა. მერე რა, ერთხანს შეიძლება ვისესხოთ.

ჰელმერი. ნორა! (მიღის და ხუმრობით უწევს ყურს). ეს ჩვენი თავჯარიანობა ცუდ საქმეს გვიზამს. აბა, წარმოიდგინე, დღეს ვისესხებ ათას კრონს, შენ სადღესასწაულოდ გაანიავენ, ახალი წლის წინა დღეს კი სახურავიდან კრამიტი ჩამოვარდება, თავზე დამეცემა და — მორჩა, მოგკამა კირი.

ნორა (ხელს აფარებს პირზე). ფუჰ! რა სისულელეს ამბობ.

ჰელმერი. არა, ხომ შეიძლება ასედაც მოხდეს, მაშინ?

ნორა. ამნაირი საშინელება რომ მართლაც მოხდეს, ჩემთვის სულ ერთი იქნება, მაქვს ვალი თუ არა.

ჰელმერი. კი მაგრამ, მევალებები?

ნორა. მევალებები? მაგაზე დამიდგა დარდი! ისინი ხომ სხვები არიან!

ჰელმერი. ნორა, ნორა, შენ ქალი ხარ! მაგრამ თუ სერიოზულად მივუდგებით საქმეს, ხომ მოგეხსენება ჩემი აზრი. არავითარი ვალი! არავითარი სესხი! სესხზე დაფუძნებულ ოჯახს დამოკიდებულების რაღაც ულამაზო ჩრდილი ადგას, ნორა! აქამდე ხომ ყოჩაღად ვუძლებდით გასაქირს, მაშ, ცოტაც მოვითმინოთ; რაღა დარჩა?

ნორა (ლუმელთან მიღის). როგორც გნებავს, ნება შენია, ტორვალდ.

ჰელმერი (ფეხდაფეხ მისდევს). აი, ჩიტუნია მფრთები ჩამოყარა. ა! ციყვეუნია გაიბუტა. (საფულეს იღებს). როგორ გგონია, ნორა, რა მაქვს აქ?

ნორა (შემობრუნდება; სწრაფად). ფული!

ჰელმერი. დაიკი! (ფულს აძლევს). შენ გგონია, მე არ ვიცი, რამდენი რამ სკირდება ოჯახს სადღესასწაულოდ?

ნორა (ფულს ითვის). ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი. გმადლობ, გმადლობ, ტორვალდ. კაი ხანს მეყოფა.

ჰელმერი. ეცადე, იმყოფინო.

ნორა. დიახ, დიახ, აუცილებლად. მაგრამ ერთი აქ მოდი, გიჩვენო, რა ვიყიდე. თან რა იაფად! უყურე, აი, ეს ახალი კოსტიუმი და ხმალი — ივარს. ეს ცხენი და საყვირი — ბობს. ეს თოჯინა და მისი საწოლი კი — ემმის. უბრალოა, მაგრამ სულ ერთია, მაინც მალე გატეხავს. ესეც მოსამსახურის საკაბე და საწინსაფრე. ჩვენი ანა-მარია, რა თქმა უნდა, მეტის ღირსია, მაგრამ...

ჰელმერი. ამ პაკეტში რაღაა?

ნორა (შეშფოთებით). არა, არა, ტორვალდ! სალამომდე ვერ გიჩვენებ!

ჰელმერი. რა გაეწყობა! ერთი ეს მითხარი, პატარა მფლანგველო, შენთვის რაღა შეიგულე?

ნორა. ე, მე არაფერიც არ მინდა.

ჰელმერი. რას ჰქვია, არ გინდა? აბა, მითხარი, ყველაზე უფრო რას ინატრებდი, მხოლოდ ისე კი, რომ ხელი მიმიწვდებოდეს.

ნორა. ლმერთმანი, არაფერი არ მინდა. ანდა, იცი რა, ტორვალდ?...

ჰელმერი. რა?

ნორა (ქმრის პიჯაკზე სათითაოდ მოსინჯავს ღილებს და თან თვლებში შესტკერის). თუ ასე ძალიან გინდა მაჩუქო რამე, მაშინ...

ჰელმერი. აღარ იტყვი, ადამიანო?

ნორა (სწრაფად). რა იქნება, ფული მაჩუქე, ტორვალდ. რამდენიც შეგიძლია. მერე მე ვიცი, რასაც ვიყიდი ჩემთვის.

ჰელმერი. კი მაგრამ, ნორა...

ნორა. დიახ, დიახ, ნუ მეტყვი უარს, ჩემო ძვირფასო. გეხეწები. ოქროსფერ ქალაღში გავახვევ და ნაძვისხეზე ჩამოვკიდებ. ხომ დაამშვენებს?

ჰელმერი. მაინც რა ჰქვიათ იმ ჩიტუნებს, ფულებს რომ ანიაკებენ?

ნორა. ვიცი, ვიცი, — მფლანგველები. მაგრამ სიტყვას ნუ გადავალთ, ტორვალდ. მაშინ იმის დროც მექნება, რომ მოვიფიქრო, თუ რა მკირდება ყველაზე მეტად. ხომ ჰკვიანური აზრია, ა?

ჰელმერი (ილიმება). რა თქმა უნდა, თუკი მართლა შეინახავ და მერე რამეს იყიდი შენთვის. თორემ ოჯახს ათასი რამე სკირდება; შენი ამბავი რომ ვიცი, ისევ წვრილმანებში გადაყრი და მერე ხელახლა მომთხოვ.

ნორა. აჰ, ტორვალდ...

- პელმერი.** ნუ ვიდავებთ. ჩემო ძვირფასო. (ეხვევა). ჩიტუნია მომხიბლავია, მაგრამ საშინლად ბევრს ფლანგავს. ვინ დაიჯერებს, რა ძვირი უჯდება ქმარს ამნაირი ჩიტუნა.
- ნორა.** ფუ! მაგის თქმა იქნება? მე ხომ ვცდილობ, ხელმოშპირნედ ვხარჯო ფული, როგორც შემიძლია.
- პელმერი** (მზიარულად). ამას კი მართალს ამბობ! როგორც შეგიძლია! მაგრამ საქმეც ისაა, რომ საერთოდ არ შეგიძლია.
- ნორა** (ილიბება და ლილინებს). ჰმ! რომ იცოდე, რამდენი ხარჯი გვაქვს ტოროლებს და ციყუვნებს, ტორვალდ.
- პელმერი.** აჰ, შე პაწაწინა ცეტო! ზედგამოჭრილი მამაშენი ხარ. სულ იმას ფიქრობ, სად და როგორ იშოვო ფული. იშოვი და ხელში არ გიჩერდება, თვითონაც არ იცი, რაში მიფლანგე. რა გაეწყობა, ისეთი უნდა მიყვარდე, როგორიცაა ხარ. ხელგაშლილობა დაბადებითვე თან დაგყვა; მემკვიდრეობით გადმოგეცა, ნორა.
- ნორა.** აჰ, ნეტა ბევრი თვისება გადმომცემოდა მამაჩემისგან.
- პელმერი.** მე კი მინდა, რომ სხვანაირი იყო, ჩემო ლამაზო ტოროლა! მაგრამ მოიცა... მე გგონია... შენ... როგორა ვთქვა? დღეს რაღაც საექვოდ გამოიყურები.
- ნორა.** მე?
- პელმერი.** დიახ, შენ. აბა, თვალეში შემომხედე!
- ნორა** (უყურებს). აჰა!
- პელმერი** (თითო ემუქრება). ვითომ დღეს ქალაქში პირი არაფრისთვის გაუკრავს მსუნავს?
- ნორა.** რას ამბობ?
- პელმერი.** დავიჯერო, არც საშაქარლამოში შეუტრბენია?
- ნორა.** არა, ღმერთმანი, ტორვალდ...
- პელმერი.** და არც მურაბა გაუსინჯავს?
- ნორა.** აზრადაც არ მომსვლია.
- პელმერი.** არც ნუშის ნამცხვრით ჩაუტკბარუნებია პირი?
- ნორა.** აჰ, ტორვალდ, გეუბნები, არა-მეთქი, არა, არა...
- პელმერი.** უ-ტა-ტა-ტა-ტა! ხომ ხედავ, ვხუმრობ...
- ნორა** (ხელმარჯნავს, მაგიდასთან მიდის). რაც შენ არ გინდა, ღმერთმა ნუ მაქნევინოს.
- პელმერი.** ვიცი, ვიცი. აკი შემპირდი. (უახლოვდება). კეთილი, ეს შენი პატარა საშობაო საიდუმლო შენთვისვე შეინახე, ჩემო ძვირფასო. სულ ერთია, ამ საღამოს მაინც ყველაფერი გამომგლავნდება, როცა ნაძვისხეს ავანთებთ.
- ნორა.** ექიმი რანკი ხომ დაპატიე?

პელმერი. არა. მაგრამ არც არის საჭირო. ისედაც ჩვენთან ივახშმებს. თუმცა ჯერ კიდევ მოვასწრებ, რომ შევახსენო: სადილობამდე შემოივლის. საუცხოო ღვინო შეეუკვეთე. შენ ვერ წარმოიდგენ, რა სიხარულით მოველი დღევანდელ საღამოს.

ნორა. მე! ახლა ბავშვების სიხარულს აღარ იკითხავ, ტორვალდ?

პელმერი. აჰ, რა ბედნიერებაა იმის შეგნება, რომ, როგორც იქნა, ეწიე საწადელს, რომ უკვე კაი გვარიანი შემოსავალი გაქვს და ამას იქით მაინც აღარ გაგიჰკირდება. არა, ხომ ბედნიერებაა, ნორა?

ნორა. რა თქმა უნდა.

პელმერი. შარშანდელი შობა თუ გახსოვს? მთელი სამი კვირა ჩაკეტილი იყავი შენს ოთახში და ყვავილებსა და ათასნაირ სამკაულს ჭრიდი ნაძვისხის მოსართავად. გინდოდა განგე-ვიფურებინეთ. უ-უ, ამისთანა მოწყენილობა ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს.

ნორა. მე კი სულაც არ ვყოფილვარ მოწყენილი.

პელმერი (ღიმილით). მერედა, რა გამოვიდა, ნორა?

ნორა. ახლა კვლავ წამომაყვედრებ? რა ჩემი ბრალია, რომ კატა შეიპარა და ყველაფერი ნაკუწებად აქცია?

პელმერი. რა თქმა უნდა, აბა, რა შენი ბრალია, ჩემო საბრალო? შენ გინდოდა, სულით და გულით გინდოდა, გაგეხარებინეთ. სწორედ ესაა მთავარი. მაღლობა ღმერთს, რომ ეს საშინელი დრო უკან დარჩა.

ნორა. მაღლობა ღმერთს!

პელმერი. ამიერიდან იძულებული აღარ ვიქნები მარტოკა ვიჯდე მოწყენილი. შენ კი ეგ შენი ლამაზი თვალები გამოიღამო და ნაზი ხელები დაიჩხელიტო...

ნორა (ტაშს შემოკრავს). ხომ მართალია, ტორვალდ? აჰ, რა კარგი, რა მომხიბლავი, რა დიდებული სიტყვები მესმის! (ხელს ჩაკიდებს). ახლა კი ჩემს ოცნებას გაგანდობ, ტორვალდ, გეტყვი, როგორ ვაპირებ სახლის მოწყობას. აი, დღესასწაული ჩაივლის და...

წინკარიდან ზარის ხმა ისმის.

აჰ, რეკავენ! (ოთახის მილაგებას ცდილობს). ნამდვილად ვილაცაა. რალა ახლა მოუნდა?

პელმერი. თუ სტუმარია, იცოდე, შინ არა ვარ.

მოახლე (წინკარში). ქალბატონო, ვილაც უცნობი ქალი გკითხულობთ.

ნორა. სთხოვე.

მოახლე (ქელმერს). თქვენთან კიდეც ექიმია.

ჰელმერი. კაბინეტში მელოდება?

მოახლე. დიახ, დიახ.

ქელმერი კაბინეტში შედის. მოახლეს შემოჰყავს სამგზავროდ ჩაცმული ფრუ ლინე და კარს ხურავს.

ფრუ ლინე (ცოტა არ იყოს, დარცხენილი, ენის ბორძიკით). გამარჯობა, ნორა.

ნორა (შეებუნებული). გამარჯობათ...

ფრუ ლინე. მგონი, ვერ მიცანი.

ნორა. მართალი გითხრათ, ვერა... თუმცა, მოიცათ... (სიხარულით) ქრისტინა! ნუთუ შენა ხარ?

ფრუ ლინე. მე გახლავარ.

ნორა. ქრისტინა! მე კი ერთბაშად ველარ გიცანი! თუმცა... (ჩმადალა). როგორ შეცვლილხარ, ქრისტინა!

ფრუ ლინე. ძალიან. ეხუმრებით? ცხრა-ათი წელი დიდი დროა...

ნორა. ნუთუ ამდენი ხანი არ გვინახავს ერთმანეთი? თუმცა, სწორია, აჰ, ბოლო რვა წელი მაინც — რა ბედნიერი დრო იყო? მაშ, ჩვენთან, ქალაქში ჩამოხვედი? ამ სივრცე გზას არ შეუშინდი და ისიც ზამთარში? ყოჩალი გოგო ხარ!

ფრუ ლინე. დღეს დილით ჩამოვედი, გემს ჩამოვყევი.

ნორა. ალბათ, აპირებ დღესასწაულზე მხიარულად გაატარო დრო. აჰ, რა კარგია! ერთად ვიქნებით! გაიხადე, რაღას უყუარებ? ხომ არა გცივა? (ეხმარება). აი, ასე. ახლა შენს ნებაზე დაჭეპი ლუმელთან. არა, არა, სავარძელში! მე კი სარწვევლა მიჩვენია! (ხელს ჩაკიდებს). ახლა კი ისევ ძველი ქრისტინა ხარ... თუმცა. ცოტა არ იყოს, ფერი წაგსვლია და გამხდარხარ კიდევ...

ფრუ ლინე. ძალიან დავებრდი, ნორა.

ნორა. თითქოს... ცოტათი. მაგრამ არა, ძალიან — არა. (უცებ შეჩერდება და სერიოზული ტონით). აჰ, რა თავქარიანი ვარ. დავმჯდარე არა და ვეზდობ. მომიტევე, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო.

ფრუ ლინე. რა მოხდა, ნორა?

ნორა (ჩმადალა). კი მაგრამ, ჩემო საბრალო, შენ ხომ დაქვრივდი?

ფრუ ლინე. სამი წლის წინათ.

ნორა. ჰო, ვიცი, ვიცი. გაზეთში წაეიკითხე. აჰ, ქრისტინა, რამდენჯერ დავაპირე, წერილი მომეწერა შენთვის, მაგრამ ხან რამ შემიშალა ხელი და ხან რამ.

ფრუ ლინე. გასაგებია, ჩემო ძვირფასო.

- ნორა. არა, არა, საზიზლარი ვარ, საზიზლარი, ქრისტინა. ვინ იცის, რამდენი უბედურება გადაიტანე, ჩემო საბრალო... სულ არაფერი არ დაგიტოვა?
- ფრუ ლინე. არაფერი.
- ნორა. არც ბავშვები დაგრჩა?
- ფრუ ლინე. არც ბავშვები.
- ნორა. ესე იგი, სულ არაფერი? ო
- ფრუ ლინე. სულ არაფერი. საუბედუროდ, არც მწუხარება, რომ ხსოვნა მაინც შემრჩენოდა.
- ნორა (უნდობლად ნუკერის). ეგ როგორ შეიძლება, ქრისტინა?
- ფრუ ლინე (თაზე ხელს ესვამს ნორას; მწარე ლიპილით). ხანდახან ასეც ხდება.
- ნორა. მაშასადამე, სულ მარტო ხარ. ალბათ, ძალიან ძნელია, არა? მე კი სამი ერთმანეთზე უკეთესი შვილი მყავს. მალე სამივეს ნახავ. ახლა ძიძასთან ერთად სეირნობენ... მაგრამ ყველაფერი მიაბმე...
- ფრუ ლინე. არა, არა, უმჯობესია შენ თვითონ მიაბმო.
- ნორა. არა, პირველად შენ. არ მინდა დღესაც ეგოისტი ვიყო. მხოლოდ შენზე მინდა ვიფიქრო. მაგრამ ერთი კი უნდა გითხრა: იცი, ამ დღეებში რა ბედი გეეწია?
- ფრუ ლინე. არა. მაინც?
- ნორა. წარმოგიდგენია? ჩემი ქმარი სააქციო ბანკის დირექტორი გახდა.
- ფრუ ლინე. შენი ქმარი? რა ბედნიერებაა!..
- ნორა. არნახული ბედნიერება! ადვოკატობით პურს ვერა კამ. თუკი მხოლოდ ყველაზე სუფთა და პატიოსან საქმეებს მოჰკიდებ ხელს. ტორველდს კი არასოდეს არ აუღია სხვანაირი საქმე და, რა თქმა უნდა, მეც ვეთანხმები. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გვიხარია. ახალი წლიდან შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. ჯამაგირიც დიდი ექნება და კაი გვარიანი პროცენტებიც. მაშინ კი, იცოცხლე, სულ სხვანაირად ვიცხოვრებთ. ვიდრე აქამდე ვცხოვრობდით, — ჩვენს ნებაზე. აჰ, ქრისტინა, ისეთი ბედნიერი ვარ, რა სჯობია ბევრ ფულს, აღარც გაქირვება გაწუხებს და აღარც საზრუნავი გაქვს რამე. ხომ მართალია?
- ფრუ ლინე. დიახ. ალბათ, ვერაფერი შეედრება იმას, რომ ყოველივე აუცილებელი გაქვს.
- ნორა. არა, არა მარტო აუცილებელი, არამედ ბევრი, ძალიან ბევრი ფულიც.

ფრუ ლინე (ილიმება). ნორა, ნორა! მაინც ვერ ისწავლე ჰკუა? მახსოვს, სკოლაში საშინელი მფლანგველი იყავი.

ნორა (ჩუბად იცინის). ტორვალდი ახლაც მფლანგველს მეძახის. (თითო ემუქრება). მაგრამ ნორა არც ისეთი ცერცეტია, როგორც თქვენ გგონიათ... ეგეც არ იყოს, სად გვქონდა იმდენი ფული, რომ მე მეფლანგა? ორივენი თავდაუზოგავად ვმუშაობდით.

ფრუ ლინე. შენც?

ნორა. რა თქმა უნდა. ათასი წვრილმანი, ხელსაქმე, ქარგვა, კერვა და სხვა მისთანანი... (გაკერით). და ზოგი სხვა რამეც. ხომ იცი, როცა დავექორწინდით, ტორვალდმა თავი დაანება სამინისტროში სამსახურს. დაწინაურების იმედი არ იყო, ფული კი უწინდელზე მეტი გვეკირდებოდა. ჰოდა, პირველ წელს თავს არ ზოგავდა. ახლა რომ მახსენდება, ტანში მაზრიალებს. რამდენ დამატებით სამუშაოს იღებდა, — ხომ გესმის? დღე და ღამ მოსვენება არ ჰქონდა. ჰოდა, ველარ გაუძლო, ავად გახდა. გადარჩენა სათუო შეიქნა და ექიმებმა გამოგვიცხადეს, აუცილებლად სამხრეთში უნდა გაგზავნოთო.

ფრუ ლინე. სწორედ მაშინ იყო, მთელი წელი რომ გაატარეთ იტალიაში?

ნორა. დიახ. დამერწმუნე, ძალიან ძნელი იყო ადგილიდან აყრა. ივარი სულ პატარა მყავდა. მაგრამ წაუსვლელობაც არ იქნებოდა... აჰ, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ. ტორვალდი გადარჩა. მაგრამ იმდენი ფული დაგვეკირდა... რომ გითხრა, არ დაიჭერებ, ქრისტინა.

ფრუ ლინე. წარმომიდგენია.

ნორა. ათას ორასი ტალერი. ოთხი ათას რუბლსი კრონი. ხუმრობა საქმეა?

ფრუ ლინე. დიახ. კიდევ კარგი, რომ იშოვნეთ მაინც.

ნორა. რალა დაგიძალო და, მამაჩემმა მოგვცა.

ფრუ ლინე. აა! მამაშენი, თუ არ ვცდები, სწორედ მაშინ გარდაიცვალა.

ნორა. დიახ, სწორედ მაშინ. შენ წარმოიდგინე, ვერც კი ჩავედი, რომ მიმეხედა. დღე-დღეზე ივარს ველოდი, და, ეგეც არ იყოს, ვისთვის დამეტოვებინა ჩემი საცოდავი, სასიკვდილოდ გადადებული ტორვალდი? ჩემი საყვარელი, ძვირფასი მამა! ცოცხალი ველარც ვნახე, ქრისტინა. ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება, რაც გათხოვების შემდეგ დამატყდა თავზე.

ფრუ ლინე. ვიცი, ძალიან გიყვარდა მამა. ესე იგი, სწორედ ამის შემდეგ გაემგზავრეთ იტალიაში?

ნორა. დიახ, ფული გეკონდა, ექიმები კი პირდაპირ გვერეკებოდნენ. პოლა, ერთი თვის შემდეგ წავედით.

ფრუ ლინე. და შენი ქმარი საესებით გამოჩანმრთელებული დაბრუნდა?

ნორა. საესებით.

ფრუ ლინე. კი მაგრამ... ექიმი?

ნორა. ექიმი?

ფრუ ლინე. თუ არა ვცდები, თქვენმა მოახლემ ჩემთან ერთად მოსულ კაცზე თქვა, ექიმიო.

ნორა. აა, ექიმი რანკი. არა, გასასინჯად როდი დაიარება. ესაა ჩვენი უახლოესი მეგობარი. და დღე ისე არ გავა, რომ ერთხელ მაინც არ შემოგვიაროს. არა, ტორვალდი მას შემდეგ ერთხელაც არ გამხდარა ავად. ბავშვებიც ჭანმრთელები და საღსალამათნი არიან, ისევე, როგორც მე. (წამოხტება და ტაშს შემოკრავს). ო, ღმერთო ჩემო, ქრისტინა, რა საოცრებაა, ცოცხლობდე და ბედნიერად გრძნობდე თავს! არა, საზიზღრად ვიქცევი, სულ ჩემს თავზე რომ ვყბედობ. (პატარა სკაშზე ჯდება ფრუ ლინეს გვერდით და ხელებს მუხლებზე იწყობს). ნუ გამიბრაზდები!.. ერთი ეს მითხარი: მართლა არ გიყვარდა შენი ქმარი? მაშინ რატომღა გაჰყევი?

ფრუ ლინე. დედაჩემი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ისეთი უმწეო, დასუსტებული, ლოგინიდან ველარ დგებოდა, და, ეგეც არ იყოს, ორი უმცროსი ძმა მყავდა სარჩენი. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ უფლება არ მქონდა, უარი მეთქვა მისთვის.

ნორა. დიახ, დიახ, სწორედ მოქცეულხარ. ესე იგი, მაშინ მდიდარი იყო?

ფრუ ლინე. როგორც ჩანს, საკმაოდ შეძლებული. მაგრამ საქმე ცუდად წაუვიდა და როდესაც მოკვდა, ყველაფერი ხელიდან გამომეცალა, აღარაფერი აღარ დამჩა.

ნორა. მერე?..

ფრუ ლინე. რაღას ვიზამდი, ჯერ იყო და, მეწვრილმანეობას მიყვავი ხელი, მერე პატარა ბავშვებს ვასწავლიდი, ვინ მოსთვლის, რაღა არ ვცადე. ეს სამი უკანასკნელი წელი ისე გაგრძელდა და გაჰიანურდა ჩემთვის, როგორც ერთი უწყვეტი სამუშაო დღე, ყოველგვარი შესვენების გარეშე. ახლა კი დამთავრდა, ნორა. საწყალ დედაჩემს ჩემი დახმარება აღარ სჭირდება, — მოკვდა. ბიჭებიც წამოიზარდნენ და შეუძლიათ თვითონვე მიხედონ თავიანთ თავს.

ნორა. ისე რომ, ახლა თავისუფალი ხარ?..

ფრუ ლინე. კმ... თავისუფალი... ის კი არა და, საშინელ სიციარიელეს ვგაძნობ. ვილასთვის უნდა ვიცოცხლო? (აღლკე-ბული წამოდგება). ამიტომაც ველარ გავძელი იქ. იმ დათვის ბუნაგში. ალბათ, აქ უფრო ადვილად შევეძლებ, რაღაცას მაინც მოვახმარო ჩემი ძალა და ცოტა გულიც გადავყულო. ნეტა რაიმე მუდმივი სამუშაო მაშოვნინა, სადმე კანტორაში...

ნორა. აჰ, ქრისტინა, ეს ხომ საშინლად დამღლელია, შენ კი ისედაც ნამღვილ წამებულს ჰგავხარ. უძგობესია. დასასვენებლად წახვიდე ზღვაზე.

ფრუ ლინე (ფანჯარასთან მიდის). მე მამა არა მყავს, რომ სამგზავრო ფული მოეცა ჩემთვის, ნორა.

ნორა (წამოდგება). თუმცა, პო... ნუ მიწყენ, ჩემო კარგო!

ფრუ ლინე (უახლოვდება). პირიქით, შენ თვითონ ნუ მიწყენ, ჩემო ძვირფასო. ჩემს მდგომარეობაში ყველაზე უარესი ისაა, რომ სულში იმდენი სიმწარე დამიგროვდა. თითქოს აღარავის აღარ ვკირდები, მაგრამ მაინც უნდა ვიწვალო და ვიფართხალო. თავი ხომ უნდა ვირჩინო? ჰოდა, შენც ეგოისტი ხდები. წელან, იმ სასიკეთო ცვლილებაზე რომ მელაპარაკებოდი, რაც თქვენს ცხოვრებაში მოხდა, — დაიჭერებ? — იმდენად შენს გამო როდი გამეხარდა, რამდენადაც ჩემს გამო.

ნორა. როგორ?.. თუმცა, გასაგებია: შენ გგონია, რომ ტორვალდი რამეს მოგიხერხებს?

ფრუ ლინე. დიახ. სწორედ ეს გავიფიქრე.

ნორა. მოგიხერხებს კიდევ, ქრისტინა. ეგ ჩემზე იყოს. ისე ოსტატურად მოვაკვარახკინებ ყველაფერს, რაღაცა ისეთს მოვიგონებ, რომ გული მოვეუღბო. ღმერთმანი, თავს არ დაეზოგავ.

ფრუ ლინე. რა კეთილი ხარ, ნორა! როგორ ზრუნავ ჩემზე!.. მით უფრო საოცარია, რომ პირადად შენთვის თითქმის სრულიად უცხოა გაკვირვება.

ნორა. ვისთვის — ჩემთვისაა უცხო?

ფრუ ლინე (ილიბება). ო, ღმერთო ჩემო, აბა, ხელსაქმე და სხვა მისთანა წვრილმანები რა ანგარიშში ჩასაგდებია?.. შენ ბავშვი ხარ, ბავშვი, ნორა!

ნორა (თავს მალა სწევს და ოთახში მიდი-მოდის). შენ მაინც არ უნდა მელაპარაკებოდე ამნაირი ტონით.

ფრუ ლინე. მართლა?

ნორა. თუმცა რალა შენ და რალა სხვები? თქვენ ყველას გგონიათ, რომ სერიოზული საქმისთვის ღმერთს არ ვუქნივარ...

ფრუ ლინე. ო-ო?

ნორა. რომ ამ დაწყველილ ცხოვრებაში არც არაფერი გადამიტანია და არც რა გამომიცდია.

ფრუ ლინე. კი მაგრამ. წელან არ მიაძებე ყველაფერი. ჩემო ძვირფასო?

ნორა. ეე, ბევრი არაფერი. (ხმადაბლა). მთავარი მაინც არ მითქვამს.

ფრუ ლინე. მთავარი? მაინც რა?

ნორა. შენ სულ ზემოდან მიყურებ. ქრისტიანა. არა ხარ სწორი. შენ ამაყობ იმით, რომ დედაშენის გულისთვის ამდენი მსხვერპლი გაიღე...

ფრუ ლინე. არა. ღმერთმანი, მე არავის არ ეუყურებ ზემოდან. მაგრამ, მართალი გითხრა. ვამაყობ და მიხარია, როდესაც ვფიქრობ, რომ დედაჩემს მძიმე ხვედრი შევეუმსუბუქე.

ნორა. შენ ამაყობ იმ სამსახურითაც. რაც საკუთარ ძმებს გაუწიე.

ფრუ ლინე. დიახ, ვამაყობ და, მე მგონია. უფლებაც მაქვს.

ნორა. მეც აგრე მგონია. მაგრამ, აი, რას გეტყვი, ქრისტიანა. მეც მაქვს რაღაც საამაყო და სასიხარულო.

ფრუ ლინე. ეკვიც არ შეპარება! მაგრამ...

ნორა. ჩუმად. ტორვალდმა არ გაიგონოს! ღმერთმა ნუ ქნას... არც მან და არც არაფინ... მხოლოდ შენ გეტყვი, ქრისტიანა.

ფრუ ლინე. მაინც, რაშია საქმე?

ნორა. აქ მოდი. (ღიანთან მიიყვანს და გვერდზე მოისვამს). იცი რა? .. მეც მაქვს რაღაც საამაყო და სასიხარულო. სწორედ მე გადავარჩინე ტორვალდი.

ფრუ ლინე. როგორ?

ნორა. აკი გიამბე, როგორ ჩავედით იტალიაში. ეს რომ არა, ტორვალდის საქმე წასული იყო.

ფრუ ლინე. დიახ. მამაშენმა კი ფული მოგცათ. არა?

ნორა (ღიმილით). ასე ჰგონია ტორვალდს და სხვებსაც, მაგრამ...

ფრუ ლინე. მაგრამ...

ნორა. მამაჩემს გახვრეტელი გროშიც არ მოუცია. მე თვითონ ვიშოვე ფული.

ფრუ ლინე. შენ? თანაც ამდენი?

ნორა. ათას ორასი ტალერი. ოთხი ათას რვაასი კრონი. რას იტყვი?

ფრუ ლინე. როგორ? ლატარიაში მოიგე თუ რა?..

ნორა (აგღებოთ). ლატარიაში! (ჩაიფრუტუნებს). ნეტავი მართლა ლატარიაში მომეგო.

ფრუ ლინე. მაშ, ვინ მოგცა?

ნორა (ღილინებს; იღუმალი ღიმილით). კმ! ტრა-ლა-ლა!

ფრუ ლინე. ხომ ვერ ისესხებდი.

ნორა. ვითომ რატომაო?

ფრუ ლინე. ქმრის თანხმობის გარეშე ცოლს არ შეუძლია ვალის აღება.

ნორა (თავს გადასწევს). კი მაგრამ, თუკი ცოლს საქმის ასავეალ-დასავალი გაეგება? თუ შეუძლია, კვეიანურად მოჰკიდოს ხელი საქმეს?..

ფრუ ლინე. ღმერთმანი, არაფერი არ მესმის შენი.

ნორა. არცაა საჭირო. მე ხომ არ მითქვამს, ვისესხე-მეთქი? არ შეიძლება, სხვა გზით მეშოვა? (ღიანის ზურგზე გადაწვება). იქნებ, რომელიმე თაყვანისმცემელმა მაჩუქა? ჩემისთანა ლამაზ ქალს...

ფრუ ლინე. ღმერთმანი გიქრის.

ნორა. ალბათ, სული მიგდის, როდის გაიგებ ყველაფერს, არა?

ფრუ ლინე. ერთი ეს მითხარი, ჩემო ძვირფასო, რამე სულელური ნაბიჯი ხომ არ გადადგი?

ნორა (სწორდება). განა სისულელეა, სიცოცხლე შეუნარჩუნო ქმარს?

ფრუ ლინე. ჩემის აზრით, სისულელეა, თუკი მის დაუკითხავად...

ნორა. კი მაგრამ, მას ხომ არაფერი უნდა სკოდნოდა? ღმერთო ჩემო, როგორ არ გესმის? ექვიც არ უნდა აელო, რომ საფრთხე ეშუქებოდა. ექიმებმა მხოლოდ მე მითხრეს, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და მხოლოდ სამხრეთში გაგზავნა თუ უშველიდა. შენ გგონია, თავდაპირველად ყველაფერი არ ვიღონე, რომ ამ გამოუვალი მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი მეპოვა? ჭერ იყო და, დავიჩემე, თუ სხვა ქალები საზღვარგარეთ ატარებენ დროს, ვითომ მე ვისზე ნაკლები ვარ-მეთქი? ვტირიოდი, ვთხოვდი, ვევედრებოდი: რა იქნება ჩემს „მდგომარეობას“ ანგარიში გაუწიო, ახლა მხოლოდ ჩემს სიამოვნებაზე უნდა ფიქრობდე-მეთქი; რამდენჯერ გადავეუკარი სიტყვა, რომ შეიძლებოდა ვინმესგან გვესესხა ფული. ლამის გაცოფდა, ქრისტინა, მითხრა, თავში გიქიქინებებს და ჩემი, როგორც ქმრის, უშუალო მოვალეობაა, ხელი კი არ შეეუწყყო მაგ შენს ახირებასა და უინიანობას, პირიქით, მოგაშლევინოო, — დიახ, დიახ, სწორედ ასე თქვა. კარგი-მეთქი, ვიფიქრე გულში, მაგრამ შენი გადარჩენაც რომ საჭიროა?.. რალას ვიზამდი, ბევრი ვიმტვრიე თავი და ბოლოს მაინც ვიპოვე გამოსავალი...

ფრუ ლინე. და შენს ქმარს ბოლომდე არ გაუგია მამაშენისგან, რომ მას არ მოუცია ფული?

ნორა. არა, არ გაუგია. მამა ხომ სწორედ იმ დღეებში გარდაიცვალა. მინდოდა, ჩემი გასაქირი გამენდო და მეთხოვა, არ გამცემეთქი. მაგრამ უკვე ძალიან ცუდად იყო და, სამწუხაროდ, მისი შეწუხება აღარ დამკირდა.

ფრუ ლინე. და დღემდე არაფერი გითქვამს ქმრისათვის?

ნორა. არა, რას ამბობ? ღმერთმა დამიფაროს! ამ მხრივ, ისეთი მკაცრია. ეგეც არ იყოს, მისი მამაკაცური თავმოყვარეობისთვის ძალზე მტკივნეული და დამამკირებელი იქნებოდა იმის გაგება, რომ რაღაცით დავალებულია ჩემგან. ეს თავდაყირა დააყენებდა მთელს ჩვენს ურთიერთობას. ღმერთმა იცის, რად იქცეოდა ჩვენი ოჯახური სიამტკბილობა.

ფრუ ლინე. არც არასოდეს ეტყვი?

ნორა (ჩაფიქრება; ოდნავ შესაძნევი ლოპილით). დიახ... ალბათ, ოდესმე... დიდი ხნის შემდეგ, როცა ასე ლამაზი აღარ ვიქნები. ნუ იცინი, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, როცა ტორვალდს ასე ძალიან აღარ მოვეწონები-მეთქი; როცა მისთვის სულ ერთი იქნება ჩემი ცეკვა, ჩაცმა-დახურვა, დეკლამაცია. მაშინ, ალბათ, არ მაწყენს პატარა ხელის შეწყობა... (აღარ ამოაყრებს). სისულელეა, სისულელე! არასოდეს ეს არ მოხდება!.. აბა, რას იტყვი ჩემს დიდ საიდუმლოზე, ქრისტიანა? ვარ თუ არა რამის მაქნისი? ხომ არ გგონია, რომ ეს საქმე არაფრად არ მიღირს? ხანდახან მართლა ძალიან მიკირს, თავის დროზე შევიტანო ის, რაც შევალბებ. უნდა მოვახსენო, რომ საქმოსანთა სამყაროში დაწესებულია პროცენტები და — მოიცა, რა ჰქვია? — პერიოდული შესატანი ვალის დასაფარავად. ფულის შოვნა კი ძალზე ძნელია. პოდა, მეტი რა გზა მქონდა? ყველაფერში ხელმოშკირნობას ვიჩენდი, რამდენადაც შემეძლო, გესმის? ოჯახს ვერაფერს მოვაკლებდი, — ტორვალდისათვის აუცილებელი იყო კარგი კვება. ვერც ბავშვებს დავტოვებდი შიშვლად. რასაც მათთვის მაძლევდა ტორვალდი, მთლიანად მათვე ვახარავდი, ჩემს კულრაკებს!

ფრუ ლინე. ესე იგი, შენ თვითონ იკლებდი ყველაფერს, ჩემო საბრალო?

ნორა. რა თქმა უნდა. ყველაზე მეტად ხომ მე ვიყავი დაინტერესებული. ტორვალდი რომ ახალი კაბის, ან სხვა რამის საყიდლად მომცემდა ფულს, მე მხოლოდ ნახევარს ვხარავდი. ყველაფერს იაფსა და უბრალოს ვყიდულობდი. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი მიხდება და ტორვალდს არასოდეს არაფერი შეუშინებია. მაგრამ შენ ჩემი თქვი, ქრისტიანა, მე თვითონ რა დღეში ვიყავი! კარგი ჩაცმა-დახურვა ხომ ერთ სიცოცხლედ ღირს! მართალს არ ვამბობ?

ფრუ ლინე. მართალს.

ნორა. არა, ისე. რა თქმა უნდა, ხანდახან სხვა წყაროც მქონდა. ასე მაგალითად, შარშან ზამთარს უზომოდ გადასაწერი მომცეს. ყოველ საღამოს ჩავიკეტებოდი ჩემს ოთახში და შუალამედვ ვწერდი. ხანდახან არაქათი აღარ მქონდა! მაგრამ მაინც საოცრად სასიამოვნო იყო იმის შეგნება, რომ ამ ჩემი მუშაობით ფულს ვაკეთებდი. ლამის კაცი მეგონა თავი.

ფრუ ლინე. კი მაგრამ, მაინც რამდენის გადახდა შესძელი ამ გზით?

ნორა. დანამდვილებით ვერ გეტყვი. ამ საქმეში ძალზე ძნელია გარკვევა. მხოლოდ ის ვიცი, რომ იმდენს ვიხდიდი, რამდენის შეგროვებასაც შევძლებდი. მაგრამ სასოწარკვეთილებაც ხშირად მიპყრობდა (ილიშება). მაშინ დაჯვრებოდი და ათას სისულელეს წარმოვიდგენდი, ვთქვათ, ვილაც მდიდარ ბერიკაცს შევუყვარდი-მეთქი...

ფრუ ლინე. რაო? რომელ ბერიკაცს?

ნორა. აჰ, არარსებულს!.. წარმოვიდგენდი, რომ ის კვდება, მის ანდერძს ხსნიან, შიგ კი უშველებელი ასოებით წერია: „მთელი ჩემი ფული დაუყოვნებლივ და ნაღდად გადაეცეს უძვირფასეს ფრუ ნორა ჰელმერს“.

ფრუ ლინე. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო. სად გამოიხზრიკე ამნაირი ბერიკაცი?

ნორა. ღმერთო ჩემო, როგორ არ გესმის? არავითარი ბერიკაცი არ არსებულა. ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვაა. უბრალოდ, თავს ვიქცევდი, როცა აღარ ვიცოდი, რა წყალში ჩავეარდნილიყავი, სად მეშოვა ფული. ჟანდაბამდისაც გზა ჰქონია ამ მოსაწყენ ბერიკაცს. ახლა ჩემთვის სულ ერთია. აღარც ის მკირდება და აღარც მისი ანდერძი. არავითარი საზრუნავი აღარა მაქვს. ქრისტიანა! (წამოხტება). ო, ღმერთო, ნამდვილი სასწაულია! აბა, დაფიქრდი: არავითარი საზრუნავი! არც სადარდელი, არც საფიქრალი! შენს ნებაზე იცხოვრე, ბავშვებს მოუარე. დრო ატარე. იხარე, დატკბი! ისე ლამაზად მორთე და მოაწყე სახლი, როგორც ტორვალდს გაეხარდებოდა! მერე კი გწამდეს. სულ ახლოა გაზაფხული, კამკამა ცა, უსაზღვრო სივრცე! იქნებ, სადმე გასეირნებაც მოახერხო. ერთხელ კიდევ გელირსოს ზღვის ნახვა! აჰ, მართლა სასწაულია, აბა რა არის: ცოცხლობდე და გრძნობდე, რომ ბედნიერი ხარ!

წინკარიდან ზარის ხმა ისმის.

ფრუ ლინე (ღგება). რეკავენ. უმჯობესია, წავიდე.

ნორა. არა, არა, დარჩი. აქ არაეინ მოვა. ალბათ, ტორვალდთანაა ვინმე...

მოახლე (წინკარში). მომიტევეთ ქალბატონო. ვილაცა კაცი ბატონ ადვოკატს კითხულობს.

ნორა. შენ, ალბათ, გინდოდა გეთქვა, ბანკის დირექტორსო.

მოახლე. დიახ, ბატონ დირექტორს. მაგრამ არ ვიცი, — იქ ხომ ექიმი...

ნორა. მაინც ვინ არის?

კროგსტადი (ყარშივე). მე გახლავართ, ფრუ ჰელმერ.

ფრუ ლინე, შემკრთალი და გაოგნებული, ფანჯრისაკენ იბრუნებს პირს.

ნორა (ნაბიჯს გადაღვამს შემოსულისკენ; ალღევებული, ხზადალა). თქვენა ხართ? რას ნიშნავს ეს? რა საქმე გაქვთ ჩემს ქმართან?

კროგსტადი. ასე ვთქვათ, ბანკის საქმეებზე ვეახელი. სააქციო ბანკში პატარა ადგილი მიჭირავს, თქვენი ქმარი კი, როგორც გაეიგე, ჩვენი დირექტორი იქნება...

ნორა. მაშასადამე...

კროგსტადი. მხოლოდ პირადი საქმე მაქვს, ფრუ ჰელმერ, მეტი არაფერი.

ნორა. მაშინ მის კაბინეტში შებრძანდით. (გულგრილად უკრავს თავს, შემოსასვლელ კარს ხურავს და მერე ლუმელთან მიდის, რათა დარწმუნდეს, კარგად ანთია თუ არა).

ფრუ ლინე. ნორა... ვინაა ეს კაცი? ლ

ნორა. კერძო რწმუნებული კროგსტადი.

ფრუ ლინე. მაშ, არ შევმცდარავარ.

ნორა. იცნობ თუ?

ფრუ ლინე. ვიცნობდი... რამდენიმე წლის წინათ. ერთხანს ჩვენშიაც ატრიალებდა საქმეებს.

ნორა. ჰო, მართლა.

ფრუ ლინე. როგორ შეცვლილა!

ნორა. თუ არ ვცდები, ძალზე არეული ოჯახი ჰქონდა.

ფრუ ლინე. მაგრამ ახლა ხომ ქერივია?

ნორა. თანაც, რამდენი ბავშვი დარჩა... აი, გახურდა (ლუმელის კარს ხურავს და ოდნავ განზე გასწევს სარწვევას).

ფრუ ლინე. ამბობენ, ათასნაირ საქმეს ჩარხავსო.

ნორა. შეიძლება. მე მას არ ვიცნობ. მაგრამ მოვეშვით საქმეებს. მოსაწყენია.

ჰელმერის კაბინეტიდან გამოდის ექიმი რანკი.

- რანკი (კარპივე). არა, არა, ხელს არ შეგიშლით. შენს ცოლთან შევალ. (კარს ხურავს და ახალა ამჩნევს ფრუ ლინეს). აჰ, მომიტევეთ! მგონი აქაც ზედმეტი ვარ.
- ნორა. რას ბრძანებთ. (ერთმანეთს აცნობს). ფრუ ლინე — ექიმი რანკი.
- რანკი. აა! ეს სახელი ხშირად მსმენია ამ სახლში. აქ რომ მოვდიოდი, მგონი, კიბეზე ამოგასწარით.
- ფრუ ლინე. დიახ!.. ნელ-ნელა ავდივარ ხოლმე. რა ექნა, მიჰიკრს...
- რანკი. აჰა... ესე იგი, შიდა მექანიზმი, ცოტა არ იყოს, მოიშალა?
- ფრუ ლინე. უფრო გადაღლილობის ბრალია.
- რანკი. მხოლოდ გადაღლილობის? თქვენც სწორედ ამიტომ ჩამოხვედით ქალაქში და გგონიათ, რომ სტუმრად სიარულით დაისვენებთ?
- ფრუ ლინე. მე აქ სამუშაოს საძებნად ჩამოვედი.
- რანკი. მაშ, თქვენის აზრით, ესაა დაღლილობის უებარი წამალი?
- ფრუ ლინე. არსებობა ხომ მინდა, ექიმო?
- რანკი. დიახ, რატომღაც ყველას ასე ჰგონია, თითქოს ეს აუცილებელი იყოს.
- ნორა. კარგით რა, ექიმო!.. რამდენადაც ვიცი, არც თქვენა ხართ არსებობის წინააღმდეგი.
- რანკი. დაეუშვათ, რომ ასეა. მთელი ჩემი გაჰიკრვების მიუხედავად, მაინც მზადა ვარ ვიცოცხლო და რაც შეიძლება დიდხანს ვიტანჯო. ასევე ფიქრობს ყველა ჩემი პაციენტი და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ყველა ზნეობრივი ხეივანიც. ერთი ამისთანა ხეივანი ახლა სწორედ ჰელმერთან ზის...
- ფრუ ლინე (ხმადაბლა). ა!..
- ნორა. ვის გულისხმობთ?
- რანკი. კერძო რწმუნებულ კროგსტადს. — კაცს, რომელზედაც თქვენ არავეითარი წარმოდგენა არა გაქვთ. მას თვით ხასიათის ფესვები დაულპა, ქალბატონო. მაგრამ თქვენი ქმრის კაბინეტში ისიც ასევე მოჰყვა მტკიცებას, არსებობა ხომ მინდაო, თითქოს მისი არსებობის გარეშე ქვეყანას დაქცევა ემუქრებოდეს.
- ნორა. მართლა? მაინც რა საქმე აქვს ტორვალდთან?
- რანკი. მართალი გითხრათ, არ ვიცი. სააქციო ბანკზე ყბედობდა რალაცას.
- ნორა. არ ვიცოდი, რომ კროგ... რომ ეს კერძო რწმუნებული კროგსტადი ბანკის თანამშრომელი იყო.
- რანკი. ჰო, რალაც თანამდებობა უჭირავს. (ფრუ ლინეს). არ ვიცი, თქვენშიაც არიან თუ არა ამნაირი ადამიანები, რომლებიც

მოუსვენრად დაძრწიან ყველგან, ეგება სადმე ზნეობრივი სიღამპლის სუნი ვიკრათო, რათა შემდეგ ისარგებლონ ამით და ასე თუ ისე სახარბიელო თანამდებობები ჩაიგდონ ხელში. საღსალამათნი კი მოთმინებით უნდა იღვნენ ამ მზაკერული თამაშის მიღმა.

ფრუ ლინე. კი მაგრამ, ყველაზე მეტად ხომ ავადმყოფებს სკირდებათ მოელა.

რანკი. საქმეც ეგაა სწორედ. ამნაირი შეხედულების წყალობით საზოგადოება საავადმყოფოდ იქცა.

ფიქრებში წასულ ნორას უეცრად სიცილი აუტუდება და ტაშს შემოკრავს.

რა ნახეთ სასაცილო? კაცმა რომ თქვას, იცით კია, რა არის საზოგადოება?

ნორა. კირსაც წაულია ეგ თქვენი მოსაწყენი საზოგადოება. მე სულ სხვა რამეზე ვიციანი... სასაცილოა, აბა, რა? ერთი ეს მითხარით, ექიმო, ახლა ამ ბანკის ყველა თანამშრომელი ტორველდის ხელქვეითია?

რანკი. მაშ, თქვენ ამაზე იცინით?

ნორა (იღიმება და ღიღინებს). ეგ უკვე ჩემი საქმეა. ჩემი საქმე. (ოთახში გაივლ-გამოივლის). მართლაცდა, რა სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ... ესე იგი, ტორველდმა ესოდენ დიდი გავლენა მოიპოვა ამდენ ხალხზე. (ჩიბიდან პარკუქს იღებს).

რანკი. ამას რას ვებედავ? ნუშის ნამცხვარი! მე კი მეგონა, რომ თქვენს სახლში ეს აკრძალული ხილი იყო.

ნორა. დიახ, მაგრამ ეს ქრისტიანამ მომიტანა.

ფრუ ლინე. მე?..

ნორა. რა იყო, რამ შეგაშინა? შენ რა იცოდი, რომ ტორველდმა ამიკრძალა? უნდა მოგახსენო, რომ ძალიან შიშობს, ვაითუ ჩემმა ცოლმა კბილები გაიფუქოსო. მაგრამ ვითომ რა მოხდება — ერთხელ! ასე არაა, ექიმო? მიირთვით! (ნამცხვარს პირში სჩრის). ესეც შენ, ქრისტიანა. მეც ხომ შეიძლება გავსინჯო ერთი, სულ პაწაწინა, არა, რაც იქნება, იქნება, — ორი ცალი? (სიარულს განაგრძობს). დიახ, დიახ, საოცრად ბედნიერი ვარ. მხოლოდ ერთ რამესლა ვნატრობ.

რანკი. მაინც რას?

ნორა. ნეტავი ტორველდისათვის ერთი რამ მათქმევინა.

რანკი. მერედა, რატომ არ ეტყვიო?

ნორა. ვერ ვებედავ. უხამსობაა.

ფრუ ლინა. უხამსობაა?

რანკი. მაშინ, არ გირჩევთ. მაგრამ ჩვენ ნუ მოგვერიდები... აბა, რას ნატრობთ, მაინც რა მათქმევინაო?

ნორა. ნეტავი მათქმევინა: ეშმაკმა დალახვროს-მეთქი!

რანკი. რას ამბობთ, რას?

ფრუ ლინე. ღმერთო დიდებულო, ნორა!

რანკი. უთხარით. აგერ მოდის.

ნორა (პარკუქს ჟიბეში მალავს). სსუ-სსუ!

კაბინეტიდან გამოდის ჰელმერი. პალტო მკლავზე აქვს გადაადებული, მეორე ხელში ქული უჭირავს.

(ვევება). რა ქენი, გაისტუმრე, ჩემო ძვირფასო?

ჰელმერი. ჰო, წავიდა.

ნორა. ნება მიბოძე, გაგაცნო. ეს ქრისტიანაა, ჩვენთან ჩამოვიდა, ქალაქში...

ჰელმერი. ქრისტიანა?.. მომიტევეთ, მაგრამ...

ნორა. ფრუ ლინე, ჩემო ძვირფასო, ფრუ ქრისტიანა ლინე!

ჰელმერი. აა, ფრუ ლინე? თქვენ, მგონი, ჩემი მეუღლის ბავშვობის მეგობარი ბრძანდებით.

ფრუ ლინე. ო, დიახ, ძველი ნაცნობები ვართ.

ნორა. წარმოგიდგენია? ამხელა გზა მხოლოდ იმიტომ გამოიარა, რომ შენ მოგლაპარაკებოდა.

ჰელმერი. მე?..

ფრუ ლინა. არა, ისე, მართალი გითხრათ...

ნორა. ქრისტიანა გამოცდილი მუშაკია და ძალიან უნდა ვინმე გამოცდილ კაცთან მოეწყოს სამსახურში, რათა უფრო მეტი ისწავლოს.

ჰელმერი. მშვენიერი განზრახვა გქონიათ, ქალბატონო.

ნორა. ჰოდა, როცა გაიგო, რომ შენ ბანკის დირექტორად დაგნიშნეს, — გაზეთში წაუკითხავს, — მაშინვე აქეთ გამოუწია გულმა. მითხარი, ტორვალდ, ხომ შეგიძლია რამე მოუხერხო, ა?

ჰელმერი. ვნახოთ. თქვენ, მგონი, ქვრივი ბრძანდებით.

ფრუ ლინე. დიახ.

ჰელმერი. კანტორაში გიმუშავიათ?

ფრუ ლინე. საკმაოდ დიდხანს.

ჰელმერი. მაშინ ადვილი შესაძლებელია, ადგილი გიშოვოთ...

ნორა (ტაშს შემოჰკრავს). ხედავ, ხედავ?!

ჰელმერი. სწორედ კაი დროს მობრძანდით, ქალბატონო.

ფრუ ლინე. ო, ღმერთმანი, აღარც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა.

ჰელმერი. არასფერს. (პალტოს იცვამს). მაგრამ დღეს კი მომიტევეთ...

რანკი. მოიცა, მეც მოვდივარ. (წინკარიდან თავისი ქურქი შემოაქვს და ლუმელზე ათბობს).

ნორა. მხოლოდ ნუ დაიგვიანებ. ჩემო ძვირფასო.

ჰელმერი. ერთი საათი. მეტი არა.

ნორა. შენც მიდიხარ. ქრისტინა?

ფრუ ლინე (პალტოს იყვამს). პო. წავალ. იქნებ. ოთახი მოეძებნო სადმე.

ჰელმერი. ერთად ხომ არ გავიღეთ?

ნორა (ფრუ ლინეს შველის). რა სამწუხაროა, რომ ასე ვიწროდ ვართ და არ შემიძლია...

ფრუ ლინე. რას ამბობ? ღმერთო მომკალი! კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო! გმადლობ, გმადლობ.

ნორა. ჭერჭერობით. სალამოს, იმედია. კვლავ შემოგვივლი. თქვენც, ექიმო, რა? თუ კარგად იქნით? რა თქმა უნდა, კარგად იქნებით. მხოლოდ თბილად ჩაიფუთნეთ.

ყველანი ემშვიდობებიან და ყაყანით გალიან წინკარში. კიბიდან ბავშვების ხმა ისმის.

მოვიდნენ. მოვიდნენ! (გარბის და კარს აღებს).

შემოდინან ძიძა ანა-მარია და ბავშვები.

შემოდით, შემოდით! (იხრება და ბავშვებს ჰკოცნის). აჰ, ჩემო კარგებო, ჩემო კუდრაკებო! ერთი ამათ შეხედე. ქრისტინა! ხომ კარგები არიან? ა?

რანკი. ორპირ ქარში ყბედობა აკრძალულია!

ჰელმერი. წავიღეთ, ფრუ ლინე! ახლა ამათია ბურთი და მოედანი.

ექიმი რანკი, ჰელმერი და ფრუ ლინე მილიან. ანა-მარია ბავშვებთან ერთად შემოდის ოთახში. მათ ფეხდაფეხ მოჰყვება ნორაც და შემოსასვლელ კარს ხურავს.

ნორა. რა ლამაზები ხართ. რა კარგები, რა საყვარლები! როგორ დაგწითლებიათ ლოყები? ვარდებია თუ ვაშლები?.. ბევრი იმხიარულეთ? ძალიან კარგი! შენ ასეირნებდი ციგით ბობსა და ემმის? ორივეს ერთად? ყოჩაღ! ხედავთ, რა ვაჟკაცია ჩემი ივარი? არა. მოიყვა, მე დაეიქერ. ანა-მარია! მოდი, ჩემო ლამაზო, ჩემო პაწაწინა თოჯინა! (პატარა გოგონას ჩამოართმევს ძიძას და მასთან ერთად ტრიალებს). დიახ, დიახ, დედა ბობისთანაც იცეკვებს! მაშ, იგუნდავეთ? აფსუს, რატომ მეც თქვენთან არ ვიყავი?.. არა, გაუშვი, მე თვითონ გავხდი. ანა-მარია. მე თვითონ, თუ შეიძლება, — ისე მსიამოვნებს, ისე მიხარია. იქ, ლუმელზე. შენთვის ყავა დგას.

ძიძა მარცხენა კარში გადის. ნორა ბავშვებს ხდის. დაუღევრად მიყრი-მოყრის პალტოებს და თან პატარებს ეტიტინება.

მართლა? დიდი ძალი გამოგეკიდათ? მერე, არ გიკბინათ? არა, ამისთანა საყვარელ, პაწაწინა თოჯინებს ძალები არ კბენენ... აჰ, არა, არა! მაგ შეხვეულებს ხელს ნუ ახლებ, ნურც შიგ იკეციტები, ივარ! რა არის? რომ იცოდეთ, რა არის! არა, არა! ეს ბუაა!.. რაო? თამაში გინდათ? რა ვითამაშოთ? დამალობანა? კეთილი! პირველად ბობი დაიმალოს... აჰ, მე? კარგი, დავიმა-ლები.

იწყება თამაში. სიცილი, ყრიაპული. იმალებიან ამ ოთახშიც და მეორეშიც, რომელიც ხელმარჯვნივა. ბოლოს, ნორა მაგიდის ქვეშ ძვრება; ბავშვები ყიყინით შემოვარდებიან ოთახში, დედას ეძებენ, მაგრამ მაშინვე ვერ პოულობენ; ესმით მისი მოგუდული სიცილი, მაგრადს მივარდებიან, სუფრას ასწვენენ, დედას დანახავენ და აღტაცებისაგან ქულოპინებენ. ნორა თავს გამოკყოფს, თითქოს ბავშვების შეშინებას აპირებსო, რაც კიდევ უფრო ამზიარულებს პატარებს. ამასობაში, შემოსასვლელ კარზე აკაკუნებენ, მაგრამ არაფერს არ ესმის. მაშინ კარი იღება და გამონდება კროგსტადი. ერთხანს უსიტყვოდ დგას. თამაში გრძელდება.

კროგსტადი. მომიტევეთ, ფრუ ჰელმერ.

ნორა (მოულოდნელობისაგან შეკვლევს, შემობრუნდება და ნახევრად წამოიწევა). აჰ!.. რა გნებაეთ?

კროგსტადი. მომიტევეთ. კარი ღია იყო; ალბათ, დახურვა დაავიწყდათ.

ნორა (წამოდგება). ჩემი ქმარი შინ არ გახლავთ, ბატონო კროგსტად.

კროგსტადი. ვიცი.

ნორა. მაშ, რა გნებაეთ?

კროგსტადი. თქვენთან მაქვს საქმე.

ნორა. ჩემთან?.. (ბავშვებს, ხმადაბლა). ანა-მარიასთან ვადით. რაო? არა, უცხო ძია ცუდს არაფერს უზამს დედიკოს. როცა წავა, კვლავ ვითამაშებთ. (ბავშვები მეორე ოთახში გაქაყავს და კარს გამოიხურავს. შემკრთალი, დაძაბულად). მაშ, ჩემთან ლაპარაკი გსურთ?

კროგსტადი. დიახ.

ნორა. დღეს?.. მაგრამ ჯერ ხომ პირველი რიცხვი არაა...

კროგსტადი. არა, შობის წინადლეა და თქვენზეა დამოკიდებული, რა მხიარულადაც შეხედებით დღესასწაულს.

ნორა. მაინც რა გნებაეთ? დღეს ნამდვილად არ შემიძლია...

კროგსტადი. ამაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ. სულ სხვა საქმეზე გეახელით. ის მაინც ხომ შეგიძლიათ, რომ ორიოდე წუთი დამითმოდეთ?

ნორა. კმ... რა თქმა უნდა, თუმცა...

კროგსტადი. კეთილი... ქვემოთ, ულსენის რესტორანში ვიჯექი და დაეინახე, რომ თქვენმა ქმარმა ჩაიარა...

ნორა. დიახ, დიახ.

კროგსტადი. ვილაც ქალთან ერთად.

ნორა. მერე რა?

კროგსტადი. თუ შეიძლება, მითხარით: ფრუ ლინე ხომ არ იყო?

ნორა. დიახ.

კროგსტადი. ახლახან ჩამოვიდა ქალაქში?

ნორა. დიახ, ამ დილას.

კროგსტადი. თქვენი მეგობარია?

ნორა. დიახ. მაგრამ დიდი ხანია აღარ მინახავს...

კროგსტადი. ოდესღაც მეც ვიცნობდი.

ნორა. ვიცი.

კროგსტადი. მართლა? თქვენც იცით? ასეც ვფიქრობდი. მაშინ, ნება მიბოძეთ, ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე გკითხოთ: ფრუ ლინეს ადგილს აძლევენ ბანკში?

ნორა. როგორ მიბედავთ, რომ დაკითხვას მიწყობთ, ბატონო კროგსტად? თქვენ ხომ ჩემი ქმრის ხელქვეითი ბრძანდებით? მაგრამ, რაკილა მკითხეთ, გიპასუხებთ: დიახ, ფრუ ლინეს ადგილს სთავაზობენ. ჩემი თხოვნით, ბატონო კროგსტად! გესმით?

კროგსტადი. მაშინ, როგორც ჩანს, არ შეეშინდარე.

ნორა (ოთახში მიდი-მოდის). მე მგონია, ჩვენც შეიძლება გვექონდეს ერთგვარი გავლენა. ქალად რომ გაჩნდი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ, ...ამიტომ, როგორც ხელქვეითი, ნამდვილად უნდა მორიდებოდით იმას... ჰმ...

კროგსტადი. ...ვისაც გავლენა აქვს?

ნორა. დიახ.

კროგსტადი (ტონს იცვლის). ფრუ ჰელმერ, იქნებ კეთილინებოთ და ჩემს სასარგებლოდ გამოიყენოთ ეს თქვენი გავლენა?

ნორა. როგორ? მაინც რისი თქმა გნებაეთ?

კროგსტადი. იქნებ, იმაზე იზრუნოთ, რომ ჩემი თანამდებობა შევიწინარჩუნო ბანკში.

ნორა. კი მაგრამ, ვინ გართმევთ მაგ თქვენს თანამდებობას?

კროგსტადი. აბა, რად გინდათ, რომ თავს ისე მაჩვენებთ, თითქოს არაფერიც არ იცით? მშვენივრად მესმის, რომ თქვენს მეგობარს არაფრად ეპიტნავენა ჩემთან შეხვედრა, და ისიც ვიცი, თუ ვის უნდა ვუმაღლოდ ჩემს დათხოვნას.

ნორა. დამერწმუნეთ...

- კროგსტადი. დიახ. დიახ. დრო ჯერ კიდევ გვაქვს, და მე გირჩევთ, გამოიყენოთ მთელი თქვენი გავლენა, რათა თავიდან ავიცილოთ ეს.
- ნორა. კი მაგრამ, ბატონო კროგსტად. მე არავითარი გავლენა არა მაქვს.
- კროგსტადი. არავითარი? მე მგონია, თქვენ წელან თქვით...
- ნორა. რა თქმა უნდა. მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი... ვინ გითხრათ, თითქოს რაიმე გავლენა მქონდეს ჩემს ქმარზე?
- კროგსტადი. ო, მე სტუდენტობის დროიდან ვიცნობ თქვენს ქმარს. არა მგონია, ბატონი დირექტორი სხვა ქმრებზე შეუვალ იყოს.
- ნორა. თუ კვლავ ასე უპატივცემულოდ მოიხსენიებთ ჩემს ქმარს, იძულებული ვიქნები, კარზე მიგიითითოთ.
- კროგსტადი. ძალზე გამბედავი ბრძანდებით. ფრუ ჰელმერ.
- ნორა. თქვენი აღარ მეშინია. ნაახალწლევს ყველაფერს მოვამთავრებ.
- კროგსტადი (უფრო თავშეკავებით). ყური მიგდეთ, ფრუ ჰელმერ, თუ საკირო შეიქნა, არაფერს არ დავერიდები, თავს არ დავზოგავ იმ პატარა თანამდებობის გულისთვის, რომელიც ბანკში მიკირავს.
- ნორა. თქვენგან არ გამიკვირდება.
- კროგსტადი. არა მარტო ხელფასის გამო. ეს ყველაზე ნაკლებ მადარდება. მთავარი სულ სხვა რამეა. გულახდილად გეტყვით ყველაფერს. თქვენ, რა თქმა უნდა, ისევე კარგად მოგეხსენებათ, როგორც სხვებს, რომ ერთხელ წინდაუხედავი ნაბიჯი გადავდგი.
- ნორა. მგონი, რალაც ამგვარი გამიგონია.
- კროგსტადი. საქმე სასამართლომდე არ მისულა, მაგრამ მას აქეთ ყველა გზა მოკრილი შეიქნა ჩემთვის. მაშინ იძულებული გავხდი ხელი მომეკიდა იმ საქმეებისთვის... ხომ გესმით? რალაცას ხომ უნდა მოვკიდებოდი? და შემძლია თამამად ვთქვა, რომ სხვებზე უარესად როდი ვიქცეოდი. მაგრამ ახლა კი აუცილებელია უნდა დავაღწიო თავი ამ მდგომარეობას. შვილები მეზრუნებიან. მათი გულისთვის აუცილებლად უნდა დავიბრუნო ჩემი ძველი სახელი საზოგადოების თვალში, რამდენადაც შესაძლებელია. ადგილი ბანკში თითქოს პირველი საფეხური იყო ამ გზაზე. და უცებ, თქვენი ქმარი ხელსა მკრავს და კვლავ ორმოში მაგდება.
- ნორა. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, მე რა დახმარება შემიძლია, ბატონო კროგსტად?

კროგსტადი. არ შეგიძლიათ, იმიტომ, რომ არ გინდათ. მაგრამ მე გაიძულებთ.

ნორა. როგორ? ჩემს ქმარს ხომ არ ეტყვი, რომ ფული გესესხეთ?

კროგსტადი. კმ!.. რატომაც არა?

ნორა. დიდი უსინდისობა იქნებოდა თქვენის მხრივ. (ცრემლობრეული). და ის გაიგებს ამ საიდუმლოს — ჩემს სიამაყეს და სიხარულს... ასე უხამსად გაიგებს თქვენგან? თქვენ გინდათ საშინელი უსიამოვნება დამატებით ზავზე?..

კროგსტადი. მხოლოდ უსიამოვნება?

ნორა (გაალმასებით). აბა, ერთი გაბედეთ, თქვენთვისვე იქნება უარესი. მაშინ კი ჩემი ქმარი, საბოლოოდ დარწმუნდება, რა ბოროტი კაცი ყოფილხარ და არასდიდებით აღარ გაგაჩერებთ ბანკში.

კროგსტადი. მე გეკითხებით, თქვენ მხოლოდ ოჯახური უსიამოვნების შიში გაქვთ?

ნორა. ჩემმა ქმარმა რომ გაიგოს, მაშინვე გადაიხდის მთელ ნაშთს და არავითარი საქმე აღარ გვექნება თქვენთან.

კროგსტადი (ნაბიჯს გადადგამს მისკენ): მომისმინეთ, ფრუ ჰელმერ, ან მესხიერება გლალატობთ, ან ამ საქმისა არაფერი გაგეგებათ. როგორც ჩანს, ყველაფერი მე თვითონ უნდა ავიხსნათ.

ნორა. როგორ?

კროგსტადი. თქვენი ქმრის ავადმყოფობისას, ჩემთან მობრძანდით და მთხოვეთ ათას ორასი ტალერი მასესხეთო.

ნორა. სხვას არავის ვიცნობდი, რომ მისთვის მიმემართა.

კროგსტადი. მე შეგპირდით. გიშოვით-მეთქი.

ნორა. და მიშოვეთ კიდეც.

კროგსტადი. დიახ, გიშოვეთ, მაგრამ გარკვეული პირობით. იმხანად, თქვენი ქმრის ავადმყოფობის მეტი აღარაფერი გახსოვდათ და მხოლოდ იმაზე იმტკრევდით თავს, თუ სად გეშოვათ ფული საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. ასე რომ, წვრილმანებში გარკვევის თავი აღარა გქონდათ. ამიტომ ზედმეტი არ იქნება. თუ შევახსენებთ. დიახ, ფულის შოვნას შეგპირდით და თამასუქიც შევადგინე.

ნორა. დიახ, რომელსაც მე ხელი მოვაწერე.

კროგსტადი. კეთილი. მაგრამ ქვემოთ რამდენიმე ბწყარი დაკუმატე მამათქვენის სახელით. რომელსაც საკუთარი ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა, რომ თავმდებად დაგიდგებოდით.

ნორა. მართლა?.. მერედა, აკი მოაწერა კიდეც...

კროგსტადი. იქვე თარიღის ადგილიც დაეტოვე. ესე იგი, მამათ-
ქვენს თვითონვე უნდა დაესვა ღლე და რიცხვი, როცა ამ
ქალალდს ხელს მოაწერდა. ხომ გახსოვთ, ქალბატონო?

ნორა. მგონი...

კროგსტადი. მე თქვენ მოგეცით თამასუქი, რომ ფოსტით
გაგეგზავნათ მამათქვენისთვის. ასე არ იყო?

ნორა. დიახ.

კროგსტადი. თქვენც, რა თქმა უნდა, აღარ დაგიხანებიათ, რაკილა
ხუთი თუ ექვსი დღის შემდეგ თამასუქი უკანვე დამიბრუნეთ
მამათქვენის ხელმოწერით. დამიბრუნეთ და შეპირებული
თანხაც მიიღეთ.

ნორა. დიახ... კი მაგრამ, განა დროულად არ ვიხდიდი?

კროგსტადი. ისე რა... მაგრამ კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის
საგანს... ალბათ, ძალიან გიჭირდათ, ფრუ ჰელმერ.

ნორა. დიახ.

კროგსტადი. მამათქვენიც, როგორც ჩანს, ძალიან ავად იყო.

ნორა. მტრისას.

კროგსტადი. და მალე გარდაიცვალა?

ნორა. დიახ.

კროგსტადი. ერთი ეს მითხარით, ფრუ ჰელმერ: შემთხვევით, ხომ
არ გახსოვთ მამათქვენის გარდაცვალების დღე? ესე იგი, თვე
და რიცხვი?

ნორა. მამა ოცდაცხრა სექტემბერს გარდაიცვალა.

კროგსტადი. სწორია; მე გავიკითხე. მაგრამ, აი, აქ იწყება
უცნაურობა... (ქალალდს იღებს) რომელიც ვერასდობებით ვერ
ამიხსნია.

ნორა. რა უცნაურობა? არ შესმის...

კროგსტადი. რა უცნაურობა, ფრუ ჰელმერ, და ის, რომ
მამათქვენმა თავისი გარდაცვალების სამი დღის შემდეგ
მოაწერა ამ ქალალდს ხელი.

ნორა. როგორ?

კროგსტადი. მამათქვენი ოცდაცხრა სექტემბერს გარდაიცვალა.
ახლა კი ამას დახედეთ: თავისი ხელმოწერა ორი ოქტომბრით
დაუთარილებია. განა უცნაური არ არის?

ნორა ღუმს.

იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ?

ნორა. კვლავ ღუმს.

და კიდევ ერთი გაუგებრობა: თარიღი მამათქვენის კი არა,
სხვა ხელითაა დაწერილი, რომელიც ძალიან მეცნობა. თუმცა

ამის ახსნა, ასე თუ ისე, კიდევ შეიძლება: გამორიცხული არ არის, რომ მამათქვენს დაავიწყდა თავისი ხელმოწერის ქვეშ თარიღის დასმა და ვილაცამ, ვინც ჭერ კიდევ არ იცოდა მისი სიკვდილის ამბავი, დაუფიქრებლად მიაწერა. ეგ არაფერი. მთავარი მაინც ხელმოწერაა. ის კი ნამდვილია, ფრუ ჰელმერ? მართლაც მამათქვენმა მოაწერა ხელი?

ნორა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ თავს გადასწევს და გამოშვევად უცქერს). არა, მის ნაცვლად მე მოვაწერე.

კროგსტადი. მომისმინეთ, ფრუ ჰელმერ... იცით თუ არა, რომ ეს საშიში აღიარებაა?

ნორა. რატომ? მალე მთლიანად მიიღებთ თქვენს ფულს.

კროგსტადი. თუ შეიძლება გკითხოთ: რატომ არ გაუგზავნეთ ქალაქი მამათქვენს?

ნორა. იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა. ძალიან ავად იყო. რომ მეთხოვა, ხელი მოაწერე-მეთქი, ისიც ხომ უნდა ამეხსნა, რაში დამპირდა ფული. რა მექნა, მომაკვდავს ხომ ვერ მივწერდი, რომ ჩემი ქმარიც სიკვდილის პირას იყო? გულის მაგივრად ქვა ხომ არ მელო მკერდში?

კროგსტადი. მაშინ უმჯობესი იყო, საზღვარგარეთ წასვლაზე უარი გეთქვათ.

ნორა. არა, ესეც შეუძლებელი გახლდათ. ამაზე იყო დამოკიდებული ჩემი ქმრის სიცოცხლე. ვერასდობებით ვერ ვიტყვოდი უარს.

კროგსტადი. მაგრამ ის კი არ გიფიქრიათ, რომ მე მატყუებდით?

ნორა. სწორედ მაგისტრის მცხელოდა მაშინ. თქვენზე საერთოდ არ მიფიქრია. ვერ გიტანდით თქვენი გულქვაობისა და შარბიანობის გამო, თუმცა მშვენივრად იცოდით, რა საფრთხეც ემუქრებოდა ჩემს ქმარს.

კროგსტადი. როგორც ჩანს, ანგარიშს ვერ უწევთ იმას, თუ რა დანაშაული მიგიძღვით, ფრუ ჰელმერ. მაგრამ, აი, რას გეტყვით: ის, რამაც მე დამლუპა, ამ თქვენს დანაშაულზე არც უფრო საშიში იყო და არც უარესი.

ნორა. თქვენ?.. ხომ არ გსურთ, იმაშიც დამარწმუნოთ, რომ ჩემსავით მოიქცეოდით, რათა თქვენი მეუღლის სიცოცხლე გადაგერჩინათ?

კროგსტადი. კანონი ანგარიშს არ უწევს ამას.

ნორა. ვაი, ამნაირ კანონს.

კროგსტადი. გინდ ვაი უთხარით და გინდ უი, მაგრამ თუ ამ ქალაქს სასამართლოში წარვადგენ, იცოდეთ, კანონის მიხედვით გაგასამართლებენ.

ნორა. ერთბაშად არ დაგიჭეროთ! როგორ? შეიღს იმის უფლება არ უნდა ჰქონდეს. რომ ზედმეტი მღელვარება და ტანჯვა ააცილოს თავიდან მომაკვდავ მაშას? ცოლს კიდევ იმის უფლება, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნოს ქმარს? კანონების ბევრი არა გამეგება რა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სადღაცა მაინც უნდა იძლეოდნენ ამის ნებას. თქვენ კი, იურისტმა, არ იცოთ ეს. ცუდად გცოდნიათ კანონები, ბატონო კროგსტად.

კროგსტადი. რას იზამ. მაგრამ იმნაირ საქმეში... როგორიც ახლა მე და თქვენ გამოგვიჩნდა, ალბათ, იძულებული იქნებით აღიაროთ, რომ რაღაცა მაინც მესმის. მაშ, ასე, ნება თქვენია, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. მაგრამ, აი, რას გეტყვით: თუ ერთხელ კიდევ გამაგდებენ. არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე: (თავს უკრავს და წინკარში გადის).

ნორა (ერთხანს ჩაფიქრებული დგას, თავი უკან აქვს გადაღებული) ხედავთ? ჩემი დაშინება უნდოდა! ვერ მივართვი! (ბავშვების ტანსაცმელს და ნივთებს ალაგებს, მაგრამ მალე ანებებს თავს). თუმცა... არა, არა, შეუძლებელია! ეს ხომ სიყვარულმა ჩამადენინა!

ბავშვები (მარცხენა კარში). დედა, უცხო ძია ქიშკარში გავიდა.

ნორა. ჰო, ვიცი, ვიცი. მაგრამ არავეს არ. უთხრათ, რომ ჩვენთან იყო. არც მაშას. გესმით?

ბავშვები. კარგი, არ ვეტყვით, მაგრამ ხომ ჯვეთამაშები, დედა?

ნორა. არა, ახლა არა.

ბავშვები. კარგი რა, დედა, შენ ხომ შეგვპირდი.

ნორა. ჰო. მაგრამ ახლა არ შემოიძლია, იმდენი საქმე მაქვს. თქვენს ოთახში გადით, ჩემო კარგებო! (ალესით აცილებს ოთახიდან და კარს ხურავს. მერე დივანზე ჯდება და ქარგვას იწყებს, მაგრამ მალე ანებებს თავს). არა! (ხელსაქმეს მოაგდებს, დგება, წინკარში გადის და რეკავს). ნაძვისხე შემოიტანე ელენე! (მაგიდასთან მიდის, უჭრას გამოალებს და ხელახლა ჩერდება). არა, ეს წარმოუდგენელია.

მოახლე (ნაძვისხე შემოაქვს). სად დავდგა, ქალბატონო?

ნორა. აი, იქ. შუა ოთახში.

მოახლე. სხვა რამეც ხომ არ მოგართვიათ?

ნორა. არა, გმადლობ. ყველაფერი აქა მაქვს.

მოახლე ნაძვისხეს დგამს და გადის.

(ნაძვისხეს რთავს). აი, აქ სანთლები, აქ კიდევ ყვავილები... უ, რა საზოზლარი კაცია... ბრიყვი, სულელი!.. რას დამაკლებს?... გადასარევი ნაძვისხე იქნება! ყველაფერს ისე გავაკეთებ, შენ რომ გეამება. ტორუალდ... ვიმღერებ და ვიცეკვებ შენთვის...

წინკარიდან შემოდის ჰელმერი. ილიაში ქალაღები ამოუჩრია.

აჰ!.. უკვე დაბრუნდი?

- ჰელმერი. დიახ. ხომ არაეინ ყოფილა?
- ნორა. არა... ვინ უნდა ყოფილიყო?
- ჰელმერი. უცნაურია. დავინახე, რომ კროგსტადი გამოვიდა ჩვენი კიშკრიდან.
- ნორა. მართლა? თუმცა, ჰო ერთი წუთით შემოიარა.
- ჰელმერი. სახეზე გატყობ. ნორა: ალბათ, მოვიდა და გთხოვა, სიტყვა შემაწიეო.
- ნორა. დიახ.
- ჰელმერი. და თანაც, შენ თვითონ დამიძალე, რომ აქ იყო? ესეც ხომ არა გთხოვა?
- ნორა. ჰო. ტორვალდ. მაგრამ...
- ჰელმერი. ეს როგორ იკადრე, ნორა? რას ჰქვია. ამნაირ კაცთან პირი შექკრა, ან რამეს შეჰპირდე? და თანაც, ტყუილი მითხრა?
- ნორა. ტყუილი?
- ჰელმერი. შენ არ მითხარი, არაეინ ყოფილაო? (თითო ემუქება). იცოდე, ეს აღარ განმეორდეს, ჩემო მგალობელო ჩიტო. მგალობელ ჩიტს ყელი ყოველთვის სუფთა უნდა ჰქონდეს! არცერთი ყალბი ბგერა! (წელზე შემოხვევს ხელს). ასეა, არა? დიახ, ასეც ვიცოდი. (ხელს უშვებს). ო, რა სითბოა ჩვენს სახლში, რა სიმყუდროვე: (ქალაღებს ფურცლავს).
- ნორა (ნაძვის ხეს რთავს; ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ტორვალდ!
- ჰელმერი. რა?
- ნორა. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხარია, რომ სტენბორგები ზეგ საღამოს მასკარადს მართავენ.
- ჰელმერი. მე კი საშინლად მაინტერესებს, რითი გაგვაკვირვებ ამჯერად.
- ნორა. აჰ, სისულელეა!
- ჰელმერი. აბა!
- ნორა. ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფერი მომიფიქრებია. ვერაფერს თავს ვერ ვაბამ.
- ჰელმერი. ნუთუ ჩემი პაწაწინა ცოლი ამ უიმედო დასკვნამდე მივიდა?
- ნორა (უენიდან უახლოვდება და იდაყვებით ეყრდნობა მისი სავარძლის ზურგს). ძალიან ბევრი საქმე გაქვს. ტორვალდ?
- ჰელმერი. კმ!
- ნორა. ეს რა ქალაღდება?
- ჰელმერი. არაფერი, ბანკის საქმეები.
- ნორა. უკვე?

პელმერი. წინა გამგეობისაგან უფლება მივიღე, ჩემი ნება-სურვილით შევცვალო მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობა და ბანკის სამუშაო გეგმა. ეს საქმე მთელ საშობაო კვირას წაიღებს. მინდა საახალწლოდ ყველაფერი მოგვარებული მქონდეს.

ნორა. აჰ, აი, თურმე რა აწუხებდა ამ საცოდავ კროგსტადს...

პელმერი. კმ!

ნორა (უწინდებურად იდაყვებით ეყრდნობა სავარძლის ზურგს). ასე მოუტლელი რომ არ იყო, უთუოდ გთხოვდი, ერთი ფასდაუდებელი სამსახური გაგეწია ჩემთვის, ტორვალდ.

პელმერი. მაინც?..

ნორა. შენნაირ გემოვნებას ბევრი ვერავინ დაიკვებნის. მე კი ვგიჟდები, ისე მინდა, ლამაზად გამოვიყურებოდე ამ მასკარადზე. ხომ ვერ დამეხმარები, ტორვალდ, რომელი ნიღაბი ავირჩიო, ან რა ჩავიცვა?

პელმერი. აჰა, პაწაწინა თავნება მხსნელს ეძებს?

ნორა. დიახ, ტორვალდ, უშენოდ ვერაფერს გაეხდები.

პელმერი. კარგი, კარგი. მოვიფიქრებთ და, ალბათ, შენს გაკირვებასაც ვუშველით.

ნორა. აჰ, რა კეთილი ხარ! (კვლავ ნაძვისხესთან მიდის. პაუზა) რა ლამაზია ეს წითელი ყვავილები! ერთი მითხარი, მართლა ასეთი საშინელებაა ის, რაშიც კროგსტადს დასდეს ბრალი?

პელმერი. მას ბრალი დასდეს ყალბისმქმნელობაში. თუ გესმის, რა არის ეს?

ნორა. იქნებ, გაკირვებამ აიძულა?

პელმერი. შეიძლება. ან, იქნებ ბევრი სხვა ყალბისმქმნელის მსგავსად, თავქარიანობით მოუვიდა. მე არც ისეთი უგულო ვარ, რომ სამუდამოდ შევაჩვენო კაცი ერთი ამნაირი შეცოდების გამო.

ნორა. მართლა, ტორვალდ?

პელმერი. ზოგიერთი დაცემული შეიძლება კვლავ აღდგეს ზნეობრივად, თუკი გულახდილად აღიარებს დანაშაულს და პატიოსნად მოიხდის სასჯელს.

ნორა. სასჯელს?

პელმერი. მაგრამ კროგსტადმა სხვა გზა აირჩია. არაფერს არ დაერიდა, არაფრის წინაშე არ დაიხია უკან, რათა მშრალი ამოსულიყო წყლიდან და სწორედ ამან დაღუპა ზნეობრივად.

ნორა. მაშ, შენი აზრით...

პელმერი. აბა, წარმოიდგინე, რა არის სინდისდაკარგული კაცის ცხოვრება: ყოველი ფეხის ნაბიჯზე იძულებულია იცროუს,

ითვალთმაქცოს, არა მარტო გარეშე ხალხის, არამედ ახლობლებისა და თვით თავისი საკუთარი ცოლ-შვილის წინაშეც. ეს კი ყველაზე საშინლად ბავშვებზე მოქმედებს, ნორა.

ნორა. რატომ?

პელმერი. იმიტომ, რომ სიცრუით მოწამლული ატმოსფერო გადამდებია და გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს მთელს ოჯახზე. ბავშვები თითქოს ჰაერის ყოველ ჩასუნთქვასთან ერთად ისრუტავენ ბოროტების თესლს.

ნორა (უკნიდან უახლოვდება). დარწმუნებული ხარ?

პელმერი. აპ, ჩემო ძვირფასო, მთელი ჩემი ადვოკატობის მანძილზე არაერთხელ დავრწმუნებულვარ ამაში. თითქმის ყველა ნაადრევად გზასაცდენილ კაცს თვალთმაქცი დედა ჰყავდა.

ნორა. რატომ მაინცდამაინც დედა?

პელმერი. მთელი უკეთუბება. უპირატესად, დედისაგან იღებს დასაბამს. თუმცა, რა თქმა უნდა, მამებიც ასეთსავე ზემოქმედებას ახდენენ შვილებზე. ეს ხუთი თითოვით იცის ყველა ადვოკატმა. კროგსტადი კი წლების მანძილზე წამლავდა შვილებს სიცრუით და თვალთმაქცობით. ამიტომაც ვთვლი მას ზნედაცემულ კაცად. (ხელს უწვიის). ამიტომ სიტყვა მომეცი, ჩემო ძვირფასო, რომ აღარაფერს მთხოვ მისთვის. ხელი მოიტა, ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ. აბა, აბა, რა არის ეს? მოიტა ხელი. აი, ასე. მაშ, შევთანხმდით, არა? დამერწმუნე, ვერასდობებით ვერ შევძლებ მასთან მუშაობას. ენით უთქმელად მეზიზღება ამნაირი ხალხი.

ნორა (ხელს ითავისუფლებს და მეორე მხრიდან უვლის ნაძვისხეს). უპ, როგორ ცხელა! მე კი იმდენი საქმე მაქვს...

პელმერი (დგება და ქალღმერთს კრებს). მეც. სადილობამდე უნდა მოვასწრო და ამათ გადავხედო. შენს ტანსაცმელზედაც ვიფიქრებ. ოქროსფერ ქალღმერთში გასახვევსა და ნაძვისხეზე ჩამოსაკიდსაც მოვძებნი რამეს. (ხელს უსაშს თავზე). აპ, ჩემო ძვირფასო, ჩემო მგალობელო ჩიტო! (თავის ოთახში გადის და კარს მიიხურავს).

ნორა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ, ჩუმად). აპ, არა, არა! ეს შეუძლებელია! დიახ, შეუძლებელი!

ანა-მარია (მარცხენა კარში). ბავშვები გადამეკიდნენ. დედასთან გვინდაო.

ნორა. არა, არა, არ შემოუშვა! შენთან იყვნენ. ანა-მარია!

ანა-მარია. კეთილი. კეთილი. (კარს გაიხურავს).

ნორა (შეძრწუნებული). ჩემს პატარებს გზა-კვალი აეუბნისო?.. ოჯახი გავაუბედურო?.. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ; თავს მალა სწევს). არა, არა, ტყუილია! არასოდეს ეს არ მოხდება! არასოდეს, არასოდეს!

მეორე მოქმედება

იგივე ოთახი. კუთხეში, პიანინოსთან, გაქუცულ-გასაცოდავებული, სანთლებით შებრუსული ნაძვისხე დგას. დივანზე ნორას მანტო და ქული აგდია. აღუკვებელი ნორა მოუსვენრად წრიალებს ოთახში, ბოლოს, დივანთან ჩერდება და თავის მანტოს იღებს.

ნორა (ხელს უშვებს მანტოს). ვილაცა მოდის. (კართან მიდის და აყურადებს). არა... მომეჩვენა. ან კი ვინ მოვა შობის პირველ დღეს?.. არც ხვალ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ... (კარს გამოაღებს და გაიხედავს). არა, საფოსტო ყუთიც ცარიელია. (უკანვე ბრუნდება). სისულელეა! რა თქმა უნდა, ამას არ იზამს. შეუძლებელია, დიახ, შეუძლებელი! მე სამი პატარა ბავშვი მყავს.

ანა-მარია (მარცხენა კარიდან შემოდის; თან მუუაოს ვეებერთელა კოლოფი მოაქვს). ძლივს მივაგენი; სამასკარადო კაბები შიგ აწყვიტა.

ნორა. გმადლობ. მაგიდაზე დადევი.

ანა-მარია. მხოლოდ უნდა მოგახსენო, რომ ყველაფერი საშინლად არეულ-დარეულია.

ნორა. მაგაზე დამიდგა დარდი, ნეტავი ყველა ნაკუწებად მაქცევინა.

ანა მარია. რას ამბობ? ერთი-ორი ნემსის გაკვრა და შეიძლება გააახლო. მხოლოდ ცოტა მოთმინებაა საჭირო.

ნორა. მაშ. წავალ, ფრუ ლინეს ვთხოვ დამეხმაროს.

ანა-მარია. სად წახვალ ამნაირ ამინდში? გაცივდები... ავად გახდები.

ნორა. გავცივდები და... როგორ არიან ბავშვები?

ანა-მარია. ახალი სათამაშოებით თამაშობენ საცოდავები... მხოლოდ...

ნორა. ხშირად მკითხულობენ?

ანა-მარია. რა ქნან, უშენოდ ვერა ძლებენ.

ნორა. მე რალა ვქნა. რომ ამის იქით იმდენ ხანს ველარ ვიქნები მათთან, რამდენ ხანსაც უწინ ვიყავი, ანა-მარია.

ანა-მარია. ბავშვები ყველაფერს ეჩვევიან.

ნორა. შენ გგონია? ნუთუ დედასაც დაივიწყებენ, მე რომ აღარ ვიყო?

ანა-მარია. ღმერთო დიდებულო! აღარ ვიყო?!

ნორა. ყური მიგდე, ანა-მარია... ხშირად მიფიქრია... რა გულმა მოგცა, რომ სხვას დაუტოვე შენი პატარა?

ანა-მარია. გაკირვებამ მაიძულა. მაშ, რა შექნა. თუკი ძიძად დაუდექი პატარა ნორას?

ნორა. კი მაგრამ, ძიძობას როგორღა დათანხმდი?

ანა-მარია. ამისთანა კარგ ადგილზე უარი მეთქვა? პირიქით, ჩემს დღეში მყოფი საბრალო ქალი სიხარულით ცას უნდა სწეოდა. მე შენ გეტყვი და, ის ბოროტი კაცი გამიწევდა დახმარებას. მეტი არაა ჩემი მტერი.

ნორა. შენმა ქალიშვილმა, ალბათ, დაგივიწყა.

ანა-მარია. არა, რატომ? ერთი-ორჯერ წერილიც მომწერა: როცა სრულწლოვანი გახდა და გათხოვდა.

ნორა (უხვევა). აჰ, ჩემო ძვირფასო. სწორედ შენ გამიწიე ნამდვილი დედობა. როცა პატარა ვიყავი.

ანა-მარია. სხვა დედა რომ არ გყავდა, ჩემო საბრალო?

ნორა. ჩემს პატარებსაც რომ არ ჰყავდეს. ვიცი, შენ... აჰ, რა სისულელეა! (კოლოფს ხსნის). წადი, ბავშვებს მიხედე... მე კი... აი, ნახავ, ხვალ რა ლამაზი ვიქნები.

ანა-მარია. ღმერთმანი, არავინ იქნება შენზე ლამაზი. (ხელმარცხნივ გადის).

ნორა (კოლოფიდან კაბებს იღებს, მაგრამ მალე თავს ანებებს ყველაფერს). აჰ, ნეტავი გასვლა გამაბედვინა. ნეტა არავინ შემოვიდეს. რამე ხომ არ მოხდება უჩემოდ? სისულელეა. არავინაც არ მოვა. რა საჭიროა ამაზე ფიქრი?... მუფთა უნდა გავწმინდო. რა მშვენიერი ხელთათმანებია. არა, რა საჭიროა ფიქრი? ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... (წაშოიკვლებს). ა! ვიღაცა მოდის! (აპირებს კას ეცეს, მაგრამ გაუბედავად ჩერდება).

წინკარიდან შემოდის ფრუ ლინე; პალტო გაუხლია.

აჰ, შენა ხარ, ქრისტინა? სხვა ხომ არავინაა?... რა კარგია, რომ მოხვედი.

ფრუ ლინე. მითხრეს, შემოვიარა და გიკითხაო.

ნორა. დიახ. შენი დახმარება მკირდება. იცი, რა? ხვალ საღამოს, ერთი მეზობელი. — ჩენს ზემოთ ცხოვრობს, — კონსული სტენბორგი მასკარადს მართავს. და ტორვალდს უნდა, რომ მე ნეაპოლელი მეთევზე ქალი ვიყო და ტარანტელა ვიცეკვო. კაპრიზე ყოფნისას ვისწავლე.

ფრუ ლინე. რას ამბობ? ეს ხომ მთელი წარმოდგენაა!

ნორა. ტორვალდმა თქვა. ასეა საჭიროო. აი, კაბაც. ტორვალდმა ჯერ კიდევ კაპრიზე ყოფნისას შეაკერინა ჩემთვის. მაგრამ უკვე ყველაფერი შემოაცვდა და, ღმერთმანი, აღარ ვიცი...

ფრუ ლინე. რა დიდი საქმე ამას უნდა? მხოლოდ აქა-იქ არღვევია კანტი. ნემსი და ძაფი? აა, ყველაფერი აგერ ყოფილა.

ნორა. რა კეთილი ხარ.

ფრუ ლინე. მაშ, ხვალ ამას ჩაიცვამ. ნორა? აუცილებლად შემოგივლი, რომ მორთულ-მოკაზმულს თვალი შეგავლო. მაგრამ სულ დამავეიწყდა, რომ გუშინდელი სასიამოვნო საღამოსთვის მადლობა გადამეხადა.

ნორა (ადგება და ოთახში გაივლ-გამოივლის). აბა, რა სასიამოვნო გუშინდელი საღამო იყო? შენ სხვა დროს უნდა ნახო. რა იქნება, ცოტა უფრო ადრე ჩამოხვიდე ქალაქში, ქრისტიანა? ერთი გაჩვენა, რა კობტად და ფაქიზად აწყობს ტორვალდი ყველაფერს.

ფრუ ლინე. ჩემის აზრით, არც შენ ჩამორჩები. მამაშენის შვილი არა ხარ? მაგრამ ერთი ეს მითხარი: ექიმი რანკი ყოველთვის ასე დაბეჩავებულია?

ნორა. არა, გუშინ რატომღაც მეტისმეტად... თუმცა ძალზე სერიოზული ავადმყოფობა კი სჭირს. ზურგის ტვინის ტაბესი აქვს. უნდა მოგახსენო, რომ ყოველად საზიზღარი, ლოთი და გარყვნილი მამა ჰყავდა. ჰოდა, აი, ამისთანა კირიანი შვილი გამოუვიდა, გესმის?

ფრუ ლინე (მუხლებზე იღებს ხელსაქმეს). კი მაგრამ, ჩემო კარგო, ამდენი ცოდნა სად შეიძინე?

ნორა (ოთახში დადის). ე!.. რახან სამი შვილი გყავს, მაშასადამე ისეთი... ისეთი ქალებიც დადიან შენთან, რომლებიც ასე თუ ისე ერკვევიან მედიცინაში. ჰოდა, თანდათანობით შენც სწავლობ რაღაცას.

ფრუ ლინე კერვას განაგრძობს; ხანმოკლე პაუზა.

ფრუ ლინე. ექიმი რანკი ყოველდღე თქვენთანაა?

ნორა. ყოველ ცისმარე დღე. ჯერ ერთი, ტორვალდის სიყრმის მეგობარია და მასზე ახლობელი არც მე მყავს ვინმე. ჩვენს ოჯახში შინაურ კაცად ითვლება.

ფრუ ლინე. ერთი ეს მითხარი: გულწრფელი და პირში მთქმელი კაცია? ესე იგი, არა ჰყავს იმათ, ვინც მხოლოდ იმას ცდილობს, რომ თანამოსაუბრის გული მოიგოს?

ნორა. პირიქით, მაინც რამ დაგაეკვა?

ფრუ ლინე. გუშინ, ერთმანეთს რომ გაგვეცანი, ასე მითხრა, თქვენი სახელი ხშირად მსმენია ამ ოჯახშიო, მერე კი, შევნიშნე, რომ შენს ქმარს წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩემზე. მაშ, რა უნდა სცოდნოდა ექიმს?..

ნორა. ამას კი მართალს ამბობ, ქრისტიანა. ტორვალდს ისე გაგიყვებით ვუყუარვარ, რომ გადაჭრით მოითხოვს, მხოლოდ მას ვეკუთვნოდე მთელის არსებით. პირველ ხანებში, შენ

წარმოიდგინე. საშინლად ეკვიანობდა. როცა ჩემს ძვირფას ახლობლებსა და ჩემთვის საყვარელ ადგილებზე ჩამოვეუდებდი სიტყვას. ჰოდა. მეც თანდათანობით მოვეუშიე ამას. მაგრამ, ექიმ რანკს კი ყველაფერზე ველაპარაკები. დიდი სიამოვნებით მისმენს.

ფრუ ლინე. ყური მიგდე: ბევრ რამეში შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, ნორა. მე კი ასაკითაც უფროსი ვარ შენზე და უფრო გამოცდილიც. ჰოდა, აი, რას გეტყვი: ეცადე, როგორმე ჩაფარცხო ეს საქმე.

ნორა. რას ამბობ, მაინც რა საქმე?

ფრუ ლინე. აი, მთელი ეს საქმე... ექიმ რანკთან, გუშინ რალაცას ამბობდი მდიდარ თაყვანისმცემელზე, რომელიც ვითომ მთელ თავის ფულს გიანდერძებს.

ნორა. ეჰ, სად არის, თორემ... მერედა, რა?

ფრუ ლინე. ექიმი რანკი შეძლებული კაცია?

ნორა. დიახ.

ფრუ ლინე. და ახლობელი არაინა ჰყავს?

ნორა. არა, მაგრამ...

ფრუ ლინე. თანაც, ყოველდღე თქვენთანაა?

ნორა. დიახ. აკი გითხარი.

ფრუ ლინე. კი მაგრამ, როგორ შეიძლება, რომ წესიერად აღზრდილი კაცი ასეთი უტაქტო იყოს?

ნორა. არაფერი არ მესმის შენი.

ფრუ ლინე. თავს ნუ იკატუნებ. ნორა. შენ გგონია, ვერ ვხვდები, ვინ გასესხა ათას ორასი ტალერი?

ნორა. ხომ არ გაგიუღი? ეგ რამ გაფიქრებინა? ჩვენი მეგობარი, რომელიც ყოველდღე ჩვენთანაა! მე ამას გავუძლებდი?

ფრუ ლინე. მაშ, სხვისგან ისესხე?

ნორა. გეფიცები. ეგ ერთი წუთითაც არ გამივლია გულში!.. ეგეც არ იყოს, სად უნდა ეშოვა მაშინ ფული, რომ ჩემთვის ესესხებინა? მემკვიდრეობა უფრო გვიან მიიღო.

ფრუ ლინე. მით უკეთესი შენთვის. ნორა.

ნორა. არა, რა მომაფიქრებდა, რომ ექიმ რანკისათვის მეთხოვა?.. თუმცა, დარწმუნებული ვარ...

ფრუ ლინე. მაგრამ შენ, რასაკვირველია, ამას არ იზამ.

ნორა. რა თქმა უნდა, არა. ამის წარმოდგენაც არ შემიძლია. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ავდგე და ვთხოვო...

ფრუ ლინე. ქმრის უკითხაად?

ნორა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოვამთავრო ეს საქმე? რა თქმა უნდა, მის უკითხავად. უნდა მოვამთავრო.

ფრუ ლინე. დიახ, დიახ, გუშინ მეც გეუბნებოდი, მაგრამ...

ნორა (მოუსვენრად წრიალებს). კაცს გაცილებით უკეთ შეუძლია ამნაირი საქმის მოგვარება, ვიდრე ქალს...

ფრუ ლინე. თე ეს კაცი შენი ქმარია. -- რა თქმა უნდა.

ნორა. სისულელეა. (ჩერდება). თუ მთელ ვალს გადავიხდი, თამასუქს ხომ უკან მომცემენ?

ფრუ ლინე. რა თქმა უნდა.

ნორა. და შეიძლება ნაკუწებად ვაქციო, დავწვა ეს საზიზლარი, ბინძური ქალაღი?

ფრუ ლინე (დაეინებოთ უუერებს ნორას, ხელსაქმეს განზე გადადებს და ნელა დგება). რალაცას მიმალავ, ნორა.

ნორა. რას მატყობ?

ფრუ ლინე. გუშინდელს აქეთ ნამდვილად რალაცა შეგემთხვა; მაგრამ რა?

ნორა (უახლოდება). ქრისტინა! (რალაცას აუურადებს). სსუ! ტორვალდი დაბრუნდა. გეხვეწები, ბავშვებთან გადი, რა. ტორვალდს არ უყვარს, როცა მის თვალწინ კერავენ. ანა-მარია წაგებმარება.

ფრუ ლინე (ნიეთებს აგროვებს). დიახ, დიახ, მაგრამ თქვენგან კი მანამ არ წავეალ, სანამ ყველაფერს დაწვრილებით არ მეტყვი. (ხელმარცხნივ გადის).

იმავე წამს წინკარიდან შემოდის ჰელმერი.

ნორა (ეგება). სადა ხარ? გული გადამელია შენს ლოდინში, ჩემო ძვირფასო.

ჰელმერი. მკერავი ხომ არ იყო?

ნორა. არა, ქრისტინა. კაბის გადაკეთებაში მებმარება. აი, ნახავ, რა მომზობლავი ვიქნები ხვალ.

ჰელმერი. დიახ; ხომ კარგად მოვიფიქრე?

ნორა. დიდებულად! მაგრამ მეც ხომ ჰკვიანი ვარ, რომ გიჯერებ?

ჰელმერი (ნიკას აუწევს). ჰკვიანი ხარ იმიტომ, რომ ქმარს უჯერებ? ვიცი, შენ სულ სხვა რამე გინდოდა გეთქვა. მაგრამ ხელს არ შეგიშლი. ალბათ, კაბის მიზომებას აპირებ.

ნორა. შენ კი, ალბათ, სამუშაო გაქვს.

ჰელმერი. დიახ. (ქალღღების გროვას უჩვენებს). აი! ბანკში შევიარე. (კაბინეტში გასვლას აპირებს).

ნორა. ტორვალდ...

ჰელმერი (ჩერდება). რა?

ნორა. შენმა ციყვეუნიამ რომ ძალიან გთხოვოს ერთი რამე?

ჰელმერი. მერე?..

ნორა. შეუსრულებ?

ჰელმერი. თავდაპირველად. რასაკვირველია, უნდა ვიყოდე, მაინც რასა მთხოვს.

ნორა. ციყვეუნია სიხარულით გადაირეოდა, ხტუნვას დაიწყებდა, გაგართობდა, გაგამხიარულებდა, თუკი დიდსულოვნებას გამოიჩინდი და არ გააწბილებდი.

ჰელმერი. აღარ იტყვი?

ნორა. ტოროლა გალობით აავსებდა მთელ სახლს, ათასნაირ კილოზე იქიკვიკებდა.

ჰელმერი. ისედაც კარგად გალობს.

ნორა. სილფიდად ვიქცეოდი შენთვის, მთვარის შუქზე ვიცეკვებდი, ტორვალდ!

ჰელმერი. იმედია, გუშინდელ თხოვნას აღარ გამიმეორებ, ნორა.

ნორა (უახლოვება). დიახ, ტორვალდ! გეხვეწები, გემულარები!

ჰელმერი. ნუთუ მართლა მიბედავ, რომ კვლავ იგივე მთხოვო?

ნორა. დიახ, დიახ, ნებას უნდა დამყვე და კროგსტადს ადგილი შეუნარჩუნო ბანკში.

ჰელმერი. კი მაგრამ, ამ ადგილას ხომ ფრუ ლინეს მიღებას ვაპირებ, ჩემო ძვირფასო.

ნორა. დიდი მადლობა, მაგრამ არ შეიძლება კროგსტადის მაგივრად სხვა ვინმე დაითხოვო?

ჰელმერი. ეს რა სიკერპეა? მხოლოდ იმიტომ, რომ ამჩატდი და დაუფიქრებლად შეპირდი დახმარებას, მე მოვალე ვარ?..

ნორა. არა, კროგსტადის კი არა, შენივე გულისთვის გთხოვ, ტორვალდ. ეს კაცი ხომ ყველაზე ბინძურ გაზეთებში თანამშრომლობს, — შენ არ მითხარი? შეიძლება სამუდამოდ გადაგეკიდოს. სიკვდილივით მეშინია მისი.

ჰელმერი. აჰა, გასაგებია. ძველი ამბები გახსენდება და მიტოვაც გეშინია.

ნორა. მაინც?..

ჰელმერი. რა თქმა უნდა, მამაშენის ამბავი გაგახსენდა.

ნორა. დიახ, დიახ, აბა. დაფიქრდი, რას წერდნენ ბოროტი აღამიანები მამაჩემზე. რა უსინდისოდ სწამებდნენ ცილს. ალბათ, თავისას გაიტანდნენ და თანამედრობიდანაც გადააყენებდნენ. სამინისტროში შენ რომ არ გაეგზავნეთ რევიზორად და ასე თანაგრძნობით და კეთილმოსურნეობით არ გაგერჩია მისი საქმე.

ჰელმერი. ჩემსა და მამაშენს შორის არსებითი განსხვავებაა, ჩემო ძვირფასო. მამაშენი არცთუ უზადო მოხელე იყო, მე კი სწორედ ასეთი ვარ და, იმედი მაქვს, ასეთივე დავრჩები, სანამ ეს ადგილი მიჭირავს.

ნორა. ეჰ, ვინ იცის, რას არ მოიფიქრებს ბოროტი ხალხი! და სწორედ ახლა, როცა უკვე შეგვეძლო მშვიდად, უზრუნველად და ბედნიერად გვეცხოვრა მეც, შენც და ბავშვებსაც, ტორვალდ! აი, რად გეხვეწები...

ჰელმერი. კი მაგრამ, სწორედ იმით, რომ ასე თავგამოდებით ესარჩლები, მე მისკობ ყოველგვარ საშუალებას, თავის ადგილზე დავტოვო იგი. ბანკში უკვე იციან, რომ კროგსტადის დათხოვნა მაქვს გადაწყვეტილი. ისღა მაკლია, ხმები დამიყარონ, ახალი დირექტორი ცოლის ზეგავლენით ცვლის თავის გადაწყვეტილებებსო...

ნორა. ასეც რომ იყოს, მერე რა?

ჰელმერი. ჰო, რა თქმა უნდა, მთავარია, თავნებამ თავისი გაიტანოს! მე კი კისერიც მიტეხია, დიდი ამბავი, თუ თანამშრომლები მასხრად ამიგდებენ, ხალხს კი იმას ვაფიქრებინებ, რომ ყველას შეუძლია თავის ნებაზე მათამაშოს. დამერწმუნე, შედეგიც არ დაახანებს! ეგეც არ იყოს... არსებობს რაღაც ისეთი, რაც ყოველად შეუძლებელს ხდის კროგსტადის დატოვებას ბანკში, სანამ მე მისი დირექტორი მქვია.

ნორა. მაინც რა?

ჰელმერი. მის ზნეობრივ ნაკლზე შემეძლო თვალი დამეხუჭა...

ნორა. მართლა, ტორვალდ?

ჰელმერი. თანაც, როგორც ამბობენ, საქმიანი კაცია, მაგრამ, აი, რა: ჩვენ ახალგაზრდობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს. ესაა ერთი იმ ზერელე ნაცნობობათაგანი, რომელთა გამოც შემდეგ ხშირად უხერხულ დღეში ვარდები. არ დაგიმალავ: „შენობითაც“ კი მიემართავთ ერთმანეთს. და ის იმდენად უტაქტოა, რომ ამას არც მალავს სხვების წინაშე. პირიქით, რატომღაც ჰგონია, რომ ეს უფლებას აძლევს ძმა-ბიჭურად იყოს ჩემთან და ყოველი ფეხის ნაბიჯზე თავიც მოჰქონდეს ამით: „შენ, ჰელმერ,“ — აი, როგორ მომმართავს ხოლმე. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მეჩოთირება. მას შეუძლია ყოველად აუტანელი გახადოს ჩემი ყოფნა ბანკში.

ნორა. შენ, ალბათ, ხუმრობ, ტორვალდ.

ჰელმერი. როგორ?

ნორა. როგორ და ისე, რომ ყოველივე ეს მხოლოდ წერილმანი მოსაზრებებია.

პელმერი. რას ამბობ? წერილმანიო?.. მაშ, მე, შენის აზრით, წერილმანი კაცი ვარ?

ნორა. პირიქით, ჩემო ძვირფასო ტორვალდ. ამიტომაცაა, რომ...

პელმერი. ეგ სულ ერთია. რაკი ჩემს განზრახვას წერილმანს უწოდებ, მაშასადამე, მეც ასეთი ვარ. წერილმანებს გამოკიდებული კაცი! მაშ, ასე? ...არა, ამას ბოლო უნდა მოელოს. (წინკართან მიდის და გასძახის). ელენე!

ნორა. რა გინდა?

პელმერი (ქალღღებში იქეჩება). მინდა, ამას ბოლო მოეულო. (შემოსულ მოახლეს). აიღეთ ეს წერილი და ახლავე წადით. ბიჭი მონახეთ და იმას გაატანეთ. სწრაფად. მისამართი ზედ აწერია. აი, ფული.

მოახლე. კეთილი. (მიდის და თან წერილიც მიჰქვს).

პელმერი (ქალღღებს აგროვებს). აი, ასე, ჩემო თავნება ქალბატონო!

ნორა (სუნთქვაშეკრული). ეს რა წერილი იყო, ტორვალდ?

პელმერი. კროგსტადის დათხოვნა.

ნორა. ახლავე უკან დააბრუნე. ახლავე-მეთქი. ტორვალდ! სანამ გვიან არ არის! ჩემი, შენი, ჩვენი შეილების გულისთვის დააბრუნე! გესმის, ტორვალდ? შენ არ იცი, ეს შეიძლება საბედისწერო შეიქნეს ყველა ჩვენგანისათვის.

პელმერი. უკვე გვიანია.

ნორა. ჰო, გვიანია.

პელმერი. მიპატიებია ეს შიში, ჩემო ძვირფასო, თუმცა, მართალი გითხრა, ძალიან კი მწყინს. ან იქნებ, გგონია, რომ არ შეიძლება მწყინდეს შენი ვარაუდი, თითქოს გზას აცდენილი თაღლითის შურისძიებას უნდა ვუფრთხოდე? მაგრამ მაინც მიპატიებია, ვინაიდან ყოველივე ეს საოცარი უშუალოდით გამოხატავს შენს სიყვარულს ჩემდამი. (მიიზიდავს). აი, ასე, ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო. მერე კი მოხდეს, რაც მოსახდენია. თუ საქმე საქმეზე მიდგა, დამერწმუნე, ძალაც მეყოფა და გამბედაობაც. აი, ნახავ. მე ის კაცი ვარ, რომელიც ყველაფერს თვითონვე მოუვლის.

ნორა (შეძრწუნებული). მაინც?..

პელმერი. ყველაფერს-მეთქი.

ნორა (გრძნობას იოკებს). არასოდეს მაგის ნებას არ მოგცემ, გესმის?

პელმერი. კეთილი. მაშინ ერთმანეთს ამოვეუდგეთ მხარში... როგორც ცოლ-ქმარს შეშვენის და როგორც წესი და რიგია, ნორა. (ეფერება). ახლა ხომ კმაყოფილი ხარ? აბა, აბა! რა შიში ჩაგდგომია თვალებში? ეს ხომ მხოლოდ შენი წარმოსახვაა. ახლა კი ყველაფერს აჯობებდა, ტარანტელა დაგეკრა და ტამბურზე გევიარჩიშა. მე გავალ, ყველა კარს დაეხურავ, რომ ვერათერი გავიგონო. უბრაახუნე, რამდენიც გნებავს. (კარისკენ შეტრიალდება). ჰო მართლა, რანკი თუ მოვა, უთხარი, სადა ვარ. (თავს უქნევს, კაბინეტში შედის და კარს მიიხურავს).

ნორა (დაბნეული, შეშინებული, გახევებული ღვას და ჩურჩულებს). მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ასედაც იზამს. რა დააკავენბს?.. არა, არა, არასოდეს! არასდიდებით არ შეიძლება ამის დაშვება! ოღონდ ეს არა და სხვა ყველაფერი! სადღაც ხომ უნდა იყოს ხსნა!.. გამოსავალი!..

წინკარიდან ზარის ხმა ისმის.

ექიმი რანკი!.. სხვა ყველაფერი! სულ ერთია, სხვა ყველაფერი! (სახეზე ხელს გადაისვამს, თავს ძალას ატანს, მიდის და კარს აღებს).

ექიმი რანკი ქურქს იხდის და წინკარში ჰკიდებს. მომდევნო სცენის განმავლობაში თანდათანობით ბნელდება.

გამარჯობათ, ექიმო. ზარის ხმაზე გიცანით. მაგრამ ტორვალდთან ნუ შეხვალთ, მგონი, საქმე აქვს.

რანკი. თქვენ? (ოთახში შემოდის).

ნორა (კარს ხურავს). ო, ვითომ არ იცით, — თქვენთვის ყოველთვის მომეძებნება თავისუფალი დრო.

რანკი. გმადლობთ. სადამდისაც შეეძლებ, ვისარგებლებ ამ თქვენი დიდსულოვნებით.

ნორა. მაინც რას გულისხმობთ? სადამდისაც შეეძლებო?..

რანკი. დიახ. ხომ არ შეგეშინდათ?

ნორა. რაღაც ისე უცნაურად თქვით. ისეთი რა უნდა მოხდეს?

რანკი. ის, რასაც დიდი ხანია ველოდი. მაგრამ, მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ასე ჩქარა დაიწყებოდა.

ნორა (ხელს სტაცებს). მაინც რა გაიგეთ? მითხარით, ექიმო.

რანკი (ღუმელთან ჯდება). ცუდათაა საქმე. უკვე დაღმართზე ვეშვები. რას იზამ.

ნორა (შეებით ამოისუნთქებს). მაშ, თქვენს თავს გულისხმობთ?

რანკი. აბა, ვის? ჩემს თავს ხომ არ მოვატყუებ? ყველა ჩემს პაციენტზე უფრო უბედური ვარ, ფრუ პელმერ. ამას წინათ ჩემი შინაგანი მდგომარეობის გენერალური დათვალიერება მოვაწყე. ნამდვილი ბანკროტი ვარ. ერთი თვეც არ გაივლის რომ საფლავში დავიწყებ ლპობას.

ნორა. ფუჰ, რა სისაძაგლეს ამბობთ.

რანკი. თვითონ საქმეა საძაგლად. მაგრამ ყველაზე უარესი მინც ისაა, რომ მანამდე ჭერ კიდევ ბევრი რამ იქნება საძაგელიც, მახინჯიც და ამაზრზენიც. ახლა მხოლოდ ერთი გამოკვლევაღა დამრჩა ჩასატარებელი. ამასაც მოვრჩები და დაახლოებით მეცოდინება, როდის დაიწყება ხრწნა. ჰოდა, აი, რას გეტყვით: ჰელმერს, თავისი დახვეწილი ბუნებით, წარმოუდგენელ ზიზლსა ჰგვრის ყოველგვარი სიმახინჯე. ამიტომ ჩემს სასიკვდილო სარეცელთან არ მოვუშვებ...

ნორა. კი მაგრამ, ექიმო რანკ...

რანკი. არ მოვუშვებ-მეთქი. არავითარ შემთხვევაში. კარს ჩაუკეტავ... როგორც კი დავრწმუნდები, რომ საქმე შავადაა, ჩემს სავიზიტო ბარათს გამოგიგზავნით. ზედ შავი ჭვარი იქნება დახატული... მაშინ მიხვდებით, რომ სიბილწე ხრწნისა დაიწყოს.

ნორა. არა, დღეს ყოვლად აუტანელი ხართ. მე კი მინდოდა, რომ სწორედ დღეს ყოფილიყავით ყველაზე მხიარულ გუნებაზე.

რანკი. როცა სიკვდილი კარზე მიკაკუნებს?... მერედა, ვისი ცოდვები უნდა ვზღა?! სადაა სამართალი? ყველა ოჯახში, ასე თუ ისე, თავს იჩენს ეს უღმობელი ნაცელისგება.

ნორა (ყურებზე ხელებს იფარებს). სისულელეა! აბა, გაიცინეთ, გაიცინეთ-მეთქი!

რანკი. მართლაც, ღმერთმანი, სიცილის მეტი რა დამრჩენია? ჩემი საბრალო, სრულიად უდანაშაულო ზურგის ტვინი იძულებულია მამაჩემის დამთხვეული ცხოვრების საზღაური გადაიხადოს.

ნორა (მაგიდასთან, ხელმარცხნივ). ძალიან უყვარდა სატაცური და სტრასბურგული პაშტეტი?

რანკი. დიახ, თირკმელა სოკოც.

ნორა. აა, თირკმელა სოკოც? მგონი, ხამანწყაც, არა?

რანკი. რა თქმა უნდა, ხამანწყაზე ხომ გიყვებოდა.

ნორა. თუ არა ვცდები, პორტვეინსა და შამპანურზედაც. რა სამწუხაროა, რომ ეს ნუგბარი სასმელ-საქმელი ასე ცუდად მოქმედებს ხერხემალზე.

რანკი. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასე ცუდად მოქმედებს მის ხერხემალზე, ვისაც ერთხელაც არ უგემია მთელი ეს სიტკბოება.

ნორა. დიახ, ყველაზე სამწუხარო სწორედ ეს არის.

რანკი (მცდელი თვალით უყურებს). ჰმ!..

ნორა (ცოტა ხნის შემდეგ) რატომ გაილიმეთ?

რანკი. მე თუ თქვენ?

ნორა. არა, თქვენ გაიღიმეთ ექიმო.

რანკი (დგება) აა, თქვენ უფრო ცბიერი ყოფილხართ, ვიდრე მეგონეთ.

ნორა. არ ვიცი, რა შემართება დღეს; მინდა რაღაც ისეთი ჩავიღინო, რომ...

რანკი. გეტყობათ.

ნორა (ორივე ხელს მხრებზე აწყოფს). ჩემო ძვირფასო, ძვირფასო ექიმო რანკ, ნუ მიგვატოვებთ მე და ტორვალდს.

რანკი. ეე, ამ დანაკარგს ადვილად შეეგუებით. თვალი თვალს რომ დაშორდება...

ნორა (შეშინებული მისჩერებია). თქვენ გგონიათ?

რანკი. ახალ ნაცნობებს გაიჩინთ და...

ნორა. ვინ გაიჩინს ახალ ნაცნობებს?

რანკი. თქვენ და ჰელმერი, როცა მე აღარ ვიქნები. როგორც ჩანს, უკვე დაადექით ამ გზას. რაში დაგპირდათ წუხელის ეს ფრუ ლინე?

ნორა. აი, აი, საწყალ ქრისტიანაზე ხომ არ ექვიანობთ?

რანკი. დიახ. ის ჩემი შემცვლელი იქნება ამ სახლში. როცა მე აღარ ვიქნები, ეს ქალი ალბათ...

ნორა. სსუ! ცოტა ხმადაბლა. აქაა.

რანკი. დღესაც? აი, ხომ ხედავთ!

ნორა. მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ კაბის გადაკეთებაში დამეხმაროს. ღმერთო ჩემო, რა აუტანელი ხართ. (დივანზე ჯდება). აბა, გონებას მოუხმეთ. ექიმო რანკ, ხვალ ნახავთ, რა მომხიბლავად ვიციკვებ და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მხოლოდ თქვენთვის ვციკვავ. — თუმცა, რაღა თქმა უნდა, ტორვალდისთვისაც. (კოლოფიდან სხვადასხვა ნივთებს იღებს). აი, აქ დაჯექით, ექიმო რანკ. რაღაცას გიჩვენებთ.

რანკი (დგება). მაინც?

ნორა. აი, შეხედეთ!

რანკი. აბრეშუმის წინდები?

ნორა. დიახ, ხორცისფერი. ხომ მშვენიერია? თუმცა ახლა ბნელა, მაგრამ ხვალ... არა, არა, თქვენ მხოლოდ კოჭებამდე დაინახავთ. თუმცა შეიძლება უფრო ზემოთაც გიჩვენოთ.

რანკი. კმ!..

ნორა. რა კრიტიკულად მიყურებთ? თქვენ გგონიათ, რომ ახლა მათი ჩაცმის დრო არ არის?

რანკი. რაკილა ცოტად თუ ბევრად დასაბუთებული აზრი არ გამაჩნია, ამ საკითხზე მსჯელობისაგან თავს ვიკავებ.

ნორა (ერთხანს უყურებს). ფუჰ, არც კი გრცხვენიათ. (მსუბუქად გაჰკრავს წინას უკრის ბიბილოზე). აი, ამის ღირსი ხართ. (კოლოფში ალაგებს ნივთებს).

რანკი. კიდევ რა საუნჯე უნდა გეჩვენებინათ?

ნორა. არაფერსაც აღარ გიჩვენებთ. თქვენ აუტანელი ხართ. (ილიმება და ნივთებში იქექება).

რანკი (ხანმოკლე ღუმლის შემდეგ). აი, ასე შინაურულად რომ ვზივარ თქვენთან, არ მესმის... ვერ წარმომიდგენია, რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე, თქვენს სახლში რომ არ მიწევდეს ყოფნა.

ნორა (ილიმება). დიახ, მე მგონია, ჩვენს სახლში ცუდად როდი გარძნობთ თავს.

რანკი (ჩუმად, წინ იყურება). და იძულებული ვარ, მივატოვო ყოველივე ეს...

ნორა. სისულელეა! არ მიატოვებთ.

რანკი (უწინდებურად). წავიდე ისე, რომ მადლიერი ხსოვნის, თუნდაც წამიერი სინანულის კვალიც კი არ დავტოვო... არაფერი, გარდა ცარიელი ადგილისა, რომელიც შეიძლება დაიკავოს ნებისმიერმა ნაცნობმა.

ნორა. კი მაგრამ, მე რომ ახლა რაღაცა ვთხოვოთ? არა, არა...

რანკი. მაინც რა?

ნორა. თქვენი მეგობრობის დასტური...

რანკი. აბა!

ნორა. არა, მე მინდოდა მეთქვა, ფასდაუდებელი დახმარება-მეთქი.

რანკი. ნუთუ მართლა მომანიჭებთ ამნაირ ბედნიერებას?

ნორა. აჰ, თქვენ არ იცით, რაშია საქმე.

რანკი. მაშ, მითხარით.

ნორა. არა, არ შემიძლია, ექიმო. მეტისმეტად ბევრს მოვიტხოვო.
— ეს რჩევაცაა, დახმარებაც. სამსახურიც...

რანკი. რაც მეტი, მით უკეთესი. მაგრამ წარმოდგენაც არა მაქვს, რა უნდა იყოს. მითხარით, რაღას უყურებთ? ნუთუ ამდენად აღარ მენდობით?

ნორა. მაშ, ვის ვენდობი, თუ არა თქვენ? ვიცი, ვიცი თქვენა ხართ ჩემი უერთგულესი და უკეთესი მეგობარი. მიტომაც მინდა გითხრათ. მაშ, ასე, ექიმო. თქვენ უნდა დამეხმაროთ იმაში, რომ თავიდან ავიცილო რაღაცა. ხომ მოგეხსენებათ, რა გულმხურვალედ ვუყვარვარ ტორვალდს. ერთის წამითაც არ შეუყოყმანდებოდა, ისე გასწირავდა თავს ჩემი გულისთვის.

რანკი (მისკენ იხრება). თქვენ გგონიათ, მარტო ის, ნორა?..

ნორა (შეკრთება). მარტო ის?..

რანკი. დიახ, მარტო ის გასწირავდა თავს თქვენი გულისთვის?

ნორა (ნირჰეცლოლი) ესეც შენი...

რანკი. ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ შეიტყობდით ამას. მაგრამ ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა აღარ მომეცემა. დიახ, ნორა, ახლა თქვენ ყველაფერი იცით. ისიც იცით, რომ უმალ ჩემი ნდობა შეგიძლიათ, ვიდრე სხვისა, ვინც უნდა იყოს იგი.

ნორა (დგება; მშვიდად, აუღელვებლად). გამატარეთ.

რანკი (გზას უთმობს, თვითონ კი კვლავ თავის ადგილას ზის). ნორა...

ნორა (წინაქარში): ლამაზა მოიტა, ელენე. (ლუმელთან მიდის). აჰ, ძვირფასო ექიმო რანკ, ძალიან ცუდად მოიქეცით.

რანკი. ნუთუ მართლა ასე ცუდია, რომ ისევე გულწრფელად მიყვარხართ, როგორც...

ნორა. არა, ეგ არა... მაგრამ რა საჭირო იყო ამაზე ლაპარაკი?

რანკი. ესე იგი?.. იქნებ, იცოდით?

მოახლეს ლამაზა შემოაქვს, მაგიდაზე დგამს და გადის.

ნორა... ფრუ ჰელმერ... მე გეკითხებით, იქნებ რამე იცოდით-მეთქი?

ნორა. აჰ, აბა, რა ვიცი, ვიცოდი რამე თუ არ ვიცოდი? ვერაფერს გეტყვით... არა, მაინც რამ გათქმევენათ, ექიმო? ყველაფერი ისე კარგად იყო.

რანკი. ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ გეკუთვნით მთელი ჩემი არსებით, სულით და ხორციით. ჰოდა, მითხარით...

ნორა (მისჩერება). ამის შემდეგ?

რანკი. გევედრებით, მითხარით, ნურაფერს დამიმალავთ.

ნორა. არაფერსაც აღარ გეტყვით...

რანკი. არა, არა, ნუ დამსჯით ასე სასტიკად. ნება მიბოძეთ, თქვენი გულისთვის გავაკეთო ყველაფერი, რაც კი საერთოდ შეუძლია აღადმიანს.

ნორა. ახლა თქვენ ვერაფერს ველარ გააკეთებთ ჩემთვის, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არავითარი დანხარება არა მჭირდება. დამერწმუნეთ, ყოველივე ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიაა. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. (სარწვევლაში ქდება, მისჩერება და ილიმება). არა, თქვენც კარგი ვინმე ხართ! ნუთუ არა გრცხვენიათ ამ ლამპის შუქზე?

რანკი. არა, მართალი გითხრათ, არა მრცხვენია. მაგრამ ახლა, ალბათ; უნდა ავდგე და... სამუდამოდ წავიდე.

ნორა. არა, რატომ? თქვენ კვლავაც ივლით ჩვენთან. ხომ იცით, ტორვალდს უთქვენობა არ შეუძლია.

რანკი. თქვენ?

ნორა. მე კი ყოველთვის ისე მიხარია, როცა ჩვენთან მოდიხართ ხოლმე.

რანკი. აი, სწორედ ამან მაცოფუნა. თქვენ ნამდვილი გამოცანა ხართ ჩემთვის. რამდენჯერ მეგონა, რომ ჩემს გვერდით ყოფნა არანაკლებ გსიამოვნებდათ, ვიდრე ჰელმერის გვერდით.

ნორა. იცით, რა? ზოგიერთი ყველაზე მეტად გიყვარს, ზოგთან კი ყველაზე მეტად გსიამოვნებს ყოფნა.

რანკი. შეიძლება ასედაც იყოს.

ნორა. გათხოვებამდე, რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მამა მიყვარდა. მაგრამ საშინლად მომწონდა, როცა მოახლის ოთახში შევიპარებოდი ხოლმე. იქ არავინ ცდილობდა ჰკეუა ესწავლებინა ჩემთვის; იქ ყოველთვის ისეთი მხიარულება იყო.

რანკი. აჰა, აი, თურმე ვინ შემიცვლია თქვენთვის.

ნორა (წამოხტება და მასთან მიიარბენს). აჰ, ძვირფასო, საყვარელო ექიმო რანკ, მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი, მაგრამ ხომ გესმით, რომ ტორვალდსაც, ისევე, როგორც მამას...

მოახლეთ (წინაქარიდან შემოდის). ქალბატონო... (რაღაყას ჩერჩულებს და ბარათს გადასცემს).

ნორა (ერთს დახედავს ბარათს). ა! (ჩიბეში იღებს).

რანკი. რაიმე უსიამოვნო ამბავი ხომ არ არის?

ნორა. არა, არა... ეს... ეს... ახალი კაბა მომიტანეს...

რანკი. როგორ? მაშ, ეს რა არის?

ნორა. არა, ეგ არა. სხვა. მე შევეუკვეთე... მაგრამ ტორვალდმა არ უნდა გაიგოს.

რანკი. აჰა, აი, ესეც თქვენი დიდი საიდუმლო!

ნორა. დიახ... ტორვალდი თავის კაბინეტშია. შედით და ცოტა ხანს ნუ გამოუშვებთ, რა.

რანკი. დარდი ნუ გაქვთ. ვერსად წამივა. (კაბინეტში შედის).

ნორა (მოახლეს). მაშ, სამზარეულოში იცდის?

მოახლეთ. დიახ, უკანა კიბით ამოვიდა.

ნორა. კი მაგრამ, რატომ არ უთხარი, რომ სტუმრები მყავს?

მოახლეთ. თქმით კი ვუთხარი, მაგრამ...

ნორა. ასე რომ, წასვლას არ აპირებს?

მოახლეთ. არა, სანამ ქალბატონს არ მოველაპარაკები, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

ნორა. მაშინ აქ შემოიყვანე, ელენე, მხოლოდ ჩუმაღ. და არავისთან კრინტი არ დასძრა, იცოდე. ეს იქნება სიურპრიზი ჩემი ქმრისათვის.

მოახლე. დიახ, დიახ, მესმის... (გაღის).

ნორა. უბედურება ახლოვდება... მაინც ახლოვდება. არა, არა, არა! ეს არ მოხდება, შეუძლებელია! (მიდის და ურდულით კეტავს კაბინეტის კარს).

მოახლე კარს აღებს, კროგსტადს შემოუშვებს და კვლავ ხურავს კარს. კროგსტადს სამგზავრო ქურჩი და ჩექმები აცვია, თავზე ბეწვის ქული ახურავს.

ნორა (ეგვება). ჩუმაღ ილაპარაკეთ. ჩემი ქმარი სახლშია.

კროგსტადი. სადაც უნდა იყოს.

ნორა. რა საქმე გაქვთ ჩემთან?

კროგსტადი. რალაყა მინდა გავიგო.

ნორა. მაინც რა? ჩქარა!

კროგსტადი. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ სამსახურიდან დამითხოვეს.

ნორა. რა ექნა, ვერაფერს გავხდი, ბატონო კროგსტად. თავგამოდებით გიცავდით, მაგრამ არაფერმა არ გაკრა.

კროგსტადი. მაშ, თქვენი ქმარი ასე ნაკლებ გაფასებთ? იცის, რა უბედურებაც შემიძლია დაგატეხოთ თავზე და მაინც ბედავს?..

ნორა. რატომ გგონიათ, რომ იცის?

კროგსტადი. არა, კაცმა რომ თქვას, არც მეგონა. ჩვენს ძვირფას ტორვალდ ჰელმერს იმდენი სიმამაცე ვინ მისცა, რომ...

ნორა. ბატონო კროგსტად, მე მოვითხოვ პატივისცემას ჩემი ქმრის მიმართ.

კროგსტადი. მეც მხოლოდ პატივისცემით ვიხსენებ. მაგრამ რაკი ასე საიღუმლოდ ინახავთ ამ საქმეს, თავს ნებას ვაძლევ, ვიფიქრო, რომ დღეს გუშინდელზე უკეთ გესმით, რა ჩაიდინეთ.

ნორა. უფრო უკეთ, ვიდრე ოდესმე შეგეძლოთ აგეხსნათ ჩემთვის.

კროგსტადი. რა თქმა უნდა, ჩემისთანა უბადრუკ კანონმცოდნეს რისი ახსნა შეუძლია?..

ნორა. მაინც რა გნებავთ ჩემგან?

კროგსტადი. მოვედი, რათა დაგხედოთ; როგორა გაქვთ საქმე, ფრუ ჰელმერ. მთელი დღე თქვენზე ვფიქრობდი. უნდა მოგახსენოთ, რომ მევახშეს, თაღლითს, ერთის სიტყვით, იმნაირ კაცს, როგორიც მე ვარ, დიახ, თვით ჩემნაირ კაცსაც კი აქვს გული.

ნორა. მაშ, დამიმტკიცეთ. იფიქრეთ ჩემს პატარებზე.

კროგსტადი. თქვენ და თქვენმა ქმარმა კი იფიქრეთ ჩემებზე? თუმცა ახლა უკვე ყველაფერი სულ ერთია. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა თქვენთვის, რომ მეტისმეტად ახლოს ნუ მიიტანთ გულთან ამ საქმეს. ჭერჯერობით, სასამართლოში არ გიჩივლებთ.

ნორა. მართლა? ასეც ვიცოდი, დიახ, ვიცოდი!

კროგსტადი. ჭერ კიდევ შეიძლება ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდეს. რატომ ჩაერთო ხალხი? საქმე ჩვენ შორის დარჩება.

ნორა. ჩემმა ქმარმა არასოდეს არ უნდა გაიგოს ეს ამბავი.

კროგსტადი. კი მაგრამ, როგორ მოახერხებთ ამას? იქნებ, შეგიძლიათ მთლიანად დაფაროთ ვალი?

ნორა. არა, ასე ერთბაშად არ შემიძლია.

კროგსტადი. ან რაღაც სხვა კომბინაცია გაქვთ ჩაფიქრებული, — ამ დღეებში ფულის შოვნას ხომ არ აპირებთ?

ნორა. არ არსებობს არავითარი კომბინაცია, მე რომ გამომადგეს.

კროგსტადი. თუმცა, მართალი გითხრათ, მაინც ვერაფერს გიშველიდათ. ახლა ნაღდადაც რომ ჩამითვალთ ნებისმიერი თანხა, სულ ერთია, თქვენს ხელწერილს ვერ ეღირსებით.

ნორა. მაშ, ამიხსენით, რას უპირებთ?

კროგსტადი. დავიტოვებ... მე მექნება. ვერაფერს გაიგებს რამეს. ამიტომ თუ ახლა სასოწარკვეთილების შედეგად, ცოტა არ იყოს, წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმას აპირებთ...

ნორა. დიახ.

კროგსტადი. ვთქვათ, ქმარ-შვილის მიტოვებას...

ნორა. დიახ, დიახ!

კროგსტადი. ან რაღაც უფრო უარესს...

ნორა. საიდან გაიგეთ?

კროგსტადი. ჩემი რჩევა იქნება, ნუ იზამთ ამას.

ნორა. ვინ მოგახსენათ, რომ ამას ვაპირებ?

კროგსტადი. უმეტესობა სწორედ ამას აპირებს, — თავდაპირველად. თავის დროზე მეც ასე მქონდა განზრახული, მაგრამ გამბედაობა არ მეყო.

ნორა (ყრულ). არც მე მყოფნის.

კროგსტადი (შეებით ამოისუნთქავს). ასეა, არა? მაშ, არც თქვენ გყოფნით?

ნორა. არა, არ მყოფნის.

კროგსტადი. კაი გვარიანი სისულელე კი იქნებოდა. საკმარისია პირველი აყალ-მაყალი ჩაცხრეს... ჯიბეში თქვენი ქმრისათვის გასაგზავნი წერილი მიღევს.

ნორა. და შიგ ყველაფერი წერია?

კროგსტადი. ძალზე დელიკატურად. რამდენადაც შესაძლებელია.

ნორა (სწრაფად). არამც და არამც ჩემს ქმარს არ უნდა ჩაუვარდეს ხელში. ახლავე დახიეთ. ქვას გავხეთქავ და გამოსავალს ვიპოვი, ფულს დაგიბრუნებთ.

კროგსტადი. მომიტევეთ, ქალბატონო, მე მგონია, წელან გითხარით რომ...

ნორა. ო, მარტო ვალს როდი ვგულისხმობ. მითხარით, რამდენი უნდა მოსთხოვოთ ჩემს ქმარს და მე თვითონ გიშოვით ამ ფულს.

კროგსტადი. ერთ გროშსაც არ ავიღებ თქვენი ქმრისაგან.

ნორა. მაშ, რას მოითხოვთ?

კროგსტადი. ახლავე მოგახსენებთ. მე მინდა კვლავ ფეხზე დავდგე, წელში გავიმართო, ქალბატონო, და თქვენი ქმარი უნდა დამეხმაროს, გესმით? წლინახევრის მანძილზე არავითარ უპატიოსნო საქმეში არ გავერეულვარ, მთელი ამ ხნის განმავლობაში წლებზე ფეხს ვიდგამდი, მაგრამ კმაყოფილი ვიყავ იმითაც, რომ შემეძლო ჩემივე შრომით დავმდგარიყავი ფეხზე, — ნელ-ნელა, თანდათანობით. ახლა კი სამსახურიდან დამითხოვეს და მე არ დავკერდები მარტოოდენ იმას, რომ სამოწყალოდ მიმიღონ უკანვე. ხომ გითხარით, მინდა წელში გავიმართო-მეთქი; მინდა არა მარტო აღმადგინონ, არამედ დამაწინაურონ კიდევ. თქვენს ქმარს მოუწევს, საგანგებო თანამდებობა დააწესოს ჩემთვის...

ნორა. არასოდეს ამას არ დათანხმდება.

კროგსტადი. დათანხმდება. კარგად ვიცნობ. ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავს. ხოლო რაკილა გვერდით მოვუჯდები, თვითონვე ნახავთ: დიდი-დიდი ერთ წელიწადში დირექტორის მარჯვენა ხელი გავხდები. ტორვალდ ჰელმერი კი არა, ნილს კროგსტადი იქნება ბანკის კეშმარტი მმართველი.

ნორა. ვერ ეღირსებით!

კროგსტადი. იქნებ, თქვენ...

ნორა. ახლა კი მეყოფა გამბედაობა.

კროგსტადი. ერთბაშად არ შემაშინოთ. თქვენისთანა ნაზი და განებივრებული ქალბატონი...

ნორა. ენახოთ! ენახოთ!

კროგსტადი. ყინულკრილში ხომ არ აპირებთ ჩახტომას? შავ, ყინულოვან სიღრმეში? გაზაფხულზე კი დინება ამოატევი-ეებს საშინლად დამახინჯებულსა და დასახინჯებულ გვაშს, ბლუჯა-ბლუჯა რომ სცივია თმები...

ნორა. ვერ დამაშინებთ.

კროგსტადი. ვერც თქვენ შემაშინებთ. ასე არ იქცევინ, ფრუ ჰელმერ. ან კი რა საჭიროა? ხელწერილი ხომ მე მრჩება?

ნორა. მას შემდეგაც, როცა მე უკვე?..

კროგსტადი. არ დაგაიწყდეთ, რომ თქვენი ხსოვნაც ჩემს ხელთაა.

ნორა გაოგნებული და გახევებული მისჩერებია.

მე უკვე გაგაფრთხილეთ. ასე რომ, ნურავითარ სისულელეს ნუ ჩაიდნთ. როცა ჰელმერი ჩემს წერილს მიიღებს, მის პასუხს დაველოდები. გახსოვდეთ, თქვენმა ქმარმა მაიძულა, კვლავ დავდგომოდი ამ გზას. ამას არასოდეს არ ვაპატიებ. კარგად ბრძანდებოდეთ, ფრუ ჰელმერ. (წინაარსი გადის).

ნორა (თვითონაც იმავე კართან მიდის, გამოალებს და აყურადებს). მიდის. წერილიც თან მიაქვს. ო, არა, არა, ეს ხომ შეუძლებელი იყო! შეუძლებელი! (სულ უფრო და უფრო ფართოდ აღებს კარს). ამას რას ვხედავ? კარს უკან დგას. ძირს ჩასვლას არ აპირებს. რაღაცას ფიქრობს? ნუთუ...

ისმის, როგორ ვარდება წერილი საფოსტო ყუთში, შემდეგ კი კიბეზე ჩამავალი კროგსტადის ნაბიჯის ხმა, რომელიც თანდათანობით სუსტდება და, ბოლოს, სულაც წყდება. ნორა მოგუდული ყვირლით შემოვარდება ოთახში და დივანის წინ, მაგიდასთან ჩერდება. ხანმოკლე პაუზა.

წერილი!.. ყუთში! (ხელახლა ფეხაყრფით მიდის წინაართან). დიახ, უკვე ყუთში აგდია... ტორვალდ. ტორვალდ... ახლა კი დავიღუპეთ!

ფრუ ლინე (მარცხენა ოთახიდან გამოდის, ხელში კაბა უჭირავს). მეტი ნამდვილად აღარ შემიძლია. ხომ არ გაიზომავ?

ნორა (ჩუმად, ჩახლჩილი ხმით). აქ მოდი, ქრისტინა.

ფრუ ლინე (კაბას დივანზე მოაგდება). რა მოგივიდა? ადამიანის ფერი აღარ გადევს სახეზე.

ნორა. აქ მოდი-მეთქი. ხედავ წერილს? აი, იქ! კუქრუტანიდან შეიხედე საფოსტო ყუთში.

ფრუ ლინე. ჰო, ვხედავ, მერე?..

ნორა. კროგსტადის წერილია...

ფრუ ლინე. ნორა... მაშ, შენ კროგსტადისგან ისესხე ფული?

ნორა. დიახ. და ახლა ტორვალდი ყველაფერს გაიგებს.

ფრუ ლინე. დამიჯერე, ნორა, ასე აჭობებს ორივესათვის.

ნორა. ეჰ, შენ ყველაფერი არ იცი... სხვის მაგივრად მოვაწერე ხელი...

ფრუ ლინე. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო...

ნორა. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ, ქრისტინა: მოწმე იყავი.

ფრუ ლინე. რა მოწმე? რისი?

ნორა. გული რომ წამივიდეს... ბევრი კი აღარ მიკლია...

ფრუ ლინე. ნორა!

ნორა. ან რაღაც ისეთი დამემართოს, რომ საერთოდ გამოვითიშო...

ფრუ ლინე. შენს კეკუაზე ხარ, ნორა?

ნორა. და თუ ვინმემ აიღო და თვითონ დაიბრალო ჩემი დანაშაული, — ხომ გესმის?..

ფრუ ლინე. კი მაგრამ, ეგ რამ გაფიქრებინა?..

ნორა. შენ, როგორც მოწმე, იტყვი, რომ ეს ტყუილია, ქრისტინა. ჭერ კიდეც არ მეთქმის გიყი. სრულ კეკუაზე ვარ. ჰოდა, აი, რას გეტყვი: არავის არაფერი სცოდნია. ყველაფერი მე ჩავიდინე. კარგად დაიხსომე, — ყველაფერი!

ფრუ ლინე. დიახ, დიახ. მაგრამ მომკალი და არ მესმის...

ნორა. რა უნდა გესმოდეს? ახლა მზადდება სასწაული.

ფრუ ლინე. სასწაული?

ნორა. დიახ, სასწაული. მაგრამ ვაი ამ სასწაულს, ქრისტინა. ღმერთმა ყველას აშოროს!

ფრუ ლინე. ახლაც წავალ და კროგსტადს მოველაპარაკებ.

ნორა. არ გინდა, შეურაცხყოფას მოგაყენებს.

ფრუ ლინე. იყო დრო, როცა ჩემი გულისთვის არაფრის წინაშე არ დაიხვედა უკან.

ნორა. ვინ, კროგსტადი?

ფრუ ლინე. დიახ... სად ცხოვრობს?

ნორა. აბა, რა ვიცი?.. (ჩიბიდან ბარათს იღებს). აი, მისი ბარათი. მაგრამ წერილი, წერილი!..

ჰელმერი (კაბინეტიდან; კარზე აკაკუნებს). ნორა!

ნორა (შეშინებული წამოიკივლებს). ა! რა მოხდა? რა გინდა?

ჰელმერი. ნუ გეშინია, არ გამოვალთ. თუმცა რას გამოვალთ, კარი ჩაგიკეტია. კაბას იზომავ თუ რა?

ნორა. დიახ, ვიზომავ. აი, ნახავ, რა ლამაზი ვიქნები, ტორვალდ.

ფრუ ლინე (მისამართს კითხულობს ბარათზე). აქვე, მოსახვევში ცხოვრობს თურმე.

ნორა. ჰოო? მაგრამ არაფერიც არ გამოვა. დავიღუპეთ. წერილი ხომ ყუთში აგდია.

ფრუ ლინე. გასაღები ჰელმერს აქვს?

ნორა. ყოველთვის.

ფრუ ლინე. ვეცდები, კროგსტადმა გაუხსნელად მოითხოვოს უკან თავისი წერილი... რაიმე საბაბი გამოჩხრიკოს...

ნორა. ტორვალდი ხომ ყოველდღე, სწორედ ამ დროს...

ფრუ ლინე. როგორმე შეაჩერე. ყუთთან ნუ მიუშვებ. მალე დავბრუნდები. (სწრაფად გადის წინკარში).

ნორა (კაბინეტის კართან მიდის, ალებს და შიგ იხედება). ტორვალდ!

ჰელმერი (მეორე ოთახიდან). ბოლოს და ბოლოს, გამოუშვებენ თუ არა კაცს საკუთარ სახლში? წავიდეთ, ვნახოთ, რანკ. (კარშივე). ეს რა ამბავია?

ნორა. მაინც რა, ჩემო ძვირფასო?

ჰელმერი. რა ვიცი, რანკს თუ დაუეჭვებ, აქ სულ სხვა სურათს ველოდი...

რანკი (კარშივე). მე ასე გავიგე, მაგრამ, როგორც ჩანს, შევედი...

ნორა. ხვალ საღამომდე ვერაფერს მიხილავს მთელი ჩემი ბრწყინვალეობით.

ჰელმერი. ჩემო ძვირფასო, ისეთი გაწამებული სახე გაქვს. რეპეტიციამ ხომ არ დაგლალა?

ნორა. ჯერ არც დამიწყია.

ჰელმერი. მაგრამ ეს აუცილებელია.

ნორა. რა თქმა უნდა, ტორვალდ. უშენოდ ვერაფერს თავს ვერ ვაბამ. ყველაფერი დამავიწყდა.

ჰელმერი. ნუ გეშინია, ახლავე ყველაფერს გავიხსენებთ.

ნორა. დიახ, აუცილებლად უნდა მამეცადინო, ტორვალდ. პირობას მაძლევ? ისე მეშინია! ხუმრობა საქმე ხომ არაა? ამდენი ხალხი... მთელი ეს საღამო ჩემთან იყავი. ყოველგვარი საქმე გადასდე. — კალამიც კი არ დაგინახო ხელში. ა? ხომ მპირდები, ჩემო ძვირფასო?

ჰელმერი. როგორც მიბრძანებ. მთელი საღამო შენი მონა-მორჩილი ვიქნები, ჩემო საბრალო, ჩემო უმწუო... ჰმ! დიახ... მაგრამ ჯერ... (წინკარისაკენ გადის).

ნორა. რა გინდა?

ჰელმერი. ვნახავ. წერილი ხომ არ არის?

ნორა. არა, არ გინდა, ჩემო ძვირფასო.

ჰელმერი. რაო?

ნორა. გეხვეწები! იქ არაფერი არ არის, ტორვალდ.

ჰელმერი. ვნახავ, რა მოხდა? (გასვლას აპირებს).

ნორა პიანინოს მივარდება და ტარანტელას დაკვრას იწყებს.

(ჩერდება). აჰა!

ნორა. ღმერთმანი, ხვალ ვერ ვიცეკვებ. თუკი არ მამეცადინებ.

ჰელმერი. ნუთუ მართლა ასე გეშინია, ჩემო ძვირფასო?

ნორა. გეშინია. მოდი, ახლავე დავიწყოთ. ვახშობბამდე საკმაო დრო გვაქვს. დაჭეკი და დაუკარი, ჩემო ძვირფასო. ძველებურად მიჩვენე და შემასწავლე ყველაფერი, რაც შემეშლება.

ჰელმერი. სიამოვნებით, სიამოვნებით, თუკი ასე ძალიან გინდა. (პიანინოს უჯდება).

ნორა (კოლოფიდან ტამბურისა და გრძელ, ქრელ შარტს იღებს, სწრაფად შემოიხვევს, შემდეგ ერთი ნახტომით შუა ოთახში დგება და ყვირის). დაუკარი! უნდა ვიცეკვო!

ჰელმერი უკრავს, ნორა კი ცეკვავს, ეჭიმი რანკი ჰელმერის უკან დგას და უუარებს.

ჰელმერი (უკრავს). ცოტა ნელა, ნელა...

ნორა. რა ექნა, არ შემიძლია.

ჰელმერი. ეგრე სწრაფად არ შეიძლება, ჩემო ძვირფასო!

ნორა. შეიძლება! სწორედ ასეა საჭირო!

ჰელმერი (დაკვრას წყვეტს). არა, არა, არაფრად არ ვარგა.

ნორა (იციინის და ხელში ტამბურის ათამაშებს). ხომ გეუბნებოდნი?

რანკი. მოდით, მე დავუკრავ.

ჰელმერი (დგება). კეთილი, უფრო ადვილად შევეუსწორებ შეცდომებს.

რანკი პიანინოს უჯდება და უკრავს, ნორა სულ უფრო სწრაფად და გაშმაგებით ცეკვავს. ჰელმერი ღუმელთან დგას, გამუდმებით შენიშვნებს აძლევს და რალაცას უსწორებს ნორას, მაგრამ მას თითქოს არ ესმის; გაშლილი თმები მხრებამდე ჩამოშლია, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს ამას და ცეკვას განაგრძობს. შემოდის ფრუ ლინე.

ფრუ ლინე (გაოგნებული შედგება კართან). ა!

ნორა (ცეკვას განაგრძობს). ხედავ, რა მხიარულად ვატარებთ დროს, ქრისტინა?

ჰელმერი. კი მაგრამ, შენ ისე ცეკვავ, ჩემო ძვირფასო, თითქოს ეს იყოს უკანასკნელი ცეკვა შენს სიცოცხლეში!

ნორა. ასეცაა!

ჰელმერი. გეყოფა. რანკ! წმინდა წყლის სიგიჟეა. გეყოფა-მეთქი! რანკი დაკვრას წყვეტს და ნორაც ერთბაშად ჩერდება.

(ნორას). ჩემი თვალით რომ არ მენახა, ნამდვილად ვერ დავეჩერებდი, — ყველაფერი დაგვიწყნია, რაც მე გასწავლე.

ნორა (ტამბურის დააგდებს). ხომ ხედავ?

პელმერი. მეტი რა გზაა, თავიდან უნდა დავიწყოთ.

ნორა. ხედავ, რამდენი თავსამტკრევი გაგიჩინე? უკანასკნელ წუთამდე უნდა მასწავლო. პირობას მაძლევ, ტორვალდ?

პელმერი. დარდი ნუ გაქვს.

ნორა. არც ღლეს და არც ხვალ სხვა აზრმა არ უნდა გაიკაჟანოს შენს თავში; მხოლოდ ჩემზე უნდა იფიქრო. არც საფოსტო ყუთს გახსნი ღლეს... არც წერილს წაიკითხავ.

პელმერი. აჰა!.. მაშ, კვლავ იმ კაცის გემინია?

ნორა. დიახ, დიახ, არც უმაგისობაა.

პელმერი. სახეზე გატყობ. რომ მისი წერილი უკვე ყუთშია, ნორა!

ნორა. არ ვიცი. შეიძლება. მაგრამ ახლა ხელი არ ახლო, გესმის? შორს ჩვენგან ყოველგვარი უსიამოვნება, სანამ ყველაფერი არ დამთავრდება.

რანკი (ჩემად — ჰელმერს). დაუჭერე.

პელმერი. კარგი, კარგი. ბავშვმა თავისი გაიტანა. მაგრამ ხვალ სალამოს, შენი ცეკვის შემდეგ...

ნორა. მაშინ, კი ბატონო, ნება შენია.

მოახლე (მარჯნიდან შემოდის). სუფრა გაშლილია, ქალბატონო.

ნორა. შამპანური მოიტა, ელენე.

მოახლე. კეთილი. (გაღის).

პელმერი. ეჰე-ჰე, მაშ, ვქეიფობთ?

ნორა. გათენებამდის! (მოახლეს გასძახის). და ცოტა ნუშის ნამცხვარიც, ელენე!.. არა, ბევრი! რა იქნება, ერთხელ...

პელმერი (ხელს ჩაკიდებს). აბა, აბა, ჯანდაბას ეს უაზრო შიში. მოდი, ისევ ჩემი საყვარელი ტოროლა იყავი.

ნორა. კარგი, ვიქნები, ვიქნები. მაგრამ ახლა გადი. თქვენც, ექიმო. ქრისტიანა, მოდი, თმის გასწორებაში დამეხმარე.

რანკი (ჰელმერთან ერთად მიდის ხელმარჯნივ და თან ეუბნება). არა, ნამდვილად რალაცაშია საქმე... ფეხშიმედ ხომ არ არის?

პელმერი. არა, არა, ჩემო ძვირფასო. ყველაფერი იმ ბავშვური შიშის ბრალია, მე რომ გეუბნებოდი.

ხელმარჯნივ გადიან.

ნორა (ფრუ ლინეს). აბა, რას მეტყვი?

ფრუ ლინე. ქალაქიდან გასულა!

ნორა. მიუხედი. სახეზე შეგატყვე.

ფრუ ლინე. ხვალ სალამოს დაბრუნდებო. წერილი დავუტოვე.

ნორა. რა საკირო იყო? მაინც ვერაფერს უშველი. კაცმა რომ თქვას. ამნაირი ალტყინებაც — წუთი-წუთზე სასწაულის მოლოდინია.

ფრუ ლინე. მაინც რა სასწაულს მოელი?

ნორა. აჰ, შენ ვერ გაიგებ. იმათთან გადი. მეც ახლავე მოვალ.

ფრუ ლინე ხელმარჯვნივ გადის. ნორა ერთხანს უძრავად დგას, თითქოს გონს მოგებას ცდილობსო, მერე კი საათს დახედავს.

ბუთი ყოფილა. შუალამემდე შვიდი საათი დარჩა. მეორე შუალამემდეც — ოცდაოთხი საათი. ოცდაოთხი და შვიდი — ოცდათერთმეტი. ოცდათერთმეტი საათის სიცოცხლე.

ჰელმერი (მარჯვენა კარში). სად დაიკარგა ჩემი ტოროლა?

ნორა (ხელებგაშლილი მივიარდება და ჩაეხვევა). აქაა. აქ, შენი ტოროლა!..

მესამე მოქმედება

იგივე ოთახი. დივანის წინ მდგარი მაგიდა შუა ოთახში გადაუადგილებიათ სკამებთან ერთად. მაგიდაზე ლამაა ანთია. წინკარი ღიაა. ზედა სართულიდან სამეჯლისო მუსიკა ისმის. ფრუ ლინე მაგიდასთან ზის და ანგარიშმიუცემლად ფურცლავს წიგნს; თითქოს კითხვას ცდილობს, მაგრამ ეტყობა გულს ვერ უღებს. დროდადრო რაღაცას აყურადებს; როგორც ჩანს, ვიღაცას მოელის.

ფრუ ლინე (საათს დახედავს). არა და არ ჩანს. დრო კი მიჰქრის. ნეტავი... (ველავ აყურადებს). ა! მგონი, მოდის! (წინკარი გადის და ფრთხილად ალებს გარეთა კარს; კიბეზე ნაბიჯების ხმა ისმის; ჩურჩულით). შემოდით. არაეინაა.

კროგსტადი (კარშივე). სახლში თქვენი წერილი დამხვდა. რას ნიშნავს ეს?

ფრუ ლინე. გადაუღებელი საქმე მაქვს თქვენთან.

კროგსტადი. აა! და მაინცდამაინც აქ, ამ სახლში?

ფრუ ლინე. სხვა გზა არ მქონდა. ჩემს ოთახს ცალკე შემოსასვლელი არა აქვს. შემოდით. მარტონი ვართ. მოახლეს სძინავს, ჰელმერები კი ზემოთ არიან, წვეულებაზე.

კროგსტადი (ოთახში შემოდის). ერთი ეს მითხარით, ჰელმერები მართლა ცეკვავენ დღეს?

ფრუ ლინე. ვითომ რატომ არ უნდა იცეკვონ?

კროგსტადი. ა-ა, მართლაც.

ფრუ ლინე. მაშ, ასე, მოდით, მოვილაპარაკოთ, კროგსტად.

კროგსტადი. სალაპარაკო რა დაგერჩენია?

ფრუ ლინე. ოო, ბევრი რამ.

კროგსტადი. არ მეგონა.

ფრუ ლინე. იმიტომ, რომ არასოდეს არ გესმოდათ ჩემი, როგორც საკიროა.

კროგსტადი. რა არ მესმოდა? ის, რომ ორჯერ ორი ოთხია? უგულო ქალი უყოყმანოდ ზურგს აქცევს კაცს, როგორც კი უფრო ხელსაყრელ წინადადებას შესთავაზებენ.

ფრუ ლინე. თქვენ გგონიათ, მართლა ასე უგულო ვარ? თქვენ გგონიათ, ასე ადვილად გადავწყვიტე უარი მეთქვა თქვენთვის?

კროგსტადი. არა თუ?

ფრუ ლინე. ნუთუ მართლა ასე გეგონათ, კროგსტად?

კროგსტადი. აბა, ის თქვენი მაშინდელი წერილი რაღა იყო?

ფრუ ლინე. სხვა გზა არ მქონდა! რაკილა იძულებული ვიყავი უარი მეთქვა თქვენთვის, ჩემს უშუალო მოვალეობად მივიჩნიე, ჩემდამი ყოველგვარი გრძნობა ძირფესვიანად ამომეძირკვა თქვენს გულში.

კროგსტადი (მუშტებს მოკუშავს). აი, თურმე რა ყოფილა. მაშ, ყოველივე ეს — ფულის გულისთვის?..

ფრუ ლინე. ნუ დაივიწყებთ, რომ მოხუცი დედა და ორი მკირეწლოვანი ძმა მყავდა სარჩენი. ჩვენ ვერ დაგელოდებოდით, კროგსტად. თქვენი მომავალი ჯერ კიდევ ბურუსით იყო მოცული.

კროგსტადი. მერე რა? მაინც არ გქონდათ იმის უფლება, რომ უარი გეთქვათ ჩემთვის.

ფრუ ლინე. არ ვიცი, ღმერთმანი, არაფერი არ ვიცი. რამდენჯერ მიმიცია ჩემი თავისთვის იგივე კითხვა, — მქონდა თუ არა უფლება-მეთქი?

კროგსტადი (ხმადაბლა). თქვენ რომ დაგკარგეთ, თითქოს ნიადაგი გამომეცალა ფეხქვეშ. აბა, შემომხედეთ: დალუპული ხომალდის მგზავრს ვგავარ, რის ვაივაგლახით რომ გამოაღწია ნაპირზე.

ფრუ ლინე. კი მაგრამ, საშველის საძებნად რა შორს წასვლა იყო საკირო?

კროგსტადი. დიახ, ის უკვე ახლოს იყო, მაგრამ მოხვედით თქვენ და გზა გადამიღობეთ.

ფრუ ლინე. ისე, რომ თვითონაც არ ვიცი, კროგსტად. მხოლოდ ამ დილით გავიგე, რომ თურმე თქვენს ადგილზე მიპირებენ მიღებას.

კროგსტადი. გენდობით, რახან ასე გულწრფელად ამბობთ. მაგრამ ახლა მაინც არ დამითმობთ?

ფრუ ლინე. არა. სულ ერთია, მაინც ვერაფერს გიშველით.

კროგსტადი. ეე, მიშველის თუ არ მიშველის, თქვენს ადგილას მაინც ასე მოვიქცეოდი.

ფრუ ლინე. მე მივეჩვიე მხოლოდ გონების ხმას ვუგლო ყური. მძიმე ცხოვრებამ და სასტიკმა გაპირებამ მასწავლა.

კროგსტადი. მე კი ცხოვრებამ მასწავლა, არ ვენდო სიტყვებს.

ფრუ ლინე. ძალზე ჭკვიანური რამ უსწავლებია. კი მაგრამ, არც საქმეს ენდობით?

კროგსტადი. ესე იგი?..

ფრუ ლინე. თქვენ მითხარით, დალუპული ხომალდის მგზავრს ვგაუარ, რის ვაივაგლახით რომ გამოაღწია ნაპირზეო.

კროგსტადი. დიახ, გითხარით და მე მგონია, არცთუ უსაფუძვლოდ.

ფრუ ლინე. პოდა, მეც დალუპული ხომალდის მგზავრი ვარ, რის ვაივაგლახით რომ გამოაღწია ნაპირზე. აღარც დასანანი დამრჩენია, აღარც საზრუნავი.

კროგსტადი. თქვენ თვითონ აირჩიეთ ამნაირი ხვედრი.

ფრუ ლინე. მაშინ სხვა არჩევანი არა მქონდა.

კროგსტადი. მერე?..

ფრუ ლინე. კი მაგრამ რა იქნება, რომ, ჩვენ, დალუპული ხომალდის მგზავრებმა, ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, კროგსტად?

კროგსტადი. რას ამბობთ?

ფრუ ლინე. ორი ერთად უფრო მაგრად ჩავებლუქებით ხომალდის ნამსხვრევებს, ვიდრე ცალ-ცალკე.

კროგსტადი. ქრისტინა!

ფრუ ლინე. როგორ გგონიათ, რისთვის ჩამოვედი აქ?

კროგსტადი. დავიჭერო, მე გაგახსენდით?

ფრუ ლინე. უსაქმოდ და უმუშევრად მე ვერ გავძლებ. რაც თავი მახსოვს, სულ ვმუშაობდი და შრომა იყო ჩემი ერთადერთი ნუგეშიც და სიხარულიც. მაგრამ ახლა მარტო დავრჩი... საშინელებაა სიმარტოვე, სიცარიელე... მხოლოდ საკუთარი თავისთვის შრომა დიდი ვერაფერი სიხარულია. მომეცით მიზანი, კროგსტად, — ვისთვის ან რისთვის ვიშრომო.

კროგსტადი. ერთბაშად არ დავიჭეროთ. ყოველივე ეს მხოლოდ ქალური ეგზალტაციაა, დიდსულოვანი მოთხოვნილება იმისა, რომ თავისი თავი უმსხვერპლოს სხვებს.

ფრუ ლინე. ოდესმე მაინც თუ შევინიშნავთ ჩემში ეგზალტაცი-ისადმი მიდრეკილება?

კროგსტადი. მაშ, თქვენ მართლაც?.. მითხარით... ყველაფერი იცით თუ არა ჩემს წარსულზე?

ფრუ ლინე. დიახ.

კროგსტადი. ისიც იცით, რას ამბობენ ჩემზე?

ფრუ ლინე. თქვენი სიტყვებიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ჩემს გვერდით შეგეძლოთ სულ სხვა კაცად ქვეუღიყავით.

კროგსტადი. რა თქმა უნდა.

ფრუ ლინე. მერედა, თქვენ გგონიათ, დრო აღარ დაგვრჩა?

კროგსტადი. ქრისტიანა... თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ? დიახ, დიახ, სახეზე გეტყობათ... ნუთუ მართლა გეყოფათ გამბედაობა, რომ?..

ფრუ ლინე. მე ვილაც უნდა მიყვარდეს, ვილაცაზე უნდა ვზრუნავდე, ვილაცას დედის მაგივრობას უნდა ვუწევდე. თქვენს ბავშვებს კი დედა სჭირდებათ. ჩვენ ერთმანეთი გვეკირდება, კროგსტად. ვიცი, რომ გული კეთილი გაქვთ და თქვენთან ერთად ყველაფერს გაუძლებ, ყველაფერს ავიტან.

კროგსტადი (ხელს ჩაავლებს). გმადლობთ, გმადლობთ, ქრისტიანა! ახლა კი მე თვითონვე დავდგები ფეხზე... ჰო, მართლა, სულ დამაფიწყდა...

ფრუ ლინე (რალაცას აუურადებს). სსუ! ტარანტელა! ახლა კი წადით!

კროგსტადი. რატომ?

ფრუ ლინე. არ გესმით? ზევით ტარანტელას ცეკვავენ. ცეკვაც მორჩება, და ისინი ქვემოთ ჩამოვლენ.

კროგსტადი. დიახ, დიახ, თუ ასეა, მაშინ მე წავალ. თანაც უკვე ყველაფერი ამაოა. ალბათ, არ იცით, რა ნაბიჯი გადავდგი ჰელმერის წინააღმდეგ.

ფრუ ლინე. ვიცი, კროგსტად.

კროგსტადი. და, მიუხედავად ამისა, მაინც...

ფრუ ლინე. მე ისიც ვიცი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს სასოწარკვეთამ ისეთი კაცი, როგორც თქვენა ხართ.

კროგსტადი. აჰ, ნეტა შემეძლოს, უკან დავიბრუნო...

ფრუ ლინე. შეგიძლიათ. თქვენი წერილი ჯერ კიდევ საფოსტო ყუთში დევს.

კროგსტადი. დარწმუნებული ხართ?

ფრუ ლინე. სავსებით, მაგრამ...

კროგსტადი (მცდელი თვალით უყურებს). მაშ, ასეა საქმე? თქვენ გინდათ ნებისმიერი მსხვერპლის ფასად გადაარჩინოთ მეგობარი. პირდაპირ მითხარით. ასეა, არა?

ფრუ ლინე. კროგსტად! ვინც სხვების გულისთვის ერთხელ უკვე გაპყიდა თავისი თავი, მეორედ აღარ ჩაიდენს ამას.

კროგსტადი. ჩემს წერილს უკანვე მოვიტხოვე.

ფრუ ლინე. არა, არა.

კროგსტადი. კეთილი. მაშინ ჰელმერს დაველოდები და ვეტყვი, რომ ჩემი წერილი დამიბრუნოს; რომ ის მხოლოდ მე მეხება, ჩემს გადადგომას და სულაც არ არის საჭირო მისი წაკითხვა.

ფრუ ლინე. არა, კროგსტად, ნუ მოითხოვთ უკან თქვენს წერილს.

კროგსტადი. კი მაგრამ, განა სწორედ ამიტომ არ დამიბარეთ აქ?

ფრუ ლინე. დიახ, თავდაპირველად, შიშის გავლენით. მაგრამ მას შემდეგ მთელი დღე-ღამე გავიდა და ახლა აღარც კი მჭერა, იმდენი რამის მოწმე გავხდი ამ სახლში. დაე, ჰელმერმა ყველაფერი გაიგოს; დაე, ეს წყეული საიდუმლო აშკარა გახდეს; დაე, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი აუხსნან და ანგარიში ჩააბარონ ერთიმეორეს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

კროგსტადი. კეთილი. რახან ამდენი გამბედაობა გყოფნით... მაგრამ ერთი რამ მაინც შემიძლია გავაკეთო და, თანაც, რაც შეიძლება სწრაფად, დაუყოვნებლივ...

ფრუ ლინე (აყურადებს). ჩქარა! წადით! ცეკვა დამთავრდა. შეიძლება ყოველ წამს მოგვისწრონ.

კროგსტადი. ქვემოთ დაგელოდებით.

ფრუ ლინე. კეთილი. მერე სახლამდე მიმაცილებთ.

კროგსტადი. ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ ასე ბედნიერი. (გაღის).

წინკარი კვლავ ღია რჩება.

ფრუ ლინე (მაგიდას ალაგებს და ჩასაცმელად იზადებს მანტოს). როგორ შეიცვალა ყველაფერი! როგორ შეიცვალა! ახლა კი ვიცი, ვისთვის ვიმუშაო... ვისთვის ვიცოცხლო... სად შევიტანო სიტბო და სინათლე! დიახ, დიახ, თავს არ დავზოგავ... ნეტა, მალე მაინც მოვიდნენ... (აყურადებს). აჰა, აი, ისინიც. სასწრაფოდ უნდა ჩავიკვა. (მანტოს იცვამს და ქუდს იხურავს).

სენის სიღრმიდან ჰელმერის და ნორას ხმა ისმის; გასაღები გაიხზაკუნებს და ჰელმერს თითქმის ძალით შემოჰყავს ნორა, რომელსაც ნეაპოლური კაბა აცვია და შავი შალი აქვს წამოსხმული. ჰელმერი ფრაკშია გამოწყობილი, რომელზედაც შავი ღომინო ჩამოუცვამს.

ნორა (კარმევი; უძლიანდება). არა, არა! აქ არა! ისევ ზევით მინდა! რა გვეჩქარება?..

ჰელმერი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო...

ნორა. გეხვეწები, რა იქნება, ტორვალდ!.. თუ შეიძლება... სულ ერთი საათით!

ჰელმერი. არც ერთი წუთით. ჩვენი პირობა ხომ არ დაგავიწყდა? შემოდი, თორემ გაცივდები. (ცოლის წინააღმდეგობის მიუხედავად, ფრთხილად შემოჰყავს იგი ოთახში).

ფრუ ლინე. სალამო მშვიდობისა!

ნორა. ქრისტინა!

ჰელმერი. როგორ? თქვენ აქა ხართ, ფრუ ლინე? ასე გვიან?

ფრუ ლინე. დიახ, მომიტევეთ, მაგრამ მინდოდა ერთხელ მაინც შემეველო თვალი ნორას ჩაცმულობისთვის.

ნორა. მაშ, მთელი სალამო აქ იყავი და მელოდი?

ფრუ ლინე. დიახ, სამწუხაროდ, დავიგვიანე, შენ უკვე ზევით იყავი; მე კი არ მინდოდა ისე წავსულიყავი, რომ არ მენახე.

ჰელმერი (შალსა ხსნის ნორას). აი, შეხედეთ! ღმერთმანი, ღირს. ხომ ლამაზია, ფრუ ლინე?

ფრუ ლინე. რაც მართალია, მართალია...

ჰელმერი. მართლა ლამაზია, არა? ზემოთ ყველამ ერთხმად აღიარა. მაგრამ ნამეტანი თავნება კია ეს ჩვენი ციყუენია. რას იზამ?.. აბა, ესაა საქმე? ძლივს მოვაცულებინე ფეხი იქიდან.

ნორა. აჰ, იცოდე, სანანებლად დაგრჩება, ტორვალდ, რომ ნება არ მომეცი, ნახევარ საათს კიდევ მემხიარულა.

ჰელმერი. გესმით, ფრუ ლინე? ტარანტელა იცეკვა... ნამდვილი ფურორი მოახდინა... სავსებით დამსახურებული ფურორი. თუმცა შესრულება, ცოტა არ იყოს, სცოდავდა იმ მხრივ, რომ ზედმეტად ნატურალური იყო, ვიდრე ეს, მკაცრად რომ ვთქვათ, სასურველია ხელოვნების თვალსაზრისით. მაგრამ ეგ არაფერი! მთავარია, რომ ფურორი მოახდინა, არნახული ფურორი. და ამის შემდეგ კვლავ დამეტოვებინა იქ? თანდა-თანობით გამენელებინა შთაბეჭდილება? არა, გმადლობთ. ხელი დავტაცე ჩემს მომხიბლავ კაპრელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, — კაპრიზიან კაპრელს, სწრაფად გამოვატარე მთელი დარბაზი, თავი დავეუკარით ყველას და როგორც რომანებშია ნათქვამი, — მშვენიერი ჩვენებაც გაქრა, გაუჩინარდა. ბოლო ყოველთვის ეფექტური უნდა იყოს, ფრუ ლინე! მაგრამ როგორ შევავანებინოთ ეს ნორას?.. უჰ, როგორ ცხელა აქ! (დომინოს მოძრობს და კაბინეტის კარს აღებს). ეე! აქ კი ბნელა. რა თქმა უნდა. მომიტევეთ. (კაბინეტში შედის და სანთლებს ანთებს).

ნორა (ჩუმად, სხაპასხუპით; სუნთქვა ეკვრის). აბა, რას მეტყვი?

ფრუ ლინე (ხმადაბლა). ველაპარაკე.

ნორა. მერე?

ფრუ ლინე. ნორა... მე გირჩევ, ყველაფერი უთხრა შენს ქმარს.

ნორა (ყრულ). ასეც ვიცოდი.

ფრუ ლინე. კროგსტადის მხრივ ნურაფრისა გეშინია. მაგრამ ქმარს
კი ყველაფერი უნდა უთხრა.

ნორა. ვერა, ვერ ვეტყვი.

ფრუ ლინე. მაშინ წერილი ეტყვის.

ნორა. გმადლობ, ქრისტინა, ახლა კი ვიცი, რა უნდა ვქნა, სუუ!

ჰელმერი (შეშობილ). აბა, რას იტყვით, ფრუ ლინე, დატკბით?

ფრუ ლინე. დიახ, დიახ. ახლა კი დავემშვიდობები.

ჰელმერი. უკვე? ეს საქსოვი თქვენია?

ფრუ ლინე (ხელსაქმეს იღებს). დიახ, გმადლობთ. კინალამ დამავიწყდა.

ჰელმერი. მაშ, თქვენ ქსოვთ კიდევ?

ფრუ ლინე. ხანდახან.

ჰელმერი. არ გერჩიათ, ქარგვა გეცადათ?

ფრუ ლინე. რატომ?

ჰელმერი. იმიტომ, რომ ქარგვა გაცილებით უფრო ლამაზია. აბა,
უყურეთ: მარცხენა ხელში ქარგა უჭირავთ, მარჯვენით კი
ავგირისტებენ... აი, ასე... ხელის მსუბუქი, თავისუფალი
მოძრაობით. ხომ ლამაზია?

ფრუ ლინე. დიახ...

ჰელმერი. ქსოვა კი, პირიქით, ულაზათოა, რაღაცნაირად უგერ-
გილო და მოუხეშავი. მართლაცდა, დაუკვირდით: ეს დაკრუნ-
ჩხული თითები... ეს ჩხირები... ხან ზემოთ, ხან ქვემოთ... ცოტა
არ იყოს, ბატიფეხურივით გამოდის... უჰ, რა საუცხოო
შამპანური იყო!

ფრუ ლინე. მაშ, კარგად იყავი, ნორა, და, თუ ღმერთი გწამს,
ნულარ ჭიუტობ.

ჰელმერი. აი, ეგ კი კარგად ბრძანეთ, ფრუ ლინე.

ფრუ ლინე. ღამე მშვიდობისა, ბატონო დირექტორო.

ჰელმერი (კარამფე აცილებს). ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა.
იმედია, მშვიდობით მიხვალთ სახლში... მე სიამოვნებით...
მაგრამ ხომ აქვე ცხოვრობთ. ღამე მშვიდობისა.

ფრუ ლინე მიღის; ჰელმერი კარს ხურავს და უკან ბრუნდება.

ძლივს არ გავისტუმრეთ? რა აბეზარი არსებაა.

ნორა. ძალიან დაიღალე, ტორვალდ?

ჰელმერი. ვინ მოგახსენა?

ნორა. არც გეძინება?

პელმერი. არა, პირიქით, შესანიშნავ გუნებაზე ვარ. შენ? თუმცა, გეტყობა კაი გვარიანად დაიღალე.

ნორა. ჰო, ძალიან დავიღალე. ძლივს ვახელ თვალებს.

პელმერი. აი, ხომ ხედავ? მაშასადამე, კარგი ექენი, რომ აღარ დაერჩით.

ნორა. შენ ყველაფერს კარგად აკეთებ.

პელმერი (შუბლზე ჯიკონის). როგორც იქნა, ტოროლა ადამიანივით ალაპარაკდა. თუ შენიშნე, რა კარგ გუნებაზე იყო ღღეს რანკი?

ნორა. მართლა? ერთხელაც ვერ დაველაპარაკე.

პელმერი. ვერც მე. მაგრამ ასეთი მხიარული დიდი ხანია აღარ მინახავს. (ერთხანს ჩუმად უცქერის, შემდეგ უახლოვდება). ჰმ!.. არა, საკუთარ სახლში ყოფნა მაინც ყველაფერს მირჩევნია. აჰ, ჩემო საყვარელო, ჩემო ლამაზო!

ნორა. ასე ნუ მიყურებ, ტორვალდ!

პელმერი. რაო? არ შეიძლება ვუყურო ჩემს ყველაზე ძვირფას საუნჯეს? მთელს ამ მშვენიერებას, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნის, მე, მთლიანად!

ნორა (მეორე მხრიდან მოუვლის მაგიდას). ღღეს მაინც ნუ მელაპარაკები ასე.

პელმერი (ფეხდაფეხ მისდევს). გიყურებ და სისხლში ჭერ კიდევ ტარანტელა გიდუნს. ამიტომაცა ხარ ასე მომზიბლავი... გესმის? სტუმრები უკვე იშლებიან. (ხმადაბლა). ნორა... მალე მთელ სახლში ყველაფერი მიწყნარდება.

ნორა. იმედია.

პელმერი. მაშ, იმედია, ჩემო საყვარელო? როცა ხალხში შენთან ერთად ვარ, იცი, რატომ გელაპარაკები ასე იშვიათად, რატომ გერიდები და მხოლოდ შეფარვით თუ შემოგხედავ ხანდახან?... იცი, რატომ? იმიტომ, რომ ასე მგონია, თითქოს არავინ იცის ჩვენი სიყვარულის ამბავი, თითქოს ფარულად დაწინდულები ვართ და კაციშვილს წარმოდგენაც არა აქვს, რომ ჩვენს შორის რაღაცა არის.

ნორა. დიახ, დიახ, მე ხომ ვიცი, რომ სულ მუდამ ჩემზე ფიქრობ.

პელმერი. ხოლო როდესაც წამოსვლას ვაპირებთ და შალს მოგასხამ ხოლმე მაგ ნორჩსა და ქათქათა მხრებზე... ხელით ვებები შენს უნაზეს ყელს... ასე მგონია, თითქოს ჩემი საცოლე ხარ... თითქოს ეს-ესაა დავიწერეთ ჭვარი და ახლა პირველად შემყავხარ ჩემს სახლში... პირველად ვრჩები შენთან სულ

მარტო... ჩემო გულისწამლებო, ვნებით მთრთოლავო მშვე-
ნებავ! მთელი ეს საღამო მხოლოდ შენზე ვფიქრობდი.
მხოლოდ შენ გნატრობდი, შენ მსურდი! თავბრუდამხვევად
რომ დაჰქროდი წრეში და მონუსხულივით გიმზერდა
ყველა... სისხლი ამიდულდა ძარღვებში... მეტის მოთმენა
აღარ შემეძლო... მიტომაც გამოგიტაცე ასე ნაადრევად.

ნორა. არა, ტორვალდ... თავი დამანებე, არ მინდა...

ჰელმერი. რაო? შენ მე მალიზიანებ, ჩემო ლამაზო! არ მინდაო?..
ვინა ვარ მე, შენი ქმარი თუ?..

შემოსასვლელ კარზე აკაკუნებენ.

ნორა (შეკრთება). გესმის?

ჰელმერი (კარისკენ შეტრიალდება). ვინ არის?

რანკი (კარს უკან). მე ვარ. შეიძლება, ერთი წუთით?

ჰელმერი (ჩუმად, ამრეხით). ამ შუალამისას რა უნდა? (ხმაძალა).
ახლავე. (მიღის და კარს აღებს). კაი კაცი ხარ, რომ შემოგვიარე.

რანკი. შენი ხმა მომესმა და ვიფიქრე, ცოტა ხანს შეველ-მეთქი.
(სწრაფად მოაუღებს თვალს ოთახს). ოჰ, როგორ მიყვარს თქვენი
სახლი... რა სითბოა აქ, სიმყუდროვე...

ჰელმერი. თუ არა ვცდები, დღეს ზემოთაც კარგად იყავი.

რანკი. შესანიშნავად. რატომაც არა? ვითომ რატომ არ უნდა
მიიღო ყველაფერი, რასაც ცხოვრება გაძლევს? ყოველ
შემთხვევაში, რამდენიც შეიძლება და რამდენ ხანსაც შეიძ-
ლება. მშვენიერი ღვინო იყო...

ჰელმერი. განსაკუთრებით, შამპანური!..

რანკი. შენც შენიშნე? არც კი მჯერა, იმდენი ჩავისხი...

ნორა. ტორვალდმაც ბლომად დალია.

რანკი. მართლა?

ნორა. დიახ. ამის შემდეგ ყოველთვის კარგ გუნებაზუა.

რანკი. ძალიანაც კარგი! რატომ არ უნდა წაიქეიფო საღამო ხანს,
მას შემდეგ, რაც ასე ნაყოფიერად იმუშავე დღისით?

ჰელმერი. ნაყოფიერად? სამწუხაროდ, ამას ვერ დავიკვებხი.

რანკი (მხარზე დაჰკრავს ხელს). მე კი დავიკვებხი!

ნორა. მთელი დღე, ალბათ, სამეცნიერო კვლევა-ძიებაში წაგივი-
დათ, ექიმო რანკ.

რანკი. კეშმარიტად.

ჰელმერი. ჰე-ჰე-ჰე! ციყვნია სამეცნიერო კვლევა-ძიებაზე მსჯელობს?

ნორა. დიახ, და შეგიძლიათ მომილოცოთ, — წარმატებითაც!

რანკი. ა-ა, შეგიძლიათ.

ნორა. როგორც ჩანს, კარგი შედეგი მიიღეთ.

რანკი. ყველაზე უკეთესი შედეგი ექიმისთვისაც და პაციენტისთვისაც ეს გახლავთ სიცხადე.

ნორა. სიცხადე?

რანკი. სრული სიცხადე. მოდი და ამის შემდეგ ნუ იქეიფებ.

ნორა. სწორია, ექიმო რანკ.

პელმერი. მეც გეთანხმები. მაგრამ ვაითუ ხვალ ძვირად დაგიჯდეს დღევანდელი დროსტარება.

რანკი. რას იზამ, ეს ცხოვრება არაფერს იმეტებს მუქთად.

ნორა. თქვენ, ალბათ, მასკარადების ტრფიალი ხართ, ექიმო.

რანკი. დიახ, თუ ბევრი სასაცილო ნიღაბია...

ნორა. კი მაგრამ, რა ნიღბები ავირჩიოთ მე და თქვენ მომავალი მასკარადისტების?

პელმერი. აჰ, შე ცერცეტა! უკვე მომავალ მასკარადზე ფიქრობ?

რანკი. მე და თქვენ? ახლავე გეტყვი. თქვენ, ჩემო ხორცშესხმულო ბედნიერებაე...

პელმერი. შენც ადექი და მოიგონე რამე ისეთი, ნათლად რომ გამოხატავდეს ამ აზრს.

რანკი. დაე, შენი ცოლი იმ სახით გამოცხადდეს მომავალ მასკარადზე, როგორცაა, საერთოდ. ცხოვრებაში...

პელმერი. აი, ეს კი ზუსტადაა ნათქვამი. კი მაგრამ. შენთვის თუ მოიფიქრე რამე?.. შენ რითილა გამოცხადდები?

რანკი. დიახ, ეგ უკვე მოფიქრებული მაქვს, ჩემო ძვირფასო.

პელმერი. მაინც?

რანკი. მომავალ მასკარადზე უჩინმაჩინის ქუდით გამოვცხადდები.

პელმერი. აი, ნიღაბიც ამასა ჰქვია!

რანკი. რა, უჩინმაჩინის ქუდი არ გაგიგონია? არსებობს ამისთანა დიდი, შავი ქუდი. საკმარისია კაცმა დაიხუროს, რომ თვალის დახამხამებაში უჩინარი ხდება, გინდ ყოფილა და გინდ არა.

პელმერი (ღიმილს იკაეებს). დიახ, დიახ.

რანკი. მაგრამ კინალამ დამევიწყდა. რისთვის შემოვედი. ერთი კარგი ჰავანური სიგარა მომეცი, პელმერ, ყველაზე უფრო მაგარი.

პელმერი. დიდი სიამოვნებით. (პორტსიგარს სთავაზობს).

რანკი (ერთ ცალს იღებს და ბლოს აკრის). გმადლობ.

ნორა (ასანთს გაქრავს). მე კი, ნება მიბოძეთ, მოგიკიდოთ.

რანკი. დიდი მადლობა.

ნორას ანთებული ასანთი უქირავს, რანკი კი უკიდებს.

აბა, მშვიდობით!

პელმერი. ნახვამდის, ნახვამდის, ჩემო ძვირფასო!

ნორა. ძილი ნებისა, ექიმო რანკ.

რანკი. გმადლობთ კეთილი სურვილისათვის.

ნორა. მეც იგივე მისურვებ.

რანკი. თქვენც?.. თუ ასეა, — ძილი ნებისა და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ მოკიდებისთვის. (თავს უკრავს ცოლ-ქმარს და გაღის).

ჰელმერი (ხმადაბლა). მაგარი ნასვამია.

ნორა (დაბნულად). დიახ.

ჰელმერი ჭიბიდან გასაღებს ამოიღებს და წინკარისკენ მიემართება.

სად მიხვალ, ტორვალდ?..

ჰელმერი. ყუთს დაველი; ისეა გაჭეჭგილი, რომ ხვალ გაზეთებს ველარ ჩააგდებენ...

ნორა. ამალამ მუშაობას აპირებ?

ჰელმერი. ხომ იცი, რომ არა... რა არის ეს? ვილაცას საკეტი უწვალებია.

ნორა. საკეტი?

ჰელმერი. დიახ, ეს რაღაა განხერილი?.. დავიჭერო, ჩვენი მოახლე?.. აა, სარკი ყოფილა! ნორა, შენი სარკი!

ნორა (სწრაფად). აჰ, ალბათ ბავშვებმა...

ჰელმერი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვაშლევინოთ. ჰმ!.. ჰმ!.. ძლივს არ გავადე? (ყუთიდან წერილებს იღებს და სამზარეულოში გასძახის). ელენე! ელენე! ლამპა ჩააქრე წინკარში! (ოთახში შემოდის, წინკარს ხურავს და წერილების გროვას უჩვენებს ნორას). ხედავ, რამდენი დაგროვილა? (წერილებს არჩევს). რა არის ეს?

ნორა (ფანჯარასთან). წერილი! არ გინდა, არ გინდა, ტორვალდ!

ჰელმერი. რანკის ორი სავიზიტო ბარათი.

ნორა. რანკის?

ჰელმერი (ბარათებს დასჩერებია). „მედიცინის დოქტორი რანკი.“ ზემოდან ეწყო: როგორც ჩანს, წასვლისას ჩაყარა.

ნორა. ზედ არაფერი აწერია?

ჰელმერი. მისი სახელის ზემოთ შავი ჭვარია დასმული. აი, დახედე. რა საზარელი ფანტაზიაა. თითქოს საკუთარ სიკვდილს გვაუწყებსო.

ნორა. ასეცაა.

ჰელმერი. რაო? რა იცი? გითხრა რამე?

ნორა. დიახ. რახან ეს ბარათები მივიღეთ, მაშასადამე, დაგვემშვიდობა. ახლა ჩაიკეტება და მოკვდება.

ჰელმერი. ჩემი საბრალო მეგობარი!... გული მიგრძნობდა, რომ

დიდხანს აღარ შემრჩებოდა. მაგრამ ასე მალე?.. მაშ, დაქრილი ნადირივით დაემალება ყველას?..

ნორა. რაც მოსახდენია, — სიტყვები რაღას უშველის? ასე არაა, ტორვალდ?

ჰელმერი (ბოლთას სცემს). ისე შევეჩვიეთ... ვერ წარმომიდგენია, რომ აღარ იქნება. ის, მისი ტანჯვა, მისი სიმარტოვე თითქოს ერთგვარ ნისლოვან ფონს უქმნიდა ჩვენს უღრუბლო, მზესავით ნათელ ბედნიერებას... თუმცა, ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდეს... ყოველ შემთხვევაში, მისთვის. (ჩერდება). და, ალბათ, ჩემთვისაც, ნორა. ამიერიდან სულ მარტონი ვიქნებით, — მხოლოდ ერთმანეთით და ერთმანეთისთვის ვიარსებებთ. (გზვევა). ჩემო სანატრელო... სულ ასე მგონია, რომ უფრო მაგრად უნდა მექირო. იცი, რა, ნორა?.. რამდენჯერ მინატრია, გარდუვალი საფრთხე გემუქრებოდეს, რათა შემეძლოს სასწორზე დავლო მთელი ჩემი სიცოცხლე, ჩემი სისხლი და ხორცი, — ყველაფერი, ყველაფერი შენი გულისთვის.

ნორა (თავს ითავისუფლებს; მტკიცედ, გადაქრით). წაიკითხე შენი წერილები, ტორვალდ.

ჰელმერი. არა, არა, დღეს არა. მე მინდა შენთან ვიყო, ჩემო თვალისჩინო, შენთან, შენთან.

ნორა. როცა იცი, რომ შენი მეგობარი კვდება?

ჰელმერი. მართალი ხარ. ამ ამბავმა სულის სიღრმემდე შეგვძრა ორივე. ჩვენს ურთიერთობაში შემოიჭრა რაღაც უსახური — ფიქრი კედომაზე, ლპობაზე, ხრწნაზე. თავდაპირველად ამისგან უნდა გაეთავისუფლდეთ. მაშ, ასე. ჭერჭერობით, ჩემო ძვირფასო.

ნორა (ყელზე შემოესკვნება). ღამე მშვიდობისა! ღამე მშვიდობისა, ტორვალდ!

ჰელმერი (მუბღზე კეოსნის). ღამე მშვიდობისა, ჩემო მგალობელო ჩიტო! ძილი ნებისა! ახლა კი წერილებს წაეიკითხავ. (წერილებს მოხეცავს, კაბინეტში გადის და კარს მიხურავს).

ნორა (შეშლილი მზერით; ძლივს დაბარბაყებს ოთახში, ხელს დასტაყებს კელმერის დომინოს, ჩამოიცვამს და სწრაფად, ჩახლეჩილი ხმით ჩურჩულებს). ველარასოდეს ველარ ვნახავ, ველარასოდეს, ველარასოდეს!.. ველარც ჩემს პატარებს! ველარასოდეს!.. ოო! პირდაპირ ყინულივით ცივ წყალში... უფსკრულის პირქვეშ სიღრმეში... ოო! მალე მაინც დამთავრდებოდეს ყველაფერი... წერილი ხელთა აქვს... უკვე კითხულობს... არა, არა, ჭერ არა... მშვიდობით, ტორვალდ! ჩემო პატარებო, მშვიდობით!.. (წინ-კარში გავარდნას აპირებს).

ამ დროს კაბინეტის კარი იღება და ზღურბლზე გამოჩნდება კელმერი; ხელში გახსნილი ბარათი უჭირავს.

ჰელმერი. ნორა!

ნორა (ხმაბალა შეჰკივლებს). ა!

ჰელმერი. რა არის ეს? იცი, რა წერია ამ წერილში?

ნორა. ვიცი. გამიშვი! გამიშვი!

ჰელმერი (აკაეებს). სად მიდიხარ?

ნორა (ცდილობს ხელიდან დაუსხლტეს). ჩემს გადარჩენაზე არ იფიქრო, ტორვალდ!

ჰელმერი (წაბარბაცდება). მაშ, მართალია? მართალი?.. რასაც ის წერს? ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას! არა, არა, შეუძლებელია მართალი იყო!

ნორა. მართალია... მთელს ქვეყანაზე შენ მიყვარდი ყველაზე მეტად.

ჰელმერი. აჰ, თუ ღმერთი გწამს, მორჩი ამ თვალთმაქცობას!

ნორა (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). ტორვალდ!

ჰელმერი. ეს რა ჩაიღინე შე უბედურო!

ნორა. გამიშვი! ჩემი დანაშაული რა შენი გადასახალია? შენ რათ უნდა აგო პასუხი?

ჰელმერი. რას მიედ-მოედები? (გასალებით კეტავს წინკარს). ფეხს ვერ მოიცივლი, სანამ პასუხს არ გამცემ. გესმის კია, რა ჩაიღინე? მიპასუხე! გესმის!

ნორა (თვალს არ აშორებს; გახვევებული სახით). დიახ, ახლა უკვე ყველაფერი მესმის!

ჰელმერი (ოთახში დაბიჯებს). ო, რა საზარელია ეს გამოფხიზლება! მთელი რვა წელიწადი... ეს ჩემი სიამაყე, ჩემი სიხარული... თურმე პირფერი, თვალთმაქცი, მატყუარა... მეტიც... დამნაშავე, დიახ, დამნაშავე იყო! ოო, სიმახინჯის, სიბინძურის, სიბილწის რა უსასრულო უფსკრული გადაიშალა ჩემს თვალწინ! ფუჰ! ფუჰ!

ნორა ღუმს და კვლავ თვალმოუშორებლივ მისჩერებია.

(მის წინ ჩერდება). ისე კი, რალაც ამგვარი წინასწარვე უნდა მეგრძნო. უნდა გამეთვალისწინებინა. მამაშენის გულაფშუტა პრინციპები... ჩუმაღ! სწორედ მისგან გადმოგეცა მთელი ეს ფუქსავეატობა და ქარაფშუტობა. არც რელიგია, არც მორალი, არც მოვალეობის გრძნობა... ო, როგორ დავისაჯე იმის გამო, რომ მამაშენის საქმეზე თვალი დავხუჭე. შენი გულისთვის. და, აი, რითი გადამიხალდე სამაგიერო.

ნორა. დიახ, დიახ.

ჰელმერი. ახლა შენ დაანგრე მთელი ჩემი ბედნიერება. ხაზი გადაუსვი მთელ ჩემს მომავალს. რომ დაეფიქრდები, ტანში მაზრიალებს! სინდისგარეცხილი კაცის ხელთა ვარ! რასაც უნდა, იმას მომთხოვს, რასაც უნდა, იმას მიბრძანებს,

თავის ნებაზე მათამაშებს და, თუ მოინდომა, ფეხქვეშ
გამთელავს. ხმის ამოღებასაც ვერ გავებდავ. რა დავაშავე? ეს
რა დღეში ჩავევარდი ჩემი თავქარიანი ცოლის გამო?

ნორა. მე რომ აღარ ვიქნები, ვინ რას მოგკითხავს?

ჰელმერი. აჰ, თუ შეიძლება, ამ ოინებს თავი ანებე! მამაშენსაც
ყოველთვის მზად ჰქონდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები. კი
მაგრამ, მე რა, თუკი, როგორც შენ ბრძანებ, ამქვეყნად აღარ
იქნები? ვითომ რა, ეს მიშველის თუ? კროგსტადმა შეიძლება
მაინც აღძრას საქმე, ხოლო თუ ესეც იკადრა, მაშინ ჩემზეც
მოიტანენ ექვს, იტყვიან რომ ყველაფერი ვიცოდი... რომ შენს
ზურგს უკან მე ვიდექი. მე გასწავლე და მევე წაგაქეზე! მე
კი თავს გველებოდი, ცივ ნიავს არ გაკარებდი! ახლა მაინც
თუ გესმის, რა დღეში ჩამაგდე?

ნორა (ცოვად). დიახ.

ჰელმერი. ეს იმდენად დაუჭერებელია, რომ გონს ვერ მოვსულვარ.
მაგრამ მეტი გზა არ არის, რაღაცა უნდა ვილონო. ახლავე
მოიძრე შალი! მოიძრე მეთქი! როგორმე თავი უნდა მოვუ-
ქონოთ; რაღაც უნდა დაგვიჭდეს, აუცილებლად ჩაფთვარცხოთ
საქმე. რაც შეეხება თვითონ ჩვენს ურთიერთობას, თავი ისე
უნდა გვეჭიროს, ვითომ არაფერიც არ მომხდარა, ვითომ
ყველაფერი ძველებურადაა ჩვენს შორის. მაგრამ ეს რა თქმა
უნდა მხოლოდ მოსაჩვენებლად, ისე, სხვების დასანახავად.
შენ, რასაკვირველია, სახლში დარჩები. მაგრამ ბავშვების
აღზრდას კი ვეღარ განდობ... ოო! ვის ვეუბნები ამას? ვინც
ყველაზე მეტად მიყვარდა და ვისაც ჯერ კიდევ... მაგრამ
მორჩა! ბედნიერებას ვინლა დაეძებს, ამის შემდეგ მხოლოდ
იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ როგორმე მისი უბადრუკი ნაშთი
მაინც გადავარჩინოთ.

წინკარიდან ზარის ხმა ისმის.

(შეძრწუნებული). ეს ვინლა? ამ შუალამისას? ნუთუ ესეც არ
გვაკმარა ღმერთმა?... ნუთუ ისაა?... ჩქარა, დაიმაღლე, ნორა!
ვითომ ავადა ხარ!

ნორა ადგილიდან არ იძვრის. ჰელმერ მიდის და წინკარს აღებს.

მოახლე (ნახევრად ჩაცმული, წინკარიდან). წერილია, ქალბატონს
გადაეცითო.

ჰელმერი. მოიტა! (წერილს გამოჰკლუქს და კარს მოიხურავს). დიახ, მისი
წერილია. შენ არ მოგცემ. მე წავიკითხავ.

ნორა. წაიკითხე.

ჰელმერი (ლაშასთან). არ შემიძლია. იქნებ უკვე დავილუპეთ, მეც
და შენც... მაგრამ ხომ უნდა გავიგო... (ხელების ცახცახით ხსნის

კონკერტს, სწრაფად გადააელებს თვალს რამდენიმე სტრიქონს, მერე კონკერტში ჩაღებულ ქალალს დახედავს და გახარებული წამოიძახებს).
ნორა!

ნორა კითხვის გამოშხატველი მზერით მისჩერებია.

ნორა... არა, მოიცა, ერთხელაც გადავიკითხო... დიახ, დიახ, ასეა. გადავრჩი! ნორა, გადავრჩი!

ნორა. კი მაგრამ, მე?

პელმერი. რა თქმა უნდა, შენც. ორივენი გადავრჩით, მეც და შენც!.. უუუურე! შენს ხელწერილს გიბრუნებს. იწერება, ძალიან ეწუხვარო... ბედმა წყალობის თვალით გადმომხედა, და ახლა გთხოვთ მომიტევეთო... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას? მთავარია, რომ გადავრჩით, ნორა! აწი კი ველარაფერს დაგაკლებს! აჰ, ნორა, ნორა!.. არა, ჭერ უნდა მივსპო ეს სისაძაგლე. აბა, ერთი ვნახოთ... (ხელწერილს თვალს გადააელებს). არა, წაკითხვაც არ მინდა. ვითომ ცუდი სიზმარი ვნახე. (წერილსაც და ხელწერილსაც ნაეწუხვად აქევეს, ლუმელში შეაგდებს და უუურებს, როგორ იწვის). აი, ასე. კვალიც აღარსად დარჩა... იწერებოდა, რომ შენ შობის წინა დღიდან მოყოლებული... აჰ, რა საშინელი საძი დღე გავიტარებია, ჩემო საბრალო!

ნორა. მე თავგანწირვით ვიბრძოდი ამ სამი დღის განმავლობაში.

პელმერი. ო, არა მარტო იბრძოდი, არამედ კიდევ იტანჯებოდი და სხვა გამოსავალს ვერ ხედავდი, გარდა იმისა, რომ... არა, არა, ნუ გავიხსენებთ ამ საშინელებას. ახლა მხოლოდ უნდა ვხარობდეთ და განუწყვეტლივ ვიმეორებდეთ: ყველაფერი კეთილად დამთავრდა, კეთილად დამთავრდა! მომხედე, ნორა, შენ თითქოს ჭერაც არ გესმის, რომ ყველაფერი დამთავრდა. რა მოგივიდა?... ხომ არ გაქვეავდი? აჰ, ჩემო საბრალო, მესმის, მესმის! ალბათ, არ გჯერა, რომ ყველაფერი გაპატიე! დიახ, დიახ, გეფიცები, გაპატიე, ნორა! მე ხომ ვიცი: ყველაფერი, რაც ჩაიღინე, ჩემი გულისთვის ჩაიღინე.

ნორა. მართალია.

პელმერი. შენ გიყვარდი, როგორც ცოლს უნდა უყვარდეს ქმარი. მხოლოდ ეგაა, ყველაფერში კარგად ვერ გაერკვიე. მაგრამ ნუთუ გგონია, უფრო ნაკლებად მეყვარები იმის გამო, რომ დამოუკიდებლად მოქმედება არ შეგიძლია? არა, არა, მოდი, მომენდე, და მე ვიქნები შენი წინამძღოლი, შენი იჩრეველი. ნულარა ფიქრობ იმ მკვახე სიტყვებზე, რომლებიც უნებურად აღმომხდა შეშინებულს, მეგონა, რომ ქერი თავზე შემხობოდა. მე გაპატიე, გეფიცები; ყველაფერი გაპატიე, ნორა!

ნორა. მაღლობელი ვარ პატიებისთვის. (ხელმარჯვნივ, მეორე ოთახში გადის).

- ჰელმერი.** არა მოიცა... (შიგ იხედება). სთქვი, რას აპირებ?
- ნორა** (მეორე ოთახიდან). სამასკარადო მორთულობა მინდა გავიძრო!
- ჰელმერი** (კართან). დიახ, დიახ, კეთილი. მაგრამ ეცადე, დამშვიდდე და გონს მოეგო, ჩემო შეშინებულ მოგლობელო ჩიტო. მოდი, მომენდე, მე საკმაოდ მძლავრი ფრთები მაქვს საიმისოდ, რომ დაგიფარო. (კარის გასწვრივ მიმოდის). აჰ, რა მყუდრო და თბილი ბუდე გვაქვს, ნორა! აქაა შენი საეანე, აქ შეგიფარებ, როგორც დამფრთხალსა და დაფეთებულ მტრედს, რომელიც შევარდნის ბასრი კლანჭებისგან ვიხსენი. მე შემიძლია დავაცხრო და დავამშვიდო შენი საბრალო, შიშით მფეთქავი გული. თანდა-თანობით, ამასაც შეეძლებ, დამიჯერე, ნორა. ხვალ ყველაფერი სულ სხვაგვარად მოგეჩვენება და მალე ცხოვრებაც ძველი კალაპოტით დაიწყებს დენას. აღარც მე მომიწევს, წამდაუწუმ გიმეორო ის, რომ ყველაფერი გაპატიე, შენ თვითონ იგრძნობ, ამას. რამ გაფიქრებინა, თითქოს შემეძლო ხელი მეკრა შენთვის, ან თუნდაც ერთი სიტყვით დამეყუდრებინა რაიმე? არა, ნამდვილად არ იცი, რა გული აქვს შენს ქმარს. მას ენით უთქმელ სიამოვნებას ანიჭებს იმის შეგნება, რომ ყველაფერი აპატია თავის პატარა ცოლს... დიახ, ყველაფერი, და ამით თითქოს ორმაგად დაგისაკუთრა, თავის განუყოფელ საუნჯედ გაქცია. მან თითქოს ხელმეორედ მოგანიჭა სიცოცხლე და ახლა შენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა მარტო ცოლი ხარ მისი, არამედ შვილიც. დიახ, ამიერიდან შენ ჩემთვის ერთიც ხარ და მეორეც, ჩემო უმწეო, თავგზააბნეულო ქმნილება. ნურაფრის ნუ გეშინია, ნორა, მხოლოდ გულწრფელი იყავ და მე შენს ნებად, შენს სინდისად ვიქცევი... რა არის ეს? დაწოლას არ აპირებ? ტანსაცმელი გამოიცვალე?
- ნორა** (ჩვეულებრივი საშინაო კაბით). დიახ, ტორვალდ, გამოვიცვალე.
- ჰელმერი.** რაღა დროსია? ასე გვიან?...
ნორა. მე ამაღამ ვერ დავიძინებ...
- ჰელმერი.** კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო...
- ნორა** (საათს დასცქერის). არც ისე გვიანია, დაჭექი, ტორვალდ. უნდა მოვილაპარაკოთ (მაგილას უჯდება).
- ჰელმერი.** მაინც რაზე, ნორა?... რა გაქვავებული სახე გაქვს?..
- ნორა.** დაჭექი. სიტყვა გაგვიგრძელებდა. იმდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი.
- ჰელმერი** (მის პირდაპირ უჯდება მაგილას). მართალი გითხრა, მაშინებ, ნორა. არაფერი არ მესმის შენი.
- ნორა.** საქმეც ეგაა სწორედ. მე კი არ მესმოდა შენი... ამ საღამომდის. არა, ნუ მაწყვეტინებ, თუ შეიძლება, მომიხმინე... ანგარიში უნდა გავასწოროთ, ტორვალდ.

პელმერი. რაო?.. რას ამბობ?

ნორა (ხანმოკლე პაუზის შუგულს). ხომ არაფერი გეუცნაურება, აი, ახლა, როცა ასე პირისპირ ვსხედვართ?

პელმერი. მაინც რა?..

ნორა. აგერ უკვე რვა წელია, ცოლ-ქმარი ვართ. აბა, დაფიქრი, მე და შენ, როგორც ცოლ-ქმარი, პირველად მხოლოდ ახლა დავსხედით, რომ სერიოზულად მოვილაპარაკოთ.

პელმერი. სერიოზულად?..

ნორა. მთელი ამ რვა წლის მანძილზე... მეტიც, ჩვენი გაცნობის პირველი დღიდანვე, ერთმანეთს ერთხელაც არ დავლაპარაკებიათ სერიოზულად რაიმე სერიოზულ საქმეზე.

პელმერი. რად უნდა მომეხვია შენთვის თავზე ჩემი საქმე და საზრუნავი? რას მარგებდი, ან რას მიშველიდი?

ნორა. არა, საქმეს და საზრუნავს როდი ვგულისხმობ. მე გეუბნები, სერიოზულად არასოდეს დავლაპარაკებიათ ერთმანეთს, არ გვიცდია, ერთად გაგვერკვია, ერთად ჩავწვდომოდით რაიმე სერიოზულს.

პელმერი. კი მაგრამ, განა ეს შენი საქმე იყო, ჩემო ძვირფასო?

ნორა. აი, სწორედ აქ მივადექით მთავარს. შენ არასოდეს არ გესმოდა ჩემი. ძალიან უსამართლოდ მომეჩეცით ყველანი, ტორვალდ. ჯერ მამაჩემი, მერე — შენ.

პელმერი. რაო, ჩვენ ორნი, ვისაც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდი?

ნორა (თავს აქნევს). არასოდეს არ გყვარებიათ. თქვენ მხოლოდ ის მოგწონდათ, რომ მე გყვარებოდით.

პელმერი. დაუკვირდი, რას ამბობ, ნორა!

ნორა. სიმართლეს, ტორვალდ. სანამ მამაჩემთან ვიყავი, თავის აზრებს მიზიარებდა და ჩემი აზრებიც სიტყვასიტყვით ემთხვეოდნენ მისას. როცა სხვანაირი აზრი მქონდა, ვმალავდი, — არ მოეწონებოდა. თავის თოჯინას მეძახდა და ისევე ერთობოდა ჩემით, როგორც მე — ჩემი თოჯინებით. მერე კი შენს სახლში ამოვყავი თავი...

პელმერი. რა სიტყვებით იხსენიებ ჩვენს ქორწინებას?

ნორა (მშვიდად). მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მამაჩემის ხელიდან შენს ხელში გადმოვედი. შენ ყველაფერს შენი გემოვნებით აწყობდი, და შენი გემოვნება ჩემს გემოვნებად იქცა, უფრო სწორად, თავს ვიკატუნებდი, რომ ასე იყო — თვითონაც არ ვიცი კარგად. ალბათ, ერთიც და მეორეც; ხან ასე იყო, ხან ისე. უკან რომ ვიხედები, ჩემზე საცოდავი არავინ მგონია ქვეყნად; დღიდან დღემდე რის ვაივაგლახით გამქონდა

თავი!.. მე მასმევედნენ, მაკმევედნენ, მაცმევედნენ, ჩემი საქმე კი ის იყო, რომ გამერთე და გამეხალისებინე, ტორვალდ. აი, ასე ერთფეროვნად მიედინებოდა ჩემი სიცოცხლე. შენ თვითონ ინებე ასე. შენ და მამაჩემს დიდი ცოდვა მიგიძღვით ჩემს წინაშე. თქვენი ბრალია, რომ ვერაფერს ვეწიე.

ჰელმერი. რა სისულელეა, ნორა! განა ამგვარი უმადურობის ღირსი ვარ? მაშ ჩემს ხელში ბედნიერი არ ყოფილხარ?

ნორა. არასოდეს... ერთი დღეც არ მახსოვს ბედნიერი.

ჰელმერი. ერთი დღეც?.. ნუთუ მართლა არ იყავი ბედნიერი?

ნორა. არა, — მხოლოდ მხიარული. შენ ყოველთვის ისეთი ყურადღებით მეპყრობოდი, ისეთი ალერსით... მაგრამ მთელი ჩვენი სახლი მხოლოდ დიდი საბავშვო ოთახი იყო. მე აქ ვიყავი შენი დედოფალა-ცოლი, ისევე როგორც მამაჩემის სახლში — მისი თოჯინა-შვილი. ბავშვები კი ჩემი თოჯინები იყვნენ. მე მომწონდა, რომ შენ თამაშობდი და ერთობოდი ჩემით, ისევე როგორც მათ მოსწონდათ, რომ მე ვთამაშობდი და ვერთობოდი მათ. აი, ეს იყო მთელი ჩვენი ოჯახური ცხოვრება, ტორვალდ.

ჰელმერი. შენს სიტყვებში, მთელი მათი გაზვიადებისა და მაღალფარდოვნების მიუხედავად, შესაძლოა, სიმართლის ნატამალიც არის. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნება, ნორა. გართობისა და თავშექცევის დრო წაყვიდა! ახლა უკვე აღზრდას უნდა მოვკიდოთ ხელი.

ნორა. ვის აღზრდას, ჩემსას თუ ბავშვებისას?

ჰელმერი. შენს აღზრდასაც და მათსადაც, ჩემო ძვირფასო.

ნორა. აჰ, ტორვალდ, ვერა, შენ ვერ აღმზრდი, ვერ აღზრდი ნამდვილ ცოლს.

ჰელმერი. სიტყვას დაუკვირდი!

ნორა. მე კი... განა მე მზადა ვარ იმისათვის, რომ ბავშვები აღვზარდო?

ჰელმერი. ნორა!

ნორა. წელან აკი შენ თვითონ თქვი, მათ აღზრდას ვერ მოგანდობო.

ჰელმერი. ცხელ გულზე ვთქვი. მერედა, ეს უნდა დაიხვიო ხელზე?

ნორა. არა. სავსებით სწორადა თქვი. ამ ამოცანის გადკრა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ახლა მე სულ სხვა ამოცანა მაქვს გადასაწყვეტი. ჯერ ჩემი თავი უნდა აღვზარდო, ტორვალდ. მაგრამ შენ ვერ დამეხმარები. ყველაფერი მე თვითონ უნდა ვცადო. ამიტომაც მივდივარ შენგან.

ჰელმერი (წამოვარდება). რა სთქვი?

- ნორა. მარტო უნდა დავრჩე, რათა ჩემს თავსა და ყოველივე დანარჩენშიც გარკვევა შევქლო. ამიტომაც არ შემიძლია შენთან დარჩენა.
- ჰელმერი. ნორა! ნორა!
- ნორა. ახლავე წავალ. ქრისტინა, ალბათ, უარს არ მეტყვის და ერთ ღამეს გამათევინებს...
- ჰელმერი. ხომ არ შეიშალე? ვინ მოგცემს ნებას? მე გიკრძალავ!
- ნორა. ამიერიდან ველარაფერს ვერ ამიკრძალავ! მხოლოდ იმას წავიღებ, რაც მე მეკუთვნის. შენი არაფერი მინდა, არც ახლა, არც შემდეგ.
- ჰელმერი. რა სიგიჟეა!
- ნორა. ხვალ შინ წავალ... ესე იგი, ჩემს მშობლიურ ქალაქში. იქ უფრო ადვილად ვიშოვნო სამუშაოს.
- ჰელმერი. აჰ, შე თვალდავისილო, უსუსურო, გამოუცდელი არსებავ!
- ნორა. ოდესმე ხომ უნდა შევიძინო გამოცდილება, ტორვალდ.
- ჰელმერი. ასე ხელალებით მიატოვო ოჯახი, ქმარ-შვილი? იმაზე მაინც რატომ არ ფიქრობ, რას იტყვის ხალხი?
- ნორა. რაც უნდა, ისა თქვას. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს აუცილებელია ჩემთვის.
- ჰელმერი. არა, ამის ატანა ყოველად შეუძლებელია! ნუთუ შენ შეგიძლია, ასე წინდაუხედავად აიღო ხელი შენს წმინდათა-წმინდა მოვალეობაზე?
- ნორა. მითხარი, მაინც რა მიგაჩნია ჩემს წმინდათა-წმინდა მოვალეობად?
- ჰელმერი. ნუთუ ეს უნდა აგიხსნა? ნუთუ არავითარი მოვალეობა არა გაქვს შენი ქმარ-შვილის წინაშე?
- ნორა. მე სხვა, არანაკლებ წმინდა მოვალეობაც მაქვს.
- ჰელმერი. არა, არა გაქვს! მაშინ მითხარი — რა?!
- ნორა. მოვალეობა ჩემივე თავის წინაშე.
- ჰელმერი. შენ, უწინარეს ყოვლისა, ცოლი და დედა ხარ.
- ნორა. ოო, ეგ უკვე აღარა მჯერა. ჩემის აზრით, მე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანი ვარ, ისეთივე ადამიანი, როგორც შენ, ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადო, ადამიანი გახდეთ. ვიცი, რომ უმრავლესობა შენს მხარეზე იქნება, ტორვალდ, და რომ წიგნებიც ამასვე ამტკიცებენ. მაგრამ მე აღარ შემიძლია დავერდე ამას, რასაც თავს გვახვევს. უმრავლესობა, ანდა რასაც ამტკიცებენ წიგნები. მე თვითონ უნდა დავუფიქრდე ამას და ვეცადო, სხვის დაუხმარებლად გავერკვე.
- ჰელმერი. თითქოს შენი მდგომარეობა საკუთარ სახლში ისედაც ცხადი და გარკვეული არ იყოს, ნუთუ ვერავინ მოგცემს საჭირო რჩევას ამ საკითხში? ან, იქნებ, სარწმუნოება არ გაგაჩნია?

ნორა. აჰ, ტორვალდ, კარგად არც კი ვიცი, რა არის სარწმუნოება.

ჰელმერი. რას ამბობ?

ნორა. სარწმუნოებაზე თუ ვინმეს რამე უთქვამს ჩემთვის, ისევ და ისევ პასტორ ჰანსენს, რომელიც საკონფირმაციოდ მამზადებდა. სწორედ ის მეუბნებოდა, სარწმუნოება ესა და ესააო. როცა თავს დავაღწევ ამ ბორკილებს და მარტო დავრჩები, მე თვითონ გავერკვევი ყველაფერში. მინდა პირადად შევამოწმო, მართლს მეუბნებოდა თუ არა პასტორი ჰანსენი, ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა, რომ ეს სიმაართლე იყოს ჩემთვის.

ჰელმერი. ნეტავი თუ არა გრცხვენია! ახალგაზრდა ქალი რას ლაპარაკობ! მაგრამ თუ სარწმუნოებასაც არ შეუძლია შენი გულისხმაში ჩაგდება, იქნებ შენს სინდისს მაინც მივმართო! მორალური გრძნობა მაინც ხომ გააჩნია! თუ ისიც უცხოა შენთვის?

ნორა. მართალი გითხრა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცოტა არ იყოს, მიჭირს, ტორვალდ. ღმერთმანი, მიჭირს. რაღა მე და რაღა ტყეში მხარქვეული კაცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაფერზე სულ სხვანაირად ვფიქრობ, ვიდრე შენ. აი, მე მეუბნებიან, რომ კანონები სულ სხვა რამეა, ვიდრე აქამდე მეგონა. მაგრამ ამნაირი კანონები რომ სწორია და სამართლიანი, ამას კი ვერასლბედით ვერ დავიჭერებ. გამოდის, რომ ქალს უფლება არა ჰქონია, დაინდოს მომაკედავი მამა, ან სიცოცხლე შეუნარჩუნოს ქმარს! დიახ, ამაში კი ვერავინ დამაჯერებს.

ჰელმერი. ნამდვილი ბავშვივით მსჯელობ. არაფერი გაგეგება საზოგადოებისა, რომელშიაც ცხოვრობ.

ნორა. დიახ, მართლაც არაფერი გაგეგება. ამიტომაც მინდა დაუუკვირდე და გამოვარკვიო, ვინაა მართალი — მე თუ საზოგადოება?

ჰელმერი. შენ ავად ხარ, ნორა. ნამდვილად სიცხე გაქვს. მართალი გითხრა, ექვიც კი მეპარება იმაში, სრულ კეუაზე ხარ თუ არა.

ნორა. არასოდეს არ მქონია უფრო საღი აზრი, არც უფრო მტკიცე მეხსიერება.

ჰელმერი. და შენ ასე, საღი აზრით, ტოვებ სახლსა და ქმარ-შვილს?

ნორა. დიახ.

ჰელმერი. მაშინ არც კი ვიცი, რა ვიფიქრო, გარდა ერთისა.

ნორა. მაინც.

ჰელმერი. ალბათ, აღარ გიყვარვარ.

ნორა. დიახ, საქმეც ეგაა სწორედ.

ჰელმერი. ნორა!.. შენ... შენ ამბობ. ამას?

- ნორა. აჰ, მე თვითონაც გული მტკივა, ტორვალდ. შენ ისეთი ყურადღებიანი იყავი ჩემს მიმართ. მაგრამ, რა ექნა, თავს ზევით ძალა არ არის. აღარ მიყვარხარ.
- ჰელმერი (ძლივს იკავებს თავს). ესეც სალი აზრით გადაწყვიტე?
- ნორა. რა თქმა უნდა. ამიტომაც აღარ ვრჩები აქ.
- ჰელმერი. იქნებ ისიც ამიხსნა, რამე გაგიცივა გული?
- ნორა. მაგასაც მოგახსენებ. ყველაფერი დღევანდელმა საღამომ გადაწყვიტა, როცა გულისფანცქალით ველოდი სასწაულს... მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის კაცი არა ხარ, ვინც მე მეგონე.
- ჰელმერი. ცოტა უფრო დალაგებით მითხარი, თორემ არაფერი მესმის.
- ნორა. მე მოთმინებით ველოდი ამ სასწაულს მთელი რვა წლის განმავლობაში. ღმერთო ძლიერო, მე ხომ ვიცი, რომ სასწაული ყოველდღე როდი ხდება. მაგრამ, აი, თავს დამატყდა მთელი ეს უბედურება. ექვიც არ შემპარვია, რომ ახლა მაინც მოხდებოდა სასწაული. სანამ კროგსტადის წერილი ყუთში ეგდო, აზრადაც არ მომსვლია, რომ მის პირობებს დათანხმდებოდი. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ პირში მიახლიდი მას: ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ, თუნდაც მთელ ქვეყანას გააგებინეთ... ხოლო როგორც კი ეს მოხდებოდა...
- ჰელმერი. კი მაგრამ, ნორა... მაშინ ხომ თავსლაფი უნდა დამესხა ჩემი ცოლისთვის და საქვეყნოდ გამომეკუენებინა იგი?..
- ნორა. ...დიახ, როგორც კი ეს მოხდებოდა... მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ შენ წარბშეუხრელად წარსდგებოდი ყველას წინაშე და უყოყმანოდ იტყოდი: დამნაშავე მე ვარო.
- ჰელმერი. ნორა!
- ნორა. შენ, ალბათ, იმის თქმა გინდა, რომ მე არასოდეს არ დავთანხმდებოდი, ამნაირი მსხვერპლი მიმელო შენგან... რა თქმა უნდა. მაგრამ შენი აღიარების შემდეგ ვინ რას დამიჩერებდა, ვინლა გამიწევდა ანგარიშს?... აი, სასწაული, რასაც ასეთი გულისფანცქალით ველოდი. და ეს რომ არ მომხდარიყო, ამიტომაც გადაწყვეტილი მქონდა, მანამდე მომეკლა თავი.
- ჰელმერი. მე თავს არ დავზოგავდი შენი გულისთვის... არაფრად ჩავადებდი სილატაკეს და გაჭირვებას, ყველაფერს შემოგწირავდი, ნორა. მაგრამ ვინ უმსხვერპლებს თუნდაც ყველაზე უსაყვარლეს ადამიანს თავის ღირსებას?
- ნორა. ასი ათასობით ქალს უმსხვერპლია.
- ჰელმერი. აჰ, შენ ისე მსჯელობ, როგორც პატარა ბავშვი.
- ნორა. შეიძლება. მაგრამ ვაი რომ შენ არ მსჯელობ ისე, როგორც შეშენის კაცს, რომელსაც მე ვენდობოდი. შიშმა რომ გაგიარა, — არა, ჩემს გამო კი არ გეშინოდა, მხოლოდ

საკუთარ ტყავს უფროთხილდებოდი, — გულზე მოგეშვა და შევებით ამოისუნთქე, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო. მე კვლავ შენს მგალობელ ჩიტუნიად, ტორვალდ, დედოფალად დავრჩი, რომელსაც, შენი აზრით, მხოლოდ უფრო მეტად უნდა გაფრთხილებოდი, რაკილა ასეთი სუსტი და მყიდვე აღმოჩნდა. (ღება). აი, სწორედ იმ წამს ჩემთვის ნათელი გახდა, ტორვალდ, რომ მთელი ეს რვა წელიწადი თურმე უცხო კაცთან ვცხოვრობდი და სამი ბავშვიც მეყოლა მისგან... ოო, ამის გახსენებაც კი ტანში მზარავს! მზადა ვარ, ხორცი დავიგლიჯო, ნაკუწებად ვაქციო ჩემი თავი!

ჰელმერი (ჩაწვეტილი ხმით). ვხედავ, ვხედავ... ჩვენს შორის მართლაც საზარელი უფსკრული გაჩნდა... მაგრამ ნუთუ არ შეგვიძლია ამოვავესოთ იგი?

ნორა. ისეთი ქალი, როგორც მე ვარ ახლა, ცოლად აღარ გამოვადგება.

ჰელმერი. მე მეყოფა ძალა, რომ სხვა კაცად ვიქცე.

ნორა. შეიძლება, — თუ დედოფალას წაგართმევენ.

ჰელმერი. მაშ, უნდა დაგშორდეთ?.. არა, არა, ნორა, ამის წარმოდგენაც არ შემიძლია.

ნორა (ხელმარჯვნივ გაღის). მით უფრო გარდუევალია ეს. (მანტო მოხურული ბრუნდება უკან; ხელში პატარა საკვირთი უჭირავს, რომელსაც მაგიდასთან სკამზე დებს).

ჰელმერი. ნორა, ნორა, ჭერ ნუ! დილაზე მაინც მოიცადე.

ნორა (მანტოს იცემს). უცხო კაცთან ლამეს ვერ გავათევ.

ჰელმერი. კი მაგრამ, ნუთუ არ შეგვიძლო და-ძმასავით გვეცხოვრა?

ნორა (ქუდის ბაფთებს იკრავს). ვითომ არ იცი, რომ დიდხანს არ გაგრძელებოდა ასე... (შალს წაშლისხაშს). მშვიდობით, ტორვალდ. ბავშვებს აღარ დავემშვიდობები. ვიცი, ჩემზე უკეთესი მომვლელი ეყოლებათ. იმნაირი დედა, როგორც მე ვარ ახლა, მათ არ სჭირდება.

ჰელმერი. კი მაგრამ, ოდესმე, ნორა... ოდესმე მაინც ხომ?..

ნორა. აბა, რა ვიცი, რა მელის, ან რა გამოვა ჩემგან?

ჰელმერი. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, შენ ჩემი ცოლი ხარ, ახლაც და მომავალშიაც.

ნორა. მისმინე, ტორვალდ... ქმარს, რომელსაც ცოლი მიატოვებს, რამდენადაც ვიცი, კანონი ცოლის მიმართ ყოველგვარი ვალდებულებებისგან ათავისუფლებს. ყოველ შემთხვევაში, მე მთლიანად გათავისუფლებ, გესმის? იცოდე, შენც ისევე თავისუფალი ხარ, როგორც მე. აი, შენი ბეჭედი, მე კი ჩემი დამიბრუნე.

ჰელმერი. მაშ, ესეც?..

ნორა. დიახ, ესეც.

ჰელმერი. ინებე.

ნორა. ასე, ახლა კი ყველაფერი დამთავრდა. გასაღებებს, აი, აქა ვღებ. ამ სახლის ასავალ-დასავალი მოახლემ ჩემზე უკეთ იცის. ხვალ, როცა აქ აღარ ვიქნები, ქრისტიანა მოვა და თავის ნივთებს ჩაალაგებს, რომლებიც სახლიდან მომყვა. მადლობელი ვიქნები, თუ გამომიგზავნით.

ჰელმერი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ნორა... აღარასოდეს აღარ გამიხსენებ?

ნორა. არა, ალბათ, ხშირად გაგიხსენებთ შენც, ბავშვებსაც, სახლსაც.

ჰელმერი. თუ შეიძლება, ხანდახან მაინც მოგწერო, ნორა?

ნორა. არა... არასოდეს. არ შეიძლება.

ჰელმერი. კი მაგრამ, რაღაც ხომ უნდა გამოგიგზავნო ხოლმე?..

ნორა. არაფერი, სრულიად არაფერი.

ჰელმერი. თუ გაგიჰირდა, არ დაგებმარო?

ნორა. არა-მეთქი. უცხო კაცისგან დახმარებას არ მივიღებ.

ჰელმერი. ნორა!.. ნუთუ ყოველთვის უცხო დავერჩები შენთვის?

ნორა (თავის საკვიაეს იღებს). აჰ, ტორვალდ, მაშინ სასწაული კი არა, სასწაულთა სასწაული უნდა მოხდეს.

ჰელმერი. მაინც?

ნორა. სასწაული, რომელიც ისე შეგცვლიდა, რომ... არა, ტორვალდ, მე უკვე აღარ მჯერა სასწაულების.


ჰელმერი. მე კი მჯერა. დაამთავრე! იმდენად შეგცვლიდა, რომ-რა?..

ნორა. ...რომ ჩვენი თანაცხოვრება ჰემმარიტ ცოლ-ქმრობად ქცეულიყო. მშვიდობით. (წინკარში გაღის).

ჰელმერი (მოწყვეტით ეცემა კართან მიღგმულ სკამზე და სახეზე ხელებს იფარებს). ნორა! ნორა! (მიმოიხედავს და ღებდა). წავიდა და მთელი სახლი დაცარიელდა. (იშვლის სხივი უნათებს სახეს). მაგრამ სასწაულთა-სასწაული?!

ქვემოთ გრუხუნით იხურება კარი.





ოჯახური ღრამა სამ მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

ფრუ ელენე ალვინგი — კაპიტნისა და კამერკერის ალვინგის ქვრივი.


ოსვალდ ალვინგი — მისი ვაჟი, მხატვარი.

პახტორი მანდერხი.

დურგალი ენგებრანი.

რეგინა ენგებრანი — ფრუ ალვინგის სახლში მცხოვრები ქალიშვილი.

მოქმედება მიმდინარეობს ფრუ ალვინგის მამულში, დიდი ფიორდის პირას, დასავლეთ ნორვეგიაში.



პირველი მოქმედება

ერეელი ოთახი, რომელიც ბაღს გადაკურებს; მარცხენა კედელში ერთი კარია დატანებული, მარჯვენაში — ორი. შუა ოთახში მრგვალი მაგიდა დგას; გარშემო აკამები აქვს შემოწყობილი. მაგიდაზე წიგნები და ეურნალ-გაზეთები აწყვია. წინა პლანზე ფანჯარაა, ხოლო მის მახლობლად — პატარა დივანი და ქალის სამუშაო მაგიდა. ოთახის ბოლოს მინის ორანჟერეაა, რომელიც ცოტა უფრო ვიწროა, ვიდრე ოთახი. ორანჟერეის მარჯვენა კედელში დატანებული კარიდან შეიძლება ბაღში ჩახვიდე. მინის კედლებს მიღმა მოჩანს პირქუში ზღვისპირა ლანდშაფტი; წვიმა აღმაცურად ცრის. ბაღიდან შემოსასვლელ კარში დგას ღურგალი ენგსტრანი. მარცხენა ფეხი ცოტა მოჩორთილი აქვს. ფეხსაცმლის ლანჩებზე ხის სქელი ქერქი ამოუკრავს. რეგინას ცარიელი სარწყავი უჭირავს ხელში და გზას არ აძლევს.

რეგინა (ხმადაბლა). რა გინდა? ფეხი არ შემოდგა. წურწურით ჩამოგდის წყალი.

ენგსტრანი. ღმერთმა წვიმა გამოგვიგზავნა, ჩემო ძვირფასო.

რეგინა. ღმერთმა კი არა, ეშმაკმა!

ენგსტრანი. ღმერთო ჩემო, რას ამბობ, რეგინა, რას? (ფეხათრევით გადმოდგამს რამდენიმე ნაბიჯს). იცი, რა მინდოდა შეთქვა?..

რეგინა. ნუ ბრაახუნობ! ზემოთ ბატონიშვილსა სძინავს.

ენგსტრანი. წევს და სძინავს? ამ შუაღლისას?

რეგინა. რა შენი საქმეა?

ენგსტრანი. გუშინ კაი გვარიანად გამოვიბრუეე...

რეგინა. ჭერაც არ დაგილევია.

ენგსტრანი. ეჰ, ადამიანის სისუსტეს რა ვუთხრა, თორე...

რეგინა. მეტი რა გეთქმის?

ენგსტრანი. ამქვეყნად კი იმდენი საცთურია, რო!.. მაგრამ დღეს მინც ღმერთმანი, ექვსის ნახევარზე ავდექი და სამუშაოს შეეუდექი...

რეგინა. კარგი, კარგი. ოღონდ თავიდან მომწყდი. არ მინდა აქ, შენს გვერდით ვიდე, თითქოს პაემანზე ვიყო.

ენგსტრანი. რა არ გინდა?

რეგინა. არ მინდა, რომ ვინმემ ერთად დაგვინახოს. წადი, წადი, შენს გზას ეწიე.

ენგსტრანი (უფრო უახლოვდება). ვერ მოგართევს! სანამ არ მოგელაპარაკები, აქედან ფეხს არ მოვიცვლი! ნასადილევს ქვემოთ, სკოლაში, სამუშაოს მოვრჩები, საღამოს კი შინისკენ მოვუსვამ, გემს გავუყვები ქალაქში.

რეგინა (კბილებში გამოსცრის). გზა დამილოცნია!

ენგსტრანი. მადლობელი ვარ, ჩემო გოგონი. ხვალ აქ თავშესაფარს აკურთხებენ და, ალბათ, კაი გვარიანი სმაც იქნება. არ მინდა ვინმეს ვათქმევიანო, რომ იაკობ ენგსტრანს სული ელევასასმელზე!

რეგინა. ე!

ენგსტრანი. დიახ, იმიტომ, რომ ხვალ, ვინ იცის, რამდენი ვაუბატონი ჩამობრძანდება. პასტორ მანდერსსაც მოელიან ქალაქიდან.

რეგინა. პასტორი დღესვე ჩამოდის.

ენგსტრანი. აი, ხო ხედავ? ჰოდა, დალახეროს ეშმაკმა, არ მინდა, რომ ჩემზე რამე ისეთი თქვას, გესმის?

რეგინა. აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი!

ენგსტრანი. რა?

რეგინა (დაინებით უცქერის). ახლა მაინც რაღას აპირებ, რა სატყუარი გინდა მიუგდო პასტორ მანდერსს?

ენგსტრანი. სსუ... სსუ... ხომ არ გაგიუდი? რა სატყუარი, რის სატყუარი? პასტორი მანდერსი ისე კეთილია ჩემს მიმართ... ჰო, იმას გეუბნებოდი, ამაღამ შინისაკენ მოვუსვამ-მეთქი. სწორედ ამის თაობაზე ვაპირებდი შენთან ლაპარაკს.

რეგინა. ჩემის აზრით, რაც უფრო მალე მოუსვამ, მით უკეთესი.

ენგსტრანი. დიახ, დიახ, მაგრამ მე მინდა შენც თან წაგიყვანო, რეგინა.

რეგინა (განცვიფრებისაგან პირს დააღებს). მეც თან წამიყვანო? რას ამბობ?

ენგსტრანი. რასა და იმას, რომ მინდა შენც თან წაგიყვანო-მეთქი.

რეგინა (ზიზლით). ვერ მოესწრები!

ენგსტრანი. ვნახოთ!

რეგინა. ვნახოთ, ვნახოთ!.. მე აქ გავიზარდე... ყველანი თითქმის შინაურადა მთვლიან... შენ კი წაყვანას მიპირებ? მერედა, სად? ფუჰ!

ენგსტრანი. დალახეროს ეშმაკმა! მამას ეურჩები, გოგონი?

რეგინა (ბუზღუნით; ზედ არ უყურებს). მამას!.. რამდენჯერ გითქვამს, რა ქალიშვილიცა ვარ შენთვის.

ენგსტრანი. ეე! ეგ რამ გაგახსენა?..

რეგინა. რამდენჯერ გილანძლივარ და გიგინებზევარ, რაღას არ მიწოდებდი?..

ენგსტრანი. რას ამბობ, მე და გინება? ღმერთმა დამითაროს!

რეგინა. არა, შენმა მზემ!.. გგონია, დამავეიწყდა?

ენგსტრანი. ჰო, კარგი, კარგი... მე მხოლოდ მაშინ... როცა გადაკრულში ვიყავი... ჰმ! ოჰ, რამდენი საცთურია ამქვეყნად, რეგინა!

რეგინა (ზიზლით). უ!

ენგსტრანი. და კიდევ მაშინ, როცა დედაშენი თავს აიშვებდა. რალაცნაირად ხომ უნდა მომეთოკა, გოგონი? ნამეტანი მალლა იბზეკდა ცხვირს! (აჩავრებს). „გამიშვი, ენგსტრან! თავი გამანებე! მე მთელი სამი წელი ვემსახურე ალვინგს რუსენვოლში.“ (იღინის). ღმერთო შემეიწყალე, ვერასდიდებით ვერ დავეიწყებინა, რომ მისი მოახლეობისას კაპიტანს კამერკერობა უბოძეს.

რეგინა. საწყალი დედაჩემი... შენ შეიკალი ხელში.

ენგსტრანი (ბანალურს). ჰო, რა თქმა უნდა, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე!

რეგინა (ზურგს შეაქცევს; ხმადაბლა). უ!.. ეს გასახმობი ფეხიც!..

ენგსტრანი. რას ამბობ, გოგონი?

რეგინა. Pied de mouton!

ენგსტრანი. ეგ რა, ფრანციცულია?

რეგინა. დიახ.

ენგსტრანი. ჰო-ო, სწავლით კი ბევრი რამე გასწავლეს; მით უკეთესი ჩვენთვის: ახლა ეს ბევრ რამეში გამოგვადგება, რეგინა.

რეგინა (ცოტა ხნის ღუმლის შემდეგ). ვერ გამიგია, რაში დაგვირდა ჩემი თავი?

ენგსტრანი. ღმერთო, რა საკითხავია? რაში დასვირდა მამას თავისი ერთადერთი ქალი? ვინა ვარ მე? მარტოხელა, საწყალი ქერივი!

რეგინა. მორჩი ამ ყბედობას! მითხარი, რაში დაგვირდი-მეთქი?

ენგსტრანი. იცი, რას გეტყვი? ერთი ახალი საქმის წამოწყებას ვაპირებ.

რეგინა (ზიზლით ჩაიფრუტუნებს). რამდენი რამე წამოგიწყია, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი...

ენგსტრანი. ახლა კი დაინახავ, რეგინა! ეშმაკმა დამლახეროს, თუ!.. რეგინა (ფეხებს აბაკუნებს). ეშმაკის ხსენებას თავი ანებე!

ენგსტრანი. სსუ... სსუ!.. მართალი ხარ, გოგონი, ცამდე მართალი! მე მინდოდა მეთქვა: ამ ახალ თავშესაფარზე მუშაობისას კი გვარიანი თანხა მოვაქუჩე-მეთქი.

რეგინა. მოაქუჩე? მაშ, გიხაროდეს!

ენგსტრანი. დიახ, მოვაქუჩე; აბა, სად დამეხარჯა ფული ამ გადაკარგულში?

რეგინა. მერე?

ენგსტრანი. ჰოდა, აზრად მომივიდა, ამ თანხით კაი სარფიანი საქმე წამომეწყო. დუქანი მინდა გავხსნა მეზღვაურებისათვის...

რეგინა. ფუჰ!..

ენგსტრანი. კარგად გამართული დუქანი, გესმის? არა ბინძური საღორე ცინგლიანი მატროსებისთვის, — ეშმაკმა დალახვროს მათი თავი და ტანი! — არამედ კაპიტნებისა, შტურმანებისა და... ჯიბესქელი ვაჟბატონებისათვის, გასაგებია?

რეგინა. და მე იქ...

ენგსტრანი. შენებურად დატრიალდებოდი... ისე, თვალის საამებლად, მხოლოდ და მხოლოდ. არავეითარი შავი სამუშაო, გოგონი, გესმის? შენს ნებაზე იცხოვრებ.

რეგინა. ჰო, რა თქმა უნდა!...

ენგსტრანი. უქალოდ კი ეს საქმე არ იქნება, ცხადზე უცხადესია. საღამოობით ცოტათი ხომ უნდა გაართო სტუმრები?.. ჰო, ცეკვა, მუსიკა და სხვა დანარჩენი... არ დაგავიწყდეს, — მეზღვაურები გამოქექილი ხალხია. ცხოვრების ზღვაზეც ბევრი განსაცდელი გადაულახავთ. (უახლოდება). ჰოდა, ჰკუას მოუხმე, ბედი კარზე მოგდგომია და ხელს ნუ ჰკრავ, რეგინა! აქ რა ხეირი უნდა ნახო? დიდი ამბავი, თუ ქალბატონმა ფული დაგახარჯა, რომ ნასწავლი ქალი გამოეყვანე! გავიგე, თითქოს წვრილფეხობის მომელელად გიპირებენ გამწესებას ახალ თავშესაფარში. მერედა, ესაა საშენო საქმე? დავიჯერო, ვითომ დიდი სურვილი გაქვს, ზედ გადააყვე ქუჭყიანსა და ცხვირმოუხოცავ ლაწირაკებს?

რეგინა. არა, მაგრამ თუ ჩემებურად გამოვიდა, მაშინ... თუმცა, ვინ იცის, იქნებ კიდევაც გამოვიდეს... დიახ, გამოვიდეს!

ენგსტრანი. რა უნდა გამოვიდეს?

რეგინა. შენი საქმე არ არის... მითხარი, ბევრი ფული მოაქუჩე?

ენგსტრანი. ასე, შვიდას თუ რვაას კრონამდე მოიყრის თავს.

რეგინა. ყოჩაღ!

ენგსტრანი. დასაწყისისთვის საკმარისია, გოგონი!

რეგინა. ხომ არ აპირებ, ცოტაოდენი მეც მიწილადო?

ენგსტრანი. არა, რაც მართალია, მართალია, არ ვაპირებ!

რეგინა. ერთ საკაბეს მაინც არ გამომიგზავნი?

ენგსტრანი. გადმობარგდი ჩემთან, ქალაქში, და კაბები არ მოგაკლდება.

რეგინა. რომ მინდოდეს, უშენოდაც კარგად გადავბარგდებოდი.

ენგსტრანი. არა, არა, მამის მზრუნველი ხელი მაინც სულ სხვაა, რეგინა! ახლა სწორედ ერთ საშენო სახლს დავადგი თვალი „პატარა ნავსადგურის“ ქუჩაზე. ნაღდ ფულსაც ცოტას მთხოვენ. უპ, რა ღუქანს გავმართავდი მეზღვაურებისათვის?

რეგინა. არ მინდა და არც ვაპირებ შენთან გადმოსვლას. ქალაქში რა უნდა ვაკეთო? თავიდან მომწყდი!

ენგსტრანი. დროს ტყუილად არ დაკარგავ, დალახვროს ეშმაკმა! ხუმრობა ხომ არ გგონია? თუკი ცოტა ფხას გამოიჩინე... შენნაირი ლამაზი გოგო... არა, მაინც როგორ დამშვენდი ამ ბოლო ორ წელიწადში?..

რეგინა. რა-ა?!

ენგსტრანი. რა და, შენისთანა ლამაზი გოგო, სულ მალე, კაპიტანს თუ არა, შტურმანს მაინც დაახვევს თავბრუს...

რეგინა. ღმერთმა დამიფაროს! მეზღვაურებს არავითარი savoir vivre არ გააჩნიათ.

ენგსტრანი. რაო?

რეგინა. მეზღვაურებს კარგად ვიცნობ-მეთქი! სულელის მეტი ვინ გაჰყვება ცოლად?

ენგსტრანი. თუ ასეა, ვინ გაძალებს? ნურც შენ გაჰყვები. არც ისე მოგაკლდება პატივისცემა. (ხმას დაუწევს, შინაურულად). იმ ინგლისელმა... საკუთარი იახტით რომ მოგზაურობდა, სამასი ტალერი ჩამოყაქა... განსვენებული კი შენზე ლამაზი როდი იყო!

რეგინა (მუქარით მიიწევს მისკენ). გაეთრიე!

ენგსტრანი (უკან იხევს). აბა, აბა, ცემას ხომ არ მიპირებ?

რეგინა. თუ დედაჩემის აუგად ხსენებას არ მოიშლი, გცემ კი არა, მეტსაც გიზამ! თვალთ აღარ დამენახო! (ბაღში გასაველი კარისაკენ უბიძგებს). კარს ნუ გაიჭახუნებ! ბატონიშვილს...

ენგსტრანი. სძინავს, ვიცი, ვიცი, ამ ბოლო დროს ნამეტანს ელოლიავეები. (ხმას დაუწევს). პო-პო!.. ხომ არ?..

რეგინა. ახლავე გაეთრიე! ხომ არ შეიშალე, ყბედო?.. მანდეთ არა!.. მანდედან პასტორი მოდის. აგერ, უკანა კიბე!

ენგსტრანი. კარგი, კარგი... პასტორი მოდის და ჰკითხვ; ის გეტყვის, როგორ უნდა ექცეოდნენ შეილები მამას... რადგან, ასეა თუ ისე, მაინც მამა ვარ შენი. საეკლესიო ჩანაწერებით დავამტკიცებ. (მეორე კარიდან გადის, რომელსაც რეგინა უღებს და მაშინვე ხურავს).

რეგინა სასწრაფოდ იხედება ქარკეში, ცხვირსახოცი თინათებს სახეს და უელსახვევს ისწორებს. შემდეგ ყველაზეს მიაშურებს და თავზე დაჟღუსთუებს. ბალიდან შემოსასვლელი კარით აივანზე ამოდის პასტორი მანდერსი; პალტო აცვია, ხელში ქოლგა უქირავს; მხარზე სამგზავრო ჩანთა მოუვლია.

პასტორი მანდერსი. გამარჯობათ, იომფრუ ენგსტრან!

რეგინა (შებრუნდება; სიხარულით და განცვიფრებით). გამარჯობათ, ბატონო პასტორო! გემი უკვე ჩამოვიდა?

პასტორი მანდერსი. ეს-ესაა. (ოთახში შემოდის). რა ცუდი ამინდი დაგვიდგა?

რეგინა (უკან მიჰყვება). სოფლელებისთვის, უფრო სწორად, მოსაველისათვის კი ამნაირი ამინდი ნამდვილი ღვთის წყალობაა, ბატონო პასტორო!

პასტორი მანდერსი. დიახ, დიახ, მართალს ბრძანებთ. ჩვენ, ქალაქელები, ნაკლებად ვუფიქრდებით ამას. (პალტოს გახდას აპირებს).

რეგინა. ნება მიბოძეთ!.. მოგეხმარებით... აი, ასე. აჰ, რა სველია! გავალ, წინკარში ჩამოვიკიდებ. თუ შეიძლება, ქოლგაც... გავშლი, რომ გაშრეს. (ხელმარჯვნივ გადის, თან პალტო და ქოლგა მიჰქვს).

პასტორი მანდერსი სამგზავრო ჩანთას იხსნის და ქუდთან ერთად სკამზე დებს. რეგინა ბრუნდება.

პასტორი მანდერსი. მაინც რა კარგია მყუდრო ქერქვეშ ყოფნა... აბა, მითხარით, რასა იქმთ? როგორა ხართ?

რეგინა. გამდლობთ, კარგად.

პასტორი მანდერსი. მაგრამ ამ მომავალმა ზეიმმა, ალბათ, ბევრი თავსამტკრევი საქმე გაგიჩინათ.

რეგინა. დიახ, საკმაოდ ბევრი.

პასტორი მანდერსი. იმედია, ფრუ ალვინგი სახლში ბრძანდება.

რეგინა. რა თქმა უნდა, ბატონო ჩემო!.. მხოლოდ ზემოთაა, — შოკოლადს უმზადებს ბატონიშვილს.

პასტორი მანდერსი. ჰო, მართლა, ნავსადგურში გავიგე, ოსვალდი ჩამოსულა.

რეგინა. დიახ, უკვე მესამე დღეა. ჩვენ კი მხოლოდ დღეს მოველოდით.

პასტორი მანდერსი. იმედია, კარგად ბრძანდება.

რეგინა. გამდლობთ, არა უშავს რა. მხოლოდ საშინლად დაღლილა გზაში: პარიზიდან შეუსვენებლივ უვლია სახლამდის. მგონი, მთელი გზა ერთ მატარებელში მჯდარა. ახლა, კი როგორც ჩანს, ჩასთვლიმა, ასე რომ, ცოტა უფრო ხმადაბლა უნდა ვილაპარაკოთ..

პასტორი მანდერსი. კეთილი.

რეგინა (მაგიდასთან მიჩოჩებს სავარძელს). დაბრძანდით, ბატონო პასტორო, მე გვონია, აქ გირჩევნიათ.

პასტორი ჯდება. რეგინა დაბალ სკამს აწვდის ფეხების შემოსაწყობად.

აი, ასე; კარგად ზიხართ, ბატონო პასტორო?

პასტორი მანდერსი. კარგად, კარგად, გმადლობთ! (მისჩერებია). იცით, რა, იომფრუ ენგსტრან? ღმერთმანი, გაზრდილხართ მას მერე, რაც უკანასკნელად გნახეთ.

რეგინა. მართლა? ფრუ ალვინგი კი მეუბნება, გასუქდიო.

პასტორი მანდერსი. გასუქდიო?.. თუმცა, ჰო, მართლა... ისე, ზომიერად...

ხანმოკლე პაუზა.

რეგინა. ქალბატონს ხომ არ მოვახსენო?

პასტორი მანდერსი. არა, არა, გმადლობთ, შეილო ჩემო! რა საჩქაროა? ერთი ეს მითხარით, ჩემო ძვირფასო რეგინა, მამათქვენი როგორაა?

რეგინა. გმადლობთ, არა უშავს რა.

პასტორი მანდერსი. სულ ბოლოს, ქალაქში რომ იყო, ჩემთან შემოიარა.

რეგინა. ო, დიახ, თქვენი საუბარი ყველაფერს ურჩევნია.

პასტორი მანდერსი. თქვენ, ალბათ, ხშირად ნახულობთ აქ!

რეგინა. მე? დიახ, რა თქმა უნდა, როცა მცალია...

პასტორი მანდერსი. მამათქვენს, იომფრუ ენგსტრან, ცოტა არ იყოს, ნებისყოფის სიმტკიცე აკლია. რომ იცოდეთ, როგორ სჭირდება თანადგომა, მორალური მხარდაჭერა!

რეგინა. დიახ, დიახ, მართალს ბრძანებთ.

პასტორი მანდერსი. აუცილებლად ვილაცა უნდა ჰყავდეს გვერდით, ვინც უყვარს, ვის აზრსაც ანგარიშს გაუწევს და დააფასებს. უკანასკნელად რომ იყო ჩემთან, გულახდილად გამომიტყუდა ამაში.

რეგინა. დიახ, რალაც ამგვარი მეც მითხრა. მაგრამ არ ვიცი, მოისურვებს თუ არა ფრუ ალვინგი ჩემს გაშვებას... მით უმეტეს, ახლა, როცა ამ ახალმა თავშესაფარმა ამდენი საწვალბეელი გაგვიჩინა. მართალი გითხრათ, მეც ძალიან გამიჭირდება მასთან განშორება, იმიტომ, რომ იმდენი ამაგი მიუძღვის ჩემზე.

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, მოვალეობა. მშობელი მამის მიმართ, შეილო ჩემო... თუმცა, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, თქვენი ქალბატონის თანხმობაა საჭირო.

რეგინა. ეგეც არ იყოს, არ ვიცი, რამდენად შეპფერის ჩემი ასაკის ქალიშვილს მარტოხელა კაცის ოჯახში დიასახლისობა.

პასტორი მანდერსი. როგორ? ჩემო ძვირფასო, ეს კაცი ხომ მამათქვენია?

რეგინა. ასეც რომ იყოს, მაინც... აი, რომელიმე ღირსეული, წესიერად აღზრდილი კაცის ოჯახში რომ შემეყვანა...

პასტორი მანდერსი. რას ამბობთ, რეგინა?..

რეგინა. ...მაშინ დიდი სიამოვნებით გადავსახლდებოდი ქალაქში. აქ საშინელი მოწყენილობაა, სიმარტოვე... ხოლო ბატონ პასტორს თავადაც კარგად მოეხსენება, რა ცარიელია მარტოხელა ადამიანის სიცოცხლე. თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, თამამად შემძლია ვთქვა, რომ ხელმარჯვე ვარ და შრომაც მიყვარს. ხომ არ გეგულებათ, ბატონო პასტორო, შესაფერისი ადგილი ჩემთვის?

პასტორი მანდერსი. მე? არა, მართალი გითხრათ, არ მეგულება.

რეგინა. აჰ, ძვირფასო ბატონო პასტორო... გვეედრებით, ყოველი შემთხვევისათვის, გახსოვდეთ ჩემი თხოვნა, და თუ...

პასტორი მანდერსი. (ღებდა). კარგი, კარგი, იომფრუ ენგსტრან.

რეგინა. ...იმიტომ, რომ მე...

პასტორი მანდერსი. თუ შეიძლება, ფრუ ალვინგს სთხოვეთ!

რეგინა. ახლავე გეახლებათ, ბატონო პასტორო!

პასტორი მანდერსი (ხელმარცხნივ მიდის და ვერანდასთან ჩერდება; ხელებს ზურგზე შემოიწყობს და ბალს გასტკერის. შემდეგ კვლავ უბრუნდება მაგიდას, ერთ-ერთ წიგნს აიღებს, სათაურს დახედავს და გაოცებული ახლა სხვა წიგნებს დაუწეებს ფურცელას). ჰმ, მაშ, ასე?

მარცხენა კარიდან შემოდის ფრუ ალვინგი, უკან რეგინა მოსდევს, რომელიც ოთახს გაივლის და მარჯვენა კარიდან გადის.

ფრუ ალვინგი (ხელს უწვდის პასტორს). კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პასტორო!

პასტორი მანდერსი. გამარჯობათ, ფრუ ალვინგ! აი, ხომ ხედავთ, ჩამოვედი, როგორც ალგითქვით.

ფრუ ალვინგი. სიტყვის პატრონი ბრძანდებით.

პასტორი მანდერსი. მაგრამ მერწმუნეთ, ადვილი როდი იყო ქალაქიდან თავის დაღწევა. ამდენი საქველმოქმედო კომისიები და გამგეობები, რომლებშიაც მე ემონაწილეობ...

ფრუ ალვინგი. მით უფრო დასაფასებელია თქვენი გულისხმიერება, რომ ასე დროულად ჩამობრძანდით. ახლა კი ნამდვილად სადილობამდე მოვრჩებით საქმეს. კი მაგრამ, თქვენი ჩემოდანი სადაა?

პასტორი მანდერსი (სასწრაფოდ). აგენტთან დავტოვე. იქ ვათვე
ლამეს.

ფრუ ალვინგი (ლიმის იკაებს). ამჭერადაც ვერ ბედავთ ჩემთან
ლამის გათევას?

პასტორი მანდერსი. არა, არა ფრუ ალვინგ. უმორჩილესად
გმადლობთ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჭერადაც იქ
გავათვე ლამეს. ასე სჯობს, — ნავსადგურთანაც უფრო ახლოა.

ფრუ ალვინგი. ნება თქვენია... თუმცა, მე მგონია, ჩვენი ასაკის
ხალხი...

პასტორი მანდერსი. ღმერთო ჩემო, თქვენ კვლავ ძველებურად
ხუმრობთ! თუმცა გასაგებია, დღეს ხომ ისეთი მხიარული
ბრძანდებით. ჯერ ერთი, ხვალინდელი ზეიმისა და, მეორეც,
იმის გამო, რომ ოსვალდს, როგორც იქნა, დასწერეთ პირჯვარი
და ჩამოსვლაზე დაითანხმეთ!

ფრუ ალვინგი. დიახ, წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერი ვარ? ორი
წელია შინ არ ყოფილა, ახლა კი მპირდება, მთელ ზამთარს
შენთან გავატარებო.

პასტორი მანდერსი. მართლა? გულისხმიერებაც ამას ჰქვია.
შვილი მყავსო, თქვენ უნდა თქვათ! რადგან პარიზსა თუ
რომში ცხოვრება, ალბათ, გაცილებით უფრო საინტერესოა.

ფრუ ალვინგი. დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ
დედა მყავს. აჰ, ჩემი ძვირფასი, ჩემი საყვარელი ბიჭი!.. ყველა
ყველა და, დედა მინც უყვარს!..

პასტორი მანდერსი. ძალზე სამწუხაროც იქნებოდა, რომ გან-
შორებასა და იმნაირი საქმით გატაცებას, როგორცაა
ხელოვნება, ბუნებრივი გრძნობები და დედაშვილური სიყვარ-
ული ჩაეხშო.

ფრუ ალვინგი. რალა თქმა უნდა. მაგრამ ჩემს შვილს ეს საფრთხე
არ ემუქრება... რა სანახავი იქნება, იცნობთ თუ ვერა?
მოგვიანებით ჩამოვა; ახლა იქ, ზემოთ, დივანზე წვეს და
ისვენებს... მაგრამ დაბრძანდით, გეთაყვა, პასტორო მანდერს.

პასტორი მანდერსი. გმადლობთ, ესე იგი, თქვენ გნებავთ ახლავე
დავიწყოთ?

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ. (მაგიდას უჯდება).

პასტორი მანდერსი. კეთილი. მაშ, ასე... (სკამთან მიდის, რომელზედაც
მისი ჩანთა დევს, სავსე საქალაქის იღებს, მეორე მხრიდან უჯდება
მაგიდას და თავისუფალ ადგილს ეძებს ქალაქდებისათვის). უწინარეს
ყოვლისა... (სიტყვას აღარ ამთავრებს). მითხარით, გეთაყვა, ამ
წიგნებს აქ რა უნდა?

ფრუ ალვინგი. ამ წიგნებს?.. ამ წიგნებს მე ვკითხულობ, ბატონო პასტორო.

პასტორი მანდერსი. თქვენ ამნაირ წიგნებს კითხულობთ?

ფრუ ალვინგი. დიახ, ვკითხულობ.

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, თუ გრძნობთ, რომ მათი კითხვის წყალობით უფრო უკეთესი, ან უფრო ბედნიერი ხდებით?

ფრუ ალვინგი. მე მგონია, თითქოს უფრო ვმშვიდდები.

პასტორი მანდერსი. საკვირველია. მაინც როგორ?

ფრუ ალვინგი. ამ წიგნებში მე ეპოულობ ბევრი ისეთი რამის ახსნას და დასტურს, რაზედაც თვითონ მეც არაერთხელ მიფიქრია. საკვირველია, პასტორო მანდერს, რომ ამ წიგნებში, არსებითად, არაფერია ახალი; ასე ფიქრობს და ასევე სწამს აღამიანთა უმრავლესობას, მხოლოდ ანგარიშს ვერ აძლევს და ვერც ბედავს გამოუტყდეს საკუთარ თავს, რომ ეს ასეა..

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო! ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ უმრავლესობა...

ფრუ ალვინგი. დიახ, სავსებით სერიოზულად.

პასტორი მანდერსი. მაგრამ აქ, ჩვენშიც ხომ არაა?..

ფრუ ალვინგი. რატომაც არა?.. ჩვენშიც.

პასტორი მანდერსი. მართალი გითხრათ!..

ფრუ ალვინგი. კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა უნდა დაუპირისპიროთ ამ წიგნებს?

პასტორი მანდერსი. დაუპირისპირო? ხომ არ გგონიათ, რომ მათ კითხვას მოვეყვები?

ფრუ ალვინგი. ესე იგი, არც კი იცნობთ იმას, რასაცა ჰგმობთ?

პასტორი მანდერსი. მე საკმაოდ ბევრი რამ წამიკითხავს მათზე; ასე რომ, სრული უფლება მაქვს, მიუღებლად მიმაჩნდეს ისინი.

ფრუ ალვინგი. კი მაგრამ, თქვენი პირადი აზრი?

პასტორი მანდერსი. ძვირფასო ფრუ ალვინგ! ამ ცხოვრებაში ჩვენ ძალზე ხშირად სხვების აზრს ვეყრდნობით. ასე ყოფილა და, მადლობა ღმერთს, ასეც იქნება, თორემ ვაი ჩვენი საზოგადოების ბრალი.

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ; იქნებ, მართალიც ბრძანდებით.

პასტორი მანდერსი. თუმცა მე არ უარვყოფ იმას, რომ ამნაირმა წიგნებმა, ასე თუ ისე, შეიძლება დააინტერესონ კაცი. არც ის მიმაჩნია საძრახისად, რომ თქვენ გსურთ გაეცნოთ აზრის ეგრეთწოდებულ თანადროულ მიმართულებასა თუ მიმდინარეობას ევროპის იმ ღიდ ქვეყნებში, სადაც ამდენი ხნით გაუშვით თქვენი ვაჟი, მაგრამ...

ფრუ ალვინგი. რა მაგრამ?..

პასტორი მანდერსი (ხმას დაუწევს). მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენ, ფრუ ალვინგ! სრულიად ზედმეტია, გააგებინო ყველას, რას კითხულობ, ან რას ფიქრობ შენს საკუთარ სახლში.

ფრუ ალვინგი. რა თქმა უნდა, მეც მაგ აზრისა ვარ.

პასტორი მანდერსი. აბა, დაფიქრდით, ახლა ხომ მოვალე ხართ ანგარიში გაუწიოთ იმ თავშესაფარსაც, რომლის მოწყობაც ჯერ კიდევ მაშინ განიზრახეთ, როცა სულ სხვა თვალთ უყურებდით სულის ხსნის საქმეს, რამდენადაც მე შემიძლია ამაზე ვიმსჯელო, რალა თქმა უნდა.

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, საესებით გეთანხმებით. მაგრამ ჩვენ სწორედ ამ თავშესაფარზე...

პასტორი მანდერსი. დიახ, ჩვენ სწორედ ამ თავშესაფარზე უნდა გველაპარაკა. მაშ, ასე, ფრთხილად იყავით, ძვირფასო ფრუ ალვინგ! ახლა კი ჩვენს საერთო საქმეს მივხედოთ. (საქალაქს ხსნის და იქიდან ქალაქებს იღებს). აი, ხომ ხედავთ?..

ფრუ ალვინგი. საბუთებია?

პასტორი მანდერსი. დიახ, ყველა უკლებლივ; საბოლოოდ გაფორმებული და დამტკიცებული. დამერწმუნეთ, საკმაოდ ძნელი საქმე აღმოჩნდა მათი აღება. პირდაპირი იერიშის მიტანა დამკირდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიფრთხილეს იჩინენ ხელისუფალნი ამნაირი გადაწყვეტილებების დამტკიცებისას. (ქალაქებს ფურცლავს). აი, ბეკედლასშული აქტი, რომლის ძალითაც სულვიკს, თქვენი მამულის — რუსენვოლის კუთვნილ კარ-მიდამოს, ყველა ახალი ნაგებობით, სასკოლო შენობით, სამრეკლოთი და მასწავლებლების საცხოვრებლად განკუთვნილი სახლითურთ, სამუდამო მფლობელობაში გადასცემთ თავშესაფარს. აგერ კიდევ აქტი ფონდის დაარსებისა და ახალი თავშესაფარის წესდების დამტკიცების შესახებ. ხედავთ? (კითხულობს). „კაპიტან ალვინგის სახელობის საბავშვო თავშესაფარის წესდება“.

ფრუ ალვინგი (დიღხანს დასცქერის ქალაქს). მადლობა ღმერთს, როგორც იქნა!

პასტორი მანდერსი. კაპიტანის წოდება ვარჩიე კამერჰერისას. ეს უფრო მოკრძალებული და, მაშასადამე, უფრო შესაფერისიც იქნება.

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, როგორც თქვენ მიიჩნევთ უმჯობესად.

პასტორი მანდერსი. აი, შემნახველი სალაროს წიგნაკიც იმ ანაბრითურთ, რომლის პროცენტებიც თავშესაფარის შესანახი ხარჯების დაფარვას მოხმარდება.

ფრუ ალვინგი. გმადლობთ, მაგრამ კეთილი ინებეთ და თქვენვე დაიტოვეთ, — ასე აჯობებს.

პასტორი მანდერსი. კეთილი. მე მგონია, ფული, ჯერჯერობით, შემნახველ სალაროში უნდა დავტოვოთ. დანარიცხი რა თქმა უნდა, დიდი არ არის — სულ ოთხი პროცენტი, იმ პირობით, რომ თანხის გატანა ნახევარი წლის მანძილზე არ შეიძლება. მაგრამ თუ შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა, საკმაოდ მომგებიანი თამასუქით გავასესხოთ ფული, ამის თაობაზე მე და თქვენ უფრო საფუძვლიანად მოვილაპარაკებთ.

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, ძვირფასო პასტორო მანდერს, ყოველივე ეს თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

პასტორი მანდერსი. ასეა თუ ისე, ჩემის მხრივ, ცდას არ დავაკლებ. მაგრამ რამდენჯერ დავაპირე კიდევ ერთი რამ მეკითხა თქვენთვის.

ფრუ ალვინგი. მაინც?..

პასტორი მანდერსი. დავაზღვიოთ თუ არა თავშესაფრის ნაგებობანი?

ფრუ ალვინგი. რა თქმა უნდა.

პასტორი მანდერსი. მოითმინეთ, მოითმინეთ. მოდით, ყველაფერი გულდასმით ავეწონ-დავეწონოთ.

ფრუ ალვინგი. მე ყველაფერს ვაზღვევ — ნაგებობებსაც, მოძრავ ქონებასაც, პურსაც, საქონელსაც.

პასტორი მანდერსი. და სწორსაც შერებით. ეს თქვენი პირადი საკუთრებაა. მეც ასევე ვიქცევი, რალა თქმა უნდა. მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა. თავშესაფრის მიზანი ისე წმინდაა და მაღალი, რომ...

ფრუ ალვინგი. კი მაგრამ, ვთქვათ და მაინც...

პასტორი მანდერსი. პირადად მე, მართალი გითხრათ, ვერაფერს ვხედავ საძრახისს, რომ ყოველგვარი შემთხვევითობისაგან დავიზღვიოთ თავი...

ფრუ ალვინგი. მეც მაგ აზრისა ვარ.

პასტორი მანდერსი. ...მაგრამ რა თვალთ შეხედავენ ამას აქაურები? თქვენ მათ ჩემზე უკეთ იცნობთ.

ფრუ ალვინგი. ჰმ... აქაურები...

პასტორი მანდერსი. ნეტა ვიცოდე, რამდენია აქ საკმაოდ სოლიდური, დარბაისელი და გავლენიანი კაცი, რომელიც საძრახისად ჩაგვითვლის ამას?

ფრუ ალვინგი. კი მაგრამ, მაინც ვის უწოდებთ თქვენ საკმაოდ სოლიდურსა და გავლენიან კაცს?

- პასტორი მანდერსი.** ეისა და, ყველა დამოუკიდებელსა და, თავისი მდგომარეობის მიხედვით, იმდენად გავლენიან პირს, რომ მისი აზრისათვის ანგარიშის გაუწევლობა არ იქნება.
- ფრუ ალვინგი.** დიახ, აქ რამდენიმე ასეთი კაცი მოიყრის თავს, რომლებიც დაგვძრახავენ ამის გამო, თუკი...
- პასტორი მანდერსი.** აი, ხომ ხედავთ? ქალაქში კი ამნაირი ხალხი, რამდენიც გნებავთ, იმდენია. გაიხსენეთ თუნდაც ჩემი თანამოძმის ყველა მომხრე და მიმდევარი. ამნაირ ნაბიჯს ხელაღებით ჩამოგვართმევენ ურწმუნოებასა და უნდობლობაში უზენაესი მართლმსაჯულების მიმართ...
- ფრუ ალვინგი.** კი მაგრამ, ბატონო პასტორო, თქვენ მაინც ხომ იცით, რომ...
- პასტორი მანდერსი.** ცოდნით, რა თქმა უნდა, ვიცი. იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ასეა საჭირო. მაგრამ მაინც ვერავის მოვაშლევინებთ იმას, რომ უკუღმართად გაიგონ ჩვენი განზრახვა. ამნაირმა მითქმა-მოთქმამ კი შეიძლება აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს თვით საქმეს...
- ფრუ ალვინგი.** თუ ასეა, მაშინ...
- პასტორი მანდერსი.** შეუძლებელია ანგარიში არ გავუწიო იმ მძიმე მდგომარეობასაც, რომელშიაც შეიძლება თვითონ აღმოვჩნდე. ქალაქის მესვეურნი დიდ ინტერესს იჩენენ თავშესაფრის მიმართ, რომელმაც ნაწილობრივ უნდა დააკმაყოფილოს ქალაქის საჭიროებაც და, როგორც იმედოვნებენ, მნიშვნელოვნად გაგვიადვილოს ღარიბ-ღატაკთა პატრონობის საქმე. მაგრამ რაკილა მე ვიყავი თქვენი მრჩეველი და თავშესაფართან დაკავშირებულ ყველა საკითხს პირადად ვაწესრიგებდი, სრული საფუძველი მაქვს მეშინოდეს იმისა, რომ ეკლესიის ყველაზე გულმოდგინე მსახურთა რისხვა სწორედ მე დამატყდება თავზე.
- ფრუ ალვინგი.** ო, რა თქმა უნდა, თქვენ თავიდან უნდა აიცილოთ ეს.
- პასტორი მანდერსი.** იმ თავდასხმებზე აღარაფერს ვამბობ, რომლებითაც უთუოდ ამიკლებს ზოგიერთი ეურნალ-გაზეთი...
- ფრუ ალვინგი.** საკმარისია, ძვირფასო პასტორო მანდერს; მარტო ეს მოსაზრება ყველაფერს წყვეტს.
- პასტორი მანდერსი.** მაშასადამე, დაზღვევაზე უარს ამბობთ?
- ფრუ ალვინგი.** დიახ.
- პასტორი მანდერსი** (სკამის ზურგზე გადაწვება). კი მაგრამ, უბედურება რომ მოხდეს? რა ვიცი, ყველაფერია მოსალოდნელი! თქვენ ანაზღაურებთ ზარალს?

ფრუ ალვინგი. არა, გულახდილად მოგახსენებთ, ზარალის ანაზღაურებაზე უარს ვამბობ.

პასტორი მანდერსი. მაშინ, იცოდეთ, ფრუ ალვინგ, ჩვენ ისეთ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ, რომელიც გვაიძულებს დავფიქრდეთ.

ფრუ ალვინგი. თქვენის აზრით, განა შეგვიძლია სხვანაირად მოვიქცეთ?

პასტორი მანდერსი. არა, საქმეც ისაა, რომ არა. განა ვის ვაძლევთ იმის საბაბს, რომ უკულმართად იმსჯელონ ჩვენზე, და უფლებაც არა გვაქვს იმისა, რომ მრევლის უკმაყოფილება გამოვიწვიოთ.

ფრუ ალვინგი. ყოველ შემთხვევაში, თქვენ, როგორც პასტორი, ამის ნებას ვერ მისცემთ თავს.

პასტორი მანდერსი. მე მგონია, ჩვენ შეგვიძლია იმის იმედიც გვქონდეს, რომ ამნაირ დაწესებულებას ბედის წყალობა და უზენაესი მფარველობა არ მოაკლდება.

ფრუ ალვინგი. იმედი ვიქონიოთ, პასტორო მანდერს.

პასტორი მანდერსი. კეთილი და პატიოსანი. თანახმა ვარ. (იწერს). ესე იგი, არ ვაზღვევთ.

ფრუ ალვინგი. ისე კი, უცნაურია, რომ მაინცდამაინც დღეს ჩამოაგდეთ ამაზე სიტყვა...

პასტორი მანდერსი. ვინ იცის, რამდენჯერ დავაპირე მეკითხა თქვენთვის.

ფრუ ალვინგი. სწორედ გუშინ კინალამ ხანძარი გაგვიჩნდა.

პასტორი მანდერსი. რა?

ფრუ ალვინგი. ისე კი ადვილად გადავრჩით. მხოლოდ ბურბუშელას წაეკიდა ცეცხლი სახელოსნოში.

პასტორი მანდერსი. სადაც ენგსტრანი მუშაობს?

ფრუ ალვინგი. დიახ. ამბობენ, ძალზე გაუფრთხილებლად ისერის ასანთის ღერებსო.

პასტორი მანდერსი. ათასი საზრუნავით და საცთურითა აქვს თავი საესე. მადლობა უფალს, როგორც გავიგე, გამოსწორებას აპირებს თურმე.

ფრუ ალვინგი. მართლა? ვინ გითხრათ?

პასტორი მანდერსი. თვითონვე მიმტკიცებდა... თანაც, რა მაგარი მუშაა.

ფრუ ალვინგი. დიახ, თუ ფხიზელია...

პასტორი მანდერსი. ო, ეს საბედისწერო სისუსტე! მაგრამ ამტკიცებს, ხშირად ძალაუნებურად მიხდება სმა, ამ ჩემი

სახიჩარი ფეხის გამო. უკანასკნელად, ქალაქში რომ იყო, კინალამ გული ამიჩუყა. მოვიდა და ისეთი გულწრფელი მადლობა გადამიხადა იმის გამო, რომ სამუშაო ვუშოვე აქ, სადაც რეგინას გვერდით შეეძლო ყოფნა.

ფრუ ალვინგი. როგორც ჩანს, არც ისე ხშირად ნახულობს თავის ნანატრ შვილს.

პასტორი მანდერსი. რა ვიცი, მე კი მიმტკიცებდა, ყოველდღე მასთანა ვარო.

ფრუ ალვინგი. შეიძლება.

პასტორი მანდერსი. კარგად აქვს შეგნებული, რომ აუცილებლად ვილაცა უნდა ჰყავდეს გვერდით, ვინც იმის საშუალებას არ მისცემს, რომ თავის სისუსტეს დანებდეს. იაკობ ენგსტრანის ყველაზე მომხიბლავი თვისება ისაა, რომ ხშირად მოდის საცოდავი, სუსტი, უმწეო და გულწრფელად ინანიებს თავის სისუსტეს... იცით რა, ფრუ ალვინგ, მართლაც სულიერ მოთხოვნილებად რომ ექცეს და აუცილებელი შეიქნეს მისთვის, რომ რეგინა გვერდით ჰყავდეს...

ფრუ ალვინგი (წამოიკრება). რეგინა?!

პასტორი მანდერსი. ...თქვენი მხრივ, წინააღმდეგობის გაწევა ცოდვა იქნება.

ფრუ ალვინგი. არა, წინააღმდეგობას გავუწევ კი არა, მეტსაც ვიზამ. ეგეც არ იყოს... რეგინა თავშესაფარში მიიღებს ადგილს.

პასტორი მანდერსი. მაგრამ დაფიქრდით, ენგსტრანი მაინც მამაა მისი.

ფრუ ალვინგი. მისი მამობის ამბავი მე უკეთ ვიცი. არა, რამდენადაც მე მეკითხება, რეგინა არასოდეს არ დაუბრუნდება მას.

პასტორი მანდერსი (ღებვა). კი მაგრამ, ძვირფასო ფრუ ალვინგ, ასე რად ლელავთ? თუმცა კი ძალზე სამწუხაროა, რომ ასეთი ცუდი აზრისა ხართ დურგალ ენგსტრანზე. თითქოს შეშინდით კიდევ...

ფრუ ალვინგი (უფრო მშვიდად). ასეა თუ ისე, რეგინა მე გავზარდე და ჩემთანვე დარჩება. (რალაცას აყურადებს). სუუ... მოვრჩეთ, ძვირფასო პასტორო მანდერს, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. (სიხარულით უბრწყინავს სახე). გესმით, ოსვალდი ჩამოდის კიბეზე. ახლა კი მხოლოდ მას მივხედოთ!

სარცხენა კარიდან შემოდის ოსვალდ ალვინგი; მსუბუქი პალტო აცვია, შლიაპა ახურავს; გრძელტარიან ჩიბუხს ეწევა.

ოსვალდი (კარში ჩერდება). მომიტევეთ, მე მეგონა კანტორაში იყავით. (უახლოვდება). გამარჯობათ, ბატონო პასტორო!

პასტორი მანდერსი (გაოგნებული). ა!.. საოცარია!..

ფრუ ალვინგი. აბა, რას იტყვით, პასტორო მანდერს?

პასტორი მანდერსი. რას ვიტყვი?.. რას და... არა, ნუთუ მართლა?..

ოსვალდი. ღიახ, ღიახ, თქვენს წინაშე, ბატონო პასტორო, მართლაც ის შეტომილი ძეა.

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო...

ოსვალდი. მაშინ დავსძინოთ: რომელიც შინ დაბრუნდა.

ფრუ ალვინგი. ოსვალდი იმ დროს გულისხმობს, როცა თქვენ გადაქრით ალუდექით წინ მის განზრახვას, მხატვარი უნდა გამოვიდეთ.

პასტორი მანდერსი. ადამიანის თვალს ბევრი რამ შეიძლება საექვოდ მოეჩვენოს, რაც შემდეგ მაინც... (ხელს აართმევს ოსვალდს). აბა, გამარჯობათ, გამარჯობათ! კი მაგრამ, ძვირფასო ოსვალდ... ხომ არ გწყინთ, ასე შინაურულად რომ მოგმართავთ?

ოსვალდი. როგორ გეკადრებათ?

პასტორი მანდერსი. კეთილი. ჰო, აი, რის თქმას ვაპირებდი, ძვირფასო ოსვალდ: არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს მე ხელაღებით ვგმობდე მხატვრებს. ჩემის აზრით, მათ წრეშიაც ბევრს შეუძლია შეინარჩუნოს სულის სიწმინდე.

ოსვალდი. ალბათ, ასეა.

ფრუ ალვინგი (სახეგაბრწყინებული). მე ვიცნობ ერთ ასეთ მხატვარს, რომელმაც წმინდად შეინარჩუნა სულიც და სხეულიც. აბა, შეხედეთ ჩემს შვილს, პასტორო მანდერს!

ოსვალდი (ოთახში დაბრიალობს). კარგი რა, დედა, მოვეშვით ამას!

პასტორი მანდერსი. მართლაცდა, ამის უარყოფა არ შეიძლება. ეგეც არ იყოს, უკვე სახელსაც იხვევტ. გაზეთებში ხშირად გახსენებდნენ და ბევრსაც გაქებდნენ. თუმცა ამ ბოლო დროს თითქოს მიჩუმდნენ.

ოსვალდი (ყვავილების მახლობლად). ბოლო ხანს იმდენს ვეღარ ვმუშაობდი.

ფრუ ალვინგი. მხატვარსაც სკირდება დასვენება.

პასტორი მანდერსი. გეთანხმებით. ეგეც არ იყოს, მომზადებაც, ძალღონის მოკრებაც ხომ საჭიროა რაღაც მნიშვნელოვანის შესაქმნელად.

ოსვალდი. დიახ... მალე ვისადილებთ, დედა?

ფრუ ალვინგი. ნახევარ საათში. მადლობა ღმერთს, უმადობას არ უჩივის.

პასტორი მანდერსი. ეწევა კიდევ.

ოსვალდი. ზემოთ მამაჩემის ჩიბუხი ენახე და აი...

პასტორი მანდერსი. აა, აი, თურმე რა ყოფილა?

ფრუ ალვინგი. მაინც?

პასტორი მანდერსი. როდესაც ოსვალდი ამ ჩიბუხის წვეით შემოვიდა, გარწმუნებთ, ცოცხალი მამამისი დამიდგა თვალწინ.

ოსვალდი. მართლა?

ფრუ ალვინგი. რას ბრძანებთ? ოსვალდი ჩემი ალი-კვალია.

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, პირი, ბაგეები... არა, არა, ზედგამოკრილი მამამისია; მით უმეტეს, როცა ეწევა.

ფრუ ალვინგი. სცდებით. მე მგონია, პირის კრილითა და ბაგეებით ოსვალდი პასტორს უფრო წააგავს.

პასტორი მანდერსი. დიახ, დიახ, ბევრ ჩემს კოლეგას სწორედ ამნაირი მოყვანილობის პირი აქვს.

ფრუ ალვინგი. გადააგდე ეგ ჩიბუხი, ჩემო ძვირფასო. ვერ ვიტან, როცა აქ ეწევიან.

ოსვალდი (ემორჩილება). ბატონი ბრძანდებით. მე მხოლოდ ისე, მოვსინჯავე-მეთქი, ვიფიქრე, ვინაიდან ბავშვობაში ერთხელ უკვე მომიწევია.

ფრუ ალვინგი. შენ?... მოგიწევია?..

ოსვალდი. დიახ, როცა სულ პატარა ვიყავი. მახსოვს, ერთხელ, საღამო ხანს, მამაჩემთან შევედი... ძალიან მხიარულ გუნებაზე იყო...

ფრუ ალვინგი. არა, იმდროინდელი არაფერი არ გახსოვს.

ოსვალდი. ძალიან კარგად მახსოვს. ამიყვანა, მუხლზე დამისვა და ჩიბუხი მომცა. მოსწიე, შვილიყო, მაგრა მოქაჩეო, მეუბნებოდა. მეც ვეწეოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, სანამ სულ მთლად არ გადავფითრდი და შუბლზე ცივმა ოფლმა არ დამასხა. მაშინ კი გულიანად გადაიხარხარა.

პასტორი მანდერსი. კმ... ძალზე უცნაურია.

ფრუ ალვინგი. აჰ, არა, ოსვალდს, ალბათ ესიზმრა.

ოსვალდი. არა, დედა, სიზმარი რა შუაშია? შემდეგ — ნუთუ არ გახსოვს?.. შენ შემოხვედი და ჩემს ოთახში გამიყვანე. იქ ცუდად გაეხდით, შენ კი ტიროდი... მამას, საერთოდ, უყვარდა ასეთი ხუმრობა.

პასტორი მანდერსი. ახალგაზრდობაში დიდი მომღბენი და მხიარული კაცი იყო.

ოსვალდი. და მაინც, რამდენი რამე მოასწრო თავის სიცოცხლეში; რამდენი კარგი, საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთა. თანაც ბებერი ხომ არ მომკვდარა!

პასტორი მანდერსი. დიახ; თქვენ მემკვიდრეობით გადმოგეცათ კემშარიტად ქმედითი და ღირსეული კაცის სახელი, ძვირფასო ოსვალდ ალვინგ. იმედია, მისი მაგალითი შთაგაგონებთ...

ოსვალდი. ალბათ, უნდა შთამაგონოს...

პასტორი მანდერსი. ყოველ შემთხვევაში, კარგად მოიქეცი, რომ მისი ხსოვნის აღსანიშნავი ღლისათვის დაბრუნდით შინ.

ოსვალდი. რა სათქმელია... მამის გულისთვის...

ფრუ ალვინგი. ყველაზე კარგი მაინც ისაა. რომ დათანხმდა ერთხანს დედასთან დარჩეს.

პასტორი მანდერსი. ჰო, მართლა, გავიგე, მთელ ზამთარს აქ აპირებთ თურმე დარჩენას.

ოსვალდი. ერთხანს დავრჩები, ბატონო პასტორი... არა, მაინც რა კარგია შინ დაბრუნება!

ფრუ ალვინგი (სახეგაბრწყინებული). კარგია, არა?

პასტორი მანდერსი (თანაგრძნობით უყურებს ოსვალდს). თქვენ ადრე აფრინდით მშობლიური ბუდიდან, ძვირფასო ოსვალდ.

ოსვალდი. დიახ, ხანდახან მეჩვენება, მეტისმეტად ნაადრევი ხომ არ იყო-მეთქი?

ფრუ ალვინგი. რას ამბობ? სულით და ხორცილთ ჭანსალი ახალგაზრდისათვის ეს სასარგებლოცაა. მით უმეტეს, თუ ის დედისერთაა. რატომ უნდა ამყოფო შინ გამოკეტილი, დედ-მამის ფრთებქვეშ შეყუყუელი? მხოლოდ განებიერდება.

პასტორი მანდერსი. ო, ეს საკმაოდ სადავო საკითხია, ფრუ ალვინგ. მშობლიური სახლი იყო, არის და იქნება ის თბილი ბუდე, სადაც მოზარდი უნდა წამოიჩიტოს.

ოსვალდი. საესებით ვიზიარებ პასტორის აზრს.

პასტორი მანდერსი. ავიღოთ თუნდაც თქვენი ვაჟი. ხომ არაფერს ვაშავებთ, მისი თანდასწრებით რომ ვლაპარაკობთ?.. რა შედეგი გამოიღო ამან? აგერ უკვე ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლისაა და ჭერაც არ უგრძენია ხეირიანად მშობლიური კერის სიბო.

ოსვალდი. მომიტევეთ, ამაში კი სცდებით, ბატონო პასტორო.

პასტორი მანდერსი. ეცდები? მე შეგონა, რომ თქვენ მხოლოდ და მხოლოდ მხატვრების წრეში ტრიალებდით.

ოსვალდი. მერე რა?

პასტორი მანდერსი. უპირატესად კი — ახალგაზრდების გარემოცვაში.

ოსვალდი. დიახ.

პასტორი მანდერსი. ჩემის აზრით, მათ უმრავლესობას იმის საშუალება არა აქვს, რომ დაქორწინდეს და საკუთარი ოჯახი შექმნას.

ოსვალდი. დიახ, ბევრ მათგანს ამის საშუალება არა აქვს, ბატონო პასტორო.

პასტორი მანდერსი. აი, ხომ ხედავთ? მეც სწორედ მაგას ვგულისხმობ.

ოსვალდი. მიუხედავად ამისა, მაინც ქმნიან თავიანთ ოჯახურ კერებს, და ზოგიერთს ძალზე მყუდრო კერაცა აქვს.

ფრუ ჯონგო, რომელიც დაძაბული უვრალეობით უსმენს საუბარს, უსიტყვოდ უქნევს თავს.

პასტორი მანდერსი. მე მარტოხელა კაცის კერას კი არ ვგულისხმობ, არამედ ნამდვილ ოჯახს, ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრებას.

ოსვალდი. დიახ, ან კიდევ — შვილებთან და საკუთარი შვილების დედასთან ერთად.

პასტორი მანდერსი (შეკრთება და ხელი-ხელს შემოკრავს). ღმერთო ჩემო!..

ოსვალდი. რა?

პასტორი მანდერსი. საკუთარი შვილების დედასთან ერთად ცხოვრება!..

ოსვალდი. თქვენის აზრით, უკეთესია მიატოვო საკუთარი შვილების დედა?

პასტორი მანდერსი. მაშ, თქვენ მხარს უჭერთ უკანონო კანშირს? ეგრეთწოდებულ „ველურ“ ქორწინებებს?

ოსვალდი. თანაცხოვრების ამნაირ წესში მე პირადად ვერაერთარ ველურობას ვერ ვხედავ.

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, განა შეიძლება, რომ მეტ-ნაკლებად წესიერად აღზრდილი კაცი ან ყმაწვილი ქალი ამნაირ ცხოვრებას დათანხმდეს? თანაც, ასე დაუფარავედ, სახალხოდ და სააშკარაოდ?

ოსვალდი. მაშ, რა ქნან? ახალგაზრდა ღარიბი მხატვარი და არანაკლებ ღარიბი ქალიშვილი... ქორწინება ძვირია. მეტი რა ღარჩენიათ? მე გეკითხებით, მაშ, რა ქნან-მეთქი?

- პასტორი მანდერსი.** რა ქნან? მოგახსენებთ, ბატონო ალვინგ. რა და, უწინარეს ყოვლისა, სულაც ნუ გაეკარებიან ერთიმეორეს, — აი, რა!
- ოსვალდი.** ეჰ, ამნაირი სიტყვებით თქვენ ერთმანეთს ვერ დააშორებთ ახალგაზრდებს, რომლებსაც ვნებიანად, თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი.
- ფრუ ალვინგი.** რა თქმა უნდა, ვერ დააშორებთ.
- პასტორი მანდერსი (განაგრძობს).** მერედა, როგორ ურიგდებიან ხელისუფალნი ამას? როგორ ითმენენ ამ სისაძაგლეს? (ფრუ ალვინგის წინ ჩერდება). ახლა ხომ ხედავთ, მქონდა თუ არა საფუძველი, როცა თქვენი ვაჟის მომავალი მაშინებდა? იმ წრეში, სადაც უზნეობა ასე აშკარად ვლინდება, სადაც ის არავის მიაჩნია საძრახისად...
- ოსვალდი.** ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, ბატონო პასტორო, რომ მე ორ-სამ ამნაირ „უწესო“ სახლში ვატარებდი თითქმის ყოველ კვირას!
- პასტორი მანდერსი.** კმ... თანაც, კვირას?!
- ოსვალდი.** დიახ, სწორედ კვირაა გართობის დღე. მაგრამ ერთხელაც არ გამიგონია რაიმე უხამსობა, უზნეობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. არა, იცით, სად და როდის წაეწყდომივარ უზნეობას მხატვართა წრეში?
- პასტორი მანდერსი.** არა, მადლობა ღმერთს, არ ვიცი.
- ოსვალდი.** მაშინ გავკადნიერდები და გეტყვით. უზნეობის მოწმე მაშინ გავმხდარვარ, როცა ჩვენი რომელიმე თანამემამულე შემოგვივილიდა ხოლმე, სანიმუშო მეუღლე, ოჯახის ღირსეული მამა; და ჩვენ, მხატვრებს, იმდენ პატივს დაგვდებდა, რომ იაფფასიან სამიკიტნოებში ჩვენთან ყოფნას არ თაკილობდა და თავისი სტუმრობით გვაბედნიერებდა. აბა, სიბილწე იქ იყო, თუ იყო! ეს ვაჟბატონები იმნაირ ადგილებზე გველაპარაკებოდნენ და იმნაირ ამბებს გვიყვებოდნენ, რაც ჩვენ, საბრალო მხატვრებს, სიზმრადაც არ მოგვლანდებია.
- პასტორი მანდერსი.** როგორ?! თქვენ ამტკიცებთ, რომ დარბაისელი ადამიანები, ჩვენი თანამემამულენი...
- ოსვალდი.** კი მაგრამ, ნუთუ უცხოეთში ნამყოფი ამ დარბაისელი ვაჟბატონებისაგან არასოდეს მოგისმენიათ, რა სწრაფად იზრდება უზნეობა საზღვარგარეთ?
- პასტორი მანდერსი.** რა თქმა უნდა...
- ფრუ ალვინგი.** მეც გამიგონია.
- ოსვალდი.** შეგიძლიათ ენდოთ: ყველაფერი ისეა, როგორც ყვებიან. დიახ, მათ შორის ნამდვილ მცოდნეებსაც შეხვდებით. (თავში

წაივლებს ხელს). ოო! ასე ამოსვარო ლაფში ეს მშვენიერი, ნათელი, ლალი, თავისუფალი ცხოვრება!

ფრუ ალვინგი. ასე ნუ ლელავ, ოსვალდ. ხომ იცი, გავნებს.

ოსვალდი. დიახ, მართალი ხარ, მავნებს... სულ ამ წყეული დაღლილობის ბრალია. წაველ, სადილობამდე ცოტას გავივლი. მომიტევეთ, ბატონო პასტორო... ნუ გამიწყურებით, თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა. (მარჯვენა კარიდან გადის).

ფრუ ალვინგი. ჩემი საბრალო ბიჭი!..

პასტორი მანდერსი. დიახ, მართლაც რომ საბრალოა. აი, სადამდე მივიდა.

ფრუ ალვინგი ჩუბად უცქერის.

(ბოლთასა სცემს). შეცთომილი ძე ვარო, ასე თქვა! ქეშმარიტად!..

ფრუ ალვინგი კვლავ უსიტყვოდ უცქერის.

თქვენ რალას იტყვიო?

ფრუ ალვინგი. ჩემის აზრით, ოსვალდი თავიდან ბოლომდე მართალია.

პასტორი მანდერსი. მართალია?.. ამნაირი შეხედულებების პატრონი მართალია?

ფრუ ალვინგი. ჩემს სიმარტოვეში მეც ამნაირ შეხედულებამდე მივედი, პასტორო მანდერს. მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა, ამ თემებზე მელაპარაკა. ახლა კი ჩემი შვილი ილაპარაკებს ჩემს მაგივრად.

პასტორი მანდერსი. მებრალებით, ღმერთმანი, მებრალებით, ფრუ ალვინგ. მაგრამ ახლა სერიოზული შეგონებით უნდა მოგმართოთ. ამჯერად თქვენს წინაშე თქვენი მრჩეველი და რწმუნებული, თქვენი მეუღლის ძველი მეგობარი კი არ დგას, არამედ სულიერი მამა და მოძღვარი, ისევე, როგორც თქვენი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტში.

ფრუ ალვინგი. მერედა, რას მიბრძანებს ჩემი სულიერი მამა და მოძღვარი?

პასტორი მანდერსი. უწინარეს ყოვლისა, ერთ რამეს შეგახსენებთ. სწორედ რომ დროა. ხვალ სრულდება თქვენი მეუღლის გარდაცვალების ათი წლისთავი. ხვალ გაიხსნება განსვენებულის ძეგლი. ხვალ სიტყვით გამოვალ მის საპატივცემულოდ შეკრებილ ხალხის წინაშე... დღეს კი მხოლოდ თქვენ ერთს მოგმართავთ.

ფრუ ალვინგი. კეთილი, ბატონო პასტორო, ბრძანეთ.

პასტორი მანდერსი. გახსოვთ თუ არა, რომ ქორწინებიდან სულ რალაც ერთი წლის თავზე უფსკრულის პირას აღმოჩნდით.

მიატოვეთ თქვენი სახლ-კარი, თქვენი ოჯახი და ქმარს გაექეცით... დიახ, ფრუ ალვინგ, გაექეცით, გაექეცით და დაბრუნებაზე, ქმრის ვედრების მიუხედავად, უარს ამბობდით...

ფრუ ალვინგი. ნუთუ დაგავიწყდათ, რა უბედური ვიყავი ქორწინების პირველ წელს?

პასტორი მანდერსი. აი, სწორედ ესაა მეამბოხური სულისკვეთება, ბედნიერების ეს შლეგური მოთხოვნა მანცდამანც აქ, ამ ცოდვილ მიწაზე! რა უფლება გვაქვს ჩვენ, ადამიანებს, ბედნიერები ვიყოთ? არა, ფრუ ალვინგ, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვმართებს: შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი ვალი. თქვენთ ვალი კი ის იყო, რომ სამარადისოდ მისი ერთგული ყოფილიყავით, ვინც ერთხელ და სამუდამოდ აირჩიეთ თქვენს თანამგზავრად და ვისაც წმინდათა-წმინდა კავშირით დაუკავშირეთ თქვენი ბედი.

ფრუ ალვინგი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა აღვირახსნილი ცხოვრებითაც ცხოვრობდა ალვინგი მაშინ.

პასტორი მანდერსი. დიახ, მე კარგად ვიცი, რასაც ამბობდნენ მასზე. და ყველაზე ნაკლებ სწორედ მე შემიძლია ვიწონებდე მის იმდროინდელ ქცევას, თუკი საერთოდ ვერწმუნებდი ქორებს. მაგრამ ცოლი არავის დაუყენებია ქმრის მსაჯულად. თქვენი მოვალეობა იყო, უდრტვინველად გეტვირთათ ჯვარი, რომელიც განგების უზენაესმა ნებამ აგკიდათ მხრებზე. თქვენ კი, ნაცვლად ამისა, აღშფოთდით და მოისროლეთ ჯვარი, მიატოვეთ გზას აცდენილი, ვისი მეგზურიც უნდა ყოფილიყავით, კინალამ დალუპეთ თქვენი კეთილი სახელი და ლამის სხვებისაც ზედ მიაყოლეთ.

ფრუ ალვინგი. სხვების? ალბათ, „სხვისი“ გინდოდათ გეთქვათ.

პასტორი მანდერსი. თქვენის მხრივ უკიდურესი უგუნურება იყო, თავშესაფარი გექებნათ ჩემთან.

ფრუ ალვინგი. ჩემს სულიერ მოძღვართან? ჩვენი ოჯახის მეგობართან?

პასტორი მანდერსი. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამიტომ. დიახ, მაღლი შესწირეთ გამჩენს, რომ მე მეყო სულის სიმტკიცე... რომ შევეძელი ხელი ამელეზინებინა თქვენს უგუნურ განზრახვაზე და უფლის შეწევნით დამებრუნებინეთ მოვალეობის გზაზე, ოჯახისა და კანონიერი მეუღლისათვის.

ფრუ ალვინგი. დიახ, პასტორო მანდერს, ეს სწორედ თქვენ მოახერხეთ.

პასტორი მანდერსი. მე მხოლოდ უბადრუკი იარაღი ვიყავი უზენაესის

ხელში. და განა პირადად თქვენი და მთელი თქვენი შემდგომდროინდელი ცხოვრების სასიკეთოდ არ შეეძელი დამერწმუნებინეთ, კვლავ გეტვირთათ თქვენი ჯვარი და ქელი მოგეხარათ მოვალეობის წინაშე? განა სიტყვასიტყვით არ ახდა ყველაფერი, რაც მაშინ გიწინასწარმეტყველეთ? განა ალვინგმა ხელი არ აიღო თავის ძველ ცთომაზე, როგორც შეშვენის მოსიყვარულე ქმარს? განა მას შემდეგ, ალვინგის გარდაცვალებამდე, სიამტკბილობით არ ცხოვრობდით ერთად? განა თავისი კუთხის ქეშმარიტი მწყალობელი და კეთილისმყოფელი არ გახდა და განა არ აგამალლათ თქვენც, თავის თანაშემწედ და თანამდგომად რომ გაქციათ? ღირსეულ, საქმიან თანაშემწედ, — დიახ, ჩემთვის ეს ცნობილია, ფრუ ალვინგ, და ამისთვის დიდ პატივსაც გცემთ. მაგრამ, აი, მე უკვე მივადექი თქვენი ცხოვრების მეორე დიდ შეცდომას თუ შეცოდებას.

ფრუ ალვინგი. მაინც რას გულისხმობთ?

პასტორი მანდერსი. როგორც ოდესღაც უგულუბელუყავით მეუღლის მოვალეობანი, უფრო გვიან, ასევე უგულუბელუყავით დედის მოვალეობაც.

ფრუ ალვინგი. ა!..

პასტორი მანდერსი. თქვენ ყოველთვის შეპყრობილი იყავით თვითნებობის საბედისწერო სულისკვეთებით. თქვენი სიმპათიები ყოველთვის უსაწყისობისა და უკანონობის მხარეზე იდგა. თქვენ ვერასოდეს ვერ იტანდით ვერავითარ ბორკილს, თავისუფლების ვერავითარ შეზღუდვას. ყველაფრის მიუხედავად, სინიღისის ქენჯნის გარეშე ცდილობდით თავიდან მოგეშორებინათ ყოველგვარი ტვირთი, თითქოს მისი ზიდვა ან არზიდვა მხოლოდ თქვენს ნება-სურვილზე ყოფილიყოს დამოკიდებული. მოგებზრდათ მეუღლის მოვალეობის შესრულება და — ქმრისგან წახვედით; გული გაგიწყალათ დედის მოვალეობამ და — სხვას მიაბარეთ თქვენი შვილი.

ფრუ ალვინგი. მართალია, ასე მოვიქეცი.

პასტორი მანდერსი. ჰოდა, აი, ხომ ხედავთ, რა უცხო გახდით მისთვის?

ფრუ ალვინგი. არა, არა!

პასტორი მანდერსი. თავს ნუ იტყუებთ, — გახდით. უნდა გამხდარიყავით. ან, რანაირი დაგიბრუნდათ? თავად განსაჯეთ, ფრუ ალვინგ. თქვენ ბევრი ცოდვა მიგიძღვით ქმრის წინაშე და ახლალა აღიარებთ ამას, სწორედ ამ აღიარების გამოხატულებაა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი. მაშ, აღიარეთ თქვენი დანაშაულიც შვილის წინაშე. იქნებ, ჯერ კიდევ არ არის გვიან, რომ ქეშმარიტების გზაზე მოაქციოთ იგი?

თავადაც მოიქეცით და ეცადეთ გადაარჩინოთ მასში ის, რისი გადარჩენაც ჭერ კიდეც შეიძლება. დიახ! (მალა სწევს საჩვენებელ თითს). ქეშმარიტად ცოდვილი დედა ბრძანდებით, ფრუ ალვინგ! ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, დაუფარავედ მოგახსენოთ ეს.

დუმილი.

ფრუ ალვინგი (ნელა, სრული თვითფლობით). მაშ, ასე, თქვენი აზრი გულახდილად გამოთქვით, პასტორო მანდერს. ხვალ კი საჯარო სიტყვას მიუძღვნით ჩემს ქმარს. ხვალ მე არ ვილაპარაკებ. მაგრამ ახლა მეც მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ, ისევე, როგორც თქვენ მითხარით მე.

პასტორი მანდერსი. რა თქმა უნდა: ახლა თავის გასამართლებელ მიზეზებს დაუწყებთ ძებნას.

ფრუ ალვინგი. არა, მხოლოდ ჩემს ამბავს მოგიყვებით.

პასტორი მანდერსი. ბრძანეთ.

ფრუ ალვინგი. რაც ახლა თქვენ ჩემს ქმარსა და ჩვენს ერთობლივ ცხოვრებაზე თქვით, იმდროიდან მოყოლებული, როცა, თქვენივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ღვთის შეწევნით, შესძელით მოვალეობის გზაზე დაგებრუნებინეთ, — ყოველივე ამის მოწმე პირადად არა ყოფილხართ. მას შემდეგ თქვენ, ჩვენს მეგობარს და მუდმივ სტუმარს, ფეხი არ დაგიდგამთ ჩვენს სახლში.

პასტორი მანდერსი. შერიგების შემდეგ ხომ დაუყოვნებლივ აქ გადმოსახლდით?

ფრუ ალვინგი. დიახ, მაგრამ ჩემი ქმრის სიცოცხლეში ერთხელაც აღარ გეწვევიხართ. შემდგომშიც მხოლოდ იმიტომ მნახულობდით ხოლმე, რომ არ შეუშინდით სიძნელეს და პირადად ჩაუდექით სათავეში თავშესაფრის მშენებლობის საქმეს.

პასტორი მანდერსი (ნელა, ყოყმანით). ელენე... თუ ეს ყველდებაა, გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ...

ფრუ ალვინგი. ...თქვენს მდგომარეობას და წოდებას, არა? ეგეც არ იყოს, მე ხომ ის ქალი ვარ, თავის დროზე, ქმარს რომ გაექცა. ამნაირი თავქარიანი არსებებისგან კი უმჯობესია შორს გეკიროს თავი.

პასტორი მანდერსი. ძვირფასო... ფრუ ალვინგ, ეს უკვე მეტისმეტია.

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთია. მე მარტო იმის თქმა მინდოდა, რომ ჩემს ოჯახურ ცხოვრებაზე მსჯელობისას თქვენ მხოლოდ ხალხში გავრცელებულ აზრს ეყრდნობით.

- პასტორი მანდერსი.** ვთქვით და, მართლაც ასეა; მერე რა?
- ფრუ ალვინგი.** რა და... ახლა კი მთელ სიმართლეს გეტყვით, მანდერს. ჩემ თავს სიტყვა მივეცი, რომ აღრე თუ გვიან ყველაფერს შეიტყობდით. მხოლოდ თქვენ!
- პასტორი მანდერსი.** მაინც რაში მდგომარეობს ეგ სიმართლე?
- ფრუ ალვინგი.** რაში?... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ქმარი იოტის ოდენადაც არ შეეცვლილა: რა აღვირახსნილიც გახლდათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, სიკვდილამდისაც იმაღვე დარჩა.
- პასტორი მანდერსი** (სკამის ზურგს ჩააფრინდება). რას მეუბნებით?...
- ფრუ ალვინგი.** ჩვენი ერთად ცხოვრების ცხრამეტი წლის მანძილზე ისეთივე გარყვნილი, ან, თუ გნებავთ, თავისი ვნებების ისეთივე მონა იყო, როგორც მაშინ, როდესაც ჭვარი დაგვეწერეთ.
- პასტორი მანდერსი.** ესე იგი, ახალგაზრულ თავქარიანობას, ზოგიერთ შეცდომას და... დროსტარებას თქვენ გარყვნილებად თვლით?
- ფრუ ალვინგი.** ამ სიტყვით აფასებდა მის საქციელს ჩვენი ექიმი.
- პასტორი მანდერსი.** მართალი გითხრათ, არ მესმის თქვენი.
- ფრუ ალვინგი.** არცაა საჭირო.
- პასტორი მანდერსი.** ღმერთმანი, თავბრუ მესხმის... ესე იგი, მთელი თქვენი ცოლ-ქმრობა, მთელი ეს ხანგრძლივი ერთობ-ლივი ცხოვრება სხვა არა იყო რა, თუ არა უფსკრული, კარგად შენიღბული უფსკრული?
- ფრუ ალვინგი.** დიახ. ახლა ხომ გესმით?
- პასტორი მანდერსი.** ამას... ამას, ალბათ, დიდხანს ვერ მოვიწინებ. გონს ვერ მოვსულვარ... კი მაგრამ, როგორ ვერავინ გაიგო?
- ფრუ ალვინგი.** დღეღამე გამწარებით ვიბრძოდი სწორედ იმის გულისთვის, რომ ვერავის გაეგო. ოსვალდი რომ დაიბადა, ალვინგი თითქოს კეუაში ჩავარდა და გამოსწორებაც დააპირა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე, და მე იძულებული შევიქენი კვლავ ჩაებმულიყავი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რათა ვერავინ მიმხედარიყო, რა კაცია ჩემი შვილის მამა. თანაც ხომ იცით, რა მომხიბლავი გარეგნობის კაცი იყო, ყველას მოსწონდა. ვის მოუვიდოდა თავში აზრად, რაიმე ცუდი ეფიქრა მასზე? ამნაირ ხალხზე, ქვეყანაც რომ დააქციონ, ძვირს ვერავის ათქმევინებ. მაგრამ იცით რა, მანდერს? დანარჩენიც უნდა შეიტყოთ... შემდეგ უკვე წარმოუდგენელ სიბინძურესა და სიბილწემდე მივიდა საქმე.

პასტორი მანდერსი. უფრო უარეს სიბილწემდე?

ფრუ ალვინგი. ჯერ თავი ისე მექირა, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს ნამალევედ სახლს გარეთ. მაგრამ როცა მთელი ეს სიბინძურე ამ კედლებშია შემოიჭრა...

პასტორი მანდერსი. რას მეუბნებით? აქაც?

ფრუ ალვინგი. დიახ, აქაც, ჩემს საკუთარ სახლშიც. აი, იქ, (ხელით ანიშნებს მარჯვენა კარზე). სასადილოში, პირველად გავიგე ეს. რალაც საქმეზე შევედი, კარი კი ნახევრად ღია დამრჩა. უცებ მესმის, ბალიდან ვერანდაზე ამოდის ჩვენი მოახლე; ყვავილები უნდა მოერწყა...

პასტორი მანდერსი. მერე, მერე?..

ფრუ ალვინგი. ცოტა ხნის შემდეგ გავიგონე, რომ ალვინგიც გამოვიდა, რალაცა ჩაუჩურჩულა და უცებ... (ნერვიული სიცილით). ო, ეს სიტყვები ღღემდე ჩამესმის ყურში... რა შემზარავია და, თან, რა უაზრო ყველაფერი!.. დიახ, უცებ ჩემმა მოახლემ ჩუმად დაიკვნესა: „გამიშვით, ბატონო კამერპერო, გამიშვით-მეთქი!“

პასტორი მანდერსი. რა მიუტყვევებელი ქარაფშუტობაა! მაგრამ მხოლოდ ქარაფშუტობა და მეტი არაფერი, ფრუ ალვინგ. დამერწმუნეთ!

ფრუ ალვინგი. სულ მალე მივხვდი ყველაფერს, რაც უნდა მერწმუნა. კამერპერმა მაინც მიაღწია თავისას... და ამ კავშირმა თავისი სავალალო შედეგიც გამოიღო, პასტორო მანდერს.

პასტორი მანდერსი (მეხდაცემულივით). და ყველაფერი ეს აქ; ამ სახლში მოხდა?

ფრუ ალვინგი. ვინ მოსთვლის, რამდენი სიმწარე მახსოვს ამ სახლში. გარე-გარე რომ არ ეწანწალა, იძულებული ვიყავი საღამომობით, ხანდახან კი ღამლამობითაც ამფსონობა გამეწია მისთვის, მონაწილეობა მიმელო მის ღამეულ ღრეობებში იქ, ზემოთ, კიქა-კიქაზე მექახუნებინა, მესვა, მისი უხამსი და უთავბოლო ყბედობა მესმინა და, ბოლოს, რის ვაივავლახით დამეყოლიებინა იმაზე, რომ კეთილ-ენებებინა და ლოგინში ჩაწოლილიყო.

პასტორი მანდერსი (გაოგნებული). და თქვენ ითმენდით ყოველივე ამას?

ფრუ ალვინგი. ჩემი ბიკის გულისთვის ვითმენდი. მაგრამ როცა ყველა სიკეთეს ეს უკანასკნელი ღორობაც ზედ დაერთო, როცა ჩემი საკუთარი მოახლე... მაშინ კი დავიფიცე, რომ

მთელი ამ უმსგავსოებისათვის ბოლო მომელო! დაიფიცე და შეეპარულე კიდევ: მთელი ძალაუფლება ხელში ავიღე, ახლა უკვე მე ვიყავი ოჯახის ბატონ-პატრონი, ჩემს ნებაზე ვატრიალებდი მასაც და მთელ სახლსაც. ხელთ უკვე ისეთი იარაღი მქონდა მის წინააღმდეგ, რომ ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდა. სწორედ მაშინ გავაბარე ოსვალდი. შვიდი წელი უსრულდებოდა და უკვე ბევრ რამეს ამჩნევდა; სხვა ბავშვებთან ისიც დიდი ცნობისმოყვარე იყო და კითხვას კითხვაზე მაყრიდა. ამის ატანა კი აღარ შემეძლო, მანდერს. ასე მეგონა, რომ ყოველ ჩასუნთქვაზე ჰაერთან ერთად გადამდები სენის ბაცილებსაც ისრუტავდა. მეც ავდექი და სხვაგან გავგზავნე. ახლა ხომ გესმით, რა იყო იმის მიზეზი, რომ მამამისის სიცოცხლეში მშობლიური სახლის ზღურბლზე ერთხელაც არ გადმოუდგამს ფეხი. არაფერ არ იცის, რა დამიჭდა ეს.

პასტორი მანდერსი. ქეშმარიტად ბევრი უბედურება გადაგიტანიათ.

ფრუ ალვინგი. ვერ გადავიტანდი, ჩემი სამუშაო რომ არა. დიახ, თამამად შემიძლია ვთქვა, თავს არ ეზოგავდი. ეს ამდენი სახნავე-სათვისის შექმნა, ნიადაგის განაყოფიერება თუ გაუმჯობესება, არხების გაყვანა მიწათმოქმედების ახალი წესების დანერგვა, — თქვენ გგონიათ, ყოველივე ეს, რისთვისაც ასე აქებდნენ ალვინგს, მისი საქმეა? თქვენც არ მომიკედეთ. ამისი თავი სად მქონდა საპყარს? მთელი დღე დივანზე ეგდო და ძველისძველ კალენდარს ჩაჰკირკიტებდა. დიახ, თუ გულახდილობაა, გულახდილობა იყოს. ყველაფერს ჩემი რჩევით და წაქეზებით აკეთებდა, როცა ათასში ერთხელ მაინც გულისხმაში ჩაეარდებოდა, მთელი დანარჩენი დროის მანძილზე კი ყველაფერი ჩემს კისერზე გადადიოდა, როცა კელაე სმის ჟინი წამოუვლიდა, ანდა გამოლენჩებული მთელი დღე ოხრავდა და წუწუნებდა.

პასტორი მანდერსი. და თქვენ ძეგლს უგებთ ამნაირ კაცს?

ფრუ ალვინგი. სინიღისის დასამშვიდებლად.

პასტორი მანდერსი. ეგ როგორ გავიგოთ?

ფრუ ალვინგი. მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ შეუძლებელია სიმართლე ბოლოს მაინც არ გამოძვლავნდეს. და, აი, თავშესაფარმა ჩემის აზრით, უნდა ჩაახშოს ყოველგვარი მითქმა-მოთქმა, გაჰფანტოს ყოველგვარი ეჭვი.

პასტორი მანდერსი. არ შემცდარხართ.

ფრუ ალვინგი. გარდა ამისა, სხვა მიზეზიცა მქონდა. მე არ მინდოდა, რომ ჩემს შვილს მამისგან შემკვიდრეობით მიეღო რამე.

პასტორი მანდერსი. თქვენ ალვინგის ფულს გულისხმობთ?

ფრუ ალვინგი. დიახ. მე ვცდილობდი შემოსავლის ნაწილი ყოველწლიურად გადამეღო თავშესაფრისათვის, სანამ არ შეგროვდებოდა იმდენი თანხა, — ეს ზუსტად დავიანგარიშე, — რამდენსაც თავის დროზე ფლობდა ლეიტენანტი ალვინგი, რომელიც ამის წყალობით ყველასათვის სასურველ საქმროდ ითვლებოდა.

პასტორი მანდერსი. გასაგებია.

ფრუ ალვინგი. თანხა, რომლითაც მან მე მიყიდა... ამიტომაც არ მინდა, რომ ოსვალდს შემკვიდრეობით გადაეცეს ეს ფული. ჩემმა შვილმა ყველაფერი დედისაგან უნდა მიიღოს.

მარჯვენა კარიდან შემოდის ოსვალდ ალვინგი. ამჟერად არც პალტო აცვია და არც ქული ახურავს. ფრუ ალვინგი შვილის შესაგებებლად მიემართება.

უკვე დაბრუნდი, ჩემო ძვირფასო?

ოსვალდი. დიახ. ამ თავსხმაში სად გაისეირნებ. მაგრამ, როგორც ვატყობ, მალე მივესხდებით სუფრას. დიდებულია!

რეგინა (სასადილო ოთახიდან შემოდის; ხელში პაკეტი უჭირავს). ეს თქვენ, ქალბატონო! (პაკეტს გადასცემს).

ფრუ ალვინგი (პასტორს გადახედავს). ალბათ კანტატაა, სახვალისო ზეიმისათვის.

პასტორი მანდერსი. კმ...

რეგინა. სუფრა გაშლილია.

ფრუ ალვინგი. კეთილი. ახლავე მოვალთ. მე მხოლოდ... (პაკეტს ხსნის).

რეგინა (ოსვალდს). თეთრ პორტვინს ინებებთ თუ წითელს, ბატონო ალვინგ?

ოსვალდი. ერთსაც და მეორესაც, იომფრუ ენგსტრან.

რეგინა. Bien... მესმის, ბატონო ალვინგ. (სასადილო ოთახში გადის).

ოსვალდი. წაველ, გახსნაში მიეხმარები. (თეთრონაც სასადილო ოთახში გადის; კარს ღია სტოვებს).

ფრუ ალვინგი (პაკეტი უკვე გახსნა). დიახ, მართლაც კანტატაა სახვალისო ზეიმისათვის, პასტორო-მანდერს.

პასტორი მანდერსი (გულხელს დაიკრეფს). რა გულით უნდა წარმოვთქვა ხვალ სიტყვა?..

ფრუ ალვინგი. როგორმე მოახერხებთ.

პასტორი მანდერსი (ჩუმად, რომ სასადილო ოთახში არ გაიგონონ). დიახ, არ შეიძლება აცთუნო მრევლი.

ფრუ ალვინგი. მართალს ბრძანებთ. მაგრამ შემდეგ სამუდამოდ მოეღება ბოლო ამ გაქვიანურებულ და მტანჯველ ფარსს. ზეგ

მიცვალებული უკვე აღარ იარსებებს ჩემთვის; თითქოს არც არასოდეს ყოფილიყოს ამ სახლის ბინადარი. აქ დედასთან ერთად დარჩება მხოლოდ ჩემი შვილი.

სასადილო ოთახიდან წაქცეული სკამის ბრაზუნი და რეგინას აღელვებული ჩურჩული ისმის: „ოსვალდ! ხომ არ შეიშალე? ხელი გამიშვი!“

(შეძრწუნებული). ა!.. (შეშლილი სახით მისჩერებია ნახევრად ღია კარს).

სასადილოდან ჭერ ოსვალდის ჩახველება, შემდეგ მისი ღიღინი და ბოლოს ბოთლის ხმა ისმის.

პასტორი მანდერსი (აღშფოთებით). რა ამბავია? რა ხდება, ფრუ ალვინგ?

ფრუ ალვინგი (სიმწრისაგან ჩახლეჩილი ხმით). მოჩვენებანი! ვერანდის წყვილი... იმ ქვეყნიდან კვლავ მოვლენილი...

პასტორი მანდერსი. რას ამბობთ? რეგინა?... მაშ, ის?..

ფრუ ალვინგი. დიახ. წავიდეთ. კრინტი არ დასძრათ. (ხელს ჩასკიდებს პასტორს და მასთან ერთად ბარბაცით გადის სასადილო ოთახში).

მეორე მოქმედება

იგივე ოთახი. კვლავინდებურად პირქუში და მორღუბული ღღეა. ფრუ ალვინგი და პასტორი მანდერსი სასტუმრო ოთახიდან გამოდიან.

ფრუ ალვინგი (კარშივე). გაამოთ, ბატონო პასტორო. (სასადილო ოთახისაკენ შებრუნდება). შენ კი არ მოხვალ, ოსვალდ?

ოსვალდი (სასადილოდან). არა, გმადლობთ, ცოტას გავისეირნებ.

ფრუ ალვინგი. წადი, გაიარ-გამოიარე; წვიმამაც გადაიღო. (სასადილოს კარს გამოხუტავს, წინკარისაკენ მიდის და გასძახის). რეგინა!

რეგინა (წინკარიდან). რა გნებაეთ?

ფრუ ალვინგი. საუთოებელში გადი და ქალებს გვირგვინების გაწყობაში დაეხმარე.

რეგინა. კარგი, ქალბატონო.

როდესაც დარწმუნდება, რომ რეგინა წავიდა, ფრუ ალვინგი კარს გამოხუტავს.

პასტორი მანდერსი. იმეღია, ოსვალდი ვერ გაიგონებს.

ფრუ ალვინგი. ვერა, თუ კარი დაკეტილია. მაგრამ ის ახლავე წავა.

- პასტორი მანდერსი. აქამდის გონს ვერ მოვსულეარ... სადილი საუცხოო იყო, მაგრამ არ ვიცი, როგორ გადამდიოდა ლუკმა ყელში.
- ფრუ ალვინგი (მღვდვარების დაოკებას ცდილობს; ოთახში მიდი-მოდის). ახლა რალა ვქნათ?
- პასტორი მანდერსი. საკითხავიც ეგ არის! ღმერთმანი, ვერაფერს გეტყვიტ. ამნაირ საქმეში არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია.
- ფრუ ალვინგი. დარწმუნებული ვარ, უბედურებამდე ჭერ კიდევ არ მისულა საქმე.
- პასტორი მანდერსი. აჰ, არა, ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ ვერც ემას უარყოფტ, რომ...
- ფრუ ალვინგი. ეს მხოლოდ ყმწვილკაცური სიცეტეა ოსვალდის მხრივ, დამერწმუნეტ.
- პასტორი მანდერსი. კვლავ ვიმეორებ, ამნაირი საქმისა არა გამეგება რა-მეტქი, მაგრამ მაინც მგონია, რომ...
- ფრუ ალვინგი. რეგინა, რასაკვირველია, თავიდან უნდა მოვიცილო. თანაც, დაუყონებლივ. დღესავით ნათელია...
- პასტორი მანდერსი. რა თქმა უნდა.
- ფრუ ალვინგი. მაგრამ სად წავიყვანო? ხომ არ შემიძლია ავდგე და...
- პასტორი მანდერსი. სად? რასაკვირველია, შინ, მამამისთან.
- ფრუ ალვინგი. ვისთანო, რა ბრძანეტ?
- პასტორი მანდერსი. მამამისთან-მეტქი... თუმცა, ჰო, მართლა, ენგსტრანი ხომ... ღმერთო ჩემო, სად გავონილა?.. იქნებ, გეშლებათ?
- ფრუ ალვინგი. სამწუხაროდ, არაფერიც არ მეშლება. იოჰანა ყველაფერში გამომიტყდა და ალვინგმაც ვერაფერის უარყოფა ვერ გაბედა. სხვა რალა დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ საქმე ჩამეფარცხა?
- პასტორი მანდერსი. დიახ, სხვა გამოსავალი არ გექნებოდატ.
- ფრუ ალვინგი. მოახლე დაუყოვნებლივ დავითხოვეტ და გვარიანი თანხაც მივეციტ, რომ ჩუმაღ ყოფილიყო. დანარჩენი თვითონვე მოავგარა: ქალაქში გადაბარგდა და ღურგალ ენგსტრანთან თავისი ძველი ნაცნობობა განაახლა. როგორც ჩანს, თავის კაპიტალზე გადაუკრა სიტყვა და არაკიც შეტხზა ვილაც უცხოელზე, რომელიც ზაფხულში ვითომ საკუთარი იახტით ჩამოვიდა. და, აი, სასწრაფოდ იქორწინეს... თუმცა თქვენ თვითონ არ დასწერეტ ჭვარი?

პასტორი მანდერსი. მაგრამ ის როგორღა აეხსნათ?.. გუშინდელი დღესავით მახსოვს, ენგსტრანი საშინლად შეწუხებული მოვიდა, ისე მწარედ ნანობდა თავის თავქარიანობას, მე და ჩემს საცოლეს სისულელე მოგვივიდაო...

ფრუ ალვინგი. დიახ, ყველაფერი თვითონ დაიბრალა.

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, ასეთი თვალთმაქცობა?.. და მერე ვის — ჩემს წინაშე? მართალი გიხრათ, იაკობ ენგსტრანი-საგან არ მოველოდი. დამაცადოს! შავ დღეს დავაყრი!.. ასეთი ზნედაცემულობა... ფულის გულისთვის... მაინც რა თანხა ჰქონდა ქალიშვილს?

ფრუ ალვინგი. სამასი ტალერი.

პასტორი მანდერსი. წარმოგიდგენიათ? რალაც უბადრუკი სამასი ტალერის გულისთვის ცოლად შეირთო დაცემული ქალი!

ფრუ ალვინგი. მაშ, ჩემზე რალას იტყვი? მე დაცემულ კაცს გავეყვი ცოლად!

პასტორი მანდერსი. უფალო შეგვიწყალებ! რას ამბობთ? დაცემულ კაცსო?..

ფრუ ალვინგი. ან იქნებ, თქვენის აზრით, ალვინგი, ჯერისწერისას, იოჰანაზე უფრო უბიწო იყო, როცა მის მიერ გაუბედურებულ ქალზე ჯვარს იწერდა ენგსტრანი?

პასტორი მანდერსი. განუზომელი განსხვავებაა...

ფრუ ალვინგი. არც ისე განუზომელი. თუმცა განსხვავება კი არის — მხოლოდ თვალთმაქცობაში. ერთის მხრივ, რალაც უბადრუკი სამასი ტალერი და, მეორეს მხრივ, მთელი სიმდიდრე.

პასტორი მანდერსი. არა, არა, რა უფლება გაქვთ ერთმანეთს შეუდაროთ ის, რისი შედარებაც შეუძლებელია? თქვენ ხომ საკუთარი გულის კარნახითა და ახლობლების რჩევით დაიწერეთ ჯვარი?

ფრუ ალვინგი (თვალს არიდებს). მე კი მეგონა, იცოდით, რას მკარნახობდა ის, რასაც თქვენ ჩემს გულს უწოდებთ.

პასტორი მანდერსი (ცოვად). ეგ რომ მცოდნოდა, მუდმივი სტუმარი ვიქნებოდი თქვენი ქმრის სახლში.

ფრუ ალვინგი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ჩემს გულში მაშინ კარგად არ ჩავიხედე და არც რჩევა ვკითხე.

პასტორი მანდერსი. სამაგიეროდ, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, დედათქვენსა და ორსავე დეიდას მოეთათბირეთ.

ფრუ ალვინგი. ეგ კი მართალია. და მათ, სამივემ, ჩემს მაგივრად გადაწყვიტეს საქმე. ღმერთმანი, საოცარია, რა სწრაფად და

ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აშკარა სიგიჟე იქნებოდა ესოდენ ხელსაყრელ წინადადებაზე უარის თქმა. წამოდგეს ახლა დედაჩემი საფლავიდან და თავისი თვალითა ნახოს, რა გამოვიდა ამ ბრწყინვალე ქორწინებიდან.

პასტორი მანდერსი. შედეგს წინასწარ ვერავინ განკვერტს. ყოველ შემთხვევაში, თქვენი ქორწინება სავსებით კანონიერი იყო. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს.

ფრუ ალვინგი. ო, ეს კანონი, წესი და რიგი! ხანდახან ისიც კი მგონია, რომ ესაა ამქვეყნად ყოველგვარი უბედურების მიზეზი.

პასტორი მანდერსი. ღმერთს ნუ სცოდავთ, ფრუ ალვინგ.

ფრუ ალვინგი. იქნება მართლაც ვცოდავ. მაგრამ აღარ შემიძლია შეეურიგდე ყველა იმ პირობითობას, არტახებივით რომ გვიკრავს და გვიბოძავს ხელ-ფეხს. აღარ შემიძლია. მე თავისუფლება მინდა.

პასტორი მანდერსი. ამით რისი თქმა გსურთ?

ფრუ ალვინგი (ფანჯრის რაფაზე აკაუნებს). სულაც არ იყო საჭირო, საგულდაგულოდ შემენიღბა ალვინგის ცხოვრება. მაგრამ მაშინ, ჩემი სიმხდალის გამო, სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო. სხვათა შორის, პირადი მოსაზრებითაც. ისეთი მხდალი ვიყავი!..

პასტორი მანდერსი. მხდალი?

ფრუ ალვინგი. დიახ, ხალხს რომ ყველაფერი გაეგო, ერთი მითქმა-მოთქმა ატყდებოდა: საწყალი ალვინგი! სვამს, მაგრამ, აბა, რა უნდა ქნას ამნაირი ცოლის პატრონმა, რომელმაც უსინდისოდ მიატოვაო.

პასტორი მანდერსი. და ამას, გარკვეული თვალსაზრისით, თავისი საფუძველიც ექნებოდა.

ფრუ ალვინგი (დაინებით უცქერის). მართლა ისეთი რომ ვიყო, როგორიც უნდა ვყოფილიყავი, ოსვალდს დავეუძახებდი და ასე ვეტყოდი: „იცი, რას გეტყვი, შეილო? მამაშენი გარყვნილი კაცი იყო-მეთქი!..“

პასტორი მანდერსი. რას ამბობთ, ღმერთო ჩემო...

ფრუ ალვინგი. და როგორც ახლა თქვენ გიაგბეთ, ყველაფერს სიტყვასიტყვით მოუუყვებოდი.

პასტორი მანდერსი. თქვენი სიტყვები აღმაშფოთებელია, ქალბატონო.

ფრუ ალვინგი. ვიცი, ვიცი. აღშფოთება თქვენ ჩემი თქვით. (ფანჯარას სცილდება). აი, რა მხდალი ვარ.

- პასტორი მანდერსი.** და თქვენ სიმბდალეს უწოდებთ იმას, რაც თქვენი უშუალო მოვალეობაა? ხომ არ დაგაეიწყდათ, რომ შეილებს უნდა უყვარდეთ და პატივს სცემდნენ მშობლებს?
- ფრუ ალვინგი.** ნუ განვაზოგადებთ. მოლით, ეს ვკითხოთ ჩვენსავე თავს: უნდა უყვარდეს და პატივს სცემდეს თუ არა ოსვალდი კამერპერ ალვინგს?
- პასტორი მანდერსი.** განა თქვენი გული, დედის გული არ გიკრძალავთ იმას, რომ იდეალები დაუშსხვრიოთ თქვენს შვილს?
- ფრუ ალვინგი.** კეშმარიტებას რალა ვუყოთ?
- პასტორი მანდერსი.** მერედა, იდეალები?
- ფრუ ალვინგი.** აჰ, იდეალები, იდეალები! მე რომ ასეთი მხდალი არ ვიყო...
- პასტორი მანდერსი.** ნუ უგულებელყოფთ იდეალებს, ფრუ ალვინგ, — ამას შეიძლება საშინელი ნაცვლისგება მოჰყვეს. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ოსვალდს. როგორც ჩანს, არც ისე ბევრი იდეალი აქვს. სამწუხაროდ. მაგრამ, რამდენადაც მე შემიძლია დავასკვნა, მამა იდეალად ესახება.
- ფრუ ალვინგი.** ამაში მართალი ბრძანდებით.
- პასტორი მანდერსი.** ამნაირი წარმოდგენა კი თქვენ თვითონ შეუქმენით და თანდათანობით განუმტკიცეთ თქვენი წერილებით.
- ფრუ ალვინგი.** დიახ, იძულებული ვიყავი, მოვალეობისა და სხვადასხვა მოსაზრების გავლენით. და, აი, მეც ვატყუებდი შვილს, წლობით ვატყუებდი. ჩემს სიმბდალეს რა ვუთხრა, ჩემს სიმბდალეს!
- პასტორი მანდერსი.** თქვენ მშვენიერი ილუზია ჩაუნერგეთ სულში თქვენს შვილს... ნუ დაამცირებთ ამის მნიშვნელობას, ფრუ ალვინგ.
- ფრუ ალვინგი.** კმ... ღმერთმა იცის, მშვენიერია თუ არა ეს... მაგრამ არავითარ უკუღმართობას მე არ დავუშვებ. არ შეიძლება, რომ საბრალო ქალიშვილი გააუბედუროს.
- პასტორი მანდერსი.** აჰ, არა, ღმერთმა დაგვიფაროს! ეს ხომ საშინელება იქნებოდა.
- ფრუ ალვინგი.** ის მაინც ვიცოდე, რომ სერიოზულს აპირებს რასმე; რომ ამან შეიძლება ბედნიერება მოუტანოს...
- პასტორი მანდერსი.** რაო?.. რა ბრძანეთ?
- ფრუ ალვინგი.** მაგრამ ეს შეუძლებელია. რეგინა, საუბედუროდ, ის ქალი არ არის...

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, რომც იყოს?.. ეგ რა სთქვით? ფრუ ალვინგი. რა და, ასეთი მხდალი რომ არ ვიყო, ჩემს შვილს ვეტყუდი: ცოლად შეირთე და როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთ, მხოლოდ ნუ მოატყუებთ ერთიმეორეს.

პასტორი მანდერსი. ღმერთო დიდებულო!.. კანონიერი ქორწინებით შეაუღლოთ ისინი!.. არა, ეს საშინელებაა, რაღაც არნახული, არგაგონილი!..

ფრუ ალვინგი. ვითომ არგაგონილი? გულზე ხელი დაიდეთ, პასტორო მანდერს, და ისე მითხარით: თქვენის აზრით, ამ ჩვენს მხარეში ცოტაა ისეთი წყვილი, არანაკლებ ახლო ნათესავებად რომ ერგებოდნენ ერთიმეორეს?

პასტორი მანდერსი. ნამდვილად არ მესმის თქვენი.

ფრუ ალვინგი. დავუშვათ, რომ გესმით.

პასტორი მანდერსი. თქვენ, რა თქმა უნდა, შესაძლებელ შემთხვევებს გულისხმობთ... არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ცოლ-ქმრული ცხოვრება, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი გამოირჩევა სათანადო სისუფთავით და სიწმინდით. მაგრამ იმ შემთხვევებში, რომლებზედაც თქვენ გადაკვრით მიმანიშნებთ, არაფერ არაფერი იცის, ყოველ შემთხვევაში, — დაბეჯითებით. აქ კი, პირიქით... და თქვენ, დედას, რა გული გაძლევთ, რომ თქვენმა...

ფრუ ალვინგი. ვინ მოგახსენათ, რომ გული მაძლევს, ან მინდა? პირიქით, არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ ამას! არასდიდებით! სწორედ ამას გეუბნებოდით!

პასტორი მანდერსი. დიახ, სიმხდალის გამო, როგორც თვითონვე ბრძანეთ. კი მაგრამ, მხდალი რომ არ იყოთ?.. ღმერთო ჩემო, ესოდენ საზარელი კავშირი!..

ფრუ ალვინგი. ბოლოს და ბოლოს, მთელი კაცთა მოდგმა, როგორც ამბობენ, სწორედ ამნაირ კავშირთაგან იღებს დასაბამს. მერედა, ვინ დაამკვიდრა ამნაირი წესრიგი სამყაროში, პასტორო მანდერს?

პასტორი მანდერსი. მე თქვენთან ამნაირი საკითხების გარჩევას ვერ მოვეყვები. ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ რამ გათქმევინათ, რომ ეს მხოლოდ სიმხდალეა თქვენის მხრივ?..

ფრუ ალვინგი. მომისმინეთ, ამასაც მოგახსენებთ, პასტორო მანდერს. მე მხდალი ვარ, იმიტომ, რომ რაღაც დრომოკმულია ჩემში, რაღაც მოჩვენებების მსგავსი, რომლებსაც ვერ იქნა და ვერასდიდებით ვერ დავალწიე თავი.

პასტორი მანდერსი. რაო, რა ბრძანეთ?

ფრუ ალვინგი. რალაც მოჩვენებების მსგავსი-მეთქი. როცა იქ, სასადილოში, რეგინასა და ოსვალდის ხმა გავიგონე, ასე მეგონა, თითქოს იმ ქვეყნიდან მოვლენილნი გამომეცხადნენ. მაგრამ მე მზადა ვარ ვირწმუნო, რომ ჩვენ ყველანი იქიდანა ვართ მოვლენილნი, პასტორო მანდერს. ჩვენში ვლინდება და თავს იჩენს არა მარტო ის, რაც მემკვიდრეობით გადმოგვცა მშობლებისაგან, არამედ ათასგვარი ძველთ-უძველესი წარმოდგენაც, დრომოქმული რწმენაც, ცრურწმენაც და სხვა მისთანანი. ყოველივე ეს უკვე აღარ ცოცხლობს ჩვენს სულში, მაგრამ მაინც ისე ღრმადაა ფესვგადგმული, რომ ვერასდიდებით თავიდან ვერ მოიცილებ. საკმარისია ხელში ავილო გაზეთი, რომ უკვე თვალნათლივ ვხედავ, როგორ რიალებენ სტრიქონებს შორის ეს არაამქვეყნიური ლანდები. დიახ, მთელი ქვეყანა ამნაირი მოჩვენებებითაა სავსე. ალბათ ისინი ქვიშის მარცვლებივით აურაცხელნი არიან. ჩვენ კი, საბრალო მხდალებს, ისე გვეშინია სინათლის!..

პასტორი მანდერსი. აი, ესეც თქვენი კითხვის ნაყოფი!.. დიდებული ნაყოფია, ვერაფერს იტყვი! ო, ეს ბილწი და ამაზრზენი თხზულებები, თავისუფალი აზროვნების ეს ფუტურო მქადაგებელნი!

ფრუ ალვინგი. სცდებით, ძვირფასო პასტორო; თქვენ თვითონ გამოალვიძეთ ჩემი მთვლემარე აზრი; მხოლოდ თქვენ გეკუთვნით ეს პატივი.

პასტორი მანდერსი. მე?

ფრუ ალვინგი. დიახ. თქვენ მაიძულეთ ქედი მომეხარა იმის წინაშე, რასაც ვალსა და მოვალეობას უწოდებდით. თქვენ აღიღებდით და თაყვანს სცემდით იმას, რასაც აღშფოთებით უარყოფდა ჩემი სული. და, აი, მე დავიწყე თქვენი მოძღვრების ჩხრეკა და განხილვა. მე მინდოდა გამეხსნა მხოლოდ ერთი კვანძი, მაგრამ გაეხსენი თუ არა, ყველაფერი უცებ დაიარღვა, თვალჩაეარდნილი წინდასავით.

პასტორი მანდერსი (ხმადაბლა, გაოგნებული). ნუთუ ესაა მთელი ჩემი მიღწევა? ჩემს სიცოცხლეში გადახდილი ყველაზე სასტიკი ბრძოლის ნაყოფი?

ფრუ ალვინგი. უმჯობესია, თქვენი. სამარცხვინო დამარცხება უწოდოთ ამას.

პასტორი მანდერსი. ეს იყო ყველაზე დიდი გამარჯვება ჩემს სიცოცხლეში, ელენე; გამარჯვება საკუთარ თავზე.

ფრუ ალვინგი. ეს იყო დანაშაული ორივე ჩვენგანის წინაშე.

პასტორი მანდერსი. რა იყო დანაშაული? ის, რომ გითხარით, თქვენს კანონიერ მეუღლეს დაუბრუნდით-მეთქი, როცა შეშლილივით მოვარდით ჩემთან და შემომკვივლეთ: „აი, მოვედი, შენი ვარ, მიმიღეო?“ სთქვით, ეს იყო დანაშაული?

ფრუ ალვინგი. დიახ, მე ასე მგონია.

პასტორი მანდერსი. ჩვენ ერთმანეთისა არ გვესმის.

ფრუ ალვინგი. ან, უფრო სწორად, აღარ გვესმის.

პასტორი მანდერსი. არასოდეს, თვით ყველაზე იღუმალ ოცნებებშიაც კი არ შემომიხედავს თქვენთვის სხვა თვალით... ჩემი მეგობრის მეუღლეს ყოველთვის დასავით გიყურებდით, ფრუ ალვინგ.

ფრუ ალვინგი. ვითომ?

პასტორი მანდერსი. ელენე!..

ფრუ ალვინგი. რა გულმაევიწყია ხალხი?

პასტორი მანდერსი. მე არა. რაც ვიყავი, დღესაც იგივე ვარ.

ფრუ ალვინგი (ტონს იცლის). დიახ, დიახ, მოვეშვათ წარსულს. თქვენ ახლა მხოლოდ მაგ თქვენს კომისიებსა და გამგეობებში ხართ ჩაფლული, მე კი აქ დაებორიალობ და შინაგანსა თუ გარეგან მოჩვენებებს ვებრძვი.

პასტორი მანდერსი. გარეგანთა განდევნაში მე გიშველით. მას შემდეგ, რაც დღეს მითხარით და რამაც თავზარი დამცა, მე აღარ შემიძლია მშვიდი სინიღისით დავტოვო თქვენს სახლში ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალიშვილი.

ფრუ ალვინგი. ხომ არ აჯობებდა სადმე მოგვეწყო ან დაგვებინავებინა? ესე იგი, ვინმე კარგი კაცისათვის გაგვეყოლებინა ცოლად?

პასტორი მანდერსი. რა თქმა უნდა. ჩემის აზრით, ასე აჯობებს მისთვის. რეგინა უკვე იმ ასაკისაა, რომ... დიახ, თუმცა ამნაირი საქმის არა გამეგება რა, მაგრამ მაინც...

ფრუ ალვინგი. რეგინა აღრე მომწიფდა.

პასტორი მანდერსი. მართლაც. მახსოვს, კონფირმაციისთვის რომ ვამზადებდი, ფიზიკურად უკვე საოცრად განვითარებული იყო. მაგრამ ჭერჭერობით შინ უნდა გავეზავნოთ; მამაზე უკეთ ვინ ადევნებს თვალყურს?.. თუმცა ენგსტრანი ხომ... არა, ასე მაინც როგორ მომატყუა.

წინკარიდან კაკუნი ისმის.

ფრუ ალვინგი. ნეტა ვინ უნდა იყოს? მობრძანდით!

ენგსტრანი (საღლესასწაულოდ გამოწყობილი; კარშივე). გთხოვთ მომიტევეთ, მარა...

პასტორი მანდერსი. აა! კმ!..

ფრუ ალვინგი. ა, ეს თქვენა ხართ, ენგსტრან?

ენგსტრანი. მოსამსახურის ქაქანება არსად იყო, ასე რო, უკაც-
რად, გაებედე და დავაკაქუნე.

ფრუ ალვინგი. კარგი, კარგი, შემოდით! ჩემთან გაქვთ საქმე?

ენგსტრანი (შემოდის). არა, უმორჩილესად მადლობთ. ბატონ
პასტორთანა მაქ ორიოდ სიტყვა.

პასტორი მანდერსი (ბოლთასა სეშს). კმ, მაშ, ჩემთან ლაპარაკი
გსურთ?

ენგსტრანი. დიახ, ძალიან.

პასტორი მანდერსი (მის წინ ჩერდება). ნება მიბოძეთ გკითხოთ,
რაშია საქმე?

ენგსტრანი. საქმე შემდეგშია, ბატონო პასტორო. ახლა ჩვენ იქ
ანგარიშს გვისწორებენ. უმორჩილესად გმადლობთ, ქალბა-
ტონო!.. ჩვენ, ასე ვთქვათ, ყველაფერს მოვრჩით. ჰოდა, ჩემი
მოკლე კუთით ასე მგონია: კაი იქნებოდა — ჩვენ ხო მთელი
ამ ხნის მანძილზე მაგრა ვიმუშავეთ, — ჰო, იმას გეუბნებო-
დით, კაი იქნებოდა გამომშვიდობებისას ცოტა გველოცა.

პასტორი მანდერსი. გელოცათ? თავშესაფარში?

ენგსტრანი. თუ ბატონი პასტორის აზრით, არ ივარგებს?

პასტორი მანდერსი. არა, რატომაც არა, მაგრამ... კმ...

ენგსტრანი. საღამოობით მეც თითქოს შემოვიღე აქ ამნაირი
საუბრები...

ფრუ ალვინგი. მართლა?..

ენგსტრანი. დიახ, ისე, ხანდისხან... სულის სასარგებლო თუ რა
ქქვია?.. მხოლოდ მე უბრალო კაცი ვარ, უწიგნური, —
უფალო, შენ გამანათლე, — ბევრი არა გამეგება რა... ჰოდა,
ვიფიქრე, რახან ბატონი პასტორი აქაა, ბარემ...

პასტორი მანდერსი. იცით რა, ენგსტრან? თავდაპირველად ერთი
ასეთი კითხვა უნდა მოგცეთ. მზადა ხართ თუ არა ლოცვი-
სათვის? სუფთაა თუ არა თქვენი სინდისი?

ენგსტრანი. ღმერთო, შენ მიშველე ცოდვილს! სინდისზე ლაპა-
რაკი რა ჩვენი საქმეა, ბატონო პასტორო?

პასტორი მანდერსი. არა, სწორედ სინდისზე უნდა ვილაპარა-
კოთ! აბა, რას მეტყვიეთ?

ენგსტრანი. დიახ, სინდისი, ასე ვთქვათ, ისა... ცოდვის გარეშე
არ იქნება.

პასტორი მანდერსი. ესე იგი, მაინც აღიარებთ? მაშ, კეთილი-
ნებეთ და გულწრფელად, მიუკიბ-მოუკიბავად მითხარით:
როგორ გავიგო ის, რასაც რეგინაზე მეუბნებოდით?

ფრუ ალვინგი (საჩქაროდ). პასტორო მანდერს!

პასტორი მანდერსი (ამშეილება). ეს შე მომანდეთ!..

ენგსტრანი. რეგინაზე? ღმერთო დიდებულო! როგორ შემაშინეთ!
(ფრუ ალვინგს მისჩერებია). რა იყო, რაიმე ცუდი ხომ არ
შეემთხვა?

პასტორი მანდერსი. იმედია, არა. მაგრამ მე გეკითხებით: რა
არის თქვენი რეგინა? ყველას ჰგონია, რომ შვილი, მაგრამ...

ენგსტრანი (ყოყმანით). დიახ... ჰმ... ბატონ პასტორს მოეხსენება,
რომ მე და განსვენებულმა იოჰანამ, ასე ვთქვათ... ცოტა არ
იყოს, ვცოდეთ...

პასტორი მანდერსი. ნუ მიედ-მოედებით, მე მხოლოდ სიმართლე
მინდა ვიცოდე! სანამ აქედან წავიდოდა, თქვენი განსვენებულ-
ი მეუღლე ყველაფერში გამოუტყდა ფრუ ალვინგს.

ენგსტრანი. უჰ, დალახვროს... ესე იგი, მაინც?

პასტორი მანდერსი. დიახ, ასე რომ, ველარ მოგვატყუებთ,
ენგსტრან.

ენგსტრანი. ის კიდევ როგორ იფიცებოდა, ყველა გამიწყდესო,
ასე და ისეო, თუ...

პასტორი მანდერსი. გამიწყდესო?..

ენგსტრანი. ესე იგი, ფიცულობდა-მეთქი, მარა რა ალაღმართლადა
ფიცულობდა!..

პასტორი მანდერსი. და თქვენ ამდენი წლის მანძილზე მიმაღავდით
სიმართლეს? მე, ვისაც თქვენი ყოველი სიტყვა მჯეროდა?

ენგსტრანი. დიახ, ისა... როგორც ჩანს, ასე გამოვიდა... რას იზამ?

პასტორი მანდერსი. ნუთუ ამისი ღირსი ვიყავი, ენგსტრან? აკი,
რამდენადაც შემეძლო, სიტყვით თუ საქმით, ყოველთვის
მხარში გედექით? მიპასუხეთ, ღირსი ვიყავი?

ენგსტრანი. რასაკვირველია, პასტორი მანდერსი რომ არა, ცუდათ
იქნებოდა ჩემი საქმე.

პასტორი მანდერსი. და თქვენ ამით გადამიხადეთ? მაიძულეთ
ამნაირი ჩანაწერი შემეტანა საეკლესიო წიგნში! და შემდეგაც,
ამდენი წლის მანძილზე მიმაღავდით ჭეშმარიტებას. თქვენი
საქციელი მიუტევებელია, ენგსტრან, და ამიერიდან ჩვენს
შორის ყველაფერი დამთავრებულია.

ენგსტრანი (ამოიოხრებს). დიახ, როგორც ჩანს, ვერა გამოდის.

პასტორი მანდერსი. მაინც რითი შეგიძლიათ იმართლოთ თავი?

ენგსტრანი. კი მარა, რა ექნა ცხოვრებულ იოჰანას, ქვეყანას ხომ
ვერ მოსდებდა თავის შერცხვენის ამბავს! თავათ მიბრძანეთ,
უფრო არ მოეკრებოდა თავი? წარმოიდგინეთ, ბატონო

პასტორო, თქვენ რო მოგსვლოდათ ის, რაც საცოდავს დაემართა...

პასტორი მანდერსი. მე?..

ენგსტრანი. ღმერთო დიდებულო! ახლა ასე პირდაპირ ნუკი გაიგებთ! მე მინდოდა მეთქვა: პასტორს რო იმნაირი უბედურება მოსვლოდა, რისთვისაც ხალხმა შეიძლება წირვა გამოგიყვანოს-მეთქი. ხო მოგეხსენებათ, რა თვალითაც უყურებენ კაცები ამისთანა საცოდავ ქალებს?

პასტორი მანდერსი. მე იოჰანას კი არა, თქვენა გკიცხავთ.

ენგსტრანი. კი მარა, თუ შეიძლება ერთი პატარა, სულ პატარა კითხვა მივცე ბატონ პასტორს?

პასტორი მანდერსი. ბრძანეთ.

ენგსტრანი. მართებს თუ არა კაცს, ხელი გაუწოდოს დაცემულს?

პასტორი მანდერსი. რა თქმა უნდა.

ენგსტრანი. და კიდევ ერთიც: მართებს თუ არა კაცს, უერთგულოს თავის პატიოსან სიტყვას?

პასტორი მანდერსი. რასაკვირველია, მაგრამ...

ენგსტრანი. ჰოდა, ეს საჩაყი საქმე რო შეემთხვა იმ ვილაც ინგლისელისგან თუ ამერიკელისგან, ან იქნებ, რუსისგანაც, ვინ იცის, ეშმაკმა დალახეროს მათი თავი და ტანი! — საცოდავი იოჰანა ქალაქში გადმობარგდა. თავდაპირველად, ერთი-ორჯერ დააპირა თავი აერიდებინა ჩემთვის. უნდა მოგახსენოთ, რომ ნამეტანი სული ელეოდა სილამაზეზე, მე კიდევ — ამ ჩემს მაიმახ ფებს ხო ხედავთ, — ე ოხერი სილამაზე ვინ მომაშავა? ბატონ პასტორს მოეხსენება, ერთხელაც როგორ შევხვანცალდი საცეკვაო დარბაზში, საცა მატროსები ხორბოცებდნენ და, ასე ვთქვათ, თავიანთ ცოდვილ ხორცს ამხიარულებდნენ; ჰოდა, დავაპირე ქადაგება დამეწყო და კეშმარიტების გზაზე მომექცია ისინი...

ფრუ ალვინგი (ფანჯარასთან). ჰმ...

პასტორი მანდერსი. ვიცი, ვიცი, ენგსტრან; მოგიყოლია: იმ არამზადებმა კიდევ კიბეზე დაგაგორეს... ეგ თქვენი სახირობა თქვენი ღირსებაა.

ენგსტრანი. არა, ბატონო პასტორო, თავი როდი მომაქ ამით. მე მხოლოდ იმას მოგახსენებდით, რო ერთხელაც მოვიდა ეს ჩემი იოჰანა და ყველაფერი ჩამოყაქა მდულარე ცრემლების ფრქვევითა და კბილების ღრქენით. და უნდა მოგახსენოთ, ბატონო პასტორო, რომ მისი საცოდაობით დავიწვი კაცი.

პასტორი მანდერსი. მესმის. განაგრძეთ, განაგრძეთ.

- ენგსტრანი. ჰოდა, მეც ავდექი და ნამდვილი კანონიერი ქორწინებით შევეუღლე, რო ხალხს არ გაეგო, თუ როგორ მოიქრა თავი.
- პასტორი მანდერსი. ეს თქვენი საქციელი ნამდვილად ქების ღირსია, მაგრამ ერთ რამეს ნამდვილად ვერ მოგიწონებთ: ფული მაინც არ უნდა აგელო...
- ენგსტრანი. ფული? მე?.. არც ერთი გროში.
- პასტორი მანდერსი (კითხვის გამოძახებელი მზერით უყურებს ფრუ ალინგს). კი მაგრამ?..
- ენგსტრანი. თუმცა ჰო, მართლა, გამახსენდა. იოჰანას, მართალია, ორიოდ გროში ებადა, მარა მე ფულის დანახვაც არ მინდოდა. ვეუბნებოდი, ეგ მამონაა, ცოდვის საზღაური-მეთქი; ეს დამპალი ოქრო... თუ ქალაღის ფული, რა ვიცი, რა იყო?.. ნამდვილად სახეში მივახლიდით იმ ამერიკელს, მარა სად ნახავდი, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გადაიკარგა, ბატონო პასტორო.
- პასტორი მანდერსი. მართლა, ჩემო ძვირფასო ენგსტრან?
- ენგსტრანი. მაშ, რა? მე და იოჰანამ გადავწყვიტეთ, ამ ფულით ბავშვი აღგვეზარდა. ასეც მოვიქეციით. შემიძლია ყოველი გროშის ანგარიში ჩაგაბაროთ.
- პასტორი მანდერსი. ეს ძირფესვიანად ცვლის საქმის არსს.
- ენგსტრანი. აი, როგორ მოხდა ყველაფერი, ბატონო პასტორო. თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რო ნამდვილი მამობა გავუწიე რეგინას, როგორც შემეძლო... ხო იცით, სუსტი კაცი ვარ.
- პასტორი მანდერსი. კარგი, კარგი, ძვირფასო ენგსტრან...
ენგსტრანი. მარა, ისიც თამამად შემიძლია ვთქვა, რო წესიერად აღეზარდე ბავშვი და სიამტკბილობით ეცხოვრობდი განსვენებულთან ერთად, ვასწავლიდი და მორჩილებას ვუნერგავდი, როგორც გვიბრძანებს საღმრთო წერილი. და ერთხელაც არ მომსვლია თავში აზრად, მივსულიყავი ბატონ პასტორთან და კვებხნა დამეწყო. ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მეც მიქნია კეთილი საქმე-მეთქი. არა, იაკობ ენგსტრანი თავისი სიკეთით არავის შეაწყენს თავს. კაცმა რო თქვას, არც ისე ხშირად უხდება ამნაირი სიკეთის ჩადენა. ამიტომ, როცა ბატონ პასტორთან მიხვალ, მხოლოდ საკუთარ ცოდვებზე ელაპარაკები, ვინაიდან, აკი მოგახსენეთ, სინიღისი ცოდვის გარეშე არ იქნება-მეთქი.
- პასტორი მანდერსი. ხელი მიბოძეთ, იაკობ ენგსტრან.
- ენგსტრანი. ღმერთო ჩემო, ბატონო პასტორო...

პასტორი მანდერსი. თავს ნუ ისაწყლებ. (ხელს ართმევს). აი, ასე! ენგსტრანი. და თუ ახლა გულწრფელად ვთხოვ ბატონ პასტორს, მომიტევეთ-მეთქი?..

პასტორი მანდერსი. თქვენ, პირიქით, მე უნდა გთხოვოთ მოტევაბა...

ენგსტრანი. ოჰ! ღმერთმა დაგვიფაროს!

პასტორი მანდერსი. დიახ, დიახ, სულით და გულითა გთხოვთ. მომიტევეთ, რომ უმართებულო აზრისა ვიყავი თქვენზე. ღმერთმა ინებოს, რომ ოდესმე მომეცეს შესაძლებლობა, ჩემი გულწრფელი სინანული და თქვენდამი კეთილგანწყობილება დაგიდასტუროთ.

ენგსტრანი. ნუთუ მართლა, ბატონო პასტორო?..

პასტორი მანდერსი. უდიდესი სიამოვნებით.

ენგსტრანი. მაშ, სწორედ ახლა გეძლევათ შესაძლებლობა. იმ კურთხეული ფულით, აქ რომ მოვაქუჩე, გადავწყვიტე ქალაქში პატარა ფუნდუკი გაეხსნა მეზღვაურებისთვის.

ფრუ ალვინგი. მართლა?

ენგსტრანი. დიახ, ასე ვთქვათ, ერთგვარი თავშესაფარი. რამდენი საცთური ელის საბრალო მეზღვაურს ხმელეთზე? ჩემს თავშესაფარში კი ისე იქნებიან, როგორც საკუთარ სახლში; ნამდვილი მამასავით ვიზრუნებ მათზე.

პასტორი მანდერსი. რას იტყვით ამაზე, ფრუ ალვინგ?

ენგსტრანი. ისე კი, ნაღდი ფული ცოტა მაქ; ამით რას აუხვალ? უფალო შენ შემეწიე! აი, ვინმე რომ დახმარების ხელს გამომიწვდიდეს...

პასტორი მანდერსი. კარგი, კარგი, ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ ამაზე, ყველაფერს ავწონ-დავწონით. თქვენი გეგმა ძალიან მომწონს. ახლა კი წადით, მოამზადეთ ყველაფერი, რაც საჭიროა, და სანთლებიც აანთეთ, რომ იქაურობას უფრო საზეიმო ელფერი ჰქონდეს. ვისაუბროთ და ერთად ვილოცოთ, ძვირფასო ენგსტრან. ახლა კი მჭერა, რომ სათანადო განწყობილებაზე ბრძანდებით.

ენგსტრანი. მეც აგრე ვფიქრობ. დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, და გაუფრთხილდით ჩემს რეგინას. (ცრემლს იწმენდს). მართალია, ცხონებული იოჰანას შვილია, მარა ღვიძლი შვილივით მკიდია გულზე. დიახ, დიახ. (თავს უკრავს და წინკარში გადის).

პასტორი მანდერსი. აბა, რას იტყვით, ფრუ ალვინგ? რა უცნაურად შემობრუნდა საქმე.

ფრუ ალვინგი. მართლაც.

პასტორი მანდერსი. აი, რა სიფრთხილე გემართებს ყოველთვის, როცა ჩვენს მოყვასზე ვმსჯელობთ. მით უფრო სასიამოვნოა დარწმუნდე, რომ თურმე სცდებოდი. რას იტყვი?

ფრუ ალვინგი. მე ვიტყვი, რომ თქვენ ყოველთვის დიდი ბავშვი იყავით და ბავშვადვე რჩებით, მანდერს.

პასტორი მანდერსი. მე?

ფრუ ალვინგი (ორივე ხელს დაადებს მხრებზე). და ერთსაც დავსძენ: ნეტავი შემეძლოს, რომ გულში ჩაგიკრათ.

პასტორი მანდერსი (სასწრაფოდ იხევის უკან). არა, არა! ღმერთო დიდებულო!.. ეს სურვილი...

ფრუ ალვინგი (ღიმილით). ნუ გეშინიათ.

პასტორი მანდერსი (მაგიდასთან). თქვენ ხანდახან ისე აკარბებთ თქვენი გრძნობების გამოხატვისას... ახლა კი, უწინარეს ყოვლისა, ქალაქებს ჩავალაგებ ჩანთაში. (ქალაქებს აწყობს). აი, ასე. ნახვამდის. ოსვალდი რომ დაბრუნდება, თვალი ფხიზლად გეპიროთ. მე კვლავ გინახულებთ. (ქუდს იღებს და წინკარში გადის).

ფრუ ალვინგი (ფანჯარაში იყურება და ამოიოხრებს; შემდეგ რაღაცას ალაგებს ოთახში და, ბოლოს, სასადილოს კარს შეადებს; შიგ შესვლა უნდა, მაგრამ გახევებულივით ჩერდება ზღურბლზე და თითქმის კივილით წამოიძახებს). ოსვალდ, შენ ჯერ კიდევ სუფრას უზიხარ?

ოსვალდი (სასადილო ოთახიდან). სიგარეტს ვეწეოდი.

ფრუ ალვინგი. მე კი მეგონა, რახანია წახვედი სასეირნოდ.

ოსვალდი. ამნაირ ამინდში?

(სასადილოდან კიქის წყარუნი ისმის. ფრუ ალვინგი კარს ღია სტოვებს, თვითონ კი ხელსაქმით პატარა ღივანზე ჯდება, ფანჯარასთან).

(სასადილოდან). პასტორი მანდერსი იყო, ახლა რომ წავიდა?

ფრუ ალვინგი. დიახ, თავშესაფარში.

ოსვალდი. კმ...

(სასადილოდან კვლავ გრაფინისა და კიქის წყარუნი ისმის).

ფრუ ალვინგი (გაოგნებული იყურება სასადილო ოთახის მხარეს). ამდენი ლიქიორი გაწყენს, ჩემო ძვირფასო; ძალიან მაგარია.

ოსვალდი. ამისთანა ამინდში სულზე მისწრებაა.

ფრუ ალვინგი. აქ ხომ არ მოხვალ, ჩემთან?

ოსვალდი. მანდ მოწევა რომ არ შეიძლება?

ფრუ ალვინგი. ერთი — შეიძლება.

ოსვალდი. მაშინ მოვალ. მხოლოდ ერთ ყლუპსაც მოვსვამ... ესეც

ასე. (სასადილო ოთახიდან გამოდის და კარს გამოიხურავს; ხელში სიგარეტი უკირავს. ხანმოკლე პაუზა). პასტორი სადღაა?

ფრუ ალვინგი. აკი გითხარი, თავშესაფარში წავეიდა-მეთქი? ოსვალდი. ჰო, მართლა.

ფრუ ალვინგი. ამდენ ხანს რა გინდოდა სუფრასთან, ოსვალდ? ოსვალდი (სიგარეტი ზურგს უკან უკირავს). თუკი მსიამოვნებს, დედი? (თაზე ხელს უსვამს და ეფერება). აბა, დაფიქრდი, რა ბედნიერებაა ჩემთვის შინ დაბრუნება, ჩემი საყვარელი დედიკოს ოთახში დედიკოსავე სუფრასთან ჯდომა და დედიკოს ხელით გაკეთებული კერძებით პირის ჩაგემპრიელება.

ფრუ ალვინგი. ჩემი საყვარელი, ძვირფასი ბიჭი!

ოსვალდი (ცოტა არ იყოს გაღიზიანებული დააბიჯებს ოთახში და ეწევა). არადა, კაცმა რომ თქვას, რა უნდა აკეთო აქ? მუშაობა შეუძლებელია...

ფრუ ალვინგი. შეუძლებელია?..

ოსვალდი. ამნაირ უემურ ამინდში? მთელი დღე მზეს ერთხელაც არ გამოუქიპატებია. (ბოლოსას სცემს). რა საშინელებაა უსაქმოდ ჯდომა.

ფრუ ალვინგი. ცოტა ნაადრევი ხომ არ მოგივიდა შინ დაბრუნება?

ოსვალდი. არა, დედი, ასე იყო საჭირო.

ფრუ ალვინგი. ათასწილ მერჩია არ მღირსებოდა შენი ნახვის ბედნიერება, ვიდრე ვხედავდე იმას, თუ როგორ...

ოსვალდი (მის წინ ჩერდება). მითხარი, დედი, მართლა ასეთი ბედნიერებაა შენთვის ჩემი დანახვა?

ფრუ ალვინგი. ბედნიერებააო?..

ოსვალდი. მე მგონია, შენთვის სულერთი უნდა იყოს, ვარ თუ არა, საერთოდ ვარსებობ თუ არა ამ ქვეყანაზე.

ფრუ ალვინგი. რა გული გაძლევს, დედას ამნაირი სიტყვა აკადრო, ოსვალდ?

ოსვალდი. აკი უწინ მშვენიერად ცხოვრობდი უჩემოდ?

ფრუ ალვინგი. დიახ, ვცხოვრობდი, ეგ მართალია.

დუმილი. ბინდი თანდათან სქელდება. ოსვალდი ბოლოს სცემს ოთახში. სიგარეტი მაგილაზე დევს.

ოსვალდი (დელის წინ ჩერდება). დედი, შეიძლება გვერდით მოგიჯდე?

ფრუ ალვინგი (ჩაიჩოჩებს და ადგის უთავისუფლებს). მოდი, მოდი, ჩემო ძვირფასო.

ოსვალდი (ჯდება). რალაცა უნდა გითხრა, დედი.

ფრუ ალვინგი (დაძაბულად). მაინც?..

ოსვალდი (სიერცეს მიაპრობს მზერას). ამ საშინელების გაძღება აღარ შემიძლია.

ფრუ ალვინგი. საშინელების?.. რა მოგივიდა?

ოსვალდი (უწინდებურად). ვერასდობებით ვერ გავებდე შენთვის მომეწერა, ხოლო როდესაც დავბრუნდი...

ფრუ ალვინგი (ხელს ჩასჰიდებს). რა მოხდა, ოსვალდ? —

ოსვალდი. გუშინაც და დღესაც ყოველნაირად ვცდილობდი თავიდან მომეცილებინა ეს აზრი, ხელი ჩამეჭნია ყველაფერზე. მაგრამ ამოდ, არაფერიც არ გამოვიდა.

ფრუ ალვინგი (დგება). ახლა კი ყველაფერი უნდა მითხრა, ოსვალდ.

ოსვალდი (კვლავ ღივანზე სვამს ღვინოს). არა, იჯექი, იჯექი, და მე ვეცდები, ყველაფერი გითხრა... აქამდე სულ იმას ვჩიოდი, მგზავრობამ დამალა—მეთქი...

ფრუ ალვინგი. მერე რა?..

ოსვალდი. მაგრამ ეს ჩვეულებრივი დადლილობა როდია.

ფრუ ალვინგი (კვლავ წაბოიკრება ფეხზე). ავად ხომ არ ხარ, ოსვალდ?

ოსვალდი (ხელახლა სვამს ღივანზე). იჯექი, დედი, და მშვიდად მომისმინე. მე მართლა ავად როდი ვარ, იმ გაგებით, რითაც, საერთოდ, ავადმყოფობას გულისხმობენ. (თავზე შემოიწყობს ხელებს). დედი, მე მოეტყვი, სულიერად დავეცი... ველარასოდეს ველარ ვიმუშავებ, დედი! (სახეზე ხელებს აიფარებს, თავს დედის კალთაში ჩარგავს და ქვითინებს).

ფრუ ალვინგი (გაფითრებული; ცახცახით). აბა, შემომხედე! არა, ეგ ტყუილია, ოსვალდ!

ოსვალდი (სასოწარკვეთილი მისჩერებია). ველარასოდეს ველარ შევძლებ მუშაობას! ველარასოდეს... ველარასოდეს... ამიერიდან ცოცხალი ლეში უნდა მერქვას! გესმის, რა საშინელებაა, დედი?

ფრუ ალვინგი. ჩემო საცოდავო ბიჭო! რამ შეგაშინა?

ოსვალდი (წელში იმართება). ეგ რომ ვიცოდე?.. მე არასოდეს არაფერში არ გამომიჩენია მეტისმეტობა. ეგ არ იფიქრო, დედი. ყოველთვის თავს ვარიდებდი ამას.

ფრუ ალვინგი. მჭერა, ოსვალდ.

ოსვალდი. და მაინც ამნაირი უბედურება დამატყდა თავს.

ფრუ ალვინგი. ყველაფერი დალაგებით მიაშბე, ყველაფერი; გესმის?

ოსვალდი. მეც მაგას ვცდილობ.

ფრუ ალვინგი. მაინც როდის შენიშნე ეს?

ოსვალდი. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვიყავი სახლში და მერე ისევ პარიზს დავბრუნდი. ჯერ იყო და, თავის საშინელი

ტკივილები დამეწყო, განსაკუთრებით, კეფის არეში. თითქოს რკინის ვიწრო სალტეს მაცვამენ თავზე და მაგრა მიკერნო.

ფრუ ალვინგი. მერე?

ოსვალდი. პირველ ხანებში თავის ჩვეულებრივი ტკივილი მეგონა, რომელიც ასე მტანჯავდა გარდამავალ ასაკში.

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ...

ოსვალდი. მაგრამ მალე შევნიშნე, რომ ეს სულ სხვანაირი ტკივილი იყო. მუშაობა აღარ შემეძლო. დიდი სურათის დაწყებას ვაპირებდი, მაგრამ ყველა უნარმა თითქოს ერთბაშად მილა-ლატა, ძალამ მიმტყუნა და აზრს ველარ ვიკრებდი... თავში ყველაფერი ამერ-დამერია... საშინელ დღეში ჩავვარდი! ბო-ლოს ექიმი მოვაყვანიხე და მისგან გავიგე, რაც მქირდა.

ფრუ ალვინგი. მაინც?..

ოსვალდი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო პარიზელი ექიმი. იძულებული ვიყავი, ყველაფერი მეამბა, რას ვგრძნობ-დი, რას განვიცდიდი, მან კი, ბოლოს, უთვალავი კითხვა მომცა, რომლებსაც, ჩემის აზრით, საქმესთან თითქოს საერთო არაფერი უნდა ჰქონოდათ. მე არ მესმოდა, რას ისახავდა მიზნად...

ფრუ ალვინგი. მერე?

ოსვალდი. ბოლოს მან მითხრა: თქვენ ჰიანაქამი დაიბადეთ. დიახ, ზუსტად ასე თქვა:

ფრუ ალვინგი (დაძაბულად). ვითომ რას გულისხმობდა?

ოსვალდი. მართალი გითხრა, ვერც მე გავიგე და ვთხოვე, უფრო გარკვევით მითხარი-მეთქი. და მაშინ ამ ბებერმა ცინიკოსმა თქვა... (მუშტებს მოკუშავს). ო!...

ფრუ ალვინგი. რაო, მაინც რა თქვა?

ოსვალდი. მან თქვა: მამების ცოდვებს შვილები ზღავენო.

ფრუ ალვინგი (ნელ-ნელა ღება). მამების ცოდვებსო?..

ოსვალდი. დიახ. რას იტყვი? მე, რა თქმა უნდა, მტკიცება დავუწყე, თქვენი ექვები აქ არაფერ შუაშია-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკდე, გგონია დამიჯერა? ჩიტად იდგა თავისაზე და მხოლოდ მას შემდეგ, რაც შენი წერილები ვუჩვენე და ის ადგილები გადავუთარგმნე, სადაც მამაჩემის შესახებ მწერდი...

ფრუ ალვინგი. მერე?..

ოსვალდი. მაშინ კი რალა ეთქმოდა, ძალაუნებურად დამეთანხმა, რომ ცდებოდა, და მაშინლა გავიგე სიმართლე, გონებაშიუწ-ვდომელი სიმართლე. როგორც ჩანს, ჩემი ამხანაგებივით არ უნდა ავყოლოდი მხიარულ დროსტარებას და თავი შემეკა-ვებიანა ესოდენ მშფოთვარე ცხოვრებისაგან, რადგანაც საა-

მისოდ თურმე ძალზე სუსტი ვიყავი. ასე, რომ, მარტოოდენ მე ვარ დამნაშავე! მხოლოდ მე მიმიძღვის ბრალი!

ფრუ ალვინგი. არა, არა, ოსვალდ! არ დაიჭერო.

ოსვალდი. სხვანაირი ახსნა გამორიცხულიაო, თქვა მან. აი, რა არის საშინელი. ჩემი საკუთარი თავქარიანობის წყალობით, სამუდამოდ დავიღუპე თავი. არადა, რამდენი გეგმა მქონდა, რამდენი ჩანაფიქრი... ახლა კი ამაზე ფიქრიც აღარ შეიძლება და, კაცმა რომ თქვას, აღარც ფიქრის თავი მაქვს. ნეტა შეიძლებოდეს ცხოვრების თავიდან დაწყება! ნეტა შემეძლოს მთლიანად წაეშალო ყოველივე იმის კვალი, რაც იყო! (პირველად დაეხმობა ღვიძლს).

ფრუ ალვინგი უსიტყვოდ იმტერებს ხელეხს; აშკარად ეტყობა, რომ თავის თავს ებრძვის და გამწარებით აწყდება აქეთ-იქით. ცოტა ხნის შემდეგ ოსვალდი თავს წამოსწევს, იდაყუებს ეყრდნობა და დედას შესტკერის.

მემკვიდრეობით რომ მრგებოდა ეს სნეულება, რა მეთქმოდა? მაგრამ ეს!.. ასე უაზროდ დაანგრიო შენი ბედნიერება, შენი ჯანმრთელობა, შენი მომავალი, მთელი შენი სიცოცხლე!..

ფრუ ალვინგი. არა, არა, ეს შეუძლებელია, ჩემო ძვირფასო! (ოსვალდის თავზე იხრება). შენი მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა, როგორც ფიქრობ.

ოსვალდი. ეკ, შენ რა იცი?.. (წამოეარდება). არადა, რამხელა ტკივილს გაყენებ? რამდენჯერ მინატრია, რამდენჯერ მინდოდა მქონოდა იმის იმედი, რომ შენ, არსებითად, არა გკირდები.

ფრუ ალვინგი. მე, ოსვალდ? ეგ რამ გაფიქრებინა, შენ ხომ ჩემი ერთადერთი შვილი ხარ?.. ჩემი ერთადერთი საუნჯე... ჩემი სასოება და თვალისჩინი?..

ოსვალდი (დედის ორივე ხელს ჩაბლუჯავს და ხარბად ჰკოცნის). დიახ, ვხედავ, ვხედავ. როცა სახლში ვარ, ყველაფერს ვხედავ, და ყველაზე აუტანელი სწორედ ესაა ჩემთვის. მაგრამ შენ ახლა ყველაფერი იცი, და დღეს მეტად აღარ ვილაპარაკებთ ამაზე. ამ საშინელებაზე დიდხანს ფიქრი ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. (განზე გადის). რამე სასმელი მომეცი, დედი.

ფრუ ალვინგი. სასმელი? მაინც რომელი?

ოსვალდი. სულერთია. ცივი პუნში ხომ არ გექნება?

ფრუ ალვინგი. ოსვალდ...

ოსვალდი. ნუ მედავები, დედი, თუ შეიძლება. რალაცით ხომ უნდა ჩავახშო ეს მტანჯველი ფიქრი? (ვერანდაზე გადის). თანაც, ეს სიბნელე...

ფრუ ალვინგი ზარს ჩამოკრავს.

...და ეს გადაულეებელი წვიმა. ასე შეიძლება გაგრძელდეს

მთელი კვირებისა და თვეების მანძილზე. ერთხელაც არ გამოანათებს მზე. რამდენჯერაც არ ჩამოვსულვარ სახლში, არ მახსოვს, მზიანი დღე ყოფილიყოს.

ფრუ ალვინგი. ჩემგან წასვლას აპირებ, ოსვალდ?

ოსვალდი. კმ... (ძლივს ითქვამს სულს). ახლა არაფერსაც არ ვაპირებ.

არაფრის თავი არა მაქვს. (ყრუდ). ყველაფერი უნდა გადავდო.

რეგინა (სასადილო ოთახიდან გამოდის). თქვენ რეკავდით, ქალბატონო?

ფრუ ალვინგი. დიახ. ლამაა შემოიტანე.

რეგინა. ახლავე. უკვე ავიანთე. (გაღის).

ფრუ ალვინგი (შვილს უახლოვდება). ნურაფერს დამიმალავ, ოსვალდ.

ოსვალდი. არც არაფერს გიმალავ, დედი. (მაგიდასთან მიდის). მე

მგონია, ყველაფერი გითხარი.

რეგინას ანთებული ლამაა შემოაქვს და მაგიდაზე დგამს.

ფრუ ალვინგი. ჰო, მართლა, რეგინა, ნახევარი ბოთლი შამპანური მოგვიტანე.

რეგინა. კეთილი, ქალბატონო. (გაღის).

ოსვალდი (თავზე ეხეუა დედას). ვიცოდი, რომ დედაჩემი წყურვილით არ დამახრჩობდა.

ფრუ ალვინგი. დიახ, ჩემო საბრალო ბიჭო. განა შემიძლია უარი გითხრა რამეზე?

ოსვალდი (გამოცოცხლებად). მართლა, დედი? სერიოზულად მეუბნები მაგას?

ფრუ ალვინგი. მაინც რას?

ოსვალდი. რასა და იმას, რომ ჩემთვის უარის თქმა არ შეგიძლია?

ფრუ ალვინგი. ცხადია, ჩემო ძვირფასო...

ოსვალდი. სსუ!

რეგინა (სინით შემოაქვს შამპანურის ბოთლი და ორი კიკა და მაგიდაზე დგამს). გაეხსნა?

ოსვალდი. გმადლობთ, მე თვითონ.

რეგინა გაღის.

ფრუ ალვინგი (მაგიდას უჯდება). მაინც რას გულისხმობდი, როცა მეკითხებოდ: მართალია თუ არა, რომ ჩემთვის უარის თქმა არ შეგიძლია?

ოსვალდი (ბოთლს ხსნის). ჭერ თითო კიკა დავლივთ. (საცობი ზათქით ამოვარდება და ოსვალდი ჭერ ერთ კიკას ავსებს, შემდეგ კი მეორის შეესებას აპირებს).

ფრუ ალვინგი (კიკას ხელს აფარებს). არა, მე არ მინდა.

ოსვალდი. მაშინ მე ერთსაც დავისხამ! (კიკას ცლის, ზელახლა შეიესებს, მეორედაც ცლის და შემდეგ მაგიდას უჯდება).

ფრუ ალვინგი (მოლოდინით). აბა?

ოსვალდი (თვალს არიდებს). იცი, რა? მე მომეჩვენა, რომ შენ და პასტორი სუფრასთან... კმ... რაღაც უცნაურად სდუმდით.

ფრუ ალვინგი. მაშ, შეამჩნიე?

ოსვალდი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). დიახ. კმ... ერთი ეს მითხარი, როგორ მოგწონს რეგინა?

ფრუ ალვინგი. როგორ მომწონს?

ოსვალდი. დიახ. ხომ მშვენიერია?

ფრუ ალვინგი. ჩემო ძვირფასო ოსვალდ, მე შენზე უკეთ ვიცნობ რეგინას...

ოსვალდი. მერე?

ფრუ ალვინგი. რეგინა, სამწუხაროდ, ძალიან დიდხანს ცხოვრობდა და თავის მშობლებთან. ალბათ, ცოტა ადრე უნდა წამომეყვანა.

ოსვალდი (შამპანურს ისხამს). ასეა, მაგრამ, ხომ მშვენიერია?

ფრუ ალვინგი. რეგინას საკმაოდ ბევრი ნაკლი აქვს...

ოსვალდი. მერე რა?.. (სვამს).

ფრუ ალვინგი. მაგრამ მე მაინც მიყვარს. და მის ბედზე მე ვაგებ პასუხს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ რაიმე ცუდი შეემთხვეს.

ოსვალდი (წამოვარდება). თუ მიხსნის, მხოლოდ ეგ მიხსნის, დედი!

ფრუ ალვინგი. კარგად გამაგებინე!

ოსვალდი. მე მარტო ვერ გაეუძლებ ამ ტანჯვას.

ფრუ ალვინგი. კი მაგრამ, დედაშენი? განა მე ვერ დაგეხმარები?

ოსვალდი. პირველად მეც აგრე მეგონა. ამიტომაც დაებრუნდი შენთან. მაგრამ არაფერი არ გამოდის; ასე არ შეიძლება. მე ვხედავ, რომ აქ ვერ გაეძლებ.

ფრუ ალვინგი. ოსვალდ!

ოსვალდი. მე სხვანაირი ცხოვრება მჭირდება, დედი. ამიტომაც უნდა დაგტოვო. რატომ უნდა ეწამო ჩემი გულისთვის?

ფრუ ალვინგი. ჩემო საბრალო ბიჭო! ო! მანამდე მაინც დარჩი, სანამ ასე ავად ხარ, ოსვალდ...

ოსვალდი. მარტო ეს ჰკირი რომ მჭირდეს, ალბათ, დავრჩებოდი, დედი. შენზე ახლო მეგობარი ვინ მყავს ამქვეყნად?

ფრუ ალვინგი. ხომ მართალია, ოსვალდ?

ოსვალდი (მოუსვენრად წრიალებს ოთახში). მაგრამ ეს წარმოუდგენელი სინილისის ქენჯნა, ეს სინანული... და ეს საზარელი, თავზარდამცემი შიში... ეს აუტანელი საშინელება...

ფრუ ალვინგი (ფეხდაფეხ დასდევს). საშინელება? რას ამბობ? რა საშინელება?

ოსვალდი. ნუ მკითხავ. თვითონაც არ ვიცი. არაფერი არ გამეგება.

ფრუ ალვინგი ხელმარჯვნივ მიდის და რეკავს.

რა გინდა?

ფრუ ალვინგი. მე მინდა, ჩემი საბრალო ბიჭი გამხიარულდეს; თავი დააღწიოს ამ მტანჯველ ფიქრებს. (შემოსულ რეგინას). ერთი ბოთლი შამპანურიც!

რეგინა გადის.

ოსვალდი. დედა!

ფრუ ალვინგი. შენ გგონია, რომ ჩვენ, სოფლელებს, დროს ტარება არ შეგვიძლია?

ოსვალდი. არა, ხომ მშვენიერია? რა ტანი აქვს?!. ფერ-ხორცილ და ჯან-ლონით სავსე...

ფრუ ალვინგი (მაგიდას უჯდება). დაჯექი, ოსვალდ, დამშვიდებით მოვილაპარაკოთ.

ოსვალდი (თვითონაც მაგიდას უჯდება). შენ, ალბათ, არ იცი, დედა, რომ მე დამნაშავე ვარ რეგინას წინაშე და მინდა ჩემი დანაშაული გამოვიწყლო.

ფრუ ალვინგი. დანაშაული?

ოსვალდი. ან, თუ გნებავს, წინდაუხედაობა; ეს სულერთია. უკანასკნელად რომ დაებრუნდი საფრანგეთიდან...

ფრუ ალვინგი. დიახ...

ოსვალდი. ...სულ პარიზის ამბებს მეკითხებოდა... მეც ეუამბობდი, ხან რას და ხან რას. მახსოვს, ერთხელ ისიც ვუთხარი, პარიზის ნახვა თუ გინდა-მეთქი?

ფრუ ალვინგი. მერე?

ოსვალდი. უკებ წამოენთო და მიპასუხა, რა თქმა უნდა ძალიან მინდაო. რაზედაც მე მივუგე: ვნახოთ, ამას როგორმე მოვაგვარებთ-მეთქი, თუ რალაც ამგვარი.

ფრუ ალვინგი. მერე?

ოსვალდი. მერე მე, რასაკვირველია, ყველაფერი დამავიწყდა. მაგრამ, აი, გუშინწინ ვკითხე, გიხარია თუ არა, ამდენ ხანს რომ ვრჩები-მეთქი?..

ფრუ ალვინგი. მან კი?..

ოსვალდი. მან კი რალაც უცნაურად შემომხედა და მიპასუხა: „კი მაგრამ, აკი შემპირდით, პარიზს გიჩვენებო?“

ფრუ ალვინგი. პარიზსო?

ოსვალდი. მაშინ, ჩავეკითხე და მივხვდი, რომ ჩემი სიტყვები მართალი ჰგონებია და მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე

სულ პარიზზე ოცნებობდა. ფრანგულის სწავლაც კი დაუწყია...

ფრუ ალვინგი. აი, თურმე რატომ...

ოსვალდი. როცა ეს ახალგაზრდა, ლამაზი და სიცოცხლით სავსე ქალიშვილი დაინახე, რომელსაც ადრე რატომღაც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და რომელიც ახლა მორჩილად იდგა ჩემს წინაშე და თითქოს მზად იყო ალერსზე ალერსით ეპასუხა...

ფრუ ალვინგი. ოსვალდ!

ოსვალდი. ...გულმა თითქოს რეჩხი მიყო და ანაზღეულად გამიელვა: ესაა ჩემი ერთადერთი ხსნა-მეთქი! იმიტომ, რომ მასში იმდენი სიხალისე და სიცოცხლის სიყვარული შევნიშნე...

ფრუ ალვინგი (გაოგნებული). სიცოცხლის სიყვარული?! მაშ, ესაა შენი ხსნა?

რეგინა (შაჰანურის ბოთლით გამოდის სასადილო ოთახიდან). მომიტევეთ, რომ დავიგვიანე; სარდაფში მომიწია ჩასვლამ... (ბოთლს მაგიდაზე დაგას).

ოსვალდი. ერთი კიქაც მოიტანე.

რეგინა (გაკვირვებული შეხედავს). ქალბატონის კიქა აქაა, ბატონო ალვინგ.

ოსვალდი. დიახ, მაგრამ შენთვის მოიტანე, რეგინა.

რეგინა შეერთება და შეშინებული გადახედავს ფრუ ალვინგს.

აბა!

რეგინა (ჩუმად, ენის ბორძიკით). ქალბატონო!..

ფრუ ალვინგი. მოიტანე, მოიტანე, რეგინა.

რეგინა სასადილო ოთახში გადის.

ოსვალდი (თვალს აყოლებს). ერთი შეხედე, როგორ მიირხევა! რა მტკიცე და თამამი ნაბიჯი აქვს!

ფრუ ალვინგი. ეს არ მოხდება, ოსვალდ!

ოსვალდი. ეს უკვე გადაწყვეტილია. ვერ ხედავ? წინააღმდეგობას აზრი არა აქვს.

რეგინა ბრუნდება. ხელში ცარიელი კიქა უპირავს.

დაჭექი, რეგინა!

რეგინა კითხვის გამოშხატველი მზერით მისჩერებია ფრუ ალვინგს.

ფრუ ალვინგი. დაჭექი!

რეგინა სასადილო ოთახის კართან მდგარ სკამზე ჯდება; ხელში კვლავ ცარიელი კიქა უპირავს.

რაო, რას ამბობდი, ოსვალდ, სიცოცხლის სიყვარულიო?..

- ოსვალდი.** დიახ, სიცოცხლის სიყვარული, დედა. ჩვენთვის ეს უცხო ხლია. ამ ჩვენს სახლში ერთხელაც კი არ მიგრძენია.
- ფრუ ალვინგი.** მაშინაც კი, როცა შენ აქა ხარ, ჩემთან?
- ოსვალდი.** დიახ, მაშინაც... მაგრამ შენ ამას ვერ ხელები, დედა.
- ფრუ ალვინგი.** არა, არა, მე მგონია, ახლა კი ეხვდები...
- ოსვალდი.** სიცოცხლისმოყვარეობა და შრომისმოყვარეობა, კაცმა რომ თქვას, ერთი და იგივეა. მაგრამ სწორედ ეს არ იგრძნობა ჩვენს სახლში.
- ფრუ ალვინგი.** როგორც ჩანს, სწორი ხარ, ოსვალდ. აბა, განაგრძე, განაგრძე. კარგად ამისხენი, გამაგებინე.
- ოსვალდი.** მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ადამიანებს აქ ასწავლიან, შრომას უყურებდნენ, როგორც წყევლას, და ცოდვის საზღაურს, თვით სიცოცხლეს კი — როგორც სატანჯველს, რომელსაც რაც უფრო მალე დააღწევ თავს, მით უკეთესი.
- ფრუ ალვინგი.** დიახ, სიცოცხლე ტანჯვაა. და ჩვენც ყოველნაირად ვცდილობთ, რომ ნამდვილ სატანჯველად ვაქციოთ იგი.
- ოსვალდი.** იქ კი ადამიანებს ამის გაგონებაც არ უნდათ. იქ უკვე აღარაღვის სჯერა ამნაირი შეგონებანი. იქ სიცოცხლეს შეჰხარიათ. ცხოვრება, არსებობა უკვე ნეტარებად ითვლება. შენ, ალბათ, შენიშნე, დედი, რომ ყველა ჩემი სურათი ამ თემისადმი მიძღვნილი. ყველას სიცოცხლის სიხარული აკერია პირზე. იქ ყველგან მზეა, სინათლე, საზეიმო განწყობილება და ბედნიერებით გაბრწყინებული სახეები. აი, რატომ მეშინია აქ, აქ, შენთან დარჩენა.
- ფრუ ალვინგი.** გეშინია! ჩემთან რისი უნდა გეშინოდეს?
- ოსვალდი.** იმისა, რომ ყველაფერი, რაც ჩემშია, რაც მაქვს, რაც გამაჩნია, აქ სიმახინჯედ გადაგვარდება.
- ფრუ ალვინგი** (დაიხეობით უცქერის). შენის აზრით, ეს შესაძლებელია?
- ოსვალდი.** დარწმუნებული ვარ. აქ რომ იმნაირი ცხოვრებით იცხოვრო, როგორც იქ, ეს მაინც არ იქნება იქაური ცხოვრება.
- ფრუ ალვინგი** (დაძაბული ყურადღებით უსმენს, ფართოდ გახილულ თვალებში ფიქრი ჩასდგომა; წამოდგება და ამბობს). აი, თურმე სადაა ყველაფრის სათავე. ახლა კი მესმის.
- ოსვალდი.** მაინც რა?..
- ფრუ ალვინგი.** პირველად მივხვდი, გავიგე, და შემოძლია ყველაფერი გითხრა.
- ოსვალდი** (დგება). არ მესმის შენი.

რეგინა (დგება). ხომ არ დაგტოვოთ?

ფრუ ალვინგი. არა, არა, დარჩი... ახლა კი შემძლია ვილაპარაკო.
ახლა ყველაფერს გაიგებ და თვითონვე გაერკვევი, შვილო.
ოსვალდ, რეგინა...

ოსვალდი. სსუ!.. პასტორი!..

პასტორი მანდერსი (წინაკრიდან შემოდის). ესეც ასე! მთელი ერთი
საათი გულითად საუბარში გავატარეთ.

ოსვალდი. ჩვენც.

პასტორი მანდერსი. უნდა დავეხმაროთ ენგსტრანს იმაში, რომ
მეზღეაურების თავშესაფარი მოაწყოს. რეგინა მამასთან
გადავა და ხელს შეაშველებს.

რეგინა. არა, დიდად გმადლობთ, ბატონო პასტორო.

პასტორი მანდერსი (ახალა შეაშინა). რაო?.. აქ რა გინდათ? კიქაც
რომ ხელში უჭირავს?!

რეგინა (კიქას სასწრაფოდ ღვაძს მაგიდაზე).

ოსვალდი. რეგინა ჩემთან წამოვა, ბატონო პასტორო.

პასტორი მანდერსი. თქვენთან წამოვა?..

ოსვალდი. დიახ, როგორც ჩემი ცოლი, თუკი დათანხმდება.

პასტორი მანდერსი. ღმერთო ჩემო!..

რეგინა. მე აქ არაფერ შუაში ვარ, ბატონო პასტორო.

ოსვალდი. ანდა, თუ დაერჩი, ისიც აქ დარჩება.

რეგინა (უნებურად). აქ?

პასტორი მანდერსი. ნამდვილად შევიშლები, ფრუ ალვინგ!

ფრუ ალვინგი. არც ერთი მოხდება და არც მეორე. ახლა კი
მთელ სიმართლეს გეტყვით.

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, ნუთუ მართლა?.. არა, არა, არა!

ფრუ ალვინგი. დიახ! მე ასე მინდა! და არავითარი იდეალი არ
დაიმსხვრევა.

ოსვალდი. რას მიმალაეთ, დედა?

რეგინა (რალაყს აუურადებს). ქალბატონო! გესმით? ხალხი ყვირის!
(ვერანდაზე გადის და ფანჯარაში იყურება).

ოსვალდი (მარცხენა ფანჯარასთან მიდის). რა მოხდა? ეს რა სინათლეა?

რეგინა (ყვირის). თავშესაფარი იწვის!

ფრუ ალვინგი (ფანჯარას მივარდება). იწვის?!

პასტორი მანდერსი. იწვის? შეუძლებელია! ახლახან იქ არ ვიყავი?

ოსვალდი. სადაა ჩემი ქული? თუმცა, სულერთია... მამაჩემის
თავშესაფარი?.. (ვერანდიდან ბაღში ჩარბის).

ფრუ ალვინგი. შალი მომეცი, რეგინა! მთელი შენობა ცეცხლის
აღშია გახვეული!..

პასტორი მანდერსი. რა საშინელებაა!.. ესაა მსჯავრი შფოთისა
და განხეთქილების სახლსა ზედა, ფრუ ალვინგ!

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. წავედეთ, რეგინა.
(სასწრაფოდ გადის წინკარიდან რეგინას თანხლებით).

პასტორი მანდერსი (ხელს შემოკრავს). დაზღვეულიც რომ არ არის!
(კვალდაკვალ მისდევს მათ).

მესამე მოქმელება

იგივე ოთახი. ყველა კარი ღიაა. ანთებული ლამა კვლავ მაგიდაზე დგას.
ეზოში ბნელა. მხოლოდ მარცხნივ, უკანა მხარეს, ცა ოდნავაა შეწითლებული.
ფრუ ალვინგს თავზე შალი მოუხურავს, ვერანდაზე დგას და ბაღში იუურება.
რეგინასაც მანდილი წაუკრავს თავზე. ქალბატონის უკან დგას.

ფრუ ალვინგი. ყველაფერი დაიწვა; ფერფლად იქცა.

რეგინა. სარდაფი ჯერ კიდევ იწვის.

ფრუ ალვინგი. ოსვალდი მაინც სადაა? გადასარჩენი რომ
აღარაფერი დარჩა?

რეგინა. ქუდი ხომ არ წაუღლო?

ფრუ ალვინგი. ქუდიც არ დაუხურავს?

რეგინა (წინკარზე ანიშნებს). აგერ, იქ ჰკილია.

ფრუ ალვინგი. ჰკილია და ეკიდოს. ალბათ მალე მოვა. წავეალ,
თვითონვე დავხედავ. (ვერანდიდან ჩადის).

პასტორი მანდერსი. (წინკარიდან შემოდის). ფრუ ალვინგი სადაა?
რეგინა. ეს-ესაა ბაღში ჩავიდა.

პასტორი მანდერსი. ასეთი საშინელი ლამე არ მახსოვს.

რეგინა. მართლაც საშინელი უბედურება დატრიალდა, ბატონო
პასტორო.

პასტორი მანდერსი. ეჰ, ნულარ მეტყვით. ფიქრიც კი გზარავს
კაცს.

რეგინა. მაინც რა უნდა მომხდარიყო?..

პასტორი მანდერსი. ნუ მეკითხებით, იომფრუ ენგსტრან; აბა, ან
მე რა ვიცი, ან თქვენ რა უნდა იცოდეთ?.. ამ მამათქვენმა ხომ...

რეგინა. რა?..

პასტორი მანდერსი. ...პირდაპირ თავგზა ამირია.

ენგსტრანი (წინაქრიდან შემოდის). ბატონო პასტორი...

პასტორი მანდერსი (შეშინებული შეტრიალდება). აქაც გამომყევით? რა ლანდივით დამდევთ?

ენგსტრანი. კი მარა, საჭირო როა, დამლახვროს ღმერთმა! ოჰ, იესო ქრისტე! ეს რა ცოდვა დატრიალდა, ბატონო პასტორო?

პასტორი მანდერსი. (ბოლთასა სცემს). აბა, აბა!

რეგინა. მაინც რა მოხდა?

ენგსტრანი. სულ თქვენმა ლოცვამა ქნა. (რეგინას — ჩურჩულით). ახლა კი ჩიტი მახეში გვეყავს, გოგონი. (ხმაშალა). არადა, ჩემ გამო მოახდინა პასტორმა ეს უბედურება!

პასტორი მანდერსი. ღმერთო ჩემო, გარწმუნებთ, ენგსტრან...

ენგსტრანი. კი მარა, პასტორის გარდა ვინ ატრიალებდა ხელში ანთებულ სანთელს?

პასტორი მანდერსი. ეს — თქვენ რომ გკითხვით კაცმა, მე კი, ღმერთმანი, არ მახსოვს, მექირა თუ არა სანთელი.

ენგსტრანი. მე კი ახლაც თვალწინ მიდგას: პასტორმა თითებით ჩააქრო სანთელი და ნამწვი პარდაპირ ბურბუშელების გროვაში მოისროლა.

პასტორი მანდერსი. თქვენი თვალით დაინახეთ?

ენგსტრანი. დიახ, ჩემი თვალით.

პასტორი მანდერსი. გასაშტერებელი ამბავია. ამნაირი ჩვეულება მაინცა მქონდეს! ჩემს დღეში თითებით არ ჩამიქრია სანთელი.

ენგსტრანი. ალბათ, ამიტომაც იყო, რო რალაც უხერხულად ჩააქრეთ. ნამეტანი ცული ამბავი კი დატრიალდა, ბატონო პასტორო, ჰა?

პასტორი მანდერსი (შეშფოთებული დააბიჯებს ოთახში). ნულარა მკითხავთ!

ენგსტრანი (უკან დასდევს). და ბატონ პასტორს არათფერი დაუზღვევია?

პასტორი მანდერსი (კვლავ მოუსვენრად წრიალებს). აკი გითხარით, არა-მეთქი?

ენგსტრანი (არ ეშვება). მაშასადამე, არ დაგიზღვევიათ! მერე კი აიღეთ და დაწვით? ღმერთო დიდებულო! აი, უბედურება!

პასტორი მანდერსი (შუბლიდან ოფლს იწმენდს). დიახ უნდა ვალიარო, რომ...

ენგსტრანი. მაინცდამაინც ამისთანა საღეთო საქმეს უნდა მოსვლოდა მარცხი. არადა, როგორც ამბობენ, რამხელა სარგებლობას

მოელოდნენ ამ თავშესაფრისაგან ქალაქიკა და მთელი ჩვენი კუთხეც... ისე გაზეთები კი დაინდობენ ბატონ პასტორს, მარა...

პასტორი მანდერსი. ვინ დაგინდობს? სწორედ ამაზე ვფიქრობ ახლა, აი, რა არის ყველაზე უარესი. მოდი და გაუძელო ამდენ გამობზომებსა და თავდასხმებს. ღმერთმანი, ამაზე ფიქრისას, ერუანტელი მივლის ტანში.

ფრუ ალვინგი (ბალიდან ამოდის). ადგილიდან დასძრავ თუ რა?.. ხალხს ეხმარება ხანძრის ჩაქრობაში.

პასტორი მანდერსი. აჰ, ეს თქვენა ხართ, ფრუ ალვინგი?

ფრუ ალვინგი. საზეიმო სიტყვის წარმოთქმისაგან ხომ განთავისუფლდით, პასტორო მანდერს?

პასტორი მანდერსი. ო, მე დიდი სიამოვნებით...

ფრუ ალვინგი (ხმაღალა). კარგია, რომ ასე მოხდა. ამ თავშესაფარს მაინც არ ეწერა კურთხევა.

პასტორი მანდერსი. თქვენ გგონიათ?

ფრუ ალვინგი. თქვენ?

პასტორი მანდერსი. მაგრამ ეს მაინც საშინელი უბედურებაა.

ფრუ ალვინგი. მოდით, პირწმინდად პრაქტიკული თვალსაზრისით შევხედოთ საქმეს... თქვენ პასტორ მანდერსთანა ხართ, ენგსტრან?

ენგსტრანი (წინკართან). დიახ.

ფრუ ალვინგი. მაშ, ცოტა ხანს დაელოდეთ. მანდ ჩამოჯექით.

ენგსტრანი. მადლობელი ვარ. ფეხზე ვიდგები.

ფრუ ალვინგი (პასტორს). თქვენ, ალბათ გემით წახვალთ.

პასტორი მანდერსი. დიახ, ერთ საათში გადის.

ფრუ ალვინგი. მაშინ გთხოვთ, ქალაღლებიც თან წაიღეთ. ამ საქმის გაგონებაც აღარ მინდა. საფიქრალი და საზრუნავი არ მაკლია.

პასტორი მანდერსი. ფრუ ალვინგი...

ფრუ ალვინგი. რწმუნებულებას მოგვიანებით გამოგიგზავნით. როგორც გნებავთ, ისე გამოიყენეთ.

პასტორი მანდერსი. დიდი სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს ამ საქმეს... სამწუხაროდ, თქვენი საჩუქრის პირველადი დანიშნულება უნდა შეიცვალოს.

ფრუ ალვინგი. რა თქმა უნდა.

პასტორი მანდერსი. მე მგონია, ჭერჭერობით ასე აჯობებს: სულეიკი აქაურ საზოგადოებას უნდა გადაეცეთ. მიწა ხომ თავის ფასს მაინც ინარჩუნებს?.. შემნახველ სალაროში შეტანილი თანხიდან აღებული პროცენტებით კი, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა დახმარება გაგვეწია ამა თუ იმ

საქველმოქმედო დაწესებულებისათვის, რომელიც რამეში წაადგებოდა ქალაქს.

ენგსტრანი. ნურც ჩემს თავშესაფარს დაივიწყებთ, ბატონო პასტორო.

პასტორი მანდერსი. დიახ, დიახ, ეს კარგი აზრია! მაგრამ ჭერ მოვიფიქროთ, აეწონ-დაეწონოთ...

ენგსტრანი. საფიქრალი რაღაა, დალაზვროს ეშმაკმა!.. ოხ, ღმერთო ჩემო!

პასტორი მანდერსი (აპოიობრებს). ეჰ! ისიც კი არ ვიცი, დიდხანს მომიწევს თუ არა ამ საქმეების გამგებლობა. საზოგადოებრივმა აზრმა შეიძლება მაიძულოს საერთოდ ხელი ავიღო საქველმოქმედო საქმიანობაზე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას გამოაველენს ხანძრის მიზეზთა გამოძიება.

ფრუ ალვინგი. რას ამბობთ?

პასტორი მანდერსი. გამოძიების შედეგთა წინასწარ განკერძოება კი შეუძლებელია.

ენგსტრანი (უახლოვდება). ეგ რამ გაფიქრებინათ? იაკობ ენგსტრანი აქ არაა?

პასტორი მანდერსი. დიახ, დიახ, მაგრამ...

ენგსტრანი (ხმადაბლა). იაკობ ენგსტრანი ის კაცი როდია, რომ თავისი კეთილისმყოფელი გასაქირში მიატოვოს, ან, მით უმეტეს, გასცეს...

პასტორი მანდერსი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო...

ენგსტრანი. იაკობ ენგსტრანი, ასე ვთქვათ, მფარველ ანგელოსად მოგვევლინებათ...

პასტორი მანდერსი. არა, არა, მე ამნაირ მსხვერპლს ვერ მივიღებ.

ენგსტრანი. უნდა მიიღოთ. მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელმაც ერთხელ უკვე დაიბრალა სხვისი დანაშაული...

პასტორი მანდერსი (ხელს ართმევს). იაკობ! თქვენ ნამდვილი ოქროს გული გაქვთ! სამაგიეროდ, არც ჩვენ დაგრჩებით ვალში და თავშესაფარის მოწყობაში დაგეხმარებით. შეგიძლიათ ჩემი იმედი გქონდეთ.

ენგსტრანს მადლობის გადახდა სურს, მაგრამ მოზღვაებული გრძნობების გამო ვერ ახერხებს.

(ჩანთას მხარზე მოიგდებს). ახლა კი გზას გაუუღგეთ. ჩვენ ერთად წავალთ.

ენგსტრანი (სასაღილო ოთახის კართან, რეგინას). წამოდი, ჩემთან წამოდი, გოგონი. იცოდე, შენს ბედს ძალი არ დაჰყუფს.

რეგინა (ცხვირის აბზეკით). Merci! (წინკარში გადის და იქიდან პასტორის ჯალტო გამოაქვს).

- პასტორი მანდერსი.** კარგად ბრძანდებოდეთ, ფრუ ალვინგ. ღმერთმა ინებოს, რომ სულ მალე წესრიგი და კანონიერება დამკვიდრებულიყოს თქვენს სახლში!
- ფრუ ალვინგი.** მშვიდობით, მანდერს. (ვერანდაზე გადის, რათა ბალიდან მოპაუალ შვილს შეეგებოს).
- ენგსტრანი** (რეგინასთან ერთად, პალტოს ჩაცმაში შევლის პასტორს). კარგად იყავი, გოგონი. თუ, დაგქირდა, იცოდე, სად ეძებო იაკობ ენგსტრანი. (ჩუმაღ). „მცირე ნავსადგურის“ ქუჩა... ჰმ!.. (ფრუ ალვინგს და ოსვალდს მიმართავს). მოხეტიალე მეზღვაურთა თავშესაფარს კი „კამერჰერ ალვინგის სახლს“ დავარქმევთ. თუ ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც მე მაქვს ჩაფიქრებული, სიტყვას გაძლევთ, ნამდვილად განსვენებული კამერჰერის ღირსი იქნება.
- პასტორი მანდერსი** (კარში). ჰმ... ჰმ! წავიდეთ, ჩემო ძვირფასო ენგსტრან. მშვიდობით, მშვიდობით. (ენგსტრანთან ერთად წინკარში გადის).
- ოსვალდი** (მაგიდას უახლოვდება). რაო, რა სახლიო?
- ფრუ ალვინგი.** მგონი, ერთგვარი თავშესაფარი, რომლის მოწყობასაც პასტორთან ერთად აპირებს.
- ოსვალდი.** ისიც დაიწვება.
- ფრუ ალვინგი.** კი მაგრამ, რატომ?
- ოსვალდი.** ყველაფერი დაიწვება. აღარაფერი აღარ დარჩება მამაჩემის სახსოვრად. მეც დავიწვები.
- რეგინა** გაოგნებული უუარებს.
- ფრუ ალვინგი.** ოსვალდ, ჩემო საბრალო ბიჭო! ამდენ ხანს არ უნდა დარჩენილიყავი იქ.
- ოსვალდი** (მაგიდას მიუჯდება). ალბათ.
- ფრუ ალვინგი.** მოდი, სახე შევიმშრალო, ოსვალდ. სულ მთლად სველი ხარ. (თავისი ცხვირსახოცით უმშრალებს სახეს).
- ოსვალდი** (გულგრილად იუბრება წინ). მადლობელი ვარ, დედა!
- ფრუ ალვინგი.** ძალიან დაიღალე, ოსვალდ? ხომ არ დაიძინებ?
- ოსვალდი** (შეშფოთებით). არა, არა... ღმერთმა დამიფაროს. მე არასოდეს არა მძინავს. მხოლოდ თავს ვიმძინარებ... (ყრუღ). მოვასწრებ ძილს.
- ფრუ ალვინგი** (შეშფოთებული უცქერის). შენ მართლა ავადა ხარ, ჩემო ძვირფასო.
- რეგინა** (დაძაბულად). ბატონი ალვინგი ავადაა?
- ოსვალდი** (გაღიზიანებით). და ყველა კარი დახურეთ... ო, ეს საზარელი შიში...
- ფრუ ალვინგი.** დახურე, რეგინა!

რეგინა ქალბატონის ბრძანებას ასრულებს და წინკართან ჩერდება. ფრუ ალვინგი შალს იხსნის, რეგინა — ხელმანდილს. ფრუ ალვინგი სკამს მიიჩოჩებს და ოსვალდის გვერდით ჯდება.

აი, მე შენთანა ვარ...

ოსვალდი. ჰო, ჩემთან იყავი. რეგინაც დარჩეს. ყოველთვის ჩემს გვერდით უნდა იყოს. ხომ ყოველთვის გამომიწვდი დახმარების ხელს, რეგინა, ა?

რეგინა. არ მესმის...

ფრუ ალვინგი. დახმარების ხელს?..

ოსვალდი. დიახ, — როდესაც დამპირობება.

ფრუ ალვინგი. კი მაგრამ, შენ ხომ დედა გყავს, ოსვალდ! განა დედა ვერ დაგეხმარება?

ოსვალდი. შენ? (ილიბება). არა, შენ ამნაირ დახმარებას ვერ გამიწვე, დედა! (მწარედ ჩაიცინებს). შენ? ჰა-ჰა-ჰა! (ჩაფიქრებული უყურებს). თუმცა, შენ, რა თქმა უნდა, ყველაზე ახლოს მიიტანდი გულთან. (წამოუნებება). რატომ „შენობით“ არ მომმართავ, რეგინა? რატომ არ მეძახი უბრალოდ ოსვალდს?

რეგინა (ჩუბად). არ ვიცი, რამდენად მოეწონება ეს ქალბატონს.

ფრუ ალვინგი. მოითმინე, მალე ნებას დაგრთავენ, ასე მიმართო. მოდი, აქ, ჩვენთან დაჯექი.

რეგინა მოკრძალებით და გაუბედავად მიუჯდება მაგიდას მეორე მხრიდან.

აი, რა, ჩემო საბრალო, ჩემო დატანჯულო ბიჭო, მე გაგიქარებ სიმძიმის...

ოსვალდი. შენ, დედა?

ფრუ ალვინგი. დიახ, მე გაგათავისუფლებ სინიდისის ქენჯნისაგან, სინანულისა და თვითგვემისაგან...

ოსვალდი. შენ გგონია, რომ შესძლებ ამას?

ფრუ ალვინგი. დიახ, ახლა კი შევძლებ, ოსვალდ. წელან, სიცოცხლის სიყვარულზე რომ ლაპარაკობდი, თითქოს ნათელი მომეფინა, და ყველაფერი, რაც ჩემს სიცოცხლეში გადაამხდენია, სულ სხვა სახით დამიდგა თვალწინ.

ოსვალდი (თავს აქნევს). არაფერი არ მესმის.

ფრუ ალვინგი. ნეტავი მაშინ გცნობოდა მამაშენი, როცა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ლეიტენანტი იყო, აბა, სიცოცხლე თუ უყვარდა, იმას უყვარდა!

ოსვალდი. ვიცი.

ფრუ ალვინგი. შეხედავდი და გულს უხაროდა, თანაც ეს დაუოკებელი ძალა, მოზღვაკებული ენერგია!..

ოსვალდი. მერე?

ფრუ ალვინგი. და ეს სიცოცხლისმოყვარე ბავშვი — დიახ, იმხანად მართლაც რომ ბავშვს მოგაგონებდათ, — იძულებული იყო ყოველად უაზრო და უშინაარსო ცხოვრებით ეცხოვრა აქ,

ამ პატარა ქალაქში, სადაც არ იყო არავითარი სიხარული, არამედ მხოლოდ გართობა. არ არსებობდა სიცოცხლის არავითარი მიზანი, არავითარი სერიოზული ამოცანა, არამედ მხოლოდ სამსახური, არავითარი საყვარელი საქმე, რომელშიაც შეეძლო ჩაექსოვა მთელი თავისი სული და გული, არამედ მხოლოდ „მოვალეობა“. არცერთი მეგობარი, რომელიც გაიგებდა, რას წარმოადგენს, არსებითად, სიცოცხლის სიყვარული, არამედ მხოლოდ ლოთი თანამეინახენი.

ოსვალდი. დედა!

ფრუ ალვინგი. ჰოდა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

ოსვალდი. მაინც რა?..

ფრუ ალვინგი. გუშინ შენ თვითონ თქვი, რა მოგივიდოდა, აქ, სახლში, რომ დარჩენილიყავი.

ოსვალდი. იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ მამა...

ფრუ ალვინგი. მამაშენის უჩვეულო სიცოცხლისმოყვარეობა აქ გასაქანს ვერ პოულობდა. ვერც მე შევიტანე სიცოცხლე და სიხარული მის სახლში.

ოსვალდი. ვერც შენ?

ფრუ ალვინგი. ბავშვობაში მე მხოლოდ მოვალეობის აღსრულებას, ვალის მოხდას და სხვა მისთანებს მასწავლიდნენ, ამიტომაც ვერ იქნა და ვერ დაველწიე თავი ანაირი აღზრდის გავლენას. ჩვენს სახლში მხოლოდ მოვალეობაზე იყო ლაპარაკი, — ჩემს მოვალეობებზე და მის მოვალეობებზე... მე მგონია, საკუთარი სახლი აუტანელი შეიქნა მამაშენისთვის, ოსვალდ, და ამაში მე მიმიძღვის ბრალი.

ოსვალდი. კი, მაგრამ, ამის თაობაზე რატომ არასდროს არაფერი მოგიწერია ჩემთვის?

ფრუ ალვინგი. უწინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს შვილთან ამაზე გავებდავდი ლაპარაკს.

ოსვალდი. მაინც როგორ წარმოგედგინა ყოველივე ეს?

ფრუ ალვინგი (წელა). მე მხოლოდ ერთ რამეს ვებდავდი, კერძოდ, იმას, რომ მამაშენი ხელიდან წასული კაცი იყო უკვე შენს დაბადებამდე.

ოსვალდი (ყრულ). აა! (წამოდგება და ფანჯარასთან მიდის).

ფრუ ალვინგი. არც იმაზე ფიქრი მაძლევდა მოსვენებას, რომ რეგინა ჩვენს სახლში, არსებითად, ისეთივე შინაურია, როგორც შენ, ჩემი ღვიძლი შვილი.

ოსვალდი (სწრაფად შემობრუნდება). რეგინა?..

რეგინა (წამოვარდება; ძლივს გასაგებად). მე?..

ფრუ ალვინგი. დიახ; ახლა ორივემ ყველაფერი იცით.

ოსვალდი. რეგინა!

რეგინა (თითქოს თავისთვის). ესე იგი, დედაჩემი, როგორც ჩანს, იმნაირი იყო?..

ფრუ ალვინგი. დედაშენს ბევრი კარგი თვისება ჰქონდა რეგინა. რეგინა. მაგრამ მაინც იმნაირი იყო. თუმცა ხანდახან მეც ასე მეგონა, მაგრამ... კეთილი და პატიოსანი, ნება მიბოძეთ, ახლავე წავიდე ქალბატონო!

ფრუ ალვინგი. მართლა აპირებ წასვლას, რეგინა?

რეგინა. რა თქმა უნდა.

ფრუ ალვინგი. რა მეთქმის, შენი ნებაა, მაგრამ...

ოსვალდი (რეგინას უახლოვდება). მიღიხარ? რატომ, ეს ხომ შენი სახლია?

რეგინა. Merci, ბატონო ალვინგ. თუმცა ახლა კი ნამდვილად შემიძლია ოსვალდი დაგიძახოთ. მაგრამ ყველაფერი სულ სხვანაირად გამოვიდა, ვიდრე მე მოველოდი.

ფრუ ალვინგი. რეგინა, შენს მიმართ გულახდილობა ვერ გამოვიჩინე...

რეგინა. დიახ, ცოდვა გამხელილი სჯობია! მცოდნოდა მაინც, რომ ოსვალდი ავად იყო... და რაკი ახლა ჩვენს შორის არაფერი სერიოზული აღარ შეიძლება მოხდეს... არა, არასდიდებით არ შემიძლია ამ გამოყრუებულ სოფელში გამოვიკეტო და ავადმყოფების მოვლას შევადიო მთელი ჩემი ახალგაზრდობა.

ოსვალდი. კი მაგრამ, თუ ეს ავადმყოფი შენი ახლობელია?

რეგინა. არა, ეს უკვე მეტისმეტია! საბრალო ღარიბ ქალიშვილს იმის საშუალებაც არ მისცე, რომ თავისი ახალგაზრდობით ისარგებლოს. არადა, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ მშრალზე დარჩები. ბოლოს და ბოლოს, ჩემშიც ხომ ფეთქავს ეს სიცოცხლისმოყვარეობა, ქალბატონო!

ფრუ ალვინგი. დიახ, რა თქმა უნდა... თავს ნუ დაიღუპავ, რეგინა!

რეგინა. რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს. ოსვალდი თუ მამამისს დაემგვანა, მე, ალბათ, დედაჩემს ვგავარ... ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ქალბატონო, პასტორმა თუ იცის ჩემი ამბავი?

ფრუ ალვინგი. პასტორმა მანდერსმა ყველაფერი იცის.

რეგინა (სასწრაფოდ მოიხურავს ხელმანდილს). უნდა ვიჩქარო, თორემ გემი გამასწრებს. პასტორი ისეთი კაცია, რომ მასთან ყოველთვის გამონახავ საერთო ენას. დიახ, ჩემი აზრით, მე არანაკლები უფლება მაქვს ვისარგებლო თქვენი შეწირული ფულით, ვიდრე ამ არამზადა ღურგალს.

ფრუ ალვინგი. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

რეგინა (დაეინებოთ მისჩერებია). თუმცა კი, აკობებდა, ისე აღგეზარდეთ, ქალბატონო, როგორც შეპფერის კეთილშობილი კაცის შეილს. ღმერთმანი, არ მაწყენდა. (თავს მალა ასწევს). მაგრამ მიმიფურთხებია! (გაბოროტებით გადახედავს თავდაცობილ ბოთლს).

არაფერია, ალბათ, მეც მომიწევს შამპანურის სმა კეთილშობილ ვაებატონებთან ერთად.

ფრუ ალვინგი. ხოლო თუ მშობლიური სახლი მოგენატრა, რეგინა, ნუ დამივიწყებ.

რეგინა. არა, უმორჩილესად გმადლობთ. პასტორი მანდერსი, ალბათ, ჩემზედაც იზრუნებს. ხოლო თუ გამიჭირდა, ერთი ისეთი სახლიც მეგულება, რომელიც უფრო ახლოა ჩემთვის.

ფრუ ალვინგი. მაინც რომელი სახლი?

რეგინა. კამერპერ ალვინგის თავშესაფარი.

ფრუ ალვინგი. ახლა კი ვხედავ, რეგინა, — დაიღუპები!

რეგინა. ჯანდაბას, რაც არის, არის! Adieu! (თავს უკრავს და წინაარში გადის).

ოსვალდი (ფანჯარაში იყურება). წავიდა!

ფრუ ალვინგი. დიახ.

ოსვალდი (ბურტყუნებს). რა ცუდად გამოვიდა.

ფრუ ალვინგი (უახლოვდება და ხელებს მხრებზე ადებს). ძალიან მძიმედ იმოქმედა შენზე, ჩემო ძვირფასო ოსვალდე!

ოსვალდი (მისკენ შემობრუნდება). რამ? მამაჩემის ამბავმა?

ფრუ ალვინგი. დიახ, უბედური მამაშენის ამბავმა. ვაითუ მეტიცმეტად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა შენზე.

ოსვალდი. ვინ მოგახსენა? რა თქმა უნდა, ძალიან კი გამიკვირდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის ეს სულერთია.

ფრუ ალვინგი (ხელებს ჩამოიღებს). სულერთია? სულერთია ის, რომ მამაშენი ასე უბედური იყო?!

ოსვალდი. არა, სიბრალულით კი მებრალება, როგორც ყველა სხვა მის ადგილას, მაგრამ...

ფრუ ალვინგი. მხოლოდ გებრალება? მშობელი მამა?

ოსვალდი (გაღიზიანებით). აჰ, მამა... მამა! მე ხომ საერთოდ არ ვიცნობდი მას. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ერთხელ მისი წყალობით გული ამერიდა...

ფრუ ალვინგი. წარმოგიდგენიათ? ნუთუ შეილი გულგრილი უნდა იყოს მშობელი მამის მიმართ?

ოსვალდი. თუ შეილს არავითარი სიკეთე არ ახსოვს მამისაგან? თუ ის საერთოდ არ იცნობდა მამას? ან, იქნებ, შენ, ესოდენ განათლებულსა და განვითარებულ ქალს, დღემდე ვერ დაგიღწევია თავი ძველისძველი ცრურწმენის ტყვეობისაგან?

ფრუ ალვინგი. მაშ, ეს მხოლოდ ცრურწმენაა?..

ოსვალდი. ნუთუ არ გესმის, დედა, რომ ესაა მხოლოდ ფართოდ გავრცელებული, მხოლოდ მოარული აზრი... გამოგონილი მარტოოდენ იმ მიზნით, რომ შემდეგ...

ფრუ ალვინგი (შეძრწუნებული). ... მოჩვენებებად ვიქცეთ?

ოსვალდი (ოთახში წრაიღებს). დიახ, თუ გნებავს, მოჩვენებები უწოდებ ამას.

ფრუ ალვინგი (მკვეთრად). მაშასადამე, მე შენ არ გიყვარვარ, ოსვალდ?

ოსვალდი. შენ გიყვარვარ მინც...

ფრუ ალვინგი. მხოლოდ მიყვარვარ, ესაა და ეს?

ოსვალდი. ისიც ვიცი, რა გულმხურვალედ გიყვარვარ, და, რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ ამის გამო. ეგეც არ იყოს, შენ შეგიძლია ფასდაუდებელი სამსახური გამიწიო ავადმყოფობის დროს.

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, ოსვალდ, ყველაფერი ნათელია! ო, მე პირდაპირ მზადა ვარ დაქვარვარ შენი ავადმყოფობა, რომელმაც ჩემთან მოგიყვანა. მე ვხედავ, რომ შენ ჯერ კიდევ არა ხარ ჩემი; რომ ახლა უნდა შეგიძინო და მოგიპოვო.

ოსვალდი (გალიზიანებით). დიახ, დიახ, ყოველივე ეს მხოლოდ სიტყვებია. გახსოვდეს, მე ავადმყოფი კაცი ვარ, დედა. არ შემიძლია სხვებზე ფიქრი. დროა, საკუთარ თავზე ვიფიქრო.

ფრუ ალვინგი (ჩაწყვეტილი ხმით). მე მცირედით კმაყოფილი და მომთმენი ვიქნები, ოსვალდ!

ოსვალდი. და მხიარული, დედა!

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, ჩემო ბიჭო, მართალი ხარ. (უახლოვდება). აბა, რას იტყვი, ხომ გაგიქარვე თვითგვემისა და სინილისის ქენჯნის სიმძიმელი?

ოსვალდი. დიახ. მაგრამ ვინ გამიქარებს შიშის სიმძიმელს?

ფრუ ალვინგი. შიშის?

ოსვალდი (ოთახში წრიალებს). რეგინასათვის თხოვნაც კი არ დამქირდებოდა.

ფრუ ალვინგი. არ მესმის, რა კავშირია შენს შიშსა და რეგინას შორის?

ოსვალდი. ახლა უკვე ძალზე გვიანაა, დედა?

ფრუ ალვინგი. ეს-ესაა ინათა. (ვერანდის ფანჯარაში იყურება). მთის მწვერვლებს უკვე შუქი ადგება. გამოიღარებს... ოსვალდ. მალე მზეს დაინახავ.

ოსვალდი. მადლობა ღმერთს! ო, მე ჯერ კიდევ ბევრი სიხარული მელის ცხოვრებაში; მაშასადამე, სიცოცხლის მიზანიც მექნება.

ფრუ ალვინგი. რა თქმა უნდა!

ოსვალდი. მუშაობა თუ არ შემიძლია, სამაგიეროდ...

ფრუ ალვინგი. არა, შენ მალე მუშაობასაც შესძლებ, ჩემო ძვირფასო ბიჭო. ახლა ხომ უკვე დააღწიე თავი ექვებსა და სინილისის ქენჯნას?

ოსვალდი. დიახ, რა კარგია, რომ ამ დამთრგუნველი ფიქრებისგან გამათავისუფლე. ახლა ერთი რამისგანაც რომ დავიხსნა თავი?.. (ღივანზე ჯდება). მოდი, მოვილაპარაკოთ, დედა.

ფრუ ალვინგი. მოვილაპარაკოთ! (სკამს დივანთან მიაჩოჩებს და ოსვალდის გვერდით ჯდება).

ოსვალდი. ამასობაში კი მზეც ამოვა, და დაინახავ, როგორ დაეიხსნი თავს ამ შიშისაგან.

ფრუ ალვინგი. მაინც, რას დაეინახავ?

ოსვალდი (ყურს არ უღღბს). წუხელ აკი მითხარი, დედა, რაც არ უნდა მთხოვო, უარს ვერ გეტყვიო?

ფრუ ალვინგი. დიახ, გითხარი.

ოსვალდი. და შეასრულებ კიდევ შენს სიტყვას?

ფრუ ალვინგი. რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, ჩემო ერთადერთო!.. მე ხომ მარტოდენ შენით მიღვია სული.

ოსვალდი. კეთილი; მაშ, მომისმინე... მე ვიცი, რომ შენ სულით ძლიერი ქალი ხარ, დედა. მხოლოდ მშვიდად იყავი, როცა გაიგებ.

ფრუ ალვინგი. მაინც რას? რალაც საშინელი უნდა მითხრა?

ოსვალდი. ნუ ყვირი. გესმის? სიტყვას მაძლევ, რომ მშვიდად იჯდები და წყნარად ვისაუბრებთ? სთქვი, სიტყვას მაძლევ, დედა?

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, სიტყვას გაძლევ, ოღონდ მითხარი!

ოსვალდი. მაშ, იცოდე, რომ ეს შიში, ეს უმწეობა, რომელიც არც მუშაობისა და არც მასზე ფიქრის საშუალებას არ მაძლევს, — ჯერ კიდევ არ არის საკუთრივ ავადმყოფობა...

ფრუ ალვინგი. მაშ, რა?..

ოსვალდი. ავადმყოფობა, რომელიც მემკვიდრეობით გადმომეცა... (შებლზე უთითებს და ძლივს გასაგონად დასძენს). აი, აქ მიზის.

ფრუ ალვინგი. (თითქოს ენა ჩაუვარდაო). ოსვალდ!.. არა, არა!

ოსვალდი. ნუ ყვირი. ვერ ვიტან ყვირილს... დიახ, აი, აქ მიზის და თავის დროს ელის. ყოველ წამს შეიძლება გარეთ გამოვარდეს.

ფრუ ალვინგი. ვაი ჩემს დღეს და მოსწრებას!

ოსვალდი. მშვიდად!.. აი, როგორია ჩემი მდგომარეობა.

ფრუ ალვინგი (წამოვარდება). სტყუი, ოსვალდ! ეს შეუძლებელია! არა, არა, ეს არ მოხდება!

ოსვალდი. მე უკვე მქონდა ერთი შეტევა. მალე გამიარა. მაგრამ როცა გავიგე, რა მქირდა, წარმოუდგენელმა შიშმა შემიპყრო, საზარელმა, თავზარდამცემმა შიშმა. სწორედ ამ შიშმა მომიყვანა შენთან.

ფრუ ალვინგი. ესე იგი, შიშმა?..

ოსვალდი. დიახ. ეს რალაც აუწერელია, ამაზრზენი! ნეტავი ჩვეულებრივი, მომაკდინებელი სნეულება მაინც იყოს. არც ისე ძალიან მეშინია სიკვდილის, თუმცა სიამოვნებით ვიცოცხლებდი კიდევ ცოტა ხანს...

ფრუ ალვინგი. დიახ, დიახ, შენ იცოცხლებ, ოსვალდ!

ოსვალდი. ვაი ამნაირ სიცოცხლეს. კვლავ უსუსურ ბავშვად იქცე, რომელსაც ხელით აკმევენ და... არა, ენა ვერ იტყვის ამას!

ფრუ ალვინგი. ბავშვს დედა მოუელის.

ოსვალდი (წაპოიკრება). არა, არასოდეს. სწორედ ეს არ მინდა. არ შემიძლია შეეურიგდე იმ აზრს, რომ ამნაირ მდგომარეობაში შეიძლება დიდხანს ვიცოცხლო, დაებერდე, გავკალარავდე. შენ კი ამასობაში შეიძლება მოკვდე. (ფრუ ალვინგი სკამის სახელურზე ჩამოჭდება). ექიმმა თქვა, ეს ყოველთვის როდი მთავრდება სიკვდილითო. ამ ავადმყოფობას მან ტვინის ერთგვარი დარბილება თუ რალაც ამგვარი უწოდა. (მწარე ლიპილით). ისე, სახელი კი ლამაზად ჟღერს. მისი წარმოთქმისას ყოველთვის ალუბლისფერი ხავერდის ბუსუსები მახსენდება,— ერთი სული მაქვს, ავდგე და ხელი გადავუსვა.

ფრუ ალვინგი (წაპობტება). ოსვალდ!

ოსვალდი (წაპოვარდება და კვლავ ოთახში ბორიალს იწყებს). შენ კი რეგინა წამართვი. ჩემს გვერდით რომ ყოფილიყო, დახმარების ხელს გამომიწვდიდა.

ფრუ ალვინგი (უახლოვდება). რას გულისხმობ, ჩემო ძვირფასო? ნუთუ ამქვეყნად მოიძებნება ისეთი დახმარება, რომ მე არ აღმოგიჩინო?

ოსვალდი. შეტევამ რომ გამიარა, ექიმმა მითხრა, თუ კვლავ განმეორდა, ალარაფრის იმედი აღარ შეიძლება გვქონდესო.

ფრუ ალვინგი. ასეთი გულმხეცობა გაგონილა?..

ოსვალდი. მე თვითონ ვთხოვე, ვუთხარი, სასწრაფო საქმე მაქვს მოსაგვარებელი-მეთქი... (ირონიულად იღიმება). კაცმა რომ თქვას, ასეცაა. (გვერდის ჭიბიდან პატარა კოლოფს იღებს).

ფრუ ალვინგი. რა არის ეს?

ოსვალდი. მორფის ფხენილი.

ფრუ ალვინგი (შეძრწუნებული მისჩერებია). ოსვალდ, შეილო!..

ოსვალდი. თორმეტი ცალი მოვაგროვე...

ფრუ ალვინგი (ცდილობს ხელიდან გამოგლიჯოს). მომეცი, ოსვალდ!

ოსვალდი. ჭერ ადრეა, დედა. (ისევ ჭიბეში იღებს).

ფრუ ალვინგი. არა, ამას ვერ გაუძლებ.

ოსვალდი. უნდა გაუძლო. რეგინა რომ აქ ყოფილიყო, ვეტყვოდი, რაც მჭირს... და ვთხოვდი, უკანასკნელი სამსახური გაეწია ჩემთვის: დარწმუნებული ვარ, უარს არ მეტყოდა.

ფრუ ალვინგი. სცდები!

ოსვალდი. როცა შეტევა მომივლიდა და დაინახავდა, რომ ალარაფერი მეშველება, უმწეო ბავშვად ქცეულსა და ამ ქვეყნისთვის საბოლოოდ დაკარგულს...

ფრუ ალვინგი. არასოდეს, თავის სიცოცხლეში, რეგინა არ დათანხმდებოდა ამას!

ოსვალდი. დათანხმდებოდა. ისე ადვილად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წყვეტს ყველაფერს. ეგეტ არ იყოს, მალე მობეზრდებოდა ამნაირი ავადმყოფის ლოლიაყი.

ფრუ ალვინგი. მაშინ, მადლობა ღმერთს, რომ აქ არ არის.

ოსვალდი. ასე რომ, ახლა შენ უნდა გამიწიო ეს სამსახური, დედა!

ფრუ ალვინგი (კივილით). მე?

ოსვალდი. მაშ, ვინ?

ფრუ ალვინგი. მე? დედაშენმა?

ოსვალდი. დიახ.

ფრუ ალვინგი. მე, ვინც სიცოცხლე გაჩუქე?

ოსვალდი. მე არ მითხოვია შენთვის სიცოცხლე. ან კი რა სიცოცხლე მაჩუქე? არა მკირდება! უკანვე წაილე!

ფრუ ალვინგი. მიშველეთ! მიშველეთ! (წინკარში გარბის).

ოსვალდი (ეწევა). ნუ წახვალ!.. სად გარბიხარ?

ფრუ ალვინგი (წინკარში). ექიმს დავუძახებ, ოსვალდ! გამიშვი!

ოსვალდი. არსადაც არ გაგიშვებ; და არც არავინ შემოვა აქ!

საკეტი გაიჩხაკუნებს.

ფრუ ალვინგი (ბრუნდება). ოსვალდ!.. ოსვალდ!.. შეილო!..

ოსვალდი (უკან მოჰყვება). მკერდში გული არა გაქვს, დედის გული, რომ ასე უცხოსავით უყურებ ჩემს ტანჯვას, — ამ აუტანელ შიშს?

ფრუ ალვინგი (ცოტა ხნის დუმობის შემდეგ, მტკიცედ). აი, ჩემი ხელი!

ოსვალდი. მაშ, თანახმა ხარ?..

ფრუ ალვინგი. დიახ, თუ საჭირო შეიქნა. მაგრამ ეს არ მოხდება! არა, არასოდეს! შეუძლებელია!

ოსვალდი. იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. ვეცადოთ ვიცხოვროთ ერთად, რაც შეიძლება დიდხანს. მადლობელი ვარ, დედა. (სავარძელში ჯდება, რომელიც ფრუ ალვინგმა დივანთან მიაჩოჩა).

თენდება; ლამაზი მაინც ანთებული დგას მაგიდაზე.

ფრუ ალვინგი (ფრთხილად უახლოვდება ოსვალდს). ახლა ხომ დამშვიდდი?

ოსვალდი. დიახ.

ფრუ ალვინგი (შეილისკენ იხრება). შენ მხოლოდ წარმოიდგინე მთელი ეს საშინელება, ოსვალდ. ყოველივე ეს მხოლოდ შენი წარმოსახვაა. ელდამ იმოქმედა ასე. მაგრამ ახლა დაისვენებ, — შენს სახლში, დედის გვერდით, ჩემო სიცოცხლე, ჩემო თვალისჩინო. ხომ ხედავ რა ადვილად გაგიარა? ო, მე ვიცოდი!.. აბა, გახედე, ოსვალდ, რა მშვენიერი დღე თენდება. მზე ჩახჩახებს. ახლა კი დაინახავ, რა ლამაზია შენი სამშობლო. (მაგიდასთან მიდის და ლამპას აქრობს).

მზე ამოდის. მყინვარი და მთის მწვერვალები ამომავალი მზის სხივებითაა გაბრწყინებული.

ოსვალდი (უძრავად ზის სეარძელში, ზურგი ვერანდისთვის შეუქცევია, და უცებ ამბობს). დედა, მომეცი მზე.

ფრუ ალვინგი (მაგიდასთან, გაოგნებული). რას ამბობ?

ოსვალდი (იშეორებს ყრუდ, ჩუმად). მზე... მზე...

ფრუ ალვინგი (შეილს მივარდება). ოსვალდ, რა მოგდის?!

ოსვალდი უცნაურად მიქუქულა სეარძელში, ყველა კნთი მოშვებია, სახეზე აზრის ნატამალი აღარ ატყვია და ჩლუნგი მზერით მიშტერებია სივრცეს.


ფრუ ალვინგი (თავზარდაცემული). რა არის ეს? (კვილით). ოსვალდ! რა მოგივიდა? (მუხლებზე ეცემა მის წინაშე და ანჭლრევს). ოსვალდ! ოსვალდ! შემომხედე! ვერა მცნობ, ოსვალდ?!

ოსვალდი (უწინდებურად, ყრუდ). მზე... მზე...

ფრუ ალვინგი (სასოწარკვეთილი წამოვარდება, თმებს იგლეჯს და კივის). არა, ამას კი ვეღარ გაეუძლებ! (საშინელებისაგან გახევებული სახით ჩურჩულებს). ვერა! ვერა! ვერა! (ანაზღეულად). სადა აქვს? (გამალებით უფათურებს ხელს მკერდზე). აი! (ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხვეს და კივის). არა! არა! არა!.. ჰო!.. არა! არა! (ოსვალდის გვერდით დგას, თმები თითებით ჩაუბლუჯავს და შეძრწუნებული უსიტვეოდ მისჩერებია შეილს).

ოსვალდი (უძრავად ზის და ლულულულებს). მზე...მზე...





პიესა ხუთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ექიმო სტოკმანი, კურორტის ექიმი.

ფრუ სტოკმანი, მისი მეუღლე.

პეტრა, მათი ქალიშვილი, მასწავლებელი.

ვილიფი მათი ვაჟი, ცამეტი წლისა.

მორტენო მათი ვაჟი, ათი წლისა.

პეტერ სტოკმანი, ექიმის უფროსი ძმა, ქალაქის ფოგტი
და პოლიცემისტერი, კურორტის გამგეობის თავმჯდომარე
და ა. შ.

მორტენ ჰილი, ფრუ სტოკმანის მამობილი, ტყაეის ფაბრიკის
მფლობელი.

პოვსტადი, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორი.

ბილინგი, ამავე გაზეთის თანამშრომელი.

კაპიტანი ჰორსტერი.

ახლაკხენი, ტიპოგრაფიის მფლობელი.

კრების მონაწილენი: სხვადასხვა წოდების მამაკაცები, რამდენიმე ქალი,
მოწაფეები.

მოქმედება მიმდინარეობს ზღვისპირა ქალაქში, ნორვეგიის სამხრეთით.



პირველი მოქმედება

სალამო ხანია. ღარიბულად, მაგრამ ფაქიზად და გემოვნებით მორთული სასტუმრო ოთახი ექიმ სტოკმანის სახლში. მარჯვენა გვერდით კედელს ორი კარი აქვს დატანებული, რომელთაგანაც ერთი წინკარში გადის, ხოლო მეორე — ექიმის კაბინეტში; მარცხენა კედელს კი, წინკარში გამაველი კარის პირდაპირ, — სხვა ოთახებში გამაველი კარი. იმავე კედლის შუაში ღუმელია, უფრო ახლოს კი — დივანი, რომლის ზემოთაც სარკე ჰქილია. დივანის წინ ოვალური ფორმის სუფრაგადაფარებული მაგიდა დგას, მაგიდაზე კი — აბაეურიანი ლაშა. უკანა კედელში ღია კარია, რომელიც სასადილო ოთახში გადის, სადაც გაშლილია სუფრა; იქაც ლაშა ანთია. ბილინგი, საყულოში ჩაჩრილი ხელსახოცით, სუფრას უზის. ფრუ სტოკმანი იქვე, მის გვერდით დგას და სტუმარს როსტბიფით უმასპინძლდება. სუფრის გარშემო დანარჩენი სკამები ცარიელია, სერეიზი — არეულ-დარეული, როგორც ახლად დამთავრებული ტრაპეზის შემდეგ.

ფრუ სტოკმანი. დიახ, რაკი მთელი ერთი საათით დაიგვიანეთ, ბატონო ბილინგ, ნუ დამძრახავთ, რომ ვახშამი უკვე გაცივდა.

ბილინგი (ილუკმება). ძალზე გემრიელია... საუცხოო, დიდებული.

ფრუ სტოკმანი. ხომ მოგეხსენებათ, რა მკაცრად იცავეს ჩემი ქმარი ქამის საათებს...

ბილინგი. ჩემთვის ამას არავეითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე თუ მკითხავთ საკმელი უფრო გემრიელი გეჩვენება, როცა ასე, მარტო უზიხარ სუფრას და არავინ ხელს არ გიშლის.

ფრუ სტოკმანი. ოო, თუ გემრიელი გეჩვენებათ, მაშინ... (რალაცას აყურადებს). აჰა, ეს, ალბათ, პოესტადია.

ბილინგი. ალბათ.

შემოდის ქალაქის ფოგტი სტოკმანი; თავზე ფორმის ქელი ახურავს და ხელში ჯოხი უჭირავს.

ფოგტი. ჩემი უმორჩილესი სალამი, ძვირფასო რძალო.

ფრუ სტოკმანი (სასტუმრო ოთახში გამოდის). გამარჯობათ! აჰ, ეს თქვენა ხართ? რა კარგია, რომ შემოგვიარეთ.

ფოგტი. აგერ თქვენს ქუჩაზე მივდიოდი და... (სასადილო ოთახისკენ გააპარებს თვალს). ოჰო, როგორც ჩანს, სტუმრები გყავთ.

ფრუ სტოკმანი (ცოტა არ ოყოს, დაბნეული). არა, სტუმრები კი არა... ისე, შემთხვევით... (სწრაფად). ხომ არ ივახშმებთ?

ფოგტი. მე? არა, უმორჩილესად გმადლობთ. ცხელი ეახშმისაგან ღმერთმა დამიფაროს. ჩემი კუჭი ამას ვერ გაუძლებს.

ფრუ სტოკმანი. ერთხელ რა უჭირს?..

ფოგტი. არა, არა, გმადლობთ. ისევ ჩემი სადამოს ჩაი და ბუტერბროდები მირჩევნია. კაცმა რომ თქვას, უფრო სასარგებლოა და... უფრო იაფიც.

ფრუ სტოკმანი (ლიბლით). ხომ არ გგონიათ, რომ მე და თომასი ნამეტანი ხელგაშლილად ვცხოვრობთ?

ფოგტი. არა, ჩემო რძალო ეგ აზრადაც არ მომსვლია. (ხელით ანიშნებს ექიმის კაბინეტზე). ალბათ შინ არ არის.

ფრუ სტოკმანი. არა, ნევახშმევს ბავშვებთან ერთად გაისეირნა.

ფოგტი. ეს სასარგებლოა? (აყურადებს). აი, მგონი, ისიც.

ფრუ სტოკმანი. არა მგონია...

წინკარიდან კაკუნი მოისპის.

მობრძანდით?

შემოდის რედაქტორი ჰოვსტადი.

აჰ, ეს თქვენა ხართ, ბატონო რედაქტორო?..

ჰოვსტადი. დიახ, მომიტევეთ, ტიპოგრაფიაში შევეყოვნდი. გამარჯობათ, ბატონო ფოგტო.

ფოგტი (ძლივს იმეტებს სალამს, მშრალი ტონით). ბატონ რედაქტორს ალბათ, საქმე აქვს.

ჰოვსტადი. ისეთი არაფერი. ერთი საგაზეთო სტატიისათვის შემოვიარე.

ფოგტი. გასაგებია. ჩემი ძმა, როგორც ამბობენ, ძალზე ნაყოფიერად თანამშრომლობს „სახალხო გაზეთში“.

ჰოვსტადი. დიახ, დიახ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დროდადრო გამოდის მართალი სიტყვა, ამა თუ იმ საკირბოროტო საკითხის გადასაწყვეტად.

ფრუ სტოკმანი (ჰოვსტადს). ხომ არ ინებებთ?.. (ხელით ანიშნებს სასადილო ოთახზე).

ფოგტი. არა, მე იმას როდი ვსაყვედურობ, რომ მკითხველთა იმ წრისათვის წერს, რომელთა მხრიდანაც ყველაზე ფართო მხარდაჭერასა და გამოხმაურებას მოელის. და, საერთოდაც, არავითარი საბაზი არა მაქვს საიმისოდ, რომ თქვენი გაზეთით უკმაყოფილო ვიყო, ბატონო ჰოვსტად.

ჰოვსტადი. მეც ასე მგონია.

ფოგტი. კაცმა რომ თქვას, ჩვენი ქალაქის ცხოვრებისათვის ნიშნულია შემწყნარებლობის სული... კემშარიტად მშვიდობიანი სამოქალაქო სულისკვეთება, რაც იმის შედეგი გახლავთ. რომ ჩვენ გვაქვს ერთი დიდი, საერთო საქმე... თანაბრად ძვირფასი და სანუკვარი ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქისთვის.

ჰოვსტადი. ჩვენი კურორტი, არა?

ფოგტი. დიახ, ჩვენი უებრო სამკურნალო წყლები, ჩვენი ახალი, დიდებული სანატორიუმი. აი, ნახავთ, თუ ის ქალაქის მთავარ საარსებო წყაროდ არ იქცეს, ბატონო ჰოვსტად! უეპველად!

ფრუ სტოკმანი. თომასიც ამასვე ამბობს.

ფოგტი. რა უჩვეულო აღმავლობას განიცდის ეს ჩვენი პატარა დაბა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე! მთელი კაპიტალი მიმოქცევაში ჩაერთო, ყველაფერი გამოოცხლდა, სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების ფასი ღლითიღლე იზრდება.

ჰოვსტადი. უმუშევრების რიცხვი კი კლებულობს.

ფოგტი. დიახ. ღარიბ-ღატაკთა შენახვისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები; რომლებიც მდიდართა კლასს აწევს კისრად, ჩვენდა სასიხარულოდ, სულ უფრო და უფრო მცირდება და კვლავაც შემცირდება, თუ წლეულს ხელსაყრელი სეზონი დაგვიდგა და სტუმრების, ანუ ავადმყოფების რიცხვმა იმატა, რაც ჩვენს კურორტს საქვეყნოდ გაუთქვამს სახელს.

ჰოვსტადი. როგორც გავიგე, ყველაფერს ძალიან კარგი პირი უჩანს.

ფოგტი. უკეთესი აღარ იქნება. ყოველდღე შემოდის განცხადებები ბინების დაქირავებისა და სხვა მისთანათა თაობაზე.

ჰოვსტადი. მაშასადამე, ექიმის სტატია მართლაც რომ დროულად დაიბეჭდება.

ფოგტი. კვლავ დაწერა რამე ისეთი?

ჰოვსტადი. დაწერით ჯერ კიდევ ამ ზამთარს დაწერა, მაგრამ მაშინვე გამოქვეყნებაზე თავი შევიკავე.

ფოგტი. ალბათ, იყო რამე მიზეზი.

ჰოვსტადი. არა, მაგიტომ არა; საქმე ისაა, რომ მე გადავწყვიტე შუა გაზაფხულისათვის დაგვეცადა: სწორედ ახლა იწყებს ხალხი წრიალსა და იმაზე ფიქრს, თუ სად გაატაროს ზაფხული.

ფოგტი. სწორია, კემშარიტად სწორია, ბატონო ჰოვსტად.

ფრუ სტოკმანი. დიახ, როცა საქმე კურორტს ეხება, თომასმა მართლაც არ იცის, რა არის დაღლა.

ფოგტი. ამიტომაცაა კურორტის ექიმი.

ჰოვსტადი. დიახ, ყველაფერი სწორედ მან წამოიწყო.

ფოგტი. ვითომ?.. თუმცა ზოგიერთისაგან გამიგონია, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ. მაგრამ, ჩემის აზრით,

ამ საქმეში, ღმერთმანი, მეც მიმიძღვის მცირეოდენი წვლილი.
ფრუ სტოკმანი. თომასიც ყოველთვის ამასვე ამბობს.
ჰოვსტადი. ამას ვინ უარყოფს, ბატონო ფოგტო? ყველას კარგად მოეხსენება, რომ სწორედ თქვენ წასწიეთ წინ და ხორცი შეასხით ამ საქმეს. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ იდეა ექიმს ეკუთვნის.
ფოგტი. დიახ, თავის დროზე, ჩემს ძმას იდეები თავზე საყრელად ჰქონდა... სამწუხაროდ... მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, სულ სხვა წრთობის ხალხია საჭირო, ბატონო ჰოვსტად. და, რაც მართალია, მართალია, მე მეგონა, რომ აქ, თავის სახლში მანც...
ფრუ სტოკმანი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მაზლო...
ჰოვსტადი. რა ბრძანებაა, ბატონო ფოგტო...
ფრუ სტოკმანი. მობრძანდით, ცოტა მანც შენაყრდით, ბატონო ჰოვსტად, ამასობაში კი ჩემი ქმარიც მოვა.
ჰოვსტადი. გმადლობთ... სულ ორიოდე ლუკმა... (სასადილო ოთახში გადის).
ფოგტი (ხმადაბლა). ნიშანდობლივია, რომ ამ ხალხს, რომელიც უშუალოდ გლეხობის წრიდანაა გამოსული, ვერასდიდებით ვერ მოუცილებია თავისი უტაქტობა.
ფრუ სტოკმანი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ!.. ან, იქნებ, თქვენ და თომასს არ შეევიძლიათ, ძმურად გაინაწილოთ პატივი?
ფოგტი. თითქოს ასეა, მაგრამ ზოგიერთს, როგორც ჩანს, ხელს არ აძლევს, სხვას უწილადოს რამე.
ფრუ სტოკმანი. სხვას რას უყურებთ? თქვენ და თომასი ხომ კარგად ეგუებით ერთმანეთს! (რაღაცას აყურადებს). აი, ეს კი თომასი უნდა იყოს. (მიდის და შემოსასვლელის კარს აღებს).
ექიმის სტოკმანი (ხმადაბლა იცინის და თან იხდის შემოსასვლელში). აი კიდევ ერთი სტუმარი, კატრინ! რაო, მოხარული ხარ? ა?... მობრძანდით, მობრძანდით, კაპიტანო ჰორსტერ, პალტო, აი, აქ ჩამოჰკიდეთ... თუმცა, ჰო, მართლა, უპალტოდ ხართ... წარმოგიდგენია, კატრინ? ქუჩაში დავიკვირე და ძლივს შემოვიყვანე.
კაპიტანი ჰორსტერი შემოდის და თავის დაკვრით ესალმება დამხედურთ. (კარშივე ბავშვებს). აბა, ახლავე სუფრას შემოუსხედით, ონავრებო. იცი, რა კატრინ? ისევ მოშივდათ! აქეთ მობრძანდით, კაპიტანო ჰორსტერ; რომ იცოდეთ, რა როსტბიფი გელით... (სასადილო ოთახისკენ მიათრევს ჰორსტერს).

ელიფი და მორტენიც იქით მიდიან.

ფრუ სტოკმანი. თომას, დავიჭერო, ვერ ხედავ?..

ექიმი სტოკმანი (კარში შემობრუნდება). აა, შენა ხარ, პეტერ? (ძმასთან მიდის და ხელს უწვდის). კაი კაცი ხარ.

ფოგტი. სამწუხაროდ, ახლავე უნდა წავიდე...

ექიმი სტოკმანი. კარგი ერთი! ამ წუთში პუნშს მოგვიტანენ. ხომ არ დაგვიწვინია, კატრინ?

ფრუ სტოკმანი. რა დამავიწყებდა? წყალი უკვე დულს (სასადილო ოთახში გადის).

ფოგტი. თანაც პუნში?!

ექიმი სტოკმანი. ღიახ; დაჯექი! დიდებულ დროს გავატარებთ.

ფოგტი. მადლობელი ვარ, ღრეობა ჩემი საქმე არ არის...

ექიმი სტოკმანი. ეს რა ღრეობაა?

ფოგტი. კი მაგრამ... (სასადილოში ოთახისაკენ იყურება). გასაკვირველია, მაინც რამდენსა კამენ!

ექიმი სტოკმანი (ხელების ფშვნეტით). რა სჯობია იმის ყურებას, როცა ახალგაზრდები კამენ! ნამდვილი მგლის მადა აქვთ! მაშ, როგორ? უნდა კამონ, მომძლავრდნენ, მოლონიერდნენ! აი, ვინ უნდა მოზილოს მომავლის ცომი, პეტერ.

ფოგტი. გავკადნიერდები და გკითხავ, როგორ თუ უნდა „მოზილონ“?.. რანაირ გამოთქმებს ხმარობ.

ექიმი სტოკმანი. ეგ ახალგაზრდებსა ჰკითხე... მათი დროც მოვა. თუმცა ჩვენ, რასაკვირველია, ამას ვერ მოვესწრებით, ორი ჩვენნაირი ბეხრეკი...

ფოგტი. კი მაგრამ?.. რა უცნაურად უქცევ სიტყვას?..

ექიმი სტოკმანი. თუ ღმერთი გწამს, ყველაფერს ცოდვად ნუ მითვლი, პეტერ. უნდა მოგახსენო, რომ... ო, რა ბედნიერი ვარ; ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს! ვგრძნობ, რა ზღვასავით ბობოქრობს ჩემს გარშემო ახალი ცხოვრება, სიხარულის შხეფებს გვაფრქვევს, დულს და გადმოდულს. მართლაც საოცარ დროში ვცხოვრობთ, პეტერ! ჩვენს ირგვლივ თითქოს იფურჩქნება და ყვავილობისთვის ემზადება მთელი სამყარო.

ფოგტი. ნეტავი თუ მართლა გგონია?

ექიმი სტოკმანი. შენ, რა თქმა უნდა, ჩემსავით ვერ იგრძნობ ამას. მთელი შენი სიცოცხლე აქ გაატარე და ახლის აღქმის უნარი თითქოს დაგიჩლუნგდა. მე, კი იმდენ ხანს მომიწია ყოფნამ მიყრუებულ ჩრდილოეთში, სადაც ძალზე იშვიათად თუ შეხვდები ახლად ჩამოსულ კაცს, რომ მისგან ერთი ცოცხალი სიტყვა მაინც გაიგო. ასე რომ, ჩემზე აქაურობა

იმნაირ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მსოფლიოს დედა-
ქალაქის ბობოქარი ცხოვრების მორეეში ამომეყოს თავი.

ფოგტი. კმ... მსოფლიოს დედაქალაქი...

ექიმი სტოკმანი. ჰო, კარგი, კარგი. მე ვიცი, რომ აქაური
ცხოვრების პირობები უბადრუკია ბევრ სხვა ადგილთან
შედარებით. მაგრამ აქაც ხომ ძალუმაღ ფეთქავს ცხოვრება,
მთელი თავისი სასოებითა და ამოცანების ურიცხვი სიმრავ-
ლით, რომელთა გულისთვისაც ღირს მუშაობაც და ბრძოლაც,
ხოლო სწორედ ესაა ყველაზე მთავარი (ყვირის). კატრინ,
ფოსტალიონი ხომ არ ყოფილა?

ფრუ სტოკმანი (სასაღილო ოთახიდან). არა, არავინ გამოჩენილა.

ექიმი სტოკმანი. თანაც, რა კარგი ხელფასია, პეტერ! ჩვენნაირ
გაქირვებას რომ გამოსცდი, მხოლოდ მაშინ თუ დაათვასებ
ამას...

ფოგტი. კი მაგრამ...

ექიმი სტოკმანი. დიახ, დიახ, დამიჯერე, უკიდურესად გვიჭირდა.
ახლა კი ბატონკაცურად ვცხოვრობთ. ასე მაგალითად, ღღეს
სადილად როსტბიფი გვექონდა. ვახშმადაც კი დაგვრჩა. ერთ
ნაჭერს ხომ არ გასინჯავ? ნება მიბოძე, გიჩვენო მაინც... აბა,
აქ მოდი...

ფოგტი. აჰ, არა, არა...

ექიმი სტოკმანი. მოდი-მეთქი!.. ხომ ხედავ, რა სუფრა შევიძინეთ?

ფოგტი. დიახ, შევნიშნე.

ექიმი სტოკმანი. გარდა ამისა, აბაეურიც. ხედავ? ეს სულ
კატრინის დანაზოგის წყალობით. და ოთახი უცებ ისეთი
მყუდრო გახდა. რას იტყვი? აბა, აქ დადექი... არა, ეგრე არა.
აი, ასე... იცი რა? როცა აქედან მზის შუქი შემოდის,
სასტუმრო ოთახი მართლაც მომხიბლავია. ა?

ფოგტი. დიახ, თუკი ამნაირი ფუფუნების ნებას მისცემ თავს...

ექიმი სტოკმანი. ო, ახლა მაინც შეიძლება. კატრინი ამბობს,
თითქმის იმდენს იღებ, რამდენიც თავის გასატანად გვეკირ-
დებაო.

ფოგტი. თითქმის — სხვა საქმეა!

ექიმი სტოკმანი. მაგრამ მეცნიერებაზე გადაგებულ კაცს ხომ
უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ ცოტა ხელგაშლილად
იცხოვროს? დარწმუნებული ვარ, უბრალო ამტმანი წელი-
წადში ჩემზე გაცილებით მეტს ხარჯავს.

ფოგტი. რა თქმა უნდა! ამტმანი უმაღლესი ადმინისტრაციული
მოხელეა...

ექიმი სტოკმანი. მაშინ, ვთქვით, — უბრალო კომერსანტი.
ვაქრებიც გაცილებით ჩემზე უკეთ ცხოვრობენ.

ფოგტი. ასეთია ეს ცხოვრება.

ექიმი სტოკმანი. ბოლოს და ბოლოს, მეც ფულებს წყალში ხომ არა ვყრი, პეტერ? მაგრამ რა ექნა, ვერ მოვიკლებ იმ სიამოვნებას, რომ სტუმრები მივიღო ხოლმე. ჩემთვის ეს აუცილებელიც არის. იმდენი წელი გაეატარე მიყრუებულ ჩრდილოეთში განდევილივით, რომ ახლა ნამდვილ სასიცოცხლო მოთხოვნილებად მექცა მხნე, შეუპოვარ, თავისუფლად მოაზროვნე და მოქმედების წყურვილით ანთებულ ახალგაზრდობასთან ურთიერთობა. ხოლო ისინი, აი, იქ რომ სხედან, სწორედ ამ ჭურის ხალხია. როგორ მინდა, რომ უფრო ახლო იცნობდე პოესტადს...

ფოგტი. ჰო, მართლა, პოესტადმა მითხრა, რომ შენი სტატიის დაბეჭდვას აპირებს.

ექიმი სტოკმანი. ჩემი სტატიისას?

ფოგტი. დიახ, კურორტის თაობაზე; ჯერ კიდევ ზამთარში რომ დაგიწერია.

ექიმი სტოკმანი. აჰ, იმ სტატიას გულისხმობ?.. კი მაგრამ, მე ჯერ არ ვაპირებ მის გამოქვეყნებას.

ფოგტი. არა?.. მე თუ მკითხავ, ახლა ყველაზე შესაფერისი დროა.

ექიმი სტოკმანი. დიახ, ჩვეულებრივ ვითარებაში მართლაც ასეა, მაგრამ... (ოთახში მიდი-მოდის).

ფოგტი (თვალს აყოლებს). დღევანდელი ვითარება ვითომ რა უჩვეულოა?

ექიმი სტოკმანი (ჩერდება). იცი, რა, პეტერ? ღმერთმანი, ჯერჯერობით არ შემიძლია ამის გამხელა. ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინც. დიახ, ახლანდელ ვითარებაში ბევრი რამეა უჩვეულო, ან, შესაძლოა, — არც არაფერი. დიახ, ადვილი შესაძლებელია, რომ ეს უჩვეულობა მხოლოდ წარმოსახვითი იყოს.

ფოგტი. მართალი გითხრა, დიდად უცნაურია. იქნებ, რაიმე უსიამოვნებაა მოსალოდნელი, რომელსაც მე მიმაღავენ? თუმცა, რატომღაც მეგონა, რომ მე, როგორც კურორტის გამგეობის თავმჯდომარეს...

ექიმი სტოკმანი. მე კი მეგონა, რომ როგორც... კარგი, გვეყოფა, თმებში ხომ არ ვწვდებით ერთმანეთს, პეტერ?

ფოგტი. ღმერთმა დამიფაროს! მე არა მჩვევია თმებში წვდომა, როგორც შენ ბრძანებ. მაგრამ განუხრელად, მტკიცედ

მოვითხოვ რომ ყოველი ღონისძიება საქმიანად იქნეს განხილული და კანონიერი ხელისუფლების მიერ სათანადო წესით და რიგით გატარებული. მე ვერ დაუშვებ დადგენილი წესრიგის ვერავითარ დარღვევას, მიღებული ნორმებიდან ვერავითარ გადახვევას.

ექიმი სტოკმანი. განა მე წესრიგის დამრღვევი მეთქმის?

ფოგტი. ყოველ შემთხვევაში, შენა გაქვს თანდაყოლილი მიდრეკილება, მაინცდამაინც საკუთარი გზით იარო, ხოლო კეთილგონივრულ საწყისებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ეს არანაკლებ დაუშვებელია. კერძო პირი, უნდა თუ არა, უყოყმანოდ უნდა ემორჩილებოდეს საზოგადოების ინტერესებს, ან, უფრო სწორად, ხელისუფლებას, რომელიც საზოგადოებრივი სიკეთის სადარაჯოზე დგას.

ექიმი სტოკმანი. ადვილი შესაძლებელია. მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ჩემთან რა ხელი აქვს შენს სიტყვებს?

ფოგტი. საქმეც სწორედ ისაა, ჩემო ძვირფასო თომას, რომ დღემდე ვერ შეგიგნია და არც გინდა შეიგნო ეს. მაგრამ გაფრთხილებ, ადრე თუ გვიან, მწარედ გაზღვევინებენ ამას. დარწმუნებული ბრძანდებოდე. მშვიდობით.

ექიმი სტოკმანი. ხომ არ შეიშალებ? დაუკრეფავში აპირებ გადასვლას?..

ფოგტი. არა, მე ეგ არა მჩვევია. და, საერთოდ, გთხოვ გამათავისუფლო... (სასადილო ოთახში მყოფთ ეშვიდობება). მშვიდობით, ჩემო რძალო. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო. (მიდის).

ფრუ სტოკმანი. (ოთახიდან გამოდის). წავიდა?

ექიმი სტოკმანი. დიახ. სულ მთლად გადაირია.

ფრუ სტოკმანი. მაინც რა უთხარი, ასე რამ გააცეცხლა, თომას?

ექიმი სტოკმანი. არაფერიც არ მითქვამს. რა უფლება აქვს, მომთხოვოს, ანგარიში ჩავებარო... და, თანაც, დროზე ადრე?

ფრუ სტოკმანი. მაინც, რა ანგარიში მოგთხოვავ?

ექიმი სტოკმანი. ჰმ... ეგ ჩემი საქმეა, კატრინ... საკვირველია, როგორ დაიგვიანა ფოსტალიონმა.

ჰოსტალი, ბილინგი და ჰორსტერი სუფრიდან დგებიან და სასტუმრო ოთახში გამოდიან. ცოტა ხნის შემდეგ მათ მოჰყვებიან ელიფი და მორტენი.

ბილინგი (იზმობება). ა-ა! ღმერთმა შემაჩვენოს თუ ამნაირი ვახშმის შემდეგ სულ სხვა კაცად არ ვგრძნობდე თავს.

ჰოსტალი. ფოგტი დღეს რაღაც ვერ იყო გუნებაზე.

ექიმი სტოკმანი. სულ კუქის ბრალია. ცუდად ინელებს საქმელს.

პოვსტადი. განსაკუთრებით, ჩენი „სახალხო გაზეთის“ მონელება უკირს.

ფრუ სტოკმანი. ისე, თქვენ რა გეთქმით?.. საკმაოდ მშვიდობიანად დაშორდით ერთმანეთს.

პოვსტადი. ეს მხოლოდ ისე... დაზავებასავეთ.

ბილინგი. სწორი ხარ! ამ სიტყვით ყველაფერია ნათქვამი.

ექიმი სტოკმანი. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ პეტერი მარტო-ხელა კაცია... საწყალი! არც ოჯახი აქვს და არც ოჯახური მყუდროება. მხოლოდ საქმე, საქმე და საქმე! თანაც ეს წყეული ჩაი, ერთავედ რომ ხერკას. ეი, ბიკებო! აბა, სკამები მოაჩოჩეთ! კატრინ, გვალისებ თუ არა პუნშს?

ფრუ სტოკმანი (სასაღილო ოთახისკენ მიემართება). ახლავე მოგართმევთ.

ექიმი სტოკმანი. თქვენ აგერ, ჩემს გვერდით ჩამოგეჭით დივანზე, კაპიტანო პორსტერ. ისეთი იშვიათი სტუმარი გაგვიხდით... დაბრძანდით, მეგობრებო, დაბრძანდით!

კაცები სუფრას უსხდებიან. ფრუ სტოკმანს სინი შემოაქვს, რომელზედაც ჩაიდანი, კიკები, გრაფინები და სხვა ჭურჭელი აწყვია.

ფრუ სტოკმანი. ინებეთ: აქ არაყიცაა, რომიც, კონიაიც. ახლა კი თქვენ თვითონ უმასპინძლეთ თქვენსავე თავს. (მიღის).

ექიმი სტოკმანი (კიქას დაწვდება). როგორმე მოვახერხებთ. (აუნშს აშალებს). აბა, სიგარებიც მოგვართვიც! ეილიფ, ხომ იცი, სად დევს კოლოფი? შენ კი ჩიბუხი მომიტანე მორტენ.

ბიკები ხელმარჯვნივ გარბიან მეორე ოთახში.

მე მგონი, ეილიფი ხანდახან სიგარებს მწაპნის, მაგრამ თავი ისე მიჭირავს, ვითომ ვერ ვამჩნევ. (ყვირის). ქულიც მომიტანე, მორტენ! კატრინ, შენ ხომ ვერ იტყვი, სად წავიღე? აა, უკვე ნახა!

ბიკებს მოაქვთ ყველაფერი, რაც მამამ უბრძანათ.

გთხოვთ, მეგობრებო! მე კი, როგორც მოგეხსენებათ, ჩემი ჩიბუხი მირჩენია. მთელი ჩრდილოეთი ერთად შემოვიარეთ, ჩემთან ერთად მოგზაურობდა დარშიც და ავდარშიც. (კიქას უქაზუნებს). თქვენ გაგიმარჯოთ! იფ! რამდენად უფრო სასიამოვნოა აქ ჯდომა, სითბოში და სიმყუდროვეში.

ფრუ სტოკმანი (ქარგავს). თქვენ მალე კელავ გზას უნდა გაუდგეთ, კაპიტანო პორსტერ!

პორსტერი. მე მგონია, მომავალ კვირას მზად უნდა ვიყოთ.

ფრუ სტოკმანი. ამერიკაში?

პორსტერი. დიახ, როგორც ჩანს.

ბილინგი. ასე რომ, ახლანდელ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებთ?

ჰორსტერი. განა ახალ არჩევნებს აპირებენ?

ბილინგი. არ გაგიგიათ?

ჰორსტერი. არა, მე ამ საქმეებში არ ვერევი.

ბილინგი. მაგრამ საზოგადოებრივი საქმეები ხომ გაინტერესებთ?

ჰორსტერი. არა, მართალი გითხრათ, მათი არა გამეგება რა.

ბილინგი. ასეა თუ ისე, კაცმა ხმა მაინც ხომ უნდა მისცეს?

ჰორსტერი. თვით იმანაც კი, ვისაც ამ საქმისა არაფერი ესმის?

ბილინგი. არაფერი ესმის?.. მაინც, რისი თქმა გსურთ? საზოგადოება იგივე ხომალდია. მთელი ეკიპაჟი უნდა მონაწილეობდეს მის მართვაში.

ჰორსტერი. ხმელეთზე, შესაძლოა, ასეა, მაგრამ ხომალდზე კი ღმერთმა დაგვიფაროს.

ჰოვსტადი. რა უცნაურია, რომ მეზღვაურებს, უმეტესწილად, ასე ნაკლებად აინტერესებთ საქვეყნო საქმე.

ბილინგი. მართლაც რომ უცნაურია.

ექიმი სტოკმანი. რალა მეზღვაურები და რალა გადამფრენი ფრინველები. ყველგან ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში, — სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიაც. სამაგიეროდ, მით უფრო ენერგიული მოქმედება გემართებს დანარჩენებს, ბატონო ჰოვსტად. ერთი ეს მითხარით, საზოგადოებისათვის სასარგებლო რაიმე სტატია ხომ არ იბეჭდება თქვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში?

ჰოვსტადი. ქალაქის საქმეების თაობაზე — არაფერი. მაგრამ ზეგ თქვენი სტატიის გაშვებას ვაპირებ...

ექიმი სტოკმანი. აჰ, დალახვროს ეშმაკმა!.. ჩემი სტატია!.. არა, იცით, რა? ცოტა მოვიცადოთ.

ჰოვსტადი. რატომ? სწორედ ახლა გვაქვს ადგილი და დროც, ჩემის აზრით, ყველაზე ხელსაყრელია...

ექიმი სტოკმანი. დიახ, დიახ, მართალს ბრძანებთ. მაგრამ მაინც მოცდა აჯობებს. მოგვიანებრთ ყველაფერს აგიხსნით...

წინკარიდან შემოდის პეტრა; პალტო აცვია და თავზე ქუდი ახურავს. ილიაში რვეულები აქვს ამოჩრილი.

პეტრა. გამარჯობათ.

ექიმი სტოკმანი. გაგიმარჯოს, პეტრა. შენც მოხვედი?

ურთიერთმისალმება. პეტრა კართან მიდგმულ სკამზე აწყობს თავის ნითებს და რვეულებს.

პეტრა. აი, თქვენ ზიხართ და დროს ატარებთ, მე კი ლამის ფეხზე ჩამოვწყდი, იმდენი ვიმუშავე...

ექიმი სტოკმანი. ახლა კი შენც შემოგვიერთდი. მიირთვი რამე. ბილინგი. ერთ ჭიქა პუნშს ხომ არ ინებებთ?

პეტრა (სუფრასთან მიდის). გმადლობთ, მე თვითონ. თქვენ ყოველთვის ისეთი მაგარი გამოგიდით... ჰო, მართლა, მამა, წერილი მაქვს შენთვის გადმოსაცემი. (სკამთან მიდის, რომელზედაც მისი ნივთები აწყვია).

ექიმი სტოკმანი. წერილი? ვისგან?

პეტრა (პალტოს ჯიბეში ეძებს). ფოსტალიონმა მომცა... სახლიდან რომ გავდიოდი...

ექიმი სტოკმანი (დგება და მისკენ მიეშურება). მერედა, მხოლოდ ახლა მაძლევ?

პეტრა. მომიტევე, დრო არა მქონდა, რომ ხელახლა ამოვსულიყავი. აი, ინებე.

ექიმი სტოკმანი (ხელს სტაცებს წერილს). ენახოთ, ენახოთ, შეილო. (მისამართს დახედავს). დიახ, დიახ, სწორია!

ფრუ სტოკმანი. ამ წერილს ელოდი, თომას?

ექიმი სტოკმანი. დიახ, სწორედ ამას. ახლავე უნდა წავიდე... სანთელი სადაა? კატრინ! ჩემს ოთახში ისევ არ ანთია ლამპა?

ფრუ სტოკმანი. როგორ არა, შენს საწერ მაგიდაზე დგას.

ექიმი სტოკმანი. კარგი, კარგი. მომიტევეთ, ერთ წუთს დაგტოვებთ. (ხელმარჯვნივ, მეორე ოთახში გადის).

პეტრა. ნეტა რა წერილია, დედა?

ფრუ სტოკმანი. არ ვიცი. ამ ბოლო ხანს სულ იმას მეკითხებოდა, ფოსტა ხომ არ მოსულაო.

ბილინგი. ალბათ, სხვა ქალაქელი პაციენტი სწერს...

პეტრა. საწყალი მამაჩემი! მალე, ალბათ, სულს ამოხდინა მუშაობით. (პუნშს იზადებს). იფ, რა გემრიელი იქნება!

ჰოვსტადი. დღეს საღამოს სკოლაში გქონდათ მეცადინეობა?

პეტრა (პუნშს წრუპავს). ორი საათი.

ბილინგი. ხოლო დილით ოთხი საათი — ინსტიტუტში?..

პეტრა. ხუთი.

ფრუ სტოკმანი. საღამოს კი, როგორც ვხედავ, რვეულები უნდა ასწორო.

პეტრა. მთელი გროვა.

ჰორსტერი. როგორც ჩანს, სულის მოთქმის საშუალება არა გაქვთ.

პეტრა. დიახ, მაგრამ მე ძალიან მომწონს. ისეთ სასიამოვნო დალლილობას გრძნობ ხოლმე?..

ბილინგი. მართლა მოგწონთ?

პეტრა. დიახ, სამაგიეროდ ისე ტკბილადა მძინავს.

მორტენი. შენ, ალბათ, საშინელი ცოდვა გაქვს ჩადენილი, პეტრა.

პეტრა. ცოდვა?

მორტენი. დიახ.. ამდენს რომ მუშაობ. ბატონი რიორლუნი ამბობს, შრომა — სასჯელია ჩვენი ცოდვების გამო.

ელიფი (ზიზით ჩაიფრტუნებს). რა სულელი ხარ, რომ გჯერა!

ფრუ სტოკმანი. აბა, აბა, ელიფ!

ბილინგი (იყინის). არა, გადასარევი!

ჰოვსტადი. შენ კი არ გინდა, რომ ამდენს მუშაობდე, მორტენ?

მორტენი. არა.

ჰოვსტადი. მაშ, ვინ გინდა იყო?

მორტენი. ვიკინგობა ყველაფერს მიჩვენია.

ელიფი. მაშინ ხომ წარმართი უნდა ყოფილიყავი?

მორტენი. მერე რა?

ბილინგი. გეთანხმები, მორტენ! მეც მაგ აზრისა ვარ.

ფრუ სტოკმანი (ხელთ ანიშნებს). აბა, რას ამბობთ, ბატონო ბილინგ?

ბილინგი. ღმერთმანი!.. მე მართლაც წარმართი ვარ და ვამაყობ ამით. აი, ნახავთ, მალე ყველანი გავწარმართდებით.

მორტენი. და მაშინ შეგეძლება, რაც გვინდა, ის ვაკეთოთ?

ბილინგი. ესე იგი... იცი, რა მორტენ?..

ფრუ სტოკმანი. აბა, თქვენს ოთახში მოუსვით, ონავრებო! ალბათ, სახვალიოდ ყველა გაკვეთილი არცა გაქვთ მზად.

ელიფი. მე ხომ შემიძლია დარჩენა?..

ფრუ სტოკმანი. არა, არც შენ... ორივემ მოუსვით! ჩქარა!

ბიკები ემშვიდობებიან სტუმრებს და ხელმარცხნივ გადიან მეორე ოთახში.

ჰოვსტადი. მაშასადამე, თქვენის აზრით, ბავშვებისათვის არ შეიძლება ამნაირი საუბრების მოსმენა?

ფრუ სტოკმანი. მართალი გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ მე ძირითადად არ მომწონს.

პეტრა. ო, დედა, ეს კი, ღმერთმანი, სისულელეა.

ფრუ სტოკმანი. შეიძლება. მაგრამ თუკი არ მომწონს?.. ყოველ შემთხვევაში, აქ, ჩვენს სახლში.

პეტრა. რამდენი უსამართლობაა სახლშია და სკოლაშია. სახლში უნდა ვდუმდეთ, სკოლაში კი იძულებულნი ვართ, აშკარად ვცრუობდეთ ბავშვების წინაშე.

პოვსტადი. ან, იქნებ, გგონიათ, რომ ძალაუნებურად არ ვასწავლით მათ იმას, რაც ჩვენ თვითონ არა გვწამს?

ბილინგი. რაც მართალია, მართალია.

პეტრა. საშუალება რომ მქონდეს, ჩემს საკუთარ სკოლას გავხსნიდი და იქ სულ სხვანაირად დაეაყენებდი სწავლების საქმეს.

პორსტერი. თუ მართლა ასე გსურთ, ფრიოკენ სტოკმან, მე შემიძლია შენობა შემოგთავაზოთ. მამაჩემის ძველისძველი დიდი სახლი თითქმის ცარიელი დგას. ქვემო სართულზე უზარმაზარი დარბაზია...

პეტრა (იციინს). მართლა? დიდი მადლობა! მაგრამ მეექვება, რომ აქედან რამე გამოვიდეს.

პოვსტადი. არა, ფრიოკენ პეტრა, როგორც ჩანს, უმალ ჩვენს ბანაკში, გაზეთის მუშაკთა ბანაკში გადმობარგდება. პო, მართლა, თუ გადახედეთ იმ ინგლისურ მოთხრობას, რომლის თარგმნასაც ჩვენი გაზეთისთვის შეგვპირდით?

პეტრა. ჯერ არაა, მაგრამ დარდი ნუ გაქვთ, — დროზე მიიღებთ. ექიმი სტოკმანი (ვახსნილი კონვერტის ქნევით გამოღის კაბინეტიდან). აბა, ბატონებო, აი, ახალი ამბავი ქალაქისათვის!

ფრუ სტოკმანი. რა ახალი ამბავი?

ექიმი სტოკმანი. დიდი აღმოჩენა, კატრინ!

პოვსტადი. მართლა?

ფრუ სტოკმანი. და ეს აღმოჩენა შენ გეკუთვნის?

ექიმი სტოკმანი. დიახ. (ოთახში მიდი-მოღის). ადგნენ ახლა და, თავიანთი ჩვეულებისამებრ, დაიწყონ იმის მტკიცება, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ფუქი ფანტაზია და ახირებული საქციელია! არა, ახლა კი ველარ გაბედავენ! ჰა-ჰა-ჰა! დიახ, დიახ, ველარ გაბედავენ!

პეტრა. ბოლოს და ბოლოს, გვითხარი, რაშია საქმე, მამა!

ექიმი სტოკმანი. მოითმინეთ, ცოტაც მოითმინეთ და ყველაფერს გაიგებთ. აჰ, ნეტა ახლა პეტერი იყოს აქ! წარმოვიდგენიათ, ხანდახან რა ბრძმები ვართ ადამიანები?.. რალა ჩვენ და რალა თხუნელები.

პოვსტადი. მაინც, რას გულისხმობთ, ბატონო ექიმო?

ექიმი სტოკმანი (მაგიდასთან ჩერდება). აქ ხომ ყველა იმ აზრისაა, რომ ეს ჩვენი პატარა ქალაქი ნამდვილი ჯანმრთელობის კერაა?

ჰოვსტადი. რა თქმა უნდა.

ექიმი სტოკმანი. მეტიც, — არაჩვეულებრივი ჯანმრთელობის კერა... რომელსაც თავგამოდებით უნდა ვურჩევდეთ და ვთავაზობდეთ ყველას, — ავადმყოფებსაც და ჯანმრთელებსაც.

ფრუ სტოკმანი. კი მაგრამ, თომას...

ექიმი სტოკმანი. აკი ასედაც ვიქცეოდით... ვურჩევდით, ვაქებდით, ვადიდებდით. მე თვითონ ვწერდი „სახალხო გაზეთშიც“ და ბროშურებშიაც...

ჰოვსტადი. მერე რა?

ექიმი სტოკმანი. გარდა ამისა, ჩვენა გვაქვს წყალსამკურნალო სანატორიუმი, რომელსაც ქალაქის მთავარ არტერიას, სასიცოცხლო ძარღვს და, ეშმაკმა იცის, კიდევ რას არ უწოდებენ!..

ბილინგი. „ქალაქის მფეთქავ გულს“, როგორც მე თვითონ განვაცხადე ერთ-ერთ ზეიმზე...

ექიმი სტოკმანი. დიახ, დიახ. მაგრამ თუ იცით, რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს გრანდიოზული, ეს დიადი და დიდებული სანატორიუმი, რომელიც ასე ძვირი დაგვიჯდა? დიახ, იცით, რას წარმოადგენს?

ჰოვსტადი. არა. მაინც რას?

ფრუ სტოკმანი. აღარ იტყვი?..

ექიმი სტოკმანი. გადამდები სნეულების კერას.

პეტრა. სანატორიუმი, მამა?

ფრუ სტოკმანი. (იმაედროულად). ჩვენი სანატორიუმი?

ჰოვსტადი (ასევე). კი მაგრამ, ექიმო...

ბილინგი. წარმოუდგენელია!

ექიმი სტოკმანი. მთელი სანატორიუმი — შეფეთქილი კუბოა, გადამდები სნეულებით სავსე; ჯანმრთელობისათვის ძალზე საშიში. „წისკვილის ხევიდან“ მომდინარე მთელი სიბინძურე, მთელი ეს მყარალი სიბილწე წამლავს წყალს, რომელიც წყალსადენი მილებით შედის შენობაში, სადაც მას წამალივით სუამენ. შემდეგ კი ეს მოწამლული სისაძაგლე გარეთ გამოეონავს...

ჰოვსტადი. პლიაუზე?..

ექიმი სტოკმანი. დიახ.

ჰოვსტადი. დარწმუნებული ხართ, ბატონო ექიმო?

ექიმი სტოკმანი. მე გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად გამოვიკვლიე ყველაფერი... დიდხანს მაწვალებდა ექვი. შარ-შან, ჩამოსულ ავადმყოფთა შორის რალაც უცნაურმა, ჩემთვის აუხსნელმა სნეულებამ იჩინა თავი... გვექონდა ტიფოზური და გასტრიტული დაავადების შემთხვევები...

ფრუ სტოკმანი. დიახ, დიახ, გვექონდა...

ექიმი სტოკმანი. მაშინ გვეგონა, რომ სტუმრებმა თან ჩამოიტანეს დაავადება. მაგრამ შემდეგ... ზამთარში... სხვა თვალთ შეეხედე საქმეს. და სწორედ მაშინ დაიწყო წყლის გამოკვლევა, როგორც შემეძლო.

ფრუ სტოკმანი. აი, თურმე რას ჩაჰკირკიტებდი!

ექიმი სტოკმანი. დიახ, ბევრი კირკიტი კი დამჭირდა, კატრინ! მაგრამ აქ სად ნახავ ყველა საჭირო ხელსაწყოს და სხვა მოწყობილობას? ამიტომაც როგორც სასმელი, ისე ზღვის წყლის სინჯიც უნივერსიტეტში გავგზავნე ზუსტი ქიმიური ანალიზისთვის.

ჰოვსტადი. და ახლა პასუხი მიიღეთ?

ექიმი სტოკმანი (წერილს უჩვენებს). აი!.. დადასტურდა, რომ წყალი შეიცავს ხრწნად ორგანულ ნივთიერებებსა და... ურიცხვ ბაქტერიებს. ასე რომ, ეს ჩვენი წყალი აშკარად მავნეა ჯანმრთელობისათვის... როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ხმარებისას.

ფრუ სტოკმანი. მადლობა ღმერთს, რომ დროულად აღმოაჩინე ეს.

ექიმი სტოკმანი. მართლაც!

ჰოვსტადი. ახლა რას აპირებთ, ექიმო?

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა, ვეცდები გამოვასწორო საქმე.

ჰოვსტადი. მერედა, ეგ შესაძლებელია?

ექიმი სტოკმანი. შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. არადა, მშვიდობით, ჩვენო სანატორიუმო! მაგრამ დარდი ნუ გაქვთ: მე უკვე ყველაფერი ავწონ-დავწონე და გავიანგარიშე, თუ რისი ქმნა გეპარტებს.

ფრუ სტოკმანი. აქამდე ასე საიდუმლოდ როგორ შეინახე ყოველივე ეს, ძვირფასო თომას?

ექიმი სტოკმანი. რას მიბრძანებ, — მთელი ქალაქი შემომერბინა და ყბედობა დამეწყო მანამ, სანამ მე თვითონვე დავრწმუნდებოდი? არა, გმადლობთ, არც ისეთი ბრწყინვალე ვარ.

პეტრა. მაგრამ ჩვენ, შინაურებს მაინც...

ექიმი სტოკმანი. არაეის... ხვალ კი შემიძლია შეეუარო „მაჩეს“
და...

ფრუ სტოკმანი. აჰ, თომას!..

ექიმი სტოკმანი. კარგი, კარგი, ვთქვათ, — პაპას. როგორ
გაუკვირდება ბერიკაცს! მას ხომ შეშლილი ვგონივარ და არა
მარტო მას, არამედ, როგორც უკვე შეენიშნე, ბევრ სხვასაც.
მაგრამ დამაცადონ... მე მათ ვუჩვენებ... (ოთახში დაღის და ხელებს
იფშენებს). რა აყალ-მაყალი ატყდება ქალაქში, კატრინ!
წარმოდგენაც კი ძნელია. მთელი წყალგაყვანილობის ქსელი
უნდა გამოიცივლოს!

პოვსტადი. მთელი ქსელი?..

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. მიმღები ძალზე დაბლაა, —
გაცილებით უფრო მაღლა უნდა ავწიოთ.

პეტრა. ესე იგი, შენ მაშინ მართალი იყავი!

ექიმი სტოკმანი. დიახ, ხომ გახსოვს, პეტრა? რამდენს ვწერდი,
ვაპროტესტებდი... მაშინ მათ ის-ის იყო დაიწყეს მიღების
ჩაწყობა. მაგრამ ვინ გათხოვა ყური? ახლა კი დამაცადონ...
მე მათ ვუჩვენებ სეირს! უზარმაზარი მოხსენება დავწერე
კურორტის გამგეობისათვის წარსადგენად. უკვე ერთი
კვირაა მზადა მაქვს. მხოლოდ ამ წერილსღა ველოდი.
ახლა კი დაუყოვნებლივ გავაგზავნი მოხსენებას. (თავის
კაბინეტში შეღის და მალე უკანვე ბრუნდება; ხელში დაწერილი
ფურცლების პატარა დასტა უკირავს). აი! წერილად დაწერილი
მთელი ოთხი ფურცელი! ამ წერილსაც თან დავურთავ...
გაზეთი მომეცი, კატრინ! უნდა გავახვიო... კეთილი. აი, ასე.
მიეცი ეს იმას... ეე!.. (ფეხს აბაკუნებს). დალახეროს ეშმაკმა, რა
ჰქვია?... ერთის სიტყვით, მოახლეს მიეცი და უბრძანე, ახლავე
მიუტანოს ფოგტს.

ფრუ სტოკმანი სასადილო ოთახის გავლით მიდის; თან პაკეტი მოაქვს.

პეტრა. როგორ გგონია, რას იტყვის ძია პეტერი, მამა?

ექიმი სტოკმანი. რას იტყვის?... ალბათ, გაეხარდება, რომ მისთვის
ესოდენ მნიშვნელოვანი რამ გაირკვა.

პოვსტადი. თუ ნებას მომცემთ, „სახალხო გაზეთში“ პატარა
შენიშვნას გამოვაქვეყნებ თქვენს აღმოჩენასთან დაკავშირე-
ბით.

ექიმი სტოკმანი. დიდი მადლობელიც დაგრჩებით.

პოვსტადი. სასურველია, რომ მკითხველმა რაც შეიძლება მალე
შეიტყოს.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა.

ფრუ სტოკმანი (ბრუნდება). გოგო წავიდა.

ბილინგი. ღმერთმა შემაჩვენოს, თუ პირველი კაცი არ გახდეთ ქალაქში, ბატონო ექიმო!

ექიმი სტოკმანი (გახარებული დააბიჯებს ოთახში). აბა, რას ამბობთ? მე მხოლოდ ჩემი ვალი მოვიხადე! ბედმა გამიღიმა და განძს მივაგენი, ესაა და ეს. თუმცა, რა თქმა უნდა...

ბილინგი. რას იტყვით, ჰოვსტად, უნდა სცეს თუ არა ქალაქმა პატივი ექიმ სტოკმანს საზეიმო პროცესიითა და ბაირაღებით?

ჰოვსტადი. ყოველ შემთხვევაში, მე დავსვამ ამ საკითხს.

ბილინგი. მე კი ამის თაობაზე ასლაკსენს მოველაპარაკებო.

ექიმი სტოკმანი. არა, ჩემო მეგობრებო, ნუ შეწუხდებით. ამნაირი ოინების გაგონებაც არ მინდა. კურორტის გამგეობამ კიდევაც რომ გადაწყვიტოს ჩემთვის ხელფასის მომატება ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით, მე უარს ვიტყვი. ხომ გესმის, კატრინ? — უარს ვიტყვი!

ფრუ სტოკმანი. და სწორადაც მოიქცევი, თომას!

პეტრა (კიქას სწევს). მამას გაუმარჯოს!

ჰოვსტადი და ბილინგი. თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო ექიმო!

ჰორსტერი (კიქას უკახუნებს ექიმს). ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

ექიმი სტოკმანი. გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო. დიდად მოხარული ვარ... მართლაც სასიხარულოა იმის შეგნება, რომ სამსახური გაუწიე შენს მშობლიურ ქალაქსა და თანამოქალაქეებს! ვაშა, კატრინ! (ყელზე ხელს შემოხვევს და მასთან ერთად ტრიალებს ოთახში).

ფრუ სტოკმანი წამოიკივლებს და თავის განთავისუფლებას ცდილობს. ყველანი იცინიან, ტაშს უკრავენ და ვაშას ძახილით მიესალმებიან ექიმს. ბიჭები კარიდან იკვიტებიან.

მეორე მოქმედება

იგივე ოთახი. სასადილო ოთახის კარი ღიაა. დილა.

ფრუ სტოკმანი (ხელში გაუხსნელი წერილი უქირავს, სასადილო ოთახიდან გამოდის, ხელმარჯვნივ, პირველი ოთახის კართან მიდის და შიგ იხედება). შინა ხარ, თომას?

ექიმი სტოკმანი (კაბინეტიდან). ეს-ესაა მოვედი. (გამოდის). რა იყო?

ფრუ სტოკმანი. შენი ძმის წერილია. (აძლევს).

ექიმი სტოკმანი. აჰა! ენახოთ. (ხსნის და კითხულობს). არაფერია, გარდა იმისა, რომ მატყობინებს, ნაშუადღევს მე თვითონ შემოვივლიო.

ფრუ სტოკმანი. ჰოდა, არ დაგავიწყდეს, — სახლში დახვდი.

ექიმი სტოკმანი. ვეცდები. დილის ვიზიტებს უკვე მოვრჩი.

ფრუ სტოკმანი. საშინლად მაინტერესებს, როგორ შეხვდება ამ ამბავს.

ექიმი სტოკმანი. აი, ნახავ, თუ არ ეწყინოს, რომ ეს მე აღმოვაჩინე და არა მან.

ფრუ სტოკმანი. მაშ, შენ ესეც გაფიქრებს?!

ექიმი სტოკმანი. ისე; კაცმა რომ თქვას, მისთვის ეს ხელსაყრელია, გესმის? მაგრამ მაინც... პეტერს სულ იმის შიში აქვს, რომ მის გარდა შეიძლება სხვამაც რაიმე სარგებლობა მოუტანოს ქალაქს.

ფრუ სტოკმანი. მაშინ, იცი, რას გეტყვი, თომას? თუ ასეა, კუკუას მოუხმე და შენი აღმოჩენის პატივი თანაბრად უწილადე მასაც. ხომ არ შეიძლება ისე წარმოადგინო საქმე, თითქოს სწორედ მან გიკარნახა ეს აზრი?..

ექიმი სტოკმანი. ჩემთვის სულერთია. ოღონდ საქმეს ეშველოს და...

ბებერი მორტენ შილი (წინკარში შემოუფს თავს, მძღელ თვალს მოაქვს იქაურობას, უღვაშებში ჩაიცინებს და ეშმაკურად კითხულობს). მაშ, მართალია?

ფრუ სტოკმანი (მისკენ მიემართება). მამა, შენა ხარ?

ექიმი სტოკმანი. ამას ვის ვხედავ? სიმამრს ვახლავარ, სიმამრს!
ფრუ სტოკმანი. შემოდი, რაღას უყურებ?

მორტენ ჰილი. თუ მართალია, შემოვალ, არა და, — წავალ.

ექიმი სტოკმანი. მაინც რა გაინტერესებთ? რა არის მართალი?
მორტენ ჰილი. ეს სისულელე, წყალგაყვანილობის ქსელზე რაც
მითხრეს. არა, მართლა ასეა საქმე?

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა... კი მაგრამ, თქვენ ვინ გითხრათ?
მორტენ ჰილი (შემოდის). პეტრამ შემომიარა...

ექიმი სტოკმანი. აა!

მორტენ ჰილი. დი-ი-ახ! და ყველაფერი მიაშბო... ერთი პირობა
ისიც კი გაეფიქრე, ხომ არ მასულელებს-მეთქი... მაგრამ არა,
პეტრა ამას არ იკადრებდა.

ექიმი სტოკმანი. ეგ რამ გაფიქრებინათ?

მორტენ ჰილი. ო, დღეს ვერავის ვერ ენდობი, — თვალის
დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ მშრალზე დაგსვამენ...
ესე იგი, მაინც მართალია?

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. დაბრძანდით, რა ფეხზე
დგახართ? (ღიანზე სვამს). რა ბედნიერებაა ქალაქისათვის, არა?..

მორტენ ჰილი (ძლივს იკავებს სიცილს). ბედნიერება?..

ექიმი სტოკმანი. დიახ, ასე დროულად რომ აღმოვაჩინე.

მორტენ ჰილი (უწინდებურად). დიახ, დიახ!.. მაგრამ იმას კი
ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამნაირ ოინს მოუწყობდით
საკუთარ ძმას.

ექიმი სტოკმანი. ოინს?..

მორტენ ჰილი (ნიკაპით ყვარჯნის სახელურზე ჩამოწყობილ ხელებს
ვერდნობა და ეშმაკურად თვალს ჩაუკრავს ექიმს). მაინც რა მოხდა?
წყალსადენ მილში მომრავლდნენ ეს კია-ლუები?

ექიმი სტოკმანი. დიახ, ბაქტერიები.

მორტენ ჰილი. თანაც, როგორ მომრავლდნენო, მითხრა პეტრამ.
მართლა ამდენია?

ექიმი სტოკმანი. დიახ, დიახ, ასი ათასობით.

მორტენ ჰილი. თვალთ კი ვერავინ ვერ ხედავს; ასეა, არა?

ექიმი სტოკმანი. დიახ, თვალთ მათი დანახვა შეუძლებელია.

მორტენ ჰილი (ჩუმად ხითხითებს). დალახეროს ეშმაკმა, ამის ფასი
თქვენგან არაფერი გამიგონია.

ექიმი სტოკმანი. ესე იგი... ეგ როგორ გავიგოთ?

მორტენ ჰილი. ოლონდ თქვენს სიცოცხლეში ვერ მოახერხებთ,
რომ ეგ თავში ჩაუქედოთ ფოგტს.

ექიმი სტოკმანი. ვნახოთ!

მორტენ ჰილი. ასე სულელი ხომ არა გგონიათ?

ექიმი სტოკმანი. მთელი ქალაქი იქნება ასე სულელი.

მორტენ ჰილი. მთელი ქალაქი?! ღმერთმანი, აი, ეს მესმის! ასე მოუხდებათ. უნდოდათ ჩვენზე — ბერიკაცებზე უფრო კვიანები ყოფილიყვნენ! კინწისკვრით გამომაძევეს გამგეობიდან. დიახ, დიახ, ძალღივით გამომაგდეს. გამაშავეს. ჰოდა, ახლა ნახონ! აბა, თქვენ იცით, შავი დღე აყარეთ, სტოკმან!

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ...

მორტენ ჰილი. შავი დღე აყარეთ-მეთქი! (დგება). თუ ფოგტსა და მის ამფსონებს. პირში ჩალაგამოვლებულებს დასტოვებთ, მაშინვე ას კრონს შევწირავ ლარიბ-ლატაკებს.

ექიმი სტოკმანი. დიდი წყალობაა თქვენის მხრივ.

მორტენ ჰილი. დიახ, ხომ გესმით, არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ ფულები ვფანტო, მაგრამ თუ ჯავრს ამომყრით, სიტყვას გაძლევთ, საშობაოდ თითო-ოროლა გროშს ჩამოვურიგებ გაჭირვებულებს.

წინარიდან შემოდის ჰოვსტადი.

ჰოვსტადი. გამარჯობათ! (ჩერდება). აჰ, მომიტყვეთ...

ექიმი სტოკმანი. არაფერია, შემოდით, შემოდით.

მორტენ ჰილი (კვლავინდებურად იცინის). მაშ, ესეც! ესეც თქვენთანაა?

ჰოვსტადი. რა ბრძანეთ?..

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა, ჩემთანაა.

მორტენ ჰილი. ასეც ვიცოდი! მაშ, გაზეთშიაც დაიბეჭდება? რა ყოჩალი ბიჭი ხართ, სტოკმან! აბა, კარგად მოაკვარახჭინეთ საქმე! მე კი დაგტოვებთ.

ექიმი სტოკმანი. რა გეჩქარებათ?

მორტენ ჰილი. არა, წასვლის დროა. თქვენ კი მაგრად მისცხეთ იმ... აბა, თქვენ იცით! ნუ გეშინიათ, წაგებული არ დარჩებით. (მიდის).

ფრუ სტოკმანი აცილებს.

ექიმი სტოკმანი (იცინის). წარმოგიდგენიათ? ბერიკაცს ერთი სიტყვაც არ სჯერა.

ჰოვსტადი. მაშ, ის ამის გამო?..

ექიმი სტოკმანი. დიახ, სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით. ალბათ, არც თქვენ მოსულხართ სხვა საქმის გამო.

ჰოვსტადი. დიახ, დიახ. ორიოდე წუთს ხომ ვერ დამითმობთ, ბატონო ექიმო?

ექიმი სტოკმანი. რამდენიც გნებავთ, ჩემო ძვირფასო.

ჰოვსტადი. ფოგტისაგან ხომ არაფერი ისმის?

ექიმი სტოკმანი. ჭერჭერობით — არაფერი. მოგვიანებით თვითონვე შემოივლის.

ჰოვსტადი. წუხანდელს აქეთ ბევრი ვიფიქრე ამ საქმეზე.

ექიმი სტოკმანი. მერე?

ჰოვსტადი. თქვენთვის, როგორც ექიმისა და მეცნიერისთვის, ეს შემთხვევა, თავისთავად, ჩვეულებრივი ამბავია, რალა თქმა უნდა. მაგრამ მე მინდა გკითხოთ, ხომ არ დაჰფიქრებიახართ იმას, რომ ამ საქმეს უშუალო კავშირი აქვს ბევრ სხვა საკითხთან?

ექიმი სტოკმანი. ესე იგი... რა? დაბრძანდით, ჩემო ძვირფასო... არა, დივანზე.

ჰოვსტადი დივანზე ჯდება, ექიმი კი — სავარძელში, მაგიდის მეორე მხარეს. აბა... მაშ, თქვენი აზრით...

ჰოვსტადი. გუშინ თქვენ ბრძანეთ, წყლის მოწამელის მიზეზი გაბინძურებული ნიადაგიაო.

ექიმი სტოკმანი. დიახ, ექვს გარეშეა, რომ ბოროტების სათავე მორიანი კაობია „წისქვილის ხეში.“

ჰოვსტადი. მომიტევეთ, ბატონო ექიმო, მე კი მგონია, რომ ბოროტების სათავე სულ სხვა კაობშია საძიებელი.

ექიმი სტოკმანი. მაინც რომელ კაობს გულისხმობთ?

ჰოვსტადი. კაობს, რომელშიაც მყაყდება და თანდათანობით იხრწნება ჩვენი საქალაქო თვითმმართველობა.

ექიმი სტოკმანი. დალახეროს ეშმაკმა, ბატონო ჰოვსტად, ეგ რას გადასწვდით?

ჰოვსტადი. ქალაქის ყველა საქმე თანდათანობით მოხელეთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ჩაიგდო ხელში.

ექიმი სტოკმანი. არა, ყველა მოხელე ხომ არ არის?

ჰოვსტადი. რა განსხვავებაა? ვინც თვითონ არ არის მოხელე, ყოველ შემთხვევაში, მოხელეების მომხრე და მეგობარია. ყველა ესენი მდიდრები არიან, ჩვენი ქალაქის ყველაზე ძველი და წარჩინებული გვარიშვილები. აი, ვინ გვმართავს ჩვენ.

ექიმი სტოკმანი. კაცმა რომ თქვას, ისინი ხომ ფხიანი და საქმიანი ხალხია?

ჰოვსტადი. ამას ამტკიცებს წყალსადენი მიწების ჩაწყობა იქ, სადაც მათ ჩააწყვეს ისინი?

ექიმი სტოკმანი. არა, ეს რა თქმა უნდა, დიდი სისულელე იყო მათის მხრივ. მაგრამ თვითონვე გამოასწორებენ საქმეს.

ჰოვსტადი. თქვენ გგონიათ, ახლავე შეუღლებიან?..

ექიმი სტოკმანი. შეუღლებიან თუ არ შეუღლებიან, ერთი რამ მაინც ცხადია: რაც გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს.

ჰოვსტადი. დიახ. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრესა ჩაერევა.

ექიმი სტოკმანი. მე გგონია, აქამდე არ მივა საქმე, ჩემო ძვირფასო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ძმა...

ჰოვსტადი. მომიტევეთ, მაგრამ წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, ბატონო ექიმო, რომ მე ვაპირებ სერიოზულად მოვკიდო ხელი ამ საქმეს.

ექიმი სტოკმანი. გაზეთის მეშვეობით?

ჰოვსტადი. დიახ. როდესაც „სახალხო გაზეთი“ ჩავიბარე, სიტყვა მივეცი ჩემს თავს, რაღაც არ უნდა დამჭდომოდა, გამერღვია ბებერი და ჯიუტი მუმიების მოჯადოებული წრე, მუმიებისა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს მთელი ძალაუფლება.

ექიმი სტოკმანი. განა თქვენ თვითონ არ მიაბზეთ, რითი დამთავრდა ეს? კინალამ გაზეთი დალუპეთ, არა?

ჰოვსტადი. დიახ, მაშინ იძულებული გავხდი, ფარ-ხმალი დამეყარა. ცხადზე უცხადესია. რატომღაც ისე ჩანდა, რომ კურორტის დაარსება შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ამ ვაჟბატონებს დავამხობდი. მაგრამ ახლა კურორტი უკვე მუშაობს და ქალაქის ახლანდელი თავკაცების გარეშეც შეიძლება ფონს გასვლა.

ექიმი სტოკმანი. ფონს გასვლა კი შეიძლება, მაგრამ ჩვენ მაინც ბევრი რამით ვართ დავალებული მათგან.

ჰოვსტადი. ჰოდა, სათანადო პატივსაც მივაგებთ. მაგრამ ისეთი დემოკრატი პუბლიცისტი, როგორც მე ვარ, ხელიდან ვერ გაუშვებს ამნაირ შემთხვევას. უნდა გავაქარწყლოთ ეს მითი ხელისუფალთა უცოდველობის შესახებ. ძირფესვიანად უნდა ამოვძირკვოთ ეს ცრურწმენა, ყველა სხვა მავნე რწმენასთან ერთად.

ექიმი სტოკმანი. ამაში სავსებით გეთანხმებით, ბატონო ჰოვსტად! თუ ეს ცრურწმენაა, მაშინ შორს ჩვენგან!

ჰოვსტადი. ძალიან ვერიდები ფოგტის განაწყენებას, — რაც არ უნდა იყოს, მაინც თქვენი ძმაა. მაგრამ ალბათ თქვენც იზიარებთ ამ აზრს: კვმმართვება უწინარეს ყოვლისა!

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... (გაცხარებით).
მაგრამ მაინც!..

ჰოვსტადი. ცუდად ნუ გაიგებთ ჩემს განზრახვას. მე არც ანგარება
მამოძრავებს და არც უფრო პატივმოყვარე ვარ, ვიდრე
ადამიანთა უმრავლესობა.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო... ვის მოუვა ეს
თავში აზრად?

ჰოვსტადი. როგორც მოგეხსენებათ, მე მდებიოთა წრიდანა ვარ
გამოსული, და საშუალება მქონდა, საფუძვლიანად დავეკვირ-
ვებოდი საზოგადოების უდაბლესი ფენების გაქირვებას, მათ
საარსებო მოთხოვნილებებს, ხოლო ეს ძალზე მნიშვნელოვა-
ნია საიმისოდ, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეო-
ბისას შენი სიტყვა თქვა, ბატონო ექიმო. ყოველივე ეს
უჩვეულოდ ხევეს და ავითარებს ყოველგვარ ნიქსს, უნარსა
და საკუთარი ღირსების გრძნობას.

ექიმი სტოკმანი. დიახ, მესმის, მესმის...

ჰოვსტადი. ამიტომაც ჟურნალისტისათვის მიუტყეველ ცოდვად
მიმაჩნია, ხელიდან გაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ გაათა-
ვისუფლო ხალხი, მძიმე ხვედრი შეუმსუბუქო ტვირთმძიმეთა
და მაშვრალთ. ისიც ვიცი, რომ ძლიერთა ამა სოფლისათა
ბანაკში ჩემს საქციელს წამქეზებლობად და ვინ იცის კიდევ
რა სახელებით არ მონათლავენ. მაგრამ ჩემთვის მთავარია
სინიღისი მქონდეს სუფთა...

ექიმი სტოკმანი. კეშმარიტად, კეშმარიტად, ბატონო ჰოვსტად!
მაგრამ მაინც... დალახვროს ეშმაკმა!..

აკაკუნებენ.

მობრძანდით!

წინარეში გამოჩნდება ასლაკენი. ღარიბულად, მაგრამ სუფთად და
ფაქიზადაა ჩაცმული; შავ კოსტუმში გამოწყობილს თეთრი, ოღნავ დაქმუქნული
პალსტუხი უკეთია და ხელთათმინიან ხელში ცილინდრი უჭირავს.

ასლაკსენი (თავის დაკრით). მომიტყევეთ, ბატონო ექიმო, რომ
გავბედდე და...

ექიმი სტოკმანი. ამას ვის ვხედავ? ეს ხომ ასლაკსენია, ჩვენი
ტიპოგრაფისტი.

ასლაკსენი. დიახ, მე გახლავართ, ბატონო ექიმო.

ჰოვსტადი. ჩემთან გაქვთ საქმე, ასლაკსენ?

ასლაკსენი. არა, არც ვიცოდი თუ აქ დამხვდებოდით. პირადად
ბატონ ექიმთან მაქვს ორიოდ სიტყვა...

ექიმი სტოკმანი. რითი შემიძლია გემსახუროთ?

ასლაცხენი. მართალია თუ არა, რაც ბატონმა ბილინგმა მითხრა...

ბატონი ექიმი უკეთესი წყალსადენის გაყვანას გვპირდებო? ექიმი სტოკმანი. დიახ, სანატორიუმისათვის.

ასლაცხენი. გასაგებია. მეც სწორედ იმის სათქმელად გაახელით, რომ მზადა ვარ, ყოველნაირად შეეუწყო ხელი ამ საქმეს.

პოვსტადი (ექიმს). ხედავთ?

ექიმი სტოკმანი. დიდი მადლობა, მაგრამ...

ასლაცხენი. იმიტომ, რომ, ალბათ, ზედმეტი არ იქნება, თუ ჩვენნაირი წვრილფეხობაც ამოვიღებთ მხარში. ჩვენ ქალაქში, ასე ვთქვათ, მკიდროდ დარაზმულ უმრავლესობას შევადგენთ... როცა მოვინდომებთ, რაღა თქმა უნდა. ხოლო უმრავლესობის მხარდაჭერა არავის არ აწყენს, ბატონო ექიმო.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი რამ არ მესმის: რა საჭირო უნდა შეიქნეს აქ რაღაც საგანგებო ზომების მიღება? ჩემის აზრით, საქმე იმდენად მარტივია და ცხადი, რომ...

ასლაცხენი. არა, თადარიგის დაკერა მაინც არ არის ზედმეტი. მე ხომ კარგად ვიცნობ აქაურ ხელისუფალთ. ძალაუფლების მქონენი ძალზე უხალისოდ იღებენ იმ წინადადებებს, რომლებიც თვით მათგან არ მომდინარეობს. პოდა, ჩემის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, პატარა დემონსტრაცია მოგვეწყო.

პოვსტადი. დიახ, დიახ.

ექიმი სტოკმანი. დემონსტრაციაო? რა დემონსტრაცია?

ასლაცხენი. რასაკვირველია, საკმაოდ ზომიერი, ბატონო ექიმო; მე ყოველთვის ზომიერების მომხრე ვარ, იმიტომ, რომ ზომიერება უპირველესი სამოქალაქო სიქველეა... რამდენადაც მე მესმის, რაღა თქმა უნდა.

ექიმი სტოკმანი. თქვენ სწორედ ამითა ხართ სახელგანთქმული, ბატონო ასლაცხენ.

ასლაცხენი. დიახ, ჩემის აზრით, თამამად შემიძლია განვაცხადო ეს. ხოლო ახალი წყალსადენი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მოქალაქეთა უმრავლესობისათვის, რადგანაც სანატორიუმი ქალაქის ნამდვილი მარჩენალი გახდება. ამ დაწესებულებით უნდა ვისაზროოთ ყველამ, მით უმეტეს, ჩვენ — სახლთმფლობელებმა. ამიტომ, რამდენადაც შეგვიძლია, მზადა ვართ, ხელი შევეუწყოთ ამ საქმეს. ხოლო რაკი მე სახლთმფლობელთა კავშირის თავმჯდომარე ვარ...

ექიმი სტოკმანი. მართლა?..

ასლაკსენი. და, გარდა ამისა, „სიფხიზლის მეგობართა საზოგადოების“ აგენტიც... დიახ, ექიმს, ალბათ, მოეხსენება, რომ მე, უწინარეს ყოვლისა, სიფხიზლეს ვუქვერ მხარს.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა.

ასლაკსენი. ამიტომაც გასაგებია, რომ უამრავ ხალხთან მიხდება ურთიერთობა. და რაკი ყველანი კეთილსაიმედო და კანონების განუხრელად დამკველ მოქალაქედ მიცნობენ, — როგორც ბრძანა თვითონ ექიმმა, — ამიტომ მე ერთგვარი წონა მაქვს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული გავლენითაც ესარგებლობ ამ ჩვენს ქალაქში.

ექიმი სტოკმანი. ჩემთვის ყოველივე ეს კარგად ცნობილია, ბატონო ასლაკსენ.

ასლაკსენი. ასე რომ, ჩემთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს შევადგინო, ვთქვათ, ადრესი, თუკი საქმე მოითხოვს ამას.

ექიმი სტოკმანი. ადრესი?..

ასლაკსენი. დიახ, ასე ვთქვათ მოქალაქეთა სამადლობელი. ადრესი იმის გამო, რომ საზოგადოებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენეთ. რა თქმა უნდა, ადრესი სათანადო ზომიერების დაცვით უნდა იქნეს შედგენილი... რომ არ გავანაწყენოთ ხელისუფალნი... და, საერთოდ, ასე ვთქვათ, ძლიერნი ამა სოფლისანი. ხოლო თუ ზომიერებას დავიცავთ, ველარავინ გავგიბედავს შემოდავებას; ასეა, არა?

პოვსტადი. ხელისუფალთაც რომ არაფრად ეპიტნავოთ, მაინც...

ასლაკსენი. არა, არა, უფროსობის განაწყენება არ იქნება, ბატონო პოვსტად. არავითარი ოპოზიცია იმათ წინააღმდეგ, ვისზედაც დამოკიდებულნი ვართ. მე ერთხელ უკვე მასწავლეს კკუა და ვიცი, რომ არაფერ ხეირს ეს არ მოგვიტანს. მაგრამ მოქალაქეთა ნების კეთილგონივრულსა და გულწრფელ გამოხატულებას ვინ აგვიკრძალავს?

ექიმი სტოკმანი (ხელს ათმევს). სიტყვით ვერ გამომითქვამს, ძვირფასო ბატონო ასლაკსენ, რარივ მოხარული ვარ, რომ ამნაირ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას ვპოულობ ჩემს თანამოქალაქეთა შორის!.. დიდი მადლობა!.. ახლა კი, ერთ კიქა ხერესს ხომ არ ინებებთ, ა?

ასლაკსენი. არა, უმორჩილესად გმადლობთ. მაგარ სასმელებს სიახლოვეს არ ვეკარები.

ექიმი სტოკმანი. ერთ კიქა ლულზე რაღას იტყვით?

ასლაკსენი. გმადლობთ, არც ლუდს გეახლებით, ბატონო ექიმო. ასე დილაადრიაანად, საერთოდ, თავს ვარიდებ ყოველგვარ სასმელს. ახლა კი წავალ, სახლთმფლობელებს მოველაპარაკები, ხალხს შევამზადებ.

ექიმი სტოკმანი. ძალზე გულისხმიერი ბრძანდებით, ბატონო ასლაკსენ; მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, რა საჭიროა მთელი ეს სამზადისი. ჩემის აზრით, საქმე თავისთავად წაიწვეს წინ.

ასლაკსენი. ჩვენი ხელისუფალნი მეტისმეტად მცონარა ხალხია, ბატონო ექიმო. ღმერთმა დამიფაროს ვისიმე ყვედრებისაგან, მაგრამ...

ჰოვსტადი. ხვალ გაზეთის მეშვეობით შევუფუცხუნებთ და ცოტას გამოვაფხიზლებთ, ასლაკსენ.

ასლაკსენი. მაგრამ არავეითარი უკიდურესობა, ბატონო ჰოვსტად. დაიცავით ზომიერება, თორემ ადგილიდან ვერ დასძრავთ. შეგიძლიათ ენდოთ ჩემს რჩევას და გამოცდილებას. საკმარის მასწავლა კეჟუა ცხოვრებამ. მაშ, ასე, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ექიმო. ახლა უკვე იცით, რომ ჩვენ, სასიკეთო ცვლილების მოიმედე მოქალაქენი, თქვენი გულისთვის ცეცხლში გადავეშვებით. თქვენს მხარესაა მჭიდროდ დარაზმული უმრავლესობა, ბატონო ექიმო.

ექიმი სტოკმანი. დიდი მადლობა, ჩემო ძვირფასო ბატონო ასლაკსენ. (ხელს უწვდის). ნახვამდის, ნახვამდის.

ასლაკსენი. ტიპოგრაფიაში ხომ არ შემოვივლით, ბატონო ჰოვსტად?

ჰოვსტადი. მოგვიანებით. ჯერ საქმე მაქვს.

ასლაკსენი. კარგად ბრძანდებოდეთ. (თავს უკრავს და მიდის).

ექიმი სტოკმანი წინკარში აცილებს.

ჰოვსტადი (ექიმის დაბრუნების შემდეგ). ახლა რაღას იტყვიან, ბატონო ექიმო? როგორ გგონიათ, ხომ არ დადგა დრო, ცოტა შევანჭდრიოთ ეს გახევება, უძრავობა, გაუბედაობა, სიმხდალე?

ექიმი სტოკმანი. ამ ჩვენს ტიპოგრაფისტს ხომ არ გულისხმობთ?

ჰოვსტადი. დიახ, სწორედ მას. რაგინდ ღირსეული კაციც არ უნდა იყოს, ასლაკსენი მაინც ერთი მათთაგანია, ვინც ჭაობში ჩამყავდა... ასეთივეა ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობაც — არც წყალია და არც ღვინო, არც მწვადის დაწვა უნდათ და არც შამფურის; ამიტომაც ათასგვარი მოსაზრების, ექვისა და ყოყმანის გამო ვერასლიდებით ვერ გადაუდგამს გადაშწყვეტი ნაბიჯი.

ექიმი სტოკმანი. ასლაცხენმა ხომ ჩემის აზრით, ისეთი გულ-
წრფელი თანაგრძნობა გამოამჟღავნა.

პოვსტადი. არის ზოგი რამ, რასაც მე გაცილებით უფრო ვაფასებ:
შეუპოვრობა, თვითრწმენა, ქედუხრელობა.

ექიმი სტოკმანი. სავსებით გეთანხმებით.

პოვსტადი. აი, რატომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით, — იქნებ
შევძლოთ და შევავალიანოთ ჩვენი კეთილგონიერი მოქალა-
ქენი. უნდა შევარყიოთ ქალაქში ავტორიტეტების ეს დრო-
მოკმული კულტი, თვალი აუუხილოთ ყველა ამომრჩეველს და
დაეანახოთ ის უზარმაზარი, მიუტევებელი შეცდომა, რაც
დაშვებული იქნა წყალსადენის გაყვანისას.

ექიმი სტოკმანი. კეთილი, რახან გგონიათ, რომ ეს საჭიროა
საზოგადოებრივი სიკეთისათვის, დე, ასე იყოს! მაგრამ
მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩემს ძმას მოველაპარაკებო.

პოვსტადი. მე კი ამასობაში, ყოველი შემთხვევისათვის, რედაქციის
სახელით პატარა სტატიას დაეწერ. და თუ ფოგტი არ
მოისურვებს საქმის გამოსწორებას...

ექიმი სტოკმანი. მაინც რატომ გგონიათ, რომ არ მოისურვებს?

პოვსტადი. საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდია... და მაშინ...

ექიმი სტოკმანი. მაშინ მე გპირდებით, რომ... მომისმინეთ, მაშინ
თქვენ უფლება გეძლევათ გამოაქვეყნოთ ჩემი მოხსენება...
მთლიანი სახით.

პოვსტადი. მართლა? სიტყვას მაძლევთ?

ექიმი სტოკმანი (ხელნაწერს აძლევს). დიახ. აიღეთ. დიდი ამბავი, თუ
წაიკითხავთ. მერე კი უკანვე დამიბრუნებთ.

პოვსტადი. კეთილი, დარდი ნუ გაქვთ. კარგად ბრძანდებოდეთ,
ბატონო ექიმო.

ექიმი სტოკმანი. ნახვამდის, ნახვამდის. აი, ნახავთ, ყველაფერი
კარგად იქნება, ბატონო პოვსტად. სულ რიხინ-რიხინით წავა
საქმე.

პოვსტადი. ჰმ!.. ენახოთ. (თავს უკრავს და წინკარიდან გადის).

ექიმი სტოკმანი (ბოლთას სცემს; შემდეგ სასადილო ოთახში იხედება).
კატრინ!.. ა, შენ უკვე მოხვედი, პეტრა?

პეტრა (შემოდის). ეს-ესაა. პირდაპირ სკოლიდან მოვდივარ.

ფრუ სტოკმანი (შემოდის). ჯერ კიდევ არ მოსულა?

ექიმი სტოკმანი. პეტერი? არა. მაგრამ ახლა პოვსტადს ველაპა-
რაკე. ძალიან დაინტერესა ჩემმა აღმოჩენამ. როგორც ჩანს,
ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აქამდე მეგონა.

და თუ საკირო შეიქნა, პოვსტადი უყოყმანოდ დამითმობს ადგილს თავისი გაზეთის ფურცლებზე.

ფრუ სტოკმანი. როგორ გგონია, საკირო კი იქნება?

ექიმი სტოკმანი. არამც და არამც. მაგრამ მაინც შეიძლება იამაყო იმით, რომ მხარში გიღვას თავისუფლად მოაზროვნე, დამოუკიდებელი პრესა. გარდა ამისა, შენ წარმოიდგინე, სახლის მფლობელთა კავშირის თავმჯდომარემაც შემომიარა.

ფრუ სტოკმანი. მართლა? რა უნდოდა?

ექიმი სტოკმანი. რა და, თავისი მხარდაცემა გამომიციხადა. დიახ, თუ საკირო შეიქნა, ყველა მზადაა, მხარი დამიჭიროს, კატრინ... იცი, ვინა დგას ჩემს ზურგს უკან?

ფრუ სტოკმანი. შენს ზურგს უკან? არა. მაინც ვინ?..

ექიმი სტოკმანი. მკიდროდ დარაზმული უმრავლესობა.

ფრუ სტოკმანი. ოჰო!.. მერედა, ეს კარგია, თომას?

ექიმი სტოკმანი. მე გგონია. (ხელების ფუნეტიო დააბიჯებს ოთახში). ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, რომ ჩემი თანამოქალაქეების ძმურ სოლიდარობას ვგრძნობ.

პეტრა. და კიდევ ის, რომ შეგიძლია ამდენი საკირო და სასარგებლო საქმე გააკეთო, მამა!

ექიმი სტოკმანი. ისიც დასძინე — ჩემი მშობლიური ქალაქისათვის!

ფრუ სტოკმანი. გგონი, ვილაცა აკაკუნებს.

ექიმი სტოკმანი. ალბათ, ისაა.

კარზე აკაკუნებენ.

მობრძანდით!

ფოგტი (წინკარიდან შემოდის). გამარჯობათ!

ექიმი სტოკმანი. გავიმარჯოს, პეტერ!

ფრუ სტოკმანი. გამარჯობათ, ჩემო მაზლო! როგორ ბრძანდებით?

ფოგტი. გმადლობთ. არა მიშავს რა. (ექიმს). გუშინ, არასაუწყებლო დროს, შენი მოხსენება გადმომცეს, ჩვენი კურორტის წყალმომარაგების თაობაზე.

ექიმი სტოკმანი. დიახ. წაიკითხე?

ფოგტი. წავიკითხე.

ექიმი სტოკმანი. მერედა, შენი აზრით...

ფოგტი (განზე გააპარებს მზერას). ჰმ...

ფრუ სტოკმანი. წავიდეთ, პეტრა. (ქალიშვილთან ერთად ხელმარცხნივ გადის მეორე ოთახში).

ფოგტი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ვითომ რა აუცილებელი იყო, ჩემს ზურგს უკან ჩაგეტარებინა გამოკვლევა?

ექიმი სტოკმანი. ჯერ ხომ მე თვითონვე უნდა დავრწმუნებულყავი?..

ფოგტი. მერე, დარწმუნდი?

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. ჩემი მოხსენება ხომ წაიკითხე?

ფოგტი. და შენ აპირებ კურორტის დირექციას წარუდგინო ეს აქტი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი?

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. ხომ უნდა ვიღონოთ რაღაც? საქმის გადადება არ ივარგებს.

ფოგტი. შენს მოხსენებაში, ჩვეულებისამებრ, მეტისმეტად მკვეთრ გამოთქმებს მიმართავ. ასე მაგალითად, შენ ამბობ, რომ ჩვენ ქრონიკულად ეწამლავთ ჩამოსულ ხალხს.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ, რას მიბრძანებ, მაშ, რა ვთქვა, პეტერ? აბა, დაფიქრდი, ავადმყოფები მოწამლულ წყალს სვამენ და მოწამლულ წყალშივე ბანაობენ. ეს საცოდავები კი განკურნების იმედით ჩამოდიან ჩვენთან და ამის გულისთვის სამმაგ ფასს იხდიან.

ფოგტი. ეგეც არ იყოს, შენ ისეთი დასკვნა გამოგაქვს, რომ „წისქვილის ხევიდან“ მომდინარე სიბინძურის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კანალიზაციის მილები გაიყვანოთ და მთელი წყალსადენი ქსელი სხვაგან გადავიტანოთ.

ექიმი სტოკმანი. სხვა რა გამოსავალს ხედავთ? მე პირადად არ ვიცი.

ფოგტი. დღეს დილით ქალაქის მთავარ ინჟინერს შევეუარე და ისე, ხუმრობით, სასხვათაშორისოდ გაეაცანი შენი წინადადების არსი, როგორც რაღაც ისეთი, რაც შეიძლება ოდესმე... დროთა განმავლობაში ჩვენს განსახილველად იქნეს შემოტანილი.

ექიმი სტოკმანი. დროთა განმავლობაში?..

ფოგტი. მან, რასაკვირველია, მხოლოდ გაიღმა ამ ჩემს დამთხვეულ წინადადებაზე. მითხარი, იმაზე მაინც თუ გიფიქრია, რა დაგვიჭდება შენს მიერ თავსმოხვეული ღონისძიება? ჩემს მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ალბათ, რამდენიმე ასეული ათასი კრონი.

ექიმი სტოკმანი. ასე ძვირი?

ფოგტი. დიახ. მაგრამ ყველაზე უარესი ის გახლავს, რომ ეს სამუშაო, სულ მცირე, ორ წელს მაინც წაიღებს.

ექიმი სტოკმანი. ორ წელს?.. რას მეუბნები?

ფოტო. სულ მცირე, ორ წელს. მერედა, ამ ხნის მანძილზე რა ეუყოთ სანატორიუმს? დაეხუროთ? ალბათ, უნდა დაეხუროთ. თავად განსაჯე, რომელი სულელი ჩამოვა სამკურნალოდ, თუკი გავრცელდა ხმა, რომ ეს ჩვენი წყალი ჯანმრთელობისათვის მავნე ყოფილა?

ექიმი სტოკმანი. მაგრამ ვაი რომ წყალი მართლაც მავნეა, პეტერ.

ფოტო. რალა მაინცდამაინც ახლა გამოგიტყვრა ყველაფერი, როცა კურორტი ეს-ესაა ფეხზე დგება და წელში იმართება? მეზობელ ქალაქებსაც აქეთ საიმისო მონაცემები, რომ კურორტებად იქცნენ. შენ გგონია, რაიმეს დაიშურებენ იმისთვის, რომ თავისკენ მიიზიდონ სტუმრების ნაკადი? ექვი არ შეგეპაროს. ჩვენ კი ხახამშრალი დავრჩებით. ადვილი შესაძლებელია, რომ იძულებული შევიქნეთ, სულაც გავაუქმოთ ესოდენ ძვირად ღირებული დაწესებულება. ასე და ამრიგად, შენ გააჩანაგებ და დააქცევ მშობლიურ ქალაქს.

ექიმი სტოკმანი. მე... გაეაჩანაგებ?

ფოტო. თუ ქალაქს მეტ-ნაკლებად სახარბიელო მომავალი ელის, მხოლოდ და მხოლოდ სანატორიუმის წყალობით. და შენ, რასაკვირველია, ჩემზე ნაკლებ როდი გესმის ეს.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ, შენი აზრით, რა უნდა ექნათ?

ფოტო. შენი მოხსენებიდან მე სულაც არ დამრჩენია იმნაირი შთაბეჭდილება, თითქოს კურორტის წყალმომარაგების საქმე მართლა ისე ცუდად იყოს, როგორც შენ ხატავ.

ექიმი სტოკმანი. პირიქით, საქმე უფრო უარესადაა! ან, ყოველ შემთხვევაში უფრო გაუარესდება ზაფხულის დამდეგს, როგორც კი დაცხება.

ფოტო. როგორც უკვე მოგახსენე, მე გგონია, აშკარად აქარბებ. თავისი საქმის მცოდნე ექიმი ვალდებულია სათანადო ზომებს მიმართოს... დიახ, მან უნდა შესძლოს თავიდან აიცილოს მავნე ზემოქმედება, ან, თუ მდგომარეობა გაუარესდა, სულაც აღკვეთოს იგი.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ, მერე?..

ფოტო. უკვე არსებული წყალსადენი რეალური ფაქტია და მას, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ ღირექცია, როცა იქნება, ალბათ უარს არ იტყვის იმის განხილვაზე, თუ რა შესწორების შეტანა, ან რისი გაუმჯობესება შეუძლია, რა თქმა უნდა, მის ხელთ არსებული მატერიალური საშუალებების ფარგლებში.

ექიმი სტოკმანი. და შენ გგონია, მე ასეთ სულმდაბლობას გამოვიჩენ?

ფოგტი. სულმდაბლობას?

ექიმი სტოკმანი. დიახ, ეს იქნებოდა სულმდაბლობა, სიცრუე, თვალთმაქცობა, აშკარა დანაშაული ჩემი პაციენტების, მთელი საზოგადოების წინაშე!

ფოგტი. როგორც უკვე აღვნიშნე, მე ვერ გამოვიტანე იმნაირი დასკვნა, თითქოს საქმის ვითარება მართლაც ესოდენ სერიოზულ საფრთხეს გვიქადის.

ექიმი სტოკმანი. არა, გამოიტანე! შეუძლებელია არ გამოვეტანა! ჩემი მოხსენება ისე ნათელია და დამაჯერებელი!.. მე ვიცი! და შენც მშვენივრად იცი, პეტერ, მაგრამ არ გინდა აღიარო! ალბათ, იმიტომ, რომ სწორედ შენ დაიეინე მაშინ და შენიც გაიტანე, რომ სანატორიუმის შენობა სწორედ იქ აგვეგო, სადაც ახლა დგას, და წყალსადენიც თავის ახლანდელ ადგილას გაგვეყვანა. და, აი, სწორედ ეს შენი წყეული შეცდომა არ გაძლევს იმის ნებას, რომ აღიარო. შენ გგონია, ვერ ვხვდები?

ფოგტი. ასეც რომ იყოს, მერე რა? თუ მე ასე ვუფრთხილდები ჩემს რეპუტაციას, ისევ და ისევ ქალაქის სასიკეთოდ. თუ მორალური ავტორიტეტი არ მექნა, ვერ შევძლებ ისე წარვმართო საქმე, როგორც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესები. იმიტომ და ბევრი სხვა მიზეზის გამოც, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შენი მოხსენება განსახილველად არ წარედგინოს კურორტის დირექციას. დიახ, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, გასაქანი არ უნდა მიეცეს მას. უფრო გვიან, მე თვითონ გავიტან განსახილველად და ყოველგვარი ზედმეტი ხმაურისა და აყალმაყალის გარეშე ვეცდებით გაეკეთოს ყველაფერი, რაც შეგვიძლია. მანამდე კი... ერთი სიტყვაც არავისთან დაგცდეს. დაუშვებელია, რომ საზოგადოების ყურამდე მიაღწიოს ამ ბედუქულმართობის ამბავმა.

ექიმი სტოკმანი. არა, ახლა კი ველარავინ აკრძალავს, ვერც ვერავინ აღუდგება წინ ამას, ჩემო ძვირფასო პეტერ.

ფოგტი. უნდა აიკრძალოს, აუცილებლად უნდა აიკრძალოს.

ექიმი სტოკმანი. არაფერი არ გამოვივა. უკვე ძალიან ბევრმა იცის.

ფოგტი. ძალიან ბევრმა? მაინც ვინ? იქნებ „სახალხო გაზეთის“ თანამშრომლებმა?

- ექიმი სტოკმანი. დიახ, მათაც. თავისუფლად მოაზროვნე, დამოუკიდებელი პრესა გაიძულებთ შეასრულოთ თქვენი უშუალო მოვალეობა.
- ფოგტი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). შენ ძალზე დაუდევარი ხარ, თომას. არც კი დაპფიქრებისხარ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას პირადად შენთვის.
- ექიმი სტოკმანი. პირადად ჩემთვის?
- ფოგტი. დიახ, პირადად შენთვის და მთელი შენი ოჯახისთვისაც.
- ექიმი სტოკმანი. რას მიედ-მოელები?
- ფოგტი. მე მგონია, ღლეუანდელ ღლემდე ისე ვიქცეოდი, როგორც შეშვენის კეთილმოსურნე და შენს დასახმარებლად ყოველთვის მზადმყოფ მძას.
- ექიმი სტოკმანი. მართალს ბრძანებ, და დიდ მადლობასაც გწირავ ამის გულისთვის.
- ფოგტი. მადლობად არ ღირს. ნაწილობრივ მე მამოძრავებდა პირადი ინტერესები. მართალი გითხრა, მე ყოველთვის კი-ონდა იმის იმედი, რომ, ერთხელაც იქნება, შევძლებდი შენს მოთოკვას და მორჩულებას, თუკი ხელს შევეუწყობდი შენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
- ექიმი სტოკმანი. რაო?.. მაშ, მხოლოდ პირადი ინტერესები გამოძრავებდა?
- ფოგტი. ნაწილობრივ-მეტკი. თანამდებობის პირისთვის ძალზე უხერხულია იმნაირი ნათესავის ყოლა, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე თვითონვე უთხრის ორმოს საკუთარ თავს.
- ექიმი სტოკმანი. და, შენის აზრით, მე ჩავდივარ ამას?
- ფოგტი. სამწუხაროდ; თუმკა შენ თვითონ ვერც კი ამჩნევ-მეტისმეტად მშფოთვარე, მოუსვენარი და მუამბოხე ზნის კაცი ხარ, თომას, რასაც ზედ ერთვის ეგ შენი დამთხვეული სურვილი, რომ ყოველ ხელსაყრელ თუ არახელსაყრელ შემთხვევაში საკუთარი მოსაზრება გამოაქვეყნო პრესაში. გაგიელევებს თუ არა რაიმე აზრი თავში, იმ წუთში კალამს სტაცებ ხელს!.. და, აი, სულ მალე უკვე მზად არის საგაზეთო სტატია ან მთელი ბროშურა.
- ექიმი სტოკმანი. განა მოქალაქის ვალი არ არის, რომ თავისი ახალი აზრი საზოგადოებას გაუზიაროს?
- ფოგტი. ოო, საზოგადოებას სულაც არ სკირდება ახალი აზრი. მისთვის საცებით საკმარისია ძველი, დალოცვილი, საყოველ-თაოდ მიღებული და აღიარებული აზრები, რომელთა შეთვი-სებაც უკვე მოასწრო.

ექიმი სტოკმანი. და შენ ასე მოურიდებლად, პირდაპირ მიცხადებ ამას?

ფოგტი. ოდესმე ხომ უნდა გითხრა სიმართლე? დღემდე ყოველთვის თავს ვიკავებდი, რადგანაც ვიცოდი შენი უჭიათობის ამბავი, მაგრამ უკვე დროა, ყველაფერი დაუფარავად მოგახსენო. ვერც კი წარმოიდგენ, მაგ შენი დაუდევრობით რამხელა ზიანს აყენებ საკუთარ თავს. გამუდმებით უჩივი ხელისუფალთ, თვით მთავრობასაც... დრტვინავ, წყალს ამღვრევ, ხალხს არწმუნებ, მღვენიან და მაეიწროებენო, მაგრამ, მითხარი, სხვას რას უნდა მოელოდეს ისეთი აუტანელი ხასიათის კაცი, როგორც შენა ხარ?

ექიმი სტოკმანი. კიდევ რას მიბრძანებ?.. მაშ, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, აუტანელი ხასიათიც მაქვს?..

ფოგტი. დიახ, თომას, ძალზე მძიმე ხასიათის კაცი ხარ. მტერსაც არ ვუსურვებ შენთან საქმის დაჭერას. საკუთარ თავზე გამომიცდია. შენ თვითნებურად უგულვებელყოფ ყველაფერს; თითქოს ისიც კი დაგავიწყდა, რომ სწორედ მე უნდა მიმადლოდე კურორტის მთავარი ექიმის ადგილს...

ექიმი სტოკმანი. ეს ადგილი კანონით მეკუთვნის მე. დიახ, მხოლოდ მე და სხვას არავის! პირველად სწორედ მე მოვისაზრე, რომ ეს ჩვენი პატარა ქალაქი შეიძლებოდა აყვავებულ კურორტად ქცეულიყო, და ჩემს გარდა მაშინ არავის არ ესმოდა ეს. წლების მანძილზე მხოლოდ მე ვიცავდი ამ აზრს! ვწერდი, ვამტკიცებდი...

ფოგტი. მართალია, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ დამდგარიყო დრო. აბა, შენ, იმ დთვის ბუნაგში გამოკეტილი, როგორ გაიგებდი ამას? მაგრამ როგორც კი ხელსაყრელი მომენტი დადგა, მე, სხვებთან ერთად, საკუთარ ხელში ავიღე ეს საქმე და...

ექიმი სტოკმანი. დიახ, დიახ, და ჩემი საუცხოო გეგმაც დაამახინჯეთ. ახლა კი ჩანს, რა ჭკუის კოლოფებმაც მოჰკიდეს ხელი საქმეს!

ფოგტი. ჩემის აზრით კი მხოლოდ ის ჩანს, რომ შენ კვლავ ცდილობ, როგორმე უპოვო გამოსავალი მაგ შენს მუამბოხურ განწყობილებას. შენ გინდა მისწვდე და ანგარიში გაუსწორო შენზე მაღლა მდგომთ, — არც ახლა ღალატობ შენს ძველ ჩვეულებას. შენ ვერ იტან ვერავითარ ავტორიტეტს, აღმაცერად უყურებ ყველას, ვისაც მაღალი თანამდებობა უჭირავს, როგორც ჩანს, პირად მტრებად მიგაჩნია ისინი, გააფთრებით თავს ესხმი მათ და არავითარი

საშუალების წინაშე არ იხევ უკან. მაგრამ მე უკვე გაგაფრთხილე, რომ ამ შემთხვევაში სასწორზე დევს მთელი ქალაქის ინტერესები და მათ შორის — ჩემიც. ამიტომაც წინასწარ გეუბნები, თომას, რომ დაუნდობელი ვიქნები, თუკი არ შეასრულებ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მე წამოგიყენებ.

ექიმი სტოკმანი. მაინც, რა მოთხოვნებს?..

ფოგტი. რაკი ენას კბილი ვერ დააქირე და ეს საჩოთირო საქმე გაანდე სრულიად შემთხვევით ხალხს, თუმცაღა გმართებდა ამ ამბავს ისე მოკიდებოდი, როგორც ადმინისტრაციულ საიდუმლოებას, ამიტომ ახლა ამის მიფუჩეჩება შეუძლებელია. ატყდება ერთი ყაყანი, მითქმა-მოთქმა, ბოროტმოსურნენი დაუყოვნებლივ შეეცდებიან უჩვეულოდ გააზვიადონ ყველაფერი. ამიტომაც აუცილებელია შენ თვითონვე დაასწრო ამნაირი მითქმა-მოთქმის გავრცელებას და საჯარო განცხადებით გამოხვიდე.

ექიმი სტოკმანი. მე?.. როგორ?.. არ მესმის შენი.

ფოგტი. გამორიცხული არ არის, რომ ახალმა კვლევა-ძიებამ სულ სხვანაირი შედეგი მოგცეს და დაგარწმუნოს, რომ მდგომარეობა არც ისე საშიშია, როგორც თავდაპირველად გეგონა.

ექიმი სტოკმანი. აჰ, აი, თურმე რისი მოლოდინი გაქვს!

ფოგტი. შემდეგ, ჩვენ მოველით, რომ შენ საჯაროდ დაუდასტურებ შენს ნდობას და მხარდაჭერას ქალაქის ხელისუფალთ, ისევე როგორც იმ საფუძვლიანსა და მიზანშეწონილ ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი განახორციელებენ შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ექიმი სტოკმანი. გარწმუნებთ, რომ ვერასოდეს ვერ გამოასწორებთ საქმეს, თუკი დასჯერდებით მარტოდენ ქალაქლების ჯღაბნასა და თითო-ოროლა ბებკის დადებას. მე გულწრფელად მოგახსენებ, პეტერ, ჩემს აზრსა და შეხედულებას.

ფოგტი. როგორც მოხელეს, შენ არ მოგეთხოვება არც საკუთარი აზრი და არც საკუთარი შეხედულება.

ექიმი სტოკმანი (გაოგნებული). არ მომეთხოვება?..

ფოგტი. როგორც მოხელეს-მეთქი!.. როგორც კერძო პირს, — კი ბატონო, ეს სულ სხვა საქმეა. მაგრამ შენ მოხელე ხარ, კურორტის დირექციას ემსახურები, და ამიტომ არავის სჭირდება არც შენი პირადი აზრი და არც შენი საკუთარი შეხედულება.

ექიმი სტოკმანი. ეს კი მეტისმეტია! როგორ, ჩემი — ექიმისა და მეცნიერის აზრი არავის სჭირდება?

ფოგტი. მოცემულ შემთხვევას პირწმინდად მეცნიერული თვალ-საზრისით ვერ განვიხილავთ. ესაა საკმაოდ რთული საქმე, რომელსაც თავისი ტექნიკური და ეკონომიური მხარეცა აქვს. ექიმი სტოკმანი. აქვს და ჰქონდეს, დალაზეროს ეშმაკმა! მე მინდა თავისუფლად გამოვთქვა ჩემი აზრი ყოველგვარ საქმესა თუ შემთხვევასთან დაკავშირებით.

ფოგტი. ბატონი ბრძანდები. მაგრამ კურორტის საქმეს მოეშვი... ჩვენ გიკრძალავთ, გესმის?

ექიმი სტოკმანი (ყვირის). თქვენ მიკრძალავთ?.. თქვენ?.. როგორ?..

ფოგტი. მე გიკრძალავ... მე... შენი უშუალო უფროსი! და რაკი მე გიკრძალავ, ამიტომ ისლა დაგრჩენია, დამემორჩილო.

ექიმი სტოკმანი (თავის შეკავებას იღიბს). უჰ, პეტერა!.. შენ რომ ჩემი ძმა არ იყო!..

პეტრა (კარს გამოაღებს). ნუთუ ამას მოითმენ, მამა?

ფრუ სტოკმანი (უკან მოსდევს). პეტრა! პეტრა!

ფოგტი. აა, ესე იგი, ყურს გვიგდებდით?..

ფრუ სტოკმანი. აქ ყველაფერი ისმის... ხომ არ შეგვეძლო, რომ...

პეტრა. დიახ, ვიდექი და ყურს გიგდებდით.

ფოგტი. კაცმა რომ თქვას, კიდევ მიხარია...

ექიმი სტოკმანი (ძმას უახლოვდება). მაშ, შენ მიკრძალავ? მორჩილებას მოითხოვ?

ფოგტი. შენ თვითონ მაიძულე, ამნაირი ტონით მელაპარაკა.

ექიმი სტოკმანი. გინდა საჯარო განცხადებით გამოვიდე და ჩემივე თავი უარეყო?

ფოგტი. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საჯაროდ განაცხადო ის, რასაც მე მოვითხოვ შენგან.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ... თუ უარს ვიტყვი?

ფოგტი. მაშინ ჩვენ თვითონ გამოვაქვეყნებთ ახსნა-განმარტებას ხალხის დასაშოშმინებლად.

ექიმი სტოკმანი. მე კი გამოვალ და მაგ თქვენს ახსნა-განმარტებას გავაბათილებ! ჩემსას გავიტან და დავამტკიცებ, რომ სწორედ მე ვარ მართალი და არა თქვენ. მაშინ რაღას იზამთ?

ფოგტი. მაშინ მე უკან არ დავიხბევ და მოვითხოვ თანამდებობიდან გადაგაყენონ!

ექიმი სტოკმანი. რა?!

პეტრა. გადაგაყენონო?.. მამა!

ფრუ სტოკმანი. გადააყენონ?!.

ფოტო. დიახ, კურორტის მთავარი ექიმის თანამდებობიდან... შენი ქცევა სავსებით საკმარის საბაზს მომცემდა საიმისოდ, რომ დაუყოვნებლივ მომეთხოვა შენი გადაყენება და საბოლოო ჩამოშორება ყველა იმ საქმისაგან, რაც კურორტს ეხება.

ექიმი სტოკმანი. და თქვენ ამას გაბედავთ?!

ფოტო. შენ თვითონვე წამოიწყე ეს სახიფათო თამაში.

პეტრა. კი მაგრამ, ძია, განა უსამართლობა არ არის, ასე მოექცე იმნაირ კაცს, როგორც მამაჩემია?

ფრუ სტოკმანი. შენი საქმე არ არის, პეტრა!

ფოტო (პეტრას მისჩერება). აჰა, თქვენც უკვე საკუთარი აზრი გაქვთ? თუმცა, რა გასაკვირია? (ფრუ სტოკმანს მიმართავს). ჩემო რძალო, როგორც ჩანს, თქვენ ყველაზე ჭკვიანი ბრძანდებით ამ სახლში. გამოიყენეთ მთელი თქვენი გავლენა და ჩააგონეთ თქვენს ქმარს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას მისთვის და მთელი მისი ოჯახისთვისაც...

ექიმი სტოკმანი. ჩემი ოჯახის საქმე მხოლოდ მე შეკითხება.

ფოტო. დიახ, კვლავ ვიმეორებ, მისი ოჯახისა და მთელი ქალაქისთვისაც, სადაც ის ცხოვრობს.

ექიმი სტოკმანი. ჩემი ქალაქისათვის მე მხოლოდ სიკეთე მინდა. მინდა ვამხილო ნაკლოვანებანი, რომლებიც, ადრე თუ გვიან, სულერთია, მაინც გამოძვლავნდება... არა, ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ მე არ მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი?

ფოტო. შენ?... ნუთუ მართლა სიყვარულს უწოდებ იმას, რომ საკუთარი სიკერპით დაბრმავებული ცდილობ კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი წყარო წაართვა ქალაქს?

ექიმი სტოკმანი. ეს წყარო მოწამლულია-მეთქი, ვის ვეუბნები? სრულ ჭკუაზე ხარ? ჩვენ აქ სიბინძურითა და სიბილწით ვვაჭრობთ!.. ეს ჩვენი ნაქები საზოგადოებრივი კეთილდღეობა სიცრუით საზრდობს!

ფოტო. ეგ მხოლოდ შენი ფანტაზიაა... ან კიდევ უარესი. ვინც ასე თავხედურად ცილს სწამებს და შეურაცხყოფს ქალაქს, საზოგადოების მტერია!

ექიმი სტოკმანი (ძმისკენ მიიწევს). როგორ მიბედავ?!

ფრუ სტოკმანი (შუაში ჩავარდება). თომას!

ფოტო. თავს ხომ ვერ გავალახვინებ? მე ჩემი გითხარი და აწი შენ იცი. ტვინი გაანძრე და დაუფიქრდი შენს მოვალეობას საკუთარი თავისა და შენი ოჯახის წევრების მიმართ. მშვიდობით (გაღის).

ექიმი სტოკმანი (აღელვებული ბოლთას სცემს ოთახში). ასეთი რამ აკადრო კაცს და ისიც საკუთარ სახლში! რას იტყვი, კატრინ? ფრუ სტოკმანი. რა თქმა უნდა, სირცხელია და თავის მოქრა, თომას!

პეტრა. ნეტა მაკოდინა, როგორ ვასწავლო კკუა ბიძაჩემს...

ექიმი სტოკმანი. ახია ჩემზე: რა ხანია, ფაფარი უნდა ამეშალა, ბრკყალეები გამომეჩინა და ჩემი ტორი მომესვა მათთვის. საზოგადოების მტერი ხარო?! ვინ, მე ვარ მტერი?! კაცი არ ვიყო, თუ შევარჩინო!

ფრუ სტოკმანი. ჩემო ძვირფასო თომას, ხომ იცი, შენს ძმას რამხელა ძალა და გავლენა აქვს...

ექიმი სტოკმანი. ჩემს მხარეზე კი სიმართლეა!

ფრუ სტოკმანი. აჰ, სიმართლე, სიმართლე! ვაი, იმ სიმართლეს, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა.

პეტრა. ეგ რა სათქმელია, დედა?

ექიმი სტოკმანი. ესე იგი, სიმართლე თავისუფალ საზოგადოებაში არაფერს ნიშნავს? უცნაური ქალი ხარ, კატრინ! ეგეც არ იყოს, განა ავანგარდში თავისუფალი, თამამი და დამოუკიდებელი პრესა არ მეგულება, არიერგარდში კი — მკიდროდ დარაზმული უმრავლესობა? ჩემი აზრით, არც ესაა პატარა ძალა!

ფრუ სტოკმანი. თომას, ნუთუ აპირებ, რომ...

ექიმი სტოკმანი. რას?.. მაინც რას ვაპირებ?

ფრუ სტოკმანი. რას და, თუ გნებაეს, ძმასთან მეტოქეობას?

ექიმი სტოკმანი. მაშ, რას მიბრძანებ, რა ვქნა? ავღვე და ხელი ჩავეიქნო იმაზე, რაც სიმართლედ და ქვეშაპრიტებად მიმაჩნია?

პეტრა. სწორი ხარ, მამა!

ფრუ სტოკმანი. მაინც, რისი იმედი გაქვს? რახან მათ არ სურთ, არაფერიც არ გაგივა.

ექიმი სტოკმანი. რას ჰქვია, არ გამოივა, კატრინ? ცოტაც მოითმინე და დაინახავ, მივალწევ თუ არა ჩემსას.

ფრუ სტოკმანი. მხოლოდ იმას მიაღწევ, რომ მოგხსნიან, ისე იცოცხლონ ჩემმა შვილებმა.

ექიმი სტოკმანი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ვალს მაინც მოვიხდი საზოგადოების წინაშე. მე — საზოგადოების მტრად გამოცხადებული!

ფრუ სტოკმანი. კი მაგრამ, შენი ოჯახის, შენიანების წინაშე, თომას? შენის აზრით, ამით მოიხდი ვალს იმათ წინაშე, ვისზედაც ზრუნვა გმართებს?

პეტრა. რა არის, დედა, რომ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენზე ფიქრობ?

ფრუ სტოკმანი. შენ რა გიკირს: თუ საქმე საქმეზე მიდგა, თვითონვე გაიტან თავს... მაგრამ ბიკებს რას უპირებ, თომას?... ეგეც არ იყოს, ცოტა შენს თავზეც ხომ უნდა იფიქრო და... ჩემზეც?..

ექიმი სტოკმანი. ღმერთმანი, სულ მთლად შეიშალე, კატრინ! კი მაგრამ, მე რომ ახლა უბადრუკი მხდალივით ქედი მოვიხარო პეტერისა და მისი წყეული ბანდის წინაშე, როგორ გგონია, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მელირსება კია თუნდაც ერთი ბედნიერი წამი?

ფრუ სტოკმანი. არ ვიცი, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს იმნაირი ბედნიერებისაგან, რაც გველის ყველას, თუკი გარკვეული შემოსავლის გარეშე და ულუკმაპუროდ დარჩები. განა არ გვეუო, რა გაკირვებაც გამოვიართ? ხომ არ დაგაეიწყდა, თომას? აბა, დაფიქრდი, რას გვიქადის ეს.

ექიმი სტოკმანი (ძლივს იოკებს მღელვარებას და მუშტებს კუმშავს). კანცელარიის ვირთხებმა უნდა მიიყვანონ პატიოსანი კაცი ამ მდგომარეობამდე? რა საშინელებაა, კატრინ!

ფრუ სტოკმანი. დიახ, რაც მართალია, მართალია, ურჯულოს მეტი ვინ მოგექცევა ასე? მაგრამ, ღმერთო ჩემო, განა ცოტა უსამართლობაა ამქვეყნად, რომელსაც ძალაუფლებურად ურიგდება კაცი?... აი, ჩვენი ბიკები; აბა, შეხედე, თომას...
- სტქვი რა მოვლით?... არა, არა, შენ ამას ვერ გაბედავ, თომას...

შემოდიან ეილიფი და მორტენი; ხელში სახელმძღვანელოები და რვეულები უპირათ.

ექიმი სტოკმანი. ჩემი ბიკები!.. (მაგრამ უცებ თავს ერევა, მტკიცედ და გადაკრით). მთელი ქვეყანაც რომ დაიქცეს, ქედს არ მოვიხრი. (თავისი ოთახისკენ მიემართება).

ფრუ სტოკმანი. მაინც რას აპირებ?... რა გინდა, თომას?..

ექიმი სტოკმანი. მე მინდა მქონდეს იმის უფლება, რომ თამამად გავუსწორო თვალი ჩემს ბიკებს, როცა ისინი თავისუფალ ადამიანებად გაიზრდებიან. (ოთახში შედის).

ფრუ სტოკმანი (ქვითინით). ღმერთო, შენ გვიშველე და დაგვიფარე!

პეტრა. რა ყოჩალი მამა მყავს! ქედს არ იხრის!

ბიკები გაოგნებული მისჩერებიან ყველას. პეტრა ხელით ანიშნებს, ჩუბად იყავითო.

„სახალხო გაზეთის“ რედაქცია. ხელმარცხნივ, სიღრმეში, შემოსასვლელი კარია. ხელმარჯვნივ — იმავე უკანა კედელში დატანებული მინის კარი, საიდანაც ტიპოგრაფია მოჩანს. მარჯვენა კედელსაც კარი აქვს დატანებული. შუა ოთახში დიდი მაგიდა დგას, რომელზედაც გროვად აწყვია გაზეთები, წიგნები, ქაღალდები. მაგიდას გარშემო რამდენიმე სავარძელი აქვს შემოწყობილი. წინ, მარცხნივ ფანჯარაა; ფანჯრის ახლოს კი პატარა მაგიდა, იქვე მიდგმული მაღალი სკამითა და რამდენიმე სავარძლით. კედლების გასწვრივ სკამებია ჩამწყკვივებული. ოთახსაც და მოძველებულ მორთულობასაც საკმაოდ პირქვეში იერი აქვს. სავარძლები ქუქუიანია და გახუნებული. ტიპოგრაფიაში რამდენიმე მბეჭდავი ფუსფუსებს. იქვე, ცოტა მოშორებით, ხელის წნეხი მუშაობს.

რედაქტორი ჰოვსტადი პატარა მაგიდას უზის და წერს. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ბილინგი. ხელში ექიმ სტოკმანის სტატია უჭირავს.

ბილინგი. აი, ეს შესმის!..

ჰოვსტადი (წერას განაგრძობს). წაიკითხეთ?

ბილინგი (მაგიდაზე დებს ხელნაწერს). რა თქმა უნდა.

ჰოვსტადი. მაგრა ურტყამს ექიმი, არა?

ბილინგი. ურტყამს და მერე როგორ ურტყამს! მტრისას! თითო სიტყვა ნაჯახის თითო მოქნევას უდრის.

ჰოვსტადი. ამ ვაებატონებს თითო-ოროლა დარტყმით ვერ წააქცევ.

ბილინგი. მართალია, მაგრამ ჩვენ დარტყმას დარტყმაზე მივაყენებთ, სანამ არ დაეამხოთ ძალაუფლების მქონეთა ამ ციტადელს. მართალი გითხრათ, ექიმის სტატიას რომ ვკითხულობდი, ასე მეგონა, რევოლუცია იწყება-მეთქი...

ჰოვსტადი (შეტრიალდება). სსუ... ასლაკენმა არ გაიგონოს.

ბილინგი (ხმადაბლა). ასლაკენი კაცი კი არა, თავვია, მშიშარა თავვი! მაგრამ ამჯერად, იმედია, თქვენსას გაიტანთ! ა? ხომ დაბეჭდავთ ექიმის სტატიას!

ჰოვსტადი. თუ ფოგტმა ქედი არ მოიხარა...

ბილინგი. დალახვროს ეშმაკმა, ძალზე საწყენი კი იქნება!

ჰოვსტადი. ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც მოგებულნი დავრჩებით. თუ ფოგტი ექიმის წინადადებაზე უარს იტყვის, მაშინ ვაი მისი ბრალი: რა პასუხს გასცემს მოქალაქეთა უმრავლესობას?.. სახლის მფლობელთა კავშირსა და სხვა მისთანათ? დათანხმდება და — დაუყოვნებლივ უნდა გამოეთხოვოს კურორტის

მსხვილ აქციონერთა მთელ ხროვას, რომელსაც აქამდე თავის ყველაზე საიმედო საყრდენად თვლიდა.

ბილინგი. დიახ, დიახ, მაშინ ხომ იძულებული იქნებიან, ჯიბეზე გაიკრან ხელი! დალახვროს ეშმაკმა, რამდენი ფული დაუჭედებათ?..

პოვსტადი. დიახ, ექვი არ შეგეპაროთ. ხოლო როდესაც მოჯადოებული წრე გაირღვევა, ჩვენ ყოველდღე ჩავუქედავთ ჰუმლიკას თავში, რომ ფოგტი ამა და ამ საქმეში გამოუტყდელია და ამიტომ ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა, საზოგადოებრივი საქმეების მთელი მართვა-გამგებლობა თავისუფლად მოაზროვნე ხალხის ხელში უნდა გადავიდეს.

ბილინგი. რაც მართალია, მართალია, დალახვროს ღმერთმა! ვხედავ, რევოლუცია კარზეა მომდგარი!

მარცხნივ, სიღრმეში, შემოსასვლელ კარზე აკაუნებენ.

პოვსტადი. სსუ! (ხმაგლად). მობრძანდით!

შემოდის ექიმი სტოკმანი. პოვსტადი მის შესაგებებლად მიემართება.

აა, ეს ხომ ექიმა! აბა?..

ექიმი სტოკმანი. დაბეკდეთ, ბატონო პოვსტად.

პოვსტადი. მაშასადამე, საქმე მაინც ამით დამთავრდა?

ბილინგი. ვაშა!

ექიმი სტოკმანი. დაბეკდეთ-მეთქი! რა თქმა უნდა, ამით დამთავრდა. ახლა ქალაქში საშინელი ომი ატყდება, ბატონო ბილინგი.

ბილინგი. იმედია, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, ბატონო ექიმო!

ექიმი სტოკმანი. ჩემი მოხსენება მხოლოდ დასაწყისია. უკვე მოფიქრებული მაქვს ოთხი თუ ხუთი სტატია... ასლაკსენი სადაა?

ბილინგი (ტოპოგრაფიაში გასძახის). ასლაკსენ, თუ შეიძლება, ერთი წუთით!..

პოვსტადი. ოთხი თუ ხუთი სტატიაო, თქვენ ბრძანეთ? იმავე საკითხზე?

ექიმი სტოკმანი. ეე, არა ჩემო ძვირფასო! სულ სხვა რამეზე! მაგრამ ამოსავალ წერტილად კვლავ წყალსადენი და კლოაკა რჩება. ერთი მეორეს მოსდევს, გესმით? კაცი რომ ძველი ნაგებობის აღებას დაიწყებს, ზუსტად ისე.

ბილინგი. სწორია, დალახვროს ეშმაკმა! მართლა ვერ შეჩერდები, სანამ მიწასთან არ გაასწორებ და პირშინდად არ მოასუფთავებ მთელ ხარახურას!

ასლაკსენი (ტოპოგრაფიიდან გამოდის). მიწასთან გაასწორებო? რაო, ბატონი ექიმი სანატორიუმს ხომ არ უპირებს აღებას?

პოვსტადი. ნუ ღელავთ, აზრადაც არ მოსვლია.

ექიმი სტოკმანი. არა, საქმე სულ სხვა რამეს ეხება!.. აბა, რას იტყვიოთ ჩემს სტატიაზე, ბატონო პოვსტად?

პოვსტადი. ჩემის აზრით, საუცხოოა.

ექიმი სტოკმანი. მართლა?.. ძალზე მოხარული ვარ.

პოვსტადი. ყველაფერი ისე ნათლად და მარტივადაა გადმოცემული, რომ სულაც არ არის საჭირო სპეციალისტი იყო, რათა საქმის არსს ჩასწვდე. გავბედავ და წინასწარ გეტყვიოთ: ყველა განათლებული კაცი თქვენ დაგიკერთ მხარს.

ასლაკსენი. მე მგონია, ყველა გონიერი კაციც!

ბილინგი. გონიერიცა და უგუნურიც! ჩემის აზრით, მთელი ქალაქი!

ასლაკსენი. მაშასადამე, შეიძლება მისი დაბეჭდვა?

ექიმი სტოკმანი. დიახ, შეიძლება.

პოვსტადი. ხვალ დილითვე გაუშვებთ.

ექიმი სტოკმანი. დიახ, დალახვროს ეშმაკმა, არცერთი დღის დაკარგვა არ შეიძლება. აი, რა, ბატონო ასლაკსენ, მე მინდა გთხოვოთ, რომ პირადად თქვენ ააწყოთ ჩემი ხელნაწერი.

ასლაკსენი. აუცილებლად.

ექიმი სტოკმანი. თვალის ჩინივით გაუფრთხილდით. არც ერთი შეცდომა არ უნდა გაიპაროს. ყველა სიტყვას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მე კიდევ შემოვივლი; იქნებ მოვასწრო და კორექტურას გადავხედო... ენა ვერ იტყვის, როგორ მინდა, ჩემი სტატია დაბეჭდილი ვიხილო... მინდა ჩემი თვალით ვნახო, როგორ მოედება მთელ ქალაქს...

ბილინგი. გრივალავით!

ექიმი სტოკმანი. ...რათა ყველა სალად მოაზროვნე მოქალაქის მსჯელობის საგნად იქცეს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა გადავიტანე დღეს. მუქართა და მუშტის ქნევით ცდილობდნენ ჩემს დაშინებას; უნდოდათ ადამიანის ხელშეუვალი და წმინდათა-წმინდა უფლებები ჩამოერთმიათ ჩემთვის.

ბილინგი. როგორ? თქვენი ადამიანური უფლებები?

ექიმი სტოკმანი. უნდოდათ დავემკირებინეთ, სალახანად ვექციეთ; მოითხოვდნენ, რომ პირადი ინტერესები ჩემს სისხლხორცეულ, წმინდათა-წმინდა მრწამსზე მაღლა დამეყენებინა...

ბილინგი. ეს უკვე მეტისმეტია, დალახვროს ღმერთმა!..

პოვსტადი. ამ ვაჟბატონებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ექიმი სტოკმანი. მაგრამ ვერ მივართვი, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა! მალე თავისი თვალით დაინახავენ... შავით თეთრზე...

ახლა კი „სახალხო გაზეთში“ ჩაეუშვებ ღუზას და ყოველ ცისმარე დღეს სტატიას სტატიაზე მოგაყრით...

ასლაკსენი. კი მაგრამ...

ბილინგი. ვაშა! თუ ომია, ომი იყოს!

ექიმი სტოკმანი. მიწასთან გავასწორებ ამ თავგასულთ, გავსრეს, გავანადგურებ, ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქის თვალწინ ნაცარტუტად ვაქცევ მათ მიუვალ ციხე-სიმაგრეს! აი, ნახავთ, თუ არა!

ასლაკსენი. ოღონდ ზომიერება შეინარჩუნეთ, ბატონო ექიმო! სროლას ვინ გიშლით, მაგრამ მეტისმეტს ნუ იზამთ!

ბილინგი. არა, არა! თოფისწამალს ნუ დაიშურებთ!

ექიმი სტოკმანი (მშვილად განაგრძობს). ახლა საქმე მარტო წყალსადენს და კლოაკას როდი ეხება. არა, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გაწმენდასა და დეზინფექცირებას მოითხოვს.

ბილინგი. აი, ყოველისმომცველი სიტყვა.

ექიმი სტოკმანი. ძირს ეს ბებრუხანა მკლაბნელები მთელი თავიანთი ბებკებით! ძირს-მეთქი! გესმით? დღეს ჩემს წინაშე ისეთი ფართო პორიზონტი გადაიშალა!.. ჭერ კიდევ ყველაფერს ვერ ვხედავ ნათლად, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე გავარჩევ. ჩვენ გვჭირდება ახალგაზრდა, ქედუხრელი მედროშენი, ჩემო მეგობრებო, ახალი მეთაურები ყველა მოწინავე პოსტზე!

ბილინგი. სმენა!

ექიმი სტოკმანი. თუ ერთობლივად ვიმოქმედებთ, საქმე რიხინ-რიხინით წავა! ისე უმტკივნეულოდ მოვახდენთ გადატრიალებას, როგორც ხომალდს უშვებენ წყალში! არ გჭერათ?

პოვსტადი. მე პირადად მჭერა, რომ ახლა ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ ქალაქის თვითმმართველობის საკე საიმედო ხელს გადავაბაროთ.

ასლაკსენი. თუ ზომიერებას გამოვიჩენთ, დარწმუნებული ვარ, არავითარი საფრთხე არ გვემუქრება.

ექიმი სტოკმანი. დალაზეროს ეშმაკმა, რა დროს იმაზე ფიქრია, გვემუქრება თუ არა საფრთხე? რასაც მე ვაკეთებ, სიმართლისა და სუფთა სინიდიის სახელით ვაკეთებ.

პოვსტადი. თქვენ ყოველნაირი მხარდაჭერის ღირსი ხართ, ბატონო ექიმო.

ასლაკსენი. დიახ, ორი აზრი არ არსებობს, ექიმი ქალაქისა და საზოგადოების ქეშმარიტი მეგობარია.

ბილინგი. ექიმი სტოკმანი, დამლახვროს ღმერთმა, ხალხის მეგობარია, ბატონო ასლაკსენ.

ასლაკსენი. ჩემის აზრით, სახლის მფლობელთა კავშირი მალე აიტაცებს ამ სიტყვას.

ექიმი სტოკმანი (აღღებებული ხელს ართმევს მათ). გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ძვირფასო, ერთგულო მეგობრებო!.. თქვენს სიტყვებს რომ ვისმენ, გული ხარობს... ჩემმა ძმამ სულ სხვა სახელი მიწოდა. კეთილი და პატიოსანი! ვალში არ დაერჩები, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ! ახლა კი წაეალ, ერთ გაკვირვებულს უნდა მივხედო... როგორც მოგახსენეთ, ისევ შემოვივლი. თუ შეიძლება, ცდას ნუ დააკლებთ, ბატონო ასლაკსენ. ღვთის გულისათვის, არცერთი ძახილის ნიშანი არ გამოტოვოთ. უმჯობესია, თითო-ოროლა დაუმატოთ კიდევ... მაშ, ასე, ნახვამდის, ნახვამდის, ნახვამდის!

ურთიერთდამშვიდობება. ექიმს კარამდე მიაცილებენ.

ჰოვსტადი (ბრუნდება). ამ კაცმა შეიძლება ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიოს.

ასლაკსენი. დიახ, სანამ მხოლოდ სანატორიუმით იფარგლება, მაგრამ თუ უფრო ღრმად შესტოპა, არ გირჩევთ, უკან გაჰყვით...

ჰოვსტადი. კმ... ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ...

ბილინგი. დალახვროს ეშმაკმა, რა ყოველთვის უკან იხევთ, ასლაკსენ?!

ასლაკსენი. უკან ვიხევ? დიახ, როცა საქმე აქაურ ხელისუფალთ ეხება, უკან ვიხევ, ბატონო ბილინგი! გარწმუნებთ, ტყუილად როდი გამივლია ცხოვრების სკოლა. მაგრამ, აბა, გასაქანი მომეცით, დიდ პოლიტიკაში ჩამრთეთ, და დაინახავთ, უკან დავიხევ თუ არა... თუნდაც თვით მთავრობის წინაშე.

ბილინგი. არა, რა თქმა უნდა, მხდალი როდი ხართ, მაგრამ თქვენსავე თავს კი ეწინააღმდეგებით ხოლმე.

ასლაკსენი. საქმე ისაა, რომ მე კეთილსინდისიერი კაცი გახლავართ. შეიძლება თავს დაესხა მთავრობას; საზოგადოებას ამით არავითარი ზიანი არ მოუვა და, სხვათა შორის, არც მთავრობის წევრებს, — ნუ გეშინიათ, მაგრამ სხედან! მაგრამ, აი, ქალაქის ხელისუფალნი კი შეიძლება დაამხო და თვითმმართველობის საქმე უეცი და გამოუცდელი ხალხის ხელში გადავიდეს. ეს კი სასიკეთოს არას უქადის არც სახლის მფლობელებს და არც მოქალაქეთა უმრავლესობას.

ჰოვსტადი. მოქალაქეთა აღზრდაზე თუ გიფიქრიათ, თვითმმართველობაში მათი მონაწილეობის გზით?

ასლაკსენი. თუ კაცს საქმე ხელში უჭირავს, ყველაფერზე ერთბაშად ხომ ვერ იფიქრებს, ბატონო ჰოვსტად?

ჰოვსტადი. მაშინ ნურც ნურასოდეს მღირსებია ჩემი საკუთარი საქმე.

ბილინგი. გესმით?.. გესმით?..

ასლაკსენი (ლიბლით). კმ... (პატარა მაგიდაზე ანიშნებს). აი, ამ რედაქტორის სკამზე იჯდა ოდესღაც ამტმანი სტენსჰორი.

ბილინგი (აფურთხებს). ფუჰ! მოლალატი!

ჰოვსტადი. მე ფლიუგერი არა ვარ და არც არასდროს ვიქნები.

ასლაკსენი. პოლიტიკურ მოღვაწეს არაფრის თავმდებობა არ შეუძლია, ბატონო ჰოვსტად. თქვენ კი, ბატონო ბილინგ, ცოტა იალქნებს მოუშვით, — აკი მაგისტრატის მდივნის ადგილს უმიზნებთ?

ბილინგი. მე?..

ჰოვსტადი. თქვენ, ბილინგ?

ბილინგი. რაო... დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ არ გესმით, რომ მე მინდოდა მხოლოდ გამელიზიანებინა ქალაქის ბრძენი მამები?

ასლაკსენი. თუმცა მე, რა თქმა უნდა, ეს არ მეხება. მაგრამ რაკი სიმხდალესა და შინაგან წინააღმდეგობებს მაყვედრიან, მინდა პირდაპირ მოგახსენოთ: ტიპოგრაფისტ ასლაკსენის პოლიტიკური წარსული ყველას თვალწინა აქვს. ჩემს შეხედულებებს არავითარი ცვლილებები არ განუცდია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კიდევ უფრო ზომიერი გაეხდი. ჩემი გული კვლავინდებურად ხალხს ეკუთვნის, თუმცა არც იმას დაეშალავ, რომ ჩემი გონება ხელისუფალთა მხარეს იხრება... მე ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ხელისუფალთ... დიახ. (ტიპოგრაფიაში გადის).

ბილინგი. არ შეიძლება თავიდან მოვიშოროთ, ჰოვსტად?

ჰოვსტადი. კი მაგრამ, ქალაღლისა და ბეჰდვის ხარჯებს სხვა ვინ გაიღებს?

ბილინგი. დალახვროს ეშმაკმა, რა ცუდია, რომ საბრუნავი თანხა არა გვაქვს.

ჰოვსტადი (მაგიდას უჯდება). ეჰ, ეგ რომ გვექონდეს!..

ბილინგი. ექიმ სტოკმანს რომ მიემართოთ?

ჰოვსტადი (ქალაღებს ფურცლავს). რა მერე? გახვრეტილი გროში არ გააჩნია.

ბილინგი. სამაგიეროდ კარგი ხელის გამმართავი ჰყავს — ბებერი მორტენ ჰილი, ანუ „მაჩვი“, როგორც მეტსახელად შეარქვეს.

პოვსტადი. კი მაგრამ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ჰილს ფული აქვს?

ბილინგი. რა თქმა უნდა, დალახეროს ეშმაკმა! და ამ ფულის ნაწილი სტოკმანის ოჯახსაც ხვდება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჰილი ბავშვებს შინაც უზრუნველყოფს.

პოვსტადი (ნახევრად შებრუნდება მისკენ). და თქვენ სწორედ ამაზე აფუძნებთ თქვენს ანგარიშს?

ბილინგი. ვაფუძნებ? უნდა მოგახსენოთ, რომ მე არასდროს არაფერს არაფერზე არ ვაფუძნებ.

პოვსტადი. და კარგსაც შერებით. არც მაგისტრატურის მდივნობაზე უნდა აფუძნებდეთ იმედს. შემოიძლია დაგარწმუნოთ: თქვენ მას ვერ ელირსებით.

ბილინგი. თქვენ გგონიათ, მე კი არ ვიცი? მაგრამ კარგიც სწორედ ისაა, რომ ვერ ველირსები. ამნაირ უარს მხოლოდ ის შეუძლია, რომ ბრძოლის ეინი გამიასკეცოს, ნავთი დაასხას ცეცხლზე, ეს კი სულზე მისწრებაა ამ ჩვენს მიყრუებულ ქალაქში, სადაც იშვიათად თუ შეიძლება სულის სიღრმემდე შეგძრას რამემ.

პოვსტადი (წერას განაგრძობს). ასე. ასე.

ბილინგი. კეთილი... მალე გამიხსენებენ!.. ახლა კი წავალ და სახლის მფლობელთათვის მოწოდებას დაწვერ. (ხელმარჯნივ, მეორე ოთახში გადის).

პოვსტადი (მაგიდას უზის, კალმისტარს ღრღნის და ნელა ამბობს). ჰმ... დი-ი-ახ, ასე.

შემოსასვლელ კარზე აკაყუნებენ.

მობრძანდით!

შემოდის პეტრა.

(დგება). აჰ, ეს თქვენა ხართ?.. როგორც იქნა, მოგვინახულეთ!

პეტრა. დიახ, მომიტევეთ...

პოვსტადი (სავარძელს სთავაზობს). ხომ არ დაბრძანდებით?

პეტრა. არა, გმადლობთ, მალე უნდა წავიდე.

პოვსტადი. მამას ხომ არაფერი დაუბარებია?

პეტრა. არა, ჩემს საქმეზე გეახელით. (პალტოს ჩიბიდან წიგნს იღებს). აი, ის ინგლისური მოთხრობა.

პოვსტადი. რატომ მიბრუნებთ?

პეტრა. მე მას არ ვთარგმნი.

პოვსტადი. ხომ შემპირდით?

პეტრა. მაშინ წაკითხული არ მქონდა. ალბათ, არც თქვენ.

პოვსტადი. არა. მოგეხსენებათ, რომ მე ინგლისური არ ვიცი, მაგრამ...

პეტრა. კეთილი, მაშინ მე გეტყვი: სხვა რამე მოძებნეთ. (წიგნს მაგილაზე დებს). თქვენს გაზეთს ეს არ გამოადგება.

ჰოვსტადი. რატომ?

პეტრა. იმიტომ, რომ აშკარად უპირისპირდება თქვენს შეხედულებებს.

ჰოვსტადი. მერედა, მარტო ამის გულისთვის?..

პეტრა. როგორც ჩანს, ვერ გამოიგეთ. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ მფარველობენ ზებუნებრივი ძალები ეგრეთწოდებულ „კეთილ“ ადამიანებს და, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერებაც მოაქვთ მათთვის, მაშინ როდესაც „ბოროტები“ დასჯილნი და დამარცხებულნი რჩებიან.

ჰოვსტადი. ძალიანაც კარგი; სწორედ ეს სჭირდება ფართო მკითხველს.

პეტრა. და თქვენ ამნაირ მოთხოვრებას მიაწვდით ხალხს? აკი თქვენ თვითონ არაფერი ამდაგვარი არა გწამთ და ისიც მშვენიერად იცით, რომ სინამდვილეში ასე არ ხდება.

ჰოვსტადი. მართალს ბრძანებთ. მაგრამ რედაქტორს ყოველთვის როდი შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სურს. ხშირად იძულებულნი ვართ, ანგარიში გავუწიოთ მკითხველის გემოვნებასა და მოთხოვნებს... მთავარია პოლიტიკა... ყოველ შემთხვევაში, გაზეთისთვის მაინც. და თუ მე მინდა თავისუფლებისა და პროგრესისაკენ გავუძღვე ხალხს, უფლება არა მაქვს, დავაშინო იგი. გაზეთის „სარდაფში“ ამნაირ კუკუის სასწავლ მოთხოვრებას რომ წაიკითხავენ, უფრო ნდობით მოეკიდებიან იმას, რასაც ზემოთა ვბეჭდავთ. ამრიგად იზრდება მკითხველის ნდობა ჩვენს მიმართ.

პეტრა. ფუჰ! შეუძლებელია, რომ ამნაირ მახეს უგებდეთ მკითხველს. ობობა ხომ არა ხართ?

ჰოვსტადი (ღიმილით). მადლობელი ვარ, რომ ასეთი მალალი წარმოდგენა გაქვთ ჩემზე. თუმცა ეს აზრი მე კი არა, ბილინგს ეკუთვნის.

პეტრა. ბილინგს?

ჰოვსტადი. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ ზუსტად ასე გამოხატა თავისი აზრი. მასვე ერთი სული ჰქონდა, როდის დავბეჭდავდი ამ მოთხოვრებას, რომელსაც მე არც კი გავცნობივარ.

პეტრა. კი მაგრამ, ნუთუ ბილინგი... თავისი დამოუკიდებელი შეხედულებებით...

ჰოვსტადი. ოო, ბილინგი იმდენად მრავალმხრივი კაცია!.. ახლა, როგორც ამბობენ, მაგისტრატის მდივნის ადგილს უშიზნებს.

პეტრა. ვერ დავიჭერებ, ჰოვსტად! ამას როგორ იკადრებს?

ჰოვსტადი. ეგ თვითონ მას ჰკითხეთ.

პეტრა. ამას კი ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი!

ჰოვსტადი (დაინებოთ უყურებს). მართლა? ნუთუ ასე მოულოდნელი აღმოჩნდა თქვენთვის?

პეტრა. დიახ. თუმცა, კაცმა რომ თქვას... არა. აბა, რა ვიცი?..

ჰოვსტადი. ჩვენ, გაზეთის მკვლავნელები, დიდი ვერაფერი შეილება ვართ, ფრიოკენ პეტრა.

პეტრა. თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?

ჰოვსტადი. ხანდახან ასე მგონია.

პეტრა. არა, რაც შეეხება ყოველდღიური ცხოვრების წერილმანებს, ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ ახლა, როცა ესოდენ სერიოზული საქმის მონაწილენი გახდით...

ჰოვსტადი. მამათქვენის საქმეს გულისხმობთ?

პეტრა. დიახ. ჩემის აზრით, ახლა მაინც უნდა გრძნობდეთ, რომ უმრავლესობაზე მთელი თავით მალლა დგახართ.

ჰოვსტადი. მართლაც, დღეს რაღაც ამგვარსა ვგრძნობ.

პეტრა. ხომ სწორი ვარ? დიახ, თქვენ ისეთი შესაშური ხედარი აირჩიეთ! გზა გაუკაფო ქვეშაპრიტებას, რომელსაც ჯერ კიდევ არ აღიარებენ, ახალსა და თამამ აზრს!.. მართო ის რად ღირს, რომ გაბედულად დაუპირეთ მხარი დევნილს...

ჰოვსტადი. მით უმეტეს, თუ ეს დევნილი... ჰმ... არც კი ვიცი, როგორა ვთქვა...

პეტრა. თუ ეს დევნილი ესოდენ კეთილსინდისიერი და პატიოსანი კაცია, არა? -

ჰოვსტადი (ხმადაბლა). მით უმეტეს, თუ ის თქვენი მამაა-მეთქი, აი, რა მინდოდა მეთქვა.

პეტრა (გაოგნებული). აჰ, აი, თურმე...

ჰოვსტადი. დიახ, პეტრა... ფრიოკენ პეტრა.

პეტრა. აი, თურმე რა გამოძრავებთ უწინარეს ყოვლისა! მაშასადამე, არა თვით საქმე? არა ქვეშაპრიტება? არა მამაჩემის დიდსულოვნება?

ჰოვსტადი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ესეც...

პეტრა. არა, გმადლობთ. მთავარი უკვე წამოგცდათ, ჰოვსტად. ამიტომ თქვენი ერთი სიტყვაც აღარა მჯერა.

ჰოვსტადი. ნუთუ ასე უნდა მიწყობოდეთ იმის გამო, რომ მე, უწინარეს ყოვლისა, თქვენი გულისთვის...

პეტრა. მე გიწყობით იმიტომ, რომ გულწრფელი არ ყოფილხართ მამაჩემის მიმართ... თქვენი სიტყვებიდან ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერზე მალლა ქვეშაპრიტებასა და საზოგადო სიკეთეს

აყენებლით. მეც მომატყუეთ და მამეჩემიც. თქვენ ის კაცი არა ხართ, რაღაც თავს ასალებლით. და ამას არასოდეს არ გაპატიებთ, არასოდეს, გესმით?

პოვსტადი. არ გირჩევთ ჩემთან ამნაირი ტონით ლაპარაკს, ფრიოკენ პეტრა. მით უმეტეს, ახლა!

პეტრა. ვითომ რას ცვლის ეს „ახლა“?

პოვსტადი. იმას, რომ მამათქვენი ჩემი დახმარების გარეშე ფონს ვერ გავა.

პეტრა (ზიზლით ახედ-დახედავს). თანაც, აი, თურმე რანაირი ყოფილ-ხართ! ფუჰ!

პოვსტადი. არა, არა, ამნაირი არ გეგონოთ! ჩემდა უნებურად წამომცდა! გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ...

პეტრა. ახლა მე ვიცი, რასაც ვიფიქრებ. მშვიდობით!

ასლაკსენი (ტოპოგრაფიის კარში ღვას; ნაჩქარევად, რაღაც იღუმალი ხმით). დამლახვროს ეშმაკმა, ბატონო პოვსტად!.. (თვალს მოკრავს პეტრას). აი, სეირი თუ გნებავთ, ეს არის!

პეტრა. წიგნი თქვენს მაგიდაზე დევს. სხვა მთარგმნელი მოძებნეთ. (გასასვლელისკენ მიემართება).

პოვსტადი (უკან მისდევს). ფრიოკენ!..

პეტრა. მშვიდობით. (გაღის).

ასლაკსენი. ბატონო პოვსტად! მომისმინეთ!

პოვსტადი. რა ამბავია?

ასლაკსენი. თვით ფოგტი გეეწვია ტოპოგრაფიაში.

პოვსტადი. ფოგტი?

ასლაკსენი. დიახ. თქვენთან ლაპარაკი სურს. უკანა კარიდან შემოვიდა. არ უნდოდა ვინმეს დაენახა, გესმით?

პოვსტადი. ნეტა რა საქმე უნდა ჰქონდეს? არა, მოითმინეთ, მე თვითონ... (ტოპოგრაფიის კართან მიდის, ალებს, თავის დაკერიტ ესალმება სტუმარს და სთხოვს, შემობრძანდითო). აბა, თქვენ იცით, ასლაკსენ, არავინ...

ასლაკსენი. მესმის... (ტოპოგრაფიაში გაღის).

ფოგტი. ბატონი პოვსტადი, ალბათ, არ მელოდა.

პოვსტადი. მართალი გითხრათ, არა.

ფოგტი (ოთახს ათვალეირებს). მშვენიერად მოწყობილხართ, მშვენიერად!

პოვსტადი. ო-ო!..

ფოგტი. მე კი ასე უბოდიშოდ შემოგეჰქერით და დროს გართმევთ.

პოვსტადი. რას ბრძანებთ, ბატონო ფოგტო! მიმსახურეთ, როგორც გენებოთ. ნება მიბოძეთ... (ქუდსა და ქოლგას ჩამოართმევს და მაგიდაზე დებს). ხომ არ დაბრძანდებით?

ფოგტი (მაგიდასთან ქდება). გმადლობთ.

პოვსტადი მაგიდას უქდება.

დღეს მე... ძალიან უსიამოვნო ამბავი შემემთხვა, ბატონო პოვსტად.

პოვსტადი. მართლა? თუმცა, გასაგებია, თქვენ იმდენი საქმე გაქვთ, რომ...

ფოგტი. დღევანდელი უსიამოვნების მიზეზი კურორტის ექიმი გახლავთ.

პოვსტადი. როგორ? ექიმი?

ფოგტი. რაღაც მოხსენება შეუთხზავს კურორტის გამგეობისათვის წარსადგენად, იმის თაობაზე, თითქოს სანატორიუმის წყალ-მომარაგების საქმეში მთელი რიგი შეცდომები იყოს დაშვებული.

პოვსტადი. მართლა?

ფოგტი. ნუთუ თქვენთვის არაფერი უთქვამს?... მე კი მეგონა, გეტყოდათ...

პოვსტადი. თუმცა, პო, მართლა, გაკვირთ კი ახსენა რაღაც...

ასლაკსენი (ტოპოგრაფიიდან გამოდის). მეგონი, ხელნაწერი უნდა მოგეცათ ჩემთვის.

პოვსტადი (მწყურადად). კმ... აგერ, მაგიდაზე დევს.

ასლაკსენი (პოულობს). კეთილი.

ფოგტი. მოითმინეთ... ეს ხომ ისაა!..

ასლაკსენი. დიახ, ეს ექიმის სტატია გახლავთ, ბატონო ფოგტო.

პოვსტადი. აჰ, ესე იგი, თქვენ ამას გულისხმობდით?

ფოგტი. დიახ, სწორედ ამას. თქვენი აზრი მინტერესებს.

პოვსტადი. მე სპეციალისტი არ ვაზლავართ და, თანაც, მხოლოდ თვალი გადავაკვლე.

ფოგტი. მაგრამ ხომ ბეჭდავთ?

პოვსტადი. უარს ვერ ვეტყვი, რახან კაცს ასე სურს...

ასლაკსენი. გაზეთი მე არ მეხება, ბატონო ფოგტო.

ფოგტი. რა თქმა უნდა.

ასლაკსენი. ჩემი საქმეა, დავბეჭდო, რასაც მომცემენ.

ფოგტი. სავსებით გასაგებია...

ასლაკსენი. ასე რომ მე... (ტოპოგრაფიაში გასვლას აპირებს).

ფოგტი. ერთი წუთით, ბატონო ასლაცსენ... თქვენის ნებართვით, ბატონო ჰოვსტად!..

ჰოვსტადი. ნება თქვენია, ბატონო ფოგტო!

ფოგტი. თქვენ სალად მოაზროვნე, კეთილგონიერი კაცი ბრძანდებით, ბატონო ასლაცსენ.

ასლაცსენი. ძალზე მოხარული ვარ, რომ ფოგტს ასეთი წარმოდგენა აქვს ჩემზე.

ფოგტი. ეგეც არ იყოს, დიდი გავლენით სარგებლობთ მოსახლეობის ფართო ფენებში.

ასლაცსენი. უპირატესად წერილფეხობას შორის.

ფოგტი. მაგრამ ეს წერილფეხობა, ისევე, როგორც ყველგან, ჩვენშიაც უმრავლესობას შეადგენს.

ასლაცსენი. რა თქმა უნდა.

ფოგტი. და მე დარწმუნებული ვარ, რომ კარგად იცნობთ მათ საერთო განწყობილებას.

ასლაცსენი. დიახ, შემძლია მოგახსენოთ, ასეა, ბატონო ფოგტო.

ფოგტი. მაშ, რაკი მოსახლეობის ნაკლებად შეძლებული ფენები ესოდენ სანაქებო ერთსულოვნებას იჩენენ მსხვერპლის გასაღებად...

ასლაცსენი. რაო, რა ბრძანეთ?..

ჰოვსტადი. მსხვერპლის გასაღებად?..

ფოგტი. პირადად ჩემთვის ძალზე სასიხარულოა მოქალაქეთა ეს ერთსულოვნება, უკიდურესად სასიხარულო. მართალი გითხრათ, არ მოველოდი. მაგრამ თქვენ ჩემზე გაცილებით უკეთ იცნობთ ხალხის განწყობილებას.

ასლაცსენი. კი მაგრამ, ბატონო ფოგტო...

ფოგტი. ქალაქს უზარმაზარი მსხვერპლის გაღება მოუწევს.

ჰოვსტადი. ქალაქს?

ასლაცსენი. რაღაც არ მესმის... საქმე ხომ სანატორიუმს ეხება?

ფოგტი. ყოველივე იმის გადაკეთება, რასაც მოითხოვს კურორტის ექიმი, წინასწარი გაანგარიშებით, რამდენიმე ასეული ათასი კრონი დაჯდება.

ასლაცსენი. უზარმაზარი თანხაა, მაგრამ...

ფოგტი. რასაკვირველია, ქალაქს კომუნალური სესხის გაღება მოუწევს.

ჰოვსტადი (დგება). რატომ მაინცდამაინც ქალაქს?

ასლაცსენი. მაშ, ამ თანხას ქალაქს შეაწერენ? ლარიბ-ლატაკთა ისედაც მკლე ქისიდან ამოიღებენ?

ფოგტი. დიახ, ძვირფასო ბატონო ასლაცსენ! მაშ, როგორ მოვეუ-
ყაროთ თავი ამხელა თანხას?

ასლაცსენი. ეს სანატორიუმის მფლობელთა საქმეა.

ფოგტი. სანატორიუმის მფლობელნი იძულებულნი არიან იმდენზე
გაჭიმონ ფეხი, რამდენზეც საბანი გასწვდებათ.

ასლაცსენი. მართალს ბრძანებთ, ბატონო ფოგტო?

ფოგტი. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. თუ მთელი ეს გადაკეთებ-
გადმოკეთება აუცილებელი შეიქნა, ქალაქმა უნდა გაიღოს
მსხვერპლი.

ასლაცსენი. აჰ, დალახვროს ეშმაკმა... მომიტყვევით!.. სულ სხვანა-
ირად შეტრიალდა საქმე, ბატონო ჰოვსტად!

ჰოვსტადი. მართლაც.

ფოგტი. ყველაზე უარესი მაინც ისაა, რომ იძულებულნი ვიქნებით,
ორი წლით მაინც დავხუროთ სანატორიუმი.

ჰოვსტადი. დავხუროთ? მთლიანად?

ასლაცსენი. ორი წლით?

ფოგტი. დიახ, სამუშაო, სულ მცირე, ორ წელიწადს მაინც
მოითხოვს.

ასლაცსენი. დალახვროს ღმერთმა!.. ეს ხომ წელში გაგვწყვეტს,
ბატონო ფოგტო? რითი გავიტანოთ თავი სახლის მფლობე-
ლებმა ამ ხნის მანძილზე?

ფოგტი. ამაზე, სამწუხაროდ, ძალზე ძნელია პასუხის გაცემა,
ბატონო ასლაცსენ. მაგრამ მაინც რას მოითხოვთ ჩემგან? ხომ
არ გგონიათ, რომ ერთი კაცი მაინც ჩამოვა სამკურნალოდ,
თუკი ხალხს თავში ჩაუჭედავენ იმ ფანტასტიკურ მონაჩმასს,
რომ წყალი მოწამლულია, რომ ჩვენს ირგვლივ მოწამლული
ქაობია, რომ მთელი ქალაქი...

ასლაცსენი. მაშ, ყოველივე ეს მხოლოდ ფანტაზიაა?

ფოგტი. მთელი ჩემი სურვილის მიუხედავად, სხვა დასკვნა ვერ
გამოვიტანე.

ასლაცსენი. მაშინ ეს პირდაპირ მიუტყვებელი საქციელია ექიმი-
სათვის... მაპატიეთ, ბატონო ფოგტო, მაგრამ...

ფოგტი. თქვენი სიტყვები სამწუხარო კემშარიტებაა, ბატონო
ასლაცსენ. ჩემი ძმა, საუბედუროდ, ყოველთვის ძალზე წინ-
დაუხედავი იყო.

ასლაცსენი. თქვენ კი გინდოდათ, მხარი დაგეჭირათ მისთვის,
ბატონო ჰოვსტად!

ჰოვსტადი. ვინ იფიქრებდა, რომ...

ფოგტი. მე შევადგინე მოკლე ანგარიში იმისა, თუ როგორ უნდა შევხედოთ საქმეს... სალი აზრის პოზიციიდან... და თან დაეურთე ჩემი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ შესაძლო ხარვეზები ისე, რომ დიდი ზარალი არ მივაყენოთ კურორტს.

პოვსტადი. სტატია თანა გაქვთ, ბატონო ფოგტო?

ფოგტი (ჩბეში იქეება). დიახ, წამოვიღე იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ...

ასლაკსენი (სწრაფად). ერთი ამას უყურეთ! უკვე მოვიდა!

ფოგტი. ვინ? ჩემი ძმა?

პოვსტადი. სადაა?.. სად?

ასლაკსენი. სადაა და ტიპოგრაფიაში.

ფოგტი. ბედი არ გინდა? ღმერთმა დამიფაროს, რომ აქ შევეჩხხო. მაგრამ თქვენთანაც რომ მაქვს სალაპარაკო?

პოვსტადი (მარჯვენა კარზე ანიშნებს). აი, იმ ოთახში გაბრძანდით.

ფოგტი. კი მაგრამ...

პოვსტადი. იქ მხოლოდ ბილინგია.

ასლაკსენი. დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, ბატონო ფოგტო. საცაა შემოვა.

ფოგტი. კარგი, კარგი, მხოლოდ ეცადეთ, რაც შეიძლება მალე მოიშოროთ თავიდან. (ხელმარჯვნივ გადის).

ასლაკსენი კარს უღებს და ისევ ხურავს.

პოვსტადი. ვითომ საქმე გაქვთ, ასლაკსენ (ჩდება და წერას იწყებს). ასლაკსენი გაზეთებში იქეება, რომლებიც იქვე, სკამზე აწევიან.

ექიმის სტოკმანი (ტიპოგრაფიიდან შემოდის). აი, მეც მოვედი (ქულს მაგიდაზე დებს).

პოვსტადი. ასე მალე, ბატონო ექიმო? (წერს). დაუჩქარეთ, ასლაკსენ! ხომ გახსოვთ, რა გითხარით? დღეს, ალბათ, ვერ მოვასწრებთ.

ექიმის სტოკმანი (ასლაკსენს). როგორც გადმომცეს, კორექტურა ჭერ კიდევ არ არის მზად.

ასლაკსენი (კვლავ გაზეთებში იქეება). განა ასე ადვილია, ბატონო ექიმო?

ექიმის სტოკმანი. ცხადია, მაგრამ, მოთმინება მეღვეა, გესმით? ვერ მოვისვენებ, სანამ დაბეჭდილს არ ვიხილავ ჩემს მოხსენებას.

პოვსტადი. კმ... ალბათ, კარგა ხანს მოგიწევთ ცდა... ხომ მართალია, ასლაკსენ?

ასლაკსენი. სამწუხაროდ.

ექიმი სტოკმანი. კარგი, კარგი, ჩემო მეგობრებო. ერთხელაც შემოვივლი. თუ საჭირო იქნა, — ორჯერაც... ამისთანა საქმისთვის... ხომ გესმით, ქალაქის მთელი კეთილდღეობა... რა დროს ზოზინია?! (წასვლას აპირებს, მაგრამ უეცრად ჩერდება).
ჰო, მართლა, ერთი რაღაცაც უნდა გითხრათ...

ჰოვსტადი. მომიტევეთ, არ შეიძლება სხვა დროს?

ექიმი სტოკმანი. სულ ორიოდ სიტყვა. იცით, რა?... ხვალ დილით ჩემს სტატიას წაიკითხავენ და დარწმუნდებიან, რომ მთელი ზამთარი ჩუმად ვიღწვოდი ქალაქის სასიკეთოდ...

ჰოვსტადი. ბატონო ექიმო...

ექიმი სტოკმანი. ვიცი, ვიცი, რასაც იტყვი. თქვენის აზრით, მე მხოლოდ ჩემი — ექიმისა და მოქალაქის უშუალო მოვალეობა მოვიხადე, ესაა და ეს. რა თქმა უნდა; თქვენზე ნაკლებად როდი მესმის. მაგრამ ხომ იცით, ჩემი თანამოქალაქენი... ღმერთი იყოს მათი მფარველი!.. ეს კეთილი ხალხი ისეთ პატივს მცემს და მაფასებს...

ასლაკსენი. დიახ, აქამდე მართლაც ძალიან გაფასებდნენ, ბატონო ექიმო.

ექიმი სტოკმანი. ამიტომაც მეშინია, ვაითუ... სწორედ ამაზე მინდოდა მოგლაპარაკებოდი. როცა ჩემი სტატია მიუვა მკითხველს, უწინარეს ყოვლისა კი — უპოვარსა და უუფლებო მკითხველს, როგორც მოწოდება იმისა, რომ სამერძისოდ თავიანთ ხელში აიღონ საზოგადოებრივ საქმეთა მართვა-გამგებლობა...

ჰოვსტადი (დგება). ჰმ... ბატონო ექიმო, არ დაგიმალავთ...

ექიმი სტოკმანი. აჰა, ასეც ვიცოდი, რაღაცას აპირებთ? მაგრამ მე ამის გაგონებაც არ მინდა. დიახ, თუ რაღაც ამნაირი მზადდება...

ჰოვსტადი. მაინც, რა?..

ექიმი სტოკმანი. რა ვიცი, — სადღესასწაულო პროცესია ბაირაღების ფრიალით, საზეიმო სადილი, ადრესი, საჩუქრები, ეს სულერთია! სიტყვა მომეცით, რომ არაფერს ამდაგვარს არ დაუშვებთ! თქვენც, ბატონო ასლაკსენ! გესმით?

ჰოვსტადი. მომიტევეთ, ბატონო ექიმო; უმჯობესია, მთელი სიმართლე ერთბაშად გითხრათ...

ხელმარტხნივ, სენის სიღრმეში მდებარე კარიდან შემოდის ფრუ სტოკმანი. პალტო აცვია; თავზე ქული ახურავს.

ფრუ სტოკმანი (ექიმის დანახვისას). ასეც ვიცოდი!

ჰოვსტადი (ეგებება). თქვენ რალაზე გარჯილხართ, ფრუ სტოკმან? ექიმი სტოკმანი. დალახვროს ეშმაკმა, აქ რამ მოგიყვანა, კატრინ? ფრუ სტოკმანი. ვითომ ვერ ხვდები, რამ მომიყვანა!

ჰოვსტადი. ხომ არ დაბრძანდებით? ან, იქნებ...

ფრუ სტოკმანი. გმადლობთ, ნუ წუხდებით. და გთხოვთ, ნუ მიწყენთ, რომ ქმრის წასაყვანად მოვედი... ხომ იცით, სკამი შეილის დედა ვარ.

ექიმი სტოკმანი. რას ბოდავ? ყველამ მშვენივრად იცის...

ფრუ სტოკმანი. მაგრამ, ღმერთმანი, ვერ ვხედავ, რომ დღეს ან ცოლი გახსოვდეს და ან შეილები. თორემ განა ასე განუკითხავად მიგყვრიდი უფსკრულის პირას?

ექიმი სტოკმანი. ხომ არ შეიშალე, კატრინ? ან, იქნებ, ცოლშვილიანი კაცი ვერ უნდა ბედავდეს სიმართლის თქმას? ვერ ბედავდეს იმას, რომ საზოგადოებას რაიმე არგოს? ვერ ბედავდეს იმას, რომ სამსახური გაუწიოს თავის მშობლიურ ქალაქს?

ფრუ სტოკმანი. ყველაფერს თავისი ზომა აქვს, თომას.

ასლაკსენი. მეც მაგას არ ვამბობ? ზომიერება, უწინარეს ყოვლისა!

ფრუ სტოკმანი. თქვენ კი, ბატონო ჰოვსტად, არ გეკადრებათ, რომ ცოლ-შვილს წყვეტთ და ამ სახიფათო საქმეში ხვევთ ჩემს ქმარს.

ჰოვსტადი. მე არავის არაფერში არა ვხვევ...

ექიმი სტოკმანი. რას ამბობ, რას? შენ გგონია, შეიძლება რამეში გამხვიონ?

ფრუ სტოკმანი. შეიძლება და მერე როგორ!.. ვიცი, ყველაზე კვიანი კაცი ხარ მთელს ქალაქში, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენ, რა ადვილია შენი ხათაბალაში გახვევა, თომას! (ჰოვსტადს). თავად განსაჯეთ, როგორც კი მის სტატიას გამოაქვეყნებთ, დაუყოვნებლივ დაკარგავს ადგილს.

ასლაკსენი. რაო?..

ჰოვსტადი. იცით, რა, ბატონო ექიმო?..

ექიმი სტოკმანი (იყინის). ჰა-ჰა-ჰა! აბა, ერთი სცადონ! არა, ვერ გაბედავენ! ჩემს ზურგს უკან მკიდროდ დარაზმული უმრავლესობა დგას, ვერ ხედავ?

ფრუ სტოკმანი. უბედურებაც ისაა, რომ შენს ზურგს უკან მხოლოდ ათასგვარი სისულელე დგას.

ექიმი სტოკმანი. რას მიედ-მოედები, კატრინ?! უმჯობესია შინ წახვიდე და საქმეს მიხედო, საზოგადოებრივი საქმეების მოგვარება კი მე მომანდე. რისი გეშინია? ვერ ხედავ, რა მშვიდად და მხიარულად ვარ? (ხელების ფშვინით ბოლთასა სცემს). შენ დარდი ნუ გაქვს, ხალხი თავისას გაიტანს, სიმართლე გაიმარჯვებს. მე უკვე ვხედავ, როგორ ირაზმებიან უძლეველ ლაშქრად თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქენი... (სკამთან ჩერდება). დალახეროს ეშმაკმა!.. რა არის ეს?

ასლაკსენი (იქით იყურება). ვაი ჩვენი ბრალი!

პოვსტადი (ასვე). კმ...

ექიმი სტოკმანი. აი, ჩვენი ძალაუფლების გვირგვინი! (თითის წვერებით ფრთხილად იღებს და მალა სწევს ფოგტის ქულს).

ფრუ სტოკმანი. ფოგტის ქული!

ექიმი სტოკმანი. ესეც კიდეც, წინამძღოლი კვერთხი! რომელმა ტაკიმასხარამ შემოიტანა?..

პოვსტადი. რა გაეწყობა...

ექიმი სტოკმანი. აა! გასაგებია! თვალის ასახვევად მოვიდა? ჰა-ჰა-ჰა! მე რამეს გამომაპარებთ?.. ხოლო როდესაც ტიპოგრაფიაში შემოსული დამინახა, (ხარხარებს) კუდამოდებული გაიძურწა, ბატონო ასლაკსენ, არა?

ასლაკსენი (სხაასხუპით). დიახ, დიახ, გაიძურწა, ბატონო ექიმო.

ექიმი სტოკმანი. ჯოხი მიატოვა და... სისულელეა! პეტერი არ გაიქცევა. დალახეროს ეშმაკმა, სად ჯანდაბაში დამალეთ? აა, რა თქმა უნდა, იქ!.. ახლა ნახავ, რასაცა ნახავ, კატრინ!

ფრუ სტოკმანი. თომას, გვეედრები...

ასლაკსენი. ფრთხილად, ბატონო ექიმო!

ექიმი სტოკმანი ფოგტის ქულს იხურავს, ხელში მის ჯოხს იჭერს, მარჯვენა კართან მიღის, აღებს და მხედრულად გაკიშულს მისალმების ნიშნად ხელი ქულთან მიაქვს.

ფოგტი (სიბრაზისაგან სახელეწილი გამოღის ბილინგის თანხლებით). ეს რა უმსგავსოებაა?!

ექიმი სტოკმანი. ცოტა უფრო თავაზიანად, ჩემო ძვირფასო პეტერი! ახლა სწორედ მე განვასახიერებ ქალაქში უზენაეს ხელისუფლებას! (გაჯგიბული დაიარება).

ფრუ სტოკმანი (საწყალობლად). კი მაგრამ, თომას...

ფოგტი (უკან დაჰყვება მას). მომეცი ჩემი ქული და ჯოხი!

ექიმი სტოკმანი. შენ თუ პოლიციებისტერი ბრძანდები, მე — ფოგტი, მთელი ქალაქის უფროსი ვარ!

ფოგტი. ქული მოიხადე-მეთქი! არ დაგავიწყდეს, რომ ეს ოფიციალური, ფორმის ქულია!

ექიმი სტოკმანი. დიდი ამბავი! შენ გგონია, გამოღვიძებულ ლომს — ხალხს მაგ შენი ფორმის ქულით შეაშინებ? იცოდე, ხვალვე რევოლუციას მოვაწყობთ ქალაქში! შენ მემუქრებოდი, გაგათავისუფლებო?! ახლა კი მე გაგათავისუფლებ ყველა შენი ოფიციალური თანამდებობიდან!.. შენ გგონია, ვერ შევძლებ? ექე! ჩემს ზურგს უკან ძღვევამოსილი საზოგადოებრივი ძალები დგანან. ჰოვსტადი და ბილინგი გაზეთიდან შემოგიტყვენ, ასლაქსენი სახლის მფლობელთა კავშირს ჩაუდგება სათავეში და...

ასლაქსენი. არა, ბატონო ექიმო, მე მაგის კაცი არა ვარ.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა, ხართ...

ფოგტი. აჰა! იქნებ ბატონმა ჰოვსტადმა მინც გაბედოს და მაგ თქვენს ლაშქარს შემოუერთდეს?!

ჰოვსტადი. არა, ბატონო ფოგტო.

ასლაქსენი. ბატონი ჰოვსტადი ისე უქკუო როდია, რომ ვილაცის ახირებული ფანტაზიის გულისთვის თავი წააგოს და გაზეთიც ზედ მიაყოლოს...

ექიმი სტოკმანი (აქეთ-იქით იყურება). რას ნიშნავს ეს?

ჰოვსტადი. თქვენ არასწორად წარმოგიდგინეთ საქმე, ბატონო ექიმო, და ამიტომ პირადად მე მხარს ვერ დაგიჭერთ.

ბილინგი. არა, მას შემდეგ, რაც ბატონმა ფოგტმა მეც ასე თავაზიანად ამიხსნა საქმის არსი...

ექიმი სტოკმანი. არასწორად წარმოგიდგინეთ? ეგ ჩემზე იყოს. თქვენ მხოლოდ ჩემი სტატია დაბეჭდეთ, და მე ვიცი, როგორც დავიცავ.

ჰოვსტადი. ვერ დავბეჭდავ. არ მინდა, არ მსურს და არც შემიძლია მისი დაბეჭდვა.

ექიმი სტოკმანი. არ შეგიძლიათ? რას მიედ-მოედებით? თქვენ ხომ რედაქტორი ხართ? მერედა, ნეტა ვიცოდე, რედაქტორის გარდა სხვა ვინ განაგებს გაზეთს?

ასლაქსენი. გაზეთს რედაქტორი კი არა, ხელმომწერლები განაგებენ, ბატონო დოქტორო.

ფოგტი. საბედნიეროდ.

ასლაქსენი. საზოგადოებრივი აზრი, განათლებული მკითხველი, სახლის მფლობელნი და სხვანი, აი, ვინ განაგებს და წარმართავს გაზეთს.

ექიმი სტოკმანი (გონს ევაბა). და ყველა ეს ძალა ჩემს წინააღმდეგაა?

ასლაკსენი. დიახ. თქვენი სტატიის დაბეჭდვა იმას ნიშნავს, რომ ძირი გამოვუთხაროთ მოქალაქეთა კეთილდღეობას.

ექიმი სტოკმანი. აი, თურმე...

ფოგტი. ჩემი ქული და ჯოხი!

ექიმი სტოკმანი ქულს იხდის და ჯოხთან ერთად მაგიდაზე დებს.

(ქულს და ჯოხს იღებს). მალე კი მოელო ბოლო შენს მმართველობას.

ექიმი სტოკმანი. მოითმინე, ეს ჯერ კიდევ არ არის ბოლო. (ჰოვსტადს). მაშასადამე, „სახალხო გაზეთში“ ყოველად შეუძლებელია ჩემი მოხსენების დაბეჭდვა?

ჰოვსტადი. დიახ. სხვათა შორის, თქვენი ოჯახის ინტერესებიც მოითხოვს ამას.

ფრუ სტოკმანი. ჩვენს ოჯახზე ნუ სწუხართ, ბატონო ჰოვსტად.

ფოგტი (ჯიბიდან ქალალს იღებს). მკითხველისათვის საცხებიტ საკმარისი იქნება, თუ დაბეჭდავთ ამ ჩემს ოფიციალურ ახსნა-განმარტებას. აი, ინებეთ!

ჰოვსტადი (ქალალს ართმევს). კეთილი. აუცილებლად დავბეჭდავთ.

ექიმი სტოკმანი. ჩემს მოხსენებას კი არა? იქნებ გგონიათ, რომ მაიძულებთ დაეღუბდე? რომ ხმას ჩააქმენდინებთ ქეშმარიტებას? არც ისე ადვილია, როგორც თქვენ ფიქრობთ. რას იტყვიტ, ბატონო ასლაკსენ, იქნებ დაუყოვნებლივ მოჰკიდოტ ხელი ჩემს მოხსენებას და ცალკე ბროშურად დაბეჭდოტ ჩემივე ხარჯით? ეს იქნება ჩემი საკუთარი გამოცემა. სულ ოთხასი ცალი მეყოფა... არა, ხუთასი... ექვსასი.

ასლაკსენი. ჩემი წონა ოქროც რომ შემომთავაზოტ, ბატონო ექიმო, მაინც ვერ გავბედავ, ეს ჩემი ტიპოგრაფია ამნაირი საქმის სამსახურში ჩაეაყენო. ვერ გავბედავ, იმიტომ, რომ ანგარიშს ვუწევ საზოგადოებრივ აზრს. მარტო მე კი არა, მთელს ქალაქში კაციშვილი არ დაგიბეჭდავტ ამას.

ექიმი სტოკმანი. მაშინ, დამიბრუნეთ ჩემი ხელნაწერი.

ჰოვსტადი (ხელნაწერს უწვდის). ინებეთ.

ექიმი სტოკმანი. ჩემი მოხსენება ცხრაკლიტულში მაინც არ დარჩება. ხალხს შევეყრი და საჯაროდ წაევიტოხავ. ყველა ჩემს თანამოქალაქეს მივაწვდენ სიმართლის ხმას.

ფოგტი. მოქალაქეთა არც ერთი კავშირი ამ მიზნით არ დაგითმობს დარბაზს.

ასლაკსენი. არც ერთი. დაბეჯითებით ვიცი.

ბილინგი. დამლახვროს ეშმაკმა, თუ ვინმემ დაგითმოთ.

ფრუ სტოკმანი. ვაი სირცხვილო! ყველა ასე ერთად რამ აამხედრა შენს წინააღმდეგ?

ექიმი სტოკმანი (წამოენთება). რა-ამ?.. მე გეტყვი, რამაც! იმან, რომ აქ, ამ ქალაქში, ყველანი დედაბრები არიან... შენსავეთ. ყველა მხოლოდ საკუთარ ოჯახზე ფიქრობს და არა საზოგადო სიკეთეზე.

ფრუ სტოკმანი (ხელს ჩასკიდებს). თუ ასეა, მაშინ მე ვუჩვენებ ამათ, რომ დედაბერსაც შეუძლია სიმამაცის გამოჩენა... ერთხელ მაინც. ახლა მე შენს მხარესა ვარ, თომას!

ექიმი სტოკმანი. ყოჩაღ, კატრინ! ახლა კი ჩემსას გავიტან, სულს გეფიცები! დარბაზს თუ არ დამითმობენ, მედოლეს დავიქირავებ, რომ უკან გამომყვეს, მთელ ქალაქს დავივლი და ყველა გზაჯვარედინზე წავიკითხავ ჩემს მოხსენებას.

ფოგტი. მთლად შეიშალე?

ექიმი სტოკმანი. დიახ.

ასლაკსენი. მთელს ქალაქში ერთი კაციც არ გამოგყვებათ.

ბილინგი. დიახ, დამლახვროს ეშმაკმა, თუ ვინმე გამოგყვეთ.

ფრუ სტოკმანი. არ შედრკე, თომას! ჩვენს ბიჭებს ვეტყვი და ისინი გამოგყვებიან.

ექიმი სტოკმანი. დიდებული აზრია!

ფრუ სტოკმანი. მორტენი სიხარულით გამოგყვება. ცხადია, ეილიფიც.

ექიმი სტოკმანი. და პეტრაც! ალბათ, შენც, კატრინ!

ფრუ სტოკმანი. არა, მე არა, მაგრამ ფანჯრიდან გიყურებთ. ამას კი ვიზამ!

ექიმი სტოკმანი (ეხვევა და ჰკონის). გმადლობ. ახლა კი ვნახოთ, ბატონებო! ვნახოთ, როგორ შესძლებს ადამიანური სიმდაბლე ხმა ჩააკმენდინოს პატრიოტს, რომელსაც საზოგადოების გაჯანსაღება სურს! (ცოლთან ერთად მარცხენა კარიდან გადის, სენის სიღრმეში).

ფოგტი (გაოგნებული თავს აქნევს). აი, ახლა ესეც გადარია.

მეოთხე მოქმედება

დიდი, ძველებური დარბაზი კაპიტან ჰორსტერის სახლში. სიღრმეში მოჩანს ღია ორსაგდულიანი კარი, რომელიც წინა ოთახში გადის. მარცხენა კედელს სამი ფანჯარა აქვს დატანებული. მარჯვენა კედელთან, შემალეებულ ფიცარნაგზე, პატარა მაგიდა დგას, მაგიდაზე — წყვილი სანთელი, წყლით სავსე გრაფინი, კიჩა და ზარი. დარბაზი ფანჯრებს შორის დაკიდებული ლამპებითაა განათებული. წინ, მარცხენა მხარესაც პატარა მაგიდაა, ზედ სანთლები დგას, გვერდით კი — სკამი. ხელმარჯვნივ მეორე კარია, რომელიც შიდა ოთახებში გადის. კართან რამდენიმე სკამი დგას.

ყველა წოდების მოქალაქეთა დიდი თავყრილობა. ბრბოში, აქა-იქ, რამდენიმე ქალი და მოწაფეებიც ჩანან. შემოსასული კარიდან ხალხი ჭერ კიდე შემოდის, ასე რომ, დარბაზი თანდათანობით ივსება.

პირველი მოქალაქე (მეორესთან შეხვედრისას). აა, შენც აქა ხარ, ლამსტედი?

მეორე მოქალაქე. მაშ; არც ერთ სხდომას არ ვაკლდები.

მესამე მოქალაქე (იქვე დგას). სასტუენის წამოღება ხომ არ დაგაეიწყდათ?

მეორე მოქალაქე. როგორ გეკადრებათ. თქვენ?

მესამე მოქალაქე. აბა, უსასტუენოდ მოვიდოდი? შვიპერი ევენსენი კი უზარმაზარი საყვირის წამოღებას აპირებდა.

მეორე მოქალაქე. ყოჩაღ, ევენსენ!

სამივე იცინის.

მეოთხე მოქალაქე (პირველ სამს უახლოვდება). გამაგებინეთ, რა ხდება აქ ამ საღამოს?

მეორე მოქალაქე. ექიმი სტოკმანი ფოგტის წინააღმდეგ გამოსვლას აპირებს.

მეოთხე მოქალაქე. კი მაგრამ, ძმები არ არიან?

პირველი მოქალაქე. მერე რა? ექიმი უკან არ დაიხვეს.

მესამე მოქალაქე. მაგრამ თვითონვე რომ სცდება? „სახალხო გაზეთშია“ დაბეჭდილი.

მეორე მოქალაქე. როგორც ჩანს, ამჯერად მართლა ექიმი სცდება. ალბათ, ამიტომაცაა, რომ არაეინ მოინდომა დარბაზი დაეთმო მისთვის. არც სახლის მფლობელთა კავშირმა, არც საქალაქო კლუბმა...

პირველი მოქალაქე. სანატორიუმშიაც კი უარი უთხრეს.

მეორე მოქალაქე. მაშ, რა გეგონათ?

მეხუთე მოქალაქე (სხვა ჯგუფში). რა ექნათ, ვის დაუუქიროთ მხარი?

მეექვსე მოქალაქე (იმავე ჯგუფში). იცი, რა? ასლაკსენზე გეპიროს თვალი. რასაც იზამს, შენც ისე მოიქეცი.

ბილინგი (ილლიაში საქალაქე ამოუჩრია და ბრბოში მიიკვლევს გზას). მომიტევეთ ბატონებო! თუ შეიძლება, გამატარეთ... „სახალხო გაზეთიდან“ ვარ... დიდი მადლობა! (მარცხენა მხრიდან უქდება მაგიდას).

მუშა. ნეტა ეს ვინლა მიგდია?

მეორე მუშა. პირველად ხედავ? ეს ჩიკრიკელა ასლაკსენის გაზეთში მუშაობს.

მარჯვენა კარიდან კაპიტან ჰორსტერს ფრუ სტოკმანი და პეტრა შემოჰყავს; მათ უკან ელიფი და მორტენი მოსდევენ.

ჰორსტერი. აი, ამ კართან, მე მგონია, ყველანი მოთავსდებით. თუ საჭირო შეიქნა, აქედანვე ყველაზე ადვილად შეიძლება გაძვრომა.

ფრუ სტოკმანი. მაშ, თქვენის აზრით, დიდი შეხლა-შემოხლაა მოსალოდნელი?

ჰორსტერი. ვინ იცის?... ამდენი ხალხი!.. მაგრამ თქვენ მშვიდად ისხედით.

ფრუ სტოკმანი (ქდება). რა გულისხმიერი ბრძანდებით, რომ ჩემს ქმარს დარბაზი დაუთმეთ.

ჰორსტერი. რაკილა ყველამ უარი უთხრა...

პეტრა (დედის გვერდით ქდება). და თამამიც, ჰორსტერ!

ჰორსტერი. აბა, რა დიდი სითამამე ამას უნდოდა?

ერთდროულად შემოდიან რედაქტორი ჰოვსტადი და ტიპოგრაფიის მფლობელი ასლაკსენი, მაგრამ სხვადასხვა მხარეს მიიკვლევენ ბრბოში გზას.

ასლაკსენი (ჰორსტერს). ექიმი ჯერ არ მოსულა?

ჰორსტერი. აგერ იქ, იმ ოთახში იცდის.

შემოსასვლელ კართან, სიღრმეში უჩვეულო ჩოჩქოლია.

ჰოვსტადი (ბილინგს). შეხედეთ, შეხედეთ! აი, ფოგტიც!

ბილინგი. დიახ, დამლახვროს ეშმაკმა, მაინც მოვიდა!

ფოგტი ბრბოში იკაფავს გზას და თავაზიანად ესალმება შეკრებილთ, შემდეგ მარცხენა კედელთან ჩერდება. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვენა კარიდან გამოდის ექიმი სტოკმანი. შავი სერთუკი აცვია და თეთრი ქალსტუხი უკეთია. შეკრებილნი კანტიკუნტი ტაშით ხვდებიან; ზოგი ჩუმად ფრუტუნებს. შემდეგ სირუმე ჩამოვარდება.

ექიმი სტოკმანი (ხმაღაბლა). აბა, როგორა ხარ, კატრინ?

ფრუ სტოკმანი. არა მიშავს რა. (ხმას დაუწევს). მხოლოდ გვეედრები, შენებურად არ გაცხარდე, თომას.

ექიმი სტოკმანი. ნუ გეშინია, თავს შეეიკავებ. (საათს დასტკერის, ფიარნაგზე აღის და ხალხს ესალმება). მთელი თხუთმეტი წუთი გადავაცილეთ... მაშ, დავიწყეთ. (ხელნაწერს ამოიღებს).

ასლაკსენი. ჭერ თავმჯდომარე ავირჩიოთ.

ექიმი სტოკმანი. არა, თავმჯდომარე არა გვკირდება.

რამდენიმე დარბაისელი მოქალაქე. დიახ! დიახ!

ფოგტი. მეც მგონია, რომ თავმჯდომარის არჩევა მაინც საჭიროა.

ექიმი სტოკმანი. მაგრამ მე საჭარო ლექციაზე მოვიწვიე ხალხი, პეტერ!

ფოგტი. კურორტის ექიმის ლექციამ შეიძლება კამათი გამოიწვიოს. ხმები (ბრბოდან). თავმჯდომარე! თავმჯდომარე!

პოვსტადი. თავმჯდომარეს მოითხოვენ! ასეთია მოქალაქეთა ნება-სურვილი.

ექიმი სტოკმანი (თავს ერევა). კეთილი, როგორც მოქალაქეებს ნებავეთ.

ასლაკსენი. ბატონო ფოგტო, ხომ არ შეასრულებთ თავმჯდომარის მოვალეობას?

სამი დარბაისელი მოქალაქე (ტაშის კვრით). ბრავო! ბრავო!

ფოგტი. ზოგიერთი ადვილად გასაგები მიზეზის გამო იძულებული ვარ ჩემს კანდიდატურას აცილება მივცე. საბედნიეროდ, ჩვენს შორისაა კაცი, რომელიც, ჩემის აზრით, ყველასათვის მისაღებია. მე ვგულისხმობ სახლის მფლობელთა კავშირის თავმჯდომარეს, ტიპოგრაფიის მფლობელს, ბატონ ასლაკსენს.

ხმები. დიახ! დიახ! გაუმარჯოს ასლაკსენს! ვაშა, ასლაკსენს! ვაშა, ასლაკსენს!

ექიმი სტოკმანი ხელნაწერს იღებს და ფიარნაგიდან ჩამოდის.

ასლაკსენი. რაკი ჩემმა თანამოქალაქეებმა ასეთი ნდობა გამომიცხადეს, უარის თქმას ვერ გავებედავ.

აპლოდისმენტები და ყვირილი „ვაშა!“ ასლაკსენი ფიარნაგზე აღის.

ბილინგი (წერს). ამრიგად, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ასლაკსენი.

ასლაკსენი. რაკი ამ ადგილას ვდგავარ, ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. მე ერთი უწყინარი და მშვიდობიანი კაცი ვარ, კეთილგონიერი ზომიერების მომხრე. ეს ყველამ იცის, ვინც კი მიცნობს.

ხმები. დიახ, დიახ! სწორია, ასლაცენ!

ასლაცენი. ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ზომიერება არის სიქველე, რომელიც ყველაზე მეტად შეპყვრის მოქალაქეს...

ფოგტი. უსმინეთ!

ასლაცენი. ...და რომ კეთილგონიერება და ზომიერება ყველაზე სასარგებლოა საზოგადოებისთვისაც. ამიტომ ჩვენს პატივცემულ თანამოქალაქეს, რომელმაც აქ მოგვიწვია, მე ვურჩევ, ზომიერების ფარგლებში დარჩეს.

კაცი (შემოსასვლელ კართან). გაუმარჯოს ზომიერების მომხრეთა საზოგადოებას!

ხმა. ვინაა ეს თავხედი?

ხმები. სსუ!.. სსუ!..

ასლაცენი. გთხოვთ, ნუ მაწყვეტინებთ, ბატონებო! ვისა სურს სიტყვა?

ფოგტი. ბატონო თავმჯდომარე!

ასლაცენი. სიტყვა ეძლევა ბატონ ფოგტს!

ფოგტი. ახლო ნათესაობის გამო, რომელიც, როგორც ალბათ თვითეულ თქვენგანს მოეხსენება, კურორტის ექიმთან მაკავშირებს, მერჩია, თავი შემეკავებინა ჩემი აზრების გამოთქმისაგან. მაგრამ ჩემი, როგორც კურორტის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობა, ისევე როგორც ქალაქის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ზრუნვა, მაიძულებს წინადადება შემოვიტანო... გამოვდივარ რა იმ მოსაზრებიდან, რომ არც ერთი აქ დამსწრე მოქალაქე სასურველად არ მიიჩნევს იმას, რომ სანატორიუმის სანიტარული მდგომარეობის შესახებ არასწორმა და ცალმხრივად გაზვიადებულმა წარმოდგენებმა შემდგომი გავრცელება ჰპოვოს...

ხმები. დიახ, დიახ! დაუშვებელია! ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ!..

ფოგტი. ...დიახ, სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, წინადადება შემომამქვს, რომ ყრილობამ მოხსენების წაკითხვისა და თავისი აზრის გამოთქმის ნება არ მისცეს კურორტის ექიმს.

ექიმი სტოკმანი (წამოუნთება). რაო?.. ნება არ მომცენ?..

ფრუ სტოკმანი (ჩაახველებს). ჰმ... ჰმ...

ექიმი სტოკმანი (თავს იკავებს). მაშ, ნება არ მომცენ?..

ფოგტი. ჩემს ახსნა-განმარტებაში, რომელიც „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნდა, მე საზოგადოებას გავაცანი უმთავრესი ფაქტები, ასე რომ, ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს შეუძლია

თავისი აზრი შეიქმნას ამ საქმეზე. როგორც აქედან ირკვევა, კურორტის ექიმის წინადადება... გარდა იმისა, რომ ესაა აშკარა უნდობლობის გამოცხადება ადგილობრივი ადმინისტრაციის მიმართ... მიზნად ისახავს მოქალაქეთა დაბეგვრას ზედმეტი გადასახადით, რომელიც, სულ მცირე, ასი ათას კრონს შეადგენს.

ღარბაზში ჩოჩქოლი ატყდება. გაისმის სტვენა.

ასლაკსენი (ზარს აწარუნებს). ჩუმაღ, ბატონებო!.. თავს ნებას მივცემ, მხარი დავუჭირო ბატონი ფოგტის წინადადებას. მეც იმ აზრისა ვარ, რომ ექიმის აგიტაციას რაღაც ფარული მოტივი უდევს საფუძვლად. ის ლაპარაკობს სანატორიუმზე, მაგრამ რევოლუციას კი მოითხოვს, აპირებს სხვა ხელს გადასცეს მმართველობის სადავე. არავის ეპარება ეკვი მის სიწრფელესა და პატიოსნებაში... ღმერთმა დაგვიფაროს! ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მე თვითონაც სახალხო თვითმმართველობის მომხრე ვარ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ის მეტისმეტად მძიმე ხარკად არ დააწვება გადასახადების გადამხდელთ. მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ ასეა საქმე. ეგეც არ იყოს... არა, ღმერთია მოწამე... ამჭერად, თქვენის ნებართვით, არ შემიძლია თანაგრძნობა გამოვუცხადო ექიმს ძალიან ძვირი დავგიჯდება. აი, ჩემი აზრი.

საერთო გამოცოცხლება. აქეთ-იქიდან მოწონების შეძახილები ისმის.

პოვსტადი. მეც იძულებული ვარ, აზრი გამოვთქვა და ჩემ პოზიცია გაგიმელავნოთ. თავდაპირველად მეგონა, რომ ექიმს სტოკმანის აგიტაცია გარკვეულ თანაგრძნობას იმსახურებდა და, როგორც შემეძლო, სრულიად უანგაროდ მხარს ვუჭერდი მას. მაგრამ შემდეგ მივხვდით, რომ შეცდომაში შევუყვანივართ, რაკილა ყალბად წარმოგვიდგინა საქმის არსი...

ექიმი სტოკმანი. ყალბად?!

პოვსტადი. სიტყვების აზრზე ნუ ვიდავებთ; ვთქვათ, არასწორად, ეს თვალნათლივ დაამტკიცა ბატონი ფოგტის ახსნა-განმარტებამ. ვფიქრობ, აქ მყოფთაგან ვერავინ ექვს ვერ შეიტანს ჩემს ლიბერალიზმში. პოზიცია, რომელიც „სახალხო გაზეთს“ უჭირავს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებით, კარგად მოეხსენება თვითეულ თქვენგანს. მაგრამ გამოცდილი და საქმეში ღრმად ჩახედული ხალხის რჩევით მივხვდი, რომ ადგილობრივი პრობლემებისადმი დამოკიდებულებაში გაზეთს გარკვეული სიფრთხილე მართებს...

ასლაკსენი. საესებით ვეთანხმები ორატორს...

ჰოვსტადი. ამ საქმეში ექიმი სტოკმანი აშკარად უპირისპირდება საზოგადოების ნებას. რა გვევლინება, ბატონებო, გაზეთის რედაქტორის უპირველეს და უმნიშვნელოვანეს მოვალეობად, თუ არა თავის მკითხველებთან სოლიდარობა? აქვს თუ არა მას, ასე ვთქვათ, დაუწერელი მოვალეობა და უფლებამოსილება იმისა, რომ თავის თანამოაზრეთა კეთილდღეობაზე იზრუნოს? ან, იქნებ, ვცდები?

ხმები. არა! არა! არა! რედაქტორი ჰოვსტადი მართალია.

ჰოვსტადი. რომ იცოდეთ, როგორი შინაგანი ბრძოლის გადატანა მომიხდა, რათა ურთიერთობა გამეწყვიტა იმ კაცთან, ვის სახლშიაც ამ ბოლო დროს ხშირი სტუმარი გახლდით; კაცთან, რომელიც დღევანდელ დღემდე თავისი თანამოქალაქეების ერთსულოვანი კეთილგანწყობილებით სარგებლობდა; კაცთან, რომლის ერთადერთი, ან, ყოველ შემთხვევაში, უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ გულს უფრო უგდებს ყურს, ვიდრე გონებას.

ცალკეული ხმები (კანტიუნტად). სწორია! ეაშა, ექიმო სტოკმან!

ჰოვსტადი. მაგრამ საზოგადოების წინაშე ჩემმა მოვალეობამ მაიძულა, ურთიერთობა გამეწყვიტა მასთან. თუმცა, მე ვხელმძღვანელობ კიდევ ერთი მოსაზრებით, რომელიც მაიძულებს, წინ აღვუდგე ბატონ ექიმს და შევაჩერო იმ საბედისწერო გზაზე, რომელსაც ის დაადგა. ეს მოსაზრება მისივე ოჯახის ინტერესებითაა ნაკარნახევი...

ექიმი სტოკმანი. საქმეზე ილაპარაკეთ!

ჰოვსტადი. ...ესე იგი, მისი მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილების ინტერესებით.

მორტენი. ჩვენზე ლაპარაკობს, დედა?

ფრუ სტოკმანი. სსუ...

ასლაკსენი. მაშ, ასე, მე გთავაზობთ კენჭი ვუყაროთ ბატონ ფოგტის წინადადებას.

ექიმი სტოკმანი. არაა საჭირო. მე დღეს არ ვილაპარაკებ მთელი იმ უმსგავსოების შესახებ, რაც სანატორიუმში ხდება. არა, არა, დღეს სულ სხვა რამეზე გესაუბრებით.

ფოგტი (ხმადაბლა). ესლა გვაკლდა!

მთვრალი (შემოსასულელ კართან). მე გადასახადს ვიხდი. ამიტომ ერთი ხმა მეცა მაქვს. და ჩემი მტკიცე... ღრმა... უმაგალითო რწმენით...

რამდენიმე ხმა. ჩუმაღ!

სხვები. მთვრალია! გაიყვანეთ!

მთვრალი გაჟყავთ.

ექიმი სტოკმანი. მომცემთ თუ არა სიტყვას?

ასლაკსენი. სიტყვა ეკუთვნის ექიმ სტოკმანს.

ექიმი სტოკმანი. ამ რამდენიმე დღის წინათ რომ ვინმეს გაეებღაა ხმა ჩაექმენდინებინა ჩემთვის, გაშმაგებით დავიცავდი ჩემს წმინდათა-წმინდა, ადამიანურ უფლებებს. მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთია, ახლა გაცილებით უფრო სერიოზულ რამეზე უნდა ვილაპარაკო.

ბრბო უფრო მკიდროდ ერტყმის გას. შეკრებილთა შორის გამოჩნდება მორტენ კილი.

ამ უკანასკნელ დღეებში ბევრს ვფიქრობდი... ძალიან ბევრს ვფიქრობდი იმდენ რამეზე, რომ ლამის თავი გამისკდა...

ფოგტი (ახველებს). კმ...

ექიმი სტოკმანი. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერში გავერკვიე, მოვძებნე საერთო კავშირი და ყველაფერი ცხადზე უცხადესი შეიქნა ჩემთვის. აი, რატომ ვდგავარ თქვენს წინაშე ამ საღამოს. ბევრი რამის მხილებას ვაპირებ, მოქალაქენო. მინდა გაგიზიაროთ ჩემი აღმოჩენა, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ უბადრუკ აღმოჩენასთან შედარებით, რომ ჩვენი წყალსადენი მოწამლულია და რომ სანატორიუმშიც მიაზმით მოწამლულ ნიადაგზე დგას.

ხმები (ძლივს გასაგონად). რას ამბობს?

ფოგტი. ამნაირი ინსინუაცია!..

ასლაკსენი (ხელს ადებს ზარს). ორატორს ზომიერებისაკენ მოკუწოდებ.

ექიმი სტოკმანი. მე ისე გულწრფელად მიყვარდა ჩემი მშობლიური ქალაქი, როგორც შეიძლება თავისი სიყრმის აკვანი უყვარდეს კაცს. ჭერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, როცა აქედან წავედი და უზარმაზარმა მანძილმა, სამშობლოსთან განშორებით გამოწვეულმა სიმძიმელმა და მოგონებებმა აქაურობაცა და აქაურებიც თანდათან უჩვეულო შარავანდელით შემოსა ჩემს თვალში.

ღარბაზში კანტიუნტად გაისმის ტაში და მოწონების შეძახილები.

დიდი ხანი დავყავი ჩრდილოეთში, ამ ღვთისაგან მივიწყებულსა და მიყრუებულ მხარეში. ხანდახან, ქვების გროვებში აქა-იქ ჩაკარგულ ადამიანებთან შეხვედრისას, ჩემდა უნებურად გამიელვებდა თავში, რომ ამ უბადრუქსა და საწყალობელ არსებებს ვეტექიმი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ჩემი პროფესიის კაცი.

დარბაზი დრტვინავს.

ბილინგი. დამლახვროს ლმერთმა, თუ ჩემს სიცოცხლეში ამის მსგავსი რამ გამეგონოს!

ჰოვსტადი. ესაა დაციწვა და აბუჩად აგდება ხალხისა, რომელიც ყოველგვარი პატივისცემის ღირსია.

ექიმი სტოკმანი. მოითმინეთ. არა მგონია, ვინმემ გაბედოს და წამომაყვედროს, რომ ჩრდილოეთში ჩემი მშობლიური ქალაქი დამავიწყდა. იქ მხოლოდ ერთი, ერთადერთი აზრი მასულდგმულებდა, — როგორმე კურორტად მექცია ჩვენი ქალაქი.

ტაშის ცემა და საპროტესტო შეძახილები.

და როცა, ბოლოს და ბოლოს ბედმა გამიღიმა და სამშობლოში დაბრუნება მეღირსა... ასე მეგონა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადის—მეთქი ამ ქვეყნად, მოქალაქენო. მხოლოდ ერთი, ერთადერთი სურვილი დამრჩა: გულმოდგინედ, გამუდმებით, თავდაუზოგავად მეშრომა სამშობლოსა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ფოგტი (სიორცეს მიშტერებია). საკმაოდ უცნაურად კი... ჰმ...

ექიმი სტოკმანი. და, აი, მე ვტკბებოდი აქ ჩემი კურთხეული სიბეცით. მაგრამ გუშინ დილას... უფრო სწორად, გუშინწინ საღამოს... თვალი ამეხილა და პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო ჩვენი ქალაქის ხელისუფალთა წარმოუდგენელი სიჩლუნგე.

ხმაური, შეძახილები, სიცილი.

ფრუ სტოკმანი (ენერგიულად ახველებს). ჰმ... ჰმ... ჰმ...

ფოგტი. ბატონო თავმჯდომარე!

ასლაკსენი (ზარს აწკარუნებს). მე უფლება მაქვს...

ექიმი სტოკმანი. სიტყვას ნუ გამოვეკიდებით, ბატონო ასლაკსენ, არ გეკადრებათ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ თვალი ამეხილა და დავინახე ჩვენი თავკაცების ურცხვი პარპაშის მთელი უხამსობა და უმსგავსოება. აი, რისი ბრალია, რომ ამნაირი სანატორიუმი გვაქვს. ვერ ვიტან ამ ვაჟბატონებს, ყელში ამომივიდნენ. ბოსტანში შეპარული თხებივით ყველაფერი უნდა მოაოხრონ. გზას უღობავენ და გასაქანს არ აძლევენ პატიოსან კაცს. ყველაფერს აჯობებდა, პარაზიტებივით მუსრი გაგვევლო მათთვის...

დარბაზში მღელვარებაა.

ფოგტი. ბატონო თავმჯდომარე, განა ამნაირი გამოხდომა დასაშვებია?

ასლაქსენი (ხელს ადებს ზარს). ბატონო ექიმო!..

ექიმი სტოკმანი. არ მესმის, რა დამემართა, რომ აქამდე ვერ დავინახე ამ ვაჟბატონების ნამდვილი სახე. აკი ყოველთვის თვალწინ მედგა ისეთი იშვიათი ნიმუში, როგორც ჩემი ძმა პეტერი გახლავთ, ზანტი, ზარმაცი, ცრურწმენებში ჩამყაყებული.

ხმაური, სტვენა, სიცილი.

ფრუ სტოკმანი (ახველებს). კმ... კმ...

ასლაქსენი გაშმაგებით აწკარუნებს ზარს.

მთვრალი (კვლავ შემოპარულა დარბაზში). მე ხომ არ მგულის-ხმობთ? დიახ, პეტერსენი გახლავართ, მაგრამ დამლახვროს ეშმაკმა, თუ...

ხმები (აღშფოთებით). ეინაა ეს ლოთი? გაათრიეთ!

მთვრალი კვლავ გაჟაჟა.

ფოგტი. ეინაა, თუ იცით?

ერთ-ერთი მოქალაქე. არ ვიცი, ბატონო ფოგტო.

მეორე მოქალაქე. აქაური არ უნდა იყოს.

მესამე მოქალაქე. ამბობენ, მტვირთავიანო... (დანარჩენი სიტყვები არ ისმის).

ასლაქსენი. ეს კაცი, როგორც ჩანს, ბევარიული ლუდით გამტყვარალა... განაგრძეთ, ბატონო ექიმო, მაგრამ, თუ შეიძლება, ზომიერება დაიცავით!

ექიმი სტოკმანი. კეთილი, მოქალაქენო. კრინტს აღარ დავძრავ ჩვენს თავაკებზე. თუ ვინმე ეცდება, იმნაირი დასკვნა გამოიტანოს ჩემი სიტყვებიდან, თითქოს მე ვცდილობ ანგარიში გაუუსწორო ამ ვაჟბატონებს, დამერწმუნეთ სასტიკად შეცდება. მე მასულდგმულებს ერთი იმედი, რომ ეს გადმონაშთები, დრომოკმული მსოფლმხედველობის ეს დამქაშები თავიანთ თავს თვითონვე გაუთხრიან სამარეს და ექიმის დახმარება სულაც არ იქნება საჭირო, რომ წინაპრებთან გავისტუმროთ ისინი. ეგეც არ იყოს, საზოგადოებისათვის ეს ხალხი როდია ყველაზე მავნე და საშიში; ყველაზე მეტად ესენი როდი უწყობენ ხელს ჩვენი სულიერი ცხოვრების ცხოველმყოფელი წყაროსა და იმ ნიადაგის მოწამვლას, რომელზედაც დაფუძნებულია მთელი საზოგადოებრივი წესწყობილება; ესენი როდი არიან ქეშმარიტებისა და თავისუფლების ყველაზე დაუძინებელი მტრები ჩვენს შორის.

უვირილი ყოველი მხრიდან. მაშ, ვინ? გვითხარი! დავგისახელე!

ექიმი სტოკმანი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დაგისახელებთ! სწორედ ესაა ის დიდი აღმოჩენა, რომელიც გუშინ მოვახდინე. (ხმას აუწევს). ქვემარტივებისა და თავისუფლების ყველაზე საშიში მტერი ჩვენს შორის — ესაა მკიდროდ დარაზმული უმრავლესობა! დიახ, დიახ, მე გეუბნებით, — წყეული, მკიდროდ დარაზმული ლიბერალური უმრავლესობა!

წარმოდგენელი გნაისი და ლიანცელი. უმრავლესობა ყვირის, ფეხებს აბაკუნებს, უსტვენს; რამდენიმე ხანში შესული მოქალაქე შემპარავად გადახედავს ერთმანეთს, ეტყობა, სვირით ტყებთან. ფრუ სტოკმანი შეშინებული წამოხტება. ეილოფი და შორტენი მუქარით მიიწვევენ მოყაყანე მოწაფეებისაკენ. ასლასენი ზარს აწკარუნებს და წესრიგისაკენ მოუწოდებს ხალხს. პოვსტადი და ბილინგი რალაის თქმას აპირებენ, მაგრამ არაფერი არ ისმის. ბოლოს, ხმაური თანდათან ცხრება.

ასლასენი. თავმჯდომარე მოელის, რომ ორატორი უკან წაიღებს თავის დაუფიქრებელ სიტყვებს.

ექიმი სტოკმანი. არასოდეს, ბატონო ასლასენ. სწორედ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა მართმევს თავისუფლებას და სიმართლის თქმის ნებას არ მაძლევს.

პოვსტადი. სამართალი ყოველთვის უმრავლესობის მხარესაა.

ბილინგი. და სიმართლაც, დამლახვროს ღმერთმა!

ექიმი სტოკმანი. უმრავლესობა არასოდეს არ არის მართალი, არასოდეს-მეთქი! ესაა ერთ-ერთი საყოველთაოდ გავრცელებული ყალბი პირობითობა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც ყველა თავისუფალი და მოაზროვნე კაცის ვალია. რა ხალხი შეადგენს უმრავლესობას ჩვენს ქვეყანაში? ქვეიანები თუ სულელები? მე მგონია, ყველა დამეთანხმება, რომ სწორედ სულელები შეადგენენ საშინელსა და ყოვლის დამთრგუნველ უმრავლესობას მთელი დედამიწის ზურგზე. დალახვროს ეშმაკმა, განა მართებულია, რომ სულელები მართავდნენ ქვეიანებს? მითხარით, ესაა სამართალი?

ხმაური და ყვირილი.

დიახ, დიახ, თქვენ შეგიძლიათ მიყვიროთ, მაგრამ ჩემი სიტყვების უარყოფას კი ვერ შესძლებთ! სამწუხაროდ, უმრავლესობის მხარეს ძალაა, მაგრამ არა სიმართლე! მართალი მე ვარ და ჩემისთანა ერთეულები, უმცირესობა ყოველთვის მართალია.

ხელახლა ატყდება ერთი გნაისი.

პოვსტადი. ჰა-ჰა-ჰა! ხელავთ? ექიმი სტოკმანი გუშინდელს აქეთ არისტოკრატი გამხდარა.

ექიმი სტოკმანი. მე უკვე მოგახსენეთ, რომ არა მსურს სიტყვების ტყუილად ფლანგვა, უილაჯო და უმწუო კკუის კოლოფებზე ლაპარაკი, რომლებიც კულში მისჩანჩალებენ ბრბოს. მე ვლაპარაკობ მხოლოდ მცირერიცხოვან, ცალკეულ პიროვნებებზე, რომლებიც ხარბად ისრუტავენ და ითვისებენ ამქვეყნად მოვლენილ ყოველ ახალ ქეშმარიტებას. ეს ადამიანები თითქოს კაცობრიობის მოწინავე პოსტებზე დგანან, — იმდენად წინ, რომ მკიდროდ დარაზმული უმრავლესობა ჭერ კიდევ ვერ მილასლასებულა მათამდე! — და იქედან იბრძვიან სამყაროს ცნობიერებაში ახლად ჩასახული ქეშმარიტებისათვის, რათა მოასწრონ და თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბონ ესა თუ ის უმრავლესობა.

ჰოვსტადი. ესე იგი, ექიმი რევოლუციონერი გამხდარა!

ექიმი სტოკმანი. დიახ, დიახ, დალახვროს ეშმაკმა, ბატონო ჰოვსტად! მე ვაპირებ დაეამხო ის სიცრუე, რომლის თანახმადაც ქეშმარიტება თითქოს იქ არის, სადაცაა უმრავლესობა. მაინც რას წარმოადგენს ის ქეშმარიტება, რომლის ირგვლივაც, ჩვეულებრივ, ირაზმება უმრავლესობა? ესაა იმდენად დრომოკმული ქეშმარიტება, რომ უკვე დროა არქივს ჩაბარდეს. ხოლო როდესაც ქეშმარიტება ასე ძველდება, სიცრუემდე ბევრი აღარაფერი უკლია, ბატონებო.

სიცილი და აღშფოთების გამოხატველი შეძახილები.

დიახ, დიახ, გნებავთ, მერწმუნეთ, გნებავთ, ნუ მერწმუნებით... მაგრამ ქეშმარიტება არც ისე დღეგრძელი მათუსალაა, როგორც ჰგონიათ ადამიანებს. ჩვეულებრივი, ნორმალური ქეშმარიტება ჩვიდმეტსა თუ თვრამეტ წელს ცოცხლობს, დიდი დიდი, ოც წელიწადს, ძალზე იშვიათად — ცოტა უფრო მეტ ხანსაც. მაგრამ ყველა ხნიერი ქეშმარიტება უკიდურესად გამოფიტულია. თუმცაღა უმრავლესობა სწორედ ახლა აღიარებს მათ და სულიერ საზრდოდ სთავაზობს საზოგადოებას. მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამნაირი საზრდო ნაკლებად ნოყიერია; როგორც ექიმს, ალბათ, დამეჯერება. უმრავლესობის მიერ აღიარებული ყველა ეს ქეშმარიტება შარშანდელსა თუ შარშანწინდელ შაშხსა ჰგავს, დამძაღებულ, აშმორებულსა და დაობებულ ბარკლებს. სწორედ ისინი აჩენენ ზნეობრივ სურავანდს, ასე ერთობლივად რომ მძვინვარებს ყველგან, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ასლაკსენი. მე გგონია, ბატონმა ორატორმა ძალზე შორს გადაუხვია მსჯელობის საგანს.

ფოტო. საესეებით ვიზიარებ თავმჯდომარის აზრს.

ექიმი სტოკმანი. ხომ არ შეიშალებ, პეტერ? მე ვცდილობ, იოტის ოდენადაც არ დაეცილდე მსჯელობის საგანს. კი მაგრამ, რაზე ვლაპარაკობ, თუ არა მასაზე, ბრბოზე, ამ წყეულ უმრავლესობაზე?.. სწორედ ის წამლავს-მეთქი ჩვენი სულიერი ცხოვრების წყაროს და ნიადაგსაც გვიწამლავს ფეხქვეშ.

პოვსტადი. თქვენ მხოლოდ იმიტომ ადანაშაულებთ ამაში თავისუფლად მოაზროვნე უმრავლესობას, რომ კეთილგონიერულად მისდევს ექვემდებარებას, საყოველთაოდ აღიარებულ ქეშმარიტებებს?

ექიმი სტოკმანი. ეპ, ჩემო ძვირფასო ბატონო პოვსტად, ნუ მელაპარაკებით ამ ექვემდებარებულ ქეშმარიტებებზე. ქეშმარიტებები, რომლებსაც ახლა აღიარებს მასა, ბრბო, ის ქეშმარიტებებია, რომლებსაც აღიარებდნენ მოწინავე ადამიანები ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრების დროს. ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, ქეშმარიტებებად უკვე აღარ მივიჩნევთ მათ, და მე არ მეგულება იმაზე სანდო ქეშმარიტება, რომ ვერავითარი საზოგადოება ვერ შესძლებს ჯანსაღი სულიერი ცხოვრებით იცხოვროს, თუკი მხოლოდ ამ დრომოკმულსა და დახვესებულ ქეშმარიტებებს დაემყარება.

პოვსტადი. ნაცვლად იმისა, რომ ასე ჰაიპარად ილაპარაკოთ, უმჯობესია, გვითხრათ, მაინც რომელი დრომოკმული და დახვესებული ქეშმარიტებებია ვცხოვრობთ? საინტერესოა ვიცოდეთ!

სხვადასხვა მხრიდან გაისმის მოწონების შეძახილები.

ექიმი სტოკმანი. მე შემეძლო, რამდენიც გნებავთ, იმდენი ჩამომეთვალა მთელი ეს ნაყარნუყარი და ხარახურა, მაგრამ თავდაპირველად შევჩერდები მხოლოდ ერთ, საყოველთაოდ აღიარებულ ქეშმარიტებაზე, რომელიც, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ბილწი სიცრუე, მაგრამ რომლითაც საზრდოობენ ბატონი პოვსტადიცი, „სახალხო გაზეთიცა“ და მისი ხელისმომწერნიც.

პოვსტადი. აბა, გვიბრძანეთ...

ექიმი სტოკმანი. ესაა მოძღვრება, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეთ წინაპრებისაგან და რომელსაც ასე უაზროდ ქადაგებთ მარჯვნივ და მარცხნივ; მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ მასა, ბრბოა ხალხის ბირთვი, რომ სწორედ ესაა თვით ხალხი... რომ ამ ბრბოს რიგით წევრებს, საზოგადოების ამ უვიცსა და გონებაჩლუნგ წარმომადგენლებს, განსჯა-გან-

კითხვის, მოწონების, დაწუნების, სხდომებში მონაწილეობის, საქმის გარჩევისა და მართვა-გამგებლობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ცალკეულ სულიერად ამაღლებულსა და კეთილშობილურ პიროვნებებს.

ბილინგი. არა, დამლახვროს ღმერთმა, თუ მე...

პოვსტადი (იმავედროულად, ყვირილით). მოქალაქენო, დაიხსომეთ ეს! **ხმები** (გაშმაგებით). ოჰო! მაშ, ჩვენ ხალხი არა ვართ? მაშ, მხოლოდ კეთილშობილებს შეუძლიათ მართვა?

მუშა. ძირს! ვინ მისცა ასე ლაპარაკის ნება?

სხვები. შორს ჩვენგან!

ერთ-ერთი მოქალაქე. საყვირს ჩაპბერე, ევენსენ!

გაისმის საყვირის გუგუნი, სტვენა და გაშმაგებული შეძახილები.

ექიმი სტოკმანი (როცა ხმაური ცოტა მიწყნარდება). რას სჩადით? გონს მოეგეთ! თქვენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ შეგიძლიათ მშვიდად მოისმინოთ სიმართლე? მე ხომ არ მოვიტხოვ, რომ ყველანი ასე ერთბაშად დამეთანხმოთ. მაგრამ, მართალი გითხრათ, იმის იმედი კი მქონდა, რომ ბატონი პოვსტადი მაინც მომაგებდა კუთვნილს, თუკი პირუთვნელად განსჯიდა საქმეს. აკი ჩვენი ძვირფასი რედაქტორი თავისუფლად მოაზროვნის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას...

რამდენიმე ხმა (გაოგნებით, ძლივს გასაგონად). თავისუფალი მოაზროვნის ტიტულზეო? რას ამბობს? განა რედაქტორი პოვსტადი თავისუფალი მოაზროვნეა?

პოვსტადი (ყვირის). დამიმტკიცეთ, ბატონო ექიმო, მაინც როდის განვაცხადე ეს პრესაში?

ექიმი სტოკმანი (ჩაფიქრებით). არა, დალახვროს ეშმაკმა, მართალი ხართ. მაგის გამბედაობა ვინ მოგვით? ნუ გეშინიათ, გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩაგაყენებთ, ბატონო პოვსტად. დაე, თვითონ მე ვიყო თავისუფალი მოაზროვნე. ახლა ბუნებისმეტყველების მეშვეობით მე დაგიმტკიცებთ, როგორ გატყუებთ „სახალხო გაზეთი“, როცა გარწმუნებთ, ხალხის ქვეშა-რიტი ბირთვი მასაა, ბრბოაო. ეს წმინდა წყლის საგაზეთო სიცრუე გახლავთ. ბრბო სხვა არა არის რა, თუ არა ნედლი მასალა, რომლისგანაც ხალხმა უნდა შექმნას ხალხი.

დრტენვა, სიცილი, მღელვარება.

და განა იმავე სურათს არ ვხედავთ მთელს ცხოველურ სამყაროში? რა განსხვავებაა, მაგალითად, კულტივირებულსა და არაკულტივირებულ ჭიშებს შორის? ავიღოთ თუნდაც ჩვენი ჩვეულებრივი ქათამი. რამდენ ხორცს იძლევა ეს უბადრუკი

ფრინველი? ერთ ლუქმად არ გეყოფათ, არა? ან რანაირ კვერცხსა დებს? რალა მისი და რალა ყვავის კვერცხი. მაგრამ, აბა, აიღეთ ჭიშიანი ესპანური ან კოპინჰინური ქათამი, ანდა ჭიშიანი ხოხობი თუ ინდაური... და თქვენ მაშინვე თვალნათლივ დაინახავთ განსხვავებას. ან, თუ გნებავთ, ავიღოთ ძაღლები, რომლებთანაც ჩვენ, ადამიანები, ასე ახლოს ვდგავართ. თავდაპირველად წარმოიდგინეთ უბრალო ნაგაზი, ანუ ქეციანი, ვაგლახად გაქუცულ-გაყვლეფილი და მტკერში ამოგანგლული ქოფაკი, რომელიც მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს და სახლის კედლებსა ბილწავს. ახლა ამ ქოფაკს გვერდით დაუყენეთ პუდელი, რომლის წინაპართა მთელი თაობებიც კეთილშობილ ოჯახებში იზრდებოდნენ, სადაც მათ საგანგებოდ ურჩევდნენ საქმელს და სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეეძლოთ მოესმინათ მზიარული სიცილი, სიმღერა, მუსიკის ჰარმონიული ხმები. ან, იქნებ, გგონიათ, რომ პუდელის თავის ქალა სულ სხვანაირად არაა განვითარებული, ვიდრე უბრალო ქოფაკისა? ეპკი არ შეგეპაროთ. ცირკის კლოუნები სწორედ ამნაირ პუდელებს წვრთნიან და ათასნაირ ფოკუსებს ასწავლიან მათ. უბრალო ქოფაკი კი, ცხრაპირ ტყავშიაც რომ გაძვრეს, ვერაფერსაც ვერ ისწავლის, ვერ შეითვისებს.

ხმაური, სიცილ-ხარხარი.

ერთ-ერთი მოქალაქე (ყვირის). ახლა ძაღლებდაც გვიპირებ ქცევას?

მეორე მოქალაქე. ჩვენ ცხოველები არა ვართ, ბატონო ექიმო! ექიმო სტოკმანი. არა, შემოდლია დავიფიციო, რომ ჩვენ ყველანი მაინც ცხოველები ვართ, ჩემო ძვირფასო! ნამდვილი ცხოველები, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგრამ ჭიშიანი ცხოველები, არისტოკრატები, ჩვენს შორის, სამწუხაროდ, ცოტანი არიან. ო, პუდელ-ადამიანებსა და ქოფაკ-ადამიანებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. და ყველაზე სასაცილო მაინც ის გახლავთ, რომ რედაქტორი ჰოვსტადი მთლიანად იზიარებს ჩემს აზრს, სანამ ოთხფეხა ცხოველებს ეხება საქმე...

ჰოვსტადი. მათზე ნუ ვიკამათებთ.

ექიმო სტოკმანი. კეთილი, მაგრამ როგორც კი ორფეხა ცხოველებზედაც ვაერცელებ იმავე კანონს, ბატონი ჰოვსტადი დაუყოვნებლივ უკან იხევეს და ველარა ბედავს თავისსავე შეხედულებას უერთგულოს, ბოლომდე მიიყვანოს თავისი აზრი. მთელს მოძღვრებას თავდაყირა აყენებს და საჭაროდ აცხადებს „სახალხო გაზეთში“, რომ გაპუტული მამლაყინწა

და ქეციანი ქოფაკი სამხეცეთის პირველხარისხოვან ნიმუშებად გვევლინებიან. მაგრამ ყოველთვის ასე ემართება იმას, ვის არსებობაშიაც ჭერ კიდევ ძლიერია მდაბიური დერიტა და ვინც ჭერ კიდევ ვერ ამალღებულა სულიერი არისტოკრატის ღონემდე.

პოვსტადი. არავითარ არისტოკრატობაზე არა ვდებ თავს. ჩემი მშობლები უბრალო გლეხები იყვნენ და ვაძაყობ იმით, რომ ფესვები ღრმად მაქვს გადგმული ხალხში, რომელსაც აქ აბუჩად იგდებენ და დასცინიან...

მუშები. ვაშა, პოვსტად! ვაშა! ვაშა!

ექიმი სტოკმანი. მდაბიორები, რომლებზედაც აქ ვლაპარაკობ, მოსახლეობის მარტოოდენ დაბალ ფენებს როდი ეკუთვნიან. ისინი ყველგან მატლებივით ფუთფუთებენ ჩვენს ირგვლივ. ფესვებიდან კენწერომდე. აბა, შეხედეთ ამ თქვენს კუდაბზიკა და პეწენიკ ფოგტს. ჩემი ძმა პეტერი ისეთივე მდაბიორია, როგორც ყველა ქალამნიანი გაგრია...

სტვენა, სიცილ-ხარხარი.

ფოგტი. მე პროტესტს ვაცხადებ ამნაირი პირადული გამოხდომების წინააღმდეგ!

ექიმი სტოკმანი (აუღმვრევლად). მაგრამ არა იმიტომ, რომ ის, ჩემსავით, პომერანიელი თუ ეშმაკმა უწყის, სადაური მეკობრის შთამომავალია... დიახ, ჩვენ სწორედ ამნაირი გენეალოგია გვაქვს...

ფოგტი. მიქარვაა! უარყოფ!

ექიმი სტოკმანი. არამედ იმიტომ, რომ თავისი უფროსობის თავითა ფიქრობს და მათივე შეხედულებებით აზროვნებს. აი, რატომაა, რომ ჩემს ღიღებულ ძმას პეტერს არისტოკრატობის ნატამალიც არ გააჩნია... და სწორედ ამის გამო — არც თავისუფალი აზროვნებისა...

ფოგტი. ბატონო თავმჯდომარე!

პოვსტადი. მაშასადამე, თქვენ თავისუფალ მოაზროვნებად მხოლოდ არისტოკრატებსა თვლით? ეს რაღაც სრულიად ახალია.

სიცილი.

ექიმი სტოკმანი. დიახ, და ეს უშუალოდ უკავშირდება ჩემს ახალ აღმოჩენას, ისევე როგორც ის, რომ თავისუფალი აზროვნება და ზნეობა თითქმის ერთი და იგივეა. აი, რატომ ვამტკიცებ, რომ „სახალხო გაზეთი“ აღმაშფოთებლად იქცევა, როცა ყოველდღე ქადაგებს ცრუ მოძღვრებას, თითქოს მხოლოდ მასაში, ბრბოში, მკიდროდ დარაზმულ უმრავლესობაშია საძიებელი თავისუფალი აზროვნებაცა და ზნეობაც... მაშინ როდესაც ბიწიერება, უხამსობა და ყოველგვარი სულიერი მწიკელი თუ ხრწნილება, თურმე ნუ იტყვით და, კულტუ-

რული ფენებიდან მოქონავს ხალხში, მსგავს. კ. იმისა, როგორც ათასგვარი სიბინძურე მოქონავს წყალსადენ მიწებში „წის-ქვილის ხევიდან“ და იქ განლაგებული ტყავის ფაბრიკებიდან... ყვირილი, აურზაური.

(აუმღვრევლად, ირონიული ტონით). და იგივე „სახალხო გაზეთი“ ხმამაღლა გაჰყვირის, რომ მასა, ბრბო, უმრავლესობა უნდა ავამაღლოთ კულტურის უმაღლეს მიღწევათა დონემდე. მაგრამ, დალაზვროს ეშმაკმა, „სახალხო გაზეთის“ ქადაგება რომ სერიოზულად მივიღოთ, მაშინ ხალხის ამაღლება, ამ აზრით, აშკარად იმასა ნიშნავს, რომ დასაღუპად გავწიროთ იგი!.. საბედნიეროდ, მტკიცება იმისა, რომ კულტურა გამხრწნელ ზემოქმედებას, დემორალიზაციას ახდენს, მხოლოდ და მხოლოდ ძველი, გაცვეთილი, ტრადიციული სიყალბეა! არა, დემორალიზაციას კულტურა კი არა, თავისი სატანური მოქმედებით სიჩლუნგე, სიღატაკე, ცხოვრების არაადამიანური პირობები ახდენს. სახლში, რომელიც ყოველდღე არ იგვება და ნიავდება — ჩემი ცოლი იმასაც კი ამტკიცებს, იატაკიც ყოველდღე უნდა ირეცხებოდესო, მაგრამ ამაზე კიდევ შეიძლება იდავოს კაცმა, — დიახ, ამნაირ სახლში, ვამტკიცებ მე, ადამიანები სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში კარგავენ აზროვნებისა და ზნეობრივი ქცევის უნარს. ჟანგბადის ნაკლებობის შედეგად თვით სინიდიციცა ჰქნება. მაგრამ ჩვენი ქალაქის ბევრ საცხოვრებელ სახლში მართლაც რომ ჟანგბადის არნახული ნაკლებობაა, რაკილა მთელი ეს მკიდროდ დარაზმული უმრავლესობა იმდენად უსინდისო, იმდენად ურცხვი და უტიფარია, რომ მზადაა სიცრუისა და სიყალბის ქაობზე დააფუძნოს ქალაქის კეთილდღეობა.

ასლაცხენი. გაგონილა, ამნაირი ბრალდება სახეში მიახლო ქალაქის მთელ საზოგადოებას?!

ერთ-ერთი მოქალაქე. მე ვთხოვ ბატონ თავმჯდომარეს, სიტყვა ჩამოართვას ორატორს.

რამდენიმე ხმა (გაცხარებით). დიახ, დიახ! სწორია! სიტყვა ჩამოართვით!

ექიმი სტოკმანი (წამოენთება). მაშინ მე ავდგები და ყველა გზაჯვარედინზე ვიქადაგებ სიმართლეს! სხვა ქალაქების გაზეთებში გამოვაქვეყნებ! მთელ ქვეყანას გაეაგებინებ, რა ხდება ჩვენში!

მოვსტადი. მე მგონია, ექიმს განზრახული აქვს ძირი გამოუთხაროს და გააპარტახოს თავისი მშობლიური ქალაქი.

ექიმი სტოკმანი. დიახ, მე იმდენად მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი, რომ მზადა ვარ, უმაღლესი გამოვუთხარო, ვიდრე გულხელდაკრეფილმა ვუცქირო იმას, თუ როგორ იფურჩქნება სიცრუე მასში!

ასლაცხენი. მაგარი ნათქვამია.

ხმაური, სტენა, ფრუ სტოკმანი ამაოდ ახველებს: ექიმს არ ეყურება მისი.

პოვსტადი (რაც ძალი და ღონე აქვს, ყვირის). კაცი, რომელიც მთელი საზოგადოებისათვის ძირის გამოთხრას აპირებს, საზოგადოების მტერია!

ექიმი სტოკმანი (გაცხარებით). დიდი ამბავი, თუ ძირს გამოუთხრით სიცრუეზე დაფუძნებულ საზოგადოებას! ის კი არა და, სულაც უნდა აღგავო პირისაგან მიწისა! ყველას, ვინც სიცრუეში ცხოვრობს, მავნე ცხოველებივით უნდა გაავლო მუსრი! თქვენ მალე მთელ ქვეყანას მოწამლავთ და დაასნეულებთ, ასე რომ, მთელი ქვეყანა განადგურების ღირსი იქნება. და თუ აქამდე მივიდა საქმე, მაშინ მე უყოყმანოდ ვიტყვი: დაე, დაიქცეს მთელი ეს ქვეყანა, დაე, დაილუპოს მთელი ეს ხალხი!

ხმა. ხალხის მტერია, აბა, რა არის?

ბილინგი. აი, დამლახვროს ღმერთმა, ხმა ერისა!

მთელი ბრბო (ბლავის). დიახ, დიახ, დიახ! მართლა ხალხის მტერია! ჭირივით ეჭავრება მთელი ქვეყანა! სძულს მთელი ხალხი!

ასლაცხენი. როგორც მოქალაქე და როგორც ადამიანი სულის სიღრმეში შეძრწუნებული ვარ იმით, რაც აქ მოვისმინე. ექიმმა სტოკმანმა ახლა ისე ამხილა თავისი თავი, რომ მე არასდროს სიზმრადაც არ მომლანდებია. სამწუხაროდ, სხვა გზა არა მაქვს, კვერი უნდა დავუკრა ჩემი პატივცემული თანამოქალაქეების მიერ აქ გამოთქმულ აზრს. საჭიროდ მიმაჩნია, ეს აზრი რეზოლუციის სახით იქნეს ჩამოყალიბებული. წინადადება შემომამქვს, ოქმს დაერთოს ასეთი დასკვნა: „სხდომამ დაადგინა, კურორტის ექიმი თომას სტოკმანი გამოცხადებული იქნეს ხალხის მტრად“.

„ვამას“ ყოიანი და მოწონების შეძახილები. ბრბო ვიწრო რკალად გარს ერტყმის ექიმს. უსტვენენ და უყვირიან მას. ფრუ სტოკმანი და პეტრა ჯგებიან. ეილიფი და მორტენი მუშტი-კრივს უმართავენ მოწაფეებს, რომლებიც უფროსებთან ერთად უსტვენდნენ. რამდენიმე მოქალაქე მათ გაშველებას ცდილობს.

ექიმი სტოკმანი (გარს შემოჭარულთ). ეი, თქვენ, დოღორიალებო! გეუბნებით, რომ...

ასლაცხენი (ზარს აწკარუნებს). ექიმს სიტყვას ვართმევთ. მხოლოდ ფორმალურად უნდა ვუყაროთ კენჭი. მაგრამ იმ მიზნით, რომ უხერხულ მდგომარეობაში არვიან ჩავადლოთ, წინადადება შემომამქვს, წერილობით მოგვაწოდოთ თქვენ-თქვენი აზრი. ხელმოწერა არაა საჭირო. სუფთა ფურცლები ხომ არ გექნებათ, ბატონო ბილინგ?

ბილინგი. კი ბატონო, თეთრიც და ლურჯიც.

ასლაკსენი (ფიცარნავიდან ჩამოდის). კეთილი. მით უფრო მალე მოვრჩებით საქმეს. ბარათებად დაკვირით. აი, ასე. (შეკრებილთ). ლურჯი ბარათი „არას“ ნიშნავს, თეთრი კი — „ჰოს“. მე თვითონ ავკრებ ბარათებს.

ფოგტი დარბაზს ტოვებს. ასლაკსენი და კიდეე რამდენიმე მოქალაქე ბარათებს უროგებენ ხალხს.

პირველი დარბაისელი მოქალაქე (პოესტადს). რა მოუვიდა ექიმს? რას ნიშნავს ყოველივე ეს?

პოესტადი. ხომ მოგეხსენებათ, რა თავშეუყავებელი კაცია.

მეორე დარბაისელი მოქალაქე (ბილინგს). რამდენადაც ვიცი, თქვენ და ექიმი კარგი ნაცნობები ბრძანდებით; თუ შეგიძინევიათ, ხომ არა სვამს?

ბილინგი. არ ვიცი, დამლახვროს ღმერთმა, ვერაფერს გეტყვით... თუმცა, რა დროსაც არ უნდა ეწვიოთ, მაგიდაზე ყოველთვის პუნში უდგათ.

მესამე დარბაისელი მოქალაქე. არა, ჩემის აზრით, ცოტა არ იყოს, აფრენს.

პირველი დარბაისელი მოქალაქე. რაიმე მემკვიდრეობითი სიგიჟე ხომ არა სჭირს?

ბილინგი. შეიძლება.

მეოთხე დარბაისელი მოქალაქე. არა, ეს მხოლოდ გაბოროტებული კაცის საქციელია; შურს ხომ არაფერზე იძიებს?

ბილინგი. რა ვიცი, ამას წინათ რაღაც ხელფასის მომატებაზე ლაპარაკობდა. მაგრამ არ მოუმატეს.

ოთხივე დარბაისელი მოქალაქე (ერთხმად). აჰა! მაშინ ყველაფერი გასაგებია.

მთვრალი (ბრბოში). მე მინდა ლურჯი ბარათი... თეთრიც...

ყვირილი. რას გადაგვეკიდა ეს ლოთი? გაათრიეთ!

მორტენ ჰილი (ექიმს უახლოვდება). აბა, სტოკმან, ახლა ხომ ხედავთ, რომ ცეცხლთან თამაში საშიშია!

ექიმი სტოკმანი. მე ჩემი მოვალეობა შევასრულე.

მორტენ ჰილი. რაო, მაინც რა ბრძანეთ ტყავის ფაბრიკებზე?

ექიმი სტოკმანი. ხომ გაიგონეთ. მე ვთქვი, რომ მთელი ეს სიბინძურე მათგან მოდის.

მორტენ ჰილი. ესე იგი, ჩემი ფაბრიკიდანაც?

ექიმი სტოკმანი. სამწუხაროდ, თქვენი თითქმის ყველაზე უარესია.

მორტენ ჰილი. და ყოველივე ამას გაზეთებში გამოაქვეყნებთ?

ექიმი სტოკმანი. არაფერს არ დავმაღავ.

მორტენ ჰილი. ძვირად კი დაგიჯდებათ, სტოკმან! (მიდის).

- ჩასუქებული მოქალაქე (პორსტერს უახლოვდება; ქალებს ყურადღებას არ აქცევს). მაშ, თქვენ, კაპიტანო, ხალხის მტერს უთმობთ დარბაზს?
- პორსტერი.** მე ვთვლი, რომ ჩემს საკუთრებას როგორც მინდა, ისე გამოვიყენებ, ბატონო კომერსანტო.
- კომერსანტი.** მაშინ, ალბათ, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თუ მეც ასევე გამოვიყენებ ჩემსას.
- პორსტერი.** ეგ როგორ გავიგოთ?
- კომერსანტი.** ხვალ შეგატყობინებთ. (ზურგს შეაქცევს და მიდის).
- პეტრა.** ეს კაცი თქვენი ხომალდის მებატრონეა, პორსტერ?
- პორსტერი.** დიახ, კომერსანტი ვიცი.
- ასლაკსენი** (ხელში ბარათები უკირავს, ფიცარნაგზე აღის და ზარს აწკარუნებს). ბატონებო, ნება მიბოძეთ, კენჭისყრის შედეგები გაგაცნოთ. ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ...
- ახალგაზრდა მოქალაქე.** ეგ ერთი ხმაც იმ ლოთისია!
- ასლაკსენი.** დიახ, ყველა ხმით ერთი, ისიც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის ხმის წინააღმდეგ, კურორტის ექიმი თომას სტოკმანი ხალხის მტრად ცხადდება.
- ყვირილი და მოწონების შეძახილები.
- გაუმარჯოს ჩვენი ქალაქის ყველა ძველისძველ, საპატიო წოდებას! გაუმარჯოს ჩვენს ღირსეულ საზოგადოებას!
- კვლავ გაისმის მოწონების შეძახილები.
- გაუმარჯოს ჩვენს ღრმად პატივცემულსა და საქმისთვის თავდადებულ ფოტსაც, რომელმაც ასე ლოიალურად ჩაიხშო გულში ნათესაური გრძნობა.
- „ვაშას“ ძახილი.
- სხდომას დახურულად ვაცხადებ. (დაბლა ჩამოდის).
- ბილინგი.** გაუმარჯოს ბატონ თავმჯდომარეს!
- მთელი ბრბო.** გაუმარჯოს ასლაკსენს! ვაშა!
- ექიმი სტოკმანი.** ჩემი პალტო და ქული, პეტრა! კაპიტანო, ადგილი ხომ არ მოგეძებნებათ თქვენს გემზე ამერიკაში მიმავალი მგზავრებისათვის?
- პორსტერი.** თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისათვის ყოველთვის მომეძებნება, ბატონო ექიმო.
- ექიმი სტოკმანი** (პეტრას დახმარებით იცვამს პალტოს). კეთილი. წავიდეთ, კატრინ. წავიდეთ, ბავშვებო. (ხელკავს გამოსდებს კოლს).
- ფრუ სტოკმანი** (ხმადაბლა). უკანა კარით ხომ არ გავსულიყავით, ჩემო ძვირფასო?
- ექიმი სტოკმანი.** როგორ გეკადრება, კატრინ! (ხმაშლლა) მტერის ჩამობერტყვასაც ვერ მოასწრებთ თქვენი ფეხიდან, რომ კვლავ

გაიგონებთ ხალხის მტრის სახელს. ერთი ვინმესავით ყოვლის მიმტევებელი ხომ არ გგონივართ, და არც მასავით გეტყვიო: შეგინდოთ უფალმა, რამეთუ არ იციო, რასა იქმთ!

ასლაკსენი (ყვირის). ეს მკრეხელობაა, სტოკმან!

ბილინგი. დიახ, დალახეროს ღმერთმა! ნეტავი ეს არ გამეგონა!

უხეში ხმა. კიდეც რომ გვემუქრება?

რამდენიმე ხმა (გამშაგებით). წავიდეთ, ფანჯრები ჩავუმსხვრიოთ! წყალში ჩავაგდოთ!

ხმა (ბრბოში). საყვირს ჩაპბერე, ევენსენ! რაც ძალი და ღონე გაქვს!

ერთმანეთში ირევა საყვირის გუგუნი, სტვენა, გნიასი, ღრიანცელი. ექიმი, თავისი ოჯახის თანხლებით, გასასვლელისაკენ მიემართება. კაპიტანი პორსტერი გზას უკაფავთ.

მთელი ბრბო (უკან მისძახის). ხალხის მტერი! ხალხის მტერი! ხალხის მტერი!

ბილინგი (ქალაღებს ალაგებს). არა, დამლახეროს ღმერთმა, თუ ამ საღამოს პუნშზე ვესტუმრო ექიმს!

ღრიანცელი. ხალხი გასასვლელს აწყდება; შემდეგ ხმაური ქუჩაში გადაინაცვლებს და ახლა იქიდან მოისმის ყვირილი: „ხალხის მტერი! ხალხის მტერი“!

მეხუთე მოქმედება

ექიმ სტოკმანის კაბინეტი. კედელზე წიგნის თაროები და სხვადასხვა პრეპარატებით საესე კარადებია. სიღრმეში შემოსასვლელი კარი მოჩანს; წინ, ხელმარცხნივ, — სასტუმრო ოთახის კარი. მარჯვენა კედელზე, ორი ფანჯრის მინები ჩამსხვრეულია. შუა ოთახში ექიმის საწერი მაგიდა დგას, რომელზედაც გროვად აწყვია წიგნები და ქალაღები. მთელი ოთახი საშინლად არეულ-ღარეულია. დილაა.

ექიმ სტოკმანს საშინაო ხალათი და ფეხსაცმელები აცვია, თავზე ქული ახურავს; წელში მოხრილი ქოლგის ტარს კარადის ქვეშ აფათურებს, რაღაცას ეძებს.

ექიმი სტოკმანი (კარადის ქვემოდან პატარა ქვას გამოაგორებს და სასტუმრო ოთახის ღია კარში გასძახის). ერთიც ვიპოვე, კატრინ!

ფრუ სტოკმანი (სასტუმრო ოთახიდან). ჯერ სადა ხარ, კიდეც ბევრს იპოვი!

ექიმი სტოკმანი (მაგიდაზე დახევებული ქვების გროვას უმატებს ახლად ნაპოვნს). წმინდათა-წმინდა რელიქვიასავით გავუფრთხილდები. მე მინდა, რომ ეილიფსა და მორტენს ყოველთვის თვალწინა ჰქონდეთ, ხოლო როდესაც გაიზრდებიან, მემკვიდრეობით მიიღებენ ჩემგან. (ქოლგის ტარს კვლავ აფათურებს

კარდის ქვეშ). პო, მართლა, ეე... დალახვროს ეშმაკმა, რა
ჰქვია?... აი, ჩვენი მოსამსახურე გოგო ჭერ კიდევ არ
გაგიგზავნია მეშუშესთან?

ფრუ სტოკმანი (შეშოღის). როგორ არა, იყო, მაგრამ უარი უთქვამს,
დღეს არ შემიძლიაო.

ექიმი სტოკმანი. აი, ნახავ, თუ გაბედოს.

ფრუ სტოკმანი. პო, რანდინამაც ასე თქვა, მეზობლებისა ეშინიაო.
(სასტუმრო ოთახისკენ შეტრიალდება). რა იყო, რანდინა? ა! (გაღის
და მაშინვე ბრუნდება). წერილია, თომას.

ექიმი სტოკმანი. ვნახოთ. (ხსნის და კითხულობს). მაშ, ასე?

ფრუ სტოკმანი. ვისია?

ექიმი სტოკმანი. სახლის პატრონისა. ბინა დამიცალეთო.

ფრუ სტოკმანი. მართლა? ასეთი პატიოსანი კაციც...

ექიმი სტოკმანი (წერილს ჩახედავს). ასე გვეწერს, მეტი გზა არა
მაქვსო. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მეზობლებს ვერ მოვიმდუ-
რებ, ხალხის აზრს ანგარიში უნდა გავუწიოო... რა ექნა, მე
ერთი საწყალი კაცი ვარ და ხელისუფალთა ნებას წინ ვერ
აღუუდგებიო.

ფრუ სტოკმანი. ხომ ხედავ, თომას.

ექიმი სტოკმანი. ვხედავ, ვხედავ. ამ ჩვენს ქალაქში ყველა
მხდალია. ერთმანეთის შიშით ლამის... (წერილს მაგიდაზე
დაადგებს). თუმცა რა... ჩვენთვის ყველაფერი სულერთია,
კატრინ. მალე ამერიკაში წავალთ და...

ფრუ სტოკმანი. აჰ, თომას, ყველაფერი კარგად მოიფიქრე,
აწონ-დაწონე?

ექიმი სტოკმანი. მაშ, რას მიბრძანებ, აქ დავრჩე, სადაც
სამარცხვინო ბოძთან დამაყენეს, როგორც ხალხის მტერი,
თავსლადი დამასხეს, დამაწიოკეს, ფანჯრები ჩამიმსხვრიეს?
აბა, შეხედე, ჩემი შავი შარვალი შემომახიეს!

ფრუ სტოკმანი. აჰ, ღმერთო ჩემო! ეს იყო შენი ყველაზე კარგი
შარვალი!

ექიმი სტოკმანი. არასოდეს არ უნდა ჩაიცვა ყველაზე უკეთესი
შარვალი, როცა თავისუფლებისა და ქვეშაობების დასაცა-
ვად მიდიხარ. ჭანდაბას შარვალი, რა მოხდა, ხომ დამიკერებ.
მაგრამ, აი, იმას, რომ ეს ცინგლიანები ისე დამესხნენ თავს,
თითქოს ჩემი ტოლ-სწორნი ყოფილიყვნენ, — ჩემს სიცო-
ცხლეში ვერ მოვინებებ.

ფრუ სტოკმანი. დიახ, საშინლად მოგექცნენ, თომას. მაგრამ ნუთუ
ამის გამო უნდა მივატოვოთ სამშობლო?

ექიმი სტოკმანი. როგორ გგონია, მდაბიორები სხვაგანაც
ისეთივე თავხედები არ იქნებიან, როგორც აქ? ვაის
გავეყარე, ვუის შევეყარეო. მაგრამ ჰირსაც წაუღია ყველა.

ძალი ყვეას არ მოიშლის. ეს როდია ყველაზე დიდი უბედურება. არა, ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ადამიანები ამ ქვეყანაში სხვადასხვა პარტიის მონები არიან. თუმცა, ამ მხრივ, არც თავისუფალ დასავლეთსა აქვს საკვებნად საქმე. იქაც ასევე მძინვარებს მკიდროდ დარაზ-მული უმრავლესობა, ლიბერალური საზოგადოებრივი აზრი და მთელი ეს ჯანდაბა და ღოზანა. მაგრამ იქაური ცხოვრება მაინც უფრო ლალია, თავისუფალი. იქ ადამიანებმა შეიძლება ტყვია გესროლონ, მაგრამ ნელი წამებით კი არ მოგკლავენ. ისინი ჩვენსავით მარწუხებში როდი აქცევენ ადამიანის თავისუფალ სულს. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც შეიძლება, რომ განაპირდე ან განმარტოვდე. (ბოლთასა სემს). ნეტა ვიცოდე, სად შეიძლება იათად იყიდო ერთი ხელის დადება ადგილი უსიერ ტევრში, ან ერთი ციკქნა კუნძული სადღაც წყნარ ოკეანეში?..

ფრუ სტოკმანი. კი მაგრამ, ბიკები, თომას?

ექიმი სტოკმანი (ჩერდება). რა უცნაური ქალი ხარ, კატრინ! მაშ, ის გირჩეენია, რომ ჩვენი ბიკები ამნაირ საზოგადოებაში გაიზარდონ? აკი წუხელ შენ თვითონა თქვი, ნახევარი ქალაქი შეიშალაო? ხოლო თუ მეორე ნახევარიც კკუიდან არ შეიშალა, მხოლოდ იმიტომ, რომ მარტოოდენ ვირებისაგან შედგება, რომლებსაც კკუის ნატამალიც არ გააჩნიათ.

ფრუ სტოკმანი. აჰ, ძვირფასო თომას, შენც ხომ... ისეთი დაუფიქრებელი ლაპარაკი იცი.

ექიმი სტოკმანი. უყურე შენ! კი მაგრამ, სიმართლის მეტი რა ვთქვი? განა ისინი წინაუკმო არ ატრიალებენ ყოველგვარ ცნებას? ერთმანეთში არ ურევენ ტყუილს და მართალს? სიცრუედ არ ნათლავენ იმას, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, ქეშმარიტებაა? მაგრამ ყველაზე დიდი გაიძვერები მაინც ეს დამყაყებელი ლიბერალები არიან, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად პარპაშობენ აქ და სვდობენ, როგორმე დაარწმუნონ თავიანთი თავიც და სხვებიც, თავისუფლად მოაზროვნეები ვართო. ოდესმე მაინც თუ გსმენია ამნაირი რამ, კატრინ?

ფრუ სტოკმანი. დიახ, დიახ, ყოველივე ეს სიბრიყვეა, წმინდა წყლის სისულელეა, მაგრამ...

სასტუმრო ოთახიდან შემოდის პეტრა.

უკვე დაბრუნდი სკოლიდან?

პეტრა. დიახ, დამითხოვეს.

ფრუ სტოკმანი. დაგიტხოვეს?

ექიმი სტოკმანი. შენც?

პეტრა. ფრუ ბრუქსმა დამითხოვა და მე გადაეწვივითე, რომ უმჯობესი იქნებოდა, მაშინვე წამოვსულიყავი.

- ექიმი სტოკმანი. სწორადაც მოქცეულხარ, ლმერთმანი.
- ფრუ სტოკმანი. ვინ იფიქრებდა, რომ ფრუ ბრუკსი ამნაირ გულღრმობას გამოიჩენდა?
- პეტრა. არა, დედა, ფრუ ბრუკსი სულაც არაა გულღრმო ადამიანი. აშკარად ეტყობოდა, რომ თვითონაც ძალიან წუხდა. მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, — თვითონვე მითხრა. ჰოდა, დამითხოვა კიდევ.
- ექიმი სტოკმანი (იციხის და ხელებს იფშვნეტს). სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო! ყველა ერთსა და იმავეს გაიძახის! გადასარევი ამბავია!
- ფრუ სტოკმანი. დიახ, გუშინდელი უმსგავსოების შემდეგ...
- პეტრა. არა მარტო მაგიტომ, მომისმინე, მამა.
- ექიმი სტოკმანი. გისმენ.
- პეტრა. ფრუ ბრუკსმა სამი წერილი მიჩვენა, დღეს დილით მიუღია.
- ექიმი სტოკმანი. ალბათ, ანონიმური.
- პეტრა. დიახ.
- ექიმი სტოკმანი. გასაგებია. თავიანთი სახელით მოქმედებას ვერ ბედავენ, კატრინ.
- პეტრა. ორში ეწერა, რომ ერთ-ერთ ვაებატონს, რომელიც ჩვენსას დაიარებოდა, სალამოს კლუბში უთქვამს, რომ მე თითქოს მეტისმეტად თამამსა და თავისუფალ აზრებს გამოვთქვამ ხოლმე...
- ექიმი სტოკმანი. იმედია, საწინააღმდეგოს მტკიცებას არ მოპყვლიხარ.
- პეტრა. რა თქმა უნდა, არა. თვითონ ფრუ ბრუკსიც დროდადრო საკმაოდ თავისუფალ აზრებს გამოთქვამს, როცა მარტო ვრჩებით პირისპირ. მაგრამ რაკი ჩემზე ამნაირი ხმები დაირხა, მანაც ველარ გაბედა ჩემი დაცვა.
- ფრუ სტოკმანი. წარმოგიდგენიათ? ამ ხმებს აერცვლებს კაცი, რომელიც ჩვენს ოჯახში დაიარებოდა! ხომ ხედავ, თომას, როგორ გიხდიან სტუმართმოყვარეობის სანაცვლოს?
- ექიმი სტოკმანი. ამნაირ ღორებში ცხოვრება აღარ შეიძლება. საჩქაროდ შეჰკარით ბარგი, კატრინ. რაც უფრო მალე წავალთ, მით უკეთესი.
- ფრუ სტოკმანი. ჩუმაღ! მგონი, დერეფანში ვილაცა მოდის. გახედე, პეტრა.
- პეტრა (შემოსასვლელ კარს აღებს). აჰ, ეს თქვენა ხართ, კაპიტანო ჰორსტერ? მობრძანდით, მობრძანდით!
- ჰორსტერი (შემოდის). გამარჯობათ. შემოგვიარეთ, რომ გამეგო, როგორაა საქმე.
- ექიმი სტოკმანი (მაგრად ართმევს ხელს). გმადლობთ, დიდი გულის-ხმიერებაა თქვენის მხრივ.

ფრუ სტოკმანი. იმისთვისაც გმადლობთ, რომ გუშინ იმ ჯოჯოხეთიდან გამოღწევაში დაგვენხმარეთ, კაპიტანო ჰორსტერი.

პეტრა. თქვენ თვითონ როგორღა დაბრუნდით შინ?

ჰორსტერი. მშვიდობიანად. ჩემი დაშინება არც ისე ადვილია, ეს ვაჟბატონები კი მხოლოდ ენის ტარტარში არიან მაგრები.

ექიმი სტოკმანი. დიახ; რა ნიშანდობლივია მათი ბილწი სიმბდალე! აქ მოდით, რალაცას გიჩვენებთ. აი, აქ არის ყველა ქვა, რომლებითაც ფანჯრები ჩალეწეს. მათ შორის ერთიც არ ურევი კაი გვარიანად მოზრდილი რიყის ქვა, ყველა მხოლოდ უზადრუკი კენკები, წვრილი ქვა-ლორლი. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რამდენს მემუქრებოდნენ, კისერს მოგიგრებთო, მიწასთან გაგასწორებთო... სინამდვილეში კი... სინამდვილეში ამ ვაჟბატონებისაგან არაფერი სერიოზული არ არის მოსალოდნელი.

ჰორსტერი. მით უკეთესი თქვენთვის, ბატონო ექიმო.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. საქმე რომ სერიოზული პოლიტიკური საკითხის გამო მძაფრ შეხლა-შემოხლასა და შეტაკებამდე მივიდეს, თქვენი თვალთა ნახავთ, როგორ დაფრთხება საზოგადოებრივი აზრი და მთელი ეს მკიდროდ დარაზმული უმრავლესობა ცხერის ფარასავით მოკურცხლავს უკან. აი, რა არის საწყენი, აი, რად მტკივა გული, თუმცა, დალაზვროს ეშმაკმა, არსებითად, ყოველივე ეს სისულელეა. მათ ხალხის მტერი მიწოდეს, მაშ, დაე, ხალხის მტერი ვიყო!

ფრუ სტოკმანი. სანამდის შენ ხალხს არ უმტრო, მანამდის...

ექიმი სტოკმანი. ძალიანაც ნუ გამოიღებ თავს, ვატრინ. ავი სიტყვა ხანდახან ისე მოქმედებს სულზე, როგორც ნემსის ჩხვლეტა — ფილტვებზე. ხოლო ეს დაწყველილი სიტყვა... ვერ იქნა და ვერ დავივიწყე. ისე ღრმადა ზის, აი, აქ, გულის კოვზთან, სისხლსა მწოვს და მუაეასავით მწვავს. ვერავითარი მაგნეზია ამ ჩემს სატკივარს ვერ უშველის.

პეტრა. გეყოფა, მამა, სასაცილოდაც არ უნდა გყოფნიდეს...

ჰორსტერი. ადრე თუ გვიან, ხალხი უთუოდ შეიცვლის თავის აზრს, ბატონო ექიმო.

ფრუ სტოკმანი. დიახ, თომას, ეკვი არ შეგეპაროს; ისევე, როგორც იმაში, რომ ცოცხალი ხარ.

ექიმი სტოკმანი. ალბათ, მაგრამ უკვე გვიან იქნება... ახია მათზე. ისხდნენ ახლა წუმპეში და სინანულით იძახონ, რა ექენით, ეს ვინ გაეაძვეეთო! როდის მიემგზავრებით, კაპიტანო?

ჰორსტერი. ჰმ... კაცმა რომ თქვას, სწორედ ამის გამო გაახელით...

ექიმი სტოკმანი. რა მოხდა, გემს ხომ არ მოუვიდა რამე?

ჰორსტერი. არა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ გემით ველარ წავალ.

პეტრა. ნუთუ თქვენც დაგიბოვებს?

პორსტერი (ილიპება). გამოიცანით.

პეტრა. თქვენც?

ფრუ სტოკმანი. ხედავ, თომას?

ექიმი სტოკმანი. მაშ თქვენც სიმართლის გამო?.. ეს რომ წინასწარ მცოდნოდა...

პორსტერი. გთხოვთ, ასე ახლოს ნუ მიიტანთ გულთან. რა ღმერთი გაწყურება, სადმე, სხვა ქალაქის საზღვაო კომპანიაში უთუოდ ვიშოვი ადგილს.

ექიმი სტოკმანი. ესეც შენი კომერსანტი ვიკი, მდიდარი და სავესებით დამოუკიდებელი კაცი... ფუჰ, დალახეროს ეშმაკმა!

პორსტერი. ისე კი, ჩემის აზრით, ურიგო კაცი არ არის. თვითონვე მითხრა, დიდი სიამოვნებით დაგტოვებდით ჩემთან სამუშაოდ, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვბედავო...

ექიმი სტოკმანი. ვერ ვბედავო?.. ჰო, რა თქმა უნდა.

პორსტერი. რაკილა გარკვეულ პარტიას ვეკუთვნი, სხვანაირად მოქცევა არ შემიძლიაო.

ექიმი სტოკმანი. ეს კი მართალი უთქვამს ამ ღირსეულ კაცს. რალა პარტია და რალა ხორცსაკეპი მანქანა, — ყველა ტვინს ერთმანეთში აზელილ ფარშად აქცევს, და, აი, შედეგად ვიღებთ ხორცის ფარშითა და სხვა ათასი ჯანდაბითა და ღოზანით გამოტენილ თავებს.

ფრუ სტოკმანი. აჰ, თომას!

პეტრა (პორსტერს). გუშინ რომ არ გამოგეცილებინეთ, ეს არ მოხდებოდა.

პორსტერი. არაფერს არ ვნანობ.

პეტრა (ხელს ართმევს). გმადლობთ.

პორსტერი (ექიმს). და კიდევ, აი, რისი თქმა მინდოდა თქვენთვის: თუ აუცილებლად აპირებთ წასვლას, სხვა გზა მოვიფიქრე...

ექიმი სტოკმანი. კეთილი და პატიოსანი. ოღონდ სასწრაფოდ ავიბარგო აქედან.

ფრუ სტოკმანი. სსუ... მგონი, აკაკუნებენ.

პეტრა. ალბათ, ბიძაჩემია.

ექიმი სტოკმანი. აჰა! (ხმაილად). მობრძანდით!

ფრუ სტოკმანი. ძვირფასო თომას, სიტყვა მომეცი, რომ ამჯერად მაინც...

შემოდის ფოგტი.

ფოგტი. აა, სტუმარი გყავს? მაშინ მე...

ექიმი სტოკმანი. არა, შემოდი, შემოდი...

- ფოტო.** მაგრამ მე მინდოდა პირისპირ მოგლაპარაკებოდი.
- ფრუ სტოკმანი.** ჩვენ შეგვიძლია სასტუმრო ოთახში გავიდეთ.
- პორსტერი.** მე კი მოგვიანებით შემოგივლით.
- ექიმი სტოკმანი.** არა, ნუ წახვალთ, კაპიტანო, მე მინდა ყველაფერი დაწვრილებით გავიგო.
- პორსტერი.** კეთილი. დაგელოდებით. (ფრუ სტოკმანისა და პეტრას კვალდაკვალ სასტუმრო ოთახში გადის).
- ფოტო** უსიტყვოდ ათვალიერებს ჩამსხვრეულ ფანჯრებს.
- ექიმი სტოკმანი.** რას იტყვი, დღეს აქ საკმაოდ გრილა, არა? ქუდი დაიხურე.
- ფოტო.** გმადლობ, — თუ შეიძლება. (ქუდს იხურავს). გუშინ, მგონი, გავცივდი. სულ მთლად გავითოშე...
- ექიმი სტოკმანი.** მართლა? მე კი მგონია, მაგარი სიცხე იყო.
- ფოტო.** ეწუხვარ, რომ ვერ შევძელი, თავიდან ამეცილებინა მთელი ეს უმსგავსოება.
- ექიმი სტოკმანი.** სხვა რამის სათქმელადაც მოხვედი, თუ...
- ფოტო** (დიდ კონვერტს იღებს). დავალებული მაქვს, აი, ეს დოკუმენტი გადმოგცე კურორტის დირექციის სახელით.
- ექიმი სტოკმანი.** განთავისუფლების თაობაზე?
- ფოტო.** დიახ, დღეიდან. (მაგიდაზე ღებს კონვერტს). ძალიან ეწუხვარ, მაგრამ მეტი გზა არა გვაქვს. იძულებული ვართ, საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გავუწიოთ.
- ექიმი სტოკმანი** (ელიშება). მეტი გზა არა გაქვთ? დღეს უკვე გავიგონე ეს სიტყვა.
- ფოტო.** გთხოვ, დაუფიქრდი შენს მდგომარეობას. ამიერიდან ჩვენს ქალაქში პრაქტიკის არავითარი იმედი არ უნდა გქონდეს.
- ექიმი სტოკმანი.** ეშმაკსაც წაუღია პრაქტიკა! მაგრამ შენ ისე გულდაჩერებით ლაპარაკობ, თითქოს...
- ფოტო.** სახლის მფლობელთა კავშირი განცხადებებს უგზავნის ხალხს და მოუწოდებს ყველა სალად მოაზროვნე მოქალაქეს, დახმარებისათვის აღარ მოგმართონ. შემიძლია დაგარწმუნო, რომ ვერც ერთი ოჯახის მამა ვერ გაბედავს ანგარიში არ გაუწიოს ამ განცხადებას. გესმის? ვერ გაბედავს.
- ექიმი სტოკმანი.** პო, რა თქმა უნდა. მერე რა?..
- ფოტო.** მე რომ რჩევის მოცემა შემეძლოს, აუცილებლად გირჩევდი, დროებით მაინც გადასულიყავი სხვაგან საცხოვრებლად.
- ექიმი სტოკმანი.** მაგას უშენოდაც ვაპირებ.

ფოგტი. კეთილი. ამრიგად, თუ ნახევარი წელი საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონო, რამდენიმე სიტყვით გამოხატო შენი სინანული და საკუთარი შეცდომა აღიარო, მაშინ...

ექიმი სტოკმანი. მაშინ, ალბათ, შემეძლება კვლავ დაეუბრუნდე ჩემს ძველ თანამდებობას. ასეა, არა?

ფოგტი. გამორიცხული არ არის.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ, საზოგადოებრივი აზრი? აკი სწორედ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მათავისუფლებთ.

ფოგტი. ო, საზოგადოებრივი აზრი მეტისმეტად ცვალებადი რამ არის, და, მართალი გითხრა, ჩვენთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ შენგან ამნაირი აღიარება მიგველო.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. მაშ, ამაზე ილესავთ კბილს? კი მაგრამ, დალახეროს ეშმაკმა, ხომ გახსოვს, რას გეუბნებოდი ამ მზაკერულ ხრიკებზე?

ფოგტი. მაშინ შენ უფრო ხელსაყრელი პოზიცია გეკავა; იმედი გქონდა, რომ მთელი ქალაქი დაგიქერდა მხარს.

ექიმი სტოკმანი. ღიახ. ეხლა კი ვხედავ, რომ მთელი ქალაქი ჩემს წინააღმდეგება... (წამოუნთება). მაგრამ თვით მთელი ჯოჯოხეთიც რომ აღმიდგეს წინ... არა, არასოდეს!

ფოგტი. ოჯახის მამას უფლება არა აქვს, ასე მოიქცეს. ღიახ, შენ უფლება არა გაქვს, თომას.

ექიმი სტოკმანი. უფლება არა მაქვს? თავისუფალ კაცს მხოლოდ ერთი რამის უფლება არა აქვს! იცი, რისა?

ფოგტი. არა.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. მაშინ მე გეტყვი. თავისუფალ კაცს უფლება არა აქვს ღორივით გორავდეს წუმპეში. უფლება არა აქვს ისე მოიქცეს, რომ თავის თავს თვითონვე შეაფურთხოს.

ფოგტი. ყველაფერი ეს ძალზე დამაჭერებლად ჟღერს, შენს სიკერპეს სხვა ახსნა რომ არ მოეძებნებოდეს... მაგრამ აკი მოეძებნება.

ექიმი სტოკმანი. მაინც რას გულისხმობ?

ფოგტი. თავადაც მშვენივრად მოგეხსენება. მაგრამ როგორც შენი ძმა და ჭკუდამჭდარი კაცი, გირჩევ, მაინცდამაინც დიდ იმედს ნუ დაამყარებ იმაზე, რაც შეიძლება არც ახდეს.

ექიმი სტოკმანი. აღარ იტყვი, რას ნიშნავს ეს?

ფოგტი. ნუთუ მართლა გგონია, რომ დამაჯერებ, თითქოს არაფერი არ იცი მორტენ ჰილის ანდერძზე?

ექიმი სტოკმანი. არაფერი, გარდა იმისა, რომ ის ორიოდ გროში, რაც ჰილის მთელ ავლადიდებას შეადგენს, სიბერისაგან დაუძღურებულ ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარს გადაეცემა. კი მაგრამ, მე რაში მეკითხება ეს?

ფოგტი. ჭერ ერთი, საქმე მართლა ორიოდ გროშს როდი ეხება: ტყავის ფაბრიკის მფლობელი ჰილი საკმაოდ შეძლებული კაცია.

ექიმი სტოკმანი. პირველად მესმის...

ფოგტი. კმ... მართლა? მაშასადამე, პირველად გესმის, რომ მისი ქონების კაი გვარიან ნაწილს შენი შეილები მიიღებენ მემკვიდრეობით, შენი ცოლი კი მთელი სიცოცხლის მანძილზე ისარგებლებს პროცენტებით? ნუთუ არავის უთქვამს?

ექიმი სტოკმანი. არასოდეს. პირიქით, ჰილი სულ ცოფებსა ყრიდა, ჩემი შემოსავლის კვალობაზე მეტისმეტად დიდ გადასახადს მახდევინებენო... დანამდვილებით იცი, პეტერ?

ფოგტი. ყოვლად სარწმუნო წყაროებიდან.

ექიმი სტოკმანი. ღმერთო ჩემო! მაშასადამე, კატრინი უზრუნველყოფილია... ბავშვებიც! არა, ღმერთმანი, ახლაც უნდა ვუთხრა... (ყვირის). კატრინ! კატრინ!

ფოგტი (აჩერებს). სსუ... ჭერჯერობით კრინტი არ დაძრა.

ფრუ სტოკმანი (კარს შემოაღებს). რა მოხდა?

ექიმი სტოკმანი. არაფერი, არაფერი...

ფრუ სტოკმანი კარს გაიხურავს.

(ოთახში დაბიჯებს). ყველა უზრუნველყოფილია! ა? წარმოგიდგენიათ? მთელი სიცოცხლის მანძილზე! ღმერთო, რა ბედნიერება!

ფოგტი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჭერჯერობით ყველაფერი გაურკვეველია. მორტენ ჰილს შეუძლია, როცა მოეპრიანება, მაშინ შეცვალოს თავისი ანდერძი.

ექიმი სტოკმანი. არა, ამას როგორ იკადრებს, ჩემო ძვირფასო პეტერ? „მაჩვი“ ძალზე კმაყოფილია იმით, რომ მე ასე მაგრად მოგდექით შენცა და შენს მეგობრებსაც.

ფოგტი (გაოგნებული, გამომდელად უყურებს). აჰა! ახლა კი ყველაფერი გასაგებია!

ექიმი სტოკმანი. მაინც რა არის „გასაგები“?

ფოგტი. მაშასადამე, ეს მხოლოდ რთული მანევრი იყო? თანამდებობის პირთა წინააღმდეგ შენი აღვირახსნილი, უაზრო გამოხდომები თითქოსდა სიმართლის სახელით...

ექიმი სტოკმანი. აბა, აბა!

ფოგტი. ყოველივე ეს მხოლოდ ერთ რამეს ისახავდა მიზნად: წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, გარკვეული სამსახური გაგეწია გულრძო მორტენ ჰილისთვის მისი ანდერძის სანაცვლოდ.

ექიმი სტოკმანი (ძლივს ამოღერაფს). პეტერ... შენ ყველაზე ბილწი მდაბიორი ხარ, ვისაც კი შევხვედრივარ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

ფოგტი. ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია. დარწმუნებული ბრძანდებოდე, დროებით კი არა, სამუდამოდ გათავისუფლებთ. ახლა უკვე ხელთა გვაქვს იარაღი შენს წინააღმდეგ. (გაღის).

ექიმი სტოკმანი. ფუჰ! ფუჰ! ფუჰ! (ყვირის). კატრინ! ეს მყარალი გავა თუ არა, იატაკი მოასუფთაონ! უბრძანე, ახლავე წყალი მოიტანოს ამ... ამ... დალახეროს ეშმაკმა, რა ჰქვია ამ ტურტლიანს, ერთავად მური რომ უსვია ცხვირკვეშ?!

ფრუ სტოკმანი (სასტუმრო ოთახის კარში). სსუ... სსუ... ჩუმად, თომას. **პეტრა** (იმავე კარში). პაპა მოვიდა და კითხულობს, არ შეიძლება ცალკე მოველაპარაკო?

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა, შეიძლება. (კართან მიღის). მობრძანდით.

მორტენ ჰილი შემოდის. ექიმი კარს ხურავს.

რაზე გარჯილხართ? დაბრძანდით.

მორტენ ჰილი. არა, არა. (აქეთ-იქით იყურება). დღეს ამ თქვენს სახლის შემოხედვას აღარაფერი სჯობია, სტოკმან.

ექიმი სტოკმანი. მართლაც, არა?

მორტენ ჰილი. ვაი საყვარელო. უკეთესს რას ნახავს თვალი? დღეს კი მართლა ბლომდა გაქვთ ჟანგბადი, რაზედაც ამდენს ლაპარაკობდით გუშინ, და ადვილი წარმოსადგენია, რა სუფთა უნდა გქონდეთ სინიდისიცი.

ექიმი სტოკმანი. მართალს ბრძანებთ.

მორტენ ჰილი. დიახ, დიახ, ექვიც არ მეპარება (მკილს იცემს მკერდში). ახლა ჩემსას აღარ იკითხავეთ? თუ იცით, რა მაქვს აქ?

ექიმი სტოკმანი. იმედია, სუფთა გული.

მორტენ ჰილი. ეე! რალაც უფრო უკეთესი. (გატენილ საფულეს იღებს, ხსნის და ქალაღების დასტას უჩვენებს).

ექიმი სტოკმანი (გაკვირებული მისჩერებია). სანატორიუმის აქციები?
მორტენ ჰილი. დღეს სულ ადვილი იყო მათი შეძენა.

ექიმი სტოკმანი. და თქვენც შეიძინეთ?..

მორტენ ჰილი. დიახ. სულ ნაღდი ფულით.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო სიმამრო... სანატორიუმი ისე შავ დღეშია...

მორტენ ჰილი. თუ ჰკვიანურად მოიქცევით, სანატორიუმი შეიძლება კვლავ ფეხზე დადგეს.

ექიმი სტოკმანი. ხომ ხედავთ, თავს არ ვიზოგავ, მაგრამ... ამ ჩვენს ქალაქში თითქმის ყველა შემულია.

მორტენ ჰილი. გუშინ თქვენ ბრძანეთ, რომ სიბინძურის მიზეზი, უპირატესად, ჩემი ფაბრიკაა. მაგრამ თუკი მართლა ასეა, მაშინ გამოდის, რომ მეც, მამაჩემიც და პაპაჩემიც ამდენი წლის მანძილზე თურმე მხოლოდ ეწამლავდით და ვაბინძურებდით ქალაქს. ნამდვილი სულთამხუთავეები ვყოფილვართ და ეგაა... თქვენ გგონიათ, მე შემიძლია შეეუბრიგდე ამნაირ სირცხვილს?

ექიმი სტოკმანი. სამწუხაროდ, მეტი რა გზა გაქვთ.

მორტენ ჰილი. არა, ჩემო ძვირფასო. მე თვალისჩინივით ვუფრთხილდები ჩემს ღირსებას და სახელს. ვიცი, ხალხმა „მაჩვი“ შემარქვა. რალა მაჩვი და რალა ღორი. მართლა მტრის გულისა ხომ არ გავხდები? მე მინდა სუფთად ვიცხოვრო და სუფთადვე მოვეკდე.

ექიმი სტოკმანი. კი მაგრამ, ამ მდგომარეობას როგორღა დააღწევთ თავს?

მორტენ ჰილი. თქვენი მეშვეობით; დიახ, თქვენ უნდა გამწმინდოთ, სტოკმან.

ექიმი სტოკმანი. მე?

მორტენ ჰილი. თუ იცით, რა ფულით ვიყიდე ეს აქციები? თუმცა რა გეცოდინებათ? მაშინ მე გეტყვით: იმ ფულით, რომელიც ჩემი სიკვდილის შემდეგ კატრინს, პეტრას და ბიჭებს უნდა რგებოდათ... დიახ, როგორც ხედავთ, ცოტაოდენის მოქუჩება მაინც მოვასწარი...

ექიმი სტოკმანი (წაჰოუნება). და თქვენ აიღეთ და ასე გაანიავეთ კატრინის ფული?

მორტენ ჰილი. დიახ, მთელი ეს ფული სანატორიუმში დავაბანდე.

და, აი, ახლა დაეინახავ, მართლა საბოლოოდ შეიშალებოდა თუ არა, სტოკმანი. თუ ჩემს ფაბრიკაში ამის შემდეგაც ათასნაირ კია-ლუასა და სხვა სიბილწეს თუ სიბინძურეს დაუწყებთ ძებნას, ეს იგივე იქნება, რომ პირწმინდად გაფცქნათ კატრინიც, პეტრაც და ბიკებიც. ამას კი არც ერთი წესიერი და კეთილსინდისიერი ოჯახის მამა არ იზამს... თუკი საბოლოოდ არ გაგიყვებულა და ტვინის ნატამალი მაინც შერჩენია თავში.

ექიმი სტოკმანი (ბოლთასა სცემს). კი მაგრამ, თუკი მე სწორედ ამნაირი გიყი ვარ? დიახ, სწორედ ამნაირი გიყი?

მორტენ ჰილი. ვაი შენი ცოლ-შვილის ბრალი ამნაირი დამთხვეულის ხელში.

ექიმი სტოკმანი (მის წინ ჩერდება). არა, მაინც რატომ მე არ მომეთათბირეთ, სანამ ამ ხარახურას შეიძენდით?

მორტენ ჰილი. რაც მოხდა, მოხდა. ასე უფრო ნაღლია.

ექიმი სტოკმანი (აღლევებული დააბიჯებს ოთახში). ასე დარწმუნებული მაინც არ ვიყო ჩემს სიმართლეში... მაგრამ ხომ ვიცი, რომ მართალი ვარ?

მორტენ ჰილი (ხელის გულზე სწონის საფულეს). თუ თქვენს სიგიყეს არ მოიშლით, მთელ ამ დასტას ჩალის ფასი აქვს. (ჩიბეში იღებს საფულეს).

ექიმი სტოკმანი. დალახეროს ეშმაკმა, ნუთუ მეცნიერებამ რაიმე საწინააღმდეგოს ვერ უნდა მიაკელიოს?

მორტენ ჰილი. ესე იგი, კია-ლუები არ გაწყვიტოს?

ექიმი სტოკმანი. დიახ, ანდა გააუვნებლოს ისინი.

მორტენ ჰილი. თავის წამალი რომ გვეცადა?

ექიმი სტოკმანი. ეე, მეტი არაა ჩემი მტერი!.. თუმცა, აკი ყველა გაიძახის, ეს მხოლოდ დამთხვეულის ფანტაზიააო?.. თუ ფანტაზიაა, ფანტაზია იყოს. ახია მათზე. ამ უეციკმა და უგულო იდიოტებმა ხალხის მტრად გამომაცხადეს... მზად იყვენენ, ტანსაცმელი შემოეხიათ ჩემთვის...

მორტენ ჰილი. ფანჯრებიც ჩაგომსხვრიეს.

ექიმი სტოკმანი. დიახ. ახლა კიდევ ეს ოჯახის უფროსის მოვალეობა... კატრინს უნდა მოველაპარაკო. თავისი საქმე თვითონვე გადაწყვიტოს.

მორტენ ჰილი. კეთილი. თქვენი ცოლი გონიერი ქალია და, იცოდეთ, მის რჩევას ყური უგდეთ.

ექიმი სტოკმანი (წამოუნთება). ასე მაინც, ასე როგორ გაგეწირეთ?

ქარს გაატანეთ კატრინის ფული, მე კი ასეთ საშინელსა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაყენეთ. გიყურებთ და ასე, მგონია, თვით ეშმაკი დგას-მეთქი ჩემს წინ.

მორტენ ჰილი. მაშინ უმჯობესია წავედე. მაგრამ იცოდეთ, დღესვე ველი პასუხს; ორ საათამდე. ან ჰო, ან არა. თუ არა, აქციებს თავშესაფარს ვუანდერძებ! დღესვე!

ექიმი სტოკმანი. კატრინი რალას მიიღებს?

მორტენ ჰილი. ბუს კვერცხებს.

შემოსასვლელი კარი იღება და ზღურბლზე გამოჩნდებიან ჰოვსტადი და ასლაკსენი.

ერთი ამათ დამიხედეთ!

ექიმი სტოკმანი (გაოგნებული მისჩერებია ახლად შემოსულთ). რაო?... თქვენ კიდევ ბედავთ ჩემს სახლში ფეხის შემოდგმას?

ჰოვსტადი. როგორც ხედავთ.

ასლაკსენი. ჩვენ გვინდა მოგელაპარაკოთ.

მორტენ ჰილი (ჩურჩულით). ან ჰო, ან არა... ორ საათამდე.

ასლაკსენი (ჰოვსტადს გადახედავს). აჰა!

მორტენ ჰილი მიდის.

ექიმი სტოკმანი. აბა, რა საქმე გაქვთ? მოკლედ!...

ჰოვსტადი. მე კარგად მესმის, რომ გუშინდელ სხდომაზე ჩვენი მოქმედების მანერით უკმაყოფილო ხართ.

ექიმი სტოკმანი. თქვენ ამას მანერას უწოდებთ? დიდებული მანერა კია! მე ამას მანერას კი არა, უმსგავსოებას დაეარქმევდი! ნამდვილი დელაბრებივით იქცეოდით... ფუჰ, დალაბეროს ეშმაკმა!

ჰოვსტადი. რაც გნებავთ, ის დაარქვით. მაგრამ ჩვენ სხვანაირად მოქცევა არ შეგვეძლო...

ექიმი სტოკმანი. მეტი გზა არ გქონდათ, არა?

ჰოვსტადი. დიახ, თუ სიმართლე გნებავთ.

ასლაკსენი. კი მაგრამ, რა იქნებოდა, ერთი-ორი სიტყვა წინასწარ გეთქვათ? ჩემთვის ან ჰოვსტადისათვის მაინც გენიშნებიანთ რამე?

ექიმი სტოკმანი. მაინც რა? რა უნდა მენიშნებინა?

ასლაკსენი. რაც იმალებოდა ყოველივე ამის უკან.

ექიმი სტოკმანი. არაფერი არ მესმის.

ასლაკსენი (შინაურულად; თავის ქნევით). გესმით, მადლობა ღმერთს, მშვენიერად გესმით, ექიმო სტოკმან.

ჰოვსტადი. ახლა მაინც რალა აზრი აქვს დამალვას?

ექიმი სტოკმანი (ხან ერთს მისჩერებია და ხან მეორეს). დალახვროს ეშმაკმა...

ასლაცხენი. ნება მიბოძეთ, გკითხოთ: განა თქვენი სიმამრი კარდაკარ არ დაძრწის მთელ ქალაქში და სანატორიუმის აქციებს არ ყიდულობს?

ექიმი სტოკმანი. დიახ, დღეს ბლომად უყილია, მაგრამ...

ასლაცხენი. უფრო ჭკვიანური იქნებოდა, სხვა ვინმე გააგებზავნათ... ვინც ასე ახლო მაინც არ იქნებოდა თქვენთან.

ჰოვსტადი. ან რაში დაგჭირდათ საკუთარი ღროშის ფრიალით გამოსვლა? უმჯობესი იქნებოდა, არავის გაეგო, რომ სანატორიუმზე მთელი ეს თავდასხმა სწორედ თქვენგან იღებს დასაბამს. ჩემთვის მაინც გეკითხათ რჩევა, ექიმო სტოკმან.

ექიმი სტოკმანი (ერთხანს ჩაფიქრდება, მერე კი, თითქოს უეცრად გონება გაუნათლავს, ისე ლაპარაკობს, როგორც ციდან ახლად ჩამოვარდნილი კაცი). ღმერთო დიდებულო! ნუთუ ამნაირი საქმეცა ხდება?

ასლაცხენი (ღიმილით). ხომ ხედავთ, რომ ხდება? მაგრამ უმჯობესია, ჩუმად, უხმაუროდ მოაკვარახჭინოთ.

ჰოვსტადი. ყველაზე უმჯობესი კი — ამფსონებთან ერთად. პასუხისმგებლობა უფრო ნაკლებია, როცა კაცი მარტო კი არა, სხვებთან ერთად მოქმედებს.

ექიმი სტოკმანი (თავს იოკებს). მოკლედ რომ ვთქვათ, ბატონებო, რა გნებავთ ჩემგან?

ასლაცხენი. ამას ბატონი ჰოვსტადი უკეთ მოგახსენებთ...

ჰოვსტადი. არა, თქვენ თვითონ ბრძანეთ, ასლაცხენ.

ასლაცხენი. იცით, რა?.. საქმე ისაა, რომ ახლა, როდესაც ყველაფერი ვიცით, ჩვენის აზრით, უკვე შეგვიძლია, თქვენს განკარგულებაში გადმოგცეთ „სახალხო გაზეთი“.

ექიმი სტოკმანი. აჰ, ახლა უკვე შეგიძლიათ? კი მაგრამ, საზოგადოებრივი აზრი? არ გეშინიათ, რომ ხალხის რისხვა გრიგალივით დაგატყდებათ თავზე?

ჰოვსტადი. ვეცდებით როგორმე გაუშლოთ.

ასლაცხენი. თავის მხრივ, ბატონმა ექიმმაც გარკვეული მოქნილობა უნდა გამოიჩინოს. ხოლო როგორც კი ჩვენი თავდასხმები სასურველ შედეგს გამოიღებს...

ექიმი სტოკმანი. ესე იგი, როგორც კი ჩემი სიმამრი ჩალის ფასად ჩაიგდებს ხელში ყველა აქციას...

პოვსტადი. ო, თქვენ, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერების ინტერესებისათვის ცდილობთ სანატორიუმის ხელში ჩაგდებას.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. სწორედ მეცნიერების ინტერესებისათვის წააქეზე ბებერი „მაჩვიც“. მერე კი, აქა-იქ შევაკეთებთ წყალსადენს, ორიოდ ბარის პირს დაეკრავთ და აქა-იქ მოვიჩიქნით მიწას ზღვის პირას, ასე რომ, არავითარი ხარჭებით არ შევაწუხებთ ქალაქს. ჰოდა, საქმეც გაიჩარხება! ასეა, არა?

პოვსტადი. რა თქმა უნდა, რაკილა „სახალხო გაზეთიც“ მხარში ამოგიდგებათ...

ასლაკსენი. თავისუფალ საზოგადოებაში ბეკდვითი სიტყვა დიდი ძალაა, ბატონო ექიმო.

ექიმი სტოკმანი. კეთილი. საზოგადოებრივი აზრიც, არა? თქვენ, ბატონო ასლაკსენ, ალბათ, თავმდებად დაუდგებით სახლის მფლობელთა კავშირს.

ასლაკსენი. არა მარტო სახლის მფლობელთა კავშირს, არამედ სიფხიზლის მეგობართა საზოგადოებასაც. ექვი არ შეგეპაროთ.

ექიმი სტოკმანი. ბატონებო... ცოტა არ იყოს, მეუხერხულება გკითხვით... .. მაინც რა საზღაურს მოითხოვთ?

პოვსტადი. ალბათ, თავადაც ხედებით, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, გვერჩია, უანგაროდ დაგვექირა თქვენთვის მხარი. მაგრამ „სახალხო გაზეთი“ ჯერ კიდევ მტკიცედ ვერა დგას ფეხზე, საქმეც ვერ მიდის ისე, როგორც ჩვენ გვინდა, ხოლო გაზეთის გამოცემის შეწყვეტა ახლა, როცა ამდენი საქმეა გასაკეთებელი დიდი პოლიტიკის დარგში, მართალი გითხრათ, ძალზე არასასურველი იქნებოდა ჩემთვის.

ექიმი სტოკმანი. გასაგებია. ეს მართლაც ძალზე მტკივნეული იქნება ხალხის იმნაირი მეგობრისათვის, როგორც თქვენა ბრძანდებით. (თავს ველარ იკაეებს). მე კი ხალხის მტერი ვარ! (ოთახში წრიალებს). სად ჯანდაბაში წავიდა? ვინ აიღო ჩემი ჯოხი?

პოვსტადი. ჯოხიო?..

ასლაკსენი. აბა, აბა, ეგეთები არ იყოს...

ექიმი სტოკმანი (ჩერდება). კი მაგრამ, თუ ჩემი აქციებიდან გახვრეტულ გროშსაც არ მოგცემთ? ხომ იცით, რა ძნელია, ჩვენ, მდიდრებს, კაპიკი დაგვცინცლოთ ხელიდან?

პოვსტადი. ხომ იცით, აქციების საქმე ასეც შეიძლება გაშუქდეს და ისეც.

ექიმი სტოკმანი. რა თქმა უნდა. აბა, სხვა რისი მაქნისი ხართ? თუ „სახალხო გაზეთს“ ხელს არ გაუშვართავ, მტრისას, ვაი ჩემი ბრალი მაშინ — ისე დამესვეით, როგორც მწვერები — კურდღელს.

პოვსტადი. ასეთია ბუნების კანონი. ყოველი მხეცი და ნადირი თავის საზრდოს ეძებს.

ასლაკსენი. და ყველა იქ იღებს, სადაც პოულობს მას.

ექიმი სტოკმანი. მაშ, წადით, სადმე სანაგვეში ეძებთ. (ოთახში წრიალებს). დალაზვროს ეშმაკმა! ახლა გამოჩნდება, ვინაა ჩვენს შორის უფრო ძლიერი მხეცი! (ქოლგას პოულობს და გაშმაგებით იქნევს). აბა!..

პოვსტადი. შეურაცხყოფის მოყენებას ხომ არ გვიპირებთ?

ასლაკსენი. ფრთხილად! ხელები დაიმოკლეთ!

ექიმი სტოკმანი. აბა, აიწიეთ და ფანჯარაში ისკუპეთ, ბატონო პოვსტად!

პოვსტადი (შემოსასვლელ კართან). ხომ არ გაგიუღით?

ექიმი სტოკმანი. ახლა კი თქვენ, ბატონო ასლაკსენ! ფანჯარაში ისკუპეთ-მეთქი! რაც უფრო მალე ისკუპებთ, მით უკეთესი თქვენთვის!

ასლაკსენი (საწერი მაგილის ირგვლივ დარბის). ზომიერებას მოუხმეთ, ბატონო ექიმო! მე სუსტი კაცი ვარ... ერთი სულის შებერვა და... (ყვირის). მიშველეთ! მიშველეთ!

სასტუმრო ოთახიდან გამორბიან ფრუ სტოკმანი, პეტრა და პორსტერი.

ფრუ სტოკმანი. ღმერთო ჩემო! რა მოხდა, თომას?!

ექიმი სტოკმანი (ქოლგას იქნევს). აბა, ისკუპეთ! პირდაპირ სანაგვეში!

პოვსტადი. უიარაღო კაცზე თავდასხმა?! იცოდეთ, მოწმე ხართ, კაპიტანო პორსტერ! (თავქუდმოგლეჯილი გაჟარდება წინკარში).

ასლაკსენი (გაოგნებული). აქაურობას მაინც ვიცნობდეთ... (სასტუმრო ოთახში შეჟარდება).

ფრუ სტოკმანი (ქმრის შეჩერებას ცდილობს). დამშვიდდი, რა მოგივიდა თომას?!

ექიმი სტოკმანი (ქოლგას დააგებს). ეეკ, მაინც დამისხლტენ!

ფრუ სტოკმანი. რა უნდოდათ?

ექიმი სტოკმანი. მერე გეტყვი... ახლა მათთვის არა მცალია. (მაგიდასთან მიდის და სავიზიტო ბარათზე რაღაცას წერს). აქ მოდი, კატრინ! ხელავ, რა დავწერე?

ფრუ სტოკმანი. სამჯერ „არა“, თანაც, რამსისხო ასოებით. რას ნიშნავს ეს?

ექიმი სტოკმანი. ამასაც მერე გაიგებ. (ბარათს შეიღს აძლევს). აი, რა, პეტრა! ის ჩვენი ტურტლიანი ახლავე „მაჩვთან“ გაიქცეს და ეს მიუტანოს.

პეტრა ბარათს იღებს და წინკარში გადის.

თუ დღეს თვით სატანის შვილები არ მყავდნენ სტუმრად, მაშინ, მომკალით და ვერ გეტყვით, ვინ არიან. მაგრამ ახლა კი მიფრთხილდნენ: სადგისივით წავეუმახავ წვერს ამ ჩემს კალამს! შხამსა და ნალველში ამოვაწებ! სამელნიით დავუხეთქავ თავებს!

პეტრა ბრუნდება.

ექიმი სტოკმანი. რა ქენი?

პეტრა. გავგზავნე.

ექიმი სტოკმანი. კეთილი... მაშ, შენ ამბობ, რომ მივიღივართ? არა, დამლახვროს ეშმაკმა, აქ ვრჩებით, კატრინ!

პეტრა. ვრჩებით?

ფრუ სტოკმანი. აქ, ქალაქში?

ექიმი სტოკმანი. დიახ, სწორედ აქ. აქაა ბრძოლის ველი და აქვე უნდა გაიმართოს ფიცხელი ბრძოლაც, სწორედ აქ მინდა გავიმარჯვო. აი, დამიკერებთ თუ არა შარვალს, ქალაქში გავალ და ბინას მოვძებნი. ზამთარში ქერს მაინც ხომ უნდა შევაფაროთ თავი?

ჰორსტერი. თქვენც ადექით და ჩემთან გადმოდით.

ექიმი სტოკმანი. არა, მართლა?

ჰორსტერი. რა თქმა უნდა. ადგილი ყველას გვეყოფა და, ეგეც არ იყოს, მე თითქმის არასოდეს არა ვარ სახლში.

ფრუ სტოკმანი. აჰ, რა კეთილი კაცი ხართ, ჰორსტერ.

პეტრა. გმადლობთ.

ექიმი სტოკმანი (მაგრად ართმევს ხელს). გმადლობთ, გმადლობთ! მაშ, ასე, ეს ერთი მძიმე ტვირთიც მომეხსნა. ახლა კი სერიოზულად ჩავუჯდები საქმეს. მერედა, რამდენი სამუშაოა, კატრინ! კიდევ კარგი, რომ დრო თავზე საყრელადა მაქვს. სამსახურიდან ხომ დამითხოვეს.

ფრუ სტოკმანი (ამოიოხრებს). ასეც ვიცოდი.

ექიმი სტოკმანი. ახლა კიდევ ისიც უნდათ, რომ პრაქტიკა დამაკარგვინონ. ჯანდაბას მათი თავი! ლარიბები ხომ მაინც დამარჩებიან... სულ მთლად წყალწაღებულნი, რომლებიც არაფერს იხდიან! ღმერთო ჩემო, ყველაზე მეტად სწორედ მათ ეკირდები. მაგრამ, დალახეროს ეშმაკმა, იმდენს კი ვიზამ, რომ ყური მიგდონ. მეხივით დავატყდები თავს, როგორც ერთგანაა ნათქვამი, ყველა ხელსაყრელ თუ არახელსაყრელ შემთხვევაში.

ფრუ სტოკმანი. ჩემო ძვირფასო, მე მგონია, ერთხელ უკვე იწვნიე, თუ რა შედეგი მოსდევს ამას.

ექიმი სტოკმანი. ღმერთმანი, დიდად უცნაური ქალი ხარ, კატრინ! მაშ, რას მიბრძანებ, რა ექნა, ფარ-ხმალი დავყარო საზოგადოებრივი აზრის, მკვიდროდ დარაზმული უმრავლესობისა და სხვა ათასი ჯანდაბისა თუ ღოზანის წინაშე? არა, უმორჩილესად გმადლობ! მე მხოლოდ ერთი რამ მინდა: თავში ჩაუჭედო ამ ქოფაკებს, რომ ლიბე-რალეები თავისუფალი ადამიანების მოსისხლე მტრები არიან, რომ პარტიული პროგრამები ძირშივე ახშობენ ახლად აღმოცენებულ, ჯერ კიდევ ნორჩსა და სიცოცხლისუნარიან ქვეშარიტებებს, რომ ათასგვარი „მოსაზრებანი“ თავდაყირა აყენებენ ზნეობასა და თავისუფლებას, ასე რომ მთელი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცევა! როგორ გგონიათ, კაპიტანო ჰორსტერ, შეეძლებ თუ არა ყოველივე ეს თავში ჩაუჭედო ადამიანებს?

ჰორსტერი. იქნებ, კიდევაც შესძლოთ. თუმცა, მართალი გითხრათ, ამ საქმის ბევრი არა გამეგება რა.

ექიმი სტოკმანი. აი, ხომ ხედავთ?.. მაშ, მომისმინეთ! მუსრი უნდა გავავლოთ პარტიების ბელადებს. რალა ამნაირი ბელადი და რალა მგელი. საარსებოდ მან ყოველწლიურად უნდა შთანთქას ამდენი და ამდენი სული წვრილფეხა საქონელი. დაუკვირდით ჰოვსტადსა და ასლაკსენს. რამდენ წვრილფეხა პირუტყვს შთანთქავენ, დაასახიჩრებენ, ან ნაკუწ-ნაკუწ აქცევენ, ასე რომ, მათგან არასოდეს არაფერი აღარ გამოვა, სახლის მფლობელთა და „სახალხო გაზეთის“ ხელის მომწერთა გარდა. (მაგიდაზე ჯდება). აქ მოდი, კატრინ! აბა, გახედე, რა დიდებული დღეა, რა მხიარულად იციინიან მზის სხივები და რა ლალად სუნთქავს მკერდი, თითქოს თვრებაო გაზაფხულის კამკამა და გრილი ჰაერით!

ფრუ სტოკმანი. ეჰ, მარტო მზის სხივებით და გაზაფხულის ჰაერით რომ შეიძლებოდეს თავის გატანა, თომას.

ექიმი სტოკმანი. შენც ადექი და ცოტა მეტი ხელმომპირნეობა გამოიჩინე; ნუ გეშინია, შიმშილით არ დავიხოცებთ. ეს ყველაზე ნაკლებ მადარდებს. არა, ყველაზე უარესი ისაა, რომ არ მეგულება არცერთი თავისუფალი და კეთილშობილი კაცი, რომელიც ჩემი სიკვდილის შემდეგ გააგრძელებდა ჩემს საქმეს.

პეტრა. აჰ, ამაზე არც იფიქრო, მამა! წინ კიდევ ბევრი დრო გაქვს. ა! აი, ბიჭებიც!

სასტუმრო ოთახიდან შემოდინან ეილიფი და მორტენი.

ფრუ სტოკმანი. თქვენ რა, დღეს ადრე გამოგიშვეს?

მორტენი. არა, მაგრამ დასვენებაზე ვიჩხუბეთ...

ეილიფი. არა, ჩვენ კი არა, სხვები წაგვეჩხუბნენ.

მორტენი. დიახ, და ბატონმა რიორლუნმა გვითხრა, სჯობია, ერთხანს სკოლაში არ მოხვიდეთო.

ექიმი სტოკმანი (თითებს გაატაკუნებს და მაგიდიდან ჩამოხტება). აჰ, ასე, არა? ფეხი აღარ გაადგათ სკოლაში.

ბიჭები. აბა?

ფრუ სტოკმანი. თომას...

ექიმი სტოკმანი. ფეხი აღარ გაადგათ-მეთქი! მე თვითონ გასწავლით; ესე იგი, არაფერსაც არ გასწავლით...

მორტენი. ვაშა!

ექიმი სტოკმანი. ...მაგრამ თავისუფალ და კეთილშობილ ვაჟე-
კებად კი დაგზრდით. შენც უნდა დამეხმარო, პეტრა.

პეტრა. რა თქმა უნდა, მამა.

ექიმი სტოკმანი. საკლასო ოთახი კი ის დარბაზი იქნება, სადაც ხალხის მტერი მიწოდეს. მაგრამ ჩვენ ბევრი ბავშვები გეპირდება: თავდაპირველად, სულ მცირე, ერთი დუჟინი მაინც.

ფრუ სტოკმანი. ამდენს სად მოუყრი თავს?

ექიმი სტოკმანი. ვნახოთ. (ბიჭებს). აჰ, ახლომახლო, ქუჩის ბიჭებს ხომ არ იცნობთ?.. ნამდვილ მაწანწალებს?

მორტენი. რამდენიც გინდა, მამა.

ექიმი სტოკმანი. ძალიან კარგი. აჰ მომიყვანეთ. ვცდი, ერთბაშად დაუწყო წვრთნა ამ პატარა ლეკვებს. მათ შორის იმნაირი თავებიც გამოერევა ხოლმე...

მორტენი. მერე რალა უნდა ექნათ, როდესაც თავისუფალ და კეთილშობილ ვაჟკაცებად დავიზრდებით?

ექიმი სტოკმანი. ყველა რუხ მგელს შორს, დასაველეთით განდევნით, ჩემო ვაჟკაცებო.

ელიფი, ცოტა არ იყოს, გაოგნებული გამოიყურება, მორტენი კი დაბტის და ხმაძალა გასყვირის — „ვაშა“!

ფრუ სტოკმანი. აჰ, მაგ რუხმა მგლებმა შენ თვითონ არ განგდევნონ, თომას!

ექიმი სტოკმანი. რას ამბობ, სრულ კკუაზე ხარ, კატრინ? ვინ უნდა განმდევნოს, მით უმეტეს, ახლა, როცა ყველაზე ძლიერი კაცი ვარ მთელს ქალაქში?

ფრუ სტოკმანი. ყველაზე ძლიერი? ახლა?!

ექიმი სტოკმანი. დიახ, მეტსაც გეტყვი: ახლა მე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კაცი ვარ მთელი დედამიწის ზურგზე!

მორტენი. ეხუმრები?

ექიმი სტოკმანი (ხმას დაუწევს). სსუ... სიტყვა არავისთან დაგცდეთ, მაგრამ მე ისეთი რამ აღმოვაჩინე...

ფრუ სტოკმანი. ისეე აღმოჩენა!

ექიმი სტოკმანი. დიახ, დიახ! (ყველას გარშემო იკრებს და ისე ელაპარაკება, თითქოს რალაც დიდ საიდუმლოს უზიარებს). უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე ძლიერი კაცი ამქვეყნად ისაა, ვინც ყველაზე მარტოა.

ფრუ სტოკმანი (ილიძება და თავს აქნევს). აჰ, რას არ იტყვი, თომას!

პეტრა (ხელს ჩასკიდებს მამას; მხნედ, მტკიცედ). მამა!



სარჩევი

1. კეისარი და გალილეველი	.	.	5
2. საზოგადოების ბურჯნი	.	.	253
3. თოჯინების სახლი	.	.	347
4. მოჩვენებანი	.	.	423
5. ხალხის მტერი	.	.	491

მხატვარი ანზორ თოდრია

ტექ.რედაქტორები: მ.შეტრეველი, გ.ყუშიტაშვილი
რედაქტორ-ოპერატორები: ი.ხალუქვაძე, ქ.საყვარელიძე,
მ.შანშიაშვილი, დ.კიკალეიშვილი, ი.კალანდაძე,
მ.ასათიანი

შეკვ. № 20

ფასი სახელშეკრულებო

ბამონცემლობა „ირმისა“

1994